საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2008 წლის პირველი ნახევარი

სარჩევი

1. მოქალაქეთა მომართვების სტატისტიკა გვ.4
2. პოლიტიკური დევნა გვ.11
3. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება გვ.31
4. გაერთიანების თავისუფლება გვ.60
5. გამოხატვის თავისუფლება გვ. 64
6. სამართლიანი სასამართლო გვ. 107
7. სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება გვ. 115
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების, პოლიციის განყოფილებებისა და თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტების მონიტორინგი გვ. 121
9. სასჯელაღსრულების სისტემა გვ.132
10. ჯანდაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში: ადამიანური რესურსები, ჯანმრთელობის დაზღვევა გვ. 137
11. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა გვ.163
12. კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის შესახებ გვ.177
13. დევნილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა გვ. 186
14. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გვ, 196
15. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები გვ.199
16. საკუთრების უფლების ხელყოფა გვ. 211
17. შრომის უფლება გვ, 230
18. სახელფასო დავალიანებები გვ, 235
19. საბინაო საკითხები გვ. 238
20. გარემოს დაცვა გვ. 241
21. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები გვ.247
22. ბავშვის უფლებები გვ. 282
23. გენდერული თანასწორობის საკითხები გვ. 301
24. ძალადობა ოჯახში გვ. 309
25. ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში გვ.315
26. ადამიანის უფლებები და ფსიქიკური ჯანმრთელობა გვ. 320
27. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ გვ. 332
28. დანართი #1 პოლიტიკური დევნა გვ. 335
29. დანართი #2 შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება გვ.386
30. დანართი #3 გამოხატვის თავისუფლება გვ. 396
31. დანართი #4 სამართლიანი სასამართლო გვ. 408
32. დანართი # 5 სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება გვ.492
33. დანართი # 6 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა გვ. 517
34. დანართი #7 დევნილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა გვ.541
35. დანართი # 8 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გვ.553
36. დანართი # 9 სოციალურ-ეკონომიკური უფლებები გვ. 560
37. დანართი #10 საკუთრების უფლების ხელყოფა გვ. 562

38. დანართი # 11 შრომის უფლება გვ. 604
39. დანართი #12 სახელფასო დავალიანებები გვ. 621
40. დანართი #13 საბინაო საკითხები გვ.622
41. დანართი #14 გარემოს დაცვა გვ. 624
42. დანართი #15 ბავშვის უფლებები გვ. 637

მოქალაქეთა მომართვების სტატისტიკა



მომართვების განაწილება თბილისისა და რეგიონულ ოფისებს შორის - **2007წ. 1** ნახევარი



მომართვების განაწილება თბილისისა და რეგიონულ ოფისებს შორის - **2007წ. 2** ნახევარი



მომართვების განაწილება თბილისისა და რეგიონულ ოფისებს შორის - **2008**წ. **1** ნახევარი



მოქალაქეთა საჩივრების რაოდენობა დაწესებულებებთან მიმართებაში - 2007წ. 1 ნახევარი



მოქალაქეთა საჩივრების რაოდენობა დაწესებულებებთან მიმართებაში - 2007წ. 2 ნახევარი



მოქალაქეთა საჩივრების რაოდენობა დაწესებულებებთან მიმართებაში - 2008წ. 1 ნახევარი



საჩივრების პროცენტული შემადგენლობა შინაარსის მიხედვით - 2007წ.1 ნახევარი



საჩივრების პროცენტული შემადგენლობა შინაარსის მიხედვით - 2007წ. 2 ნახევარი



საჩივრების პროცენტული განაწილება შინაარსის მიხედვით - 2008წ. 1 ნახევარი



პოლიტიკური დევნა

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა დევნა და რეპრესიების გატარება იმ პირების მიმართ, რომელებიც სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს 2007 წლის ოქტომბერ–ნოემბრის მოვლენებთან და ოპოზიციური პარტიის წევრობასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში მოხერხდა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ დასახელებული 9 პიროვნებისათვის გირაოს შეფარდება. მათი უმეტესობის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დღემდე მიმდინარეობს. აღკვეთის ღონისძიების შეცვლა არ შეეხოთ იმ პირებს, ვინც სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული იყვნენ ნარკოტიკული დანაშაულისათვის (მაგალითად მერაბ რატიშვილი და იოსებ ჯანდიერი), სამოხელეო დანაშაულისათვის (დიმიტრი გოდაბრელიძე) და იარაღის უკანონო შენახვისათვის (დავით კლდიაშვილი). უმეტესი მათგანის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

ნარკოტიკული, სამოხელეო და იარაღის უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს ერთ–ერთი უმთავრესი ფუნქციაა. ეჭვს არ იწვევს, რომ დანაშაულის ჩამდენი ყველა პირი უნდა იყოს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული, მიუხედავად მათი პარტიული და თანამდებობრივი კუთვნილებისა. არანაირი გარემოება არ შეიძლება, ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდეს სახელმწიფოსათვის კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საანგარიშო პერიოდში გაერთიანებული ოპოზიციის აქტივისტებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ამის მიზეზი იყო ის, რომ 2008 წლის ივნისის თვეში გაერთიანებული ოპოზიცია გეგმავდა მიტინგის ჩატრებას პარლამენტის შენობის წინ, რათა დაეფიქსირებინა 2008 წლის 21 მაისს არჩეული პარლამენტის შეკრებასთან დაკავშირებით. პოლიტიკური ოპოზიციის აქტივისტის თავდასხმის ყველა ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია წინასწარი გამოძიება, თუმცა დღემდე აღნიშნულ ფაქტებს არ ეძლევა ადეკვატური სამართლებრივი შეფასება.

სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევარში მრავლად იყო მითითებული პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმის თაობაზე. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში არც ერთი თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით არ გამოკვეთილა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ამ დრომდე ადეკვატური სასჯელის გარეშე არიან დარჩენილი 2007 წლის ოქტომბრის თვეში პარლამენტის მაშინდელი წევრების ბეჟან გუნავაზე და ბიძინა გუჯაბიძეზე განხორციელებული თავდასხმის მონაწილეები. მათი ვინაობა ყველასთვის და, პირველ რიგში, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისათვის კარგად არის ცნობილი. თავდამსხმელები არიან ,,ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები გიორგი სამუშია, გოგა ღურწკაია, მანუჩარ ფუტკარაძე, გიორგი მანია ირაკლი მიქაია, ბიქტორ მიქაია და აკაკი როგავა. სამართლებრივი თვალსაზრისით, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული პირები იხსნა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მათი ქმედების უფრო მსუბუქი ადმინისტრაციულ

სამართლებრივი კვალიფიკაციით. ოქმის შემდგენი პატრული–ინსპექტორებისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მეტისმეტი ლმობიერების გამო, შეუძლებელი ხდება ზემოხსნებულ პირებს დაეკისროთ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რისთვისაც ისინი ცნობილი იყვენენ სამართალდამრღვევად (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–7 დამატებითი ოქმის მე–4 პუნქტით აღიარებული Ne bis in idem პრინციპი). ბეჟან გუნავასა და ბიძინა გუჯაბიძეზე მოწყობილი თავდასხმის მონაწილეების დასჯა, რომ არავის უფიქრია ამაში ადვილად დარწმუნდები, თუკი თვალს გადაავლებ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პროპორციულ სიას. აღნიშნული განთავსებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ–გვერდზე[1]. საარჩევნო სუბიექტის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა –გამარჯვებული საქართველოსათვის" პროპორციული საარჩევნო სიის 88–ე ნომრად დასახელებულია გოგა ღურწკაია. მისი სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია დაბადების თარიღი –1982 წლის 21 დეკემბერი; საქმიანობა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მთავარი სპეციალისტი. ეს სწორედ ის გოგა ღურწკაიაა, რომელიც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის დავით კეკენაძის 2007 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის ზომად განესაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა ოცი დღით, ასევე ჯარიმა ოთხასი ლარის ოდენობით. გოგა ღურწკაიას მიერ ბეჟან გუნავას მიმართ გამოვლენილი სისატიკის კადრები დაფიქსირებულია ტელეკომპანიების ,,რუსთავი–2–სა" და ,,იმედის" მიერ.

,,ნაციონალური მოძრაობის" პარტიულ სიაში გოგა ღურწკაია მარტო არ არის. იმავე პროპორციული სიის 91–ე ნომერია ისაკო ცქიფურიშვილი. ეს ის პიროვნებაა, ვინც 2007 წლის ნოემბრის თვეში ლაგოდეხში მოქმედი დამოუკიდებელი რადიოსადგურის დარბევით იმუქრებოდა. არსებობს მუქარის დამადასტურებელი აუდიოჩანაწერიც.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წელს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია: **,,პოლიტიკური ოპოზიციის გარკვეული წარმომადგენლები დაექვემდებარენ პოლიტიკურ ძალადობას. იყო ანგარიშები იმაზე, რომ პოლიტიკურად აქტიურმა პირებმა, რომლებიც მმართველ პარტიას არ ეკუთვნოდნენ, განიცადეს პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო დევნასთან და კორუფციაში ბრალდებასთან.[2]"**

საანგარიშო პერიოდში საფრანგეთის სახელმწიფომ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ირაკლი ოქრუაშვილს. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით შეიძლება თამამად ითქვას, რომ 2007 წლის სექტემბერ–ოქტომბრის თვეში თავდაცვის მინისტრი იმყოფებოდა პოლიტიკურ პატიმრობაში. ყოფილი თავდაცვის მინისტრის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა მოტივირებული იყო ,,ტელეიმედის" ეთერში გაკეთებული განცხადებებით. ამის შემდეგ ხელისუფლების ორგანოებთან

---

[1] http://cec.gov.ge/uploads/attachments_old/332_4557_208845_part_sia.pdf

[2] ამონარიდი აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის ოფიციალური თარგმანიდან. იხილეთ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური ვებ–გვერდზე. მისამართი http://georgian.georgia.usembassy.gov/downloads/HRR_geo.doc გვ. 64

პრობლემები არა მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილს, არამედ მის ნათესავებსა და მეგობრებსაც შეექმნათ. პოლიტიკური პარტიის შექმნის ფაქტის საჯარო გახმოვანების შემდეგ, ფინანსურმა პოლიციამ დაიწყო ირაკლი ოქრუაშვილის ახლო მეგობრის ქიბარ ხალვაშის კუთვნილი საწარმოების შემოწმება. გადაისინჯა მასთან სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე წარმოებული ხელშეკრულებები. კორუფციის დანაშაულის ჩადენის ბრალდებით ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად დააკავეს, შიდა ქართლის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, მიხეილ ქარელი, გორის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე და სხვები. სამსახურიდან მოულოდნელად დაითხოვეს ირაკლი ოქრუაშვილის დედა, ჟანა გიგუაშვილი. სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევარის საპარლამენტო მოხსენებაში ასევე აღნიშნული იყო ყოფილი თავდაცვის მინისტრის თანაპარტიელის, თეო ტლაშაძის დის, თამარ ტლაშაძისა და ირაკლი ოქრუაშვილის ნათესავის, ნანა მღებრიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში ოპოზიციური შეხედულებების მქონე პირების მიმართ პოლიტიკური დევნა გამოიხატებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პედაგოგების პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლებაში ან სამსახურიდან დათხოვნის მუქარაში, პოლიტიკური ოპოზიციის აქტივისტებზე თავდასხმასა და ფიზიკურ ანგარიშსწორებაში, თვალთვალში. ადამიანის პოლიტიკურ არჩევანზე ფსიქიკური ზემოქმედების არაორდინალურ საშუალებას წარმოადგენს მისი იძულება, დაიფიცოს ხატზე, ხოლო · მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასეთ მოხელეს სამსახურს დაატოვებინებენ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის აქტივისტების მიმართ ჩადენილი ყველა ზემოხსენებული ქმედება დაკავშირებული იყო 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებთან.

პოლიტიკური პატიმრები

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2003 წლის 10 იანვარს მიიღო #9252 დოკუმენტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს აზერბაიჯანის წარმომადგენელის რაფაელ ჰუსეინოვის ხელმძღვანელობით საპარლამენტო ასამბლეის წევრთა ნაწილის რეკომენდაციას საპარლამენტო ასამბლეისათვის ,,პოლიტიკური პატიმრის" კონცეფციის საყოველთაოდ მისაღები კრიტერიუმების განსაზღვრის თაობაზე. რეკომენდაციაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ პოლიტიკური პატიმრობა არ წარმოადგენს იშვიათ მოვლენას თანამედროვე მსოფლიოში. ამიტომაც აუცილებელია დოქტრინალური და პრაქტიკაზე ორიენტირებული კონცეფციის ჩამოყალიბება, რათა მოხდეს პოლიტიკური პატიმრების გამიჯვნა სხვა მსჯავრდებულებისაგან. განსაზღვრების ჩამოყალიბების აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ აღნიშნული ტერმინის გამოყენებით არ მოხდეს ყოფილი პოლიტიკოსის მიერ ჩადენილი სერიოზული დანაშაულის გადაფარვა. სანამ *პოლიტიკოსი პატიმარისა* და *პოლიტიკური პატიმრის* ცნებებს შორის მკვეთრი ზღვარი არ იქნება დაწესებული, უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ

დასახელებული „პოლიტიკური პატიმრების“ რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ამ ცნების სუბიექტური და პოლიტიკური მოტივების საფუძველზე.

ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“ მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ ასპექტსაც. საპარლამენტო ასამბლეამ აუცილებლად ჩათვალა „პოლიტიკური პატიმრის“ ცნების საყოველთაოდ მისაღები და სამართლებრივად სავალდებულო კრიტერიუმის ჩამოყალიბება. ასეთი აუცილებლობა წარმოიშობა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ევროპის საბჭოში იქმნება დოკუმენტი, მაგალითად, შემდეგი სახელწოდებით: „პოლიტიკური პატიმრები ევროპაში,“ „პოლიტიკური პატიმრები უკრაინაში.[3]“

პოლიტიკური პატიმრობის კონკრეტული კრიტერიუმები გვხვდება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის #1359 რეზოლუციაში აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების თაობაზე. ეს კრიტერიუმებია[4]:

დაპატიმრებამდე ადამიანი უნდა იყოს პოლიტიკურად აქტიური და მისი დაპატიმრებით ხელისუფლებამ უნდა მიიღოს პოლიტიკური სარგებელი. ადამიანები, რომლებიც შეგნებულად ან შეუგნებლად შეურაცხყოფენ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს; ადამიანები, რომელთა დაპატიმრებას საფუძვლად დაედო არაადეკვატური და საკამათო მტკიცებულება და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მოწმის ჩვენება, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა პატიმრობის გამოყენება, ყალბია. დაპატიმრებული ნათესაური და მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფება პირთან, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ახორციელებდა.

ზემოხსენებული კრიტერიუმები ყველაზე მეტად შეესაბამება თავდაცვის ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს. ამ უკანასკნელმა დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები ამხილა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში. მისი განცხადებები შეიძლება შეფასდეს, როგორც პოლიტიკურად აქტიური და, იმავე დროს, განცხადებაში ნახსენები მაღალი თანამდებობის პირებისათვის, მათ შორის თვით საქართველოს პრეზიდენტისათვის, მიხეილ სააკაშვილისათვის, შეურაცხმყოფელი. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მწვავე პოლიტიკურ განცხადებებს დაემთხვა ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრება. მისი დაპატიმრებით ხელისუფლებამ მიიღო ის სარგებელი, რომ პოლიტიკურ არენას ჩამოაცილა ყველაზე მწვავე ოპონენტი და სამოხელეო დანაშაულის ჩადენაში ბრალის წაყენებით მოახდინა მისი დისკრედიტაცია. დღეისათვის უფრო თამამად შეიძლება, რომ ირაკლი ოქრუაშვილისათვის თავისუფლების აღკვეთის პერიოდი შეფასდეს, როგორც პოლიტიკური პატიმრობა. საფრანგეთის ხელისუფლებამ ირაკლი ოქრუაშვილს მისცა პოლიტიკური თავშესაფარი, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას უარი უთხრა მის ექსტრადიციაზე. დღეისათვის საფრანგეთისაგან

---

[3] http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/workingdocs/doc03/edoc9652.htm

[4] აღნიშნული რეზოლუცია ეხებოდა აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ პატიმრობაში მყოფ სამ პირს, ისკანდერ გამიდოვს, ალიკრამ გუმათოვს და რაქიმ გაზიევს. რეზოლუცია იხეილეთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვებ–გვერდზე:
http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta04/eres1359.htm

პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს მეორე თანამდებობის პირი, შიდა ქართლის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი მიხეილ ქარელი.

სახალხო დამცველს არაერთხელ დაუყენებია თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის, შიდა ქართლის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორის მიხეილ ქარელის და ასევე მარლენ ნადირაძის პასუხისმგებლობის საკითხი. სახალხო დამცველი ზემოხსენებული პირების მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევისა და მედიაზე ზეწოლის შესახებ მიუთითებდა. ხელისუფლების წარმომადგენლები იმდროისათვის ირაკლი ოქრუაშვილსა და მიხეილ ქარელს სანიმუშო თანამდებობის პირებად თვლიდნენ. ირაკლი ოქრუაშვილისა და მიხეილ ქარელის მიმართ სამოხელეო დანაშაულის თავით სისხლისამართლებრივი დევნა მას შემდეგ დაიწყო, რაც ახალი ოპოზიციური პოლიტიკური მოძრაობის შექმნის შესახებ საჯაროდ გაცხადდა და „ტელეიმედის" ეთერში ირაკლი ოქრუაშვილმა მწვავე პოლიტიკური განცხადებები გააკეთა. ჩადენიალია თუ არა დანაშაული ამ პირების მიერ, ეს ერთი საკითხია. ამ შემთხვევაში პრობლემა სწორედ ისაა, რომ კონკრეტული პირების სისხლისამართლებრივი დევნა იწყება მაშინ, როცა ისინი პოლიტიკურ ოპოზიციაში გადადიან. ამის უამრავი ფაქტი არსებობს მათ შორის წინამდებარე მოხსენებაში და ეს ნათლად მიუთითებს, რომ ქვეყანაში გრძელდება ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების დევნა, ხოლო სამართალდამცავი სტრუქტურები – შსს, პროკურატურა, შემოსავლების სამსახური, სამხედრო პოლიცია და სხვები პოლიტიკური დევნის იარაღს წარმოადგენენ.

ხელისუფლების მიერ მიღებულ პოლიტიკურ სარგებელზე შეიძლება ვისაუბროთ მერაბ რატიშვილისა და იოსებ ჯანდიერის საქმეთან დაკავშირებითაც. მერაბ რატიშვილისაგან, გათავისუფლების სანაცვლოდ, ითხოვდნენ ინფორმაციას პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებზე. ხოლო 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის აქტიური მონაწილე იოსებ ჯანდიერი საკმაოდ დაახლოებული იყო ხელისუფლების მაღალ თანამდებობის პირებთან. მიუხედავად ამისა, სიტყვით გამოვიდა 2007 წლის 7 ნოემბრის მიტინგზე, რაც ღალატად იქნა აღქმული და ამის გამო განხორციელდა იოსებ ჯანდიერზე ანგარიშსწორება (იხილეთ დანართი). პოლიტიკური პატიმრობის დამახასიათებელ მტკიცებულებას წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის წინააღმდეგ იმ დოკუმენტური მასალის გამოყენება, რომელსაც ხელს არ აწერს აღნიშნული მოხელე და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების დაფუძნება ისეთ გარემოებაზე, რომელიც არ არის შექმნილი პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ (იხილეთ დიმიტრი გოდაბრელიძის საქმე).

იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც თავს მიიჩნევენ პოლიტიკურ პატიმრებად, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არიან მიცემული ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით. მსოფლიო პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობა კრძალავს იმ პოლიტიკურ საქმიანობას, რა მოტივითაც მოხდა პირის დაპატიმრება. ამ კუთხით გამონაკლისი იყო საბჭოთა კავშირი. აღნიშნულ სახელმწიფოში დანაშაულად იყო გამოცხადებული ისეთი ქმედებები, როგორიცაა, მაგალითად, ანტისაბჭოთა აგიტაცია–პროპაგანდა. ადამიანი, რომელიც აღნიშნული დანაშაულისათვის იყო მსჯავრდებული, ავტომატურად მიჩნეულია პოლიტიკურ პატიმრად. თანამედროვე ეპოქაში

პოლიტიკური პატიმრების იდენტიფიცირება არც ისე მარტივია, როგორც ეს საბჭოთა კავშირში იყო შესაძლებელი. დღეისათვის ფსევდოდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები საკანონმდებლო დონეზე ახდენენ პლურალიზმის დეკლარირებას. მიუხედავად ამისა, ასეთ სახელმწიფოებში სამართალგამოყენებითი პრაქტიკა რადიკალურად განსხვავდება დეკლარირებული პრინციპებისაგან. ავტორიტარული რეჟიმები საკანონმდებლო დონეზე ვერ მოახდენენ მშვიდობიანი პოლიტიკური აქტივობის კრიმინალიზაციას. ისინი უბრალოდ პატიმრობის პოლიტიკურ მოტივს ნიღბავენ სხვადასხვა ზოგადი დანაშაულებრივი ქმედების ინკრიმინაციით. პოლიტპატიმრების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა ხდება პოლიტიკის მიმართ ზოგადი და ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე საკანონმდებლო დისპოზიციების საფუძველზე.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ აზერბაიჯანში პოლიტიკურ პატიმრებად აღიარებული არიან პირები, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ ისეთი დანაშაულების ჩადენისათვის, როგორებიცაა ტერორიზმი, ხულიგნობა და ა.შ. როგორც აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებიან, პოლიტპატიმრად მიჩნეული პირების მიმართ განაჩენები დადგა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნორმების სრული დაცვით. ამასთან დაკავშირებით არანაირი საწინააღმდეგო მოსაზრებები არ გააჩნიათ იმ უფლებადამცველ ორგანიზაციებს, რომლებმაც აღნიშნული მსჯავრდებულები პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნიეს. უბრალოდ, კანონმდებლობის ზუსტი და განუხრელი დაცვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მართლმსაჯულება პოლიტიკური ანგარიშსწორების საშუალებად არ იქნება გამოყენებული.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა ღიად დაასახელა ის პუნქტები, რომლებზეც პოლიტიკურ ძალებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. პრეზიდენტი აცხადებდა: ,,მაგალითად დეპოლიტიზაცია სახელმწიფო სტრუქტურების, რაც შეეხება გამჭვირვალობას, მაგალითად სამართალდამცავი სისტემის მართვის, რაც შეეხება ბიზნესის დამოუკიდებლობას.“[5]

2008 წლის 14 იანვარს საქართველოს საქართველოს სახალხო დამცველმა ღია წერილით მიმართა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. წერილში აღნიშნულია: ,,ერთხელ და სამუდამოდ, აუცილებელია ძალოვანი სტრუქტურების რეალური და სრული დეპოლიტიზაცია.“

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოპოზიციის მიერ დასახელებული ზოგიერთი პირისათვის პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭება რთულდება. მხოლოდ ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირი ცალკეული პოლიტიკური პარტიის წევრია და ახორციელებდა პოლიტიკურ აქტივობას, არ წარმოადგენს საკმარის პირობას პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭებისათვის. აუცილებელია უტყარი მტკიცებულებებითა და დამაჯერებელი არგუმენტებით დადგინდეს ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკური მოტივით ხორციელდება.

---

[5] ,,კურიერი 9 საათზე“ 2008 წლის 15 იანვარი.

ჯერ კიდევ ,,ვარდების რევოლუციამდე“ პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსის 236–ე (იარაღის უკანონო შეძენა ან შენახვა) და 260–ე (ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა ან შენახვა) მუხლები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აძლევდნენ თვითნებობის ფართო არეალს. ძალიან ადვილია, ზემოხსენებული მუხლების საფუძველზე ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას მტკიცებულებათა ფაბრიკაცია. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის ბრალის წასაყენებლად არ არის დადგენილი მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტი. მაგალითად, ამ დროს არ დგინდება ბრალდებულის კავშირი ნარკოტიკულ ნივთიერებასთან და იარაღთან. ბრალის დასადასტურებლად არ არის აუცილებელი იმ გარემოებების დადგენა, თუ სად, როდის, ვისგან იყიდა ნარკოტიკული ნივთიერება ან იარაღი, არის თუ არა დაფიქსირებული ასეთ საგანზე თითის ანაბეჭდები და ა.შ.

სამი ყოფილი სამართალდამცავის, რევაზ კლდიაშვილის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე), დავით ტატიშვილის (ქალაქ თბილისის ისანი–სამგორის შს რაიონული სამმართველოს უფროსი) და მიხეილ გიორგაძის (ქალაქ თბილისის მთაწმინდა–კრწანისის შს რაიონული სამმართველოს უფროსი) საქმეები ამგვარი ფაბრიკაციის ნათელი ნიმუშია. მას შემდეგ, რაც ყოფილი სამართალდამცავები ხდებიან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრები, მონაწილეობენ მასშტაბურ საპროტესტო აქციებში, თავის ყოფილ კოლეგებს საჯაროდ მოუწოდებენ, არ გამოიყენონ ძალა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ (როგორც ეს გააკეთა მიხეილ გიორგაძემ 2007 წლის 7 ნოემბერს), ამგვარ მოვლენებს მოსდევს მათგან ჩხრეკის შედეგად იარაღის, საბრძოლო მასალისა და ნარკოტიკული საშუალების ამოღება. რამდენად უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, წარსულში სწორედ ზემოხსენებულ ყოფილ სამართალდამცავებს ადანაშაულებდნენ იმ არაკანონიერი ქმედებების ჩადენაში, რომელთა მსხვერპლი დღეს ისინი თავად გახდნენ. სწორედ მათ მიერ ხდებოდა იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით ხელისუფლების ოპონენტებისათვის მტკიცებულებათა ფაბრიკაცია (2004 წელს რევაზ კლდიაშვილის მიერ ,,ხალხის გაზეთის“ რედაქტორის რევაზ ოქრუაშვილის დაკავება) და მათი პოლიტიკური დევნა (2003 წელს მიხეილ გიორგაძის მიერ მოძრაობა ,,კმარას“ აქტივისტების ადმინისტრაციული წესით დაკავება და საპროტესტო აქციის ერთ–ერთი მონაწილისათვის, ლაშა ჩხარტიშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება). პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულმა ყოფილმა სამართალდამცავებმა ყველაზე უკეთ იციან მტკიცებულებათა ფაბრიკაციისა და პოლიტიკური დევნის მექანიზმები. წარსულში ისინი თავად სჩადიოდნენ ამგვარ ქმედებებს. ამჯერად, მათ მიერ წარსულში აპრობირებული მეთოდების გამოყენებით პოლიტიკური დევნის მსხვერპლნი თავად გახდნენ.

კონტექსტის გათვალისწინებით ყველაზე ტიპიურ პოლიტიკურ დანაშაულს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 353–ე მუხლი. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ისჯება ,,პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარა უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით“

2008 წლის 13 თებერვალს ,,ერთიანი ეროვნული საბჭოს“ მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური პატიმრების სიაში ვხვდებით სულ ხუთ პიროვნებას (ზაალ ქოჩლაძე, ლევან ბარაბაძე, ლევან მინაშვილი, ილია წურწუმია, როსტომ ონიანი) რომლებიც დააკავეს სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 353–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენისათვის. ყველა მათგანი მონაწილეობას იღებდა საპროტესტო აქციაში. ნოემბრის თვეებში აღნიშნული პირები მოხვდნენ პოლიციის ყურადღების ცენტრში. მათ მიმართ განხორციელდა სხვადასხვა სახის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების განმარტებით, დაკავებულების მხრიდან ,,წინააღმდეგობის გაწევით“ დასრულდა.

2008 წლის 26 თებერვალს ზემოხსენებული ხუთი პიროვნებიდან ოთხს შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება. წინასწარი პატიმრობის ნაცვლად მათ შეეფარდათ გირაო 2000 ლარის ოდენობით. რაც შეეხება ილია წურწუმიას, ,,თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრს, რომელიც 2007 წლის 29 ოქტომბერს საპროტესტო აქციას მართავდა ხობის პოლიციის შენობასთან, დააკავეს 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, 2007 წლის 13 ნოემბერს. პირველი ინსტანციის სასამართლომ ილია წურწუმია დამნაშავედ სცნო პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით.

წინააღმდეგობის გაწევისათვის პასუხიმგებლობაში მიცემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს პოლიციელისათვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულების მხრიდან სამართალდამცავებზე მსგავსი ხასიათის ზემოქმედებები მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების ჩვენებებით დასტურდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის სახით სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების შესაბამისად, პოლიციელებისათვის სავარაუდო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, უამრავი ადამიანის თანდასწრებით ხდებოდა, ბრალდება მოკლებული იყო შესაძლებლობას, პოლიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევის დასაბუთება მოახდინა სხვა პირების და არა მხოლოდ დაზარალებული პოლიციელების ჩვენებებით. უფრო მეტიც, ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ დაკავებას ან პოლიციის მიერ ჩატარებულ საპროცესო ღონისძიებებს, სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა–განმარტებებში კატეგორიულად უარყოფენ დაკავებულების მიერ პოლიციისათვის ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს (იხილეთ ზაალ ქოჩლაძისა და როსტომ ონიანის საქმე).

ადამიანისათვის სხვა პირის ან პოლიციელის შეურაცხყოფის მიყენების ინკრიმინირება, პოლიტიკური დევნის აპრობირებულ ხერხს წარმოადგენს. მაგალითად, 2005 წლის 29 აგვისტოს მქალაქ მინსკის მოსკოვსკის რაიონულმა სასამართლომ მოძრაობა ,,კმარას“ ორ აქტივისტს, ლუკა წულაძესა და დღევანდელი პარლამენტის წევრს, გიორგი კანდელაკს წვრილმანი ხულიგნობისათვის შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა თხუთმეტი დღით. სასამართლოს დადგენილების თანახმად, სამართალდარღვევის ჩადენა გიორგი კანდელაკისა და ლუკა წულაძის მხრიდან თანამოსაკნისათვის შეურაცხყოფის მინიჭებაში გამოიხატებოდა. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია 'Amnesty International' თავიდანვე

დარწმუნებული იყო, რომ გიორგი კანდელაკისა და ლუკა წულაძის დაპატიმრება პოლიტიკური მოტივით მოხდა. ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღნიშნული დაპატიმრების კომენტირებისას მიუთითა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (კგბ) ხელმძღვანელის მიერ ბელარუსის ტელევიზიით გაკეთებულ განცხადებაზე, სადაც აღნიშნული იყო ქართველების კავშირზე ისეთ რადიკალურ პოლიტიკურ არარეგისტრირებულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „ზუბრი", „ახალგაზრდული ფრონტი" და „ლიმონი." Amnesty International–ის განმარტებით, მტკიცებულება, რომლითაც გიორგი კანდელაკისა და ლუკა წულაძის დაპატიმრება მოხდა, იყო ყალბი.

პოლიტიკური ოპონენტების სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის დროს, საქართველოს ხელისუფლებაც, ბელარუსის მსგავსად, ფალსიფიცირებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიუთითებს პოლიტიკური პატიმრის მხრიდან პოლიციელის ან სხვა მოქალაქის შეურაცხყოფაზე. აღნიშნული ბრალდების მეშვეობით პოლიტიკური ოპონენტების დევნა კი არ წარმოადგენს სიახლეს და იგი ყველა ავტორიტარული რეჟიმის მიერ კარგად აპრობირებული საშუალებაა.

სახალხო დამცველის 2004 წლის მეორე ნახევრისა და 2006 წლის პირველი ნახევრის მოხსენებებში მითითებულია სისხლისამართლებრივ დევნაზე გზის გადაკეტვის გზით საკუთარი შეხედულებების გამოხატვისათვის. ამგავარი ღონისძიებების გამოიყენეს წყალტუბოში და ქვემო ქართლის ერთ–ერთ სოფელში, დამია–გეურარხში. იმ დროისათვის გზის გადაკეტვისათვის სისხლისამართლებრივი დევნა სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდი იყო.

თავდასხმა პოლიტიკურ ოპონენტებზე და მათი ფიზიკური შეურაცხყოფა

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, ისევე, როგორც არჩევნების შემდეგ, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის მზადების პერიოდში, ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული პოლიტიკურ ოპონენტებზე ფიზიკური ანგარიშსწორება. ძირითადად, პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლები ხდებოდნენ ჯგუფური თავდასხმის მსხვერპლი. საანგარიშო პერიოდში გვხდება რესპუბლიკური პარტიის წევრის მხრიდან მმართველი პარტიის, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტზე, გვანცა ხოსიტაშვილზე თავდასხმის ერთი შემთხვევაც. სხვა დროს ფიზიკური ანგარიშწორების მსხვერპლი პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლები არიან. თავდამსხმელების იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განხორციელებული ძალადობის დროს. ისინი ცალსახად ან ხელისუფლების წარმომადგენლები ან კონკურენტი პარტიის მხარდამჭერები იყვნენ (დანართში იხილეთ გვანცა ხოსიტაშვილის საქმე). გაცილებით რთული ხდება იმ პირების იდენტიფიცირება, ვინც არჩევნების შემდეგ ესხმოდნენ თავს და სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდნენ პოლიტიკური ოპოზიციის აქტივისტებს.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ფიზიკური ანგარიშსწორების ობიექტი მინიმუმ ცამეტი ადამიანი (რამინ აბულაძე, დავით საზანიშვილი, ამირან იობაშვილი, ნუგზარ ხუცურაული, გიორგი თავდგირიძე, გიორგი შერვაშიძე, ბორის ძანაშვილი, ლევან ჯღარკავა, ლევან გვარჯალაძე, დავით მეტრეველი, იოსებ ბორცვაძე, ზურაბ გიგუაშვილი და ნონა საღარეიშვილი) გახდა. თავდამსხმელებს, უმეტეს შეთხვევაში, ეკეთათ ნიღბები. თუკი თვალს გადავავლებთ ყველა ინციდენტს, ნათელი გახდება ის გარემოება, რომ ყოველი თავდასხმა არის კარგად ორგანიზებული. ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე მსხვერპლის მიმართ ხდება ფსიქოლოგიური ზემოქმედება. იგი წარმოადგენს მუდმივი თვალთვალისა და მუქარის ობიექტს (იხილეთ ნონა საღარეიშვილისა და რამინ აბულაძის საქმეები). თავდასხმა ხორციელდება წინასწარ კარგად შერჩეულ დროს (ღამის საათები იოსებ ბორცვაძის შემთხვევაში) და ადგილას (ძირითადად ეს არის მსხვერპლის სახლის სადარბაზო). ძალადობის უშუალო აქტს ზოგჯერ წინ უსწრებს მსხვერპლის გატაცება, თავზე პარკის ჩამოცმა, ან წებოვანი ლენტით შებორკვა და ავტომაქამაში ძალით ჩასმა (დავით საზანიშვილის, ზურაბ გიგუაშვილის, მამუკა კვარაცხელიას საქმეები). თავდამსხმელები ზოგჯერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სიმულაციით ცდილობდნენ, რათა დაეფარათ თავდასხმის პოლიტიკური მოტივი, მაგალითად, მამუკა კვარაცხელიასა და ზურაბ გიგუაშვილზე განხორციელებული ძალადობისას თავდამსხმელებმა წაიღეს დაზარალებულების პირადი ნივთები).

აღნიშნული თავდასხმების დიდი ნაწილი გამოირჩევა განსაკუთრებული სისტიკით. თავდამსხმელები ფიზიკურ ძალასთან ერთად იყენებენ რეზინის ხელკეტს (მაგალითად რამინ აბულაძის, ამირან იობაშვილის, ლევან ჯღარკავას, გიორგი შერვაშიძის, ნუგზარ ხუცურაულის საქმეები), ბეისბოლის ჯოხს (იოსებ ბორცვაძის საქმე), რკინის ნაჭერს (გიორგი თავდგირიძის საქმე). ცამეტი დაზარალებულიდან ერთი ქალბატონი, პოლიტიკური გაერთიანება ,,ეროვნული ფორუმის“ წევრი ნონა საღარეიშვილია. თავდამსხმელები ყველაზე მეტი სისატიკით სწორედ მის მიმართ გამოირჩეოდნენ. ნონა საღარეიშვილს საკუთარ სადარბაზოსთან თოკით ახრჩობდნენ.

დასახელებული ცამეტი თავდასხმიდან ზოგიერთ შემთხვევაში თავდასხმის პოლიტიკური მოტივი ნათლად თავად თავდამსხმელთა სიტყვებიდან იკვეთება. ნონა საღარიშვილს მოძალადეები როგორც თავდასხმამდე, ასევე ფიზიკური ანგარიშსწორების მომენტში პირდაპირ უცხადებდნენ, რომ მას თავი უნდა დაენებებინა პოლიტიკური აქტივობისათვის. ნონა საღარეიშვილს ტელეფონში შენახული აქვს მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სადაც **ფსიქოლოგიური დამუშავების** მეთოდის გამოყენებით, უწმაწური სიტყვებით მიმართავენ და პოლიტიკური ოპოზიციის დატოვებას სთხოვენ. დაზარალებულთან ურთიერთობისას მოძალადები ზოგჯერ არც მალავენ, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები არიან. მაგალითად, 2008 წლის 22 მაისს მობილური ტელეფონის ნომრიდან **877774776**– დან ნონა საღარიშვილთან დარეკა უცნობმა პიროვნებამ და მას გაეცნო, როგორც ლაშა ხერხელაური – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელი. ამ უკანასკნელმა ნონა საღარეიშვილს განუცხადა, რომ გასულიყო პოლიტიკური პარტიის რიგებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ნათესავს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დააბრუნებდნენ. ნონა საღარეიშვილმა სააპელაციო სასამართლოში

2008 წლის 21 მაისის არჩევნებთან დაკავშირებით მოწმედ დაკითხვის დროს მიიღო შეტყობინება ტელეფონის ნომრიდან 860470000. უცნობი მას ფიზიკური ანგარიშწორებით ემუქრებოდა. აღსანიშნავია, რომ იმავე ნომრიდან 2008 წლის 26 მაისს მუქარის შემცველ შეტყობინებას იღებდა რადიო „მწვანე ტალღის“ კორესპონდენტი სოსო ხოფერია. ეს უკანასკნელი რადიო „იმედის“ კორესპონდენტთან ნანა ფაჟავასათან და პარტია „თავისუფლების“ აქტივისტებთან ერთად, ზუგდიდიდან თბილისში მოდიოდა ოპოზიციის საპროტესტო აქციაზე დასწრების მიზნით. ნიშანდობლივია, რომ ტელეფონის ნომრის მფლობელის ვინაობა გამოძიებას დღემდე არ დაუდგენია.

ნონა საღარეიშვილის მსგავსად, პოლიტიკური მოტივი ნათლად ჩანს რამინ აბულაძეზე და ზურაბ გიგუაშვილზე ფიზიკურ ზემოქმედებაში. რამინ აბულაძეს, რომლის საჩივრის საფუძველზე გაუქმდა გორის #32–ე საარჩევნო ოლქის სოფელ კარალეთის #48–ე საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები, მუდმივად უთვალთვალებდნენ და ემუქრებოდნენ. კერძოდ, მას ეკითხებოდნენ, თუ რა დრომდე ეყოფოდა „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ „კარდაკარის“ პროგრამის ფარგლებში მიცემული ანაზღაურება. ზურაბ გიგუაშვილს ცემის დროს ეკითხებოდნენ, თუ რატომ უღალატა მან ვანოს.

ნათელია, რომ ყველა ზემოხსენებული თავდსხმის მიზანი იყო არა მხოლოდ დაზარალებულის, არამედ მთელი საზოგადოების დაშინება.

ფიზიკური ანგარიშსწორების სხვა შემთხვევებში თავდამსხმელები მსხვერპლთან ვერბალურ კონტაქტს არ ამყარებდნენ. ერთი შეხედვით, ეს გარემოება შეუძლებელს ხდის ძალადობის მოტივის დადგენას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ყველა ზემოთ დასახელებული ქმედება დროის თვალსაზრისით ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, თავდასხმის მეთოდიც ყველა შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსი იყო და მსხვერპლი ყველა შემთხვევაში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის აქტივისტი იყო.

საინტერესოა, ასევე, თავდასხმის ობიექტის შერჩევის კრიტერიუმები. მსხვერპლი არ უნდა იყოს ოპოზიციური პარტიის გამორჩეული ლიდერი, რათა შედეგად არ მოჰყვეს საერთაშორისო სკანდალი და საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის იმიჯის შელახვა. სამაგიეროდ, არსებობს გრანდიოზული ოპოზიციური საპროტესტო აქციის მოწყობის საშიშროება, რომელიც მიმართული იქნება 2008 წლის 21 მაისს არჩეული პარლამენტის პირველი სხდომისათვის ხელის შესაშლელად. ეს საფრთხე დროულად უნდა აღმოიფხრას. ამისათვის აუცილებელია ოპოზიციური პარტიის რიგითი, მაგრამ აქტიური წევრების ნეიტრალიზება. ამას ნაკლები ხმაური და მეტი ეფექტური შედეგი ექნება. ყურადღება გამახვილებულია ისეთ აქტივისტებზე, რომლებიც წარსულში ახდენდნენ საპროტესტო აქციებზე ხალხის მასის ორგანიზებას. 13 დაზარალებულიდან უმრავლესობა სწორედ ასეთი აქტივისტია. ამ მხრივ, გამონაკლისია გიორგი თავდგირიძე და გიორგი შერვაშიძე, საქართველოს შეირაღებული ძალების წარმომადგენლები, რომელთა ოპოზიციურ პარტიაში გაწევრიანების ფაქტი, შესაძლოა შურისძიების საბაბი ყოფილიყო. იგივე შეიძლება ითქვას ზურაბ გიგუაშვილზეც, რომელიც თავდამსხმელების ინტერესის სფეროში, თუნდაც იმიტომ შეიძლებოდა ყოფილიყო მოქცეული, რომ ყოფილი თავდაცვის

მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ბიძაა და წარსულში შინაგან საქმეთა ორგანოებში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა.

სახალხო დამცველის მიერ დასახელებული პოლიტიკური დევნის ყველა ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება. სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებები, უმეტეს შემთხვევაში წინასწარი გამოძიების მიერ დაკვალიფიცირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება). გარდა მამუკა კვარაცხელიაზე განხორციელებული თავდასხმისა, რომელიც თავდაპირველად ძარცვად დაკვალიფიცირდა. მოგვიანებით კვალიფიკაცია შეიცვალა და ამჟამად წინასწარი გამოძიება გრძელდება დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის 143–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით. გამოძიება ამ დრომდე თავს არიდებს გაერთიანებული ოპოზიციის აქტივიტების მიმართ განხორციელებული თავდასხმის კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 156–ე მუხლის მე–2 პუნქტით. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას ადამიანის დევნისათვის სიტყვის, აზრის, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსის 142–ე მუხლის მე–2 პუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის პოლიტიკური შეხედულებებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების გამო, თუკი ამგვარმა თანასწორუფლებიანობის დარღვევამ მძიმე შედეგი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლი, სანქციის თვალსაზრისით, არის ბევრად მკაცრი, ვიდრე სსკ–ის 156–ე და 142–ე მუხლები, მაგრამ პოლიტიკური აქტივისტთა მიმართ განხორციელებულ თვალთავლს, მუქარას და მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ შეეწყვიტათ პოლიტიკური აქტივობა – საქმიანობა რომლის უფლებასაც ქვეყნის კონსტიტუცია იძლევა – უნდა მიეცეს ცალკე სამართლებრივი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 142–ე (ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და 156–ე (დევნა) მუხლებით.

საბოლოო შედეგი მხოლოდ ორ საქმეთან დაკავშირებით არსებობს. ორივე შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოებმა დაადგინეს ოპოზიციური პარტიის იმ აქტივისტების ბრალეულობა, რომლებიც თავად ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმის მსხვერპლი გახდნენ. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფროსის #გ22.08.2008/7 წერილიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე სხირტლაძე კი არ დაესხა თავს ,,გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტს ლევან გვარჯალაძეს, არამედ ყველაფერი მოხდა პირიქით. თავად ლევან გვარჯალაძე დაესხა თავს ალექსანდრე სხირტლაძეს და მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. ამასთან დაკავშირებით, 2008 წლის 28 მაისს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #007082112 საქმეზე. 2008 წლის 6 ივნისს საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა სსკ–ის 239–ე მუხლის პირველი ნაწილით (ხულიგნობა). დაიკითხა დაზარალებულად ალექსანდრე სხირტლაძე და მოწმეები. ჩატარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზები. 2008 წლის 7 ივნისს ლევან გვარჯალაძე სცნეს ბრალდებულად.

იგივე გაგრძელება ჰპოვა სეიმურ თანავერდიევის საქმემ. ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ ,,გაერთიანებული ოპოზიციის“ მხარდაჭერისათვის დანით ჭრილობა მიაყენა თანასოფლელმა, ალლახ იაროვ შქურიმ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სოფელ ქვემო ყარაბულახის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ყურბან ქაზიმოვმა.

2008 წლის 16 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა არჩილ გიორგაძემ სახალხო დამცველს აცნობა, რომ სისხლის სამართლის #024080039 საქმეთან დაკავშირებით 2008 წლის 2 მაისს დაიწყო წინასწარი გამოძიება. ქმედების კვალიფიკაცია თავდაპირველად მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლით. საქმეზე ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, დაიკითხნენ მოწმეები, დაზარალებულის სახით დაიკითხა სეიმურ თანავერდიევი, ჩატარდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზები, ამოღება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სხვა. სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სეიმურ თანავერდიევს მიადგა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლითვე. ასევე შქური იაროვსაც მიადგა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოშლის გარეშე. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, სეიმურ როვშან ოღლი თანავერდიევმა დაზიანებები, რომელიც მთელმა საქართველომ ტელეეთერით იხილა, პროკურატურის პოზიციის შესაბამისად, მიიღო საკუთარი ბრალეული მოქმედების შედეგად, კერძოდ, გაუფრთხილებელი მოქმედებით. ამის გამო 2008 წლის 22 ივლისს გამოტანილი დადგენილების საფუძველზე, საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა.

სამსახურიდან დათხოვნა

პოლიტიკური დევნის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურიდან გათავისუფლება. პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანები ან მათი ნათესავები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის რეალური საშიშროების წინაშე დგანან როგორც საჯარო სამსახურსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე დაწესებულებაში, ასევე კერძო სექტორშიც (ჟანა გიგუაშვილის საქმე). ხშირად შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა ხდება დაქირავებულის ინიციატივით, თუმცა ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ხდება მუქარის ძალით (იხილეთ არჩილ ჯორჯაძისა და ნელი ცქიტიშვილის საქმე).

ყველაზე დიდი წნეხის ქვეშ მაინც საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლები – პედაგოგები მოექცნენ. საქართველოში უცხო არ არის ის შემთხვევა, როდესაც საარჩევნო კომისიების შევსება სწორედ სკოლების ადამიანური რესურსის ხარჯზე ხდება. ეს გარემოება გახდა პედაგოგებზე ზეწოლის უმთავრესი მიზეზი. პოლიტიკური პარტიის მიერ არჩევნებში გამარჯვების უმთავრეს გარანტიას წარმოადგენს სწორედ სკოლის პერსონალის დაქვემდებარება და მათი პარტიული ინტერესების შესაბამისად გამოყენება. სამუშაოს დაკარგვის შიშით პედაგოგი იძულებულია, მონაწილეობა მიიღოს მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაში. გამოიყენოს თავისი მდგომარეობა და მოუწოდოს მოსწავლის მშობელს, ხმა მისცეს

მმართველ პარტიას. სკოლის შენობას, ადმინისტრაციულ რესურს, ერთი პარტიისა და მისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ. ოპოზიციურ პარტიებსა და მათი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს არა აქვთ შესაძლებლობა, ამომრჩევლებთან შეხვედრის ჩასატარებლად ისარგებლონ სკოლის შენობით. შემთხვევები, როდესაც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები ახერხებენ, ისარგებლონ ამგვარი შენობებით, სამსახურიდან გათავისუფლებით მთავრდება შეხვედრის ინიციატორი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლისათვის.

მაგალითად, 2008 წლის 15 მაისს ზუგდიდის #67–ე საარჩევნო ოლქში ,,რესპუბლიკური პარტიის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ნონა თოლორაიას განმარტებით, მისი შტაბის წევრი გოგიტა მორგოშია შეუთანხმდა განმუხურის საჯარო სკოლის დირექტორს მზია გერგედავას, ამომრჩევლებთან შესახვედრად ნონა თოლორაიასათვის დაეთმო სკოლის დარბაზი. ადგილზე მისულ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატსა და საარჩევნო შტაბის წევრებს სკოლის კარები ჩაკეტილი დახვდათ.

2008 წლის 7 მაისს თელავის სახელმწიფო უნივერისტეტის დარბაზში ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ფიქრია ჩიხრაძის შეხვედრის ორგანიზებისათვის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რექტორის აპარატის უფროსს ნელი ცქიტიშვილსა და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სპეციალობის კოორდინატორს არჩილ ჯორჯაძეს სამსახურის დატოვება მოსთხოვეს. ნელი ცქიტიშვილის განმარტებით, რამდენიმე დღით ადრე იმავე დარბაზით ისარგებლა ,,ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი არსენიშვილმა. არჩილ ჯორჯაძის განმარტებით, მას უთხრეს, რომ თუკი სამსახურს არ დატოვებდა, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფინანსური შემოწმების ობიექტი გახდებოდა და არჩილ ჯორჯაძის მეგობარს, უნივერისტეტის რექტორს, გია გოცირიძეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ემუქრებოდა. ნელი ცქიტიშვილმა და არჩილ ჯორჯაძემ გათავისუფლების თაობაზე განცხადება დაწერეს, სადაც სამსახურიდან წასვლის მიზეზად მათზე განხორციელებული პოლიტიკური ზეწოლა მიუთითეს. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა აღნიშნული განცხადებები მხოლოდ 2008 წლის 22 მაისს დააკმაყოფილა.

პედაგოგებს არა მარტო აქტიურად იყენებენ მმართველი პარტიის სამსახურში, არამედ მათ ხელს უშლიან, მხარი დაუჭირონ ან წარმოადგინონ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ინტერესები, მათი კვოტით დანიშნული იყვნენ საარჩევნო კომისიებში. ოპოზიციურად განწყობილ პედაგოგებს ერთმნიშვნელოვანი გზავნილი მისცა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა–გუბერნატორმა ლადო ვარძელაშვილმა. ამ უკანასკნელმა გორში გამომავალი გაზეთის ,,ქართლის ხმის" რედაქტორთან საბა წიწიკაშვილთან საუბარში (აღნიშნული საუბარი ჩაწერილია დიქტოფონით და შენახულია მისი აუდიოჩანაწერი) განაცხადა, რომ მას სკოლაში არ სჭირდება ისეთი პედაგოგი, რომელიც ვერ ხედავს ქვეყანაში მიმდინარე დადებით

პროცესებს და იმას, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში მათი სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.

იმავე პათოსით იყო განწყობილი მესტიის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი, ნინო ჯაფარიძე. ამ უკანასკნელმა დაიბარა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ მულახის სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილე ზაზა ლახუტაშვილი და ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ვიქტორ ჯაფარიძის მხარდაჭერის გამო უსაყვედურა. ნინო ჯაფარიძისათვის გაუგებარი დარჩა, თუ რატომ იყო ,,ნაციონალური მოძრაობით“ უკმაყოფილო ზაზა ლახუტაშვილი. აღნიშნული პარტიის მმართველობის პირობებში ხომ ზაზა ლახუტაშვილი სპორტულ სკოლაში, ხოლო მისი დედა საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე საქმიანობდნენ. გამგებელი ნინო ჯაფარიძე სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრა ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარსგურიშის საბავშო ბაღის გამგეს ირმა ჩხვიმიანს. გამგებელი იმ გარემოებამ გააღიზიანა, რომ ირმა ჩხვიმიანი ,,გაერთიანებული ოპოზიციის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან, ვიქტორ ჯაფარიძესთან გამართულ შეხვედრას დაესწრო.

არანაირ სამართლებრივ ლოგიკაში არ ეწერება ერთი სკოლის დირექტორის მიერ მეორე სკოლის დირექტორის იძულება, დატოვოს სამსახური. ამ დროს გადამწყვეტი არა დირექტორის სტატუსია, არამედ ის, რომ პიროვნებას, რომელიც თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა სკოლის დირექტორს, მინდობილი აქვს მმართველი პარტიის სასარგებლოდ ამომრჩეველთა ხმების მობილიზება, ასევე პარლამენტის თავმჯდომარის მამამთილი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მამაა. ასეთ შემთხვევაში მეზობელი დირექტორის თანადებობიდან გასათავისუფლებლებლად არანაირი ფორმალური კომპეტენცია არ არის საჭირო.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა განიხილა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი გეზრულის საჯარო სკოლის მასწავლებელთა განცხადება. პედაგოგები მიუთითებდნენ, რომ გეზრულის საჯარო სკოლის დირექტორს გოჩა შეყილაძეს სთხოვდნენ იმ მასწავლებლების სამსახურიდან გათავისუფლებას, რომლებიც გეზრულის საარჩევნო უბანში ოპოზიციური პარტიების მიერ იყვნენ დანიშნული. გოჩა შეყილაძემ უარი განაცხადა აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე და თავად გადადგა დირექტორის თანამდებობიდან. სოფელ გეზრულში ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულის ზვიად გელაშვილისა და სოფელ გეზრულიდან ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა შეყილაძის მოთხოვნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურსცენტრმა, სკოლის დირექტორად სოფელ გეზრულის მკვიდრი ნოდარ შეყილაძე დანიშნა.

ამ ფაქტს პროტესტით შეხვდნენ გეზრულის მასწავლებლები და მათ სასწავლო პროცესი ჩაშალეს. პედაგოგები ითხოვდნენ სკოლის დირექტორის თანამდებობაზე გოჩა შეყილაძის დაბრუნებას. პედაგოგების მოთხოვნას არ ეწინააღმდეგებოდა რესურსცენტრის უფროსი ნუგზარ მიროტაძე. მისი აზრით, კონკურსის ჩატარებამდე შესაძლებელი იყო, გოჩა შეყილაძეს შეესრულებინა დირექტორის მოვალეობა. გოჩა შეყილაძის დაბრუნებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ჭიათურის

მუნიციპალიტეტის სოფელ სვერის საჯარო სკოლის დირექტორი რევაზ ბიწაძე. ეს უკანასკნელი გეზრულის საჯარო სკოლის მისდამი რწმუნებულ სკოლასთან მიერთებასაც გეგმავდა. სწორედ რევაზ ბიწაძეა პარლამენტის იმდროინდელი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მამამთილი და, შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო დეპარტამენტის მაშინდელი უფროსის, ბადრი ბიწაძის მამაა. რევაზ ბიწაძე უკმაყოფილო იყო იმით, რომ მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე სოფელ გეზრულში ხმების მხოლოდ 65% მიიღო, მაშინ, როცა რევაზ ბიწაძე მიხეილ სააკაშვილისათვის 90%–ის მიღებას მოითხოვდა. სოფელ გეზრულში მიხეილ სააკაშვილის პროცენტული მაჩვენებლებით უკმაყოფილო რევაზ ბიწაძემ გეზრულის სკოლის ერთ–ერთი თანამშრომლის, პარტია ,,თავისუფლების“ მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, როლანდ ხოჯევანიშვილის სამსახურიდან გათავისუფლება მოითხოვა.

სახალხო დამცველმა რეკომენდაცია გაუგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გია ნოდიას პოლიტიკური დევნის აღკვეთასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველი უშუალოდ ჩავიდა სოფელ გეზრულში და უშუალოდ გაეცნო არსებულ სიტუაციაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩარევის შედეგად მოხერხდა გოჩა შეყილაძისათავის დირექტორის მოვალეობის შესრულების დაკისრება.

მეორე პრობლემა, რაც სამსახურიდან გათავისუფლებას უკავშირდება, მჭიდროდ გადაჯაჭვულია სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიზაციასთან. პოლიცია არის ჯაჭვის ის მნიშვნელოვანი რგოლი, რომელსაც არჩევნების დროს ყოველთვის ეყრდნობოდა ხელისუფლების სათავეში მყოფი ნებისმიერი მმართველი პარტია. ხელისუფლებაში მყოფ ძალას სამართალდამცავის სამსახურიდან გათავისუფლების მუქარით უზრუნველყოფილი აქვს არა მხოლოდ მისი მხარდაჭერა, არამედ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლის მეშვეობით დამატებითი ხმების მოზიდვა. სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა საარჩევნო პროცესში ჩართვის უზრუნველსაყოფად ხდება ყველანაირი საშუალების გამოყენება. პოლიციის ორგანოებში, ისევე, როგორც სამხედრო სამსახურში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სუბორდინაციულ ურთიერთობას. მმართველი პოლიტიკური ძალა თავის დასაყრდენს სწორედ პოლიციის უფროსების დონეზე პოულობს. ეს რგოლი წარმოადგენს ხელქვეითზე იძულების მექანიზმს, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს არჩევნებში მმართველი პოლიტიკური გუნდის გამარჯვებას.

სუბორდინანტის საარჩევნო ნების კონტროლის ფორმა ყველგან განსხვავებულია. მესტიის მუნიციპალიტეტში პოლიციის უფროსმა ბესიკ გაბულდანმა ამისათვის პოლიციელების ხატზე დაფიცების ფორმა გამოიყენა. საქართველოს მთიან რეგიონში რელიგიური შეხედულებები და ტრადიციები დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე. ისინი დიდწილად განსაზღვრავენ ადამიანის ქმედებებს. ფიცი ხდება მომავალში ადამიანის ქცევის კონტროლის საშუალება.

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ მესტიის შს სამმართველოს უფროსმა ბესო გაბულდანმა აიძულა თავისი ხელქვეითები, ხატზე დაიფიცათ, რომ მმართველ პარტიასა და მისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს მისცემდნენ ხმას და ასევე არ გაამხელდნენ, რომ 2008 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო

არჩევნებზე ხმა მიხეილ სააკაშვილს მისცეს. მესტიის შს სამმართველოს სოფელ ბეჩოს განყოფილების თანამშრომელი მელიტონ პაკელიანი თანახმა იყო ყველაფერზე გარდა ერთისა – ხმა მიეცა ,,ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისათვის. ,,გაერთიანებული ოპოზიციის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვიქტორ ჯაფარიძე მელიტონ პაკელიანის დისშვილი იყო და საარჩევნო ხმის უფლებას ახლო ნათესავის წინააღმდეგ ვერ გამოიყენებდა. ხატზე დაფიცებისათვის უარის გამო მელიტონ პაკელიანი გახდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი. სამეგრელო–ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსის, თენგიზ გუნავას ბრძანებით, 2008 წლის 22 მაისს იგი დაითხოვეს შინაგან საქმეთა პირადი შემადგენლობიდან.

მეწარმეებზე ზეწოლა

საქართველოში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც მიუთითებენ საგადასახადო ორგანოების მხრიდან მეწარმეობის თავისუფლების ხელყოფის თაობაზე. სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედება გამოიხატება საწარმოსათვის სოლიდური რაოდენობის ჯარიმების დაკისრებასა და დალუქვაში.

სახალხო დამცველი საანგარიშო პერიოდში იხილავდა ორ განცხადებას, როდესაც მეწარმეები საგადასახადო სანქციების დაკისრების მიზეზად ან პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელთან ნათესაურ კავშირს ასახელებდნენ ან უშუალოდ მეწარმის პოლიტიკურ პოზიციასა და ოპოზიციონერ ლიდერთან სიახლოვეს.

2007 წლის ოქტომბრის თვეში ,,ხალხის პარტიის“ წევრის, ჯუმბერ თავართქილაძის ოჯახის კუთვნილ სუპერმარკეტ ,,ბუმერანგს“ დააკისრეს ჯარიმა 216,000 ლარის ოდენობით. 2007 წლის დეკემბერში ერთი თვით დალუქეს აღნიშნული სუპერმარკეტი, რითაც სუპერმარკეტს მიადგა 50,000 ლარის ოდენობის ზიანი. დაიხოცნენ სუპერმარკეტში მყოფი ეგზოტიკური თევზები და ფრინველები. არსებობს ხსენებული არსებების ლპობის ამსახველი საზარელი კადრები. ეს უკანასკნელი აშკარად მიუთითებს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების უკანონო ქმედებაზე. ხელისუფლების წარმომადგენლებმა წინასწარი შეცნობით დალუქეს ის შენობა, სადაც იმყოფებოდნენ ეგზოტიკური თევზები და ფრინველები. ამით კი თევზებსა და ფრინველებს განადგურების გარდაუვალი საფრთხე შეუქმნეს.

ოპოზიციური ლიდერების მიმართ სიმპატიისა და მეგობრობის გამო, მეწარმეებს პრობლემები ექმნებათ მსხვილ ბიზნესშიც. მეგობრის ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მეწარმეს გარანტირებული აქვს საქმიანობის ხელშეუხებლობა და მფარველობა. საკმარისია, პოლიტიკური ლობი ოპოზიციაში გადავიდეს, რომ სახელმწიფო ბიზნესმენთან საგადასახადო ინსპექცია და შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო სამსახური მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ მეწარმეს გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ. ამ საფუძვლით ხდება მეწარმესთან გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევა, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღება და ასევე სახელმწიფოს მიერ მეწარმის

საკუთრების მითვისება. თავად ბიზნესმენი კი შესაძლოა სისხლისამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს.

ქიბარ ხალვაშის საქმე არის პოლიტიკური მოტივით ბიზნეს საქმიანობაში ჩარევის ტიპიური შემთხვევა. მისი ახლო მეგობრის, ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკურ ოპოზიციაში გადასვლამდე, ქიბარ ხალვაში ითვლებოდა ერთ–ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენად. ქიბარ ხალვაში ადვილად იგებდა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ თითქმის ყველა ტენდერს. მაგალითად, მისი წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანია აშენებდა თბილისის #მე–8 საპყრობილეს. მეგობრის ოპოზიციაში გადასვლამდე ქვეყნის პრეზიდენტსა და იუსტიციის მინისტრს საჯაროდ არაერთხელ გამოუთქვამთ კმაყოფილება თბილისის #მე–8 საპყრობილის მშენებლობასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის შეფასებით, შენდებოდა ევროპული სტანდარტის ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულება. ამისათვის მადლობას უხდიდნენ შპს ,,ინტერნეშენალ ბილდინგ კომპანი" კომპანიას, რომელიც აშენებდა #8–ე საპყრობილეს, გორის სამხედრო ბაზას და რომელშიც ქიბარ ხალვაში ფლობდა წილის

2007 წლის სექტემბრის თვეში, როდესაც მიმდინარეობდა ცალკეული მოქმედებები ახალი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად, რომლის სავარაუდო დამფინანსებლადაც ქიბარ ხალვაში სახელდებოდა და რომლის ლიდერიც ირაკლი ოქრუაშვილი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ბიზნესმენის საწარმოები შემოსავლების სამსახურის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. ერთ დროს ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენის წილობრივი მონაწილეობაში არსებულ საწარმოს ყოველგვარი ახსნა–განმარტების გარეშე 2007 წლის 22 სექტემბერს შეაწყვეტინეს გორის სამხედრო ბაზის მშენებლობა და იძულებით სამშენებლო ობიექტზე დაატოვებინეს 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ღირებულების ქონება. ამ უკანასკნელის ანგარიშწორება დღემდე არ მომხდარა.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ახსნა–განმარტებებით და სატელეფონო საუბრების ამონაწერებით ირკვევა, რომ ხელისუფლება უშუალოდ მონაწილეობდა პარტნიორთა ნების საწინააღმდეგოდ შპს ,,ინტერნეშენალ ბილდინგ კომპანის" წილების გადანაწილებაში. ხელისუფლებას სურდა საჯაროდ მოეხდინა ირაკლი ოქრუაშვილისა და ქიბარ ხალვაშის მეგობრული ურთიერთობის დემონსტრირება და ეს უკანასკნელი გამოეყენებინა მათი დისკრედიტაციის მიზნით. ამისათვის აუცილებელი იყო ქიბარ ხალვაშის კუთვნილ საწარმოს ირაკლი ოქრუაშვილისათვის გადაეხადა უპრეცედენტო რაოდენობის გირაოს თანხა ათი მილიონი ლარის ოდენობით. იმ პირობებში, როდესაც ქიბარ ხალვაში ფლობდა ,,ინტერნეშენალ ბილდინგ კომპანის" მხოლოდ 25%–ს, ამგვარი პიარ კამპანია არადამაჯერებელი იქნებოდა. საჭირო იყო მთელი საწესდებო კაპიტალის წილების ქიბარ ხალვაშზე გადაფორმება. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბაჩო ახალაია ითხოვდა კომპანიის დანარჩენი საწესდებო კაპიტალის წილების ქიბარ ხალვაშის სახელზე გადაფორმებას. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქიბარ ხალვაშს მთელი ქონების წართმევით ემუქრებოდნენ. მუქარა მომდინარეობდა როგორც ბაჩო ახალაიას, ისევე მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი პირების, რევაზ ჭარბაძისა და კახა ბუცხრიკიძის მხრიდან ბაჩო ახალაიას უშუალო მითითებით. აღნიშნული გარემოება დასტურდება ,,არტი ჯგუფის" სამსახურის

უფროსთან, ზაზა გოცირიძესთან და „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორთან მალხაზ ოსაძესთან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნების სატელეფონო საუბრებით. საბოლოოდ მოხდა შეთანხმება, რომ წილებს არა ქიბარ ხალვაშზე, არამედ მასთან დაახლოებულ ორ პირზე, ზაზა გოცირიძესა და მალხაზ ოსაძეზე მოახდენდნენ. მათზე საწესდებო კაპიტალის წილების გადაფორმების ფორმალობებს უშუალოდ აგვარებდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე, რეზო ჭარბაძე.

საწესდებო კაპიტალის წილების კახა გოცირიძისა და მიხეილ ოსაძეზე გადაფორმების შემდეგ, 2007 წლის 24 ოქტომბერს 5 სთ–ზე შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საბანკო ანგარიშზე, რომელიც კომპანიას გახსნილი აქვს ბანკ „რესპუბლიკაში“ სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან ჩაირიცხა 6 440 000 (ექვსი მილიონ ოთხას ორმოცი ათასი) ლარი, ხოლო ორი დღის შემდეგ 650 000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

აღნიშნული თანხა, სულ 7 100 000 (შვიდი მილიონ ასი ათასი) ლარი 2007 წლის 24 ოქტომბერს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორმა მალხაზ ოსაძემ გადარიცხა ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს ფონდში.

ბოლოს შედგა ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პიარ აქცია.გენერალური პროკურორის მოადგილემ, ნიკა გვარამიამ მოიწვია პრეს–კონფერენცია, სადაც საზოგადოებას აუწყა „საინტერესოა, 10 მილიონ ლარს სხვის მაგივრად ვინმე იხდის საქართველოში ან სხვაგან?! - დასძინა მან და განმარტა, რომ ამ გირაოს ნაწილი, 6 მილიონ ხუთასი ათასი ლარი გადაიხადა International Building Company-მ, რომელიც ოქრუაშვილის მეგობრის ქიბარ ხალვაშის მფლობელობაშია, ნაწილი კი ნიჟარაძემ დაფარა.“

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილები ქიბარ ხალვაშის საკუთრებაში ყოფილიყო მოქცეული, პრეს–კონფერენციის ჩატარების დროს ნომინალურად მაინც ქიბარ ხალვაშს არ ეკუთვნოდა კომპანიის საწესდებო კაპიტალის ერთი პროცენტიც კი.

რეკომენდაცია და წინადადებები

საქართველოს პარლამენტი

1. შეიქმნას დროებითი საპარლამენტო კომისია ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების საკითხთან დაკავშირებით.
2. შეიქმნას დროებითი საპარლამენტო კომისია ,,ინტერნეშიონალ ბილდინგ კომპანისა“ და ,,არტი ჯგუფთან“ დაკავშირებით

პროკურატურას

1. შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა ზაალ ქოჩლაძის, როსტომ ონიანის, ლევან ბარამიძის, ლევან მინაშვილისა და მიხეილ გიორგაძის მიმართ;
2. პოლიტიკური დევნისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო დაიწყოს წინასწარი გამოძიება ბესო გაბულდანის მიერ მელიტონ პაკელიანისათვის ხატზე დაფიცების იძულებასთან დაკავშირებით;
3. დაიწყოს წინასწარი გამოძიება არჩილ ჯორჯაძისა და ნელი ცქიტიშვილის პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნის ფაქტთან დაკავშირებით;
4. დაიწყო წინასწარი გამოძიება ქიბარ ხალვაშის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე.
5. დაიწყოს წინასწარი გამოძიება მელიტონ პაკელიანის დევნის ფაქტთან დაკავშირებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ეფექტური წინასწარი გამოძიება ჩატარდეს რამინ აბულაძის, დავით საზანიშვილის, ამირან იობაშვილის, ნუგზარ ხუცურაულის, გიორგი თავდგირიძის, გიორგი შერვაშიძის, ლევან გვარჯალაძის, დავით მეტრეველის, იოსებ ბორცვაძის, ზურაბ გიგუაშვილის და ნონა საღარეიშვილის მიმართ განხორციელებული თავდასხმის ფაქტებთან დაკავშირებით.

საქართველოს თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროს

უზრუნველყოს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანისათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში სასამართლო ისევე შეუწყნარებელი იყო შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მიმართ, როგორც ეს წინა პერიოდებში ხდებოდა. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობისათვის ადამიანები საქართველოში კვლავ ექვემდებარებიან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. 2008 წლის პირველ ნახევარში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ განიხილა 10 პირის საქმე. ყველა მათგანი დააკავეს და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისცეს საპროტესტო აქციის ჩატარების დროს. რვა პირის ქმედება დაკვალიფიცირდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლით (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა), ხოლო ორ პიროვნებას დამატებით წაუყენეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე მუხლი (წვრილმანი ხულიგნობა). ყველა მათგანი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის (ორი პირის, ლუკა წულაძისა და დაჩი ცაგურიას მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა სასკ–ის 166–ე მუხლით). წინა პერიოდებისაგან განსხვავებით სასამართლო უფრო ლმობიერი იყო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას. ათივე შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სამართალდამრღვევს დააკისრა ჯარიმა ოთხასი ლარის ოდენობით. ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების რეციდივები, წინა პერიოდებისაგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა.

საანგარიშო პერიოდში შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებას გადაეჯაჭვა გადაადგილების თავისუფლებას. საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიზნით ადამიანებს ხელი ეშლებათ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაადგილებაში.

საანგარიშო პერიოდში არ მოხდარა პოლიციური ძალის გადამეტებული გამოყენებით საპროტესტო აქციის დაშლა. განსაკუთრებით, ოპოზიციურ პარტიებს ჰქონდათ შეკრების თავისუფლების სრული მოცულობით სარგებლობის შესაძლებლობა. პოლიცია ამ უფლების განხორციელებაში არ ერეოდა მაშინაც კი, როდესაც ამისათვის კანონით გათვალისწინებული ყველა საფუძველი არსებობდა. მაგალითად, 2008 წლის 24–25 მარტის საპროტესტო აქცია, როდესაც დემონსტრაციის ცალკეულ მონაწილეთა ქმედება ორგანიზატორების კონტროლის ფარგლებიდან გამოვიდა და ჟურნალისტების მიმართ აშკარა ძალადობაში გადაიზარდა. ეს მოხდა 2008 წლის 25 მარტს, როდესაც ,,რუსთავი–2–ის“ ჟურნალისტს თამარ ბაღაშვილს პირდაპირი ჩართვის დროს ოპოზიციის მომხრეები თავს დაესხნენ და მოუწოდებდნენ, საპროტესტო აქციის დატოვებას. ამგვარად, დაირღვა ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–12 მუხლის მე–3 პუნქტი, სადაც აღნიშნულია: ,,მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის შეკრებაზე ან მანიფესტაციაზე ცნობების მიღებასა და გავრცელებაში ხელის შეშლა ისჯება კანონით.“

მიუხედავად პოლიტიკური ოპოზიციის მიერ მოწყობილი შეკრებების მიმართ გამოვლენილი სრული შემწყნარებლობისა, საანგარიშო პერიოდში ერთი ნაბიჯითაც კი არ წაიწია წინ 2007 წლის 7 ნოემბერს პოლიციური ძალის გადამეტებული გამოყენების გამო დაწყებულმა წინასწარმა გამოძიებამ. ქალაქ თბილისის პროკურატურამ, რომელიც აღნიშნულ საქმეს იძიებს, ჯერჯერობით არ გამოკვეთა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სათანადო საფუძვლები, არ ხდება საქმეზე სამი პირის დაზარალებულად ცნობა.

ტრანსპორტის, ქვეითთა შეუფერხებელი გადაადგილება და შეკრების თავისუფლება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვის დროს ხშირად ხდება შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეპირისპირება ტრანსპორტისა და ქვეითთა შეუფერხებელი გადაადგილების უფლებასთან. ამ დროს სასამართლოს დადგენილებებში მითითებულია ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს მე–7 მუხლზე, სადაც აღნიშნულია: ,,გაფრთხილება არ არის სავალდებულო ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომლთაც სურთ, თავისი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით ან სხვა სახვითი საშუალებებით, მაგრამ არა აქვთ უფლება ამისათვის გამოიყენონ შენობის შესასვლელები და კიბეები, გადაკეტონ გზის სავალი ნაწილი, შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა." აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 25–ე მუხლის მე–2 პუნქტთან შესაბამისობის ჭრილში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოგვცა ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს მე–7 მუხლის განმარტება. საქმეში ,,ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა: ,,შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვა მჯდომარე ბლოკადის სახით, აღნიშნულ ადგილებში ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობის მიზანდასახული ხელისშეშლაა, რათა იძულებით იქნეს მიქცეული საზოგადოების ყურადღება პოლიტიკურ მიზნებზე, რაც მნიშვნელოვნად ხელს უშლის მესამე პირებს და ამიტომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად უნდა ჩაითვალოს."

აღნიშნულ განმარტებაში გარკვევით არის მინიშნებული ის კრიტერიუმი, როდესაც წინასწარი გაფრთხილების გარეშე ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილას საპროტესტო აქციის ჩატარება შეიძლება მართლსაწინააღმდეგოდ იქნეს მიჩნეული და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელის მოთხოვნას, შეწყვეტილი იქნას ასეთი შეკრება, გაუჩნდეს კანონიერების საფუძველი. ეს კრიტერიუმი არის მჯდომარე ბლოკადა; შემთხვევა, როდესაც შეკრების რამდენიმე მონაწილე დიდი დროის განმავლობაში ზის ერთ ადგილას, ისე რომ ტრანსპორტისა და ხალხის გადაადგილება ბლოკირებულია. ბლოკირების მომენტი არ გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა აქცია მჯდომარეა, მაგრამ ტრანსპორტსა და ხალხს აქვს მოცემულ მონაკვეთზე აქციის მონაწილეთათვის გზის აქცევის შესაძლებლობა. თუკი მოძრაობა

არ არის ბლოკირებული, არ შეიძლება ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონის მოთხოვნები ირღვეოდეს. სწორედ მსგავსი ბლოკირებაა საჭირო იმისათვის, რომ დაირღვეს მართლწესრიგი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგია ასკ–ის 173–ე მუხლთან დაკავშირებით მიღებულ ყველა დადგენილებაში უთითებს, ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 16 მაისის #634–ე ბრძანების მე–16 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტზე, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომელს ანიჭებს უფლებამოსილებას, მოსთხოვოს მოქალაქეს მართლწესრიგის დაცვა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები. რას ნიშნავს ტერმინი ,,მართლწესრიგი“? ამ კითხვას შინაგან საქმეთა მინისტრის #634–ე ბრძანება პასუხს არ სცემს. პასუხს, თუ რაში გამოიხატება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მართლწესრიგის დარღვევა, ვერც სასამართლოს დადგენილებაში ვერ ვპოულობთ. შეკრებისა და მანიფესტაციის დროს მართლწესრიგის დაცვის კონკრეტული კრიტერიუმი დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში და საერთო სასამართლოები ვალდებული არიან ყოველ კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებები შეუსაბამონ აღნიშნულ კრიტერიუმს.

სამწუხაროდ, საქართველოს კონსტიტუციის, ,,შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის სტანდარტები არ არის გაზიარებული საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. ხშირად მოსამართლე ,,შეკრებისა და მანიფესტაციის“ შესახებ კანონის მე–7 მუხლის დარღვევას ადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც მანიფესტაციის გამართვის ადგილას ტრანსპორტი საერთოდ არ მოძრაობს, ხოლო ფეხით მოსიარულეებს აქციის გამართვის ადგილზე რჩებათ დიდი სივრცე იმისათვის, რომ შეუფერხებლად გადაადგილდენენ. 2008 წლის 16 მაისს ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, ცხრა აპრილის მემორიალსა და პარლამენტის შენობის დასაწყისში მდებარე შადრევნებს შორის რადიო ,,არ დაიდარდოს“ დიჯეიმ, ბეგლარ ლოგუამ დადგა მცირე ზომის კარავი. ბეგლარ ლოგუა აპროტესტებდა თავისი დედის, გულნარა ჯინჯოლავას სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას სამეგრელო–ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მიერ. ბეგლარ ლოგუასთან ერთად იმყოფებოდა რამდენიმე ადამიანი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარემ, მამია ფხაკაძემ ბეგლარ ლოგუასათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ 2008 წლის 17 მაისის დადგენილებაში აღნიშნა: ,,ბეგლარ ლოგუას ... საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მიეცა გაფრთხილება, მითითებული ტერიტორიიდან აეღო თვითნებურად განთავსებული კარავი, რომელიც *გარდა იმისა, რომ იწვევდა მითითებული ტერიტორიის იერსახის შეცვლას, ასევე იწვევდა მოქალაქეთა ყურადღებას და აშკარა საფრთხეს უქმნიდა ხალხისა და ტრანსპორტის მოძრაობის შეუფერხებლობას.*“

არსებობს რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ ტრანსპორტის მოძრაობისათვის საფრთხის შექმნის ორი შესაძლებლობა: პირველი – ავტომანქანა უნდა გადავიდეს ქვეითთა სავალ ნაწილზე, სადაც მის გადაადგილებას ხელი უნდა შეუშალოს კარავმა; მეორე, გზის სავალ ნაწილზე მოძრაობის დროს მძღოლს ყურადღება უნდა

გაუფანტოს პარლამენტის წინ დადგმულმა კარავმა. მოსამართლე მამია ფხაკაძის აზრით, კარავის დანახვის შემდეგ, მძღოლები მოძრაობის წესების დაცვაზე კი არა, გულნარა ჯინჯოლავას დაპატიმრების საშიშროებაზე დაიწყებენ ფიქრს. ამ დროს კი საგზაო შემთხვევების რისკი გაიზრდებოდა. იმისათვის, რომ მძღოლები კონცენტრირებულნი იყვნენ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და მათი გონება ზედმეტი ფიქრებით არ გადაიტვირთოს, ყურადღება საპროტესტო აქციაზე არ გადაიტანონ, საქმის ვითარებაში გარკვევის მიზნით არ გააჩერონ მანქანები და ამგვარად, არ შეფერხდეს ტრანსპორტის მოძრაობა, მოსამართლე მამია ფხაკაძეს გამართლებულად მიაჩნია, შეწყდეს აქცია და მის ორგანიზატორს დაეკისროს ადმინისტრაციული სახდელი.

სასამართლოს აღნიშნული დადგენილება მეტყველებს მისი ავტორის ფასეულობათა სისტემაზე. მამია ფხაკაძე მზადაა უარი თქვას მშვიდობიანი მანიფესტაციის უფლებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არარეალური, ჰიპოთეტური და მხოლოდ მოსამართლის ფანტაზიაში არსებული საფრთხე. მას არა აქვს გათავისებული დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მნიშვნელობა. დაუსაბუთებელი და ყოველგვარ რაციონალურ საფუძველს მოკლებული სანქციებით ცდილობს დააკნინოს შეკრების თავისუფლების მოქმედების ძალა. შეკრებისა და მანიფესტაციის, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლების არსი მდგომარეობს საზოგადოების მიმართ გზავნილში, რომელიც სწორედ ყურადღების მიპყრობისკენ არის მიმართული. სამწუხაროა, როდესაც საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობის მცდელობა მოსამართლე მამია ფხაკაძემ მართლწესრიგისათვის საფრთხის შემქმნელად მიიჩნია. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში გალციანი სომხეთის წინააღმდეგ განაცხადა: *„მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობის მიღება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაუშვებელია ამის გამო ადამიანი დაექვემდებაროს რაიმე სახის პასუხისმგებლობას, მათ შორის პასუხისმგებლობის ისეთ მსუბუქ ზომას, როგორიცაა დისციპლინური სახდელი, ვიდრე მისი კონკრეტული მონაწილე არ ჩაიდენს გასაკიცხ ქმედებას.“*[6] ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა კი, რაც ბეგლარ ლოგუას მიმართ იქნა გამოყენებული დისციპლინურთან შედარებით გაცილებით მძიმეა, ვინაიდან თვალისწინებს ჯარიმასა და ადმინისტრაციულ პატიმრობას.

„შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–7 მუხლის თანახმად:

„გაფრთხილება არ არის სავალდებულო ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ თავისი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით ან სხვა სახვითი საშუალებებით, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება, ამისათვის გამოიყენონ შენობების შესასვლელები და კიბეები, გადაკეტონ გზის სავალი ნაწილი ან შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა.“

---

[6]Galtsyan v. Armenia application no.26986/03 15 November 2007 # 115

შესაძლოა სახვითი ხელოვნების გამოყენებით ჩატარებული მანიფესტაციის მიმდინარეობის დროს ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდეს, თუმცა აღნიშნული დემონტრანტების ბრალით არ იყოს გამოწვეული. ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონი ყურადღებას სწორედ იმ შემთხვევაზე ამახვილებს, როდესაც მანიფესტანტები აფერხებენ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობას. ამრიგად, კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხიმგებლობა წარმოიშობა მანიფესტანტთა ბრალეული ქმედების შედეგად. პასუხისმგებლობა გამოირიცხება იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობის შეფერხება გამოწვეულია მანიფესტანთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. 2008 წლის 2 ივლისს ატენის ქუჩაზე, ბანკი ,,სოსიეტე ჟენერალის" ოფისის წინ ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდული ფრონტის" საპროტესტო აქცია. მანიფესტანტები ტროტუარზე და ავტომანქანის სავალ ნაწილზე აკეთებდნენ საპროტესტო წარწერებს. ე.წ. ,,სტენსილებს," რომელიც მუყაოს ქაღალდისაგან იყო დამზადებული, ასფალტზე ათავსებდნენ და პულივიზატორების დასხმით აკეთებდნენ წარწერებს. ამ პროცესს სჭირდებოდა 10 წამი. ამ დროის განმავლობაში შეუძლებელია რაიმე საცობის შექმნა. ის რომ საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს, პიკის საათში ატენის ქუჩაზე წარმოიქმნა საცობი, ამაში ახალს ვერაფერს ხედავენ ატენის ქუჩის მაცხოვრებელები. ატენის ქუჩაზე მანქანების პარკირებაზე ზედამხედველი პირმა, ირაკლი მაჩტიძემ სახალხო დამცველს მისცა ახსნა–განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ საცობი ატენის ქუჩაზე, განსაკუთრებით შუადღეს, ჩვეულებრივი მოვლენაა. ისედაც ვიწრო ქუჩა ყოველდღიურად არის გადატვირთული.

2008 წლის 2 ივლისს მოსამართლე ლელა კალიჩენკომ არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდული ფრონტის" ორი წევრის, დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა: ქალაქ თბილისში ჭავჭავაძისა და ატენის ქუჩის 15 საათისათვის გადატვირთული მოძრაობით ხასიათდება. ატენის ქუჩის ორივე მხარეს ხდება ავტომანქანების გაჩერება და ქუჩის ავტომობილების სავალ ნაწილზე წარწერების შესრულება კიდევ უფრო შეაფერხებდა როგორც ფეხით მოსიარულეთა, ასევე ავტომაქანების მოძრაობას. პატრულის თანამშრომლები ვალდებული იყვნენ დაეცვათ საზოგადოებრივი წესრიგი."

დადგენილების ტექსტიდანაც ჩანს, რომ მოსამართლის დასკვნა ეფუძნება სავარაუდო მსჯელობებს. მოსამართლემ უტყუარად ვერ დაადგინა, რომ ატენის ქუჩაზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა სწორედ დაჩი ცაგურიამ და ლუკა წულაძემ შეაფერხეს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264–ე მუხლით სასამართლო ვალდებული იყო დაედგინა, ბრალეული იყო თუ არა პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. მოსამართლემ აღნიშნული გარემოება ვერ დაადგინა უტყუარი მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე. ამიტომაც ვხვდებით დადგენილებაში სავარაუდო მსჯელობებს.

ალტერნატიული არგუმენტის სახით სახალხო დამცველი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძეს, რომც შეეფერხებინათ ტრანსპორტის მოძრაობა, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ საქმეში განაცხადა: ,,გარკვეული სახის დემონსტრაციას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოვარდნა, მათ შორის ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება. მაშინ, როდესაც დემონსტრანტები არ ჩადიან ძალადობრივ აქტებს, მაგრამ უბრალოდ აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობას, მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ გამოავლინოს შემწყნარებლობა ამგვარი მშვიდობიანი შეკრების მიმართ, ვინაიდან აღნიშნული უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–11 მუხლით და არ შეიძლება ამ უფლებას მთლიანად დაეკარგოს ღირებულება.[7]

აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ 2008 წლის 2 ივლისს ქალაქ თბილისში ატენის ქუჩაზე გამართული საპროტესტო აქცია გრძელდებოდა თხუთმეტ წუთს. აქედან ტრანსპორტის სავალ ნაწილზე წარწერების გასაკეთებლად იმყოფებოდნენ ათი წამის განმავლობაში. ატენის ქუჩაზე გამართული საპროტესტო აქციის ერთადერთ მიზანს მხოლოდ წარწერების გაკეთება წარმოადგენდა. *შემჭიდროებულ ვადაში ჩატარებული შეკრება დაცვის გაცილებით მაღალი ხარისხით სარგებლობს.*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს შეკრების ხანგრძლივობას. ოია ატამანის საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაკვირვება გამოხატა მთავრობის მოუთმენლობასთან დაკავშირებით, რომელიც ცდილობდა იმ მსვლელობის სწრაფად დასრულებას, რომელიც სულ რაღაც ნახევარ საათს გაგრძელდა. იმავე დროს, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პირთა ჯგუფის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნის ფაქტს, გარდა იმისა, რომ ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა.[8]

---

[7] *Oya Ataman v. Turkey*, no. 74552/01, §§ 38-42, ECHR 2006-
2000 წლის 22 აპრილს თურქეთის ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის ადმინიტრაციული საბჭოს წევრმა და იურისტმა, ოია ატამანმა მოახდინა ,,F" ტიპის ციხეების საწინააღმდეგო მსვლელობის ორგანიზება. შეადღით ქალაქ სტამბულში სულთან ახმედის სახელობის მოედანზე გამოვიდა 40 დან 50–მდე ადამიანი. მათ ხელში ეკავათ პლაკატები და სპეციალური საპროტესტო სიმბოლოები. პოლიციამ ხმის გამაძლიერებლით მოსთხოვა აქციის მონაწილეებს დაშლა, ვინაიდან ისინი საქმიან დროს აფერხებდანენ ტრანსპორტის და მოქალაქეთა გადაადგილებას. იმავე დროს, კომპეტენტურ ორგანო წინასწარ არ იყო გაფრთხილებული აქციის ჩატარების თაობაზე, შესაბამისად, აღნიშნული მსვლელობა იყო უკანონო. დემონსტრანტები არ დაემორჩილნენ პოლიციის მოთხოვნას და გააგრძელეს მათი მიმართულებით მსველობა. სამართალდამცავებმა დემონსტრანტების მიმართ გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და დააკავეს თავად ოია ატამანი. ეს უკანასკნელი დაკავებული იქნა თუმცა იმავე საღამოს, 12 საათსა და 45 წუთზე გაათავისუფლეს. ოია ატამანმა განაცხადი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ამ უკანასკნელმა დაადგინა მე–11 მუხლის დარღვევა და თურქეთის სახელმწიფოს დააკისრა ათას ას ოთხმოცდაათი ევრო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და ოცი ათასი ევრო მორალური ზიანისათვის.

[8] CASE OF BALÇIK AND OTHERS v. TURKEY Application no. 25/02

ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილას ჩატარებულ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით იდენტური პოზიცია დააფიქსირა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებში ბალჩიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ[9] და ნურეტტინ ალდემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ.

,,შენობის" ცნება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე–9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: *,,აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება: ,,საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელთა აღსრულებისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობებში, სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საავადმყოფოებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში და მათგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებში დაუშვებელია ამ ობიექტების შესასვლელების სრული ბლოკირება"*

მიუხედავად იმისა, რომ 20 მეტრიანი რადიუსის ნაწილში აღნიშნული ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 25–ე მუხლთან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–11 მუხლთან მიმართებაში საეჭვოა და სახალხო დამცველის 2007 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში იყო გამოთქმული მოსაზრება 20 მეტრის რადიუსში შეკრებისა და მანიფესტაციის აკრძალვის კონკრეტული საფუძვლების განსაზღვრის თაობაზე. ამჯერად, სახალხო დამცველი მიუთითებს იმ ფარგლების თაობაზე, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ მიანიჭა ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე–9 მუხლში აღნიშნულ სიტყვა ,,შენობას."

2008 წლის 23 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თანასწორობის ინსტიტუტმა" მთავრობის კანცელარიის შენობის წინ ჩაატარეს საპროტესტო აქცია. სახელმწიფო კანცელარიის შენობა 2003 წლამდე რკინის ღობით იყო შემოსაზღვრული. ,,ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მოხდა აღნიშნული ღობის დემონტაჟი. ეს იყო ერთგვარი სიმბოლური ჟესტი, რომ ხელისუფლება არ უნდა ყოფილიყო ხალხისგან იზოლირებული. დემონტაჟის შემდეგ, შენარჩუნებული იქნა ღობის დამჭერი სვეტები, რომლის შიგნით არსებული ტერიტორია მოექცა საზოგადოებრივ სარგებლობაში. სვეტების მიდა ტერიტორია იქცა ფეხით მოსიარულეთა

[9] Case of NURETTIN ALDEMIR AND OTHERS v. TURKEY (application nos. 32124/02, 32126/02, 32129/02, 32132/02, 32133/02, 32137/02 and 32138/02) 18 December 2007

შეუზღუდავი სარგებლობის ობიექტად. დემონსტრანტები საღებავებით წერდნენ პოლიტიკური ხასიათის ლოზუნგებს. საპროტესტო აქციის მონაწილეთა ერთი ნაწილი (მაგალითად მალხაზ ჯანგირაშვილი და ლაშა ჩხარტიშვილი) იმყოფებოდა სვეტის გარეთ და ამგვარად, 20 მეტრიანი რადიუსის დისტანციას იცავდა. მეორე ნაწილი (მაგალითად ირაკლი კაკაბაძე, ზურაბ რთველიაშვილი, დავით დალაქიშვილი, აკაკი ჩაკვეტაძე) სვეტის შიგნით იმყოფებოდნენ. სვეტიდან მთავრობის კანცელარიის შენობამდე მანძილი არის ოც მეტრზე მეტი. ამგვარად, სვეტის შიგნით ყოფნა არ ნიშნავს დადგენილი დისტანციის დარღვევას. მით უმეტეს, დაუშვებელია ოცმეტრიანი რადიუსის ათვლა სვეტიდან.

2008 წლის 23 აპრილს საპატრულო პოლიციამ დააკავა აღნიშნული საპროტესტო აქციის 7 მონაწილე (ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, დავით დალაქიშვილი, მალხაზ ჯანგირაშვილი, აკაკი ჩაკვეტაძე და ზურაბ რთველიაშვილი). ოთხი პირის ირაკლი კაკაბაძე, ზურაბ რთველიაშვილი, დავით დალაქიშვილი, აკაკი ჩაკვეტაძე) საქმე განიხილა მოსამართლე ლელა კალიჩენკომ. აღნიშნული სასამართლო სხდომების დროს ოქმის შემდგენმა, პატრულმა–ინსპექტორებმა განაცხადეს, რომ მთავრობის კანცელარიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვაფენილით მოპირკეთებული ზედაპირი წარმოადგენს კანცელარიის შენობის ნაწილს, ვინაიდან ხსენებული ზედაპირის ქვემოთ ფუნქციონირებდა კანცელარიის ავტოფარეხი. ის ტერიტორია კი, სადაც დემონსტანტები საღებავით წარწერას აკეთებდნენ, იყო კანცელარიის შენობის სახურავი. ამგვარად, საპროტესტო აქცია იმართებოდა კანცელარიის შენობაში და არა მისგან თუნდაც 20 მეტრის რადიუსის დაშორებით, რაც აკრძალულია ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–9 მუხლით. ერთ–ერთმა პატრულმა ინსპექტორმა ისიც კი განაცხადა, რომ დემონსტრანტები წარწერებს არა შენობის სახურავზე, არამედ მის ფასადზე აკეთებდნენ და ამის გამო დაირღვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150–ე მუხლი.

სამწუხაროდ, პატრული–ინსპექტორების დაუსაბუთებელი და აბსურდული მოსაზრებები გაიზიარა მოსამართლე ლელა კალიჩენკომ. მისი დადგენილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია: ,,2008 წლის 23 აპრილს სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე დავით დალაქიშვილი საღებავით წერდა გაურკვეველ ტექსტს, ამახინჯებდა *ტერიტორიას, რაც კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის ნაწილია და არა ფეხით სავალი ტერიტორია,* ასევე დავით დალაქიშვილი არ დაემორჩილა პატრულ–ინსპექტორთა არაერთგზის კანონიერ მოთხოვნას შეეწყვიტა უკანონო მოქმედება.“ პასუხისგებაში მიცემული პირების სახელების შეცვლით, თუმცა იგივე გაიმეორა მოსამართლე ლელა კალიჩენკომ ირაკლი კაკაბაძის, ზურაბ რთველიაშვილისა და აკაკი ჩაკვეტაძისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე დადგენილებებშიც.

ტერმინი ,,შენობის“ ლელა კალიჩენკოსეული განმარტება ეწინააღმდეგება არა მარტო ამ ცნების საყოფაცხოვრებო გაგებას, არამედ მის ლეგალურ დეფინიციასაც. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე–2 მუხლის ‚პ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,შენობას წარმოადგენს მიწასთან მყარად დაკავშირებული, სამშენებლო სამუშაოების შედეგად, საძირკვლის, მზიდი და შემომზღუდავი

კონსტრუქციების გამოყენებით, დახურული სივრცის შექმნის მიზნით აგებული ერთიანი სამშენებლო სისტემა, რომელიც გამიზნულია *ადამიანთა ხანგრძლივი დროით სამყოფად და გამოიყენება საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო მიზნებისათვის.“*

კანცელარიის მიმდებარე ტერიტორია, სადაც სახვითი ხელოვნების საშუალებით ,,თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები ატარებდნენ მანიფესტაციას, არანაირად არ არის საძირკვლის, მზიდი და შემომზღუდავი კონსტრუქციები, ასევე არ არის შექმნილი დახურული სივრცე შექმნილი. ხსენებული ტერიტორია ფეხით მოსიარულეში არ წარმოშობს გონივრულ ვარაუდს, იმისათან დაკავშირებით, რომ აღნიშნული წარმოადგენს სამთავრობო დაწესებულების შენობის ნაწილს და მასში ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება რაიმენაირად შეზღუდული. მაშინ როდესაც კანცელარიის შენობაში მოხვედრისათვის მოქმედებს საშვთა სისტემა, კანცელარიის მიმდებარე ტერიტრიით სარგებლობა არაფრით არ არის შეზღუდული. ამგვარად, გაუგებარი დარჩა თუ რის საფუძველზე მიიჩნია მოსამართლე ლელა კალიჩენკომ კანცელარიის ქვაფენილით მოპირკეთებული ტერიტორია.

მთავრობის ზემოხსენებული დადგენილებიდან არსებობს ცალკეული გამონაკლისები. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების შენობის დეფინიცია ექვემდებარება სპეციალურ რეგულირებას. სასამართლოს თავმჯდომარის განჯარგულებით, სასამართლოების შენობის ნაწილად მიჩნეულია შენობის მიმდებარე ეზო, რომელიც შემოსაზღვრულია გამოყოფილი კედლით. ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში 20 მეტრიანი რადიუსის ათვლა იწყება არა უშუალოდ არქიტექტურული შენობიდან, არამედ სასამართლოს ეზოს გარეთ არსებული კედლიდან და ჭიშკარიდან. მაგრამ ეს რეგულაცია მოქმედებს მხოლოდ კონკრეტულ სასამართლოებთან მიმართებაში და დაუშვებელია მსგავსი დეფინიციის გამოყენება სამთავრობო დაწესებულებასთან, პირველ რიგში, კი მთავრობის კანცელარიის შენობასთან მიმართებაში. საქართველოს კონსტიტუციის 79–ე მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, პრემიერ-მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას, აგრეთვე, ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში. მთავრობის კანცელარიის შენობის ფარგლების განსაზღვრა სწორედ პრემიერ–მინისტრის აღნიშნული ბრძანებით უნდა მოხდეს. ამგვარი ბრძანება კი არ არსებობს.

კარავი, როგორც კანონით ნებადართული პროტესტის ფორმა

2008 წლის 17 მაისს ბეგლარ ლოგუას მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა გამოიხატებოდა, პატრული–ინსპექტორის, დავით ჯაშიაშვილის მოთხოვნის – აეღო თვითნებურად გაშლილი კარავი – შეუსრულებლობაში და ბოროტად დაუმორჩილებლობაში. მოსამართლე მამია ფხაკაძის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კარავი თვითნებურად იყო განთავსებული, იწვევდა მითითებული

ტერიტორიის იერსახის შეცვლას. პატრულის მოთხოვნა – ბეგლარ ლოგუას აეღო კარავი – მოსამართლის განმარტებით, იყო კანონიერი და გამომდინარეობდა მართლწესრიგის მოთხოვნიდან.

საანაგარიშო პერიოდში თბილისსა და რეგიონებში შიმშილობის აქციას ატარებდნენ ,,ერთიანი ეროვნული საბჭოს“ წევრები, რისთვისაც მათ ასევე აღმართეს ე.წ. ,,კარვების ქალაქი,“ ანუ არა ერთი, არამედ მრავალი კარავი. ბეგლარ ლოგუასაგან განსხვავებით, ოპოზიციის შიმშილობის აქცია არავის უცვნია უკანონოდ და მართლწესრიგის დარღვევად.

რამდენად იძლევა საქართველოს კანონმდებლობა კარავის მეშვეობით საპროტესტო აქციის ჩატარების შესაძლებლობას? იმ ცვლილების გათვალისწინებით, რასაც კარავის განთავსება იწვევს იერსახეზე, რამდენად არის აუცილებელი ნებართვის აღება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან?

,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კარვის მეშვეობით შეკრების შესახებ რაიმე სპეციალური წესები არ არის დადგენილი. იმავდროულად, არც რაიმე აკრძალვა არსებობს ამ კუთხით.

საანაგარიშო პერიოდისათვის მოქმედებდა ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე–2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის 2007 წლის 28 მარტის რედაქცია. ამ დროისათვის კარავი ჯდებოდა დროებითი შენობა–ნაგებობის განმარტებაში. დროებითი შენობა–ნაგებობა ნიშნავდა: ,,ანაკრები ელემენტებისგან შედგენილი, ასაწყობ–დასაშლელი ან/და მობილური სამშენებლო სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და არ გააჩნია მიწისქვეშა სათავსები. საზოგადოებრივ ადგილებში დროებითი ნაგებობის ფუნქციონირების ვადა განისაზღვრება უფლებამოსილი ორგანოს ადმინისტრაციული აქტით. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ასეთი ტიპის შენობანაგებობის მოქმედების ვადა განისაზღვრება მესაკუთრის მიერ.“

იმავე პუნქტის ,,ფ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია საზოგადოებრივი ადგილების ცნება. ეს არის დასახლებათა განაშენიანებულ ტერიტორიათა ფარგლებში მდებარე ქუჩა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, წყალსატევების სანაპირო ზოლი და სხვა ადგილები, რომლებიც ხელმისაწვდომია ადამიანისთვის; განმარტება იმდენად ფართოა, რომ პროსპექტი სრულიად ჯდება აღნიშნულ დეფინიციაში.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე–3 მუხლის ,,ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნებართვას არ საჭიროებს საზოგადოებრივ ადგილებში განსათავსებელი ბაზრობა–გამოფენებისათვის, *საზოგადოებრივი* და სანახაობითი ღონისძიებებისათვის საჭირო დროებითი შენობანაგებობების მოწყობა, რის შესახებაც მიღებულია უფლებამოსილი სამთავრობო დაწესებულების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება ობიექტის განთავსების თაობაზე;

საპროტესტო შეკრება ითვლება საზოგადოებრივ ღონისძიებად. კარავის განთავსებისათვის საჭიროა უფლებამოსილი სამთავრობო დაწესებულების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონში აღნიშნული წინასწარი გაფრთხილების მიღებისაგან განსხვავებით, რომელიც არ წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, დროებითი ნაგებობის განთავსებისათვის საჭიროა სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების სახით. ეს გადაწყვეტილება კარავის განთავსების უფლების წარმოშობის საფუძველია. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წერილობითი აქტის მეშვეობით ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის რაიმე უფლების მინიჭება კი შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტით დადგენილ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის განმარტებას. ამგვარად, დროებითი შენობა–ნაგებობის განთავსებისათვის ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ჩაატაროს მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ამგვარი წარმოებისათვის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ერთი თვის ვადა. იმ შემთხვევაში კი, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არ ეხება მესამე პირების ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს იღებს 15 დღის ვადაში.

,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, პასუხისმგებელმა პირმა ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილას ჩასატარებელი შეკრების თაობაზე გაფრთხილება უნდა შეიტანოს 5 დღით ადრე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე ,,ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" განაცხადა, რომ შეკრების ჩატარების თაობაზე 5 დღით ადრე გაფრთხილება არ არის ნებართვის იდენტური. გაფრთხილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ ცნობად უნდა მიიღოს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილება – გაფრთხილების მიუხედავად ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას არ დაუშვას შეკრების ჩატარება, არ მოდის შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციის 25–ე მუხლის მე–2 პუნქტთან[10].

თხუთმეტი დღის ან ერთი თვის ვადამ, თავისი ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შესაძლოა აქტუალობა დაუკარგოს საპროტესტო შეკრების მიზანს. იმავე დროს, ,,მშენებლობის ნებართვისა და სამშენებლო პირობების შესახებ" მთავრობის დადგენილების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტი ითვალისწინებს არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გაფრთხილებას კარავის განთავსების თაობაზე, არამედ აღჭურავა აღნიშნულ ორგანოს უფლებამოსილებით დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს შეკრების პასუხისმგებელი პირის მოთხოვნა

[10] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2002 წლის 5 ნოემბრის #2/2/180–183 გადაწყვეტილება მე–6 პუნქტი.

დროებითი შენობა–ნაგებობის განთავსების თაობაზე. ამ სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გააჩნია სანებართვო უფლებამოსილება.

,,მშენებლობის ნებართვისა და სამშენებლო პირობების შესახებ" მთავრობის დადგენილების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტი ვადის თვალსაზრისით წინააღმდეგობაში მოდის იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტთან, ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლთან, ხოლო დროებითი შენობა–ნაგებობის განთავსებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების ნაწილში – საქართველოს კონსტიტუციის 25–ე მუხლის მე–2 პუნქტთან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მშვიდობიანი შეკრების უფლება დაცულია იმის მიუხედავად, თუ რა ფორმით ხდება მისი გამოხატვა. ,,კარვების ქალაქი" წარმოადგენს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების ერთ–ერთ ფორმას. ამ ორი უფლების ურთიერთმიმართების შესახებ იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ,,სტანკოვი და მაკედონელთა გაერთიანებული ორგანიზაცია ,,ილიდენი" ბულგარეთის წინააღმდეგ." მიუხედავად მე–11 მუხლის (შეკრების თავისუფლება) ავტონომიური მნიშვნელობისა და დაცვის სფეროს განსაკუთრებული ხასიათისა, შესაძლოა მისი განხილვა მოხდეს მე–10 მუხლთან (გამოხატვის თავისუფლება) კავშირში. აზრის თავისუფლების დაცვა და მისი გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს შეკრების თავისუფლების ერთ–ერთ მიზანს (85–ე პარაგრაფი). სტრასბურგის სასამართლომ საქმეში ,,ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ" დაცულია არა მხოლოდ აზრის გამოხატვის შინაარსი, არამედ მისი გამოხატვის ფორმაც. სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი, განსაზღვროს გამოხატვის ფორმები, გამოხატვის ფორმის შერჩევა მთლიანად დამოკიდებულია გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე პირზე. (35–ე პარაგრაფი).

აზრის გამოხატვის ერთი ფორმის შერჩევას, კარვის განთავსებას სჭირდება გართულებული პროცედურის გავლა და განსხვავდება შეკრების თაობაზე წინასწარი გაფრთხილების არსებული მოდელისაგან. მაშინ როდესაც საპროტესტო აქცია ტარდება იმ მომენტისათვის მწვავე საკითხზე, ერთი თვის გასვლის შემდეგ საკითხს შესაძლოა აქტუალობა დაეკარგოს. თანაც კარავის შემთხვევაში გაფრთხილებისგან განსხვავებით, როდესაც ცნობად მიღება ხდება და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო არ არის უფლებემოსილი მიიღოს გადაწყვეტილება შეკრების ჩატარების ან არჩატარების თაობაზე. კარვის დადგმის თაობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღოს. ამგვარად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ინარჩუნებს უფლებას, არ დართოს, კარვის დადგმის უფლება. კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა სახელმწიფოს ნებადამრთველი ანუ აღმჭურველი უფლებამოსილება.

გადაწყვეტილება საზოგადოებრივ ადგილებში კარვის დადგმის თაობაზე საპროტესტო აქციის სანქცირების პირობას წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ განაცხადა: ,,წინასწარი სანქცირების თაობაზე რეგულაცია არ შეიძლება იქცეს კონვენციით დაცულ მშვიდობიან შეკრების უფლებაზე დაბრკოლებად. (38–ე პარაგრაფი)

წინასწარი სანქცირებისა თუ გაფრთხილების ინსტიტუტის მიზანი მდგომარეობს შემდეგში:

1. ამით ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლევა, მინიმუმამდე დაიყვანოს პიკის საათებში ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება.
2. შეკრების ჩატარების თაობაზე გაფრთხილების შემდეგ, ხელისუფლება ვალდებულია, გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, მაგალითად, დემონსტრაციის ადგილზე მობილიზებული იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების სამსახური,
3. გარანტირებული იყოს, რომ ნებისმიერი მოვლენა, იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული ან სხვა სახის მიტინგი თუ შეკრება, შეუფერხებლად წარიმართება.

(ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ 39–ე პარაგრაფი)

გარდა ამ სამი დასახელებული საკითხების გადაწყვეტისა, წინასწარ გაფრთხილებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებს. შეკრების ჩატარებამდე რამდენიმე ხნით ადრე (თურქეთის კანონმდებლობით ეს არის 72 საათი, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით – 5 დღე) გაფრთხილება შესაძლებლობას აძლევს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს, სათანადოდ მოემზადოს საპროტესტო აქციისათვის. მაგალითად, გაფრთხილების მიღებიდან 5 დღით ადრე ადგილობრივი ხელისუფლება მძღოლებს ააფრთხილებს შეკრების ჩატარების დღისათვის ალტერნატიული ტრანსპორტის სამოძრაო ადგილით სარგებლობის თაობაზე. 5 დღის ვადაში დაიქირავებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს და მისცემს მას სათანადო განკარგულებას, შეკრების დღეს მობილიზებული იყოს დემონსტრაციის ჩატარების ადგილას. შესაბამის მიმართვას გაუგზავნის პოლიციას, რათა შეკრების მიმდინარეობის დღეს დააკვირდეს აქციის მონაწილეთა ქცევას და დაიცვას მათი უსაფრთხოება, თუკი წარმოიშვება ძალადობრივი კონტრდემონსტრაციის საფრთხე. თუკი აქცია ჩატარდა წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თავისთავად ეს გარემოება არ წარმოადგენს აქციის დაშლისა და მისი მონაწილეების პასუხისმგებლობის საფუძველს, უბრალოდ ასეთი აქციის უარყოფითი შედეგების რისკი გადადის ორგანიზატორებზე. ამ დროს პასუხისმგებლობას სახელმწიფო ვერ გაინაწილებს. მაგალითად, თუკი ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა, შეიქმნა საცობი და მოხდა ავტოსაგზაო შემთვევები, ამის გამო პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ბრალეულ დემონსტრანტებს. პირველადი სამედიცინო დახმარება, საჭიროების შემთხვევაში, არ იქნება დროული და პაციენტი თავად დაფარავს მომსახურების ხარჯებს. დემონტრანტები დაცულები არ იქნებიან მაშინ, თუ აქციის ჩაშლას ძალადობის გამოყენებით შეეცდებიან საწინააღმდეგო აზრის მქონე პირები. პოლიცია ვერ შეძლებს დემონტრანტებთან კონტრდემონსტრანტების მიახლოების აღკვეთას, თუკი მას წინასწარ არ ექნება საპროტესტო აქციის ჩატარების შესახებ ინფორმაცია.

ეს არის იმ მიზნების ჩამონათვალი, რისთვისაც საჭიროა (და არა აუცილებელი ან სავალდებულო) წინასწარი გაფრთხილება. ის, რომ კარავი არის უსახური, მისი დიზაინი არ ჯდება საპროტესტო აქციის ჩატარების ადგილის ინტერიერში და მისი იერსახის შერჩევისათვის, ისევე როგორც ზოგადად ასეთი ობიექტის განთავსებისათვის, აუცილებელია ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს

თანხმობა, წარმოადგენს ფარულ დაბრკოლებას კონვენციით აღიარებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისათვის. სახელმწიფოს არა აქვს უფლება განსაზღვროს, თუ რა ფორმით გამოხატავს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანი მშვიდობიან პროტესტს. არანაირი სერიოზული ზიანი არ ადგება ქალაქის იერსახესაც. კარავი კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებისათვის გამოხატვის ავტორის გზავნილის ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე იგი ქალაქდაგეგმარებისა და იერსახის რაიმე შტრიხს შეიძლება წარმოადგენდეს. თანაც ამგვარი ნაგებობის განთავსება დროებითია და წარმოუდგენელია, მან შეუქცევადი უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს.

2008 წლის 11 აგვისტოს ცვლილება შევიდა ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებაში. აღნიშნული ნორმატიული აქტის მე–2 მუხლის მე–14 პუნქტის შესაბამისად, დროებითი შენობა–ნაგებობის ცნება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ,,შენობა და ნაგებობა, რომელიც თავისი წონით უძრავად დევს გრუნტის ზედაპირზე და აქვს ცალკე მდგომი უძრავი ნივთის თვისება;“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149–ე მუხლის თანახმად: ,,უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.“ ვინაიდან კარავი მყარად არ დგას მიწაზე, დროებითი შენობა–ნაგებობის დეფინიციის გამოყენება კარავის განთავსებასთან დაკავშირებით შეუძლებელია. ცვლილება ამოქმედდება 2008 წლის ოქტომბრის თვეში.

მტკიცებულებათა სტანდარტი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვის საქმეების განხილვისას

ყველა საქმეში, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ შეკრების თავისუფლებით მოსარგებლე პირების მიმართ განიხილა, ოქმის შემდგენი – საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მუდმივად ამტკიცებდა იმას, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა პოლიციელს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა ანდა ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიციელები უსაფუძვლოდ ამტკიცებდნენ, რომ დემონსტრანტებმა გზის სავალი ნაწილზე შექმნეს საცობი. პატრული–ინსპექტორი თავის თავს ვალდებულად არ თვლის, აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად წარმოადგინოს მოწმეთა ჩვენებები, სხვა პირების წერილობითი ახსნა–განმარტებები, ვიდეომასალა ან სხვა რაიმე მტკიცებულება. მხოლოდ პატრული–ინსპექტორის განმარტება წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას იმისათვის, რომ მასში მოყვანილი გარემოება მოსამართლემ დადგენილად მიიჩნიოს. საქმის განხილვის დროს პატრული–ინსპექტორის ახსნა–განმარტებისა და მის მიერვე შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სიზუსტის პრეზუმფცია, რომლის არ ქარწყლდება ისეთი მტკიცებულებით, როგორიცაა ექვსი მოწმის ჩვენება (ბეგლარ ლოგუას საქმე) და საპროტესტო აქციის მიმდინარეობის ამსახველი ვიდეომასალით

(ირაკლი კაკაბაძის, დაჩი ცაგურიას და ლუკა წულაძის საქმეები). სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მოსამართლემ არ აკმაყოფილებს შუამდგომლობას ტელეკომპანიებიდან (ირაკლი კაკაბაძის, ლაშა ჩხარტიშვილის საქმე) და ვიდეოთვალის მფლობელი ორგანიზაციებიდან ვიდეომასალის გამოთხოვის თაობაზე (დაჩი ცაგურიას საქმე), საქმეზე არ ხდება დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ვიდეომასალის მონაცემების საქმეზე დართვა დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძის საქმე).

სამართალდარღვევის საქმის განმხილველ მოსამართლეს ეკისრება ვალდებულება, გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად: *„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა.“* ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილველად მომზადებისას ორგანო (თანამდებობის პირი) წყვეტს შემდეგ საკითხს: გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები; სასკ-ის 264-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა, დაადგინოს საქმის გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ზოგადად არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცების მაღალი სტანდარტების დადგენა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსად არ არის აღნიშნული, რომ ადამინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. სისხლის სამართლის პროცესისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო საქმისწარმოება ხასიათდება შემჭიდროებული ვადებით. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა დანაშაულისგან განსხვავებით ხასიათდება საზოგადოებრივი საშიშროების დაბალი ხარისხით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დანაშაულისაგან განსხვავებით, არ ტოვებს აშკარა კვალს. შესაბამისად, რთულია მსგავს საქმეებზე მცირე ვადებში მტკიცებულებათა ერთობლიობის მოპოვება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებთან ეფექტური ბრძოლისათვის საჭიროა დაჩქარებული წესით მათი დროული აღმოჩენა, აღკვეთა და პრევენცია. ადმინიტრაციული სახდელების უმრავლესობა სასჯელისაგან განსხვავებით არ ხასიათდება სიმკაცრის ისეთი ხარისხით, რომ მან მძიმე და შეუქცევადი შედეგები გამოიწვიოს. ამ მოსაზრებით შესაძლოა გამართლებული იყოს ის, რომ სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს დადგენილება ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გვხვდება ცალკეული მუხლი, რომლის სანქციაც ითვალისწინებს ისეთი მძიმე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომას, როგორიცაა ადმინისტრაციული პატიმრობა. ამ დროს ხდება ჩარევა ისეთ უმნიშვნელოვანეს უფლებაში, როგორიცაა ადამიანის თავისუფლება და

უსაფრთხოება, შესაბამისად, ეს ჩარევა უნდა იყოს კრიტიკულად აუცილებელი და სათანადოდ დასაბუთებული. ადმინისტრაციული პატიმრობის შესაძლო გამოყენების დროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოებისათვის ზოგადად დამახასიათებელი მტკიცების დაბალი სტანდარტი, სრულიად მიუღებელი ხდება და წარმოადგენს სამართლიან სასამართლოზე უფლების დარღვევას. ადმინისტრაციული პატიმრობის სახით პასუხისმგებლობის ზომას ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე (ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღემდე) და 166–ე (ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე) მუხლები. სწორედ აღნიშნული ნორმები გამოიყენება შეკრების თავისუფლების შესაზღუდად.

სახალხო დამცველის ამგვარი მოსაზრება მთლიანად ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე ,,ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ[11]“ განაცხადა, რომ კონვენციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს ავტონომიური მნიშვნელობა. ეს ნიშნავს იმას, რომ კონვენციისეული ტერმინების მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული მათ შიდასახელმწიფოებრივ კლასიფიკაციაზე. ტერმინ ,,სისხლისამართლებრივს“ შესაძლოა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობაში ჰქონდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისაგან განსხვავებული მნიშვნელობა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოში მიმდინარე პროცესზე არ გავრცელდება კონვენციის მე–6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს) მოქმედება, მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ქვეყნის კანონმდებლობა არ მიიჩნევს ამგვარ პროცესს სისხლისამართლებრივად. ტერმინ ,,სისხლისამართლებრივის“ გამოყენების საფუძვლად რომ მისი შიდასაკანონმდებლო კლასიფიკაცია მივიჩნიოთ, მაშინ სახელმწიფოებს შესაძლებლობა ექნებოდათ, კონვენციის მე–6 მუხლით აღებული ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით, ესა თუ ის მძიმე ხასიათის სანქცია დაედგინა არა სისხლისამართლებრივი, არამედ სამართლის სხვა დარგის საკანონმდებლო აქტით და ამგვარად, ასეთი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანები მოკლებული იქნებოდნენ სამართლიან სასამართლოზე უფლებით (ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ 81–ე პარაგრაფი).

ტერმინ ,,სისხლისსამართლებრივის“ განსაზღვრის დროს, სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა შიდა სამართლის დარგს, არამედ მონაწილე სახელმწიფოს კანონით დაწესებული

---

[11]Engel and others v. Netherlands *Application no. 5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72* საქმე ეხება ნიდერლანდების შეიარარებული ძალების წარმომადგენელთა განაცხადს. ჯარისკაცები ნიდერლანდების სამხედრო კოდექსის შესაბამისად, სხვადასხვა ვადით აღუკვეთეს თავისუფლება განცხადებლები ასაჩივრებდნენ, რომ სამხედრო ორგანო, რომელმაც მათ ამგვარი დისციპლინური ღონისძიება გამოიყენეს მათ მიმართ მიუკერძოებლობის კუთხით არ აკმაყოფილებდა კონვენციის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. ნიდერლანდების მთავრობის წარმომადგენლებმა აღნიშნული განაცხადის დაუშვებლად ცნობა მოითხოვეს. მათი განმარტებით, სამხედრო ორგანოზე, რომლის გადაწყვეტილებითაც განმცხადებლებს აღუკვეთეს თავისუფლება, არ ვრცელდება კონვენციის მე–6 მუხლის პირველი პუნქტი. მთავრობის წარმომადგენელთა განმარტებით, კონვენციის მე–6 მუხლის პირველი პუნქტით უფლება სამართლიან სასამართლოზე გარანტირებულია მხოლოდ სისხლისამართლებრივი ბრალდებისა და სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს. სამხედრო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში კი დისციპლინური ღონისძიების გამოყენების მარეგულირებელი პროცედურა არც სისხლისსამართლებრივია და არც სამოქალაქო.

სასჯელის (სანქცია) სიმკაცრის ხარისხს. როგორც ენგელისა და სხვების სასამართლო გადაწყვეტილებაშია აღნიშნული: ,,სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვაზე ევროპული სასამართლოს ზედამხედველობა ილუზიური იქნება, თუ მან მხედველობაში არ მიიღო იმ სასჯელის სიმძიმის ხარისხი, რაც ადამიანს შეიძლება დაემუქროს. საზოგადოება, რომელიც ემხრობა კანონის უზენაესობის პრინციპს, ე.წ. ,,სისხლისამართლებრივი" რეგულირების სფეროს მიაკუთვნებს, ისეთი სასჯელის სახეს, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი სასჯელი თავისი ბუნებით, ხანგრძლივობითა და აღსრულების მეთოდით არ შეიძლება შესამჩნევად საზიანო იყოს (82–ე პარაგრაფი)."

ენგელი და სხვები ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ საქმეში განსაზღვრული იქნა თავისუფლების აღკვეთის ზომები, რომელებიც თავისი ხანგრძლივობის გამო მიჩნეულია ,,სისხლისამართლებრივად." აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ორი დღე–ღამის განმავლობაში ჰაუპტვახტში ყოფნა, ისევე როგორც თორმეტი დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა, სასამართლომ არ მიიჩნია ,,სისხლისამართლებრივად." აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ,,სისხლისამართლებრივია" და შესაბამისად, კონვენციის მე–6 მუხლი ვრცელდება ისეთ პროცედურასთან დაკავშირებით, როდესაც არსებობს სამი–ოთხი თვით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა (85–ე პარაგრაფი).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ,,მეთიუსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ," ასევევ ,,სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ" განაცხადა, რომ კონვენცია წარმოადგენს სიცოცხლისუნარიან დოკუმენტს. ეს უპირველესად კონვენციის გამოყენების დინამიურობაში მდგომარეობს. კონვენცია არ არის ხისტი დოკუმეტი და დროის გასვლასთან ერთად, მან უნდა უპასუხოს ახალ რეალიებს. თუკი ესა თუ ის ქმედება ან ურთიერთობა ადრე არ ექცეოდა კონვენციის ამა თუ იმ მუხლით დაცულ სფეროში, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, შეიძლება მოექცეს კონვენციით დაცულ სფეროში. ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების გაფართოების გამო, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ შეუცვლია თავისი პრეცედენტული სამართალი. ორ კოლიზიურ გადაწყვეტილებას შორის უპირატესობა ენიჭება ყველაზე გვიან მიღებულს, ვინაიდან უკანასკნელი ადგენს ახალ სტანდარტებს. გაფართოების კუთხით ცვლილება განიცადა ტერმინი ,,სისხლისამართლებრივის" ცნების გამოყენების ფარგლებმაც.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ,,ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ" მიღებული იყო 1976 წლის 8 ივნისს. აღნიშნული გადაწყვეტილება ითვლება ყველაზე აღიარებულ პრეცედენტად, რომელმაც თავის დროზე განუზომლად დიდი როლი შეასრულა სამართლიანი სასამართლოს უფლების ფართო გამოყენებაზე. მიუხედავად ამისა, დროის გასვლასთან ერთად, აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის კუთხით შეიცვალა და კიდევ უფრო გაფართოვდა. თუკი ენგელის საქმე ეხებოდა სამხედრო დისციპლინური კოდექსით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის ,,სისხლისამართლებრივად" მიჩნევას, უფრო მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება სწორედ ადმინისტრაციული პატიმრობასა და მის ხანგრძლივობის ,,სისხლისამართლებრივად" განხილვას და შესაბამისად, მასზე სამართლიანი სასამართლოს უფლების გავრცელებას.

ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ ახალი სტანდარტები დაადგინა საქმეზე გალციანი სომხეთის წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილება იმ კუთხითაც არის საინტერესო, რომ განმცხადებელი ადმინისტრაციული წესით დააკავეს ერევნის ცენტრალურ მოედანზე პოლიტიკური ხასიათის საპროტესტო აქციაში მონაწილეობისათვის. გალციანი მისცეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში სომხეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172–ე მუხლით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობისათვის. ხსენებული მუხლის რედაქცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე მუხლის იდენტურია. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან აღნიშნული ნორმები შეიქმნა მაშინ, როდესაც საქართველო და სომხეთი ერთი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო.

გალციანს სასამართლომ წვრილმანი ხულიგნობისათვის შეუფარდა სამი დღით პატიმრობა. ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეში განაცხადა: ,,იმისათვის, რომ განისაზღვროს, განეკუთვნება თუ არა ესა თუ ის სამართალდარღვევა კონვენციის მიზნებისათვის ,,სისხლისამართლებრივს" პირველ რიგში, აუცილებელია დადგინდეს, მონაწილე სახელმწიფოს სამართლის სისტემაში მოქმედი დებულებები მიაკუთვნებენ თუ არა ასეთ სამართალდარღვევას სისხლის სამართლის სფეროს, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში უნდა გაირკვეს ,,სამართალდარღვევის ბუნება" და იმ სასჯელის სიმკაცრის ხარისხი, რისი გამოყენების რისკიც არსებობს (56–ე პარაგრაფი).

,,შიდასამართლებრივი კლასიფიკაციით სასამართლომ ადრეც, კერძოდ კი საქმეში ,,პალაორა ავსტრიის წინააღმდეგ" საქმეშიც (*Palaoro v. Austria*, judgment of 23 October 1995, Series A no. 329-B, p. 38, §§ 33-35) დაადგინა, რომ სფერო, რომელიც ზოგიერთ სამართლის სისტემაში განსაზღვრულია, როგორც ,,ადმინისტრაციული," მოიცავს ზოგიერთ სამართალდარღვევას, რომელიც თავისი ბუნებით არის სისხლისამართლებრივი, მაგრამ ძალიან ტრივიალურია მათი სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსით რეგულირება (57–ე პარაგრაფი). ბოლოს, სასჯელის სიმკაცრესთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ სამართალდარღვევისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენება ზოგადად მიეკუთვნება სისხლის სამართლის სფეროს. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს შეეფარდა სამი დღით აღუკვეთეს თავისუფლება და ამ დროის განმავლობაში იმყოფებოდა დაკავების ადგილას. უფრო მეტი, სასჯელის მაქსიმალური ზომა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, არის ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით (59–ე პარაგრაფი).

აღნიშნული გარემოებები ასაბუთებს იმას, რომ დარღვევა, რომელიც ბრალად შეერაცხა განმცხადებელს, კონვენციის მიზნებისათვის კვალიფიცირებული უნდა იყოს როგორც ,,სისხლისამართლებრივი," შესაბამისად, აღნიშნულ სფეროში მოქმედებს კონვენციის მე–6 მუხლი (მე–60 პარაგრაფი).

აღსანიშნავია, რომ იგივე გარემოებები არსებობდა ბოლო დროის, ,,აშუღიანი სომხეთის წინააღმდეგ" საქმეში.[12] გალციანისაგან განსხვავებით აშუღიანს სამდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის ნაცვლად დაეკისრა ჯარიმა 1500 სომხური დრამის (2,4 ევრო) ოდენობით. სასამართლომ სასჯელის სიმკაცრის ხარისხზე მსჯელობისას მიუთითა გალციანის საქმეზე. ამგვარად, ამ შემთვხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ არსებობდა 15 დღის ვადამდე ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა, რაც ქმედების ,,სისხლისამართლებრივ" ხასიათზე მიუთითებს.

სამართლიან სასამართლოს უფლების ძირითადი ასპექტი არის ის, რომ სისხლისამართლებრივი პროცედურა უნდა წარიმართოს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით. მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის დროს ბრალდებისა და დაცვის მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობებით.[13] ადამინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 166–ე და 173–ე მუხლებითან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს თანასწორობის პრინციპთან შეუთავსებელია ბრალდების მხარე, პატრული–ინსპექტორის ახსნა–განმარტების კრიტიკული განხილვის გარეშე შეფასება და სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ ამგვარ მტკიცებულებაზე დაფუძნება. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, პირველ რიგში, ეროვნული სასამართლოების საქმეა მტკიცებულებათა შეფასება, მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლოს ამოცანაა ყოველ საქმეში გაარკვიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დროს დაცული იყო თუ არა მხარეთა თანაბარი შესაძლებლობის პრინციპი და იყო თუ არა ადეკვატურად დაცული ბრალდებულის ინტერესები.[14] მე–6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევად ჩაითვლება, როდესაც სასამართლომ არ გამოიკვლია დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, არ გამოიძახა დაცვის მოწმეები და საბოლოო გადაწყვეტილება არ მიიღო სხვადასხვა მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე.[15]

სასამართლო 166–ე და 173–ე მუხლებთან დაკავშირებით საქმეების განხილვისას საქმის გარემოებები უნდა დააფუძნოს სხვადასხვა უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობას. დაუშვებელია დადგენილება ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მხარის ახსნა–განმარტებას, ვინაიდან იმ დროს, როდესაც სავარაუდო სამართალდამრღვევს ემუქრება ადმინისტრაციული პატიმრობა 15 ან 30 დღემდე, სახეზეა ,,სისხლისსამართლებრივი" სამართალდარღვევა და ამ დროს სასამართლომ სათანადოდ, უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, დაცვის უფლება და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს უტყუარი მტკიცებულების ერთობლიობით.

---

[12] Case of ASHUGIAN vs. Armenia *Application no. 33268/03* საპროტესტო აქცია და საქმის გარემოებები არის იგივე რაც, გალციანი სომხეთის წინააღმდეგ საქმეში

[13] Case of Rowe and Davis v. the United Kingdom Application no. 28901/95 16 February 2000 Paragraph 60

[14] იგივე 62–ე პარაგრაფი.

[15] CASE OF SIGURÞÓR ARNARSSON v. Iceland Application no. 44671/98 15 July 2003 Paragraph 37

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების საქმეების განხილვისას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლეები უთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალზე. თუმცა ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დაცვის სტანდარტი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გაიზარდა. ყველაფერი პირიქითაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ლიბერალური ხასიათის სამართლის ნორმების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ ქვეყანაში ეფექტურად ხდება ძირითადი უფლებების რეალიზაცია. სახალხო დამცველის ხელთ არსებული სასამართლოს დადგენილებების ასლები ადასტურებს იმას, რომ მოსამართლეებს წინასწარ შემუშავებული აქვთ ევროპული სასამართლოს ერთ–ერთი გადაწყვეტილების შაბლონი, რომელიც სიტყვასიტყვით მეორდება ყველა დადგენილებაში. ხშირად შაბლონურ ტექსტს არანაირი შეხება არა აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე და 166–ე მუხლით პასუხისგებაში მიცემული პირების საქმის გარემოებებთანაც კი.

შაბლონური ტექსტი, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლო ხელმძღვანელობს, არის ამონარიდი იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ საქმიდან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტექსტი პირველად 2007 წლის 16 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარემ, მაია კოპალეიშვილმა გამოიყენა თავის დადგენილებაში. ადამინისტრაციული სამართალდარღვევის სხვა საქმეებისაგან განსხვავებით, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სახდელის დადების შესახებ დადგენილებაში მითითებული იყო სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული საქმის სახელწოდებაზე. საანგარიშო პერიოდში მიღებულ არც ერთ დადგენილებაში, მოსამართლეების, მამია ფხაკაძისა და ლელა კალიჩენკოს მიერ მიღებული არც ერთ დადგენილებაში არის მითითებული საქმის სახელწოდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ შეკრებისა და მანიფეტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული მიღებული დადგენილების წინასწარ მომზადებული სტანდარტული ტექსტი გამოიყურება შემდეგი სახით:

,,ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია მიუთითებს გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაზე, თუმცა იქვე აწესებს პოლიციისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებათა განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას, შეკრების მონაწილეებმა უნდა დაიცვან ამ პროცესის მარეგულირებელი ნორმები ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

ხელისუფლება სარგებლობს შეფასების ფართო კრიტერიუმებით და უფლებამოსილია ლეგიტიმურად შეზღუდოს შეკრება, თუ შეკრება შესაძლოა გადაიზარდოს საზოგადო არეულობაში. ასეთი ჩარევა არის აბსოლუტურად პროპორციული, რადგან შეკრება იზღუდება არა ზოგადად, არამედ ერთ კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სარგებლობენ დაცვის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე პოლიტიკოსები; საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცების მიზნით აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან დაცვა მათ მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს."

მართალია მითითებული არ არის, მაგრამ პირველ და მესამე აბზაცში მოყვანილი ტექსტი არის ამონარიდი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ,,იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ" საქმეზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–10 მუხლს (გამოხატვის თავისუფლება) და არა მე–11 მუხლს (შეკრების თავისუფლება). საანგარიშო პერიოდში განხილული საქმეების უმრავლესობა უკავშირდებოდა არა გამოხატვის, არამედ შეკრების თავისუფლებას. ეს უკანასკნელი დაცულია არა მე–10, არამედ მე–11 მუხლით. შეკრების თავისუფლება ზემოხსენებულ საქმეებთან მიმართებაში არის Lex Specialis.

იანოვსკის საქმე, რომელსაც ასე გაუცნობიერებლად, ფართოდ იყენებს საქართველოს სასამართლო, არანაირ კავშირში არ არის შეკრების თავისუფლებასთან. საქმე ეხება ვარშავის ერთ–ერთ ცენტრალურ მოედანზე პოლიციელსა და გარე მოვაჭრეს შორის შელაპარაკებას. მუნიციპალური პოლიციის თანამშრომელმა იანოვსკის მოსთხოვა უნებართვო გარე ვაჭრობის შეწყვეტა. ამის საპასუხოდ რამდენიმე თვითმხილველის თანდასწრებით იანოვსკიმ პოლიციელს ,,სულელი" უწოდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ხაზგასასმელია, რომ იანოვსკის საქმე გარე ვაჭრობის ერთ ბანალურ მიზეზთან იყო დაკავშირებული. არავინ არ იცის თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა ევროპული სასამართლო იანოვსკის შეურაცხმყოფელი გამონათქვამი პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხთან დაკავშირებით რომ ყოფილიყო გაკეთებული. სახალხო დამცველი მიუთითებს ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საქმეზე ,,ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ," როდესაც საგაზეთო პუბლიკაციის ავტორმა ავსტრიის ფედრალურ კანცლერს იორგ ჰაიდერს ,,იდიოტი" უწოდა და ამის გამო ჟურნალისტის დასჯა სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე–10 მუხლის დარღვევად. პოლიციელების შეურაცხყოფასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე ,,თორგეირ თორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ." აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დარღვევად მიიჩნია იმ ჟურნალისტის დაჯარიმება, რომელმაც პოლიციელებს ,,მკვლელები" უწოდა. სასამართლოს აზრით, ჟურნალისტის გამოხატვა იანოვსკის საქმისაგან განსხვავებით ეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საგანს. ,,თანასწორობის ინსტიტუტისა" და მალხაზ ჯანგირაშვილის მიერ მოწყობილი საპროტესტო აქცია ატარებდა პოლიტიკური ხასიათს, ,,ახალგაზრდული ფრონტისა"

და ბეგლარ ლოგუას საპროტესტო აქცია იყო გამოძახილი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხთან დაკავშირებით. ევროპულ სასამართლოს არაერთხელ განუცხადებია, რომ პოლიტიკურ და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოს შეფასების ზღვარი ვიწროა.

როდესაც ქართული სასამართლო იყენებს იანოვსკის საქმეს, მან უნდა დაასაბუთოს, რომ ადგილი ჰქონდა წვრილმან ხულიგნობას. სწორედ ხულიგნობად შეაფასეს პოლიციელისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება პოლონეთის სასამართლოებმა, რომლებმაც იანოვსკის დააკისრეს ჯარიმა. მაია კოპალეიშვილის 2007 წლის 16 ოქტომბერის დადგენილება ირაკლი ჯაფარიძისა და სხვათა მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე უფრო რელევანტური იყო „იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ“ საქმეზე ევროსასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან. ირაკლი ჯაფარიძე, ირაკლი გაფრინდაშვილი, ირაკლი ჩუხუა და გიორგი მესტუმრიშვილი ცნეს სამართალდამრღვევებად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლის შესაბამისად. სრულიად გაუგებარია, რატომ გამოიყენა თბილისის საქალაქო სასამართლომ ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება „თანასწორობის ინსტიტუტისა“ და მალხაზ ჯანგირაშვილის საქმეში, ბეგლარ ლოგუას, ასევე დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძის საქმეში. „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები, მალხაზ ჯანგირაშვილი და ბეგლარ ლოგუა არასოდეს ყოფილან მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში წვრილმანი ხულიგნობის მუხლით, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე მამია ფხაკაძემ დადგენილებაში მიუთითა, რომ ბეგლარ ლოგუამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის თანამშრომელს. დაჩი ცაგურია და ლუკა წულაძე მართალია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული იყვნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე და 173–ე მუხლებით, თუმცა მოსამართლე ლელა კალიჩენკომ საქმის წარმოება შეწყვიტა ასკ–ის 166–ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნაწილში. სიტყვიერი შეურაცხყოფა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტს. გაუგებარია, თუ რატომ უთითებენ საქართველოს სასამართლო ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც იცავს პოლიციელს სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან, მაშინ როდესაც პიროვნება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ან საერთოდ არასოდეს ყოფილა მიცემული სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო (166–ე მუხლით), ანდა ამ ნაწილში საქმისწარმოება თავად საქმის განმხილველმა მოსამართლემ შეწყვიტა. სასამართლოებისათვის ნათელი უნდა იყოს ერთი გარემოება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ მოიცავს სიტყვიერ შეურაცხყოფასაც. იმ შემთხვევაში, როდესაც დადგინდება, რომ პოლიციელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე მუხლით, თუნდაც ეს უკანასკნელი ერთობლიობაში მოდიოდეს 173–ე მუხლთან.

ეს ფაქტები მიუთითებს, რომ საქართველოს მოსამართლეებს არა აქვთ გაცნობიერებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სულისკვეთება.

შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა უსაფრთხოება და საარჩევნო კამპანია

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 74–ე მუხლი ადგენს სპეციალურ დებულებებს წინასაარჩევნო შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების დაცვის კუთხით. საარჩევნო კამპანიის მიზანია ამომრჩეველთა მაქსიმალური ინფორმირება დროის თვალსაზრისით მკვეთრად შეზღუდული პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საარჩევნო კოდექსის 74–ე მუხლის მე–2 პუნქტით დადგენილია ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონისგან განსხვავებული წინასწარი შეტყობინების ვადა, თუკი შეკრება და მანიფესტაცია ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ,,შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონით წინასწარი გაფრთხილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში აქციის ჩატარებამდე ხუთი დღით ადრე უნდა იქნეს შეტანილი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი 74–ე მუხლის მე–2 პუნქტმა ეს ვადა ორამდე შეამცირა.

საარჩევნო კოდექსის 74–ე მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებათა უსაფრთხოება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არ გააჩნია სათანადო რესურსები უზრუნველყოს შეკრების უსაფრთხოება. ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 16 მაისის #634–ე ბრძანების მე–16 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მართლწესრიგის დაცვის ამოცანა ეკისრება საპატრულო პოლიციას. საარჩევნო კოდექსის 74–ე მუხლის მე–4 პუნქტის მოთხოვნები გაგებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ ორი დღით ადრე შეკრებისა და მანიფესტაციის პასუხისმგებელი პირი აფრთხილებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შეკრების ჩატარების თაობაზე. თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო შეკრების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას აცნობს საპატრულო პოლიციას, რომელიც ვალდებულია დემონსტრაციის ჩატარების დღეს დაიცვას მონაწილეთა ფიზიკური უსაფრთხოება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ,,ექიმები სიცოცხლისათვის ავსტრიის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას დემონსტრანტები იმ პირების ფიზიკური თავდასხმისაგან, რომლებიც არ იზიარებენ დემონსტრაციის მიზნებს. ამ დროს პოლიცია უნდა ჩადგეს დაპირისპირებულ მხარეებს შორის და არ მისცეს დემონსტრანტებსა და კონტრდემონსტრანტებს ერთმანეთთან მიახლოების საშუალება.

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა გამოირჩეოდა დაძაბულობითა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების პროტესტით. საპატრულო პოლიცია ხშირად ვერ უზრუნველყოფდა საპროტესტო აქციების მშვიდობიან ვითარებაში წარმართვას და დემონსტრანტების უსაფრთხოებას. ოპოზიციური პარტიის აქტივისტები, რომლებიც აწყობდნენ

საპროტესტო აქციებს, არ იყვნენ დაცული სხვა ფიზიკური პირების მხრიდან თავდასხმისაგან.

2008 წლის 9 მაისს ნაძალადევის ოლქში ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების" დეპუტატობის კანდიდატის, ეკა ბესელიას საარჩევნო შტაბის წევრებმა საპროტესტო აქცია მოაწყეს ,,ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, მერაბ სამადაშვილის საარჩევნო შტაბთან. დემონსტრანტების განცხადებით, მერაბ სამადაშვილი ამომრჩევლებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს ურიგებდა. პროტესტის ნიშნად, ეკა ბესელიას მომხრეებმა საარჩევნო შტაბის შესასვლელთან ერთჯერადი შპრიცები დაყარეს. აღნიშნულმა ქმედებამ მერაბ სამადაშვილის საარჩევნო შტაბის წევრების გაღიზიანება გამოიწვია. ამის შემდეგ, ,,ნაციონალური მოძრაობისა" და ,,ეროვნული საბჭოს" აქტივისტებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. პოლიციამ საქმეში მოგვიანებით ჩაერთო. საბოლოოდ მოხერხდა დაპირისპირებული მხარეების დაშოშმინება, თუმცა ფიზიკური შეჯახება თავიდან მაინც ვერ იქნა აცილებული.

საარჩევნო კამპანიის დროს, რომელიც ემოციურად საკმაოდ არის დამუხტული, პოლიციას მართებს მეტი მობილიზება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საპროტესტო შეკრების მშვიდ და უსაფრთხო ვითარებაში წარმართვა. საარჩევნო სუბიექტებს უნდა მიეცეთ მათ შეხედულებების საპროტესტო აქციაზე გამოხატვის შესაძლებლობა. თუმცა იმავე დროს მათაც მართებს კანონმდებლობის დაცვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში წინასწარი შეტყობინების წარდგენის ვალდებულება, რაც საპატრულო პოლიციის მხრიდან მათი უსაფრთხოების დაცვის გონივრულ მოლოდინს უნდა წარმოშობდეს.

გადაადგილების თავისუფლება

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ,,გაერთიანებულმა ოპოზიციამ" ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ, ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქციის ჩატარება განიზრახა. ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ჩაატარეს სულ ორი საპროტესტო აქცია, 2008 წლის 26 მაისსა და 7 ივნისს. მართალია, აღნიშნული საპროტესტო აქციები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, თუმცა მათი ზოგიერთი მონაწილე დემონსტრაციაზე მისვლისას გარკვეულ სირთულეებს წააწყდა.

თბილისში დაგეგმილ საპროტესტო აქციაზე მომავალ პირებს ექმნებოდათ წინაღობები ტრანსპორტირების დროს. ხელის შეშლა გამოიხატებოდა მართვის მოწმობის ჩამორთმევაში, სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებაში, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გზით. სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოსვლის იძულებაში. ამგვარი სირთულეების შექმნა ხდებოდა სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონში. დაზარალებულთა განმარტებით, თავად სამართალდამცავი

ორგანოს წარმომადგენლები უშლიდნენ ხელს მათ გადაადგილებაში. ძალადობის ფაქტებზე არ რეაგირებდა საპატრულო პოლიცია. ყველა ზემოხსენებულ შემთხვევებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

თბილისში გამგზავრებამდე საპროტესტო აქციის მონაწილეებს ტელეფონით უკავშირდებიან და ემუქრებიან, თავის შეიკავონ თბილისში გამგზავრებაზე. მუქარის ზარები ხორციელდება სპეც–ნომრებიდან. ერთერთი ასეთი ნომერია 860470000. აღსანიშნავია, რომ იგივე ნომერი ფიგურირებს, ,,გაერთიანებული ოპოზიციის" აქტივისტის ნონა საღარეიშვილის საქმეში, რომელსაც 2008 წლის ივნისის თვეში დაგეგმილ მიტინგამდე ასევე სატელეფონო ზარების მეშვეობით ემუქრებოდნენ და ბოლოს საკუთარ სადარბაზოსთან ახრჩობდნენ.

გზად მიმავალ აქტივისტებისთვის შექმნილ წინაღობას ერთ შემთხვევაში ჰქონდა კანონიერი სახე. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები აჩერებენ ავტომანქანას, საჭესთან მჯდომ პირს ამოწმებენ სიმთვრალეზე. ამის შემდეგ ხდება ავტომანქანის საჯარიმო ბაზაზე გადაყვანა, მგზავრებს კი ტოვებენ ავტომაგისტრალზე დაუსახლებელ ადგილას (იხ. ირაკლი კაკულიას საქმე). მეორე შემთხვევაში გადაადგილებისას ხელის შეშლა უფრო ძალადობრივ ფორმას ატარებს. თავდამსხმელები დაშინების გზით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ თბილისში წასვლაში. თბილისისკენ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებას თავს ესხმიან ნიღბიანები. აზიანებენ სატრანსპორტო საშუალების საქარე მინებს (ნანა ფაჟავასა და პარტია ,,თავისუფლების" აქტივისტების საქმე). ქალაქის ცენტრში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერის სახლის მახლობლად ავტომატის ჯერს ცლიან (ირაკლი კაკულიას საქმე).

თავდამსხმელთა ქმედებაში იკვეთება, სისხლის სამართლის კოდექსის 187–ე მუხლით გათავალისწინებული ქმედების ნიშნები. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვისი ქონების განადგურებისათვის. თავდამსხმელების მიერ დარღვეულია ასევე შეკრების თავისუფლება, რაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან მოითხოვს ქმედების დამატებით კვალიფიკაციას 161–ე მუხლით. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შეკრებისა და მანიფესტაციაში მონაწილეობისათვის ხელის შეშლისათვის, რაც ჩადენილია ძალადობით. აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია. დანაშაული დამთავრებულია ხელშემშლელი ქმედების განხორციელების მომენტიდან. კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, შეძლეს თუ არა შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღება დაზარალებულებმა დანაშაულებრივი ზემოქმედების შედეგად.

აქვე თვალში საცემია საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან გამოვლენილი სამსახურეობრივი გულგრილობა – ქმედება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 242–ე მუხლით. სამართალდამცავებმა დროულად არ მოახდინეს რეაგირება თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით და ,,ცხელ კვალზე" არ მოახდინეს დაზარალებულთა მიერ მითითებული დანაშაულის ჩადენი პირების დაკავება, მაშინ როდესაც აღნიშნული პირები იმყოფებოდნენ სამართალდამცავი პირების თანდასწრებით (იხ.ნანა ფაჟავასა და პარტია ,,თავისუფლების" საქმე)

წინასწარი გამოძიების მიმდინარეობა შვიდი ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით

2008 წლის 8 იანვარს შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრმა, ,,ვექტორმა" სახალხო დამცველს გაუგზავნა სასამართლო–სამედიცინო დასკვნების ქსეროასლები. აღნიშნული დასკვნის თანახმად: *ვახტანგ ინასარიძეს მარცხენა წვივის წინა ზედაპირზე, ქვემო მესამედში აღენიშნება კანის დაჟეჟილი ჭრილობა, კანქვეშა რბილი ქსოვილების დაზიანებითა და ჭრილობის შესაბამისად ორივე წვივის ძვლის მსხვრევადი მოტეხილობა. ვახტანგ ინასარიძის სხეულის დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს.* იმავე დასკვნის თანახმად, დაზიანება განვითარებული უნდა იყოს საკმაო კინეტიკური ენერგიის მქონე, რაიმე ფეთქებადი საგნის მოქმედებით. ნიკა დიდიშვილის დასკვნაში აღნიშნულია: *,,ჭრილობებში უცხო სხეულების არსებობის გათვალისწინებით, დაზიანება განვითარებული უნდა იყოს საკმაო კინეტიკური ენერგიის მქონე რაიმე ფეთქებადი საგნის მოქმედებით.* გიორგი თევდორაშვილის დასკვნაში აღნიშნულია: *,,დაზიანება განვითარებული უნდა იყოს ცეცხლსასროლი კომპონენტისა და საკმაო კინეტიკური ენერგიის მქონე ფეთქებადი საგნის მოქმედებით."*

2008 წლის 7 აპრილს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს, თინათინ გოლეთიანს და მოითხოვა ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. რა მუხლით მიმდინარეობს გიორგი თევდორაშვილის, ნიკა დიდიშვილისა და ვახტანგ ინასარიძის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე წინასწარი გამოძიება
2. რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა აღნიშნულ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად
3. ცნეს თუ არა დაზარალებულად გიორგი თევდორაშვილი, ნიკა დიდიშვილი და ვახტანგ ინასარიძე
4. გამოიკვეთა თუ არა კონკრეტული პირების ბრალეულობა ზემოხსენებულ საქმეზე.

წერილს თან ახლდა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის ასლიც.

2008 წლის 16 მაისს სახალხო დამცველს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან ეცნობა შემდეგი:

,,2007 წლის 10 ნოემბერს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #06078035 საქმეზე, 2007 წლის 7 ნოემბერს ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირსა და რიყის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების შედეგად ცალკეულ მოქალაქეთა მიერ მიღებული სხეულის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის მე–3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის გიორგი თევდორაშვილი, ნიკოლოზ დიდიშვილი და ვახტანგ ინასარიძე. ჩატარდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზები. ამ ეტაპზე დაზარალებულად არავინ არის ცნობილი. ამჟამად საქმეზე გრძელდება გამოძიება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68–ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს დაზარალებულის ცნებას:

დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

წინასწარი გამოძიება თანხმდება იმის თაობაზე, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ცალკეული პირების მიმართ ჩაიდინეს დანაშაული. მაშინ როდესაც ამ ცალკეულ პირთაგან, სამმა წარადგინა მტკიცებულება, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად განიცადა სულ მინიმუმ ფიზიკური ზიანი, გამომძიებელი ან პროკურორი იმავე 68–ე მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, ვალდებული იყო მიეღო დადგენილება მათი დაზარალებულად ცნობის თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მოხდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა არის ჩვეულებრივი მტკიცებულება და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 364–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი დასკვნა სავალდებულო წესით დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად. როგორც ჩანს, გამომძიების მიერ სრულად არის იგნორირებული აღნიშნული ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის შედეგები და რაც მთავარია, უხეშად ირღვევა სისხლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები.

აქვე თვალშისაცემია ის გარემოებაც, რომ გიორგი თევდორაშვილის, ნიკოლოზ დიდიშვილის და ვახტანგ ინასარიძის მიმართ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის. სამივე ზემოხსენებული პიროვნების ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სხეულის დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს. ეს ქმედება წარმოადგენს არა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას, არამედ მძიმე დაზიანებას. ამ ქმედებისათვის პასუხისმგებლობა დადგენილია არა სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლით, არამედ უფრო მძიმე სანქციის მქონე 117–ე მუხლით. 118–ე მუხლის მე–3 ნაწილი, რომლითაც წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს, სანქციის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე. ზუსტად იგივე ზომის სანქციაა გათვალისწინებული 117–ე მუხლის პირველი ნაწილით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რიყეზე სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო არა ერთმა, არამედ სამმა პირმა, მაშინ ქმედების კვალიფიკაცია უნდა მომხდარიყო 117–ე მუხლის მე–7 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, რაც ჩადენილია ორი ან მეტი პირის მიმართ. 117–ე მუხლის მე–7 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს უფრო მკაცრ სანქციას, თავისუფლების აღკვეთას ცხრიდან თორმეტ წლამდე ვადით.

დასკვნები

1. სასამართლო პრაქტიკაში არასწორად არის მოსამართლე ლელა კალიჩენკოს მიერ დამკვიდრებული ,,შენობის“ ცნება და საჭიროა მისი ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებათან შესაბამისობაში მოყვანა.

2. გაიზარდოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე და 173–ე მუხლებით დადგენილი სამართალდარღვევების განხილვისას მტკიცების სტანდარტი. სასამართლომ კრიტიკულად, მიუდგეს პატრული ინსპექტორის ისეთი ახსნა–განმარტებებს, როდესაც ისინი მიუთითებენ პასუხისგებაში მიცემული პირების მიერ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობის შეფერხებასა და სამართალდამცავებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას. აღნიშნული გარემოებების დასადგენად სასამართლომ არ უნდა თქვას უარი დამატებითი მოწმეების დაკითხვაზე და საჭიროების შემთხვევაში ვიდეომასალის მტკიცებულების სახით გამოკვლევაზე.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენებისას, სიფრთხილით მიუდგეს ,,იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ“ საქმეში მიღებული გადაწყვეტილების გამოყენებას. თავი შეიკავოს მისი გამოყენებისაგან იმ შემთხვევაში, როდესაც საქმისწარმოება ასკ–ის166–ე მუხლით საქმისწარმოება წყდება,

4. საქართველოს სასამართლომ უფრო აქტიურად გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც სპეციალურად ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–11 მუხლს (ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ, ნურეტტინ ალდემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, ბალჩიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, გალციანი სომხეთის წინააღმდეგ, აშუღიანი სომხეთის წინააღმდეგ)

5. ტრანპორტისა და ხალხის მოძრაობის შეფერხება, თუ მას თან ახლავს რაიმე სხვა გასაკიცხი, ძალადობრივი ქმედება, არ წარმოადგენს საპროტესტო აქციის დაშლისა და მისი ორგანიზატორებისათვის ადმინისტრაციული სანქციის დაკისრების საფუძველი, თუნდაც ხუთი დღით ადრე არ იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში გაფრთხილება შეტანილი

6. მეტი შემწყნარებლობა გამოიჩინოს იმ საპროტესტო აქციის მიმართ, რომელიც მთავრდება შემჭიდროებულ ვადებში.

რეკომენდაცია და წინადადებები

შინაგან საქმეთა სამინისტროს

1. ეფექტური წინასწარი გამოძიება აწარმოოს ნანა ფაჟავასა და პარტია ,,თავისუფლების“ აქტივისტების თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით

2. ეფექტური წინასწარი გამოძიება აწარმოოს ირაკლი კაკულიას სახლზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით

პროკურატურას

1. დაზარალებულად იქნეს ცნობილი 2007 წლის 7 ნოემბერს დაზარალებული სამი პირი: ვახტანგ ინასარიძე, გიორგი თევდორაშვილი და ნიკოლოზ დიდიშვილი.

2. მათ მიმართ ჩადენილი ქმედება გადაკვალიფიცირდეს 118–ე მუხლის მე–3 ნაწილიდან 117–ე მუხლის მე–7 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით.

3. დადგეს ყველა იმ პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც 2008 წლის 7 ივნისს ოპოზიციური პარტიის აქტივისტებს ხელი შეუშალა თბილისში გამგზავრებაში

გაერთიანების თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 26–ე მუხლის პირველი პუნქტი ყველასათვის უზრუნველყოფს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლებას. იმავე მუხლის მე–2 პუნქტი კი შეეხება მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლებას. აღნიშნული უფლების განხორციელების მიმართ ამავე მუხლის მე–3 პუნქტით დაწესებულია შემდეგი შეზღუდვები: ,,დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.“

საქართველოს კონსტიტუციის გარდა, გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილი და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–11 მუხლით.

საანგარიშო პერიოდში გაერთიანების თავისუფლების რეალიზაციას სერიოზული პრობლემა შეექმნა. ძირითადი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისათვის დაფინანსების შეწყვეტით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სახელმწიფოს ვალდებულება ამგვარი გაერთიანების საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფის კონტექსტში.

პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის თავისუფლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში ,,სოციალისტური პარტია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ,“ განაცხადა: ,,დემოკრატიის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების დიალოგის გზით გადაწყვეტის შეთავაზების შესაძლებლობა. რამდენადაც მოსაბეზრებელი არ უნდა იყოს დიალოგის პროცესი, ამ დროს გამორიცხულია ძალადობა. არ შეიძლება, არსებობდეს პოლიტიკური ჯგუფის საქმიანობისათვის ხელის შეშლის რაიმე გამართლება, როდესაც ეს უკანასკნელი ითხოვს ქვეყნის მოსახლეობის ნაწილის მდგომარეობის თაობაზე საჯარო დებატებს და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას, იმ მიზნით, რომ დემოკრატიული წესების დაცვით მიაღწიოს პრობლემის ყველასათვის მისაღები გზით გადაჭრას“ (CASE OF SOCIALIST PARTY AND OTHERS v. TURKEY application # 20/1997/804/1007 paragraph 45).

სტრასბურგის სასამართლომ, საქმეში ,,გაერთიანებული კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ,“ განაცხადა: ,,გაერთიანება, პოლიტიკური პარტიის ჩათვლით, არ არის გამორიცხული კონვენციით გარანტირებული დაცვის სფეროდან მხოლოდ იმის გამო, თუ ეროვნულ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ასეთი გაერთიანების საქმიანობა ზიანს აყენებს სახელმწიფოს კონსტიტუციურ სტრუქტურას და, ამის გამო, ხელისუფლება ასეთ გაერთიანებას შეზღუდვებს

უწესებს“ (CASE OF UNITED COMMUNIST PARTY OF TURKEY AND OTHERS v. TURKEY application #133/1996/752/951 paragraph 27)[16].

ქვეყანაში გაერთიანების თავისუფლებას სერიოზული დარტყმა მიაყენა ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებამ. 2008 წლის 15 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დეპუტატების პავლე კუბლაშვილის, კახაბერ ანჯაფარიძის, მურთაზ ზოდელავასა და ჩიორა თაქთაქიშვილის საკანონმდებლო ინიციატივა და ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონის 31–ე მუხლის მე–5 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

,, 5. პარტიას, რომელსაც უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შედეგის მიხედვით ამ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა ეკუთვნის, დაფინანსებას ვერ მიიღებს ან დაფინანსება შეუწყდება, თუ:

ა) პარტიის პროპორციული სისტემით არჩეულ ყველა წევრს შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება;“

ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილება სწორედაც რომ კონკრეტულ, ერთჯერად და ყველასათვის კარგად ცნობილ მოვლენაზე იყო გამოძახილი. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული ცვლილების მიღება განაპირობა 2008 წლის ივნისის თვეში საარჩევნო ბლოკის ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ პროპორციული სიით არჩეული ათი დეპუტატის მიერ პროტესტის ნიშნად პარლამენტის წევრის უფლებამოსილებაზე უარი თქმამ. ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ პროპორციული სიით არჩეულმა ათმა პარლამენტის წევრმა (ლევან გაჩეჩილაძე, კონსტანტინე გამსახურდია, გუბაზ სანიკიძე, გიორგი ხაინდრავა, ეკა ბესელია, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, მამუკა კაციტაძე, ფიქრია ჩიხრაძე და ირაკლი იაშვილი) და იმავე ბლოკის მაჟორიტარმა დეპუტატებმა (დავით გამყრელიძე და დავით საგანელიძე) მიიჩნიეს, რომ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა. ასეთი წესით არჩეული პარლამენტი, ყოფილი დეპუტატების აზრით, იყო არალეგიტიმური და ამის გამო მოითხოვეს მათთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიღებით, იმ პარტიების მიმართ გატარებულმა სანქციამ, რომლის პროპორციული სიით არჩეულმა პირებმა უარი თქვეს პარლამენტის წევრის მანდატზე, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26–ე მუხლის მე–2 პუნქტით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–11 მუხლით აღიარებული პოლიტიკური პარტიის საქმიანობის თავისუფლების პრინციპს.

სახალხო დამცველი ჯერ კიდევ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვისას მიიჩნევდა და დღესაც იმავე პრინციპების ერთგული რჩება, რომ კანონი, თავისი არსით, წარმოადგენს ზოგადი რეგულირების ნორმატიულ აქტს და მასში არ უნდა აისახებოდეს კონკრეტულ, ერთჯერად მოვლენებზე ორიენტირებული

[16] http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=11%20%7C%20political%20%7C%20parties&sessionid=14922385&skin=hudoc-en

ცვლილებები. მსგავსი მოვლენა უარყოფით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემისა და საკანონმდებლო ბაზის მართებულ განვითარებაზე.

გარდა ამისა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით, ნათელია, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსების მოპოვების კრიტერიუმს წარმოადგენს არა პარლამენტში ყოფნა, არამედ პარტიის მიერ საპარლამენტო არჩევნებში 4%–იანი ბარიერის გადალახვა.

საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეულ პოლიტიკოსებს სრული უფლება აქვთ, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა თავიანთი შეხედულებისამებრ და იმ ფორმით მიიღონ, როგორითაც ისინი მიიჩნევენ საჭიროდ. მათ ასევე შეუძლიათ, აირჩიონ პროტესტის ნებისმიერი მშვიდობიანი ფორმა. შესაბამისად, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, განსაზღვროს მათი საქმიანობის სახე და დააწესოს სანქცია იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა არ პასუხობს ხელისუფლების მოთხოვნებს. აღნიშნული წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლების შელახვას კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი საფუძვლებით.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ აღნიშნული პარტიები წარმოადგენენ ამომრჩეველთა მინიმუმ 4%–ს და, როგორც წესი, მოქმედებენ ამ უკანასკნელთა ნების შესაბამისად. ამომრჩეველთა გარკვეულმა ნაწილმა, რომელმაც ხმა მისცა ამა თუ იმ პოლიტიკურ გაერთიანებას, ამ უკანასკნელს მიანიჭა ნდობის მანდატი და მისი სახელით მოქმედების უფლება, მათ შორის, პროტესტის ფორმის შერჩევაშიც. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილება ეწინააღმდეგება მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის პოლიტიკურ ნებას.

საქართველოში უკვე პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკური სპექტრის სისუსტე, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ფინანსური რესურსების სიმწირეა. ამგვარ პირობებში, კანონმდებელმა, პირიქით, უნდა იზრუნოს პოლიტიკური პარტიების გაძლიერებაზე და სუბიექტური მიზეზებით არ უნდა შეუწყვიტოს მათ ის მცირე დაფინანსებაც კი, რომელსაც ზოგიერთი მათგანი კანონის სრული დაცვით იღებს საქართველოს ბიუჯეტიდან.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაერთიანების თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. არ შეიძლება, ამ უფლების რეალიზაცია დამოკიდებული იყოს საკანონმდებლო ორგანოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსზე, ლიდერის პოლიტიკურ ნებასა და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე. პოლიტიკური პროცესების ცვლილება არ უნდა ახდენდეს რაიმე გავლენას გაერთიანების თავისუფლების მოქმედების ფარგლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში დემოკრატიისა და პლურალიზმის არსებობა მთლიანად დამოკიდებული იქნება პოლიტიკური უმრავლესობის ნებაზე. გაერთიანების თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია დემოკრატიისა და პლურალიზმის არსებობა.

ის, რომ გაერთიანების თავისუფლების რეალიზაცია მთლიანად პოლიტიკური კონიუნქტურის ნებაზეა დამოკიდებული, საანგარიშო პერიოდის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმაც ცხადყო. აგრესორთან საქართველოს სამხედრო

მარცხმა, საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთმნიშვნელოვანმა კრიტიკამ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტების თაობაზე, ხელისუფლებას უბიძგა, ოპოზიციასთან წასულიყო პოლიტიკურ კომპრომისზე. დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების ახალ პროექტს ,,დემოკრატიის ახალი ტალღა" ეწოდა. აღნიშნული პოლიტიკური კურსის ფარგლებში, ხელისუფლებამ იმ პარტიებისათვის, რომელთა პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატებსაც შეუწყდათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, საბიუჯეტო დაფინანსების აღდგენა განიზრახა. პირველად ამის შესახებ განცხადება, საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 16 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში ყოველწლიური მიმართვის დროს გააკეთა.

მისასალმებელია, რომ ხელისუფლებამ გამოამჟღავნა პოლიტიკური ნება დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისათვის, თუმცა ქვეყანაში გაერთიანების თავისუფლება არ შეიძლება, ვინმეს პოლიტიკურ ნებაზე იყოს დამოკიდებული, ვინაიდან ეს უკანასკნელი დინამიურია და იცვლება პოლიტიკურ რეალობასთან ერთად. გაერთიანების თავისუფლება, როგორც დემოკრატიული წეს-წყობილების აუცილებელი ელემენტი, მუდმივია და არ შეიძლება, მისი არსებობა პოლიტიკურ რეალობაზე და კონკრეტულ პოლიტიკოსთა – პრეზიდენტისა თუ პარლამენტის ცალკეულ წევრთა – ნებაზე იყოს დამოკიდებული.

რეკომენდაცია და წინადადება

საქართველოს პარლამენტს

1. ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს კანონის 31–ე მუხლის მე–5 პუნქტიდან ამოღებული იქნეს ,,ა" ქვეპუნქტი;

გამოხატვის თავისუფლება

კრიზისი, რომელიც შეიქმნა ქართულ ელექტრონულ მედიაში 2007 წლის ნოემბრის თვეში, უცვლელი დარჩა 2008 წლის პირველ ნახევარში. საანგარიშო პერიოდში მწვავედ იჩინა თავი იმ შედეგებმა, რაც გამოიწვია 2007 წლის 7 ნოემბერს ,,ტელეიმედის" დარბევამ და 2007 წლის 26 დეკემბერს ამავე სატელევიზიო სადგურის ჟურნალისტების გადაწყვეტილებამ მაუწყებლობის შეჩერების შესახებ. ქართული მედია გახდა ნაკლებად პლურალისტური. პოლიტიკური კონსესუსის საფუძველზე ფორმირებულმა საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭომ, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, გარკვეულწილად დადებითი როლი შეასრულა მაყურებლისათვის მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების საქმეში. ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებელი სპეციალური კომიტეტის (თავმჯდომარე მათიას იორში) მოხსენებაში აღნიშნულია, რომ არჩევნების პერიოდში, სხვა ელექტრონულ მედია საშუალებებთან შედარებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო ერთ–ერთი სრულყოფილი საშუალება, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეკეთებინათ ინფორმირებული არჩევანი 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო სუბიექტებს შორის.

მიუხედავად ამისა, არჩევნების დასრულების შემდეგ საზოგადოებრივ მაუწყებელზე პოლიტიკური დებატები შეწყდა, საინფორმაციო გამოშვებებში კვლავ გაჩნდა დაუბალანსებელი ინფორმაცია. რუსეთ–საქართველოს საომარი დაპირისპირების დროს საზოგადოებრივი მაუწყებელი ,,რუსთავი–2–ის" მსგავსად წარმოადგენდა პროპაგანდის საშუალებას. საომარი ოპერაციების დასრულების შემდეგ, ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონში ცვლილების ძალით საქართველოს პარლამენტმა დაავალდებულა საზოგადოებრივი მაუწყებელი არასაარჩევნო პერიოდში სამაუწყებლო ბადეში განეთავსებინა პოლიტიკური დებატები. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად კვლავ საჭიროა დიდი ძალისხმევა იმისათვის, რომ მოხდეს ობიექტური, მიუკერძოებელი და მრავალფეროვნების ამსახველი საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმირება.

საანგარიშო პერიოდში გვხვდებოდა პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ჟურნალისტების ფიზიკური ხელყოფის შემთხვევებიც. აღნიშნული ძირითადად ხდებოდა ემოციურად დატვირთული ისეთი მოვლენების გაშუქებისას, როგორებიცაა საარჩევნო პროცესი ან საპროტესტო აქცია. აღნიშნული მოვლენების შეფასებისას ავტორიტეტულმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" განაცხადა: ,,არჩევნების დროს ქართული საზოგადოების პოლარიზებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ჟურნალისტებს. ნათელი უნდა იყოს ის, რომ ჟურნალისტები არ მოქმედებენ არც ხელისუფლების, არც ოპოზიციის სასარგებლოდ. ჟურნალისტები არიან დამკვირვებლები, რაც ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს."

საქართველოში გამოხატვის თავისუფლების სფეროში არსებული უკუსვლა შეუმჩნეველი არ დარჩენია არცერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციასა და სახელმწიფოს.

2008 წლის 2 ივლისს ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ Freedom House-მა გამოაქვეყნა გლობალური ანგარიში ,,თავისუფლება მსოფლიოში." აღნიშნულ ანგარიშში გამოყენებულია შეფასების შვიდბალიანი სისტემა. ერთი ქულა ნიშნავს სრულიად თავისუფალს, ხოლო შვიდი – სრულიად არათავისუფალს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კვლავ რჩება ,,ნაწილობრივ თავისუფალ" ქვეყნად, საქართველოს მდგომარეობა, მედიის თავისუფლების კუთხით, წინა წელთან შედარებით, გაუარესებულია. თუკი 2007 წელს მედიის თავისუფლების ხარისხი შეფასებული იყო 4.00 ქულით, 2008 წელს ამ მაჩვენებელმა 4,25 ქულა შეადგინა. Freedom House-ის საქართველოს შესახებ ანგარიშის ავტორის გია ნოდიას აზრით: ,,მთავარი ოპოზიციური ტელე და რადიოკომპანია ,,იმედის" დროებითმა გათიშვამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სახელმწიფოს ვალდებულებები თავისუფალი მედიის მიმართ და ნათლად გამოავლინა მედია პლურალიზმის მყიფიერება." [17]

ამერიკული ორგანიზაციის ,,ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის" განმარტებით, ,,სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა დემოკრატიული რეფორმების გატარების დაპირებით. პრესასთან ხანმოკლე თაფლობის თვის შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს კრიტიკის მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება. სააკაშვილის მთავრობამ დაწვრილებითი გააანალიზა შექმნილი მდგომარეობა და გადაწყვიტა, ზეგავლენა მოეხდინა სატელევიზიო რეპორტაჟებზე, ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ და გავლენიან ინფორმაციის წყაროზე. ამ კუთხით საქართველოს მთავრობამ საბოლოო წარმატებასაც მიაღწია." ამის შემდეგ, გავლენიან ორგანიზაციას მოჰყავს ტელეკომპანია ,,რუსთავი–2–ისა" და ,,202–ის" ირგვლივ განვითარებული მოვლენები.[18]

ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ანგარიშში, რომელიც 2008 წლის 11 მარტს გამოქვეყნდა, ნათქვამია: ,,მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ზოგიერთ სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ... ვითარება სიტყვის თავისუფლების, პრესის, შეკრებისა და პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით გაუარესებულია. (...) კონსტიტუცია და კანონმდებლობა უზრუნველყოფს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას. არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და ჟურნალისტების მხრიდან ისმის ბრალდებები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, ახალი ამბების სამსახურის ხელმძღვანელებთან და არხის აღმასრულებლებთან კავშირის შედეგად, ერევიან სარედაქციო და პროგრამული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გვხდება შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები უშუალოდ ან სხვების წაქეზებით ფიზიკურად უსწორდებიან ჟურნალისტებს. ზოგიერთი აცხადებს, რომ რეპრესიის

[17] http://www.freedomhouse.hu/images/fdh_galleries/NIT2008/NT-Georgia-final.pdf
[18] http://www.cpj.org/attacks07/europe07/geo07.html

საშიშროების გამო თავს არიდებს ხელისუფლების კრიტიკას საჯაროდ ან სატელეფონო საუბრების მეშვეობითაც კი."[19]

კაბელური მაუწყებლობის ლიცენზირება

2007 წლის მეორე ნახევრის მოხსენებაში სახალხო დამცველი შეეხო საკაბელო ტელეკომპანია ,,მაესტროს" საკითხს. ხაზგასმული იყო ლიცენზიის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი ადმინისტრაციული პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა მაუწყებლის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის თავიდან აცილების აუცილებლობა.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია შპს ,,სტუდია მაესტროს" საკაბელო სპეციალიზებული (შემეცნებითი, მუსიკალური და გასართობი) #B87 ლიცენზიის საერთო ტელემაუწყებლობის ლიცენზიად მოდიფიცირებასთან დაკავშირებით არ იქნა გაზიარებული. სამაგიეროდ, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეშფოთება გამოხატა სპეციალიზებული ლიცენზიის მქონე მაუწყებლის ეთერში საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამების ჩვენებასთან დაკავშირებით. კომისიამ ,,სტუდია მაესტროს" სანქცირების მიზნით 2008 წლის 18–20 მარტს მიიღო #143 გადაწყვეტილება. აღნიშნული ინდივიდუალურ–სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტით ,,სტუდია მაესტროს" დაეკისრა ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონით გათვალისწინებული სანქცია – გაფრთხილება. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მაუწყებელს შეცვლილი აქვს 2007 წლის 23 თებერვლის #104/1 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიცენზიის სახეობა. კერძოდ, ნაცვლად სპეციალიზებული შემეცნებითი, მუსიკალური და გასართობი ტელემაუწყებლობისა, ახორციელებს საერთო მაუწყებლობას, კერძოდ, საკუთარ სამაუწყებლო ბადეში განათავსებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამებს, რაც "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ჯ" პუნქტის თანახმად განისაზღვრება, როგორც საერთო მაუწყებლობის სახეობა. საზოგადოებრივ–პოლიტიკური ფორმატის თოქ–შოუს, ,,პროფესია ჟურნალისტის," პოლიტიკური მოვლენების ამსახველი პროგრამის, ,,უკომენტაროდ" და ინტერაქტიული გადაცემის, ,,გამოკითხვის" სამაუწყებლო ბადეში განთავსებისათვის ,,სტუდია მაესტროს" დაეკისრა გაფრთხილება.

ზემოაღნიშნული სატელევიზიო პროგრამები არხის ხელმძღვანელობამ სანქცირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე მოხსნა ეთერიდან. ამის პარალელურად, ,,სტუდია მაესტრომ" განცხადებით მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა საკაბელო ქსელის გამოყენებით კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზია. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ იხელმძღვანელა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი და დაასკვნა, რომ ახალ სალიცენზიო განცხადებას, თუ იგი წარადგინა ლიცენზიის მფლობელმა ამ კანონით

[19] http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2007/100560.htm

გათვალისწინებული დარღვევისათვის მის მიმართ კომისიის მიერ სანქციის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში, განაცხადი არ განიხილება. შესაბამისად, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უარი განაცხადა ,,მაესტროს“ განცხადების განხილვაზე საკაბელო ქსელის გამოყენებით ახალი ლიცენზიის მინიჭების თაობაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, პრობლემა მდგომარეობს როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის არასწორ ადმინისტრაციულ პრაქტიკაში, ისე საქართველოს კანონმდებლობაში. საქართველოს კანონმდებლობა საკაბელო და თანამგზავრულ მაუწყებლობას უქვემდებარებს ლიცენზირებას. ,,მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 38–ე მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად: ,,ტელე- რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა და მოდიფიცირება ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.“

რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის აღნიშნული მიდგომა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში აუტრონიკ ეი ჯი შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადა: ,,ევროპის საბჭოს ზოგიერთ წევრ ქვეყანაში სატელეკომუნიკაციო სატელიტიდან არაკოდირებული პროგრამების ტრანსლირება არ მოითხოვს იმ სახელმწიფოს თანხმობას, სადაც გადამცემი სატელიტური სადგურია განთავსებული და საიდანაც აღნიშნული სიგნალი მოდიოდა.“[20] ნებისმიერი აკრძალვა ამ კუთხით არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–10 მუხლს. აღნიშნულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ გამორიცხა სახელმწიფოს ნებართვითი რეგულირება სატელიტური სადგურის მეშვეობით მაუწყებლობის დროს.

უფრო შორს წავიდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში Informationsverein Lentia ავსტრიის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს უფლება ეძლევათ, ლიცენზირების სისტემის მეშვეობით დაადგინონ მათ ტერიტორიაზე მაუწყებლობის წესი. აღნიშნული რეგულირების უფლებამოსილება განსაკუთრებით შეეხება მაუწყებლობის ტექნიკურ ასპექტს. ეს უკანასკნელი უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემა ან უარის თქმა შესაძლოა დამოკიდებული გახდეს განსაზღვრული პირობებსა და მოსაზრებებზე, როგორებიცაა მაგალითად, აღნიშნული სამაუწყებლო სადგურის ხასიათი და მიზნები; ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე პოტენციური აუდიტორიის შემადგენლობა; სპეციფიკური აუდიტორიის მიზნები და უფლებები; ასევე ის ვალდებულებები, რომლებიც

---

[20] Autronic AG v. Switzerland *Application no. 12726/87 para.62: განმცხადებელმა კომპანიამ მიმართა შვეიცარიის ფოსტისა და ტელერადიო კომუნიკაციის დაწესებულების სათავო ოფისის ტელევიზიისა და რადიოს სამმართველოს და მოითხოვა ნებართვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განთავსებული გადამცემი ჯი–ჰორიზონტიდან არაკოდირებული სიგნალის მიღებაზე. შვეიცარიის ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის თანხმობის გარეშე უარი განაცხადა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.*

გამომდინარეობს საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან.“ ამის მიუხედავად, საკაბელო მაუწყებლობაზე დაწესებულ შეზღუდვასთან დაკავშირებით, სასამართლომ იმავე საქმეში განაცხადა: „ტექნიკური პროგრესის შედეგად, დღეისათვის მაუწყებლისათვის ხელმისაწვდომი გახდა შეუზღუდავი რაოდენობის არხი და სიხშირე, რაც აღარ ამართლებს კაბელური მაუწყებლობის მიმართ დაწესებულ შეზღუდვებს.“[21]

სრულიად ნორმალური მოვლენაა სახელმწიფოს მხრიდან სიხშირის გამოყენებით მაუწყებლობის (საეთერო მაუწყებლობა) ლიცენზირება. სიხშირეები ბუნებაში შეზღუდული სახით არის წარმოდგენილი. ერთი და იმავე სიხშირის გამოყენებით ორი ან მეტი ტელე–რადიო სადგურის ურთიერთთავსებადობა და, შესაბამისად, ხარისხიანი მაუწყებლობა შეუძლებელია. სიხშირული სპექტრი განსაკუთრებულ საზოგადოებრივ სიკეთეს წარმოადგენს. შესაბამისად, მის განაწილებაში სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, აქტიური რეგულირების ფუნქცია ეკისრება. სახელმწიფოს მხრიდან სიხშირეთა განაწილება უნდა ხდებოდეს იმგვარად, რომ შეძლებისდაგვარად თანაბრად ასახავდეს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ მოთხოვნილებებს. ამასთან, სიხშირის მფლობელს შესაძლოა დაეკისროს მწვავე სოციალური აუცილებლობიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებები.

სხვაგვარადაა საქმე კაბელურ და თანამგზავრულ მაუწყებლებთან მიმართებაში. ეს რესურსი ბუნებაში არ არის შეზღუდული. აღნიშნულ ბაზარზე ნებისმიერი სუბიექტის სახელმწიფოსაგან თავისუფლად შესვლის შესაძლებლობა არ შეიძლება, ზიანს აყენებდეს სხვა სოციალური ჯგუფებისა თუ ფენების ინტერესებს. რესურსების შეუზღუდაობის გამო შეუძლებელია საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ინტერესები შეილახოს, ვინაიდან მათაც აქვთ იგივეს გაკეთების შესაძლებლობა. აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარი მაუწყებლები თავისუფლდებიან სახელმწიფო კონტროლის სფეროდან. სახელმწიფოს კვლავ რჩება აღნიშნული მაუწყებლის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლის ფუნქცია. სახელმწიფოს ეს უფლებამოსილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მაუწყებელი არღვევს საზოგადოების დაუცველი წევრების, პირველ

---

[21] *Informationsverein Lentia and Others v. Austria Application no. 13914/88; 15041/89; 15717/89; 15779/89; 17207/90 para.29* განმცხადებელმა მიმართა ავსტრიის ფოსტისა და კომუნიკაციების სათავო ოფისს მაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად, მათ შორის, კაბელის მეშვეობით მიღებული უცხოური პროგრამების რეტრანსლირებისათვის. ფოსტისა და კომუნიკაციების სათავო ოფისმა განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, ვინაიდან აღნიშნულ სფეროში ავსტრიის სამაუწყებლო კორპორაცია (საზოგადოებრივი მაუწყებელი) ფლობდა მონოპოლიას და აღნიშნული ლიცენზიის გაცემა დაარღვევდა კანონით დადგენილ მონოპოლიას. საზოგადოებრივი მაუწყებლის მონოპოლია მიზნად ისახავდა ცალკეულ ინტერესთა ჯგუფის ხელში სამაუწყებლო სიხშირეების მოქცევის თავიდან აცილებას და ამის მეშვეობით მათი ინტერესების გატარებას. მონოპოლიის პირობებში ავსტრიის სამაუწყებლო კორპორაციას ეკისრებოდა საზოგადოებაში არსებული პლურალიზმის სათანადოდ წარმოჩენა, მოვლენების ობიექტური და დაბალანსებული გაშუქება და რაც მთავარია ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის სათანადოდ წარმოჩენა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ავსტრიის სამაუწყებლო კორპორაციის მონოპოლია არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–10 მუხლს, ვინაიდან სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების გამომხატველი მედია–საშუალებები არათუ ანგრევენ პლურალიზმის პრინციპის, არამედ მისი რეალიზაციის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს.

რიგში კი არასრულწლოვანების უფლებებს, იჭრება პირადი ცხოვრების სფეროში, აღვივებს შუღლსა და შეუწყნარებლობას. რაც შეეხება საკაბელო და თანამგზავრული მაუწყებლის მიერ საქმიანობის დაწყებას, მაუწყებლობის სახეობის, კონცეფციისა და პოტენციური აუდიტორიის განსაზღვრას, აღნიშნული საკითხები სრულიად უნდა იქნეს ამოღებული სახელმწიფოს რეგულირების სფეროდან. ამგვარი მაუწყებლის მიერ ასევე თავისუფლად უნდა ხდებოდეს მაუწყებლობის სახეობისა და კონცეფციის შეცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შემდეგი ცვლილებების შეტანას:

მე–2 მუხლის ,,ტ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ტ) მაუწყებელი – ლიცენზიის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ტელე- ან რადიოპროგრამების გავრცელებას სახმელეთო გადამცემებით, სადენით ან ჰაერით, კოდირებული ან არაკოდირებული ფორმით. მაუწყებლად ჩაითვლება ასევე ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ტელე- ან რადიოპროგრამების გავრცელებას საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის მეშვეობით, მაგრამ არ საჭიროებს ლიცენზირებას აღნიშნული საქმიანობისათვის.“

38–ე მუხლის მე÷2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,კერძო მაუწყებლობის ლიცენზიები გაიცემა საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობისათვის. ამგვარ ლიცენზიას არ საჭიროებს ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული მაუწყებლობა, რომელიც ხორციელდება თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების, საკაბელო ქსელის გამოყენებით.

1. 38–ე მუხლის მე–4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,4. სიხშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა, მოდიფიცირება, მისი მოქმედების შეჩერება და გაუქმება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.“

2. 38–ე მუხლის მე–5 პუნქტი ამოღებული იქნეს.

3. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის გაცემისა და საქმინობის დაწყების წესი”

4. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1. ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის დაწყების შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია 30 სამუშაო დღით ადრე აცნობოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ამის შესახებ. ამ შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია წარადგინოს განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა,“ ,,ბ“ ,,დ“ ,,ე“ ქვეპუნქტების მე–3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტების, მე–4

პუნქტის ,,ა,“ ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს. სიხშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზია გაიცემა კონკურსის საფუძველზე.

5 ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70–ე მუხლის მე–2 პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვები ,,ლიცენზიის მფლობელი“ და ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. *მაუწყებლის* საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.“

5. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70–ე მუხლის მე–3 პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვა ,,ლიცენზიის მფლობელი“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,3.მაუწყებელი არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა კომისიას წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების, მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა.“

6. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70–ე მუხლის მე–5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,5. კომისიას უფლება აქვს მაუწყებლისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია მის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების შესახებ. ამასთან ერთად, კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია მის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ. კომისია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს კანომდებლობით დადგენილი სანქციები. ამის გარდა, კომისია ლიცენზიის მფლობელის მიმართ სანქციას იყენებს, სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.“

7. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71–ე მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვები ,,ლიცენზიის მფლობელი“ და ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1. მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, აგრეთვე ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელი ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი წერილობით გააფრთხილოს.

8. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71–ე მუხლის მე–2 პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვები ,,ლიცენზიის მფლობელი“ და ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. კომისია უფლებამოსილია, მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა მის მიერ ამ მუხლის

პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობისათვის, ან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის გაფრთხილების გამოყენებიდან 1 წლის განმავლობაში მის მიერ ახალი დარღვევის ჩადენის შემთხვევაში.

9. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71–ე მუხლის მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,3. მხოლოდ კომისიაა უფლებამოსილი შეაჩეროს ან ჩამოართვას მაუწყებელს საქმიანობის უფლება. საქმიანობის უფლების შეჩერების ან საქმიანობის უფლების გაუქმების შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას. ლიცენზიის მფლობელის მიმართ ამ პუნქტში აღნიშნული სანქციების გამოყენების შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებაში ასევე უნდა იყოს მითითებული ლიცენზიის მოქმედების შეჩერებისა ან გაუქმების თაობაზე.“

10. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 72–ე მუხლისდან ამოღებული იქნეს სიტყვები ,,ლიცენზიის მფლობელი“ და ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 72. ჯარიმის ოდენობა და გადახდის წესი

1. ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2500 ლარისა.

2. მაუწყებლის მიერ დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი დარღვევის ჩადენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მას დააკისროს ჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 3%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა, ან დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების მიზნით.

3. დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება მოტივებისა და საფუძვლების მითითებით, გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით ეცნობება მაუწყებელს.

4. ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მაუწყებლისათვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

5. მაუწყებლის მიერ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“

11. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 73–ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 73. საქმიანობის უფლების შეჩერება

1. საქმიანობის უფლების შეჩერება ნიშნავს მაუწყებლობის აკრძალვას ამ მუხლის მე–3 პუნქტით დადგენილი ვადის გასვლამდე.

2. კომისია განიხილავს საქმიანობის უფლების შეჩერების საკითხს, თუ მაუწყებელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხოლო ლიცენზიის მფლობელი ასევე სალიცენზიო პირობებს და მის მიმართ ამ

დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.

3. საქმიანობის უფლების შეჩერება ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის აღმოფხვრამდე, მაგრამ საქმიანობის უფლების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან არა უმეტეს 3 თვისა.

4. საქმიანობის უფლების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მოტივებისა და საფუძვლების მითითებით, გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით ეცნობება მაუწყებელს.

5. იმ დარღვევის აღმოფხვრის შემდეგ, რომლისთვისაც მოხდა საქმიანობის უფლების შეჩერება, საქმიანობის უფლების მოქმედება განახლდება კომისიის გადაწყვეტილებით, მაუწყებლის განცხადების საფუძველზე.

6. ეს მუხლი არ გამოიყენება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ.

12. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74–ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 74. საქმიანობის უფლების გაუქმება

1. საქმიანობის უფლების გაუქმების საფუძველია:

ა) მაუწყებლის მოთხოვნა;

ბ) ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალება (ლიკვიდაცია);

გ) ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის შეწყვეტა წელიწადში ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით ან ერთი წლის 120 დღის განმავლობაში;

დ) საქმიანობის უფლების შეჩერების ვადის გასვლა, თუ მაუწყებელი ამ ვადაში არ აღმოფხვრის კომისიის მიერ მითითებულ დარღვევას;

ე) ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის დაუწყებლობა კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში.

2. მხოლოდ კომისია არის უფლებამოსილი საქმიანობის უფლების გაუქმებაზე.

3. ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში საქმიანობის უფლება/ლიცენზია გაუქმებულად ითვლება.

4. საქმიანობის უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მაუწყებელს წერილობით ეცნობება 7 სამუშაო დღის ვადაში.

5. ამ მუხლის მოქმედება

13. 75–ე მუხლის მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,3. კერძო ან/და სათემო მაუწყებლები, რომლებიც მაუწყებლობენ საკაბელო ქსელით, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის რადიოსიხშირეებით სარგებლობის უფლებას საჭიროების შემთხვევაში მოიპოვებენ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აუქციონის წესით, ლიცენზიის საფუძველზე.“

კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ლიცენზიების გაცემის პროცედურის გამჭვირვალობა და სამართლიანობა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის გადაწყვეტილებები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში მედიის თავისუფლებაზე, არ არის გამოწვეული მხოლოდ ,,მაუწყებლობის შესახებ“ კანონის ცალკეული არალიბერალური დებულებებით. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკაში ვხვდებით საკანონმდებლო ნორმების იმგვარ ინტერპრეტაციასაც, რაც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმის უბრალო გრამატიკული განმარტების ხერხებსაც კი. აღნიშნული არასწორი პრაქტიკა უფრო მეტად განპირობებულია პოლიტიკური კონიუნქტურის ინტერესების გათვალისწინებით, ვიდრე კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის აუცილებლობით. ლიცენზიის მიღების ან მისი მოდიფიცირებისათვის დამკვიდრებული პროცედურები ხასიათდება ბუნდოვანებით, რაც განმცხადებელი მაუწყებლისთვის უარყოფით სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ უნდობლობა და მისი მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესების მიმართ მორჩილება არ დარჩენილა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მიღმა. Freedom House აცხადებს: ,,საქართველოში მედია ექვემდებარება უსამართლო და გაუმჭვირვალე სალიცენზიო რეგულირებას. მედიის მარეგულირებელ ორგანოს – კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიას – მედია დამკვირვებლები ხშირად აკრიტიკებენ გაუმჭვირვალე სალიცენზიო პროცედურების წარმოებისთვის.“[22]

ა) ტელეკომპანია ,,იმედის“ საქმე: ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის კომისიისეული ინტერპრეტაცია წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობის ყველაზე ნათელ მაგალითს. აღნიშნული ნორმის თანახმად:

,,მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი.“

2008 წლის 21 იანვარს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ტელეიმედის“ კუთვნილი #B16 საერთო სამაუწყებლო ლიცენზიის მოქმედების დროებითი შეჩერების თაობაზე. საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ბადრი პატარკაციშვილი, თავისი საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით, ფლობდა ტელეკომპანია ,,იმედის“ 15%–ს. მოცემულ შემთხვევაში, სამაუწყებლო ლიცენზია ეკუთვნოდა იურიდიული პირს, ტელეკომპანია ,,იმედს,“ რომელიც არ წარმოადგენდა რომელიმე პარტიის თანამდებობის პირს. ის ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს გარკვეულ წილს სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელ შპს–ში, არ შეიძლება, ჩაითვალოს ლიცენზიის არაპირდაპირ მფლობელად.

---

[22] http://www.freedomhouse.org/uploads/fop08/CountryReportsFOTP2008.pdf

,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 48–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, ,,ლიცენზიის გასხვისება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა, დაგირავება, ლიცენზიით მინიჭებული უფლებების საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეტანა ან მემკვიდრეობით გადაცემა იკრძალება.“ სამოქალაქო კოდექსის 155–ე მუხლის მე–3 ნაწილის თანახმად, არაპირდაპირ მფლობელად ითვლება ის პირი, ვისაც შეუძლია განსაზღვრული ვადით უფლების სხვა პირისათვის (პირდაპირ მფლობელზე) გადაცემა ან ვალდებულების დაკისრება. საერთო სამაუწყებლო ლიცენზიას 10 წლის ვადით მაუწყებელს ანიჭებს არა მისი ერთ–ერთი მეწილე, არამედ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისია. მაუწყებლის ერთ–ერთი მოწილე არაპირდაპირ მფლობელად რომ ჩაითვალოს, მას უფლება უნდა ჰქონდეს, 10 წლის გასვლის შემდეგ მაუწყებლისაგან გამოითხოვოს სამაუწყებლო ლიცენზია, თუმცა ამგვარი ქმედება აკრძალულია ,,მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 48–ე მუხლის მე–2 პუნქტით. ამგვარად, დაუშვებელია იმ ფიზიკური პირის მიჩნევა სამაუწყებლო ლიცენზიის არაპირდაპირ მფლობელად, რომელსაც ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის წილი ეკუთვნის

ზოგადად 37–ე ზოგადად 37-ე მე–2 „გ“–ს დადებითი მიზანი აქვს – მაუწყებლის პოლიტიკური გავლენისგან გათავისუფლება, თუმცა, დღევანდელილ რედაქციით, იგი ამ მიზანს ვერ აღწევს. მანამ, სანამ მესაკუთრეს შეეძლება ნებისმიერი სახით ჩაერიოს სარედაქციო პოლიტიკაში, აღნიშნული მიზანი მიუღწეველი იქნება. ნამდვილი დემოკრატიის და პლურალიზმის პირობებში კერძო მაუწყებლის პოლიტიკური ანგაჟირება არაა პრობლემა, თუმცა არა ჩვენს პირობებში, როცა ყველაფერი სახელისუფლებო პარტიისადმი მორჩილებამდე მიდის. აქ მივდივართ ჟურნალისტების შრომით გარანტიებთან, რომელზეც ქვემოთ არის მითითებული.

რა შემთხვევებში აქვს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მაუწყებლის მიმართ სანქცირების სახით ლიცენზიის დროებითი შეჩერების უფლებამოსილება? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ,,მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 73–ე მუხლის მე–2 პუნქტი: ,,კომისია განიხილავს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების საკითხს, თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს ან სალიცენზიო პირობებს და მის მიმართ *ამ დარღვევისათვის* სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.“

მხედველობაშია მისაღები 73–ე მუხლის მე–2 პუნქტის რედაქცია. აღნიშნული ნორმა შედგება სამი ჰიპოთეზისაგან. პირველი ორი ჰიპოთეზა ერთმანეთთან დაკავშირებულია ,,ან“ კავშირით და, შესაბამისად, ალტერნატიულია. ეს ნიშნავს, რომ ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის წარმოშობისათვის საკმარისია ერთ–ერთი პირობის – ან კანონმდებლობის მოთხოვნის ან ლიცენზიის პირობის – დარღვევა. ეს ორი წინადადება მესამისაგან – ,,მის მიმართ ამ დარღვევისათვის სანქციის სახით სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა“ – გამოყოფილია ,,და“ კავშირით. ეს გულისხმობს, რომ სახეზეა კუმულაციური ჰიპოთეზა – ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის, ამ მესამე წინადადებით განსაზღვრული პირობის არსებობა ყველა შემთხვევაში აუცილებელია. მესამე წინადადებით განსაზღვრული

ჰიპოთეზა კუმულაციურ ერთობლიობაში უნდა იყოს ან კანონმდებლობის დარღვევის პირობასთან ან ლიცენზიის დარღვევასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ შეიძლება 73–ე მუხლის მე–2 პუნქტის გამოყენება კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის დარეგულირებისათვის.

კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, აღნიშნული ნორმის საწინააღმდეგოდ, ერთი სახის დარღვევისათვის, ლიცენზიის მფლობელის (ტელეკომპანია ,,იმედის“) მიმართ დაიწყო ლიცენზიის შეჩერების პროცედურა ისე, რომ აღნიშნული დარღვევისათვის (ბადრი პატარკაციშვილის მიერ პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით) არასოდეს ყოფილა გამოყენებული უფრო მსუბუქი სახის სანქციები – ჯერ გაფრთხილება, შემდეგ ჯარიმა, როგორც ეს კანონით იყო დადგენილი.

საკაბელო ტელეკომპანია ,,მაესტროს“ საქმე: ,,მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 41–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისია ტელე ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების წარდგენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საკაბელო კომპანია ,,მაესტროს“ საქმეში კომისიამ არ დაიცვა აღნიშნული ვადა, მეტიც, მან ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო განცხადების შეტანიდან 27–ე დღეს, როდესაც გამოქვეყნდა ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

2008 წლის 31 იანვარს ტელეკომპანია ,,მაესტრომ“ მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიმართა და მოითხოვა ახალი საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მინიჭება. 2008 წლის 10 მარტს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო #120/23 გადაწყვეტილება ,,მაესტროს“ სალიცენზიო განაცხადთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. 2008 წლის 10 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით სამუშაო დროის ჩათვლით 10–19 საათამდე კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ჩაატარა ტელეკომპანია ,,მაესტროს“ საქმიანობის შემოწმება. უფრო კონკრეტულად, კომუნიკაციების ეროვნული კომისია ამოწმებდა სამი პროგრამის: ,,პროფესია ჟურნალისტის,“ ,,უკომენტაროდ“ და ,,გამოკითხვის“ თემატიკას. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული გადაცემები იყო საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დასკვნით, ამგვარი პროგრამების სამაუწყებლო ბადეში განთავსებისათვის, მაუწყებელს ესაჭიროებოდა საერთო სახეობის ლიცენზია, რაც სტუდია ,,მაესტროს“ არ გააჩნდა. ამის გამო, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წლის 20 მარტს #143/18 გადაწყვეტილებით სანქციის სახით დააკისრა გაფრთხილება. რაც შეეხება ,,მაესტროს“ 2008 წლის 31 იანვრის განცხადებას ახალი ლიცენზიის მინიჭების თაობაზე, აღნიშნული განცხადება კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განიხილა 2008 წლის 4 აპრილს და განმცხადებელს უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კომუნიკაციების ეროვნული კომუნიკაციების მოტივაცია ეფუძნებოდა ,,მაუწყებლობის შესახებ’ კანონის 42–ე მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტს. ეს უკანასკნელი კომისიას უკრძალავს წარმოებაში მიიღოს იმ მაუწყებლის ახალი სალიცენზიო გადასახადი, რომელიც სანქცირებულია და მისთვის სანქციის დაკისრებიდან არ გასულა ერთი წელი.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 38–ე მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, საკაბელო ქსელის მეშვეობით მაუწყებლობისათვის ლიცენზია უნდა გაიცეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10 მუხლის თანახმად, ნებისმიერი სახის ლიცენზია უნდა გაიცეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 38–ე მუხლის მე–5 პუნქტი ამოქმედდა 2004 წლის 23 დეკემბერს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115–ე მუხლის მე–2 ნაწილში ცვლილება შევიდა 2005 წლის 25 ივნისს. 2005 წლის 24 ივნისს ამოქმედდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი. სამივე საკანონმდებლო აქტი მიეკუთვნება საკანონმდებლო იერარქიის ერთ და იმავე საფეხურს. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სწორად მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25–ე მუხლის მე–2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც იერარქიის ერთი და იმავე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას, მოქმედებს უფრო გვიან მიღებული. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს უფრო გვიან მიღებული ნორმატიული აქტებით – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115–ე მუხლითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მე–10 მუხლით.

სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პოზიციას იმ ნაწილში, რომ მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემისას „მაუწყებლობის შესახებ“ კანონსა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონს შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა უკანასკნელს უნდა მიენიჭოს: 2005 წლის 28 დეკემბერს, ანუ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, ცვლილება შევიდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 76–ე მუხლის 24–ე პუნქტში. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, „თუ ამ კანონით დადგენილია მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიების გაცემისა და სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმების განხორციელების „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებული წესი, აგრეთვე პასუხისმგებლობის განსხვავებული ფორმა ან/და ოდენობა, გამოიყენება ეს კანონი.“ ამგვარად, სწორედ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, საკაბელო მაუწყებლის სალიცენზიო განაცხადის განხილვისას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის გამოყენება არ უნდა მომხდარიყო, ვინაიდან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 76–ე მუხლის 24–ე პუნქტი, რომელიც განსხვავებულ რეგულაციას ითვალისწინებს, უფრო გვიან იქნა მიღებული.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავი, რომელიც არეგულირებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესებს, არ შეიცავს ისეთ ნორმას, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი პუნქტით კომისიისათვის დადგენილ ვალდებულებასთან – ადმინისტრაციული წარმოება დაასრულოს და, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღოს 30 დღის ვადაში. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „მაესტროსათან“ მიმართებაში თავად დაარღვია აღნიშნული საკანონმდებლო აქტის მოთხოვნები, როდესაც ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო არა განცხადების შეტანიდან, არამედ რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ, საკუთარი 2008 წლის 10 მარტის #120/23 გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ზაკ) 115–ე მუხლი, რომელსაც თავის 2008 წლის 10 მარტის #120/23 გადაწყვეტილებაში მიუთითებს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ადგენს, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე–5 ნაწილის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოდექსის VI–ე თავი ეხება მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებას. ამგვარად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დროსაც გამოიყენება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესები, თუ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში არ მოდის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების იმ თავისებურებებთან, რაც დადგენილია ზაკ–ის IX თავით.

სწორედ ზაკ–ის VI–ე თავის 76–ე მუხლის პირველ ნაწილშია განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძვლები:
ა) დაინტერესებული პირის განცხადება;
ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

იმავე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

ამგვარად, კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებული იყო, ადმინისტრაციული წარმოება დაეწყო საკაბელო ტელეკომპანია „მაესტროს“ განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციულ ორგანოს საშუალებას აძლევს, გადაწყვეტილების მისაღებად 30 დღეზე ხანგრძლივი ვადა განსაზღვროს[23]. ტელეკომპანია „მაესტროს“ შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოება უნდა დაწყებულიყო განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან, 2008 წლის 31 იანვრიდან. შესაბამისად, აღნიშნულ დღეს ან არა უგვიანეს მომდევნო დღისა, უნდა გამოცემულიყო ადმინისტრაციული აქტი, სადაც დასაბუთებული იქნებოდა, თუ აუცილებელი რა არსებითი გარემოების დადგენა გახდა საკაბელო მაუწყებლის ლიცენზირებისათვის და რატომ ვერ ხერხდებოდა მისი დადგენა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული 30 დღის ვადაში. ნაცვლად ამისა, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განცხადების შეტანიდან, ანუ 2008 წლის 31 იანვრიდან, კი არ გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი განსახილველ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადის გამოყენების

[23] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–100 მუხლის მე–3 ნაწილი: „თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ“.

აუცილებლობის თაობაზე, არამედ გადაწყვეტილება მიიღო განცხადების შეტანიდან 27–ე დღეს. 2008 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე მსგავსია, მაგრამ არა იდენტური იმ მოთხოვნებისა, რომლებიც ასეთი დოკუმენტისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–100 მუხლის მე–3 ნაწილით. 2008 წლის 10 მარტის #120/23 გადაწყვეტილებაში ვერ წაიკითხავთ დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რა არსებითი გარემოების დადგენა არის აუცილებელი „მაესტროსათვის“ საერთო სამაუწყებლო ლიცენზიის მისანიჭებლად და ამ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად რატომ გახდა აუცილებელი 30 დღეზე მეტი ვადა.

დასაბუთების საპირისპიროდ, გადაწყვეტილებაში წაიკითხავთ მსჯელობას სხვადასხვა ნორმატიულ აქტს შორის კოლიზიის შესახებ. წინააღმდეგობის თაობაზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო 2008 წლის 31 იანვრისთვისაც, ვინაიდან კოლიზია ეხება 2004 და 2005 წლებში მიღებულ, იერარქიის ერთ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტებს. მიუხედავად ამისა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ 2008 წლის 31 იანვრიდან დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო 2008 წლის 10 მარტიდან წარმოების აღნიშნული სახე შეიცვალა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით. გაუგებარი რჩება ის ფაქტი, რატომ დასჭირდა თვენახევარი ადმინისტრაციული წარმოების სახის შეცვლას. ასევე ყოველგვარ აზრს არის მოკლებული თუ რატომ მიიღო ცალკე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, მაშინ როდესაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად ცალკე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას. ზაკ–ის 116–ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს ვალდებულებას, გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. აღნიშნული ნორმა სრულიად არ წარმოადგენს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველს.

2008 წლის 10 მარტის #120/23 გადაწყვეტილებაში არ ჩაიწერა ის, რომ 2007 წლის დეკემბრის თვიდან ტელეკომპანია „მაესტროს“ სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ–პოლიტიკურ თემატიკის პროგრამები განთავსდა. კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ განზრახ გააჭიანურა საერთო სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემა იმისათვის, რომ შეეკრიბა ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ სპეციალიზებული ლიცენზიის პირობების დარღვევის მტკიცებულებები. შპს „სტუდია მაესტროს“ გაფრთხილების თაობაზე კომისიის 2008 წლის 20 მარტის #143/18 გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ საერთო სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემისათვის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დღიდან, ანუ 2008 წლის 10 მარტიდან, დაიწყო „მაესტროს“ სამაუწყებლო ბადის შემოწმება. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაადგინა, რომ „მაესტრო“ ლიცენზიის გარეშე ეთერში უშვებდა საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამებს: „პროფესია ჟურნალისტი,“ „უკომენტაროდ“ და „გამოკითხვა“. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წლის 20 მარტის #143/18 გადაწყვეტილებით „მაესტროს“ სანქციის სახით დააკისრა გაფრთხილება. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა კომისიამ, ემსჯელა „მაესტროს“ 2008 წლის 31 იანვრის განცხადებასთან დაკავშირებით და

ვინაიდან ახალ სალიცენზიო განაცხადს წინ უკვე სანქცია უძღოდა, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, 2008 წლის 4 აპრილის #190-12 გადაწყვეტილებით, საკაბელო ტელეკომპანია ,,მაესტროს" უარი უთხრა ლიცენზიის გაცემაზე.

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ კანონით დადგენილი 30 დღიანი ვადის დარღვევას შედეგად ის მოჰყვა, რომ გადაცილებული პერიოდის განმავლობაში ,,მაესტროს" სანქცია დაეკისრა. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას კანონით დადგენილ ოცდაათი დღის ვადაში რომ მოეხდინა ,,მაესტროს" განაცხადის განხილვა, ლიცენზირების პერიოდი წინ გაუსწრებდა სანქცირების პერიოდს და ახალი ლიცენზიის მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული იქნებოდა დადებითი ანუ 2008 წლის 4 აპრილის #190-12 გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება. 2008 წლის 31 იანვრიდან ლიცენზიის მისანიჭებლად დადგენილი 30 სამუშაო დღე გადიოდა 14 მარტს. ცნობილია, რომ ,,მაესტროს" გაფრთხილება დაეკისრა 20 მარტს. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 42–ე მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი კი შესაძლებლობას ართმევს ,,მაესტროს" სანქციის დაკისრებიდან ერთი წლის განმავლობაში ანუ 2008 წლის 20 მარტიდან 2009 წლის 20 მარტამდე მოითხოვოს ახალი ლიცენზია. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 42–ე მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით დადგენილი აკრძალვა ხელს ვერ შეუშლიდა ,,მაესტროს" მიეღო ახალი, საერთო სახეობის ლიცენზია 2008 წლის 20 მარტამდე. ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონის მიხედვით კი ეს სწორედ ასეც უნდა მომხდარიყო. კონკრეტულად კი კომუნილაციების ერთვნულ კომისიას ,,მაესტროსათვის" ახალი ლიცენზიის მინიჭების საკითხი უნდა გადაეწყვიტა არა უგვიანეს 2008 წლის 14 მარტს და არა 2008 წლის 4 აპრილს. 2008 წლის 20 მარტამდე არ არსებობდა ,,მაესტროს" ახალ სალიცენზიო განაცხადზე უარის საფუძველი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები." იმავე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სახალხო დამცველის მიერ ზემოთ მითითებული გარემოებები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სპეციალურად გაწელა ,,მაესტროსათვის" ახალი ლიცენზიის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის დრო, რომ ამ ხნის განმავლობაში მოესწრო ,,მაესტროსათვის" სანქციის დაწესება და შემდგომ ახალი ლიცენზიის მინიჭებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საბაბი ჰქონოდა. როგორც აღვნიშნეთ, რომ არა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ,,მაუწყებლობის შესახებ" 41–ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა, აღნიშნულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. შესაბამისად, დარღვეულია კომისიის 2008 წლის 4 აპრილის #190-12 გადაწყვეტილების მომზადებისა და გამოცემის წესი, რაც აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

2008 წლის 24 აპრილს სტუდია ,,მაესტრომ" სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მოსარჩელემ მოითხოვა 2008 წლის 4 აპრილის სალიცენზიო განაცხადის განხილვაზე უარის თქმის თაობაზე #190-12 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. 2008 წლის 30 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილა. 2008 წლის 10 ოქტომბერს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, გიორგი თარგამაძის მოთხოვნით პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქარაძემ დაიბარა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გიორგი არველაძე და ,,მაესტროს" საკითხის გადაწყვეტა მოითხოვა. აღნიშნული საუბრის შემდეგ, გიორგი არველაძემ მედიისათვის გაკეთებულ განცხადებაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ,,მაესტროსათვის" ახალი ლიცენზიის მინიჭების თაობაზე #190-12 გადაწყვეტილება იყო კანონიერი, თუმცა იქვე საერთო მაუწყებლობის დაწყებისათვის ,,მაესტროს" ლიცენზიის მოდიფიცირება ურჩია.

,,მაესტროს" ლიცენზიის მოდიფიცირებაზე რეკომენდაციას საქართველოს სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2007 წლის მეორე ნახევრის მოხსენებაში იძლეოდა. 2008 წლის 8 აპრილს თავად საკაბელო ტელეკომპანიამ ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე განცხადებით კომისიას მიმართა. 2008 წლის 22 მაისს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ #279/22 გადაწყვეტილებით შეაჩერა ,,მაესტროს" ზემოხსენებული განცხადების განხილვა. გადაწყვეტილებაში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიუთითა ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლზე, რომლის თანახმადაც კომისია ორ წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს და აქვეყნებს სიხშირეთა განაწილების გეგმას, ხოლო საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს. კომისია #279/22 გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ უკანასკნელი საზოგადოებრივი კვლევა და ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტები კომისიამ დაამტკიცა 2004 წლის 28 სექტემბერს კომისიის №506/22 გადაწყვეტილებით. კომისიას მიაჩნია, რომ ქვეყანაში და ტელერადიოსამაუწყებლო ბაზარზე ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, ლიცენზიათა გაცემისას ვეღარ მოხდება ამ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებით ხელმძღვანელობა, ვინაიდან გასულია მათი მოქმედების კანონით დადგენილი 2 წლიანი ვადა.[24]

2008 წლის 22 მაისს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ #279/22 გადაწყვეტილებით ,,მაესტროსათან" ერთად შეჩერდა შემდეგი კომპანიების სალიცენზიო განაცხადების განხილვა: შპს "იგრიკა", შპს "სარკე კონსალტინგი", შპს "საქართველოს უნივერსიტეტი", შპს "ტელერადიო კომპანია თრიალეთი", შპს "ტელერადიო კომპანია ევრიკა", შპს "სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი" და სსიპ "სრულიად საქართველოს საპატრიარქო"

სალიცენზიო განაცხადების განხილვის შეჩერების პროცესი არ შეეხო ხელისუფლების განსაკუთრებული პატრონაჟის ქვეშ მყოფ ტელეკომპანია ,,ალანიას." კომისიამ ააცილა გაურკვეველი ხანგრძლივობით გამოცხადებული საზოგადოებრივი აზრის კვლევასთან დაკავშირებული უარყოფითი სამართლებრივი

[24] http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=6014

შედეგები. საზოგადოებრივი აზრის კვლევის დაწყებამდე ექვსი დღით ადრე, 2008 წლის 16 მაისს #269/10 გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოაცხადა ტელეკომპანია ,,ალანია" კერძო საერთო ტელემაუწყებლობის მისანიჭებლად გამოცხადებულ კონკურსში. იმავე გადაწყვეტილებით კომისიამ ,,ალანიას" დააკისრა 2008 წლის 16 ივნისამდე სალიცენზიო გადასახდელის 20% - 10562.4 (ათი ათას ხუთას სამოცდაორი ლარი და 40 თეთრი) ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა. აღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ, ალანიას უნდა წარდეგინა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ მომენტიდან 7 დღის ვადაში კომისიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება ლიცენზიის მინიჭების თაობაზე.[25]

ამის შემდეგ ვითარდება ძალიან საინტერესო მოვლენები. ,,ალანიის" წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, მამუკა თათოსაშვილი 2008 წლის 16 მაისსვე იხდის #269/10 გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას, მიაქვს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები კომისიის კანცელარიაში, დოკუმენტი იმავე დღესვე ხვდება ლიცენზიის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელმაც იმავე დღეს აღნიშნული საკითხი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეიტანა. 2008 წლის 16 მაისსვე კომისია იღებს #276–1 გადაწყვეტილებას ,,ალანიასათვის" #B100 ლიცენზიის მინიჭების თაობაზე. ამ გადაწყვეტილებაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ,,ალანიამ" სალიცენზიო გადასახდელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი სწორედ 2008 წლის 16 მაისს წარმოადგინა[26]. ლოგიკურად ასეთი დოკუმენტი უნდა შექმნა და წარადგინო მას შემდეგ, რაც კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდები და დაგეკისრება დამატებითი ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე. 2008 წლის 16 მაისს რომ ,,ალანია" გამარჯვებულად გამოცხადებულიყო და იმავე დღეს წარედგინა შეეტანა სალიცენზიო გადასახდელის 20%–ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, კომუნიკაციების ეროვნულ კომისია საჭიროებდა გარკვეულ დროს. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–7 მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სამი სამუშაო დღით ადრე გამოაქვეყნოს ინფორმაცია მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე. იმავე მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობისას კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაუცველად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობა ნიშნავს კანონმდებლობის დარღვევის საშიშროებას ან ვითარებას, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში რეალური საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

აღმოჩნდა, რომ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას 2008 წლის 16 მაისსვე მიუღია 272/17 გადაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცებულია 2008 წლის N 30 სხდომის დღის წესრიგი. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია ,,ალანიასათვის" ლიცენზიის მინიჭების თაობაზე საკითხი შეტანილია დღის წესრიგში[27]. აღნიშნულ

[25] http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=6011
[26] http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=6013
[27] http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=6039

გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული თუ რა გადაუდებელი აუცილებლობა არსებობდა 3 დღიანი ვადის დაუცველობასთან დაკავშირებით.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–7 მუხლის მე–5 პუნქტის დარღვევა, წარმოშობს დასაბუთებულ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია ცდილობს არ დაამთხვიოს ,,ალანიასათვის" ლიცენზიის მინიჭების განხილვის საკითხი საზოგადოებრივი აზრის კვლევას და ამგვარად, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ ტელეკომპანიას თავიდან აცილოს ის არასახარბიელო სამართლებრივი შედეგები, რაც ,,მაესტროსა" და ,,ჰერეთის" მიმართ დადგა. ამგვარად, კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიტიკური შეხედულებების გამო მაუწყებლების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას, რაც სრულიად უკანონოდ ერთი მაუწყებლისათვის უპირატესობის მინიჭებაში გამოიხატება.

ოფიციალურად დადასტურდა ის ფაქტიც, რომ 2008 წლის 16 მაისამდე ტელეკომპანია ,,ალანიას" არ ჰქონდა მაუწყებლობის ლიცენზია. ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა თუ რომელ სიხშირეზე და რა სამართლებრივი საფუძვლით მაუწყებლობდა აღნიშნული კომპანია ამ დრომდე. რადიო ,,ჰერეთის" მსგავსად რატომ არ დააკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ,,ალანიას" ლიცენზიის გარეშე მაუწყებლობისათვის.

ამგვარად, როდესაც გიორგი არველაძე საუბრობს იმის თაობაზე, რომ ,,მაესტროს" უნდა მოეთხოვა არა ახალი ლიცენზია, არამედ ლიცენზიის მოდიფიცირება, უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ სწორედ ,,მაესტროს" ლიცენზიის მოდიფიცირების საკითხის განხილვის საკითხი გაურკვეველი ვადით გადაიდო იმ კომისიის დისკრიმინაციული გადაწყვეტილებით, რომელსაც თავად თავმჯდომარეობდა.

სახალხო დამცველი ერთი მხრივ, მიესალმება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძისა და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, გიორგი თარგამაძის ძალისხმევას, რომელსაც დამოუკიდებელი ტელეკომპანიისათვის ლიცენზიის მოდიფიცირება მოჰყვა. მეორე მხრივ, მწუხარებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ტელეკომპანიისათავის საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამების სამაუწყებლო ბადეში განთავსების საკითხი წყდება არა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ან სასამართლო სხდომათა დარბაზში, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სახით არსებობს მმართველი გუნდის მიმართ მიკერძოებული ორგანო, რომელიც დამოკიდებულია ამგვარი გუნდის პოლიტიკურ შეკვეთაზე.

მედია საკუთრება და სარედაქციო დამოუკიდებლობა

ხელისუფლების ახლო ურთიერთობა მფლობელთან წარმოადგენს ელექტრონული მედიის მართვის საუკეთესო საშუალებას. სატელევიზიო სადგურები გადადის

ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ხელში, რომელთა მეშვეობითაც მმართველი პოლიტიკური ჯგუფები აკონტროლებენ არხის სარედაქციო პოლიტიკას. ზოგიერთ ტელეკომპანიას მფლობელს წარმოადგენს ოფშორული კომპანია, რომლის დამფუძნებლების ვინაობის გაგება შეუძლებელია.

,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი უზრუნველყოფს მაუწყებლის საკუთრების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობას. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 61–ე მუხლის შესაბამისად: მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია:

1. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) საწარმოს პარტნიორების, აქციათა არანაკლებ 5%-ის მფლობელებისა და დირექტორების თაობაზე, თუ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელია კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი;

გ) იურიდიული პირის დამფუძნებლების, სხვა წევრების, შემომწირველებისა და გამგეობის შემადგენლობის თაობაზე, თუ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელია კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირი;

გ) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის ფლობის შესახებ;

დ) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის საწესდებო კაპიტალში წილის ან აქციების ფლობის შესახებ;

ე) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ფლობის შესახებ;

ვ) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის საწესდებო კაპიტალში წილის ან აქციების ფლობის შესახებ;

ზ) საინფორმაციო სააგენტოს ფლობის შესახებ;

თ) საინფორმაციო სააგენტოს საწესდებო კაპიტალში წილის ან აქციების ფლობის შესახებ;

ი) სხვა საწარმოს ან სხვა საწარმოში წილის ან აქციების 5%-ის ან მეტის ფლობის შესახებ.

2. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ მისი კაპიტალის წილის ან აქციების მფლობელი, დამფუძნებელი, სხვა წევრი, ხელმძღვანელი, შემომწირველი ან მათი ოჯახის წევრი იმავდროულად ფლობს:

ა) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის წილს ან აქციებს;

გ) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის წილს ან აქციებს;

გ) საინფორმაციო სააგენტოს წილს ან აქციებს.

2008 წლის 11 მარტს სახალხო დამცველმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გამოითხოვა ინფორმაცია სამი კერძო ლიცენზიის მქონე სატელევიზიო სადგურის – ,,რუსთავი–2"–ის, ,,იმედის" და ,,მზის" მიერ ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 61–ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის თაობაზე.

მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი იმპერატიული დანაწესისა, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2005–2007 წლებში ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 61–ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია წარადგინა ტელეკომპანია ,,იმედმა,"

თუმცა არასრულყოფილად. რაც შეეხება ,,რუსთავი–2–სა“ და ,,მზეს,“ ისინი ორი წლის განმავლობაში საერთოდ თავს არიდებდნენ მათი მფლობელების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. ამის გამო კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ზემოაღნიშნული კომპანიების სანქცირების თაობაზე. წარმოების დაწყების შემდეგ, სამივე კომპანიამ წარადგინა კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია. ამის გამო, 2007 წლის 17 დეკემბერს, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ #761/18 გადაწყვეტილებით შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება.“

იმ მომენტისათვის კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ,,რუსთავი–2–სა“ და ,,მზის“ მესაკუთრეებზე მეტად აინტერესებდა ის სქემა, რითაც ბადრი პატარკაციშვილი დაკავშირებული იყო ,,ტელეიმედთან.“ ეს ჩანს იქიდანაც, რომ სამივე ტელეკომპანიების მიერ კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ტელეიმედის“ კუთვნილი ლიცენზიის მოქმედების შეჩერების თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ პოლიტიკური პარტიის ლიდერი, ბადრი პატარკაციშვილი თავისი საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით ფლობდა ,,ტელეიმედის“ 15%–ს. ცხადია, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ტელეკომპანიების სანქცირების პროცედურის დაწყება და სრულყოფილი ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, მისი შეწყვეტა სწორედ ,,ტელეიმედის“ დასაჯელად და არა მაუწყებლების საკუთრების თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად იყო მიმართული. ნაკლებ სავარაუდოა მომავალში კომუნიკაციების ეროვნული კომისია სანქციით დაემუქროს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მედია საშუალებებს. შესაბამისად, ასეთი მაუწყებლების საკუთრების შესახებ ინფორმაცია ისეთივე გაურკვეველი იქნება, როგორც ეს იყო გასული ორი წლის განმავლობაში. საქმე იმაშია, რომ როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის პრაქტიკა ადასტურებს, აღნიშნული მარეგულირებელი ორგანო საკამათო ხასიათის დარღვევისათვის სანქციებს აკისრებს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტელეკომპანიებს, ,,იმედსა“ და ,,მაესტროს,“ მაგრამ ორი წლის განმავლობაში არ რეაგირებს სახელისუფლებო არხების ,,რუსთავი–2–ისა“ და ,,მზის“ მიერ ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61–ე მუხლის აშკარა დარღვევაზე.

მართალია, სანქცირების პროცედურის მიმდინარეობის დროს ,,რუსთავი–2–მა“ და ,,მზემ“ წარადგინეს მოთხოვნილი ინფორმაცია, თუმცა კონკრეტული პასუხი კითხვაზე, ვის ეკუთვნის აღნიშნული ტელეკომპანიები, კვლავ უცნობია.

ტელეკომპანია ,,რუსთავი–2–სა“ და ,,მზეში“ საწესდებო კაპიტალის წილის 55%–ს, ანუ დომინანტურ მდგომარეობას, ფლობს კორპორაცია ,,გეომედია გრუპი.“ 2007 წლის 10 იანვარს ,,გეომედია გრუპი“ დარეგისტრირდა მარშალის კუნძულებზე. საწარმოს იურიდიული მისამართია მარშალის კუნძულები, მაჯურო, აჯელთეიქის კუნძული, აჯელთეიქის ქუჩა, MH 96960. როგორც ვხედავთ, ორ წამყვან სატელევიზიო სადგურში დომინანტური მდგომარეობის მქონე მეწილეს წარმოადგენს ოფშორულ კორპორაცია, რომლის დამფუძნებლების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია. ოფშორულ ზონებში მოქმედი სამართლის ნორმები არ უზრუნველყოფს ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელის მიერ ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61–ე

მუხლით გათვალისწინებული საკუთრების შესახებ ინფორმაციის კომისიაში წარდგენის ვალდებულება არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ საზოგადოებისათვის გასაგები გახდეს, თუ ვისი ინტერესები დგას კონკრეტული მაუწყებლის უკან. აღნიშნული გაურკვევლობა განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც საქმე ეხება ისეთ ახლადდაფუძნებულ, ყველასათვის უცნობ ოფშორულ მედია კორპორაციას, როგორიც ,,გეომედია გრუპია.“ ტელეკომპანიების ,,მზისა“ და ,,რუსთავის–2–ის“ მაგალითი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61–ე მუხლის მიზანი – საზოგადოებისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელი მაუწყებლის შესახებ – კვლავ მიუღწეველია. ამ მოცულობითაც კი მაუწყებელთა საკუთრების შესახებ ინფორმაციის მიღება სამომავლოდ შეუძლებელი იქნება. საქმე იმაშია, რომ ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61–ე მუხლის მოთხოვნებს მხოლოდ ფორმალური დატვირთვა გააჩნია, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული ნორმის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი ეკისრება კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, რომელიც არ არის მიუკერძოებელი.

როგორც მედია საშუალებების ძველი მესაკუთრეები მიუთითებენ, ხელისუფლების წარმომადგენლების ჩარევით ცვლილებები საწარმოთა წილობრივ მონაწილეობაში სათავეს იღებს 2004 წლიდან. ძველი მესაკუთრეები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის, დაშინების გზით ცდილობდნენ ლიცენზიის მფლობელი სატელევიზიო სადგურების მფლობელთა ჩანაცვლებას მათი ინტერესების გამომხატველი პირებით. ამ მხრივ პირველი სამიზნე გახდა ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2“. აღნიშნული ტელეკომპანიის საწესდებო კაპიტალის, 49%–ის მფლობელის, ქეთევან ასათიანის წარმომადგენელის, მიხეილ აგლაძის განმარტებით, 2004 წელს მისმა მარწმუნებელმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მაშინდელი თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილის მოთხოვნით ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2–ის“ საწესდებო კაპიტალის წილის ჯერ 50%, ხოლო შემდეგ კიდევ ერთი პროცენტი დათმო დავით კაკაურიძეს (იხილეთ ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2–ის“ საქმე). სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა–განმარტებაში ქიბარ ხალვაშმა აღნიშნა, რომ მას თვით პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აიძულა შპს. ,,რუსთავი–2–ის“ საწესდებო კაპიტალის წილის 78%–ის მისთვის უცნობი პირისათვის გადაცემა. მისი განმარტებით, პრეზიდენტის თხოვნითვე შეიძინა მან აღნიშნული ტელეკომპანია, ისევე როგორც ტელეკომპანია ,,მზისა“ და ,,პირველი სტერეოს“ საწედებო კაპიტალის წილები. ქიბარ ხალვაში ახსნა–განმარტებაში მიუთითებს, ქალაქის მერის, გიგი უგულავას, საქართველოს პრეზიდენტის მაშინდელი ადმინისტრაციის უფროსის, გიორგი არველაძისა და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილის, გიგა ბოკერიას მხრიდან სარედაქციო გადაწყვეტილებებში ჩარევის თაობაზე. ქიბარ ხალვაში აცხადებს, რომ 2006 წელს ,,რუსთავი–2–ის“ გენერალური დირექტორი ნიკა ტაბატაძე და საინფორმაციო სამსახურის უფროსი თამარ რუხაძე ხელისუფლების პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის მაშინდელი უფროსის მოთხოვნით გაათავისუფლა. იძულების წესით დათანხმდა ქიბარ ხალვაში ,,რუსთავი–2–ის“ გენერალური დირექტორობის ახალ კანდიდატზეც, კობა დავარაშვილზე. ამ უკანასკნელს ქიბარ ხალვაშის განმარტებით, რეკომენდაცია.

საინტერესოა ასევე ის სქემა, რითაც ქიბარ ხალვაში გახდა ,,რუსთავი–2–ის“ მესაკუთრე. 2004 წლის 11 ივნისს რუსთავი 2-ის დირექტორმა ეროსი კიწმარიშვილმა სასამართლოს მიმართა თხოვნით ტელეკომპანიის გაკოტრების შესახებ. მოსამართლე მამუკა ნოზაძემ გაკოტრების საქმე, გახსნილად გამოაცხადა. გაკოტრების დაწყების შემთხვევაში დამფუძნებლებლები გადაწყვეტილების მიღების უფლებას კარგავენ და ამ შემთხვევაში არსებობდა საფრთხე, დამფუძნებლები მართვაში მონაწილეობას აღარ მიიღებდნენ, ასევე არსებობდა საფრთხე რომ დაკარგავდნენ ქონებას, რომლითაც ტელევიზიის კრედიტები იყო უზრუნველყოფილი. ამიტომ 2004 წლის 16 ივნისს, გაკოტრების საქმის დაწყებიდან 5 დღეში 30-30 პროცენტის მფლობელებმა ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა წილი დათმეს. ამის შემდეგ 2004 წლის 25 ივნისს, ფინანსთა სამინისტროს, მსხვილგადამხდელთა ინსპექციის უფროსის საჩივრის საფუძველზე იგივე მოსამართლემ გაკოტრების საქმე შეწყვიტა. სახელმწიფომ უკვე უარი განაცხადა ,,რუსთავი 2-ის“ გაკოტრებაზე. 2004 წლის 28 ივნისს, სამი დღის შემდეგ, კომპანიის 90 პროცენტი შეიძინა ქიბარ ხალვაშმა.

ძველი მფლობელების განცხადებებიდან, ისეთი სურათი იქმნება, რომ ტელეკომპანიების წილებთან დაკავშირებით მუშაობდა სახელმწიფო რეკეტის ისეთივე სქემა, რაც საკუთრების უფლების ხელყოფის სხვა შემთხვევებში, როდესაც ქონებას სახელმწიფოს ჩუქნიდნენ. ამ შემთხვევებისგან განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ საწარმოს ან მისი წილების გაჩუქება ხდებოდა არა სახელმწიფოზე (ეს ვერც მოხდებოდა, ვინაიდან ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი უკრძალავს ადმინისტრაციულ ორგანოსა და თანამდებობის პირს სამაუწყებლო ლიცენზიის ფლობას), არამედ კერძო პირებზე. აღნიშნული პირების მეშვეობით ხელისუფლების წარმომადგენლები აკონტროლებდნენ იმ სიხშირეებს, რაც მაუწყებლებზე გაცემული იყო 2004 წლამდე.

ტელეკომპანიის აქტივში არსებული თავისუფალი სიხშირე ჩვეულებრივ ცალკეული სახელმწიფო სტრუქტურის ინტერესების გამომხატველ ტელეკომპანიას გადაეცემოდა სარგებლობაში. მაგალითად, ტელეკომპანია ,,202–ის“ სიხშირე გადავიდა თავდაცვის სამინისტროს ინტერესების გამომხატველი არხის, ,,საქართველოს“ სარგებლობაში, ხოლო ,,ობიექტივი–2“–ის სიხშირით, ამავე კომპანიის წარმომადგენელის განმარტებით, ტელეკომპანია ,,ალანია“ მაუწყებლობდა. თუმცა შეიძლება ხელისუფლების ან მისი ინტერესების გამომხატველი მეწარმის ინტერესებში არა მარტო სიხშირე, არამედ მთლიანად ტელეკომპანიაც შედიოდეს. ამის ნათელი მაგალითია ,,ტელეიმედი,“ რომელიც მფლობელის ცვლილების შედეგად სახელისუფლებო პლატფორმად იქცა.

ტელე და რადიო ,,იმედის“ ყოფილი მფლობელის, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლემ, ინა გუდავაძემ სახალხო დამცველს წარუდგინა ,,ი–მედიას“ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი კომპანია ,,ჯეი ემ ჯი გრუპის“ საწესდებო კაპიტალის 70%–ის მფლობელს, გიორგი ჯაოშვილის ჩვენება, რომელიც ამ უკანასკნელმა გააგზავნა ნიუ–იორკის სასამართლოში. ჩვენებიდან ირკვევა, რომ 2008 წლის 19 თებერვალს გიორგი ჯაოშვილი შეხვდა ჯოზეფ ქეის ამ უკანასკნელის ბიზნეს–პარტნიორთან გიორგი ისაკაძესთან და ადვოკატთან ერთად. გიორგი ჯაოშვილის განმარტებით, ჯოზეფ ქეიმ მას წარუდგინა ინგლისურ ენაზე დაწერილი ერთგვერდიანი დოკუმენტი, რომლითაც ჯოზეფ ქეი ადასტურებდა, რომ იყო ბადრი

პატარკაციშვილის ქონების მმართველი. ქეიმ განაცხადა, რომ აპირებდა შპს ,,ჯეი ემ ჯი გრუპის“ საწესდებო კაპიტალის წილის 70%–ის ყიდვას, იმისათვის რომ ,,იმედის“ მაუწყებლობის აღდგენასთან დაკავშირებით მოლაპარაკება ეწარმოებინა საქართველოს მთავრობასთან და დაეცვა ბადრი პატარკაციშვილის ქონება. გიორგი ჯაოშვილმა იკითხა ამის თაობაზე, რამდენად იყვნენ საქმის კურსში ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრები. ჯოზეფ ქეიმ განაცხადა, რომ ის მოქმედებდა გარდაცვლილი ბიზნესმენის სურვილის და ოჯახის ინტერესების შესაბამისად. გიორგი ჯაოშვილის განმარტებით, საბოლოოდ ჯოზეფ ქეიმ შპს ,,ჯეი ემ ჯი გრუპის“ საწესდებო კაპიტალის წილის 70% 420 000 ლარად შეიძინა. მარტო 2007 წლის 7 ნოემბერს ,,ტელეიმედის“ განადგურებული ტექნიკა სამი მილიონ ხუთასი ათას ლარად შეფასდა. დაზიანებული ტექნიკის ღირებულება საბედნიეროდ, სრულად აანაზღაურა სახელმწიფომ.[28]

ჯოზეფ ქეის მისვლის შემდეგ, მთლიანად შეიცვალა ჰოლდინგში შემავალი მედია საშუალებების სარედაქციო პოლიტიკა. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ მესაკუთრის შეცვლა შეეხო სამეთვალყურეო საბჭოსაც, რომლსაც სათავეში თავად ჯოზეფ ქეი ჩაუდგა. საკადრო ცვლილებები განხორციელდა ტელეკომპანიისა და რადიო სადგურის საინფორმაციო სამსახურის უფროსის პოზიციებზეც (ნონა ყანდიაშვილი ნინო გაბრიაძემ, ხოლო მაია თაბაგარი მანანა მანჯგალაძემ შეცვლა). ყველა მედიაში საინფორმაციო სამსახურის უფროსი არის საკვანძო ფიგურა, რომლითაც უშუალოდ ხორციელდება ყველა ახალი ამბების რედაქციის პოლიტიკა. მართლაც საკადრო ცვლილებების შემდგომ, ,,ი–მედიას“ შვილობილი კომპანიების ახალი ამბების რედაქციები მკვეთრად ლოიალურნი გახდნენ ხელისუფლების მიმართ.

უფრო მწვავედ აღიქვეს სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა რადიო ,,იმედის“ ჟურნალისტებმა. მსმენელისათვის შესამჩნევი გახდა, რომ აღნიშნულ რადიოსადგურში აღარ მუშაობენ დღის საინფორმაციო არხის პოპულარული თოქ–შოუს წამყვანი ირინა თევდორაშვილი, საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, ზურაბ თვაური, ეთერში აღარ გადის მანანა თოქმაჯიშვილის პოლიტიკური თოქ–შოუ, სამსახურიდან გაათავისუფლეს ნანა ფაჟავა. რადიო ,,იმედში“ არსებული მდგომარეობა და ზოგადად, სიტყვის თავისუფლების კუთხით არსებული პრობლემები ყველაზე უკეთ თავად რადიო ,,იმედის“ ჟურნალისტმა ნინო ცხვარაშვილმა გადმოსცა გაზეთ რეზონანსის“ 2008 წლის 19 სექტემბრის ნომერში შემდეგი სიტყვებით:

,,მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ რადიო ,,იმედის“ ჟურნალისტი ვარ, იმდენად აუტანელი გახდა უთქმელობა, მოკლედ უმოქმედო ჟურნალისტიკა, კონტროლირებადი ჟურნალისტიკა, რომ გადავწყვიტე ვწერო ფურცლებზე და ქუჩაში ამ ფორმით ვესაუბრო მსმენელს. ეს ჩემი არჩევანია. რას ვიზამთ თავისუფლებას მედიას არავინ აჩუქებს, მას მოპოვება უნდა. ჟურნალისტური კორპუსი კი დეზორგანიზებულია... ჩემი ხელმძღვანელი შთაგონებული სახით: ,,რა დროს ეგ არის? როგორ, შენ პატრიოტი არ ხარ? არ გინდა დამოუკიდებლობა? დღეს ხომ მთავარია სახელმწიფო! მეც ვრჩები და ირევა ათასი აზრი: რომელი სახელმწიფო?

[28] http://media.ge/geo/page.php?m=news_detailed&id_numb=3871&&case=search&&tomark

რომელიც დღეს კვდება? სადაც არ არის დემოკრატია და სადაც ხალხს ეუბნებიან რა დროს სამართალია, იქ რუსის ჯარი დგას, სადაც არეულია ღირებულებები და ერისკაცები სანთლით საძებარია.“

როდესაც კითხულობ პატრიოტული მოტივით ჟურნალისტური თავისუფლების შეზღუდვის მოწოდებას, გვახსენდება ,,რუსთავი–2–ის“ ჟურნალისტების განცხადებები, რომლებიც აისახა 2007 წლის მეორე ნახევრის მოხსენებაში. მაშინ ,,რუსთავი–2–ის“ რამდენიმე ჟურნალისტმა კონფიდენციალობის დაცვის პირობით სახალხო დამცველს მოუთხრო მაშინდელი გენერალური დირექტორის, კობა დავარაშვილის მიერ ჩატარებული თათბირის თაობაზე. გენერალურმა დირექტორმა ჟურნალისტებს წარუდგინა ე.წ ,,ახალი ადამიანის“ კონცეფცია. ეს უკანასკნელი გულისხმობდა ისეთი ინფორმაციის (მაგალითად კახეთში ვაზის გაჩეხვის ფაქტს) გავრცელებისაგან თავის შეკავებას, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებდა. მსგავსი ცენზურის ფაქტს კობა დავარაშვილი პატრიოტული მოსაზრებებით ხსნიდა და აცხადებად, რომ არაპატრიოტი ჟურნალისტების ადგილი ტელევიზიაში არ იყო. როგორც ჩანს, ,,ი–მედიას“ მფლობელობაში არსებულ მედია–საშუალებებში ცენზურისა და პოლიტიკური ზეწოლის გამართლებისათვის იმავე არგუმენტებს მიმართავენ.

ნინო ცხვარაშვილი იყო ერთადერთი ჟურნალისტი, რომელმაც საჯაროდ ისაუბრა ცენზურაზე. ეს მართლაც სამოქალაქო გმირობის ტოლფასია. სახალხო დამცველი იმოდევნებს, რომ აღნიშნული განცხადებები არ იქნება მიჩნეული კორპორაციული თანაარსებობის წესების დარღვევად და არ მოხდება ამის გამო ნინო ცხვარაშვილის სამსახურიდან გათავისუფლება.

უნდა აღნიშნოს, რომ თავად ასეთი ტიპის განცხადებები აძლევს მედია მფლობელს სრულ უფლებამოსილებას, სამსახურიდან გაათავისუფლოს ჟურნალისტი. რადიო ,,იმედის“ საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსის, ნონა ყანდიაშვილის საქმე ამაზე ნათლად მეტყველებს. საინფორმაციო სამსახურის ახალი ამბების პოლიტიკა წარმოადგენს მფლობელის შეუზღუდავი ჩარევის საგანს. მესაკუთრე საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს მიუთითებს, თუ როგორი არაკრიტიკულობით, ხელისუფლების მიმართ უმტკივნეულო დამოკიდებულებით უნდა მიუდგეს რადიოსადგურის საინფორმაციო გამოშვება პოლიციელის მიერ ადამიანის მოკვლის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას, თუნდაც მაშინ, როცა ამის შესახებ საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი გახდა მედიის სხვა საშუალებებით (იხ.ნონა ყანდიაშვილის საქმე). ,,ი–მედიას“ ახალი მფლობელი არა მარტო კონკრეტულ მითითებას იძლევა ხელისუფლების პოზიტიურ ჭრილში გაშუქების თაობაზე, არამედ შემუშავებული აქვს ე.წ. ,,ობიექტურობის კრიტერიუმებიც.“ ნონა ყანდიაშვილის განმარტებით, ჯოზეფ ქეის მიაჩნია, რომ არსებობს მოვლენების გაშუქების ორი ხერხი: ობიექტურობა პლიუსით და ობიექტურობა მინუსით. ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობილ მეწარმეს კი მიაჩნია, რომ მის საკუთრებაში არსებული მედიის საინფორმაციო სამსახური უნდა გამოირჩეოდეს ხელისუფლების მიმართ „ობიექტურობა–პლიუს“ ნიშნით. ვინც აღნიშნულ ხაზს გადაუხვევს, მისი ადგილი უბრალოდ ასეთ მედიაში არ იქნება.

საინფორმაციო სამსახურის მიერ თავისი სარედაქციო დამოუკიდებლობის დაცვის შემთხვევაში, უფლებების დამცველი ჟურნალისტი განწირულია სამსახურიდან დათხოვნისათვის (იხ. ნონა ყანდიაშვილის საქმე). ასეთი შედეგის დადგომაში მედიის მესაკუთრეს ხელს უწყობს არსებული კანონმდებლობა. შრომის კოდექსის 37–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა. ამავე საკანონმდებლო აქტის 38–ე მუხლი საერთოდ არ განსაზღვრავს დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველს. ,,შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში, დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება" (შრომის კოდექსის 38–ე მუხლის მე–3 ნაწილი). იგულისხმება, რომ დამსაქმებელს შეუძლია ხელშეკრულება მოუშალოს იმ დასაქმებულ ჟურნალისტთანაც, რომელიც იცავს სარედაქციო დამოუკიდებლობას – უფლებას, რომელიც გარანტირებულია ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით. ერთადერთი შეზღუდვა, რაც დამსაქმებელს აკისრია შრომითი ხელშეკრულების კანონიერად მოსაშლელად, არის გათავისუფლებული დასაქმებულისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების მიცემა. ხელისუფლების კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად და ურჩი ჟურნალისტის დასაჯელად ზემოხსენებულ ვალდებულებას მედიის მესაკუთრე ყოველთვის შეასრულებს. სახალხო დამცველი, როგორც ამას წინა მოხსენებაშიც აღნიშნავდა, ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნა ვერ შესრულდება, თუკი ჟურნალისტებთან არ იქნება გაფორმებული გრძელვადიანი წერილობითი ხელშეკრულებები, რომლითაც ზუსტად იქნება გათვალისწინებული სამსახურიდან დაქირავებული ჟურნალისტის გათავისუფლების საფუძვლები და მისი უსაფუძვლო დათხოვნისაგან დაცვა გარანტირებული იქნება მედია მესაკუთრეზე სოლიდური ფინანსური კომპენსაციის დაკისრებით. ამისათვის აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

თუკი თვალს გავადევნებთ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ხელიდან ხელში ტელეკომპანიების საწესდებო კაპიტალის წილების უმრავლესობის გადასვლის დინამიკას, შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ წილის უმრავლესობის მფლობელი არ არის აღნიშნული აქტივის რეალური მესაკუთრე. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ მაგალითად, ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2–ის" ყოველი ახალი მესაკუთრე უცხო პირთან აფორმებს ან წილის უსასყიდლოდ დათმობის ან ჩუქების ხელშეკრულებას. მაგალითად ,,ობიექტივი–2–ის" 100%–ის მფლობელმა ქეთევან ასათიანმა საწესდებო კაპიტალის წილის 51% უსასყიდლოდ დაუთმო დავით კაკაურიძეს, თავის მხრივ დავით კაკაურიძემ ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა ნოდარ ჭარხალაშვილს, ბოლოს აღნიშნული წილები ასევე უსასყიდლოდ გადაეცა გურამ კვირიკაშვილს, რომელმაც თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მხარი დაუჭირა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ჯერ კიდევ დავით კაკაურიძის მიერ შეტანილ ,,ობიექტივი–2–ის" კუთვნილი სამაუწყებლო ლიცენზიის გაუქმების თაობაზე განცხადებას. მესაკუთრეთა ასეთი სიხშირით ცვლა დამახასიათებელია ასევე ტელეკომპანია ,,რუსთავი–2"–ისთვისაც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ტელეკომპანიების რეალური მესაკუთრეები სულაც არ არიან ის პირები, ვინც ასეთად რეგისტრირებული არიან სამეწარმეო რეესტრში ან დამოუკიდებელ რეგისტრატორთან. ასეთი პირები სჭირდება ხელისუფლებას, რათა

საწარმოს აქტივში არსებული სიხშირე თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს ან არ დაუშვას ასეთი სიხშირის თავისუფალ ბრუნვაში მოქცევა.

ამის ნათელი მაგალითია, ტელეკომპანია ,,მეცხრე არხი.“ აღნიშნულმა ტელეკომპანიამ 2004 წელს შეწყვიტა მაუწყებლობა. მართალია მას შემდეგ ზუსტად ოთხი წელი გავიდა, მაგრამ აღნიშნული სუბიექტი დღესაც ფლობს მაუწყებლობის ლიცენზიას. 2005 წლის 25 იანვარს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ #33/1 გადაწყვეტილებით აღნიშნულ არარსებულ ტელეკომპანიაზე გასცა მთელი საქართველოს მაშტაბით მაუწყებლობის #1444 ლიცენზია. 2006 წლის 20 თებერვალის გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,მეცხრე არხის“ კუთვნილი ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე. არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომელიც ,,მეცხრე არხის“ კუთვნილი ლიცენზიის გაუქმებას დაადასტურებდა. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ზედიზედ სამი თვეზე მეტი დროის განმავლობაში ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის შეწყვეტა. ,,მეცხრე არხს“ ასეთი საქმინობა არათუ ზედიზედ სამ თვეზე მეტი დროის განმავლობაში ჰქონდა შეწყვეტილი, არამედ ზედიზედ ოთხი წელია არ მაუწყებლობს. საანგარიშო პერიოდში კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან ,,რუსთავი–2–ის“ მფლობელობასთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოთხოვის შედეგად, ცნობილი გახდა, რომ ,,მეცხრე არხის“ საწესდებო კაპიტალის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს ,,რუსთავი–2–ის“ გენერალური დირექტორი, ირაკლი ჩიქოვანი. მაუწყებლობის შეწყვეტამდე ,,მეცხრე არხის“ მფლობელი იყო ,,ქართუ ფონდი,“ რომელიც ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებულია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლება ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევით ოთხი წლის განმავლობაში თავს არიდებს იმ სიხშირეთა თავისუფალ ბრუნვაში მოქცევას, რომლითაც შესაძლებელია მთელი ქვეყნის მაშტაბით მაუწყებლობა. თუკი სრულიად უმნიშვნელო და საკამათო დარღვევის არსებობისას, კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ ერიდება დამოუკიდებელი მედია საშუალებების სანქცირებას, იგივე კომისია არანაირად არ რეაგირებს ოთხი წლის განმავლობაში ,,მეცხრე არხის“ მიერ მაუწყებლობის შეწყვეტის ფაქტზე და სანქციის სახით არ იყენებს მაუწყებლობის ლიცენზიის გაუქმებას. ეს ხდება მაშინ, როდესაც ,,მეცხრე არხის“ დახურვა მოხდა საკმაოდ პომპეზურად. ეს გარემოება ცნობილი უნდა ყოფილიყო კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის, ისევე როგორც მაესტროს მიერ საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამების სამაუწყებლო ბადეში განთავსება, ასევე ტელეკომპანია ,,ქუთაისის“ მიერ მაუწყებლობის შეწყვეტა გახდა ცნობილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია განზრახ ერიდება მთელი ქვეყნის მაშტაბით სატელევიზიო მაუწყებლის გამოჩენას და ამის გამო არ ათავისუფლებს გაუქმებული ტელეკომპანიის მფლობელობაში არსებულ სიხშირეებს, რომელთა პრაქტიკული გამოყენება არ ხდება. სწორედ ამის გამო არ აუქმებს ამ დრომდე კომუნიკაციების ეროვნული კომისია ,,მეცხრე არხის“ კუთვნილ #1444 ლიცენზიას, არ ტოვებს თავისუფალ სიხშირეებს, რომლებზეც შეიძლება ვინმემ სალიცენზიო განაცხადი წარადგინოს. ტელეკომპანია ,,მაესტროს“ შემთხვევა ადასტურებს იმას, თუ რამდენად არაკეთილგანწყობილად ხვდება კომუნიკაციების

ეროვნული კომისია ყოველი სატელევიზიო სადგურის მიერ საერთო სამაუწყებლო საქმიანობის დაწყებას. ასეთ პირობებში ვინ თუ არა ხელისუფლების მიმართ ყველაზე ლოიალურად განწყობილი ტელეკომპანიის ,,რუსთავი–2–ის" გენერალური დირექტორი, შეიძლება იყოს ის პიროვნება, რომელიც შეიძლება ფლობდეს ტელეკომპანიას, რომელსაც გააჩნია მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობის ლიცენზია, მაგრამ ასეთი სანდო მესაკუთრის პირობებში არ ხორციელდება ლიცენზიით განსაზღვრული პრაქტიკული საქმიანობა. ცხადია ასეთ პირობებში, მედიის საკუთრებას შეიძლება ჰქონდეს ფორმალური ხასიათი.

ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს შეინარჩუნოს მისივე ხელშეწყობით მედიაში მომხდარი საკუთრებითი ცვლილებები. მედია ჰოლდინგ ,,ი–მედიას" შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დიანა ბერაკაშვილი თავის 2008 წლის 14 მაისის განჩინებაში კონკრეტულ მტკიცებულებაზე მითითების გარეშე დაადგინა, რომ არსებობს ინა გუდავაძისა და მისი ქალიშვილების მხრიდან ბადრი პატარკაციშვილის სამკვიდრო მასის გაფლანგვის საფრთხე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. ზემოხსენებული განჩინებით, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს, ინა გუდავაძეს, ქალიშვილებს ია პატარკაციშვილსა და ლიანა ემოტოვას აეკრძალა, განახორციელონ ნებისმიერი ფაქტობრივი ან იურიდიული მოქმედება სამკვიდროს ან მისი ნაწილის საკუთრების, მფლობელობის ან სხვა უფლების მიღებასთან ან ნებისმიერი სხვა პირისათვის გადაცემასთან დაკავშირებით. თავის მხრივ იმავე განჩინებით, ჯოზეფ ქეი აღიჭურვა უფლებით, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რასაც აუცილებლად ჩათვლის ბადრი პატარკაციშვილის ქონების შეკრებისა და მოვლისათვის, ისევე როგორც სამკვიდრო მასის ან მისი ნაწილის რეალიზაციისათის თუ ასეთი რეალიზაცია აუცილებლად ჩაითვლება. აღნიშნულმა განჩინებამ კიდევ უფრო გაამყარა ჯოზეფ ქეის მდგომარეობა ჰოლდინგ ,,ი–მედიასთან" მიმართებაში. იმ შემთხვევაში თუკი ჯოზეფ ქისა და გიორგი ჯაოშვილს შორის 2008 წლის 19 თებერვალს გაფორმებული ,,ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპის" საწესდებო კაპიტალის წილის 70%–ის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოხდება, ჯოზეფ ქეის, სამკვიდრო ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილების ძალით კვლავ ექნება შეხება მედია ჰოლდინგ ,,ი–მედიასთან." ამით გარკვეულწილად ხელისუფლებამ დამატებითი სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტია შეუქმნა ჯოზეფ ქეის ტელე და რადიო კომპანია ,,იმედის" მფლობელობის შენარჩუნებისათვის

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯოზეფ ქეის სასამართლოსათვის არასოდეს წარუდგენია იმ დოკუმენტის ორიგინალი, რომელიც ანიჭებს მას უფლებამოსილებას, მართოს და განკარგოს ბადრი პატარკაციშვილის ქონება. თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი იქნა ბადრი პატარკაციშვილის კონფიდენციალური მითითების შესაბამისად, 2008 წლის 14 ნოემბერს შედგენილი აქტის ასლი ,,ქონების აღმასრულებელი მმართველის დანიშვნის შესახებ," რომლითაც ჯოზეფ ქეის მინიჭებული აქვს ზემოხსენებული უფლებამოსილებები. აღნიშნული დოკუმენტის ასლები ინა გუდავაძემ წარუდგინა ექსპერტს, რომლის დასკვნის შესაბამისად, ბადრი პატარკაციშვილის ხელმოწერა აღნიშნულ დოკუმენტზე არის გაყალბებული. ინა გუდავაძის განმარტებით, მოწმეები, რომლებიც 2008 წლის 14 ნოემბერს

იმყოფებოდნენ ბადრი პატარკაციშვილთან ადასტურებენ, რომ მათი თანდასწრებით ბადრი პატარკაციშვილს არანაირი დოკუმენტისათვის ხელი არ მოუწერია. ინა გუდავაძეს სარწმუნოდ არ მიაჩნია ჯოზეფ ქეის ვერსია იმასთან დაკავშირებით, რომ ბადრი პატარკაციშვილმა დოკუმენტს ხელი მოაწერა ნიუ–იორკში შუა ღამით, რესტორანიდან გამოსვლის შემდეგ, ქუჩის განათების შუქზე, ინგლისურ ენაზე, რომელზედაც ბადრი პატარკაციშვილი თავისუფლადაც კი ვერ ლაპარაკობდა.

,,ობიექტივი–2–ის“ შემთხვევაში, მაშინ როცა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით აღნიშნული ტელეკომპანიის 49%–ის ხმის უფლების მქონე პარტნიორმა დომინანტური მდგომარეობის დაბრუნება განიზრახა. ხელისუფლების მფარველობის ქვეშ მყოფმა საწესდებო კაპიტალის წილის უმრავლესობის მფლობელმა განცხადებით მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა, თავისი ქონების ძირითადი აქტივის, სამაუწყებლო ლიცენზიის გაუქმება. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, თავის მხრივ, კანონმდებლობის სრული დაცვით დააკმაყოფილა აღნიშნული განცხადება.(იხილეთ ობიექტივი–2–ის საქმე) ამგვარად, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ისევე როგორც სასამართლო დგანან მოწოდების სიმაღლეზე, როდესაც სამაუწყებლო სიხშირეების არაკონტროლირებადი სუბიექტის ხელში მოხვედრის შესაძლებლობა არსებობს..

ხელისუფლების ინტერესების გამომხატველი ტელევიზიის საკუთრება მეწარმისათვის სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშეუხებლობის გარანტიაა. ტელევიზიის მესაკუთრე სარედაქციო პოლიტიკის გამო არათუ იმსახურებს ხელისუფლების კეთილგანწყობას, არამედ თავად ხდება ხელისუფლების ნაწილი (მაგალითად, ,,რუსთავის–2–ის,“ ,,მზისა“ და ,,პირველი სტერეოს“ საწესდებო კაპიტალის წილის 45%–ის მფლობელი კომპანიის ,,საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფის“ დამფუძნებელი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ბეჟუაშვილია).

სატელევიზიო მედიის საკუთრება ხელისუფლების კეთილგანწყობასთან ერთად, მეწარმისათვის გარკვეული პრობლემების შემცველიცაა. სატელევიზიო მედიის საკუთრება ესაა საფასური, რასაც თავისი პოლიტიკური გუნდისათვის ან მისთვის სასარგებლო პოლიტიკურ ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად იხდის მეწარმე. სატელევიზიო მედიის, როგორც ტვირთის არსი მის დოტაციურობაში მდგომარეობს. მწირი სარეკლამო ბაზრის პირობებში სატელევიზიო ბიზნესი არ არის მომგებიანი. განსაკუთრებით დიდი ხარჯებთანაა დაკავშირებული საინფორმაციო სამსახურის ფუნქციონირება. ბიზნესის წარმომადგენელისათვის მომაბეზრებელი ხდება იმ მედიის ახალი ამბების სამსახურის არსებობა, მით უმეტეს მაშინ თუკი არ არის რეიტინგული და თანაც ხელისუფლების ხელში არ წარმოადგენს იმ მასშტაბის პროპაგანდის საშუალებას, რასაც კონკურენტი ტელევიზია. ამავე დროს, სატელევიზიო ბაზარზე იგეგმება მაყურებლისათვის კარგად ნაცნობი ბრენდის დაბრუნება, რომელსაც აქვს ყველა შესაძლებლობა, უკეთესად გაახმოვანოს ხელისუფლების ინტერესები. ასეთ პირობებში ბიზნესმენი იღებს ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილებას. სწორედ ამ მიზეზებით

უნდა აიხსნას საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია ,,მზის“ საინფორმაციო სამსახურის დახურვის ფაქტი.

ჟურნალისტების უსაფრთხოება და მათი პროფესიული საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა

საანგარიშო პერიოდში ჟურნალისტები არაერთხელ გახდნენ ოპოზიციისა და ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფების თავდასხმის ობიექტები. მოქალაქეები, რომლებიც თავის თავს მიაკუთვნებდნენ ხელისუფლების ან ოპოზიციის პოლიტიკურ ბანაკს, ღია უკმაყოფილებას, აღშფოთებას და აგრესიას გამოხატავდნენ იმ მედია საშუალებების მიმართ, რომლებიც, მათი აზრით, არაობიექტურად და მიკერძოებულად აშუქებდნენ მათი პოლიტიკური ჯგუფის ან ლიდერის საქმიანობას, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტულ ფაქტს.

ოპოზიციისა და მათი მხარდამჭერების მხრიდან აგრესიის ობიექტები ხდებოდნენ, ძირითადად ტელეკომპანიების ,,რუსთავი–2–ისა“ და ,,მზის“ ჟურნალისტები. ამის მიზეზი გახდა აღნიშნული ტელეკომპანიების მიერ ,,გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქციების, ოპოზიციის ლიდერების განცხადებების ეთერში არგაშვება ან აღნიშნული ღონისძიებების არაადეკვატური გაშუქება. მაგალითად, 2008 წლის 24 მარტს საპროტესტო აქციის მონაწილეები ტელეკომპანია ,,მზის“ ჟურნალისტს, ნოდარ მელაძეს ადანაშაულებდნენ, რომ ამ უკანასკნელმა კადრები იმ ადგილიდან აიღო, საიდანაც საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანდა. დემონსტრანტების აზრით, აღნიშნულ ვიდეომასალას ჟურნალისტი საპროტესტო აქციის მონაწილეთა სიმცირის დემონსტრირების მიზნით გამოიყენებდა. ამის გამო საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ჟურნალისტს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და კამერა ძალით მიატრიალეს იმ მხარეს, სადაც ხალხის დიდი მასა იყო შეკრებილი.

მეორე დღეს კი ოპოზიციურ პარტიათა გაერთიანება ,,ერთიანმა ეროვნულმა საბჭომ“ ტელეკომპანია ,,მზესა“ და სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავის–2“–ს ბოიკოტი გამოუცხადა.

იმავე დღეს, რუსთაველის გამზირიდან პირდაპირი ჩართვის დროს, ,,რუსთავი–2“–ის ჟურნალისტს, თამარ ბაღაშვილს თავს დაესხნენ საპროტესტო აქციის მონაწილეები და შეურაცხმყოფელი და ძალადობრივი ფორმებით საპროტესტო აქციის დატოვებისაკენ მოუწოდეს. ერთ–ერთმა ოპოზიციონერმა ხელი დააფარა ოპერატორის კამერას, რომელიც ინციდენტს იღებდა.[29]

[29] http://media.ge/geo/page.php?m=news_detailed&id_numb=3307&&case=search&&tomark

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში ,,ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ", განაცხადა, რომ დემონსტრანტებმა, როგორც დემოკრატიული პროცესის მონაწილეებმა, პატივი უნდა სცენ დემოკრატიულ ნორმებს. იმავე სასამართლომ, საქმეში ,,სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ," განაცხადა, რომ ჟურნალისტი ასრულებს საზოგადოებრივი დარაჯის ფუნქციას. ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება არა მხოლოდ ჟურნალისტის ამოცანას წარმოადგენს, არამედ საზოგადოებასაც აქვს ამგვარი ინფორმაციის მიღების უფლება. სიტყვის თავისუფლება დაცულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ინფორმაცია არა მხოლოდ ნეიტრალურია, არამედ მაშინაც, როდესაც იგი შოკისმომგვრელი, შემაშფოთებელი და შემაწუხებელია მთელი საზოგადოების ან მისი გარკვეული ნაწილისათვის.

პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლისა თუ ნებისმიერი პიროვნების უფლებას წარმოადგენს, არ ითანამშრომლოს ამა თუ იმ მედია საშუალებასთან, არ გააკეთოს მასთან რაიმე სახის განცხადება თუ კომენტარი, მით უმეტეს მაშინ, თუ აღნიშნული მედია საშუალება გამოირჩევა მოვლენების ტენდენციური და დაუბალანსებელი გაშუქებით. მიუხედავად ამისა, არავის აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ჟურნალისტს თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ყოფნით აქტუალური ინფორმაციის მოპოვებაში, ვიდეოგადაღებასა და მის ეთერში გაშვებაში. ტენდენციურობაზე ეჭვი არ შეიძლება გახდეს ჟურნალისტის მიმართ იძულების საფუძველი, თავი შეიკავოს საზოგადოებისათვის აქტუალური ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისაგან.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტელეკომპანია ,,მზისა" და სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი–2–ის" ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი ქმედებები შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის 154–ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისათვის, ესე იგი მისი იძულებისათვის, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან.

ანალოგიური ხასიათის აგრესიულობით გამოირჩეოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები ჟურნალისტების მიმართ. მათი სამიზნე გახდნენ პიროვნებები, რომლებიც აშუქებდნენ როგორც 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო, ასევე 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებს. ეს ადამიანები არიან რადიო ,,ჰერეთის" ჟურნალისტი ხათუნა გოგაშვილი, ტელეკომპანია ,,მზის" ჟურნალისტი ალეკო გაბუნია და ოპერატორი, ნიკოლოზ პატარაია, რადიო ,,იმედის" ჟურნალისტი ნანა ფაჟავა, გაზეთ ,,რეზონანსის" ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე. ასევე ჩვეულებრივი დამკვირვებლები მალხაზ ვარშანიძე და ირაკლი გოგუაძე, რომლებიც საარჩევნო უბანში კამერით იმყოფებოდნენ.

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების თავისებურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები კრძალავდნენ საარჩევნო პროცედურების ფოტო და ვიდეო გადაღებას, ასევე აუდიოჩანაწერის გაკეთებას. აღნიშნული ქმედებები ხდებოდა მაშინ, როდესაც მედიის წარმომადგენლები

ცდილობდნენ იმ პირების დაფიქსირებას, ვისაც არ ჰქონდა საარჩევნო უბანში ყოფნის უფლება,[30] ასევე, ძალადობის განხორციელების პროცესში, მედიის წარმომადგენლები აფიქსირებდნენ შემდეგ გარემოებებს: საარჩევნო უბანზე დამკვირვებლებისა და კენჭისყრის ადგილზე ყოფნის უფლების მქონე პირთა მიმართ ძალადობას,[31] კენჭისყრის მიმდინარეობის შეჩერებას,[32] საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაშვების პროცესს.[33] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საარჩევნო კომისიის წევრების გარდა აკრედიტებულ ჟურნალისტებს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელს უშლიდნენ პირები, რომლებსაც არ ჰქონდათ კენჭისყრის ადგილზე ყოფნის უფლება, ვინაიდან არ ატარებდნენ სამკერდე ნიშანს[34]. მაგალითად, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე ლაგოდეხის #15 საარჩევნო ოლქის კაბალის #19 საარჩევნო უბანზე ,,ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ისაკო ცქიფურიშვილმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა რადიო ,,ჰერეთის" ჟურნალისტს ხათუნა გოგაშვილს. ისაკო ცქიფურიშვილს არ ჰქონდა საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლება.

საარჩევნო კოდექსის 50–ე მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად, კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია. იმავე კოდექსის 67–ე მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტო–ვიდეო გადაღება.

არც ერთ დასახელებულ პირს არ უცდია საარჩევნო კაბინის გადაღება. ისინი აფიქსირებდნენ შემთხვევებს, რომლებიც არანაირ კავშირში არ იყო კაბინაში ხმის მიცემასთან. ამ გარემოებაში ფოტო–ვიდეო გადაღების აკრძალვა არ შეესაბამება საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნებს. რაც შეეხება აუდიო ჩაწერას, აღნიშნული გარემოება საერთოდ არ არის აკრძალული საარჩევნო კოდექსით. საარჩევნო დარღვევების ვიდეოგადაღება, ისევე, როგორც ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით ინფორმაციის შეგროვება, სრულ შესაბამისობაში მოდის ჟურნალისტის, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის ფუნქციასთან.

ხელის შეშლის ფორმა იყო ძალადობრივი. ფიზიკური შეურაცხყოფა გამოიხატებოდა ხელების გადაგრეხვაში,[35] ხელის კვრაში,[36] მუშტების დარტყმაში, ქვებისა და ჯოხების სროლაში.[37] ზუგდიდში თავდამსხმელებმა ტელეკომპანია ,,მზის" ოპერატორი ნიკოლოზ პატარაია ხელში დანითაც კი დაჭრეს.

ყველა ინციდენტის დროს თავდამსხმელების პირველი სამიზნე იყო ვიდეოკამერა. ერთ შემთხვევაში თავდამსხმელები ვიდეოკამერას ხელს აფარებდნენ, რათა არ

---

[30] იხ.ელისო ჩაფიძისა ალეკო გაბუნიას საქმე
[31] ალეკო გაბუნიასა და ნიკოლოზ პატარაიას საქმე
[32] ნანა ფაჟავას საქმე
[33] ირაკლი გოგუაძის საქმე
[34] ხათუნა გოგაშვილის საქმე
[35] ელისო ჩაფიძის საქმე,
[36] ნანა ფაჟავას საქმე
[37] ალეკო გაბუნიასა და ნიკოლოზ პატარაიას საქმე

ასახულიყო კანონსაწინააღმდეგო ქმედება.[38] სხვა დროს თავდამსხმელებმა უბრალოდ დააზიანეს ვიდეოკამერა.[39] არის ასევე ვიდეოკამერის წართმევისა და გატაცების ფაქტებიც.[40]

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებზე განხორციელებული ყველა თავდასხმის დროს პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ საარჩევნო უბანზე, მის მიმდებარე ტერიტორიაზე ან უშუალოდ ჟურნალისტების თავდასხმის ადგილას. ისინი არანაირ რეაგირებას არ ახდენდნენ დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად. ზუგდიდში ტელეკომპანია ,,მზის" ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფა ხდებოდა საპატრულო პოლიციის ავტომანქანებიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაღაროს საარჩევნო უბანში იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომელი მამუკა დეკანოიძე. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი ელისო ჩაფიძის ფიზიკური შეურაცხყოფა მისი თანდასწრებით ხდებოდა, მამუკა დეკანოიძემ არ აღკვეთა თავდამსხმელების ქმედებები. პირიქით, მან – დაიფარა თავდამსხმელები – ისინი საკუთარ მანქანაში ჩასვა და დროებით გაარიდა საარჩევნო უბანს. ირაკლი მამალაძისათვის საარჩევნო უბანში ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების დროს, პოლიციელები იმყოფებოდნენ საარჩევნო უბნის მახლობლად. კამერის წართმევის შესახებ ირაკლი გოგუაძემ აცნობა პოლიციას. ამ დროისათვის თავდამსხმელები ჯერ კიდევ საარჩევნო უბანთან იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, პოლიციამ არც თავდამსხმელთა დაკავება და არც წართმეული კამერის დაბრუნება არ უზრუნველყო.

თავისუფალ მედიაზე ზემოქმედების ეკონომიკური ბერკეტები

საანგარიშო პერიოდში მედიის მფლობელები და დამოუკიდებელი ექსპერტები კვლავ მიუთითებდნენ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის თაობაზე. ის მედია საშუალებები, რომლებმაც ზეწოლა განიცადეს, იყვნენ ძირითადად თბილისში მოქმედი ტელეკომპანია ,,კავკასია," რადიოსადგურები და ბეჭდითი მედია. საანგარიშო პერიოდში, ხელისუფლების მხრიდან სავარაუდო ზეწოლის ფორმები აღარ ყოფილა ისეთი სასტიკი და ძალადობრივი, როგორც ეს 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია ,,იმედის" მიმართ იყო. მედია მფლობელების განმარტებით, ხელისუფლებამ ამჯერად იერიში კრიტიკულად განწყობილი მედია საშუალების სარეკლამო შეკვეთებზე მიიტანა და, ამგვარად, მედიისათვის ფინანსური პრობლემების შექმნას შეეცადა. მედია მესვეურების მტკიცებით, ფინანსური კუთხით ზეწოლის ფორმის გამოყენების ფუნქცია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა იკისრა.

ტელეკომპანია ,,კავკასიის" ხელმძღვანელობის განმარტებით, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარ სამმართველოში

[38] ელისო ცაფიძის საქმე
[39] ალეკო გაბუნიასა და ნიკოლოზ პატარაიას საქმე
[40] მალხაზ ვარშანიძისა და ირაკლი გოგუაძის საქმე

დაიბარეს ტელეკომპანია ,,კავკასიის“ ხუთი კონტრაჰენტი კომპანიის წარმომადგენელი და მათ აღნიშნულ ტელეკომპანიასთან ურთიერთობის გაწყვეტა მოსთხოვეს. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები მიიჩნევდნენ, რომ ,,კავკასია“ ხელს უწყობდა ქვეყანის დესტაბილიზაციას, ამის გამო ტელეკომპანიაში სარეკლამო შეკვეთები უნდა შეეწყვეტილიყო. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეწარმეებს საგადასახადო შემოწმების ჩატარებითა და სანქციების დაკისრებით ემუქრებოდნენ. მეწარმეების მიერ ,,კავკასიის“ მფლობელისათვის მიცემული ინფორმაციის თანახმად, მეწარმეებთან შეხვედრას ესწრებოდა ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, დავით კირკიტაძის ძმა ირაკლი კირკიტაძეც. შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში დაბარებულმა ხუთმა მეწარმემ, აღნიშნული შეხვედრის შემდეგ, მართლაც გააუქმა სარეკლამო შეკვეთები ტელეკომპანია ,,კავკასიასთან.“

ზოგმა დამკვეთმა მოშალა ,,კავკასიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, ზოგიერთ მათგანთან კი ხელშეკრულების ვადა იწურებოდა 2008 წლის ივლისის დასაწყისში და მის გაგრძელებაზე უარი თქვეს.

ნინო ჯანგირაშვილმა სახალხო დამცველს გაუმხილა იმ კომპანიების სახელწოდებები, რომლებიც შემოსავლების სამსახურში დაიბარეს. ნინო ჯანგირაშვილის მოთხოვნით აღნიშნული ინფორმაცია ჯერჯერობით კონფიდენციალურია.

,,კავკასიასთან“ ერთად სარეკლამო შეკვეთები გაუქმდა სხვა მედია საშუალებებშიც. media.ge–ის ინფორმაციით, ფიჭური კომპანია ,,ბილაინის“ კუთვნილმა სარეკლამო კომპანია ,,სტარ კომ მედია ინვესტ გრუპმა“ 2008 წლის 3 ივლისიდან რადიო ,,ჰერეთის“ ეთერში რეკლამის განთავსება შეწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ვადა 2008 წლის ბოლოს იწურებოდა. ,,ბილაინის“ განმარტებით, რეკლამების განთავსების შეწყვეტის მიზეზი თითქოს კომერციული მოსაზრებებია.[41]

სამხარეო ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლით ხსნიდა სარეკლამო შეკვეთების გაუქმებას ქალაქ გურჯაანში გამომავალი გაზეთის ,,პროგრესის“ რედაქტორი ზვიად რუაძე. რადიო ,,ჰერეთის“ ინფორმაციით, აღნიშნულ გაზეთის 2008 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა კახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ლევან ბეჟაშვილის შესახებ კრიტიკული სტატია. ამის შემდეგ, ზვიად რუაძის განმარტებით, ბიზნესმენებმა გუბერნატორის მოადგილის, გიორგი ბოტკოველის მოთხოვნით შეწყვიტეს გაზეთთან თანამშრომლობა.

მაშინ როდესაც ოპოზიციური პლატფორმის რამდენიმე მედია საშუალებაში სარეკლამო შეკვეთები ერთდროულად უქმდება, ძნელი დასაჯერებელია, რომ აღნიშნული კომერციული მოსაზრებებით შეიძლება იყოს გამოწვეულია. ამის გამო, სახალხო დამცველს უსაფუძვლოდ არ მიაჩნია განცხადებები, რომ ოპოზიციურ მედია საშუალებებთან სარეკლამო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებები ხელისუფლების უშუალო ჩარევის შედეგია.

---

[41] http://media.ge/geo/page.php?m=news_detailed&id_numb=3646&&case=search&&tomark

როგორც ვხედავთ, საანგარიშო პერიოდში ხელისუფლებამ აირჩია მედიასთან ბრძოლის ახალი ტაქტიკა. მეწარმეებზე ხორციელდება ზეწოლა, რაც გამოიხატება სარეკლამო შეკვეთების გაუქმების მოთხოვნაში. თანამდებობის პირები ცდილობენ ფინანსური პრობლემები შეუქმნან არასასურველ მედია საშუალებებს და ამ გზით მიაღწიონ მათ დახურვას ან მედია ბაზარზე ასეთი მოთამაშის კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას. სარეკლამო შეკვეთების ანუ მედია საშუალების ნორმალური არსებობისათვის აუცილებელი შემოსავლების არარსებობის პირობებში, მედიის მესაკუთრეს რჩება სამი არჩევანი: შეწყვიტოს საქმიანობა, გაატაროს ხელისუფლების მიმართ ლოიალური სარედაქციო პოლიტიკა ან შეზღუდული რესურსების გამოყენებით იბრძოლოს არსებობისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში, მედიას არა აქვს პერსპექტიული განვითარების შესაძლებლობა, რაც იწვევს მაუწყებლობის ხარისხის მკვეთრ დაქვეითებას. მედია უძლური ხდება, უპასუხოს მომხმარებლების მზარდ მოთხოვნილებას. საზოგადოება კარგავს ინტერესსა და ნდობას თავისუფალი მედია საშუალების მიმართ. არაკონტროლირებადი მედიის საზოგადოებრივი გავლენის შესუსტება ხელისუფლების უკანონო მიზანს წარმოადგენს. აღნიშნული მიზანი კი ფინანსურ მდგომარეობაზე არასათანადო ზემოქმედების მეშვეობით ხორციელდება.

მედიის თავისუფლება და თავისუფალი არჩევნები

საარჩევნო კამპანია ქმნის იმ პირობებს, რომლებიც ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიას აკისრებს დამატებით ვალდებულებებს. ამ დროს ერთმანეთთან კოლიზიაში მოდის ორი ლეგიტიმური ინტერესი. პირველი ეს არის *მედიის თავისუფლება* – შეასრულოს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკური პლატფორმის ფუნქცია ანუ თავისუფალი სარედაქციო გადაწყვეტილების საფუძველზე აქტიურად დაუჭიროს მხარი ერთ სუბიექტს და მასთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს მისი კონკურენტები. მეორე ინტერესი მდგომარეობს ამომრჩევლის უფლებაში – თანაბრად მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ძირითადი საარჩევნო სუბიექტების თაობაზე. ევროპის საბჭო და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ამ ორი ინტერესის კონფლიქტის დროს უპირატესობას ანიჭებს საარჩევნო სუბიექტების თანაბარი შესაძლებლობისა და მოქალაქის ინფორმირებული არჩევანის უფლებას. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს პრესის ვალდებულება – გაავრცელოს ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების მოსაზრებების თაობაზე და საზოგადოების უფლება – მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია.

ევროპის საბჭოს დემოკრატიის დაცვის კომისიის (ვენეციის კომისია) სახელმძღვანელო მითითებებით გათვალისწინებულია შესაძლებლობათა თანასწორობის პრინციპი (2.3). ეს უკანასკნელი გულისხმობს ხელისუფლების ნეიტრალობას, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კერძოდ,

სახელმწიფო მედიის მიერ საარჩევნო პროცესის გაშუქებისას. ამომრჩეველთა აზრის ფორმირების კონტექსტში სახელმძღვანელო პრინციპები კვლავ ეხება ხელისუფლების მიერ ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულებას (3.1). ამ დროს ხელისუფლების ნეიტრალიტეტი ვრცელდება ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებით.

ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსის მე-18 მითითებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ძირითად პოლიტიკურ ძალებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გამოხატონ საკუთარი პოზიცია ქვეყნის მთავარი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით. იმავე მითითებაში აღნიშნულია, რომ მასმედია ყოველთვის მიუკერძოებელი არ არის ცალკეული კანდიდატებისა და საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას, რაც საარჩევნო პროცესის ერთ–ერთ ყველაზე ხშირ და ფართოდ გავრცელებულ დარღვევას წარმოადგენს. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა ქვეყანაში შედგეს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სია და კონტროლი გაეწიოს იმას, რომ სხვადასხვა კანდიდატებს თანაბრად ეთმობოდეს საეთერო დრო, მათ შორის, სახელმწიფო რადიოსა და ტელევიზიაში.[42]

ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსის მე–18 მითითების შესაბამისად, არსებობს პარტიების თანასწორობის ორი შესაძლო ინტერპრეტაცია: მკაცრი და პროპორციული. მკაცრი თანასწორობა გულისხმობს, რომ პოლიტიკური პარტიები თანაბარ პირობებში არიან ჩაყენებულები, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი ამჟამინდელი მდგომარეობა პარლამენტსა და ამომრჩევლებში. პროპორციული თანასწორობა გულისხმობს, რომ პოლიტიკური პარტიების მიმართ პირობები განისაზღვრება წინა არჩევნებში მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. შესაძლებლობათა თანასწორობა (მკაცრი ან/და პროპორციული) განსაკუთრებით აქტუალურია რადიოსა და ტელევიზიაში დათმობილი საეთერო დროის, სახელმწიფო დაფინანსებისა და მხარდაჭერის სხვა ფორმებთან დაკავშირებით.[43]

საქართველოს კანონმდებლობამ არჩევანი გააკეთა პროპორციულ შესაძლებლობათა თანასწორობის სასარგებლოდ. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას შემოაქვს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის ცნება. ეს უკანასკნელი ნიშნავს პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით იღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ორგანული კანონის – საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე–3 მუხლის ,,კ[1]" ქვეპუნქტი). მაუწყებელი ვალდებულია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია ან ბლოკი, რომელიც საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია ფრაქციით ან რომელმაც უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%–ისა. საარჩევნო კოდექსის 73[1] მუხლის პირველი პუნქტი ყველა საერთო მაუწყებლისაგან ითხოვს, რომ სწორედ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე თანაბრად გაანაწილონ საეთერო დრო, მისცენ მათ უფასო საარჩევნო რეკლამის ეთერში განთავსების შესაძლებლობა და ერთანაირი პირობები შეუქმნან მათ დებატებში მონაწილეობისას.

---

[42] http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD(2002)023rev-geo.pdf

[43] http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD(2002)023rev-geo.pdf 24–ე გვ.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ტელე და რადიო სადგურების უმრავლესობა მაუწყებლობს სიხშირეთა სპექტრის გამოყენებით (საეთერო მაუწყებლობა). ეს უკანასკნელი წარმოადგენს რა ამოწურვად რესურსს, ითვლება საზოგადოებრივ სიკეთედ. მისი მიღებისათვის ლიცენზიის მაძიებელს ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონის შესაბამისად უწევს კონკურსის გავლა იმისათვის, რომ საეთერო მაუწყებლობის შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესები. ამგვარად, სიხშირის მფლობელის საქმიანობა იმთავითვე განსაზღვრულია საზოგადოებრივი ინტერესებით, თუნდაც იმიტომ, რომ მისი საქმიანობა საზოგადოებრივი სიკეთის გამოყენებით ხორციელდება. მედიის მიერ საზოგადოების წინაშე ვალდებულება განსაკუთრებით კონკრეტული ხდება საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას. ამ დროს ამომრჩევლის და, მთლიანობაში, საზოგადოების ინტერესი, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტის პროგრამისა და აქტივობის შესახებ, აღემატება მედიის თავისუფლების ინტერესს. ამ კუთხით ფუძემდებლურ მნიშვნელობას იძენს საარჩევნო კოდექსის 73^1 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ადგენს: ,,ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ ვრცელდება მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით და მხოლოდ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ მაუწყებლებზე."

როდესაც აღნიშნული ნორმა საუბრობს საერთო მაუწყებელზე, აქ იგულისხმება ყველა ის ტელე და რადიო სადგური, რომელსაც აქვს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების სამაუწყებლო ბადეში განთავსების უფლება. ამგვარად, საერთო მაუწყებელში იგულისხმება, როგორც საზოგადოებრივი, ასევე კომერციული და სათემო მაუწყებელი. საარჩევნო კოდექსის 73^1 მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების წარმოშობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მაუწყებლის საკუთრების ფორმას, არამედ იმას, თუ ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 38–ე მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული როგორი სახეობის ლიცენზია გააჩნია კონკრეტულ მაუწყებელს – საერთო თუ სპეციალიზებული.

ამგვარად, კანონმდებლობის უპირველესი მოთხოვნა ტელე და რადიო სადგურების მიმართ არის ის, რომ ახალი ამბების გამოშვებებში თანაბარი ქრონომეტრაჟით წარმოაჩინოს ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი. ეს ვალდებულება ძალაშია კერძო ტელე–რადიო სადგურების მიმართაც, იმის მიუხედავად, რომ მათი მფლობელები შესაძლოა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წევრები ან თანამოაზრეები იყვნენ. ახალი ამბების რედაქტორი ან ჟურნალისტი არ უნდა გამოხატავდეს პოლიტიკურ პოზიციას საქმიანობის დროს. ამ დროს გადამწყვეტია არა ჩამოთვლილი სუბიექტების სურვილი, არამედ მოქალაქის უფლება ინფორმირებულ არჩევანზე.

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობის დროს ზოგიერთმა მედია საშუალებამ შეგნებულად დაარღვია საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობათა პროპორციული თანასწორობის პრინციპი.

2008 წლის 25 მარტს ტელეკომპანია ,,რუსთავი–2–ის" ჟურნალისტზე, თამარ ბაღაშვილზე ოპოზიციის მხარდამჭერების თავდასხმის შემდეგ, სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი–2–მა" და ,,მზემ" გაავრცელეს ერთობლივი საპროტესტო განცხადება. მაუწყებლები აცხადებდნენ, რომ საინფორმაციო საშუალებებს ოპოზიციის ნაწილის ბოიკოტის რეჟიმში უწევდათ მუშაობა. ტელეკომპანიებმა მოუწოდეს ყველა პოლიტიკურ ძალას, შეეწყვიტათ მედიაზე თავდასხმები და მიეცათ ჟურნალისტებისათვის ნორმალური მუშაობის საშუალება.[44] ამ განცხადების გაკეთების შემდეგ, სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი–2–მა" და ,,მზემ" შეწყვიტეს ერთ–ერთი კვალიფიციური სუბიექტის – ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების" – საარჩევნო კამპანიის გაშუქება. ამ კუთხით გამონაკლისი იყო სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი–2–ის" ეთერში ჟურნალისტი ინგა გრიგოლიას პროგრამა ,,პრაიმ–ტაიმი," სადაც ზემოხსენებულ საარჩევნო ბლოკს ჰქონდა საარჩევნო კამპანიის წარმართვის შესაძლებლობა. რაც შეეხება აღნიშნული სატელევიზიო სადგურების ახალი ამბების გამოშვებებს, ნებისმიერი ინფორმაცია ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების" საარჩევნო კამპანიის თაობაზე მოხსნილი იყო ეთერიდან.

საარჩევნო კოდექსის 73[1] მუხლის მე–11 პუნქტის თანახმად, საარჩევნო სუბიექტებისათვის საარჩევნო საეთერო დროის თანაბრად განაწილებისა და ამ კანონით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით, მედიამონიტორინგის განხორციელებას უზრუნველყოფს ცესკო უშუალოდ ან მომსახურების შესყიდვით.

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს, ცესკოს დაკვეთით, ანალიტიკური ჯგუფი ,,პრაიმ–ტაიმი" ატარებდა ელექტრონულ მედიაში საარჩევნო კამპანიის გაშუქების მონიტორინგს. აღნიშნული მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 2008 წლის 10–17 აპრილის პერიოდში სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი–2–მა" საინფორმაციო გამოშვებებში ბლოკს ,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეები" დაუთმო 2 წუთი და 4 წამი, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში ,,ნაციონალურ მოძრაობას" დაეთმო 35 წუთი და 38 წამი. იმავე კვლევებით, უფრო საგანგაშო მდგომარეობა იკვეთება ტელეკომპანია ,,მზის" ეთერში. 2008 წლის 10–17 აპრილის პერიოდში საინფორმაციო პროგრამა ,,მზერამ" არცერთი წამი არ დაუთმო ,,გაერთიანებული ოპოზიციის" საარჩევნო კამპანიას[45].

2008 წლის 7 აპრილს სახალხო დამცველის ოფისის წინ ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეებისა" და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა მოაწყვეს ბრიფინგი. ეს უკანასკნელი შეეხებოდა ადვოკატ მალხაზ ჯანგირაშვილის შიმშილობის თემას. ბრიფინგის დაწყებამდე ,,რუსთავი–2–ის" ჟურნალისტმა ტელეკომპანიის მიკროფონი დემონსტრაციულად აიღო და დატოვა ბრიფინგი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთ ,,ალიასათვის" მიცემულ ინტერვიუში ,,კურიერის" პროდიუსერმა, გიორგი ლაფერაშვილმა განაცხადა, რომ სანამ ოპოზიციის მხრიდან

[44] http://media.ge/geo/page.php?m=news_detailed&id_numb=3307&&case=search&&tomark
[45] http://cec.gov.ge/uploads/attachments_old/mmgeo1.ppt#285,12,Slide 12

არ წამოვიდოდა თანამშრომლობის ინიციატივა, ტელეკომპანია გააგრძელებდა საინფორმაციო ბლოკადას.[46]

2008 წლის 17 აპრილს ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების" ერთ–ერთმა ლიდერმა დავით გამყრელიძემ საარჩევნო ბლოკის შტაბში მოიწვია პრეს–კონფერენცია. დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ საარჩევნო შტაბის კარი ღია იყო ,,რუსთავი–2–ისა" და ,,მზის" ჟურნალისტებისათვის.[47] მიუხედავად ამ განცხადებისა, ზემოხსენებული ტელეკომპანიებს ,,გაერთიანებული ოპოზიციისათვის" ბოიკოტის რეჟიმი არ შეუწყვეტიათ.

2008 წლის 25 აპრილს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის 21 მაისის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების სპეციალური კომიტეტი შეხვდა ,,გაერთიანებული ოპოზიციისა" და ,,რუსთავი–2–ის" წარმომადგენლებს. ,,გაერთიანებული ოპოზიციის" წევრმა, ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, რომ საარჩევნო ბლოკი კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე წინასწარ ატყობინებს ტელეკომპანია ,,მზესა" და ,,რუსთავი–2–ს." აღნიშნული სატელევიზიო არხების ჟურნალიტები არ ესწრებიან ,,გაერთიანებული ოპოზიციის" შეხვედრებს. სპეციალურ კომიტეტის თავმჯდომარესთან, მათიას იორშთან შეხვედრაზე მყოფმა, გიორგი ლაფერაშვილმა ბოკოტის გამოცხადებაში კვლავ ოპოზიცია დაადანაშაულა, მიუხედავად იმისა, რომ თამარ ბაღაშვილზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, ოპოზიციამ არაერთხელ გამოთქვა სატელევიზიო სადგურებთან თანამშრომლობის სურვილი.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ, 2008 წლის 25 აპრილს ,,რუსთავი–2–მა" და ,,მზემ" გაავრცელეს განცხადებები, სადაც აღნიშნული იყო , რომ ისინი ,,გაერთიანებული ოპოზიციის" ბოიკოტს წყვეტდნენ და 2008 წლის 28 აპრილიდან აპირებდნენ მათი საარჩევნო კამპანიის გაშუქებას.

ბოიკოტის რეჟიმი უარყოფითად შეაფასა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამაც. 2008 წლის 21 მაისის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების თაობაზე ასამბლეის ბიუროს სპეციალური კომიტეტის (თავმჯდომარე მათიას იორში) მოხსენებაში აღნიშნულია: ,,სპეციალურ კომიტეტს არ მიაჩნია აუცილებლად დემოკრატიის პირობებში კერძო საკუთრებაში არსებული მაუწყებელი იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი, ვინაიდან მედიის თავისუფლება იძლევა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე მაუწყებლების არსებობის შესაძლებლობას." (33–ე პუნქტი). ,,მეორე მხრივ, სპეციალური კომიტეტი მიუთითებს შემთხვევებზე, როდესაც პოლიტიკური პარტიები და ინდივიდუალური კანდიდატები პატივს არ სცემენ იმ ჟურნალისტების ღირსებას, რომლებიც აშუქებენ საარჩევნო კამპანიას, ასევე პოლიტიკური პარტიები და ინდივიდუალური კანდიდატები არ მონაწილეობენ მედიის მიერ ორგანიზებულ დებატებზე. მაგალითად, ,,რუსთავი–2–სა" და ,,გაერთიანებული ოპოზიციის" ორმხრივი ბოიკოტი ზიანს აყენებს ინდივიდის ძირითად უფლებას – მიიღოს ინფორმაცია" (34–ე პუნქტი).

[46] http://media.ge/geo/page.php?m=news_detailed&id_numb=3359&&case=search&&tomark
[47] http://media.ge/geo/page.php?m=news_detailed&id_numb=3397&&case=search&&tomark

კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე საეთერო დროის თანაბრად გადანაწილების პრობლემა არსებობდა რეგიონულ ტელეკომპანიებშიც. ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ერთიანი ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეების“ საარჩევნო შტაბის უფროსის, იოსებ ბორცვაძის განმარტებით, გორის ტელეკომპანია ,,თრიალეთი“ საინფორმაციო გამოშვებებში საეთერო დროს არ უთმობდა გორის #32 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გიორგი მოსიძის ამომრჩეველთან შეხვედრას, მაშინ როდესაც მისი კონკურენტის, ,,ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის“ დეპუტატობის კანდიდატის ამომრჩეველთან შეხვედრის კადრებს პირდაპირ ეთერშიც კი უჩვენებდა. იოსებ ბორცვაძისვე განმარტებით, ,,ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო რეკლამის ეთერში გასვლის დროს კადრის კუთხეში არ იყო მითითებული ,,ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან ,,უფასო პოლიტიკური რეკლამა.“

იგივე სურათი იყო შექმნილი სამეგრელოს რეგიონში. ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კობა დავითაშვილის საარჩევნო შტაბის წევრის, ალექსანდრე გეთიას განმარტებით, ზუგდიდის ტელეკომოპანია ,,ოდიშმა,“ რომელიც საერთო მაუწყებელია, კანონის დარღვევით უარი უთხრა ორ კვალიფიციურ სუბიექტს – ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეებსა“ და ,,რესპუბლიკურ პარტიას“ უფასო საეთერო დროის გამოყოფაზე. ამის მიზეზად ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ დაასახელა საეთერო დროის 30 000 აშშ დოლარად გაყიდვის ფაქტი. აღნიშნული პაკეტი საკუთარი წინასაარჩევნო რეკლამების განთავსების მიზნით ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეიძინა. არც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, არც ცესკოს საარჩევნო კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის არ მიუღიათ სათანადო ზომები.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ტელეკომპანია ,,ოდიში“ არის ყოფილი პარლამენტარის, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის“ გრიგოლ ქობალიას საკუთრებაში, ხოლო ტელერადიო კომპანია ,,თრიალეთი“ შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილის, ბადრი ნანეტაშვილის საკუთრებაში.

საარჩევნო პროცესის კანონის შესაბამისად ორგანიზებაზე პირველ რიგში პასუხისმგებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია. სწორედ მის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებიდან ირკვეოდა, რომ ტელეკომპანია ,,მზე“ თავის საინფორმაციო გამოშვებებში სხვა საარჩევნო სუბიექტებისაგან განსხვავებით, არანაირ საეთერო დროს არ უთმობდა „გაერთიანებულ ოპოზიციას“ და, ამგვარად, არღვევდა ორგანული კანონის – საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73^1 მუხლის პირველ პუნქტს. სწორედ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვალდებულებას წარმოადგენდა, საარჩევნო სუბიექტებისათვის საეთერო დროის თანაბრად განაწილებისა და კანონით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით, მედიამონიტორინგის განხორციელება. დარღვევის არსებობის შემთხვევაში, დასკვნების იმ ორგანოსათვის გადაცემა, რომელიც უფლებამოსილია, იმსჯელოს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის მაუწყებლის სანქცირებაზე. ცენტრალური საარჩევნო კომისია არც კი დაინტერესებულა იმით, თუ საარჩევნო

ბლოკის ხელმძღვანელის, დავით გამყრელიძის საჯარო განცხადების მიუხედავად, რატომ არ იყო ტელეკომპანია ,,რუსთავი–2“ და ,,მზე“ ერთ–ერთი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისათვის ხელმისაწვდომი. ამის მიზეზების ასახსნელად კვლავ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის მოხსენებას უნდა მივმართოთ.

მოხსენებაში აღნიშნულია: ,,ცესკოს საქმიანობა არ გამოირჩევა კოლეგიურობითა და დამოუკიდებლობით, როგორც ეს კანონით არის გარანტირებული. ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სპეციალური კომიტეტის წევრებს აცნობეს, რომ ცესკო არ არის მიუკერძოებელი. ცესკოს პროფესიულ შემადგენლობას ხშირად აკრიტიკებენ ხელისუფლების გავლენისაკენ მათი მიდრეკილების გამო. ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ენდობა ცესკოსა და ზოგადად საარჩევნო ადმინისტრაციას.“ (19–ე პუნქტი).

სპეციალური კომიტეტი ასევე აღნიშნავს: ,,საარჩევნო ადმინისტრაცია არ იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, საკუთარი ინიციატივით გამოიძიოს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული დარღვევები. საარჩევნო კომისიები და სასამართლოები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ისეთ საჩივრებსა და მიმართვებს, რომლებიც აშკარად უკავშირდება მმართველ პარტიასა და საჯარო მოხელეებს. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი უარს ამობობენ მოწმეების მოსმენასა და დამატებითი მტკიცებულებების გამოკვლევაზე, იყენებდნენ სამართლის ნორმის საეჭვო ინტერპრეტაციას და სამართლებრივი თვალსაზრისით არ ასაბუთებდნენ თავიანთ გადაწყვეტილებებს.“ (24–ე პუნქტი).

ევროპის საბჭოს სპეციალური კომიტეტის შეფასებების შემდეგ, სრულიადაც არ არის გასაკვირი, თუ რატომ არ რეაგირებს ცენტრალური საარჩევნო კომისია საკუთარი ინიციატივით საარჩევნო კოდექსის 73[1] მუხლის პირველ პუნქტის დარღვევაზე, როდესაც კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტს კონკურენტებთან თანაბარ მდგომარეობაში არ ეთმობა სატელევიზიო ეთერი.

სახალხო დამცველისთვის ცნობილია შემთხვევა, როდესაც ცესკომ საკუთარი ინიციატივით რეაგირება მოახდინა მაუწყებლის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დარღვევა არ იყო გამოწვეული მმართველ პარტიის ან მის მიერ წარდგენილ კანდიდატის მიერ. უფრო მეტიც აღნიშნული დარღვევა უარყოფით გავლენას ახდენდა სწორედ მმართველი პარტიის კანდიდატის ინტერესებზე.

2008 წლის 5 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის მიმდინარეობის დროს, რამდენიმე ტელეარხმა გამოაცხადა საინფორმაციო ცენტრ ,,საერთო ევროპული საქმის“ მიერ ,,ეგზიტპოლი – საქართველო 2008“ პროექტის ფარგლებში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგები. აღნიშნული კვლევის შედეგების ეთერში გადაცემასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ცესკოს იურისტმა. ეს დასკვნა გადაეგზავნა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ 2007 წლის 24 დეკემბერს, 20.38 სთ-ზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პროგრამა "მოამბეში" გადაიცა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შპს "ტელეიმედმა" გაავრცელა საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრის "საერთო

ევროპული საქმის" მიერ "ეგზიტპოლი - საქართველო 2008" პროექტის შედეგები. ეგზიტპოლის მონაცემების გამოცხადების დროს ,,ტელეიმედმა" დაარღვია საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73^1 მუხლის მე–8 პუნქტის მოთხოვნები. კერძოდ, ეგზიტპოლის მონაცემების გამოცხადებისას არ იყო მითითებული მისი ჩატარების მეთოდოლოგიის თაობაზე, რაც კანონმდებლობით სავალდებულოა. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ არსებობდა ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 71–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გარემოება, რომელიც წარმოადგენდა მაუწყებლის სანქცირების საფუძველს. ,,ტელეიმედსა" და ,,მზეს," რომლებმაც გაავრცელეს ზემოხსენებული ეგზიტპოლის მონაცემები, დაეკისრათ ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, ხოლო ,,რუსთავი–2–ს" იმავე ქმედებისათვის მიეცა გაფრთხილება. ,,საერთო ევროპული საქმის" ეგზიტპოლის მონაცემებით, 2008 წლის 5 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში ლიდერობდა პარტია ,,თავისუფლების" პრეზიდენტობის კანდიდატი, ლევან გაჩეჩილაძე. ბუნებრივია, აღნიშნული მონაცემების გამოქვეყნება არ იყო მისაღები მმართველი პარტიისათვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად ნათელია, თუ რატომ წარუდგინა ცესკოს იურისტმა დარღვევის შესახებ დასკვნა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რამაც მაუწყებლების მიმართ სანქციის დაკისრება გამოიწვია.

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ცესკო არ არის მიუკერძოებელი ორგანო და მის ამოცანას არ წარმოადგენს, შეისწავლოს და სათანადო რეაგირება მოახდინოს მედიაში საარჩევნო სუბიექტების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების ფაქტებთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, ცესკო მსგავს ქმედებებზე მხოლოდ მაშინ რეაგირებს, როდესაც ამით ირღვევა მმართველი პარტიის ინტერესები.

რეკომენდაციები და წინადადებები

საქართველოს პარლამენტს

1. შევიდეს ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში სახალხო დამცველის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები და დაუშვებელი გახდეს საკაბელო და თანამგზავრული ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზირება;
2. შეიქმნას დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლის აღნიშნულ მოხსენებაში მითითებული კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თვითნებობის თითოეულ ფაქტს.
3. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ჩაიდოს დამატებითი მექანიზმები მედიის საკუთრების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით;
4. საქართველოს კანონმდებლობაში ჩაიდოს მედიაში დასაქმებული პირის შრომის დაცვის დამატებითი გარანტიები;

პროკურატურას

1. გამოძიებული იქნეს რადიო ,,ჰერეთის“ ჟურნალისტის ხათუნა გოგაშვილზე, ტელეკომპანია ,,მზის“ ჟურნალისტის ალეკო გაბუნიასა და ოპერატორზე, ნიკოლოზ პატარაიაზე, რადიო ,,იმედის“ ჟურნალისტზე ნანა ფაჟავაზე, გაზეთ ,,რეზონანსის“ ჟურნალისტზე ელისო ჩაფიძეზე. ასევე მალხაზ ვარშანიძეზე, ირაკლი გოგუაძეზე, ნოდარ მელაძეზე და თამარ ბაღაშვილზე მომხდარი თავდასხმის ფაქტები;
2. შესწავლილი იქნეს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები და დადგინდეს კონკრეტული პიროვნებების ბრალეულობის საკითხი.
3. წინასწარი გამოძიება დაიწყოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტთან დაკავშირებით, რაც გამოიხატა საარჩევნო პერიოდში მედიის მიერ საეთერო დროის არათანაბრად გადანაწილებასთან დაკავშირებით სათანადო ღონისძიებების არგატარებაში

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

მაუწყებლის მხრიდან საარჩევნო კოდექსის 73^1 მუხლის დარღვევის შემთხვევაში ცესკომ აქტიურად ითანამშრომლოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლება, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე–6 მუხლით.

სამართლიანი სასამართლო ზოგადად გულისხმობს ქვეყანაში მართლმსაჯულების ისეთი სისტემის არსებობას, რომელიც:

1. ხელმისაწვდომია ქვეყნის თითოეული მოქალაქისათვის;
2. მიუკერძოებულია;
3. ობიექტურია;
4. ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტია.

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე გონივრულ ვადებში და საჯარო სხდომაზე სამოქალაქო უფლების განსაზღვრისა და სისხლისსამართლებრივი ბრალდების განხილვის დროს. საქართველოში სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებულ პრობლემას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა სწორედ ამ უფლების დარღვევას ეხება.

სახალხო დამცველი რეგულარულად აღნიშნავდა, რომ სასამართლო ხელისუფლება არ არის დამოუკიდებელი და ამის უმთავრეს მიზეზს პოლიტიკურ ნებაში ხედავდა. ამის გამო ხელისუფლების წარმომადგენლები მას მიკერძოებაში ადანაშაულებდნენ. თუმცა 2008 წლის 16 ოქტომბერს, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას, საქართველოს პრეზიდენტმაც აღნიშნა, რომ აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. 2008 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის გაერთიანებულ სხდომაზე გამოსვლისას, იუსტიციის მინისტრობის კანდიტატმა ზურაბ ადეიშვილმა იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის გაერთიანებული უწყების პრიორიტეტებს შორის სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებელობა დაასახელა, მან ასევე ისაუბრა ქვეყანაში რეალური შეჯიბრებითი მართლმსაჯულების დამკვიდრების მნიშვნელობაზე.

ამგვარად, სახალხო დამცველის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმაც, როგორც იქნა, დაინახეს სასამართლო ხელისუფლების მანკიერებები, თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, რა ღონისძიებები გატარდება მათ აღმოსაფხვრელად, რადგან, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ რეფორმების გატარება არ არის საკმარისი სამართლიანი სასამართლოს შესაქმნელად. ამისთვის აუცილებელია პოლიტიკური ნება, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ უმაღლესი თანამდებობის პირების საჯარო გამოსვლაში გამომჟღავნდა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა არაერთი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმე, რომლებშიც აღმოჩენილი დარღვევების მაგალითზე შეიძლება მსჯელობა საქართველოში არსებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის სტატისტიკის მიხედვით, საერთო სასამართლოების პირველი ინსტანციის მიერ განხილულ იქნა 25 406 სისხლის სამართლის საქმე. მართალია სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების რაოდენობა არ შეიძლება იყოს პრეზენტატიული, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს არსებობისა და არარსებობის საკითხი საქმის განხილვის პროცენტულ მაჩვენებელზე მეტად სასამართლოს მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის კანონით მინიჭებული უფლებების დაცვაში, მის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაში გამოიხატება.

ძირითადი პრობლემები, რომლებიც იკვეთება სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებისას არის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, კანონის არასწორი განმარტება, დაცვის უფლების დარღვევა, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენები, რომლებიც არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს, შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა, სასამართლო განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება. სამაგიეროდ საგრძნობლად გაუმჯობესდა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმი, რომელიც მართალია ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებიდან, მაგრამ პროგრესი აშკარაა.

საქართველოს სახალხო დამცველი 2007 წლის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ საერთო სასამართლოების მიერ კანონის არასწორი განმარტება ლახავს მოქალაქეთა უფლებებს. კერძოდ, დამნაშავედ ცნობილი პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52–ე მუხლის გამოყენება, ამავე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროების, ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების ინტერესების დასაბუთების გარეშე, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული საკუთრების უფლების დარღვევას.

საერთო სასამართლოების მიერ ზემოაღნიშნული მანკიერი პრაქტიკის გამოყენება არ შეწყვეტილა 2008 წლის 1 ივლისის მდგომარეობითაც. საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენებით მსჯავრდებულ პირებს დამატებითი სასჯელის სახით ენიშნებათ ქონების ჩამორთმევა, მათ შორის იმ ქონებისაც, რომელიც იყო მესამე პირების საკუთრებაში და რომლითაც სარგებლობდა დამნაშავედ ცნობილი პირი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52–ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს პირობებს, რა დროსაც კანონი სასამართლოს ქონების ჩამორთმევის უფლებამოსილება ანიჭებს. აღნიშნულს წარმოადგენს:

1. *„სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე“;*

2. *„ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე“;*

3. *„ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“.*

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „დავით ჯიმშეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ *„სადავო ნორმის მიხედვით, დამატებითი სასჯელის გამოყენებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა „სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობის“ არსებობა. ეს ზოგადი, ფართო ცნებაა, არ არსებობს მისი დეფინიცია, თუნდაც სადავო ნორმის მიზნებისთვის. მართალია, ის ყოველთვის მოიცავს სხვათა უფლებების დაცვის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს, მაგრამ ეს ორი გარემოება ვერ ამოწურავს მის არსს. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, სხვადასხვა დანაშაულთან მიმართებით მან განსხვავებული შინაარსი შეიძლება შეიძინოს. ბუნებრივია, შეუძლებელია ამ ტერმინის ზუსტი განმარტების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ანდა თუნდაც იმ შემთხვევების ამომწურავად ჩამოთვლა, რომლებიც ასეთ გარემოებებად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ იმავდროულად, უნდა გამოირიცხოს მისი სურვილისამებრ ან სუბიექტურად განმარტების ალბათობა მართალია, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გარანტიაა, რომ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე იღებს სასამართლო, მაგრამ სასამართლოს ფუნქცია შემოიფარგლება იმით, რომ მან კონკრეტულ შემთხვევაში სწორად განსაზღვროს, არსებობს თუ არა კანონმდებლის მიერ ასეთად მიჩნეული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აუცილებლობა, მისთვის გადამწყვეტია კანონმდებლის ნება, მას არ შეუძლია თავის ნება-სურვილით ან შეხედულებისამებრ განსაზღვროს ამ ცნების კონკრეტული შინაარსი“.*

მიუხედავად ამისა, განაჩენებში კვლავ არ გვხვდება სასამართლოს მიერ მიღებული ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება, თუ კონკრეტულად რა გარემოებები მიუთითებს, რომ საგანი, რომლის უსასყიდლოდ ჩამორთმევა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ, შესაძლოა გამოყენებული იქნეს ახალი დანაშაულის ჩადენის მიზნით და მისი ჩამორთმევით თავიდან იქნება აცილებული ახალი დანაშაულის ჩადენა. სასამართლო ვალდებულია, განაჩენში დაასაბუთოს, თუ რა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობა არსებობს, ან კონკრეტულად რომელი ცალკეული პირის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვისაა აუცილებელი დამნაშავისთვის მისი ან მის მფლობელობაში მყოფი მესამე პირების კუთვნილი ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საერთო სასამართლოები აგრძელებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52–ე მუხლის დასაბუთების გარეშე გამოყენებას, რითაც უგულებელყოფენ საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლს, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: **,,ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება**

კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით'', თუმცა ხშირად, თანამდებობის პირები მათ მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებებით არღვევენ აღნიშნულ უფლებას და საკუთარი უწყების ეფექტურობის დასადატურებლად, თუ როგორ აქტიურად იბრძვის სახელმწიფო დამნაშავეების წინააღმდეგ, წირავენ პიროვნების უპირატეს უფლებას ღირსებაზე, უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, პირადი ცხოვრების პატივისცემაზე. მაგალითად: არასრულწლოვან **გიორგი ზერეკიძის** საქმეში სახელმწიფო მოხელეების მიერ ამ უკანასკნელის პიროვნებაზე გაკეთებულმა განცხადებებმა ნამდვილი კამპანიის სახე მიიღო, რითაც შეილახა არა მარტო არასრულწლოვნის უფლება კონფიდენციალობაზე, არამედ ასევე უდანაშაულობის პრეზუმფცია. საზოგადოების ინტერესით აღნიშნულ საქმეზე არ შეიძლება, გამართლდეს ზერეკიძის უფლებების შელახვა და მისი დისკრედიტაცია.

ყოვლად გაუმართლებელი ქმედება იყო ქ.თბილისის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის სატელევიზიო გამოსვლა, რა დროსაც მან საზოგადოებას გ. ზერეკიძე წარმოუჩინა განსაკუთრებით უარყოფით პიროვნებად, რის დასადასტურებლადაც მოიშველია გ.ზერეკიძის კრიმინალური საქმიანობის ამსახველი სხვადასხვა ფაქტები, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლის მოთხოვნა. საქმეში Barbera, Messegue and Jabardo v. Spain ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია inter alia მოითხოვს, საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას სასამართლო საქმის განხილვას არ შეუდგეს წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენით, რომ განსასჯელმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას ბრალად აქვს წაყენებული. ამის მტკიცების ტვირთი ეკისრება გამოძიებას და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვი განმარტებული უნდა იქნეს განსასჯელის სასარგებლოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ბაარსი ნიდერლანდების წინააღმდეგ დიფერენცირება მოახდინა სიტყვების_,,არის ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში" და ,,ჩაიდინა დანაშაული." ეს უკანასკნელი ფრაზა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევად.

სააქციო საზოგადოება „თბილგაზის" გენერალურ დირექტორი **გიორგი გვიჩიანი 2006** წლის 7 მარტს, 11 საათსა და 03 წუთზე, დააკავეს საკუთარ სამუშაო კაბინეტში, აღნიშნული ყველა ტელეკომპანიამ დააფიქსირა. რამდენიმე საათში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გამართა ბრიფინგი და განაცხადა: *„ჩვენს მიერ დაკავებულ იქნა ს/ს „თბილგაზის" გენერალური დირექტორი გიორგი გვიჩიანი, რომელიც ეჭვმიტანილია 2002 წლის 13 აგვისტოს თბილისში, გახტრიონის ქუჩაზე, მომხდარ ს/ს „ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორის ნიკა ლომინაძის შეკვეთით განზრახ მკვლელობის ორგანიზებაში".* ამავე ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მათ მიერ დაკავებულია ამავე მკვლელობაში მონაწილე 4 პირი, და მათ (შსს) იციან, რომ ამ მკვლელობაში გადახდილია 20 000 დოლარი, ხოლო მკვლელობის მოტივი ს/ს „ეი-ი-ეს თელასში" განხორციელებული ფინანსურ მაქინაციები იყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გახსნილი დანაშაულების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციები არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, მათგან რამდენიმეს მაგალითად მოვიყვანთ:

გახსნილია ნორიოში მომხდარი მკვლელობა

06 მაისი 2008

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული იქნა, 1978 წ.დ კობა ეპიტაშვილი, რომელმაც 2008 წლის 2 მაისს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით განზრახ მოკლა სიმამრი, 1948 წ.დ რომან მამადაშვილი და სიდედრი, 1956 წ.დ ლალი ქარუმიძე. იმავე იარაღიდან გასროლით შეეცადა მეუღლის, 1979 წ.დ ხათუნა მამადაშვილის განზრახ მკვლელობას. დაკავებულმა დანაშაული აღიარა. ჩადენილი დანაშაულისათვის წარედგინება ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით. მიმდინარეობს გამოძიება

▶ დაკავებულია მკვლელობაში ეჭვმიტანილი

06 ივნისი 2008

საქართველოს შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს, დეტექტივების სამმართველოს 1-ლი განყოფილების თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედების შედეგად, ქ.თბილისში დააკავეს წარსულში მკვლელობისთვის ნასამართლები 1973 წ.დ მიხეილ ზუბალაშვილი, რომელიც ეჭვმიტანილია 2008 წლის 19 მაისს მომხდარ მკვლელობაში, რადროსაც მან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა რაფიკ ჯამალოვი.

დაკავებულია დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები

13 მაისი 2008

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დაკავეს, იმერეთის რეგიონში მოქმედი, შეიარაღებული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1981წ.დ აკაკი ხარაიშვილი, 1976წ.დ გიორგი ზვიადაძე, 1989წ.დ დავით წიქორიძე, 1981წ.დ ბაქარ მარგველაშვილი და 1990წ.დ თედო აფხაიძე. მათ ბრალად ედებათ ნანა და ნაირა გოგაძეებზე მომხდარი ყაჩაღობა რა დროსაც მათ სიცოცხლისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით აიძულეს ისინი გადაეცათ მათვის ფულადი თანხა და ძვირფასეულობა, ასევე სახლში მყოფ მცირე წლოვან გოგონას შეუკრეს ხელები და ჩაკეტეს სააბაზანოში რის შედეგადაც გატაცებულ იქნა დიდძალი თანხა და ძვირფასეულობა. 2008 წლის 6 მაისს ანალოგიურმა ჯგუფმა, გაიტაცა თენგიზ ქუთათელაძე და მისი კუთვნილი ავთომანქანა. თენგიზ ქუთათელაძეს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა აუკრეს ხელები პირი და თვალები. უკაცრიელ ადგილას დატოვს და გააგრძელეს მისი კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობა რის შემდგომადაც დააყაჩაღეს ალაქსანდრე გოგაძეს ოჯახი, მიაყენეს სიცოცხლისათვის მძიმე დაზიანება და გაიტაცეს დიდი ოდენობით ფულადი თანხა და სხვა ნივთები.
გამოძიების შედეგად ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღები და ყაჩაღობის შედეგად გატაცებული ნივთები.

საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად: **„დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“** სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებში ხშირად გვხვდება სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები, რომლებიც არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს,“ რაც ასევე წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. მაგალითად: არასრულწლოვან გიორგი ზერეკიძის სისხლის სამართლის ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრისას დაეყრდნო მტკიცებულებას, რომელიც უტყუარი არ იყო (იხ. დანართი გ.ზერეკიძის საქმე).

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები ცხადყოფენ, რომ როგორც წინასწარ ასევე, სასამართლო გამოძეების დროს არცთუ იშვიათად არის შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირს დაერღვა დაცვის უფლება. მოხსენებაში განხილული საქმეებიდან ამის მაგალითია: სასამართლომ დაარღვია განსასჯელის უფლება დაცვაზე, რამაც ხელი შეუწყო პროკურატურას დაემტკიცებინა განსასჯელის ბრალდებულება და სასამართლოს გამოეტანა განსასჯელის საწინააღმდეგო განაჩენი. მაგალითად: გიორგი გვიჩიანის სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ გიორგი გვიჩიანის ინტერესების დამცველს არ მისცა საქმის მასალების გაცნობისათვის გონივრული ვადა, ვინაიდან წარმოუდგენელია, ადვოკატმა 6 სამუშაო დღის განმავლობაში შეძლოს 18 ტომი საქმის მასალების სრულყოფილად გაცნობა და სასამართლო პროცესისათვის სათანადოდ მომზადება. „გიორგაძის მომხრეების“ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო დარბაზიდან გააძევეს განსასჯელი ვახტანგ ტალახაძე. დაცვის მხარის არაერთი შუამდგომლობისა და თავად განსასჯელის წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, მოსამართლემ ისე გამოუტანა განაჩენი ვახტანგ ტალახაძეს, რომ მას არ მიეცა სხდომაზე დაბრუნების, სასამართლოსათვის ზეპირი ჩვენების მიცემის, საბოლოო სიტყვის თქმის და საკუთარი დაცვის განხორციელების საშუალება.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ყველასათვის სასამართლო განხილვის დროულობას,

რაც მიზნად ისახავს „სამართალწარმოების ყველა მხარისათვის გადამეტებული საპროცესო გაჭიანურებისაგან“ დაცვას[48].

სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის გარანტირება „ხაზს უსვამს მართლმსაჯულების გაჭიანურების გარეშე განხორციელების საჭიროებას, რომლის არარსებობასაც შეუძლია, ზიანი მიაყენოს თვით მართლმსაჯულების ეფექტურობასა და სარწმუნოებას“[49].

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების მთლიანი და სათანადო შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, დაარღვია თუ არა კონვენციის ხელშემკვრელმა მხარემ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით ნაკისრი ვალდებულება საქმის გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ. ანუ სტრასბურგის სასამართლოს არ დაუწესებია „გონივრულ ვადასთან“ დაკავშირებით რაიმე უნივერსალური სახის სტანდარტი.

საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მომართავენ მოქალაქეები, რომლებიც ვერ ახორციელებენ საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით მინიჭებული ეფექტური დაცვის - სამართლიანი სასამართლოს – უფლებას. სამოქალაქო კატეგორიის საქმეების განხილვა, როგორც წესი, მიმდინარეობს წლების მანძილზე.

სასამართლოების სარჩელებით გადატვირთვა არ არის არგუმენტი იმისათვის, რათა სახელმწიფომ გაამართლოს მის მიერ საერთაშორისო აქტებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა.

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვისა.“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ზედმიწევნით ზუსტად არის განსაზღვრული საპროცესო ვადები, რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს საქმის არსებითი განხილვა, მაინც ხშირია მათი დარღვევის შემთხვევები.[50]

---

[48] შტიოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ, 1959 წლის 10 ნოემბერი, Series A no. 9,მე-5 პუნქტი.

[49] ჰ. საფრანგეთის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 ოქტომბერი, Series A no. 162, 58-ე პუნქტი.

[50] სასამართლო განხილვის ვადები დაკავშირებული საქმეები: თამარ ბეროშვილის საქმე, პანტელეიმონ გვაზბაიას საქმე იხილეთ დანართში.

საქმეში ციმერმანი და შტეინერი შვეიცარიის წინააღმდეგ (Zimmerman and Steiner v. Switzerland) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ისე მოაწყონ ეროვნული სამართლებრივი სისტემა, რომ ეროვნულ სასამართლოებს საშუალება ჰქონდეთ, მათი ქმედებები შესაბამისობაში მოიყვანონ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებთან, მათ შორის, გონივრული ვადის მოთხოვნასთან"[51]. ზემოხსენებულ საქმეში სამართალწარმოების გაჭიანურების მიზეზს წარმოადგენდა ძალიან ბევრი განსახილველი საქმე, რომლებიც დაგროვილი იყო სახელმწიფო სასამართლო სისტემაში. სტრასბურგის სასამართლომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა და მიუთითა, რომ სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ და განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები, რათა სასამართლო სისტემა იყოს მოქნილი და ეფექტური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მართებს აუცილებელი და თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება სასამართლო სისტემასთან მიმართებაში, რასთან დაკავშირებითაც არაერთხელ გაუკეთებია მითითება საქართველოს სახალხო დამცველს. სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა სწორედ რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი მონაპოვარია. შესაბამისად, აღნიშნული უფლების დაცვა ანუ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწოფოს მთავარ ინტერესს უნდა განეკუთვნებოდეს.

მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს იმ დადებითი ტენდენციის შესახებ, რომელიც საანგარიშო პერიოდში შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით საზოგადოებაში ნიჰილისტური დამოკიდებულებაა, საანგარიშო პერიოდში შეინიშნება სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელი განაჩენების მომატება. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2008 წლის პირველ 6 თვეში დადგა 20 გამამართლებელი განაჩენი, მაშინ როდესაც 2007 წლის განმავლობაში სულ 13 გამამართლებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში (რომელიც საანგარიშო პერიოდს არ შეეხება) გამამართლებელი განაჩენების რაოდენობამ 50-ს მიაღწია.

[51] 1983 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

სასამართლო ხელისუფლების ეფექტურობა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში გამოიხატება. სწორედ ამიტომ სასამართლო ხელისუფლებისა და სასამართლო აქტებისადმი განსაკუთრებული პატივისცემის და მორჩილების მოთხოვნები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციასა და სხვადასხვა კანონებში.

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, "სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე." სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 (1) მუხლი იცავს ყველა ადამიანისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლებას მისი სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ გულისხმობს აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერ მოლოდინს. ევროპის სასამართლო განმარტავს, რომ აღსრულების პროცესი არის სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილი და უფლება სასამართლოზე, როგორც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოზე, გულისხმობს ასევე აღსრულების პროცესის ხელმისაწვდომობასაც. (იხ. ევროპის სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება "აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ", „ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ" და სხვა...).

ოფიციალური მონაცემებით, 2008 წლის პირველი იანვრიდან პირველ ივნისამდე სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების-სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში იმყოფებოდა 120 527 საქმე, აღნიშნულ პერიოდში სააღსრულებო ბიუროების მიერ აღსრულდა 20 195 საქმე.

აღსრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი საქმეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 16%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლები მოიცავს არა მხოლოდ თანხის გადახდევინებას, არამედ სხვა კატეგორიის საქმეებსაც: გამოსახლება-შესახლება, სამუშაოზე აღდგენა, ალიმენტის გადახდევინება და ა.შ.

2007 წლის პირველი ივლისიდან 2008 წლის პირველ იანვრამდე სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ აღსასრულებლად სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში იყო 2 185 საქმე. აქედან აღნიშნულ პერიოდში აღსრულებულ იქნა 987.

ბიუჯეტის ან საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ აღსრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი ასეთი კატეგორიის საქმეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 45%-ს შეადგენს. როგორც ვხედავთ, აღსრულებული საქმეებიდან ბიუჯეტისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული საქმეების

მხოლოდ 45 % -ა აღსრულებული, რის გამოც ბევრი საჩივარი და განცხადება სწორედ ამ კუთხით არის მიმართული.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების სფეროში და ამ მხრივ ადამიანის უფლებათა დაცვის თაობაზე 2008 წლის პირველი იანვრიდან 30 ივნისამდე შემოსულ განცხადებათა უმეტესობა ძირითადად შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას, სადაც მოვალე მხარე არის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულება, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აქვთ დავალიანებები მოქალაქეებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების (კრედიტორების) მიმართ წინა წლებში გაუცემელი ხელფასების, პენსიების, იძულებითი განაცდურის სახით ან დაკისრებული აქვთ სამსახურიდან დათხოვილი მოსამსახურეების სამსახურში აღდგენა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემა და სხვა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან შედარებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულად არეგულირებს თანხის გადახდევინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ. საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან თანხის იძულებით გადახდევინებისას სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, იმოქმედოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92^1 მუხლის შესაბამისად:

„1. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ იძულებითი აღსრულება თანხის გადახდევინების ნაწილში შეიძლება დაიწყოს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების მიცემიდან 3 თვის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი უარს განაცხადებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საბიუჯეტო წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ აღსრულების ფონდში დამატებითი ასიგნებების გამოყოფაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოვალეებზე თანხებს გასცემს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ მიცემული წინადადებების რიგითობის მიხედვით.“

ამდენად, აღნიშნული კატეგორიის საქმეთა აღსრულების პროცესში, “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92^1-ე მუხლის თანახმად, მოვალე მხარეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტიდან ეგზავნებათ წინადადებები სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების თაობაზე. ასევე, ეგზავნებათ სააღსრულებო დეპარტამენტის საბანკო ანგარიშები და სხვა რეკვიზიტები სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების შესაბამის ანგარიშებზე ჩასარიცხად.

სახალხო დამცველის აპარატში განხილული განცხადებების შემთხვევაში, სააღსრულებო დეპარტამენტიდან გაგზავნილ წინადადებებს სასამართლო გადაწყვეტილებების ნებაყოფლობით აღსრულება არ მოჰყოლია. იყო შემთხვევები,

როცა წინადადებები განმეორებით ეგზავნებოდათ მოვალე სახელმწიფო დაწესებულებებს, მაგრამ უშედეგოდ.

წინადადებების შეუსრულებლობის შემდეგ იწყება იძულებითი აღსრულების პროცესი, რომელიც ჭიანურდება განსაკუთრებით დიდი დროის განმავლობაში და იწვევს განმცხადებლების სამართლიან გულისწყრომას. იძულებითი აღსრულების პროცესის მიმდინარეობის შესახებ კრედიტორებს სააღსრულებო დეპარტამენტიდან ეგზავნებათ ერთი და იმავე შინაარსის წერილები: "მითითებული სააღსრულებო საქმე გადაეცა სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს, რომელმაც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 92^1-ე მუხლის თანახმად, მოვალე მხარეს ჩააბარა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების თაობაზე, რომელიც მოვალემ არ შეასრულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელს მიეცა მითითება სასამართლო გადაწყვეტილების დროულად აღსრულების მიზნით, განახორციელოს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები."

იძულებითი აღსრულების რა კონკრეტულ ღონისძიებებს ატარებენ სააღსრულებო ბიუროები წინადადების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემდეგ, დეპარტამენტის პასუხებში მითითებული არ არის და გადაწყვეტილებათა აღსრულება რეალურად დიდი დროის განმავლობაში არ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი აღსრულების ღონისძიებებზე ვრცელდება კანონით დადგენილი ვადები, რიგ შემთხვევებში სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი დიდი ხნით ჭიანურდება და ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებები წლების განმავლობაში არის აღუსრულებელი. ასეთ შემთხვევებში მოქალაქეები მომართავენ სახალხო დამცველს განცხადებებით და აღნიშნავენ, რომ სააღსრულებო ორგანოებში არაფერი კეთდება სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის ან, რიგ შემთხვევებში, განხორციელებული ღონისძიებები საერთოდ არაეფექტურია.

იძულებითი აღსრულების პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მოვალის, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

სახელმწიფო დაწესებულებებისგან სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადაუხდელობის შესახებ შემოსულ განცხადებებზე, განმცხადებლის უფლებების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველისაგან სააღსრულებო დეპარტამენტს ეგზავნება რეკომენდაცია, რომ

სააღსრულებო ორგანოებმა დროულად გაატარონ იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და შეასრულონ მათზე კანონით დაკისრებული ვალდებულებები. სასამართლო აღმასრულებელი, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას, სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე, უფლებამოსილია, იმოქმედოს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტის მიხედვით, აღმასრულებელი უფლებამოსილია, გადახდევინება განახორციელოს: "მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან; **აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.**"

სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფი აღსრულება დამოკიდებულია სასამართლო აღმასრულებლისაგან მიცემულ წინადადებაში მითითებულ დროზე და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების დაწყებაზე, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის კანონით განხვავებულად არის განსაზღვრული – იძულებითი აღსრულების პროცესი, თანხის გადახდევინების ნაწილში, შეიძლება დაიწყოს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების მიცემიდან 3 თვის შემდეგ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამთვიანი ვადისაგან განსხვავებით, მოვალე კერძოსამართლებრივი სუბიექტის, მათ შორის, ფიზიკური პირების მიმართ სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს იძულებითი აღსრულების პროცესი დაიწყოს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით ხუთი დღის ვადაში წინადადების შეუსრულებლობის მომენტიდან. ხოლო ფულის ან ქონების გადახდევინებისას წინადადების ჩაბარებასთან ერთად, სასამართლო აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას ან დაყადაღებას კანონით დადგენილი წესით.

2008 წლის პირველ ნახევარში საბიუჯეტო (სახელმწიფო) ორგანიზაციების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ამავე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებების გათვალისწინებამ. "2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებში გათვალისწინებულ იქნა წინა წლებში საბიუჯეტო დაწესებულებებზე წარმოქმნილ ვალდებულებათა, მათ შორის, **სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის** გადასახდელი თანხები 20 მილიონი ლარის ოდენობით. თანხის გადახდევინების თაობაზე აღსრულებულ საქმეთა ძირითადი ნაწილი სწორედ აღნიშნული ასიგნებებიდან იქნა დაფარული (იხ. შესავალი, სტატისტიკური მონაცემები).

ისევე, როგორც 2007 წელს, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების გამოყოფამაც დიდი გავლენა მოახდინა სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულებაზე და მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენაზე. განსახილველ პერიოდში სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ გაგზავნილი

რეკომენდაციებიდან გაზიარებულ იქნა 65%[52], რაც თორმეტი პროცენტით აღემატება 2007 წლის მეორე ნახევარში გაზიარებული რეკომენდაციების რაოდენობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ იძულებითი აღსრულება მეტად რთული პროცესია და იგი ისევ ერთ–ერთ პრობლემურ საკითხად რჩება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში მიმდინარეობს რეკომენდაციის განხილვა, რომელიც ეხება შპს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის" თანამშრომლების სახელფასო დავალიანების საკითხთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას. სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელფასო დავალიანება შეადგენს 170 000 ლარს.

დღეისათვის მიმდინარეობს კიდევ ერთი რეკომენდაციის განხილვა (რეკომენდაციაში მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების ეტაპობრივი აღსრულება), რომელიც ეხება 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას (იხ.დანართი).

* * *

2004-2005 წლებში სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან განხორციელდა თანამშრომელთა მასიური დათხოვნები. ხშირად ასეთ დათხოვნებს საფუძვლად ედებოდა ამ სახელმწიფო დაწესებულების ახლადდანიშნულ თანამდებობის პირთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და მათი მხრიდან ირღვეოდა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც დამატებით მთელ რიგ გარანტიებს აწესებს საჯარო მოხელეებისათვის და მათი უფლებების დაცვისათვის. შემდგომში, საქართველოს საერთო სასამართლოებმა საჯარო მოხელეთა სამსახურებიდან დათხოვნის არაერთი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გააუქმა.

უფლებადარღვეულ მოსამსახურეთა სამსახურში აღდგენის თაობაზე (ზოგჯერ სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულია არა მარტო სამსახურში აღდგენაზე, არამედ ახალი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ)

---

[52] მოქალაქების ალექსანდრე ენუქიძის, გიორგი ჯვარიძის, ნაირა ჯამასპიშვილის, სოსო გაბუნიას, მურმან და მარიამ გიორგაძეების, რობერტ დიაკონიძის, არჩილ სალდაძის, თამარ ჩარკვიანის, ლილი ჩარკვიანის და ალექსანდრე ჩარკვიანის სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები სახელფასო დავალიანებების ანაზღაურების ნაწილში სრულად არის აღსრულებული (იხ.დანართი).

გიორგი ჯვარიძე – 681 ლარი;
ნაირა ჯამასპიშვილი – 1239.04 ლარი;
ალექსანდრე ენუქიძე – 1363 ლარი;
სოსო გაბუნია – 3248.81 ლარი;
მურმან და მარიამ გიორგაძეები – 50 000 ლარი;
რობერტ დიაკონიძე – 28 102.35 აშშ დოლარი;
არჩილ სალდაძე – 10 875.11 ლარი;
თამარ ჩარკვიანი – 17 745.10 აშშ დოლარი.

მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი თავისი სპეციფიკით ყველაზე რთულია იმ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესებიდან, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ბოლო პერიოდის განმავლობაში.

ერთი მხრივ, ასეთი პროცესის სირთულე განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობა, რომელიც მოქმედებს მითითებულ სფეროში, არასრულყოფილია და მოითხოვს დახვეწას. კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონი არ მოიცავს იმ მექანიზმებს, რომლებიც, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელს საშუალებას მისცემდა, გაეტარებინა კონკრეტული იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებები. სასამართლო აღმასრულებლები ასეთ შემთხვევებში შემოიფარგლებიან მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რომლითაც სახელმწიფო ორგანოებისაგან და თანამდებობის პირებისაგან სასამართლო გადწყვეტილების და სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებას მოითხოვენ.

მეორე მხრივ, სასამართლო აღმასრულებელს არ აქვს კონტროლის რაიმე მექანიზმი, რომელიც მას საშუალებას მისცემდა, შეემოწმებინა მოვალის – სახელმწიფო დაწესებულების – მიერ ახალი აქტის გამოცემის პროცესის კანონიერება და ამ მხრივ ეფექტურად დაეცვა მოსამსახურის (კრედიტორის) უფლებები. სახელმწიფო ორგანოები უხეშად არღვევენ ახალი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის ერთთვიან ვადას და, რიგ შემთხვევებში, ახალ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებს ისევ სხვადასხვა კანონდარღვევით გამოსცემენ. აღნიშნულს ნათელჰყოფს **საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში** 2005 წელს გამართული მოხელეთა ატესტაცია და ატესტაციის საფუძველზე სამსახურიდან დათხოვილ (სამინისტროს ცენტრალური აპარატის) თანამშრომელთა სარჩელის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, ასევე ამ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, სადაც სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნები მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ სხვაგვარად იქნა გაგებული და შემდგომში კანონდარღვევით იქნა აღსრულებული (იხ.დანართი).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების, პოლიციის განყოფილებებისა და თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტების მონიტორინგი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტში არსებული მონიტორინგის ჯგუფი 2008 წლის პირველ ნახევარშიც აგრძელებდა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა-რეაგირების მიზნით პოლიციის საქმიანობაზე კონტროლს. ამ მიზნით, მონიტორინგის ჯგუფის მიერ წინასწარი დაკავების საკნების შემოწმებისას, ამჯერადაც, პრიორიტეტად დარჩა სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისა და სხვა არაადამიანური, ღირსებისშემლახველი მოპყრობის ფაქტებზე დროული რეაგირება. ამის პარალელურად მიმდინარეობს კონტროლი პოლიციის თანამშრომელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცესუალური და პროცედურული ნორმების ზედმიწევნით შესრულებაზე. მიმდინარე წლის იანვრის თვიდან პოლიციის განყოფილებებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში ვიზიტების დინამიკამ იკლო წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, შემცირებულია პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთა ცემისა და წამების ფაქტები, რაც წლების მანძილზე, წინასწარი ძიების ეტაპზე მუდმივ პრობლემად რჩებოდა. რაც შეეხება პროცედურულ დარღვევებს, როგორებიცაა დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნისა და დმი-ში გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალები, დღემდე პრობლემად რჩება მათი სწორად წარმოების პრაქტიკა, განსაკუთრებით რეგიონებში.

დაკავებულ პირთა უფლებების და პროცედურული დარღვევების სტატისტიკა
2005; 2006 ;2007; 2008(I-VI) წლების მიხედვით



მოცემული დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ 2005 წელს მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა 1489 ვიზიტი, რა დროსაც დაფიქსირდა დაკავებულთა უფლებების და პროცედურული დარღვევების 1191 შემთხვევა, 2006 წელს ვიზიტების რაოდენობამ შეადგინა 856, დარღვევებმა– 534, 2007 წელს 1008 ვიზიტიდან დაფიქსირდა 258 უფლებათა და პროცედურულ დარღვევათა ფაქტი, რაც პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით უცილობლად დადებითი ცვლილება იყო და დარღვევების რადიკალურ კლებაზე მიუთითებდა. რაც შეეხება 2008 წლის პირველ ნახევარს, წინასწარი დაკავების საკნების შემოწმების მიზნით განხორციელებული 153 ვიზიტიდან დაფიქსირდა 76 შემთხვევა, რაც ვიზიტების რაოდენობასთან მიმართებაში დარღვევების მატებაზე მიუთითებს.

დაკავებულ პირთა უფლებების და პროცედურული დარღვევების დინამიკა 2005; 2006 ;2007; 2008(I-VI) წლების მიხედვით



2008 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მთლიანი საქართველოს მაშტაბით



2008 წლის იანვარი–ივნისის თვეებში სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფმა, მთელი საქართველოს მასშტაბით შსს დრმოებითი მოთავსების იზოლატორსა და პოლიციის განყოფილებებში განახორციელა 153 ვიზიტი. აქედან, ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა თებერვლის თვეში – 43, ხოლო მინიმალური კი აპრილისა და მაისის თვეებში 17–17 ვიზიტი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მთელი საქართველოს მაშტაბით პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაფიქსირდა ადამიანის უფლებათა და პროცედურულ დარღვევათა 76 ფაქტი. ამ დარღვევათაგან 58 შემთხვევა დაკავებულ პირთა სარეგისტრაციო ჟურნალების არასწორი და არასრული წარმოების შემთხვევებია.

საგულისხმოა, რომ 112 პირიდან, რომლებსაც გარეგნული დათვალიერებით აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები, მხოლოდ 8 პირმა განაცხადა, რომ დაზიანებები მიღებული ჰქონდა პოლიციის მხრიდან ფიზიკური ზეწოლის შედეგად. მათგან 3 დაკავებულმა განაცხადა, რომ მათზე ასევე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან. 3 შემთხვევაში არ გაკეთდა შეტყობინება ოჯახის წევრებთან დაკავების შესახებ, 1 შემთხვევაში არ განემარტათ ადვოკატის აყვანის უფლება და დაფიქსირდა ადმინისტრაციული დაკავების ვადის დარღვევის 3 შემთხვევა.

2008 წლის იანვარი–ივნისის თვეში მონიტორინგის ჯგუფმა თბილისის მასშტაბით აღრიცხა 721 დაკავებული, აქედან 705 იყო მამაკაცი, აქედან 13 ქალი, 30 არასრულწლოვანი ვაჟი, აქედან 24 დაკავებული იყო ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი.

2008 წლის პირველი ნახევარში (იანვარი-ივნისის) სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის მიერ პოლიციის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა თბილისის მაშტაბით

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა	I	II	III	IV	V	VI	ჯამი
დარღვევის ტიპი							
აღენიშნება ფიზიკური დაზიანებები	15	24	12	18	11	12	92
აღიარებს, რომ ადგილი ჰქონდა ფიზიკ. ზეწოლას	1	5		1		1	**8**
ამბობს, რომ ადგილი ჰქონდა ფსიქ. ზეწოლას	1	1		1			**3**
არ ჩაბარდა ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება							
არ მიეცა განმარტება უფლებების შესახებ							
არ მიეცა ტელეფონით დარეკვის საშუალება							
არ განემარტა ადვოკატის აყვანის უფლება							
არ არის რეგისტრირ. სარეგისტრაც. ჟურნალში							
არ გაკეთდა შეტყობინება დაკავების შესახებ	1		1			1	**3**
არ განემარტა დუმილის უფლების შესახებ							
დაფიქსირდა ადმინ. დაკავების ვადის დარღვევა							
მომჩივანი /უფლებადარღვეული							14
დარღვევათა საერთო რაოდენობა							14
ქალი	1	6			2	4	**13**
კაცი	68	202	68	205	95	67	705
არასრულწლოვანი გოგონა							
არასრულწლოვანი ვაჟი	10	6	1	2	6	5	**30**
სულ დაკავებულთა რაოდენობა							**748**
გეოგრაფია (მიუთითეთ განყოფილებების რაოდენობა)							
თბილისის ქალაქის სამმართველო	4	5	2	5	4	**2**	
გლდანი-ნაძალადევი		11					
დიდუბე-ჩუღურეთი		4		1			
ვაკე-საბურთალო		7					
ძველი თბილისის		5					
ისანი-სამგორი	1						
სულ ვიზიტების რაოდენობა	**5**	**32**	**2**	7	**4**	**2**	51

2008 წლის პირველი ნახევარში (იანვარი-ივნისის) სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის მიერ პოლიციის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მასშტაბით

2008 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს რეგიონების მასშტაბით შსს რაიონულ განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელდა 102 ვიზიტი. ვიზიტების დროს მონახულებულ იქნა 97 დაკავებული. აქედან 9 ქალი, 1 არასრულწლოვანი ვაჟი და 2 პირი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი. მონიტორინგის ჯგუფმა დააფიქსირა უფლებათა და პროცედურულ დარღვევის 62 ფაქტი, მათ შორის ადამიანის უფლების დარღვევის 4 შემთხვევა, ხოლო პროცედურული დარღვევის 58 შემთხვევა. 20 დაკავებულს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანების ნიშნები, აქედან არცერთი მათგანი არ აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა პოლიციის მხრიდან ფიზიკური ზეწოლა.

მონიტორინგისას დაკავებულებთან გასაუბრებისას 1 აღიარებდა, რომ არ განუმარტეს ადვოკატის აყვანის უფლება. დაფიქსირდა ადმინისტრაციული დაკავების ვადის დარღვევის 3 შემთხვევა.

პროცედურული დარღვევებიდან 58 შემთხვევაში რეგისტრაციის ჟურნალში ხდებოდა არასწორი ან არასრული ჩანაწერების წარმოება.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მასშტაბით განხორციელებულ მონიტორინგის შედეგებისგან განსხვავებით, სადაც პროცედურული დაღვევები (დაკავებულთა რეგისტრაციის ჟურნალში არასწორი ან არასრული რეგისტრაცია, რეგისტრაციის ჟურნალის არარსებობა), არ დაფიქსირებულა, რეგიონებში დაფიქსირდა სულ 58 პროცედურული ხასიათის დარღვევა, რომლებიც ეხებოდა პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციის მიერ დაკავებულთა რეგისტრაციის ჟურნალში არასწორ ან არასრულ რეგისტრაციას.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა	I	II	III	IV	V	VI	ჯამი
დარღვევის ტიპი							
აღენიშნება ფიზიკური დაზიანებები	1	1	6	8	4		20
აღიარებს, რომ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ზეწოლას							
ამბობს, რომ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას							
მას არ ჩაბარდა ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება							
არ მიეცა განმარტება უფლებების შესახებ							
არ მიეცა ტელეფონით დარეკვის საშუალება							
არ განემარტა ადვოკატის აყვანის უფლება				1			
არ არის რეგისტრირებული სარეგისტრაციო ჟურნალში							
არ გაკეთდა შეტყობინება დაკავების შესახებ							
არ განემარტა დუმილის უფლების შესახებ							
დაფიქსირდა ადმინისტრაციული დაკავების ვადის დარღვევა						3	
სულ ადამიანის უფლების დარღვევა (რაოდენობა)							
რეგისტრაციის ჟურნალი არ არსებობდა							
აღმოჩენილი იყო ორი ან მეტი რეგისტრაციის ჟურნალი							
დაფიქსირდა ჟურნალში არასწორი/არასრული რეგისტრაცია	3	13	19	13	4	6	58
პოლიციის თანამშრომლებმა გაწიეს წინააღმდეგობა							
სულ პროცედურული დარღვევა							
დარღვევათა საერთო რაოდენობა							
მომჩივანი / მსხვერპლი / უფლებაშელახული							
ქალი		2	7				9
კაცი	2	20	41	4	5	15	87
არასრულწლოვანი ვაჟი					1		1
ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი				1	1	.	2
დაკავებულთა რაოდენობა	2	22	48	4	6	15	97
ვიზიტების (განყოფილებების) რაოდენობა	20	11	23	20	13	15	102

როგორც გასული წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, 2008 წლის პირველ ნახევარშიც საგამოძიებო ორგანოების მხრიდან გრძელდება ტენდენცია ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების არაეფექტურ გამოძიებებთან დაკავშირებით, როგორიცაა პოლიციელების მხრიდან დაკავებული პირებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმეები. როგორც წესი, პროკურატურა

ზერელედ ეკიდება დაკავებული პირების ცემისა თუ წამების შემცველი ქმედებების გამოძიების საკითხს და ამგვარი ქმედებების შემცველ სისხლის სამართლის საქმეებს, ხშირ შემთხვევაში აკვალიფიცირებს არა როგორც ცემის, წამებისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულებრივ ქმედებებად, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად. ამგვარ საქმეებზე გამოძიება თითქმის ყოველთვის ატარებს ფორმალურ ხასიათს და ხშირ შემთხვევებში მთავრდება საქმის შეწყვეტით, ან წლების განმავლობაში გამოძიების გაჭიანურებით. ამგვარ საქმეებზე, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო დანაშაულის ჩადენის გაბათილება ხდება თავად პოლიციელთა ჩვენებებით და როგორც წესი, დაკავებულების მხრიდან ხდება ჩვენებების შეცვლა სამართალდამცავთა სასარგებლოდ. ზემოთხსენებული განცხადების საფუძველს გვაძლევს, დაკავებული პირებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისათვის თვალყურის მიდევნება, თუ როგორ რეაგირებას ახდენენ საგამოძიებო ორგანოები სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილ მიმართვებს დაკავებულთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

სახალხო დამცველის აპარატის პოლიციის საქმიანობაზე მონიტორინგის ჯგუფების მიერ 2008 წლის იანვარი–ივნისის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების ადგილებში შედგენილი უფლებადარღვევათა ოქმების საფუძველზე, რომლებიც ეხებოდა დაკავებული პირების ცემის ფაქტებს, სახალხო დამცველის აპარატიდან გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიგზავნა 9 მიმართვა.

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, დაკავებულ პირთა სხეულის დაზიანების ფაქტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატიდან რეაგირებისათვის გაგზავნილი მიმართვების საფუძველზე ყველა მათგანზე შეწდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედებების არარსებობის გამო.

საგულისხმოა, რომ წლების მანძილზე, პროკურატურიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეგზავნება ბლანკეტური პასუხები იმის თაობაზე, რომ პოლიციის თანამშრომლების მიმართ დაწყებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რომლებსაც უჩივიან დაკავებული პირები მათთვის ფიზიკური და მორალური შეირაცხყოფისავის წყდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედებების არარსებობის გამო, აღნიშნული კი, ბადებს სამართლიან ეჭვს, რომ სამმართალდამცავ ორგანოებში არ არსებობს ნება, რათა რეალურად გამოძიებული და დასჯილი იქნენ პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებიც თვითონ ჩადიან დანაშაულს.

რაც შეეხება შს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილ პროცესუალურ დარღვევებს, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის განყოფილებების შემოწმებისას აღმოჩენილი იქნა არაერთი პროცედურული დარღვევა, რაზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიგზავნა არაერთი მიმართვა, რათა მომხდარიყო

დარღვევების აღმოფხვრა და, შესაბამისად, დასჯილიყვნენ ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენი პირები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის მიერ, სახალხო დამცველის აპარატში მიღებული პასუხების მიხედვით, შს სამინისტროს მარნეულისა და ლაგოდეხის რაიონული განყოფილების საუბნო ჯგუფის ინსპექტორებს, ასევე ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის I, II და VIII განყოფილების საუბნო ქვეგანყოფილების ინსპექტორებს, მომავალში ანალოგიური დარღვევის თავიდან აცილების მიზნით მიეცათ სარეკომენდაციო ბარათი. სარეკომენდაციო ბარათი მიეცათ ასევე ძველი თბილისის რაიონის I, II,III, V საუბნო ქვეგანყოფილების 6 თანამშრომელს.

ლაგოდეხის რაიონული განყოფილების გამომძიებელსა და კრიმინალური პოლიციის უფროს ინსპექტორ გამომძიებელს დაედოთ დისციპლინური სახდელი –შენიშვნა. ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს II განყოფილების 2 თანამშრომელსა და იმავე სამმართველოს V განყოფილების 4 ინსპექტორს დაედოთ დისციპლინური სახდელი შენიშვნა. ანალოგიური სახის სახდელი იქნა გამოყენებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს 2 თანამშრომლისა და ისანი-სამგორის VIII განყოფილების ინსპექტორის მიმართ. სახალხო დამცველის აპარატიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი მიმართვების საფუძველზე, შენიშვნა გამოეცხადა ასევე ახმეტის რაიონული განყოფილების საუბნო ჯგუფის 5 ინსპექტორს.

პოლიციის განყოფილებების ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგი

პოლიციის განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგისას გამოვლენილი არაერთი პრობლემა, რაც დღემდე გადაუწყვეტელი რჩება. კვლავაც საყურადღებოა დროებითი მოთავსების იზოლატორების ტექნიკური მდგომარეობა. მართალია, ზოგიერთ შენობას ჩაუტარდა რემონტი და შედარებით გაუმჯობესდა პირობები, მაგრამ პრობლემად რჩება საშხაპე, სამედიცინო ოთახის არარსებობა, მოწესრიგებელი წყალგაყვანილობის და სავენტილაციო სისტემა. აღნიშნული საკითხი კვლავაც აქტუალურია იმ პირთათვის, რომელთაც ადმინისტრაციული სახდელის სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა და სასჯელს იხდიან დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

დროებითი მოთავსების იზოლატორების უდიდეს ნაწილში მოშლილია საკანალიზაციო, სავენტილაციო და გათბობის სისტემები, საკნები არ თბება, არ არის საკმარისი განათება და არის ნესტი. რაც შეეხება თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორს, კოსმეტიკური გარემონტების შედეგად ტექნიკური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც პრობლემად რჩება სავენტილაციო და გათბობის სისტემები, ასევე დაკავებულთა სუფთა ჰაერზე გასეირნება.

სახალხო დამცველმა აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც არაერთხელ მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა

მოხდეს დროებითი მოთავსების იზოლატორების შენობების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და იქ არსებული მდგომარეობის გამოსწორება

2008 წლის მაისის თვეში განხორციელდა მონიტორინგი **ტყიბულის** შს რაიონული სამმართველოს შენობაში განთავსებულ დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ფუნქციონირებს ოთხი საკანი. დმი-ში არ არის საშხაპე, ხოლო საპირფარეშო არის საერთო, სადაც განთავსებულია ხელსაბანი. გარდა ზემოაღნიშნულისა, ტყიბულის დროებითი მოთავსების იზოლატორს არ გააჩნია სასეირნო ეზო, შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს არ ეძლევათ გასეირნების საშუალება.

ანალოგიური მდგომარეობაა **თერჯოლის** დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დაკავებული პირები ვერ სარგებლობენ სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით.

ზესტაფონის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული ხუთი საკნიდან მხოლოდ ერთს აქვს სარკმელი. საკნებს არ აქვთ ბუნებრივი განათება, ვენტილაციის სისტემა და საპირფარეშოები. გარდა ხსენებულისა, დმი-ს არ აქვს საშხაპე, ფიცარნაგებზე არ არის ლეიბები. ზესტაფონის დმი-ს არ აქვს სასეირნო ეზო, რის გამოც პატიმრებს არ ეძლევათ ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე გასეირნების საშუალება. გარდა ამისა, დმი-ს სამორიგეო ოთახიდან სარკმელი გადის პატიმართა დასაკითხ ოთახში, საიდანაც შესაძლებელია ადვოკატსა და მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს შორის საუბრის მოსმენა, რაც არღვევს საუბრის კონფიდენციალურობას.

სამტრედიის N3 დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულია სამი საკანი. სამივეში დალუქულია ფანჯრები, შესაბამისად, არ ხდება მათი განიავება. დმი–ს არ გააჩნია ხელოვნური ვენტილაცია, საშხაპე და გათბობა. გარდა ამისა, საკნებში არის საშინელი ანტისანიტარია, რის გამოც გამრავლდნენ მღრნელები(ვირთხები).

ასევე სავალალო მდგომარეობაა **ქუთაისისა და ზუგდიდის** დროებითი მოთავსების იზოლატორებში. აქ განთავსებულ საკნებში არსებული ფანჯრები დალუქულია რკინის დარაბებით, რის გამოც ვერ ხერხდება საკნების ვენტილაცია. ქუთაისის დმი–ში არის ნესტი, სიბნელე და ანტისანიტარია. დროებითი მოთავსების იზოლატორს არ გააჩნია სასეირნო ეზო, შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირები ვერ სარგებლობენ სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით, რაც მეტად მძიმე და არაადამიანურ მდგომარეობაში აყენებს იმ პირებს, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში იმყოფებიან ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენისათვის და სასამართლოს მიერ შეფარდებული აქვთ ადმინისტრაციული პატიმრობა. ასეთი პატიმრების მდგომარეობა დროებითი მოთავსების იზოლატორებში ექვემდებარება იმაზე მეტ შეზღუდვას და სიმკაცრეს, ვიდრე იმ პირებისა, რომლებიც სისხლის სამართლის წესით არიან დაპატიმრებული, რაც თავის მხრივ შეუსაბამობაში მოდის წევრი სახელმწიფოსათვის ციხის ევროპული წესების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 12 თებერვლის #რ(87)3 რეკომენდაციასთან. ხსენებული რეკომენდაციის 99-ე პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც კანონით დაშვებულია

დაპატიმრება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე, ნებისმიერი არა-სისხლის სამართლის პროცესზე დაყრდნობით, ასეთი პატიმრები არ უნდა დაექვემდებარონ იმაზე მეტ შეზღუდვებსა და სიმკაცრეს, რომელიც აუცილებელია უსაფრთხო განთავსებისა და წესრიგის დაცვისთვის. მათდამი მოპყრობა არ უნდა იყოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისადმი მოპყრობაზე უარესი.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს კანონით პატიმრობის შესახებ განსაზღვრულია, რომ ყველა პატიმარმა უნდა ისარგებლოს სუფთა ჰაერზე დღეში ერთსაათიანი გასეირნებით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორია პატიმართა ჯანმრთელობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ამდენად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნებისმიერ პატიმარს მიეცეს სუფთა ჰაერზე გასეირნების, ასევე სხეულის სისუფთავის დაცვის საშუალება, რაც აუცილებელია პატიმართა ღირსების შენარჩუნებისათვის.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამჟამად დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მძიმე პირობები და ანტისანიტარია იქ მყოფი დაკავებული პირების ადამიანურ ღირსებას ლახავს და არღვევს ადამიანის უფლებებს.

ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების(ჰაუპტვახტის) მონიტორინგი

სახალხო დამცველის რწმუნებულები წინა წლების მსგავსად ახორციელებენ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში მოქმედი ჰაუპტვახტების მონიტორინგს. გასული წლების მანძილზე გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფს მუდმივად ექმნებოდა პრობლემები ჰაუპტვახტების ტერიტორიაზე დაშვებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მანძილზე განხორციელებული შემოწმებებისას ეს პრობლემა აღარ დამდგარა და სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დაბრკოლების გარეშე შეძლეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტთან არსებულ ჰაუპტვახტებში მონიტორინგის განხორციელება.

მ/წ იანვრიდან ივნისის ჩათვლით სულ განხორციელდა 4 ვიზიტი. კერძოდ, სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს, კახეთისა და ქვემო ქართლის, ახალციხისა და შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოების ჰაუპტვახტებში. მონახულებული იქნა 17 დაკავებული, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197–ე მუხლის მე–2 პრიმა მუხლით. (სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის წესის დარღვევა). აღსანიშნავია, რომ მონახულებული პირებისგან არცერთ მათგანს რაიმე სახის პრეტენზია მისი უფლებების დარღვევის ფაქტზე არ გამოუთქვამს. დარღვევები არ დაფიქსირებულა ასევე ჰაუპტვახტში მყოფი პირების აღრიცხვის წიგნშიც.

სასჯელაღსრულების სისტემა

2008 წლის პირველ ნახევარში პატიმართა მდგომარეობა გაუმჯობესდა. კერძოდ, იკლო სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ პატიმართა ცემა-წამების ფაქტებმა, გაუმჯობესდა დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, ექსპლუატაციაში შევიდა ახალი, #8 საპყრობილე თბილისში, გლდანის რაიონში. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს, მრავლად რჩება. აღნიშნულ საკითხებზე სახალხო დამცველი თავის წინა მოხსენებებშიც მიუთითებდა.

იმის მიუხედავად, რომ პატიმრობის კოდექსის პროექტი 2 წელია მომზადებულია და დღევანდელ კანონმდებლობასთან შედარებით მასში გათვალისწინებულია უფრო ჰუმანური მიდგომები პატიმართა მიმართ, საქართველოს პარლამენტი კანონის მიღებას არ ჩქარობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა:

წამების უამრავი საქმიდან უმრავლესობა გამოძიებული არ არის, ამიტომ მსჯავრდებულები სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან მხოლოდ პირადი საუბრის დროს ყვებიან ცემის, წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე, მაგრამ არ წერენ ამის შესახებ, რადგან იციან, რომ მაინც არავინ დაისჯება და მათი მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს კიდეც.

გადატვირთულობა

კვლავ პრობლემას წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გადატვირთულობა. 2008 წლის აგვისტოს მდგომარეობით მდგომარეობით სურათი ასეთია:

- ქ.თბილისის #1 საპყრობილე - ლიმიტი - 750 პატიმარი - 18 სექტემბრის მდგომარეობით - 919 პატიმარი;
- #1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება - ლიმიტი 1846 - 18 სექტემბრის მდგომარეობით - 2084 პატიმარი;
- #7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება - ლიმიტი 1336 - 18 სექტემბრის მდგომარეობით - 2216 პატიმარი;
- #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება - ლიმიტი 917 - 18 სექტემბრის მდგომარეობით - 1554 პატიმარი;
- #9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება - ლიმიტი 600 - 18 სექტემბრის მდგომარეობით - 641 პატიმარი;
- არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება - ლიმიტი 160 - 18 სექტემბრის მდგომარეობით - 194 პატიმარი;
- #3 საპყრობილე - ლიმიტი 503 - 18 სექტემბრის მდგომარეობით - 811 პატიმარი;
- #4 საპყრობილე - ლიმიტი 305 - 18 სექტემბრის მდგომარეობით - 371 პატიმარი;

- #6 საპყრობილის საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება - ლიმიტი 830 - 18 სექტემბრის მდგომარეობით - 1556 პატიმარი.

სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობის თემა აქტუალურია.

პატიმართა ჰიგიენური მდგომარეობა

სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებაში ჰიგიენის თვალსაზრისით რთული მდგომარეობაა. კერძოდ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საკნის სისუფთავეზე თავად პატიმარი ზრუნავს. სარეცხს თვითონ რეცხავენ ან ოჯახის წევრებს მიაქვთ გასარეცხად.

ქ.თბილისის #1 საპყრობილეში საპირფარეშოები დამონტაჟებულია საკნებში. საპყრობილეს არ აქვს აბანოს ბლოკი. ამიტომ პატიმრებს შხაპის მიღება უწევთ საკნებში. არ ფუნქციონირებს სამრეცხაო, შესაბამისად თეთრეული საკნებში ირეცხება.

სარემონტოა საპყრობილის სამზარეულოც. პერსონალის მიერ ჰიგიენის დაცვის მიუხედავად, იქ არსებული პირობების გათვალისწინებით ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

კარცერებში არსებული ვითარება პირდაპირ შეესაბამება არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებს. არის ფეკალური მასების სუნი, სიბინძურე. კარცერების ადგილმდებარეობის გამო ტემპერატურა სიცხეში ძალიან მაღლა იწევს, არ ხდება ვენტილაცია და პატიმრებისათვის სუნთქვა თითქმის შეუძლებელია.

ჰიგიენური თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის **ხონის #9 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც.** დაწესებულება შედგება ერთი ორსართულიანი კორპუსისაგან. დაწესებულების პირველ სართულზე 6 დუშია. თუმცა, უწყლობის გამო დროებით არ ფუნქციონირებს და სასწრაფოდ საჭიროებს შეკეთებას. არის ანტისანიტარია.

დაწესებულებას არ აქვს ცენტრალური გათბობა და ვენტილაცია. ჰაერის ვენტილაცია ხდება ვენტილიატორებისა და ფანჯრების მეშვეობით.

დაწესებულებაში სამრეცხაოს არარსებობის გამო პატიმრები თეთრეულის დასუფთავებას აბანოს საშუალებით ახდენენ. საპირფარეშოებში ანტისანიტარიაა.

ანტისანიტარიაა ქუთაისის #2 ახლადაშენებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც. ანტისანიტარიაა სარდაფში, არასრულწლოვან პატიმართა კორპუსში, სადაც 2 დუშია, არიან ტარაკნები და არ ტარდება დეზინფექცია. რემონტს საჭიროებს პატიმარ ქალთა კორპუსში არსებული საშხაპეც.

მკაცრი რეჟიმის კორპუსში არსებულ კარცერებში კი საშხაპე საერთოდ არ არის, ოთახი ნესტიანია და ანტისანიტარიაა, საჭიროებს შეკეთებას.

ზუგდიდის #4 საპყრობილის კორპუსის პირველ და მეორე სართულზე ანტისანიტარიაა, დენის სადენები გაშიშვლებულია. ფანჯრები გარედან და შიგნიდან გისოსებშია, მინები არ აქვს. დაწესებულებაში განმარტოების ორი ოთახია, ჭერის შუაში ნათურაა, ჭერიდან კი წყალი ჩამოდის. საკითხი სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) სტანდარტების გათვალისწინებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2006 წლის 11 იანვარს მიიღო წევრი სახელმწიფოებისათვის ევროპული ციხის წესების შესახებ რეკომენდაცია REC(2006)2.

მასში მითითებულია:

„პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების, პატივისა და შეძლებისდაგვარად ასევე, განმარტოების მოთხოვნებს. დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობის, განათების და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.

„უნდა მოხდეს ადეკვატური სამყოფლის უზრუნველყოფა, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში. თუ ეს შესაძლებელია დღიურად, ან კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა უფრო ხშირადაც) ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე".

რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს: სასჯელაღსრულების დაწესებულებებს (საპყრობილეებს) ჩაუტარდეთ აუცილებელი სარემონტო სამუშაოები, ამუშავდეს საშხაპეები და მოხდეს მათი კეთილმოწყობა. ყველა დაწესებულებაში დამონტაჟდეს სამრეცხაო.

რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს: ყურადღება გამახვილდეს თბილისის #1 საპყრობილეში არსებულ კარცერებზე, გაუქმდეს და მის ნაცვლად ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კარცერი გაიხსნას.

დასაქმება, განათლება

პატიმართა რეაბილიტაციისთვის აუცილებელი დასაქმებისა და განათლების საკითხი სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის კვლავ არაა პრიორიტეტული.

არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულებისა და რუსთავის #2 საპყრობილის გარდა საგანმანათლებლო პროგრამები არც ერთ დაწესებულებაში არ

ხორციელდება. კანონით გათვალისწინებული შრომის უფლებით კი პატიმრები კვლავ ვერ სარგებლობენ.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების უმეტესი დაწესებულების ბიბლიოთეკებში წიგნების ფონდი ახლახანს განახლდა. ზოგიერთი დაწესებულება კვლავ საჭიროებს წიგნებით აღჭურვას (მაგ, ზუგდიდის #4 საპყრობილე, გეგუთის #8 საპყრობილე), რადგან იქ ძირითადად ნაკლებად გამოყენებადი წიგნებია.

„პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად:

სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას პირობები, რათა მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლება. ადმინისტრაცია ვალდებულია დაწესებულებაში მოაწყოს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე გასაგებ ენაზე პატიმრობის შესახებ კანონმდებლობა, ევროპული პენიტენციური წესები.

რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს: იუსტიციის სამინისტრომ ეტაპობრივად განახორციელოს პატიმართა დასაქმებისა და განათლების პროგრამები. მეტი ყურადღება დაუთმოს პატიმართა საგანმანათლებლო და პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, პატიმართა რესოციალიზაციისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

ვიდეოკამერები

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟებულ ვიდეოკამერებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს კვლავ არ გაუთვალისწინებია.

ჯერ კიდევ 2006 წლის 16 ივნისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და მოითხოვა ქუთაისის #2 და თბილისის #7 საპყრობილეში პატიმრებისა და ადვოკატების, გამომძიებლებისა და სახალხო დამცველთან შეხვედრის ოთახებში დაყენებული ვიდეოკამერების დემონტაჟი, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი იმპერატიულად აცხადებს, რომ „დამცველს უფლება აქვს, შეხვდეს დასაცავ პირს მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე".

გაუქმების ნაცვლად ვიდეოთვალი **რუსთავის #2** და გლდანის #8 საპყრობილეებშიც დაამონტაჟეს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ჯიუტად არ ასრულებს ზემოაღნიშნულ რეკომენდანციას, რითაც არღვევს საქართველოს კანონმდებლობას.

დასკვნა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის ბიუჯეტის გაზრდამ, საერთაშორისო ორგანიზაციების როგორც ფინანსურმა, ისე ადამიანური რესურსებით მხარდაჭერამ და მრავალგზისმა კრიტიკამ გარკვეული შედეგი გამოიღო, თუმცა პატიმართათვის ადამიანური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისთვის კიდევ ბევრია სამუშაო. სასწრაფოდ გადასაჭრელია დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემა, მოსაწესრიგებელია სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულების ინფრასტრუქტურა, ჰიგიენური მდგომარეობა. მეტი ყურადღებაა გასამახვილებელი პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის საკითხზე. სახალხო დამცველი მზადაა თანამშრომლობისთვის.

რეკომენდაციები იუსტიციის მინისტრს:

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებებს (საპყრობილეებს) საჭიროების მიხედვით ჩაუტარდეთ აუცილებელი სარემონტო სამუშაოები, ამუშავდეს საშხაპეები და მოხდეს მათი კეთილმოწყობა. ყველა დაწესებულებაში დამონტაჟდეს სამრეცხაო.

2. ყურადღება გამახვილდეს თბილისის #1 საპყრობილეში არსებულ კარცერებზე, გაუქმდეს და მის ნაცვლად ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კარცერი გაიხსნას.

3. იუსტიციის სამინისტრომ ეტაპობრივად განახორციელოს პატიმართა დასაქმებისა და განათლების პროგრამები. მეტი ყურადღება დაუთმოს პატიმართა საგანმანათლებლო და პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, პატიმართა რესოციალიზაციისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

4. იუსტიციის სამინისტრომ მოხსნას საპყრობილეებში ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრის ოთახებში დაყენებული სათვალთვალოები.

5. კანონის დარღვევისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებისათვის ჯიუტად თავის არიდების გამო, რეკომენდაციით მივმართავთ იუსტიციის მინისტრს, დააყენოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი.

ჯანდაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში: ადამიანური რესურსები, ჯანმრთელობის დაზღვევა

ადამიანური რესურსების* განაწილება პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სისტემაში

(*ადამიანურ რესურსებში ამ მოხსენებაში ნაგულისხმევია მხოლოდ ექიმები)

2007 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გამოაცხადა ტენდერი სამედიცინო–სადაზღვევო მომსახურების (სამი წლის ვადით) შესყიდვის მიზნით. როგორც პრესრელიზი იტყობინებოდა -„მომსახურება განკუთვნილია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული სპეცკონტინგენტის (პატიმრები, მსჯავრდებულები), სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და საპყრობილეების თანამშრომლებისთვის“. ჩატარებული ტენდერის შედეგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაის“ შორის 2007 წლის 26 ოქტომბერს გაფორმდა №523 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2007 წლის 1 ნოემბრიდან და მოქმედებს 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

იმ ცვლილებებისა და შედეგების შესასწავლად, რომელიც მოჰყვა სადაზღვევო კომპანიის შესვლას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ჯანდაცვის სისტემაში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დაიგეგმა მონიტორინგის ჩატარება და მიღებული ინფორმაციის ანალიზი. მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით არსებული განახლებული ინფორმაციის მისაღებად. 2008 წლის 21 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველის სასჯელაღსრულების დეპარტამენტისადმი გაგზავნილი წერილის საპასუხოდ, 10 მარტს შემოსული საპასუხო წერილით (№10/8/3-5080) გვაცნობეს, რომ „ვინაიდან სამედიცინო პერსონალი გადავიდა „ალდაგი-ბისიაის“ დაქვემდებარებაში, მათი რაოდენობისა და სპეციალიზაციის, აგრეთვე ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებისათვის უკვე დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ სადაზღვევო კომპანიას“ (წერილს ხელს აწერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის უფროსი, ანტონ ქელბაქიანი).

აღნიშნული პასუხის შემდგომ, საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“-ს გენერალურ დირექტორს რათა წარმოედგინა ინფორმაცია 2007 წლის 26 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული #523 ხელშეკრულების ფარგლებში, სადაზღვევო კომპანიის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტთა (ექიმთა) შესახებ. კერძოდ, წარმოედგინათ ექიმთა სრული სია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებების (მათ შორის, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების) მიხედვით, სახელმწიფო სერტიფიკატში მითითებული ნებადართული საექიმო საქმიანობის (სპეციალობის) მითითებით.

2008 წლის 21 აპრილს, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაის“ გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ნიკოლოზ გამყრელიძემ, სახალხო დამცველს გამოუგზავნა საპასუხო წერილი (GE 0167 out), რომელიც შედგება სამი დანართისაგან:

- დანართი №1 – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებების ექიმები (გარდა სად-ის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებისა);
- დანართი №2 – სად–ის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ექიმები;
- დანართი №3 – ექიმი კონსულტანტები (რომლებიც სამოქმედო ტერიტორიაზე ემსახურებიან აღნიშნულ დაწესებულებებს პერიოდულად ან კიდევ გამოძახებით ადგილზე არსებული სამედიცინო პერსონალის დანიშნულების მიხედვით).

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაის“ მიერ, საქართველოს პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სექტორისათვის სულ დაქირავებულია 136 ექიმი (დამოიკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი), რომლებიც მუშაობენ (ძირითადი) პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაში და 39 ექიმი-კონსულტანტი. სულ 175 პირი. მათ შორის:

ექიმთა რაოდენობა სულ	ექიმთა რაოდენობა სად-ის სხვადასხვა დაწესებულებების მიხედვით			
	ექიმი - კონსულტანტები	მსჯ. და პატიმ. სამკურნალო დაწესებულება	ტუბერკულიოზ. დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულება	სად - ის სხვა დაწესებულებები
	A	*B*	*C*	*D*
175	39	55	9	72
100%	22.3 %	31.5 %	5.1 %	41.1 %



როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებაში (გარდა სამკურნალო დაწესებულებებისა) სულ 72 ექიმი მუშაობს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 28 თებერვლის N 54 ბრძანების - „იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა და მსჯავრდებულთა შევსების ლიმიტის დამტკიცების თაობაზე“ გათვალისწინებით,

წარმოდგენილია კონკრეტულ დაწესებულებაში პატიმართა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობისა და ადგილობრივად მათი მომსახურე ექიმების პროპორცია:

N	სასჯელაღსრულების დაწესებულება	მდებარეობა	პატიმარ. ლიმიტი	არსებ. მდგომ.	ექიმთა რაოდე.
1	N 1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება	რუსთავი	1846	2084	4
2	N 6 საპყრობილის, საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება	რუსთავი	830	1556	8
3	ქალთა და არასრულწლოვანთა N 5 საერთო საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება	თბილისი	942	790	7
4	N 7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება	ქსანი	1336	2216	3
5	N 8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება	(წყალტუბოს რაიონი)	917	1554	3
6	N 9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება	(ხონის რაიონი)	600	641	3
7	N 10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (ავჭალა)	თბილისი	370	290	2
8	არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება	თბილისი	160	194	3
9	N 1 საპყრობილე	თბილისი	750	919	3
10	N 2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება	ქუთაისი	1840	1786	9
11	N 3 საპყრობილე	ბათუმი	503	811	3
12	N 4 საპყრობილე	ზუგდიდი	305	371	2
13	N 8 საპყრობილე (გლდანი)	თბილისი	*3000*	*3485*	12
14	N 2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება	რუსთავი	1801	1899	9
15	N 7 საპყრობილე	თბილისი	108	43	1
16	ტუბერკულიოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულება	მცხეთის რაიონი	537	497	9
17	პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	თბილისი	314	287	55
		სულ:	16.159	19.423	136

ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის გეოგრაფიული კომპონენტის განხილვისათვის, საქართველოში სასჯელაღსრულების დაწესებულების განლაგების თავისებურების გათვალისწინებით, ქვეყანა შესაძლებელია 6 პირობით გეოგრაფიულ ზონად დაიყოს.

- (1) თბილისში და მის მიმდებარედ განთავსებული დაწესებულებები;
- (2) რუსთავში განთავსებული დაწესებულებები;
- (3) ქუთაისში და მის მიმდებარედ განთავსებული დაწესებულებები;
- (4) ზუგდიდში განთავსებული დაწესებულება;
- (5) ბათუმში განთავსებული დაწესებულება;
- (6) ხონში განთავსებული დაწესებულება;

აღნიშნული დაყოფა გამართლებულია იმ მოსაზრებიდან გამომდინარეც, რომ სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“, ექიმ-კონსულტანტთა ჯგუფების სამოქმედო არეალს სწორედ ამ ექვს ზონაში აწესებს.

შესაბამისად:

(1) ზონაში (თბილისი) ხვდება სასჯელაღსრულების შემდეგი დაწესებულებები:

- ქალთა და არასრულწლოვანთა N 5 საერთო საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება (თბილისი)
- N 7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება (ქსანი)
- N 10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (ავჭალა)
- არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება (ავჭალა)
- N 1 საპყრობილე (თბილისი)
- N 8 საპყრობილე (გლდანი)
- N 7 საპყრობილე (თბილისი)
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულიოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულება (ქსანი)
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (თბილისი)

(2) რუსთავში განთავსებული დაწესებულებები;

- N 1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება
- N 6 საპყრობილის, საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება
- N 2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება

(3) ქუთაისში და მის მიმდებარედ განთავსებული დაწესებულებები;

- N 2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (ქუთაისი)
- N 8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (გეგუთი)

(4) ზუგდიდში განთავსებული დაწესებულება;
- N 3 საპყრობილე

(5) ბათუმში განთავსებული დაწესებულება;
- N 4 საპყრობილე

(6) ხონში განთავსებული დაწესებულება;
- N 9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება

ზემოთ აღნიშნული პირობითი გეოგრაფიული ზონების გათვალისწინებით, პატიმართა რაოდენობა და მათი მომსახურე ექიმების რიცხვი შემდეგნაირად გამოიყურება:

N	გეოგრაფიული ზონა	პატიმართა რაოდ.		ექიმთა რაოდენობა			პროპო
		ლიმიტი	რეალურად	ძირითადი	კონსულტ.	სულ	რცია
1	თბილისში და მის მიმდებარედ	7517	8721	95	18	113	/77
2	რუსთავში	4477	5539	21	8	29	/191

3	განთავსებული ქუთაისში და მის	2757	3340	12	4	16	/208
4	მიმდებარედ ზუგდიდში	305	371	2	3	5	/74
5	განთავსებული ბათუმში	503	811	3	4	7	/116
6	განთავსებული ხონში	600	641	3	2	5	/128
	განთავსებული						
	სულ:	16159	19423	136	39	175	/111

როგორც ცხრილიდან ირკვევა, სახეზეა ექიმთა განაწილების გეოგრაფიული უთანასწორობა.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2007 წლის 18 აპრილს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N136/ნ ბრძანებით დამტკიცებულია საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხა. მინისტრის ზემოთ ხსენებული ბრძანების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდა „საექიმო სპეციალობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 1 ნოემბრის N388/ნ და „მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 30 აპრილის N130/ნ ბრძანებები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოში 2007 წლამდე არსებული 45 საექიმო სპეციალობა 21-მდე შემცირდა.

ამჟამად მოქმედი საექიმო სპეციალობათა რაოდენობა, როგორც უკვე ითქვა, განისაზღვრა ოცდაერთი ერთეულით და შემდეგნაირად გამოიყურება:

1. შინაგანი მედიცინა
2. საოჯახო მედიცინა
3. ინფექციური სნეულებები
4. ფსიქიატრია
5. ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია
6. ნევროლოგია
7. პედიატრია
8. ზოგადი ქირურგია
9. კარდიოქირურგია
10. ორთოპედია/ტრავმატოლოგია
11. ნეიროქირურგია
12. უროლოგია
13. მეანობა-გინეკოლოგია
14. ოტორინოლარინგოლოგია
15. ოფთალმოლოგია
16. სამედიცინო რადიოლოგია
17. ონკოლოგია

18. პათოლოგიური ანატომია
19. სასამართლო მედიცინა
20. ლაბორატორიული მედიცინა
21. სტომატოლოგია

მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის 18 აპრილამდე მოქმედი ჩამონათვალიდან გარკვეული ნაწილი უკვე აღარ ითვლება საექიმო სპეციალობად, ხოლო ნაწილი შეერწყა სხვა დარგებს, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში კვლავ გვხვდება არარსებული დარგის წარმომადგენელი ექიმები, რომლებიც სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი"-ს მიერ არის დაქირავებულნი და სავარაუდოდ აწარმოებენ დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ თბილისში მდებარე სად #7 საპყრობილე, რომელშიც ერთადერთი ექიმია დასაქმებული. „ალდაგი ბისიას" ინფორმაციით, კი აღნიშნულ პიროვნებას აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობით - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა". აღნიშნული სპეციალობა უკვე დიდი ხანია აღარ ითვლება საექიმო სპეციალობად, რის გამოც კონკრეტული პირის მიერ პაციენტის დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, მოვლასთან, რეაბილიტაციასთან თუ სხვაგვარ სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებელი ქმედებები უნდა განვიხილოთ, როგორც უკანონო საექიმო საქმიანობა. სამწუხაროა, რომ ეს კონკრეტული მაგალითი ერთადერთი არ არის.

ცალკე მსჯელობის საგანია უმცროსი ექიმების მუშაობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სისტემაში. „ალდაგი ბისიაი"-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 4 უმცროსი ექიმი მუშაობს ქუთაისში განთავსებულ #2 საპყრობილეში და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

საქართველოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უმცროს ექიმს არ აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პაციენტს აღენიშნება სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა ან ესაჭიროება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და შეუძლებელია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის დროულად მოძებნა. გარდა ამისა, კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია, რომ უმცროსი ექიმისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კლინიკაში რაც განისაზღვრება, როგორც შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე, კვალიფიციური ექიმებითა და პედაგოგებით დაკომპლექტებული, სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებში მონაწილე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე ორიენტირებული უმაღლესი დონის მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც მიმდინარეობს კლინიკური დისციპლინების სწავლება, მეცნიერული კვლევა და რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლეს სამედიცინო-საგანმანათლებლო დაწესებულებას ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვის შესახებ. საპყრობილის სამედიცინო ნაწილი რომ საუნივერსიტეტო კლინიკა არ არის, ამას არანაირი კამათი არ სჭირდება. შეუძლებელია ასევე რაიმე სამედიცინო არგუმენტის მოძებნა, რომელიც გაამართლებს უმცროსი ექიმების მუშაობას პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის დაწესებულებებში!

უმცროსმა ექიმმა უნდა დაადასტუროს, რომ მუშაობდა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის ზედამხედველობით და ამ პერიოდში მის მიერ შესრულებული სამუშაო შეესაბამება ამ საექიმო სპეციალობაში რეზიდენტურის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, უმცროსი ექიმის მიერ სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლების მისაღებად აუცილებელია, რომ შესაბამის საექიმო სპეციალობაში მისი მუშაობის ხანგრძლივობა არ იყოს ამ სპეციალობაში რეზიდენტურის კურსის ხანგრძლივობაზე ნაკლები. რაც შეეხება რეზიდენტურის კურსის ან მისი ალტერნატიული ფორმების განხორციელებას, ისინი შესაძლებელია წარიმართოს მხოლოდ ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც აკრედიტებულია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის N135/ნ ბრძანების შესაბამისად (რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა). ვინაიდან ზემოთ ხსენებული სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო ნაწილები, არა თუ N135/ნ ბრძანების შესაბამისად აკრედიტებულნი, არამედ საერთოდ სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე მომუშავე ერთეულები არიან, მათში უმცროსი ექიმის დანიშვნა აშკარად კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რაზედაც დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეაგირება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომუშავე ექიმთა შორის ასევე ვხვდებით ისეთი სპეციალობის სუბიექტებს, როგორიცაა - „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა“. ეს კონკრეტული ფაქტები ნათლად ადასტურებს იმას, თუ როგორ ასაქმებს სადაზღვევო კომპანია არარსებული „საექიმო სპეციალობების“ ექიმებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი“-ს შორის სახელეწიფო შესყიდვების შესახებ 2007 წლის 26 ოქტომბერს დადებული №523 ხელშეკრულების შესახებ

ა ნ ა ლ ი ზ ი

„სასჯელაღსრულების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სამედიცინო-სადაზღვევო მომსახურების (სამი წლის ვადით) შესყიდვის მიზნით. მომსახურება განკუთვნილია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული სპეცკონტინგენტის (პატიმრები, მსჯავრდებულები), სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და საპყრობილეების თანამშრომლებისთვის. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დეპარტამენტი იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს“.

2007 წლის 01 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია.

* * *

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი“-ს შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2007 წლის 26 ოქტომბერს დადებული №523 ხელშეკრულების შესახებ

ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2007 წლის 1 ნოემბრიდან და მოქმედებს 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

როგორც ხელშეკრულების ტექსტიდან ირკვევა- „ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად, კერძოდ:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
- ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;
- გ) გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი;
- დ) ტექნიკური დავალება;
- ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
- ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
- ზ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია“.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ცალკეული კომპონენტების რაოდენობა 7 ერთეულია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი წერილის დანართში (31 გვერდად) მოიპოვება

მხოლოდ 3 კომპონენტი (ჩამონათვალიდან „ა“, „ე“ და „ვ“); ამდენად წარმოდგენილია არასრულყოფილი დოკუმენტი.

ხელშეკრულების საერთო პირობები:

4.1. პუნქტში მოცემული პირობიდან გამომდინარე გაურკვეველია რა მექანიზმები არსებობს შემსყიდველის ან მისი წარმომადგენლის მიერ მომსახურების ხარისხის მიუკერძოებელი პერიოდული ინსპექტირებისათვის? ანუ თუ 4.2 პუნქტის მიხედვით მიმწოდებელი, მისსავე მიერ შესრულებული სამუშაოს ინსპექტირებისათვის გამოიყენებს მის მიერვე გამოყოფილ პერსონალსა და ტექნიკურ საშუალებებს, არის თუ არა ეს ინტერესთა კონფლიქტი და მოხდება თუ არა ხარისხის უზრუნველყოფა რეალურად? 7.3 პუნქტის მიხედვით, შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, რაც შესაძლებელია გახდეს იმის საფუძველი, რომ მიმწოდებელმა, მისივე მიერ დანიშნული პერსონალის საშუალებით (ინსპექტირების ჯგუფი) თვალი დახუჭოს იმ დეფექტებსა და ნაკლოვანებებზე, რომლებიც აშკარად არსებობს.

8.1. პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას. საინტერესოა, რა იგულისხმება „საერთაშორისო სტანდარტებში?“. ანუ პუნქტი ძალიან ზოგადია და სადავო შემთხვევებში ძალიან გაჭირდება ჭეშმარიტების დადგენა. რაც შეეხება 8.2.-ში მოყვანილ დებულებას, ვითომდა გარანტიის კონკრეტული პირობები წარმოდგენილია ხელშეკრულების სხვა ნაწილში (სპეციფიკური პირობები), ეს მოსაზრება შეუსაბამოა და სამედიცინო თვალსაზრისით მიუღებელი. ამ პირობის მიხედვით ასევე შეუძლებელია ე.წ. ინსპექტირებებისა და შემოწმებების ჩატარება, ვინაიდან არ არის კონკრეტიზაცია, რომელ საერთაშორისო სტანდარტებზეა ლაპარაკი და არ არსებობს ჯანდაცვის პროფესიონალთა (რომლებიც ნეიტრალურნი იქნებიან და არ ექნებათ ინტერესი ხელშეკრულებაში მონაწილე რომელიმე მხარისადმი) ჯგუფი, რომელმაც შესაძლებელია განსაზღვროს, რა უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო სტანდარტად კონკრეტულ შემთხვევაში. გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტების შესრულების გარანტირებამდე, მიზანშეწონილია, უპირველეს ყოვლისა, შესრულდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი წესები და სტანდარტები (ეროვნული სტანდარტები), რომელთა შესრულება ქვეყნის იურისდიქციაში მოქმედი სამართალსუბიექტებისათვის სავალდებულოა!

14.2. პუნქტის შესაბამისად, აუცილებელია წარმოადგინონ სუბ-კონტრაქტორთა სრული სია.

საინტერესოა, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღის შემდეგ (2007 წლის 1 ნოემბერი) ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც 17.1 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ან/და გვიან შესრულებისათვის გამოიყენეს საჯარიმო სანქციები.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები:

ხელშეკრულების შესაბამისად, სახელშეკრულებო პირობების ინსპექტირების მიზნით, შექმნილია ინსპექტირების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის 21 წევრი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის გათვალისწინებით, ამ უკანასკნელმა შესძლოს სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მთლი რიგი საკითხების შესწავლა და შესაძლო ნაკლოვანებათა გამოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის შემადგენლობა ხელშეკრულებაში მოყვანილია პერსონალურად, 21-ე პუნქტში მითითებულია „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ექიმ-ექსპერტთა ჯგუფი“. ამ კონტექსტში საკმაოდ ბუნდოვანია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 1 აგვისტოს N 246 ბრძანების „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ექიმ-ექსპერტთა ჯგუფის დებულების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად შექმნილი სტრუქტურის როლი, უფლებამოსილებები და ვალდებულებები, მით უფრო, რომ ზემოთ აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, ჯგუფს არ გააჩნია ის ფუნქციები, რა მიზნითაც ის შეყვანილია კომისიაში. არ არის განსაზღვრული კვოტა (რამდენი წევრია ჯგუფში) და ასევე სამედიცინო განათლების მქონე პირთა სპეციფიკური ვალდებულება სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავებაში.

ხელშეკრულების (სპეციფიკური პირობები) 3.2 პუნქტში გათვალისწინებული ტერმინთა განმარტებების მიხედვით, ტერმინები - „შემსყიდველი“ და „მომწოდებელი“ შენაცვლებულია, შესაბამისად, „დამზღვევი“ და „მზღვეველი“ - ით.

3.2.4 პუნქტის მიხედვით, „სამედიცინო დაწესებულება“ გულისხმობს - საქართველოს ფარგლებში მოქმედ, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებას, რომელშიც დაზღვეული მიიღებს სამედიცინო მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ხელშეკრულებაში მოცემული განმარტებისა, საქართველოს კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მე-6 თავი მთლიანად ეძღვნება სამედიცინო დაწესებულების დეფინიციას. ამ თავის 53-ე მუხლში მოცემულია ის სრულყოფილი კრიტერიუმები, რის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს სამედიცინო დაწესებულების საქმიანობა და ზოგადად ცნება. ამგვარად, უპრიანია ხელშეკრულებაში მითითებული ყოფილიყო სწორედ აღნიშნული, ნორმა ვინაიდან კანონში მითითებულ დეფინიციას, ყველა შემთხვევაში უპირატესი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებაში მოცემულ სამედიცინო დაწესებულების განსაზღვრების მცდელობასთან. მიუხედავად ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არც ერთ სამედიცინო სტრუქტურას არ გააჩნია სამედიცინო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია (მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებების ჩათვლით), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხელშეკრულების ამოქმედების დღიდან (2007 წლის 1 ნოემბერი) პატიმართა უმრავლესობის მკურნალობა (რომელიც ალდაგის მიერ არ არის გადაყვანილი სხვა სამედიცინო დაწესებულებებში) არ ხდება ისეთ ადგილებში, რომელსაც თუნდაც ხელშეკრულებით ვუწოდებთ „სამედიცინო დაწესებულებას“. ამდენად, ხელშეკრულება ამ ნიშნით უხეშადაა დარღვეული.

ამავე თავის 3.2.12. პუნქტის მიხედვით, „ექიმის მომსახურება“ განმარტებულია, როგორც - „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომუშავე ზოგადი პრაქტიკის ექიმის მიერ კლინიკური დიაგნოსტიკა და მკურნალობა“. აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ზოგადი პრაქტიკის“ ექიმს, როგორც დამოუკიდებელ საექიმო სპეციალობას,

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი საექიმო სპეციალობათა ნუსხა (მოიცავს 21 სპეციალობას) უკვე აღარ ითვალისწინებს. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის N136/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ჩამონათვალიდან „ზოგადი პრაქტიკის ექიმი“ 2007 წლის აპრილიდან ამოღებულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ხელშეკრულების დადების ძირითადი მიზანია სამედიცინო მომსახურების გაწევა, იგი, ფაქტობრივად, არარსებულ პირობებზეა დადებული!

რაც შეეხება 3.2.13. პუნქტს, აქ განსაზღვრულია სასწრაფო სამედიცინო დახმარება. არაფერია ნათქვამი გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე. ასევე გაურკვეველია საერთოდ ამგვარი დახმარებების ორგანიზაციული მხარე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემულ კანონქვემდებარე აქტთან მიმართებაში (საუბარია - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის N 717 ბრძანება ზე - „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ პატიმართა და მსჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ).

პუნქტში 3.2.16, ჰოსპიტალურ (სტაციონარულ) მომსახურებაში გათვალისწინებულია მხოლოდ ქირურგიული პროფილი; გაუგებარია, რატომ მიიჩნევს სადაზღვევო კომპანია სტაციონარულ მკურნალობად მარტო ქირურგიულს? ამ მოსაზრებას აშკარად ვერ დავეთანხმებით! გარდა ამისა, ამავე პუნქტში გარკვევითაა განმარტებული, რომ სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს მხოლოდ ჰოსპიტალში პაციენტის 24 საათზე მეტი დაყოვნების შემთხვევაში წარმოქმნილ ხარჯებს. საინტერესოა რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ პაციენტს აღმოუჩინეს ჰოსპიტალური დახმარება, თუმცა მან 24 საათზე ნაკლებ დროში დატოვა სტაციონარი. ჩაითვლება თუ არა სამედიცინო მომსახურების აღნიშნული ეპიზოდი ჰოსპიტალიზაციად? როგორ მოხერხდება მომსახურების ხარჯების ანაზღაურება ასეთ შემთხვევაში?

პუნქტები 3.2.17 და 3.2.18 ერთმანეთისაგანაა გამიჯნული „გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება“ და „სტომატოლოგიური მკურნალობა“. თუ ამ ცნებების განმარტებებსაც გავითვალისწინებთ, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ხელშეკრულება შედგენილია არაკომპეტენტური პირის მიერ, ხოლო მისი გადახედვა არ ჩაუტარებიათ პროფესიონალებს. საბოლოო ჯამში, აღნიშნული მნიშვნელოვანი ხარვეზები პირდაპირ ზიანს მიაყენებს დაზღვეულ პირს (ჩვენს შემთხვევაში თავისუფლებააღკვეთილ პაციენტებს).

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში თავიდანვე განსაზღვრულია შემსყიდველი (სასჯელაღსრულების დეპარტამენტი) და მიმწოდებელი („ალდაგი ბი სი აი“), ხოლო უფრო მოგვიანებით ჩნდება ტერმინები მზღვეველი („ალდაგი ბი სი აი“) და დამზღვევი (სასჯელაღსრულების დეპარტამენტი). მიუხედავად იმისა, რომ ტერმინების განმარტება დოკუმენტში მოცემულია, შესაძლო გაურკვევლობათა

თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილი იყო ხელშეკრულებასა და მის ყველა თანდართულ დოკუმენტაციაში უნიფიცირებული ტერმინოლოგიის გამოყენება.

ხელშეკრულების 3.3.1.1. პუნქტის შესაბამისად, მზღვეველი („ალდაგი ბი სი აი“) იღებს ვალდებულებას სასჯელაღსრულების დაწესებულებათა უზრუნველყოფისას კვალიფიციური და ლიცენზირებული სამედიცინო კადრებით. რაც შეეხება კადრების კვალიფიციურობას, ამ უკანასკნელის დადგენის კრიტერიუმი გაურკვეველია; თუმცა კადრების ლიცენზირებულობაში იგულისხმება საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 56 (სამედიცინო დაწესებულებას ეკრძალება სამედიცინო საქმიანობა სათანადო ლიცენზიის გარეშე); იმავე კანონის 154-ე მუხლი (სამედიცინო განათლების მქონე სამედიცინო პერსონალს 2001 წლის 1 ივნისიდან ეკრძალება დამოუკიდებელი საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება სპეციალისტის სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე); იმავე კანონის 32-ე მუხლით, - „ექიმს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატში აღნიშნულ სპეციალობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პაციენტს სჭირდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან/და აღენიშნება სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა და შესაბამისი სპეციალობის ექიმის მოძიება ვერ ხერხდება“. 33-ე მუხლის მიხედვით, - „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულ პირს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი“. 54-ე მუხლით - „სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის სფერო განისაზღვრება ლიცენზიაში მითითებული ჩამონათვალით“. ხელშეკრულებაში ჩადებული აღნიშნული განმარტება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში არალიცენზირებული დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობა ჩაითვლება უკანონო სამედიცინო საქმიანობად, ხოლო შესაბამის დარგში ლიცენზირებული ექიმის მიერ განხორციელებული საქმიანობა იმ სფეროში, რომელიც არ არის განსაზღვრული მასზე გაცემულ ლიცენზიაში (კანონის 32-ე მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა) ჩაითვლება უკანონო საექიმო საქმიანობად.

ლიცენზირება კანონმდებლობის მიხედვით შეეხებათ არა მარტო ექიმებს, არამედ ექთნებს (დამოუკიდებელი საექთნო საქმიანობა - შესაბამისი სამედიცინო განათლების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის შედეგებზედაც ის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) და სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე არასამედიცინო განათლების მქონე პირებსაც. (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 154 - 3. არასამედიცინო განათლების მქონე სამედიცინო პერსონალს 2002 წლის 1 იანვრიდან ეკრძალება დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება სპეციალისტის სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე. (საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 28 - დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი სამედიცინო განათლების მქონე პირს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი შესაბამის სპეციალობაში).

უკანონო სამედიცინო საქმიანობა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წარმოადგენს დასჯად ქმედებას. სანქციები, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამგვარი ქმედებისათვის მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (მუხლი 442. უკანონო სამედიცინო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა: 1. სამედიცინო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა სახელმწიფო ნებართვის (ლიცენზიის, სერტიფიკატის) გარეშე, გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი ლარის ოდენობით).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე სამართალსუბიექტებს შორის (ჩვენს შემთხვევაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ უნდა ეფუძნებოდეს ამ სფეროში მოქმედ საკანონმდებლო ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ ალდაგსა და საასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან ნახევარ წელზე მეტია გასული, უკანონო საექიმო და სამედიცინო საქმიანობის პრობლემა დღემდე არ ამოწურულა და არსებითად არ შეცვლილა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება დღემდე წარმოადგენს არალიცენზირებულ დაწესებულებას. მიუხედავად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს არგუმენტისა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ დაწესებულებას საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ ათავისუფლებს ლიცენზირების ვალდებულებისაგან, ეს არგუმენტი რა თქმა უნდა ვერ იქნება ჩვენს მიერ გაზიარებული, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მოქმედი უზენაესი საკანონმდებლო დოკუმენტი - საქართველოს კონსტიტუცია, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტში იმპერატიულად და ცალსახად განსაზღვრავს, რომ „სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას“. სახელმწიფო კონტროლისა და რეგულირების მექანიზმი კი უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმ მინიმალური მოთხოვნების დაწესებაში, რომელიც გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ გაცემული სერტიფიკატით. (საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 23 „სერტიფიკატის მინიჭებისას სახელმწიფო იძლევა გარანტიას, რომ მის მფლობელ სპეციალისტს უნარი აქვს, აწარმოოს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობა ქვეყანაში არსებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად“, იმავე მუხლის 1 პუნქტში კი განმარტებულია, რომ „სახელმწიფო სერტიფიკატის მინიჭების მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა არაკომპეტენტური სამედიცინო პერსონალის საქმიანობისაგან“. მოყვანილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, ცხადია ვერანაირი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც იერარქიულად კონსტიტუციაზე დაბლა დგას ვერ მოუხსნის ვერც ერთ სუბიექტს იმის მოვალეობას, რომ ქვეყნის მოსახლეობის (მათ შორის თავისუფლება აღკვეთილი პირების) ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხის წინაშე დააყენოს. არსებული რეალობის გათვალისწინებით კი, პენიტენციური სისტემის შიგნით მყოფ პირთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს არამარტო ექმნება საფრთხე, არამედ უამრავ შემთხვევაში ადგილი აქვს მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის - ძირითადი ადამიანური ფასეულობების - ხელყოფას. აღნიშნული ფაქტები კი სახელმწიფო კონტროლის მიღმა რჩება, რაც იმის წინაპირობაა, რომ მსგავსი საქმიანობა კვლავაც გაგრძელდეს. ალდაგის შესვლამ სისტემაში აღნიშნული პროცესი ვერ შეაჩერა! „ალდაგი ბი სი აი“-ს მიერ, 2007 წლის 1 ნოემბრიდან ხდება არა

მარტო მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა, არამედ სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან დადებული ხელშეკრულების დარღვევაც (3.3.1.3 და 3.3.3.7), რომლის 3.3.1.2. პუნქტის მიხედვით, კომპანია იღებს ვალდებულებას პენიტენციური სისტემის უზრუნველყოფას ლიცენზირებული კადრებით.

ხელშეკრულების 3.3.2.4. პუნქტის შესაბამისად, მზღვეველი (ალდაგი ბი სი აი) უფლებამოსილია არ აანაზღაუროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობებით. არსებული ხელშეკრულების მიხედვით, გათვალისწინებულია მომსახურების აღწერილობაც, რომელიც წარმოდგენილია 3.3.1 პუნქტში ცხრილის სახით. აღნიშნული ცხრილის შესაბამისად, მომსახურება ითვალისწინებს დამზღვევის მიერ 100%-იან ულიმიტო ანაზღაურებას შემდეგი პუნქტების მიხედვით:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- ციხის ექიმის მომსახურება;
- ამბულატორული მომსახურება;
- მედიკამენტების ანაზღაურება;
- სტაციონარული მომსახურება;
- გადაუდებელი სტომატოლოგია;
- სტომატოლოგიური მომსახურება.

ყოველივე აღნიშნული უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, თითოეულ პატიმარზე ცხრა ლარის ოდენობის თანხის გადახდის პირობით.

რაც შეეხება სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების მიხედვით იგი ითვალისწინებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენას დაზღვეულისათვის სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე და საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირებას სამედიცინო დაწესებულებაში. არაფერია ნათქვამი „სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ მოცულობაზე და კლინიკურ დეტალებზე. ჩვენს მიერ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებსა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებებში განხორციელებული ხშირი ვიზიტების დროს მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ აღნიშნული დაწესებულებები, არც თუ იშვიათად სარგებლობენ სასწრაფო სამედიცინო დახმარება „033“-ის მომსახურებით. თბილისის ოფიციალური ვებ პორტალის ინფორმაციის მიხედვით: „დედაქალაქის მერიამ გადაუდებელ სამედიცინო მომსახურეობაზე ტენდერი 2008 წლის 5 იანვარს გამოაცხადა. მასში განაცხადი მხოლოდ შპს "033-"ის სამსახურმა წარადგინა. შესაბამისად, გამარჯვებულად ეს სამსახური გამოვლინდა. ტენდერის მიხედვით, ქალაქის ბიუჯეტიდან მოქალაქეთა გადაუდებელ სასწრაფო დახმარებაზე და სხვა საკითხების მოსაგვარებლად აღნიშნულ სამსახურს 7 მილიონი ლარი გადაეცა“. აღნიშნული რეალობის ფონზე, როდესაც მომსახურების დაფინანსება ადგილობრივი ხელისუფლების მიერაა უზრუნველყოფილი, საინტერესოა თუ რა სახის „სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზეა“ საუბარი ხელშეკრულებაში.

რაც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მეორე სახეობას - „ციხის ექიმის მომსახურება“, აღნიშნულის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი.

ხელშეკრულების მიხედვით ამბულატორულ მომსახურებად ითვლება - „შესაბამისი სამედიცინო ჩვენებისას ნებისმიერი პროფილის ექიმის კონსულტაციის, ლაბორატორიული, ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის, ამბულატორული მკურნალობის ღირებულების ანაზღაურება“. ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საპყრობილეებში დასაქმებული ექიმების პროფესიული სპექტრი საკმაოდ შემჭიდროვებულია. რაც შეეხება მობილურ სამედიცინო კომისიებს, მათი ადგილებზე მისვლა და მომსახურების გაწევა ყოველი საჭიროების შემთხვევაში ვერ მოხდება იმ მიზეზის გამო, რომ ექიმთა და პოტენციურ პაციენტთა დისპროპორცია უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. გარდა ამისა, ადგილობრივი სამედიცინო პერსონალი წარმოადგენს „ალდაგი ბი სი აი“-ის მიერ დაქირავებულ პერსონალს, რაც რესურსების (სხვა სპეციალისტთა მოწვევა) აშკარა უკმარისობის ფონზე ხშირად ქმნის ისეთ სიტუაციას, როდესაც ექიმი კონსულტანტის მოწვევა „მიზანშეწონილად“ არ მიიჩნევა ადგილობრივი მედ პერსონალის მიერ. რეალური მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ კონსულტანტის მისვლა შეუძლებელია მოცემულ პერიოდში; ან სახეზეა ტრადიციული პრობლემები: ადგილობრივ ექიმთა დაბალი კვალიფიკაცია ან მათი უპასუხისმგებლო და გულგრილი მიდგომა პაციენტთა მიმართ. შედეგად პაციენტს უგვიანდება ან საერთოდ არ მიეწოდება სამედიცინო მომსახურება; უკეთეს შემთხვევაში იგი რამდენიმე ტაბლეტი ტკივილგამაყუჩებლის ანაბარა რჩება. აშკარაა, რომ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა პატიმართათვის კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება, ხოლო მიწოდებული მომსახურების „ხარისხი“ ხშირ შემთხვევაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს (არაპროფესიონალის მიერ ჩატარებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა შეზღუდული რესურსების პირობებში). თავის მხრივ ის ფაქტი, რომ როგორც ციხის ექიმები (ადგილობრივი კადრი), ისევე მოწვეული კონსულტანტები, წარმოადგენენ ერთი და იგივე კომპანიის დაქირავებულ პირებს, აღნიშნული უნდა შეფასდეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც დროის მიხედვით უფრო და უფრო ღრმავდება. (ექიმი ხშირად არ იწერს იმ წამალს, რომელსაც ისედაც იცის, რომ არ მიაწვდიან, ან მას დიდი დაგვიანების შემდგომ შეუტანენ; ექიმი არ ითხოვს იმ კონსულტანტის შემოსვლას, რომელიც ისედაც იცის რომ მოცემულ პერიოდში ვერ ჩაატარებს კონსულტაციას, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მსგავსი პროფილის ექიმი სულ ერთი ან რამდენიმეა, ხოლო მომსახურების ველი - საკმაოდ გაშლილი).

პოლისით გათვალისწინებული მომსახურებებიდან ერთ-ერთი - „მედიკამენტების ანაზღაურება“ საკმაოდ ბუნდოვანი სახეობაა და შემდგომ დეტალიზაციას მოითხოვს. თუ სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებს ამბულატორულ და სტაციონარულ მომსახურებას, საინტერესოა რა პრინციპით ხდება მომსახურების კალკულაცია (წამლების ღირებულებას ცალკე ითვლიან, საწოლ დღეს ცალკე, ექიმის მომსახურებას ცალკე, ექთნის მომსახურებას ცალკე და ა.შ. ???). როგორც წესი, ეს პუნქტი სტანდარტულ სადაზღვევო ხელშეკრულებებში ითვალისწინებს, პროგრამაში მონაწილე ექიმის მიერ პაციენტისათვის რეცეპტით გამოწერილი წამლის შესყიდვისას გადახდილი თანხის სრულ ან ნაწილობრივ დაბრუნებას (ამ წამლების მიღებას ხშირ შემთხვევებში არ ესაჭიროება ამბულატორული ან სტაციონარული რეჟიმი) ან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, პაციენტის მიერ საკუთარი ინიციატივით ნაყიდი წამლების განსაკუთრებული სახეობების საფასურის კონპენსირებას (ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწევი და ა.შ.).

რაც შეეხება პოლისით გათვალისწინებული მომსახურებიდან ერთ-ერთს - „სტაციონარული მომსახურება“, სადაზღვევო კომპანიამ უნდა აანაზღაუროს 100%-ით და ლიმიტის გარეშე. ხელშეკრულების მიხედვით სტაციონარული მომსახურება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ სამკურნალო დაწესებულებაში. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამგვარი ლიცენზია საერთოდ არ გააჩნია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას, ალბათ გასაგებია თუ როგორ „განუხრელად“ სრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ზოგადად ხელშეკრულების პირობები.

სტომატოლოგიური მომსახურებების მიწოდება პაციენტთათვის, სადაზღვევო კომპანიის მიერ უნდა განხორციელდეს ასევე 100%-ით და ულიმიტოდ. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი საკმაოდ ბუნდოვანია და არ არის გაშიფრული, კონკრეტულად რა სახის სტომატოლოგიური მომსახურება იგულისხმება. აღნიშნული წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ხელშეკრულების მიმდინარეობის პირობებში ალდაგის წარმომადგენლებმა ერთპიროვნულად და მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ, ვის და რა სახის დახმარება აღმოუჩინონ. ჩვენთვის, მონიტორინგის პერიოდში ცნობილი გახდა ამგვარი ფაქტები, როდესაც პაციენტის (პატიმრის) ნათესავს უწევს საკუთარი ხარჯებითა და მოწვევით სტომატოლოგის შეყვანა საპყრობილეში დაზიანებული კბილის დაბჟენის მიზნით (რისთვისაც პაციენტის ნათესავებს საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა უწევთ, იმის გამო, რომ ხშირად ექიმი სხვა ქალაქში მიჰყავთ და საპყრობილეში, ანუ რისკის ზონაში გზავნიან). დღეისათვის არსებული ვითარება ამ კუთხით არსებითად არ შეცვლილა. სტომატოლოგიური დახმარება უმრავლეს შემთხვევაში შემოიფარგლება კბილის ექსტრაქციით (ამოღება), რაც წარმოადგენს მტანჯველი ტკივილის მოხსნის ხშირად ერთადერთ ხელმისაწვდომ საშუალებას. აღნიშნული შესაძლებელია დადასტურდეს, თუ ჩატარდება პაციენტთა პირის ღრუს მონიტორინგი და შეფასდება რამდენი კბილი აქვთ ამ უკანასკნელთ დაკარგული. აღნიშნული სიტუაცია უნდა შეფასდეს, როგორც არაჰუმანური მოპყრობა! „ალდაგი ბი სი აი“-სა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, სტომატოლოგიური დახმარების კომპონენტის შესახებ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება თუ გადავხედავთ იმავე სადაზღვევო კომპანიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, მათ მიერ დაქირავებული ექიმების რაოდენობრივი მაჩვენებლის შესახებ. როგორც ირკვევა, ალდაგის მიერ სულ დაქირავებულია 10 სტომატოლოგი

- თბილისის #1 საპყრობილე:
ორთოპედიული სტომატოლოგია - 1

- ქალთა და არასრულწლოვანთა #5 დაწესებულება
თერაპიული სტომატოლოგია - 1

- არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება
თერაპიული სტომატოლოგია - 1

- რუსთავის #1 დაწესებულება
ქირურგიული სტომატოლოგია - 1

- რუსთავის #2 დაწესებულება
თერაპიული სტომატოლოგია - 1

- რუსთავის #6 დაწესებულება
თერაპიული სტომატოლოგია - 1

- ქუთაისის #2 დაწესებულება
თერაპიული სტომატოლოგია - 1

- ზუგდიდის #4 საპყრობილე
???????? სტომატოლოგია - 1

- ბათუმის #3 საპყრობილე
თერაპიული სტომატოლოგია - 1

- მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება
თერაპიული სტომატოლოგია - 1

როგორც ჩანს, საპყრობილეთა ნაწილს საერთოდ არ ჰყავს სტომატოლოგი! ეს იმ ფონზე, როდესაც რეგიონების მიხედვით (მათ შორის თბილისი) წარმოდგენილ ექიმ-კონსულტანტთა სიაში საერთოდ არ ფიგურირებს აღნიშნული პროფილის ექიმი!

ცნობილია, რომ პატიმართა დიდ უმრავლესობა უჩივის სტომატოლოგიური სახის პრობლემებს. ამ სპექტრის პრობლემების განსაკუთრებულობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული და დამძიმებულია საპყრობილეებში არსებული საკვებით, პირის ღრუს მოვლისა და ჰიგიენის პირობების ლიმიტაციით (ზოგჯერ შეუძლებლობით) და ასევე ზოგიერთ შემთხვევაში ყბა-სახის მიდამოს ტრავმატიზმით. თუ გავითვალისწინებთ მარტივ სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც საქართველოში დაახლოებით 20.000 თავისუფლება აღკვეთილი პირია, ხოლო თითოეულ მათგანს (განურჩევლად სქესისა, რასისა და ა.შ.) ორივე (ზედა და ქვედა) ყბაზე 32 კბილი უნდა ჰქონდეს, მაშინ გამოდის, რომ სისტემის 10 სტომატოლოგს სულ მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა ჰქონდეს დათვალიერებული 64.000 კბილი, ანუ, წელიწადში, სულ მინიმუმ, უნდა ათვალიერებდეს 2000 პაციენტის პირის ღრუს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სტომატოლოგიური დაავადებები მრავალგვარია, შესაბამისად, სტომატოლოგია მოიცავს სხვადასხვა პროფილის ექიმებს. სულ, სისტემაში მომუშავე 10 ექიმიდან, სახელმწიფო სერტიფიკატში მითითებული სპეციალობის მიხედვით:

- 7 - მუშაობს თერაპიული სტომატოლოგიის განხრით;
- 1 - მუშაობს ქირურგიული სტომატოლოგიის განხრით;
- 1 - მუშაობს ორთოპედიული სტომატოლოგიის განხრით;
- 1 - შემთხვევაში ალდაგი ექიმის სპეციალიზაციას არ მიუთითებს.

ანუ, პრაქტიკულად, მარტივი ენით რომ ვთქვათ, 10-დან ერთი ექიმია მხოლოდ უფლებამოსილი აწარმოოს კბილის ექსტრაქცია, 1 ექიმია უფლებამოსილი იზრუნოს პატიმართა პირის ღრუს ორთოპედიულ კორექციაზე (მათ შორის პროთეზირებაზე); მხოლოდ 7 ექიმია უფლებამოსილი, ჩაატაროს თერაპიული მანიპულაციები, მათ შორის დაბჟინოს კბილი; ხოლო ერთი სტომატოლოგი საერთოდ გაურკვეველია, რას აკეთებს. მოყვანილი მაგალითებიდან ნათელი ხდება, რომ სისტემაში მოღვაწე სტომატოლოგები, მათი შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით ან არიან „რეკორდსმენები" (რაც თეორიულადაც კი წარმოუდგენელია), ან ეწევიან უკანონო საექიმო საქმიანობას ან საერთოდ არ ახორციელებენ სამედიცინო საქმიანობას.

საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" 154-ე მუხლის შესაბამისად, „სამედიცინო განათლების მქონე სამედიცინო პერსონალს 2001 წლის 1 ივნისიდან ეკრძალება დამოუკიდებელი საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება სპეციალისტის სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე". ამასთან, საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ", მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება" დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს „აქვს მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატში აღნიშნული სპეციალობით (სპეციალობებით)". აქედან გამომდინარე, ექიმის მიერ საექიმო საქმიანობის წარმართვა ლიცენზიის გარეშე, ან იმ პროფილით, რომელიც მის სახელმწიფო სერტიფიკატში არ არის მითითებული წარმოადგენს სამართალდარღვევას - უკანონო საექიმო საქმიანობას. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით: (მუხლი 442. უკანონო სამედიცინო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა) - „სამედიცინო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა სახელმწიფო ნებართვის (ლიცენზიის, სერტიფიკატის) გარეშე, გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი ლარის ოდენობით", ხოლო იგივე ქმედება, „ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასი ლარის ოდენობით".

საფიქრებელია, რომ პაციენტთა უმრავლესობას ესაჭიროება არა მხოლოდ პირის ღრუს დათვალიერება-რევიზია რაც პერიოდულად უნდა ჩატარდეს პროფესიონალი სტომატოლოგის მიერ, არამედ მათ საკმაოდ დიდ ნაწილს ესაჭიროება კვალიფიციური სტომატოლოგიური დახმარება. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ არსებულ ადამიანურ რესურსებს, ასევე ადგილზე არსებულ სტომატოლოგიურ კაბინეტთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მატერიალურ ტექნიკურ ბაზას და ასევე გავითვალისწინებთ ჩვენს მიერ წარმოებულ მარტივ არითმეტიკულ გათვლებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი სი აი"-სა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის დადებული ხელშეკრულების ეს კონკრეტული ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა სიყალბე!

ხელშეკრულების 3.31.1-ის მიხედვით, ანაზღაურებას არ დაექვემდებარება 12 კატეგორია. მათ შორის პროფილაქტიკური მკურნალობა. საქართველოს კანონის - „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის" შესახებ მე-3 მუხლის „ნ" პუნქტით განმარტებულია, რომ პროფილაქტიკური მკურნალობა ეს არის „სამედიცინო ინტერვენციების განხორციელება (ვაქცინაცია, სპეციფიკური მედიკამენტების მიღება) გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით რისკ-ჯგუფის პაციენტებში". ამ კატეგორიაში ასევე შედის მაგალითად ცოფის საწინააღმდეგო

პროფილაქტიკური მკურნალობაც. ხელშეკრულების მომზადების დროს, ალბათ მხედველობიდან გამორჩათ ის პირობები, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებშია შექმნილი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით. მღრღნელებისა და სხვადასხვა ცხოველთა მიერ პატიმართა დაკბენის შემთხვევათა არსებობის მიუხედავად, ხელშეკრულება გამორიცხავს სამედიცინო დახმარებას, რაც ბუნებრივია მიუღებელია. საინტერესოა მსგავს სიტუაციებში ვინ უნდა იზრუნოს პატიმართა ჯანმრთელობაზე და მათი სიცოცხლის გადასარჩენად?. ხელშეკრულების მიხედვით ასევე არ დაფინანსდება „კოსმეტიკური სახის მკურნალობა, მაკორეგირებელი საშუალებების შეძენა (სმენის აპარატი, სათვალე, ლინზები და ა.შ.), სექსუალური დარღვევების, იმპოტენციის მკურნალობა, პროთეზირების (სტომატოლოგიის ჩათვლით), ენდოპროთეზირებისა ტრანსპლანტაციის ხარჯების ანაზღაურება და სამედიცინო მასაჟის ხარჯები". იმავე მუხლის „ე" ქვეპუნქტით ასევე არ დაფინანსდება „საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დადგენილ მოთხოვნათა შეუსაბამო ან/და სათანადო ლიცენზიის არმქონე სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო საქმიანობის არმქონე კერძო პირებთან კონსულტაციისა და მკურნალობის, თვითმკურნალობის ხარჯები"; საკვირველია რატომ მოხვდა ეს პუნქტი საერთოდ ხელშეკრულებაში? ცხადია, რომ ამგვარი სახის „მკურნალობა", ზოგადად, მიუღებელია ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისათვის. იგივე შეიძლება ითქვას „ვ" ქვეპუნქტზეც, რომელიც გამორიცხავს არარეგისტრირებული ჰომეოპათიური საშუალებებით და ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით მკურნალობას. თუ სამკურნალო საშუალება არ არის რეგისტრირებული ქვეყანაში, საერთოდ როგორ წარმოუდგენიათ ხელშეკრულების ავტორებს ამ საშუალებათა გამოყენება სამკურნალო მიზნით თუნდაც სასჯელაღსრულების სისტემის გარეთ და მით უფრო საპყრობილეებში?

ხელშეკრულების მიხედვით ასევე არ დაფინანსდება მკურნალობა ქვეყნის გარეთ. ამ პუნქტის ხელშეკრულებაში ჩასმა ასევე მიზანშეუწონელია, ვინაიდან პატიმრის ქვეყნის გარეთ ბადრაგირება თეორიულადაც კი შეუძლებელია.

ყურადღებას იპყრობს იმავე პუნქტის „თ" ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც არ ანაზღაურდება „თანდაყოლილი გონებრივი ჩამორჩენილობის მკურნალობის ხარჯები და გენეტიკური დეფექტების მკურნალობის ხარჯები". საინტერესოა ამ კატეგორიის პირებს რა ესაქმებათ ციხეში? როგორც ჩანს ხელშეკრულების შემდგენლები ზოგადად დასაშვებად მიიჩნევენ გონებრივი დეფექტების მქონე პირთა ყოფნას ციხეში და უფრო მეტიც, მათ სამედიცინო მომსახურებაზე უარს უცხადებენ. ეს არაჰუმანური მიდგომაა! აბსოლუტურად ალოგიკურია ამავე მუხლის „ლ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც არ ანაზღაურდება „გეგმური მკურნალობა, რომლის ჩატარების აუცილებლობა პატიმრის ციხიდან გასვლამდე არ არსებობს სამედიცინო ჩვენებით". თუ მკურნალობა აუცილებელია (მათ შორის გეგმური წესით) მაშინ რას ნიშნავს მისი სამედიცინო ჩვენებით ჩატარების აუცილებლობის არარსებობა? აღნიშნული დებულება მართლაც პარადოქსულია. ამგვარ გაგებას ტრადიციული, კლასიკური მედიცინა საერთოდ არ ცნობს! ამგვარი აბსურდული ჩანაწერის არსებობა აუცილებლად საჭიროებს რეაგირებას და იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, რომლებმაც შექმნეს ან თუნდაც დააკანონეს მსგავსი დოკუმენტი! ჩვენი ვარაუდით ამ პუნქტის შინაარსი უნდა აღვიქვათ იმგვარად, რომ პაციენტს არ დაუფინანსდება გეგმური მკურნალობის ხარჯები, თუ

ის დაავადება, რომელიც მოითხოვს ამგვარ გეგმურ მკურნალობას არ გამოიწვევს პატიმრის გარდაუვალ სიკვდილს პატიმრობაში ყოფნის პერიოდში. სხვაგვარად, გეგმური მკურნალობის შემაფერხებელი ფაქტორები შეიძლება იყოს ისევ და ისევ სხვა სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემები (ასაკი, თანმხლები დაავადებები, რისკი და ა.შ.) და არა პატიმრობაში ყოფნის ვადა! ხელშეკრულების ავტორებს შევახსენებთ, რომ მკურნალობის (მათ შორის გეგმური) ჩატარებას გააჩნია აბსოლუტური და შეფარდებითი ჩვენება. თუ მკურნალობის ჩვენება აბსოლუტურია, მაშინ ყველანაირი დაბრკოლება, რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს ან შეუძლებელი გახადოს მკურნალობა სამედიცინო თვალსაზრისით მიუღებელია! საინტერესოა ასევე თუ რომელი ექიმი განსაზღვრავს ან დაადგენს იმ მდგომარეობას, რომელიც ამგვარ სიტუაციას დაადასტურებს? ანუ რომელი ექიმი მოაწერს იმაზე ხელს, რომ კონკრეტული რომელიმე დაავადების უმკურნალოდ დატოვება არ შექმნის საფრთხეს პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის!. ეს ექიმის მხრიდან იქნება არაეთიკური. პირველ რიგში აშკარად ეწინააღმდეგება ექიმის (ჟენევის) ფიცს, რის დარღვევაც ქვეყნის კანონმდებლობით გამოიწვევს ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ჩვენი ღრმა რწმენით, ექიმები, რომლებიც დაქირავებულია ალდაგის მიერ, ალბათ საერთოდ არ იცნობენ ამ ხელშეკრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია მოინახოს ისეთი პირი, რომელიც დათანხმდებოდა ამ პირობებში მუშაობას და ნაცვლად ჰუმანური პრინციპების გატარებისა (რაც ექიმის ძირითადი მოვალეობაა) ხელს შეუწყობდა პაციენტთა სიცოცხლის ხელყოფას და მათი ჯანმრთელობის დაზიანებას.

ხელშეკრულების 3.31.2-პუნქტის მიხედვით ხდება სამედიცინო პროფესიული და ეთიკური სტანდარტების აბსოლუტური იგნორირება. პუნქტში შემოღებულია ე.წ. განსაკუთრებული სამედიცინო „შემთხვევები“, რომელთა მკურნალობის დაფინანსების მიზანშეწონილობა განისაზღვრება არა ექიმის, არამედ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ, რომელიც თავის მხრივ მდგომარეობას აფასებს „საგანგებო მნიშვნელობის აუცილებლობიდან“ გამომდინარე. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ხელშეკრულების ეს კონკრეტული პუნქტი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაცული ისეთი ღირებულებებით მანიპულირებას, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რაც ამორალურია!

ხელშეკრულების 3.31.3-პუნქტის მიხედვით სადაზღვევო კომპანია წარმოადგენს ერთადერთ მხარეს, რომელიც ქირაობს ექიმებს (როგორც ადგილობრივ, ისე კონსულტანტებს) და ამასთან ახდენს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებათა უზრუნველყოფას მედიკამენტებით და სამედიცინო დანიშნულების სხვა საგნებით. არსებული რეალობის გათვალისწინებით, მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების სახეობებისა და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ მოთხოვნას აკეთებს ადგილობრივი ექიმი (რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიას / ამ უკანასკნელზე ფინანსურად დამოკიდებულ სუბიექტს). მეორე მხრივ, შეკვეთის უზრუნველყოფას ახორციელებს კვლავ იგივე სადაზღვევო კომპანია. ადვილი წარმოსადგენია, რომ თუ სადაზღვევო კომპანიას არ სურს ან თუნდაც არ გააჩნია ფინანსური ან ტექნიკური რესურსები შეკვეთის შესასრულებლად (თუნდაც ნაწილობრივ), ამ უკანასკნელმა შესაძლებელია

ზემოქმედება მოახდინოს მისივე თანამშრომელ ექიმზე, რომ მან არ წარმოადგინოს შეკვეთა, ან შეუკვეთოს არაადეკვატური რაოდენობისა და დასახელების წამლები და საგნები. ეს მდგომარეობა წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის კლასიკურ მაგალითს, რომლის შედეგადაც დაზარალებული კვლავ პაციენტი გამოდის. მიუხედავად ამისა, ჩვენი მონიტორინგის დროს არაერთხელ იქნა დაფიქსირებული ფაქტები, რომლის დროსაც მიუხედავად ექიმის მიერ კეთილსინდისიერად შედგენილი შეკვეთისა, მომარაგება არ ხდება ადეკვატურად. აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება (მკვეთრად) არასაკმარისი რაოდენობით მასალის მოწოდება ან სულაც შეკვეთის საერთოდ იგნორირება ან გაჭიანურება. მოსაწესრიგებელია ასევე დოკუმენტაცია, რომლითაც შეიძლება წარმოდგენა შეგვექმნას ბალანსზე მოთხოვნასა და მოწოდებას შორის. ამავე პუნქტში აღნიშნულია, რომ „თუ დაზღვეულ პატიმარს სამედიცინო მომსახურება უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებაში, დაწესებულების შერჩევა უნდა მოხდეს მზღვეველის წარმომადგენლის მიერ ციხის ექიმთან და ადმინისტრაციასთან კონსულტაციისა და შეთანხმების საფუძველზე...“ გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველის წარმომადგენელი და ციხის ექიმი წარმოადგენენ ერთ მხარეს (ორივე მიეკუთვნება სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი სი აი“-ს), ხოლო მეორე მხარეა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია. ანუ ეს ორი მხარე განსაზღვრავს თუ სად შეიძლება იქნას გადაყვანილი პაციენტი პატიმარი შემდგომი მკურნალობის ან დიაგნოსტიკის მიზნით.

საქართველოს კანონის „პაციენტის უფლებების შესახებ“ მე-7 მუხლის შესაბამისად - „პაციენტს უფლება აქვს, მეორე აზრის მოსაძიებლად, დაუბრკოლებლად მიმართოს სხვა ექიმს ან სამედიცინო დაწესებულებას“. იმავე კანონის მე-8 მუხლის მიხედვით კი - „პაციენტს უფლება აქვს აირჩიოს და ნებისმიერ დროს შეიცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწევი“. იმავე კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად - „წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით“.

მიუხედავად ამისა, სახეზეა ხელშეკრულების წინააღმდეგობრიობა კანონთან. უფრო კონკრეტულად, ზემოთ აღწერილი ორი მხარე („ალდაგი ბი სი აი“ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი) საკუთარი შეხედულებით იღებენ გადაწყვეტილებას და განსაზღვრავენ მკურნალს (დაწესებულებას სადაც პაციენტს უნდა გაეწიოს სამედიცინო დახმარება და ექიმს - ვინც უნდა გაუწიოს პატიმარ პაციენტს სამედიცინო დახმარება). ანუ პაციენტის უფლება აირჩიოს ან შეცვალოს მკურნალი აბსოლუტურადაა იგნორირებული. იმის, გამო, რომ სახეზეა ადამიანის ჯანმრთელობაზე უფლების შეზღუდვა, პაციენტი განიცდის დისკრიმინაციის სწორედ პატიმრობის ნიშნით. გარდა ამისა, საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლით განსაზღვრავს, რომ - „დაუშვებელია სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პაციენტის დისკრიმინაცია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას“.

იმავე კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად - „პაციენტს აქვს უფლება აირჩიოს ან შეიცვალოს სამედიცინო პერსონალი და/ან სამედიცინო დაწესებულება სადაზღვევო კონტრაქტის პირობების გათვალისწინებით; ხელშეკრულება უნდა იძლეოდეს არჩევანის შესაძლებლობას“. ეს კანონი, რომ პატიმრებზეც ვრცელდება ამას თვით მე-

13 მუხლი ადასტურებს - „წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირისათვის ... სამედიცინო დახმარება განხორციელდება ამ კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით". მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, რომ სადაზღვევო ხელშეკრულება უნდა იძლეოდეს არჩევანის შესაძლებლობას, ხელშეკრულებაში ხსენებული ორი მხარე ასეთი არჩევნის შესაძლებლობას გამორიცხავს, რითაც უხეშად არღვევს პაციენტის უფლებებს.

ევროსაბჭოს კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 27 სექტემბრის N 507 - I ს დადგენილებით ცალსახად განსაზღვრავს, რომ (მუხლი 1) - „კონვენციის მონაწილე მხარეებმა უნდა დაიცვან თითოეული ადამიანის ღირსება და ინდივიდუალობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ მათი ხელშეუხებლობა და სხვა უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ბიოლოგიასა და მედიცინაში". იმავე კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად - „ნებისმიერი ჩარევა ჯანმრთელობის სფეროში უნდა ჩატარდეს პირის მიერ ნებაყოფლობით გაცხადებული და გააზრებული თანხმობის მიღების შემდეგ. პირს წინასწარ უნდა მიეცეს შესაბამისი ინფორმაცია ჩარევის მიზნისა და ხასიათის, აგრეთვე შედეგებისა და საფრთხის შესახებ. პირს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს უარი თქვას ადრე გაცხადებულ თანხმობაზე". მიუხედავად ამისა, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ხელშეკრულება წინააღმდეგობაში მოდის როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო ნორმებთან.

ხელშეკრულების 3.7. თავს ეწოდება „დაზღვეულ პირთა სია და სიაში ცვლილებების განხორციელების წესი". აღნიშნული ნაწილის შინაარსის მიხედვით ჩნდება რიგი კითხვები პაციენტთა პროგრამაში ჩართვის და პროგრამიდან გამოსვლის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ კონკრეტულმა პირმა მიიღო სხეულის დაზიანება (მაგალითად დაიჭრა) დაკავების მომენტში; დაკავების შემდგომ იგი მიიყვანეს საპყრობილეში, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში და აქედან სამედიცინო ჩვენების გამო პაციენტი გადაყვანილ იქნა რომელიმე სხვა კლინიკაში, როგორ უნდა მოხდეს გაწეული ხარჯების ანაზღაურება? 3.7.2. „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაზღვეულთა სიის გაზრდის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სადაზღვევო კომპანიას, რომელმაც 5 დღის ვადაში შეტყობინების მიღებიდან ახდენს ამ პირის პროგრამაში ჩართვას და მისთვის შესაბამისი ბარათის დამზადებას. იურიდიულად, სწორედ ამ პერიოდიდან უნდა გავრცელდეს პატიმარზე სადაზღვევო მომსახურება. ასეთ შემთხვევაში საინტერესოა თუ როგორ ანაზღაურდება იმ მომსახურების ხარჯი, რომელიც პირის დაზღვეულთა სიაში ოფიციალურ ჩართვამდე განხორციელდა? (როგორც წესი, თუ სტაციონარში შესვლისთანავე გაკეთდა ქირურგიული ჩარევა და შემდგომ პაციენტი გადაყვანილ იქნა პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის პალატაში, ეს დღეები სავარაუდოდ წარმოშობს ხარჯების საერთო მოცულობის უდიდეს წილს.

გარდა ამისა, ზოგადად გასარკვევია იმ პაციენტთა ბედი, რომლებიც ხელშეკრულებაში მოცემული კრიტერიუმების გამო ვერ ხდებიან ანაზღაურებად სამედიცინო მომსახურებათა ბენეფიციარები. ვინ უნდა უზრუნველყოს ამ შემთხვევაში მათი მკურნალობა? თუ გავითვალისწინებთ ხელშეკრულებაში მოყვანილ დებულებებს, ასეთ პაციენტთა რიცხვი (რომლებსაც ესაჭიროებათ

სამედიცინო დახმარება, მაგრამ ვერ ხდებიან ასეთი დახმარების მიღების ობიექტები სახელშეკრულებო პირობების გამო) საკმაო რაოდენობას უნდა შეადგენდეს. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტს უკვე აღარ ჰყავს ექიმები (ყველა მათგანი უკვე ალდაგის მიერ დაქირავებული კონტრაქტორია), მაშინ სად ან ვის მიერ უნდა შესრულდეს სამედიცინო მომსახურება?

ხელშეკრულების მე-4 თავში განსაზღვრულია სადაზღვევო პრემიები:

ლოტი - I - 9 ლარი (მსჯავრდებულები და პატიმრები)
ლოტი - II - 10.8 ლარი (სად გარე დაცვის და სპეცსამსახურის ჯარისკაცები)
ლოტი - III - 12.4 ლარი (სად თანამშრომლები)
ლოტი - IV - 24.8 ლარი (სად თანამშრომელთა ოჯახის წევრები)

ხელშეკრულებაში არსებულ ცხრილებიდან, სადაც მოცემულია თითოეულ ლოტზე მომსახურებათა აღწერილობა, ჩანს ის განსხვავებები, რაც სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებად სამედიცინო მომსახურების სახეებს შეეხება. კერძოდ: პატიმრებისა და მსჯავრდებულების გარდა ყველა სხვა პირის (რომელიც გათვალისწინებულია 2,3 და 4 ლოტში) სიცოცხლე დაზღვეულია 9.000 აშშ დოლარით. მომსახურების ეს სახე პატიმრებზეც რომ გავრცელებულიყო, სიკვდილობის სტატისტიკის გათვალისწინებით, სადაზღვევო კომპანიას დამატებით მოუწევდა 1 მილიონ აშშ დოლარამდე თანხის ანაზღაურება, რაც მისთვის აშკარად არამომგებიანი საქმეა. გარდა ამისა, პატიმრები, სხვა კატეგორიის დაზღვეულთაგან განსხვავებით, არ სარგებლობენ ძალზედ მნიშვნელოვანი სერვისით, - ყოველწლიური პროფილაქტიკური შემოწმებით, მიუხედავად „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნისა. მსჯავრდებულ და პატიმარ ქალთა შემთხვევაში ასევე არ არის გათვალისწინებული ორსულობისა და მშობიარობის დროს გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირად არა, თუმცა მაინც გვხვდება შემთხვევები, როდესაც თავისუფლება აღკვეთილი ქალი ორსულია და მას მშობიარობა სწორედ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში უხდება. ასევე არაფერია ნათქვამი იმ ახალშობილთა და ადრეული ასაკის ბავშვთა პედიატრიული დახმარების შესახებ, რომლებიც, კანონის შესაბამისად, გარკვეულ პერიოდს საპყრობილეში ატარებენ დედასთან ერთად. ვინაიდან ასეთი შემთხვევები მაინცდამაინც დიდი სიხშირით არ გამოირჩევა, თუმცა პრაქტიკაში გვხვდება, მათი სამედიცინო მომსახურების მინიმალური გარანტიები მაინც უნდა მოხვედრილიყო ხელშეკრულებაში, თუნდაც შენიშვნის სახით.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულება შედგენილია არაპროფესიონალურად. იგი წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებების ძალიან ზოგად აღწერილობას. არსად არ არის გათვალისწინებული ის სპეციფიკა და პირობები, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილებთან. ამ საკითხებზე ინფორმაციის მოპოვება და მოძიება შესაძლებელი იყო როგორც ნებისმიერ სახელმძღვანელოში ციხეთა ჯანდაცვის შესახებ, ასევე ამ სისტემაში მომუშავე პირთა გამოცდილებიდან გამომდინარეც კი. მაგალითისათვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი არ ითვალისწინებს ისეთი სახის

პრობლემას როგორიცაა ქალები, არასრულწლოვნები, სხვა მოწყვლადი ჯგუფები (წამალდამოკიდებული პირები, ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ პრობლემური პირები და ასე შემდეგ). აქედან გამომდინარე, ამგვარი ხელშეკრულების დადება, შეიძლება ითქვას, მიუღებელი უნდა იყოს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებისათვის (განსაკუთრებით ეს შეეხება 1 ლოტს). შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სატენდერო კომისია დაკომპლექტებული იყო არაპროფესიონალებით. უფრო მეტიც, სატენდერო პირობებიც სავარაუდოდ არ იყო მკაფიოდ და სპეციფიკურად ფორმულირებული.

რაც შეეხება ხელშეკრულების მე-6 პუნქტს, რომელიც არეგულირებს მხარეთა მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობას, აქ საუბარია დაგვიანების შემთხვევაში კომპენსაციის დაკისრებასთან (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დარღვეული ლოტის ღირებულების 0,1% ოდენობით). ისევ და ისევ იმის გამო, რომ ხელშეკრულებაში მონაწილე სუბიექტები (სადაზღვევო კომპანია და სამედიცინო პერსონალი) წარმოადგენს ერთ მხარეს, ინტერესთა ამგვარი კონფლიქტის გამო ძნელად წარმოსადგენია, ამგვარი კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნა, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ თუ სადაზღვევო კომპანია კონკრეტულ რომელიმე დროის მონაკვეთში არ არის მზად მომსახურების რომელიმე სახის ასანაზღაურებლად, მისივე თანამშრომელი - ექიმი საერთოდ არ დანიშნავს ამგვარ მომსახურებას! შესაბამისად ფინანსური დაგვიანების ან გადაცილების საფრთხე შეიძლება ან საერთოდ არ წარმოიქმნას, ან პირიქით - ხელოვნურად შეიქმნას.

ხელშეკრულების მე-7 თავში საუბარია მხარეთა პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. როგორც 7.1 პუნქტშია მითითებული, ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს დამრღვევი მხარის მიერ ჯარიმის გადახდის ვალდებულების წარმოქმნას ლოტის საერთო ღირებულების 0,1% ოდენობით. უპირველეს ყოვლისა აბსოლუტურად გაურკვეველი და ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება „არაჯეროვან შესრულებაში"; ან საერთოდ, ვინ ახდენს შესრულებული სამუშაოს „ჯეროვნობის" კვალიფიკაციასა და განსაზღვრას? თუ იმავე მუხლით ვიხელმძღვანელებთ, აღნიშნული ევალება „შესაბამისად უფლებამოსილ პირებს". ასევე, გაურკვეველია, თუ ვინ არიან ან რა კრიტერიუმებით შეირჩევა აღნიშნული უფლებამოსილი პირები. თუ გადავხედავთ ხელშეკრულების მე-2 მუხლს, აქ საუბარია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობების განხორციელების კონტროლის სპეც-ჯგუფზე, რომლებიც აკონტროლებენ მომსახურების ვადას, ფორმასა და ხარისხს. უპირველეს ყოვლისა, საერთოდ არალოგიკურია როდესაც საუბარია ხარისხზე და არ არსებობს დაწესებული ხარისხის უზრუნველყოფის რაიმე კრიტერიუმი და არც არის მითითებული რომელიმე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომლითაც უნდა მოხდეს ხარისხის შეფასება. ცხადია, რომ კრიტერიუმების გარეშე შეფასებული ხარისხი საკმაოდ სუბიექტური და არარეალურია. მიუხედავად ამისა, მთავარი „უბედურება" იმაში მდგომარეობს, რომ ხელშეკრულება განსაზღვრავს ინსპექტირების ჯგუფის რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობასაც. თუ ამ ჯგუფის სიას გადავხედავთ იგი შედგება 21 სუბიექტისაგან. მათგან 20 კერძო პირია, ხოლო 1 კოლექტიური - (სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ექიმ-ექსპერტთა

ჯგუფი). ხსენებული 20 კერძო პირიდან 16 არც მეტი არც ნაკლები საპყრობილეთა დირექტორებია. 2 მათგანი წარმოადგენს უშუალოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, 1 - იმავე დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ხელძღვანელია, ხოლო 1 პირი - გარე დაცვის და დაცვის სპეც სამსახურების უფროსი. იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოახდინონ ამ პირებმა გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის, დროულობისა და მიზანშეწონილობის ექსპერტიზა, ალბათ საუბარიც კი ზედმეტია. გარდა იმისა, რომ კონტროლის განხორციელება უნდა ევალებოდეს აბსოლუტურად ნეიტრალურ და რაიმე ინტერესების არმქონე პირს, ამ ფუნქციის ჩასატარებლად საჭიროა, სულ მინიმუმ, ამ სფეროს ექსპერტი - პროფესიონალი. სამედიცინო მომსახურების დროულობის, მიზანშეწონილობისა და ხარისხის კონტროლისათვის საჭიროა სპეციფიკური ცოდნა, რომელიც ყველა ექიმს არ გააჩნია. ამ მოსაზრებით, მხოლოდ ექიმთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია მონიტორინგისათვის აბსოლუტურად არასაკმარისია. ზოგადად, ინსპექტირების ჯგუფის რაოდენობრივი (კვოტები) და პერსონალური შემადგენლობის საკითხი, ისე როგორც ხელშეკრულებაშია განსაზღვრული წარმოადგენს მიუღებელ მდგომარეობას, რაც იმის სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ ვიფიქროთ კონტროლის სრული არარსებობის შესახებ. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების მე-7 თავიც სრული სიყალბე და მხოლოდ ფორმალობაა!

ასევე ზოგიერთ, ყოვლად გაუმართლებელ დებულებას მოიცავს ხელშეკრულების მე-8 თავი (დასკვნითი დებულებები). უპირველეს ყოვლისა ეს მოსაზრება პირდაპირ შეეხება მე-8 თავის 8.4. პუნქტს. აღნიშნულის მიხედვით: „წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში“. გარდა იმისა, რომ აღნიშნული პუნქტი არამართებულია, იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპად აღიარებს ამ დახმარების მიმღებთა „სრულ ინფორმირებას სამედიცინო დახმარების ყველა არსებული ფორმისა და მისი მიღების შესაძლებლობის შესახებ“. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები კონფიდენციურად დარჩება ეს აშკარად წინააღმდეგობაში მოდის კანონით გათვალისწინებულ პრინციპთან. ამასთან, ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანოით გათვალისწინებული ღია და საჯარო ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან. ხსენებული კანონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა“. ეს კანონი (მუხლი 16) არ იცნობს საჯარო ტენდერის ჩატარების შემდეგ გამარჯვებულ პირთან დადებული ხელშეკრულების პირობების გასაიდუმლოების მექანიზმს. თუ საკითხს მივუდგებით ზოგადად, დოკუმენტი (ხელშეკრულება) არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. აქედან გამომდინარე გაურკვეველია თუ რატომ უნდა იყოს მასში გათვალისწინებული პირობები კონფიდენციური? უფრო მეტიც, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს

კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად: „შესყიდვის შესახებ ანგარიშები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის მათი მოთხოვნის შემთხვევაში, ხოლო ამ ანგარიშების მოკლე მიმოხილვა რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებებში". თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ბენეფიციარს წარმოადგენს პაციენტი (რომელსაც თავისუფლება აქვს აღკვეთილი), მაშინ, ბუნებრივია, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც დაინტერესებული პირი, ვინაიდან ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს სახელშეკრულებო პირობები უშუალოდ მას და მის ჯანმრთელობის მდგომარეობას შეეხება. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, პაციენტმა უნდა იცოდეს ამ ხელშეკრულებით გავალისწინებული რა ტიპის მომსახურების მიღება შეუძლია და რის - არა და ეს ინფორმაცია მას ოფიციალურად უნდა მიეწოდოს სრულად, ამომწურავად, დროულად და გასაგები ფორმით. ჩვენი მონიტორინგის დროს დავრწმუნდით, რომ აღნიშნული ინფორმაცია ხელმიუწვდომელია არა მარტო პაციენტებისათვის, არამედ თვით ადგილობრივი ექიმების დიდი ნაწილისთვისაც კი.

საქართველოს კანონის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის" შესახებ, 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად: „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაა: ა) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება". აღნიშნული ნორმის ცხოვრებაში გატარება დეპარტამენტს შეუძლია მხოლოდ ამ დარგის სპეციალისტების - ექიმების საშუალებით (საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ" მუხლი 41 და 42). იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო პერსონალი გადასულია „ალდაგი ბი სი აი"-ის დაქვემდებარებაში, და ისინი უწყების მოსამსახურეები აღარ არიან; ამასთან, დეპარტამენტსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება ამგვარ სპეციფიკურ საკითხებს საერთოდ არ ითვალისწინებს, გაურკვეველია, თუ ვინ ან როგორ შეასრულებს კანონით მოთხოვნილ ფუნქციებს?

* * *

ამგვარად, წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს დაშვებულია რიგი ხარვეზები და გვხვდება აშკარად კანონსაწინააღმდეგო დებულებებიც, რითაც ილახება ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლება - ჯანმრთელობაზე. შემდგომი შესწავლისა და ანალიზის მიზნით მნიშვნელოვანი იქნებოდა მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის, ასევე ხელშეკრულების სხვა განუყოფელი ნაწილების (რომელიც თან არ ერთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს) და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების გადახედვა. ნებისმიერ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელშეკრულება გაუქმდეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ნიშნების არსებობის დადასტურების შემთხვევაში განხორციელდეს ადეკვატური ქმედებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში წამების წინააღმდეგ საბრძოლველად ხელისუფლებამ არაერთი ღონისძიება გაატარა, თუმცა ქმედითი და ეფექტური არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა. საქართველომ 2005 წელს მოახდინა გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, თუმცა დღემდე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; ხელისუფლებამ გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობა დამნაშავეების მიმართ, წამების ფაქტების გამოძიების საკითხი კი კვლავ პრობლემად რჩება.

პროკურატურიდან მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის პირველ 9 თვეში წამების მუხლით (144[1]) 17 საქმეზე, ხოლო დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის მუხლით (144[3]) 4 საქმეზე დაიწყო გამოძიება. დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო - წამების 9 საქმეზე, ხოლო დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულის 2 საქმეზე შეწყდა გამოძიება.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 2007 წლის 12 დეკემბერს მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად:

დანაშაულთა სახეები	2008 წლის იანვარი-სექტემბერი		2007 წელი		2006 წელი		2005 წელი	
	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	მათ შორის გახსნილი დანაშაული	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	მათ შორის გახსნილი დანაშაული	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	მათ შორის გახსნილი დანაშაული	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	მათ შორის გახსნილი დანაშაული
წამება (144[1])	17	9 საქმეზე შეწყდა გამოძიება. დანარჩენზე მიმდინარეობს	48	4	13	2	11	0
წამების მუქარა (144[2])			2	2	2	1	0	0
დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა (144[3])	4	2	19	11	8	2	0	0

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მოწოდებულ სტატისტიკურ ინფორმაციას წამების (144[1]), წამების მუქარისა (144[2]) და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის (144[3]) მუხლებით საერთო სასამართლოებში შესულ და განხილულ საქმეთა შესახებ.

დანაშაულთა სახეები	2008 წელი	2007 წელი	2006 წელის	2005 წელი
წამება (144[1])		შევიდა 4 საქმე 10 პირის მიმართ. აქედან 1 საქმე განხილვის სტადიაშია, 1-ზე დადგა განაჩენი, 2 საქმეზე განაჩენი დადგა 2008 წელს	შევიდა 2 საქმე 3 პირის მიმართ. განაჩენი დადგა 2007 წელს	შევიდა 1 საქმე 2 პირის მიმართ. 1 პირზე - 144[1] მუხლით, ხოლო მეორე პირზე - 144[2] მუხლით. განაჩენი დადგა 2006 წელს
წამების მუქარა (144[2])				
დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა (144[3])	2 საქმე შევიდა საბრალდებო დასკვნით - დამთავრდა განაჩენით; 1 საქმე შესულია საპროცესო შეთანხმებით	11 საქმე შესულია 11 პირის მიმართ - განაჩენი დადგა 3 საქმეზე 3 პირის მიმართ, მათ შორის ერთზე - საპროცესო შეთანხმება. 8 საქმე განიხილეს	2 საქმე შევიდა 6 პირის მიმართ	1 საქმე შევიდა 1 პირის მიმართ, განაჩენი გამოიტანეს 2006 წელს

		2008 წელს, მათგან 3 საქმეზე დადგა საპროცესო შეთანხმება; 1 საქმე თელავის რაიონულ სასამართლოში შევიდა საპროცესო შეთანხმებით		

სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის პირველ ნახევარში პროკურატურიდან სასამართლოში წამების (144[1]) მუხლით საქმე არ შესულა. აღნიშნული არ მიუთითებს წამების დანაშაულის შემცირებაზე, არამედ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ პროკურატურა თავს არიდებს საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულის წამებად დაკვალიფიცირებას და ნაკლებად მძიმე მუხლს უფარდებს მათ. პოლიტიკური ნება, რაც შემდგომში საჯარო მოხელეების თვითნებურ ქმედებასა და ამგვარი ფაქტების კვლავ პრობლემად არსებობას იწვევს, უცვლელია.

წამების ფაქტების არასათანადო კვალიფიკაცია

საქართველოს საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებაა წამების ფაქტების ობიექტური და ეფექტური გამოძიება. სახალხო დამცველის აპარატში არსებული საქმეები ქმნის ეჭვის საფუძველს, რომ ამგვარი საქმეების გამოძიება განგებ ჭიანურდება ან გამოძიება სხვა მუხლით იწყება და, შესაბამისად, დანაშაულის დაკვალიფიცირება იმავე მუხლით ხდება (იხ. დანართი: ლევან მაისურაძის; მერაბ ნიჟარაძის; გოჩა ეხვაიას; გოჩა ცქიტიშვილის, აკაკი ხმალაძის, გიორგი ხალოევისა და შალვა ყორღანაშვილის საქმე, როინ შავაძის საქმე, ეს უკანასკნელი, 2008 წლის მეორე ნახევარში მოხდა, თუმცა მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საქმის დეტალების ამ მოხსენებაში ასახვა). პროკურატურის წარმომადგენლები, იმის ნაცვლად, რომ სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ მონიტორინგის ოქმებში მითითებულ სხეულის დაზიანებებზე, რომლებიც თავისი ნიშნებით აშკარად ატარებს წამების ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ხასიათს, გამოძიებას იწყებდეს, მიდის დაზარალებულთან და „ესაუბრება“ ან „გამოკითხავს“ მას. ამ ფორმით თითქოს **ამოწმებს** ოქმში მითითებულ კანონსაწინააღმდეგო ფაქტს და ადგენს შესაბამის „გასაუბრების“ ან „გამოკითხვის“ ოქმს. პროკურატურის თანამშრომლებთან გასაუბრებისას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული/მსჯავრდებული პირი სხვადასხვა მიზეზის გამო უარყოფს სამართალდამცავების მიერ მის მიმართ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ფაქტს. საბოლოოდ გამოძიება არ იწყება და არ ტარდება აუცილებელი პროცესუალური მოქმედებები.

აღნიშნულს ადასტურებს არაერთი შემთხვევა, რაც გამოვლინდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ განხორციელებული

წინასწარი დაკავების იზოლატორებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგად. კერძოდ, იყო შემთხვევა, როცა პროკურატურა პატიმრებს დაწესებულების იმ დირექტორის თანდასწრებით ესაუბრებოდა, რომლის მიერ წამებაზეც მიუთითებდნენ პატიმრები. რთულად წარმოსადგენია, პროკურატურის თანამშრომლები ისეთი მიამიტები ყოფილიყვნენ, რომ ასეთ შემთხვევაში პატიმრების გულახდილობა დაეჯერებინათ.

ცხადია, აღნიშნული განგებ ხორციელდება და წარმოადგენს დანაშაულზე ტენდენციურად რეაგირების ერთ-ერთ საშუალებას.

სახალხო დამცველმა არაერთხელ მიუთითა ე.წ. „გასაუბრების" უკანონობაზე, იმაზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზეპირ გამოკითხვას - ,,გასაუბრებას" - როგორც საპროცესო მოქმედებას (დეტალურად იხ. 2006 წლის მეორე ნახევრის, 2007 წლის პირველი და მეორე ნახევრის მოხსენებები, ი.ბელოვის საქმე). შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის პრაქტიკასა და ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის პოლიტიკის შეწყნარებასთან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი გამომძიებელსა და პროკურორს ავალდებულებს, დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობის მიღების შემთხვევაში დაიწყოს წინასწარი გამოძიება. გასაკვირია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს, რომლებიც შეიცავენ ამგვარ ინფორმაციას, შესაბამისი ორგანოები ცნობადაც კი არ იღებენ და ხშირად წინასწარ გამოძიებას არ იწყებენ.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა, რომ ,,როცა პიროვნება ახდენს იმის დამაჯერებელ მტკიცებას, რომ მან განიცადა მე-3 მუხლის შემზღუდავი ქმედება პოლიციის ან მასთან გათანაბრებული სახელმწიფოს სხვა მოხელეების მხრიდან, ეს დებულება, პირველ მუხლთან ერთად, იმისათვის, რომ ,,მისი იურისდიქციის ფარგლებში დაიცვას კონვენციაში გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები", მოითხოვს ეფექტური ოფიციალური გამოძიების ჩატარებას. მე-3 მუხლის საფუძველზე ჩატარებული გამოძიება მიმართული უნდა იყოს პასუხისმგებელი პირების აღმოჩენასა და დასჯაზე. სხვაგვარად, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი ქმედების და დასჯის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, პრაქტიკაში იქნება არაეფექტური და, ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფო მოხელეებისათვის შესაძლებელი იქნება მათი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების შეურაცხყოფა და მათი ფაქტობრივი დაუსჯელობა (ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ, ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, დიკმე თურქეთის წინააღმდეგ).

,,გამოძიება სრულყოფილი და ეფექტური უნდა იყოს, რათა დააკმაყოფილოს მე-3 მუხლის ზემოხსენებული მოთხოვნები. გამოძიებაზე ზედამხედველი პირები განსაკუთრებული სიფხიზლით უნდა ეკიდებოდნენ გამოძიების პროცესში ჩადენილ ისეთ დარღვევებს, რომელთა არსებობაც კომისიამ და სასამართლომ დაადგინეს სხვა სამართლებრივ სისტემებში. მათ, ვინც თვალყურს ადევნებენ გამოძიებას, უნდა უზრუნველყონ, რომ: პროკურორებმა და გამომძიებლებმა არ უგულებელყონ ან

წინააღმდეგობა არ გაუწიონ პოლიციის მუშაკთა დაკითხვას ან მათთვის ჩვენების ჩამორთმევას მათ მიერ შესაძლოდ ჩადენილ კანონშეუსაბამო ქმედებასთან დაკავშირებით; პროკურორებმა ან გამომძიებლებმა გადადგან აუცილებელი ნაბიჯები იმ დოკუმენტური მასალების გადასამოწმებლად, რომლებსაც შეუძლია, გამოამჟღავნოს სიმართლე ან არასათანადო მოპყრობის სხვა მხარეები, მოიპოვონ ნებისმიერი შეუთავსებლობა პოლიციის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში; პროკურორებმა მიიღონ ზომები დამოუკიდებელი, გამყარებული მტკიცებულებების, მათ შორის, სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებების მოძიების მიზნით, რომლებიც დაკავშირებული იქნება სავარაუდო წამების განაცხადთან; პროკურორებმა არ დააყოვნონ მტკიცებულებათა ან განმცხადებლებისა თუ მოწმეებისაგან ჩვენებების მოპოვება; პროკურორებმა სწრაფი რეაგირება მოახდინონ არასათანადო მოპყრობის ხილვადი ნიშნების ან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების არსებობისას; პროკურორებმა წარმართონ გამოძიება აქტიურად და მკაცრად იმ დამნაშავეების წინააღმდეგ, რომლებიც არიან სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.

სახალხო დამცველმა „გასაუბრებასა“ და „გამოკითხვასთან“ დაკავშირებით დამკვიდრებული მავნე და უკანონო პრაქტიკის აღმოფხვრისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებისთვის საქართველოს გენერალურ პროკურორს, ეკა ტყეშელაშვილს 2008 წლის 11 აპრილს მიმართა. აღნიშნულის მიზანს პოლიციისა თუ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მიერ დაკავებულთა და სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ შესაძლო წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების სრულყოფილი და ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

სახალხო დამცველს „გასაუბრებასთან“ დაკავშირებით გენერალური პროკურატურიდან პასუხი კვლავ არ მიუღია. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნულზე პარლამენტმაც უნდა მოახდინოს რეაგირება და დაინტერესდეს „გასაუბრებისა“ და „გამოკითხვის“ კანონიერების საკითხით.

კანონმდებლობა

• • •

1) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობასა და ზიანის ანაზღაურების მიღების უფლებას წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა მიერ. საქართველოს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „თუ თანამდებობის პირს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1, 144^2 ან 144^3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა და იგი მიიმალა ან მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი შეიძლება წარედგინოს სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.“

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლის მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი შეიძლება წარედგინოს სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ თანამდებობის პირს/პირებს ბრალად ედებათ წამება, წამების მუქარა ან/და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა და აღნიშნული თანამდებობის პირი/პირები იმყოფებიან მიმალვაში ან მისი/მათი ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

საქართველოს სსსკ-ის 443-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ,,განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას.“ თუმცა სასამართლო ვალდებული არ არის, განსასჯელის მიერ სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, განსასჯელის დაუსწრებლად განიხილოს სისხლის სამართლის საქმე.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ზღვრულ ვადებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციით განხილვის შესახებ, მით უმეტეს, თუ განსასჯელი პატიმრობაში არ იმყოფება (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე და 680[5]-ე მუხლები ადგენენ მხოლოდ სასამართლო პატიმრობის ზღვრულ ვადებს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვა არ მოხდა იმ განსასჯელის დაუსწრებლად, რომელსაც ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]-ე, 144[2]-ე და 144[3]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, არსებობს დიდი ალბათობა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით არ იქნეს განხილული და დაკმაყოფილებული წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა მიერ საქართველოს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამოქალაქო სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს იმ სასამართლოს მსჯელობისა და გადაწყვეტის საგანს, რომელიც იხილავს თანამდებობის პირის/პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმეს. ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო წესით წარდგენილ სარჩელზე უარის მიღება საქართველოს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ,,მოსარჩელეს უფლებას ართმევს განმეორებით წარადგინოს იგივე სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლის მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის წარდგენა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სახელმწიფოს წინააღმდეგ ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობის პირი/პირები მსჯავრდებული იქნებიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]-ე, 144[2]-ე და 144[3]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მისი/მათი მიმალვის ან/და ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო შეუძლებელი იქნება მისთვის/მათთვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის აღსრულება.

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ უზრუნველყოფს წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლის უფლებას, მიიღოს ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი იქნება თანამდებობის პირის/პირების მიერ წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ჩადენის ფაქტი, ე.ი. საქართველოს სსკ-ის 144^1-ე, 144^2-ე და 144^3-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტი, თუმცა დაუდგენელი იქნება მისი ჩამდენი კონკრეტული თანამდებობის პირი/პირები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ,,ამ კოდექსის 144^1-144^3-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე არ ვრცელდება ამავე კოდექსის 71-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, ,,წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სსკ-ის 144^1-ე, 144^2-ე და 144^3-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე წინასწარი გამოძიება შეიძლება გაგრძელდეს მანამ, ვიდრე არ დადგინდება აღნიშნული ქმედების ჩამდენი კონკრეტული თანამდებობის პირი/პირები, რისი დადგენის სავალდებულო ვადას ან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. რაც ფაქტობრივად გამორიცხავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობასა და ზიანის ანაზღაურების მიღების უფლებას წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა მიერ.

2) გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-ე, 144^2-ე და 144^3-ე მუხლების დისპოზიცია არ უთითებს წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ჩამდენ სპეციალურ სუბიექტზე - თანამდებობის პირზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-ე, 144^2-ე და 144^3-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული - წამება, წამების მუქარა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა შესაძლებელია ჩადენილ იქნეს ნებისმიერი პირის მიერ, მათ შორის იმ პირების მიერაც, ვინც არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს. საჯარო მოხელის მიერ წამების ან დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ჩადენა მხოლოდ შესაბამისი მუხლების მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს. საქართველოს სსკ-ის 144^1-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან

ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის,“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ“; საქართველოს სსკ-ის 144^{2}-ე მუხლის თანახმად, ,,ამ კანონის 144^{1}-ე მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით“; ხოლო ამავე კოდექსის 144^{3}-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ-ის 144^{1}-144^{3}-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული შესაძლოა ჩაიდინოს არა მხოლოდ საჯარო მოხელემ, არამედ ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა.

1984 წლის 10 დეკემბრის ,,წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ” კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ,,1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი ,,წამება” ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს ან ტანჯვას, რათა მისგან ან მესამე პირისგან მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება, ან დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი, ან მესამე პირი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის საფუძველზე, როცა ასეთი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია წამებით ან **თანხმობით**, ან თანამდებობის პირის **უსიტყვო თანხმობით**, ან სხვა ისეთი პირის მიერ, **რომელიც მოქმედებდა ოფიციალური პირის სტატუსით.** ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშობა მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მისგან გამოწვეული.

2. წინამდებარე მუხლი არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, რომელიც შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს დებულებებს უფრო ფართო გამოყენების შესახებ.”

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიერ განსაზღვრული ,,წამების” დეფინიცია არ შეესაბამება 1984 წლის 10 დეკემბრის ,,წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ” კონვენციის პირველი მუხლის მიერ მოცემულ განსაზღვრებას, ვინაიდან არ ითვალისწინებს წამების ჩადენას თანამდებობის პირის თანხმობით და აღნიშნულ ქმედებას არ აძლევს შესაბამის კვალიფიკაციას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასევე არ ითვალისწინებს წამების სპეციალურ სუბიექტს – თანამდებობის პირს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წამებისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვის, წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულების შესრულებისა და განმტკიცებისთვის მიგვაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილში უნდა შევიდეს ცვლილებები და დამატებები და, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,თუ წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ წამების, წამების მუქარის ან/და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ჩადენის ფაქტზე და პირის დაზარალებულად ცნობიდან 12 თვის განმავლობაში ვერ დადგინდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შესაბამისი მუხლები) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირი ან/და იგი მიიმალა ან მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია, დაზარალებულს ან მის უფლებამონაცვლეს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი წარადგინოს სახელმწიფოს წინააღმდეგ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.”

ასევე, შევიდეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში: 1.144[1]-ე და 144[3]-ე მუხლების მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ,,ა” ქვეპუნქტი;

2. ცალკე, 144[4]-ე მუხლის სახით ჩამოყალიბდეს წამება, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით, ,,1.წამება, ე.ი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ან/და პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ან მისი თანხმობით ან უსიტყვო თანხმობით...

2.იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის;

დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ე) ჯგუფურად;

ვ) ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო;

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

თ) შეკვეთით;

ი) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით,...

3. იგივე ქმედება ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ,..."

3. ასევე ცალკე, 144^5-ე მუხლის სახით ჩამოყალიბდეს ,,წამების მუქარა, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1.ამ კანონის 144^4-ე მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ან მისი თანხმობით ან უსიტყვო თანხმობით...

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის;

დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ე) ჯგუფურად;

ვ) ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო;

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

თ) შეკვეთით;

ი) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით,..."

4. ასევე ცალკე, 144^6-ე მუხლის სახით ჩამოყალიბდეს ,,დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1.პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ან მისი თანხმობით ან უსიტყვო თანხმობით...

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის;

დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ე) ჯგუფურად;

ვ) ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების,

წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო;

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალი, არასრულწლოვანის, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

თ) შეკვეთით;

ი) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით,..."

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მითითებული ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფისათვის, იმავდროულად, სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და განმტკიცებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

საქართველოში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2007 წლის 20 ივნისს, შეიქმნა ადამიანთა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, რომლის მუშაობაშიც სხვადასხვა სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, სახალხო დამცველის წარმომადგენელიც იყო ჩართული. საბჭოს ძირითადი ფუნქცია იყო საქართველოში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავება. საბჭოს მიერ შექმნილი 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 12 ივნისის #301 ბრძანებულებით დამტკიცდა.

სახალხო დამცველი მიესალმება სამოქმედო გეგმის შემუშავებას, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილდეს მასში არსებულ გარკვეულ ხარვეზებზე. კერძოდ:

1) სამოქმედო გეგმაში არაა მითითებული გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოდელის შექმნა ახალი ორგანოს ჩამოყალიბებითა ან უკვე არსებული ორგანოს დასახელებით. საქართველომ მოახდინა როგორც წამების საწინააღმდეგო კონვენციის, ისე მისი ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბების ვადა საქართველოსთვის 2007 წლის 22 ივნისს ამოიწურა. თუმცა, ვადის გაგრძელების შემდგომ ამჟამად საკითხი კვლავ გადაუჭრელია და საჭიროებს

დაუყოვნებლივ რეაგირებას. ზემოაღნიშნული პირდაპირ მიუთითებს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე.

2) სამოქმედო გეგმაში არაა მითითებული წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ცენტრის შექმნა. წამება იმ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა ობიექტები საგანგებო მზრუნველობას საჭიროებენ. წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე საუბრობდა წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი მანფრედ ნოვაკი ჯერ კიდევ 2005 წელს საქართველოს მთავრობისადმი მიცემულ თავის რეკომენდაციებში. სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია წამების მსხვერპლთათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო და სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება.
3) სახალხო დამცველს წამების პრევენციისთვის მიზანშეწონილად მიაჩნია წამების წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო ორგანიზაციებთან რეგულარული, მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობა (მათ შორის, აქტიურად - ახლად შექმნილ გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტთან). სახალხო დამცველის შეხედულებით, ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს გაწერილი და უნდა განისაზღვროს აღნიშნულზე პასუხისმგებელი ორგანო. ასევე, თანამდებობის პირი, ვის წინაშეც ეს ორგანო იქნება ანგარიშვალდებული.

სამოქმედო გეგმის დამტკიცება წამების წინააღმდეგ ბრძოლაში წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ გეგმა შეიცავს ისეთ დებულებებს, რომელთა შესახებ განცხადებებსაც ხელისუფლების წარმომადგენლები წლების განმავლობაში აკეთებდნენ და მათ შესრულებას ჰპირდებოდნენ საზოგადოებას. კერძოდ, 1) დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება და ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემდგომი წარმართვა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის მიმართ, 2) წამების ფაქტების ეფექტური გამოძიება, 3) დანაშაულის ჩამდენი პირის პასუხისგებაში მიცემა, სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნათა შესაბამისად გასამართლება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება და ა.შ. მიუხედავად არაერთი განცხადებისა, პოლიტიკა ამ სფეროში უცვლელი რჩება. დანაშაულს, რომელიც აშკარად შეიცავს წამების ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებს პროკურატურა ნაკლებად მძიმე მუხლით აკვალიფიცირებს, დაუსჯელობის სინდრომი კი კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. ყოველივე ამის გამო სამოქმედო გეგმის ზემოაღნიშნული პუნქტები კვლავ უშინაარსო დეკლარაციად რჩება.

დასკვნა

მაშინ, როცა სახელმწიფო აშკარად ატარებს მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას, შესაბამისი ორგანოები წამების დანაშაულს აშკარად ლიბერალურად უდგებიან, რაც საბოლოოდ წამების დანაშაულის წახალისებას ემსახურება და პოლიტიკის ხასიათს ატარებს.

აღნიშნულის დამადასტურებლად მოვიყვანთ 2007 წლის მეორე ნახევრის მოხსენების ფაქტებს. სასამართლოც, პროკურატურის შესაბამისად, ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენს მწამებელთა მიმართ. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც, ალექსი ბახუტოვის, ახალგორისა და მარტყოფის ბავშვთა სახლების აღსაზრდელების საქმეები. კერძოდ,

ახალგორის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების წამებისთვის მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ბრალდებულებს, ბონდო ტატუნაშვილსა და ბესიკ ორკოდაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ დაპატიმრება ორი თვის ვადით, მოგვიანებით კი 5000 ლარის გირაოს თანხის გადახდის შემდეგ გათავისუფლდნენ წინასწარი პატიმრობიდან. ხოლო, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ბესიკ ორკოდაშვილი და ბონდო ტატუნაშვილი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლით (მტკიცებულების ფალსიფიკაცია - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე); 333-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, არაერთგზის, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე) და 144[1] -ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“,“დ“,“ე“ და „ზ“ პუნქტებით (წამება, იგივე ქმედება ჩადენილი: მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ,სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე). ზემოაღნიშნულ პირებს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვალათ პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნით თანამდებობაზე საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

აღსანიშნავია მარტყოფში მომხდარი ფაქტი, როცა მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ა.კ. და ხ.კ., უკანონო თავისუფლების აღკვეთის გარდა, რუსთავის მთავარი სამმართველოს განყოფილებაში მიყვანიდან რამდენიმე საათის განმავლობაში დაექვემდებარენ წამებას, ღირსებისშემლახავ და დამამცირებელ მოპყრობას, რაც გამოიხატა მათ ცემაში, გინებასა და დაშინებაში, რათა მათგან მიღებული ყოფილიყო ბ.შ.-ის მკვლელობის ფაქტის აღიარება, ან რაიმე სახის ინფორმაცია ხსენებულ დანაშაულთან დაკავშირებით, რაც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე, 144' და 144[3]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს. საქართველოს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს.

გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #42078064 საქმეზე, ქვემო ქართლის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჯგუფურად, მარტყოფის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელების დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

წამების ფაქტებზე ხელისუფლების მხრიდან ლოიალურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ალექსი ბახუტოვის საქმეც. ლაშა ჩოფიკაშვილი, ვისი განზრახ მკვლელობისთვის ა.ბახუტოვს 2007 წლის 24 აგვისტოს თელავის რაიონულმა სასამართლომ საპროცესო შეთანხმების შედეგად ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ცოცხალია და სოფელ ჯუღაანში, მის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში იმყოფება. პოლიციის მიერ სასტიკი წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად ა.ბახუტოვმა და მისმა გერმა ირაკლი ციციშვილმა აღიარეს დანაშაული, რომელიც ალექსი ბახუტოვს არ ჩაუდენია. სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ ა.ბახუტოვს საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს და სასჯელის ზომად განუსაზღვრეს მინიმალური, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა ამ „დანაშაულისთვის“. ბახუტოვისა და ირაკლი ციციშვილის წამების ფაქტი არ გამოუძიებიათ.

პროკურორებმა არ უნდა განახორციელონ განსხვავებული, ტენდენციური და შეზღუდული მიდგომა დამნაშავე საჯარო მოხელეების მიმართ. აღნიშნული ხშირად ხდება, როცა საქმე წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის დანაშაულს ეხება.

როცა წამების ან არაადამიანური მოპყრობის განაცხადთან დაკავშირებით არ ხდება სრულყოფილი და ჯეროვანი გამოძიების წარმართვა, სამართალდამცავი ორგანოები ამით ნერგავენ დამნაშავე საჯარო მოხელეების დაუსჯელობის სინდრომს, რაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შემაფერხებელია.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიმართავს საქართველოს პროკურატურას, სათანადო შეფასებები მიეცეს საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს.

კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის შესახებ

2008 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და კვლავაც საგანგაშოა. აღნიშნულ საკითხში გარკვეული პროგრესის მიღწევა, რასაკვირველია, დამოკიდებულია საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების წარმატებებზე სამშვიდობო პროცესში და მის მიერ იურისდიქციის თანდათანობითი აღდგენაზე. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა თავის ერთ-ერთ რეზოლუციაში მწუხარებას გამოთქვამს (1477(2006)) იმის გამო, რომ კონფლიქტის მხარეებთან მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად არ მიღწეულა რეალური პროგრესი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებთან მიმართებაში. „კონფლიქტში დაინტერესებულმა ყველა მხარემ, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციამ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პარალელურად უნდა მოახდინოს მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაწყვეტისადმი საკუთარი მისწრაფების დემონსტრაცია, როგორც პრინციპულად, ასევე პრაქტიკაში“ - ნათქვამია იმავე რეზოლუციაში.

პოლიტიკური კონფლიქტების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას სახელმწიფოს მიერ საკუთარი იურისდიქციის სრული განხორციელებისათვის და, შესაბამისად, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების იმპლემენტაციისათვის. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები კვლავ ეფექტური კონტროლის მიღმა რება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფოს „ტერიტორიისა“ და „იურისდიქციის“ ცნებები არ ემთხვევა ერთმანეთს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთ სიტუაციებში მყოფ სახელმწიფოებს დე ფაქტო ტერიტორიებთან მიმართებაში გარკვეული ვალდებულებები მაინც ეკისრებათ. საქმეში „ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა, რომ „თუ ხელშემკვრელი მხარე ვერ ახორციელებს საკუთარ ხელისუფლებას მის ტერიტორიაზე არსებული დე ფაქტო სიტუაციის გამო, როგორიცაა სეპარატისტული რეჟიმის დაფუძნება, როდესაც ასევე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა სახელმწიფოს სამხედრო ოკუპაციას, კონვენციის პირველი მუხლის აზრით ტერიტორიის ამ ნაწილზე მისი იურისდიქცია არ წყდება. იმის მიუხედავად, რომ ასეთი ფაქტობრივი სიტუაცია ამცირებს აღნიშნული იურისდიქციის მასშტაბებს, მის ტერიტორიაზე მყოფ პირებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მოვალეობებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში. სახელმწიფომ უცხო სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში უნდა გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალება, რათა გააგრძელოს კონვენციაში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირება.“ პოზიტიური ვალდებულებები თავის მხრივ

გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ კონვენციის გარანტიების დაცვა მესამე მხარეების მიერაც კი.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აფხაზეთში

წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

2008 წლის 19 იანვარს გალის რაიონის სოფელ თაგილონის ტერიტორიაზე, უსაფრთხოების ზონაში, რუსეთი სამშვიდობო ძალების საგუშაგოსთან ახლოს კრიმინილური შეარაღებული დაჯგუფების წევრები, რომლებიც პერიოდულად აყაჩაღებენ გალის მოსახლეობას, თავს დაესხნენ გალის რაიონის მცხოვრებლების შალიკო რიგვავას, ჩოთოლი გოგოხიას, როზა კვერსელავას ოჯახებს. აღნიშნულ პირებს და მათ ოჯახის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. თავდასხმის შედეგად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო როზა კვერსელავამ.

2008 წლის 20 იანვარს დაახლოებით 22:00 საათზე, გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯში, თავს დაესხნენ ნეირონ ჯახაიას ოჯახს. როგორც გალის მილიციის ხელმძღვანელმა ლოურენს კოღონიამ "ია რეგნუმ"_ის კორესპონდენტს შეატყობინა, 2 თავდასხმელი იყო შავ ტანსაცმელსა და ნიღბებში, ნეირონ ჯახაიამ წინააღმდეგობა გაუწია მათ, რის შედეგადაც იგი მძიმედ დაიჭრა. დაშავებული მძიმე მდგომარეობაში მშვიდობისმყოფელებმა და გაერო_ს მისიის დახმარებით მიიყვანეს რაიონულ საავადმყოფოში. მედიკოსთა აზრით, ჯახაიას მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ჭრილობის სიმძიმის გამო დაზარალებულის ნათესავები მოითხოვენ მის გადაყვანას ზუგდიდის რაიონში.

2008 წლის 10 თებერვალს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში ეხვაიების ოჯახში ორი ,,უაზის“ ტიპის ავტომანქანით მივიდნენ აფხაზური მილიციის წარმომადგენლები. მათ მოიკითხეს ოჯახის წევრის, გოჩა ეხვაიას ადგილსამყოფელი. მშობლებმა აუხსნეს, რომ გოჩა ეხვაია პოლიციის თანამშრომლებმა სამი დღის წინ დააკავეს ქალაქ ზუგდიდში. ასეთმა პასუხმა მილიციის თანამშრომლები გააღიზიანა. მათ ოჯახის წევრებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, დაემუქრნენ და წავიდნენ.

2008 წლის 16 მარტს გალის რაიონის სოფელ ფიჩორში, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირები ფულის გამოძალვის მიზნით თავს დაესხნენ მერი წყაროზიას ოჯახს. მათთან იმყოფებოდა მათი სიძე, ზუგდიდის რაიონის სოფ. დარჩელში მცხოვრები რომან აგერბაია. თავდამსხმელებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფები მიაყენეს ორივეს. რ. აგერბაიას აღენიშნება სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება. იგი მოთავსეს ზუგდიდის საავადმყოფოში.

2008 წლის 28 მაისს გალის რაიონის სოფ. საბერიოში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალების #305_ში რუსი და ჩეჩენი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეებს შორის მორიგი შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც დანით დაიჭრა 23 წლის რუსი ჯარისკაცი ანდრეი კოსტენკო. დაჭრილს პირველი სამედიცინო დახმარება გაუწიეს

ზოგდიდის საავადმყოფოში, ექიმებმა ჟურნალისტებს აცნობეს, რომ დაზარალებული სამხედრო მოსამსახურე იყო ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ. დაჭრილი კი ამტკიცებდა, რომ დაზარალდა თავის მეგობრებთან საქმის გარჩევის შედეგად. პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ, დაჭრილი მშვიდობისმყოფელი გადაიყვანეს სოხუმში.

რუსეთის სამშვიდობო ძალების მთავარსარდლის თანაშემწის ალექსანდრე დიორდიევის ინფორმაციით, სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცმა მიიღო დანით ჭრილობა, რის შედეგადაც ის გადაყვანეს საავადმყოფოში.

თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და თვითნებური დაკავების ფაქტები

2008 წლის 9 მაისს აფხაზი დე ფაქტო სამართალდამცავი ორგანოების მიერ, გალის რაიონის სოფ. თაგილონში, საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავებულ იქნენ გერმანიის მოქალაქე ბ. კორვე, აშშის მოქალაქე დ. სიკვერმანი და მათი თანმხლები სოხუმელი და ამჟამად თბილისში მცხოვრები დ. ფაცაცია, რომელბმაც წარადგინეს ადამიანის უფლებათა თბილისის ცენტრის თანამშრომლების მოწმობა. ჩამოართვეს ფოტოაპარატი.
დე ფაქტო აფხაზეთის კანონმდებლობით, კორვე და სინვერმანი დააჯარიმეს და გადასცეს გაეროს მისიის წარმომადგენელს სოხუმში, რის შემდეგ ორივე აფხაზეთიდან გააძევეს.

ადამიანების გატაცება

2008 წლის 29 მაისს გალის რაიონის სოფ. ნაბაკევში, ღამით არქიპო გამსახურდიას ოჯახს თავს დაესხა შეიარაღებული ნიღბიანი პირები. თავდამსხმელებმა ოჯახის დიასახლისს ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს, ხოლო არქიპო გამსახურდია წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით. მოგვიანებით, გამტაცებლები დაუკავშირდნენ ოჯახს და გამოსასყიდის სახით მოითხოვეს 100 ათასი აშშ დოლარი. ამ საქმესთან დაკავშირებით, 2008 წლის 5 ივნისს, გალის ე.წ. „მილიციის“ თანამშრომლებმა ბაჩანა გამსახურდია დააკავეს, რომელიც იმყოფება მილიციის იზოლატორში.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, არქიპო გამსახურდია გამტაცებლებმა 30 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ, 13 ივნისს გაათავისუფლეს. იგი ნიღბიანმა პირებმა ადმინისტრაციულ საზღვართან დატოვეს და თავად მიიმალნენ. გამტაცებლების ვინაობის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

2008 წლის 5 იანვარს გალის უშიშროებისა და მილიციის თანამშრომლებმა, ოპეტარიული იმპორმაციის საფუძველზე, გალში, ლეონის ქუჩის ერთ_ერთ საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინეს ქ. ზუგდიდში მცხოვრები, 1959 წელს დაბადებული ი. ანთია. დაკითხვის შედეგად, მან განმარტა, რომ 2007 წლის 1

ნოემბერს, მდინარე ენგურთან გალის რ_ნის ტერიტორიაზე ის გატაცებულ იქნა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ბესლახუბაში მცხოვრები, 1979 წელს დაბადებული ვ. გაბუნიასა და სოფ. მერკულას მკვიდრის, 1959 წელს დაბადებული ტ. ზარანდიას მიერ. Aამ ფაქტთან დაკავშირებით ტარდება ეჭვმიტანილთა დაკავების მიძნით ოპერატიული ღონისძიებები.

საკუთრების უფლება

2008 წლის 21 იანვარსს ღამის საათებში, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში, უსაფრთხოების ზონაში, ნიღბიანი შეარაღებული პირები თავს დაესხნენ ჯუმბერ ცქიტიშვილისა და ენვერ აქუბარდიას ოჯახს. თავდამსხმელებმა ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს ორივე ოჯახის წევრებს, ავტომატის კონდახით სასტიკად სცემეს ჯუმბერ ცქიტიშვილი. ოჯახებიდან წაიღეს ფული, ტელევიზორები, სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნივთები და ძვირფასეულობა.

2008 წლის 24 იანვარს ღამით, დაახლოებით 2_3 საათზე, გალის რაიონის სოფელ თაგილონის (ე.წ. მესამე თაგილონი) ტერიტორიაზე, რუსი სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად უსაფრთხოების ზონაში, ტიტე ჩხეტიას ოჯახს თავს დაესხა სამი ნიღბიანი შეიარათებული პირი. თავდამსხმელები ფიზიკურად გაუსწორდნენ ტიტე ჩხეტიას და მის მეუღლეს, წაიღეს ფული და ძვირფასეულობა. თვითმხილველთა თქმით, ბოროტმოქმედები უაზის ტიპის ავტომანქანით მიიმალნენ ქალაქ გალის მიმართულებით.

2008 წლის 14 მარტს გალში მცხოვრებ ონერი შონიას სახლს საღამოს დაახლოებით 11.00 საათზე ფულის გამოძალვის მიზნით თავს დაესხა ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედი. იმ დროისათვის სახლში იმყოფებოდნენ ონერი შონიას დედა და მეზობელი ნანა არონია. ბანდიტებმა ორივე ქალბატონებს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცყოფა. ყაჩაღები რუსულ ენაზე, აფხაზური აქცენტით საუბრობდნენ. თავდამსხმელებმა ოჯახიდან ძვირფასეულობა წაიღეს. თავად ონერი შონია ამჟამად რუსეთის ფედერაციაში იმყოფება.

2008 წლის 19 მარტს, დაახლოებით 20.30 საათზე, სამმა ნიღბიანმა დაუდგენელმა პიროვნებამ, შეიარაღებულებმა ორი ავტომატიური ცეცხლსასროლი იარაღითა და გადაჭრილი სანადირო თოფით, შეიჭრნენ გალის რაიონის სოფ. კოხორაში მცხოვრებ ადგილობრივ მკვიდრს და განადგურების მუქარით წაართვეს კუთვნილი ,,ჟიგულის“ მარკის ავტომანქანა, ფიჭური ტელეფონი და 1500 რუსული რუბლი, რის შემდეგ გაუჩინარდნენ.

2008 წლის 6 აპრილს ქალაქ გალში შეიყვანეს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის დაცვის სამსახურის წევრებისგან შემდგარი ორმოცდახუთ კაციანი ჯგუფი, რომელიც განაწილდა გალის რაიონის სოფლებში: თაგილონში, ოტობაიაში, ფიჩორში, განახლებაში, გაგიდასა და ქვემო ბარღებში. თითო სოფელში იმყოფებოდა ხუთ კაციანი ჯგუფი, ხოლო თხუთმეტამდე ადამიანი ორი УАЗ_ის მარკის ავტომანქანით გადაადგილდებოდა შემოვლითი გზებით. ჯგუფის წევრები ადგილობრივ მოსახლეობასთან შედიოდა კონტაქტში, არ ამბობდნენ უარს ალკოჰოლურ

სასმელების მიღებაზე. აქედან გამომდინარე ადგილი ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღით უმოსამართო სროლას. ამოწმებდნენ გალის რაიონიდან ზუგდიდის მიმართულებით და უკან მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს, ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისგან ფულადი თანხის გამოძალვის ფაქტებს.

2008 წლის 26 მაისს გალის რ_ნის სოფ. საბერიოში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მესაზღვრეებმა გააჩერეს ზუგდიდიდან მომავალი სამგზავრო ავტობუსი. მძღოლებს გამოსძალეს 500_500 რუსული რუბლი.

აქტიური საარჩევნო ხმის უფლება

2008 წლის 1 იანვარს აფხაზურმა ე.წ. ,,სპეცრაზმმა" და ,,მილიციამ" გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში და თაგილონში გადაწვა ქართველების 7 სახლი, მათ შორის სოფ. ნაბაკევში გია როსტომბაიას სახლი. სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარების მიზნით დე ფაქტო აფხაზეთის მთავრობამ სპეციალურად გააგზავნა გალის რაიონში სპეცდანიშნულების რაზმი და მილიცია.

იმავე დღეს დააკავეს თხუთმეტამდე მშვიდობიანი მოსახლე, რომლებიც მოათავსეს გალის მილიციის განყოფილების იზოლატორში. მათ სცემეს, ერთ–ერთი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია და იმყოფება საავადმყოფოში.

თვითმხილველთა განმარტებით, სპეცრაზმს და მილიციას აცილებდნენ რუსეთის მშვიდობისმყოფელთა ძალების წარმომადგენლები. სახლები დაწვეს მშვიდობიანი მოსახლეობის თვალწინ. მოსახლეობას აფრთხილებენ, არ მიიღონ მონაწილეობა 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც. ერთ–ერთ სახლზე დატოვეს წარწერა: ,,ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, იგივე ბედი ელის."

აგრეთვე დე ფაქტო აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები, კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, ოფიციალურად, დაუფარავად ემუქრება ადგილობრივ მოსახლეობას, არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

მდინარე ენგურზე ყველა გადასასვლელი ჩაიკეტა, რათა გალის რაიონის მოსახლეობა ვერ გადავიდეს ადმინისტრაციულ საზღვარზე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

სეპარატისტული აფხაზეთის მთავრობის ასეთი ქმედებები ადამიანის უფლებების, საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების, პირდაპირი დარღვევაა.
2008 წლის 3 იანვრისათვის გალის რაიონში სადამსჯელო ღონისძიებები ისევ გაგრძელდა.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გაავრცელა მიმართვა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ის ვინც 2008 წლის 5 იანვარის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, გალის რაიონში საკუთარ სახლებში ვეღარ დაბრუნდებიან.

2008 წლის 5 იანვარს აფხაზეთის სეპარატისტული ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან დილიდანვე გადაიკეტა საზღვარი გალის რაიონში. ამის გამო, ადგილობრივ მოსახლეობას არ შეეძლოთ გადასვლა ზუგდიდის რაიონში საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. მიუხედათ ამისა, რამოდენიმე ათეულმა გალის რაიონის მცხოვრებმა მაინც შეძლეს შემოვლითი გზებით ზუგდიდის რაიონში გადასვლა.

2008 წლის 5 იანვარს აფხაზეთის რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა "ინტერფაქს" განუცხადა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე ხმის მიცემა არ ხდება და არც შეიძლება ხდებოდეს.

აფხაზეთის დე ფაქტო სტრუქტურებმა და რუსმა მშვიდობისმყოფელებმა გაეროს დამკვირვებლებისა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის შექმნეს ილუზია იმის შესახებ, რომ 2008 წლის 4 და 5 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ხელს არ უშლიდნენ გალის რაიონის მოსახლეობას. თუმცა, როგორც ცნობილია, დამატებით შემოყვანილი აფხაზური შეიარაღებული ფორმირებებისა და რუსი მშვიდობისმყოფელების მიერ ბლოკირებული იყო გალის რაიონის სოფლებიდან ზუგდიდისკენ მიმავალი თითქმის ყველა შემოვლითი გზა.

2008 წლის 16 იანვარს გალის რაიონში აფხაზი სამართალდამცავები შეიჭრნენ გალის რაიონის მკვიდრის, ემზარ ეხვაიას ოჯახში. ემზარ ეხვაიას, მის მეუღლესა და 7 წლის ბავშვს მიაყენეს ფიზიკური შეურაცყოფა. მოგვიანებით, ნაცემი ემზარ ეხვაია გადაიყვანეს გალის მილიციის განყოფილებაში, სადაც კვლავ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. დაკავების დროს მიღებული ფიზიკური დაზიანებების გამო ემზარ ეხვაია სოხუმის საავადმყოფოს რეანიმაციურ განყოფილებაში მოათავსეს. თავდასხმის მიზეზი 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გახდა.

2008 წლის 5 იანვარს არსებული ინფორმაციის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს, მშვიდობისმყოფელთა ძალებში რუსი და ჩეჩენი ეროვნების სამხედროების შეხლა_შემოხლის შედეგად, გარდაიცვალა 2 რუსი სამხედრო. მიზეზად სახელდება ავტობუსებში მყოფი გალის რაიონის მცხოვრებლების გატარება საზღვარზე, რომლებიც აპირებდნენ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მინაწილეობის მიღებას, ზუგდიდი რაიონში გახსნილ საარჩევნო უბნებში.

გამოხატვის თავისუფლება

2008 წლის 26 თებერვალსს ენგურის ხიდზე განლაგებულ რუსეთის შეიარაღებული ძალების #201–ე საგუშაგოზე, აფხაზეთის დე ფაქტო მილიციისა და უშიშროების თანამშრომლებმა დააკავეს ტელეკომპანია ,,მზის" ჟურნალისტი მალხაზ ბასილია, რომელიც იღებდა მორიგ სიუჟეტს აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად. მასთან ერთად დააკავეს ტელეოპერატორი დავით

წოწორია და მისი დედა მაია დანელია. მოგვიანებით ისინი გადაიყვანეს სოხუმის უშიშროების იზოლატორში. ორი დღის შემდეგ, აფხაზეთის პროკურატურამ გაათავისუფლა საქართველოს მოქალაქე მაია დანელია. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მაია დანელიამ ლეგალურად გადავიდა "ენგური"_ს საგუშაგო, სადაც დატოვა პასპორტი. 15 000 რუსული რუბლის ოდენობის ჯარიმის გადახდის შემდეგ, იგი გაათავისუფლეს. დავით წოწორია და მერაბ ბასილაია პატიმრობაში დატოვეს. მათ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. ,,სისხლის სამართლის კოდექსის" 324-ე მუხლის თანახმად, ბრალი დასდეს ,,საზღვრის უკანონო გადაკვეთაში." 2008 წლის 6 მარტს მალხაზ ბასილია და დავით წოწორია გაათავისუფლეს.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში

საკუთრების უფლება

2 იანვარს `სამხრეთ ოსეთის~ დე ფაქტო ხელისუფლების განკარგულებით, საცხოვრებელი სახლებიდან გამოყარეს ის ადამიანები, რომელთა ნათესავები და ახლობლები თანამშრომლობდნენ დიმიტრი სანაკოევის დროებით ადმინისტრაციასთან.

2 აპრილს ცხინვალის რაიონის სოფელ ანძისთან განლაგებული ოსი სეპარატისტების სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები გადავიდნენ სოფელ სვერის ტერიტორიაზე და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ქართველ მწყემს გასტაცეს ცხვარი.

10 აპრილს ღამით, ზნაურის რაიონის სოფელ წნელისთან განთავსებულ ოს სეპარატისტთა შეიარაღებული ფორმირების საგუშაგოსთან, სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა შეიარაღებულმა პირებმა დააყაჩაღეს თბილისიდან წაყვანილი `მერსედეს – 190~-ის მარკის ტაქსი.

10 აპრილს ღამით, ზნაურის რაიონის სოფელ ქვათეთრში ოს სეპარატისტთა შეიარაღებული ფორმირების ნიღბიანმა წევრებმა იარაღის მუქარით დააყაჩაღეს ადგილობრივი მცხოვრები რობერტ იკაევი.

16 აპრილს ღრომის ხეობაში ოსი სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირების და შერეული სამშვიდობო ძალების ჩრდილოეთ ოსური ბატალიონის წევრებმა სასტიკად სცემეს სოფელ მეჯვრისხევის მკვიდრი, 1970 წ. დ. კახაბერ გინტური, ხოლო შემდეგ წაართვეს `ჟიგულის~ მარკის ავტომანქანა.

25 აპრილს დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფელ სვერიდან ოსი სეპარატისტების უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრებმა გაიტაცეს მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.

15 მაისს ქარელის რაიონის სოფელ აბანოში, შერეული სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის ორმა მთვრალმა წევრმა დააყაჩაღეს ადგილობრივი ქართველი მოქალაქე და წაართვეს `მერსედესის~ მარკის ავტომანქანა და მიიმალნენ სოფელ წნელისის მიმართულებით.

ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევა

2008 წლის 14 იანვარს ზნაურის რაიონის სოფელ ქვათეთრში უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს ქარელის რაიონის სოფელ აგარის მკვიდრი ჯუმბერ გიორგის ძე გელაშვილი, რომელიც მოათავსეს ქ. ცხინვალის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში.

2008 წლის 13 მარტს, ოსი სეპარატისტების უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სამშვიდობოების საგუშაგოს და სოფელ ერედვში, რის შედეგადაც საკუთარი სახლის ეზოში დაიჭრა სოფელ ერედვის მცხოვრები 25 წლის ლაშა ბერუაშვილი.

2008 წლის 19 მარტს ქ. ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნაგავსაყრელს ათვალიერებდნენ და ვიდეო ფირზე იღებდნენ ეუთო-სა და გაერო-ს გარემოს დაცვის ექსპერტები. მათთან მივიდნენ „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები, რომლებმაც ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს და წაართვეს გადაღებული ვიდეო მასალა.

2008 წლის 27 მაისს 23:45 საათზე დიდი ლიახვის ხეობის სოფელ თამარაშენში განლაგებულ ქართველ სამშვიდობოების საგუშაგოს ცხინვალის მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრებმა. სროლა წარმოებდა რუსი სამშვიდობო პოსტის სიახლოვედან.

2008 წლის 9 ივნისს დაახლოებით 03.00 საათზე ზნაურის რაიონის სოფელ წნელისში ოსი სეპარატისტების უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრებმა, 1968 წ.დ. გია მეფარიძის (გაგლოევი) საცხოვრებელ სახლში, ცეცხლსასროლი იარაღიდან დაცხრილეს ადგილობრივი მცხოვრები, 1977 წ.დ. ვეფხია ძერანოვი.

2008 წლის 14 ივნისს დაახლოებით 23 საათზე ოსი სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირების წევრებმა ცეცხლი გაუხსნეს გორის რაიონის სოფლებს ნიქოზსა და ერგნეთს. ქართული მხრიდან საპასუხო სროლის შედეგად ქ. ცხინვალში დაიჭრა 3 პიროვნება: 62 წლის ზოია კულუმბეგოვა, 24 წლის არატ ნიკოლიანი და 18 წლის ალან ხოდოვი, რომელიც მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ადამიანების გატაცება, გაუჩინარება

2008 წლის 26 მარტს ოსი სეპარატისტების უკანონო შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენლები თავს დაესხნენ ქარელის რაიონის სოფელ ატოცის კუთვნილ მინდორში მომუშავე სამ გლეხს. ერთი მათგანი დაჭრეს, ხოლო ორი დაატყვევეს და

წაიყვანეს ოსური მხრის კონტროლირებად ტერიტორიაზე. ქართველი სამართალდამცველების ჩარევის შედეგად ისინი მოგვიანებით გაათავისუფლეს.

თავისუფლების უკანონო აღკვეთის, თვითნებური დაკავების ფაქტები

3 მაისს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის მახლობლად, ღრომის ხეობის შესასვლელში, ოსი სეპარატისტების უკანონო შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენლებმა დააკავეს დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ა. ვარდი, აშშ-ს მოქალაქეები ე. ლესენი და რ. პეარკი, რომლებიც სტუდენტები არიან და მასპინძელთან, რ. უზნაძესთან ერთად ათვალიერებდნენ სოფ. მეჯვრისხევის შემოგარენს. მოგვიანებით, ეუთო-ს და სამშვიდობოების ჩარევის შედეგად ისინი გაათავისუფლეს.

დევნილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა

,,იძულებით გადაადგილებული პირები, საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, თანასწორობის საფუძველზე უნდა სარგებლობდნენ იგივე უფლებებითა და თავისუფლებები, რითიც სარგებლობენ სხვა პირები თავიანთ ქვეყანაში. მათ არ უნდა შეეზღუდოთ უფლებები და თავისუფლებები იძულებით გადაადგილების გამო"[53]

ზოგადი შეფასებები

2008 წლის I ნახევრის მანძილზე დევნილთა უფლებების დაცვის პრობლემურ მხარეებად გამოიკვეთა დევნილების უფლებების დაცვა კოლექტიური ცენტრების პრივატიზაციის პროცესში, გადამისამართების პრობლემა, კერძო სექტორში განსახლებულ დევნილთა დროებითი საცხოვრებლით დაკმაყოფილებისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხები. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემების თანახმად, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციისა და დევნილთა სოციალური მდგომარეობის გამოსწორებისაკენ. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სფეროში მრავალი პრობლემური და რიგ შემთხვევაში თითქმის გადაუჭრელი საკითხი რჩება. აღსანიშნავია, რომ დევნილები მათთან დაკავშირებულ ინიციატივებს ხშირად უნდობლობას უცხადებენ, თუმცა მათი ნდობის ფაქტორი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა. მიუხედავად ამისა, საჭიროა მათთან დაკავშირებულ ინიციატივებში დევნილთა მეტი ჩართულობა და ასეთი ინიციატივებისა და პროცესების გამჭვირვალობა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით სამინისტროში მუშავდება პროექტი, რომლის დასრულების შემდეგაც, სამინისტროს ექნება ცხელის ხაზის გამართული სისტემა, რომელიც გააუმჯობესებს სამინისტროს კომუნიკაციას დევნილებთან. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას და თავის მხრივ გამოთქვამს მზადყოფნას, მაქსიმალურად ითანამშრომლოს როგორც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, ასევე ნებისმიერ სხვა სამთავრობო დაწესებულებასთან, რათა შეიტანოს პოზიტიური წვლილი დევნილების, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სოციალური ჯგუფის მდგომარეობის გამოსწორების საქმეში.

საცხოვრებლის უფლება

2008 წლის I ნახევარში იმატა დევნილთა განცხადებებმა საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. განცხადებების უმეტესობა იყო კერძო სექტორში განსახლებული დევნილებისგან, რომელებიც სახელმწიფოს არასოდეს დაუკმაყოფილებია დროებითი საცხოვრებელი ფართით. ეს დევნილები ცხოვრობენ ნაქირავებ ფართში ან ნათესავებთან. დევნილთა უმეტესობა თვითდასაქმებულია, ან მათი ოჯახის შემოსავალს წარმოადგენს პერიოდული სამუშაოდან მიღებული

[53] ,,სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ" 1998 წ.

შემოსავალი. სახელმწიფოს მიერ მათზე გაცემული ყოველთვიური შემწეობა ფაქტობრივად წარმოადგენს სიმბოლურ თანხას, რომელიც ადამიანის ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას არ იძლევა, რომ არაფერი ვთქვათ ბინის ქირის გადახდაზე. კერძო სექტორში განსახლებული დევნილების ასეთ კატეგორიას საცხოვრებლის გარეშე დარჩენის მუდმივი საფრთხე ემუქრება.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, დევნილებს „უზრუნველყოფენ დროებითი საცხოვრებლითა და სურსათით საქართველოში დაწესებული ნორმის ფარგლებში", ხოლო „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად, „უზრუნველყოფენ საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებლითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით." ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში".

სახელმწიფოს ვალდებულება საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაზღვრულია ასევე რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტით. კერძოდ, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე–11 მუხლის I პუნქტის შესაბამისად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეს - ბინა, აგრეთვე უფლებას - განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს (ეს პაქტი საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან).

აღნიშნული პაქტის განმარტების ოფიციალური ორგანო ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტია და მის მიერ გამოცემულ ზოგად კომენტარებს - პაქტის იმპლემენტაციისათვის სახელმძღვანელო პრინციპების მნიშვნელობა ენიჭება. კომიტეტმა #4 ზოგად კომენტარში განაცხადა: ,,ადამიანის უფლება სათანადო საცხოვრებელზე ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებისათვის", ,,საცხოვრებლის უფლება განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებებთან და იმ ფუნდამენტალურ პრინციპებთან, რომელზეც პაქტია დაფუძნებული."

ამრიგად, შესაბამის პირთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება სახელმწიფოს არა მხოლოდ შიდა კანონმდებლობით, არამედ საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი ვალდებულებაცაა.

2008 წლის I ნახევარში დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების მოთხოვნით, სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს. აღსანიშნავია, რომ თითოეულ

შემთხვევაში ხდებოდა დევნილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება და რეკომენდაციები მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემოდა. სამინისტროდან მოსული პასუხები იყო აბსოლუტურად იდენტური. კერძოდ, სამინისტროს განმარტებით, თბილისში ფაქტობრივად აღარ არსებობს თავისუფალი საბინაო ფონდი და შესაბამისად, დევნილთა დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით არის შეუძლებელი. დევნილთა განცხადებები სამინისტროს მიერ აყვანილია კონტროლზე.

ჩვენთვის ცნობილია თავისუფალი საცხოვრებელი ფართის მოძიების კუთხით ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარება. მაგრამ აშკარაა, რომ საანგარიშო პერიოდში სამინისტრო ვერ ასრულებდა კანონით მასზე დაკისრებულ მოვალეობას, განასახლოს დევნილი დროებით საცხოვრებელ ფართში. შესაბამისად, აუცილებელია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით რთული ვითარება გაანალიზოს და პრობლემის გადაჭრის გზები დასახოს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამინისტრო გეგმავს გამოავლინოს და აღრიცხოს მიტოვებული და ნახევრად აშენებული შენობები. შეაკეთოს აღნიშნული ნაგებობები და შეასახლოს იქ განსაკუთრებით გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი დევნილები. სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, ყოველივე ეს სავარაუდოდ განხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე, თუმცა შესაძლოა მოხდეს დევნილების მხრიდან სიმბოლური შენატანების გაკეთება. აღნიშნული ინიციატივა შემუშავების სტადიაშია. შენობების გამოვლენა-აღრიცხვა სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით უკვე დაწყებულია. თუმცა 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შემდეგ აღნიშნული პროექტი სავარაუდოდ შეჩერებულია.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით მოხდეს შექმნილი რთული სიტუაციის გაანალიზება და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა.

კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტების პრივატიზაცია

2008 წლის I ნახევარში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად დევნილებით განსახლებული ობიექტების პრივატიზაციისას მათი უფლებების დაცვა გახდა. სახელმწიფოს მიერ ხდება მის საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვა, ხშირად ასეთი ობიექტები დევნილებითაა განსახლებული. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, პრივატიზაციისას დევნილების უფლებები ხშირად ირღვევა. კოლექტიური ცენტრების პრივატიზების შესახებ დევნილები პროცესის დასრულების შემდეგ იგებენ. დევნილთა მიერ მათი კოლექტიური ცენტრების პრივატიზაციის შესახებ ინფორმაციის უქონლობის პრობლემის არსებობას აღიარებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროც.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პრივატიზაციის პროცესში დევნილთა უფლებების მარეგულირებელ სპეციალურ ნორმებს. თუმცა ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ის მუხლები, რომლებიც არეგულირებენ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში დაინტერესებული მესამე მხარის უფლებებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე საპრივატიზაციო ხელშეკრულება წარმოადგენს ტიპურ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. შესაბამისად, პრივატიზაციისას უნდა გამოვიყენოთ საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" ის მუხლები, რომლებიც არეგულირებს დაინტერესებული მესამე მხარის პროცესში ჩართვას.

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 67-ე მუხლის მიხედვით, დაინტერესებული მესამე მხარის უფლებები ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან მიმართებაში მოიცავს შემდეგს:

1. უფლებას იყოს ინფორმირებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე;
2. უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრება ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე;
3. ადმინისტრაციული ხელშეკრულება რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის წერილობითი თანხმობის შემდეგ.

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" ზემოხსენებული ნორმები ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა" შესახებ კანონის მე-5 მუხლთან ერთად ქმნიან სამართლებრივ მოთხოვნას გამოსახლების პირობებზე დევნილთა წინასწარი წერილობითი თანხმობის აუცილებლობის შესახებ. თუმცა, როგორც წესი, ინვესტორები დევნილებთან წინასწარი მოლაპარაკებების გარეშე ცალმხრივად აყალიბებენ კომპენსაციის/გამოსახლების პირობებს და დევნილებს აყენებენ ფაქტის წინაშე. მისასალმებელია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ჩართულობა პრივატიზაციის პროცესში, თუმცა აუცილებელია მოლაპარაკებების პროცესში დევნილთა ჩართულობა იყოს მაღალი და პროცესი იყოს ორმხრივი.

კოლექტიური ცენტრების პრივატიზაციისას გამოიკვეთა მეორე სერიოზული პრობლემა. კერძოდ, დადგენილი პროცედურის თანახმად, საპრივატიზაციო ობიექტში მცხოვრებ დევნილთა რაოდენობის შესახებ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ინფორმაციას იღებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან. სამინისტრო თავის მხრივ სიების გადაცემისას ეყრდნობა საკუთარ მონაცემთა ბაზას. აქ წარმოიშობა კიდევ ერთი პრობლემა. ხშირად აღნიშნული სიები არის არასრული. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემთა ბაზა არ არის სრულყოფილი და არ შეესაბამება რეალობას. ასეთი პრობლემის არსებობას თავად სამინისტროც ადასტურებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ 2007 წლის II ნახევრის ანგარიშში, დევნილთა სავალდებულო რეგისტრაციის პროცესმა სერიოზული ხარვეზებით ჩაიარა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის #124 ბრძანებით დამტკიცებული იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის შესახებ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი"

ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის მოწმობის ერთ-ერთი რეკვიზიტია დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი. მოწმობის ეს ჩანაწერი მნიშვნელოვან შედეგებს წარმოშობს დევნილისათვის - მის მფლობელობას კონკრეტულ საცხოვრებელ ფართზე აქცევს მართლზომიერად და ქმნის ლეგალურ საფუძველს მითითებულ ადგილას ცხოვრებისათვის. ასეთ შემთხვევებში დევნილი დაცულია გამოსახლების პროცესებში, ასევე სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას.

დევნილის მოწმობას მნიშვნელობა აქვს საარჩევნო სამართალშიც და, შესაბამისად, მას უკავშირდება განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების დადგომა. თავის მხრივ, სახელმწიფო ამგვარად უზრუნველყოფს მასზე შიდა კანონმდებლობით დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებებს და დევნილებს უქმნის საკმარის სამართლებრივ საფუძველს კონკრეტულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრებისათვის, ასევე აძლევს მათ შესაძლებლობას, დავის შემთხვევაში წარადგინონ მტკიცებულებები სათანადო სახელმწიფო ორგანოებში. უმთავრესი პრობლემა დევნილთა რეგისტრაციის პროცესში კი სწორედ დევნილთა სამისამართო გრაფაში შეცდომით შეტანილი მონაცემები იყო. დევნილი, რომელიც სრულიად კანონიერად იკავებს კოლექტიურ ცენტრში გარკვეულ ფართს, სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება ამ მისამართზე. ასეთი კატეგორიის დევნილები თავისთავად არ ფიგურირებენ ლტოლვილთა და განსახლების სამინიტროს მიერ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის მიწოდებულ სიებში, რაც შემდგომ აღნიშნული პირების მიერ კომპენსაციის მიღებას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის. კერძოდ, იმის გამო, რომ სამინისტრომ ვერ უზრუნველყო დევნილის მიერ კოლექტიურ ცენტრში კანონიერად ყოფნის ფორმალიზება, მას ემუქრება უსახლ - კაროდ, კომპენსაციის გარეშე დარჩენა.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, სამინისტროში განიხილება ინიციატივა კოლექტიური ცენტრების გასაყიდი ფასის შემცირების შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემს ინვესტორს, გამოთავისუფლებული თანხები მიმართოს ობიექტში განსახლებულ დევნილთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ლტოლვილთა და განსახლების და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები შეთანხმდნენ, რომ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში არ შევა არც ერთი კოლექტიური ცენტრი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინასწარი თანხმობის გარეშე. განიხილება ყველა კოლექტიური ცენტრის საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების საკითხი. დასაშვები იქნება იმ ობიექტების პრივატიზაცია, რომელთა მაცხოვრებლებიც (დევნილები) თანახმა არიან, მოხდეს ობიექტის პრივატიზაცია. ასევე განიხილება დევნილებისთვის კოლექტიური ცენტრების პირდაპირი წესით მიყიდვის შესაძლებლობაც, როცა მათ საშუალება ექნებათ ობიექტი შეისყიდონ საბაზრო ფასზე შედარებით მცირე ფასად. აღნიშნული ინიციატივები მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება პრივატიზაციის პროცესის გაუმჯობესებისაკენ.

რეკომენდაცია: აუცილებელია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავოს მექანიზმი, რათა პრივატიზაციის პროცესში დაცული იყოს ამ კატეგორიის დევნილების უფლებები.

დევნილთა რეგისტრაცია

2007 წლის II ნახევრის საპარლამენტო ანგარიშში ვრცლად იყო მიმოხილული დევნილთა სავალდებულო რეგისტრაციისას არსებული ხარვეზები. 2008 წლის I ნახევარში სახალხო დამცველს განცხადებებით მიმართეს დევნილებმა, რომლებიც ითხოვდნენ რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომების გასწორებასა და მათ გადამისამართებას ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილზე. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განმარტებით, საკითხი ცნობილია სამინისტროსათვის და მიმდინარეობს მუშაობა ხარვეზების გამოსასწორებლად. სამინისტროს მონაცემთა ბაზა არის მოძველებული და ვერ ასახავს რეალურ სიტუაციას. ხშირია შემთხვევები, როდესაც სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დევნილს უფიქსირდება ძველი საცხოვრებელი მისამართი და რეგისტრაციისას არასწორი მისამართი შეცდომით აისახება დევნილთა მოწმობებში. იძულებით გადაადგილებულ პირთა მოწმობაში არსებულ ჩანაწერს კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დევნილებთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების დროს.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, ქ-ნ თამარ მარტიაშვილს პირად კონტროლზე აიყვანოს დევნილთა რეგისტრაციის პროცესი, უშუალოდ ჩაერთოს ყველა იმ განცხადების განხილვაში, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ პროცესში გამოვლენილ დარღვევებთან.

კერძო სექტორში განთავსებულ დევნილთა უფლებები

კერძო სექტორში განსახლებული დევნილების სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავებულია კოლექტიურ ცენტრებში ჩასახლებული დევნილების მდგომარეობისაგან. კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები საზოგადოებაში უკეთ არიან ინტეგრირებულნი. მეორეს მხრივ, მათი ნაწილი უფრო რთულ პირობებში იმყოფება, ვიდრე კოლექტიურ ცენტრებში განსახლებული დევნილები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით არ არსებობს მათი მოთხოვნილებების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაცია. აუცილებელია კერძო სექტორში განსახლებულ დევნილთა პრობლემების შესწავლა. როგორც თავად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები ადასტურებენ, დღეისათვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არ გააჩნია ინფორმაცია კერძო სექტორში ჩასახლებულ დევნილთა საცხოვრებელი პირობების შესახებ.

კერძო სექტორში განსახლებულ დევნილთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას იძულებითი გამოსახლებისაგან დაუცველობა წარმოადგენს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანებამ უზრუნველყო კოლექტიურ ცენტრებში კანონიერად განსახლებულ დევნილთა დაცვა იძულებითი გამოსახლებისაგან. მაგრამ ეს ბრძანება იცავს მხოლოდ იმ დევნილებს, რომლებიც ცხოვრობენ კოლექტიურ ცენტრებში და არ ვრცელდება კერძო სექტორში განსახლებულ პირებზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს კოლექტიური ცენტრის განმარტება, რაც დევნილთა კიდევ ერთ ჯგუფს ტოვებს დაუცველს. დევნილებს, რომლებიც ცხოვრობენ "ფაქტობრივ" კოლექტიურ ცენტრებში და რომლებსაც არ გააჩნიათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მინიჭებული კოლექტიური ცენტრის "ფორმალური" სტატუსი. ასეთ შენობაში მცხოვრები დევნილები მიიჩნევიან კერძო სექტორში მაცხოვრებლებად.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები ადასტურებენ აღნიშნული პრობლემის არსებობას. მათი განმარტებით, ყველა იმ კოლექტიურ ცენტრს, რომლის რეგისტრაციაც მოხდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მმართველობის შეცვლის შემდეგ, ოფიციალურად მიენიჭა კოლექტიური ცენტრის სტატუსი მინისტრის ბრძანების საფუძველზე. ძველი კოლექტიური ცენტრების სტატუსის საკითხი კი კვლავაც გადასაჭრელია. ამ კუთხით ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ,,ფაქტობრივ" კოლექტიურ ცენტრებში განსახლებული დევნილები შემწეობის სახით იღებენ 14 ლარს და ამის გამო მათი შენობა არ მიიჩნევა კოლექტიურ ცენტრად, მიუხედავად იქ განსახლებულ დევნილთა რაოდენობისა.

რეკომენდაცია: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეისწავლოს კერძო სექტორში განსახლებული დევნილთა საცხოვრებელი და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

შემუშავდეს დევნილთა ,,კოლექტიური ცენტრის" სრულყოფილი განმარტება და ყველა იმ ცენტრს, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მიენიჭოს ,,კოლექტიური ცენტრის" სტატუსი.

დევნილთა სოციალური უფლებების დაცვა

ა. ყოველთვიური შემწეობები

კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება დევნილთა ყოველთვიური შემწეობები. „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „დევნილი იღებს ყოველთვიურ შემწეობას."

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, 2008 წლისათვის ორგანიზებულად ჩასახლებულ ერთ დევნილზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა განისაზღვრა 11 ლარის, ხოლო კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილზე – 14 ლარის ოდენობით. ამ კუთხით დღემდე არანაირი ცვლილება არ მომხდარა. ნათელია, რომ აღნიშნული შემწეობა დევნილთათვის სიმბოლურ თანხას წარმოადგენს, რომელსაც დევნილის მატერიალურ მდგომარეობაზე არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას, გადაისინჯოს დევნილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა, შემუშავდეს გეგმა, რომელის გამხორციელების შედეგადაც შესაძლებელი გახდება შემწეობის ეტაპობრივი ზრდა და საარსებო მინიმუმთან მიახლოვება. ან, შემუშავდეს დევნილებისათვის ერთდროული კომპენსაციის მიცემის პროგრამა.

ბ. საყოფაცხოვრებო საკითხები

„იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის დაწესებულებებთან ერთად, რომლებიც „ეხმარებიან დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში.“

სახელმწიფოს ვალდებულება სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაზღვრულია „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე–11 მუხლის I პუნქტით, რომლის თანახმადაც, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ბინა, აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს (ეს პაქტი საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან).

აღნიშნული პაქტის განმარტების ოფიციალურმა ორგანომ ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა, უშუალოდ საცხოვრებლის უფლებასთან მიმართებით, მეექვსე სესიაზე მიღებულ #4 ზოგად კომენტარში განაცხადა: ,,ადამიანის უფლება სათანადო საცხოვრებელზე ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებისათვის“, ,,საცხოვრებლის უფლება განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებებთან და იმ ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომლებზეც პაქტია დაფუძნებული.“

ამრიგად, შესაბამის პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შიდა კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებაა.

ლიმბურგის პრინციპებში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის განხორციელების შესახებ მითითებულია, რომ ,,მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტში მოცემული რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე პაქტის დარღვევას წარმოადგენს.“ ,,მონაწილე სახელმწიფო პაქტს არღვევს, თუ... იგი: ვერ დგამს ნაბიჯებს, რომელიც პაქტის საფუძველზე მოეთხოვება“. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის განხორციელების შესახებ მაასტრიხტის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, პაქტის მიერ დაკისრებული

ვალდებულების ,,დარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც ის ხდება.“

2008 წლის 24 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა თამარ პირტახიამ. განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები არიან აფხაზეთიდან დევნილები.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ თამარ პირტახიას ოჯახი ამჟამად ცხოვრობს ქ.ქობულეთში მდებარე დასასვენებელ სახლ ,,ქობულეთში“. მათ აღნიშნული ფართი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 ივნისის განჩინებით დაიკავეს. ვინაიდან იგი საცხოვრებლად უვარგისი იყო, განმცხადებლის ოჯახმა მისი შეკეთება საკუთარი სახსრებით სცადა, თუმცა მასში დღემდე გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობებია.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს, რომელშიც მიუთითებდა, რომ დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შიდა კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებაა. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თამარ პირტახიას ოჯახი სათანადო საცხოვრებელი პირობებით.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან რეკომენდაციის პასუხად მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ სამინისტროს არ გააჩნია თავისუფალი ფართი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა განმცხადებლის დროებით ჩასახლება. წერილის თანახმად, თამარ პირტახიას ოჯახი აყვანილია აღრიცხვაზე და თავისუფალი ფართის მოძიების შემდგომ შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე განხილული იქნება მათი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხი. ასევე აღნიშნული იყო რომ, ,,სასამართლოს შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში, სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას უშუალოდ ჩაერთოს სასამართლო პროცესში მესამე მხარედ, აფხაზეთიდან დევნილ თამარ პირტახიას ოჯახის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით“.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა რეკომენდაციით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს და განუმარტა, რომ: ,,რეკომენდაციაში საუბარი იყო არა განმცხადებლის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე, არამედ მისი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე“

რეკომენდაციები და წინადადებები

1. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების კუთხით შექმნილი რთული სიტუაცია გაანალიზდეს და პრობლემის გადაჭრის გზები დაისახოს.

2. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პრივატიზაციის პროცესში იმ დევნილების უფლებების დაცვას, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ კომპაქტური ჩასახლების ობიექტში და სამინისტროს მიერ ჩატარებული სავალდებულო რეგისტრაციისას უფიქსირდებათ არასწორი მისამართი.

3. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეისწავლოს კერძო სექტორში განსახლებულ დევნილთა საცხოვრებელი და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

4. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავდეს დევნილთა ,,კოლექტიური ცენტრის" სრულყოფილი განმარტება და ყველა იმ ცენტრს, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მიენიჭოს ,,კოლექტიური ცენტრის" სტატუსი.

5. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დაჩქარდეს იმ დევნილთა გადამისამართების პროცესი, რომელთა უფლებებიც დაირღვა დევნილთა სავალდებულო რეგისტრაციისას

6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, გამოძებნოს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება გალის რაიონში მცხოვრები დევნილების განცხადებების განხილვა და მათი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება.

7. საქართველოს მთავრობის მიერ გადაისინჯოს დევნილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა. შემუშავდეს სამოქმედო გეგმა რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება დევნილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობის ზრდა ან, შემუშავდეს დევნილებისათვის ერთდროული კომპენსაციის მიცემის პროგრამა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის საჯაროობა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის ერთ-ერთი საუკეთესო მონაპოვარია და მისი იზოლაცია, უგულებელყოფა სწორედ ამ პრინციპებისა და ღირებულებების ხელყოფად უნდა შეფასდეს.

მოქალაქეები თუ სხვადასხვა ორგანიზაციები უთითებენ არათუ ვადების დარღვევით საჯარო ინფორმაციის მიღებაზე, ხშირად მათთვის თითქმის შეუძლებელი ხდება ამა თუ იმ საჯარო ინფორმაციის მიღება. არის შემთხვევები, როცა მოცულობითი ინფორმაციის მოთხოვნისას სტრუქტურებიდან მიღებული პასუხი ზედაპირული და არასრულყოფილია. ისინი მიუთითებენ იმ ვებ-გვერდებზე, სადაც ამ ინფორმაციის მოპოვება არის შესაძლებელი, მაშინ, როცა მოქალაქეს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, უფლება აქვს, თვითონ აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა.

საჯარო ინფორმაციის გავრცელებისა და გაცემისას ყველაზე მთავარი სწორედ რომ მისი დროულად და კანონით დადგენილ ვადებში გაცემაა, რადგან დაგვიანებამ და დროის გაჭიანურებამ შესაძლოა ამა თუ იმ ინფორმაციას აქტუალობა და ღირებულება დაუკარგოს.

საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, თუ ის დადგენილი წესის მიხედვით არ არის გასაიდუმლოებული, საჯარო ხასიათისაა, შესაბამისად, ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესებს საჯარო ინფორმაციის გაცემის კონკრეტულ წესსა და ვადებს. იმისათვის, რომ პირმა მიიღოს სასურველი საჯარო ინფორმაცია, მან უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება შესაბამის საჯარო დაწესებულებაში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ ან კონკრეტული გარემოებების არსებობისას არაუგვიანეს 10 დღისა. თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინფორმაციის სწრაფი გაცვლა, ამიტომ ინფორმაცია საჯარო დაწესებულებიდან უნდა გაიცეს **დაუყოვნებლივ**. ეს კი ნიშნავს, რომ ინფორმაცია უნდა გაიცეს მოთხოვნისთანავე, ანუ განცხადება რეგისტრაციის დღესვე უნდა მოხვდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელიც კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას. აღსანიშნავია, რომ ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დანიშნოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემა შეუძლებელია დაუყოვნებლივ მისი მოცულობისა თუ კანონით გათვალისწინებული სხვა მიზეზების გამო, დაწესებულებას შეუძლია, გამოიყენოს 10 დღიანი ვადა, ოღონდ ამის შესახებ ასევე დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს განმცხადებელს.

ყურადსაღებია, რომ დასახელებული წესები იმპერატიულია და ისინი სავალდებულოა ყველა საჯარო დაწესებულებისათვის.

უნდა ითქვას, რომ კანონის იმპერატიული მოთხოვნები არ არის დაცული ყველა საჯარო დაწესებულების მიერ. ადმინისტრაციულ ორგანოებში თითქმის ყველგან არის დანიშნული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა ისინი არ არიან დამოუკიდებელნი თავიანთ გადაწყვეტილებაში. ისინი ვერ გასცემენ ინფორმაციას საკუთარი პასუხისმგებლობით - დადგენილი წესის თანახმად, მათ მიერ მომზადებულ პასუხებს სჭირდება ზემდგომის თანხმობა ან ხელმოწერა, ვინაიდან, ზოგიერთ შემთხვევაში, პასუხისმგებელ პირად დანიშნულია ის თანამშრომელი, რომელსაც არ გააჩნია ხელმოწერის უფლება.

რასაკვირველია, ამდენი ბიუროკრატია იწვევს კანონით დადგენილი ვადის დარღვევას, სადაც მითითებულია, რომ საჯარო ინფორმაცია **დაუყოვნებლივ** უნდა გაიცეს. სწორედ ამის გამოა, რომ საჯარო ინფორმაციის მიღებას მოქალაქე ხშირად თვეობით ელოდება. ამის თაობაზე არაერთი რეკომენდაციაა გაგზავნილი სხვადასხვა უწყებებში, თუმცა მდგომარეობა თითქმის უცვლელი რჩება.

მნიშვნელოვან სირუთლეს წარმოადგენს ინფორმაციის მიღება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებებიდან და საქართველოს პროკურატურის ორგანოებიდან.

საქართველოს შს სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ დადგენილი შიდა წესის თანახმად, მათ დაქვემდებარებაში არსებული ორგანოებიდან ინფორმაციის გაცემა დასაშვებია მხოლოდ ცენტრალიზებული წესით. მაგალითად, თუ ინფორმაციის მიღების მიზნით მოქალაქე ან ორგანიზაცია (მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატი) მიმართავს რომელიმე რაიონულ პროკურატურას ან პოლიციის სამმართველოს, პასუხი შეიძლება მივიღოთ შსს-ს ადმინისტრაციისგან ან გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოდან, ვინაიდან წერილები ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, მომზადებულ პასუხებთან ერთად, ეგზავნება არა ადრესატებს, არამედ ზემდგომ ორგანოებს, რომლებიც ამ ინფორმაციების გაცემას უზრუნველყოფენ. აღნიშნული წესის დაცვით ირღვევა კანონით დადგენილ ვადები და ინფორმაციის მიღება ყოველთვის ჭიანურდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა სწორედ ასეთივე პრაქტიკას იყენებს სახალხო დამცველთან ურთიერთობაშიც, რის გამოც ინფორმაციის მოწოდება არასოდეს ხდება „სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 23-ე მუხლით დადგენილ 15 დღის ვადაში. უფრო მეტიც, თანამდებობის პირები, რომლებიც დასახელებული კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ვალდებულნი არიან, პირადად მისცენ ახსნა-განმარტება, საბუთები, მასალები, დოკუმენტები თუ სხვა ინფორმაცია სახალხო დამცველს, უგულებელყოფენ ორგანული კანონის ნორმებს და განუხრელად იცავენ ზემდგომის მიერ დადგენილ წესებს.

ვინაიდან ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში ძალიან ხშირია და არ სრულდება სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნა დადგენილ ვადაში, სახალხო დამცველი მიმართავს ადმინისტრაციულ ბერკეტებს და ხშირად თანამდებობის პირების მიმართ

ადგენს სამართალდარღვევის ოქმს, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[1] მუხლით.

სახალხო დამცველის აპარატი მუდმივად ადევნებს თვალყურს ადმინისტრაციული ორგანოებიდან ინფორმაციის დაუბრკოლებელი და დროული გაცემის საკითხებს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ეუთოს ფინანსური მხარდაჭერით დაბეჭდილი საინფორმაციო პლაკატები თითქმის მთელ საქართველოშია გამოკრული ადმინისტრაციულ ორგანოებში. პლაკატი შეიცავს მოკლე და საჭირო ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის მიღების წესებსა და ვადებზე და მოქალაქეებს ამცნობს, რომ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას. ინფორმაციის ღიაობის თაობაზე აღსანიშნავია სახალხო დამცველის აპარატის სხვა საგანმანათლებლო აქტივობებიც.

28 სექტემბერს აღინიშნება ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე. ამ თარიღთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა 2006 წელს - რუსთავის #4 და 2007 წელს - გურჯაანის #2 საჯარო სკოლაში ჩაატარეს ღია გაკვეთილი უფროსკლასელთათვის საჯარო ინფორმაციის შესახებ, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის შენობაში გამოაკრეს პლაკატი, ხოლო 2007 წელს, დღის მეორე ნახევარში, შედგა მრგვალი მაგიდა სახალხო დამცველის აპარატში, რომელსაც ესწრებოდნენ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებიდან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ის ძირითადი პრობლემები, რის თაობაზეც განმცხადებლები ყველაზე ხშირად მიმართავენ სახალხო დამცველს.

როგორც აღვნიშნეთ, მოქალაქეთა უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევაა. შეხვედრის დასასრულს გაირკვა, რომ ამ პრობლემის საფუძველი არის ორგანიზაციული მოუწესრიგებლობა თითოეული დაწესებულების შიგნით საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებით, რის თაობაზეც ზემოთ აღვნიშნეთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპარლამენტო გამოსვლების დროს სახალხო დამცველმა მიმართა ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ მოაწესრიგოს ამ კუთხით არსებული პრობლემები თავისი დაწესებულების შიგნით, რათა დაცული იქნეს ადამიანის კონსტიტუციით დადგენილი უფლება ინფორმაციის თავისუფალი მიღების თაობაზე. თუმცა, ამ კუთხით რომ სიტუაცია უცვლელია, ამას მოწმობს თუნდაც მოქალაქე დაჩი ცაგურიას საქმე (იხ.დანართი).

ამასთანავე, სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმართა წინადადებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეიტანოს ცვლილება, რომლის თანახმადაც საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და დამრღვევ ორგანიზაციას, სასამართლოს მიერ ინფორმაციის გაცემასთან ერთად, დაეკისრება ფინანსური სანქციებიც, თუმცა ასეთი ცვლილებები საქართველოს პარლამენტს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში არ განუხორციელებია.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

„პიროვნების ჭეშმარიტი თავისუფლება ვერ განხორციელდება ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის გარეშე. „გაჭირვებული ადამიანი ვერ იქნება თავისუფალი პიროვნება“. მშიერი და უმუშევარი ადამიანი ის მასალაა, რომლისგანაც დიქტატურა ყალიბდება“.

ფრანკლინ დელანო რუზველტი

სოციალური უზრუნველყოფის შესახებ საკითხები

პენსიები

საერთაშორისო სამართალში ეკონომიკური და სოციალური უფლებები მრავალ დეკლარაციასა და კონვენციაში მოიპოვება. თავდაპირველად მათ ასახვა ჰპოვეს 1948 წლის 10 დეკემბრის გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“. ხოლო 1966 წლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი წარმოადგენს ამ უფლებათა უფრო ფართო ერთობლიობას. ეკონომიკური და სოციალური უფლებები ასევე თავმოყრილია ადამიანის უფლებათა მთელ რიგ საერთაშორისო და რეგიონულ კონვენციებსა და ხელშეკრულებებში, რომელთა მიზანია დისკრიმინაციის აღმოფხვრა და საზოგადოების დაუცველი ჯგუფების დაცვა. აღნიშნული ხელშეკრულებები სავალდებულო ხასიათს ატარებს და ხელშეკრულებების ვალდებულებებიდან გამომდინარე, სახელმწიფოების - საერთაშორისო აქტების ხელშემკვრელი მხარეების მიერ - კეთილსინდისიერად უნდა სრულდებოდეს.[54]

სოციალური უზრუნველყოფის უფლება მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს, მით უფრო მაშინ, როდესაც პირს არა აქვს ქონება, ან როდესაც უმუშევრობის, ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო მას არ შეუძლია, შრომით უზრუნველყოს ცხოვრების სათანადო პირობები.

სახელმწიფოთა მოვალეობაა სწორედ საერთაშორისო აქტების საფუძველზე აღებული ვალდებულებების, ანუ კონვენციებში დაცული უფლებების ეფექტურად განხორციელებისათვის სათანადო ზომების გატარება, სამართლებრივი ღონისძიებების ჩათვლით.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყველა სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით

---

[54] ვენის 1969 წლის კონვენციაში საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ: „ყველა მოქმედი ხელშეკრულების შესრულება სავალდებულოა მონაწილე მხარეებისათვის და მათი შესრულება კეთილსინდისიერად უნდა განხორციელდეს“.

მიიღოს ზომები ამ პაქტით აღიარებული ეკონომიკური და სოციალური უფლებების „თანდათანობითი, სრული განხორციელებისათვის“.

ფრაზა „თანდათანობითი, სრული განხორციელება“ სწორად უნდა იქნეს გაგებული. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის ზოგად კომენტარში (№3, 1990) მიუთითებს, რომ, თუმცა თანდათანობითი და სრული განხორციელების კონცეფციის არსებობა ნიშნავს იმ ფაქტის აღიარებას, რომ ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლების რეალიზება ვერ მოხდება მოკლე ვადაში, ეს ფრაზა განხილულ უნდა იქნეს საერთო მიზნის ჭრილში, რომლის მიხედვითაც, უნდა ჩამოყალიბდეს მონაწილე სახელმწიფოთა კონკრეტული ვალდებულებები, გადადგან ნაბიჯები ამ უფლებების განხორციელებისათვის შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში“.

ამდენად, სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ქმედითი ღონისძიებები პაქტით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციისათვის ყველა სათანადო საშუალებებით. სათანადო საშუალებები თავისთავად გულისხმობს ეკონომიკური და სოციალური უფლებების პოზიტიური სამართლებრივი ნორმების სახით იმპლემენტაციას. აღნიშნული მოიცავს როგორც ქვეყნის შიგნით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, ასევე რიგი სოციალური ღონისძიებების გატარებას და არა საკანონმდებლო ცვლილებების გზით ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის შეზღუდვას.

2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით ცალსახად განისაზღვრა, რომ „ორი ან მეტი საფუძვლით პენსიის მიღების უფლების წარმოშობის შემთხვევაში პირს პენსია ენიშნება მხოლოდ ერთი საფუძვლით, მისივე არჩევით“.

ამრიგად, მოცემულმა კანონმა ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ პირი ორი ან მეტი საფუძვლით პენსიის მიღების უფლების წარმოშობისას პენსიას მიიღებს მხოლოდ ერთი საფუძვლით, საკუთარი არჩევანისამებრ.

ზემოაღნიშნული კანონის მიღების შემდეგ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართავდნენ ის მოქალაქეები, რომელთაც შეეზღუდათ ორი სახეობის პენსიის მიღების უფლება, რამაც მკვეთრად გააუარესა მათი სოციალური მდგომარეობა. მათ შორის იყო მოქალაქე ამირან ნორაკიძე, რომელმაც 2006 წლის 18 დეკემბერს მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. იგი აღნიშნავდა, რომ იყო 75 წლის, ომში შვილდაღუპული და მარტოხელა პენსიონერი. განმცხადებელს ჰქონდა 50 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი. 1987 წლიდან იღებდა კუთვნილ პენსიას.

შვილის აფხაზეთის ომში დაღუპვის შემდეგ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც მშობელს, ამირან ნორაკიძეს დაენიშნა პენსია.

ამრიგად, მოქალაქე ამირან ნორაკიძე იღებდა ორი სახეობის პენსიას - მარჩენალის დაკარგვისა და მოხუცებულობის გამო შრომის წელთა ნამსახურობისათვის.

2005 წლის 23 დეკემბრის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მოქალაქე ამირან ნორაკიძეს შეეზღუდა ორი სახეობის პენსიის მიღება და შესაბამისად, გაუარესდა მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ამირან ნორაკიძის პრეტენზია არ იყო საფუძველს მოკლებული. 1996 წლის 27 დეკემბრის „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ოჯახებს ენიჭებათ ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებები და შეღავათები. დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათის, უპირატესობის, უფლების, დახმარების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნა მიღებული სხვა ტოლფასი აქტი.“

2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების პარალელურად ცვლილებები შეიტანა მთელ რიგ ნორმატიულ აქტებში. ცვლილებები შეეხო „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლსაც, რომლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნა მოცემული აქტიდან ისე, რომ სახელმწიფომ არ უზრუნველყო მე-2 პუნქტის მე-2 წინადადადების იმპერატიული დანაწესის განხორციელება. ანუ, სახელმწიფომ ადრე მოქმედი შეღავათის, უპირატესობის, უფლების, დახმარების გაუქმებისას ან გაუარესებისას არ მიიღო ტოლფასი სამართლებრივი აქტი. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული კანონის ნორმის ამოღება ცალსახად არ ათავისუფლებს სახელმწიფოს საერთაშორისო აქტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოვალეობისაგან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მართებს, თავი შეიკავოს იმგვარი ღონისძიებებისაგან, იქნება ეს საკანონმდებლო ცვლილების თუ სხვა სახის, რომლებსაც შედეგად გარკვეული ჯგუფის სოციალური უფლებების შეზღუდვა მოსდევს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული კანონის გაუქმებული ნორმების და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ანალიზი ცხადყოფს, რომ ახალმა ნორმატიულმა აქტმა გააუარესა არაერთი მოქალაქის, მათ შორის ამირან ნორაკიძის სოციალური მდგომარეობა, ვინაიდან მათ შეეზღუდათ უფლება, ერთდროულად მიეღოთ მარჩენალდაკარგულის და მოხუცებულობის გამო პენსია. მით უფრო, დაირღვა ტოლფასი სამართლებრივი აქტის მიღების შესახებ კანონის იმპერატიული მოთხოვნაც.

2008 წლის 19 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გ.კოპაძემ, 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის მონაწილემ, დაჯილდოვებულმა მედლით 1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის. მოქალაქე გ.კოპაძის განცხადება ზემოთ ხსენებული მაგალითის იდენტურია. ეს უკანასკნელიც ორი სახეობის პენსიის მიღების საკითხს შეეხებოდა.

საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 1996 წლის 16 ოქტომბრის „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მეშვიდე თავის მე–60 მუხლი, რომელიც პენსიონერთა გარკვეული კატეგორიისათვის ითვალისწინებდა ორი სახეობის პენსიის (ომის ინვალიდობის მიხედვით და მოხუცებულობის გამო (შრომის წელთა ნამსახურობისათვის)) ერთდროულად მიღების უფლებას, დღეისათვის გაუქმებულია 2005 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად.

2006 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი და კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ.“ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დანიშნულ პენსიას ეწოდა კომპენსაცია.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის მე–5 პუნქტში ერთმნიშვნელოვნად არის აღნიშნული, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის მიღება გამორიცხავს სახელწიფო პენსიის მიღების უფლებას.

ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო პენსიის ორი საფუძვლით მიღება დაუშვებელია. აღნიშნული უფლების (ორი სახეობის საპენსიო უზრუნველყოფის უფლების) გაუქმებამ მოქალაქეებს გაუუარესა სოციალური მდგომარეობა. საგულისხმოა ის ფაქტორიც, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოქალაქეთა იმ კატეგორიასთან, რომელთა წვლილი ჩვენი ქვეყნის წინაშე საკმაოდ დიდია და შესაბამისად ისინი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. აუცილებელია, სახელმწიფომ განახორციელოს როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პოზიტიურ სამართლად გარდაქმნა, ასევე კონსტიტუციით და კანონებით დაცულ უფლებათა რეალიზაციისათვის უზრუნველყოს ფართო ადმინისტრაციული და სოციალური ღონისძიებების გატარება.

სახელმწიფოს მიერ საზოგადოების სოციალურად დაუცველ ფენებზე ზრუნვა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციით და სხვა მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული ვალდებულებაა.

საქართველოს უზენაესი კანონი არ შეიცავს ჩანაწერს სოციალური დაცვის უფლების შესახებ, მაგრამ მოცემული უფლება თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან. ამის დასტურია კონსტიტუციის 39-ე მუხლი, რომლის თანახმად: „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „მოსარჩელეთა მოთხოვნები შეეხებოდა მათი იმ კატეგორიის სოციალური უფლებების დაცვას, რაც მართალია, ცალკე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობდა მისი პრინციპებიდან“[55].

სოციალური დაცვის უზრუნველყოფის უფლება გარანტირებულია მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტებით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლით აღიარებულია, რომ: „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის“.

აღნიშნული უფლების დამცველ აქტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გაეროს საერთაშორისო პაქტს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, რომელსაც საქართველო 1994 წლის 3 აგვისტოდან შეუერთდა.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლი მიუთითებს, რომ „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით“.

---

[55] 2002 წლის 18 აპრილის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, №1/1/126,/129,/158, (საქართველოს მოქალაქეები - (1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

აღსანიშნავია ისიც, რომ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, „გადადგას ნაბიჯები მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით აღიარებული უფლებების თანდათანობითი, სრული რეალიზაციისათვის“.

სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მათი ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, ყველა ადამიანისათვის უზრუნველყონ მინიმალურ საარსებო უფლებათა დაცვა.

სახელმწიფო, რომელიც ვერ ახორციელებს თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების ელემენტარული მინიმალური სოციალური უფლებების დაცვას, prima facie ვერ ასრულებს პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ნებისმიერი სახელმწიფოს მინიმალური ვალდებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს იმ შეზღუდვებს, რომელსაც იგი განიცდის რესურსების თვალსაზრისით. თუმცა, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს[56], რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადგილი აქვს რესურსების აშკარა ნაკლებობას, სახელმწიფოს მაინც ეკისრება ვალდებულება შექმნილ სიტუაციაში შეეცადოს მაქსიმალურად ფართოდ განახორციელოს შესაბამისი უფლებების უზრუნველყოფა.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს ის გარემოება, რომ სოციალური სქემების შეზღუდვა გამოწვეულია გარდაქმნებით, ეკონომიკის გაუარესებით, ბენეფიციართა რაოდენობის ზრდით, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებით და სხვა ფაქტორებით. მაგრამ მაშინაც კი, თუ სახელმწიფო შესძლებს რესურსების ნაკლებობის დასაბუთებას, ამის მიუხედავად, სახელმწიფო არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, შედარებით იაფი მიზნობრივი პროგრამების მეშვეობით განახორციელოს საზოგადოების განსაკუთრებით დაუცველი ფენების უზრუნველყოფა[57].

ანალოგიური უფლებები ასევე აღიარებულია ევროპის სოციალური ქარტიით, რომლის მე-12 მუხლში წერია: „სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ:

1.შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა;
3.მიიღონ ზომები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით.“

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველომ აღიარა სოციალური ქარტიის მე-12 მუხლის სწორედ 1 და 3 პუნქტები, რითაც იკისრა ვალდებულება, სოციალური

---

[56] სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #3 (მე-5 სესია 1990 წ. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულების ბუნება (მუხლი 2, პუნქტი 1) UN Doc E/1991/23, გვ. 83-87 პუნქტი 9

[57] იგივე პუნქტი 12

უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელების მიზნით, შექმნას და, რაც მთავარია, შეინარჩუნოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა და გააუმჯობესოს სტანდარტები ამ სფეროში.

საქართველოში სოციალურად დაუცველი ფენების სოციალური დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა საკმაოდ ხშირი ცვლილებებით ხასიათდება, რის გამოც მოცემულ სფეროში მიმდინარე რეფორმებს ზედაპირული და არათანმიმდევრული ხასიათი აქვს.

ჯერ კიდევ 1995 წლის 17 ოქტომბერს მიღებულმა კანონმა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საკმაოდ დიდი შეღავათები განსაზღვრა იმ ადამიანებზე, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში. ამ კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნებოდნენ:

- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათან გათანაბრებული პირები;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
- საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
- შეიარაღებული ძალების ვეტერანები.

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონითვე განისაზღვრა სხვადასხვა სახის შეთავათები[58], რაც ამ კატეგორიის პირთა სოციალური დაცვის გარანტიების შემადგენელი ნაწილი იყო. აღნიშნული შეღავათების სახეობები 1996 წლიდან მუდმივად მცირდებოდა.

2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, „კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ღატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოცემული კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ანუ, სხვა კატეგორიის პირები არ არის დადგენილი ამ კანონით. ამდენად, ვეტერანები „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში არ შედიან და შესაბამისად, მათზე ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური დახმარებები ვერ გავრცელდება. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ვეტერანზე გავრცელდება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არის ის

---

[58] საპენსიო უზრუნველყოფა, დახმარებების გაცემა, ტრანსპორტით უფასო სარგებლობა, წყლის, ნარჩენების გატანის და სხვა საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურებით უფასო სარგებლობა, სოციალური დაცვის დაწესებულებებით სარგებლობა, დახმარება შრომით მოწყობაში, სწავლაში, გადამზადებაში და სხვა.

შემთხვევა, როცა ვეტერანი საჭიროებს სპეციალურ მზრუნველობას, ცხოვრობს ღატაკ ოჯახში ან არის უსახლკარო.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების შეღავათები: წყლის, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანის, გაზის, ელექტროენერგიის, ტელეფონის სააბონენტო გადასახადებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე ქალაქში საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) სარგებლობა, სოფლად - საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობა.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული შეღავათების ნაცვლად შემოღებულ იქნა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ცნება. მითითებული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „საყოფაცხოვრებო სუბსიდია არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურებისა და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად.“ ხოლო საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მიმღებ პირთა წრე, მისი დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები დარეგულირდა „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით. მოცემული დადგენილების მე-4 მუხლით, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ ქვემოთჩამოთვლილი კატეგორიის პირებს შემდეგი ოდენობით:

- მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდებს – ყოველთვიურად 44 ლარი;
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს – ყოველთვიურად 44 ლარი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს ასაკის მიუხედავად, აგრეთვე მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) – ყოველთვიურად 44 ლარი;
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს – ყოველთვიურად 22 ლარი;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს – ყოველთვიურად 22 ლარი;
- მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი), აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების

შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი) მეომრების ოჯახების შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს ასაკის მიუხედავად, მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომის-უუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) – ყოველთვიურად 22 ლარი;

- ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას დაინვალიდებულ პირებს – ყოველთვიურად 7 ლარი;
- ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს – ყოველთვიურად 7 ლარი.

აღსანიშნავი და საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს მონეტიზირებული თანხა საყოფაცხოვრებო სუბსიიდის მიმღებმა კატეგორიამ უნდა გაანაწილოს ელექტროენერგიაზე, გაზზე, კომუნალურ მომსახურეობაზე და ტრანსპორტზე, ანუ ყველა იმ შეღავათზე, რაც ადრე მოქმედი კანონით ცალ-ცალკე იყო გაწერილი და დაფინანსებული. ზედაპირულადვე ჩანდა, რომ გაუქმებული შეღავათების ადეკვატური ვერანაირად ვერ იქნებოდა თვიურად 44 ლარი, მაშინ როცა სახელმწიფო ამ მომსახურებისთვის, ადრე მოქმედი კანონის თანახმად, ერთ ვეტერანზე საშუალოდ ხარჯავდა 60 ლარს.

სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვალიფიციური შეფასებისათვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა დამოუკიდებელ ექსპერტს - დავით ნარმანიას (ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი), რომლის დასკვნაშიც ნათქვამია: „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისად, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების მიღებამ ცალსახად გააუარესა ვეტერანთა სოციალური მდგომარეობა ადრე არსებულთან შედარებით.

ვეტერანთა სოციალური მდგომარეობის გაუარესებას მოწვეული ექსპერტი ორი ფაქტორით ხსნიდა:

1. ადრე მოქმედი კანონმდებლობა საშეღავათო სფეროში ელექტროენერგიის გარდა მოიცავდა სხვა კომუნალურ მომსახურებასაც[59], ცვლილებათა შედეგად კი მხოლოდ ელექტროენერგიის საფასურის სუბსიდირების მონეტიზირებულ საფასურს იღებენ ვეტერანები;
2. ადრე მოქმედი კანონმდებლობის პირობებში თითოეული კატეგორიის ვეტერანი უფრო მეტ ფინანსურ სარგებელს იღებდა, ვიდრე ცვლილებების შემდეგ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 1995 წლის 17 ოქტომბრის „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი, „საქართველოს რესპუბლიკის ვეტერანებს ენიჭებათ ამ კანონით,

[59] წყლის, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანის, გაზის, ელექტროენერგიის, ტელეფონის სააბონენტო გადასახადებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე ქალაქის - საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) სარგებლობა, სოფლად - საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებები და შეღავათები. დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათების, უპირატესობების, უფლებების, დახმარების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნა მიღებული სხვა ტოლფასი აქტები'', მოგვიანებით 2005 წლის 23 დეკემბრის „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე'' №2458 საქართველოს კანონით გაუქმდა. აღნიშნული გარემოება გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები იმთავითვე მიზნად ისახავდა იმ მუხლებისა და პუნქტების გაუქმებას, რაც აწესებდა შეღავათებს ომის ვეტერანთა საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მომსახურეობაზე.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაშიც ომის ვეტერანებს გაუუქმდათ არსებული შეღავათები და, შესაბამისად, გაუარესდა მათი სოციალური მდგომარეობა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო აქტებით ნაკისრი ვალდებულებების შინაარსს და მიზნებს.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 13 მარტის №61 დადგენილება („სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე), რომლის შესაბამისად „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებას დაემატა მე-4[1] მუხლი შემდეგი რედაქციით: „თუ ამ წესისა და პრინციპების მე-4 მუხლით განსაზღვრული პირი ერთდროულად არის ერთზე მეტი სტატუსის მქონე, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოეშობა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება ერთზე მეტი საფუძვლით, პირს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვს მხოლოდ ერთი საფუძვლით – მისივე არჩევით".

ამდენად, განისაზღვრა, რომ ერთდროულად რამდენიმე სტატუსის ფლობისას საყოფაცხოვრებო სუბსიდიას პირი მიიღებს მხოლოდ ერთი საფუძვლით საკუთარი არჩევანისამებრ.

მოგვიანებით, 2007 წლის 26 ნოემბერს, ქ.თბილისის საკრებულომ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის განსახორციელებლად „რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებაში ცვლილებები შეიტანა, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებისა და უსინათლოებისათვის ქ. თბილისში საავტობუსო მარშრუტებზე და მეტროპოლიტენით მგზავრობაზე შეღავათები დააწესა. ანუ ხსენებული კატეგორიისათვის მგზავრობა მეტროპოლიტენით და ავტობუსით მხოლოდ თბილისის მასშტაბით გახდა უფასო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც არეგულირებს „სოციალური დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონი ეხება 22-ე მუხლს, რომლიც ფულადი სოციალური დახმარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს ადგენს. მოცემული მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, პირს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. თუმცა მე-2 პუნქტი კრძალავს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების

მეთოდოლოგიის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი დონისა და ფულადი სოციალური დახმარების ოდენობის გასაჩივრებას.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.

საქართველოს კონსტიტუციის ეს დანაწესი გულისხმობს, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ დარღვეულია მისი უფლება ან თავისუფლება, შეუძლია სასამართლოსთვის მიმართვა განსაკუთრებული ბარიერების გარეშე. ამდენად, აღნიშნული მუხლით ყველა პირისათვის გარანტირებულია მისი უფლებების დაცვის შესაძლებლობა სასამართლო წესით.

ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, რომელიც სოციალური დაცვის საკითხის დარეგულირებას შეეხება, უნდა მივიჩნიოთ უფლების მარეგულირებელ აქტად. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერი აქტი, რომელიც სოციალური დაცვის საკითხს არეგულირებს, ადგენს მისი გამოთვლისა და განსაზღვრის წესს, მის ოდენობას და ა.შ., უფლების განხორციელების მარეგულირებელ აქტს წარმოადგენს.

ვინაიდან უფლების მარეგულირებელი აქტის გასაჩივრების დაუშვებლობა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, საქართველოს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე. აღნიშნული სარჩელი დღეის მდგომარეობით განხილვის სტადიაზეა.

ამგვარად, ქრონოლოგიურად თუ გადავხედავთ საკანონმდებლო ცვლილებებს, ნათლად დავინახავთ, რომ ვეტერანების სოციალური უზრუნველყოფის უფლების თანდათანობითი, სრული რეალიზაციისათვის ქმედითი ღონისძიებები სახელმწიფოს მხრიდან არ გატარებულა. უფრო მეტიც, ვეტერანთა სოციალური მდგომარეობა ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაუარესდა მაშინ, როცა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აქვს ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება მის იურისდიქციაში მყოფი პირების ეკონომიკური და სოციალური უფლებების დასაცავად გადადგას კონკრეტული ნაბიჯები სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად რეალიზებისათვის. მით უფრო, რომ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ადამიანები, რომლებსაც უდიდესი დამსახურება აქვთ საქართველოს წინაშე. ეს სწორედ ის ადამიანებია, რომლებიც საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად იბრძოდნენ და დაზარალდნენ ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, რომლის დროს ადამიანის უფლებათა სამართალს ემატება ჰუმანიტარული სამართლის გარანტიები.

ასევე მნიშვნელოვანია დახმარების გაწევა იმ პირებისათვის, რომელთა ოჯახის მარჩენალიც შეიარაღებულ კონფლიქტში დაიღუპა.

საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო ასევე „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. აღნიშნული კანონით განსაზღვრული იყო განსხვავებული სოციალური დაცვის გარანტიები ვეტერანთა ოჯახის წევრებისათვის.

ზემოაღნიშნულ აქტში ცვლილებების განხორციელებამდე, თუ შეღავათები ვრცელდებოდა მშობლებზე მიუხედავად მათი ასაკისა, მეუღლეებზე, რომლებიც არ დაქორწინებულან, არასრულწლოვან და სტუდენტ შვილებზე და ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრებზე, ცვლილებების შემდეგ შეღავათები ვრცელდება მხოლოდ შრომისუუნარო მეუღლეზე, მშობლებსა და შვილებზე და არასრულწლოვან შვილებზე 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

ნიშანდობლივია, რომ ნებისმიერი სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის უფლების დასაცავად მყარი გარანტიების შექმნას. სახელმწიფოები მოცემული კატეგორიის პირების სოციალური უზრუნველყოფის უფლების რეალიზაციისათვის დგამენ სათანადო და აუცილებელ ნაბიჯებს სამართლებრივი ღონისძიებების ჩათვლით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მიზნის (სოციალური უზრუნველყოფის უფლების დაცვა) მისაღწევად არჩეული საშუალება უნდა იყოს სათანადო და აუცილებელი. საშუალება სათანადოა, თუ იგი უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს დასახული მიზნის მიღწევას. საშუალება აუცილებელია, როდესაც კანონმდებელს არ შეეძლო აერჩია სხვა, თანაბრად ქმედითი საშუალება, რომელიც არ შეზღუდავდა ან უფრო ნაკლებად შეზღუდავდა ძირითად უფლებებს. უფლებების შეზღუდვა და ინდივიდისთვის დამდგარი ზიანი საზოგადოებრივი ინტერესის გონივრულად პროპორციული უნდა იყოს. საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ვეტერანებისათვის ნორმატიული აქტებით გარანტირებული შეღავათების გაუქმება ანუ მინიჭებული უფლებების შეზღუდვა მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცალკეული სფეროების დაფინანსება (მაგ: თავდაცვის სფერო) იზრდება, ცალსახად არაპროპორციულია. სწორედ ამიტომ აუცილებელია საქართველოში „სასიკვდილო ხარჯები“ შეცვალოს „სასიცოცხლო ხარჯებმა“, რაც რესურსების ნაკლებობიდან გამომდინარე მრავალ, ერთი შეხედვით გადაუჭრელ, პრობლემას გადაწყვეტს როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

საკუთრების უფლების ხელყოფა

საკუთრების უფლება წარმოადგენს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას. საკუთრების უფლების, ისევე როგორც სხვა ძირითადი უფლებების სამართლებრივ გარანტიას, პირველ რიგში, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები განსაზღვრავს სახელმწიფოს განვითარების ძირითად მიმართულებებს და ხელისუფლების ადამიანთან შესაძლო ურთიერთობის შინაარსს. ეს პრინციპებია: დემოკრატიული სახოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო.

საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას.

საკუთრების უფლებას, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო სამართალშიც. კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს და, შესაბამისად, ის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაცაა ეს გარემოება, თავის მხრივ, კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში და ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, უზრუნველყოფს ნორმალურ და სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას.

უშუალოდ საკუთრების უფლების კონკრეტული კონსტიტუციური გარანტია ასახულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში, სადაც აღნიშნულია, რომ: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.“

საკუთრების როგორც ძირითადი უფლების გარანტია მოიცავს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებას, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნით დაიცვას ეს უფლება და, მეორე მხრივ, თითოეული მესაკუთრის უფლებას, თავი დაიცვას ნებისმიერი, მათ შორის, სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისაგან (აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით) და დარღვეული უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

საქართველოში, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, საკუთრების უფლების დარღვევის არაერთი ფორმა გამოვლინდა. უმრავლეს შემთხვევაში, საკუთრების უფლების ხელყოფა ხდებოდა სწორედ სახელმწიფოს მხრიდან, სამართალდამცავი და

სხვა სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. იყო შემთხვევები, როდესაც საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები გაუხმაურებელი დარჩა, ვინაიდან მესაკუთრეებს (ან, უფრო ზუსტად, ყოფილ მესაკუთრეებს) ეშინოდათ, განეცხადებინათ მათი უფლების დარღვევის შესახებ, რადგან მოელოდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმეები და დაიწყებოდა მათი დევნა.

იმ საქმეთა უმრავლესობაზე, სადაც ნათლად ჩანდა კანონის უხეში დარღვევა, სახალხო დამცველის რეკომენდაციებს არცერთი კუთხით არ მოჰყოლია სათანადო რაეგირება - არც დამნაშავეები დასჯილან და არც მესაკუთრეთა უფლებები ყოფილა აღდგენილი. დღემდე არ არის გამოძიებული საკუთრების უფლების დარღვევის ისეთი სერიოზული შემთხვევები, როგორებიცაა **ჰუსეინ ალის საქმე** (იხ. სახალხო დამცველის მოხსენება, 2006 წლის მეორე ნახევარი), **შირნჰოფერისა და ბადაგონის საქმეები** (იხ. სახალხო დამცველის მოხსენება, 2006 წლის მეორე ნახევარი),

უკანასკნელი წლების მანძილზე ხდებოდა საწარმოების მესაკუთრეთა დაშინება და იძულება, რათა მათ საკუთარი ნებით გადაეცათ სახელმწიფოსათვის მათ საკუთრებაში არსებული ქონება. საქართველოს სახალხო დამცველი თითქმის ყველა მოხსენებაში უთითებდა მოქალაქე **ჯემალ წიკლაურის უფლებების** დარღვევის შესახებ, რომელიც აიძულეს სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაეცა გორის აგრარული ბაზრობის ტერიტორია.

იძულებით ნაჩუქრობას ეხება მოქალაქე დავით ციბირაშვილის საქმეც. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოირკვა, რომ განმცხადებელი იყო შპს „გოგირდის აბანოს" დამფუძნებელი და დირექტორი. შპს-ს საკუთრებაში 2006 წლის 14 დეკემბრამდე იყო აბანოს ქ.#2-ში მდებარე უძრავი ქონება, კერძოდ, 233 კვ.მ. მიწის ფართობი და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობა (აბანო).

გამცხადებელმა განმარტა, რომ მას, როგორც დამფუძნებელს და საწარმოს დირექტორს, მოსთხოვეს, საკუთრება უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოსთვის. იმის გამო, რომ მას არ სურდა ქონების გაჩუქება, ქალაქ თბილისის პროკურატურის თანამშრომლები ვალერი ლაცუზბაია და გიორგი ხვედელიძე სისტემატურად ემუქრებოდნენ დავით ციბირაშვილს და მის ოჯახს, რომ ბრალს დასდებდნენ სხვადასხვა საფუძვლით და ციხეში ჩასვამდნენ. მოლაპარაკებები სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროშიც მიმდინარეობდა, რის შემდეგაც, განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები, პროკურატურის თანამშრომლის თანხლებით, ნოტარიუს ნინო გინტურთან მივიდნენ და 2006 წლის 20 ნოემბერს, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით მოაწერეს ხელი ჩუქების ხელშეკრულებას (იხ.სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი).

იძულებითი ჩუქების გარდა, სახალხო დამცველის აპარატში განხილულია ისეთი საქმეებიც, როცა მესაკუთრეებს მათი ნების საწინააღმდეგოდ გაასხვისებინეს (გააყიდინეს) ქონება. მაგალითად, ქალაქ სიღნაღში, მოქალაქეებს **მანანა მაჭარაშვილსა და თამარ თარაშვილს** მუქარისა და დაშინების შედეგად გააყიდინეს ქონება. მოცემულ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთების მყიდველი ერთი და იგივე პიროვნება აღმოჩნდა (იხ.სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მოვითხოვთ ყველა მოყვანილ საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებას, თბილისის პროკურატურის თანამშრომლების: ვალერი ლაცუზბაიასა და გიორგი ხვედელიძის, ნოტარიუს ნინო გინტურის, ასევე სხვა თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ქონების მესაკუთრეთა უფლებების აღდგენას.

სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა არაერთი განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო, კერძო მესაკუთრეთა კუთვნილ ტერიტორიაზე, მესაკუთრეთა სურვილის და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, აშენებდა სხვადასხვა ობიექტებს, როგორებიცაა, მაგალითად: საბავშვო სტადიონი, წყლის რეზერვუარები და სხვა (იხ.სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი, ამხანაგობა „ამირეჯიბი–89“–ის საქმე).

ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე თბილისის მერიის მიერ განხორციელებული უკანონო მშენებლობებისათვის უნდა დაისვას ქალაქ თბილისის მერის გიორგი უგულავას და ვიცე მერის (ადმინისტრაციის უფროსის) მამუკა ახვლედიანის პასუხისმგებლობის საკითხი.

ზემოხსენებული ფაქტების არსებობა, მათი გამოუძიებლობა და დამნაშავეთა დაუსჯელობა არღვევს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, ხელს უშლის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტზე.

2008 წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქეების: **ლევან ტერაშვილის და დავით კეკელიშვილის** განცხადებები. აღნიშნული პირები, მოქალაქეებთან: **ამირან გიგუაშვილთან, გელა ნასყიდაშვილთან, ვასილ მახარაშვილთან, თეიმურაზ გოგიტიძესთან, იოსებ გიგუაშვილთან, მარლენ ნადირაძესთან, მიხეილ ქარელთან, ნიკა რამიშვილთან და ყოფილ თავდაცვის მინისტრთან ირაკლი ოქრუაშვილთან** ერთად, არიან თბილისში, ათონელის ქუჩის #27–ში მდებარე უძრავი ქონების (371 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთის) მესაკუთრეები.

2007 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ მილერი ხარებავამ განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს გამომძიებლის გ.გოგლიძის შუამდგომლობა და გამოსცა ბრძანება ბრალდებულის - ირაკლი ოქრუაშვილის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. ქონების დაყადაღების შემდეგ შენობა დაიკავა დაცვის პოლიციამ, რომელსაც დაევალა, რომ შენობაში არ შეეშვა არცერთი პირი, მათ შორის, არც ქონების დანარჩენი მესაკუთრეები (შენობაში ასევე არ შეუშვეს სახალხო დამცველის რწმუნებულები).

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია და არ დაუსაბუთებია დანარჩენ მესაკუთრეთა საკუთრების უფლების

შეზღუდვის საფუძვლების შესახებ. გარდა იმისა, რომ სადავოა სასამართლოს მიერ მთლიან ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების კანონიერება, მესაკუთრეთა საკუთრების უფლება უხეშად დაირღვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ მიერ განმცხადებლების კუთვნილი ქონების ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავებით, რაც წარმოადგენდა პოლიციელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას (უფრო დაწვრილებით იხილეთ დანართი).

საქართველოს სახალხო დამცველმა ორჯერ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ჩაეტარებინა წინასწარი გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე, მაგრამ ორივე მიმართვა სათანადო პასუხისა და რეაგირების გარეშე დარჩა, რითაც დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, „დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება.“

რადგან საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საფუძვლიანად არ შეისწავლა აღნიშნული კანონდარღვევები და არ გამოიძია ჩადენილი დანაშაულის ფაქტები, მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, შეისწავლოს საკითხი და მოახდინოს სათანადო რეაგირება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ შეიქმნა 2005 წლის დასაწყისში და მის დამფუძნებლებს წარმოადგენდნენ თურქეთის მოქალაქეები: ოსმან ერსაინი, ისმაილ ქაზმაზი და საქართველოს მოქალაქე ქიბარ ხალვაში.

2007 წლის 23 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, რომელიც უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს და მისი თანაშემწის რეზო ჭარბაძის ნაცნობ ნოტარიუსთან, რომელიც მდებარეობს თბილისში, რუსთაველის გამზირის #28/2–ში, ღამის სამ საათზე განხორციელდა შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საწესდებო კაპიტალიდან ქიბარ ხალვაშის, ისმაილ ქაზმაზის და ოსმან ერსაინის კუთვნილი წილების მალხაზ ოსაძეზე და ზაზა გოცირიძეზე გადაფორმება. ზაზა გოცირიძე გახდა კომპანიის 75%–ის მფლობელი, ხოლო მალხაზ ოსაძე 25%–ის მფლობელი.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების გადაფორმება განხორციელდა სხვა და სხვა არამართლზომიერი მეთოდების გამოყენებით, ასევე, დიდი ზეწოლის და კომპანიის მესაკუთრეთა იძულების შედეგად (იხ. დანართი, შპს **„ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საქმე**).

კომპანიის წილების გადაფორმება უშუალოდ უკავშირდებოდა თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადახდას. სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული მოლაპარაკებების

პროცესებში დაინტერესებული იყვნენ, რომ გირაოს თანხის გადარიცხვა მხოლოდ ქიბარ ხალვაშს განეხორციელებინა. რასაც ქიბარ ხალვაში არ დათანხმდა.

წილების გადაფორმების შემდეგ, ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილის გირაოში ჩაირიცხა სწორედ ის თანხა, რომელიც კომპანიას სახელმწიფოსაგან უნდა მიეღო შესრულებული სამუშაოების სანაცვლოდ. გირაოს გადარიცხვა კომპანიის ახალმა დირექტორმა მალხაზ ოსაძემ განახორციელა და არა ქიბარ ხალვაშმა, როგორც ეს გენერალური პროკურორის მოადგილემ ნიკა გვარამიამ გააჟღერა საინფორმაციო საშუალებებით. ხელისუფლებას სურდა, რომ გირაოს თანხის გადახდა ქიბარ ხალვაშთან ყოფილიყო დაკავშირებული, რადგან იგი ოქრუაშვილის მეგობარი და თანამოაზრე იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქიბარ ხალვაშის, ოსმან ერსაინის და ისმაილ ქაზმაზის განცხადებებში საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიმართ გამოთქმული უკმაყოფილება აშკარად საფუძვლიანია და საწარმოს პარტნიორების (მესაკუთრეების) უფლებები უხეშად არის დარღვეული, რისთვისაც უნდა დაისაჯოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია, მისი თანაშემწე რეზო ჭარბაძე, საქართველოს გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელები და ყველა ის თანამდებობის პირი, რომლებმაც აიძულეს კომპანიის მესაკუთრეები გადაერიცხათ გირაოს თანხა.

2008 წლის 28 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ქალაქ ბათუმში ინასარისძის ქ. №5/7-ში არსებული ამხანაგობა „ნაინა“-ს წევრებმა.

1989 წლის 5 აპრილის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის #209–ე გადაწყვეტილებით, კოოპერატივ „კეთილმოწყობა“-ს (შემდგომში, კოოპერატივი „ნაინა“) კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოეყო ბათუმში, ინასარიძის ქუჩაზე არსებული თავისუფალი ტერიტორია.

შემდგომში კოოპერატივის კუთვნილ ტერიტორიაზე უნებართვოდ ჩადგეს სავაჭრო ობიექტები და ავტოფარეხები. აღნიშნულის გამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს არ მიეცათ შესაძლებლობა, გაეგრძელებინათ დაწყებული მშენებლობა, რითაც დაირღვა მათი საკუთრების უფლება. ტერიტორიის საზღვრების დადგენის მიზნით, კოოპერატივის წევრებმა განცხადებით მიმართეს საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს, რომელმაც დაინტერესებულ მხარეს მიაწოდა სამი განსხვავებული შინაარსის პასუხი ერთსა და იმავე შეკითხვაზე.

საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარეს ბატონ ჯამბულ ებანოიძეს, ემსჯელა იმ პირთა დისციპლინურ პასუხისმგებლობაზე, რომელთაც ვერ უზრუნველყვეს კოოპერატივის წევრებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გაითვალისწინა წინადადება და 2008 წლის 10 მარტის №136 ბრძანებით დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები შეუფარდა ქალაქ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებს.

უკანონო დემონტაჟი

2005-2007 წლებში საქართველოს სახალხო დამცველმა ქალაქ თბილისის მერს მიმართა არაერთი რეკომენდაციით, სადაც მითითებული იყო, რომ კერძო პირთა საკუთრებაში არსებული შენობების დემონტაჟი თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა უკანონოდ (თანაც ღამით) და დაზარალებულ მოქალაქეებს უნდა მიეღოთ სათანადო კომპენსაციები თავიანთი ქონების სანაცვლოდ.[60]

გაგზავნილი რეკომენდაციები ისევ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ხვდებოდა, საიდანაც ვიღებდით არაადეკვატურ პასუხებს. ასეთი დამოკიდებულების გამო ვერ მოხერხდა მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენა და, შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანი საკითხები დღემდე გადაუჭრელი დარჩა.

ასეთი კატეგორიის საქმეების შესწავლამ ცხადი გახადა, რომ განხორციელებული დემონტაჟები ხდებოდა ქალაქ თბილისის მთავრობის შეგნებული (მიზანმიმართული) პოლიტიკის მეშვეობით და შესაბამისად უნდა დადგეს როგორც მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის ლაშა მაქაცარიას, ასევე ქალაქის მერის და მთავრობის წევრთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა

სახალხო დამცველისთვის არაერთხელ მიუმართავთ გამცხადებლებს, რომლებიც სადავოდ ხდიან არა საკუთრების უფლების, არამედ მათი სახელშეკრულებო უფლებების დარღვევას ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტში ადმინისტრაციული ხელშეკრულება განმარტებულია, როგორც „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების

---

[60] ირინა ნერგაძისა და ზურაბ ტალახაძის საქმე; თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის დემონტაჟის საქმე; მარინა ბოჭორიშვილის საქმე; დავით ასათიანის საქმე; შპს „ნიას“ საქმე; შპს „ვოტუმის“ საქმე; ციცინო ბოჭორიშვილის საქმე; მეტრო „გოცირიძისესთან“ მდებარე პავილიონის საქმე; ამხანაგობა „ამირეჯიბი-89“-ის საქმე და ნერონ მამალაძის საქმე (იხ.სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი).

მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება.“

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

გარდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება.[61] შესაბამისად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და მის მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.“ კერძოსამართლებრივი, მათ შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობები კი დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულ პირთა თანასწორობის უმთავრეს პრინციპზე.

ამდენად, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო არ ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. სახელმწიფო ორგანოებთან კერძოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებების დადებისას კერძო პირები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. ორივე მხარეს თანაბრად ეკისრება პასუხისმგებლობა და ასეთ ურთიერთობებში სახელმწიფოს არ გააჩნია რაიმე პრივილეგირებული მდგომარეობა.

2007 წელს იყო არაერთი შემთხვევა, როცა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არაკანონიერად შეწყვიტეს ხელშეკრულებები სხვადასხვა იურიდიულ პირებთან (საწარმოებთან) და პოლიციის საშუალებით იურიდიული ადგილსამყოფელიდან გამოასახლეს ისინი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად მოვალეა, ამ შემთხვევაშიც მოახდინოს რეაგირება ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებებზე, თუ ამას შესაბამისი სამართალურთიერთობის მეორე მხარე სადავოდ ხდის და თუ ირღვევა მისი უფლებები.

შპს „სონიცენტრი თბილისი“ და შპს „ლაზერი-2 თბილისი“ რეგისტრირებულია საქართველოში და წარმოადგენენ კორპორაცია „SONY“–ს სტრატეგიულ

[61] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65[1] მუხლი.

პარტნიორებს საქართველოში. აღნიშნული საწარმოების საქმიანობის მიზანია კორპორაცია „SONY“–ს პროდუქციის რეკლამირება და მისი რეალიზაცია.

შპს „სონიცენტრი თბილისის“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“ იურიდიული მისამართი იყო თბილისი, რუსთაველის ქუჩა #30. რუსთაველის ქუჩა #30–ში მდებარე ფართს საწარმოები ფლობდნენ 2006 წლის პირველ იანვარს მოქალაქე მზია კაკაბაძესთან – უძრავი ქონების მესაკუთრესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ძალაში შევიდა დადებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 9 წლით, 2015 წლის პირველ იანვრამდე.

2006 წლის 23 ნოემბერს მზია კაკაბაძემ ჩუქების ხელშეკრულებით, საიჯარო ფართზე საკუთრების უფლება გადასცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რომელმაც მაშინვე განიზრახა ხელშეკრულებიდან გასვლა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581–ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, „იჯარის ხელშეკრულების“ მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581–606–ე მუხლებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 572–ე მუხლით კი განსაზღვრულია, რომ **„თუ გამქირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს გამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.“**

აღნიშნული ნორმების იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებული იყო – მისი ნებისაგან დამოუკიდებლად გაეგრძელებინა სახელშეკრულებო ურთიერთობა.

თუმცა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის უსაფუძვლოდ მოშლით არ შემოიფარგლა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე ხელშეშლის აღკვეთის მიზნით განცხადებით მიმართა პოლიციის ადგილობრივ განყოფილებას და მოითხოვა დაკავებული ფართიდან მოიჯარეთა გამოსახლება.

ფართის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულად წარდგენის მიუხედავად, 2007 წლის 7 აგვისტოს, შს სამინისტროს 200–მდე თანამშრომელმა გადაკეტა შპს „სონიცენტრი თბილისისა“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“ მიმდებარე ტერიტორია, შეამტვრიეს კარი, გამოიტანეს მოიჯარეების ინვენტარი და შენობიდან იძულებით გამოიყვანეს საწარმოების წარმომადგენლები. აღნიშნული ფაქტი დაწვრილებით გააშუქეს მასმედიის საშუალებებმა (აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, ვრცლად მოთხრობილია შპს „სონიცენტრი თბილისის“, შპს „ლაზერი-2 თბილისის“ და შპს ,,კაფე რუსთაველის“ საქმეებში. იხ.სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი).

დღეისათვის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და გენერალურ პროკურატურაში გაგზავნილი რეკომენდაციები არ არის გაზიარებული.

შესაბამისად, არ არის აღდგენილი მოიჯარეთა დარღვეული უფლებები და მიმდინარეობს სასამართლო დავა.

კიდევ ერთხელ მოვითხოვთ შპს „სონიცენტრი თბილისი“ და შპს „ლაზერი-2 თბილისის“ საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებას, ეკონომიკური განვითარების მინისტრის გიორგი არველაძის, პოლიციის მაღალჩინოსნების, ასევე სხვა თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასმას და ქონების მესაკუთრეთა უფლებების სრულად აღდგენას.

2007 წლის 13 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა შპს „ლინქსის“ დირექტორმა გიორგი ჯაოშვილმა. შპს „ლინქსი“ დაფუძნებული იყო საქართველოში და მისი მესაკუთრე იყო მოქალაქე არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი. შპს-ს არსებობის მანძილზე მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენდა საიჯარო ხელშეკრულების დადების გზით მთაწმინდის პარკის რეაბილიტაცია. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „ლინქსს“ შორის 2005 წელს დაიდო ხელშეკრულება „მთაწმინდის პარკის რეაბილიტაციის, ინვესტირებისა და გრძელვადიანი იჯარის შესახებ.“ გარიგება დადებული იქნა წერილობითი ფორმით და დამოწმდა ნოტარიუსის მიერ.

2007 წლის ნოემბრის თვეში განვითარებული მოვლენების ფონზე სახელმწიფომ ხელშეკრულება შეუწყვიტა შპს „ლინქსს.“ ხელშეკრულების შეწყვეტა განხორციელდა არამარტო კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, არამედ სხვადასხვა მიუღებელი მეთოდების გამოყენებით, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან საწარმოს საქმიანობაში უხეში ჩარევითა და იძულებით.

კერძოდ, 2007 წლის 7 ნოემბერს ქ.თბილისის ვიცე მერმა მამუკა ახვლედიანმა და ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა მედიის წინაშე გააკეთეს განცხადება იმის შესახებ, რომ შპს „ლინქსი“, რომლის მესაკუთრეა მოქალაქე არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი, დიდი ხნის განმავლობაში უხეშად არღვევდა სახელშეკრულებო ვალდებულებას და არ იხდიდა საიჯარო ქირას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობა ცალმხრივად გავიდა გარიგებიდან და შპს „ლინქსთან“ შეწყვიტა სამართლებრივი ურთიერთობა. ამ განცხადების „სამართლებრივი საფუძველი“ არ დაკონკრეტებულა, მაგრამ ალბათობის მაღალი ხარისხით იყო ქალაქ თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის #21.05.679 დადგენილება, რომლითაც შპს „ლინქსს“ შეუწყდა იჯარის ხელშეკრულება.

სახალხო დამცველის აპარატში საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ლინქსის“ მხრიდან ვალდებულებების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის საწარმოს სრულიად ჰქონდა გადახდილი საიჯარო ქირა სექტემბრის თვის ჩათვლით, ხოლო მომდევნო თვის ქირა უნდა გადახდილიყო ოქტომბრის თვის ბოლოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამოირკვა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება და ცალმხრივად გავიდა გარიგებიდან.

2007 წლის 7 ნოემბერს, აღნიშნულ განცხადებამდე, საიჯარო ობიექტზე შეიჭრა დაახლოებით 50-60 შეიარაღებული და ნიღბიანი პირი. მათ დაიკავეს პარკის შესასვლელი და მომსახურე პერსონალს იძულებით დაატოვებინეს ტერიტორია.

(იმავე დღეს, 20:20 სთ–ზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეც. დანიშნულების რაზმი შეიჭრა ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში. მათ დააზიანეს ტელეკომპნიის ტექნიკა და თითქმის მთლიანად გაანადგურეს მთავარი სააპარატო. ფიზიკური შეურაცხოფა მიაყენეს ჟურნალისტებს, შენობაში მყოფი პირები დააწვინეს და ჩამოართვეს მობილური ტელეფონები. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ტელეკომპანიის წარმომადგენლები რეზინის ტყვიების და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით გააძევეს შენობიდან და მიმდებარე ტერიტორიიდან.

საქრთველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური კომისიის მიერ დადგენილი იქნა, რომ ტელეკომპანია „იმედზე“ მიყენებული ზარალის ოდენობა წარმოადგენს 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასიათასი) ლარს. მიყენებული ზარალი აანაზღაურა საქართველოს მთავრობამ).

შპს „ლინქსის“ დირექტორის გიორგი ჯაოშვილის განმარტებით, მოთხოვნის მიუხედავად, შეიარაღებულ პირთაგან არავის წარმოუდგენია ადმინისტრაციული აქტი ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტი და საწარმოს ხელმძღვანელობისთვის საერთოდ გაურკვეველი იყო რომელი სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები იყვნენ პარკის ტერიტორიაზე შესული შეიარაღებული პირები. ეს გარემოება კი ადასტურებს განხორციელებული ქმედების უკანონობას.

საიჯარო ქონების ადგილზე დათვალიერების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ პარკის ტერიტორიაზე. მათი შემოწმებით დადგენილია, რომ 7 ნოემბრის შემდეგ ობიექტს იცავდა დაცვის პოლიცია. ამავდროულად დაცვის პოლიციის თანამშრომლები პარკის ტერიტორიაზე შპს „ლინქსის“ წარმომადგენელთაგან არავის უშვებდნენ.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ბათილად ეცნოთ შპს „ლინქსთან“ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე და 409-ე მუხლების თანახმად, აღედგინათ პირვანდელი მდგომარეობა (ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება). ამავდროულად, მორიგების გზით უზრუნველეყოთ სათანადო (ფულადი) კომპენსაცია და შპს „ლინქსი“–თვის აენაზღაურებინათ ხელშეკრულებიდან უკანონო გასვლის, ობიექტზე სპეც. დანიშნულების რაზმის შეჭრის და დაცვის პოლიციის უკანონოდ შესვლის შედეგად წარმოშობილი ფაქტობრივი ზარალი და მიუღებელი შემოსავალი.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია თბილისის მერიამ არ გაიზიარა იმ მოტივით, რომ იგივე საკითხზე შპს „ლინქსის“ სარჩელის საფუძველზე საქმისწარმოება მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 მაისის განჩინებით არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის სამკვიდროს მმართველად აღიარებული იქნა ჯოზეფ კეი. სასამართლომ ჯოზეფ კეის მიანიჭა უფლება განეხორციელებინა ნებისმიერი მოქმედება სამკვიდროს მოვლისა და შეკრებისათვის.

არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მეუღლის ინა გუდავაძის განმარტებით, ჯოზეფ კეიმ შპს „ლინქსში“ დანიშნა ახალი დირექტორი, რომელმაც უარი თქვა ქალაქ თბილისის მერიისაგან ზიანის ანაზღაურებაზე და შპს „ლინქსის“ სხვა სასარჩელო მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა შეწყდა.

განვითარებულმა მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ შპს „ლინქსის“–თვის ზიანის ანაზღაურებაზე მიღებული იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება სახელმწიფოს უშუალო და უხეში ჩარევით. მიუხედავად ამისა, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი აგრძელებს ბრძოლას დარღვეული უფლებების აღდგენისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ შეიქმნა 2005 წლის დასაწყისში და მის დამფუძნებლებს წარმოადგენენ თურქეთის მოქალაქეები: ოსმან ერსაინი, ისმაილ ქაზმაზი და საქართველოს მოქალაქე ქიბარ ხალვაში.

2006 წლის 2 ივნისს საქართველოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება #01/02. ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კომპანიას დაუკვეთა თბილისში გლდანი–ნაძალადევის რაიონში ახალი საპყრობილის, ე.წ. გლდანის #8–ე საპყრობილის მშენებლობა.

2006 წლის 29 ივნისს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანისთან“ დაიდო მორიგი ხელშეკრულება, ხელშეკრულება #708. ამჯერად „დამკვეთს“ წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო კომპანიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის უნდა აეშენებინა სამხედრო ბაზა ქალაქ გორში.

2007 წლის 22 სექტემბერს ქალაქ თბილისში, გლდანში მდებარე სამშენებლო ობიექტზე, სადაც მიმდინარეობდა საპყრობილის მშენებლობა მივიდნენ იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ფორმიანი თანამშრომლები და განცხადეს, რომ სამშენებლო კომპანია მშენებლობას აღარ გააგრძელებს და შესაბამისად, კომპანიის წარმომადგენლებმა უნდა დატოვონ ტერიტორია.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები არ იყო ამოწურული და არ არსებობდა წარმოებული მშენებლობის უხარისხობის შესახებ რაიმე დასკვნა, საქართველოს თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროს

ხემძღვანელობამ კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით და სხვადასხვა იძულების მეთოდების გამოყენებით ხელშეკრულებები შეუწყვიტეს სამშენებლო კომპანიას.

უმრავლეს შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატში საქმის განხილვის პარალელურად, იმავე საკითხზე საქმისწარმოება მიმდინარეობს სასამართლოში, თუმცა ეს არ გამორიცხავს სახალხო დამცველის რეაგირებას. იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვალდებულების დარღვევა აშკარაა და ამ დარღვევის უარყოფა - შეუძლებელი, სახალხო დამცველი არ ელოდება სასამართლოს გადაწყვეტილებას (ასეთ შეზღუდვას „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს“) და თავის შეფასებით და რეკომენდაციებით მხარეებს შორის გარკვეულწილად მედიატორის როლს ასრულებს. უფრო ზუსტად რომ ითქვას, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ამის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ჯერ არ დაფიქსირებულა მსგავსი რეკომენდაციის გაზიარების არცერთი ფაქტი, მაშინ, როცა სარჩელის ცნობის საპროცესო მექანიზმის გამოყენებით, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან რეკომენდაციების პრაქტიკული გაზიარება შესაძლებელია.

1991 წელს მოქალაქე **მერაბ შელიას** ოჯახსა და თბილისის მერიას შორის წარმოიშვა სამართლებრივი ურთიერთობა ნების გამოვლენის საფუძველზე, რაც გულისხმობდა ესტელა შელიას ოჯახის კუთვნილი სახლის წოწორიების ოჯახისთვის გადაცემის სანაცვლოდ, თბილისის მერიისაგან მერაბ შელიას ოჯახის ტოლფასი საცხოვრებელი სადგომით დაკმაყოფილების ვალდებულებას.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ აღნიშნული სამართალურთიერთობის არსებობას არცერთი მხარე არ უარყოფს. მეორე მხრივ, მერიას ნაკისრი ვალდებულება დადასტურებული აქვს მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1997 წლის 16 ოქტომბრის #285 გადაწყვეტილებით. 2007 წლის #1513410 დადგენილებით თბილისის მერიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შელიების ოჯახი აუცილებლად დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით.

1997 წლიდან 2007 წლამდე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულება. შესაბამისად, დაირღვა განმცხადებლის საკუთრების და სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლებები, რაზეც ხელშეკრულების მეორე მხარემ მერაბ შელიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ვალდებულების შესრულება – ბინის ღირებულების გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მერაბ შელიას ოჯახის უფლებების აღდგენის თაობაზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას, მაგრამ რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული საქმის სასამართლოში განხილვის გამო.

საჯაროობა და კანონიერება ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის საბაზისო პრინციპებია. კეთილსინდისიერების პრინციპის განუხრელი დაცვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა (მათ შორის სახელმწიფო ორგანოთა) უპირველესი მოვალეობაა;

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა კეთილსინდისიერების პრინციპზეა დამოკიდებული და ვალდებულების ჯეროვანი შესრულება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეა ადმინისტრაციული ორგანო.

განხილული საქმეებიდან ადმინისტრაციულ ორგანოთა თვითნებობის კონკრეტული გამოვლინებაა ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, რაც მოხდა შპს „მწიგნობარის“ დირექტორის ალექსანდრე ბაგრატიონის განცხადების შემთხვევაში.

თბილისში, ფურცელაძე-კეცხოველის ქ.#12-7-ში მდებარე 120 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მასზე წილობრივად დამაგრებულ 389 კვ.მ ფართზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „მწიგნობარს“ შორის 2006 წლის 11 სექტემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 10 წლით. შპს „მწიგნობარმა“ საიჯარო ობიექტი აიღო წიგნების საგამოფენო-საპრეზენტაციო დარბაზისა და ლიტერატურული კაფეს მოსაწყობად. ამ მიზნით ჩატარდა მნიშვნელოვანი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ჩატარებული სამუშაოების და გაწეული ხარჯების შედეგად, სრულიად უვარგისი სარდაფი გადაიქცა მაღალი დონის ლიტერატურულ კაფედ, რამაც არაერთ კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა.

თანდართული დოკუმენტაციის სახით გამცხადებლმა წარმოადგინა შპს „მწიგნობარის“ მიერ საიჯარო ქირის და გარვეული პერიოდის გადაცილებისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. შესაბამისად, დავას არ შეიძლება იწვევდეს ის გარემოება, რომ საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე მოიჯარე კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხელშეკრულებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე გამოსცა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი და უსაფუძვლოდ შეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება (იხ.დანართი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ბათილად ეცნო სადავო ბრძანება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ აღნიშნული რეკომენდაცია არ გაიზიარა.

უკანონო გამოსახლება

სახალხო დამცველის აპარატში შემოდის უამრავი განცხადება, რომლებიც ეხება უკანონო გამოსახლებას. საუბარია სამართალდამცავთა მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747-ე ბრძანების არასწორ გაგებაზე და ამ ბრძანებით დადგენილი პროცედურული წესების უხეშ დარღვევაზე.

2006 წლის 12 დეკემბერის ცვლილებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, ,,თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.“

ამ ცვლილების საფუძველზე, ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლს (პოლიციის უფლებები) დაემატა ,,ფ“ ქვეპუნქტი და განისაზღვრა, რომ პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს ,,პირის მიერ კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, უზრუნველყოს აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა. პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდო ხელმყოფისთვის მიცემული წერილობითი გაფრთხილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება არ აჩერებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებასა და წერილობითი გაფრთხილების (ადმინისტრაციული აქტის) მოქმედებას.“ (4.07.2007 N5211)

სწორედ ამ ცვლილებებს მოჰყვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747-ე ბრძანების გამოცემა, სადაც კონკრეტულად არის გაწერილი პოლიციის მიერ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესები. ბრძანებით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება ევალება რაიონული (კრიმინალური) პოლიციის სამმართველოებს.

სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი განცხადებებიდან გაირკვა, რომ პოლიცია ხშირ შემთხვევაში მოქმედებს კანონდარღვევით, ვინაიდან არ აკეთებს სწორ სამართლებრივ შეფასებას, რა არის საკუთრების მოწმობა, მართლზომიერი მფლობელობის თუ სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სწორედ ამიტომ სამართალდამცავი ორგანოები ახდენენ უსწრაფეს და ხშირად უკანონო რეაგირებას ან, პირიქით, დიდი ხნით აჭიანურებენ და საერთოდ არ ახორციელებენ გამოსახლებას, როცა ამას კერძო პირის/პირთა ინტერესი მოითხოვს (იხ.სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი, მოქალაქე ნადია ქორდელის საქმე).

ერთ–ერთ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე–3 ნაწილით გათვალისწინებული შესაძლებლობა გამოყენებულ იქნა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის, მაშინ, როცა აღნიშნული დისპოზიცია ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც კანონიერ მესაკუთრეს მოეპოვება საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა შესაბამის უძრავ ქონებაზე არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში მისი აღსრულების და, შესაბამისად, გამოსახლების განხორციელების უფლებამოსილება ენიჭება არა პოლიციის ორგანოებს, არამედ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოს.

გამოსახლების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (ასევე, სააღსრულებო ფურცლის) წარდგენის შემთხვევაში პოლიციის ორგანოები ვალდებული არიან შეწყვიტონ განცხადების განხილვა.

„საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747–ე ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „აღნიშნული წესის მოქმედება არ ვრცელდება საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვგვარად ხელშეშლის იმ შემთხვევებზე, რომელზედაც გამოტანილი სასამართლოს ან კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.“

მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: „უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხგვარად ხელშეშლის აღკვეთის საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა“ წარმოადგენს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეწყვეტის საფუძველს და ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეცნობება უარყოფითი პასუხი.

ზემოაღნიშნული დარღვევა გამოვლინდა **მოქალაქე იური ჩაჩავას საქმეში** (იხ. დანართი), როდესაც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ჩაჩავას ოჯახი გამოასახლა ფოთის პოლიციის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა. აღნიშნული ქმედებით მათ გადაამეტეს თავიანთ სამსახურებრივ უფლებამოსილებას და გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რაზეც წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად საქართველოს გენერალურ და ფოთის რაიონულ პროკურატურას ორჯერ გაეგზავნა საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვა, მაგრამ აღნიშნული სათანადო პასუხისა და რეაგირების გარეშე დარჩა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მოვითხოვთ, უკანონოდ გამოსახლების ყველა საქმეზე სრულყოფილი წინასწარი გამოძიების ჩატარებას, პოლიციის და ასევე, სხვა თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მოქალაქეთა საკუთრების უფლების დარღვევის და უკანონო გამოსახლებების განხორციელების შესახებ სახალხო დამცველმა ერთხელ უკვე სპეციალური წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტს, თუმცა ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

საკუთრების უფლების აღიარების კომისიისადმი გაგზავნილი რეკომენდაციები

2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, რომლის მიზანია მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით (შემდგომში – საკუთრების უფლების აღიარება) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.

ახალი კანონის მიღებით რადიკალურად შეიცვალა მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიდგომა. მიწის ნაკვეთებით მოსარგებლეებს მიეცათ რეალური შესაძლებლობა, მოიპოვონ საკუთრების უფლება როგორც სასოფლო–სამეურნეო, ასევე არასასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაშია.

აღნიშნული კანონით არ ხდება ყველა მიწის ნაკვეთის საკუთრებაში უპირობოდ გადაცემა. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრა მიწის ნაკვეთების ისეთი კატეგორიები, რომლებიც არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას და თავისი დანიშნულებით სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა (იხ. მუხლი 3, პუნქტი 2).

საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილება შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს ეკუთვნის და ხორციელდება მუდმივმოქმედი კომისიის მეშვეობით. კომისიის შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის

ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულებით.

მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მსგავსად ლეგალიზებას დაექვემდებარა ეგრეთ წოდებული „უნებართვოდ აშენებული შენობა–ნაგებობები.“ შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, 2007 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა #660–ე ბრძანებულება „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“.

ოფიციალური მონაცემებით, 2007 წლის ნოემბრიდან, ანუ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნებიდან 2008 წლის ივლისამდე, ქალაქ თბილისის მერიაში საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში შევიდა 7 678 განცხადება, კომისიამ განიხილა 3 826. აქედან დაკმაყოფილდა 915 (23%) და გაიცა ამდენივე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

როგორც ვხედავთ, კომისიაში წარდგენილი განცხადებების რიცხვი საკმაოდ დიდია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა დღეისათვის მეტად პრობლემური და ამასთანავე აქტუალური საკითხია.

ზემოთმოყვანილი სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ განცხადებების უმეტესობა საერთოდ განუხილველია, რაც პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად ნიშნავს განმცხადებლისათვის საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმას. დღეისათვის კი, კომისიები განცხადებებს საერთოდ არ იღებენ, რადგან აღნიშნულზე ზეპირი ბრძანება აქვთ მიღებული.

საკუთრების უფლების აღიარებაზე მიღებული გადაწყვეტილებები ეს იყო პოლიტიკური ნების გამოვლენა, რომელიც დაშვებული იქნა წინასაარჩევნო პერიოდში, დღეისათვის კი აღნიშნული პროცესი შეჩერებულია.

საკუთრების უფლების აღიარება არ განხორციელდა იმ რეგიონებში (მაგ: ზღვისპირა რეგიონებში) სადაც მიწის ნორმატიული და საბაზრო ფასები ძალიან დიდია, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციას და კონსტიტუციური უფლებების დარღვევას.

მოკლედ მიმოვიხილოთ ის წესები, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ კომისიები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას. საკუთრების უფლების აღიარებისთვის შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიები ახორციელებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს და არიან ადმინისტრაციული ორგანოები. შესაბამისად, მათ კანონით ეკისრებათ ვალდებულება, ერთი თვის

ვადაში განიხილონ მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება ან საჩივარი და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება.[62]

გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულების მე–12 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „კომისია ვალდებულია ორი სამუშაო დღით ადრე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე გამოაქვეყნოს, ხოლო დაინტერესებულ პირს ერთი კვირით ადრე წერილობით აცნობოს ინფორმაცია მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ.“

კომისია ამასთანავე ვალდებულია, უზრუნველყოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

თუ კომისიამ განცხადების განხილვის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების აღიარების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ, ეს ჩაითვლება მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში კომისია ვალდებულია, განცხადების განხილვის ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

კომისიის გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.

სახალხო დამცველის აპარატში განხილულმა განცხადებებმა ნათელყო, რომ კომისიების მუშაობის პროცესი, რიგ შემთხვევებში, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი დარღვევებით. გამცხადებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ არ ატყობინებენ კომისიის სხდომის დროსა და ადგილს და ადმინისტრაციული წარმოების დროს არ აძლევენ საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობას. მოაქალაქეები ასევე ვერ ღებულობენ შეტანილი განცხადების პასუხს, ირღვევა განხილვის ვადები და სხვა (იხ.დანართი, გენადი ნიკოლაიშვილის საქმე).

გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ანუ როცა სხდომის მონაწილე არღვევს წესრიგს), კომისიის თავმჯდომარეს არ შეუძლია, შეზღუდოს დაინტერესებული მხარის სხდომაზე დასწრების ან საკუთარი მოსაზრების

---

[62] კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია განცხადების განსახილველად კანონმდებლობით დადგენილ ერთთვიან ვადაზე მეტი, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება განცხადების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ(ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–100 მუხლი, მე–3 ნაწილი), თუმცა აქტის გამოცემის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს (იმავე მუხლის მე–4 ნაწილი). ვადის გაგრძელების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება კანონით განსაზღვრული წესით უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეს.

გამოთქმის უფლება. მსგავსი შეზღუდვა წარმოადგენს კანონდარღვევას და ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 32–ე და 34–ე მუხლები). რაც შემდგომში შესაძლებელია გახდეს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველი.

შრომის უფლება

შრომის უფლება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს. შრომის უფლების, ისევე, როგორც სხვა სოციალური უფლებების კონსტიტუციური განმტკიცებით სახელმწიფო კისრულობს მათი განხორციელების ვალდებულებას. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, ,,შრომა თავისუფალია. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.“

საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 25 მაისს მიიღო ახალი ''საქართველოს შრომის კოდექსი“, რომელიც არეგულირებს სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან დათხოვნის წესებს, ასევე შრომის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ~ და კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“, რომელიც აწესრიგებს მასწავლებელთა და დირექციის შრომით ურთიერთობას.

კოდექსის ამოქმედებიდან ორი წლის შემდეგ პრაქტიკამ ცხადყო, რომ შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების მთავარი დოკუმენტი სრულებით ვერ იცავს დასაქმებულთა უფლებებს. ის ძირითადად განამტკიცებს დამსაქმებელთა გარანტიებს. უმთავრეს პრობლემად უნდა გამოვყოთ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის პირველი ნაწილი.

37-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ–ერთი საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა, ხოლო 38-ე მუხლის პირველი ნაწილი აზუსტებს, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. კანონის ამ დისპოზიციებს წარმატებით იყენებენ დამსაქმებლები და მიუთითებენ, რომ თანამშრომლის დათხოვნა სამსახურიდან შეუძლიათ ყოველგვარი მოტივისა და საფუძვლის მითითების გარეშეც. მათ ასეთ პოზიციას ამყარებს სასამართლოს გადაწყვეტილებებიც. მაგალითად, მოქალაქე ნატალია თევზაძის საქმეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 აგვისტოს #2/299-07 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო მსჯელობს, რომ ,,საქართველოს შრომის კანონმდებლობა დამსაქმებლებს არ ავალდებულებს მიუთითოს შრომითი ხელშეკრულების მოშლის მოტივებზე და ანიჭებს მას უფლებას, ნებისმიერ დროს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.“

ასეთი შრომის კოდექსის პირობებში დასაქმებული სავსებით დაუცველია.

შრომითი უფლებების დარღვევას იწვევს ის ფაქტიც, რომ საქართველოში დღეისათვის არ არსებობს საჯარო და კერძო სექტორში კონკურსების რეგულაციის ერთიანი დოკუმენტი. ამის თაობაზე შრომის კოდექსში არაფერია ნათქვამი, ხოლო ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში კი გაწერილია მხოლოდ ზოგადი

დებულებანი, რომლებიც ეხება კონკურსის გამოცხადების წესსა და პირობებს. ჩატარებისა და შეფასების სისტემა სამართლებრივად არც საჯარო სამსახურებისთვის არის მოწესრიგებული. ორგანიზაციას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვროს და დაამტკიცოს ჩატარების წესი და შეფასების კრიტერიუმები, ეს კი მათ ხშირად თვითნებობის შესაძლებლობას აძლევს. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა საკონკურსო დებულებები ხელმძღვანელს არაერთხელ შეუცვლია კონკურსის გამოცხადებიდან მის ჩატარებამდე. ყოველივე ეს კი სრულ გაურკვევლობაში აყენებს კონკურსანტს. მას ეკარგება სტაბილურობის განცდა, ის ვერ იქნება სათანადოდ მომზადებული, როცა, მაგალითად, სამი კვირის განმავლობაში კონკურსის პირობები მრავალჯერ შეიცვლება. ხშირად გაუგებარია შეფასების კრიტერიუმები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ძნელია იმის გარკვევა, თუ რას დაეყრდნო ორგანიზაცია ამა თუ იმ პირის შეფასებისას. ასეთ პირობებში კი შეიძლება დაიკარგოს კვალიფიციური კადრი და სამსახური ვერ მიიღოს ყველაზე მეტად შესაფერისმა პიროვნებამ. კონკურსანტებს, ხშირ შემთხვევაში, არ რჩებათ თანასწორობისა და სამართლიანობის განცდა, ისინი ვერ არკვევენ, რა კრიტერიუმებით აჯობა სხვა კონკურსანტმა, ვინაიდან საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები არ არის დასაბუთებული.

სახალხო დამცველის რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს:

- შრომის კოდექსში ცვლილებების სრულად განხორციელებამდე აუცილებელია, უმოკლეს დროში შეიცვალოს 37-ე და 38-ე მუხლები, რომლებიც დამსაქმებლებს ანიჭებს განუსაზღვრელ უფლებამოსილებებს და აძლევს შესაძლებლობას, დაუსაბუთებლად შეწყვიტონ დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობა. ამ პრობლემის გადასაჭრელად შრომის კოდექსში დაწვრილებით უნდა გაიწეროს ის გარემოებანი, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლას;

- აუცილებელია, კერძო და საჯარო სექტორში კონკურსების მოწესრიგების მიზნით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, სპეციალური კანონის მიღება, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი კონკურსის გამოცხადების დრო და პირობები; დამსაქმებელი ორგანიზაციის ვალდებულებანი და უფლებამოსილებანი კონკურსის ჩატარების დროს; კონკურსის ფორმები; შეფასების კრიტერიუმები. ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაში, ისევე, როგორც სასამართლო, დაინტერესებული პირები ადვილად გადაამოწმებენ, რამდენად სამართლებრივად სწორად ჩატარდა კონკურსი და დაირღვა თუ არა კონკურსანტების უფლებები.

დასაქმების პოლიტიკა საქართველოში

,,როცა ქვეყანაში არის ბევრი დაუსაქმებელი,
ხელისუფლება მტრის გარემოცვაშია“

არისტოტელე

დღესდღეობით უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში განსაკუთრებით მწვავე პრობლემად დგას. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე 13,3%-ია. სამუშაო ძალა არის 1965.3 ათასი კაცი, უმუშევარია 261.0 ათასი კაცი, ხოლო დასაქმებულია 1704.3 ათასი კაცი.

არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გამოსცა ბროშურა ,,უმუშევრობასთან ბრძოლა საქართველოში“, სადაც ნათლად არის წარმოჩენილი დასაქმების სფეროში არსებული პრობლემები. დასახელებული ორგანიზაციის კვლევის თანახმად, სტატისტიკის დეპარტამენტის ასეთი მაჩვენებელი უმუშევრობის დონესთან დაკავშირებით არარეალურია, ვინაიდან ამ მონაცემებში დეპარტამენტი ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილსაც, რომელსაც თუნდაც მცირე ფართობის მიწა აქვს და მისი გადამუშავებით და მოსავლის აღებით არის დაკავებული. ასეთი ადამიანები კი თვითდასაქმებულთა ნაწილს მიეკუთვნებიან.

დასაქმების თაობაზე ევროკავშირის 2008 წლის 3 აპრილის სამუშაო დოკუმენტში მითითებულია, რომ საქართველომ მოახდინა დასაქმების და შრომითი ურთიერთობების სრული ლიბერალიზაცია. დღეს ამ სფეროს ერთადერთი მარეგულირებელი შრომის ბაზარია. შრომით ბაზარზე კი ყველაზე დიდი წილი თვითდასაქმებულებს უკავიათ, რაც სამუშაო ძალის დაახლოებით ორ მესამედს შეადგენს. ბაზარზე ხანგრძლივად უმუშევართა რიცხვი ჭარბობს. დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია, რომ ბაზარზე არსებულ რთულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის ეფექტური პოლიტიკის არარსებობა და წყვეტილი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. დოკუმენტში შენიშვნის სახით მითითებულია, რომ დასაქმების საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანოს - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ეფექტურობა ძალზე დაბალია მწირი რესურსებისა და მართვის მოძველებული სტილის გამო.

დასაქმების პროგრამა

2006 წლის 2 აგვისტოს მთავრობამ მიიღო #148 დადგენილება ,,სამუშაო პროგრამებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც მთავრობა ბიუჯეტიდან გამოყოფდა 24 მილიონ ლარს და სამი თვის მანძილზე 52 000 ბენეფიციარს (სტაჟიორს) გადაუხდიდა ყოველთვიურ 150 ლარიან სტიპენდიას (სულ 450 ლარს), თუ ისინი სტაჟირებას გაივლიდნენ კერძო სექტორში ნებისმიერ თანამდებობაზე. თავდაპირველად,

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაეკისრა, ხოლო შემდგომში დადგენილებამ მრავალი ცვლილება განიცადა და ეს ფუნქციაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გადაეცა, ნაწილი დაევალა სოციალური სუბსიდიების საგენტოსაც. აღსანიშნავია, რომ მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობაც 52 000-დან 50 000 ათასამდე შემცირდა. სააგენტომ პროგრამის ადმინისტრირება თავისი ტერიტორიული ოფისების საშუალებით განახორციელა, თუმცა, სამწუხაროდ, არც სოციალური სუბსიდიების სააგენტოს და არც სხვა ორგანოს არ ევალებოდა პროგრამის ეფექტურობის, დასაქმებულთა ან მეწარმე სუბიექტთა მხრიდან მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი. გაკონტროლების ერთადერთი მექანიზმი, რომელსაც სააგენტო იყენებდა, ეს იყო სტაჟიორთა მხრიდან სტაჟირების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რომელიც ხელმძღვანელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით უნდა ყოფილიყო დამოწმებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბანკო ანგარიშზე არ ჩაერიცხებოდათ სათანადო ანაზღაურება. პროგრამა მეწარმე სუბიექტებს არ ავალდებულებდა, რომ სტაჟირების დასრულების შემდეგ სტაჟიორები სამსახურში აეყვანა. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მათ ნებაზე იყო დამოკიდებული.

2007 წელს კვლავ გადაიდგა ნაბიჯები ამ პროგრამის განხორციელების მიზნით. 2007 წლის 1 დეკემბრის #264 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განესაზღვრა კომპეტენცია და დაევალა:

ა) პროგრამაში მონაწილეობის სურვილის მქონე დამსაქმებლებისა და პროფესიული მომზადების ცენტრების რეგისტრაცია;
ბ) რეგისტრირებული დამსაქმებლებისა და პროფესიული მომზადების ცენტრების მონაცემთა ბაზის ფორმირება და სააგენტოსთვის გადაცემა;
გ) პროგრამის საინფორმაციო უზრუნველყოფა.

2007 წლის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დარეგისტრირდა 1 836 დამსაქმებელი (ორგანიზაცია) და 113 879 პროგრამის მონაწილე (მაძიებელი). სტიპენდიის პირველი ნაწილი (ავანსი) მიიღო 110 437-მა, მეორე ნაწილი - 110 065-მა, ხოლო მესამე ნაწილი - 109 506-მა ადამიანმა.

2008 წლის აპრილში, საპრეზიდენტო დასაქმების ფარგლებში, 22 098 400 ლარია გაცემული. დასაქმების პროგრამის პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული 114 ათასი ადამიანიდან 200 ლარიანი სტიპენდია 111 ათასმა ადამიანმა მიიღო, რამაც ჯამურად 22 200 000 ლარი შეადგინა. მეორე თვის სტიპენდიისთვის 22 798 400 გადაირიცხა, ხოლო მესამე ეტაპზე 110 492 ადამიანისთვის 22 098 400 ლარია გაცემული.

გარდა ამისა, სამინისტროს დავუსვით შეკითხვა, ხორციელდება თუ არა დღეისათვის სხვა პროგრამები, რომლებიც მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს. მიღებული პასუხის თანახმად, ამჟამად ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა იაფი კრედიტის ექსპორტის წახალისებისა და რეგიონალური ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარების ქვეპროგრამები. პროფესიული განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა ,,პროფესიული

განათლება დასაქმებისთვის“, რომლებიც, სხვა მიზნებთან ერთად, ითვალისწინებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმების ხელშეწყობას.

სამწუხაროდ, ძალიან მალე ცნობილი გახდა, რომ დასაქმების პროგრამა არც ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, როგორსაც უწინასწარმეტყველებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ რეალურად პროგრამაში მონაწილეთა მინიმალურმა რაოდენობამ გაირა სტაჟირება და კიდევ უფრო ცოტამ მუშაობაც დაიწყო. უდიდესი უმრავლესობა კი საერთოდ არ გამოჩენილა სამუშაო ადგილებზე. ისინი ცხადდებოდნენ ყოველი თვის ბოლოს, იღებდნენ დამოწმებულ დოკუმენტებს და დაუბრკოლებლად ღებულობდნენ ანაზღაურებას. აღნიშნულს ადასტურებს არაერთი გამოკითხული, თუმცა ვინაობის და დაწესებულებების დასახელება არც ერთმა მათგანმა არ ისურვა.

უნდა ითქვას, რომ დასაქმების პროგრამები მძიმე ტვირთად დააწვა კერძო მეწარმეებს მცირე და საშუალო საწარმოებს, რომელთაც ელემენტარული სივრცის პრობლემა აქვთ. ამ მიზეზით მათ ერჩივნათ, გაეცათ სტაჟირების გავლის ფორმალური დოკუმენტი, ვიდრე რეალურად დაესაქმებინათ ეს ადამიანები. ის ფაქტი, რომ ამდენმა ორგანიზაციამ გამოთქვა საპრეზიდენტო პროგრამაში მონაწილეობის სურვილი მაშინ, როცა მათთვის რეალური ფინანსური ან სხვა დაინტერესება არ არსებობდა, სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლას მიანიშნებს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული პროგრამები მიბმული იყო წინაასარჩევნო ბატალიებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფომ დღემდე ვერ შეძლო, ჩამოეყალიბებინა დასაქმების ეფექტური სტრატეგია, შეემუშავებინა უმუშევრობის დაძლევის გრძელვადიანი და ქმედითი პროგრამა. ამის ნაცვლად, ამ სფეროში განხორციელებული აქტივობები ხასიათდება სპონტანურობით, ერთჯერადობით და პოლიტიკური პოპულიზმის ნიშნებით.

სახელფასო დავალიანებები

შრომის უფლება და შრომის უფლებების პირობები არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განუყოფელი ნაწილია, არამედ ისინი ადამიანის ძირითად უფლებებს განეკუთვნებიან.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე–6 მუხლის I პუნქტით:

„ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს ყოველი ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც დათანხმდება, და გადადგამენ შესაბამის ნაბიჯებს ამ უფლების დასაცავად.“

ხოლო ამავე პაქტის მე-7 მუხლით აღიარებულია „თითოეული ადამინის უფლება ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, გულისხმობს ანაზღაურებასაც.“

ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) 1-ლი მუხლის შესაბამისად, შრომის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, მხარეები იღებენ ვალდებულებას „დაიცვან მუშაკის მიერ ნებაყოფლობით არჩეული სამუშაოს შესრულების გზით ფულადი სახსრების გამომუშავების უფლება“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი კი ადგენს, რომ „ყოველ ადამიანს, რომელიც შრომობს, უფლება აქვს იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის...“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ დასაქმება აღიქმება როგორც საარსებო წყაროს მოპოვების საშუალება. ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი ცალსახად აღიარებს ადამიანის უფლებას საკუთარი შრომით მოიპოვოს ეკონომიკური გადარჩენის საშუალება ანუ გასამრჯელო.

შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავის (რომელიც განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურეთა უფლებებსა და გარანტიებს) 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით დადგენილია, რომ „მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი)“.

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი აქტებით გარანტირებული უფლება - დასაქმებულმა მიიღოს ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ - თავისთავად წარმოშობს დამსაქმებლის მოვალეობას გასცეს გასამრჯელო.

საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე ძალიან ხშირია სახელფასო დავალიანებების ფაქტები, როგორც საჯარო, ასევე არასაჯარო დაწესებულებებში.

საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავენ მოქალაქეები წინა წლებში წარმოქმნილი კომპენსაციებისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოდის საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებიდან და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საქვეუწყებო სამსახურებიდან დათხოვნილი მოსამსახურეების განცხადებები.

სახელფასო დავალიანების არსებობის ფაქტი დაადასტურეს საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე მიღებულ პასუხებში.

თავდაცვის სამინისტროს 2008 წლის 11 აგვისტოს #9/3173 წერილში მითითებულია, რომ 2008 წლის 01 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელფასო დავალიანება შეადგენს 14 341 059 ლარს. ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 18 აგვისტოს #10/415-6028 წერილის თანახმად, 2008 წლის 01 ივლისის მდგომარეობით წინა წლებში წარმოქმნილი შრომის ანაზღაურების კრედიტორული დავალიანების ოდენობა მთლიანად შეადგენს 20 379 747.00 ლარს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ზემოთ დასახელებული სამინისტროებიდან და უწყებებიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი იღებს იდენტურ პასუხებს. კერძოდ, არც ,,საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონით და არც წინა წლების „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონებით გათვალისწინებული არ იქნა შესაბამისი ასიგნებები წინა წლების ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად. ხოლო ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებებით აღნიშნულის განხორციელება (ზემოთ ხსენებული უწყებების არგუმენტაციით) გამოიწვევს სამინისტროში ახალი დავალიანების დაგროვებას, რასაც კანონი კრძალავს.

ზემოაღნიშნული წერილის მიხედვით, სახელფასო დავალიანებები არ დაიფარება მანამ, სანამ დასახელებულ უწყებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გამოეყოფა სათანადო ასიგნებები.

სახელფასო დავალიანებების ანაზღაურების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საიდანაც მიმდინარე წლის 23 ივლისის #04-02/6964 პასუხით გვაცნობეს, რომ წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებათა დასაფარავად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის მიმდინარე წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებულია 20 მილიონი ლარი. გარდა ამისა, მოცემული მიზნით საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტშიც.

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ,,საქართველოს 2008

წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის თანახმად, უფლება ეძლევათ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის მიზნით, გამოიყენონ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით მათთვის დამტკიცებული ასიგნებები იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული ახალი დავალიანების დაგროვება.

ნებისმიერი საჯარო სამსახურიდან დათხოვნილ პირთა სახელფასო დავალიანებების ანაზღაურებაზე ზრუნვა, უპირველეს ყოვლისა სწორედ სახელმწიფოს ვალდებულებაა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამსახურებს უნდა გამოეყოთ სათანადო ასიგნებები წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების დასაფარავად, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს სახელფასო დავალიანებებთან დაკავშირებული პრობლემები. სამსახურიდან გათავისუფლებული მოსამსახურე საკუთარი შრომით გამომუშავებული სახსრების მისაღებად არ უნდა მიმართავდეს სასამართლოს, რათა სამსახურმა იძულებითი აღსრულების წესით დაფაროს სახელფასო დავალიანება. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში სახელფასო დავალიანებების დასაფარავად, ანუ კუთვნილი გასამრჯელოს მისაღებად ყველაზე ეფექტური საშუალება სწორედ რომ სასამართლოსადმი მიმართვაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამოდინარე, სახელმწიფომ ცალკეული სტრუქტურებისთვის სათანადო ასიგნებების გამოყოფით უნდა უზრუნველყოს სამსახურიდან დათხოვნილ პირთა სახელფასო დავალიანებების დაფარვა წინააღმდეგ შემთხვევაში უხეშად ირღვევა როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი აქტების შესაბამისი ნორმები.

საბინაო საკითხები

„სახელმწიფო, სადაც ადამიანთა მნიშვნელოვან რაოდენობას ელემენტარული თავშესაფარი ან ბინა არა აქვს, prima facie ვერ ასრულებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს".[63]

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე–11 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს".

ამავე უფლებას განამტკიცებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლიც. ტერმინი „ცხოვრების სათანადო დონე", ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, ნიშნავს „ცხოვრების ისეთ დონეს, საკვების, ტანისამოსის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საცხოვრებლის უფლების საკითხების ყოფილმა მომხსენებელმა, მოსამართლე რეინდარ საჩარმა, თავის დასკვნით მოხსენებაში (1995 წ.) აღნიშნა, რომ „საცხოვრებლის უფლების ოფიციალურად აღიარების შემდეგ, სახელმწიფო უნდა შეეცადოს, ყველა სათანადო საშუალების გამოყენებით უზრუნველყოს თითოეული ადამიანის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო პირობებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამის საბინაო რესურსებზე, რაც ადამიანის სხვა უფლებებს არ ეწინააღმდეგება".

გარდა ამისა, რეინდარ საჩარმა აღნიშნა, რომ „სამართლებრივი ვალდებულებების აღების შემდეგ, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნული უფლების თითოეული შემადგენელი ასპექტის პოლიტიკის შემუშავებაზე და საკანონმდებლო აღიარებაზე იქნება ორიენტირებული"[64].

ამდენად, სახელმწიფომ, როგორც საერთაშორისო დოკუმენტის ხელშემკვრელმა მხარემ, თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებით და მის ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით, პრიორიტეტების ზუსტად განსაზღვრით, უნდა უზრუნველყოს საცხოვრებლის უფლების მაქსიმალურ ფარგლებში განხორციელება, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო განიცდის თუ არა „ხელმისაწვდომი რესურსების" ნაკლებობას.

---

[63] ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №3, ადგ. ციტ. (შენიშვნა 18), პუნქტი 9.

[64] UN doc. E/CN.4/SUB.2/1995/12, პუნქტი 12.

1998 წელს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებულ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევის მაასტრიხტის სახელმძღვანელო პრინციპების №10 პრინციპში ნათქვამია, რომ „რესურსების ნაკლებობა სახელმწიფოს არ ათავისუფლებს გარკვეული მინიმალური ვალდებულებებისაგან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების იმპლემენტაციის თვალსაზრისით“[65].

მართალია, საქართველოს უზენაესი კანონი არ შეიცავს ჩანაწერს საცხოვრებლის უფლების შესახებ, მაგრამ მოცემული უფლება თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან. ამის დასტურია კონსტიტუციის 39-ე მუხლი, რომლის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით კი პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ „უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა“ სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით არაერთხელ მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კონკრეტული პირებისთვის ელემენტარული თავშესაფრით ან ბინით უზრუნველყოფის მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე, რომელიც „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადამიანის დარღვეული უფლების (აღნიშნულ შემთხვევაში, საცხოვრებლის უფლება) აღსადგენად იგზავნება, მხოლოდ ერთი სტანდარტული პასუხი აქვთ - ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს საბინაო ფონდი.

ზემოხსენებული არგუმენტი, რომელსაც ეყრდნობა გამგეობა არის უსაფუძვლო და საკმაოდ სუსტი იმისათვის, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო გათავისუფლდეს ვალდებულებებისგან, რომლებიც განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებებით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით, ასევე, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე სახელმწიფოს არ გაუტარებია საცხოვრებლის უფლების ფართო განხორციელებისათვის აუცილებელი სამართლებრივი და პრაქტიკული ღონისძიებები.

---

[65] მაასტრიხტის სახელმძღვანელო პრინციპები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევების შესახებ (1998 წ.), Human Rights Quarterly, ტ. 20, No. 3 (1998), გვ. 691-701; და ამ კრებულის დანართი 4.

ერთადერთ წინგადადგმულ ნაბიჯად, ზემოაღნიშნული უფლების იმპლემენტაციისათვის, შეგვიძლია მივიჩნიოთ ვარკეთილის მასივში „სოციალური სახლების“ მშენებლობის ფაქტი.

2008 წლის 11 მარტს ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ვარკეთილის მასივში მიმდინარეობს „სოციალური სახლების“ მშენებლობა, რომელსაც აფინანსებს შვეიცარიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო. მშენებლობის დასრულება, სავარაუდოდ, 2008 წლის მესამე კვარტალშია დაგეგმილი.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული წერილით გაირკვა, რომ „სოციალური სახლების“ მობინადრეთა შესარჩევად შეიქმნება წარმომადგენლობითი კომისია, რომელიც განიხილავს და შეისწავლის მობინადრეთა საკითხს და გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს.

ზემოთ ხსენებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება იმ პირების გარკვეული ნაწილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რომელთაც არ გააჩნიათ ელემენტარული თავშესაფარი. თუმცა, იმავდროულად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მომავლისთვისაც დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი პროექტები, რათა უსახლკარო ადამიანების მაქსიმალური რაოდენობა დაკმაყოფილდეს საცხოვრებლით. ამის პარალელურად, აუცილებელია, სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები იმ სოციალურ ჯგუფებსა და ადამიანებს (ოჯახებს) შორის, რომელთა ცხოვრების პირობები სრულ შესაბამისობაში არ არის საცხოვრებლის უფლების შინაარსთან და მიზნებთან. იმედს ვიტოვებთ, რომ სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის წერილში აღნიშნული წარმომადგენლობითი კომისია წარმატებით შეძლებს აღნიშნული როლის შესრულებას.

გარემოს დაცვა

„ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“.

საქართველოს კონსტიტუცია (37-ე მუხლის მე-3 პუნქტი)

საქართველოს უზენაესი კანონით - კონსტიტუციით დაცული უფლების -„ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“ - გარანტირება და სახელმწიფოს მხრიდან, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფა საზოგადოების კანონიერ ინტერესს განეკუთვნება.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად იქცა. იმავდროულად, ადამიანის სიცოცხლე დიდწილად სწორედ გარემოზეა დამოკიდებული. გაეროს ფარგლებში ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს, რომ არსებობს მიზეზშედეგობრივი კავშირი გარემოს დაბინძურებასა და ადამიანების სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფას შორის.

ადამიანის უფლებები მიზნად ისახავს ადამიანის ინტერესების დაცვას, იქნება ეს სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ცხოვრებისა თუ კერძო საკუთრების ინტერესი. გარემო, როგორც დაცვის ობიექტი, მოიცავს ბუნებრივ გარემოს (ანუ ბუნებას) და ადამიანურ გარემოს (ანუ ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, უვნებელ გარემოს). არარაციონალური ბუნებათსარგებლობა ნიშნავს ადამიანის მიერ ისეთ მავნე ზემოქმედებას გარემოზე, რომელიც ზიანს აყენებს ბუნებას და/ან საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე უეერემანტრიმ თავის მოსაზრებაში საქმეზე - უნგრეთი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Hungary v. Slovakia) - ხაზი გაუსვა, რომ გარემოსადმი ზიანის მიყენებამ შეიძლება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში მოცემული ყველა უფლება ხელყოს[66]. ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა არის ურთიერთდამოკიდებული და განუყოფელი. შესაძლებელია გარემოს დაცვის ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით გამოყენება და ადამიანის უფლებების გარემოს დაცვის მიზნით გამოყენება.

გარემოსდაცვითი უფლებები აღიარებულია მრავალ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში, რომელთაც სავალდებულო იურიდიული ძალა აქვთ ხელშემკვრელი მხარეებისათვის და რომლებიც ადგენენ ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის გარანტიებს.

---

[66] 1997წ.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (25-ე მუხლი) ადასტურებს, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.“

გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის მე-2(ბ) პუნქტი კი სახელმწიფოებს ავალდებულებს, გააუმჯობესონ „ეკოლოგიური და სამრეწველო ჰიგიენის ყველა ასპექტი.“

ადამიანის გარემოს შესახებ 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველ პრინციპში აღნიშნულია, რომ „ადამიანს აქვს ძირითადი უფლება... ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე ისეთი ხარისხის გარემოში, რომელიც ღირსეული ცხოვრებისა და კეთილდღეობის საშუალებას იძლევა.“

1998 წლის 25 ივნისს ქ.ორჰუსში (დანია) ხელმოწერილი კონვენციით „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, გარემოსდაცვითი ინფორმაცია „არის ცნობიერების გასაღები იმ საშიშროების წინაშე, რაც ეკოლოგიურ კრიზისს შეიძლება მოჰყვეს. ეს ინფორმაცია აუცილებელია ეფექტიანი მონიტორინგის, რეგულირების განხორციელების, დაბინძურების აღკვეთისა და შემცირებისათვის“.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებები მოიცავს როგორც სამოქალაქო, ისე სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც, რომელთა სრულყოფილად რეალიზაციის შედეგად შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლება, ცხოვრობდეს ჯანსაღ და უვნებელ გარემოში, თავისუფლად იღებდეს დროულ და ობიექტურ ინფორმაციას თავისი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთი საქმე შეისწავლა, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის გარემოსდაცვითი უფლების დარღვევასთან და სათანდო სამართლებრივი რეაგირებისთვის მიმართა საკითხის გადაჭრაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს.

2007 წლის 8 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ქალბატონმა ნინო გუჯარაიძემ, რათა შეესწავლა საქართველოში ტყითსარგებლობის სფეროში შექმნილი ვითარება და 2007 წლის 1 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგების საფუძველზე, გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის კანონიერების საკითხი.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ განცხადებაში მოყვანილი გარემოებების სრული და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, 2008 წლის 29 აპრილს საქართველოს სახალხო

დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მ/შ-ს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ გამოცემული 2007 წლის 30 მარტის №311, №312, №313 ბრძანებების „ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“ და 2007 წლის 1 მაისს ჩატარებული აუქციონის შედეგების საფუძველზე გამოცემული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ბათილად ცნობის შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ლიცენზიანტებისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ანაზღაურების რეკომენდაციასაც აძლევდა.

აღნიშნული საკითხის საფუძვლიანად განხილვის შედეგად გამოირკვა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ კანონის მოთხოვნების უგულვებელყოფით მიიღო დაუსაბუთებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ ბრძანებების გამოცემისას უგულვებელყო კანონისმიერი დანაწესი. კონკრეტულად:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არ განსაზღვრა რესურსის მოპოვების დასაშვები ფორმები და მეთოდები;

- არ დააკონკრეტა ლიცენზიანტის მიერ ასათვისებელი რესურსის სახე. ერთ-ერთ ბრძანებაში სატყეო უბნებზე ყოველწლიურად ჭრას დაქვემდებარებული რესურსის სახეობებს შორის მითითებულია ზოგადად „წიწვიანი“, ხოლო წიწვიანი ხეების სახეობების სიმრავლიდან გამომდინარე ბუნდოვანია, თუ რომელი სახეობა შეიძლება დაექვემდებაროს ჭრას და რა ოდენობით;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არ განსაზღვრა მაღალი კონსერვაციული (დაცვითი) ღირებულების ზონები;

- არ განსაზღვრა ტყითსარგებლობის ზუსტი მონაკვეთები და ასათვისებელი რესურსის საერთო ოდენობა;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არ უზრუნველყო საზოგადოების გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა;

- არ უზრუნველყო სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და

საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და წინადადებების განხილვა.

ვინაიდან, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არ განახორციელა ზემოთ ჩამოთვლილი კანონისმიერი მოთხოვნები, მოცემული უწყების მიერ გაცემული ლიცენზიების თანახმად, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაცული იქნება მომავალი თაობების უფლება - ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებით და გარემოთი.

ამგვარად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საზოგადოებრივი ინტერესი აღნიშნულ შემთხვევაში პრიველირებს კერძო პირის ინტერესთან შედარებით და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ბათილად უნდა ეცნო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. თუმცა, ზემოთ აღნიშნული საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს განრემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ არ დაკმაყოფილდა.

ვინაიდან, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გარანტირებული უფლებაა, საქართველოს სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის ძალით მინიჭებული უფლებით - საკუთარი ინიციატივით – დაიწყო 2004 წლის 10 სექტემბერს საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში ნავთობკომპანია „კანარგო-ჯორჯიას“ №100 ჭაბურღილზე მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით ხსენებული კომპანიის საქმიანობის კანონიერების შესწავლა.

საქმის შესწავლისას გაირკვა, რომ საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში ნავთობკომპანია „კანარგო-ჯორჯიას“ №100 ჭაბურღილზე მომხდარი ავარიის შედეგად, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, დიდი რაოდენობით ნავთობი, გაზი და წყალი ამოიფრქვა. ავარიამ 220 ჰექტარი ტყის მასივის განადგურება, სასმელი წყლისა და ნიადაგის დაბინძურება გამოიწვია. ადგილობრივი მაცხოვრებლების განმარტებით, ამოფრქვეული გაზის შესუნთქვით მოიწამლა მოსახლეობა. საგარეჯოს რაიონის სოფლებში: პატარძეულში, ნინოწმინდაში, გაღმაუბანსა და წყაროსთავში მასობრივად გავრცელდა ალერგიული და ონკოლოგიური დაავადებები. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, საგანგაშოდ იმატა სიკვდილიანობამაც.

საგარეჯოს რაიონში არსებული პრობლემების შესწავლისა და სათანადო საექსპერტო გამოკვლევის ჩასატარებლად საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. საექსპერტო გამოკვლევის ჩატარება ნათელს მოჰფენდა იმ ბუნდოვან მდგომარეობას, რომელიც სუფევს ადგილობრივ მაცხოვრებელთა შორის და ამასთანავე დადგინდებოდა ნიადაგის დაბინძურების ხარისხი, სასმელი წყლის ვარგისიანობა; გაირკვეოდა არის თუ არა საფრთხის შემცველი სასმელი წყალი და მოცემულ ნიადაგზე აღმოცენებული მცენარეების ნაყოფი; დადგინდებოდა რა ზეგავლენას ახდენს დასახლებულ პუნქტთან ახლოს მდებარე ნავთობკომპანია მაცხოვრებლების ჯანმრთელობაზე და გაირკვეოდა,

რამდენად უკავშირდება მოსახლეობაში გავრცელებული დაავადებები ნავთობის ავარიულ ამოფრქვევას.

2007 წლის 21 სექტემბრის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პასუხის თანახმად, სრულფასოვან საექსპერტო გამოკვლევასთან დაკავშირებული ხარჯი შეადგენს 9 127.6 (ცხრაათას ასოცდაშვიდი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

საკითხის შესწავლის აუცილებლობის მიუხედავად, ზემოაღნიშნული საექსპერტო გამოკვლევის ჩატარებას აფერხებს სათანადო თანხების არ ქონა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. თუმცა, პრობლემა, თავისი აქტუალობიდან გამომდინარე, რეაგირებას საჭიროებს.

იმისათვის, რათა არ შეილახოს ადამიანის უვნებელ გარემოში ცხოვრების, როგორც კონსტიტუციური, ასევე საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით არაერთ სახელმწიფო უწყებას (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და სხვა) მიმართა. მიმართვის ძირითადი მიზანი იყო, იმის გარკვევა, შპს „კანარგო ჯორჯიას“ ჭაბურღილი ფუნქციონირებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობის დაცვით.

სწორედ ამ მიზნით, 2006 წლის 3 აგვისტოს და 2007 წლის 5 ივლისს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარტმა მიმართა კითხვით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გაცემულ იქნა თუ არა მის მიერ შპს „კანარგო ჯორჯიას“ ნინოწმინდის №100 ჭაბურღილზე საქმიანობის დაწყებამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

ზემოთ ხსენებული უწყების 2006 წლის 23 აგვისტოს (#11/11-162) და 2007 წლის 25 ივლისის (#05/02-16/2302) წერილები იდენტური შინაარსის იყო. პასუხების მიხედვით გაირკვა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, შპს „კანარგო ჯორჯიას“ ნავთობბაზის ფუნქციონერებისას გარემოზე ზემოქმედების ამსახველი არავითარი დოკუმენტაცია (არც გაანგარიშებითი და არც პირდაპირი გაზომვებით დადგენილი) არ გააჩნია და მსგავსი საქმიანობისათვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ გაუცია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ადმინისტრაციული სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის 2004 წლის 19 ნოემბრის წერილის თანხმად, ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანია „ნინოწმინდაზე“ გაცემულია სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №47. აღნიშნულ დასკვნაზე გარემოსდაცვითი ნებართვა არ გაცემულა, იმ პერიოდისათვის შესაბამისი ბლანკების არქონის გამო.

იმ შემთხვევაში, თუ შპს „კანარგო ჯორჯიას“ ნინოწმინდის №100 ჭაბურღილის პროექტირებისას არ იქნა გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები

და ნორმები, ბურღვის დაწყებამდე არ იქნა შედგენილი გარემოზე ზემოქმედების ანგარიში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე და არ იქნა გაცემული მოცემული საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვა, მაშინ სახეზეა საქმიანობის სუბიექტს - შპს „კანარგო ჯორჯიას“ მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობა შემდეგ გარემოებათა გამო:

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად: „საზოგადოებრიობისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებისა და ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია გარემოსდაცვითი ნებართვა.“

საქმიანობამ, რომელსაც ახორციელებს შპს „კანარგო ჯორჯია“, თავისი მასშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი და შექცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. მოცემულ შემთხვევაში, საგარეჯოს რაიონის მოსახლეობის კანონიერი უფლებაა, მოითხოვოს სახელმწიფოსგან ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელ (უსაფრთხო) გარემოში ცხოვრების უფლების დაცვა და შენარჩუნება საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების გათვალისწინებით. ასევე, მისი უფლებაა სახელმწიფოსაგან მოითხოვოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვა. საგარეჯოს რაიონის მაცხოვრებლების მთავარი პრობლემა სწორედ ინფორმაციის უქონლობაა, ვიანიდან მათ არ გააჩნიათ სრული და ობიექტური ცნობები მათი საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

ამდენად, 2008 წლის 3 აპრილის ევროკომისიის პირველ ანგარიშში (ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ) დაფიქსირებული გარემოება იმის თაობაზე, რომ საქართველოში შეზღუდულია გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, მოითხოვს საქართველოს მხრიდან საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განსახორციელებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობის განმაპირობებელი მიზეზები, წინა წლების მსგავსად, სისტემური ხასიათისაა და არ დაიყვანება ერთ კონკრეტულ უწყებამდე ან ფაქტორამდე. აღსანიშნავია, რომ უწყებათა შორის დისკორდინაციის ხვედრითი წილი, აჭარბებს ცალკეული პრობლემის სიმძაფრეს და, ფაქტობრივად, გვევლინება მრავალი სხვა პრობლემას სათავედ. წინამდებარე ანგარიშში აისახა სწორედ ის მომენტები, რომელიც, ჩვენი აზრით, პირდაპირ კავშირშია შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის დაბალ ხარისხთან და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ სირთულეებთან

- შშმ პირთა სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებული პრობლემები:

ა. პროგრამები არ ეფუძნება ერთიან კონცეპტუალურ ხედვას შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის შესახებ.

ბ. პროგრამის ძირითადი შედეგი – შშმ პირის სოციალური ინტეგრაცია დაყვანილია ამ ცნების მექანიკურ გაგებამდე.

ც. პროგრამები, ფაქტობრივად, არ არის დაფუძნებული შშმ პირთა საჭიროებების კვლევის სანდო მონაცემებზე.

დ. პროგრამებს არ აქვთ გარდამავალი და უწყვეტი ხასიათი.

ე. პროგრამები ნაკლებად არის ორიენტირებული შშმ პირთა ცხოვრების ხარისხის ზრდაზე. იგი მხოლოდ უზრუნველყოფს შშმ პირთა მოვლის ან რეაბილიტაციის ცალკეულ, ერთეულ კომპონენტებს (მაგ. შშმ პირთათვის დამხმარე საშუალებების უზრუნველყოფა)

ფ. პრაქტიკულად არ ხორციელდება პროგრამების მონიტორინგი შშმ პირთა ინტერესების გათვალისწინებით.

გ. არ ხორციელდება შშმ პირთათვის მომსახურების მიმწოდებელთა გაჩენისა და განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები.

ჰ. აღინიშნება დისკოორდინაცია დონორებისა და სახელმწიფო უწყებების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებების რაციონალურ დაგაგმვასა და მიწოდებაში შშმ პირთა და მათი ოჯახებისათვის.

- არაადექვატურია შშმ პირთათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების წესი, ხოლო, რიგ შემთხვევაში, სრულიად არაჰუმანური და ადამიანის ღირსების შემლახველია მისი განხორციელების პროცესი.
- არ არის დაცული შშმ პირთა პრობლემებზე მომუშავე პროფესიონალთა უფლებები, რაც შესაბამისად აისახება შშმ პირთათვის მომსახურების მიწოდებაზეც.

ამავე დროს, წინამდებარე ანგარიში ხაზს უსვამს იმ "საუკეთესო პრაქტიკის" მაგალითებს, რომლიც ამ დროისთვის ქვეყანაში ხორციელდება და სასურველია გაძლიერდეს შშმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:

- შემუშავდა და პარლამენტს წარედგინა დასამტკიცებლად "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური

ინტეგრაციის კონცეფცია", რომლის შემუშავებაშიც ჩართული იყო როგორც შშმ პირთა წარმომადგენლობითი არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე სამთავრობო უწყებები - საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით.

- დაწყო მოსახლეობის დაუცველი ფენების სოციალური საცხოვრებლებით უზრუნველყოფის პროგრამა თბილისის მერიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ინიციატივით.
- მიმდინარეობს და კონკრეტული პოზიტიური შედეგები მოიტანა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების, ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა (მათ შორის შშმ ბავშვთა) დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამებმა.

...

გასული წლების სახალხო დამცველის ანგარიშებში არაერთხელ აისახა შშმ პირთა უფლებების სფეროში მოუგვარებელი პრობლემები. ამ პრობლემათა ნაწილმა, მაგალითად, შენობა-ნაგებობების ადაპტირებამ, ხმოვანი გადასასვლელების დამონტაჟებამ და სხვამ, შეიძლება ითქვას, "ქრონიკულად გადაუჭრელი პრობლემების" სტატუსი შეიძინა.

შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ წინამდებარე ანგარიშის სპეციფიკა იქნება პრობლემების არა მხოლოდ დაფიქსირება, არამედ მათი მიზეზების ძიება საზოგადოების მაკრო, მეზო და მიკრო დონეებზე; განხორციელებული ქმედებების რაოდენობრივი მაჩვენებლების თვისობრივი და ხარისხის ნიშნით ანალიზი; სფეროში განხორციელებული მოვლენების ფარგლებში ობიექტური ფაქტებისა და მათი შშმ პირთათვის სუბიექტური შედეგების განცალკევება. ძირითადი აქცენტები დაისმება იმაზე, თუ გარკვეულმა ქმედებამ რა გავლენა იქონია კონკრეტული შშმ პირის ან ჯგუფის ცხოვრების ხარისხზე და არა იმაზე, თუ სად დაიხარჯა ბიუჯეტის წინასწარგანსაზღვრული მოჭრილი თანხა.

აგრეთვე, საზოგადოების გაძლიერების სტრატეგიის ფარგლებში, ვეცდებით, შემოგთავაზოთ "საუკეთესო პრაქტიკის" მაგალითები იმის დასტურად, რომ ამ რთულ სოციო-ეკონომიკურ პირობებშიც კი შესაძლებელია გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიღწევა და უფრო კი ამ ცვლილებების გააზრებული რეპლიკაცია.

სახელმწიფო პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის

დღესდღეობით შშმ პირთა სახელმწიფო პროგრამები ქვეყანაში განაწილებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისა და ქალაქ თბილისის მერიის კომპეტენციაში. მოკლედ შევეხებით თითოეულს.

1. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა"

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე „საინტერესო" ტენდენცია ალბათ მის უცვლელობაშია. სულ მცირე, გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ წლიდან წლამდე პროგრამის არათუ შინაარსობრივი კომპონენტი, სტრუქტურული თანამიმდევრობაც არ იცვლება.

პროგრამის კომპონენტების შშმ პირთა საჭიროებებზე მორგების საკითხი, როგორც ჩანს, აქტუალური ჯერაც არაა, ვინაიდან, მისი აღწერის არც ერთ ფრაზაში არ გვხვდება სტატისტიკური, ან, თუნდაც, თვისობრივი კვლევით მოპოვებული სანდო მონაცემები ამ საჭიროებებზე.

ასევე დამაფიქრებელია ის ელემენტარული ტერმინოლოგიური ნონსენსი, რაც წლების განმავლობაში პროგრამის ფორმულირებაში გამოიყენება. მაგ. "ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაციის კომპონენტი" (ტერმინი "ფსიქოსომატური" აღნიშნავს – ნევროტული ჯგუფის, სტრესთან დაკავშირებულ, მენტალური წარმოშობის დარღვევათა ჯგუფს, რაც აღნიშნულ პროგრამაში შეუსაბამოდ, მაგ. ბავშვთა ცერებრული დამბლის მქონე პირებთან მიმართებაშია გამოყენებული) და "... სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეკომპონენტი...", სოციალური ინტეგრაციის კომპონენტის ფარგლებში. ექსპერტების აზრით, ისევე როგორც, გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის თანახმად, ტერმინი "სპეციალური" იმთავითვე გამორიცხავს სოციალური ინტეგრაციის იდეას, რომელიც შესაძლებლობების გათანაბრების პრინციპს ეყრდნობა. აღარ ჩავუღრმავდებით ტერმინოლოგიურ საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ ამავე კონვენციის თანახმად, შშმ პირთა მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას და განხორციელებულ ქმედებებს სწორედ მათ მიმართ გამოყენებული ლექსიკა და დისკრიმინაციული ტერმინილოგია განსაზღვრავს.

ვიდრე თავად პროგრამის ღონისძიებებს შევეხებოდეთ, მიმოვიხილავთ მის ზოგად სტრუქტურას, რომელიც გვთავაზობს შშმ პირთათვის, ხანდაზმულთათვის და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთათვის (ხშირად) ერთ კომპონენტის ფარგლებში გაწერილ მომსახურებას. ეს ერთეული, მაგალითად, "დღის ცენტრის ტიპის სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეკომპონენტი" ზუსტად ერთსა და იმავე პირობებს სთავაზობს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, ასაკის, დიაგნოზის (ფუნქციურ მდგომარეობაზე რომ არაფერი ითქვას) მქონე პირს. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ პროგრამის შემქმნელებს, რომ იდენტური საჭიროებები ექნებათ ზრდასრულ და სკოლამდელი ასაკის, განათლების, დასაქმების და/ან ბაგა-ბაღში ინკლუზიის საჭიროების მქონე ადამიანს? როდის დადგება პროგრამის ბენეფიციართა საჭიროებების მიხედვით დივერსიფიკაციის საკითხი, რათა მისი ცალკეული კომპონენტი სენსიტიური, კონკრეტულ საჭიროებებზე და მიზნებზე ორიენტირებული გახდეს?

ამ და სხვა კითხვებით დავუკავშირდით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებს. სამწუხაროდ, მათგან პასუხები ვერ მივიღეთ ვერც წინასწარ დაგეგმილ შეხვედრაზე და ვერც შემდეგ, როდესაც, მათივე თხოვნის საფუძველზე, შეკითხვები ელექტრონულად გადავუგზავნეთ. შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი ანგარიშის შესასრულებლად ვეყრდნობოდით სახელმწიფო პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზს, ბენეფიციარებთან და სხვადასხვა პროგრამის მიმწოდებელთან, პროფესიონალებთან, სამინისტროს საქვეუწყებო სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვდერების და დისკუსიის მასალებს.

- **შშმ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**

აღნიშნული პროგრამის კომპონენტებსა და ქვე-კომპონენტებს შორის თვალსაჩინოა უწყვეტობისა და გარდამავლობის პრინციპის რღვევა. გაუგებარია, რა საშუალებით მოახდენს მაგ. სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფილი შშმ პირი სოციალურ ინტეგრაციას (რომელიც პროგრამის ძირითადი მიზანია), თუ ამ ღონისძიებას თან არ ახლავს სხვა - რეაბილიტაციის, დასაქმების და სოციუმში რეინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებები? მაგ. ერთ-ერთ საპროთეზო ორთოპედიული მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში დასმულ შეკითხვაზე, თუ ვინ უზრუნველყოფს შშმ პირისთვის გაცემული ზედა კიდურის პროტეზის კომპლექსური მოხმარების სწავლებას (რაც გულისხმობს არა მხოლოდ მარტივი მოძრაობების, არამედ სასურველი ფუნქციური და პროფესიული საქმიანობის ადაპტაციასა და განხორციელებას პროთეზის მეშვეობით) და შედეგად ამ ადამიანის ფუნქციური სტატუსის გაუმჯობესებას, დაწესებულების თანამშრომელმა გვიპასუხა, "რა საჭიროა, ის თავადაც მიხვდება როგორ გამოიყენოს". აღნიშნული პასუხი, რომელიც წარმოადგენს მთელი პროგრამის იდეურ კონცეფციას, ცხადყოფს რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის ცნების არასწორ გაგებას – **სოციალური ინტეგრაციის ღონისძიება არ გულისხმობს ადამიანის მხოლოდ მექანიკური მოწყობილობებით უზრუნველყოფას, არამედ, მოიცავს ამ მოწყობილობების საშუალებით მისი სოციალური ფუნქციონირების ხარისხის გაზრდასაც, რაც ვერ იქნება ერთჯერადი ქმედების საგანი.**

ცალკე განხილვას იმსახურებს შშმ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგარამა, რომლის ბიუჯეტიც 2007 წლისთვის 789 000 ლარს წარმოადგენდა. სახალხო დამცველის ოფისი დაინტერესდა ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ ეტლების შეძენის პროცედურით და ამ მიზნით შეხვდა მათ წარმომადგენლებს. როგორც აღმოჩნდა, ეს პროცედურა არ ეყრდნობა არანაირ წინასწარშემუშავებულ - პროფესიულად დასაბუთებულ ინსტრუქციას, რომელიც უზრუნველყოფდა შშმ პირისთვის დიაგნოზისა და ფუნქციური სტატუსის შესაბამის სხვადასხვა ტიპის ეტლების შეძენას. ამის მიზეზი გახლავთ რეფერალური სისტემის არქონა სარეაბილიტაციო სისტემიდან ეტლის შემსყიდველ სისტემამდე. ანუ არ ხდება ამ პროცესში პროფესიონალების ჩართვა, ადამიანებისა, რომლებიც შესძლებდნენ შეესწავლათ ყველა კონკრეტული შემთხვევა და მიეწოდებინათ სააგენტოსათვის სხვადასხვა შემთხვევებში გამოსაყენებელ ინსტრუქციათა და კონკრეტული ადამიანის სპეციფიურ საჭიროებათა ჩამონათვალი.

ამგვარი სისტემის არსებობის პირობებში სააგენტოს წარმომადგენელს ექნებოდა პროფესიონალის მიერ დანიშნული და შშმ პირის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანილი ეტლის აღწერილობა, რის საფუძველზეც შესყიდვები უფრო ეფექტურად განხორციელდებოდა. მოცემულ ეტაპზე ეტლების შეძენა ხდება მასიურად, სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. ხოლო მის გაცემას არ უძღვის წინ საჭიროების მქონე ინდივიდების შეფასება, ზომების დაზუსტება და მოხმარების ტრენინგი.

შესაბამისად, უგულებელყოფილია სავარძელ-ეტლების გამოწერის მინიმალური სტანდარტი, რომელიც, პროფესიული ლიტერატურის მიხედვით, ითვალისწინებს შემდეგ პუნქტებს:

- **კლიენტის (შშმ პირის) მიზნები** - აღნიშნული სავარძელ-ეტლის განსაზღვრულ გარემოში, განსაზღვრული დანიშნულებით გამოყენება.
- **კლიენტის პროფილი** – კლიენტის ფუნქციური შესაძლებლობები, წონასწორობის ხარისხის, კონტრაქტურისა, გამოცდილების თუ სხვა მაჩვენებლების გათვალისწინება.
- **სავარძელ-ეტლში ჯდომის პირობები** – სპეციალური ბალიშის ან საზურგის გამოყენების საჭიროება.
- **გარემო** – კლიენტის ცხოვრების სტილის თანახმად იმ გარემოს აღწერა, სადაც მოხდება სავარძელ-ეტლის უპირატესი გამოყენება.
- **პორტატულობა და ტრანსპორტირება** – კლიენტის მიერ დამოუკიდებლად ან მზრუნველის დახმარებით სავარძელ-ეტლის გადაადგილების უზრუნველყოფა.
- **მზრუნველის პრიორიტეტები** – მზრუნველის შესაძლებლობების და არჩევანის გათვალისწინება.
- **სავარძელ-ეტლის შენახვისა და შეკეთების პირობები და ა.შ.**

იმავე კომპონენტის ფარგლებში არ არსებობს სავარძელ-ეტლის მომხმარებელთა საჭიროებებისა და მონაცემების სრულფასოვანი ბაზა. შემდგომი გადამოწმების სისტემა, რომელიც დააზუსტებდა, თუ რამდენად გაუმჯობესდა პირის საზოგადოებაში ინტეგრაცია აღნიშნული საშუალების მიღების შემდეგ. თავისთავად ცხადია, არ არსებობს ელექტრონული ეტლების და სხვა მაღალფუნქციური დამხმარე საშუალებების უზრუნველყოფის პრაქტიკაც, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტია კონკრეტული ადამიანის ცხოვრების ხარისხის ნორმასთან მიახლოებისათვის.

- **შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამა**

აღსანიშნავია ასევე, შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული პრობლემები. ამ ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი შშმ პირთა ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობაა, ხოლო ძირითადი ამოცანა - შშმ პირთა დღის ცენტრის ტიპის სპეციალიზებული დაწესებულებებით უზრუნველყოფა. პროგრამის მომხმარებლების მიერ არაერთხელ აღინიშნა ამ ქვეკომპონენტის რიგიდული ხასიათი, რაც მომსახურების მომწოდებლებს (დღის ცენტრის ტიპის დაწესებულებებს) არ აძლევს საშუალებას, უკიდურესად მცირე დაფინანსების

პირობებში, მოქნილად გაანაწილონ შეზღუდული რესურსები. როგორც ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, დაფინანსების სისტემა დაკავშირებულია, მაგალითად კონკრეტული ბენეფიციარის გამოცხადებასთან ცენტრში (რაც შესაძლოა არ მოხდეს გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო) და ცენტრის ფინანსურ მენეჯმენტს სერიოზულ ზარალს აყენებს. მიუხედავად 2008 წლის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ზრდის ტენდენციისა (ერთ ბენეფიციარზე დღეში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია 10 ლარი, წინა წელს გამოყოფილი 8 ლარის ნაცვლად), ცენტრების წარმომადგენლების აზრით, აღნიშნული დაფინანსების პირობებში, შეუძლებელია მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება შშმ პირთათვის, შეუძლებელია მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მოზიდვა და ცენტრის სასწავლო-სამუშაო მასალით აღჭურვა. შესაბამისად, ორგანიზაციებს უწევთ დამატებითი დაფინანსების წყაროს ძიება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან, რაც საკმაოდ რთულია დონორებთან არაკოორდინირებული სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის პირობებში, რასაც ქვემოთ შევეხებით.

დღის ცენტრებს სააგენტოს დაფინანსების დაახლოებით 15-20% ეჭრება იმ მოტივით, რომ ხარჯთაღრიცხვის დაანგარიშება დგება არასწორი კალკულაციით:

ბენეფიციარი × ცენტრში დასწრების დღეებზე × დღიურად დადგენილ თანხაზე = გადმოსარიცხი თანხა

გამოდის, რომ ზამთრის, ან რაიმე ვირუსული ეპიდემიის დროს, როდესაც ბენეფიციართა ნაწილი დღის ცენტრში ვერ მიდის, ცენტრი ნაკლებ დაფინანსებას იღებს. დღის ცენტრებს კი, მიუხედავად იმისა, კონკრეტულ დღეს 15 ბენეფიციარი ეყოლება თუ 20, მაინც გადასახდელი აქვს მასწავლებლის ხელფასიც, ბუნებრივი აირისა, თუ ელექტროენერგიის დანახარჯებიც. რაც შეეხება საკვებს, თუ ბენეფიციარი ცენტრში არ მიდის, ამის შესახებ ცენტრის დირექციამ აუცილებლად წინა დღეს უნდა იცოდეს, რათა თადარიგი დაიჭიროს და მისთვის საკვები ულუფა არ გაითვალისწინოს. მაგრამ ძალიან ხშირად მშობელმა უბრალოდ არ იცის, ხვალ მის შვილს ექნება თუ არა სიცხე ან გახდება თუ არა, იმდენად კარგად, რომ ცენტრში წასვლა შესძლოს. დაფინანსების ამგვარი ლოგიკით კი, მშობელმა ყოველთვის წინა დღეს უნდა იცოდეს, გახდება თუ არა მისი შვილი ხვალ ავად, დღის ცენტრში მისულმა მასწავლებელმა, თუ კლასში რამდენიმე ბავშვით ნაკლები დახვდა, ნაკლები ხელფასი უნდა აიღოს, გათბობას უნდა დაუწიონ და ნათურა ოთახში მაგალითად, 3/მეწილედით ნაკლებად უნდა ენთოს.

ცალკე საკითხია მომსახურების მიწოდებელთა მიმართ ინსპექტირებისა და მონიტორინგის განხორციელება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში არსებული სააგენტოების მიერ. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამის მომსახურების მიმწოდებელები გამოხატავენ უკმაყოფილებას ოფიციალური პირების მიერ განხორციელებული, გაუმართლებლად მკაცრი ინსპექტირების ანუ შემოწმების ღონისძიებების მიმართ, რაც არ შეესაბამება არათუ საერთაშორისო სტანდარტს ამ სფეროში, არამედ იგი არ გამომდინარეობს მომსახურეობის განხორციელების ლოგიკიდან. ჩნდება კითხვა, რა წარმოადგენს შშმ პირთა სოციალურ დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს უპირველეს ინტერესს: მომსახურების მომწოდებელთა დასჯა თუ მოწოდების ხარისხის გაუმჯობესება? როგორც შშმ პირთათვის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის

წარმომადგენლები აღნიშნავენ, ინსპექტირების პროცედურა უმეტეს შემთხვევაში გულისხმობს მათი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის მექანიკური/რაოდენობრივი, და არა ხარისხობრივი ან თვისობრივი, შედეგების შემოწმებას. მაგ. დიდი ყურადღება ეთმობა კალორაჟის თვლას მენიუში და სოციალური რეაბილიტაციის სტერეოტიპულ (ხშირად სრულიად არაფუნქციურ) ფორმების განხორციელებას: ექსკურსია, ღონისძიება ა.შ. მაშინ, როდესაც სოციალური ინტეგრაციის შედეგის თვისობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები უინტერესოა შემმოწმებლებისთვის. დღეს-დღეობით არ არსებობს ზრდასრულ ბენეფიციარებზე ზრუნვის, სოციალური ინტეგრაციის თუ, სხვა სარეაბილიტაციო და თემზე-დაფუძნებული მომსახურების სტანდარტი, რომელიც მკაცრად დაარეგულირებდა როგორც ინსპექტირების საკითხებს, ისე, ზოგადად, მომსახურების მომწოდებლისა და მიმღების ურთიერთვალდებულებებს. შესაბამისად, პროცესებს აქვთ სპონტანური ხასიათი და სამწუხაროდ, ტენდენციურობის რისკს ატარებს. აღნიშნული კუთხით საინტერესო ცვლილებები ხორციელდება ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში, შშმ ბავშვთა მომსახურებების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან მიმართებაში, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საგანგაშოა მომსახურების მიმწოდებელთა გაჩენისა და განვითარების ღონისძიებების არარსებობა. მომწოდებლები, რომლებიც ძირითადად გაჩნდნენ რომელიმე დონორის (ვინაიდან სახელმწიფო უმეტესად არ უზრუნველყოფს მათი დაფუძნების კაპიტალურ ხარჯებს) ან შშმ პირთა ოჯახის წევრების ინიციატივით, განიცდიან უკიდურეს სტრესს, ერთი მხრივ, არსებული მწირი ფინანსური მხარდაჭერის და, მეორე მხრივ ინსპექტირების პროცესის გამო, ამიტომ ხშირად დგანან გაუქმების საფრთხის წინაშე. ჩნდება მეორე ლოგიკური შეკითხვა – რას მოიმოქმედებს სახელმწიფო, თუ მას აღარ ეყოლება მომსახურების მიმწოდებლები? რა ბედი ეწევათ მომსახურებით მოსარგებლე შშმ პირებს?

შეუძლებელია, არ აღინიშნოს დღის ცენტრების მომსახურებით მოსარგებლე შშმ მოზარდებისა და მათი ოჯახების უმთავრესი პრობლემაც: ვინაიდან დღის ცენტრების უმეტესობა ემსახურება 18 წლამდე მოზარდებს, გაუგებარია, რა ბედი ელით ამ ადამიანებს 18 წლის შემდეგ. აბილიტაცია-რეაბილიტაციის სისტემის უწყვეტობის აუცილებლობა იმდენად ნათელი პრინციპია, რომ მის გააზრებას საღი აზრიც კი ჰყოფნის და არ ითხოვს საერთაშორისო კონვენციებსა და აქტებზე რეფერირებას. მიუხედავად ამისა, 18 წელს გადაცილებული შშმ პირებისთვის ფაქტობრივად არ არსებობს დღის ცენტრებით მომსახურება, ისევე, როგორც დასაქმების მცირეოდენი შესაძლებლობაც კი. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: **რატომ ხარჯავს სახელმწიფო ყოველწლიურად 1 490 000 ლარს დღის ცენტრების მომსახურებაში, თუ ბენეფიციართა უდიდესი პროცენტი ვერსად მოახდენს ათვისებული სოციალური უნარების რეალიზაციას და 18 წლის შემდეგ დაუბრუნდება სახლში გამოკეტილ იზოლირებულ ცხოვრებას, უკიდურეს შემთხვევაში კი მოხვდება ინსტიტუციურ დაწესებულებაში?**

- **შშმ პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამა**

წარმოუდგენელად რთული სიტუაციაა ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ შშმ მოზარდებთან მიმართებაში, რომლებიც 18 წლამდე განთავსებულნი არიან სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებებში, 18 წლის შემდეგ კი, ე.წ. "გადაზრდილი" მოზარდების (კიდევ ერთი დისკრიმინაციული ტერმინი, რომლის გამოყენებაც ხდება მათთან მიმართებაში) შემდგომი ცხოვრების ბედი სრულიად გაურკვეველია. ანგარიშის შედგენის პერიოდში კასპისა და სენაკის ბავშვთა სახლებში იმყოფება 18 წელს გადაცილებული რამდენიმე ათეული შშმ პირი რომელთა გადაყვანაც სრულიად არ არის სასურველი მოზრდილი შშმ პირებისათვის ან ხანდაზმულთათვის განკუთვნილ რეზიდენტულ დაწესებულებაში (რაც ჯერჯერობით წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ალტერნატივას მათთან მიმართებაში).

ამავე დროს, არ შეიძლება, პოზიტიური ნიშნით არ აღინიშნოს შშმ პირთა ორი სათემო ორგანიზაცია ("გრემის" და "ქედელის"), რომლებიც წარმოადგენს "საუკეთესო პრაქტიკას" არსებულ რეალობაში და, პრაქტიკულად ერთ-ერთ ძირითად ალტერნატივას ამ ტიპის საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, რაც სასურველია სახელმწიფოს მიერ გაზიარებულ და გავრცელებულ იქნას, როგორც დადებითი გამოცდილება.
ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაუწყვეტელობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი საკადრო პოლიტიკაცაა. უმაღლესი განათლების რეფორმის განმსაზღვრელ ძირითად დოკუმენტში, ბოლონიის დეკლარაციის ტექსტში, პროფესიონალიზმის ცნება 3 ერთნაირად მნიშვნელოვანი კომპონენტისაგან შედგება: ცოდნა, პრაქტიკული უნარი და პროფესიული დამოკიდებულება. რეკომენდებული იქნება, ჩატარდეს კვლევა, თუ რა ტიპის პროფესიული დამოკიდებულება აღენიშნებათ დღესდღეობით ამ პროგრამის განმახორციელებელ სპეციალისტებს სოციალური დაცვის სისტემის სხვადასხვა დონეზე, მაშინ, როდესაც სისტემის ბენეფიციარებისგან გამუდმებით ისმის ჩივილი დამამცირებელ ან, უკეთეს შემთხვევაში, სიბრალულით და ფილანტროპული მოტივებით გაჯერებულ მოპყრობაზე მათ მიმართ. იმ ღონისძიებების გატარებისას, რომლებიც ამ სპეციალისტებს სამსახურებრივად ევალებათ, პროფესიულად სწორი და ეთიკურად გამართული ურთიერთობის ფორმების შემუშავება ბენეფიციართა მიმართ მათი ვალდებულებაა. სწორად შერჩეული, სწორი დამოკიდებულების მქონე პირების დასაქმება ამ სფეროში სხვა მრავალი პრობლემური საკითხების ჯეროვნად გადაჭრის წინაპირობაც იქნება.

- მომსახურებების განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ცვლილებები თითქმის არ ხორციელდება, მაინც უნდა აღვნიშნოთ, ინიციატივები, რომელიც ამ პროგრამაში პოზიტიური ცვლილებების იმედს იძლეოდა, თუმცა, ისინი არ განხორციელებულა.

ამავე პროგრამის 2007 წლის გეგმაში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #102/ნ, 2007 წლის 26 მარტი) დაგეგმილი იყო სამი საინტერესო კომპონენტის განხორციელება: (1) შშმ პირთა დღის ცენტრის ტიპის სპეციალიზებულ დაწესებულებაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის ქვეკომპონენტი; (2) შშმ პირთა ინკლუზიური დასაქმების

ხელშემწყობის კომპონენტი; (3) შშმ პირთა ოჯახურ პირობებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი – რომელთაგანაც, არცერთი არ განხორციელებულა შესაბამისი პირობების დაუკმაყოფილებლობის მიზეზით. ჩნდება მორიგი კითხვა, საკმარისი მიზეზია თუ არა შესაბამისი პირობების არარსებობა შშმ პირთა საჭირო მომსახურებით უზრუნველყოფის ძირითადი უფლების დასარღვევად? თუ იგი მოითხოვს უფრო მეტი ძალისხმევის ჩადებას ამ პირობების უზრუნველსაყოფად?

კითხვაზე პასუხი ცალსახაა – 2008 წლის ამავე პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება # 70/ნ, 2008 წლის 14 მარტი), საიდანაც ამოღებულია ყველა აღნიშნული კომპონენტი, დაკარგულია იმედი ამ მომსახურებების განვითარებისა სახელმწიფოს მხრიდან უახლოესი ერთი წლის განმავლობაში. სრულიად გაუგებარი მიზეზით, ასევე ამოღებულია "უსინათლოთა საინფორმაციო უზრუნველყოფის კომპონენტი"(!), რომელიც წლების განმავლობაში ხორციელდებოდა. მორიგი კითხვა: რას დავაბრალოთ ამგვარად არასახარბიელო ინოვაცია? ლოგიკურად, კომპონენტის ამოვარდნა საჭიროების დაკმაყოფილებას ან მის არარელევანტურად ცნობას მოსდევს თან. ამ ალტერნატივებიდან კი უფრო რეალისტურის ამორჩევა, უსინათლოთა საჭიროებების გამოკვლევის არარსებობის პირობებში, ძნელია[67].

შეჯამების სახით, საზოგადოებას მივაწვდით იმ მომსახურებების ნუსხას, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს პროგრამაში და რომელთა განვითარებაც (ბენეფიციართა თვალსაზრისით) აბსოლუტურად აუცილებელია შშმ პირთათვის ცხოვრების მინიმალური ხარისხის მისაღწევად, განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილებაზე დაყრდნობით:

- ინკლუზიური და დაცული დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები შშმ პირთათთვის;
- კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ცენტრები შშმ პირთათთვის;
- შინ ზრუნვის სამსახური;
- რეაბილიტაციის მომსახურების მომწოდებელი ცენტრები ზრდასრულ შშმ პირთათვის (ფიზიკური შეზღუდვის, ნევროლოგიური, ორთოპედიული თუ სხვა ტიპის პრობლემების შემთხვევაში);
- მომსახურებები სენსორული პრობლემების მქონე შშმ პირთათვის;
- თემზე დაფუძნებული რეზიდენციული მომსახურება და სოციალური საცხოვრებლები (იხ. ქვემოთ დეტალურად);
- შშმ პირთა სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და რეკრეაციულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშემწყობი პროგრამა.

[67] თუმცა ყოველგვარი გამოკვლევის გარეშეც ძალიან ადვილია იმის თქმა, რომ უსინათლოები არ არიან შესაბამისი საინფორმაციო მასალით უზრუნველყოფილნი.

რეკომენდაციები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

1. განხორციელდეს შშმ პირთა საჭიროებების კვლევა[68] და ამ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდეს სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, როგორც ეს ყველა განვითარებულ სახელმწიფოშია მიღებული.
2. მოხდეს შშმ პირთა სოციალური დაცვისა და თანაბარი პირობების უზრუნველყოფის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავება, რაც პროგრამას დაედება საფუძვლად, განსაზღვრავს თითოეულ კომპონენტს და მიზანს გაზომვადი ინდიკატორის თანხლებით.
3. მოხდეს მთლიანი პროგრამის და არა მისი ერთი კონკრეტული (როგორც ეს 2008 წლისთვის იგეგმება) ეფექტის გაზომვა; არა მხოლოდ განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობრივი აღრიცხვით, არამედ მათი ზემოქმედების გაზომვით შშმ პირთა ცხოვრების ხარისხზე და სხვა საერთაშორისოდ აღიარებულ სოციალურ ინდიკატორებზე.
4. მოხდეს პროგრამის დახვეწა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით და მასში მაქსიმალურად არადისკრიმინაციული გამოხატვის ფორმების შერჩევა.
5. მოხდეს პროგრამის განხორციელების შიდა და გარე მონიტორინგის სისტემის დანერგვა/გაუმჯობესება.
6. მოხდეს მომსახურების მომწოდებელთა განვითარების და მოწოდების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა.
7. მოხდეს ინსპექტირების სისტემის გაუმჯობესება და მისი მაქსიმალური დაფუძნება ღირსებისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე მომსახურების მომწოდებლებთან ურთიერთობისას.
8. მოხდეს პროგრამის ფარგლებში ახალი კომპონენტების, მომსახურებების დანერგვა, არსებული კომპონენტების კონცეპტუალური და პროცედურული გაუმჯობესება და, შესაბამისად, მათი გაზრდილი ფინანსური უზრუნველყოფა.
9. მოხდეს შშმ პირთა საკითხებზე დაკავებულ პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამები

აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფარგლებში პროგრამები შშმ პირებთან მიმართებაში რამდენიმე ზოგადი მიმართულების ქვეშაა განაწილებული და, შესაბამისად, ჩვენც უფრო საინტერესო სივრცეს გვიქმნის მათში შშმ პირთა უფლებების უზრუნველყოფაზე დასაკვირვებლად:

- განათლების სისტემის გარდაქმნის და განმტკიცების პროექტი

[68] დანართის სახით გთავაზობთ ნაწყვეტს ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ (USAID–ის მხარდაჭერით) ერთობლივად განხორციელებული საჭიროების კვლევიდან „საჭიროების კვლევის ანგარიში თბილისის N203 და ქუთაისის N45 სმენის პრობლემების მქონე ბავშვთა საჯარო სკოლებისათვის, რომლის მოწოდებისთვისაც მადლობას ვუხდით აღნიშნულ ორგანიზაციებს.

აღნიშნულ პროექტში ჩვენი ყურადღება დაიმსახურა სკოლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების კომპონენტმა, რომელიც წარმოადგენს შშმ პირთათვის საგანმანათლებლო პირობებისა და, ზოგადად, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას. როგორც პროექტის სამუშაო ჯგუფმა გვაცნობა, 2006-2007 წლებში მიმდინარეობდა მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ახალი სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცებისთვის, რაც უზრუნველყოფდა ყველა მოსწავლის, მათ შორის, შშმ ბავშვისათვის მაქსიმალურად მორგებულ გარემოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

შედგენილი სტანდარტი დასამტკიცებლად გაეგზავნა ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს. თითოეული სამინისტროდან 2006 წელს მიღებული იყო კომენტარები მოცემული სტანდარტის თაობაზე, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდა შესწორებების შეტანა აღნიშნულ დოკუმენტში.

2007 წლის დასაწყისში იმართებოდა შეხვედრები სტანდარტთან დაკავშირებით, რა დროსაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სტანდარტი კვლავ გააკრიტიკა იმ მიზეზით, რომ მოცემული სტანდარტი ძალიან შეზღუდავდა კერძო ინვესტორებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტდნენ სკოლის აშენებას, და, რომ ასეთი სტანდარტის სავალდებულოდ დამტკიცება არ იყო ხელსაყრელი(!).

ამის შემდეგ სტანდარტის განხილვები შეწყდა და ამ ეტაპზე იგი არსებობს როგორც სარეკომენდაციო დოკუმენტი მათთვის, ვისაც სურვილი ექნება ააშენოს ახალი სკოლა.

სკოლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების" კომპონენტის ერთ-ერთი აქტივობა იყო ასევე განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი კრედიტით ასაშენებელი სკოლებისთვის ახალი პროექტების შექმნა, რაც კონკურსის გზით განხორციელდა.

კონკურსის პირებებში სავალდებულო იყო სკოლების შენობების ზემოდხსენებული სტანდარტის მიხედვით დაგეგმარება.

მაგრამ, აღსანიშნავია, რომ არც ძველი სკოლების რეკონსტრუქციის დროს და არც მცირე ახალი სკოლების მშენებლობის დროს, მოცემული სტანდარტით ხელმძღვანელობა არ ხდება (!).

ჩვენი აზრით, დამაფიქრებელია ორივე ფაქტი, როგორც შემუშავებული სტანდარტის დაწუნება არახელსაყრელობის პრინციპით, ასევე სტანდარტის არგათვალისწინება ისევ და ისევ, ფინანსური პრობლემების მიზეზით. ჩნდება კითხვა, ხელსაყრელობის რა კოეფიციენტი ხვდება შშმ მოსწავლეს, რომლის ინტერესები ინვესტორების ინტერესებთან დაკავშირებით კვლავ დაუცველი აღმოჩნდა? რატომ დასჭირდათ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, შეემუშავებინათ სტანდარტი, თუ მის გათვალისწინებას მაინც არ გეგმავდნენ? სამწუხაროდ,

საკითხისადმი ამგვარ მიდგომაში ნათლად ჩანს სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობა შშმ ბავშვების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლი გულისხმობს: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებას სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების და შენობების მშენებლობისას. ხოლო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178 2 მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას ობიექტების დაპროექტების და მშენებლობისას შშმ პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობის შენთხვევაში, თუმცა, ჯანდაცვის სამინისტრომ, იმავე კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე ნაწილის ფარგლებში დღემდე ვერ დაასახელა შესაბამისი ორგანო, რომელიც ამ დაჯარიმებას განახორციელებდა (იხ. სახალხო დამცველის 2006 წლის II ნაწილის მოხსენება). საბოლოოდ, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა აძლევს საშუალებას ეკონომიკის სამინისტროს, მსგავსი ცინიკური და, რაც მთავარია, კანონსაწინააღმდეგო განცხადებები აკეთოს.

"თუ რა შედეგის მომტანია გაუაზრებლად და წინასწარი პროფესიული დასაბუთების გარეშე სკოლების აგება ეს სრულიად ნათელია; რადგან, ამ შემთხვევაში ირღვევა ყველანაირი ნორმები, რაც ყველა ბავშვის, მათ შორის, შშმ ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმთელობისთვის ზიანის მომტანია - დაწყებული პატარა კლასებში ჰაერის ხარისხის კონტროლით, რაც ხშირ შემთხვევაში ეპიდემიების მასობრივად გავრცელების მიზეზია, დამთავრებული ჰიგიენის საკითხებითა და უსაფრთხოების ზომებით. საეჭვოა ისიც, რომ საქართველოში, ოცდამეერთე საუკუნეში, ბავშვებს სკოლაში საერთაშორისო ნორმებით დაგეგმარებული საპირფარეშოები მაინც ჰქონდეთ – აღნიშნა ჩენთან საუბარში ერთ-ერთმა ექსპერტმა, რომელიც ხსენებული სტანდარტების განვითარების პროცესში იყო ჩართული "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლებების და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის განხილვა საერთოდ არ ხდება, თუკი პროექტი არ განეკუთვნება "სპეციალურ" სკოლას, რაც კვლავ სტიგმატიზაციას იწვევს და საგანმანათლებლო/სოციალური იზოლაციის გაგრძელებაა".

რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს:

1. ინკლუზიური სკოლებისათვის საჭირო ფიზიკური გარემოს სტანდარტების დამტკიცებასთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გადაისინჯოს ინვესტორების ინტერესების სასარგებლოდ შშმ ბავშვთა და მათი ოჯახების ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების - განათლების მიღების დარღვევის საკითხი.
2. მოხდეს ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალიწინება ახალი სკოლების მშენებლობის პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა პასუხისმგებელი უწყების მიერ.

- ინკლუზიური განათლების პროექტი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, ნორვეგიის მთავრობის ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ახორციელებს პროექტს "ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტი თბილისის 10 სკოლისათვის.

პროექტი მიზნად ისახავს დედაქალაქის ათ სკოლაში ინკლუზიური სწავლების დანერგვას და ამისათვის აუცილებელი პროცედურების სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის გაცნობას. ასევე პროექტის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით ინკლუზიური განათლების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებას.
პროექტის ძირითადი შედეგები იქნება:

- ინკლუზიური განათლების დანერგვის ძირითადი ინსტრუმენტების შემუშავება; სატრენინგო მასალებისა და იმ ძირითადი მიდგომების მომზადება, რომელთა გამოყენებითაც პროექტის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება ინკლუზიური განათლების პრინციპების საქართველოს მასშტაბით გავრცელება;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
- ინკლუზიური განათლების პოლიტიკის შეემუშავება.

დღეისათვის პროექტის საპილოტე სკოლებში სწავლობს 110 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

პროექტის პირველ ეტაპზე გეოგრაფიული განაწილების პრინციპით შეირჩა დედაქალაქის ათი სკოლა:

სკოლა	მისამართი
21	მთაწმინდა-კრწანისი; პეტრიაშვილის 7
67	მთაწმინდა-კრწანისი; ლესელიძის 25
130	დიდუბე-ჩუღურეთი; დიღმის მასივი IV კვარტალი
24	დიდუბე -ჩუღურეთი; ბაქოს ქ. №1
10	გლდანი-ნაძალადევი; ც· დადიანის 186
180	ისან-სამგორი; ვარკეთილი-3, III-ა მკ-რნი
87	ისან-სამგორი; ქეთევან წამებულის გამზირი 90ა
60	ვაკე-საბურთალო; ყაზბეგის პრ. №39

181	გლდანი-ნაძალადევი; მუხიანის IVბ მ/რ
160	გლდანი-ნაძალადევი; ფ. მოსულიშვილის №1

ფიზიკური გარემოს ადაპტაცია

დედაქალაქის ათ საჯარო სკოლაში იქნა გადაჭრილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შეუფერხებლად შეღწევისა და გადაადგილების პრობლემა. შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით მოეწყო როგორც შიდა, ასევე გარე პანდუსები, გადაკეთდა ტუალეტები და კლასებში შესასვლელი კარები.

სკოლებში მოეწყო და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა რესურს-ცენტრები, რომლებიც გაკვეთილების მიღმა მოსწავლეებთან ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობის დამატებით საშუალებას იძლევა.

ტრენინგები

ტრენერთა ტრენინგი
ნორვეგიელმა ექსპერტებმა პროექტის ფარგლებში შერჩეულ ტრენერებს ჩაუტარეს ტრენინგები (8 სატრენინგო მოდული).
17 ტრენერს გადაეცა სერტიფიკატი.

სკოლის ადმინიტრაციის ტრენინგი
ნორვეგიელმა ექპერტებმა ჩაატარეს ორი ტრენინგი სკოლის დირექტორებისა და ადმინიტრაციისათვის.

მასწავლებელთა ტრეინინგი
ტრენერებმა მოამზადეს შემდეგი სატრენინგო მოდულები :

- კლასის მენეჯმენტი, განათლების ინდივიდუალური გეგმა, მშობლებთან ურთიერთობა;
- სმენის და მხედველობის დარღვევები;
- ქცევითი დარღვევები;
- სწავლის უნარის დაქვეითება;
- დისლექსია და კითხვის პრობლემები;
- ტრენინგები სკოლების დირექტორებისათვის

აღნიშნული მოდულების მიხედვით ტრენერებმა პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთათვის ჩაატარეს ტრენინგები პროექტის საპილოტე სკოლებში.

მულტიდისციპლინური გუნდი
სკოლების კვალიფიციური დახმარების მიზნით შეიქმნა მულტიდისციპლინური გუნდი შემდეგი შემადგენლობით:

- სპეც. განათლების კონსულტანტი;
- ფსიქოლოგი;

- ლოგოპედი;
- ოკუპაციური თერაპევტი;
- ნევროლოგი.

მულტიდისციპლინულმა გუნდმა კვალიფიკაციური დახმარება გაუწია საპილოტე სკოლებს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში.

გუნდი ატარებს სისტემატურ შეხვედრებს მასწავლებლებთან, მშობლებთან, სკოლის დირექტორებთან, მოსწავლეებთან. შეგროვდა და დამუშავდა სკოლაში ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესახებ ინფორმაცია, განისაზღვრა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შესაძლებლობები, დაიწერა რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შედგა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მიმდინარეობს ინკლუზიური განათლების პროცესის მონიტორინგი, პრობლემების ანალიზი და გადაწყვეტის გზების განსაზღვრა.

საინფორმაციო კამპანია
პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა საინფორმაციო კატალოგი, ბროშურა, პოსტერი, მოეწყო შეხვედრები მასმედიის წარმომადგენელთათვის, მოეწყო შეხვედრები სკოლებში (მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან).
სულ თბილისის ათივე საპილოტე სკოლიდან 30 სემინარში მონაწილეობა მიიღო 671-მა მოსწავლემ, 32-მა მშობელმა და 18-მა პედაგოგმა.[69]

სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება ამგვარი საპილოტე პროექტების განხორციელებას, მათ შორის, კონცეპტუალური ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას ინკლუზიური სწავლების მიმართულებით, თუმცა, მოცემულ ეტაპზე, ხარისხის მართვის სისტემის არარსებობა პროექტის მნიშვნელოვან ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე, აღსანიშნავია განხილული ინიციატივის განათლების სფეროში მიმდინარე სხვა რეფორმებთან სინქრონიზაციის საჭიროება.

- **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისთვის**

განსაკუთრებით საინტერესო სიახლეს ინკლუზიური განათლების სფეროში სწორედ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია (2009-2011) წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტი ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვებისა" და განათლების და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ინიციატივით მომზადდა, რომელშიც ასევე ჩაბმულები იყვნენ შესაბამისი გამოცდილების მქონე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

შშმ ბავშვთა განათლების სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:
- შეიმუშაოს და დანერგოს შშმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი;
- უზრუნველყოს შშმ ბავშვებისათვის განათლების ხელმისაწვდომობა;

[69] www.inclusion.ge

- ხელი შეუწყოს შშმ ბავშვთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებას სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, სახელობო და პროფესიული განათლების დონეზე;
- ხელი შეუწყოს სახელმწიფო სექტორებს შორის შეთანხმებული, ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

სტრატეგიის ფარგლებში იკვეთება 8 მკვეთრად არჩეული პრიორიტეტი:

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელის შემუშავება;
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელის დანერგვა;
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების რეგულაციები და სახელმძღვანელო წესები;
4. შშმ ბავშვის იდენტიფიკაციისა და მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტისა და სისტემის დანერგვა;
5. საუნივერსიტეტო განათლება და მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
6. სპეციალიზირებულ სკოლებში სწავლების ხარისხი გაუმჯობესება;
7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა ადრეული განათლება;
8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სახელობო განათლება.

ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტრატეგიულ პრიორიტეტებს თან სდევს დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმა; ამ უკანასკნელზე დაყრდნობით კი სამინისტროს ინკლუზიური განათლების პროგრამის წარმომადგენლების მიერ შემუშავდა ფინანსური გეგმაც, რომელიც დასამტკიცებლად გადაგზავნილ იქნა შესაბამის უწყებებში.

ჩვენი მხრიდან დავურთავთ, რომ ეს ინიციატივა ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც ნამდვილად ასახავს ყველა დაინტერესებული პირის მოტივაციისა და საჭიროებების ოპტიმალურ შეთანხმებას, ხოლო სახელმწიფო წარმოადგენს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდაზე ორიენტირებულ სუბიექტს. შესაბამისად, მსგავსი პრაქტიკის გავრცელება მხოლოდ ხელს შეუწყობს შშმ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას საქართველოში.

რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

1. მოხდეს აღნიშნული პროექტის შედეგების გავრცელება სხვა სკოლებზე სისტემურად და კორდინირებული პროცესის მეშვეობით.
2. განხორციელდეს პროექტის შედეგების კვლევა შშმ მოზარდების კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებით, რაც მეტია ვიდრე მხოლოდ ინკლუზიის რაოდენობრივი მაჩვენებელი.
3. განხორციელდეს შშმ მოზარდების საგანმანათლებლო საჭიროებებზე მსჯელობა მომიჯნავე უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების

რეფორმის წარმომადგენლებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას შშმ მოზარდთათვის უწყვეტი განათლების მიწოდება.

4. მოხდეს სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება 2009-2011 წლებისთვის.

- **ბავშვთა ზრუნვის სამმართველოს პროგრამები**

ვიდრე კონკრეტულად სამმართველოს პროგრამების მონიტორინგზე გადავიდოდეთ, შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ ის საინტერესო ტენდენციები, რომლებიც ანგარიშის პერიოდში აისახა შშმ ბავშვთა ცხოვრების ხარისხზე სამმართველოს მიერ განხორციელებული ინიციატივების ფარგლებში. აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებულია სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის სამმართველოს წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების, წერილობითი მიმოწერისა და დისკუსიების საფუძველზე.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში სამმართველომ (ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუტიოცნალიზაციის სამთავრობო კომისიის ტექნიკური სამდივნოს მხარდაჭერით) აქტიური მონაწილეობა მიიღო "ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების" შექმნისა და პილოტირების პროცესში, რომლებიც ითვალისწინებს სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ყველა ბავშვის და, მათ შორის, შშმ ბავშვის ზრუნვის ხარისხის უზრუნველყოფას სამზრუნველო დაწესებულებებში. სტანდარტების შექმნასა და პილოტირებაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფმა და ადგილობრივი მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მსგავსი სტანდარტის შემუშავება, რომელიც დროში გამოიცდება და დაიხვეწება, სასურველია მოხდეს სხვა, ზრდასრული შშმ პირების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისათვისაც, ვინაიდან იგი წარმოადგენს ხარისხის მართვის აღიარებულ მექანიზმს საერთაშორისო პრაქტიკაში.

სამმართველო ახორციელებს საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობის კოორდინირებულ პოლიტიკას. კერძოდ, აცნობებს იმ საჭიროებების შესახებ, რომელთა უზრუნველყოფაც, მოცემულ ეტაპზე, არ ხერხდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და სასურველია, მოხდეს (დროებით) დონორების მხარდაჭერით.

სამმართველოს შემუშავებული აქვს ახალი მომსახურებების განვითარების სქემა, სადაც გათვალისწინებულია ბენეფიციართა საჭიროებები, დონორთა შენატანი და, მომსახურების წარმატებულობის დადასტურების შემთხვევაში, მისი სახელმწიფო პროგრამაში ინკორპორაციის შესაძლებლობა.

საერთაშორისო ექსპერტების მხარდაჭერით, სამმართველო ცდილობს დანერგოს მომხმარებელზე-ორიენტირებული (user-friendly) ინსპექტირების სისტემა მომსახურების მომწოდებლებთან მიმართებაში.

ყოველივე ეს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შეფასებულ იქნა "საუკეთესო პრაქტიკად", რაც სასურველია გავრცელდეს სხვა შშმ პირთა სფეროში მომუშავე უწყებებში შესაბამისი ადაპტაციის საფუძველზე.

- **ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის ქვეპროგრამა**

საინტერესოა ყველა და, მათ შორის, შშმ ბავშვთა მიმართ განხორციელებული სახელმწიფო დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ოჯახების გაძლიერების სტრატეგიით ბავშვების მაქსიმალურად ოჯახებში შენარჩუნებას ან ბავშვთა სახლებიდან მათ ოჯახებში დაბრუნებას მინდობით აღზრდის და რეინტეგრაციის გზით. ამ მომენტისთვის, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ბავშვთა სახლის მძიმე პირობებს თავი დააღწია რამდენიმე ათეულმა შშმ ბავშვმა. სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება ამგვარი პროგრამის ამუშავებას, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკაა ინსტიტუციონალიზებული შშმ ბავშვების მიმართ დასავლეთის ქვეყნებში, თუმცა აღსანიშნავია ის ძირითადი ამოცანები, რომელთა წინაშეც ახლა პროგრამა დგას.

ოჯახში დაბრუნებული შშმ ბავშვებზე უშუალო დაკვირვების საფუძველზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ მათი მდგომარეობა მართლაც უკეთესია ბავშვთა სახლებთან შედარებით, თუმცა მიმღები და ბიოლოგიური მშობლების სრული უმრავლესობა კვლავაც მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფება. მათ მიერ მიღებული დახმარება, რომლის უმეტესი ნაწილიც შშმ ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე უნდა დაიხარჯოს, ობიექტური პირობების გამო (ვინაიდან ოჯახს ძალიან უჭირს) ვერ ხმარდება ბავშვს. ოჯახებში, სამწუხაროდ, კმაყოფილდება შშმ ბავშვების მხოლოდ პირველადი საჭიროებები (კვება, ჩაცმა და ა.შ.). შესაბამისად, ისინი ვერ იღებენ სამედიცინო-სოციალური მომსახურების იმ აუცილებელ პაკეტს, რაც მათი ცხოვრების ხარისხის ზრდისათვისაა აუცილებელი; ვერ ხორციელდება მათი სოციუმში ინტეგრაციაც. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ პროგრამის ფინანსური, ისევე, როგორც შინაარსობრივი მხარე, საჭიროებს დახვეწას. სხვა შემთხვევაში, ვერ ავცდებით შშმ ბავშვთა ძირითადი უფლებების (განათლება, აბლიტაცია-რეაბილიტაცია, სოციალურ. კულტურულ, რეკრეციულ პროცესებში მონაწილეობა) დარღვევას.

ასევე თვალშისაცემია მიმღები მშობლების მომზადების დაბალი დონე შშმ ბავშვების აღზრდასთან და მათი განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მათ უმეტეს შემთხვევაში არ აქვთ ინფორმაცია შშმ ბავშვის განვითარების რესურსების და აუცილებელი სააბილიტაციო ღონისძიებების შესახებ, ეყრდნობიან მხოლოდ საკუთარ ინტუიციას და კეთილ ნებას და, ამდაგავარად, შესაძლოა, უნებურად არღვევენ კიდეც ამ ბავშვების უფლებებს. განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ეს საკითხი იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიმღებ მშობლებს აღნიშნული გამოცდილება ეთვლებათ შრომით სტაჟში. შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულის განხორციელება მათი სამსახურებრივი ვალდებულებაა.

უნდა აღინიშნოს ამ პროგრამაში ჩართული სოციალური მუშაკების კომპეტენციის ზრდის საჭიროებაც შშმ პირთა საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოა მათ მიერ განხორციელებული შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების დოკუმენტაციის რევიზიისას.

საერთო ჯამში, პრობლემა კვლავაც პროგრამის შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაკლოვანებებშია, რისი დაძლევაც აუცილებელია უახლოეს მომავალში.

- **ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო და სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა**

ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში და კორექციული ტიპის დახურულ სკოლებში ორგანიზაციული მენეჯმენტისა და პერსონალის პროფესიული კომპეტენცია შემაშფოთებლად დაბალია. (ცხადია, გამონაკლისები ყველგან გვხვდება). ორივე ფაქტორი მნიშვნელოვნად აფერხებს ამ დაწესებულებებში შშმ ბავშვთა და მოზარდთა საჭიროებებზე მორგებული რაიმე ტიპის აბილტაცია/რეაბილიტაციის პროგრამას, მით უმეტეს, ინდივიდუალური პროგრამების შემუშავებას. მცირეა ამ მიმართულებით არასამთავრობო და დონორთა ორგანიზაციებთან წარმატებული პარტნიორობის მაგალითები, თუმცა, რამდენიმე მათგანზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

რეკომენდაციები
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ქალაქ თბილისი მერიას:

1. გაზიარებულ იქნეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვთა ზრუნვის სამმართველოს "საუკეთესო პრაქტიკა" შშმ პირთათვის ახალი მომსახურებების შემუშავების სქემის გავრცელების, დონორებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით, ხარისხის უზრუნველყოფისა და მომხმარებელზე-ორიენტირებული ინსპექტირების სისტემის შექმნის კუთხით სხვა შშმ პირთა საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებების მიერ - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მერიის შშმ პირთა პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ერთეულების მიერ.
2. გაუმჯობესდეს ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის შიდა და გარე მონიტორინგის სისტემები შშმ ბავშვთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩათვლით.

3. გაუმჯობესდეს ობოლ და ზრუნველობას მოკლებულ შშმ ბავშვთა სააღმზრდელო და პანსიონური დაწესებულებების მართვის კომპონენტი პერსონალის კვალიფიკაციის გაზრდის ჩათვლით.

ქალაქ თბილისის მერიის პროგრამა: "სოციალური საცხოვრებლები კეთილგანწყობილ გარემოში"

უაღრესად საინტერესო ინიციატივა გამოიჩინა ქალაქ თბილისის მერიამ, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, მოსახლეობის დაუცველი ფენების სოციალური საცხოვრებლებით უზრუნველყოფის მიმართულებით. როგორც პროექტში მონაწილე მხარემ - გაეროს განვითარების პროგრამის მენეჯერმა - შეგვატყობინა, SDC-ს მიერ სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ადგილობრივი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით ხანგრძლივი და მდგრადი უზრუნველყოფა და მათი გადაუდებელი დახმარება პილოტური პროექტის 'სოციალური საცხოვრებელი კეთილგანწყობილ გარემოში' განხორციელების გზით. პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ ეხება შშმ პირებს. იგი ასევე უზრუნველყოფს დამოუკიდებელ ხანდაზმულებს, უსახლკაროებს, ბავშვთა სახლებში ან სკოლა-ინტერნატებში აღზრდილ ბავშვებს, მარტოხელა მშობლებს, ხელმოკლე მარჩენალდაკარგულ ოჯახებს ბავშვებით და სხვა სოციალურად დაუცველ პირებს (მათ შორის, კოლექტიურ ცენტრებს და/ან არაადეკვატურ კერძო საცხოვრებლებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს) სოციალური საცხოვრებლით.
საცხოვრებელი ფართი ამ შენობებში განაწილებული იქნება შემდეგი შეფარდებით: 60% დაეთმობა იძულებით გადაადგილებულ პირებს, ხოლო 40% - სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

ამ ტიპის სოციალური საცხოვრებელი სრულიად ეხმიანება საქართველოში დეინსტიტუციონილიზაციისა და სოციალური დაცვის ღია ფორმის კონცეფციას.

ხსენებული შენობების აგება მიმდინარეობს თბილისში, ვარკეთილის #3, მეორე მიკრორაიონში, სპორტული სკოლის `სამგორი' ტერიტორიაზე, თბილისის მერიის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო ნაკვეთებზე.

- SDC ხელმძღვანელობას უწევს პროექტის I ფაზას (მშენებლობას);
- ამ შენობების მფლობელი და არაპირდაპირი განმკარგველია ქალაქის მერია, აქედან გამომდინარე, ყველა უფლებითა და ვალდებულებით;
- მერია ახორციელებს UNDP-ის მიერ შემოთავაზებულ ქმედითუნარიანობის ამაღლების საქმიანობას პროექტის II ფაზაში, რაც გულისხმობს თბილისის მერიის შესაბამისი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ მომზადებას, ასევე აღნიშნულ საცხოვრებელთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის შემუშავების ხელშეწყობას.

როგორც SDC-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, საცხოვრებლებში გათვალისწინებულია შშმ პირთა ხელმისაწვდომობის ფაქტორი და იგი მისაწვდომია ეტლის მომხმარებელი ბენეფიციარისათვის:

სახალხო დამცველის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია მსგავსი ინიციატივების ფართო მასშტაბით გავრცელება, მიგვაჩნია რა, რომ ამგვარი პროექტი ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციუმში ინტეგრაციას.

რეკომენდაცია:

1. მოხდეს აღნიშნული ტიპის პროექტების მხარდაჭერა და ფართო მასშტაბით რეპლიკაცია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, ხოლო ადგილობრივ დონეზე ამაღლდეს ცნობიერება ამგვარი ინიციატივის დანერგვის საჭიროების შესახებ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩართულობით.
2. მოხდეს შშმ პირების წარმომადგენლობითობის დაცვა აღნიშნული სახის პროექტებში შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ.

- **არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა**

ბოლო 10 წლის განმავლობაში ინვალიდობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, უცხოელი დონორების მხარდაჭერით, სხადასხვა სახის სამოდელო სერვისების განხორციელება მოახერხეს. თუმცა 2006 წლიდან ინვალიდობის თემაზე მომუშავე მსხვილმა საერთაშორისო დონორებმა საქართველოდან გასვლა დაიწყეს. მათი ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ საქართველოში სახელმწიფომ უკვე დაიწყო ამ კონტიგენტისთვის სოციალური მომსახურებების დაფინანსება და ახლა საერთაშორისო ორგანიზაციების მიზანი საქართველოზე მეტად გაჭირვებული ქვეყნების (ძირითადად აფრიკის ქვეყნების) მხარდაჭერაა.

შექმნილმა სიტუაციამ არასამთავრობო ორგანიზაციები მეტად რთულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან დონორების მხარდაჭერით შექმნილი მომსახურებების თუნდაც შენარჩუნება (რომ არაფერი ვთქვათ განვითარებაზე) შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეუძლებელი აღმოჩნდა. პროგრამის ძალზე შეზღუდულ ბიუჯეტთან ერთად, უდიდეს პრობლემას პროგრამის შინაარსობრივი მხარე და განხორციელების მექანიზმებიც წარმოადგენს. მოცემულ სიტუაციაში წლების განმავლობაში განვითარებული მაღალხარისხიანი სერვისები ლიკვიდაციის რეალური საფრთხის წინაშე დადგა.

ბოლო წლებში არსამთავრობო ორგანიზაციებმა გააძლიერეს მუშაობა ლობირების მიმართულებით. ნათელი გახდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სოციალური მომსახურებების ჩამოყალიბებისა და განვითარების

შესაძლებლობა მხოლოდ ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის პირობებშია შესაძლებელი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყეს ძალისხმევის გაერთიანება სახელმწიფოზე ზემოქმედებისა და სფეროს განვითარებისთის აუცილებელი სახელმწიფო პოლიტიკის შექმნა/განვითარების მიმართულებით.

- **ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია**

საქართველოდან ჰოლანდიური ფონდის CORDAID-ის წასვლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციის შექმნას. კოალიციის წევრებს ძირითადად CORDAID-ის ყოფილი პარტნიორი ორგანიზაციები წარმოადგენენ:

- გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი,
- საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია,
- კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ,
- ასოციაცია "ანტისტიგმა",
- საქართველოს ფსიქო-სოციალური დახმარების ასოციაცია "ნდობა"
- საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განითარების ფონდი.

კოალიციის ძირითადი მიზანია, "ხელი შეუწყოს საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს რეფორმას დეინსტიტუციონალიზაციის, დეცენტრალიზაციისა და თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარების მიმართულებით. კოალიციამ მუშაობა დაიწყო პროექტის განხორციელებით, რომლის სახელწოდებაა "საქართველოს ფსიქიკური ჯანდაცვის პოლიტიკის მიღება-განხორციელების ხელშეწყობა". აღნიშნული პროექტის ფარგლებში მზადდება დოკუმენტი – ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოში. კოალიცია თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან – შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების კომიტეტთან; კოალიცია ასევე აქტიურად თანამშრომლობს სახალხო დამცველის აპარატთან: იმართება მრგვალი მაგიდები, დისკუსიები. ამგვარი თანამშრომლობის ძირითადი მიზანია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული მდგომარეობის გამოსწორების გზებისა და მექანიზმების შესახებ სახელმწიფოს და არასამთავრობო ორგანიზაციების ხედვის დაახლოვება. სახელმწიფო ახალი მიდგომებისა და ინოვაციური პროგრამების მიმართ დაინტერესებას გამოხატავს, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სახელმწიფო პროგრამებში მნიშველოვანი რეალური ცვლილებები არ შეიმჩნევა.

- **კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და მათთვის ცხოვრების თანაბარი პირობების მიღწევის მიმართულებით აქტიურად მუშაობს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, რომელიც 2003 წლიდან ფუნქციონირებს და 19 ორგანიზაციას აერთიანებს.

2006 წელს კოალიციამ, ფედერაციასთან "გადავარჩინოთ ბავშვები" პარტნიორობით, დაიწყო პროექტის განხორციელება, რომლის სახელწოდებაა "თანაბარი პირობების განვითარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის". პროექტს აფინანსებს ამერიკის განვითარების სააგენტო (USAID). პორექტის მიზანია, ხელი შეეწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრულ ჩართულობას საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალური ცხოვრებაში მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

პროექტის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო უწყებები – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინიტრო. ჯანდაცვის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ჩართული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოცალური ინტეგრაციის კონცეფციის შემუშავებაში. შემუშავებული დოკუმენტი განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცა პარალამენტის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტს.აუცილებელია, აღნიშნულმა კომიტეტმა ოპერატიულად განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტი და პარლამენტს განსახილველად უმოკლეს ვადაში გადასცეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავდა სტანდარტები და მეთოდოლოგიები სმენისა და მეტყველების პრობლემების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო პროცესებისთვის. პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები უკვე დამტკიცებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ბოლოდროინდელი საქმიანობის ანალიზიდან ჩანს, მათი ძირითადი ძალისხმევა მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შექმნისაკენ.

ბოლო პერიოდში მსხვილი დონორი ორგანიზაციების საქართველოდან წასვლამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, რადგან დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით განვითარებული პილოტური მომსახურებებით სარგებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ძალიან შეზღუდულ რაოდენობას შეუძლია, ისიც მხოლოდ გარკვეული პერიოდით. თუმცა დონორების მონაწილეობა კვლავ მეტად აქტუალური რჩება, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის აუცილებელი გარემოსა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვან ხარჯებს უკავშირდება. მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით კი ამის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.

რეკომენდაციები:

- მოხდეს აღნიშნულ სფეროში კოორდინაციის გაძლიერება სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მიერ შეთანხმებული ქმედებების განსახორციელებლად შშმ პირთა მომსახურებების განვითარების, გაძლიერების და სხვა ღონისძიებების მიმართულებით.
- მეტი ყურადღება დაეთმოს სახელმწიფოს მხრიდან შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების და მათი კოალიციების მიერ განხორციელებულ საქმიანობებს; გაიზარდოს მზაობა თანამონაწილეობითი გზით სახელმწიფო სოციალური დაცვის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში ყველა დაინტერესებული მხარის სრულფასოვანი მონაწილეობით.
- არსებული პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი პროგრამების განვითარების პროცესში შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაითვალისწინოს არასმთავრობო ორგანიზაციებისა და მათი კოალიციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები
- აღნიშნულმა სამინისტროებმა დონორი ორგანიზაციების მხადაჭერით ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის პროგრამის განვითარებაში კველვითი კომპონენტის გაძლიერებას და ამ სახით, მტკიცებულებაზე-დაფუძნებული მიდგომის დამკვიდრებას შშმ პირთა უფლებათა დაცვის სფეროში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საპენსიო უზრუნველყოფა

საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მრავალგზის დაადასტურა საერთაშორისო ხელშეკრულებების მნიშვნელობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შედარებით მაღალი ცხოვრების დონის მქონე ქვეყნებშიც კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სრულად ვერ სარგებლობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული უფლებებით. თუმცა, საერთაშორისო დოკუმენტების ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანაში აღნიშნული ჯგუფისათვის უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფის რესურსები და მეთოდები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია, არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც არ სჭირდება შესაბამისი პოლიტიკის გატარება ან პროგრამების განხორციელება.

საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება - ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ შესაბამისი უფლებებით სარგებლობის თანდათანობით განხორციელებას - სახელმწიფოსაგან უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე ისეთი ღონისძიებებისაგან თავის შეკავებაა, რომლებმაც შესაძლოა

რაიმე ფორმით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე უარყოფითი გავლენა იქონიონ.

ასეთი დაუცველი და მიუსაფარი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია სტრუქტურული ხარვეზების (მათ შორის საკანონმდებლო ხარვეზების) აღმოფხვრისათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი დროებითი პრეფერენციული მიდგომების განსახორციელებლად, პოზიტიური ღონისძიებები განახორციელოს. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად უნდა ისახავდეს ამა თუ იმ ფორმით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის საზოგადოებაში სრულ მონაწილეობას და თანასწორობას.

მაგალითად, სტანდარტულ წესებში (გაეროს მიერ 1993 წელს მიღებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები") განსაკუთრებითაა აღნიშნული, რომ სახელმწიფოებმა „უნდა გადადგან ნაბიჯები საზოგადოების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობის, მათი უფლებების, მოთხოვნების, შესაძლებლობებისა და წვლილის სათანადო შეფასებისათვის." სტანდარტული წესების ძირითადი მიზანი სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის „ისეთივე უფლებებისა და მოვალეობების დამკვიდრებაა, როგორიც სხვა მოქალაქეებს გააჩნიათ".

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას ხელშემკვრელმა მხარეებმა ძირითადად იგივე მეთოდები უნდა გამოიყენონ, რომლებსაც ისინი სხვა ვალდებულებებთან მიმართებაში იყენებენ. ეს მეთოდები თავისთავად გულისხმობს არსებული კანონმდებლობის სრულყოფას.

საქართველოს საკანონმდებლო სფეროში ბოლო ათწლეულში მიღწეული გარკვეული პროგრესის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა კვლავ არამდგრადია. მოცემულს ადასტურებს ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებები, რომლის შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. თუკი 2007 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში 229 410 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი აღირიცხებოდა, 2008 წლის 1 თებერვლის მონაცემებით, მათი რაოდენობა 157 047 შეადგენდა. ანუ ავადმყოფობის ნუსხის შეზღუდვის შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა 72 363 შემცირდა.

2007 წლის 1 მაისიდან საქართველოში შეიცვალა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების წესი, რასაც წინ უსწრებდა „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები. ნორმატიულ აქტში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროები. დღესდღეობით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლებამოსილება გააჩნია ყველა სამედიცინო დაწესებულებას. გარდა ამისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 აპრილის №137/ნ ბრძანების („შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ) თანახმად, ინსტრუქციის მე-9 მუხლიდან ამოღებულ იქნა ზოგიერთი დაავადება.

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტისა და „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანების მე-2 მუხლის შესაბამისად, „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს ქმედობაუნარიანობის ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვა.“

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სწორედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით არის განსაზღვრული იმ დაავადებების, ანატომიური და გონებრივი დეფექტების ნუსხა, რომლებიც წარმოადგენენ შესაძლებლობის შეზღუდვის დადგენის საფუძველს.

იმავდროულად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დარეგულირებული პენსიაზე უფლების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს:

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, პენსია ენიშნებათ მკვეთრად (35 ლარის ოდენობით) და მნიშვნელოვნად (28 ლარის ოდენობით) გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს. გარდა ამისა, ასეთივე პენსია ენიშნებათ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს.

2008 წლის 29 აპრილის საქართველოს მთავრობის დადგენილებით ,,მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის სოციალური დანამატის განსაზღვრის შესახებ“ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს დახმარების სახით განესაზღვრათ სოციალური დანამატი 10 ლარის ოდენობით. დადგენილების თანახმად, დანამატის მიღების უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ,,სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძვლით არიან მინიმალური სახელმწიფო პენსიის მიმღები პირები, სარგებლობენ ,,სოციალური დახმარების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილებით, გათვალისწინებული საარსებო შემწეობის მიღების უფლებით და არ არიან საყოფაცხოვრებო სუბსიდიების მიმღებნი.

ამდენად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაავადებათა ნუსხიდან რიგი დაავადებების ამოღებას შედეგად მოჰყვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პენსიის მიცემის შეწყვეტა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომართეს მოქალაქეებმა: ი. ჯ-მ, გ. დ-მ, ჟ. შ-მ (შვილის - ზ. შ-ს საკითხის შესასწავლად), ნ. ა-მ და სხვებმა.

განცხადებებზე თანდართული საბუთებით გაირკვა, რომ თითოეულ მათგანს მინიჭებული ჰქონდათ მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 აპრილის №137/ნ ბრძანების („შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ) თანახმად, ინსტრუქციიდან მათი დაავადებების ამოღების შედეგად მოქალაქეებს დაუდგინდათ ქმედობაუნარიანობის ზომიერად გამოხატული შეზღუდვა და შესაბამისად შეუწყდათ პენსია.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. მოცემული წერილის თანახმად, ვითხოვდით ამომწურავ და დასაბუთებულ ინფორმაციას:

1. რა დაედო საფუძვლად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 აპრილის №137/ნ ბრძანების („შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ) თანახმად ინსტრუქციის მე-9 მუხლიდან ზოგიერთი დაავადების ამოღებას;
2. შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის შესახებ ყველა ნორმატიული აქტი 2007 წლამდე თუ ითვალისწინებდა ზემოხსენებულ მოქალაქეთა დიაგნოზების მიხედვით უნარშეზღუდულობის ხარისხის პოტენცირებულად დამაქვეითებელ ფაქტორს, ამჟამად მოქმედი ნორმატიული აქტით რატომ არ არის გათვალისწინებული.

2007 წლის 24 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული პასუხის მიხედვით გაირკვა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 აპრილის №137/ნ ბრძანების („შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ) თანახმად, ინსტრუქციის მე-9 მუხლიდან ზოგიერთი დაავადების ამოღებას საფუძვლად დაედო ის ფაქტორი, რომ

ჩამონათვალიდან ამოღებული დაავადებები განკურნებადია და არ იწვევს უნარშეზღუდულობას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საკითხებთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარკვეული კატეგორიებისათვის შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებთან ერთად უახლოეს მომავალში გადაეხედა იმ დაავადებათა ჩამონათვალისთვის, რომლებიც წარმოადგენდნენ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს და აუცილებლობის შემთხვევაში, ახალი რედაქციით მოემზადებინა აღნიშნულ დაავადებათა ნუსხა.

2008 წლის 4 მარტს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გამოსცა №61/ნ ბრძანება („შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ). განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ახალი რედაქციით მომზადებულ დაავადებათა ნუსხაში არ მოხვდა ბევრი ისეთი დაავადება, რომელთა თანმხლები, თუნდაც ზომიერად გამოხატული, დაავადებები წარმოადგენს შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის პოტენცირებულად დამაქვეითებელ ფაქტორს. ამჟამად მოქმედ კანონმქვემდებარე ნორმატიულ აქტში მოცემული კანონზომიერება გათვალისწინებული არ არის.

ამდენად, განხორციელებულმა ცვლილებებმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გაუცხოების ხარისხი კიდევ უფრო გაზარდა. მათ შეუწყდათ ის მინიმალური საარსებო საშუალებით სარგებლობის უფლება, რომელსაც პენსიის სახით იღებდნენ და მხოლოდ შემთხვევითი დახმარების იმედზე დარჩნენ.

რეკომენდაციები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- მოხდეს აღნიშნული სისტემის ფუნქციონირების წესის გადახედვა და გაუმჯობესება თანამონაწილეობითი პრინციპით, რომლებშიც ჩაერთვებიან უპირველეს ყოვლისა შშმ პირები, პროფესიონალები და აღმასრულებელი და მარეგულირებელი სისტემების წარმომადგენლები.
- მოხდეს არაოპერაციონალიზებული ტერმინების და წესების დაზუსტება და „შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის“ დოკუმენტის კონცეპტუალური გადახედვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის **2006** წლის **13** დეკემბრის
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

2006 წლის შემდეგ სახალხო დამცველი ყოველ თავის ანგარიშში მრავალჯერადად ასაბუთებდა და მოუწოდებდა შესაბამის ორგანოებს აღნიშნული კონვენციის მიღებისაკენ. სიტუაცია სტაბილურად მძიმეა: როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გვაცნობეს, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენს ერთადერთ უწყებას, რომლისგანაც არ მომხდარა არანაირი რეაგირება კონვენციის ტექსტთან დაკავშირებით. ისღა დაგვრჩენია, დავსვათ კითხვა: მიზანმიმართულად ხომ არ ხდება აღნიშნული დოკუმენტის მიღების შეფერხება?

რეკომენდაცია
ეკონომიკური განვითარებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს:

სახალხო დამცველი კვლავაც რეკომენდაციით მიმართავს ეკონომიკური განვითარებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს უმოკლეს დროში უზრუნველყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაციისთვის საჭირო პროცედურის დაწყება.

დანართი# 1

ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები"
კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

საჭიროებების კვლევის ანგარიში
თბილისის #203 და ქუთაისის #45 სმენის პრობლემების მქონე ბავშვთა საჯარო სკოლები

შესავალი

ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და მისი პარტნიორი ორგანიზაციები: "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" და WorldVIion საქართველო, ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს "თანაბარი პირობების განვითარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის". პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულ ჩართულობას საქართველოს პოლიტიკურ, ეკომმიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

პროექტის ერთ-ერთ მიზანია გააუმჯობესოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდება სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. განათლების სამინისტროსთან კონსულტაციების შესაბამისად პროექტის მიზნობრივ ჯგუფად შეირჩა ყრუ, სმენისა და მეტყველების დაქვეითების მქონე ბავშვები და შესაბამისად პროექტის საქმიანობები დაიგეგმა და ხორციელდება ყრუ ბავშვთა სპეციალურ სკოლებში.

სრული ინფორმაციის მოპოვების მიზნით პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე განხორციელდა საჭიროებათა კვლევა ორივე სპეციალურ სკოლაში.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია სრულყოფილი ინფორმაცია კვლევის მეთოდოლოგიაზე, პროცესზე, მონაწილეებზე, მიღებულ შედეგებზე. წინამდებარე ანგარიშის მიზანია მივაწოდოთ სრული ინფორმაცია საქართველოში სპეციალურ სკოლებში არსებული საჭიროებების შესახებ ყველა დაინტერესებულ მხარეს: საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოებას და სამთავრობო სექტორს, რათა გაუმჯობესდეს ბავშვებისათვის საგანმანათლებლო პირობები. კვლევის დასკვნით ნაწილში მოცემულია ორი სახის რეკომენდაცია: პირველი უფრო სპეციფიური, რომელთა ნაწილის განხორციელებაც მოხდება კონკრეტული პროექტის ფარგლებში, ხოლო მეორე უფრო ზოგადი სახის რეკომენდაციებია, რომლებიც სასურველია გაითვალისწინოს შესაბამისმა უწყებებმა.

კვლევის მეთოდოლოგია და მიზანი

სასწავლო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ დეტალური და ზუსტი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, პირველ ეტაპზე დაიგეგმა ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე ბავშვთა სკოლებში საჭიროებების კვლევა.

კვლევის მეთოდოლოგიად შერჩეული იყო თვისობრივი ტიპის კვლევა, რომელიც იძლევა საშუალებას მოვისმინოთ კვლევის სამიზნე ჯგუფის შეხედულებები და მოსაზრებები არსებული საჭიროებების შესახებ.

სკოლის საჭიროებების შესწავლისათვის მოხდა სწრაფი შეფასების მეთოდის (ღAM), როგორც კვლევის ინსტრუმენტის, გამოყენება. "სწრაფი შეფასების მეთოდი ანტროპოლოგიურ საფუძვლებს ეყრდნობა, ძირითადად გამოიყენება პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების დაგეგმვისათვის." (შცრიმსჰაწ & Gლეასონ, 1992).

ძირითადი შედეგების მოკლე მიმოხილვა

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ყრუ და სმენის პრობლემების მქონე ბავშვების სრულფასოვან განათლებას. უმთავრესი პრობლემაა ზუსტი სტატისკის არ არსებობა სმენის დეფიციტის მქონე ადამიანებზე, კონკრეტულად კი ბავშვებზე. საზოგადოებაში არასაკმარისია ინფორმაცია სმენის პრობლემების არსებობისას თანამედროვე, განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული სამედიცინო და საგანმანათლებლო მიდგომების შესახებ. საზოგადოების მოუმზადებლობასთან ერთად, მოუმზადებლები არიან მშობლები. ქვეყანაში არ არის სისტემური მიდგომა ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანთა პრობლემების მიმართ. სამედიცინო დიაგნოსტიკის შემდეგ არ ხდება მთელი რიგი აუცილებელი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: მშობლების ინფორმირება და მათი კონსულტირება, სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება და ადრეული ინტერვენცია, ბავშვის სკოლისათვის მომზადება და მათთვის გარკვეული უნარების (მათ შორის კომუნიკაციის) განვითარება. ამრიგად მთელი რიგი ხარვეზების გამო

მშობლები საკმაოდ გვიან აცნობიერებენ რეალურ პრობლემებს და გადაწყვეტის გზებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმცირის გამო ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იღებს ელემენტარულ საბაზისო განათლებას, რაც მნიშვნელოვნად არღვევს ბავშვის უფლებას მიიღოს ზოგადი განათლება და შემდგომში აფერხებს მის სოციალურ ინტეგრაციას. ინფორმაციის სიმწირისა და მთელ რიგ შემთხვევებში არ არსებობის გამო განსაკუთრებით რეგიონებში, ბევრმა მშობელმა არ იცის ზემოთ აღნიშნული სპეციალური სკოლების არსებობის შესახებ, რაც დამატებით დაბრკოლებას წარმოადგენს სპეციალურ საგანმანათლებლო სისტემაში ბავშვების ჩართულობისათვის. მშობლების მცდელობა, რომ ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე ბავშვები შეიყვანონ არასპეციალურ საჯარო სკოლებში, რაც განსაკუთრებით ხშირად ხდება სოფლებში, სრული კრახით სრულდება, რადგანაც დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს ყრუ ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სწავლების ინდივიდუალური მიდგომები. ეს ბარიერები შედეგად იწვევენ ბავშვების ხელახალ იზოლაციას, გარიყულობას და პედაგოგიურ ჩამორჩენას, რაც მეტწილ შემთხვევებში იწვევს ბავშვების სოციალურ გარიყულობას (ექსკლუზიას).

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური პირობების გამო, ხშირად ყრუ ბავშვების ოჯახებისათვის, განსაკუთრებით რეგიონში მაცხოვრებლებისათვის, პრობლემაა ბავშვების საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტარება. შესაბამისად მშობლები თვეობით ტოვებენ ბავშვებს ყრუ ბავშვთა სკოლა-პანსიონებში, რაც იწვევს ბავშვის ინსტიტუციონალიზაციას, ან საერთოდ არ ატარებენ ბავშვს სკოლაში, რაც იწვევს მის საზოგადოებიდან იზოლაციას.

სასწავლო პროცესში დაკავშირებით არსებობს სპეციფიკური პრობლემები. ესენია: მოძველებული სწავლების მეთოდები, რომელიც თითქმის არ შევცლილა 1960-იანი წლების შემდეგ. პედაგოგები გამოთქვამენ სურვილს, რომ გაიარონ ტრენინგები და მოხდეს მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პედაგოგებს უჭირთ ერთიანი ეროვნულ გეგმაზე მორგებული პროგრამის შემუშავება მეთოდების სიმცირის გამო. სახეზეა მეტერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობა, ასევე სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოებების დეფიცი. განსხვავებულია ხედვა ჟესტურის, როგორც კომუნიკაციის საშუალებად გამოყენების შესახებ, როგორც პედაგოგებში აგრეთვე მშობლებში. პედაგოგების უმეტესობა მიუთითებს, რომ Yჟესტურის გამოყენება მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს ბავშვის ამეტყველებას. პედაგოგების ასეთ დამოკიდებულების განმსაზღვრელია ის ფაქტიც, რომ მათ ადრე ეკრძალებოდათ ჟესტურის გამოყენება. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ კველვისას ყველა მხარემ აღნიშნა ჟესტური ენის ცოდნის აუცილებელია, რათა მოხდეს ბავშვებისათვის ინფორმაციის სრულყოფილი მიწოდება.

პედაგოგების და მშობლების მიერ პროფესიული და სახელობო განათლება დასახელებული იყო, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება სმენის პრობლემების მქონე ბავშვების განათლებაში. ისინი აღნიშნავენ, რომ სკოლას უნდა დაუბრუნდეს ეს დანიშნულება, რაც წარსულში ჰქონდა და საკმაოდ წარმატებით

ახორციელებდა. შედეგებმა გვაჩვენა, რომ სუსტია მშობლებსა და პედაგოგებს შორის კოორდინაცია და თანამშრომლობა.

აღნიშნული კვლევის ძირითადი პრინციპი თანამონაწილეობითი მიდგომა იყო. პროექტის მცდელობა იყო, რომ კვლევის პროცესში ყველა მხარე თანაბრად ყოფილიყო წარმოდგენილი და ჩართული, რითიც შესაძლებელი იქნებოდა თანაბრად მოგვესმინა ყველას მოსაზრება და უკეთესად ჩავწვდომოდით საკითხს.

პედაგოგების შეხედულებები სკოლის მისიაზე და მიზანზე განსხვავებულია, თუმცა გამოკვეთილია და დომინირებს ხედვა, რომ სკოლის ძირითადი ფუნქციაა ბავშვისათვის მეტყველების სწავლება. პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესის ამ ჭრილში ხედვა მნიშვნელოვნად აფერხებს ბავშვებისათვის ზოგადი განათლების სრულფასოვნად მიწოდებას და ასევე აფერხებს მათ სოციალურ ინტეგრაციას. არსებული მონაცემების მიხედვით დიდი დრო იხარჯება ბავშვებისათვის ბგერების წარმოთქმის და მეტყველების სწავლებაზე, როდესაც ბავშვს ზოგჯერ არც კი ესმის შინაარსობრივად სიტყვები, რომლის წარმოთქმაც მას შეუძლია.

განსხვავებულია მოსაზრებები, როგორც პედაგოგებში აგრეთვე მშობლებში, ეფექტური კომუნიკაციის ფორმების გამოყენებაზე სწავლებასა თუ ყოველდღიურ ურთიერთობებში. ყველა მხარე აღნიშნავს, რომ ჟესტური ენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ბავშვებთან ურთიერთობისათვის. თავად ბავშვები აღნიშნავენ, რომ მათთვის ჟესტური პირველადი წყაროა ინფორმაციის მიღებისათვის, ამასთან სკოლა წარმოადგენს მათთვის ყველაზე სასურველ გარემოს, სადაც კომუნიკაცია გარემოსთან (ამ შემთხვევაში ძირითადად თანატოლებთან) შეუზღუდავია და ხდება ძირითადად ჟესტურით.

შედეგებში აშკარადაა წარმოდგენილი მოთხოვნები სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე. სასწავლო პროცესს თითოეული მხარე განსხვავებულად აფასებს. პედაგოგების მიხედვით ისინი მოკლებულები არიან აღჭურვილობას და სწავლების თანამედროვე პრინციპებს, რაც განაპირობებს ხარვეზებს სწავლების პროცესში. მშობლები და პედაგოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ლიტერატურის და სპეციალურად ამ ბავშვებისათვის მორგებული სასწავლო გეგმის არ არსებობა მნიშვნელოვან ბარიერებს წარმოქმნის სასწავლო პროცესში. მათი თქმით უნდა არსებობდეს ყრუ და სმენის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის სპეციალურად შექმნილი სასწავლო გეგმა მათი თავისებურებების გათვალისწინებით.

მეორეს მხრივ კი, სირთულეა კომუნიკაციაში, რადგან პედაგოგები უმეტესად ვერ აგებინებენ მათ საგნებს რადგან არ ფლობენ ჟესტურ ენას, არ ჰყავთ შესაბამისი დამხმარე გაკვეთილებზე, ან სრულფასოვნად ვერ უხსნიან მასალას, რადგან ნაწილობრივ იციან ჟესტური. გამოკითხული ბავშვების უმრავლესობას მოლაპარაკე მშობლები და დანარჩენი ოჯახის წევრები ყავთ, რომლებმაც არ იციან ჟესტური. ამას ემატება ისიც რომ ზოგიერთი მშობელი უშლის ბავშვს ჟესტური ენით საუბარს. კომუნიკაციის შეზღუდვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ სოციალიზაციაზე, გარემოდან ინფორმაციის მიღებაზე, თავისუფალი არჩევანის გაკეთებაზე, სასწავლო პროცესზე, აკადემიურ უნარ-ჩვევების შეძენაზე, ცოდნის ათვისება-დაგროვებაზე,

სოციალური გარემოს გაფართოვებაზე და სხვა არა სმენის პრობლემების მქონე ადამინებთან ურთიერთობაზე.

ბავშვების გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის თანახმად კი კომუნიკაციის ყველაზე მისაღები და გამოსადეგი ფორმაა ჟესტური ენა. თუმცა არ არსებობს სისტემატიზირებული და დახვეწილი სტრუქტურა (თუ რა ასაკიდან, სად და ვის მიერ), რომლის მიხედვითაც ბავშვები სწავლობენ ნაციონალურ ჟესტურ ენას. Eჟესტურის შესწავლა ქაოსურად ხდება, რიგ შემთხვევაში ბავშვები თავად სწავლობენ მეგობრებისაგნ. ბავშვები აღნიშნავენ, რომ მათთვის რთულია გარესამყაროსთან კომუნიკაცია, რადგან უმეტესად მათ უახლოეს გარემოში როგორიცაა ოჯახი და სკოლა, სხვა მოლაპარაკე ადამიანებთან ვერ ამყარებენ კონტაქტს.

აშკარაა, რომ სკოლაში აუცილებელია, როგორც ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება მისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, თვალსაჩინოებებით მომარაგება, აგრეთვე ადამიანური რესურსების განვითარება და მათთვის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია თავად პედაგოგების მიერ გამოხატული სურვილი ფლობდნენ სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიას და შესაბამის უნარებს.
უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ჩამოთვლილი რესურსების დეფიციტით სკოლა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

მეთოდოლოგიური სიახლეების დანერგვასთან ერთად ცვლილებას მოითხოვს პედაგოგების მიდგომა და მათი დამოკიდებულებები თავად აღსაზრდელების მიმართ. ერთ-ერთი პედაგოგის მოსაზრება სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებით ასეთი იყო:
“მსოფლიოში ცნობილია, რომ ყველაზე დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანები არიან ყრუ-მუნჯები. ბრმას ესმის რაც გარშემო ხდება, ყრუ-მუნჯს მუსიკის ხმაც არ ესმის, აგრეთვე არ ესმის მხატვრული სიტყვა”- ამბობს პედაგოგი. აღნიშნულ დამოკიდებულებაში გამოიხატება სტიგმა თავად პედაგოგის მხრიდანაც, რაც ამ თემატიკაზე მუშაობას მოითხოვს.

რეკომენდაციები

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს არსებული საგანმანათლებლო პროგრამები სრულფასოვნად და მთლიანად ვერ აკმაყოფილბენ ყრუ და სმენის პრობლემების მქონე ბავშვების საჭიროებებს და მოთხოვნებს. Aაქედან გამომდინარე საჭიროა არსებული საერთაშორისო გამოცდილებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე ჩატარდეს მუშაობა ამ სკოლების გაძლიერებაზე, თანამედროვე ბავშვზე-ორიენტირებული სწავლის და სწავლების მეთოდების დანერგვით და ამით სკოლებში განათლების ხარისხის გაუმჯობესებით.

ამისათვის სასურველია ორივე სკოლაში გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ცვლილებას მოითხოვს სკოლის პედაგოგების ამჟამად არსებული შეხედულებები სკოლის ძირითადი დანიშნულებასა და ფუნქციის შესახებ. უნდა მოხდეს სკოლის პერსონალისათვის სკოლის მისიისა და მიზნების გაცნობა თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად.

- მოხდეს სკოლაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და აღჭურვა. რაც მოიცავს სკოლების დამხმარე სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინო მასალებით უზრუნველყოფას.
- განხორციელდეს თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვა და სწავლების პროცესის გაუმჯობესება. აუცილებელია ჩატარდეს ტრენინგები პედაგოგებისათვის სწავლების თანამედროვე მიდგომებში და მეთოდოლოგიებში, რომელიც იქნება ერთიან ეროვნულ კურიკულუმთან თანხვედრაში. აღნიშნული პროცესი სასურველია დაიგეგმოს და წარიმართოს სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგების, მშობლების, ბავშვების და ადგილობრივი თემის აქტიური თანამშრომლობით და თანამონაწილეობით.
- აღმზრდელებს და პედაგოგებს მიეწოდოთ ინფორმაცია ყრუ და სმენის პრობლემების მქონე ბავშვების მიმართ სწავლების და აღზრდის ძირითადი პრინციპების და თანამედროვე მიდგომების შესახებ.
- მნიშვნელოვანია სკოლაში დაინერგოს ჟესტური ენის სწავლება, რადგანაც ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე ჰქონდეთ განვითარებისათვის და განათლებისათვის მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მათთვის გასაგები კომუნიკაციის საშუალებით. ეს ღონისძიება თანხვედრაშია ბავშვთა უფლებების კონვენციის 24-ე მუხლთან, რომელიც ამბობს, რომ სენსორული დაზიანებების მქონე ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება მიიღონ განათლება სპეციფიკური მხარდამჭერი მექანიზმების გამოყენებით, მაგალითად როგორიცაა ჟესტური ენა ყრუ და სმენის პრობლემებსი მქონე ბავშვებისათვის.
- სკოლაში დაიგეგმოს თავისუფალი დროის ორგანიზებულად გამოყენების ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება მათ სოციალურ ინტეგრაციაზე. უნდა ჩატარდეს ღონისძიებები, რომლებიც წაახალისებს მშობლებისა და სკოლის კოლექტივის ურთიერთთანამშრომლობას ბავშვთა საკეთილდღეოდ.
- ნებისმიერი პროგრამის დაგეგმვის დროს ბავშვები და მშობლები უნდა მოიაზრებოდნენ, როგორც პარტნიორები და იღებდნენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ეხება ცვლილებების განხორციელებას. Eასეთი ტიპის თანამშრომლობა განამტკიცებს კავშირს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის, აამაღლებს ნდობას.
- მაქსიმალურად მოხდეს განათლების სამინისტროს წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის მიწოდება არსებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ. სამინისტროსთან ერთად მომზადდეს რეკომენდაციები სპეცილურ სკოლებში არსებული მომსახურების გასაუმჯობესებლად.
- მოხდეს ურთიერთობების განმტკიცება ქუთაისისა და თბილისის სპეციალურ სკოლებს შორის, რათა მათ ერთად მოახერხონ მათი ბავშვების საკეთილდღეოდ ბავთვთა უფლებებისა და ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ადვოკატირება და ლობირება შესაბამის უწყებებში.
- მოხდეს საზოგადოების ინფორმირება ყრუთა და სმენადაქვეითებულთა შესაძლებლობების შესახებ და მათთი საგანმანათლებლო უფლებების შესახებ.
- სპეციალური სწავლების საკითხი განხილულ უნდა იქნას განათლების სამინისტროს მიმდინარე რეფორმის ჭრილში. შემუშავდეს სახელმწიფო ხედვა და სტრატეგია სპეციალურ სწავლებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია სმენის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის სპეციალური სკოლისათვის, ახალი, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პოლიტიკის განსაზვრა და სწავლების სტანდარტების ცვლილება. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო პროცესი წარიმართოს

თანამონაწილეობითი მიდგომით სადაც განათლებისა და დარგის ექსპერტებთან ერთად ჩართულები იქნებიან სკოლის პედაგოგები და მშობლებიც.

• პროფესიული და სახელობო განათლება უნდა იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სმენის პრობლემების მქონე ადამიანების განათლების სისტემაში, რომელიც უნდა დაიწყოს ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურიდან. აღნიშნული ხელსშეუწყობს მათ მიერ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარებას და დასწავლას, რაც თავის მხრივ ამ მოზარდების შრომითი ინტეგრაციისათვის წინაპირობას წარმოადგენს.

• სახელმწიფოში უნდა ჩამოყალიბდეს მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების ადრეულ იდენტიფიცირებას და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას. სტატისტიკის არსებობა დაეხმარება შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს სასწავლო ინსიტიტუტებისა და შესაბამისი სერვისების საჭირო რაოდენობის შექმნაზე.

• აუცილებელია მოხდეს პროფესიული ტრენინგების ჩატარება სამედიცინო პერსონალისათვის, რომელიც ისტორიულად წარმოადგენს პირველად საქონტაქტო რგოლს ყრუ და სმედაქვეითებული ბავშვის მშობლებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ამაღლდეს მათი ცოდნა სმენის პრობლემებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიური, სოციალური, საგანმანთლებლო, კულტურულ და კომუნიკაციის საკითხებზე, რათა მათ შეძლონ მშობლებისთვის სამედიცინო ინფორმაციის პარალელურად ოჯახებს მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია მომავალში მდგომარეობის სწორად მართვის შესახებ. ასეთი ტიპის ტრენინგი უნდა დაიწყოს ადრიდანვე და ეს საკითხები უნდა იყოს შეტანილი ყველა სამედიცინო უმაღლესი განათლების პროგრამებში (გასნაკუთრებით კი ოტოლარინგოლოგის სპეციალისტისათვის).

• კრიტიკულია მშობელთა ორგანიზაციების და მხარდამჭერი ჯგუფების შექმნის ხელშეწყობა და წახალისება, რათა მათ ერთობლივად დაიცვან ბავშვთა ინტერესები და აღმოუჩინონ სხვა მათი მსგავსი პრობლემების მქონე ოჯახებს შესაბამისი ფსიქოლოგიური, ინფორმაციული თუ სხვა მხარდაჭერა.

• ჟურნალისტებმა და სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ მასალების უფრო მეტი სიფრთხილით მომზადება, რომელიც თავისუფალი იქნება სუბიექტური მოსაზრებებისაგან. აუცილებელია გამოყენებული იყოს უფრო მეტი დაბალანსებული მიდგომა ფაქტების მოძიების და სიუჟეტების მომზადების დროს.

• ძალზე მნიშვნელოვანია სამომავლოდ უფრო გრძელვადიანი და სიღრმისეული კვლევების ჩატარება ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო თუ სხვა სოციალური ტიპის საჭიროებების შესახებ, რათა მიღებულ იქნეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული შედეგები და პრობლემების გადაჭრის ხერხები, რომელიც შეცვლის და გააუმჯობესებს მათ ცხოვრების ხარისხს.

ბავშვის უფლებები

2008 წლის 20 მაისს, ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტმა საქართველოს მესამე პერიოდული მოხსენება განიხილა, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებას ეხებოდა.

მთავრობის ანგარიშთან ერთად, კომიტეტს ალტერნატიული ანგარიშები წარუდგინეს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ და საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა.

პროტოკოლის მიხედვით, სამთავრობო დელეგაცია, როგორც მოპასუხე მხარე, უშუალო მონაწილეობას იღებდა კომიტეტთან დიალოგში. გარდა ამისა, სხდომას, დამკვირვებლების სტატუსით ესწრებოდნენ საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა და აღნიშნული ალტერნატიული ანგარიშების ავტორ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კომიტეტმა განიხილა პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც ქვეყანამ საანგარიშო პერიოდში ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში განახორციელა. დადებითად შეფასდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონისა“ და „ბავშვის შვილად აყვანის შესახებ კანონის“ მიღება, უსაფრთხო სკოლების პროგრამის წამოწყება და ბავშვზე ზრუნვის სამოქმედო გეგმის (2008-2011წ.წ.) დამტკიცება. გარდა ამისა, კომიტეტმა დადებითად შეაფასა ისიც, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველომ მოახდინა რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიცირება.

კომიტეტმა სინანული გამოთქვა მეორე პერიოდული ანგარიშის დასკვნით შენიშვნებში მოცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო. რეკომენდაციები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა კანონმდებლობის დახვეწა, რესურსების გამოყოფა, სიღარიბის შემცირება, სოციალური დაცვა და მომსახურება, ქვეყნის შიგნით გადაადგილებული ბავშვების მდგომარეობა, ქუჩის ბავშვები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ქვეყანაში მწვავე პრობლემებს ქმნის და მათი გადაუჭრელობა საფრთხეს უქმნის ბავშვთა კეთილდღეობას. სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის წინა მოხსენებებში დაწვრილებით არის განხილული ის შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ სფეროში არსებული პრობლემების მიმართ არაკონსტრუქციულ დამოკიდებულებას სახელმწიფოს მხრიდან; ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები კი იმ ნაბიჯებზე მიუთითებს, რომლებიც კონკრეტულ უწყებებს უნდა განეხორციელებინათ აღნიშნული საკითხების შესასწავლად და არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ სახალხო დამცველის რეკომენდაციების უმრავლესობა არ იქნა გათვალისწინებული.

მესამე პერიოდული მოხსენების განხილვის შედეგად, კომიტეტმა, წესის შესაბამისად, დასკვნითი რეკომენდაციები შეიმუშავა. ამ დოკუმენტში, ისევე, როგორც მოხსენების სხდომაზე განხილვის პროცესში, კომიტეტმა მნიშვნელოვანი

როლი მიანიჭა სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე სახელმწიფოს მხრიდან დროული და სათანადო რეაგირების საკითხს. კერძოდ, დასკვნით რეკომენდაციებში კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის გაძლიერებას, რაც, მისი აზრით, ბავშვთა კეთილდღეობის ხარისხის ამაღლების ერთ–ერთი წინაპირობაა. კომიტეტის #2 ზოგადი კომენტარი (ჩღჩ/Gჩ/2002/2) განმარტავს, რომ დამოუკიდებელი მონიტორინგის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ყველა მონაწილე სახელმწიფომ სწორედ ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი ინსტიტუტები უნდა გააძლიეროს. სახელმწიფო თავად უნდა იყოს დაინტერესებული ამ ორგანიზაციების მიერ მითითებული ადმინისტრაციული დარღვევებისა თუ საკანონმდებლო ნაკლოვანებების გამოსწორებაში.

სწორედ უფლებადამცველ ინსტიტუტებთან თანამშრომლობითაა შესაძლებელი იმის დანახვა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყნისთვის მიცემული რეკომენდაციების განხორციელებას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის პეროდულ მოხსენებებსა თუ სხვა დოკუმენტებში მოცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი იგნორირებული რჩება, სრულიად სხვა ვითარებაზე მიუთითებს.

სწორედ ამას გულისხმობს კომიტეტის დასკვნითი რეკომენდაციების მე–13 პუნქტი.

წინამდებარე ანგარიში, ახალ საკითხებთან ერთად, სახალხო დამცველის გასულ საანგარიშო პერიოდების მოხსენებებში მოცემულ იმ რეკომენდაციებსაც მოიცავს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან დღემდე ყურადღების მიღმა რჩება.

აღწერილი მდგომარეობა ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ უარყოფითად შეფასდა. კომიტეტის რეკომენდაციები მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომლებიც ქვეყანაში ბავშვის უფლებებათა დაცვის სუსტ მხარეებს ეხება.

ჩვენი აზრით, კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ადეკვატურია და სახელმწიფოს მხრიდან მათი დროული განხორციელება პოზიტიურ ცვლილებებს მოახდენს ბავშვთა კეთილდღეობის ამაღლების სფეროში.

წამება და სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა

„კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოს, საფუძვლიანად გამოიძიოს წამებისა და ცუდად მოპყრობის შესახებ ყველა მტკიცება და უზრუნველყოს ამ ქმედებების ჩამდენთა დაუყოვნებლივი წარდგენა სასამართლოს წინაშე“.

სახალხო დამცველმა შეისწავლა საქმე, რომელიც მარტყოფის სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელების წამების ფაქტებს ეხებოდა.

ეს საქმე უკვე ერთი წელია, რაც გამოძიების პროცესშია.

რაც შეეხება საქმეს, რომელიც ეხებოდა პოლიციის მხრიდან ახალგორის აღსაზრდელების წამების ფაქტებს, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი სამართალდამცავები დააკავეს. საქმეში ბრალდებულები იყვნენ ახალგორის რაიონის შ.ს. განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის ინსპექტორ-გამომძიებელი ბონდო ტატუნაშვილი და ამავე განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი ბესიკ ორკოდაშვილი. ორივე მათგანს ბრალი საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მე-3 ნაწილის ,,ა", ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით, 1441-ე მუხლის (წამება) მე-2 ნაწილის ,,ა", ,,ბ", ,,გ", ,,ე" და ,,ზ" ქვეპუნქტებით და 369-ე მუხლის (მტკიცებულების ფალსიფიკაცია) მე-2 ნაწილით წაეყენათ. მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ დაპატიმრება ორი თვის ვადით.

ახალგორის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების საქმე შევიდა სახალხო დამცველის 2007 წლის მოხსენებაში და დანაშულში მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებული სასჯელი სახალხო დამცველის მხრიდან შეფასდა, როგორც არაადეკვატური. გარდა ამისა, მოხსენებაში სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ აღსაზრდელებს, რომლებიც სამართალდამცავთა ძალადობის მსხვერპლი გახდნენ, რეაბილიტაცია არ ჩაუტარდათ.

სახალხო დამცველის ერთერთი რეკომენდაცია ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის რეაბილიტაციისა და ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროებაზე მიუთითებს. საქმე ის არის, რომ ქვეყანაში შესაბამისი მექანიზმი ბავშვებისთვის დღემდე არ მუშაობს. გამოძიების დაწყებასთან ერთად, აუცილებელია იმ სისტემის არსებობა, რომელიც, მისი მსხვერპლად აღიარების შემთხვევაში, გამოიკვლევს ბავშვის მდგომარეობას და შესატყვის დახმარებასაც გაუწევს მას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს სახელმწიფოს, „უზრუნველყოს მსხვერპლთათვის ადეკვატური კომპენსაცია, რეაბილიტაცია და გაჯანსაღების პროგრამები“.

ბავშვთა მიმართ ძალადობა

1. ბავშვის მიმართ ძალადობის თავიდან აცილების ნებისმიერი გზა, რომელსაც ცივილური სამყარო მიმართავს, ერთ უმთავრეს პრინციპს გულისხმობს: **ბავშვი სახელმწიფოსთვის წამყვან პოლიტიკურ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.**

ნებისმიერი ამოცანა, რომელსაც ქვეყანა დაისახავს, ნებისმიერი წარმატება, რომელსაც ის მიაღწევს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების

გადაჭრის გზაზე უნდა განიხილებოდეს ბავშვის კეთილდღეობის მოთხოვნათა და მისი მოქალაქეობრივ-ზნეობრივი აღზრდის პრინციპების გათვალისწინებით.

ამიტომ, ბავშვის მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა[70] და ბავშვის უფლებათა დაცვის სტრატეგია უნდა აისახოს ქვეყნის სახელმწიფო გეგმაში.

2. ძალადობის დაძლევის გზები როგორც საკანონმდებლო, ასევე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დონეებზე ორ დიდ მიმართულებაში იყრის თავს: ა) ძალადობასთან ბრძოლა მასთან დაპირისპირებით, აკრძალვით, კანონის გამკაცრებით და
ბ) ბავშვის მიმართ ძალადობის თავიდან აცილება პრევენციის სტრატეგიის პრიორიტეტის აღიარებით.

პირველი მიმართულება, ერთი შეხედვით, უფრო ეფექტურია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ძალადობასთან შემტევი პოლიტიკა დროთა განმავლობაში შეიძლება შენელებული მოქმედების ყუმბარა აღმოჩნდეს[71] და იმაზე მეტი პრობლემა წარმოშვას, ვიდრე ამის წარმოდგენა დასაწყისში იქნებოდა შესაძლებელი.

მეორე მიმართულება კი უფრო მეტ დროს მოითხოვს. ამ სტრატეგიული მიმართულების პოზიტიური შედეგები აშკარა მხოლოდ მოგვიანებით ხდება.

3. რა ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ ამ მიმართულებით?

ქვეყანაში შესწავლილი უნდა იქნას ბავშვის მიმართ ძალადობის არსებული მდგომარეობა:

✓**ეს, პირველ რიგში, ნიშნავს ამ სფეროში მონაცემთა ბაზის შექმნას** - ინფორმაციის შეგროვებას. ეს მოითხოვს საგანგებო სისტემის შექმნას. 2009 წელს ყველა ქვეყანას ექნება ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების სისტემა. საწყისი ეტაპისთვის კი, სასურველია, ქვეყანამ დამოუკიდებლად დაიწყოს მასალის შეგროვება და კოორდინირება ამ მიმართულებით. ეს მონაცემები კი შემდგომში საერთაშორისო სტანდარტებთან უნდა მოვიდეს შესაბამისობაში.
სავარაუდო პარამეტრები მონაცემთა პირველადი ბაზის შექმნისას:

- ბავშვების მიმართ ძალადობის რა ფორმებია გავრცელებული საქართველოში;

---

[70] ძალადობა ადამიანისთვის დამახასიათებელი სამწუხარო თვისებაა. ის ყოველთვის არსებობდა და იარსებებს. ამიტომ, არარეალურია ძალადობის მოსპობაზე ან ძალადობის სრულ გაქრობაზე საუბარი. უფრო ადექვატური იქნება, თუ ვისარგებლებთ ტერმინებით „ბავშვის მიმართ ძალადობის დაძლევა“ ან „ბავშვის მიმართ ძალადობის თავიდან აცილება“.

[71] ამ მიდგომის ყველაზე მკაფიო მაგალითია 2006 წლის ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის თანახმადაც, გარკვეულ დანაშაულებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან 12 წლამდე მცირდება.

- რა ძირითადი სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა ფაქტორები განაპირობებენ ბავშვის მიმართ ძალადობის მაღალ ხარისხს;
- აქვს თუ არა სახელმწიფოს შემუშავებული ბავშვის მიმართ ძალადობის დაძლევის სტრატეგია სკოლაში, საზოგადოებასა და ოჯახში და სხვა.

✓ სახელმწიფომ შექმნას მაკოორდინებელი ორგანო (საბჭო), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის მიმართ ძალადობის თავიდან აცილების სახელმწიფო სამოქმედო გეგმას და ამით საფუძველს დაუდებს ქვეყანაში ძალადობის დაძლევის პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას.

✓მაკოორდინებელი საბჭო ითავებს ქვეყანაში ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს გენერალური მდივნის სამსახურის კვლევის რეკომენდაციების განხორციელებასა და ამ საკითხებზე გაეროს სპეციალურ წარმომადგენელთან თანამშრომლობის პასუხისმგებლობას.

✓ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისთვის წარსადგენ ქვეყნის პერიოდულ მოხსენებაში განხილული იქნას ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფომ ჩაატარა ბავშვის მიმართ ძალადობის დასაძლევად. კომიტეტის დასკვნით შენიშვნებში ამ მიმართულებით მოცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იქნება შემდგომი მუშაობისთვის.

საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენებებში არაერთხელაა განხილული ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი. განხილულია კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ"; ამ კანონის ნაკლოვანებები ნათლად ჩანს პრაქტიკულ მუშაობაში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ბავშვი დახმარებას საჭიროებს. მოხსენებებში სახალხო დამცველი აღნიშნავდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქმიანობის მნიშვნელობას მისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პრობლემებზე მიუთითებდა, რომლებიც თავს იჩენს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დონეზე და ხელს უშლის ძალადობისაგან ბავშვის სრულყოფილ დაცვას ოჯახსა და სხვა გარემოში.

2007 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო ანგარიშში დეტალურად იყო განხილული ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობის თემა.

სახალხო დამცველის მიერ სახელმწიფოსთვის შეთავაზებული რეკომენდაციები იმ ღონისძიებებს გულისხმობდა, რომელთა განხორციელების შემთხვევაშიც, „კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" ბავშვთა ძალადობისგან დაცვის რეალურ მექანიზმად იქცეოდა.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის საქმიანობამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული კანონი ბავშვებს ძალადობისგან ჯერჯერობით ეფექტურად ვერ იცავს და

ეს საკითხი კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს კვლავ არა აქვთ რესურსი და შესაბამისი უფლებამოსილება, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, ისინი ბავშვთა უფლებების დაცვას უფრო ეფექტურად შესძლებდნენ.

ჩვენი საზოგადოება ჯერჯერობით სრულად ვერ აცნობიერებს იმას, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბავშვზე ძალადობას. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, შეიმუშაოს და განახორციელოს მასშტაბური გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს ბავშვზე ძალადობის დაძლევის ძირითად მიმართულებებს და გაწერს შესაბამის ღონისძიებებს.

ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს მოქალაქეები თუ სამართალდამცავები ყოველდღე ხედავენ ქუჩებში, თუმცა რეაგირება არ ხდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ რეაგირების მექანიზმები გაწერილი არ არის და საზოგადოებაში არ მკვიდრდება არაძალადობრივი ფასეულობები.

ქვეყანაში არ არსებობს ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციის ეფექტური განხორციელების მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ კერძო შემთხვევები. ეს ხარვეზი ეხება როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ სფეროებს. არ ხდება საფრთხის დროული იდენტიფიცირება. სტრუქტურები, რომელთაც ეს საკითხი ეხებათ არ თანამშრომლობენ.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ერთ-ერთი რეკომენდაცია ითვალისწინებს ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების (მასწავლებლები, სოციალური და სამედიცინო მუშაკები, პოლიციისა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლები) სპეციალურ მომზადებას ბავშვზე ძალადობის შემთხვევების გამოავლენისა და შესაბამისი ზომების მიღების საქმეში.

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ითვალისწინებს არა მხოლოდ ბავშვის მიმართ ფიზიკურ ძალადობას, არამედ აგრეთვე ბავშვის შეურაცხყოფას, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ ფორმას, უგულებელყოფას და სექსუალურ ძალადობას. კანონის თანახმად, ძალადობის გამოვლენის ნებისმიერ ფაქტზე ხელისუფლების შესაბისი სტრუქტურები ადეკვატურ რეაგირებას უნდა ახდენდნენ.

დასკვნით რეკომენდაციებში გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ სახელმწიფოს ჯერ არა აქვს შემუშავებული ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და ძალადობის დაძლევის სამოქმედო გეგმა. კანონი კი ამას ითვალისწინებს. ამდენად, სამოქმედო გეგმისა და კონკრეტული მექანიზმების არარსებობის პირობებში „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის“ ცხოვრებაში გატარება სათანადოდ ვერ ხორციელდება.

შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს არ გააჩნიათ მონაცემთა ბაზა ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის გამოვლენილი ფაქტების შესახებ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ საკითხს დღემდე არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ნათელია, რომ ქვეყანაში ბავშვის ძალადობისგან დაცვის როგორც სამართლებრივი ასევე აღმასრულებელი მექანიზმები არასრულფასოვანია; არ არსებობს ბავშვის მიმართ ძალადობის პერვენციის, ძალადობის ფაქტის გამვლენის, მასზე სწრაფი და ეფექტური რეაგირების მექანიზმები; ურთულესია ბავშვის ძალადობისგან დაცვა ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მსხვერპლის რეაბილიტაციის ინსტრუმენტის გარეშე.

სახალხო დამცველის 2007 წლის პირველი ნახევრის რეკომენდაციები კვლავ აქტუალურია და სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს რეაგირებას, ვინაიდან ისინი დღემდე შესრულებული არ არის:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს რესურსცენტრების როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გაძლიერება. კერძოდ, ყველა რესურსცენტრს დაემატოს კვალიფიციური სოციალური მუშაკები, რომლებსაც ზუსტად ეცოდინებათ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ფორმები. – მეურვეობის და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოების გაძლიერება ამ მიმართულებით არ მომხდარა, ხოლო 2009 წლის 1 იანვრიდან საერთოდ უცნობია, თუ ვინ იქნება აღნიშნული ფუნქციის მატარებელი სტრუქტურა.
- შინაგან საქმეთა სამინისრტომ უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელშიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების შესახებ ზუსტი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები იქნება ასახული. – მონაცემთა ბაზა დღემდე არ შექმნილა, რაც იმის მაჩვნებელია, რომ პრევენციაზე მუშაობა ვერ მოხერხდება.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სხვადასხვა საშუალებებით უნდა შეუწყონ ხელი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და განათლებას ბავშვის ოჯახური თუ სხვა სახის ძალადობისგან დასაცავად. – როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით კვლავ მომავლის საქმეა.
- საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს სპეციალურად ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის განკუთვნილი ალტერნატიული ზრუნვის სისტემის არსებობა, რათა შესაძლებელი იყოს მსხვერპლი ბავშვის უპირველესი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად სწრაფ დროში მისი უსაფრთხო გარემოში გადაყვანა, იმ დრომდე, სანამ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები არ დარწმუნდებიან იმაში, რომ ბავშვის ოჯახში დაბრუნება მისთვის უსაფრთხოა. – ჯერჯერობით სამწუხაროდ ვერცერთი სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ფუნქციის შესრულებას.
- ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს უპირობო საფუძველი იმისა, რომ ბავშვს დაუყოვნებლივ ჩაუტარდეს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. – ბავშვის ძალადობისგან დაცვის საკითხში არავითარი გაუმჯობესება არ იგრძნობა, არც ექსპერტიზის დროული ჩატარება დამდგარა დღის წესრიგში.

• საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 11981 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: „ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებულნი არიან ამის შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე, ვალდებულნი არიან, გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები“. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდეს დამატება, რომლის საფუძველზეც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 11981 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისას, ის პირები, რომელთათვისაც ცნობილი იყო ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიუხედავად ამისა, მათ მაინც არ იმოქმედეს შესაბამისად, დაჯარიმდებიან, რადგან პასუხისმგებლობა მითითებული მუხლის დარღვევის შემთხვევაში სცილდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფარგლებს და საჯარო სამართალს უკავშირდება.

• აუცილებელია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ზუსტად მიუთითონ რეაგირების ვადები საქმის წარმოებაზე, რომელიც არასრულწლოვან ძალადობის მსხვერპლ ბავშვს შეეხება:

1. თუ ნათელია, რომ მდგომარეობა საგანგაშოა და არსებობს რისკი იმისა, რომ ბავშვს მიადგება ზიანი, მისი გადაყვანა მისთვის უსაფრთხო ტერიტორიაზეც 24 საათის განმავლობაში უნდა იყოს შესაძლებელი.

2. თუ არსებობს ეჭვი იმისა, რომ ბავშვი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია, საკითხის პირველადი შესწავლა უნდა მოხდეს ერთი კვირის ვადაში, რათა გაირკვეს, თუ რამდენად სახიფათოა ბავშვის მდგომარეობა. საქართველოში ბავშვის მშობლის თანხმობის გარეშე ოჯახიდან წამოყვანის ერთადერთი გზა მშობლის უფლების ჩამორთმევაა. ზომებს, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა რისკის შემთხვევაში ბავშვის მშობლისგან იზოლირებას, კანონი არ ითვალისწინებს.

• საქართველოს პარლამენტმა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში“ შეიტანოს ცვლილება, რომლის თანახმად, ამავე კანონის VI თავის 19-ე მუხლი ამოქმედება დაუყოვნებლივ. – აღნიშნული მუხლი, ძალაში შევიდა, თუმცა თავშესაფრები დღემდე არ არსებობს.

• შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საჭიროა უზრუნველყონ, რომ ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან გასაუბრებას აწარმოებდეს პირი, რომელიც ამისათვის სპეციალურად იქნება მომზადებული. – დღეისათვის სახელმწიფო სტრუქტურებში არ არსებობენ სპეციალურად მომზადებლი კადრები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან სპეციალური მუშაობის ჩატარებას შესძლებენ.

სახალხო დამცველმა ზემოთმოყვანილი რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს ერთი წლის წინ გაუგზავნა. ვფიქრობთ, ამ დროის მანძილზე შესაძლებელი იყო მათ განხორციელებლად გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. მიმართული იყო არსებული მდგომარეობის შეცვლისკენ. რა თქმა უნდა, ზოგიერთი მათგანის განხორციელებისათვის შესაძლოა ერთი წელი არასაკმარისი დრო აღმოჩნდა, თუმცა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით ნამდვილად იყო შესაძლებელი.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ის რეკომენდაციები, რომლებიც ბავშვის ფიზიკური დასჯის აკრძალვას ეხება, მოითხოვს სახელმწიფოსგან ბავშვების მიმართ ძალადობის თემაზე გაეროს გენერალური მდივნის კვლევის შედეგად მიღებულ რეკომენდაციების გათვალისწინებას. კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს, რომ აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებული იქნას საანგარიშო პერიოდში:

- აიკრძალოს ყველანაირი ძალადობა ბავშვების მიმართ;
- გაძლიერდეს ამ საკითხის მიმართ ქვეყნისა და ადგილობრივი მასშტაბის ვალდებულებები და ქმედებები;
- პრიორიტეტი მიენიჭოს პრევენციას;
- ხელი შეეწყოს არაძალადობრივი ფასეულობების დამკვიდრებას და ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებას;
- უზრუნველყოფილი იქნეს რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის სამსახურები;
- უზრუნველყოფილი იქნეს ანგარიშვალდებულება და ბოლო მოეღოს დაუსჯელობას;

ბავშვის მიმართ ძალადობის დაძლევის სტრატეგია საქართველოს საჯარო სკოლაში

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ბავშვის უფლებები ყველაზე მეტად სახელმწიფო ინსტიტუციებში ირღვევა. ჩვენმა პრაქტიკამაც იგივე დაადასტურა.

ბავშვის უფლებების მრავალფეროვან დარღვევათა ფონზე, ბავშვის მიმართ ძალადობა უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს.

დღეს ამ ფენომენმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია; 2006 წელს დასრულდა გაეროს გენერალური მდივნის სამსახურის ოთხწლიანი კვლევა „ძალადობა ბავშვების მიმართ“; 2007 წლის გაზაფხულზე ევროპისა და ამერიკის ბავშვთა ომბუდსმენებმა, ბავშვზე მომუშავე სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს მიმართეს წინანადებით, შეიქმნას გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის სამსახური ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებში. ეს წინადადება დადებითად გადაწყდა გაეროს გენერალური ასამბლეის 2007 წლის დეკემბრის სესიაზე. სამსახური ხელს შეუწყობს კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელებას.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრი დაინტერესდა იმით, თუ რა კეთდება სკოლაში ბავშვის მიმართ ძალადობის დასაძლევად.

ამ მიზნით, ცენტრმა, საქართველოს პროფესიონალ ფსიქოლოგთა ასოციაციასა და სკოლის ფსიქოლოგთა საერთაშორისო ასოციაციასთან (ISPA -International School Psychology Association) თანამშრომლობით, დაიწყო კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს იმის გარკვევას, თუ რა ხარისხითაა გათვალისწინებული საქართველოს საჯარო სკოლის პოლიტიკაში ბავშვის მიმართ ძალადობის

დაძლევის სრტატეგია და რამდენად და როგორ საჭიროებს ის შექმნასა და განმტკიცებას.

კვლევა ტარდება კითხვარის მიხედვით, რომელიც შეიმუშავეს ISPA- მ და „ბავშვის შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფისაგან დაცვის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISPCAN).
კითხვარი შედგება 57 დახურული სკალირებული კითხვისგან, რომლებიც 6 ბლოკში ერთიანდება.
ბლოკების დასახელებებია:

1. ძალადობის დაძლევის სტრატეგია;
2. მოძალადე და ძალადობის მსხვერპლი;
3. სკოლის სტრატეგიაში გათვალისწინებული ძალადობის შესაძლო ადგილები;
4. ძალადობის ზემოქმედება;
5. სკოლის ჩარევა ძალადობის დაძლევის საკითხებში;
6. მზაობა, რესურსები და მოქმედების ეფექტურობა.

კითხვარი მოცულობითია – მისი კითხვები შეძლებისდაგვარად მოიცავს ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, ძალადობის ადგილებს და სკოლის შესაძლებლობებს ძალადობის დაძლევის საქმეში. კითხვარი ბოლოვდება 9 ღია კითხვით.
კვლევა მოიცავს 3 საფეხურს: პირველი საფეხურის რესპონდენტები არიან სკოლის მასწავლებლები, მეორე საფეხურისა - სკოლის მოსწავლეები, ხოლო მესამე საფეხურზე კვლევა მოიძიებს სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეთა მშობლების მონაცემებს.
კვლევის პირველ საფეხურზე კითხვარი ჩაუტარდა თბილისის 16 და რუსთავის 8 საჯარო სკოლის 301 მასწავლებელს.
I ბლოკი (12 კითხვა): ძალადობის დაძლევის სტრატეგია
პასუხები (პროცენტით გამოსახული რიცხვი გვიჩვენებს, თუ რამდენად არის ან არ არის მოცემული ელემენტი გათვალისწინებული სტრატეგიაში ან რამდენად საჭიროა, რომ გათვალისწინებული იყოს):

1. არ არსებობს ძალადობის დაძლევის სტრატეგია – 83,3%
2. საჭიროა ამგვარი სტრატეგიის არსებობა – 75,8%

II ბლოკი (5 კითხვა): მოძალადე და ძალადობის მსხვერპლი – რამდენად გამოკვეთილია სკოლის პოლიტიკაში მოძალადე
პასუხები:

1. არ არის – 80%
2. საჭიროა–76%

III ბლოკი (5 კითხვა): ძალადობის ადგილები – სკოლის სტრატეგიაში გათვალისწინებულია ძალადობის შესაძლო ადგილები
პასუხები:

1. გათვალისწინებული არ არის – 89,8%
2. საჭიროებს გათვალისწინებას – 62,6%

IV ბლოკი (5 კითხვა): ძალადობის ზემოქმედება – ითვალისწინებს თუ არა სკოლის პოლიტიკა, რა სახის ზიანი შეიძლება მიადგეს ბავშვს

პასუხები:

1. არ ითვალისწინებს – 83%
2. უნდა გაითვალისწინოს – 74,4%

V ბლოკი (13 კითხვა): რამდენად მუშაობს სკოლა ძალადობის პოზიტიურად დაძლევის საკითხებზე

პასუხები:

1. არ მუშაობს – 81,3%
2. უნდა იმუშაოს – 78,5%

VI ბლოკი (15 კითხვა): მზაობა, რესურსები – საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა მოსწავლეთათვის, პედაგოგებისთვის, მშობლებისთვის; კანონებისა და რეგულაციების არსებობა

პასუხები:

1. არ არსებობს – 93%
2. უნდა არსებობდეს – 85,1%

ღია გამოკითხვის შედეგები:

1. სკოლაში ძალადობის დაძლევისათვის აუცილებელია:

➢ შემუშავდეს ძალადობის დაძლევის სისტემური სტრატეგია – რესპონდენტების 48,6%;

➢ შეიქმნას კოორდინირებული საგანმანათლებლო პროგრამები მასწავლებელთათვის, მოსწავლეთათვის და მშობლებისთვის – რესპონდენტების 51,4%.

2. ძალადობის დაძლევის სტრატეგია უნდა შემუშავდეს შემდეგი მიმართულებების გაძლიერებასთან ერთად:

განათლება ბავშვთა უფლებების სფეროში - ტრენინგები მასწავლებლებისა და მშობლებისათვის;

- რელიგიის სწავლების გაძლიერება;
- ტოლერანტობის განმტკიცება;
- ფსიქოლოგიური კვლევა ამ სფეროში;
- მოსწავლის მოტივირების გაძლიერება;
- მედიის როლის გაძლიერება.

3. საჯარო სკოლებში უფრო მეტად დაიძლია ფიზიკური ძალადობა, რადგან ამ პრობლემას მეტი ყურადღება მიაქციეს.

4. საჯარო სკოლებში ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ფსიქოლოგიური ძალადობა - ბულინგი, შეურაცხყოფა, დამცირება. ბავშვის მიმართ ძალადობის ამ ფორმის შესამცირებლად შესაბამისი სტრატეგიული მიდგომა ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

5. უნარშეზღუდული მოსწავლეების გამოჩენამ სკოლებში დადებითი როლი ითამაშა – ძალადობა არასოდეს ეხება უნარშეზღუდულ მოსწავლეებს.

ორი დამატებითი კითხვის პასუხები:

1. რა პერსპექტივა აქვს სკოლაში ძალადობის დაძლევას?

ძალიან მაღალი – 12%
მაღალი – 46%
საშუალო – 33%

2. რა პერსპექტივა აქვს საზოგადოებაში ძალადობის დაძლევას?
1. ძალიან მაღალი – 29%
2. მაღალი – 47%
3. საშუალო– 18%

3. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მივიღეთ შემდეგი კითხვებისთვის:
სკოლის პოლიტიკაში არ არის გათვალისწინებული
ა. სახლი, როგორც ძალადობის ადგილი– 95%
ბ. მშობელთა მომზადება სპეციალური პროგრამით - 97%
ბავშვზე ზრუნვის სამსახურების მომზადება სპეციალური პროგრამებით – 95%
ა. საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რეგულაციები, პროცედურები – 96%
ბ. ძალადობის ინტერვენციის პროგრამების არსებობა სკოლებში – 97%

4. ყველაზე მაღალი პროცენტი საჭიროებისა მიიღო VI ბლოკმა – მზაობა, რესურსები, მოქმედების ეფექტურობა, სპეციალური პროგრამები და სწავლება ამ მიმართულებით - 85,1% (არ არის გათვალისწინებული — 93%).

გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ბავშვზე ძალადობის დაძლევის სტრატეგია უმნიშვნელოდაა გათვალისწინებული სკოლის პოლიტიკაში და ამ მიმართულებით მუშაობის დაწყება გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს.

სკოლის მასწავლებლების აზრით, ბავშვის მიმართ ძალადობის დაძლევის პირველი საფეხური მასწავლებლების, მოსწავლეთა და მშობლების სპეციალური პროგრამების მიხედვით მომზადება უნდა გახდეს.
გარდა ამისა, მათი აზრით, აუცილებელია დამხმარე კანონების, რეგულაციებისა და შესაბამისი პროცედურული დოკუმენტების შემუშავება.
ამ საფეხურის რესპონდენტების აზრით, უნდა შეიქმნას გზამკვლევები და ძალადობის ფაქტებში ჩარევის კოორდინირებული პროგრამები.

კვლევის პირველი საფეხურის შედეგების მიხედვით, გამოიყო რამდენიმე სფერო, რომელთა აღნიშნული მიმართულებით მოწესრიგება განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს.
მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ძალადობის დაძლევის პოლიტიკა, როგორც ბავშვის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ერთ–ერთი უმთავრესი მიმართულება, იმ ვექტორების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს, რომლებიც ამ საკითხზე ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიყოფა.

ალტერნატიული ზრუნვა და სამზრუნველო დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვები

საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენებებში არაერთხელ იყო განხილული იმ ბავშვების მდგომარეობა, რომლებიც სამზრუნველო დაწესებულებებში არიან მოთავსებულნი. ანგარიშები ეხებოდა იმ პრობლმურ საკითხებს, როგორიცაა ბავშვთა სახლებში არასათანადო საცხოვრებელი პირობების არსებობა და არაკვალიფიციური კადრები.

დადებითად შეიძლება შეფასდეს გადაწყვეტილება სამზრუნველო დაწესებულებების ხელმძღვანელების შეცვლის შესახებ. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ახალი კადრები უფრო დაინტერესებული არიან პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში და რეფორმების გატარებაში.

შემუშავდა სტანდარტები, რომლებიც აღნიშნულ დაწესებულებებში უნდა სრულდებოდეს. დაიწყო მათი დანერგვა ბავშვთა სახლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებების უმრავლესობა ისევ უმძიმეს მდგომარეობაშია; კვლავ დღის წესრიგშია გაუმართავი სველი წერტილებისა და არაკვალიფიციური კადრების პრობლემა; შენობები ამორტიზებულია, ავეჯი დამტვრეული და სხვა.

ბავშვთა სახლების უმრავლესობისთვის დღემდე უცნობია სოციალური მუშაკების ინსტიტუტი; იშვიათობას წარმოადგენს კვალიფიციური ფსიქოლოგი. ჩვენს მიერ შესწავლილი მდგომარეობა პირდაპირ მიუთითებს, რომ ბავშვებთან არ მუშაობენ: არ იკვლევენ მათ ოჯახებს, არ მოიძიებენ ბავშვის ინსტიტუციაში მოხვედრის რეალურ მიზეზებს, რაც საფრთხეს უქმნის აღსაზრდელის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და ზოგადად მის მომავალს.

როგორც წინა ანგარიშებში აღვნიშნეთ, განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა ისეთ დაწესებულებებში, სადაც უნარშეზღუდული ბავშვები არიან მოთავსებული.

სენაკის ბავშვთა სახლის მონიტორინგის შედეგად, რომელიც სახალხო დამცველთან თანამშრომლობით ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის საბჭომ ჩაატარა, მძიმე სურათი გამოიკვეთა.

გარდა იმისა, რომ ამ სახლში არსებული საცხოვრებელი პირობები არადამაკმაყოფილებელია, უნარშეზღუდული ბავშვები კი განსაკუთრებულ და სპეციალურ ზრუნვას საჭიროებენ, არსებობს კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანია საკითხი: აღსაზრდელების უმრავლესობამ კარგა ხანია სრულწლოვან ასაკს მიაღწია და აღარ განეკუთვნება ბავშვთა სახლის აღსაზრდელების კონტიგენტს. ისინი უპირისპირდებიან ადმინისტრაციას, რაც კონფლიქტურ გარემოს წარმოშობს. არსებული ვითარება ქმნის არაჯანსაღ გარემოს; ეს კიდევ უფრო ამძიმებს მათ ყოველდღიურ ყოფას.

ამ პრობლემის განხილვის მიზნით, ბავშვის უფლებათა ცენტრის ინიციატივით, სახალხო დამცველის აპარატში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა და მონიტორინგის საბჭოს წევრებმა. მათ განიხილეს პრობლემა და მოიძიეს მისი გადაჭრის გზები.

2008 წლის ივნისიდან აღნიშნულ დაწესებულებაში დაიწყო გაეროს ბავშვთა ფონდის პროექტის განხორციელება. პროექტი ითვალისწინებს შენობის რეაბილიტაციას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია "პირველი ნაბიჯის" მიერ კადრების გადასამზადებელი სამუშაოს ჩატარებასა და დაწესებულებაში არსებული კონფლიქტის გადაჭრის გზებზე მუშაობას.

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ პრიორიტეტს დეინტიტუციონალიზაციის პროგრამა წარმოადგენს. ამ პროგრამის ამოქმედების შედეგად, ქვეყანაში ბავშვთა სახლების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. თუმცა, დღემდე არ არსებობს სახელმწიფო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა ოჯახებში დაბრუნებული ბავშვების მდგომარეობის მონტორინგს და მათთვის სტაბილური დახმარებს გამოყოფას, რაც მყარ საფუძველს შექმნიდა ბავშვის ინსტიტუციაში დაბრუნების თავიდან აცილებისთვის.

დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის პარალელურად, სახელმწიფომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ბავშვთა ინსტიტუციებში არსებულ მდგომარეობასაც და იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი დიდ დროს მოითხოვს; ბავშვები კი აგრძელებენ ინსტიტუციების გაუსაძლის პირობებში ცხოვრებას. მათი უმეტესობა ისე მიაღწევს სრულწლოვან ასაკს, რომ ეს რეფორმა არც შეეხება.

ცხოვრების სათანადო დონე

საქართველოში ბევრი ოჯახის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური დონე ძალიან დაბალია. ბავშვებისთვის არ არსებობს მათი განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტარული პირობები. სიღარიბის დაძლევის სტრატეგია დღემდე არ ითვალისწინებს ბავშვისთვის პრიორიტეტის მინიჭების პრინციპს.

"ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამაში" არ არის გამოკვეთილი ბავშვის საჭიროებებისა და ინტერესების პრიორიტეტულობა. ცხოვრების არასათანადო დონე ხელს უშლის ბავშვის სრულყოფილ განვითარებას და იწვევს სავალალო შედეგებს. ბავშვები ვერ იღებენ სრულფასოვან სამედიცინო მომსახურეობას, ხელი ეშლებათ განათლების მიღებაში, ასევე მათთვის ხელმიუწვდომელია დასვნება და კულტურულ აქტივობებში მონაწილეობა.

ცნობილია, რომ საქართველოში ბავშვების სამზრუნველო დაწესებულებებში მოხვედრის ძირითადი მიზეზი ოჯახის მატერიალური სიდუხჭირეა. ამ პირობებში მყოფი ბავშვებისთვის ერთ–ერთ რისკს ინსტიტუციაში მოხვედრა წარმოადგენს. ეს

საკითხი უფრო დეტალურად სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში იყო განხილული. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ვითარება დღემდე არ შეცვლილა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-მუხლში მითითებულია, რომ : „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

1. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.
2. მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, აუცილებელ ზომებს იღებენ იმისათვის, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უწინარესად საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
3. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას ახორციელებენ იმისათვის, რათა უზრუნველყონ მშობლების, ან ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელ სხვა პირთა მიერ ბავშვის რჩენის აღდგენა, როგორც მონაწილე სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, თუ ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთებას ან ასეთი ხელშეკრულებების დადებას, აგრეთვე სხვა შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას. “

აღნიშნული გულისხმობს, რომ როდესაც მშობლებს არ შესწევთ უნარი, უზრუნველყონ ბავშვის ცხოვრების სათანადო დონე, სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს მათთვის დახმარების აღმოსაჩენათ.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს საქართველოს: "სიღარიბის დაძლევის სტრატეგიაში – "ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამაში" – ცალკე თავი მიუძღვნას ბავშვებს და პრიორიტეტი მიანიჭოს მათ საჭიროებებს. ამით უზრუნველყოფილი იქნება ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვების განვითარებას და დაიცავს მათ სიღარიბისგან. გარდა ამისა, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოს, რეგულარულად მოახდინოს ბავშვთა არსებული მდგომარეობის მონიტორინგი სიღარიბის მხრივ და სასწრაფო ზომები მიიღოს ყველა ნეგატიური მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად."

ამ რეკომენდაციების შესრულება ნამდვილად დადებით გავლენას იქონიებს სიღარიბის ზღვარზე მყოფი ბავშვების ყოფაზე და საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, თავიდან აიცილოს ზემოთ აღნიშნული რისკები.

ქუჩის ბავშვები

საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენებებში განხილული იყო ე.წ "ქუჩის ბავშვების" საკითხი. გამოიკვეთა ის მრავალი პრობლემა, რომელიც ამ ბავშვების ყოფას უკავშირდებოდა. გაკეთდა რეკომენდაციები და მითითებული იქნა ამ პრობლემური საკითხის გამომწვევი მიზეზები.

ჩვენი მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სოციალურად დაუცველი ბავშვების პრობლემათა უმეტესობა კვლავ გადაუჭრელი რჩება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო აღებულ ვალდებულებებს მეტნაკლებად მაინც ასრულებს.

აბსოლუტურად განსხვავებულია სახელმწიფოს დამოკიდებულება „ქუჩის ბავშვების“ მიმართ. „ქუჩის ბავშვების“ ცხოვრების წესიდან გამომდინარე, რთულია მათი ინსტიტუციებში განთავსება. მათ უმეტესობას ჰყავს მშობლები (ერთი მაინც), რომლებიც ხშირად თავად უბიძგებენ შვილებს მათხოვრობისა და დანაშაულისკენ. ეს ბავშვები პატარაობიდანვე სწავლობენ ქუჩაში ცხოვრებას, წვრილმანი ქურდობითა და მათხოვრობით აქვთ საკუთარი შემოსავალი. მათ აქვთ ერთგვარი „თავისუფლება“ და ვერ ეგუებიან საზოგადებაში მიღებული და დამკვიდრებული წესებით ცხოვრებას, არ ემორჩილებიან სოციალური კონტროლის ფორმებს.

აღნიშნული პრობლემა მეტად თვალსაჩინოა. მისი დაძლევა სერიოზულ ძალისხმევას საჭიროებს. სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამები არ ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებს აღნიშნული პრობლემის დასაძლევად. "ქუჩის ბავშვები" მოკლებული არიან იმ მინიმალურ საჭიროებებს, რომლებიც აღიარებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით. ხშირ შემთხვევაში არც საზოგადოება გამოირჩევა მათ მიმართ შემწყნარებლობით. ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს ბავშვები წვრილმანი დანაშაულისთვის წლების განმავლობაში იხდიან სასჯელს საპატიმრო დაწესებულებებში, როგორც დამნაშავეები. არავინ იძიებს დანაშაულის ჩადენის რეალურ მიზეზებს. პასუხისმგებელი სტრუქტურები არ რეაგირებენ, როდესაც ასეთი ბავშვები ჩვილობის ასაკიდან იძულებით მათხვრობენ, არ დადიან სკოლაში, არ ხდება მათი აღრიცხვა ბავშვთა პოლიკლინიკებში. შედეგებს კი სახელმწიფო არა პრევენციული, არამედ რეპრესიული ზომებით ებრძვის. უმწვავესია, აგრეთვე, ასეთ ბავშვებში გავრცელებული ტოქსიკომანიისა და პროსტიტუციის პრობლემაც.

ქუჩის ბავშვების უგულვებელყოფა როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან შეუძლებელს ხდის მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

2007 წლის 28 დეკემბერს სახალხო დამცველს დაუკავშირდა ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ პრეზიდენტი ნანა იაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ორგანიზაციის თანამშრომლები აპირებდნენ 14 მზრუნველობამოკლებული და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების ბავშვის კინოთეატრ რუსთაველში წაყვანას საბავშვო ანიმაციური ფილმის სანახავად. თანამშრომლებმა შეიძინეს საჭირო რაოდენობის ბილეთები, თუმცა კინოდარბაზში შესვლა ვერ მოახერხდა, რადგან კინოთეატრის ადმინისტრაციამ ამ ბავშვების დარბაზში შეშვებაზე უარი განაცხადა.

ადმინისტრაციის დაცვის თანამშრომელმა, შემდგომ კი თავად კინოთეატრის აღმასრულებელმა დირექტორმა, დავით ბეჟიტაშვილმა მიუთითა „ბავშვი და გარემოს“ თანამშრომლებს, ასეთ ბავშვებს კინოში ვერ შევუშვებთ, ისინი სხვებს შეაწუხებენო. დავით ბეჟიტაშვილმა კატეგორიულად მოსთხოვა პედაგოგებს კინოთეატრის ტერიტორიის დატოვება და განაცხადა, რომ კინოთეატრი მისი საკუთრებაა და ვისაც თვითონ მიიწვევს საჭიროდ, იმას შეუშვებს ფილმის ჩვენებაზე დასასწრებად.

სახალხო დამცველის და მისი აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომლების მისვლის შემდეგაც კინოთეატრის აღმასრულებელი კვლავ თავის პოზიციაზე რჩებოდა და ახსნა-განმარტების მიცემაზეც უარი განაცხადა. შედგა ოქმი და დაფიქსირდა დავით ბეჟიტაშვილის პოზიცია, რომ ამგვარი კატეგორიის ბავშვების შეშვება დაუშვებელია მათ კინოთეატრში, რომ ისინი არიან „სუნიანები, ბოშები, ისინი სხვა მაყურებლებს შეაწუხებენ“. დავით ბეჟიტაშვილმა დაამატა, კინოთეატრის ადმინისტრაცია წინასწარ რომ გაგეფრთხილებინათ, „ასეთი ბავშვებისათვის“ საგანგებო ჩვენებას მოვაწყობდით, რომელსაც სხვა მაყურებელი არ დაესწრებოდაო.

ზემოხსენებული ფაქტი წარმოადგენს დისკრიმინაციის კლასიკურ მაგალითს, რომელიც მიმართული იყო მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ. პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ეს ბავშვები უკიდურესი სიდუხჭირის გამო მოკლებული არიან ოჯახურ სითბოსა და ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, მათთვის კინოში წასვლა განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან ეს მათ ცხოვრებაში პირველად ხდებოდაო. ეს იყო დისკრიმინაცია ეთნიკური და სოციალური ნიშნით. ბავშვები კინოთეატრის ადმინისტრაციის მხრიდან აგრესიისა და ძალადობის მსხვერპლი გახდნენ.

აღნიშნული საქმე შესასწავლად გადაეცა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. გენერალურმა პროკურატურამ შეწყვიტა საქმეზე დაწყებული წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება ეყრდნობოდა იმას, რომ
1. კინოთეატრის გენერალური დირექტორის 2007 წლის 3 იანვრის ბრძანებით, მოწესრიგებული იქნა მომხმარებელთა უსაფრთხოების დაცვა კინოსეანსების დროს, მათთვის სათანადო კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, რისი უზრუნველყოფაც დაევალა კინოთეატრის დაცვის სამსახურს, აღნიშნული ბრძანების 1-ლი და მე-2 პუნქტები საზოგადოებისთვის გასაცნობად გამოიკრა კინოთეატრის სალაროებთან, კერძოდ, კინოთეატრში აიკრძალა ცეცხლსასროლი, ცივი და კანონით აკრძალული სხვა სახის იარაღის ქონა, ასევე იმ პირების შეშვება, რომლებიც იმყოფებიან ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ზემოქმედების ქვეშ, მათ შორის, იმ პირების, რომლებიც შეუსაბამოდ იქნებიან შემოსილები და შექმნიან არაკომფორტულ გარემოს. პროკურატურის მიერ დაკითხულმა მოწმეებმა აჩვენეს, რომ 2007 წლის 28 დეკემბერს კინოთეატრში ნამდვილად მივიდა ახალგაზრდა ქალბატონი, მან სალაროში შეიძინა დაახლოებით 15-მდე ბილეთი და შემოიყვანა ამავე რაოდენობის ბავშვი, ბავშვებს ეცვათ ჭუჭყიანი ტანსაცმელი, ასდიოდათ სუნი, ხმაურობდნენ, რითაც დისკომფორტი შეექმნა სეანსზე მისულ სხვა მაყურებელს. ამასთან, დაცვის თანამშრომლებმა მათში ამოიცნეს კინოთეატრ რუსთაველის

მიმდებარე ტერიტორიაზე მათხოვრობასა და წვრილმან ხულიგნობაში შემჩნეული ბავშვები.

2. გარდა აღნიშნულისა, პროკურატურის დადგენილებაში მითითებულია, რომ "ბავშვი და გარემოს" თანამშრომლებმა თავი მოუყარეს 18-მდე მიუსაფარ ე.წ. "ქუჩის ბავშვს" კინოთეატრ რუსთაველში კინოსეანსზე დასასწრებად, კინოთეატრის ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად, არაორგანიზებულად შეიძინეს ამავე რაოდენობის ბილეთები. ბავშვების კინოსეანსზე დასწრება წინასწარ არ იყო შეთანხმებული კინოთეატრის ადმნისტრაციასთან და არ ატარებდა ორგანიზებულ ხასიათს.

პროკურატურის დადგენილებაში არ არის ნახსენები ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – კინოთეატრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბავშვები სახალხო დამცველის რწმუნებულების თანდასწრებით მოიხსენია როგორც "ჭუჭყიანი ბოშები". აღნიშნულთან დაკავშირებით ადგილზე შედგა ოქმი, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის პროკურატურას გადაეცა. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დ.ბეჟიტაშვილი მზადაა, ამ ბავშვებისთვის უსასყიდლოდ გამოყოს ცალკე დარბაზი.

ეს შემთხვევა კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ბავშვები, რომლებიც სიდუხჭირისა და უგულვებელყოფის გამო, ცხოვრების დიდ ნაწილს ქუჩაში ატარებენ, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან განწირული არიან "ცალკე სეანსებისთვის", საბოლოოდ კი კარგავენ უფლებას, თავი სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ: "სახელმწიფომ უნდა დაამკვიდროს ქუჩის ბავშვებისთვის რაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის სამსახურები, ბავშვის უფლებათა კონვენციის 12-ე მუხლის შესაბამისად, მათი შეხედულებების გათვალისწინებით და უზრუნველყოს მათთვის ადექვატური კვება, საცხოვებელი, აუცილებელი სამედიცინო მომსახურება და განათლების შესაძლებლობები".

სექსუალური ძალადობა ბავშვების მიმართ

2007-2008 წლების განმავლობაში სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა განხილა 6 საქმე, რომელიც ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებს ეხებოდა. მუშაობის პერიოდში გამოიკვეთა ის სირთულეები, რომელიც ასეთ საქმეებს უკავშირდება.

უპირველეს პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის პროგრამების არ არსებობა. ყველაზე მეტად ასეთი ბავშვები საჭიროებენ დროულ ფსიქოლოგიურ დახმარებას. მეორე საკითხი, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს, შეეხება გამოძიების წარმათვისას მსხვერპლი ბავშვების დაკითხვის პრობლემას. სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ შესწავლილი განცხადებების ანალიზის შედეგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ

სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები არ ფლობენ შესაბამის უნარებს, რათა დაკითხვა წარმართონ ბავშვისათვის კეთილგანწყობილი ფორმით და სრული კონფიდენციალურობის დაცვით. ხშირ შემთხვევაში დაკითხვისას ფსიქოლოგის დასწრება ატარებს ფორმალურ ხასიათს, თუმცა ძირითადად ასეთ საგამოძიებო მოქმედებებს ფსიქოლოგებიც კი არ ესწრებიან. ბავშვს, რომლებმაც გადაიტანეს სექსუალური სახის ტრამვები ძალიან უჭირთ ღიად ისაუბრონ მოხდართან დაკავშირებით, ზოგჯერ შეიძლება მოხდეს რეალური ფაქტებისა და ფანტაზიის აღრევა. თუ საქმეში ჩაერთვება პროფესიონალი ფსიქოლოგი, რა თქმა უნდა, ის გააკეთებს კომპეტენტურ დასკვნებს და ისედაც ტრამვირებულ ბავშვს გაუადვილებს ისაუბროს მისთვის მტკივნეულ საკითხზე. ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ შესწავლილი საქმეებიდან ჩანს, რომ გამოძიება თითქმის ყველა შემთხვევაში ერთი მიმართულებით წარიმართა. ბავშვის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება სამართალდამცავების მიერ არასაწრმუნოდ ფასდებოდა. გამოძიების პროცესში, როდესაც დაზარალებული ბავშვი რამდენჯერმე ცვლის ჩვენებას, სპეციალისტების კონსულტაციის გარეშე გამომძიებელს უჭირს დაეყრდნოს ბავშვის ნალაპარაკებს და ფაქტის ობიექტური შეფასება მოახდინოს.

საანგარიშო პერიოდში ბავშვის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა საქმე, რომელიც 11 წლის ბიჭუნას – ა.დ-ს - მიმართ სექსუალურ ძალადობის შემთხვევას ეხებოდა. ა.დ. ნაწლავის გადმოვარდნით გადაყვანილ იქნა ლანჩხუთის რაიონულ საავადმყოფოში, მდგომარეობის სირთულის გამო მედპერსონალს გაუჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა ბავშვის მიმართ ადგილი ჰქონდა სექსუალურ ძალადობას და ინფორმაცია მიაწოდეს ადგილობრივ პოლიციას, რის შედეგადაც დაიწყო წინასწარი გამოძიება. ბავშვის მიერ მითითებული მოძალადე პოლიციამ დააკავა, როგორც გამოძიების მიერ მოწოდებული საქმის მასალებიდან ირკვევა, ეჭვმიტანილმა კ.მ-მ აღიარა, ის ფაქტი, რომ ის მართლაც აპირებდა 11 წლის ა.დ-სთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, ბავშვი შეიყვანა საყანე ფართობში არსებულ დამხმარე სათავსოში, მაგრამ მოსალოდნელი სასჯელის შიშით და იმის გამოც, რომ მას შეეცოდა ატირებული ა.დ., მან ხელი აიღო დანაშაულებრივ განზრახვაზე. სწორედ ამ მოტივით შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა ეჭვმიტანილის მიმართ. ბავშვმა კი გამოძიებას განსხვავებული ჩვენება მისცა, კერძოდ, დაზარალებულის დაკითხვის ოქმის თანახმად ბავშვი ყვება: ეჭვმიტანილმა "კ.მ-მ წამიყვანა ოქვე არსებულ ბოსელში, სადაც კ.მ-მ დამიჭირა და უკან ჩემთან დაამყარა უზრდელური კავშირი, რა დროსაც დავიწყე ყვირილი, მაგრამ კ.მ-მ მიყვირა, რომ გაჩუმდი თორემ მოგკლავო." (იხ. დანართი)

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ, საქმის შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ გამოძიებამ არ მოახდინა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა გენერალურ პროკურატურაში.

გენდერული თანასწორობის საკითხები

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი გულისხმობს გენდერული თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას. კერძოდ, ქალის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერების ხელშეწყობას, ქალთა უფლებების დაცვას ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების განვითარებისათვის.

საქართველოს მოსახლეობის 53%-ს ქალები შეადგენენ. მათ მნიშვნელოვან ნაწილს კარგი განათლება და პროფესიული მომზადება გააჩნია. როგორც ექსპერტები, ქალები აქტიურად არიან ჩართულნი ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში.

დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია – ხელისუფლებაში ადეკვატური წარმომადგენლობა. მოსახლეობის ყველა ფენას უფლება აქვს, ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი ქვეყნის ხელისუფლებაში, ამასთან, წარმომადგენელთა რაოდენობა შესაბამისობაში უნდა იყოს ჯგუფის რაოდენობასთან.

საქართველოში ქალები, ერთი მხრივ, იძულებულები არიან ეკონომიკურად და სოციალურად აქტიურები იყვნენ, რათა ოჯახები შეინარჩუნონ. მეორე მხრივ - მათ არ გააჩნიათ საშუალება, დააფიქსირონ საკუთარი ნება გადაწყვეტილების მიღების მაღალ დონეზე. არ ჰყავთ წარმომადგენლები ხელისუფლებაში, რომლებიც მათს ინტერესებს დაიცავენ. ასეთი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს სამართლიანობისა და დემოკრატიულ პრინციპებს.

არის სხვა მიზეზიც, თუ რატომ არის კარგი ქალის მოსვლა ხელისუფლებაში. ქალისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი აგრესიულობა და დომინირება, ამასთან, მას აქვს სოციალური და ფსიქოლოგიური ადაპტაციის კარგი უნარი. ქალი კარგად ახდენს ლავირებას, დგამს დიპლომატიურ ნაბიჯებს. ქალების მოსვლა ხელისუფლებაში - თავად ხელისუფლების ჰუმანიზაციას ნიშნავს. იმ ქვეყანაში, სადაც სოციალური საფრთხეებია, უკეთესია, წინ წამოიწიონ ქალებმა ისეთ დარგებში, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, სიციალური სფერო და ა.შ.

თუ ჩვენ მართვის დონეებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ქალები ძალიან ცოტანი არიან წარმოდგენილნი ხელისუფლებაში. მინისტრთა შორის მხოლოდ 3 ქალია, მინისტრის მოადგილე - 11, გუბერნატორი ქალი კი საერთოდ არ გვყავს.

ქალთა არაადეკვატურად დაბალი რაოდენობაა ასევე, ხელისუფლების უფრო დაბალ დონეზე. 2006 წლის არჩევნებით დაკომპლექტებული საკრებულოების 1750 წევრიდან მხოლოდ 195 ქალია, რაც სრული რაოდენობის 11%-ს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი მოწვევის პარლამენტის ვიცე-სპიკერად ქალი აირჩიეს, კომიტეტის თავმჯდომარე მხოლოდ ერთი ქალია, 3 - კი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა შემცირდა. თუ წინა მოწვევის პარლამენტში იყო 22 ქალი (9,4%), ახლა მხოლოდ 9 ქალია წარმოდგენილი, რაც პარლამენტართა რაოდენობის 6%–ს შედგენს. აქედან პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულია 8 ქალი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით - მხოლოდ ერთი.



პარტიების მიხედვით პროპორციული სიით ქალთა მიერ მოპოვებული მანდატები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის“ (5 მანდატი)
- საარჩევნო ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“ (2 მანდატი)
- „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“ (1 მანდატი)

რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, 57 მაჟორიტარი კანდიდატი ქალიდან მხოლოდ ერთმა ქალმა, ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილმა რუსუდან კერვალიშვილმა მოიპოვა გამარჯვება სამგორის მაჟორიტარულ ოლქში, რაც 1,7%-ს შეადგენს. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი ქალი კანდიდატების 98,3% არჩევნებში დამარცხდა.

ქალთა მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა

	პროპორციული	მაჟორიტარული	ჯამი
„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	0	0	0
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველო“	5	1	6
საარჩევნო ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები“	2	0	2
„გიორგი თარგამაძე - ქრიატიან-დემოკრატები“	1	0	1
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	0	0	0

საარჩევნო სისტემების მიხედვით, ქალებმა უფრო მეტ წარმატებას პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით მიაღწიეს, მათ 75 პროპორციული მანდატიდან 8 (10,66%) მოიპოვეს, ხოლო მაჟორიტარული სისტემით - 75 მანდატიდან ერთი (1,33%) მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 21 მაისს გამართული არჩევნების შედეგების მიხედვით, საქართველოს პარლამენტში ქალთა რაოდენობა 1995 წელს არსებულ ნიშნულს მიუახლოვდა.

ქალთა რაოდენობის დინამიკა საქართველოს პარლამენტში (%)



სამწუხაროდ, ქალთა რაოდენობა როგორც შეფარდებითი, ასევე აბსოლუტური რაოდენობით შემცირდა. წინა წლებთან შედარებით შემცირდა მაჟორიტარი ქალების ხვედრითი წილიც. აღსანიშნავია, რომ პროპორციული მანდატებისაგან განსხვავებით, მაჟორიტარული მანდატების საერთო რაოდენობა არ შეცვლილა.

ქალთა რაოდენობის დინამიკა საქართველოს პარლამენტში (საარჩევნო სისტემების მიხედვით)



რამ გამოიწვია ქალთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება? დღევანდელ ვითარებაში რთულია ვისაუბროთ ერთ კონკრეტულ მიზეზზე. საპარლამენტო სიებში ქალთა მწირი რაოდენობა სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული.

2008 წლის 21 მარტს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. კერძოდ, მანდატების საერთო რაოდენობის შემცირება, ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების არსებობა, პროპორციული საარჩევნო მანდატების ხვედრითი წილის შემცირება, 7%-იანი საარჩევნო ბარიერის 5%-მდე დაწევა. აღნიშნულ ცვლილებებს შესაძლოა, ქალთა რაოდენობის შემცირება

გამოეწვია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა საარჩევნო სისტემის შესწავლა და ინსტიტუციური ფაქტორების გამოვლენა, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა.

რა თქმა უნდა, პარლამენტში ქალთა რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია პარტიების მიერ მიღებული ხმებისა და, შესაბამისად, მოპოვებული მანდატების რაოდენობასთან. პარტიული სიებისა და მაჟორიტარ კანდიდატთა გენდერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალები არჩევნებზე მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი და შესაბამისად, მათი წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში შემცირდა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი მიზეზი ქვეყანაში არსებული მაღალი პოლიტიკური ტემპერატურა და პარლამენტში მანდატები შემცირებული რაოდენობაა. ყოველივე ეს აძლიერებს კონკურენციას. ქალები ამ კონკურენციაში, სამწუხაროდ, სუსტები აღმოჩნდნენ.

პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი პროპორციული და მაჟორიტარი კანდიდატების გენდერული ანალიზი ასეთ სურათს გვაძლევს.

საარჩევნო სიებში ქალთა მონაწილეობა:

კანდიდატები სულ	ქალი	ქალი %	კაცი	კაცი %
1757	485	28%	1272	72%



საარჩევნო სიებში პარტიების რიგითობა ქალთა მაღალი მონაწილეობის მიხედვით (%-ლი) შემდეგნაირად გამოიყურება:

1. საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“ – 49%
2. ბლოკი „ტრადიციონალისტები - ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია (ქდა)“ – 42%
3. „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები“ – 35%
4. „რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია“ – 30%
   პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“ – 30%
5. „შალვა ნათელაშვილი -საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 27%
   პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“ – 27%
6. ბლოკი „მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე- მრეწველები (მ.გ.ს.,ერთობა,ედპ)“ – 24%
   პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი“ – 24%
7. საქართველოს რესპუბლიკური პარტია – 21%
8. ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“ –16%
9. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის“ – 9%

პირველ ხუთეულში კანდიდატი ქალები მხოლოდ შემდეგ საარჩევნო სუბიექტებს ჰყავთ: ბლოკი „ტრადიციონალისტები - ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია (ქდა)“ (1), საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“ (2), „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები“ (1). აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სიაში პირველ ნომრად არცერთი ქალი არ იყო წარდგენილი.

პირველ ათეულში 12-ვე საარჩევნო სუბიექტს ერთად 13 ქალი ჰყავს წარმოდგენილი, ანუ კანდიდატთა 10,8%. ქალი კანდიდატი არ ჰყავს: საარჩევნო ბლოკს “მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრეწველები (მ.გ.ს. ერთობა, ედპ) და პოლიტიკურ გაერთიანებას “საქართველოს სპორტსმენთა კავშირს.”

პირველ ოცეულში 12-ვე საარჩევნო სუბიექტს კი ერთად 33 ქალი კანდიდატი – რაც კანდიდატთა 13,7% წარმოადგენს.

პარტიულ სიებში 50 კანდიდატში წარდგენილი ქალების რაოდენობა

#	საარჩევნო სუბიექტები	რიგითობა სიებში									
		1-5	5-10	10-15	15-20	20-25	25-30	30-35	35-40	40-45	45-50
1	„ქართული პოლიტიკა“	0	1	0	0	0	1	2	1	1	2
2	რესპუბლიკური პარტია	0	1	0	0	2	3	2	0	2	3
3	„მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრეწველები“	0	0	1	3	1	1	2	2	0	0
4	ლეიბორისტული პარტია	0	1	1	1	1	0	1	0	0	0
5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	1	1	1	1	0	0	0	0	1
6	„საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“	0	0	0	1	4	1	1	1	2	0
7	„გაერთიანებული ოპოზიცია, მემარჯვენეები“	0	1	1	1	1	2	1	0	0	2
8	„რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია“	0	1	1	1	0	1	2	2	2	2
9	ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი (ქდა)“	0	1	2	1	1	0	0	0	1	2
10	„გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები“	1	0	0	0	1	2	1	1	2	1
11	ტრადიციონალისტები - ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“	1	1	1	1	2	0	3	1	0	2
12	„ჩვენი ქვეყანა“	2	1	1	1	3	2	0	0	3	3

მაჟორიტარულ ოლქებში რეგისტრირებული 464 კანდიდატიდან, ქალი 57-ია, რაც 12,3% შეადგენს. ყველაზე მეტი მაჟორიტარი ქალი კანდიდატი ჰყავდა საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას - 13. საარჩევნო ბლოკს „ტრადიციონალისტები-ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“–ს და „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტულ პარტია“–ს – 11-11. პარტიას „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-

დემოკრატები“ რეგისტრირებული ჰყავდა 6 მაჟორიტარი ქალი კანდიდატი, პოლიტიკურ გაერთიანებას „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი (ქდა)“ -5, ხოლო საარჩევნო ბლოკს „გაერთიანებული ოპოზიცია, მემარჯვენეები“ და პარტიას „ჩვენი ქვეყანა“ – 4-4. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას „ქართული პოლიტიკა“ და „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალურ პარტიას“ მხოლოდ თითო ქალი კანდიდატი ჰყავდა წარდგენილი.

75 მაჟორიტარული ოლქიდან 33-ში (ანუ 44%) არ არის რეგისტრირებული ქალი კანდიდატი. მაჟორიტარი ქალი კანდიდატი არ ჰყავთ: საარჩევნო ბლოკ „მემარჯვენე ალიანსს“, თოფაძე-მრეწველებს (მ.გ.ს. ერთობა, ედპ) და პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენთა კავშირს“.

საქართველოს მასშტაბით მაჟორიტარ კანდიდატ ქალთა და კაცთა თანაფარდობა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში:

ოლქი	მაჟორიტარი კანდიდატი	ქალი	ქალი %	კაცი	კაცი%
42	278	57	20,5%	221	79,5%
33 ოლქი	186	0	0%	186	100%
75 ოლქი სულ	464	57	12,3%	407	87,7%

მაჟორიტარი კანდიდატი ქალების მონაწილეობა:



ზემოთ მოცემული მონაცემები ცხადყოფს, რომ პარტიულ სიებში ძველებურად ძალზე მწირია ქალთა წარმომადგენლობა. ისინი, ფაქტობრივად, არც გვხვდება კანდიდატთა პირველ ათეულებში.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქალები, ძველებურად, არ არიან ისე ძლიერნი, რომ გავლენას ახდენდნენ პარტიის პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე. პოლიტიკური პარტიების მმართველ ორგანოებში ქალების რაოდენობა მხოლოდ 9%-ს შეადგენს. რაც მეტყველებს პარტიების მხრიდან ქალთა პოტენციალის იგნორირებასა და მამაკაცური უალტერნატივო პოლიტიკის დემონსტრირებაზე.

საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციის სრული შემადგენლობის გაცნობისას, ჩვენი ყურადღება მიიპყრო წევრთა განაწილებამ სქესის ნიშნით. აღმოჩნდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის 998 (საოლქო კომისიები - 975, ცსკო -13, უსკო - 10) წევრიდან 579 (ანუ 58,01%) კაცია, ხოლო 419 (ანუ 41,98 %) ქალი. მათ შორის ცსკ-ოს 13 წევრიდან მხოლოდ 1 ქალია, ხოლო უსკო-ს 10 წევრიდან 7 კაცია და 3 ქალი.



ასეთი განაწილება, ერთი შეხედვით, საზოგადოებაში ქალისა და კაცის სოციალური სტატუსის თანასწორობაზე მიუთითებს. თუმცა, გენდერული ანალიზის შედეგად გენდერული სტერეოტიპი გამოვლინდა, რომლის მიხედვით, მაღალი გადაწყვეტილების მიმღების სტატუსი კაცს ეკუთვნის, ხოლო დაბალი შემსრულებლის სტატუსი – ქალს.

საარჩევნო ოლქების სტატუსების სტრუქტურის (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) გაანალიზებამ გამოავლინა, რომ 75 საოლქო კომისიის თავმჯდომარიდან 59 (ანუ 78,66 %) კაცია, ხოლო 16 (ანუ 21,33 %) ქალი.

გენდერული თვალსაზრისით, ასევე საინტერესო აღმოჩნდა თავმჯდომარეების მოადგილეებისა და მდივნების თანაფარდობა სქესის ნიშნის მიხედვით. 75 საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილიდან 58 (ანუ 77.33 %) კაცია , ხოლო 17 (ანუ 22,66 %) - ქალი.

ქართულ საზოგადოებაში „მდივანი", როგორც სტატუსის ამსახველი სიტყვა, უფრო ქალს მიეწერება, ვიდრე კაცს. ეს გენდერული სტერეოტიპი მკაფიოდ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის მდივნების გენდერული ანალიზისას. აღმოჩნდა, რომ კომისიის მდივნებს შორის 51 (ანუ 68 %) ქალია, ხოლო 24 (ანუ 32 %) - კაცი.



78,66% 21,33% 77,63% 22,37% 32%
68%

თბილისის საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციაში:
თავმჯდომარე: ქალი - 0; კაცი - 10;
თავმჯდომარის მოადგილე: ქალი - 1; კაცი - 9;
მდივანი: ქალი - 10; კაცი - 0.
რეგიონების საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციაში:
თავმჯდომარე: ქალი - 16; კაცი - 49;
თავმჯდომარის მოადგილე: ქალი - 16; კაცი - 49;
მდივანი: ქალი - 41; კაცი - 24.



საუბნო კომისიებში კი წევრების 62%-ს ქალები წარმოადგენენ და გენდერული ბალანსი ქალთა სასარგებლოდ არის დარღვეული



ცენტრალურ საარჩევნო კომისიის აპარატში ქალები 56% შეადგენენ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციების წევრთა განაწილება სქესის ნიშნით ასიმეტრიულია და გენდერული სტერეოტიპების მდგომარეობამ (კაცი - მაღალი სტატუსი/გადაწყვეტილების მიმღები), ქალი - დაბალი სტატუსი/ შემსრულებელი) უშუალო ზეგავლენა მოახდინა სტატუსების განაწილებაზე საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციაში.

რეკომენდაციები:

- მთავრობის მიერ ღრმა ანალიზის საფუძველზე საარჩევნო კანონმდებლობა მოყვანილ იქნას ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში.

- პოლიტიკურ პარტიებში ჩამოყალიბდეს ქალ კანდიდატთა შერჩევის გარკვეული პროცედურა, რაც არჩევნებში მონაწილე ქალ და კაც კანდიდატთა დაბალანსებულ მონაწილეობას უზრუნველყოფს.

ძალადობა ოჯახში

ოჯახში ძალადობის პრობლემა ერთ-ერთ მწვავე და აქტუალურ პრობლემად რჩება საქართველოში. ამასთან, ცნობილია, რომ ძალადობის ვექტორული მიმართულება არ არის გენდერულად ნეიტრალური, ვინაიდან სხვადასხვა ფორმის ძალადობრივი ქმედების ერთ-ერთ ყველაზე ხშირ ობიექტს ქალი წარმოადგენს.

2006 წელს მიღებული კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ და 2007 წლის 30 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა აღმოჩნდა არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად. აუცილებელია მთავრობის მხრიდან ქმედითი ღონისძიებების ჩატარება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის #183/ნ ბრძანებით დამტკიცდა “ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანადარტების განსაზღვრის შესახებ” დოკუმენტი, ამასთან მომზადდა შესაბამისი ცვლილებები რათა მომხდარიყო თავშესაფრის შექმნისათვის შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფა, მაგრამ აგვისტოს მოვლენების შემდგომ აღნიშნული საკითხი დროებით გადაიდო.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2007 წლის 9 თებერვალს #43/ო ბრძანებით შექმნილი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მიერ ჯერ კიდევ 2007 წლის გაზაფხულზე მომზადდა სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმებისა და შესაბამისი სოციალური მუშაკის მომზადების კონცეფცია. კონცეფცია ითვალისწინებს სოციალური მუშაკის ინსტიტუტის ფორმირებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებას. კერძოდ, სოციალური სამსახურის სტატუსის განსაზღვრას, აღნიშნული სამსახურის შექმნისათვის აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების ჩატარებას, მონაცემთა ბაზის შექმნას, ოჯახური დავების მიზეზების შესწავლას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების პოლიტიკის შემუშავებას და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, კონცეფცია დღემდე არ არის მიღებული.

დღემდე არ არის შესრულებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია (2007 წლის I და II ნახევრის საპარლამენტო მოხსენებები) და არ არის შესული ცვლილებები „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და მისგან გამომდინარე რიგ

საკანონმდებლო აქტში, რომელიც შემაკავებელი ორდერის შეუსრულებლობისთვის გაითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები ხელს უშლის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების ზედამხედველობას გულისხმობს.

აუცილებელია კონტროლის დაწესება სამოქმედო გეგმის შესრულებაზე, ღრმა ანალიზის საფუძველზე პრობლემების გამოვლენა და ამ პრობლემების გადასაჭრელად რეკომენდაციების შემუშავება. ამასთან, აუცილებელია სამოქმედო გეგმის გადამუშავება მისი სრულყოფის მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის 26 სექტემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით (#211) შეიქმნა საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისია, რაც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. დადგენილების თანახმად, კომისია ვალდებულია უზრუნველყოს: „გენდერულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხების (როგორიცაა ტრეფიკინგი და ოჯახური ძალადობა) განხილვა, არსებული მდგომარეობის შესწავლა, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და აღნიშნულ სფეროში მთავრობის მიერ განხორციელებული სამოქმედო გეგმების მონიტორინგი.“

ამავე დადგენილებით საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისიის ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს რეფორმების კოორდინაციის საკითხებში ბატონ კახა ბენდუქიძეს. ამასთან, 2008 წლის ივლისში სახალხო დამცველმა მიმართა სახელმწიფო მინისტრს და მოითხოვა ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ. დღემდე პასუხი არ არის მიღებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კოორდინაცია ან სუსტია, ან საერთოდ არ არსებობს, რაც საქართველოს მთავრობის დადგენილების შეუსრულებლობას იწვევს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლის პირველ ნახევარში თბილისში და სხვა რეგიონებში გამოცემული შემაკავებელი ორდერების სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

საქართველო – 87

ასაკი	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	9	78	81	6
< 16	0	2	0	0
16 – 24	1	5	6	1
25 – 44	4	50	53	2
> 44	4	21	22	3

თბილისი – 62

ასაკი	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	6	**56**	**58**	**4**
< 16	0	1	0	0
16 – 24	1	4	4	0
25 – 44	3	33	37	2
> 44	2	18	17	2

აჭარა – 10

ასაკი	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	2	**8**	**8**	**2**
< 16	0	0	1	1
16 – 24	0	4	4	0
25 – 44	1	7	6	0
> 44	1	0	1	1

იმერეთი – 3

ასაკი	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	0	**3**	**3**	**0**
< 16	0	0	0	0
16 – 24	0	0	1	0
25 – 44	0	3	1	0
> 44	0	0	1	0

სამეგრელო–ზემო სვანეთი – 1

ასაკი	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	0	**1**	**1**	**0**
< 16	0	0	0	0
16 – 24	0	1	0	0
25 – 44	0	0	1	0
> 44	0	0	0	0

სამცხე–ჯავახეთი – 1

ასაკი	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	0	**1**	**1**	**0**
< 16	0	0	0	0
16 – 24	0	0	0	0
25 – 44	0	0	1	0
> 44	0	1	0	0

ქვემო ქართლი – 9

ასაკი	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	1	**8**	**9**	**0**
< 16	0	0	0	0
16 – 24	0	0	0	0
25 – 44	0	6	6	0
> 44	1	2	3	0

შიდა ქართლი – 1

ასაკი	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	0	**1**	**1**	**0**
< 16	0	0	0	0
16 – 24	0	0	0	0
25 – 44	0	1	1	0
> 44	0	0	0	0

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 01.01.08 – 30.06.08 განხილულია ოჯახური ძალადობის კატეგორიის 17 საქმე. მათ შორის 1 დაბრუნდა მიებაში, ხოლო 16 საქმეზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი. ბრალდებულებიდან 16 კაცია, ხოლო 1 ქალი.

ზემოაღნიშნული საქმეების შესწავლამ აჩვენა, რომ მათი უმრავლესობა მეუღლის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ვერბალურ ძალადობას შეიცავს კაცის მხრიდან. რაც შეეხება საქმეს, რომელშიც ბრალდებულია ქალი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა განზრახ მკვლელობას ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. კერძოდ, ბრალდებულმა მოკლა მამამისი, რომელიც წლების მანძილზე აიძულებდა შვილს დაემყარებინა მასთან სექსუალური კავშირი.

ერთობლივი პროექტი

2008 წლის გაზაფხულზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა საკონსულტაციო ცენტრი "სახლის" მიერ და შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა ერთობლივი პროექტი. პროექტის მიზანი იყო „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება. ტრენინგები ჩატარდა კახეთის რეგიონის 8 რაიონსა და მიმდებარე სოფლების საგანმანათლებლო სკოლებში.

შეხვედრებზე მიმდინარეობდა ფილმის ჩვენება, რომელიც შექმნილია ქალთა საკონსულტაციო ცენტრის "სახლის" მიერ და წარმოადგენს სასწავლო-სატრენინგო ფილმს. ოჯახური ძალადობის საკითხზე სწორი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად გამოიკითხნენ რეგიონის მასწავლებლები და უფროსკლასელები. შეიქმნა ორი სახის კითხვარი- მასწავლებელთათვის და მოწაფეებისათვის.

მასწავლებლებისთვის განკუთვნილ კითხვარში აქცენტი გაკეთდა შემდეგ თემებზე:

- ფლობენ თუ არა მასწავლებლები ინფორმაციებს თავიანთი მოწაფეების ოჯახური მდგომარეობების შესახებ;
- რა გზებით მოიპოვებენ ამგვარ ინფორმაციას;
- რა ზომებს მიმართავენ;
- აქვს თუ არა ადგილი მოწაფეთა წახალისებას ოჯახური ძალადობის გამოვლენის შემთხვევებში.

მოწაფეებისათვის შექმნილი კითხვარი კი შემდეგ საკითხებს ეხებოდა:

- სმენიათ თუ არა მათ ოჯახური ძალადობის შესახებ;
- ქცევის რა ფორმები მიაჩნიათ ძალადობად;
- მათი აზრით, რა სფეროზე უფრო მოქმედებს ძალადობა ოჯახში;
- რა სახის დახმარებას ისურვებდნენ ბავშვები ოჯახური ძალადობის შემთხვევებში.

მიღებული შედეგები ზოგადი დებულებების სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- ოჯახური ძალადობის რაობასა და არსებულ საკანონმდებლო საკითხზე გათვითცნობიერების ხარისხი ძალზედ დაბალია;
- ოჯახური ძალადობის შემთხვევებში დამხმარედ არ აღიქმება არც ახლობელი, არც ნათესავი და არც პატრული, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიაჩნიათ პატრულის გამოძახება აუცილებლად;
- ძირითადად აღიარებულია შემდეგი სახის პრობლემები: ბავშვები ხშირად ვერ დადიან სკოლებში ტანსაცმლის უქონლობის გამო; არ დადიან სკოლაში მოსავლის აღების დროს მუშახელად გამოყენების გამო; აღინიშნება რელიგიური სახის პრობლემები;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია:

- ხანგრძლივი ეფექტის მოსახდენად ერთ რომელიმე რაიონულ ცენტრში სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან (მასწავლებლები, მშობლები,

პოლიციელები, ჟურნალისტები, სოციალური მუშაკები, მედიცინის მუშაკები) სპეციალური ტრეინინგების ჩატარება ოჯახური ძალადობისა და მასზე რეაგირების შესახებ;

- საზოგადოებრივი აზრის – "ოჯახური ძალადობა - როგორც დანაშაულის" ჩამოყალიბებისა და დანაშაულის აღკვეთისას პოლიციისა და პატრულის მნიშვნელოვნების აღიარების მიზნით მოსახლეობაში საინფორმაციო კამპანიის ჩატარება.

ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში

2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს უშუალო კოორდინაციით 2008 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ა) მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების აქტიური კამპანია, რაც მოიცავდა შეხვედრებს როგორც დედაქალაქში (სახალხო დამცველის ოფისში ჩატარებული შეხვედრები რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან, სტუდენტებთან, ჟურნალისტებთან, მასწავლებლებთან), ისე რეგიონებში, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი);

ბ) ეფექტური პროფესიული მომზადებისა და განვითარების კამპანია, რაც ტრადიციულ სამიზნე ჯგუფებთან (პროკურატურის, პოლიციის, მოსამართლეთა კორპუსისა და საკონსულო სამსახურის წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, დამსაქმებლები) ერთად მოიცავდა "ახალ" ჯგუფს – სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც საქართველოს ფარგლებს გარეთ სამშვიდობო მისიებში (ერაყი) მონაწილეობის მიღება უხდებათ;

გ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან თანამშრომლობით მომზადდა მოკლე საინფორმაციო რგოლი საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც დასჯადად აცხადებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობას;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია ამუშავდა სრული დატვირთვით;

ე) 2008 წლის იანვრის თვეში საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ხელახლა იქნა გაშვებული 2007 წელს მომზადებული ვიდეო რგოლი, რომლის მიზანი იყო ტრეფიკინგის საფრთხესთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირება;

ვ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაბრუნების პროცესის მექანიზმი დაიხვეწა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით;

ზ) საქართველოს გამოცდილება გაიზიარეს ისეთმა ქვეყნებმა როგორებიცაა უკრაინა, ყაზახეთი და თურქეთი, აღნიშნული ქვეყნების მიერ დაინტერესების გამოვლენისა და ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე;

თ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, გადაიდგა ნაბიჯები თურქეთის შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობისკენ.

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა რიცხვის გაზრდის გამო, მომზადდა საგარეო საქმეთა მინისტრის ახალი ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე პირთა განსაზღვრის შესახებ“. აღნიშნული ბრძანების მიხედვით საზღვარგარეთ საქართველოს ყველა დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში საქართველოს კონსულებს ან/და კონსულის მოვალეობების შემსრულებლებს დაევალებათ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრძოლის წინააღმდეგ საკითხებზე მუშაობა. რაც, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიზნით, მომზადდა კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტი ბავშვთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებთან დაკავშირებით.

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული იქნა შემდეგი კანონპროექტები:

- ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში;
- რამდენიმე ცვლილება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონში, მათ შორის სპეციალური თავი ბავშვთა ტრეფიკინგთან დაკავშირებით.

ეროვნული რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული თანამშრომლობის სრულყოფის მიზნით, საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდში ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მიეცა 3 პირს.

ასევე, რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული თანამშრომლობის საფუძველზე, ფონდში შემოსული ინფორმაციის მიხედვით, ინტერვიუ მზადდება 11 პირთან.

გარდა ამისა, რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული საინტეგრაციო და სარეაბილიტაციო გეგმა ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდა 1 მსხვერპლის მიმართ, ამჟამად განხორციელების სტადიაშია 4 მსხვერპლის მიმართ.

პერიოდულად მიმდინარეობს თავშესაფრის მონიტორინგი. გასული წლის განმავლობაში ფონდის თავშესაფრებით ისარგებლა 15 ადამიანმა, აქედან 3 ბავშვი. 3 მსხვერპლი დაბრუნებული იქნა წარმოშობის ქვეყანაში. ფონდის თავშესაფრებში ამჟამად იმყოფება 6 ადამიანი: 4 დაზარალებული, 2 ბავშვი.

რაც შეეხება რეინტეგრაციის პროგრამებს, საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული საინტეგრაციო და სარეაბილიტაციო სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით, ფონდის ინიციატივით რეგულარულად იმართება შეხვედრა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სერვისების და მსხვერპლთან საინტეგრაციო სტრატეგიების უფრო მეტად სრულყოფის მიზნით. საინტეგრაციო და სარეაბილიტაციო გეგმა ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდა 2 მსხვერპლის მიმართ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპენსაცია გაიცა 3 პირზე. ამჟამად მზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია რამდენიმე პირზე კომპენსაციის გაცემის მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლის 6 თვის მონაცემებით სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლით - „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)" - წინასწარი გამოძიება დაწყებულია 7 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლის სამართლის დევნა დაწყებულია 3 პიროვნების მიმართ.

2008 წლის ბოლოს იწურება 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადა. 2008 წლის ბოლომდე დაგეგმილია ახალი ორწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა კოორდინაციისათვის. 2008 წლის მაისის ბოლოს საკოორდინაციო საბჭოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით შედგა პირველი ფართომასშტაბიანი შეხვედრა, სადაც მონაწილეობა მიიღო ტრეფიკინგის სფეროში მომუშავე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო სპექტრმა. შეხვედრის მიზანი იყო 2008 წლის მეორე ნახევარში სამოქმედო გეგმის შესრულების პრიორიტეტების დასახვა.

უზბეკეთის მოქალაქის დ. ნ–ს საქმე

2008 წლის 26 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (#0658-08) მიმართა უზბეკეთის მოქალაქე დ. ნ.- მ. მისი განმარტებით, ქ. ანდიჟანში ყოფნის დროს ოჯახის ახლობელმა, ვინმე ჯამილამ შესთავაზა საქართველოში მაღალ ანაზღაურებადი სამსახური. თბილისის აეროპორტში მას დახვდა ვინმე მუსა (როგორც შემდგომში გაირკვა, ქ.ხოფაში მდებარე სასტუმროს „ილდიზ" დირექტორი). მათ დ. ნ. მოტყუებით, ყირგიზეთის მოქალაქის ყალბი პასპორტით გადაიყვანეს თურქეთში და სასტუმროში აიძულებდნენ დაკავებულიყო პროსტიტუციით. როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, მას ჩამოართვეს როგორც, ნამდვილი, ასევე ყირგიზეთის მოქალაქის ყალბი პასპორტი, მუდმივად აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, აიძულებდნენ კლიენტისგან მიღებული თანხის ჩაბარებას. დაახლოებით 6 თვის შემდეგ მან შეძლო გაქცევა ქ.ტრაპიზონში, სადაც თავი მეგობართან შეაფარა. დ.ნ. 2 თვის შემდეგ პოლიციამ დააკავა. იგი ტელეფონით დაუკავშირდა ჯამილას და დაკავების შესახებ აცნობა. ჯამილამ ავტობუსით გაუგზავნა მას კუთვნილი უზბეკეთის პასპორტი, რომელშიც არ იყო შტამპი საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესახებ. აღნიშნული გარემოება 2007 წლის 21 თებერვალს დ. ნ.-ს საქართველოში დაკავების საფუძველი გახდა.

2007 წლის 9 ივნისს, ადიგენის რაიონულმა სასამართლომ დ. ნ. დამნაშავედ ცნო და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. აქედან, თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, ხოლო დანარჩენი 1 წელი პირობითი, ორი წლის გამოსაცდელი ვადით.

2007 წლის 15 დეკემბერს ადიგენის რაიონულმა სასამართლომ 2007 წლის 29 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მსჯავრდებულ დ. ნ.-ს შეფარდებული სასჯელის ნახევარი 1 წელი გაუნახევრა, ხოლო პირობითი ორი წლის გამოსაცდელი ვადა დატოვა უცვლელად.

2008 წლის 17 იანვარს დ. ნ.-მ დატოვა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება. მან უნდა მოიხადოს პირობითი 1 წელი უცხო ქვეყანაში, სადაც არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი და საარსებო სახსრები. აღსანიშნავია ისიც, რომ დ. ნ.-მ გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობის მზად ყოფნა გამოთქვა.

საქართველოს სახალხო დამცველმა დახმარებისთვის მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და საკოორდინაციო საბჭოსთან არსებულ მუდმივმოქმედ ჯგუფს.

2008 წლის 21 მარტს საკოორდინაციო საბჭოსთან არსებულმა მუდმივმოქმედმა ჯგუფმა დ. ნ.-ს ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მიანიჭა.

სამწუხაროდ, დღემდე მსხვერპლი არ დაბრუნებულა უზბეკეთში, რადგან მას პირობითი მსჯავრი არ მოეხსნა.

ევროპის საბჭოს კონვენციის „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 26–ე მუხლის შესაბამისად:

„თითოეული მონაწილე თავისი სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლთ არ დაეკისროს სასჯელები კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში მონაწილეობის გამო, იმ შემთხვევაში თუ ისინი იძულებულნი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ.“

სწორედ ასეთ უზრუნველყოფას წარმოადგენს საქართველოს კანონის „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ მე–15 მუხლი, რომლის 1 პუნქტის თანახმად: „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული თავისუფლდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე და 362-ე მუხლებითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^3 და 185-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედებებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. მას აგრეთვე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობისათვის, თუ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო.“

ამავე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად:„ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები ვრცელდება ისეთ სამართალდარღვევებზე, რომლებიც პირის მიერ ჩადენილი იყო

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის სტატუსის მოპოვებამდე.“

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ტრეფიკინგის მსხვერპლს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, არის შემთხვევები, როდესაც პირს მსხვერპლად აღიარებამდე მაინც აძლევენ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. მსხვერპლად აღიარების შემდეგ კი იგი გენერალურ პროკურატურას ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართავს.

მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ ასეთი ტიპის საქმეებს სადაც პირები სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულნი არიან სსკ 341–ე და 362–ე მუხლებით. მათ უნდა გამოარკვიონ ხომ არ აქვთ საქმე ტრეფიკინგის მსხვერპლთან, ხოლო ტრეფიკინგის ნიშნების (რომელიც შეიძლება არ იყოს საკმარისი ტრეფიკინგის მუხლით გამოძიების დასაწყებად) გამოვლენის შემთხვევაში მასალებს აწვდიდნენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილ მუდმივმოქმედ ჯგუფს. ეს უნდა ხდებოდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი იყენებს დუმილის უფლებას და არ თანამშრომლობს გამოძიებასთან.

ადამიანის უფლებები და ფსიქიკური ჯანმრთელობა

შესავალი

ფსიქიკური აშლილობები ხასიათდება ყველაზე მაღალი პრევალენტობით და ყველაზე მეტად იწვევს შესაძლებლობების შეზღუდვას სხვა დაავადებათა შორის (www.wfmh.org) – ეს ნიშნავს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა ყველას აინტერესებს.

მოხსენების ეს ნაწილი ეყრდნობა სახალხო დამცველთან არსებული ადამიანის უფლებათა საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს (შემდგომში "მონიტორინგის საბჭო") მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. საბჭო სახალხო დამცველის ინიციატივით 2006 წლის იანვარში შეიქმნა, რასაც მოჰყვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მემორანდუმის გაფორმება.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული მონიტორინგის საბჭო რეგულარულად ამოწმებს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ხანდაზმულთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებში. შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ამზადებს ანგარიშებს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას აღნიშნულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს შემადგენლობაში არიან შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

» გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი;
» საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია;
» ადამიანის უფლებათა ცენტრი;
» წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი;
» ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
» საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია "ნდობა";
» კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ნდობას რომ საჭიროებენ;
» ორგანიზაცია "ანტი სტიგმა";

მონიტორინგის პროცესი ფინანსდება საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო"–ს და სხვა დონორების მიერ.

2008 წელს სახალხო დამცველის ოფისმა განახორციელა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო"–ს მიერ დაფინანსებული პროექტი „ადამიანის უფლებები ფსიქიატრიული მომსახურების პროცესში – საზოგადოებაში დაბრუნება".

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა

2006 წლიდან დღემდე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა დინამიურად უმჯობესდებოდა, რაც სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენებებშიც არის აღნიშნული. გაუმჯობესება მეტწილად საყოფაცხოვრებო, და მოვლის პირობებს შეეხო.

პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად სახალხო დამცველის და მონიტორინგის საბჭოს ყურადღება კვლავაც ეთმობა 2006 წელს მონიტორინგის დაწყების მთავარ მიზანს - ფსიქიატრიული მომსახურების ჰუმანიზაციას, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა "რეზერვაციის" პრაქტიკის გაუქმებას, რეზიდენციულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების პრევენციას.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირს უფლება აქვს პირველივე შესაძლებლობისას დაუბრუნდეს საზოგადოებას.

<u>დამამცირებელი, არაადამიანური და სასტიკი მოპყრობა</u>

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 2008 წლის პირველ ნახევარში მონიტორინგის ჯგუფმა კვლავ აღმოაჩინა არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის ფაქტები:

მონიტორინგის ჯგუფი 2008 წლის პირველ ნახევარში იმყოფებოდა ქ.თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც დათვალიერების დროს აღმოაჩინა ფეხით მძიმე მერხზე მიბმული პაციენტი, სხვა პაციენტების და პაციენტთა ახლობლების განცხადებით იგი ამ მდგომარეობაში დღეების განმავლობაში იმყოფებოდა.

ამავე საავადმყოფოში მონიტორინგის მსვლელობისას ერთ-ერთ პალატაში აღმოჩენილ იქნა ოთხივე კიდურით საწოლზე მიბმული პაციენტი, რომელსაც აგრესიის მოგერიების მიზნით "შუადღის" სავარაუდო გამწვავების წინ ერთი საათით ადრე აბამდნენ ხოლმე საწოლზე.

2008 წლის პირველ ნახევარში ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მონიტორინგის ჩატარებისას არაერთი პაციენტისგან მივიღეთ საჩივრები, რომ დაწესებულების პერიმეტრის დაცვის სამსახურის თანამშრომლების მხრიდან პაციენტთა მიმართ დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოსა და ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში კვლავ გრძელდება პაციენტების შრომის გამოყენება ტუალეტების, სააბაზანოების დასასუფთავებლად, დაუძლურებული პაციენტების მოსავლელად. პაციენტთა თქმით, ექთნები და სანიტრები მათ იყენებენ აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად.

მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მონიტორინგის ჩატარებისას ჯგუფმა დააფიქსირა დერეფანში და პალატებში

დაბინძურებულ თეთრეულში თუ უთეთრეულოდ, სველ ლეიბებში მწოლიარე პაციენტები. დაწესებულების თანამშრომლების განმარტებით ფინანსური სირთულეების გამო ვერ ხერხდება რემონტის ჩატარება და ინვენტარის შეძენა.

ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოში ადგილი ჰქონდა პაციენტების მიმართ გადაჭარბებული დოზებით ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოყენებას (მომვლელების ნაკლებობის კომპენსირების მიზნით). სამედიცინო პერსონალის განმარტებით მომვლელების ნაკლებობა ბევრ სირთულეს უქმნის დაწესებულებას, მათ შორის ვერ ხერხდება აგზნებული პაციენტების სათანადო მოვლა.

ეს ფაქტები საკმარისია იმის მტკიცებისთვის, რომ დიდ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები არამყარია და მიუხედავად ადმინისტრაციების მცდელობისა, აღმოფხვრას ასეთი დარღვევების პრაქტიკა, ერთეულ შემთხვევებს მაინც აქვს ადგილი. შესაძლოა ეს შემთხვევები სტატისტიკისთვის ერთეულია, მაგრამ პაციენტებისთვის უკიდურესად დამამცირებელია.

<u>საყოფაცხოვრებო პირობები</u>

ოთხ დაწესებულებას - ქ.თბილისის ა.ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს (ნაწილობრივ), ბათუმის რესპუბლიკურ ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოს და სურამის ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოს უკვე ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. ამ დაწესებულებებში განყოფილებები, პაციენტთა პალატები, სან-ჰიგიენური კვანძები, სასადილოები, სამედიცინო პერსონალის სამუშაო ოთახები და დერეფნები შეესაბამება მინიმალურ სტანდარტებს.

დღემდე მძიმე პირობებია მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში და ბედიანის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში. ინფრასტრუქტურა მოძველებულია, რის გამოც პაციენტებს ცხოვრება უხდებათ უკიდურესად მძიმე პირობებში. ამორტიზებულია სან-ჰიგიენური კვანძები, პალატები, პერსონალის სამუშაო ოთახები და ავეჯი. პაციენტები არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო თეთრეულით. ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება სისუფთავის დაცვა.

ექვსივე ფსიქიატრიულ დაწესებულებაში შეინიშნება გადატვირთულობა. ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში და მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში პაციენტებს უხდებათ დერეფნებში ცხოვრება. საწოლების რაოდენობა არასაკმარისია, რის გამოც პაციენტებს იატაკზე უწევთ ძილი. პაციენტთა სიჭარბეს ვერ პასუხობს სასადილოებიც. მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს სააბაზანოები, განყოფილებებსა და დერეფნებში არის მძიმე სუნი. მიუხედავად წინა წლებთან შედარებით კვების პირობების გაუმჯობესებისა, პაციენტების განცხადებით საკვების რაოდენობა არასაკმარისი და ერთფეროვანია. პაციენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სეირნობის პირობებზეც.

მკურნალობის პირობები

მონიტორინგის შედეგად ცხადია, რომ ფსიქიატრიული დაწესებულებების მედიკამენტებით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა. წინა წლებში ამ მხრივ ნამდვილად არასახარბიელო მდგომარეობა იყო. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით არაერთხელ მიმართა სხვადასხვა უწყებას. იმატა დაწესებულებების ბიუჯეტიდან მედიკამენტებზე დახარჯული თანხების წილმა. მონიტორინგის საბჭოს ექსპერტების აზრით ხშირ შემთხვევაში დაწესებულებები თანამედროვე მედიკამენტებს მოიხმარენ. ამასთანავე მწვავე პრობლემად რჩება მედიკამენტების დოზირების საკითხი - ხშირად პაციენტებს მედიკამენტები (სავარაუდოდ მომვლელთა ნაკლებობის გამო) მაღალი დოზებით ენიშნებათ, რაც უფლებების უხეში დარღვევაა.

ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ, გამოკითხულ პაციენტთა ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ მათ არ ეძლევათ საშუალება დაწესებულება დატოვონ სურვილისამებრ. რამდენიმე პაციენტმა განაცხადა, რომ როცა ამ მოთხოვნით ექიმებს მიმართეს, მათგან პასუხად არანებაყოფლობით მკურნალობაზე გადაყვანის მუქარა მიიღეს. ექიმები ამ ფაქტებს არ ადასტურებენ.

ზოგადი ტენდენცია პაციენტების გაწერასთან დაკავშირებით წინა წლებთან შედარებით პოზიტიურია. შემცირდა პაციენტთა დაწესებულებაში ხანგრძლივად დაკავების ფაქტები. მაგალითად ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში 2007 წელს მოთავსდა 1071, ხოლო გაეწერა 950 პაციენტი. ბედიანის საავადმყოფოდან 2006 წლის განმავლობაში თვეში 2-3 პაციენტი ეწერებოდა, ხოლო 2008 წელს თვეში 35-36 პაციენტი ეწერება. დაწესებულებებში პაციენტთა დაყოვნების მთავარ მიზეზად სოციალური შეჭირვება სახელდება. მაგალითად, იმავე ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ექიმები მონიტორინგის მომენტში გაწერისთვის მზაობას გამოხატავდნენ 110 პაციენტის შემთხვევაში, აქედან 68 პაციენტი მარტოხელა და უსახლკაროა, ხოლო 42 პაციენტის მოვლაზე ოჯახის წევრები აცხადებენ უარს. ამ მხრივ პრობლემას აღრმავებს ქვეყანაში თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული სერვისების და ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებების დეფიციტი.

ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის დღემდე მოუგვარებელია არაფსიქიატრიული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემა. უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს სპეციალიზებული კლინიკების მხრიდან ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისადმი თავის არიდება. მონიტორინგის საბჭოს მიერ შესწავლილია არაერთი შემთხვევა, როდესაც გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებს არ გადაჰყავდათ ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტები, მხოლოდ იმ მოტივით, რომ სპეციალიზებული თუ მრავალპროფილური კლინიკები უარს აცხადებდნენ ასეთი პაციენტების მიღებაზე. ამგვარი პრაქტიკა "პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მეხუთე, მეექვსე და მეთორმეტე მუხლების უხეში დარღვევაა. აღნიშნული პრაქტიკის დასადასტურებლად გამოდგება მონიტორინგის საბჭოს მიერ შესწავლილი ერთ-ერთი ფაქტიც: მოქალაქე ხ.ბ–ს შემთხვევა

იგი მკურნალობდა მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, ფსიქოზური სიმპტომატიკით (ნეიროლუესი) რომელიც განვითარდა ათაშანგის საფუძველზე, სომატური მდგომარეობის გაუარესების გამო ექიმებმა გადაწყვიტეს პაციენტი გადაეყვანათ გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში. ფსიქიატრიული საავადმყოფოს ადმინისტრაცია რამდენჯერმე დაუკავშირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს, საიდანაც დაუსვეს შეკითხვა „თუ ხართ შეთანხმებული რომელიმე საავადმყოფოსთან, სად უნდა გადავიყვანოთ პაციენტი?“ - ამის შემდეგ ფსიქიატრიული დაწესებულების ექიმებმა დაიწყეს დაკავშირება საავადმყოფოებთან, საიდანაც მუდმივად ისმოდა უარი - „რეანიმაციაში საწოლი ადგილები არ არის“. ამის შემდეგ ექიმმა ურჩია მშობლებს პაციენტი გადაეყვანათ სახლში და იქიდან გამოეძახათ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა, რადგან ფსიქიატრიული საავადმყოფოდან პაციენტის მიღებას ყველამ თავი აარიდა. პაციენტი იმავე საღამოს გადაყვანილ იქნა სახლში საიდანაც გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა და ავადმყოფი მოთავსებულ იქნა თბილისის ერთ-ერთი საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში.

ეს და სხვა შემთხვევები ცხადყოფს, რომ სხვა პროფილის საავადმყოფოები ერიდებიან ფსიქიატრიული საავადმყოფოებიდან პაციენტების მიღებას. ეს მიუთითებს დისკრიმინაციასა და სტიგმაზე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა მიმართ. ნიშანდობლივია, რომ დისკრიმინაცია ამ შემთხვევაში სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან მოდის, რაც ირიბად მიგვანიშნებს იმაზეც, თუ რა დამოკიდებულებები აქვს ფსიქიკური აშლილობის პირთა მიმართ საზოგადოების დანარჩენ ნაწილს.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტებს არ უტარდებათ რეგულარული პროფილაქტიკური თუ საკონტროლო გამოკვლევები, მაშინ როდესაც თავად ექიმი-ფსიქიატრები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ მედიკამენტს მძიმე გვერდითი მოვლენები ახასიათებს და მთელ რიგ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში.

წინა წლებთან შედარებით პაციენტები კმაყოფილებას გამოხატავენ სამედიცინო პერსონალის მომსახურების, მოვლისა და მოპყრობის პირობებით. მოვლისა და მოპყრობის საკითხები არაერთხელ იყო სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების საგანი.

ჰოსპიტალგარე სერვისები

მონიტორინგის ორი წლის გამოცდილება ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები არამყარია. დიდი ფსიქიატრიული დაწესებულებები უფრო ადამიანების იზოლირებას ახდენს საზოგადოებისგან, ვიდრე ხელს უწყობს მათ დაბრუნებას საზოგადოებაში.

სიმბოლურია, რომ საავადმყოფოებიდან გაწერილი პაციენტების დიდი უმრავლესობა მცირე დროში კვლავ საავადმყოფოს უბრუნდება. ფსიქიატრიულ

დაწესებულებებში საწოლები გადატვირთულია. გაწერილი პაციენტების უმრავლესობა საზოგადოებასთან თანაცხოვრებას ვერ ახერხებს.

ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოსული ადამიანი არ არის მზად იმისთვის, რომ დაუბრუნდეს იგივე ხმაურიან ქუჩას, დამღლელ გარემოს, მძიმე სამუშაო პირობებს, სოციალურ შეჭირვებას და ურთიერთობებს, როგორშიც ცხოვრობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებამდე. საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირს სჭირდება ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაცია, მხარდამჭერი სამედიცინო მომსახურება, შრომითი უნარების განვითარება, ეფექტური სოციალური დაცვის მექანიზმი.

დღეისათვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ფინანსდება როგორც სახელმწიფო პროგრამით, ასევე დონორების მცირე პილოტური პროექტების საშუალებით და ამ სერვისის მიწოდებას ტენდერში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ. თუმცა, ასეთი სერვისები ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისში(გლდანი ნაძალადევის რაიონი) და კახეთში (თელავი), რის გამოც ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების უდიდესი ნაწილისთვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ხელმისაწვდომი არ არის.

ჰოსპიტალგარე დახმარების გარეშე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების უმრავლესობა განწირულია მარტოობის, შემოსავლების უქონლობის, მოუვლელობის, მდგომარეობის გამწვავების და შედეგად ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ხანგრძლივი "რეზერვაციისთვის".

კანონი "ფსიქიატრიული დახმარების შესახებ"

"ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი მიღება შეიძლება ჩაითვალოს სასიკეთო მოვლენად ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ახალმა კანონმა ფსიქიატრიული მომსახურების პროცესში შეიტანა მეტი სიცხადე, გამჭვირვალობა და მონაწილეობის შესაძლებლობები.

ამასთანავე მონიტორინგის პროცესში აღმოჩენილ იქნა სირთულეები, რომელთა წარმოშობაც აღნიშნულ კანონის განხორციელებას უკავშირდება. კერძოდ:

"ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლი არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ ადგენს:

პუნქტი 9. "სასამართლოს გადაწყვეტილებით პაციენტს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება გაეწევა არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმების ამოწურვამდე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს".

მე-9 პუნქტში აღნიშნული სამ თვიანი ვადის ამოწურვისას კი ამავე მუხლის მე-12 პუნქტი ადგენს:

პუნქტი 12. "თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია საჭიროდ მიიჩნევს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების 3 თვეზე მეტი ვადით გაგრძელებას, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია პაციენტის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების 3-თვიანი ვადის ამოწურვამდე 72 საათით ადრე მიმართავს სასამართლოს ამ ვადის გაგრძელების შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვიდან 72 საათის ვადაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების ვადის გაგრძელების თხოვნით მიმართოს სასამართლოს შეუზღუდავად, ვიდრე არ ამოიწურება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმები".

ამგვარი რეგულირების გამო თავი იჩინა მნიშვნელოვანმა სირთულემ. კერძოდ:

ასეთი სასამართლო პროცესი ერთმანეთს აპირისპირებს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტს და სამკურნალო დაწესებულებას (ხშირად ექიმსაც), რომელსაც უწევს მტკიცება თუ რატომ უნდა დაჰყოს პაციენტმა დამატებითი დრო საავადმყოფოში. ამგვარი დაპირისპირება ამწვავებს პაციენტის ფსიქიკურ მდგომარეობას და ხელს უშლის მკურნალობის შედეგის მიღწევას.

ფსიქიატრიული მკურნალობის პროცესში პაციენტი მოიაზრება როგორც პარტნიორი, რომელიც მოტივირებულია შედეგის მიღწევით და ექიმებთან პოზიტიური ურთიერთობის ფონზე მონაწილეობს მკურნალობის პროცესში.

სასამართლო პროცესები, რომელზეც სამკურნალოს დაწესებულებას (ხშირად ექიმსაც) უხდება პაციენტის თანდასწრებით ამტკიცოს, რომ პაციენტის მდგომარეობა არ იძლევა მისი გაწერის საშუალებას - ანგრევს თანამშრომლობას და ხელს უწყობს ექიმებსა და პაციენტს შორის დაპირისპირებას.

სასამართლო პროცესების შემდეგ პაციენტები სწორედ ექიმებს ადანაშაულებენ საავადმყოფოში დაყოვნებაში; ამის საფუძველზე ხშირია პაციენტის აგზნება, აგრესია, თავდასხმების მცდელობები და შეურაცხყოფა ექიმების მიმართ.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ დიდ საავადმყოფოს, როგორც მხარეს დღეში საშუალოდ 10–15 სასამართლო პროცესში მონაწილეობა უწევს, რაც ისედაც მწირი ბიუჯეტის ფონზე ზრდის პაციენტის, ექიმის და ბადრაგის სასამართლოზე ტრანსპორტირების ხარჯებს.

მეორეს მხრივ კანონის მე-18 მუხლი პაციენტს და მის მხარეს აძლევს უფლებას სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს, თუმცა ეს სამკურნალო დაწესებულების და პაციენტის დაპირისპირებით გამოწვეულ სირთულეებს ვერ აგვარებს:

პუნქტი 14. "პაციენტს, მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო ასეთის არარსებობისას – ნათესავს, აგრეთვე ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გაასაჩივროს მოსამართლის ბრძანება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ან დადგენილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის თაობაზე, აგრეთვე ბრძანება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ ან დადგენილება – არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელებაზე უარის თაობაზე".

საჭიროა გაკეთდეს შეფასება თუ რამდენად გონივრული ვადაა 3 თვე მკურნალობის პირველი ეტაპისთვის? რამდენად გონივრულად იყენებენ ექიმები ამ ვადას? და მხოლოდ შემდეგ დადგეს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საკითხი.

საზოგადოებაში დაბრუნება

თავში "ჰოსპიტალგარე სერვისები" უკვე ვთქვით, რომ ჰოსპიტალგარე დახმარების გარეშე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების უმრავლესობა განწირულია მარტოობის, შემოსავლების უქონლობის, მოუვლელობის, მდგომარეობის გამწვავების და შედეგად ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ხანგრძლივი "რეზერვაციისთვის".

ქვემოთ მოყვანილი შემთხვევები ასახავს რა სირთულეები და ბარიერები ხვდებათ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს როცა საავადმყოფოდან საზოგადოებას უბრუნდებიან.

<u>მოქალაქე ქ.ყ.-ს შემთხვევა</u>

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ჩატარებული მკურნალობის და საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ მდგომარეობის გაუარესების გამო 26 წლის მოქალაქე ქ.ყ. 4 წლის განმავლობაში საკუთარი ოჯახის წევრებს შინაპატიმრობაში ჰყავდათ. ქ.ყ.-მ ბნელ, ამორტიზებულ ოთახში, გათბობას, სანიტარულ პირობებს, ნორმალურ კვებას და ტანსაცმელს მოკლებულმა გაატარა 4 წელი. მას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არ ჰქონია საწოლი, ჭურჭელი, აბაზანის მიღების, ადამიანებთან ურთიერთობის საშუალება. ქ.ყ.-ს ოჯახის წევრები მის ჩაკეტვას უკავშირებდნენ შიშს, რომ კვლავ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანის შემთხვევაში მას იქ მოკლავდნენ, ხოლო თავისუფალი რეჟიმის პირობებში იგი ოჯახს სირცხვილს მოუტანდა და ან გაიქცეოდა და დაიკარგებოდა.

ქ.ყ. რამდენჯერმე ინახულეს მონიტორინგის საბჭოს ფსიქიატრებმა. მათი დასკვნით ქ.ყ. არ ექვემდებარება არანებაყოფლობით სტაციონირებას, შესაბამისი კრიტერიუმების არარსებობის გამო.

ცხადია, რომ ქ.ყ.-ს შეჭირვებულ ოჯახს არ შეუძლია მისი მოვლა და გამოსავალს მხოლოდ მის ჩაკეტვაში ხედავს, რადგან სხვა ტიპის მხარდაჭერას ფსიქიატრიული დახმარების სისტემა თემის დონეზე არ ითვალისწინებს.

მოქალაქე ლ.ჭ.-ს შემთხვევა

18 წლის მოქალაქე ლ.ჭ. 2 წლის განმავლობაში იყო დამწყვდეული ვიწრო სათავსოში, სადაც არ ჰქონდა საწოლი, ტანსაცმელი, ტუალეტით ან აბაზანით სარგებლობის საშუალება, მკურნალობა და ნორმალური კვება. 2005 წელს სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობის დასრულების შემდეგ იგი დაუბრუნდა ოჯახს. მოგვიანებით შეწყვიტა მედიკამენტების მიღება და შედეგად მისი ფსიქიკური მდგომარეობა გაუარესდა. იმის გამო, რომ ლ.ჭ. ხშირად იკარგებოდა სახლიდან გასვლის შემდეგ, იქცეოდა უჩვეულოდ და იყო არაპროგნოზირებადი, ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს ჩაეკეტათ მცირე სათავსოში, სადაც მან დაჰყო 2 წელი.

სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს ფსიქიატრებმა ადგილზე შეისწავლეს ლ.ჭ.-ს მდგომარეობა. მშობლებთან მოლაპარაკების შედეგად აღმოჩნდა, რომ მშობლები მართებულად აფასებდნენ მდგომარეობას. ისინი თვლიდნენ, რომ ლ.ჭ.-ს შინაპატიმრობაში იძულებით მოქცევა იყო გამოუვალი მდგომარეობის შედეგად გადადგმული ნაბიჯი, რადგან არაერთხელ ჰოსპიტალიზების შემდეგ ლ.ჭ.-ს მდგომარეობა სახლში დაბრუნებისას უარესდებოდა, ხოლო ფსიქიატრიული დახმარების სისტემა არ ითვალისწინებს თემზე დაფუძნებულ მომსახურებას.

მოქალაქე თ.კ.-ს შემთხვევა

მოქალაქე თ.კ. მკურნალობდა ერთ-ერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც მოთავსებიდან მცირე ხნის შემდეგ რუტინული შემოწმებისას მედპერსონალმა აღმოაჩინა, რომ იგი არის ორსულად. ამის შესახებ პაციენტმა მოუთხრო საკუთარ დედას და პირს, რომლისგანაც სავარაუდოდ იყო ორსულად. შედეგად დედის და აღნიშნული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მასზე ზეწოლას ორსულობის შეწყვეტის იძულების მიზნით.

საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს იურისტებმა თ.კ.-ს დედას განუმარტეს ორსულობისას ქალის უფლებები, ორსულობის შეწყვეტის კანონიერი პირობები და ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის უფლებები. ინციდენტი ამით ამოიწურა.

მოქალაქე ა.ყ.–ს შემთხვევა

შიზოფრენიით დაავადებულ ა.ყ.-ს დამ და სიძემ საკუთარი ბინიდან დროებით საცხოვრებლად გადმოიყვანეს მათ კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში. მოგვიანებით ა.ყ.–მ მეზობლებისგან შეიტყო, რომ მისი კუთვნილი 5 ოთახიანი ბინა გაყიდეს და იქ უკვე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ა.ყ.-ს გადმოცემით და და სიძე არ

აძლევდნენ მისი ბინის საკუთრების დამადასტურებელ საბუთებს და აიძულებდნენ ხელი მოეწერა „რაღაც“ დოკუმენტებზე.

საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს იურისტებს დას ა.ყ.-ს დამ განუმარტა რომ ბინა მართლაც გაყიდა, ხოლო თანხის ნაწილი გადაიხადა ვალებში და რომ აპირებდა ა.ყ.–სთვის თავისი ბინის სანაცვლოდ სხვა ბინა გადაეცა. ა.ყ. ბინის გაყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და უნდობლობას უცხადებდა დას და სიძეს.

საქმე გადაეცა პროკურატურას. შედეგად ა.ყ.-ს დამ გადასცა სანაცვლო ბინა და თანხმობა განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე, რომლითაც კისრულობს ვალდებულებას მუდმივად გადაუხადოს პაციენტს კომუნალური გადასახადები და აიღოს თავზე მისი რჩენა მთელი ცხოვრების მანძილზე.

<u>მოქალაქე ხ.ბ–ს შემთხვევა</u>

ხ.ბ. მკურნალობდა მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც აღენიშნა ფსიქოზური სიმპტომატიკა (ნეიროლეპტიკი) რომელიც განვითარდა ათაშანგის საფუძველზე და ფსიქიატრებმა გადაწყვიტეს გადაეყვანათ გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში. ფსიქიატრიული საავადმყოფოს ადმინისტრაცია რამდენჯერმე დაუკავშირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს, საიდანაც დაუსვეს შეკითხვა „თუ ხართ შეთანხმებული რომელიმე საავადმყოფოსთან, სად უნდა გადავიყვანოთ პაციენტი?“ - ამის შემდეგ ფსიქიატრიული დაწესებულების ექიმებმა დაიწყეს დაკავშირება საავადმყოფოებთან, საიდანაც მუდმივად ისმოდა უარი - „რეანიმაციაში საწოლი ადგილები არ არის“. ამის შემდეგ ექიმმა ურჩია მშობლებს პაციენტი გადაეყვანათ სახლში და იქიდან გამოეძახათ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა, რადგან ფსიქიატრიული საავადმყოფოდან პაციენტის მიღებას ყველამ თავი აარიდა. პაციენტი იმავე საღამოს გადაყვანილ იქნა სახლში საიდანაც გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა და ავადმყოფი მოთავსებულ იქნა თბილისის ერთ-ერთი საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში.

.

<u>მოქალაქე ლ.კ.–ს შემთხვევა</u>

ლ.კ.-მ მუცლის არეში ძლიერი ტკივილის და პერიოდული გონების დაკარგვის ჩივილებით მიმართა ქ. თბილისის მე–8 კლინიკურ საავადმყოფოს, სადაც ანკეტის შევსებისას ლ.კ.–ს დედამ მიუთითა, რომ ერთ დროს ლ.კ. მკურნალობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ექიმებმა მაშინვე შეწყვიტეს ანკეტის შევსება და პაციენტი დახმარების აღმოჩენაზე უარით გამოისტუმრეს.

ხელმეორედ ლ.კ.-მ მიმართა სხვა საავადმყოფოს, სადაც აღარ გაუმხელია წარსულში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის ფაქტი. ლ.კ.–ს ჩაუტარდა გამოკვლევები და აღმოაჩნდა საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადება – გასტროდუოდენიტი.

მოქალაქე თ.ქ. – ს შემთხვევა

თ.ქ. დამ მიიყვანა მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ძლიერი აგზნების გამო. ექიმებმა დაუდგინეს დელირიული მდგომარეობა და გადაწყვიტეს სხვა პროფილის საავადმყოფოში გადაყვანა, რადგან თ.ქ.–ს ფსიქოზური რეესტრის აშლილობა არ აღენიშნებოდა.

ფსიქიატრიული საავადმყოფოს ადმინისტრაცია რამდენჯერმე დაუკავშირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს, საიდანაც ისმენდა შეკითხვას: „თუ ხართ შეთანხმებული რომელიმე საავადმყოფოსთან, სად უნდა გადავიყვანოთ პაციენტი?“ - ამის შემდეგ ფსიქიატრები უკავშირდებოდნენ საავადმყოფოებს (გადაუდებელი მედიცინის ცენტრი, სეფსისის ცენტრი, ინფექციური საავადმყოფო) საიდანაც მუდმივად ისმოდა მიღებაზე უარი, მოტივით: „ჩვენი პროფილი არ არის“. მოგვიანებით, პირადი კონტაქტების ხარჯზე ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმებმა ავადმყოფი გადაიყვანეს ალადაშვილის სახელობის კლინიკაში სადაც დაუდგინდა ტუბერკულოზური მენინგიტი, რის შემდეგაც პაციენტი თ.ქ. მოთავსებულ იქნა წმ. მიხეილის სახელობის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში.

რეკომენდაციები:

ფსიქიატრიულ დაწესებულებებს:

საჭიროა გადაიხედოს მკურნალობის პრაქტიკა საავადმყოფოებში. დოზები, მედიკამენტების დანიშვნის ჩვენებები, მიღწეული შედეგები, პაციენტთა ფიზიკური შეზღუდვის პრაქტიკა, მკურნალობის ვადები უფრო მკაცრი ყურადღების საგანი უნდა გახდეს.

საჭიროა მოხსენებაში მოყვანილი არაადამიანური, სასტიკი და დამამცირებელი მოპყრობის თითოეული ფაქტის საფუძვლიანი შესწავლა და მათზე რეაგირება.

საჭიროა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, კერძოდ განყოფილებების გადატვირთულობასთან, კვებასთან, მოვლასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

საქართველოს მთავრობას, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

საჭიროა გაიზარდოს ფსიქიატრიული დახმარების პროგრამის ბიუჯეტი და შესაბამისად ფსიქიატრიული დაწესებულებების დაფინანსება. დაფინანსების გაზრდა არ უნდა მოხდეს მექანიკურად, არამედ საავადმყოფოებზე დაფუძნებული და თემზე ორიენტირებული სერვისების პრაგმატული ბალანსის შექმნის აუცილებლობის გათვალისწინებით.

საჭიროა შესწავლილ იქნას, რამდენად ეფექტურად არის გამოყენებული ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ პაციენტის მკურნალობისთვის დახარჯული დრო და მედიკამენტები.

საჭიროა რეაგირება მოყვეს სხვადასხვა პროფილის საავადმყოფოების მხრიდან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა დისკრიმინაციას დაავადების ნიშნით.

საჭიროა მეტი რესურსების მიმართვა თემზე დაფუძნებულ ჰოსპიტალ-გარე სერვისებზე და ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

ცხინვალის რეგიონიდან და ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის ფსიქო-სოციალური დახმარების პროცესის დაწყება, რომელიც უნდა მოიცავდეს ფსიქიატრიულ, სტრესის-შემდგომ დახმარებას, მასწავლებლების, აღმზრდელების, მომვლელების, ჟურნალისტების და სხვათა უზრუნველყოფას საჭირო ინფორმაციით, კოორდინირებულ რეფერალურ სამედიცინო დახმარებას და ექიმებისთვის სამკურნალო სახელმძღვანელოების (ე.წ. "გაიდლაინების") შექმნას და მათ პრაქტიკაში დანერგვას.

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

"ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლთან დაკავშირებული სირთულეების მიზეზებში გარკვევის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა და კოორდინირება. საჭიროების შემთხვევაში კანონში ცვლილებების შეტანა.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისა და ი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საანგარიშო პერიოდში არსებითი ძვრები არ მომხდარა. მართალია სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელდა სხვადასხვა პროექტები, მაგრამ მათ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასა და უფლებების დაცვის საკითხზე არსებითი (დადებითი) შედეგი ჯერჯერობით არ მოუხდენიათ.

სახალხო დამცველის გასული წლების მოხსენებებში აღწერილი, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად განსახლებულ რეგიონებში არსებული მრავალი პრობლემატური საკითხი კვლავ მოუგვარებელია. მათ შორის: ქართული ენის სწავლის, ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციის, სახელმწიფო უწყებებში დასაქმებისა და სხა საკითხები. მართალია, ქვეყანაში არ არსებობს ეროვნული უმცირესობების პირდაპირი დისკრიმინაცია, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიულრი განვითარებისა და მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკური უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ზოგადი მდგომარეობა იწვევს ეროვნული უმცირესობების ირიბ დისკრიმინაცია. ეროვნული უმცირესობები იშვიათად ახერხებენ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებას, ბიზნესში დიდი წარმატებების მიღწევას, სრულფასოვნად არ ან ვერ მონაწილეობენ ქვენაყაში მიმდინარე პროცესებში. ეროვნული უმცირესობების დიდ ნაწილს, ეთნიკური წარმოშობის გამო თავი კვლავ მეორეხარისხოვან მოქალაქედ მიაჩნია, რასაც აძლიერებს ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე (აღსანიშნავია, რომ ქართული ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობა ეროვნულ უმცირესობებში მატულობს).

სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირთა მრავალი განცხადებისა და გამოთქმული სურვილების მიუხედავად ეთნიკური უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის, უფლებების დაცვის, დასაქმების, კულტურისა და განათლების კუთხით გადადგმული ნაბიჯები სასურველი შედეგის მიღწევისთვის არასაკმარისია.

საქართველოს სახალხო დამცველთან ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს შესახებ

2008 წლის 4 მარტს საბჭომ მოაწყო მრგვალი მაგიდა საქართველოში მცხოვრები ქურთების მდგომარეობის შესახებ. შეხვედრაზე მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, თბილისის მერიის, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენლები, საქართველოს

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახლადარჩეული წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

საქართველოში მცხოვრები ქურთული დიასპორის წარმომადგენლებმა ოთხი ძირითადი პრობლემაზე ისაუბრეს: 1. მშობლიური ენის შესწავლის საკითხი; 2. ქურთული კულტურისა და რელიგიის შენარჩუნების საკითხი; 3. საზოგადოებრივი მაუწყებლის როგორც სატელევიზიო, ისე რადიო ეთერში ქურთულ ენაზე მაუწყებლობისთვის ადეკვატური დროის გამოყოფა; 4. ქურთული გვარების სამოქალაქო რეესტრის ბიუროებში დარეგისტრირების საკითხი.

ქურთულ დიასპორას შესაბამისი საკითხების გადაწყვეტაში დახმარება აღუთქვეს ქ. თბილისის მერიისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა. ქურთული დიასპორის მიერ დასმული საკითხები დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

20 მარტს, სახალხო დამცველის ოფისში შედგა განათლების მინისტრის გიორგი ნოდიას შეხვედრა სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებთან. შეხვედრაზე განიხილეს ეროვნულ უმციერესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის შესრულების მიზნით, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხი. შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისთვის მეტი სახსრები უნდა იყოს გამოყოფილი, რათა მოსახლეობამ უკეთ შეისწავლოს ქართული ენა. შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა გამოთქვეს, საჯარო სკოლებში იმცირესობათ მშობლიური ენის ფაკულტატური სწავლების სურვილი, ან გაიხსნას საკვირაო სკოლები, რაც მინისტრმა სავსებით სამართლიან მოთხოვნად მიიჩნია. ასევე დაისვა ბილინგუალური განათლების საკითხი. მინისტრის თქმით, ეს არის სტრატეგიულად სრულიად სწორი მეთოდი.

საბჭო ორგანიზებით 8 აპრილს - ბოშათა საერთაშორისო დღეს, საქართველოში მცხოვრები ბოშების განათლების, ჯანდაცვის, მოქალაქეთა რეგისტრაციის, უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ ჩატარდა შეხვედრა. მოხსენებები წარმოადგინეს უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის, ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვი და გარემოს წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე სახალხო დამცველმა ბოშათა მიმართ ყურადღების გამოჩენის აუცილებლობაზე ისაუბრა - ხელისუფლების მხრიდან მცდელობაც კი არ ყოფილა, რომ გადაწყვეტილიყო ბოშათა განათლების, ჯანდაცვის, პირადი და ქონების რეგისტრაციის საკითხები.

შეხვედრას დაესწრნენ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, მათი თქმით თავად ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები უნდა შეაგროვონ საქართველოში მცხოვრებ ბოშათა სრული სია, და წარადგინონ ყველა დოკუმენტი, სამინისტრო განიხილავს მათ საქმეს და მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი გაეცეს მათ დოკუმენტი.

ბოშები საქართველოში მცხოვრებ ერთ-ერთ ყველაზე სოციალურად დაუცველ და ნაკლებად ინტეგრირებულ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელთა პრობლემატიკის შესწავლა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. სახელმწიფო და არც საზოგადოებრივ დონეზე არ შემუშავებულა მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ბოშებს ქვეყანაში ინტეგრირების საშუალებს მისცემდა. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლებიც, მათ თვითდაზიანებად ეთნოსად მიიჩნევს და არ თვლიან საჭიროდ, სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის ძალისხმევა მოხდეს, რათა ბოშები სრულფასოვნად ჩაერთვნენ ქვეყნის ცხოვრებაში.

ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, უნდა მოხდეს ბოშათა თემების მოძიება და მათი ინფორმირება ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზისა და იმ დაწესებულებების შესახებ, რომელიც მათი უფლებების დაცვასა და ინტეგრაციაში დაეხმარება. ბოშატა რეგისტრაციისა და უფლებათა დაცვის მიზნით საბჭოსა და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის წარმომადგენლები არაერთხელ იმყოფებოდნენ ბოშათა დასახლებებში.

სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭო შეხვედა 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ გაერთიანებებს. შეხვედრების დროს ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლები გაეცნენ თუ როგორ არის ასახული ეთნიკური უმცირესობებისა და მათი ინტეგრაციის საკითხები საარჩევნო პარტიების პროგრამებში და რა კონკრეტული გეგმების განხორციელებას აპირებენ პოლიტიკური გაერთიანებები ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტში.

12 ივნისს სახალხო დამცველის ოფისში შედგა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს თავმჯდომარეს ქალბატონ თამარ კინწურაშვილისა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებს შორის. ქალბატონმა თამარ კინწურაშვილმა დამსწრეებს წარუდგინა ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის მემორანდუმის ტექსტი. მემორანდუმის ფარგლებში ორივე მხარე იღებს ვალდებულებებს ითანამშრომლონ საქართველოში ტოლერანტული გარემოს განვითარებისა და განმტკიცების, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხარისხის ამაღლებისათვის. 26 ივნისს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭომ და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ეთნიკურ უმცირესობათა საბჭომ ხელი მოაწერეს ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის მემორანდუმს.

დანართი #1
პოლიტიკური დევნა

იოსებ ჯანდიერის საქმე

2008 წლის 10 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, ბადრი კოჭლამაზაშვილმა მოქალაქე იოსებ ჯანდიერი დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260–ე მუხლის მე–2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენასა და შენახვაში). მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა რვა წლამდე.

იოსებ ჯანდიერმა სასამართლოს მისცა შემდეგი სახის ჩვენება:

2007 წლის 7 ნოემბერს იოსებ ჯანდიერი იმყოფებოდა მიტინგზე, რა დროსაც შეხვდა ,,ეროვნული საბჭოს“ წევრს გია თორთლაძეს. იოსებ ჯანდიერმა გია თორთლაძეს განუცხადა, რომ არ სურდა ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრობა. პარტიის დატოვების თაობაზე იოსებ ჯანდიერმა საჯაროდ განაცხადა მიტინგზე და დაწვა ,,ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ბილეთი. ამ ფაქტს მიტინგის დამსწრე 15 000 ადამიანი ოვაციებით შეხვდა. იოსებ ჯანდიერმა მიტინგზე დაჰყო დაახლოებით ორი საათი. მიტინგის დატოვების შემდეგ, იოსებ ჯანდიერს ტელეფონით დაუკავშირდა ერთ–ერთი მაღალჩინოსანი, რომლის სახელისა და გვარის დასახელებისაგან იოსებ ჯანდიერმა სასამართლო პროცესზე თავი შეიკავა და მოსთხოვა, არ წასულიყო საპროტესტო აქციაზე.

იმავე ჩვენებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 13 ნოემბერს იოსებ ჯანდიერი თავის საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდა. ამ დროს მის საძინებელში შევიდა ოთხი პირი, რომლებმაც იოსებ ჯანდიერი გაიყვანეს სხვა ოთახში. ჩხრეკის შედეგად იოსებ ჯანდიერს აღმოუჩინეს, როგორც მოგვიანებით დადგინდა, ნარკოტიკული საშუალება ,,ჰეროინი,“ წონით 0,8492 გრამი. ამის შემდეგ, იოსებ ჯანდიერი გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტში, სადაც მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და მიმართეს შემდეგი სიტყვებით: ,,იოსკა, ხომ იცი აქ რატომ ხარ?!“ იოსებ ჯანდიერმა აღნიშნული სიტყვები დაუკავშირა 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციაში მისი მონაწილეობის ფაქტს. იოსებ ჯანდიერი აცხადებს, რომ მის მიმართ პირადი ანგარიშსწორების ინტერესი ჰქონდათ შინაგან საქმეთა მინისტრს, ივანე მერაბიშვილს, საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარეს, პეტრე ცისკარიშვილსა და უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს, კონსტანტინე კემულარიას. იოსებ ჯანდიერი არის პეტრე ცისკარიშვილის მეჯვარე, ხოლო კონსტანტინე კემულარია იოსებ ჯანდიერის შვილის ნათლიაა.

დიმიტრი გოდაბრელიძის საქმე

დიმიტრი გოდაბრელიძე იყო პოლიტიკური მოძრაობა ,,ერთიანი საქართველოსათვის“ წევრი. მონაწილეობას იღებდა 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებში. 2007 წლის 26 ნოემბერს დიმიტრი გოდაბრელიძე დააკავეს და ბრალი წაუყენეს სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, (სისხლის სამართლის კოდექსის 332–ე მუხლის მე–3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტი) და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (სისხლის სამართლის კოდექსის 362–ე მუხლის მე–2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტი).

დიმიტრი გოდაბრელიძე 1998 წლის 20 ოქტომბრიდან 2007 წლის 4 აპრილამდე დასაქმებული იყო მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. მარნეულის რაიონის გამგეობის 1999 წლის 12 დეკემბერის #12/2 დადგენილებით ალგეთის თემის სოფელ თაზავენდში მცხოვრებ ბადირხან ბუდაგოვს საიჯარო გადასახადის გადაუხდელობის გამო ჩამოერთვა იჯარით გაცემული 72 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ნაწილი, 14 ჰექტარი. აღნიშნული დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი დაევალა უშუალოდ დიმიტრი გოდაბრელიძეს. დიმიტრი გოდაბრელიძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბრალდებულმა მარნეულის გამგეობის სხდომაზე უკანონოდ გაიტანა საკითხი ბადირხან ბუდაგოვის სარგებლობაში არსებული 72 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ნაწილის 14 ჰექტარი მიწის ამ უკანასკნელის შვილისათვის იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ. დიმიტრი გოდაბრელიძემ ამგვარად, შეცდომაში შეიყვანა გამგეობა. ამის შემდეგ, დიმიტრი გოდაბრელიძემ მიმართა გამგეობას რეკომენდაციით ბადირხან ბუდაგოვისათვის ჩამოერთმიათ მის სარგებლობაში უკანონოდ არსებული 58 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. გამგეობამ განიხილა და დააკმაყოფილა აღნიშნული გადაწყვეტილება. მაშინ როდესაც ბადირხან ბუდაგოვი უკანონოდ ფლობდა 72 ჰექტარი მიწის ნაკვეთს. 58 ჰექტარის ჩამორთმევით მამა–შვილს შესაძლებლობა მისცა უკანონო მფლობელობაში დაეტოვებინა 72–დან14 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

2003 წლის 14 მაისს შპს ,,გეო ნიტროს“ ხელმძღვანელის, ალი ქაჯიევის მიმართვის საფუძველზე მარნეულის რაიონის მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედმა კომისიამ სხდომაზე განიხილა და #მე–5 ოქმში აისახა სამოქალაქო მნიშვნელობის ფეთქებადი მასალების მწარმოებელი ფაბრიკის ასაშენებლად 17 ჰექტარი სახნავი მიწის 49 წლის ვადით იჯარით გადაცემის თაობაზე.

დიმიტრი გოდაბრელიძის ბრალდებულის სახით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთს დიმიტრი გოდაბრელიძემ შეუცვალა დანიშნულება: მიწის ნაკვეთი, რომელიც ატარებდა არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულებას, სარგებლობაში გადაეცა არასასოფლო–სამეურნეო მიზნით გამოყენებისათვის.

თავასთავად საეჭვოა დიმიტრი გოდაბრელიძის ბრალეულობის საკითხის დაყენების კანონიერება მაშინ, როდესაც ამგვარი პასუხისმგებლობა დგება კოლეგიური ორგანოს (მარნეულის რაიონის გამგეობის) მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ სამართლებრივ აქტებთან დიმიტრი გოდაბრელიძეს მხოლოდ ის დამოკიდებულება ჰქონდა, რომ მან მოამზადა დადგენილების პროექტები ან დადგენილების მიღებაში მონაწილეობა მიიღო, როგორც კოლეგიური ორგანოს რიგითმა წევრმა.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული დოკუმენტური მტკიცებულებებით (საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილის 2003 წლის 18 ივნისის #14/1–70 წერილი, საქართველოს მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2003 წლის 15 ივლისის #1/4–672 წერილი და საქართველოს მთავრობის 1992 წლის 18 მაისის #582 დადგენილება) დასტურდება, რომ ,,გეო–ნიტროსათვის“ გადაცემულ მიწის ნაკვეთს სასოფლო–სამეურნეო დანიშნულება შეუცვალა არა დიმიტრი გოდაბრელიძემ, არამედ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1986 წლის 16 იანვრის #14 დადგენილებით.

დიმიტრი გოდაბრელიძე პატიმრობაში იმყოფებოდა 2008 წლის 13 ივნისამდე. დიმიტრი გოდაბრელიძემ გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რაც დამტკიცებული იქნა არსებითი განხილვის გარეშე მარნეულის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით. განსასჯელს მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 332–ე მუხლის მე–3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტითა და (სისხლის სამართლის კოდექსის 362–ე მუხლის მე–2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. დიმიტრი გოდაბრელიძეს ჯარიმის სახით დაეკისრა 10 000 ლარის გადახდის ვალდებულება. მსჯავრდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

დიმიტრი გოდებრალიძის საქმეში ნათლად იკვეთება, რომ 1999 და 2003 წლებში ჩადენილი ქმედებებისათვის სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო 2007 წლის ნოემბრის თვეში მიტინგებში მონაწილეობის შემდეგ.

ჯონი ჯიქიას საქმე

საანგარიშო პერიოდში ,,ერთიანი ეროვნული საბჭოს“ მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური პატიმრების სიაში მითითებულია ჯონი ჯიქიაც. ეს უკანასკნელი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი კონსერვატიული პარტიიდან. ოჯახის წევრების განმარტებით, 2007 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში ჯონი ჯიქიას მიუახლოვდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები, ძირს დააგდეს, ხელები გადაუგრიხეს და ხელბორკილები დაადეს. ჩხრეკის დროს ჯონი ჯიქიას აღმოუჩინეს 0,152 გრამი ნარკოტიკული საშუალება ,,ჰეროინი.“ საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკის შედეგად სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა აღმოაჩინეს ხელყუმბარაც.

2007 წლის 28 დეკემბერს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ჯონი ჯიქია დამნაშავედ სცნეს სისხლის სამართლის 236–ე მუხლის პირველი ნაწილით

(ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონოდ შეძენა ან შენახვა) და 260–ე მუხლის მე–2 ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა და შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ჯონი ჯიქიას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით და ექვსი თვით. დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. 2008 წლის 31 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაამართლა ჯონი ჯიქია სისხლის სამართლის 236–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამავე განაჩენით ჯონი ჯიქიას ამოერიცხა სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. სსკ–ის 260–ე მუხლის მე–2 ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ნაწილში ზუგდიდის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი. სასჯელის საბოლოო სახედ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ჯონი ჯიქიას განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლით.

2008 წლის აპრილის თვეში აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

როსტომ ონიანის საქმე

2007 წლის 9 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, როსტომ ონიანი დაკავეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა. მას ბრალი ედებოდა პოლიციის წარმომადგენელთათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასა და მათთვის წინააღმდეგობის გაწევაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353–ე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) და 239-ე (ხულიგნობა) მუხლებით. კერძოდ, როსტომ ონიანმა საკუთარი სახლის სადარბაზოს მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნა პოლიციის წარმომადგენლები და მიაყენა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა.

როსტომ ონიანი დაკავებამდე აქტიურად მონაწილეობდა ქ.თბილისში 2-7 ნოემბერს გამართულ საპროტესტო აქციებში. იგი ასევე იმყოფებოდა ქ.ზუგდიდში, აჭარაში გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად. სწორედ ამას უკავშირებდნენ მისი ოჯახის წევრები როსტომ ონიანის დაკავების ფაქტს. დაკავების თვითმხილველთა – ნიკოლოზ კლიმიაშვილის, ნინო კიკაძის, ნინო ძიძიგურის, ქეთევან ხელიძის, ხათუნა სვანიძისა და ქეთევან ფანცხავას – განმარტებით, როსტომ ონიანის მხრიდან რაიმე სახის დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია.

როსტომ ონიანის თანამშრომლის, ნიკოლოზ კლიმიაშვილის განმარტებით, 2007 წლის 9 ნოემბერს, საღამოს დაახლოებით 7 საათზე, მან საკუთარი ავტომანქანით სახლის სადარბაზომდე მიიყვანა როსტომ ონიანი, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იყო. აღნიშნულს ადასტურებენ ასევე როსტომ ონიანის მეზობლებიც, რომლებიც ამ

დროს სადარბაზოსთან იმყოფებოდნენ. თვითმხილველები მიუთითებენ, რომ როსტომ ონიანის მანქანიდან გამოსვლისთანავე სადარბაზოსთან გაჩერდა ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი პიროვნება (ქეთევან ფანცხავას ახსნა-განმარტება), რომლებიც ფიზიკური ძალის გამოყენებით ცდილობდნენ როსტომ ონიანის ავტომანქანაში ჩასმას. როსტომ ონიანი ამ დროს არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდა მათ. მიუხედავად ამისა, მას ხელები გადაუგრიხეს და უხეში ფორმით წაიყვანეს მანქანისკენ. როსტომ ონიანის მეუღლემ და მეზობლებმა სცადეს, გაერკვიათ უცნობი პირების ვინაობა და სად მიჰყავდათ როსტომ ონიანი. სადარბაზოსთან ამ დროს მოვიდა ავტომანქანა ჟიგული, საიდანაც გადმოვიდა დაახლოებით პოლიციის ფორმაში გამოწყობილი სამი პირი. ამ დროს სახლის სადარბაზოსთან უკვე უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ერთ-ერთმა პოლიციის თანამშრომელმა მანქანიდან გადმოსვლისთანავე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიწყო ჰაერში სროლა, რამაც იქ შეკრებილი ხალხის დაბნეულობა და შიში გამოიწვია. სულ შვიდჯერ გასროლეს, რის შემდეგაც პოლიციელმა თავად აკრიფა ტყვიის გილზები. ყველა თვითმხილველი მიუთითებს, რომ როსტომ ონიანის მხრიდან არანაირი წინააღმდეგობის გაწევა, ან რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედება არ მომხდარა. როსტომ ონიანის მეგობარი ნიკოლოზ კლიმიაშვილი აღნიშნავს, რომ დაკავებამდე როსტომ ონიანმა პირად საუბარში აღნიშნა, რომ მის სახლთან საეჭვო მანქანები შეიმჩნეოდა.

2008 წლის 26 თებერვალს როსტომ ონიანს შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება და პატიმრობის ნაცვლად შეეფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით. მოგვიანებით როსტომ ონიანთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და გადახდილი გირაოს თანხა ჩაითვალა ჯარიმაში.

მერაბ რატიშვილის საქმე

საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე მერაბ რატიშვილის მიმართ. დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით.

მერაბ რატიშვილის განმარტებით, 2007 წლის 28 ოქტომბერს იგი შეხვედრიდან სახლში ბრუნდებოდა. მისი ავტომობილის წინ მოძრაობდა „ჯიპის“ მარკის ავტომობილი, რომელიც ქიაჩელის ქუჩაზე უეცრად გაჩერდა. აღნიშნული ავტომანქანიდან გადმოვიდა რამდენიმე მერაბ რატიშვილისთვის უცნობი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა. მათ რკინის ხელკეტებით დაიწყეს მერაბ რატიშვილის ავტომანქანის საქარე მინების ჩამტვრევა და ითხოვდნენ კარის გაღებას. მერაბ რატიშვილი ავტომანქანიდან გადმოსვლისთანავე წააქციეს, ხელები შეუკრეს ხელბორკილით. 5-6 კაცი დააჯდა ზემოდან, გადაუგრიხეს მარჯვენა ხელის ცერა თითი, რა დროსაც მან იგრძნო ჩხვლეტა მარჯვენა ბარძაყში. ცდილობდნენ მისთვის გაეშალათ თითები და მისთვის უცნობი საგნისთვის შეეხოთ. რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი იწვა ასფალტზე, რის შემდეგაც იგი ჩასვეს ჯიპში. მანქანაში მას ორივე მხრიდან უცნობი ახალგაზრდები ესხდნენ. მერაბ

რატიშვილმა სთხოვა მათ მისთვის ბორკილები შეეხსნათ, ვინაიდან ისინი მჭიდროდ ჰქონდა მოჭერილი, რაც ტკივილს აყენებდა. ერთ–ერთმა ახალგაზრდამ იგი თავისკენ შეატრიალა, რა დროსაც მერაბ რატიშვილმა კიდევ ერთხელ იგრძნო ჩხვლეტა მარჯვენა ბარძაყში. უცნობმა გააღო ავტომანქანის მარჯვენა კარი და სავარაუდოდ იქ მდგარ თავდამსხმელს გადააწოდა შპრიცი.

ამის შემდეგ, იგი მიიყვანეს ავტომანქანასთან, სადაც მერაბ რატიშვილის განმარტებით, იგი დააკავეს უკვე სოდ-ის თანამშრომლებმა. მათ მერაბ რატიშვილს განუცხადეს, რომ ნარკოტიკების უკანონო მოხმარებაში იყო ეჭვმიტანილი. სოდ–ის თანამშრომლები დაკავებისას და მისი მანქანის ჩხრეკისას აწარმოებდნენ ვიდეო გადაღებას. მათ მიერ მერაბ რატიშვილის კუთვნილი ავტომანქანიდან ამოღებულ იქნა შპრიცი ნარკოტიკული ნივთიერებით. მერაბ რატიშვილი აღნიშნავს, რომ შპრიცი იდო მის კუთვნილ წიგნზე, რომელსაც ადგილმდებარეობა ჰქონდა შეცვლილი. სოდ–ის თანამშრომლებმა მოსთხოვეს მერაბ რატიშვილს, აჰყოლოდა სახლში და კარები გაეღო მათთვის. ბინაში ამ დროს იმყოფებოდა მისი მეუღლე, რომელმაც გახსნა ბინის კარები. დაახლოებით 10 თანამშრომელი შევიდა სახლში მის მეუღლესთან ერთად, ხოლო მერაბ რატიშვილს არ მისცეს საშუალება დასწრებოდა ჩხრეკას, ასევე, არც მეზობლები დაასწრეს ამ პროცესს. მერაბ რატიშვილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მან რამდენჯერმე მოითხოვა ჩხრეკის პროცესს დასწრებოდნენ დამსწრეები და მისი ადვოკატი, უარი განუცხადეს იმ მოტივით, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობდა. არც შსს-ს შენობაში გადაყვანის შემდეგ მისცეს მას საშუალება, დაკავშირებოდა ადვოკატს. მერაბ რატიშვილი დაკითხვისას შეუძლოდ გახდა, თუმცა, მიუხედავად არაერთი თხოვნისა, მას უარი განუცხადეს ექიმის მიყვანაზე. სწორედ აქ შეიტყო მან, რომ მისი ბინის ჩხრეკისას მისი კუთვნილი პიჯაკის ჯიბიდან ამოიღეს ნარკოტიკული ნივთიერება ,,მეტადონი". დაკითხვის დასრულების შემდეგ მერაბ რატიშვილი გადაიყვანეს ნარკოლოგიურ დისპანსერში, სადაც მას დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.

მერაბ რატიშვილი მის დაკავებას უკავშირებს ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობას. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა რუსეთის ფედერაციაში, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჰქონდა ახლო კავშირი ოპოზიციის ლიდერებთან. მერაბ რატიშვილის განმარტებით, დაკავებამდე მასზე მუდმივად ხორციელდებოდა თვალთვალი, ისმინებოდა ტელეფონი. მერაბ რატიშვილი არის საქართველოს გოლფის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი. მან დაკავებამდე რამდენჯერმე შენიშნა, რომ ოფისში მისი კუთვნილი ნივთები გადაადგილებული, ხოლო კომპიუტერი შემოწმებული იყო.

დაკავების შემდეგ მერაბ რატიშვილი თბილისის #5 საპყრობილეში გადაიყვანეს. გადაყვანიდან ორ დღეში იგი გამოიძახეს საპყრობილის ადმინისტრაციაში. დირექტორის კაბინეტში მას შეხვდა ორი უცნობი პირი. მათ სახელები და გვარები და არც თანამდებობა არ დაუსახელებიათ, თუმცა საუბარში აცხადებდნენ, რომ იყვნენ შს სამინისტროს თანამშრომლები. მათ მერაბ რატიშვილს შესთავაზეს თანამშრომლობა და სანაცვლოდ სისხლის სამართლის საქმის დახურვას დაპირდნენ.

მერაბ რატიშვილის განმარტებით, აღნიშნული პირები ძირითადად ინტერესდებოდნენ მერაბ რატიშვილის სამუშაო ოთახსა და კომპიუტერში არსებული ინფორმაციით. იგი, როგორც პოლიტოლოგი, ატარებდა კვლევას საქართველოს შიდა პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით. აინტერესებდათ მისი კავშირები და თანამშრომლობა ოპოზიციის ლიდერებთან. დაინტერესდნენ ასევე მისი მოღვაწეობით რუსეთის ფედერაციაში და ოპოზიციის გეგმებით. აღნიშნული პირები მ.რატიშვილთან საუბრებს იწერდნენ დიქტოფონზე და მისგან ითხოვდენ, არ გაეხმაურებინდა შეხვედრები, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ გაუსაძლისი პირობების შექმნით. საუბრებისას ისინი მიანიშნებდნენ, რომ ოპოზიციის ლიდერების ქმედება შედიოდა რუსეთის ინტერესებში, რაც მერაბ რატიშვილის მიერ უარყოფილი იქნა.

პირველი შეხვედრის შემდეგ მერაბ რატიშვილი გადაიყვანეს #2 საკანში, სადაც შედარებით უკეთესი პირობები და კარგი ჰიგიენური მდგომარეობა იყო. ხოლო მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა ყველა შემოთავაზებაზე, ის კვლავ სხვა საკანში გადაიყვანეს. მერაბ რატიშვილი მიუთითებს ფსიქოლოგიურ ზეწოლაზეც, იმ პერიოდში ის ჯერ #5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, შემდეგ, #8 დაწესებულებაში გადაიყვანეს. ამ დროისათვის მერაბ რატიშვილი რუსთავის #6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება.

მერაბ რატიშვილსა და მისთვის უცნობ პირებს შორის სულ 8-9 შეხვედრა შედგა. მათ შორის ბოლო 2007 წლის 20 ნოემბერს, რომელზეც აღნიშნულმა პირებმა მოითხოვეს გარკვეული ჩვენებები მერაბ რატიშვილისგან ოპოზიციური პარტიის ლიდერების წინააღმდეგ. ამ საუბრების დროს მერაბ რატიშვილს მოასმენინეს მისი და ერთ-ერთი ოპოზიციური ლიდერის საუბრის სატელეფონო ჩანაწერიც. თავდაპირველად სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მერაბ რატიშვილმა თავი შეიკავა ოპოზიციის ლიდერების დასახელებისაგან, თუმცა მოგვიანებით ცნობილი გახდა აღნიშნული პოლიტიკოსების ვინაობა: არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი გოგა ხაინდრავა და პარტია ,,ჩვენ თვითონ“ თავმჯდომარე, პაატა დავითაია. მერაბ რატიშვილის უარის შემდეგ უცნობები დაემუქრნენ, რომ შეუქმნიდნენ გაუსაძლის პირობებს და აიძულებდნენ მათთვის საჭირო ჩვენების მიცემას. ბოლო შეხვედრა შედგა 2007 წლის 20 ნოემბერს, რის შემდეგაც უცნობები აღარ გამოჩენილან.

ეჭვს, რომ ნარკოტიკები ჩადებულ იქნა პოლიციის მიერ, ადასტურებს შემდეგი გარემოებები: მერაბ რატიშვილის დაკავების შემდეგ, პრაქტიკულად დაარბიეს მისი ოფისი, ხოლო კომპიუტერებში მოთავსებული ინფორმაციული დეტალები შესწავლილი იქნა. ბუნებრივია, თუკი არსებობდა ეჭვი ნარკოტიკულ დანაშაულზე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამის შესახებ ინფორმაცია ყოფილიყო მის კომპიუტერში.

2008 წლის 15 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე მერაბ ჯორბენაძე) დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლომ არ გაიზიარა განსასჯელის ჩვენება, რომ მერაბ რატიშვილის დაკავება დაკავშირებულია მის საქმიანობასთან, კერძოდ, მის მეგობრობასთან

გარკვეულ პოლიტიკოსებთან. სასამართლომ არ დაადასტურა ის გარემოება, რომ მერაბ რატიშვილთან თბილისის #მე–5 საპყრობილეში შედიოდნენ საქართველოს შს სამინისტროს ორი მაღალჩინოსანი და ზეწოლას ახდენდნენ, მიეცა ჩვენება მისი მეგობრების, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების წინააღმდეგ. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #5 საპყრობილის მიერ გაცემულ წერილზე, რომლითაც, მოსამართლის შინაგანი რწმენით, დასტურდება, რომ #მე–5 საპყრობილეში მერაბ რატიშვილს მხოლოდ მისი დამცველი ადვოკატები ხვდებოდნენ.

2008 წლის 15 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლომ მერაბ რატიშვილი დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდ ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა და შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულისათვის. მერაბ რატიშვილს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლამდე.

რევაზ კლდიაშვილის საქმე

2005 წლის 11 აგვისტოდან 2007 წლის 3 აპრილამდე რევაზ კლდიაშვილი მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. მას აქვს პოლკოვნიკის წოდება. რევაზ კლდიაშვილი ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარია. ის არის პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრი. თავდაცვის სისტემაში მუშაობის დაწყებამდე რევაზ კლიდიაშვილი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი.

რევაზ კლდიაშვილის განმარტებით, 2007 წლის 13 ნოემბერს, დღის 11:00 საათისათვის მისი კუთვნილი ავტომანქანით მეზობელთან, ვალიკო გაგნიძესთან ერთად მოძრაობდა ნაძალადევის რაიონში. ჟიჟიაშვილის ქ.#3-ს რომ მიუახლოვდნენ, მათ თავს დაესხნენ სამხედრო პოლიციის თანამშრომლები. ისინი 4 ავტომანქანით იყვნენ და მათი რაოდენობა დაახლოებით 16-ს შეადგენდა. მათ შორის იყვნენ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსი კარლო დოლიძე, ოპერატიული სამმართველოს უფროსი პაატა პაქსაშვილი და ვინმე ჭელიძე, რომელიც მას თავის არეში იარაღს ურტყამდა. რევაზ კლდაშვილი აცხადებს, რომ მას ავტომანქანის საბარგულში ჩაუდეს AK-74 ტიპის ავტომატური იარაღი ერთი მჭიდით, ხოლო შარვლის უკანა მხარეს ჩაუდეს ვალტერის ტიპის იარაღი. შემდეგ ის მიიყვანეს შს მთავარი სამმართველოს #2 დროებითი მოთავსების იზოლატორში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვალიკო გაგნიძემ სასამართლო სხდომაზე არ დაადასტურა რევაზ კლდიაშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. სასამართლოს განმარტებით, ეს გარემოება ასევე არ დასტურდებოდა სამედიცინო დასკვნით.

რევაზ კლდიაშვილისაგან ასევე ამოიღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობის დაკავების დამადასტურებელი მოწმობა. არადა, ეს უკანასკნელი, რევაზ კლდიაშვილის განმარტებით, თანამდებობიდან გათავისუფლების დროს ჩააბარა სამხედრო პოლიციის კადრების სამმართველოს.

2007 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა სასამართლო პროცესი რევაზ კლდიაშვილისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მას შეეფარდა 2 თვით წინასწარი პატიმრობა. სასამართლო განხილვისას რევაზ კლდიაშვილისათვის ცნობილი გახდა, რომ დაკავების შემდეგ განხორციელდა მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, სადაც ასევე განხორციელდა ფ-1 სისტემის ხელყუმბარის უკანონოდ ჩადება. რევაზ კლდიაშვილი აცხადებს, რომ დაკავებამდე მასზე ხორციელდებოდა თვალთვალი. თავად დაკავებული მის დაკავებასა და მისთვის იარაღის ჩადებას უკავშირებს პოლიტიკურ კუთვნილებას, კერძოდ პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრობასა და 2 ნოემბრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით დედაქალაქში გამართულ მიტინგებში მონაწილეობას.

მართლაც, წარმოუდგენელია, რომ მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანი იმ პერიოდში, როცა მისი პარტიის ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილისა და მრავალი მისი თანამებრძოლის მიმართ სისხლის სამართლის დევნა ხორციელდებოდა და საქართველოში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, გადაადგილდებოდა ავტომანქანით, რომლის საბარგულშიც უკანონოდ ინახავდა იარაღს. მით უმეტეს, საუბარია პოლიციის პოლკოვნიკზე, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რას ნიშნავს იარაღის ჩადება. თავად რევაზ კლდიაშვილის სახელს ადამიანის უფლებათა დამცველები არაერთ მსგავს უკანონო ქმედებას უკავშირებენ.

2007 წლის 25 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე დალი მეტრეველი) დამნაშავედ სცნო რევაზ კლდიაშვილი სისხლის სამართლის კოდექსის 236–ე მუხლის პირველი (ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შეძენა და შენახვა), მეორე პუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება) და 262–ე მუხლის პირველი პუნქტით (ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის შენახვა გასაღების მიზნით ან გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. პირველი ინსტანციის სასამართლომ რევაზ კლდიაშვილს სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ოთხ წლამდე.

პროკურატურამ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მიიჩნია ლმობიერად და სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. 2008 წლის 23 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის, პროკურორ გია ქევხიშვილის მოთხოვნა და რევაზ კლდიაშვილს დაუმატა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და ექვსი თვით. საბოლოოდ სააპელაციო სასამართლომ რევაზ კლდიაშვილს სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლითა და ექვსი თვით.

ზაალ ქოჩლაძის საქმე

,,გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტი ზაალ ქოჩლაძე შს სამინისტროს დიდუბე–ჩუღურეთის რაიონის პირველი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს 2007 წლის 8 ნოემბერს. მას ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273–ე (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) და 353–ე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ადვოკატის, ლეილა კობერიძის განმარტებით, ზაალ ქოჩლაძე საკუთარ სახლთან (ქ.თბილისი დიღმის მასივი, მე–6 კვარტლის მე–3 კორპუსი) სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა დააკავეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი შს სამინისტროს ქ.თბილისის დიდუბე–ჩუღურეთის რაიონული განყოფილების თანამშრომლები: მ.მაჭარაშვილი, დ.ბესიაშვილი და დ.ცოცხალაშვილი იყვნენ. ზაალ ქოჩოლაძე პოლიციის მიერ ერთხელ უკვე იყო დაკავებული ნარკოტიკების უკანონო მოხმარებაზე და მას ადმინისტრაციული ჯარიმა ჰქონდა შეფარდებული, რომელიც იმ დროსითვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადახდილი. მან პოლიციელებს უარი განუცხადა შემოწმების გავლაზე, რომელსაც უნდა დაედგინა, იმყოფებოდა თუ არა იგი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ. ამ ფაქტების გამო მას ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 273–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. გარდა ამისა, ზაალ ქოჩლაძე სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს სსკ–ის 353–ე მუხლით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. არსებობენ მოწმეები, რომლებიც აცხადებენ, რომ ზაალ ქოჩლაძის მხრიდან არც დაკავების მომენტში და არც შემდეგ წინააღმდეგობის გაწევას ადგილი არ ჰქონია.

მას შემდეგ, რაც ზაალ ქოჩლაძე პოლიციელების მოთხოვნის შესაბამისად მათ მანქანაში ჩაჯდა, მას საუბარი გაუმართეს წინა დღეებში მიმდინარე აქციების შესახებ, რომელშიც იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მეუღლის განმარტებით, ზაალ ქოჩლაძე გამოჩნდა ზუგდიდის აქციის კადრებში, რის საფუძველზეც დააკავეს კიდეც.

ზაალ ქოჩლაძეს შეფარდებული ჰქონდა წინასწარი პატიმრობა და იმყოფებოდა ქ.რუსთავის #6 საპყრობილეში.

2008 წლის 26 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ზაალ ქოჩლაძეს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეუცვალა გირაოთი. საქმე არსებითად განსახილველად გადაიგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ზაალ ქოჩლაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, ლეილა

კობერიძემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, კერძოდ კი ზაალ ქოჩლაძის მიმართ პირადი თავდებობის გამოყენება. ზაალ ქოჩლაძეს თავდებად პარლამენტის იმდროინდელი წევრები, ზვიად ძიძიგური და გიგა ბუკია დაუდგნენ. ლეილა კობერიძისათვის უცნობია აღნიშნული შუამდგომლობის განხილვის შედეგები. სასამართლო სხდომა გაურკვეველი ვადით გადაიდო. აღნიშნულ საკითხზე საქმის განხილვა 2008 წლის ოქტომბრის ბოლომდე არ განახლებულა.

თეიმურაზ ხუბულურის საქმე

2007 წლის 10 ნოემბერს ძველი თბილისის რაიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა დააკავეს თეიმურაზ ხუბულური, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. თეიმურაზ ხუბულურის განმარტებით, იგი სასტუმრო ,,ევროპიდან“ გამოსვლისას დააკავეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა, გადაუგრიხეს ხელები, დააწვინეს ძირს, რის შემდეგაც ყოველგვარი ჩხრეკის გარეშე წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. ჩხრეკის ოქმში აღნიშნულია, რომ თეიმურაზ ხუბულურს ამოუღეს ნარკოტიკული ნივთიერება.

თავდაპირველად, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით თეიმურაზ ხუბულურს შეუფარდა პატიმრობა, რის შემდეგაც იგი შეასახლეს #5 საპყრობილეში. აქ, მისი განმარტებით, მასთან იმყოფებოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია და რამდენიმე თანამდებობის პირი, რომელთა სახელები და გვარებიც თეიმურაზ ხუბულურმა არ იცის, თუმცა შეუძლია მათი ამოცნობა. თეიმურაზ ხუბულური აცხადებს, რომ მისი დაკავება პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა. კერძოდ, თემურ ხუბულური ირაკლი ოქრაშვილთან დაახლოებული პირია. ბაჩო ახალაია და მისი თანმხლები პირები პატიმრისგან მოითხოვდნენ თანამშრომლობას ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ კომპრომატების მოძიებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კი ციხეში ,,ამოლპობით“ დაემუქრნენ. ისინი ასევე მას შეახსენებდნენ ნოემბრის აქციებში მონაწილეობას.

ბაჩო ახალაიას მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარას თემურ ხუბულურის მისამართითაც. თეიმურაზ ხუბულური გადაიყვანეს #6 საპყრობილეში, სადაც, მისი განცხადებით, ასევე რამდენჯერმე მივიდა ბაჩო ახალაია იმავე მოთხოვნით. ბოლო იგი რუსთავის #6 საპყრობილეში მოათავსეს.

თემურ ხუბულურთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება. 2008 წლის 12 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ არსებითი განხილვის გარეშე დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი თემურ ხუბულურის მიმართ. ამავე განაჩენით დამტკიცდა პროკურატურასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმება. სასამართლომ თემურ ხუბულური დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260–ე მუხლის მე–2 ნაწილის ,,ა“

ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა და შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. სასამართლომ გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 55–ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და აღნიშნული დანაშაულისათვის თემურ ხუბულურს დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა ხუთი თვით. სსკ–ის 55–ე მუხლისვე გამოყენებით სასამართლომ თემურ ხუბულური დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 273–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ამგვარი ქმედებისათვის ერთი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებული ანდა ნასამართლევი პირის მიერ) დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა ერთი თვის ვადით. აღნიშნული განაჩენის დადგენის მომენტში თემურ ხუბულური იყო ნასამართლევი 236–ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. აღსანიშნავია, რომ თემურ ხუბულურს აღნიშნული ქმედებისათვის ნასამართლობა არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული. 2007 წლის 14 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ თემურ ხუბულურს დაუნიშნა პირობითი სასჯელი, თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით 8 თვითა და ცხრა დღით. 2008 წლის 12 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ განაჩენთა ერთობლიობით შეკრიბა სასჯელები და თემურ ხუბულურს საბოლოო სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, ორი თვითა და 9 დღით.

სეიმურ როვშან ოღლი თანავერდიევის საქმე

2008 წლის 01 მაისს სახალხო დამცველს საარჩევნო ბლოკ ,,გაერთიანებული ოპოზიციის (ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეები)“ აგიტატორებმა სეიმურ თანავერდიევმა და ბახრუზ ნამაზოვმა აცნობეს, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო გახდნენ ფიზიკური ანგარიშსწორების ობიექტი.

2008 წლის პირველ მაისს სეიმურ თანავერდიევი მამის, როვშან თანავერდიევის თხოვნით შევიდა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ყარაბულახში მდებარე მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად, სადაც იმყოფებოდა ბახრუზ ნამაზოვი. ამ დროს მაღაზიაში შევიდნენ ,,ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, საქართველოს მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრის, კახაბერ ოქრიაშვილის მხარდამჭერები, მათ შორის ალლახ იაროვი შქური და ქვემო ყარაბულახის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ყურბან ქაზიმოვი. მათ სეიმურ თანავერდიევსა და ბახრუზ ნამაზოვს კახაბერ ოქრიაშვილისათვის ხმის მიცემა მოსთხოვეს. იცოდნენ რა, რომ სერიმურ თანავერდიევი და ბახრუზ ნამაზოვი ,,გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლები იყვნენ, ალლახ იაროვ შქურმა და ყურბან ქაზიმოვმა მიაყენეს მათ ფიზიკური შეურაცხყოფა. ალლახ იაროვ შქურმა სავარაუდოდ დანა მოუქნია სეიმურ როვშან ოღლის. ამ უკანასკნელმა დანას ხელი შეაგება, რის შედეგადაც მარჯვენა ხელის არეში ცერა თითის ქვემოთ და მაჯაზე დაზიანება მიიღო. სეიმურ თანავერდიევი იცნობს ალლახ შქურ იაროვს და შეუძლია მისი ამოცნობა. თავდამსხმელებმა ბახრუზ ნარმაზოვი მუშტებით სცემეს. თავდამსხმელები სეიმურ თანავერდიევს და ნარმაზოვ ბახრუზის ცემის დასრულების შემდეგ ჩასხდნენ

ავტომანქანაში, რომელსაც მართავდა ყურბან ქაზიმოვი და შემთხვევის ადგილი დატოვეს. ცემის ფაქტს თავლყურს ადევნებდნენ სოფელ ქვემო ყარაბულახის მაცხოვრებლები.

2008 წლის 7 მაისს აღნიშნული ინციდენტის თაობაზე თანავერდიევების ოჯახის წევრებმა საქმის კურსში ჩააყენეს სახალხო დამცველი. სეიმურ თანავერდიევის ბიძის, სალიხ თანავერდიევის განმარტებით, 2008 წლის 1 მაისს სოფლის მაღაზიაში შესულმა ალლახ იაროვ შქურმა, ფარვიზ ნამაზოვმა და ყურბან ქაზიმოვმა მას ჰკითხეს, რატომ აძლევდა ხმას სხვა პარტიას და არა ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.“ ამის შემდეგ მას ხელის შეეხნენ. ცოტა ხნის შემდეგ ალლახ იაროვი, ფარვიზ ნამაზოვი და ყურბან ქაზიმოვი სალიხ თანავერდიევს გაეცალნენ. სალიხ თანავერდიევის ძმიშვილი სეიმურ როვშან ოღლი მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად იყო მისული. ალლახ იაროვ შქური და ყურბან ქაზიმოვი ამჯერად მას მიუახლოვდნენ და ჩხუბი აუტეხეს იმის გამო, რომ სეიმურ თანავერდიევი ხმას ,,გაერთიანებულ ოპოზიციას“ აძლევდა. სეიმურ თანავერდიევმა უპასუხა, რომ ხმას ვისაც უნდოდა, მას მისცემდა. ამის შემდეგ ალლახ იაროვ შქურმა აიღო დანა, რომლითაც იგი ძეხვს ჭრიდა და დაარტყა სეიმურ თანავერდიევს.

სეიმურ თანავერდიევის ბებიის, აგიგათ თანავერდიევის განმარტებით, მაღაზიაში შესვლისას მან დაინახა, როგორ აკავებდა ყურბან ქაზიმოვი ალლახ იაროვ შქურის და ფარვიზ ნამაზოვს. ყურბან ქაზიმოვი მათ ეუბნებოდა, რომ აღარ იყო საჭირო სეიმურ თანავერდიევის ცემა. ამ დროს მისი შვილიშვილი სისხლით იყო მოსვრილი. აგიგათ თანავერდიევმა ხელი მოკიდა სეიმურ თანავერდიევს და მაღაზიიდან გამოიყვანა. ამ დროს ალლახ იაროვ შქურიმ დაარტყა ბებიას და შვილიშვილს. ფარვიზ ნამაზოვი წაქცეულ ბებია–შვილიშვილზე მანქანით გადავლას შეეცადა. თავდამსხმელების ნათესავებმა თანავერდიევებს ქვები დაუშინეს.

სახალხო დამცველს ახსნა–განმარტება მისცა დმანისის შს სამმართველოს უფროსის მოადგილემ, დეტექტივების განყოფილების უფროსმა, კობა მაღრაძემ. მისი განმარტებით, სეიმურ თანავერდიევისა და ბახრუხ ნამაზოვისათვის სხეულის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო 2008 წლის 1 მაისს. გამოძიების მიერ სეიმურ როვშან ოღლი თანავერდიევის მიმართ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება). მოწმის სტატუსით დაიკითხნენ ალლახ იაროვ შქური, ქვემო ყარაბულახის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ყურბან ქაზიმოვი და სხვა პირები. ამ ეტაპზე არც ერთი პირი არ მიუციათ სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში. რაც შეეხება სეიმურ როვშან ოღლი თანავერდიევს, იგი ცნეს დაზარალებულად.

2008 წლის 16 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა არჩილ გიორგაძემ სახალხო დამცველს აცნობა, რომ სისხლის სამართლის #024080039 საქმეთან დაკავშირებით 2008 წლის 2 მაისს დაიწყო წინასწარი გამოძიება. ქმედების კვალიფიკაცია თავდაპირველად მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლით. საქმეზე ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის დაიკითხნენ მოწმეები, დაზარალებულის სახით დაიკითხა სეიმურ თანავერდიევი, ჩატარდა სასამართლო–

სამედიცინო ექსპერტიზები, ამოღება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სხვა. სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სხეულის დაზიანებები მხოლოდ სეიმურ როვშან ოღლი თანავერდიევს და შქური იაროვს დაუდასტურდათ. პირველს მიადგა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, მეორეს სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოშლის გარეშე. სეიმურ როვშან ოღლი თანავერდიევმა დაზიანებები, პროკურატურის პოზიციის შესაბამისად, საკუთარი ბრალეული მოქმედებით, კერძოდ, გაუფრთხილებელობის შედეგად მიიღო. ამის გამო 2008 წლის 22 ივლისს გამოტანილი დადგენილების საფუძველზე საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა.

ზემოხსენებული გარემოებები ნათლად მიანიშნებს იმაზე, თუ რა სახის საფასურის გადახდა შეიძლება მოუწიოს ჩვეულებრივ ადამიანს საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების საჯაროდ გამოხატვისათვის. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მოქალაქეები ხშირად განიცდიან თავდასხმებს მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობენ მიჩქმალონ პოლიტიკური დევნის დანაშაულები. დაზარალებულის სხეულზე არსებული აშკარა დაზიანებების მიუხედავად, სამართალდამცავები დამჯერებლად მიიჩნევენ ,,თვითდაზიანებისა“ და პოლიტიკური დანაშაულის ჩადენაში ,,შერეული ბრალის“ ვერსიებს. ეს გარემოება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ სამართალდამცავ ორგანოებში არ არსებობს პოლიტიკური დევნის გამოძიების ნება.

რამინ აბულაძის საქმე

რამინ აბულაძე იყო ,,რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელი გორის #32–ე საარჩევნო ოლქის სოფელ კარალეთის #48–ე საარჩევნო უბანში. მისი საჩივრის საფუძველზე გორის რაიონულმა სასამართლომ გააუქმა კენჭისყრის შედეგები აღნიშნულ საარჩევნო უბანზე. #48 საარჩევნო უბანზე დაახლოებით ათმა პირმა საარჩევნო ყუთში ჩაყარა სპეციალური კონვერტები. 2008 წლის 21 მაისს საარჩევნო უბანზე გამოცხადდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გორის საარჩევნო ოლქში, გიორგი ტატიშვილი. ეს უკანასკნელი დაინტერესდა უბანზე არსებული მდგომარეობით. რამინ აბულაძემ მას უამბო ყუთში ყალბი კონვერტების ჩაყრის თაობაზე. ამის შემდეგ, ტელეკომპანია ,,თრიალეთის“ თანდასწრებით გიორგი ტატიშვილმა რამინ აბულაძეს მიმართა, რომ თუ გაყალბების ფაქტს ვერ დაადასტურებდა, ციხეში ,,ამოალპობდა .“

2008 წლის 29 მაისს რამინ აბულაძე იმყოფებოდა გორის საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ დროს მან შენიშნა შავი ფერის ,,ჯიპი,“ რომელიც მას უთვალთვალებდა. 12:20 საათზე რამინ აბულაძე შეხვდა ,,რესპუბლიკური პარტიის“ ორ წევრს, რომლებმაც აცნობეს, რომ პარტიის პროგრამა ,,კარდაკარის“ ფარგლებში ჩაირიცხა მათი კუთვნილი ხელფასი. 12:30 წუთზე რამინ აბულაძე მივიდა წერეთლის ქუჩაზე მდებარე ,,რესპუბლიკური პარტიის“ გორის ოფისში, სადაც აიღო მისი კუთვნილი ხელფასი. ერთი საათის გასვლის შემდეგ რამინ აბულაძემ დატოვა ოფისი და გაემართა ჭავჭავაძის ქუჩის მიმართულებით, სადაც მან კვლავ შენიშნა შავი ფერის

„ჯიპის“ მარკის ავტომანქანა. საქარე მინა ჩაიწია და „ჯიპში“ მყოფმა პირმა რამინ აბულაძეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ნეტავ როდემდე გეყოფა ხელფასი. გორში ცხოვრება და სიცოცხლე არ გინდა?“ რამინ აბულაძე დაბრუნდა თავის სამუშაო ადგილზე, გორის საკოლმეურნეო ბაზარში, სადაც მან დაჰყო 17:55 საათამდე. ამის შემდეგ გააჩერა ტაქსი და გაემართა თავისი საცხოვრებელი კორპუსის მიმართულებით, რომელიც მდებარეობს გორში წმინდაწყლის დასახლებაში, ყიფიანის ქუჩაზე. კორპუსის სადარბაზოსთან მიახლოების შემდეგ რამინ აბულაძე ტაქსიდან გადმოვიდა და თავისი ბინისაკენ გაემართა. ამ დროს მან შენიშნა შავი ფერის „ჯიპი,“ რომელიც მთელი დღის განმავლობაში უთვალთვალებდა მას. აღნიშნული ავტომანქანის საქარე მინები იყო აწეული და მასში არავინ იჯდა. სადარბაზოში შევლის შემდეგ რამინ აბულაძემ გაიგო იარაღის ჩხაკუნის ხმა, შენიშნა, რომ კორპუსის სარდაფიდან მისი მიმართულებით სამი ნიღბიანი მოდიოდა, ხოლო სადარბაზოს კიბეებიდან კიდევ ორი სხვა ნიღბიანი პირი მოემართებოდა. რამინ აბულაძეს შემოესმა, რომ ნიღბიანები მასზე მიუთითებდნენ. ამის შემდეგ იგი გაიქცა. თავდამსხმელები გამოეკიდნენ, წააქციეს, ძირს დააგდეს და რეზინის ხელკეტებითა და წიხლებით დაუწყეს ცემა. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება გაგრძელდა 3 წუთის განმავლობაში. ერთ–ერთი თავდამსხმელი ამბობდა, ეცემათ ისე, რომ არ მომკვდარიყო. ძალადობის ფაქტი შენიშნა რამინ აბულაძის მეუღლემ. მან დაიწყო კივილი, რის შემდეგაც მეზობლები გარეთ გამოვიდნენ. ბოლოს თავდამსხმელებმა შეწყვიტეს რამინ აბულაძის ცემა და გაეცალნენ შემთხვევის ადგილს.

რამინ აბულაძე განმარტავს, რომ შავი ფერის „ჯიპი“ ეკუთვნის გორის არჩეულ მაჟორიტარ დეპუტატს გიორგი ტატიშვილს და ეს უკანასკნელი თვალს ადევნებდა მისი ცემის ფაქტს. შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მის მიერ შედგენილ ოქმში გიორგი ტატიშვილის მოხსენიებისაგან თავი შეიკავა.

რამინ აბულაძეს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს შპს „გორიმედის“ საავადმყოფოში. დაზარალებულს დაუდგინდა: სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა.

2008 წლის 30 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა, არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 29 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონულ სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #011080483 საქმეზე, რამინ აბულაძის სხეულის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმეზე დაზარალებულის სახით დაიკითხა რამინ აბულაძე. დაიკითხნენ მოწმეები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, ასევე ჩატარდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა. ამჟამად ხორციელდება ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებები ავტომანქანა „ოპელისა“ და რამინ აბულაძის ცემაში მონაწილე პირების დადგენის მიზნით, რათა მოხდეს მათთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თავდასხმაში აშკარად იკვეთება პოლიტიკური მოტივი, სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებას არ მისცემია სისხლის სამართლის კოდექსის 142–ე მუხლის მე–2 ნაწილით (პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანების თანასწორუფლებიანობის დარღვევა, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია) და 156–ე მუხლით (დევნა სიტყვის, აზრის და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით).

ნონა საღარეიშვილის საქმე

ნონა საღარეიშვილი იყო ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ წარმომადგენელი მცხეთის #27 საარჩევნო ოლქის #2 საარჩევნო უბანზე. დღის განმავლობაში ნონა საღარეიშვილი აქტიურად რეაგირებდა კენჭისყრის დროს მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით. მეორე დღეს ოპოზიციურად განწყობილი ქალბატონის მიმართ მუქარა, შანტაჟი და თვალთვალი დაიწყო.

2008 წლის 22 მაისს უცნობი მამაკაცი მას ტელეფონით დაუკავშირდა და მოსთხოვა, თავი შეეკავებინა საზოგადოებრივი აქტივობისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. იმავე დღეს სატელეფონო ზარი კვლავ შემოვიდა ნომრიდან: 877774776. მოსაუბრე ნონა საღარეიშვილს გაეცნო, როგორც ლაშა ხერხელაური. ამ უკანასკნელმა განუცხადა: ,,ჩამოშორდი ოპოზიციას. ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, არ შეგფერის ასეთი საქციელი.“ ლაშა ხერხელაურის თქმით, ის ცხოვრობს თიანეთში და მუშაობს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში. როდესაც ნონა საღარეიშვილმა ლაშა ხერხელაურის გაფრთხილება არ მიიღო, სპეცსამსახურის თანამშრომელი დაემუქრა: ,,გოგო ტონს დაუწიე, შენი დეიდაშვილი ციხიდან ახალი გამოსულია. ორი წელი ხომ იჯდა, ორ წელსაც დავუმატებთ და ისევ ციხეში შევაბრუნებთ, თუ ჭკვიანად არ იქნები.“

2008 წლის 29 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლო იხილავდა სადამკვირვებლო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ საჩივარს მცხეთის #27 საარჩევნო ოლქის მე–2 უბანის შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ნონა საღარეიშვილიც. აღნიშნულ დღეს 17:05 საათზე მოწმეს დაუკავშირდა უცნობი პირი, 860470000 ნომრიდან და იკითხა: ,,სასამართლოში ხარ?“ ნონა საღარეიშვილმა უცნობს დადებითი პასუხი გასცა. ამის შემდეგ, გაისმა მუქარა: ,,ენას არ აჩერებ, გაგანადგურებ და საიქიოში გაგიშვებ. მადლობა თქვი, რომ ფორმიანები არიან შენს გვერდით, თორემ აქვე მოგიღებდი ბოლოს.“

2008 წლის 31 მაისს ნონა საღარეიშვილი უკვე ვიდეოკამერით თვალთვალის ობიექტს წარმოაგენდა. კომუნალური გადასახადების გადასახდელად წასულს თან დაჰყვებოდა ვერცხლისფერი ავტომანქანა. შინ მიმავალს წამოეწია აღნიშნული ავტომანქანა, საქარე მინა ჩაიწია და უცნობმა მამაკაცმა მიმართა შემდეგი სიტყვებით: ,,არ ანებებ თავს ოპოზიციას, შენი დედა. სანამ პირზე რძე შეგაშრება, მანამ მიწა მიიღებს შენ სხეულს.“ მუქარის წარმოთქმის შემდეგ, ავტომანქანა დაშორდა. შინ

მისულმა, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოსთან შენიშნა შავი ფერის BMW, რომელსაც ნომრები მოხსნილი ჰქონდა. ავტომანქანაში იჯდა სამი მამაკაცი. ერთ მათგანს ეცვა თეთრი სპორტული ტანსაცმელი, ატარებდა ბლანჟეს და თმები ჰქონდა მოშვებული. აღნიშნული პიროვნება ნონა საღარეიშვილს ვიდეოკამერით უღებდა. იგივე ავტომანქანა ნონა საღარეიშვილის სახლთან კვლავ გამოჩნდა 2008 წლის 31 მაისის 18:30 საათზე. ავტომანქანაში მყოფი პიროვნება აგრძელებდა მის ვიდეოგადაღებას. ნონა საღარეიშვილის მეგობრის, ირაკლი ოძელაშვილის ჩარევით, შავი ფერის BMW–მ დატოვა სახლის მიმდებარე ტერიტორია. 18:52 საათზე კვლავ დაირეკა ნონა საღარეიშვილთან, 898434674 ნომრიდან და მუქარა განმეორდა.

2008 წლის 1 ივნისს 11:30 საათზე ნონა საღარეიშვილს დაურეკეს დაფარული ნომრიდან და, შეხვედრა სთხოვეს. მეორე დღეს ნონა საღარეიშვილი სტუმრობდა თანაპარტიელის, ხატია ცერცვაძის ოჯახს. 18:07 საათზე მას მოუვიდა მოკლეტექსტური შეტყობინება დაფარული ნომრიდან: ,,მოგიტყნავ დედას, ისე გცემ, ვერვინ გიცნოს. ყლექალა, ეგდე ჩუმად ნაბოზვარო, რამდენს ბედავ.“ მეორე SMS მოვიდა 18:09 საათზე, სადაც აღნიშნული იყო: ,,არკვიე ვინ ვარ, ყლე არ წაგვჭამოთ. შეეშვი დედამოტყნულ ოპოზიციას.“ 21:35 საათზე მას დაუკავშირდა თავისი ნათლია ანდრო კასაბიანი, რომელიც მეზობლად ცხოვრობს და აცნობა, რომ უცხო პირები მათ სახლს უთვალთვალებდნენ. 22:20 საათზე ნონა საღარეიშვილმა გადაწყვიტა ნათლიასთან, პირველ სართულზე ჩასვლა.

კიბეებზე ჩასვლისას ნონა საღარეიშვილი გზას ინათებდა მობილური ტელეფონით. ამ დროს მას მოესმა მამაკაცების საუბარი. მესამე და მეორე სართულს შორის ნონა საღარეიშვილმა დაინახა შავებში ჩაცმული მამაკაცები. ერთმა მათგანმა ნონა საღარეიშვილს მარცხენა ხელი გადაუგრიხა, ხოლო მეორემ წიხლი მარჯვენა ფეხში ჩაარტყა. ამის შემდეგ, ერთერთმა თავდამსხმელმა ნონა საღარეიშვილი ძირს დააგდო და სხეულზე ფეხი დაადგა. თავდამსხმელი ოპოზიციის მხარდაჭერისათვის ნონა საღარეიშვილს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ამის შემდეგ, ნონა საღარეიშვილს პირზე ხელი ააფარეს, ხელი ჰკრეს და თავით კედელზე მიახეთქეს. ნონა საღარეიშვილი მუხლებზე დადგა. ამ დროს მან ყელზე იგრძნო სიცივე. ერთ–ერთმა თავდამსხმელმა ყელზე თოკი ან წვრილი სიმი წაუჭირა. მეორე თავდამსხმელმა გააფრთხილა, არ მოეკლათ. ერთ–ერთი თავდამსხმელმა ასევე მიადო დანა და განსაკუთრებული სისატიკით სიცოცხლის მოსპობით დაუმუქრა, ისე რომ ნონა საღარეიშვილის ცხედარს პროზექტურაშიც ვერ ამოიცნობდნენ. ნონა საღარეიშვილი კიდევ ერთხელ მიახეთქეს კედელზე თავით. ამ დროს კიბეებზე გაისმა ანდრო კასაბიანის ხმა, რის შემდეგაც თავდამსხმელები მიიმალნენ. გაქცევის წინ თავდამსხმელები კიდევ ერთხელ დაემუქრნენ ნონა საღარეიშვილს სიცოცხლის მოსპობით.

ანდრო კასაბიანმა დაინახა ძირს დაგდებული ნონა საღარეიშვილი. ანდრო კასაბიანმა შემთხვევის ადგილზე გამოიძახა სასწრაფო დახმარების სამსახური და საპატრულო პოლიცია. ნონა საღარეიშვილი გადაიყვანეს მე–4 კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც მას დაუდგინდა: თავის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა, მარცხენა მხარის ამოვარდნა, მარცხენა ხელის ნეკა თითის მოტეხილობა. ყელზე აღენიშნება სიხლნაჟღენთების ორი ზოლი.

2008 წლის 07 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა, არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 3 ივნისს თბილისის გლდანი–ნაძალადევის პოლიციის მე–2 განყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება ნონა საღარეიშვილის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიების პროცესში დაზარალებულის სახით დაიკითხა ნონა საღარეიშვილი, დაიკითხნენ მოწმეები, საქმეზე დაინიშნა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა.

მიუხედავად იმისა, რომ აშკარად იკვეთება პოლიტიკური დევნის ნიშნები წინასწარი გამოძიება არც ამჯერად დაწყებულა სისხლის სამართლის კოდექსის 142–ე მუხლის მე–2 და 156–ე მუხლებით.

გიორგი თავდგირიძის საქმე

გიორგი თავდგირიძე არის პოლიტიკური ,,ახალი მემარჯვენეების“ წევრი. მაისის ბოლო დღეებში მასთან სახლში მივიდა ორი გოგონა. მათ თავი წარადგინეს როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და მოითხოვეს ინფორმაცია ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული ქონების, ავტომობილების, ბიზნესისა და ტელეფონების შესახებ. აღსანიშნავია, რომ აღნიშული ხასათის გამოკითხვა იმ დღეებში იმავე კორპუსში სხვა არცერთი ოჯახისთვის არ ჩაუტარებიათ.

2008 წლის 2 ივნისს დღის 12 საათზე, გიორგი თავდგირიძე კუთვნილი ავტომობილით დიღმის მასივიდან ორთაჭალაში მიდიოდა. სანაპიროზე დიდუბე-დიღმის ხიდის ქვეშ 12:02 წუთზე მას გადაუსწრო ორმა ავტომობილმა, ამ დროს გიორგი თავდგირიძეს უკნიდან ვერცხლისფერი ,,მერსედესი“ (სახელმწიფო ნომრებით AND) დაეჯახა, რომელსაც წინა ფარები დაუზიანდა. შეჯახების შემდეგ, გიორგი თავდგირიძე გაჩერდა გზის პირას, მის წინ გაჩერდა ,,მერსედესი“, საიდანაც გადმოვიდა სამი პირი და გაემართა გიორგი თავდგირიძისკენ. როდესაც იგი მანქანიდან გადმოვიდა, მას მოულოდნელად ერთ-ერთმა მათგანმა დაარტყა სახის არეში და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მათ წააქციეს გიორგი თავდგირიძე, ორი პირი მას წიხლებით სცემდა, მესამე მათგანს კი ხელში ეჭირა რკინის ნაჭერი და ფეხის არეში ურტყამდა. თავდასხმა 3-4 წუთს გაგრძელდა და მას შემდეგ შეწყდა, რაც თავდამსხმელებისაგან ერთ-ერთმა დანარჩენებს მიმართ შემდეგი სიტყვებით: ,,საკმარისია, გვეყოფა, წავედით!“.

გიორგი თავდგირიძე მისივე კუთვნილი ავტომობილით გადაიყვანეს ღუდუშაურის საავადმყოფოში, სადაც მას დაუდგინდა ფეხის მოტეხილობა და სხეულის საერთო დაჟეჟილობა.

დაზარალებული თავდასხმის ფაქტს საკუთარ პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირებს.

2008 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფროსმა, არჩილ გიორგაძემ სახალხო დამცველს აცნობა, რომ პარტია ,,ახალი მემარჯვენეების" წევრის, გიორგი თავდგირიძის თავდასხმის ფაქტზე, 2008 წლის 2 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე–ჩუღურეთის სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #002081645 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გიორგი თავდგირიძე ცნობილია დაზარალებულად. გამოძიების პროცესში ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის დაიკითხა დაზარალებული, დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, დაინიშნა კომპლექსური, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური და სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზები.

ამჟამად საქმეზე გრძელდება წინასწარი გამოძიება, თუმცა თავდასხმის პოლიტიკური მოტივი ვერც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოკვეთა გამოძიებამ.

ლევან გვარჯალაძის საქმე

2008 წლის 2 ივნისს ,,გაერთიანებული ოპოზიციის" აქტივისტმა ლევან გვარჯალაძემ სახალხო დამცველს განუცხადა, რომ 2008 წლის 28 მაისს 23 საათზე ქ.თბილისში ჩიქოვანის ქუჩაზე მოძრაობდა ავტომანქანით, რომელშიც ასევე იმყოფებოდა მისი მეგობარი მარიამ ფარესიშვილი. მანქანა გაჩერდა იქვე მდებარე აფთიაქთან, სადაც ლევან გვარჯალაძეს შეხვდა მისი მეზობელი სანდრო სხირტლაძე. ამ უკანასკნელმა სრულიად მოულოდნელად მიაყენა ლევან გვარჯალაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაარტყა მას წიხლი მარჯვენა ფერდის არეში. ლევან გვარჯალაძეს გაკეთებული აქვს ფილტვის ოპერაცია და აღნიშნულმა დარტყმამ მასში გამოიწვია ძლიერი ტკივილი. ამის შემდეგ შემთხვევის ადგილზე გაჩნდა ორი უცნობი პირი, რომლებსაც, ლევან გვარჯალაძის თავდაპირველი ვარაუდით, დაპირისპირებული მხარეები უნდა დაეშოშმინებინათ, თუმცა მათაც დაიწყეს ლევან გვარჯალაძის ცემა, რაც გაგრძელდა დაახლოებით ორი წუთი. ძალადობის შეწყვეტა მხოლოდ იქ მაცხოვრებელი პირების ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ლევან გვარჯალაძემ სამედიცინო დახმარებისათვის მიმართა პირველ კლინიკურ საავადმყოფოს, სადაც მას მკურნალობდნენ ორი დღის განმავლობაში. დაზარალებულს დაესვა შემდეგი დიაგნოზი: ,,გულმკერდის დახურული ტრამვის დაჟეჟილობა, რბილი ქსოვილების ექსკორიაციები.

2008 წლის 28 მაისს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #007082112 საქმეზე ალექსანდრე სხირტლაძისათვის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით. 2008 წლის 6 ივნისს საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა სსკ–ის 239–ე მუხლის პირველი ნაწილით (ხულიგნობა).დაიკითხნენ დაზარალებული (ალექსანდრე სხირტლაძე) და მოწმეები. ჩატარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზები. 2008 წლის 7 ივნისს ლევან გვარჯალაძე სცნეს ბრალდებულად.

სემურ თანავერდიევის საქმის მსგავსად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში ხდება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რაშიც ბრალდებული თავს მიიჩნევს პოლიტიკური დევნის მსხვერპლად.

ნუგზარ ხუცურაული საქმე

ნუგზარ ხუცურაული არის ,,გაერთიანებული ოპოზიციის" აქტივისტი. 2008 წლის 30 მაისს დაახლოებით დღის 14:00 საათზე როდესაც, იგი სახლში ბრუნდებოდა, შენიშნა ავტომობილი სახელმწიფო ნომრებით EEW-760. სახლში დაბრუნების შემდეგ ნუგზარ ხუცურაული დაახლოებით დღის 14:30 საათზე გავიდა ეზოში, სადაც აღნიშნული ავტომობილიდან თავს დაესხა 4 რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული ნიღბიანი პირი. მათ ნუგზარ ხუცურაული მიწაზე დააგდეს და რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ თავის არეში და წიხლებს ურტყამდნენ მთელ სხეულზე. თავდასხმა დაახლოებით ერთი წუთს გაგრძელდა. თავდასხმის შეწყვეტის მიზეზი იყო გამვლელი ავტომობილი, რომლის დანახვითანავე ნიღბიანი პირები ჩასხდნენ მანქანაში და მიიმალნენ. სასწრაფო დახმარების მანქანამ ნუგზარ ხუცურაული პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას დაუსვეს ტვინის შერყევისა და სხეულის ზოგადი დაჟეჟილობის დიაგნოზი.

2008 წლის 09 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა, არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 30 მაისს ქალაქ თბილისის ისანი–სამგორის შს სამმართველოში წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის #004082901 საქმეზე, ნუგზარ ხუცურაულის სხეულის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის მე–3 ნაწილით.

სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად სცნეს და დაკითხეს ნუგზარ ხუცურაული, ქალაქ თბილისის #1 კლინიკური საავადმყოფოდან ამოიღეს ნუგზარ ხუცურაულის ავადმყოფობის ისტორიის ამონაწერი, დაინიშნა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა, დაიკითხნენ მოწმეები.

ამჟამად აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება და ინტენსიური ოპერატიული მუშაობა დამნაშავე პირთა დადგენისა და საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით.

პოლიტიკური დევნის მოტივი არც კონკრეტულ საქმეში გამოკვეთა წინასწარმა გამოძიებამ.

ლევან ჯღარკავას საქმე

ლევან ჯღარკავა არის ,,გაერთიანებული ოპოზიციის" აქტივისტი. ცხოვრობს ქალაქ თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში. 2008 წლის 29 მაისს დაახლოებით საღამოს 18:00 საათზე როდესაც, იგი სახლიდან აფთიაქში გავიდა, შენიშნა ვერცხლისფერი

BMW. აფთიაქნიდან გამოსვლისას მასთან მივიდა 30-32 წლის მამაკაცი, ხელი მოკიდა და გაყოლა სთხოვა. ამ დროს ლევან ჯღარკავამ დაინახა იქვე მდგომი მეორე მამაკაცი, რომელიც ნიღაბს იკეთებდა. მან თავის დახსნის მიზნით აღნიშნულ პირს ხელი მოუქნია. თავდამსხმელები ცდილობდნენ მის მანქანაში ძალით ჩასმა, ეს რომ ვერ მოახერხეს, მიწაზე დააწვინეს და რეზინის ხელკეტებით ცემეს, ურტყამდნენ მთელს სხეულზე. თავდასხმა დაახლოებით 2 წუთს გაგრძელდა. აღნიშნული ფაქტი მოხდა ქალაქ თბილისში იოანე პეტრიწის ქუჩაზე. დაზარალებული გადაიყვანეს ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში. მას ტვინის შერყევა და სხეულის ზოგადი დაზიანება დაუდგინდა.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს შსს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველო.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ფაქტამდე ორი დღით ადრე ლევან ჯღარკავას აცნობეს რომ მისი სახლის მიდებარე ტერიტორიაზე შეინიშნებოდა უცნობი ავტომობილები, ხოლო მეზობლებმა უთხრეს, რომ მოპირდაპირე კორპუსიდან უცნობი პირები ახორციელებდნენ თვალთვალს.

2008 წლის 09 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა, არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 30 მაისს ქალაქ თბილისის ვაკე–საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #007082129 საქმეზე, ლევან ჯღარკავას სხეულის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით.

სისხლის სამართლის საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები. ლევან ჯღარკავას სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის მიზნით დაინიშნა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნით ლევან ჯღარკავასათვის მიყენებული დაზიანებები სხეულის მსუბუქი დაზიანების ხარისხს, რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მოშლა.

2008 წლის 25 სექტემბერს ლევან ჯღარკავამ განცხადებით მიმართა საგამოძიებო ორგანოებს და მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ ის მომხდარი ფაქტის შედეგად დაზიანდა მსუბუქად და პრეტენზია არავის მიმართ არ გააჩნია. მოცემულ საქმეზე 2008 წლის 25 სექტემბერს შეწყდა წინასწარი გამოძიება.

გიორგი შერვაშიძის საქმე

გიორგი შერვაშიძე არის პოლიტიკური ბლოკის, ,,დემოკრატების“ წევრი. აღნიშნული პოლიტიკური ძალა 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში გამოდიოდა სახელწოდებით ,,ქრისტიანულ–დემოკრატიული ალიანსი.“ გიორგი შერვაშიძე იყო აღნიშნული საარჩევნო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზუგდიდის #67–ე საარჩევნო ოლქში. გიორგი შერვაშიძე წარსულში იყო შინაგანი ჯარების

სარდალი, აქვს გენერალ–ლეიტენანტის წოდება. ამჟამად, პოლიტიკური ბლოკი „დემოკრატები“ იმყოფებიან არასაპარლამენტო ოპოზიციაში.

2008 წლის 19 ივნისს საღამოს 20 საათზე გიორგი შერვაშიძე ავტომანქანით მივიდა თავის ავტოფარეხთან, რომელიც მდებარეობს მისი საცხოვრებელი კორპუსის პირდაპირ, ქალაქ თბილისში, ტაშკენტის ქუჩაზე. გიორგი შერვაშიძე გადმოვიდა ავტომანქანიდან, გააღო ავტოფარეხის კარი და ამ დროს უკნიდან იგრძნო დარტყმა. გიორგი შერვაშიძე ძირს დავარდა. მან დაინახა, რომ თავს დაესხა ოთხი პირი. ერთ მათგანს ეცვა ზოლიანი მაისური, ხოლო სამს შავი ფერის ტანსაცმელი. ერთ–ერთმა თავდამსხმელმა ყელში წაუჭირა დაზარალებულს, რის შემდეგაც გონება დაკარგა. ამ დროს ყეფა დაიწყო გიორგი შერვაშიძის კუთვნილმა, კავკასიური ჯიშის „ნაგაზმა.“ ყეფამ მიიქცია გიორგი შერვაშიძის მეუღლის, ნინო შერვაშიძის ყურადღება. ეს უკანასკნელი გავიდა თავისი საცხოვრებელი სახლის აივანზე და დაინახა, რომ ოთხი ათლეტური აღნაგობის პირი გიორგი შერვაშიძეს სცემდა. ნინო შერვაშიძის განმარტებით, მისგან ზურგით მდგომ პირს, რომელიც სხვებთან შედარებით დაბალი იყო, ეცვა ყვითელი მაისური, რომელსაც თან გასდევდა შავი ფერის ზოლები. დანარჩენ სამ თავდამსხმელს ეცვა შავი ფერის პერანგი, იმავე ფერის შარვალი და სახეზე ეკეთა ნიღბები, საიდანაც მხოლოდ თავდამსხმელების თვალები ჩანდა. ერთ–ერთ თავდამსხმელი გიორგი შერვაშიძეს ხელს ყელზე უჭერდა, დანარჩენები წიხლებსა და ხელკეტს ურტყამდნენ. ამის შემდეგ, ნინო შერვაშიძემ დაიწყო ყვირილი, რაზედაც თავდამსხმელებმა შეწყვიტეს გიორგი შერვაშიძის ცემა და გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან. გაქცეულებს უკან მიჰყვებოდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული თავდამსხმელი. გიორგი შერვაშიძე უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა ათი წუთის განმავლობაში. როდესაც გონს მოვიდა, დაინახა, რომ გარს მეზობლები დასტრიალებდნენ. მასთან ამ მომენტში თავდამსხმელები უკვე აღარ იმყოფებოდნენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

ბორის ძანაშვილის საქმე

ბორის ძანაშვილი არის „გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე ბორის ძანაშვილი იყო ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. მისი განმარტებით, 2008 წლის 1 ივნისს, დაახლოებით 2 საათსა და 15 წუთზე იგი ბრუნდებოდა სახლში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ს.ჩიქოვანის #18-ში. მან სახლთან გააჩერა ავტომანქანა, ხოლო მანქანიდან 10 მეტრში, სადარბაზოსთან შენიშნა შავი ფერის ფოლცვაგენ-პასატის მარკის ავტომანქანა, ტრანზიტული ნომრებით. აღნიშნული ავტომანქანის ოთხივე კარი გაიღო. ბორის ძანაშვილი გაიქცა სადარბაზოსაკენ. კორპუსის შესასვლელთან, ზურგის არეში იგრძნო ძლიერი დარტმა, სადარბაზოს კარებს მოკიდა ხელი და ინსტიქტურად უკან მიიხედა. ამ დროს დაინახა ნიღბიანი პირი, რომელიც სავარაუდოდ, მას შემდეგ, რაც ბორის ძანაშვილს ზურგში წიხლი ჩაარტყა, წაიქცა და ფეხზე ადგომას ცდილობდა. მას უკან მისდევდა კიდევ ერთი მამაკაცი, ხოლო მესამე პირი, მათი მიმართულებით ყვიროდა: „არ გაუშვათ, დაიჭირეთ, არ გაგექცეთ“. ბორის ძანაშვილი სწრაფად შევიდა

სახლში და მაშინვე გაეშურა თავისი ბინის აივანისკენ, საიდანაც დააფიქსირა, თუ როგორ დატოვა შავი ფერის ფოლცვაგენ-პასატის მარკის ავტომანქანამ მისი სახლის მიმდებარე ტერიტორია.

ბორის ძანაშვილს მიყენებული დაზიანების გამო გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც იგი დილის 6 სთ-ზე სასწრაფო დახმარების მიერ გადაყვანილ იქნა ქ.თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ბორის ძანაშვილი აღნიშნულ თავდასხმას უკავშირებს თავის პოლიტიკურ საქმიანობას.

2008 წლის 30 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა, არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის პირველ ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე–საბურთალოს სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #007082153 საქმეზე, მოქალაქე ბორის ძანაშვილის სხეულის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმეზე დაზარალებულის სახით დაიკითხა ბორის ძანაშვილი, ჩატარდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, ბორის ძანაშვილს სხეულზე რაიმე ფიზიკური დაზიანების ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება. 2008 წლის 4 აგვისტოს შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28–ე მუხლის ,,ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (კერძო ბრალდების საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტა დაზარალებულის საჩივრის არარსებობის გამო).

როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 120–ე მუხლი (ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება) კოლიზიაში მოდის სსკ–ის 142–ე და 156–ე მუხლებთან, მაშინ ქმედების კვალიფიკაცია სწორედ ამ მუხლებით უნდა მომხდარიყო. მოდის სსკ–ის 142–ე და 156–ე მუხლები მოიცავენ 120–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. იმავე დროს 120–ე მუხლისაგან განსხვავებით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისა და დევნის დანაშაულები არ წარმოადგენენ კერძო ბრალდების საქმეს. ამგვარად, არასწორად მოხდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტა.

იოსებ ბორცვაძის საქმე

იოსებ ბორცვაძე იყო გორის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გიორგი მოსიძის საარჩევნო შტაბის უფროსი.

2008 წლის პირველ ივნისს 22:30 საათზე იოსებ ბორცვაძე ,,ახალი მემარჯვენეების“ გორის ოფისიდან გამოვიდა. იმ დღეს მშობლებისაგან შეიტყო, რომ მათი

საცხოვრებელი სახლი უცხო პირების მხრიდან მუდმივი თვალთავლის ობიექტს წარმოადგენდა. ამის გამო, მას სთხოვეს, ფეხით არ ევლო. იოსებ ბორცვაძემ ტაქსი გააჩერა და გაემართა საცხოვრებელი სახლისაკენ. გზად, საკაძის ქუჩაზე ტაქსს წამოეწია მუქი ლურჯი ფერის, ტრანზიტული ნომრის მქონე ავტომანქანა ,,ოპელი.“ ტაქსი გაჩერდა იმ ვარაუდით, რომ გზა დაეთმო ,,ოპელის“ მარკის ავტომანქანისათვის. ნაცვლად ამისა, ,,ოპელის“ მარკის ავტომანქანიდან გადმოვიდა ორი მამაკაცი. ერთი მათგანი მიუახლოვდა იმ ტაქსის კარს, სადაც იჯდა იოსებ ბორცვაძე, ხოლო მეორე დადგა თავისი ავტომანქანის უკან. უცნობმა გააღო ტაქსის კარი და იოსებ ბორცვაძეს ჰკითხა, თუ რა ინახებოდა მის ჯიბეში. უცნობი მიუთითებდა CD დისკზე გადატანილ იმ ვიდეომასალაზე, სადაც ასახული იყო 2008 წლის 21 მაისს არჩევნების დღეს მომხდარი დარღვევები. კითხვის დასმის შემდეგ იოსებ ბორცვაძე გადმოვიდა ტაქსიდან, რასაც მომენტალურად მოჰყვა მოსაუბრის მხრიდან ხელის დარტყმა სახის არეში. ამის შემდეგ მანქანის უკან მდგარმა მეორე პირმა სახეზე გაიკეთა ნიღაბი და იოსებ ბორცვაძეს ზურგის მხრიდან დაარტყა. ამას თან ახლდა ,,ოპელის“ მარკის ავტომანქანიდან მესამე ნიღბიანი პირის გამოჩენა, რომელსაც ხელში ბეისბოლის ჯოხი ეჭირა. მესამე მამაკაცმა ორჯერ დაარტყა იოსებ ბორცვაძეს ბეისბოლის ჯოხი. სხვებმა წაქცევის მიზნით, შემოახიეს ტანსაცმელი. ამ დროს გამოცვივდნენ მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელი პირები. ამის გამო თავდამსხმელების ერთი ნაწილი ჩაჯდა ,,ოპელის“ მარკის ავტომანქანაში, ხოლო მეორე ნაწილი იმ ტაქსში, რომელიც იოსებ ბორცვაძეს ემსახურებოდა და დატოვეს შემთხვევის ადგილი.

იოსებ ბორცვაძე აღნიშნულ თავდასხმას უკავშირებს თავის პოლიტიკურ საქმიანობას.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. 2008 წლის 11 სექტემბერს სახალხო დამცველმა წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით მიმართა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს, თუმცა პასუხი მოხსენების პარლამენტში წარდგენის დრომდე არ უცნობებიათ.

ზურაბ გიგუაშვილის საქმე

2008 წლის 10 ივნისს დაახლოებით 15 საათზე თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის, ბიძა, პარტია ,,მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის“ სარევიზიო კომისიის წევრი, ზურაბ გიგუაშვილი საკუთარი ავტომანქანით მოძრაობდა ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. საარბრიუკენის მოედნის გადასახვევთან მან შეამჩნია, რომ ორი ავტომანქანა აპირებდა მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით გადასვლას. ერთ–ერთი ავტომანქანა იყო ირანული წარმოების ტაქსი. ზურაბ გიგუაშვილმა აღნიშნულ ორ ავტომანქანას გვერდი აუქცია. ამ დროს მას წამოეწია ,,ოპელის“ მარკის, მწვანე ფერის ავტომანქანა PGD -143. ეს უკანასკნელი წინ გადაუდგა ზურაბ გიგუაშვილს და აღარ აძლევდა გზის გაგრძელების შესაძლებლობას. იმავე მომენტში ზურაბ გიგუაშვილის კუთვნილ ავტომანქანას უკანა მხრიდან ამოუდგა ირანული წარმოების ტაქსი.

„ოპელის“ მარკის ავტომანქანიდან ოთხი პიროვნება გადმოვიდა. მათ ზურაბ გიგუაშვილს წარუდგინეს შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ზურაბ გიგუაშვილმა ვერ შეძლო დოკუმენტში დაფიქსირებული სახელებისა და თანამდებობების წაკითხვა.

ოთხმა პირმა ზურაბ გიგუაშვილი ძალით წაიყვანა და ჩასვა ოპელის მარკის ავტომანქანაში. ამ დროს დაზარალებულმა იკითხა, თავდასხმასთან დაკავშირებით საქმის კურსში იყო თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრი, ივანე მერაბიშვილი. თავდამსხმელებმა ზურაბ გიგუაშვილს უპასუხეს, რომ ყველა კომპეტენტური პირმა იცოდა აღნიშნულის თაობაზე. ოთხმა პიროვნებამ ზურაბ გიგუაშვილის კუთვნილი ავტომანქანიდან ამოიღეს კომპიუტერი (ნოუთბუქი), სპორტული ჩანთა, მობილური ტელეფონის ბარათები, მართვის მოწმობა, პლასტიკური ბარათები, რომელიც სხვა პირებს ეკუთნოდა. ხოლო თავად ზურაბ გიგუაშვილის პლასტიკური ბარათი და ფულადი თანხა არ წაუღიათ. ამის შემდეგ, ავტომანქანის კარი ჩაკეტეს. ზურაბ გიგუაშვილს თავზე ნიღაბი ჩამოაცვეს და ოპელის მარკის ავტომანქანა გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ზურაბ გიგუაშვილი იჯდა მანქანის უკანა სალონში. უკან ზურაბ გიგუაშვილის გვერდით დაჯდა ორი თავდამსხმელი. ხოლო წინ, მძღოლის გვერდით, ერთი თავდამსხმელი, რომელიც ყველაზე მეტად აქტიუროობდა და ზურაბ გიგუაშვილს „მოღალატეს“ უწოდებდა.

ოც წუთიანი მგზავრობის შემდეგ, ავტომანქანა გაჩერდა გრუნტიან გზაზე. ყველა თავდამსხმელმა ნიღაბი გაიკეთა. მათ შორის ერთ–ერთმა ის ნიღაბი, რომელსაც ზურაბ გიგუაშვილი ატარებდა, ამ უკანასკნელს მოხადა და თავად მოირგო. ზურაბ გიგუაშვილი ავტომანქანიდან გადმოიყვანეს. ნიღბიანებმა დაიწყეს ზურაბ გიგუაშვილის წიხლებით ცემა. ზურაბ გიგუაშვილს არ ახსოვს ხელკეტის გამოყენების ფაქტი, თუმცა ეჭვობს, რომ მის ზურგზე გაჩენილი ზოლი აღნიშნული საშუალების გამოყენების შედეგი უნდა იყოს. თავდაპირველად, ზურაბ გიგუაშვილის ფიზიკურ შეურაცხყოფაში მონაწილეობდა ოთხივე თავდამსხმელი. შემდეგ, ერთერთმა მათგანმა შემთხვევის ადგილზე მიიტანა ვიდეოკამერა და ძალადობის გადაღება დაიწყო. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების დროს, თავდამსხმელები ირაკლი ოქრუაშვილისა და გაერთიანებული ოპოზიციისაგან ჩამოშორებას ითხოვდნენ. ზურაბ გიგუაშვილი მათ პასუხობდა, რომ არ შეეძლო, ირაკლი ოქრუაშვილისათვის ეღალატა, არა იმის გამო, რომ იგი მისი ახლო ნათესავია, არამედ იმიტომაც, რომ მის მხარდაჭერას ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ამოცანად თვლიდა.

ზურაბ გიგუაშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებამ დაახლოებით თორმეტ წუთს გასტანა. ამის შემდეგ, კამერა გამოირთო და თავდამსხმელებმა ძალადობა შეწყვიტეს. ნიღბიანები ჩასხდნენ „ოპელის“ მარკის ავტომანქანაში და ძირს დაგდებული ზურაბ გიგუაშვილი მარტო დატოვეს. ამ მდგომარეობაში ზურაბ გიგუაშვილი ათ წუთს იმყოფებოდა. ბოლოს ძალა მოიკრიფა და დიდი ძალისხმევის შედეგად, ფეხით გადაადგილდებოდა. დაახლოებით თხუთმეტი მეტრის გავლის შემდეგ, შეხვდა ორ პირს. ერთ–ერთი მათგანის მობილური ტელეფონით ზარი გაუშვა თანაპარტიელთან. დაახლოებით ოცდაათ წუთში დაახლოებულმა პირებმა ზურაბ გიგუაშვილს ფონიჭალაში მიაკითხეს და თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ზურაბ გიგუაშვილის სამედიცინო კონსულტაციის ჩანაწერით, პაციენტს გულმკერდისა და მარცხენა ტერფის არეში აღენიშნება სისხლჩაქცევები და შესიება.

2008 წლის 15 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები გადააგზავნა სათანადო ორგანოებში შემდგომი რეაგირებისათვის. წერილობითი პასუხი სახალხო დამცველს მოხსენების პარლამენტში წარდგენის დრომდე არ მიუღია.

ამირან იობაშვილის საქმე

ამირან იობაშვილს არის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ,,ერთიანი საქართველოსთვის" წევრი.

2008 წლის 29 მაისს მას სახლში ესტუმრა გლდანი-ნაძლადევის შსს რაიონული განყოფილების უბნის ინსპექტორი, რომელმაც მოითხოვა მათი ოჯახის წევრების კუთვნილი ავტომანქანების შესახებ ინფორმაცია.

მეორე დღეს, 30 მაისს, დაახლოებით დღის 10:30 საათზე, როდესაც ამირან იობაშვილს ავტოფარეხიდან საკუთარი ავტომობილი გამოყავდა, თავს მოულოდნელად დაესხა დაახლოებით 5-6 ნიღბიანი და რკინის ხელკეტებით შეიარაღებული პირი. ისინი თავისა და ფეხების არეში ურტყამდნენ ამირან იობიშვილს. ფიზიკური შეურაცხყოფა დაახლოებით 10 წუთს გრძელდებოდა, ერთ-ერთი მათგანი სხვებს მოუწოდებდა და ყვიროდა: ,,მოკალით!". თავდამსხმელებს თან ახლდათ BMW-სა და opel-ის მარკის უნომრო ავტომობილები. ამ შემთხვევის თვითმხილველები დაზარალებულის მეზობლები გახდნენ. ამის შემდეგ ამირან იობაშვილი პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ამირან იობაშვილი აღნიშნულ ფაქტს მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

2008 წლის 30 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა, არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 30 მაისს ქალაქ თბილისის გლდანი–ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #001082407 საქმეზე, ამირან იობაშვილის სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმეზე დაზარალებულის სახით დაიკითხა ამირან იობაშვილი, დაიკითხნენ მოწმეები, დაინიშნა და ჩატარდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი.

მამუკა კვარაცხელიას საქმე

2008 წლის 2 ივნისს სახალხო დამცველს მასზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით ახსნა–განმარტება მისცა ,,გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტმა მამუკა კვარაცხელიამ.

მამუკა კვარაცხელიას განმარტებით, 2008 წლის პირველ ივნისს იგი მიემართებოდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თავისი მეგობრის, რუსი ჟურნალისტის დასახვედრად. ბუშის ქუჩასთან მიახლოებისას მის ავტომანქანას გვერდით ამოუდგა უცხოური, ,,ჯიპის“ მარკის ავტომობილი. მამუკა კვარცხელიამ აღნიშნული ავტომანქანისათვის გვერდის აქცევა სცადა, თუმცა ,,ჯიპი“ მას წინ გადაუდგა. ამ უკანასკნელი ავტომანქანიდან ოთხი ნიღბიანი გადმოვიდა. მათ შუაში მოიმწყვდიეს მამუკა კვარაცხელია, ხელ–ფეხი წებოვანი ლენტით, ე.წ. ,,სკოჩით“ შეუკრეს, ,,ჯიპის“ მარკის ავტომობილში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ავტომანქანაში გამტაცებლები მამუკა კვარაცხელიას ზურგის არეში ურტყამდნენ. მამუკა კვარაცხელიას თავზე ეფარა ქუდი, რომელიც წებოვანი ლენტით იყო დამაგრებული. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, მამუკა კვარაცხელია გადმოიყვანეს ავტომობილიდან, ძირს დასვეს და დაახლოებით ერთი საათის მანძილზე თავისა და ზურგის არეში წიხლებს, ხელკეტებს ურტყამდნენ. ამ დროის განმავლობაში მისგან თავდამსხმელები ფულს ითხოვდნენ.

ერთი საათის გასვლის შემდეგ, გამტაცებლებმა მამუკა კვარაცხელია ავტომანქანაში დააბრუნეს და შემთხვევის ადგილი დატოვეს. ავტომანქანა დაახლოებით 30 წუთი მოძრაობდა. მამუკა კვარაცხელია ხელმეორედ გახდა ფიზიკური ძალადობის ობიექტი. ზემოთ მითითებული დროის გასვლის შემდეგ, ავტომანქანა გაჩერდა. მამუკა კვარაცხელიას ნიშნობის ბეჭედი მოხსნეს, გაჩხრიკეს, ყველა მის ხელთ არსებული საბუთი ჩამოართვეს და წებოვან ლენტაში გახვეული ავტომანქანიდან გადააგდეს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მამუკა კვარაცხელიას ძაღლის ყეფა შემოესმა. ძაღლის მესაკუთრემ გაათავისუფლა იგი წებოვანი ლენტისაგან და ტელეფონით მამუკა კვარაცხელიას ძმას დაუკავშირდა. მამუკა კვარაცხელიამ აღმოაჩინა, რომ ვაშლიჯვრის ტყეში იმყოფებოდა. მას მანქანით ძმამ მიაკითხა, რის შემდეგაც იგი მოათავსეს თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მამუკა კვარაცხელიას დაუსვეს შემდეგი დიაგნოზი: სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, მარცხენა იდაყვისა და მარცხენა ფეხზე მცირე წვივის ძვლის მოტეხილობა.

2008 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა, არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 1 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის ისანი–სამგორის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #004082938 საქმეზე. მამუკა კვარაცხელიას მიმართ განხორციელებული ძარცვის ფაქტზე. რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომ საქმეზე დაზუსტდა კვალიფიკაცია და გამოძიება წარიმართა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178–ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა,“ ,,დ,“ და ,,ე“ ქვეპუნქტით (ძარცვა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ), 143–ე მუხლის მე–2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების

მიზნით) ამავე მუხლის მე–3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და 181–ე მუხლის მე–2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით (გამოძალვა ჩადენილი ჯგუფურად) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გამოძიების პროცესში დაზარალებულის სახით დაიკითხა მამუკა კვარაცხელია, დაიკითხნენ მოწმეები, საქმეზე დაინიშნა სასამართლო–სამედიცინო, ბიოლოგიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზები.

ამჟამად საქმეზე გამოძიება გრძელდება.

დავით საზანაშვილის საქმე

2008 წლის 31 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებული გაესაუბრა ,,გაერთიანებული ოპოზიციის“ აქტივისტს, დავით საზანიშვილს. იგი მონაწილეობას იღებდა 2008 წლის მარტის თვეში პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე შიმშილობის აქციაში.

2008 წლის 30 მაისს, დაახლოებით 15 საათზე, დავით საზანიშვილი ავტობუსით მიდიოდა თავისი მეგობრის, ლადო ბასილაიას სახლში. დავით საზანიშვილი ავტობუსიდან ჩამოვიდა ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, მაღაზია ,,სალამურასთან.“ ამ დროს დავით საზანიშვილმა შენიშნა ვერცხლისფერი BMW–ს მარკის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა ოთხი პირი. მათ ეცვათ სამოქალაქო ტანსაცმელი და სახეზე ნიღბები ეკეთათ. უცნობები მიუახლოვდნენ დავით საზანაშვილს, ავტომანქანაში ძალით ჩასვეს და თავზე შავი ფერის პარკი ჩამოაფარეს. ამის შემდეგ, ავტომანქანა დაიძრა სავარაუდოდ აფრიკის დასახლების მიმართულებით. გზად მხოლოდ ერთ–ერთმა გამტაცებელმა დაარღვია დუმილი და გააფრთხილა, ჩუმად ყოფილიყო. ერთ–ერთი პირი ასევე სარგებლობდა მობილური ტელეფონით და მოსაუბრეს მიმართავდა შემდეგი სიტყვებით: ,,ხო,“ ,,კი,“ ,,ყველაფერი კარგადაა, მოგვყავს.“

ავტომანქანის გაჩერების შემდეგ, დავით საზანიშვილი გადმოიყვანეს და დაახლოებით ოთხი წუთის განმავლობაში მას სასტიკად სცემდნენ. ამ დროის მანძილზე მას რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ. როდესაც მას შეეხნენ თირკმლის არეში, ერთერთმა მოძალადემ იყვირა, არ დაეზიანებინათ თირკმლები. შავი პარკიდან, რომელიც დავით საზანიშვილს თავზე ჰქონდა წამოცმული, დაზარალებულმა შენიშნა დაახლოებით 10 მამაკაცი, რომლებსაც სახეზე ნიღბები ჰქონდათ ჩამოფარებული და ჯინსები ეცვათ. ხუთი წუთის გასვლის შემდეგ თავდამსხმელები ჩასხდნენ ავტომანქანაში და დავით საზანიშვილი შემთხვევის ადგილზე მარტო დატოვეს. ავტომანქანის სიგნალის მიხედვით დავით საზანიშვილი მიხვდა, რომ თავდამსხმელები ორი ავტომანქანით მოძრაობდნენ. ათი წუთის გასვლის შემდეგ, დავით საზანიშვილი გადმოვიდა ტრასაზე, ტაქსი გააჩერა და წავიდა თავის საცხოვრებელ სახლში. დაზარალებულს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება. მას დაუსვეს შემდეგი დიაგნოზი: სხეულის ზოგადი დაჭეჭილობა, მარცხენა ფეხზე კოჭის არეში აღენიშნება შემავალი ჭრილობა.

დავით საზანიშვილი აღნიშნული თავდასხმის ფაქტს უკავშირებს თავის პოლიტიკურ საქმიანობას.

2008 წლის 15 ივლისს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით გადაუგზავნა შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს.

2008 წლის 25 აგვისტოს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა, არჩილ გიორგაძემ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 30 მაისს ქალაქ თბილისის ისანი–სამგორის სამმართველოს პოლიციის განყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #004082922 საქმეზე, დავით საზანიშვილის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის მე–3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე დაზარალებულად ცნეს და დაკითხეს დავით საზანიშვილი. დაზარალებულმა უარი განაცხადა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე.

დავით მეტრეველის საქმე

2008 წლის 3 ივნისს თავდასხმის დეტალებთან დაკავშირებით დავით მეტრეველმა ინფორმაცია მიაწოდა სახალხო დამცველს. დავით მეტრეველი არის „გაერთიანებული ოპოზიცია–ახალი მემარჯვენეების“ ხაშურის რაიონული ორგანიზაციის აქტიური წევრი.

2008 წლის 1 ივნისს დავით მეტრეველმა შენიშნა სავარაუდოდ მუქი ლურჯი ფერის ოპელის ან „BMW”–ს მარკის ავტომანქანიდან, უცხო ქვეყნის ნომრებით, საიდანაც უცნობი მამაკაცები მას უთვალთვალებდნენ. ამავე დღეს დავით მეტრეველთან მივიდა მეზობელი, რომლის სახელს და გვარს დავით მეტრეველი არ ასახელებს. მეზობელმა მას უთხრა, რომ აღნიშნული ავტომანქანა საეჭვოდ მოძრაობდა დავით მეტრეველის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. იგი შეიმჩნეოდა 22–23 საათამდე. 2008 წლის 2 ივნისს დავით მეტრეველთან ხელმეორედ მივიდა მეზობელი და სთხოვა გარეთ გასვლას მორიდებოდა, ვინაიდან უცნობი პირები განაგრძობდნენ მისი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნელი სვლით მოძრაობას. ამავე დღის დაახლოებით დილის 11 სთ–ზე დავით მეტრეველმა გაიხედა სახლის ფანჯრიდან და დაინახა, რომ ქალაქ ხაშურში, ცხრა აპრილის ქუჩაზე, წმინდა მარინეს ეკლესიასთან იდგა თეთრი ფერის ნივა სახელმწიფო ნომრით SMS 545. დავით მეტრეველს ეჭვი გაუჩნდა, რომ აღნიშნული ავტომანქანაში მყოფი პირები მას უთვალთვალებდნენ.

დღის 12 სთ–ზე მან მეზობელს, ტარიელ ბარბაქაძეს, სთხოვა გაყოლოდა მას, რათა შემოწმებინათ, ისევ იდგა თუ არა ავტომანქანა ქალაქ ხაშურში ცხრა აპრილის ქუჩაზე. მათ დააფიქსირეს, რომ ავტომობილს შეცვლილი ჰქონდა ადგილი და იდგა დავით მეტრეველის სახლთან ახლოს. ვინაიდან ქუჩაში იყო ხალხმრავლობა, დავით მეტრეველმა ჩათვალა, რომ მისთვის იქ ყოფნა უსაფრთხო იყო და ტარიელ

ბარბაქაძესთან ერთად განაგრძო გზა. თეთრი ფერის ,,ნივა“ დაიძრა მათი მიმართულებით, გაჩერდა, მანქანიდან გადმოვიდა სამი ნიღბიანი მამაკაცი. მათ დავით მეტრეველს შემდეგი სიტყვებით მიმართეს ,,აღარ დაანებებ ამ ამბავს თავს“ და დაიწყეს მისი ცემა ხელკეტებით და წიხლებით. წააქციეს და ურტყამდნენ ძირითადად თავისა და წელის არეში. მისი ცემა გრძელდებოდა დაახლოებით 2 წუთი და მას შემდეგ შეწყდა, რაც ქუჩაში მყოფმა მეზობლებმა მისი დახმარება სცადეს. თავდამსხმელებმა დატოვეს შემთხვევის ადგილი. მოგვიანებით დავით მეტრეველი გადაიყვანეს ხაშურის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც მას ყვრიმალის ძვლის მოტეხილობა და სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა დაუდგინდა.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს ხაშურის რაიონული პოლიცია. დავით მეტრეველის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი უკავშირდება მის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და აქტივობას. 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან მოითხოვა ინფორმაცია აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით წერილობითი პასუხი სახალხო დამცველს მოხსენების პარლამენტში წარდგენის დრომდე არ მიუღია.

გვანცა ხოსიტაშვილის საქმე

2008 წლის 6 მაისს სახალხო დამცველს მასზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის“ საბურთალოს საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გიორგი მელაძის საარჩევნო შტაბის წევრმა გვანცა ხოსიტაშვილმა. მისი განმარტებით, 2008 წლის 23 აპრილს სოფელ დიღომში, თავის მეწყვილესთან, რუსუდან ხოსიტაშვილთან ერთად ატარებდა გამოკითხვას ,,კარდაკარის“ პრინციპით. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების პროცესში ისინი მიუახლოვდნენ ერთერთი საცხოვრებელი სახლის ჭიშკარს, სადაც შეხვდნენ რამდენიმე ქალბატონს. როდესაც მათ შეიტყვეს, რომ გვანცა და რუსუდან ხოსიტაშვილები ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები იყვნენ, გამოხატეს მათ მიმართ დაუფარავი აგრესია. უცნობმა ქალბატონებმა ახალგაზრდა აქტივისტებს ,,გამყალბებლები“ უწოდეს. გვანცა ხოსიტაშვილმა ინციდენტის შემდგომ გაარკვია, რომ აგრესიულად განწყობილ ერთ–ერთ ქალბატონს ერქვა ნინო მელიქიშვილი. ეს უკანასკნელი ,,რესპუბლიკური პარტიის“ მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იყო დანიშნული. ნინო მელიქიშვილმა რუსუდან ხოსიტაშვილს მიმართა, რომ მისი პირადობის მონაცემები რუსუდან ხოსიტაშვილის მამისაგან შეეტყო, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, ნინო მელიქიშვილი იცნობდა. ამის შემდეგ ნინო მელიქიშვილი მიუახლოვდა გვანცა ხოსიტაშვილს, იმ ვარაუდით, რომ სამარშრუტო ფურცელს წაართმევდა და გაანადგურებდა, ორივე ხელი გადაუგრიხა. ამის შედეგად, გვანცა ხოსიტაშვილს მარჯვენა ხელის ნეკა თითი და მარცხენა ხელის მეოთხე თითი მოტყდა. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ, გვანცა ხოსიტაშვილმა თავი იქვე მდებარე საცხოვრებელ სახლს შეაფარა. იგი ტელეფონით

თავის დას დაუკავშირდა, რის შემდეგაც კლინიკაში აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

2008 წლის 16 მაისს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე–საბურთალოს სამმართველოს.

2008 წლის 17 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე–საბურთალოს სამმართველოს მე–4 განყოფილების უფროსმა სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2008 წლის 23 აპრილს ტრავმატოლოგიური ინსტიტუტიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე აღნიშნულ განყოფილებაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #007081689 საქმეზე, გვანცა ხოსიტაშვილისათვის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით.

აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულად სცნეს და ამგვარი სტატუსით დაკითხეს გვანცა ხოსიტაშვილი. მოწმის სახით დაიკითხნენ გვანცა ხოსიტაშვილის მეწყვილე რუსუდან ხოსიტაშვილი და სავარაუდო თავდამსხმელი ნინო მელიქიშვილი. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაინიშნა სასამართლო–სამედიცნო ექსპერტიზა.

ილია ფუტკარაძის საქმე

2008 წლის 14 მაისს სახალხო დამცველს მიმართა ზესტაფონის საარჩევნო ოლქის სოფელი არგვეთის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა ,,კონსერვატიული პარტიიდან" ილია ფუტკარაძემ. მისი განმარტებით, 2008 წლის 9 მაისს ღამის 11 საათზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ საქარასთან დახვდა ექვსი უცნობი პირი. მათ ილია ფუტკარაძის ვინაობა იკითხეს. თავისი სახელის წარმოთქმის შემდეგ, უცნობებმა განაცხადეს, რომ სწორედ მას ეძებდნენ. ამის შემდეგ, ილია ფუტკარაძეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. დაზარალებული 2008 წლის 5 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნების დროს იყო პარტია ,,თავისუფლების" პრეზიდენტობის კანდიდატის, ლევან გაჩეჩილაძის აგიტატორი და აღნიშნულ თავდასხმას სწორედ ამ გარემოებას უკავშირებს.

ჟანა ოქრუაშვილის საქმე

შპს ,,გირჩის" კუთვნილ კერძო სკოლა ,,ჯეჯილის" დირექტორის მიერ 2007 წლის 8 ოქტომბერს გამოცემული #345/კ ბრძანების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლდა გერმანული ენის მასწავლებელი ჟანა გიგუაშვილი. ეს უკანასკნელი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას უკავშირებს პოლიტიკურ დევნას. ჟანა გიგუაშვილი სახალხო დამცველისათვის საანგარიშო პერიოდში მიცემულ ახსნა–განმარტებაში აღნიშნავს, რომ სამსახურიდან გათავისუფლებას წინ უსწრებდა მისი

ვაჟიშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება, რაც 2007 წლის 27 სექტემბერს მოხდა. ჟანა გიგუაშვილის აზრით, სამსახურიდან დათხოვნის რეალური მოტივაცია სწორედ მისი ვაჟიშვილის დაპატიმრება გახდა.

არჩილ ჯორჯაძისა და ნელი ცქიტიშვილის საქმე

2008 წლის 25 ივნისს სახალხო დამცველს ახსნა–განმარტება მისცა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სპეციალობის ყოფილმა კოორდინატორმა არჩილ ჯორჯაძემ.

2008 წლის 13 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს, ჰამლეტ რაზმაძეს განცხადებით არჩილ ჯორჯაძემ. განცხადებაში აღნიშნულია:

„ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს სასტიკი პოლიტიკური ტერორისა და რეპრესიების ქვეშ. ირღვევა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები. ფეხქვეშ ითელება ადამიანის პატივი და ღირსება. აღარ არსებობს პიროვნების თავისუფალი განვითარების საშუალება. ჩემი, როგორც „გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ საარჩევნო შტაბის წევრისა და იურისტის მიმართ ხორციელდება მძიმე ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლა, შანტაჟი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან, რათა ჩემი უნივერსიტეტში ყოფნით საფრთხე არ შევუქმნა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და ზოგადად უნივერსიტეტს. იმედი მაქვს, მალე ვიქნებით თავისუფალი და ვიცხოვრებთ ერთიან საქართველოში.“

2008 წლის 22 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა, ჰამლეტ რაზმაძემ მიიღო არჩილ ჯორჯაძის გათავისუფლების შესახებ #172 ბრძანება. ამ დოკუმენტში აღნიშნულია: „თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სპეციალობის კოორდინატორი, არჩილ ჯორჯაძე 2008 წლის 22 მაისიდან გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.“

არჩილ ჯორჯაძე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა 2005 წლის პირველი ნოემბრიდან 2008 წლის 22 მაისამდე. ამ დროის განმავლობაში არჩილ ჯორჯაძე იყო საჯარო სამართლის (ადამიანის უფლებები, კონსტიტუციური სამართალი და მოქალაქეობა) მიმართულების მასწავლებელი. 2007 წლის 1 ნოემბრიდან არჩილ ჯორჯაძე დაინიშნა იურიდიული სპეციალობის კოორდინატორად. 2007 წლის ნოემბრის თვეში ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში და გახდა პარტია „თავისუფლების“ წევრი. 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში წარმოადგენდა აღნიშნულ პარტიას თელავის #17 საოლქო საარჩევნო კომისიაში. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში დაიკავა საარჩევნო ბლოკის, „გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეებისა“ და

თელავის #17 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ფიქრია ჩიხრაძის საარჩევნო შტაბის იურისტის თანამდებობა.

2008 წლის 7 მაისს არჩილ ჯორჯაძემ ფიქრია ჩიხრაძესთან თელავის სახელმწიფო უნივერისიტეტის შენობაში ამომრჩეველთან შეხვედრას გაუწია ორგანიზება. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნით ადრე, იგივე დარბაზი საარჩევნო კამპანიისათვის გამოიყენა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის“ თელავის #17 საოლქო საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, გიორგი არსენიშვილმა. ფიქრია ჩიხრაძესთან შეხვედრას ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებიც დაესწრნენ. არჩილ ჯორჯაძის განმარტებით, კონკურენტი პარტიის მხარდამჭერები მუქარის ძალით სტუდენტებს აიძულებდნენ, შეხვედრაზე დასწრებისაგან თავის შეკავებას. იმავე მოტივით, უნივერისტეტის თანამშრომლებს სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ. როგორც ცნობილია, დარბაზში დამსწრე განსხვავებული აზრის მქონე პირები შეძახლებით და პროვოკაციული გამონათქვამებით (,,რა უფლება აქვს რაჭველს კახეთში იყაროს კენჭი“), შეხვედრის ჩაშლას ცდილობდნენ.

არჩილ ჯორჯაძის განმარტებით, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებული აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდეგ, მასთან მივიდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, რომლის ვინაობასაც არ ამხელს სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა–განმარტებაში, თუმცა პირობას იძლევა, რომ საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული პიროვნების ვინაობის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენებს საგამოძიებო ორგანოებს. ,,ნაციონალური მოძრაობის“ ზემოხსენებული მხარდამჭერი არჩილ ჯორჯაძეს დაემუქრა, რომ მისი პოლიტიკური აქტივობის გამო, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის შემოწმების ობიექტი გახდებოდა. არჩილ ჯორჯაძესთან დაახლოებულ პირს, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, გია გოცირიძეს ფინანსური დარღვევებისათვის სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მისცემდნენ. შედეგებზე პასუხისმგებლობას, ,,ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი მთლიანად არჩილ ჯორჯაძეს აკისრებდა.

არჩილ ჯორჯაძე მონაწილეობას ღებულობდა თელავის ადგილობრივი ტელეკომპანია ,,თანამგზავრის“ წინასაარჩევნო დებატებში. ამ დროს შეხვდა თელავის #17 საარჩევნო ოლქში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის უფროსს, გია პაპუნაშვილს. ამ უკანასკნელმა არჩილ ჯორჯაძეს კვლავ მოსთხოვა ,,გაერთიანებული ოპოზიციის“ საარჩევნო შტაბის დატოვება. არჩილ ჯორჯაძემ ეს მოთხოვნა მისი და უნივერსიტეტის რექტორის მიმართ მუქარად აღიქვა. მან სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადებით მიმართა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს, თუმცა რექტორის მოადგილის, დავით მახარაშვილისაგან მიიღო გარანტია, რომ განცხადებას არ დააკმაყოფილებდნენ. სამსახურიდან დატოვების შესახებ არჩილ ჯორჯაძემ ბრიფინგი მოიწვია, სადაც კახეთის რეგიონში არსებულ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილე, გიორგი ბოტკოველი მის მიმართ ზეწოლაში დაადანაშაულა. 2008 წლის 14 მაისს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა საპროტესტო აქცია

მოაწყეს. ისინი არჩილ ჯორჯაძის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დევნას აპროტესტებდნენ.

2008 წლის 22 მაისს გიორგი ბოტკოველი არჩილ ჯორჯაძეს #17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიაში შეხვდა და აცნობა, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერმა განცხადება სამსახურიდან მის გათავისუფლების თაობაზე დააკმაყოფილა. გიორგი ბოტკოველმა ამ ფაქტით აღფრთოვანებას არ მალავდა. მეორე დღეს არჩილ ჯორჯაძე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, გია გოცირიძეს შეხვდა. რექტორმა დაადასტურა, რომ არჩილ ჯორჯაძის გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილება უშუალოდ გიორგი ბოტკოველის ზემოქმედების შედეგად მიიღეს. გია გოცირიძემ განმარტა, რომ გიორგი ბოტკოველი უკმაყოფილო იყო არჩილ ჯორჯაძის მიერ ფიქრია ჩიხრაძესთან ამომრჩეველთა შეხვედრის ორგანიზებით, პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ზეწოლის თემაზე ჩატარებული ბრიფინგით და 2008 წლის 14 მაისს გამართული სტუდენტების საპროტესტო აქციით. გიორგი ბოტკოველის თვლიდა, თავად არჩილ ჯორჯაძეს არ უნდა დაეშვა მსგავსი ხასიათის საპროტესტო აქციის ჩატარება. გია გოცირიძემ განაცხადა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას, წინააღმდეგობა გაეწია გიორგი ბოტკოველისათვის, ამის გამო დააკმაყოფილეს არჩილ ჯორჯაძის განცხადება.

შვილის პოლიტიკური აქტივობის გამო, გიორგი ბოტკოველი სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრა არჩილ ჯორჯაძის მამასაც.

2008 წლის 08 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ გიორგი გოცირიძეს განცხადებით მიმართა ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რექტორის აპარატის უფროსმა, ქალბატონმა ნელი ცქიტიშვილმა. ეს უკანასკნელი იყო ფიქრია ჩიხრაძის საარჩევნო შტაბის უფროსი და 2008 წლის 7 მაისს ორგანიზება გაუწია ფიქრია ჩიხრაძის შეხვედრას ამომრჩევლებთან.

ნელი ცქიტიშვილი განცხადებაში აღნიშნავს: ,,მიმდინარეობს მზადება საპარლამენტო არჩევნებისათვის. მე, როგორც ოპოზიციური პარტიის ლიდერი და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ფიქრია ჩიხრაძის საარჩევნო შტაბის წევრი, აქტიურად ვარ ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში. ვგრძნობ, რომ ამით საფრთხეს ვუქმნი უნივერსიტეტსა და მის ხელმძღვანელობას, რადგანაც ქვეყანაში ისეთი მმართველი რეჟიმია, რომლისთვისაც მიუღებელია განსხვავებული აზრი, თავისუფალი სიტყვა და თავისუფალი არჩევნები. ვითავისებ რა პასუხისმგებლობის გრძნობას უნივერსიტეტის წინაშე, გთხოვთ განმათავისუფლოთ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და აპარატის უფროსის თანამდებობიდან.“

2008 წლის 22 მაისის საჯარო სამართლის იურიდიული პირის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა ჰამლეტ რაზმაძემ გამოსცა ნელი ცქიტიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება.

მელიტონ პაკელიანის საქმე

სახალხო დამცველმა ახსნა–განმარტებები ჩამოართვა მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქე მელიტონ პაკელიანს. ეს უკანასკნელი დასაქმებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მესტიის სამმართველოს სოფელ ბეჩოს განყოფილებაში, სადაც ასრულებდა ოპერატიული მორიგის მოვალეობას. 2008 წლის 21 აპრილს მელიტონ პაკელიანს მისმა ხელმძღვანელმა მესტიის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, ბესო გაბულდანმა ხატზე დაფიცება მოსთხოვა. მელიტონ პაკელიანს, სხვა პოლიციელებთან ერთად, ხატის წინაშე ფიცის ძალით უნდა უზრუნველეყო შემდეგი სამი ვალდებულების შესრულება:

1. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე ხმას მისცემდა ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“;
2. ხმას მისცემდა ზემოაღნიშნული საარჩევნო სუბიექტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, კახა კვიციანს;
3. არ გათქვამდა იმ ფაქტს, რომ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე მელიტონ პაკელიანმა და მისი ოჯახის წევრებმა მიხეილ სააკაშვილს მისცეს ხმა.

მელიტონ პაკელიანმა უარი განაცხადა ფიცის ფურმულარში აღნიშნული მეორე ვალდებულების აღებაზე, ვინაიდან გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი და მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი, ვიქტორ ჯაფარიძე მისი დისშვილია და საკუთარი ახლო ნათესავის წინააღმდეგ აქტიური საარჩევნო ხმის უფლებას ვერ გამოიყენებდა. მესტიის პოლიციის ერთერთმა თანამშრომელმა, რ.კვიციანმა მელიტონ პაკელიანს მოახსენა, რომ მან თავისი პოლიტიკური არჩევანი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გარანტიის სახით უშხვანარის ეკლესიაში ფიცით განამტკიცა და მელიტონ პაკელიანს იგივეს გაკეთება ურჩია. რ.კვიციანმა იქვე მელიტონ პაკელიანი დაამშვიდა, რომ ვიქტორ ჯაფარიძე ბიძისა და ბიცოლის ხმების დაკარგვას გაგებით შეხვდებოდა.

მესტიის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, ბესო გაბულდანმა მისდამი სამსახურეობრივად დაქვემდებარებული პირის, მელიტონ პაკელიანის, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიაში ჩართვა განიზრახა. სამმართველოს უფროსმა მელიტონ პაკელიანს სოფელი ეწერიდან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კახა კვიციანის მხარდამჭერი ასი ხელმოწერის წარმოდგენა მოსთხოვა. იქვე ვიქტორ ჯაფარიძის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის გამო უსაყვედურა. 2008 წლის აპრილის დასაწყისში მელიტონ პანკელიანმა სოფელ ბეჩოდან სოფელ ჭუბერამდე იმგზავრა ვიქტორ ჯაფარიძის კუთვნილი ავტომანქანით. ვიქტორ ჯაფარიძე ჭუბერში ჩხვიმიანების ოჯახს სტუმრობდა, ხოლო მელიტონ პაკელიანი თავდაპირველად იმყოფებოდა სოფლის ცენტრში, ხოლო მოგვიანებით ჩხვიმიანებს მიაკითხა. ბესო გაბულდანმა სწორედ ეს გარემოება, დისშვილისა და ბიძის ურთიერთობა, წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობად მიიჩნია. მელიტონ პაკელიანმა უფროსის უკანონო ბრძანების შესრულებასა და მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში უკანონო მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

2008 წლის 22 მაისს მელიტონ პაკელიანი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი გახდა. მესტიის შს სამმართველოს სოფელ ბეჩოს ქვეგანყოფილების უფროსმა, რ.კვიციანმა და რიგითმა პოლიციელმა ხორგუანმა მელიტონ პაკელიანს გამოუცხადეს, რომ სამეგრელო–ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსის, თენგიზ გუნავას ბრძანებით დათხოვნილია შინაგან საქმეთა ორგანოს რიგებიდან და მოსთხოვეს ტაბელური იარაღის ჩაბარება.

2008 წლის 15 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ სამეგრელო–ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #5808803 საქმეზე. მესტიის მუნიციპალიტეტისა და პოლიციის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანასაულის ნიშნებით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

გოჩა შეყილაძის საქმე

2008 წლის 18 აპრილს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზრულის საჯარო სკოლის თანამშრომლებმა. განმცხადებლების განმარტებით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ამავე სკოლის დირექტორზე გოჩა შეყილაძეზე ხორციელდება ზეწოლა, მისგან ითხოვდნენ ოპოზიციის მხარდამჭერი პედაგოგების სამსახურიდან გათავისუფლებას. გოჩა შეყილაძემ არ შეასრულა აღნიშნული მითითება და თანამდებობიდან გათავისუფლების განცხადებით მიმართა სკოლის სამეურვეო საბჭოს.

2008 წლის 2 მაისს სახალხო დამცველს ახსნა–განმარტება მისცა გოჩა შეყილაძემ. მისი თქმით, საპრეზიდენტო არჩევნების დროს სოფელ გეზრულიდან ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კობა შეყილაძისა და სოფელ გეზრულში ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულის, ზვიად გელაშვილის მხრიდან ხორციელდებოდა მასზე ზეწოლა, რათა უზრუნველეყო ,,ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის გამარჯვება. მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნულ სოფელში მიიღო ხმების 65%, რამაც ზვიად გელაშვილისა და კობა შეყილაძის უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ეწვივნენ გეზრულის საჯარო სკოლას და გოჩა შეყილაძეს ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მხარდაჭერისათვის, შვიდ თანამშრომელთან ერთად, სკოლის დატოვება მოსთხოვეს. 2008 წლის 7 აპრილს გოჩა შეყილაძე დაიბარეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, სადაც რესურსცენტრის უფროსმა, ნუგზარ მიროტაძემ თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების ნებაყოფლობით დაწერა ურჩია.

სახალხო დამცველმა ასევე ახსნა–განმარტება ჩამოართვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს,

ნუგზარ მიროტაძეს. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო კობა შეყილაძისა და ზვიად გელაშვილის მხრიდან გოჩა შეყილაძის მიმართ წაყენებული მოთხოვნების თაობაზე. თუმცა, მისი განმარტებით, დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ინიციატივა მოდიოდა თავად გოჩა შეყილაძის მხრიდან. რესურსცენტრის უფროსის განმარტებით, გოჩა შეყილაძის მიზანი გეზრულის საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში ხელახალი მონაწილეობის მიღება იყო. ნუგზარ მიროტაძემ ასევე აღნიშნა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კობა შეყილაძე და სოფელ გეზრულში გამგებლის რწმუნებული ზვიად გელაშვილი აქტიურად ერეოდნენ სოფელ გეზრულის საჯარო სკოლის საკადრო საკითხების გადაწყვეტაში. მათ ნუგზარ მიროტაძეს სთხოვეს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად სოფელ გეზრულის მაცხოვრებლის ნოდარ შეყილაძის დანიშვნა.

რესურსცენტრის უფროსმა საკრებულოს წევრისა და სოფელ გეზრულში გამგებლის რწმუნებულის მოთხოვნა დააკმაყოფილა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე სოფლის სკოლის კოლექტივს ნოდარ შეყილაძე წარუდგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. ნოდარ შეყილაძისათვის აღნიშნული მოვალეობის დაკისრების ფაქტს პროტესტით შეხვდა კოლექტივი. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა სასწავლო პროცესი ჩაშალეს და პოლიტიკური ნიშნით დევნილი დირექტორის დაბრუნება მოითხოვეს. ნუგზარ მიროტაძემ ჭიათურის საკრებულოს წევრს, ზვიად გელაშვილს და სოფელ გეზრულში ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულს, კობა შეყილაძეს თხოვნით მიმართა, შეერჩიათ საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის სხვა კანდიდატურა და გოჩა შეყილაძისათვის გეზრულის საჯარო სკოლაში საქმიანობის ნება დაერთოთ, რაზედაც მათ უარი განაცხადეს. ჭიათურის რესურსცენტრის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ კონკურსის წესით ახალი დირექტორის შერჩევამდე სკოლის დირექტორის მოვალეობა უნდა შეასრულოს დირექტორის მოადგილემ, როლანდ ხოჯანაშვილმა.

პოლიტიკური ნიშნით ასევე გეზრულის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილეს, როლანდ ხოჯანაშვილსაც დევნიან. ეს უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია „თავისუფლებამ“ საუბო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნა. როლანდ ხოჯევანიშვილის თქმით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა სოფელი სვერიდან, რევაზ ბიწაძემ საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას მას სამსახურის დატოვება მოსთხოვა. დღესდღეობით როლანდ ხოჯევანიშვილზე ანალოგიური მოთხოვნით ზეწოლა გრძელდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რევაზ ბიწაძე ასევე ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებითა და გეზრულის საჯარო სკოლის ბუღალტრის თანამდებობიდან გათავისუფლებით დაემუქრა როლანდ ხოჯანაშვილის ძმას, დავით ხოჯანაშვილს, თუკი სოფელ გეზრულში მიხეილ სააკაშვილი არ მიიღებდა ამომრჩეველთა ხმების 90%–ს.

გეზრულის საჯარო სკოლის პედაგოგმა გიორგი შეყილაძემ განაცხადა, რომ ზვიად გელაშვილი მისგან მოითხოვდა გეზრულის საუბნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის თანამდებობაზე მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დანიშვნას. უარის მიღების შემდეგ თანამდებობიდან გათავისუფლებით და დაკავებით დაემუქრა.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე საქმის შესწავლა დაიწყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. საბოლოოდ, გოჩა შეყილაძეს დაევალა გეზრულის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შესრულება.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საქმე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ შეიქმნა 2005 წლის დასაწყისში და მის დამფუძნებელს წარმოადგენს თურქეთის მოქალაქე ოსმან ჩელიკი. 2005 წლის 2 თებერვალს საწარმო დარეგისტრირდა სახელმწიფო სამეწარმეო რეესტრში (საგადასახადო ინსპექციაში) და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი #205051290. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, კანდელაკის ქუჩა #39.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს 2000 (ორიათას) ლარს და მისი მთლიანი, ანუ 100 %–ანი წილის მფლობელი დაარსების მომენტისათვის იყო საზოგადოების დამფუძნებელი–ოსმან ჩელიკი.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ (შემდგომში კომპანია) წესდების თანახმად, საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: გზების, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დაწესებულებების შენობების მშენებლობა–პროექტირება, გვირაბებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მშენებლობა–პროექტირება და სხვა.

2005 წლის 15 მარტს ოსმან ჩელიკმა კომპანიაში კუთვნილი წილის 50 % (1000 ლარი) დაუთმო თურქეთის მოქალაქე ოსმან ერსაინს, ხოლო 25 % (500 ლარი) თურქეთის მოქალაქე ისმაილ ქაზმაზს.

2006 წლის 21 ივნისს ოსმან ჩელიკმა კომპანიაში მისი დარჩენილი წილი 25 % (500 ლარი) სრულიად დაუთმო საქართველოს მოქალაქე ქიბარ ხალვაშს და შესაბამისად, დამფუძნებელთა შორის კომპანიის კუთვნილი წილები გადანაწილდა შემდეგნაირად:

ოსმან ერსაინი	50 % – 1000 ლარი;
ისმაილ ქაზმაზი	25 % – 500 ლარი;
ქიბარ ხალვაში	25 % – 500 ლარი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–სთან ერთად, ქიბარ ხალვაში წარმოადგენს დამფუძნებელს და საწესდებო კაპიტალის წილის მფლობელს შემდეგ საწარმოებში: შპს „არტი ჯგუფი“ და შპს „პრიზა“. შპს „პრიზა“ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ მსგავსად წარმოადგენს სამშენებლო კომპანიას.

2006 წლის 2 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება #01/02. ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილ პირს სახელმწიფო ორგანოს–„დამკვეთის“ მხრიდან წარმოადგენდა იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე, ხოლო შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ მხრიდან, კომპანიის დირექტორი ზურაბ მეტრეველი. ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კომპანიას დაუკვეთა თბილისში გლდანი–ნაძალადევის რაიონში ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულების, თბილისის #8–ე საპყრობილის მშენებლობა.

ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები (ანუ, საპყრობილის აშენება) უნდა შესრულებულიყო 2007 წლის 2 ივნისამდე. სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელება დასაშვები იყო მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 31 900 000 (ოცდათერთმეტი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარის ოდენობით. აქედან 2006 წელს შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა 24 900 000 (ოცდაოთხი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარით, ხოლო 2007 წელს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარით.

2006 წლის 29 ივნისს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანისთან“ დაიდო მორიგი ხელშეკრულება, ხელშეკრულება #708. ამჯერად „დამკვეთს“ წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო კომპანიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის უნდა აეშენებინა სამხედრო ბაზა ქალაქ გორში.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა ღირებულება წარმოადგენდა 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარს. ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადა 2007 წლის 21 მაისს.

ხელშეკრულების მე–10 პუნქტით განისაზღვრა მხარეთა ვალდებულებები სამშენებლო ობიექტის პროექტში ცვლილებების შეტანის და სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის შემთხვევებში:

„10.2. დამკვეთის მიერ პროექტში რაიმე ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, დამატებით სამუშაოზე ფორმდება შეთანხმების ოქმი, ან დამატებითი ხელშეკრულება.

10.3 თუ სამუშაოს შესრულების პროცესში ერთ–ერთი მხარე გამოარკვევს სამუშაოს შემდგომი წარმოების მიზანშეუწონლობას, ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში მხარეები შვიდი დღის განმავლობაში განიხილავენ საკითხს სამუშაოს გაგრძელების მიზანშეწონილობის ან მისი შეწყვეტის შესახებ და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ორმხრივი აქტის საფუძველზე მოახდენენ საბოლოო ანგარიშსწორებას ერთი კვირის ვადაში.“

2006 წლის 29 ივნისის #708–ე ხელშეკრულების დადებამდე, ანუ გორის სამხედრო ბაზის მშენებლობის დაწყებამდე, შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ აწარმოებდა სამხედრო ბაზის მშენებლობას ქალაქ სენაკში. სენაკის სამხედრო ბაზაზე კომპანიისაგან სამშენებლო სამუშაოების მაქსიმალურად მოკლე ვადებში მაღალხარისხიანად ჩატარების შესახებ მედიაში არაერთხელ გაჟღერდა საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ[72].

2007 წლის 25 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირი ეთერით განცხადება გააკეთა საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა. რასაც, სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად, მოჰყვა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვა და საბოლოოდ, ირაკლი ოქრუაშვილი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საქართველო.

მოგვიანებით, ირაკლი ოქრუაშვილი უცხოეთიდან გაკეთებულ სატელევიზიო ინტერვიუებში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფლება დევნიდა მის პოლიტიკურ თანამოაზრეებსა და მხარდამჭერებს, ასევე მეგობრებს, რომელთა შორისაც იგი ყველაზე ხშირად მოიხსენიებდა ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ 2007 წლის 20 სექტემბერს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ს ოფისში მივიდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები, რომლებმაც კომპანიის ხელმძღვანელობას წარუდგინეს შეტყობინება ათი დღის შემდეგ მოსალოდნელი გეგმური საგადასახადო შემოწმების შესახებ. პარალელურად, საგადასახადო ორგანოს ოთხმა თანამშრომელმა დაიკავა საწარმოს დირექტორის ზურაბ მეტრეველის კაბინეტი და მოითხოვეს საბუღალტრო დოკუმენტაცია. 20 სექტემბრიდან სამი დღის განმავლობაში საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები ლუქავდნენ ბუღალტერიას. დალუქვას ახორციელებდა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ინვენტარიზაციის კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ზურაბაშვილი.

2007 წლის 24 სექტემბერს საგადასახადოს თანამშრომლებმა დაიწყეს ინვენტარიზაცია. იმავე დღეს, ანუ 2007 წლის 24 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა

---

[72] (იხ. 2006 წლის 15 მაისს ტელეკომპანია რუსთავი 2–ის მიერ გავცელებული ინფორმაცია. ასევე, ამავე ტელევიზიის მიერ გაშუქებული სამხედრო ექსპერტების 2007 წლის 7 ივნისის პირველი ვიზიტი სენაკის სამხედრო საწვრთნელ ბაზაზე. ჟურნალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ნატოს საინფორმაციო ცენტრის დახმარებით ამ დღეს სენაკის სამხედრო ბაზაზე პირველად შევიდნენ სამხედრო ექსპერტები.

მედიას, არასამთავრობოებსა და ექსპერტებს მასპინძლობა ბრიგადის მეთაურმა ლაშა ბერიძემ გაუწია. სტუმრებმა ჯარისკაცთა ყაზარმები, საწვრთნელი და მოსასვენებელი ადგილები ნახეს. გაესაუბრნენ ჯარისკაცებს. მათი შეფასებით, სენაკის ბაზა ნატოს საერთაშორისო სტანდარტებს სრულიად აკმაყოფილებს).

სამინისტროს ფინანსურ პოლიციაში დააკავეს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ს დირექტორი ზურაბ მეტრეველი, ასევე ქიბარ ხალვაშის ძმა ნიაზ ხალვაში და ქიბარ ხალვაშის დაფუძნებულ სამივე საწარმოში (შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“, შპს „არტი ჯგუფი“ და შპს „პრიზა“) ერთდროულად შევიდა ფინანსური პოლიცია. ფინანსურმა პოლიციამ ამოიღო შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ს ფინანსური დოკუმენტაცია და 2007 წლის 1 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე ფინანსური პოლიციის შენობაში მიმდინარეობდა გეგმური საგადასახადო შემოწმება (ქვემოთ მოყვანილი იქნება საგადასახადო შემოწმების შესახებ).

საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობის პარალელურად, საქართველოს თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროს ხემძღვანელობამ, კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით და სხვადასხვა იძულების მეთოდების გამოყენებით, ხელშეკრულებები შეუწყვიტეს სამშენებლო კომპანიას.

კერძოდ, 2007 წლის 22 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მივიდნენ ქალაქ გორში მშენებარე სამხედრო ობიექტზე და აიძულეს კომპანიის წარმომადგენლები, შეეწყვიტათ მშენებლობა. კომპანიის კუთვნილი სამშენებლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკა თანამშრომლებს დაატოვებინეს სამხედრო ბაზაზე. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ს დირექტორის ზურაბ მეტრეველის, მთავარი ბუღალტრის ცირა მოდებაძის და მთავარი ინჟინრის მალხაზ ოსაძის განმარტებით, დაახლოებით 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ღირებულების ქონება დარჩა სამშენებლო ობიექტზე და მას იყენებენ ის სამშენებლო კომპანიები, რომლებმაც შემდგომში გააგრძელეს ობიექტის მშენებლობა. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–სთვის ქონების ღირებულება დღემდე არ არის გადახდილი.

2007 წლის 23 სექტემბერს სენაკის სამხედრო ბაზაზე ექსპერტთან ერთად ვერტმფრენით ჩავიდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოსთხოვეს კომპანიის წარმომადგენლებს, დაეტოვებინათ ტერიტორია. ერთ დღეში მომზადდა ექპერტიზის დასკვნა სენაკის სამხედრო ბაზაზე წარმოებული მშენებლობის უხარისხობის შესახებ.

მსგავსი მეთოდის გამოყენებით შეწყდა #8 საპყრობილის მშენებლობაც. კერძოდ, ქალაქ თბილისში, გლდანში მდებარე სამშენებლო ობიექტზე, სადაც მიმდინარეობდა საპყრობილის მშენებლობა, მივიდნენ იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ფორმიანი თანამშრომლები და განაცხადეს, რომ სამშენებლო კომპანია მშენებლობას აღარ გააგრძელებს და, შესაბამისად, კომპანიის წარმომადგენლებმა უნდა დატოვონ ტერიტორია.

კომპანიის მაშინდელი მთავარი ინჟინრის მალხაზ ოსაძის განმარტებით, იგი თავად დაესწრო აღნიშნულ ფაქტს და შეამჩნია, რომ სამხედრო ფორმიანებთან ერთად იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია, რომელმაც კომპანიის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ რადგან მშენებლობა დროულად ვერ განხორციელდა შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ს უნდა შეეწყვიტა მშენებლობა.

2007 წლის 22 ოქტომბერს მალხაზ ოსაძესთან გამოცხადდა შპს „არტი ჯგუფის“ დაცვის უფროსი ზაზა გოცირიძე, რომელმაც მალხაზ ოსაძეს უთხრა, რომ მათ იბარებდა ბაჩო ახალაია. მალხაზ ოსაძე, ზაზა გოცირიძე და კიდევ ერთი პიროვნება (ვინაობა არ დაასახელეს) წავიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, სადაც შეხვდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას, ამ უკანასკნელის დაცვის უფროსს კახა ბუცხრიკიძეს და თანაშემწეს რეზო ჭარბაძეს. აღნიშნულმა პირებმა მალხაზ ოსაძეს და ზაზა გოცირიძეს განუცხადეს, რომ საჭირო იყო შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ გადაფორმება მათ მიერ მითითებულ პიროვნებაზე. პიროვნების ვინაობას მოგვიანებით დაასახელებდნენ.

ზაზა გოცირიძემ აღნიშნული წინადადება ტელეფონით აცნობა ქიბარ ხალვაშს, რომელმაც, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავის მხრივ განაცხადა თანხმობა, მაგრამ, იმ პირობით, რომ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ კუთვნილ ტექნიკას გადასცემდნენ შპს „პრიზას.“

სახალხო დამცველისათვის წარდგენილი ამონაწერებიდან ირკვევა, რომ მოლაპარაკებების პერიოდში ზაზა გოცირიძეს, რომლის ტელეფონის ნომერია 87742 3474 და მალხაზ ოსაძეს, ტელეფონის ნომერი 877530036, (დღეისათვის მალხაზ ოსაძე ფლობს სხვა ნომერს) სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან უკავშირდებოდნენ შემდეგი ტელეფონებიდან: 877 48 23 33 ბაჩო ახალაია, 899 16 39 43 კახა ბუცხრიკიძე, 877 40 84 84 რეზო ჭარბაძე. გარდა მითითებული სატელეფონო ნომრებისა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები სატელეფონო ზარებს ახორციელებდნენ ასევე ნომრიდან: 877 48 11 33.

მეორე დღეს, 2007 წლის 23 ოქტომბერს ისევ შედგა შეხვედრა ბაჩო ახალაიასთან. ბაჩო ახალაიამ აღნიშნა, რომ მას არ ჰყავს კანდიდატი, რომელიც, შესაძლებელია, იყოს საწარმოს მფლობელი, ამდენად, თურქი პარტნიორებისაგან ქიბარ ხალვაშს თავის სახელზე უნდა გადაეფორმებინა დანარჩენი წილები და დროებით თვითონ უნდა ყოფილიყო კომპანიის მესაკუთრე.

აღნიშნულზე კატეგორიული უარი განაცხადა ქიბარ ხალვაშმა, რადგან მიხვდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადახდას, რომელიც დაკავებული იყო სამართალდამცავი ორგანოების მიერ, განახორციელებდნენ მისი სახელით.

მოლაპარაკება ჩაიშალა. მალხაზ ოსაძის განმარტებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გაბრაზებულმა თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ქიბარ ხალვაშს ყველაფერს წაართმევდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მალხაზ ოსაძემ და ზაზა გოცირიძემ მეორე მხარეს შესთავაზეს, რომ წილები მათზე გადაფორმებულიყო და შემდეგ თვითონ მოახდენდნენ ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადარიცხვას.

მალხაზ ოსაძემ და ზაზა გოცირიძემ ქიბარ ხალვაშს აუხსნეს, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ხალვაში თავდაპირველად არ თანხმდებოდა, რადგან საკითხის ასეთი გადაწყვეტა მაინც გამოიწვევდა გირაოს გადარიცხვისას მისი სახელის გაჟღერებას. ბოლოს ქიბარ ხალვაში მაინც დათანხმდა და გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნა ასევე კომპანიის თურქი პარტნიორები. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ში კუთვნილი წილების სანაცვლოდ კი თურქ პარტნიორებს დაჰპირდა,

რომ ისინი მიიღებდნენ წილებს სხვა საწარმოებში, რომლებსაც ფლობდა ქიბარ ხალვაში.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ კვლავ შედგა შეხვედრა ბაჩო ახალაიასთან, კახა ბუცხრიკიძესა და რეზო ჭარბაძესთან. მათ მალხაზ ოსაძის და ზაზა გოცირიძის წინადადებაზე თანხმობა განაცხადეს. მოლაპარაკების მხარეები შეთანხმდნენ, რომ უნდა გასტუმრებულიყო დებიტორული და სახელფასო დავალიანებები, ტექნიკა გადაფორმებულიყო შპს „პრიზაზე.“ ჯარიმა–საგადასახადოს მიერ დარიცხული გადასახადის სახით, შპს „პრიზაზე“ და შპს „არტი ჯგუფზე“ არ უნდა ყოფილიყო 700 000 ლარზე მეტი.

შეთანხმების შემდეგ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწის რეზო ჭარბაძის ნაცნობ ნოტარიუსთან, რომელის ოფისიც მდებარეობს თბილისში, რუსთაველის გამზირის #28/2–ში, ღამის სამ საათზე განხორციელდა შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საწესდებო კაპიტალიდან ქიბარ ხალვაშის, ისმაილ ქაზმაზის და ოსმან ერსაინის კუთვნილი წილების მალხაზ ოსაძეზე და ზაზა გოცირიძეზე გადაფორმება კომპანიაში წილების ოდენობა განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

ზაზა გოცირიძე 75%–1500 ლარი;
მალხაზ ოსაძე 25%– 500 ლარი.

24 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე რეზო ჭარბაძე თავად გაჰყვა მალხაზ ოსაძეს საგადასახადო ინსპექციაში და მოახდინა მისი დირექტორად დარეგისტრირება. მან ასევე, მოიპოვა ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდებოდა ქიბარ ხალვაშის და თურქი პარტნიორების წილების გასხვისება. შესაბამისად, ამონაწერი გადასცა კომპანიის ახალ მფლობელებს ზაზა გოცირიძეს და მალხაზ ოსაძეს.

2007 წლის 24 ოქტომბერს 5 სთ–ზე შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საბანკო ანგარიშზე, რომელიც კომპანიას გახსნილი აქვს ბანკ „რესპუბლიკაში“ სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან ჩაირიცხა 6 440 000 (ექვსი მილიონ ოთხას ორმოცი ათასი) ლარი, ხოლო ორი დღის შემდეგ 650 000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

აღნიშნული თანხა, სულ 7 100 000 (შვიდი მილიონ ასი ათასი) ლარი 2007 წლის 24 ოქტომბერს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორმა მალხაზ ოსაძემ გადარიცხა ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს ფონდში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების გადაფორმების და სამეწარმეო რეესტრში სათანადო ცვლილებების განხორციელების (რეგისტრაციის) პროცესი რამოდენიმე საათით უსწრებდა ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადარიცხვას. გადარიცხვის მომენტისათვის საწარმოს მფლობელებს აღარ წარმოადგენდნენ ქიბარ ხალვაში და მისი თურქი პარტნიორები, არამედ, მითითებული დროისათვის საწარმოს მფლობელებს წარმოადგენდნენ მალხაზ ოსაძე და ზაზა გოცირიძე.

სხვანაირად, მალხაზ ოსაძე არაუფლებამოსილი (მას აღნიშნულ პროცესებამდე ეკავა მთავარი ინჟინრის თანამდებობა) იქნებოდა, ემოქმედა საზოგადოების სახელით და გადაერიცხა გირაოს თანხა.

შესაბამისად, სინამდვილეს არ შეესაბამება საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის ნიკა გვარამიას მიერ 2007 წლის 6 ნოემბერს ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის ნაწილი 6 500 000 (ექვსი მილიონ ხუთასი ათასი) გადარიცხა ქიბარ ხალვაშის კიმპანიამ.

ნიკა გვარამია: „საინტერესოა, 10 მილიონ ლარს სხვის მაგივრად ვინმე იხდის საქართველოში ან სხვაგან?!" - თქვა მან და განმარტა, რომ ამ გირაოს ნაწილი, 6 მილიონ ხუთასი ათასი ლარი გადაიხადა International Building Company-მ, რომელიც ოქრუაშვილის მეგობრის ქიბარ ხალვაშის მფლობელობაშია, ნაწილი კი ნიჟარაძემ დაფარა."

ქიბარ ხალვაშის დისშვილის ნიაზ ყურშუბაძის მიერ სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა–განმარტებიდან ირკვევა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ირგვლივ განვითარებული მოვლენების პარალელურად ზეწოლა დაიწყო მისი ბიძის ქიბარ ხალვაშის ბიზნეს საქმიანობაზე. დააკავეს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" დირექტორი ზურაბ მეტრეველი, „არტი"–ს მეწილე გურამ გოგუა და ძებნა გამოცხადდა შპს „პრიზა"–ს ერთ–ერთ პარტნიორზე ვანო რუაძეზე. იმავდროულად, თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა დაიწყო ქიბარ ხალვაშზე ზეწოლა. კონკრეტულად, მან იგი დაიბარა სამუშაო კაბინეტში და მოსთხოვა 27 მილიონი დოლარის გადახდა. სანაცვლოდ მინისტრის დაპირება ხალვაშების დევნის შეწყვეტა იყო. მას შემდეგ, რაც დავით კეზერაშვილმა ამ თანხის გადახდაზე უარი მიიღო, ნიაზ ყურშუბაძესთან კავშირზე გავიდა დათა ახალაია, რომელიც სისტემატიურად ურეკავდა და ითხოვდა ქიბარ ხალვაშთან დაკავშირებას. სატელეფონო საუბარი შედგა ასევე დათა ახალაიასა და ქიბარ ხალვაშის ძმას ნიაზ ხალვაშს შორის. საუბრისას, კუდ–ის მაღალჩინოსანმა რეპრესიების შეწყვეტის სანაცვლოდ ხალვაშებისგან მოითხოვა იმ თანხის მეოთხედის გადახდა, რაც ითხოვა დავით კეზერაშვილმა. აღნიშნულზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, რის შემდეგ, ბათუმში, ერას ქ.N44–დან, ნიაზ ყურშუბაძის თვალწინ, აჭარის კუდ–ის უფროსმა თემურ პატარიძემ და ამავე დეპარტამენტის ერთ–ერთი სამმართველოს უფროსმა ვაჟა დიასამიძემ გაიტაცეს ნიაზ ხალვაში. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, იგი გადაიყვანეს აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურში. გატაცებიდან ნახევარ საათში ნიაზ ყურშუბაძეს ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა დათა ახალაია, რომელმაც ირონიულად და ნიშნის მოგებით ამცნო, რომ ბიძამისი ნიაზ ხალვაში იყო მძევალი და მას მიუსჯიდენ 19 წლით თავისუფლების აღკვეთას, თუ ქიბარ ხალვაში მათთან არ გავიდოდა კავშირზე. 2 დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა შეთანხმება ქიბარ ხალვაშსა და ახალაიებს შორის, რის გამოც ნიაზ ხალვაში ბრალდებულის სახით იქნა პასუხისგებაში მიცემული. პარალელურად გაგრძელდა მოლაპარაკება ბაჩო ახალაიას და ქიბარ ხალვაშის კომპანიის წარმომადგენლებს შორის. კერძოდ, გარიგების საგანი გახდა „ინტერნეიშენალ

ბილდინგ კომპანი“, რომელიც უნდა გადაფორმებულიყო ახალაიას მიერ დასახელებულ პიროვნებაზე. მხოლოდ ამ პირობით მოხდებოდა ნიაზ ხალვაშისა და ზურაბ მეტრეველის ციხიდან გათავისუფლება. რაც შეეხება ვანო რუაძეს– მასზე შეწყდებოდა ძებნა.

ნიაზ ხალვაშის განმარტებით, ვანო მერაბიშვილის „ჯგუფს“, რომლის წარმომადგენლებადაც ხალვაშებთან შეთანხმების მიზნით გამოდიოდნენ ძმები ახალაიები, „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“, სჭირდებოდათ შირმად, რათა ამ კომპანიიდან მომხდარიყო ირაკლი ოქრუაშვილისათვის გირაოს თანხის –10 მილიონი ლარის ჩარიცხვა, რაც შემდგომში ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის გახდებოდა მსჯელობის საგნი, რომ თავდაცვის ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, მისმა მეგობარმა ქიბარ ხალვაშმა გადაუხადა აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული გირაოს თანხა10 მილიონი ლარი.

ქიბარ ხალვაში მისი ძმის გამოსყიდვის მიზნით დათანხმდა ბაჩო ახალაიას პირობას, თუმცა მოლაპარაკების პროცესში ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა უშუალოდ თურქი პარტნიორებისაგან მის გადაფორმებაზე, რის შემდეგაც ბაჩო ახალაიასთან გარიგებით „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ თვალთმაქცურად, ჩუქების ფორმით გადაეცა ამავე კომპანიის მთავარ ინჟინერიზე მალხაზ ოსაძეზე და „არტ“–ის დაცვის უფროსზე ზაზა გოცირიძეზე. ნიაზ ყურშუბაძის მტკიცებით, ამ მიზნით, თურქმა პარტნიორებმა საქართველოში მოავლინეს ნდობით აღჭურვილი პირი, რომელმაც შუაღამისას ბაჩო ახალაიას კაბინეტში დათმო მათი წილები მალხაზ ოსაძისა და ზაზა გოცირიძის სასარგებლოდ, რის შემდეგაც 2 დღეში გაათავისუფლეს ზურაბ მეტრეველი, ნიაზ ხალვაში და შპს „არტის“ პარტნიორი და მეწილე გურამ გოგუა. ნიაზ ყურშუბაძის მტკიცებით, გურამ გოგუა მის თვალწინ გაიტაცა გია დგებუაძემ, ე.წ. „მასტერამ“, დათა ახალაიამ და ლევან ქარდავამ „არტი“ ჯგუფის ეზოდან ოქროსფერი X5–ით, სახ. ნომრით LOF 535. მასზე ხდებოდა უდიდესი ზეწოლა ოქროყანის ტყეში, რის შედეგადაც მან იძულებით, ცრუდ მისცა ირაკლი ოქრუაშვილის საწინააღმდეგო ჩვენება. ხოლო ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ დატოვა საქართველო.

როგორც ნიაზ ხალვაშის, ასევე ნიაზ ყურშუბაძის მტკიცებით, ბიზნესის გადარჩენისა და მათი ხელშეუხებლობის სანაცვლოდ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ახალაიების სახით, ქიბარ ხალვაშს სთავაზობდა მიეწოდებინა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის ისეთი ინფორმაცია, რომელიც გაამყარებდა ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს და საბოლოოდ საფრანგეთის სასამართლო მიუსჯიდა მას პატიმრობას. ხელისუფლებასთან ასეთი გარიგების სანაცვლოდ, ქიბარ ხალვაშს დაჰპირდნენ დიდი შეღავათებს, რაც მას საშუალებას მისცემდა მისი ბიზნესსაქმიანობა გაეფართოვებინა და მიეღო ისეთი შემოსავალი, რაზეც იგი ვერც კი იოცნებებდა. მას შემდეგ, რაც ქიბარ ხალვაშმა უარი განაცხადა კრიმინალური კავშირი დაემყარებინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ცრუდ ემხილად ირაკლი ოქრუაშვილი, დაიწყო მისი კიდევ ერთი კომპანიის– „პრიზა“–ს გაკოტრების პროცესი. კერძოდ, 2008 წლის აპრილის თვეში ფინანსური პოლიცია შეიჭრა პრიზაში, სადაც, ისევე როგორც „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ში, არ წარადგინეს შესვლის უფლების

დამადასტურებელი დოკუმენტაცია და დაიწყო აქ არსებული ინვენტარის დალუქვა. დაილუქა ყველა სამოძრაო საშუალება. დაახლოებით 6 საათის შემდეგ კომპანიის ტერიტორიაზე გამოცხადდნენ სხვა სამსახურის თანამშრომლები, რომლებმაც ადმინისტრაციას წარუდგინეს საწარმოში არსებული ინვენტარის დალუქვის ბრძანება. ბრძანებაში უფლებამოსილ პირებად არ იყვნენ მითითებული ის ადამიანები, რომლებმაც რეალურად მოახდინეს კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონების დაყადაღება. შპს „პრიზა"–ში შეჭრის ფაქტი გაშუქდა ყველა საინფორმაციო საშუალების მიერ.

ქიბარ ხალვაშის, ნიაზ ხალვაშის, ოსმან ერსაინის, ისმაილ ქაზმაზის, ზურაბ მეტრეველის, მალხაზ ოსაძის, ზაზა გოცირიძის ახსნა–განმარტებებიდან და საქმის სხვა მასალებიდან გამოიკვეთა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რამაც ნათელი გახადა სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა მხრიდან შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" შორის დადებულ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული თუ რა შედეგები უნდა მოჰყოლოდა საპყრობილის მშენებლობისას პროექტში ცვლილებების განხორციელებას. ბუნებრივია, საპყრობილის პროექტში არსებითი ცვლილებების შეტანა გამოიწვევდა ხელშეკრულების პირობების გარკვეულ ცვლილებებს და შესაბამისად, მშენებლობის ვადების გაზრდას.

ხელშეკრულების 7.3 პუნქტში აღნიშნული იყო მხოლოდ იმის შესახებ, რომ შემსრულებელი ვალდებული იყო დამკვეთისათვის შეეტყობინებინა პროექტში ცვლილებების შეტანის და ხარჯების მოსალოდნელი ზრდის შესახებ. აღნიშნულ საკითხებს მხარეები გადაწყვეტდნენ ურთიერთშეთანხმებით.

კომპანიის მთავარი ინჟინრის მალხაზ ოსაძის განმარტებით, სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდგომ, პროექტში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, დამკვეთმა მოითხოვა სამი ათას პატიმარზე გათვლილი პროექტის იმდაგვარად შეცვლა, რომ საპყრობილეში სამი ათასი პატიმრის ნაცვლად მოთავსებულიყო ოთხი ათასი პატიმარი.

(პროექტში ცვლილებებს ახორციელებდა სხვა კერძო საპროექტო კომპანია, რომელსაც ეგზავნებოდა პროექტი სათანადო შენიშვნებით. ცვლილებებით დამტკიცებული პროექტი უკან უბრუნდებოდა სამშენებლო კომპანიას. ოთხი ათას პატიმარზე გათვლილი პროექტის დამკიცებასაც საკმაო დრო დასჭირდა).

მეორე, საავადმყოფოს ძველი შენობა, რომელიც საპყრობილის ეზოში იყო განთავსებული და საჭიროებდა მხოლოდ შეკეთებას (რემონტს), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით კომპანიამ დაანგრია და ააშენა ახალი საავადმყოფო.

მესამე, საპყრობილის კედელი, რომელიც მას გარშემო აქვს შემოვლებული (დაახლოებით მისი სიგრძე 1500 მეტრია) უნდა ყოფილიყო 3 (სამი) მეტრის სიმაღლის. მშენებლობის ბოლო ეტაპზე გადაწყდა, რომ კედლის სიმაღლე იქნებოდა 5 (ხუთი) მეტრი. დაკვეთის შესაბამისად, შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანიმ“ ააშენა ხუთმეტრიანი კედელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელშეკრულებაში განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც. ხელშეკრულების მხარეები სამჯერ წერილობით შეთანხმდნენ ხელშეკრულების 2.2 და 2.3 პუნქტში ცვლილებების განხორციელების შესახებ. საბოლოოდ, 2006 წლის 11 დეკემბერს გაფორმდა შეთანხმების აქტი, რომლითაც 2006 წელს შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა 15 400 000 (თხუთმეტი მილიონ ოთხასი ათასი) ლარით, ხოლო 2007 წელს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება 16 500 000 (თექვსმეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით. ანუ, ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებისაგან განსხვავებით, 2007 წელს შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობამ გადააჭარბა წინა წელს შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობას.

შენიშვნა: 2007 წელს შესასრულებელ სამუშაოთა რაოდენობის გაზრდა ავტომატურად გამოიწვევდა მშენებლობისათვის დადგენილი ვადის გაგრძელებას, რადგან, სამუშაოების შესრულების საერთო ვადა თანაბრად იყო გადანაწილებული 2006 წლის 2 ივნისიდან 2007 წლის 2 ივნისამდე, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებამდე 2006 წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო 24 900 000 (ოცდაოთხი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარის სამუშაოები. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხ. ხელშეკრულების მე–2 და მე–3 პუნქტები.

მეოთხე, ხელშეკრულების მხარეებს გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ საპყრობილის მშენებლობა მიმდინარეობდა მეტად შემჭიდროვებულ ვადებში და სახელმწიფო ორგანოებს ხელი უნდა შეეწყოთ სამშენებლო კომპანიისათვის. 2006 წლის 5 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძესა და შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორის ზურაბ მეტრველის ხელმოწერილ შეთანხმებაში (#01/05) ერთმნიშვნელოვნად არის აღნიშნული, რომ „ვითვალისწინებთ რა განსაკუთრებულ გარემოებებს, რომელთა შესაბამისად, დასახელებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად განსაზღვრულია მეტად შემჭიდროვებული ვადები – ჩვეულებრივ პირობებში იგივე მოცულობის სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელია 30 კალენდარული თვე.“

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა და მათი გადასინჯვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ

ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების დასრულების ვადა გადასცილდა 2007 წლის 2 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდებოდა, ხელშეკრულების მე–13 პუნქტის 13.1 ქვეპუნქტის შესაბამისად, „მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.“

ამდენად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა სამშენებლო კომპანიისაგან შესასრულებელი სამუშაოების ვადების გადაცილებით და ხელშეკრულების პირობების დარღვევით, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული.

უფრო მეტიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 358–ე მუხლის თანახმად, დაუშვებელი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ცალმხრივად გასულიყო ხელშეკრულებიდან, მაშინ, როცა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და დაარღვია ხელშეკრულების 7.3 პუნქტი.

„მუხლი 358. ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა
დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ მოვალეს შეეძლო გაქვითვის გზით შეესრულებინა ვალდებულება და გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.“

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დღემდე უსაფუძვლოდ აჭიანურებს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ნაწილის მიღებას და კომპანიისათვის სათანადო თანხის გადახდას. კომპანიის წარმომადგენელთა განმარტებით, დღემდე არ არის გადახდილი საპყრობილის სამზარეულოს ღირებულება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი და ოთხი გენერატორის თანხა, რომელიც ჯამში წარმოადგენს 1 500 000 (მილიონ ცხრაასი ათას) ლარს.

ნიშანდობლივია, რომ გლდანის საპყრობილის მშენებლობის შეწყვეტისას განვითარებული მოვლენების პარალელურად, იმავე დღეს კომპანიას შეაწყვეტინეს სამშენებლო სამუშაოები გორის სამხედრო ბაზაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი იყო სპეციალური პროცედურა 2006 წლის 29 ივნისს დადებული ხელშეკრულების მეათე პუნქტით.

მითითებული პუნქტის თანახმად, მხარეებს შვიდი დღის განმავლობაში უნდა განეხილათ საკითხი სამუშაოს გაგრძელების მიზანშეწონილობის ან მისი შეწყვეტის შესახებ და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ორმხრივი აქტის საფუძველზე მოეხდინათ საბოლოო ანგარიშსწორება ერთი კვირის ვადაში.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წარმომადგენლების განმარტებით, კომპანიასთან საბოლოო ანგარიშსწორება დღემდე არ მომხდარა. გარკვეული დროის შემდეგ, კომპანიის ხელმძღვანელები იძულებულები გახდნენ მოთხოვნა აღნიშნულის შესახებ თავდაცვის სამინისტროსათვის გაეგზავნათ დაზღვეული ფოსტით. კომპანიის მაშინდელმა დირექტორმა ვარლამ სულაბერიძემ, რომელიც მხოლოდ ოთხი დღე ასრულებდა თავის მოვალეობებს, გაურკვეველი მიზეზების გამო, თვითონ მოითხოვა სამშენებლო სამუშაოების შეწვეტა და ასეთ დოკუმენტზე ხელიც მოაწერა.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორი მალხაზ ოსაძე თავის ახსნა განმარტებაში აღნიშნავს, რომ ვარლამ სულაბერიძე აიძულეს, გაეკეთებინა ეს ყოველივე და შემდეგ კი საერთოდ დაეტოვებინა დირექტორის პოსტი, რაც მოგვიანებით თავად დაადასტურა ვარლამ სულაბერიძემ თავის ახსნა–განმარტებაში.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობები (მათ შორის სახელშეკრულებო) დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულ პირთა თანასწორობის უმთავრეს პრინციპზე. ამასთანავე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.“

მშენებარე ობიექტებიდან სამშენებლო კომპანიის უსაფუძვლოდ გამოდევნით, საქართველოს თავდაცვის და იუსტიციის სამინისტროებმა, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით, სრულიად უგულებელყვეს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობისა და თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპები.

ხელშეკრულებიდან უკანონო გასვლის შედეგად, სამშენებლო კომპანიამ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი, წარმოშობილი ფაქტობრივი ზარალი და მიუღებელი შემოსავლის სახით, რომლის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე და 409-ე მუხლების თანახმად, ეკისრება ხელშეკრულების მეორე მხარეს სახელმწიფოს.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობასთან ერთად, მეორე უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საწესდებო კაპიტალის (წილების) გადაფორმება ახალ მესაკუთრეებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მოქალაქის ქიბარ ხალვაშის, თურქეთის მოქალაქეების და ამასთანავე კომპანიის ყოფილი მოწილეების ოსმან ერსაინის და ისმაილ ქაზმაზის წილები დღეისათვის წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეების ზაზა გოცირიძის და მალხაზ ოსაძის (კომპანიის დირექტორი) საკუთრებას.

წარმოდგენილი მასალები ადასტურებენ, რომ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების გადაფორმება განხორციელდა სხვა და სხვა არამართლზომიერი მეთოდების გამოყენებით, ასევე, დიდი ზეწოლის და კომპანიის მოწილეთა იძულების შედეგად.

კომპანიის წილების გადაფორმება უშუალოდ უკავშირდებოდა ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადახდას. თანამდებობის პირები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული მოლაპარაკებების პროცესებში, დაინტერესებული იყვნენ, რომ გირაოს თანხის გადარიცხვა მხოლოდ ქიბარ ხალვაშს განეხორციელებინა. რასაც ქიბარ ხალვაში არ თანხმდებოდა.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორის ზურაბ მეტრეველის და ქიბარ ხალვაშის ძმის ნიაზ ხალვაშის დაპატიმრების, ასევე ყველა მის დაფუძნებულ სხვა საწარმოებში ერთდროულად ფინანსური პოლიციის შესვლის შემდეგ, ქიბარ ხალვაშს ჰქონდა საკმარისი საფუძველი ევარაუდა, რომ შესაძლებელი იყო მისი დაფუძნებული საწარმოები გაკოტრების საფრთხის ქვეშ დამდგარიყვნენ, რადგან მცირე დროით შეფერხების შემთხვევაშიც კომპანიები მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს განიცდიდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, ოსმან ერსაინმა და ისმაილ ქაზმაზმა აშკარად იგრძნეს, რომ მათ ბიზნესს და ქონებას რეალური საფრთხე ემუქრებოდა.

მარტო 2007 წლის 24 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწის რეზო ჭარბაძის ტელეფონის ნომრიდან (877 40 84 84 და 877 48 11 33) 50–მდე სატელეფონო ზარი განხორციელდა მალხაზ ოსაძის ტელეფონზე. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები დაინტერესებული იყვნენ ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადარიცხვა რაც შეიძლება სწრაფად განეხორციელებინათ და კომპანიის ახალი დირექტორის ყველა ნაბიჯს აკონტროლებდნენ.

თუ საგამოძიებო ორგანოები ამოიღებენ სატელეფონო ჩანაწერებს, მაშინ აშკარა გახდება და კიდევ უფრო დაზუსტდება ყოველი სატელეფონო საუბრის შინაარსი.

2007 წლის 23 ოქტომბერს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების დათმობის თაობაზე დადებული გარიგება (წილის დათმობის ხელშეკრულება, რეგისტრაციის #1–15443) ბათილი გარიგებაა, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85–ე მუხლის თანახმად, „გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას.“

გარიგების ბათილად ცნობა შესაძლებელია მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების დათმობის შემთხვევაში იძულება სწორედ მესამე პირის მხრიდან ხორციელდებოდა. თანამდებობის პირები უხეშად და კანონსაწინააღმდეგოდ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ერეოდნენ. მიზანს წარმოადგენდა ისეთი გარიგების დადება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა კომპანიის წილების სასურველ პიროვნებებზე გადაფორმებას და შემდეგ მათი მეშვეობით გირაოს თანხის გადარიცხვას.

იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 86–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.“

ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში არსებობს იძულებით დადებული გარიგების ბათილობისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქიბარ ხალვაშის, ოსმან ერსაინის და ისმაილ ქაზმაზის განცხადებებში საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიმართ გამოთქმული უკმაყოფილება საფუძვლიანია და საწარმოს პარტნიორების (მესაკუთრეების) უფლებები უხეშად არის დარღვეული.

2007 წლის ოქტომბრის თვიდან შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ აღარ ფუნქციონირებს და აღარ აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს არც ერთ ზემოთ მითითებულ სამშენებლო ობიექტზე. საწარმოს ქონება დაყადაღებულია საგადასახადო ორგანოების მიერ და საგადასახადო შემოწმებით ერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ლარის ოდენობით.

დღეის მდგომარეობით ასევე დაყადაღებულია შპს „არტი ჯგუფის“ და შპს „პრიზას“ ქონება. საგადასახადო შემოწმებით შპს „არტი ჯგუფს“ ერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება 23 000 000 (ოცდასამი მილიონი) ლარის ოდენობით, ხოლო შპს „პრიზას“ ერიცხება 700 000 (შვიდასი ათასი) ლარი.

კომპანიებში დასაქმებული ათასობით მოქალაქე დარჩა უმუშევარი. საწარმოების ქონებაზე წარმოშობილია საგადასახადო იპოთეკის/გირავნობის უფლება და უახლოეს მომავალში შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ საწარმოების ქონება გატანილი იქნას აუქციონზე.

დანართი #2
შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

ნანა ფაჟავასა და პარტია ,,თავისუფლების“ აქტივისტების საქმე

2008 წლის 26 მაისს სახალხო დამცველმა ახსნა–განმარტებები ჩამოართვა რადიო ,,იმედის“ ჟურნალისტს, ნანა ფაჟავასა და რადიო ,,მწვანე ტალღის“ ჟურნალისტს, იოსებ ხოფერიას. მათი განმარტებით, ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ საარჩევნო ბლოკში შემავალი ერთ–ერთი სუბიექტის, პარტია ,,თავისუფლების“ წევრები ქალაქ ზუგდიდიდან გეგმავდნენ დედაქალაქში ჩამოსვლას და ოპოზიციური პარტიების საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიღებას. ჟურნალისტების განმარტებით, ზემოხსენებული პარტიის აქტივისტებს ტელეფონით, რომლის ნომერია 860470000, უკავშირდებოდნენ უცნობი პირები და საპროტესტო აქციაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზნით, მათზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ, აყენებდნენ რა მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ზემოხსენებული ნომრიდან უცნობმა პირმა უცენზურო სიტყვებით მიმართა ასევე იოსებ ხოფერიასაც. ამ უკანასკნელმა და ნანა ფაჟავამ პარტია ,,თავისუფლების“ აქტივისტებს თან გაყოლა შესთავაზეს, ვინაიდან ჟურნალისტების თანხლების შემთხვევაში დაცული იქნებოდა პარტია ,,თავისუფლების“ აქტივისტების უსაფრთხოება. ჟურნალისტები და პარტიული აქტივი წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თავლთავალის ობიექტს. ჟურნალისტ იოსებ ხოფერიას განმარტებით, ზუგდიდში მათ მუდმივად თან სდევდა ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით NOD 476 და ვერცხლისფერი ,,BMW–ს“ ტიპის ავტომანქანა. ჟურნალისტები და პარტია ,,თავისუფლების“ წევრები ჩასხდნენ მიკროავტობუსში და გაემართნენ თბილისის მიმართულებით. სოფელ თეკლათთან, კერძოდ, თბილისი–ფოთის სარკინიგზო მაგისტრალთან მიახლოებისას, მიკროავტობუსს თავს დაესხა შავ ტანსაცმელში ჩაცმული, დაახლოებით ოთხი ნიღბიანი პირი. მათ ავტომატის კონდახით ჩაამსხვრიეს მიკროავტობუსის მარჯვენა საქარე მინები, რამაც პანიკა გამოიწვია. იოსებ ხოფერია ძირს დაწვა. ნანა ფაჟავა მივიდა მძღოლთან და გზის გაგრძელება მოსთხოვა. დაახლოებით ერთ წუთში მიკროავტობუსი მიუახლოვდა სენაკის საპატრულო პოლიციის შენობას, რომელიც მდებარეობს თავდასხმის ადგილიდან 700–ს მეტრში. თავდამსხმელები მათ შავი ,,ჯიპით“ მისდევდნენ. ნანა ფაჟავას განმარტებით, აღნიშნული ავტომანქანის სახელმწიფო ნომერია WKS-520. ნანა ფაჟავამ სენაკის საპატრულო პოლიციისაგან მათზე მომხდარი თავდასხმის ფაქტზე რეაგირება მოითხოვა. ამ დროს სენაკის საპატრულო პოლიციის შენობასთან გამოჩნდა თავდამსხმელების კუთვნილი შავი ფერის ,,ჯიპი.“ ავტომანქანაში ნანა ფაჟავამ შეამჩნია ერთერთი თავდამსხმელი, რომელსაც შავი ფერის მაისური ეცვა და ხელში ავტომატური იარაღი ეკავა. მიკროავტობუსის მგზავრებმა საპატრულო პოლიციისაგან ავტომანქანის გაჩერება და მასში მყოფი პირების დაკავება მოითხოვეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გამოედევნენ ავტომანქანას, თუმცა ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდნენ საპატრულო პოლიციის შენობაში და განაცხადეს, რომ თავდამსხმელთა დაკავება ვერ მოახერხეს.

2008 წლის 26 მაისს საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო–ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ომარ ცომაიამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ აღნიშნულ სამმართველოში მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის # 06800090 საქმეზე, სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის 26 მაისს, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე, დაახლოებით 03 საათსა 30 წუთზე, ზუგდიდი–თბილისის ცენტრალური საავტომობილო გზის სარკინიგზო გადასასვლელთან, გამოძიებით ამ ეტაპზე დაუდგენელი ნიღბიანი პირები თავს დაესხნენ ზ.კუხალეიშვილის მართვის ქვეშ მყოფ ,,ფორდ–ტრანზიტის“ მარკის მიკროავტობუსს (სახელმწიფო ნომერი: #FAB-226), რომელსაც მგზავრები გადაჰყავდა ქალაქ თბილისის მიმართულებით. თავდამსხმელებმა განზრახ დააზიანეს ავტომანქანის საქარე მინები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის სახით დაკითხულია მძღოლი – ზ.კუხალეიშვილი და მოწმე – ნანა ფაჟავა. ამ უკანასკნელმა წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებაში ზოგადად მიუთითა ავტომატური იარაღებით შეიარაღებულ თავდამსხმელებზე და შავი ,,ჯიპის“ მარკის ავტომანქანის საორიენტაციო ნიშნებზე (მხედველობაშია ავტომანქანა, რომლითაც თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ).

გამოძიებას მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები: შემთხვევის თვითმხილველი მიკროავტობუსის ყველა მგზავრის დაკითხვის, სისხლის სამართლის საქმის მასალებში დაფიქსირებული ავტომანქანის მონაცემების გადამოწმების, მფლობელის დადგენისა და დაკითხვის, სატელეფონო ზარების მონაცემების ამოღების თაობაზე. სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს მე–2 სახაზო–საპატრულო განყოფილების პატრულ–ინსპექტორები კ.გეგეჭკორი და თ.ეჯიბია, რომლებმაც ვერ მიუთითეს თავდამსხმელებისა და საქმეში დაფიქსირებული ავტომანქანის ზოგად ნიშნებზეც კი. მათ აჩვენეს, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის ტერიტორიამდე ეძებდნენ საეჭვო ავტომანქანას, თუმცა ვერ აღმოაჩინეს. სისხლის სამართლის საქმის მასალებში დაფიქსირებული ავტომანქანის სავარაუდო ნიშნების გადამოწმების მიზნით გამოძიებამ ოფიციალური წერილით მიმართა სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ზუგდიდის განყოფილებას.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის დაზუსტებას სსკი–ის 161–ე მუხლით, აღნიშნულისათვის, სენაკის შს რაიონული განყოფილების უფროსის განმარტებით, აუცილებელია ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – პირდაპირი განზრახვის, ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცება. მოცემულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება ზემოხსენებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგების გათვალისწინებით.

ირაკლი კაკულიასა და სხვათა საქმე

ირაკლი კაკულია არის პოლიტიკური პარტია ,,ახალი მემარჯვენეების“ წევრი 2001 წლის სექტემბრიდან. 2005 წლიდან ირაკლი კაკულია გახდა ,,ახალი მემარჯვენეების“ ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 2008 წლის 6 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა დაასახელა 2008 წლის 21 მაისს არჩეული პარლამენტის პირველი სხდომის მოწვევის თარიღი. ირაკლი კაკულია იზიარებდა თავისი პარტიის პოზიციას და არ აღიარებდა აღნიშნული პარლამენტის ლეგიტიმურობას. ირაკლი კაკულიამ პარლამენტის შეკრების წინააღმდეგ დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა. ირაკლი კაკულია თავისი კუთვნილი ავტომანქანით ფოთიდან გაემართა თბილისისაკენ. ავტომანქანაში ისხდნენ ,,ახალი მემარჯვენეების“ ბიუროს წევრი ზვიად შუბითიძე, ,,ლეიბორისტული პარტიის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ფოთის საარჩევნო ოლქში, ბესიკ გვაჯავა და ,,კონსერვატიული პარტიის“ ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი თამაზ სოსელია. ფოთიდან დაახლოებით მე–18 კილომეტრზე, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ხორგის ბაქანის უკანა მხარეს, დაახლოებით 00 საათსა და 15 წუთზე ავტომანქანა გააჩერა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა, პაატა ქათამაძისა და ხვიჩა კვარაცხელიას შემადგენლობით. პატრულმა–ინსპექტორებმა ჩაატარეს ტესტი ირაკლი კაკულიას ალკოჰოლურ თრობაზე. ტესტმა დადებითი შედეგი უჩვენა. ირაკლი კაკულიამ და მისმა თანმხლებმა პირებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ შემოწმების აპარატზე დასხმული იყო ალკოჰოლური ნივთიერება. ირაკლი კაკულიამ შემოწმების განმეორება მოითხოვა, რაზედაც უარი მიიღო. ავტომანქანის მგზავრებმა განაცხადეს, რომ მათაც ჰქონდათ მართვის მოწმობა, საჭეთან დაჯდომა და გზის გაგრძელება მოითხოვეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის გამო ირაკლი კაკულიას შეუდგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სატრანსპორტო საშუალება სენაკის საჯარიმო სადგომზე გადაიყვანეს. ირაკლი კაკულია, თამაზ სოსელია, ბესიკ გვაჯავა და ზვიად შუბითიძე დატოვეს ზემოხსენებულ ადგილას. ისინი 00 საათსა და 45 წუთზე გაემართნენ ფოთის მიმართულებით. დაახლოებით ორმოცი წუთის გასვლის შემდეგ, მივიდნენ ქვემო ხორგის ბაქანთან. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ფოთელმა აქტივისტებმა ქვემო ხორგის ბაქანთან მყოფ, შეიარაღებული კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს დახმარება სთხოვეს, რაზედაც უარი მიიღეს. ირაკლი კაკულია ტელეფონით დაუკავშირდა თავის ძმას, ვახტანგ კაკულიასა და მეგობარს, არსენ ღურცკაიას. ამ დროს ტრასაზე გამოჩნდა სენაკიდან თბილისისაკენ მიმავალი ,,გრუპის“ მარკის ავტობუსი, სადაც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის აქტივისტები ჩასხდნენ და თბილისისაკენ გამგზავრება სცადეს. დაახლოებით 02 საათსა და 15 წუთზე ავტობუსი გააჩერა საპატრულო პოლიციამ და მძღოლი სასაუბროდ იხმო. რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ მძღოლი ბრუნდება და ოპოზიციური პარტიების წევრებს უცხადებს, რომ ავტობუსს ფოთში მოუწევს დაბრუნება თუკი ოპოზიციონერები არ დატოვებენ მას.

არსენ ღურცკაია საპატრულო პოლიციამ გააჩერა სოფელ ჭალადიდთან, მოსთხოვა მართვის მოწმობა და ალკოჰოლურ თრობაზე შემოწმება. შემოწმებამ დადებითი შედეგი აჩვენა. სამართალდამცავებმა შეადგინეს ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმი. პოლიციელებმა არსენ ღურცკაია ჩავეს მანქანაში და სოფელ საგვიჩოსთან მიახლოების შემდეგ განუცხადეს, რომ აპირებდნენ ავტომანქანის საჯარიმო ბაზაზე გადაყვანას, ამის გამო ავტომანქანის დატოვება მოსთხოვეს. პოლიციამ არსენ ღურცკაია მარტო დატოვა დაუსახლებელ ადგილას. ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ, მივიდნენ ერთ–ერთ სოფელში და იქ მცხოვრებ ოჯახს ღამის გათევა სთხოვა. აღნიშნულმა ოჯახმა არსენ ღურცკაიას უმასპინძლა. არსენ ღურცკაია მეორე დილით დაბრუნდა ფოთში.

2008 წლის 7 ივნისს ღამის 03 საათსა და 20 წუთზე სენაკის ავტომაგისტრალზე გამოჩნდა ტაქსი, ირაკლი კაკულიას ოჯახმა შეუკვეთა. ირაკლი კაკულია, ზვიად შუბითიძე, ბესიკ გვაჯავა და თამაზ სოსელია ჩასხდნენ ტაქსში და გაემართნენ ფოთისაკენ. გზად მიმავალი ტაქსი იყო თვალთვალის ობიექტი. 04 საათსა და 10 წუთზე ტაქსი ჩავიდა ქალაქ ფოთში, თუმცა ოპოზიციონერებზე თვალთვალი მას შემდეგაც გაგრძელდა, რაც ისინი ,,ახალი მემარჯვენეების“ ოფისში დროებით მივიდნენ და ბოლოს სახლში ბრუნდებოდნენ.

ძმასთან საუბრის შემდეგ, 01 საათსა და 28 წუთზე ვახტანგ კაკულიას დაურეკეს 891 27 64 15 ნომრიდან და განუცხადეს, რომ თუ ირაკლი კაკულიას წამოსაყვანად წავიდოდა, ფიზიკურად გაანადგურებდნენ და მანქანას დაუზიანებდნენ. უცნობი ვახტანგ კაკულიას ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობითაც დაემუქრა. დაახლოებით 04 საათზე ვახტანგ კაკულიამ გაიგო ავტომანქანის ხმა და გადაწყვიტა, ფანჯრიდან გადაეხედა. ამ დროს დაიცალა ავტომატის ჯერი. სროლა ქალაქ ფოთში პირველი მაისის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობს ირაკლი კაკულია, გრძელდებოდა 10–15 წუთის განმავლობაში. სროლის ხმა ასევე გაიგეს პირველი მაისის #2–ში მცხოვრებმა გივი კორსანტიამ და პირველი მაისის #3–ში მცხოვრებმა მაია კომახიძემ. დილით ვახტანგ და ირაკლი კაკულიების მამამ საცხოვრებელ სახლთან ტყვიის 18 მასრა აღმოაჩინა.

სროლის ფაქტს ადასტურებს ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ ფოთის საარჩევნო შტაბის წევრი, გიორგი მასხულია. ამ უკანასკნელმა ხელი აიღო თბილისში გამგზავრების განზრახვაზე მას შემდეგ, რაც მის მობილურ ტელეფონზე ორჯერ დაირეკა. პირველად ზარი შევიდა ნომრიდან: 898 39 73 82. გიორგი მასხულიამ არ უპასუხა, ვინაიდან აღნიშნული ნომრიდან 2007 წლის ნოემბრიდან უცნობი პირი უკავშირდებოდა და ემუქრებოდა ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენებით მტკიცებულების ფაბრიკაციით. გიორგი მასხულიას დაურეკეს 891 27 64 15 ნომრიდან. როდესაც შემოსულ ზარს უპასუხა, გიორგი მასხულიას ეცნო უცნობის ხმა. უცნობი კვლავ დაიმუქრა, მაგრამ ამჯერად სიცოცხლის მოსპობით. გიორგი მასხულია დაბრუნდა თავის საცხოვრებელ სახლში და ოჯახის წევრებისაგან შეიტყო, რომ მათი სახლი სამართალდამცავი ორგანოების მუდმივი მეთვალყურეობის ობიექტს წარმოადგენდა. ღამის ოთხ საათზე გიორგი მასხულიამ გაიგო სროლის ხმა.

2008 წლის 9 ივნისს ირაკლი კაკულიას სახლის მიმართულებით ავტომატური იარაღით უმისამართო სროლის ფაქტთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის შს სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #045080185 საქმეზე.

,,თანასწორობის ინსტიტუტისა" და მალხაზ ჯანგირაშვილის საქმე

2008 წლის 23 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თანასწორობის ინსტიტუტის" ორგანიზებით მოეწყო საპროტესტო აქცია სახელწოდებით ,,გადატრიალება." ხელისუფლების სიმბოლური შეცვლის ნიშნად, აქციის მონაწილეებმა პარლამენტის შენობის წინ ტაფაზე ხაჭაპური გადაატრიალეს. ამის შემდეგ, ორგანიზაციის წევრებმა მთავრობის კანცელარიის შენობის წინ გადაინაცვლეს. აქციის მონაწილეთა ერთი ნაწილი, მათ შორის ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი განთავსდა იმ რკინის სვეტების გარეთ, რომელზეც 2003 წლამდე რკინის ჯებირი იყო შემოვლებული. აქციის მონაწილეთა მეორე ნაწილი მათ შორის ირაკლი კაკაბაძე, დავით დალაქიშვილი, აკაკი ჩაკვეტაძე იმყოფებოდნენ რკინის სვეტების შიგნით და მიახლოებული იყვნენ კანცელარიის შენობასთან. საპროტესტო აქციის მონაწილეები, ირაკლი კაკაბაძე, დავით დალაქიშვილი, ირინა ბათიაშვილი და სხვები საღებავით კანცელარიის შენობის მახლობლად ქვაფენილით მოპირკეთებულ ზედაპირზე აკეთებდნენ წარწერებს: ,,ძირს პოლიციური რეჟიმი," ,,ხელები შორს" და ა.შ. პარალელურად საპროტესტო აქციის ერთ–ერთ მონაწილეს ჯაბა ჯიშკარიანს ხელში ეკავა რუპორით, რომლითაც საპროტესტო აქციის მონაწილეები უსმენდნენ ,,უცნობის" სიმღერას ,,დედაენა" ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველო და იმყოფებოდა თავად სამმართველოს უფროსი, გიორგი გეგეჭკორი. საპროტესტო აქციის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა სახალხო დამცველი და მისი რწმუნებული. პოლიციელები არანაირ კონტაქტზე არ გადიოდნენ საპროტესტო აქციის მონაწილეებთან. პირველ შეხება, რაც პოლიციელებს ჰქონდათ საპროტესტო აქციის მონაწილეებთ იყო ის, რომ ყოველგვარი ვერბალური განმარტების გარეშე ხელში აიყვანეს აქციის აქტიური მონაწილე ირაკლი კაკაბაძე და საპატრულო პოლიციის მანქანისაკენ წაიღეს. დაკავების პირველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მოახერხეს ირაკლი კაკაბაძის გამოხსნა. ამ დროს შეუძლოდ გახდა ,,თანასწორობის ინსტიტუტის" წევრი ლაშა ჩხარტიშვილი. ამის შემდეგ, საპროტესტო აქცია ჩვეულ რიტმში გაგრძელდა. რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ, პოლიცია კვლავ მივიდა ირაკლი კაკაბაძესთან, გარს შემოეხვივნენ და ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე ხელში აიყვანეს და ჩასვეს დავით დალაქიშვილმა და აკაკი ჩაკვეტაძემ ირაკლი კაკაბაძის დახმარება სცადეს, თუმცა იქვე მყოფმა პოლიციელებმა დავით დალაქიშვილსა და აკაკი ჩაკვეტაძეს ორივე ხელი ყელში ჩაავლეს, წინ უბიძგეს. ამის შემდეგ, დავით დალაქიშვილს წონასწორობა დაეკარგა. ძირს წაქცეულ დავით დალაქიშვილს მარჯვენა და მარცხენა მხრიდან მიუდგა ორი პოლიციელი. პოლიციელებმა მარჯვენა და მარცხენა მკლავზე მოკიდეს ხელი დავით დალაქიშვილს და ამგვარად, წაათრიეს საპატრულო პოლიციის მანქანაში. პოლიციამ ასევე დააკავა მალხაზ ჯანგირაშვილი, ლაშა ჩხარტიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი და ჯაბა ჯიშკარიანი. ფიზიკური ძალის გამოყენების მიუხედავად, პოლიციამ ვერ შეძლო ლევან გოგიჩაიშვილის დაკავება. ცოტა ხანში პოლიციამ ჯაბა ჯიშკარიანი გაათავისუფლა.

რაც შეეხება დანარჩენ დაკავებულებს, მათ საპატრულო პოლიციამ შეუდგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა). დაკავებულები გადაიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში. ნაცვლად კანონით დადგენილი სამი საათისა, ,,თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებსა და მალხაზ ჯანგირაშვილს თავისუფლება შვიდი საათი ჰქონდათ აღკვეთილი. საპატრულო პოლიციამ მანიფესტანტები კანცელარიასთან დააკავა დაახლოებით ორ საათზე. დაკავებულებმა ორი საათი გაატარეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს შენობაში. დაახლოებით ხუთ საათზე ყველა დაკავებული სასამართლოს ერთ–ერთ დარბაზში დაამწყდიეს. თავისუფლებააღკვეთილ პირებს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ შეეძლოთ საპირფარეშოში შესვლა. სხვაგვარად, მათ ოთახიდან გამოსვლა ეკრძალებოდათ. აღნიშნული ვითარება გაგრძელდა 21 საათამდე, მანამ არ დასრულდა ირაკლი კაკაბაძის სასამართლო პროცესი. ამის შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარის, მამია ფახაკაძის უშუალო ჩარევით მოხდა დაკავებულებისათვის ბორკილების მოხსნა და სასამართლო ოთახიდან გამოშვება.

ირაკლი კაკაბაძის, ზურაბ რთველიაშვილის, აკაკი ჩაკვეტაძისა და დავით დალაქიშვილის სამართალდარღვევის საქმეები განიხილა მოსამართლე ლელა კალიჩენკომ. ლაშა ჩხარტიშვილისა და მალხაზ ჯანგირაშვილის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები მოსამართლე მამია ფხაკაძემ. ყველა პასუხისგებაში მიცემული პირი სცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და პასუხისმგებლობის ზომად განუსაზღვრეს ადმინისტრაციული ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

ბეგლარ ლოგუას საქმე

ბეგლარ ლოგუა რადიო ,,არდაიდარდოს“ დიჯეია. მისი დედა, გულნარა ჯინჯოლავა თაღლითობისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცა სამეგრელო–ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ. გულნარა ჯინჯოლავას აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდეს გირაო. ამჟამად, საქმე განსახილველად გადაგზავნილია ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

ბეგლარ ლოგუას მიაჩნია, რომ დანაშაული, რის გამოც დედამისი არის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული, ექვემდებარება ამნისტირებას საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი. ბეგლარ ლოგუამ ივარაუდო, რომ თავის ავადმყოფ დედას თავისუფლების აღკვეთის რეალური საფერთხე ემუქრებდა და გადაწყვიტა საპროტესტო აქციის ჩატარება.

2008 წლის 16 მაისს დაახლოებით სამ საათზე ბეგლარ ლოგუამ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ ცხრა აპრილის მემორიალსა და შადრევანს შორის, ფეხით მოსიარულეთა სავალ ადგილზე დადგა კარავი. ბეგლარ ლოგუამ გულნარა ჯინჯოლავას მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნით დაიწყო შიმშილობა. საპროტესტო აქციის დაწყებიდან ოთხი საათის გასვლის შემდეგ, ბეგლარ ლოგუასთან მივიდა საპატრულო პოლიცია. პატრულმა–ინსპექტორმა მოშიმშილისაგან კარვის დემონტაჟი მოითხოვა. ბეგლარ ლოგუამ იკითხა თუ რა კანონიერი საფუძვლით ითხოვდნენ კარვის დემონტაჟს. ბეგლარ ლოგუა საკუთარი სურვილით ჩაჯდა საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში. ბეგლარ ლოგუას შეუდგინეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის. იმავე დღეს გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში. მეორე დღეს ბეგლარ ლოგუა წარუდგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარეს, მამია ფხაკაძეს. სასამართლომ ბეგლარ ლოგუა ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. სასამართლო დადგენილებაში აღინიშნა, რომ ბეგლარ ლოგუამ თვითნებურად დადგა კარავი, რომელიც ქალაქის იერსახეს ცვლიდა. იწვევდა მოქალაქეთა ყურადღებას და აშკარა საფრთხეს უქმნიდა ხალხისა და ტრანსპორტის მოძრაობის შეუფერხებლობას. 19:15 საათზე პატრულმა ინსპექტრმა, დავით ჯაშიაშვილმა მოუწოდა ბეგლარ ლოგუას კარვის დაშლისაკენ, რასაც სასამართლოს დასკვნით, ბეგლარ ლოგუამ უწმაწური სიტყვებით უპასუხა.

ის გარემოება, რომ ბეგლარ ლოგუას არ დაურღვევია წესრიგი და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია პატრული–ინსპექტორისათვის, სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა პიროვნებებმა: ზაურ აბრამიამ, გულნარა ჯინჯოლავამ, კოტე მაქაცარიამ, გიორგი როდონაიამ, ზვიად ფიფიამ და მარიამ მიკუჩაძემ. სასამართლომ მათი ჩვენებები არ გაიზიარა, სამაგიეროდ სრული ნდობა გამოუცხადა პატრულ–ინსპექტორ დავით ჯაშიაშვილს. მის მიერ მიცემული ახსნა–განმარტება ბეგლარ ლოგუას მიერ უწმაწური სიტყვებით მიმართვის თაობაზე იყო ერთად–ერთი მტკიცებულება.

საბოლოოდ ბეგლარ ლოგუას ადმინისტრაციულინ სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძის საქმე

ქალაქ თბილისში ლეონიძისა და ტაბიძის ქუჩის კუთხეში მდებარებს შენობა, რომელიც გადავიდა ბანკი ,,რესპუბლიკა–სოსიეტე ჟენერალის“ საკუთრებაში. შენობას მოუხსნეს კულტურული ძეგლის სტატუსი და თბილისის მერიასთან შეთანხმებით მესაკუთრემ დაიწყო მისი დემონტაჟი. ამ ფაქტმა არასამთავრობო ორგანიზაციების ,,თბილისის ჰამქრისა“ და ,,ახალგაზრდული ფრონტის“ აღშფოთება გამოიწვია. ისინი აცხადებდნენ, რომ შენობას გააჩნია ისტორიული ღირებულება და მისი დემონტაჟის შემთხვევაში, თბილისის ცენტრალურ უბანს ტრადიციული, მისთვის დამახასიათებელი უნიკალური იერსახე დაეკარგებოდა.

2008 წლის 2 ივლისს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდული ფრონტის“ ათამდე აქტივისტმა საპროტესტო აქცია დაიწყო ლეონიძის ქუჩაზე. დემონტრანტებმა სამშენებლო ღობესა და ლეონიძის ქუჩის გზის სავალ ნაწილზე გააკეთეს საპროტესტო წარწერები: ,,უგულავა ანგრევს“ (გიორგი უგულავა ქალაქ თბილისის მერი), ,,პაპაშვილი ანგრევს“ (ლაშა პაპაშვილი ბანკი ,,რესპუბლიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე), ,,ნუ მინგრევ.“ საპატრულო პოლიციამ ლეონიძის ქუჩაზე შეკრებილ დემონსტრანტებს სთხოვა, თავი შეეკავებინათ წარწერების გაკეთებისაგან, თუმცა მანიფესტანტებმა განუმარტეს, რომ ამგვარი მოქმედების უფლებას საქართველოს კანონმდებლობა იძლეოდა. მანიფესტაციამ გასტანა თხუთმეტ წუთს.

15 საათსა და 20 წუთზე საპროტესტო აქციის მონაწილეებმა გადაინაცვლეს ატენის ქუჩაზე, სადაც მდებარეობს ბანკ ,,სოსიეტე ჟენერალის“ სათავო ოფისი. საპროტესტო აქციის მონაწილეები წარწერას ,,პაპაშვილი ანგრევს“ ანდომებდნენ 8–10 წამს. ამ დროს საპროტესტო აქციის მონაწილეებთან მივიდა საპატრულო პოლიციელი და წარწერების გაკეთებისაგან თავის შეკავება მოსთხოვა. აქციის ერთ–ერთმა ორგანიზატორმა, ,,ახალგაზრდული ფრონტის“ ხელმძღვანელმა დაჩი ცაგურიამ პოლიციელს განუმარტა, რომ პულივიზატორებით წარწერების გაკეთებას არ კრძალავდა საქართველოს კანონმდებლობა. პოლიციელმა პირობა დადო, რომ ხელმძღვანელობასთან გაარკვევდა ჰქონდათ თუ არა საპროტესტო აქციის წარწერების გაკეთების უფლება, მანამდე კი მანიფესტაციის შეჩერება და პულივიზატორების გადაცემა მოითხოვა. დაჩი ცაგურიამ და ,,ახალგაზრდული ფრონტის“ მეორე წევრმა, ლუკა წულაძემ მოთხოვნისთანავე გადასცეს პულივიზატორები.

მანიფესტანტებისა და პატრული–ინსპექტორის საუბარს მობილური ტელეფონით იწერდა სახალხო დამცველის რწმუნებული, რომელიც იმავდროულად, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დაცვის მიზნით ახორციელებდა მონიტორინგს და დაწყების მომენტიდან ესწრებოდა საპროტესტო აქციას. პატრულმა–ინსპექტორმა სახალხო დამცველის რწმუნებულს, უხეშად მიმართა და ვიდეოგადაღების შეწყვეტა მოსთხოვა, ვინაიდან არ იყო ტელეარხის თანამშრომელი (პოლიციელი

დარწმუნებულია, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენების ვიდეოგადაღების უფლება მხოლოდ ტელეკომპანიის ჟურნალისტებს აქვთ).

მოკლე ხანში შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია დამატებითი ეკიპაჟი მივიდა. პატრულმა–ინსპექტორებმა დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძეს საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში ჩაჯდომა მოსთხოვეს. დაჩი ცაგურია და ლუკა წულაძე დაემორჩილნენ პატრული–ინსპექტორების მოთხოვნებს. ამის შემდეგ, დაჩი ცაგურია და ლუკა წულაძე გადაიყვანეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარ სამმართველოში, სადაც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. დაჩი ცაგურია და ლუკა წულაძე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისცეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173–ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა) მუხლებით. ამის შემდეგ, პასუხისგებაში მიცემული პირები პატრულმა–ინსპექტორებმა წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში.

პატრულმა–ინსპექტორებმა განაცხადეს, რომ დაჩი ცაგურიამ და ლუკა წულაძემ გადაკეტეს ატენის ქუჩაზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით მძღოლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. სამართლიანი პრეტენზიის საპასუხოდ საპროტესტო აქციის მონაწილეები აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს. როდესაც პატრულმა–ინსპექტორებმა დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძეს წესრიგის დაცვისაკენ მოუწოდეს, სავარაუდო სამართალდამრღვევებმა პატრულ–ინსპექტორებს დედის მისამართით აგინეს.

ზემოხსნებული გარემოებების დასასაბუთებლად საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს არც უკმაყოფილო მძღოლებისა თუ ფეხით მოსიარულეთა ახსნა–განმარტებები, არც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაღებული ვიდეომასალა, არც მოწმეთა ჩვენებები არ წარუდგენიათ. ერთადერთი მტკიცებულება რითაც ზემოთ მოყვანილი გარემოებები დასტურდებოდა იყო, პატრული–ინსპექტორის მიერ სასამართლოზე წარდგენილი ახსნა–განმარტება.

მოსამართლე ლელა კალიჩენკომ არ დააკმაყოფილა სამართალდამრღვევის სახით პასუხისგებაში მიცემული პირების ადვოკატების, ეკატერინე ფოფხაძის, თამარ რევაზიშვილის, მანანა კობახიძისა და ლაშა ჭინჭარაულის შუამდგომლობა მტკიცებულების სახით საქმეს დართვოდა სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ გადაღებული ვიდეომასალა, მტკიცებულების სახით გამოთხოვილი ყოფილიყო „სოსიეტე ჟენერალის“ ვიდეოთვალის მონაცემები. ლუკა წულაძის სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მოწმის სახით დაიკითხა სახალხო დამცველის რწმუნებული კობა ჩოფლიანი და „ახალგაზრდული ფრონტის“ წევრი, ირაკლი კორძაია. დაჩი ცაგურიას საქმის განხილვისას მოსამართლე ლელა კალიჩენკომ უარი განაცხადა, მათ დაკითხვაზე. მოსამართლის განმარტებით, ირაკლი კორძაიას ჩვენება არ იყო სარწმუნო ვინაიდან, იგი იმავე ორგანიზაციის წევრი, რომელშიც გაწევრიანებული იყვნენ სავარაუდო სამართალდამრღვევები. ამიტომ ირაკლი კორძაია დაინტერესებული იყო მოსალოდნელი პასუხისმგებლობა აეცილებინა თავიდან დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძისათვის. რაც შეეხება კობა

ჩოფლიანს, მოსამართლე ლელა კალიჩენკოს განმარტებით, სახალხო დამცველის რწმუნებულმა წინასწარ გამოთქვა აზრი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებით და მისი ჩვენება მიუკერძოებელი არ იქნებოდა.

სამაგიროდ, სასამართლომ სრულად გაიზიარა პატრული–ინსპექტორების ახსნა–განმარტებები იმ ნაწილში, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეებმა შეაფერხეს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა, მანიფესტანტები არ დაემორჩილნენ პატრული–ინსპექტორების კანონიერ მოთხოვნას – მიეცათ ტრანსპორტისა და ხალხისათვის გადაადგილების შესაძლებლობა. ამის გამო, სასამართლომ სამართალდამრღვევებად სცნო დაჩი ცაგურია და ლუკა წულაძე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის.

2008 წლის 9 ივლისს სახალხო დამცველს ახსნა–განმარტებები მისცეს ატენის ქუჩაზე მდებარე მაღაზიის თანამშრომელმა, მარინა სირაძემ და იმავე ქუჩაზე მანქანების პარკინგზე ზედამხედველმა პირმა ირაკლი მაჩიტიძემ. მარინე სირაძე თვალყურს ადევნებდა 2008 წლის 2 ივლისს საპროტესტო აქციის მიმდინარეობას. ამ დროის განმავლობაში მას რაიმე ხმაურის ან უწმაწური სიტყვები არ მოუსმენია. მარინე სირაძის განმარტებით, საპროტესტო აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ ლოზუნგი: „არ დაგვანგრიოთ.“

ირაკლი მაჩიტიძის განმარტებით, შუადღით საცობი ატენის ქუჩაზე ჩვეული მოვლენაა. საცობის წარმოქმნას განსაკუთრებით ხელს უწყობს ადგილზე საპატრულო პოლიციის არყოფნა. 2008 წლის 2 ივლისს ირაკლი მაჩიტიძეს საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს გინების ხმა არ გაუგია. ამ დროს შეიქმნა საცობი. გზის სავალ ნაწილზე იმყოფებოდნენ, როგორც საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები, ასევე მანიფესტანტები. ირაკლი მაჩიტიძის განმარტებით, საპროტესტო აქციის მონაწილეები ხელს არ უშლიდნენ ავტომანქანების გადაადგილებას. მანქანები საპროტესტო აქციის მიმდინარეობის დროს ნელი მოძრაობით გადაადგილდებოდნენ. ირაკლი მაჩიტიძეს არ გაუგია მძღოლების უკმაყოფილება მოძრაობის შეფერხების გამო.

მოსამართლემ მიიჩნია, რომ მხარეთა ახსნა–განმარტებებით და საქმეში წარდგენილი მასალებით არ დასტურდებოდა, დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძის მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების, წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის გარემოება. ამ ნაწილში შეწყდა საქმისწარმოება.

სასამართლომ საბოლოოდ, დაჩი ცაგურიასა და ლუკა წულაძეს სახდელის ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

დანართი #3
გამოხატვის თავისუფლება

მედია ჰოლდინგი „ი–მედიას“ საქმე

2008 წლის იანვრის მონაცემებით „ტელეიმედისა“ და „რადიო იმედის“ საწესდებო კაპიტალის 100%–ის მფლობელია სააქციო საზოგადოება „ი–მედია.“ „ი–მედიას“ აქციათა 65%–ს ფლობს შპს „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპი,“ ხოლო 35%–ს შპს „უნივერსალი.“ თავის მხრივ, შპს „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპის“ 70%–ს ფლობდა ფიზიკური პირი, გიორგი ჯაოშვილი, ხოლო 15–15%–ს შპს „მაუდი“ და ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი. 2008 წლის 22 აპრილს ნიუ–იორკის სასამართლოს გიორგი ჯაოშვილმა გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილობითი ახსნა–განმარტება:

2008 წლის 19 თებერვალს ჯოზეფ ქეიმ ქალაქ თბილისში თავის საცხოვრებელ სახლში დაიბარა გიორგი ჯაოშვილი. ამ დროს ჯოზეფ ქეისთან იმყოფებოდნენ ჯოზეფ ქის ადვოკატი, სახელად დავითი და გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, გიორგი ისაკაძე. აღნიშნულ ორგანიზაციას 2007 წლამდე ხელმძღვანელობდა ბადრი პატარკაციშვილი. დღეს გიორგი ისაკაძე ჯოზეფ ქეის ბიზნესპარტნიორია. აღნიშნულ შეხვედრაზე, რომელიც შედგა ქალაქ თბილისში დილის 10 საათზე, ჯოზეფ ქეიმ გიორგი ჯაოშვილს წარუდგინა ერთ გვერდად ინგლისურ ენაზე შესრულებული დოკუმენტი. იურისტმა, სახელად დავითმა გიორგი ჯაოშვილს უთარგმნა, რომ აღნიშნული დოკუმენტის ძალით, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ქონების მმართველად დაინიშნება ჯოზეფ ქეი. დოკუმენტის აღნიშნული შინაარსი ასევე დაადასტურა გიორგი ისაკაძემ.

როგორც გიორგი ჯაოშვილი განმარტავს, ამის შემდეგ ჯოზეფ ქეიმ შესთავაზა მას შპს „ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპის“ 70%–ის გამოსყიდვა. ჯოზეფ ქეიმ განაცხადა, რომ ეს ღონისძიება აუცილებელი იყო ბადრის ქონების დაცვის მიზნით ხელისუფლებასთან მოლაპარაკების წარმოებისათვის. იმ დღეს ჯოზეფ ქეი აპრებდა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას. ამის შემდეგ, გიორგი ჯაოშვილმა იკითხა იცოდა თუ არა წილების ჯოზეფ ქეისათვის გადაფორმების შესახებ ინა გუდავაძემ. ჯოზეფ ქეიმ დასძინა, რომ აღნიშნული გარიგების შესახებ პატარკაციშვილების ოჯახის ყველა წევრი იყო საქმის კურსში. ჯოზეფ ქის თქმით, ის მოქმედებს ბადრის ნებისა და ოჯახის ინტერესების შესაბამისად.

გიორგი ჯაოშვილი ახსნა–განმარტებაში აღნიშნავს, რომ იმ მომენტში მას არ შეპარვია ეჭვი ჯოზეფ ქეის ნათქვამის სიმართლეში. გიორგი ჯაოშვილის თქმით, ბადრი პატარკაციშვილმა 2007 წლის ნოემბრის თვეში დაავალა ჯოზეფ ქეის ხელისუფლებასთან ურთიერთობის მოწესრიგება. მიუხედავად ამისა, გიორგი ჯაოშვილი ვერ იხსენებს, რომ მისთვის ოდესმე ბადრი პატარკაციშვილს რაიმე

დავალება მიეცეს ,,ჯეი ემ ჯის“ წილების განკარგვასთან დაკავშირებით. გიორგი ჯაოშვილს უნდოდა ლონდონში, ინა გუდავაძესთან დაკავშირება, თუმცა ვინაიდან იმ დროს ლონდონში დილის შვიდი საათი იყო, გადაწყვიტა არ შეეწუხებინა. გიორგი ჯაოშვილი დარწმუნებული იმაში, რომ, ჯოზეფ ქეი მოქმედებდა გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილის ინტერესების შესაბამისად, გაჰყვა მას ნოტარიუსთან. სანოტარო ორგანოში ყველა დოკუმენტი ხელმოსაწერად მზად იყო. ერთადერთი საკითხი, რომელიც საჭიროებდა გადაწყვეტას, იყო წილების გამოსყიდვის ღირებულება. ამ დროს სანოტარო ბიუროში მყოფმა ჩინოვნიკმა დარეკა საფონდო ბირჟაზე და სთხოვა, დაესახელებინათ ერთ აქციაზე ყველაზე მაღალი ფასი ხუთი წლის განმავლობაში. ასეთ ფასად 38–40 ლარი დაასახელეს. ამგვარად, ,,ჯეი ემ ჯის“ წილები განისაზღვრა 420 000 ლარად.

ამის შემდეგ, გიორგი ჯაოშვილმა შეკითხვით მიმართა ნოტარიუსს რამდენად შეიძლებოდა იმ წილების გაყიდვა, რომელიც იყო დაყადაღებული. ნოტარიუსმა მას წარუდგინა 2008 წლის 19 თებერვლით დათარიღებული დოკუმენტი, რომლის შესაბამისადაც ,,ჯეი ემ ჯის“ საწესდებო კაპიტალის წილებს ყადაღა მოხსნილი ჰქონდა. გიორგი ჯაოშვილმა აღნიშნული დოკუმენტის ასლი მოითხოვა. ნოტარიუსმა აღნიშნული მოთხოვნით გენერალური პროკურატურისათვის მიმართვა ურჩია. გიორგი ჯაოშვილმა ასევე განაცხადა, რომ სხვა მოწილეების, შპს ,,მაუდისა“ და ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის თანხმობის გარეშე არ ჰქონდა წილის განკარგვის უფლებამოსილება. ჯოზეფ ქეიმ განაცხადა, რომ ეს გარემოება არანაირ პრობლემას არ შექმნიდა. ამის შემდეგ, ჯოზეფ ქეიმ და გიორგი ჯაოშვილმა ხელი მოაწერეს 420 000 ლარად ,,ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპის“ საწედებო კაპიტალის წილის 70 % ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომელიც დაადასტურა ნოტარიუსმა. ამგვარად, ,,ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპში“ დომინანტური მდგომარეობის დაკავებით ჯოზეფ ქეიმ მოიპოვა რადიო ,,იმედის“ და ,,ტელეიმედის“ მართვის უფლება.

მეორე დღეს გიორგი ჯაოშვილი ესაუბრა ინა გუდავაძეს, რომელმაც განაცხადა, რომ ჯოზეფ ქეის მისთვის არ წარუდგენია ბადრი პატარკაციშვილის ქონების მართვაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, შესაბამისად, ,,ჯეი ემ ჯი კონსალტინგ გრუპის“ საწედებო კაპიტალის წილის 70 %–ის განკარგვის საკითხი კი არ იყო ინა გუდავაძესთან შეთანხმებული.

ინა გუდავაძის ადვოკატებმა შეძლეს იმ დოკუმენტის ასლის მოპოვება, რომლითაც ჯოზეფ ქეი ადასტურებს თავისი, როგორც მმართველის უფლებამოსილებას ბადრი პატარკაციშვილის სამკვიდრო მასაზე. აღნიშნული დოკუმეტი ექსპერტიზისათვის გადაუგზავნეს ცნობილ ნიუ–იორკელ ექსპერტს, გუსტავ ლენევიჩს. 2008 წლის 4 სექტემბერით დათარიღებული ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა არ არის ბადრი პატარკაციშვილის ხელმოწერის იდენტური.

ტელეკომპანია ,,ობიექტივის“ საქმე

1997 წლის 16 ივლისს შპს ,,TV-33“ დარეგისტრირდა ქალაქ თბილისის ისნის რაიონის სასამართლოში. 1998 წლის 21 აპრილს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ ,,TV-33–ზე“ გასცა #499 ლიცენზია ტელესამაუწყებლო ქსელის ექსპლუატაციაზე. 2000 წლის 14 დეკემბერს ჩატარდა ,,TV-33–ის“ პარტნიორთა კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ,,TV-33–ის“ რეორგანიზაციის თაობაზე. ნატურით გაყოფის შედეგად შეიქმნა შპს ,,ტელეკომპანია ობიექტივი.“ ეს უკანსკნელი დარეგისტრირდა ქალაქ თბილისის ვაკე–საბურთალოს რაიონულ სასამართლოში 2001 წლის 9 და 20 თებერვლის დადგენილებებით. ლიცენზია გადაეცა ტელეკომპანია ,,ობიექტივს.“ კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ მოგვიანებით #449–ე ლიცენზიას ვადა გაუგრძელა 2013 წლის 21 ივლისამდე. #499 ლიცენზია მოდიფიცირდა, როგორც საეთერო საერთო ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზია #35 სატელევიზიო არხზე 2 კვტ სიმძლავრის გადამცემის მეშვეობით ქ.თბილისში (10400, 10480, 10560 მგჰც ქვესიხშირეების გამოყენებით). 2004 წლის 3 სექტემბერს ტელეკომპანია ,,ობიექტივის“ პარტნიორთა კრებამ გადაწყვეტილება მიიღო რეორგანიზაციის შესახებ. ,,ტელეკომპანია ობიექტივი“ გაიყო ორ შპს–დ: ,,ტელეკომპანია ობიექტივად“ და ,,ტელეკომპანია ობიექტივი–2–ად.“ #499 საეთერო საერთო მაუწყებლობის ლიცენზია, რომელიც შეაფასეს 19951.20 ლარად, გადავიდა ,,ობიექტივი–2–ის“ საკუთრებაში.

2004 წლის 10 სექტემბერს ვაკე–საბურთალოს რაიონული სასამართლოს სასამართლოს დადგენილებით ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2–ის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად – დირექტორად სამეწარმეო რეესტრში დავით კაკაურიძე აღირიცხა. 2004 წლის 24 სექტემბერს ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2–ის“ ნოტარიუს ნ.გინტურის მიერ შედგა სანოტარო აქტი წილის ნაწილის დათმობის შესახებ. ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2–ის“ საწესდებო კაპიტალის წილის 100%–ის მფლობელმა ქეთევან ასათიანმა საწესდებო კაპიტალის წილის 50% უსასყიდლოდ დაუთმო დავით კაკაურიძეს. 2004 წლის 2 ნოემბერს იგივე ნოტარიუსის აქტით ქეთევან ასათიანმა კვლავ უსასყიდლოდ დავით კაკაურიძეს დაუთმო თავისი კუთვნილი 1%. ამგვარად, დავით კაკაურიძე გახდა საკონტროლო პაკეტის მფლობელი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დავით კაკაურიძემ 2004 წლის 22 დეკემბერს განცხადებით მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შიდა ქართლის სამაუწყებლო ზონაში საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად. განცხადების შეტანა წარმოადგენს კონკურსის გამოცხადების საფუძველს. კონკურსი გამოცხადდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2004 წლის 24 დეკემბრის #720/10 გადაწყვეტილებით. განაცხადისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ვადად განისაზღვრა 2005 წლის 24 თებერვალი 17 საათი. აღნიშნულ ვადაში განაცხადი შეიტანა ერთად–ერთმა ლიცენზიის მაძიებელმა, შპს ,,შიდა ქართლის ტელეკომპანიამ,“ რომელსაც წარმოადგენდა არა დავით კაკაურიძე, არამედ ვინმე ნიჟარაძე. დავით კაკაურიძეს ლიცენზიის მოპოვებლად აუცილებელ შემდგომ პროცედურებში მონაწილეობა არ მიუღია. როგორც ჩანს, დაინტერესებულ პირებს სურდათ მაუწყებლობის ლიცენზიის მოპოვება შიდა ქართლში, უფრო მეტად

კი ქალაქ ცხინვალში. ამისათვის სამართლებრივი პროცედურის დასაწყებად დავით კაკაურიძის კვლავ პიროვნული რესურსი გამოიყენეს.

ვისი მითითებით და რა მიზნით დაუთმეს უსასყიდლოდ ,,ობიექტივი–2–ის" საწასდებო კაპიტალის წილის საკონტროლო პაკეტი დავით კაკაურიძეს? ქეთევან ასათიანის რწმუნებულმა მიხეილ აგლაძემ, პიროვნებამ რომელმაც სახალხო დამცველს წარუდგინა ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2–თან" დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, წილის უსასყიდლოდ დათმობის მოტივებისა და მიზნების თაობაზე სახალხო დამცველისათვის ახსნა–განმარტების მიცემაზე თავი შეიკავა. სამაგიეროდ, იგივე მიხეილ აგლაძე ამ საკითხზე დატალურად ესაუბარა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ადამიანის უფლებათა ცენტრის" ჟურნალისტს, ეკა ქევანიშვილს. ეს ინტერვიუ გამოტანილია ,,ადამიანის უფლებათა ცენტრის" ოფიციალურ ვებ–გვერდზე: http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=2320&lang=ge.

მიხეილ აგლაძე აცხადებს, რომ იგი ,,ობიექტივი–2–ის" არსებობის მანძილზე ქეთევან ასათიანის რწმუნებით უძღვებოდა ტელეკომპანიის საქმიანობას. 2004 წელს დაიბარა კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ხელმძღვანელმა, დიმიტრი ქიტოშვილმა და მოსთხოვა, ,,ობიექტივი–2–ის" საწესდებო კაპიტალის წილის დათმობა. აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილების შემთხვევაში დიმიტრი ქიტოშვილი ლიცენზიის გაუქმებით იმუქრებოდა. ტექნიკური მიზეზების გამო ,,ობიექტივი–2" არ მაუწყებლობდა სამ თვეზე მეტი დროის განმავლობაში. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 74–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, ეს გარემოება წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების საფუძველს. გარდა ამისა, მიხეილ აგლაძის მიმართ იყო მუქარის ზარები. ეს ზარები ხორციელდებოდა ერთერთი მაღალჩინოსანისაგან, რომლის დასახელებისაგან მიხეილ აგლაძემ ,,ადამიანის უფლებათა ცენტრთან" საუბრისაგან თავი შეიკავა. ამგვარი ზეწოლის ქვეშ, ქეთევან ასათიანმა ,,ობიექტივი–2–ის" საწესდებო კაპიტალის წილის 51% უსასყიდლოდ დათმო დავით კაკაურიძის სასარგებლოდ, როგორც მიხეილ აგლაძე აცხადებს: ,,სჭირდებოდათ თავისუფალი არხი და ის მიიღეს კიდეც. ეს ის არხია, რომელზეც „ალანია" მაუწყებლობს."

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა, ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ დაადგინა, რომ დავით კაკაურიძე იყო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილის მეზობელი. სანოტარო აქტის მონაცემებით დავით კაკაურიძე პროფესიით სტომატოლოგია. თუმცა უფრო გვიანდელ დოკუმენტებში აღნიშნული პიროვნება იურისტის პროფესიით ფიქსირდება.

2005 წლის 13 აპრილს შპს ,,ობიექტივი–2–მა" განცხადებით მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა #499 ლიცენზიის სახეობის მოდიფიცირება. 2005 წლის 17 ივნისს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ #385/2 გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და ,,ობიექტივი–2–ის" საერთო მაუწყებლობის #499 საერთო სახეობა ლიცენზია მოდიფიცირდა სპეციალიზებულ (ტელეშოპინგი) სახეობად. ამის შემდეგ, 35–ე არხით დაუშვებელი გახდა არათუ საინფორმაციო და საზოგადოებრივ–პოლიტიკური, არამედ ტელეშოპინგის გარდა სხვა თემატიკის პროგრამებით მაუწყებლობა.

2007 წლის 13 სექტემბერს დავით კაკაურიძემ მისი კუთვნილი შპს ,,ობიექტივი–2–ის“ საწესდებო კაპიტალის წილის 51% ჩუქების ხელშეკრულებით გაასხვისა ნოდარ ჭარხალაშვილზე. აღნიშნული ხელშეკრულება კვლავ დაამოწმა ნოტარიუსმა გინტურმა. 2007 წლის 1 ნოემბერს აღნიშნული ხელშეკრულება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გაასაჩივრა მიხეილ აგლაძემ. 2007 წლის 18 დეკემბერს კი მიხეილ აგლაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა წილის დათმობის თაობაზე ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

2008 წლის 5 თებერვალს დავით კაკაურიძემ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას განცხადებით მიმართა ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2–ის“ კუთვნილი ლიცენზიის გაუქმების თაობაზე. ამის მიზეზად დაასახელა ის გარემოება, რომ ტელეკომპანია ,,ობიექტივი–2“ არ მაუწყებლობდა და ასევე, კომპანიას გააჩნდა სალიცენზიო გადასახდელის დავალიანება (16 430, 40 ლარის ოდენობით). 2008 წლის 20 თებერვლიდან ,,ობიექტივი–2–ის“ საწესდებო კაპიტალის 51% წილის მფლობელი და კომპანიის დირექტორი გახდა გურამ კვირიკაშვილი. 2008 წლის 20 თებერვალს ცვლილება შევიდა შპს ,,ობიექტივი–2–ის“ წესდებაში. თუკი ადრე მოქმედი რედაქციის შესაბამისად, აქტივების გასხვისებისათვის დირექტორს ესაჭიროებოდა საწესდებო კაპიტალის 60%–ზე მეტი წილის მფლობელთა ხმათა უმრავლესობა, წესდებაში შესული ცვლილების შესაბამისად, ეს ოდენობა 50%–მე შემცირდა. ვინაიდან, გურამ კვირიკაშვილი ფლობდა 51%, მას უფლება ჰქონდა მოეთხოვა ტელეკომპანიის კუთვნილი #499 სპეციალიზებული (ტელეშოპინგი) ლიცენზიის გაუქმება. აღნიშნული ლიცენზიის გაუქმების საკითხის განსახილველად კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სხდომა დანიშნა 2008 წლის 21 მარტს. აღნიშნულ სხდომაზე გურამ კვირიკაშვილის რწმუნებულმა, ალექსი შოშიაშვილმა თავისი მარწმუნებლის სახელით მხარი დაუჭირა დავით კაკაურიძის განცხადებას #499–ე ლიცენზიის გაუქმების თაობაზე. კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ იხელმძღვანელა რა ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, რომლითაც მაუწყებლობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველია თავად ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა და გააუქმა #499–ე ლიცენზია.

ამგვარად, ახალი მფლობელის ხეშეწყობით, ხელისუფლებამ გამორიცხა სამაუწყებლო სიხშირის მისგან არაკონტროლირებადი ძველი მფლობელისათვის დაბრუნების შესაძლებლობა.

ნონა ყანდიაშვილის საქმე

2008 წლის 11 სექტემბერს სახალხო დამცველს ინფორმაცია მიაწოდა რადიო ,,იმედის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს ნონა ყანდიაშვილმა. მისი განმარტებით, ჯოზეფ ქეი მას პირველად შეხვდა მას შემდეგ რაც, ტელეკომპანია და რადიო ,,იმედის“ მფლობელი გახდა. შეხვედრა ტელეკომპანია ,,იმედის“ შენობაში გაიმართა. სხვა საკითხებთან ერთად, ნონა ყანდიაშვილმა და ჯოზეფ ქეიმ განიხილეს რადიო ,,იმედის“ საინფორმაციო სამსახურის სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხი. ჯოზეფ ქეიმ პირობა დადო, რომ არ აპირებდა საინფორმაციო სამსახურის სარედაქციო საქმეებში ჩარევას, თუმცა ახალმა მფლობელმა ასევე განაცხადა, რომ

ნონა ყანდიაშვილს ისე არ გაეკეთებინა, რომ რადიო ,,იმედის“ მაუწყებლობის გამო ჯოზეფ ქეი არ დაებარებინათ და პასუხი უხეში ფორმით არ მოეთხოვათ. ნონა ყანდიაშვილმა განაცხადა, რომ რადიო ,,იმედი“ იქნებოდა დაბალანსებული, მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფდა, რომ ამის გამო ჯოზეფ ქეის არავინ დაიბარებდა და პასუხს არ მოსთხოვდა.

ნონა ყანდიაშვილმა ასევე განაცხადა, რომ 2008 წლის 8 მაისს, მას დაუკავშირდა ჯოზეფ ქეის ბიზნეს–პარტნიორი გიორგი ისაკაძე. იმ დღეს საპატრულო პოლიციის წარმომადგენელის მიერ ნასროლმა ტყვიამ ვაკის საარჩევნო ოლქში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ზაზა გამცემლიძის შტაბის წევრი, გიორგი გამცემლიძე იმსხვერპლა. გიორგი ისაკაძემ ნონა ყანდიაშვილს აღნიშნული ინფორმაციის რადიო ეთერში ნეიტრალური და შერბილებული ფორმით გადაცემა მოსთხოვა. ნონა ყანდიაშვილმა გიორგი ისაკაძეს განუცხადა, რომ უძლური იყო რაიმე გაეკეთებინა ამასთან დაკავშირებით. სატელეფონო საუბარი შედგა დღის ბოლოს, რადიოსადგურმა გიორგი გამცემლიძის მოკვლის ფაქტი გააშუქა დღის საინფორმაციო გამოშვებებში. აღნიშნული ახალი ამბავი რადიო ,,იმედზე“ ადრე ,,რუსთავი–2–მა“ გააშუქა. გიორგი ისაკაძემ განაცხადა, რომ მაღალი თანამდებობის პირები უკმაყოფილონი დარჩნენ რადიო ,,იმედის“ მიერ გიორგი გამცემლიძის მკვლელობის გაშუქებით და პრეტენზიები გამოთქვეს ჯოზეფ ქეისთან. გიორგი ისაკაძემ აღნიშნა, რომ გიორგი გამცემლიძის მოკვლის ფაქტთან დაკავშირებით არ იყო ყურადღების გამახვილება საჭირო, ვინაიდან მოკლული ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო. ნონა ყანდიაშვილმა განაცხადა, რომ ნებისმიერი ადამიანის მკვლელობა იწვევდა საზოგადოებრივ ინტერესს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტიის წევრი იყო მოკლული. გიორგი ისაკაძემ ასევე განაცხადა, რომ დაკავებული იყო ჰოლდინგ ,,ი–მედიას“ ფინანსური საკითხებით და ნონა ყანდიაშვილს სთხოვა, საჭიროების შემთხვევაში დაკავშირებოდა მას.

2008 წლის 30 მაისს საღამოს სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ნონა ყანდიაშვილს დაუკავშირდა ტელეკომპანია ,,იმედის“ გენერალური დირექტორი, ბიძინა ბარათაშვილი. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ჯოზეფ ქეის სურდა ნონა ყანდიაშვილთან შეხვედრა. ნონა ყანდიაშვილი დაბრუნდა სამსახურში. ჯოზეფ ქეი იჯდა ტელეკომპანიის შენობაში, ბიძინა ბარათაშვილის კაბინეტში. ჯოზეფ ქეისთან ასევე დაიბარეს რადიო ,,იმედის“ გენერალური დირექტორი ირაკლი ხეთერელი. ჯოზეფ ქეიმ რადიოსადგურის გენერალურ დირექტორსა და საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს განუცხადა, რომ იგეგმებოდა რეორგანიზაცია. ჯოზეფ ქეიმ განაცხადა, რომ ის ადამიანი იყო, რომელიც თვლიდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ძალიან კარგია. ჯოზფ ქეის საქართველოში ჰქონდა ძალიან ბევრი ბიზნესი, ამიტომ მას არ სჭირდებოდა რადიოსადგურის სარედაქციო პოლიტიკის გამო აღნიშნულ ბიზნესსაქმიანობას პრობლემები შექმნოდა. ჯოზეფ ქეიმ აღნიშნა, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა მედიაში და ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდა ამ კუთხით. ჯოზეფ ქეიმ ნონა ყანდიაშვილსა და ირაკლი ხეთერელს შეახსენა, რომ მედია შეიძლება იყო ობიექტური პლიუსით და ობიექტური მინუსით. ჯოზეფ ქეის სურდა მის მფლობელობაში არსებული მედია ყოფილიყო ობიექტური პლიუსით. ამიტომ დაიწყო რეორგანიზაცია და განაცხადა, რომ ნონა ყანდიაშვილი და ირაკლი ხეთერელი სამსახურიდან იყვნენ გათავისუფლებული.

ნონა ყანდიაშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მოხდა შრომის კოდექსის მოთხოვნების სრული დაცვით. გათავისუფლებამდე ნონა ყანდიაშვილი უზრუნველყვეს ერთი თვის ხელფასით.

ელისო ჩაფიძის საქმე

2008 წლის 03 ივნისს გაზეთ ,,რეზონანსის" ჟურნალისტმა, ელისო ჩაფიძემ ახსნა–განმარტება მისცა სახალხო დამცველს. ელისო ჩაფიძე იმყოფებოდა დამკვირვებლად სიღნაღის #13 საარჩევნო ოლქის სოფელი ქვემო მაღაროს #26–ე საარჩევნო უბანში, სადაც ვიდეოკამერით აფიქსირებდა კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესს. ჟურნალისტის განმარტებით:

საარჩევნო უბანში შესვლისას ელისო ჩაფიძემ გაარკვია, რომ უცნობი პირები საარჩევნო ყუთში ყალბი ბიულეტენების ჩაყრას ცდილობდნენ, რაც აღკვეთა ,,გაერთიანებული ოპოზიციის" წარმომადგენელმა. ამ უკანასკნელმა კომისიის თავმჯდომარისაგან დარღვევაზე რეაგირება მოითხოვა, რის პასუხადაც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა საარჩევნო უბანზე გამოიძახეს ორი ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა და ,,გაერთიანებული ოპოზიციის" წარმომადგენელი უბნიდან გააძევეს. ელისო ჩაფიძე მიუახლოვდა იმ, ორ მამაკაცს, ვინც ,,გაერთიანებული ოპოზიციის" წარმომადგენელი გამოაძევა საარჩევნო უბნიდან, წარუდგინა თავისი აკრედიტაციის მოწმობა და მოსთხოვა კენჭისყრის ადგილზე მათი ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ დროს საარჩევნო უბანზე კიდევ ერთი, გაურკვეველი სტატუსის მქონე მამაკაცი გამოჩნდა. ელისო ჩაფიძის განცხადებით, უცნობები ამბობდნენ, რომ ,,პლეხანოველი ბიჭები" იყვნენ. ელისო ჩაფიძემ ჩართო კამერა და დაიწყო მათი გადაღება. ერთერთმა მამაკაცმა თავისი ხელი კამერას მიაფარა, მეორემ ელისო ჩაფიძეს ხელები გადაუგრიხა, სამკერდე ნიშნის ჩამოხევას შეეცადა. ამ დროს კამერა ძირს დავარდა. ამ ფაქტს ყოველგვარი რეაგირების გარეშე, მშვიდად თვალყურს ადევნებდა კენჭისყრის ადგილზე მყოფი პოლიციის თანამშრომელი, მამუკა დეკანოიძე. ჟურნალისტის დახმარება რიგითმა მოქალაქეებმა სცადეს. პოლიციელმა, მამუკა დეკანოიძემ თავდამსხმელები თავის ავტომანქანაში ჩასვა და საარჩევნო უბანს დროებით გამოაცილა. ნახევარი საათის გასვლის შემდეგ, სამი უცნობი მამაკაცი კვლავ დაბრუნდა საარჩევნო უბანზე.

კახა გაბუნიასა და ნიკოლოზ პატარაიას საქმე

2008 წლის 02 ივნისს სახალხო დამცველს ახსნა–განმარტება მისცეს ტელეკომპანია ,,მზის" ჟურნალისტმა, ალეკო გაბუნიამ და ოპერატორმა, ნიკოლოზ პატარაიამ. 2008 წლის 21 მაისს სახალხო დამცველმა ახსნა–განმარტება ასევე ჩამოართვა ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების" წარმომადგენელს ზუგდიდის #67–ე საარჩევნო ოლქის რუხის #100 საარჩევნო უბანზე ბედმან კემონჯავას. აღნიშნული ახსნა–განმარტებებიდან ირკვევა:

ზუგდიდის #67–ე საარჩევნო ოლქში რუხის მე–100 საარჩევნო უბანში 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს მომხდარი დარღვევების თაობაზე ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, კობა დავითაშვილი საქმის კურსში ჩააყენა აღნიშნულ საარჩევნო უბანში საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელმა, ბედმან კემონჯავამ. კობა დავითაშვილი საარჩევნო უბანზე ,,რუსთავი–2–ისა“ და ,,მზის“ გადამღებ ჯგუფებთან ერთად მივიდა. კომისიის თავმჯდომარემ, მედეა ფარცვანიამ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი საარჩევნო უბანზე არ შეუშვა. კობა დავითაშვილი ითხოვდა ,,ქრისტიან–დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებთან შეხვედრას, რომელსაც მისი ინფორმაციით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს უბანზე უკანონოდ მყოფმა პირებმა. ამ დროს საარჩევნო უბანთან გამოჩნდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდები, რომლებმაც ტელეკომპანია ,,მზის“ კორესპონდენტის, ალეკო გაბუნიას განმარტებით, კობა დავითაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ბედმან კემონჯავას განმარტებით, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ახალგაზრდამ კობა დავითაშვილს მარცხენა ხელი მოუქნია. აღნიშნულზე ხელი შეაგება თავად ბედმან კემონჯავამ. ამის შემდეგ, თავდამსხმელმა კობა დავითაშვილს მარჯვენა ხელით დაარტყა და გაიქცა. კობა დავითაშვილმა ტელეკომპანიების ჟურნალისტებს თავდამსხმელების სახეების დაფიქსირება სთხოვა და მათ უკან გამოედევნა. ტელეკომპანია ,,რუსთავი–2–ისა“ და ,,მზის“ ჟურნალისტები გაქცეულ კობა დავითაშვილს და თავდამსხმელებს უკან გაყვნენ. ამ დროს ჟურნალისტებს გარს შემოეხვია სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ორმოცდაათი პირი, მათ შორის ქალებიც. მათ კამერის გათიშვა მოითხოვეს. კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ საპატრულო პოლიციის თანმხლებით დაბრუნდებოდა და შემთხვევის ადგილი დატოვა. თავდამსხმელები ჯერ ,,რუსთავი–2–ის“ კამერას მიცვივდნენ და ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ გარემოებას აფიქსირებდა ტელეკომპანია ,,მზის“ კამერა. ამ დროს ,,მზის“ ოპერატორს, ნიკოლოზ პატარაიას უკნიდან მიუახლოვდა ერთ–ერთი თავდამსხმელი, ვიდეოკამერა წაართვა, რაც ძირს დააგდო და წიხლის დარტყმით დააზიანა. ,,მზის“ ჟურნალისტმა, ალეკო გაბუნიამ და ნიკოლოზ პატარაიამ კამერის გამოტაცება სცადეს. ამის შემდეგ, თავდამსხმელებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტსა და ოპერატორს. ერთერთი თავდამსხმელი უკნიდან მიუახლოვდა ჟურნალისტ ალეკო გაბუნიას, მუშტი ჩაარტყა, ძირს დააგდო და ქვები ესროლა. საპატრულო პოლიციის მანქანა იდგა შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით სამოც მეტრში. პატრული ინსპექტორი თვალყურს ადევნებდა ჟურნალისტის ცემის ფაქტს, თუმცა არ აღუკვეთავს თავდამსხმელების ქმედებები. უფრო მეტი, თავდამსხმელებმა, ტელეკომპანია ,,მზის“ გატაცებული კამერა საპატრულო პოლიციის ავტომანქანასთან ახლოს მიიტანეს. ალეკო გაბუნიამ და ნიკოლოზ ვადაჭკორიამ გაქცევა დააპირეს. მათ ოცდაათი მამაკაცი გინებისა და ქვის სროლის თანხლებით გამოეკიდა. თავდამსხმელები ალეკო გაბუნიას და ნიკოლოზ პატარაიას წინ გადაუდგნენ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ქვები ესროლეს, დანა და ჯოხები მოუქნიეს. ცივი იარაღის გამოყენების შედეგად, ნიკოლოზ პატარაია დაზიანდა. ,,მზის“ ჟურნალისტი და ოპერატორი გაექცა თავდამსხმელებს, თუმცა ისინი კვლავ აგრძელებდნენ ჟურნალისტების დევნას. საბოლოოდ, ალეკო გაბუნიას ურჩიეს საპატრულო პოლიციის გამოძახება. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ათ წუთში მივიდა გამოძახების ადგილზე. პოლიციელს გააცნეს საქმის დეტალები, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ვინაიდან აღნიშნული

ინციდენტი არ მოხდა მის სამოქმედო ტერიტორიაზე, მოკლებული იყო გამოძახებაზე რეაგირების უფლებამოსილებას.

ნანა ფაჟავას საქმე

2008 წლის 26 მაისს სახალხო დამცველს ახსნა–განმარტება მისცა რადიო ,,იმედის“ ჟურნალისტმა, ნანა ფაჟავამ. ამ უკანასკნელმა ახსნა–განმარტებას თან დაურთო თქვენს სახელზე 2008 წლის 22 მაისს დაწერილი განცხადების ასლი.

ნანა ფაჟავას განმარტებით, 2008 წლის 21 მაისს აბაშის #63–ე საარჩევნო ოლქის ნორიოს #22 საარჩევნო უბანზე თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. დაახლოებით 18 საათისათვის აღნიშნულ უბანზე ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ წარმომადგენელის თემურ ცინცაძის მოთხოვნით, კენჭისყრის პროცესი შეჩერდა. ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ საარჩევნო ყუთში ყალბი ბიულეტენები ჩაყარეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ნანა ფაჟავამ კომენტარი სთხოვა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ნიკოლოზ სიგუას, ასევე კომისიის ერთ–ერთ წევრს, ბესო გედენიძეს. კომისიის ზემოაღნიშნულმა წევრმა უარყო უბანზე კენჭისყრის პროცესის შეჩერების ფაქტი და ხმის ჩამწერ აპარატზე ხელი უხეშად აუკრა. ამ დროს საუბნო საარჩევნო კომისიის ორი წევრი, გელა თოფურია და კახა კუპრავა ნანა ფაჟავას მიუახლოვდნენ და აუდიო ჩანაწერის გაკეთებისაგან თავის შეკავება მოსთხოვეს. კომისიის აღნიშნული წევრებმა მიაყენეს ნანა ფაჟავას ფიზიკური შეურაცხყოფა და უბნის დატოვება მოსთხოვეს. ნანა ფაჟავამ აღნიშნული არაკანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა და უბანზე არსებული მდგომარეობის ასახვას ფოტოაპარატით შეეცადა. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა გააგრძელეს ჟურნალისტზე ფიზიკური ზეწოლა და მას სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს.

ირაკლი გოგუაძის საქმე

2008 წლის 31 მაისს სახალხო დამცველს ახსნა–განმარტება მისცა ჟურნალისტმა, ირაკლი გოგუაძემ. ეს უკანასკნელი 2008 წლის 21 მაისის არჩევნებს აკვირდებოდა საგარეჯოს #11 საარჩევნო ოლქის სოფელ იორმუღანლოს #34–ე, #36–ე, #45–ე და #46–ე საარჩევნო უბნებზე. დილის 10 საათზე დამკვირვებელს ტელეფონით დაუკავშირდნენ და შეატყობინეს, რომ #36–ე საარჩევნო უბანზე მიტანილი ჰქონდათ დიდი რაოდენობით პასპორტები. ირაკლი გოგუაძე მივიდა აღნიშნულ საარჩევნო უბანზე და ვიდეოკამერით დააფიქსირა, რომ ამომრჩევლებს დიდ პარკში პასპორტები ეყარათ. ირაკლი გოგუაძისაკენ გაემართა 10–15 პირი. მათ ვიდეოკამერის წართმევა სცადეს და ირაკლი გოგუაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

40 წუთის გასვლის შემდეგ, ირაკლი გოგუაძე ეწვია #46–ე საარჩევნო უბანს. საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის გადაღების დროს ირაკლი გოგუაძეს უკნიდან დაარტყა უცნობმა პირმა. ირაკლი გოგუაძემ გონება დაკარგა. როდესაც გონს მოვიდა, ირაკლი

გოგუაძემ იგრძნო, რომ ძირს იყო დავარდნილი და დაინახა, რომ 10–15 მამაკაცი აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამ დროს სამართალდამცავი ორგანოს წარმოამადგენელში იმყოფებოდნენ იმ შენობის ეზოში, სადაც განთავსებულია საარჩევნო უბანი. პოლიციელებს არ აღუკვეთავთ თავდამსხმელების ქმედებები. ირაკლი გოგუაძეს წაართვეს კამერა და გამოიყვანეს გარეთ. ირაკლი გოგუაძემ პოლიციისაგან კამერის დაბრუნება მოითხოვა. პოლიციელებმა მიუგეს, რომ არ ჰქონდათ უბანში შესვლის უფლება. თავდამხმელები საარჩევნო უბნიდან გამოვიდნენ, ჩასხდნენ ,,ჟიგულის“ მარკის ავტომანქანაში ვაზ 21–06 სახელმწიფო ნომერი TQT 986 და თან წაიღეს ირაკლი გოგუაძის კუთვნილი კამერა. ირაკლი გოგუაძე წინ გადაუდგა ავტომანქანას და ცდილობდა, არ მიეცა მოძრაობის საშუალება. ირაკლი გოგუაძემ დახმარებისათვის კვლავ პოლიციას მიმართა, თუმცა მათ კვლავ უმოქმედობა გამოიჩინეს.

ირაკლი გოგუაძე წავიდა ქალაქ საგარეჯოში და შს სამმართველოს განცხადებით მიმართა.

მალხაზ ვარშანიძის საქმე

მალხაზ ვარშანიძე 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებს აკვირდებოდა #11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის #36–ე, #37–ე, #38–ე,#44–ე, #45–ე #46–ე და 47–ე საარჩევნო უბნებზე. მალხაზ ვარშანიძემ კამერით #47–ე საარჩევნო უბანზე დააფიქსირა ორი, მისი აზრით, საეჭვო პირი. ამის შემდეგ, მალხაზ ვარშანიძე #11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში ,,გაერთიანებული ოპოზიცია – ეროვნული საბჭო, მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნიკო ორგველაშვილის წარმომადგენელთან, პაატა ცაგარეიშვილთან ერთად წავიდა სოფელ ლამბალოში. სოფლის გზაჯვარედინზე გაჩერდა თეთრი ფერის ,,ჟიგულის“ მარკის ავტომობილი, საიდანაც გადმოვიდა ხუთი მამაკაცი. ისინი გამოწყობილი იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში. უცნობი პირები გარს შემოერტყნენ მალხაზ ვარშანიძესა და პავლე ცაგარეიშვილს, დამკვირვებელს წაართვეს ვიდეოკამერა; მობილური ტელეფონი; ბლოკნოტი, სადაც მითითებული იყო საჭირო მისამართები და მანქანის უკანა სალონიდან ამოიღეს მალხაზ ვარშანიძის კუთვნილი ზურგჩანთა. მძარცველებმა მალხაზ ვარშანიძეს მოსთხოვეს საგარეჯოს დატოვება. მალხაზ ვარშანიძეს აქვს გამტაცებლების ფოტოსურათები.

ხათუნა გოგაშვილის საქმე

ხათუნა გოგაშვილი კახეთის სამაუწყებლო კომპანია ,,ჰერეთის“ ახალი ამბების პროგრამის წამყვანია. 2008 წლის 5 იანვარს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხათუნა გოგაშვილი ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას ლაგოდეხის #15 საარჩევნო ოლქის #19 საარჩევნო უბანზე. ეს უკანასკნელი მდებარეობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში. განმცხადებლის განმარტებით,

საარჩევნო უბანზე მივიდა მოქალაქე ისაკო ცქიფურიშვილი, რომელიც არ წარმოადგენდა ამომრჩეველს და არ ჰქონდა უბნზე ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ისაკო ცქიფურიშვილმა ხათუნა გოგაშვილს საუბრის აუდიო ჩაწერისაგან თავის შეკავება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ისაკო ცქიფურიშვილმა დიქტოფონი წაართვა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტს. ხათუნა გოგაშვილის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ ინციდენტის თვითმხილველები გახდნენ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტის“ დამკვირვებელი და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ისაკო ცქიფურიშვილის მხრიდან ეს არ წარმოადგენს სამაუწყებლო კომპანია ,,ჰერეთზე“ მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების პირველ შემთხვევას. 2007 წლის 30 ნოემბერს სამაუწყებლო კომპანია ,,ჰერეთის“ დირექტორმა ფარულად ჩაიწერა ისაკო ცქიფურიშვილის საუბარი. აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, რომ ისაკო ცქიფურიშვილი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა სახელით რადიოსადგურის დარბევით იმუქრებოდა, თუკი სამაუწყებლო კომპანია არ შეცვლიდა თავის სარედაქციო პოლიტიკას და არ ითანამშრომლებდა ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან.“

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ისაკო ცქიფურიშვილის მხრიდან ადგილი აქვს ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელისშეშლას და მუქარას. ქმედებებს, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 151–ე და 154–ე მუხლებით. აღსანიშნავია, რომ დიქტოფონის წართმევა და მუქარა განხორციელდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით. საარჩევნო კოდექსის 72–ე მუხლის თანახმად, საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს. აღნიშნული აკრედიტაცია გავლილი ჰქონდა სამაუწყებლო კომპანია ,,ჰერეთს.“ ამავე კოდექსის 67–ე მუხლის მე–2 ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს:

1) საქართველოს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს;

2) საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს;

3) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს;

4) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს;

5) დამკვირვებლებს.

არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ისაკო ცქიფურიშვილის კენჭიყრის შენობაში ყოფნის უფლებას. ნებისმიერ შემთხვევაში არსებობდა მისი შენობაში არდაშვების საფუძველი, ვინაიდან ისაკო ცქიფურიშვილს არ გააჩნდა სტატუსის აღმნიშვნელი სამკერდე ნიშანი. საარჩევნო კოდექსის 39–ე მუხლის პირველი ნაწილის ზ[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია, კენჭისყრის შენობაში არ დაუშვას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირიც კი შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული საქმის მასალები წინასწარი გამოძიების მიზნით გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას. საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, თინათინ გოლეთიანის #20.02.2008/55 წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ რომ 2008 წლის 5 იანვარს ლაგოდეხის შს რაიონულ განყოფილებაში ხათუნა გოგაშვილის სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #03008003 საქმეზე, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2008 წლის 27 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია სისხლის სამართლის #03008003 საქმეზე.

2008 წლის 24 სექტემბერს სახალხო დამცველს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის წერილით ეცნობა:

„სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ ჟურნალისტის, ხათუნა გოგაშვილისათვის ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში შესაძლო ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაგოდეხის რაიონული განყოფილება. საქმეზე ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის დაიკითხნენ სოფელ კაბალის #19 საარჩევნო უბნის კომისიის წევრები, დაიკითხნენ ასევე სხვა მოწმეები. საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით მიმდინარეობს გამოძიება.“

დანართი #4
სამართლიანი სასამართლო
დასკვნა

მალხაზ ზედელაშვილის, პლატონ მამარდაშვილის, ზურაბ ვიბლიანის, ნიკოლოზ მახარაძის, გიორგი ავალიანის, ლევან ცინდელიანის სისხლის სამართლის საქმეზე (ე.წ. „ციხის ბუნტი“).

საქართველოს სახალხო დამცველმა მიზანშეწონილად ჩათვალა, თავისი ინიციატივით შეესწავლა ე.წ. ,,ციხის ბუნტის“ სისხლის სამართლის საქმის კანონიერება და სამართლებრივი შეფასება მიეცა აღნიშნული მოვლენისთვის.
2006 წლის 27 მარტს, დაახლოებით 01 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებიდან #7 საპყრობილეში პატიმრების მ. ზედელაშვილის, პ. მამარდაშვილის, ზ. ვიბლიანის, ნ. მახარაძის, გ. ავალიანის, ლ. ცინდელიანის გადაყვანისას სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე დაიწყო არეულობა, რომელიც გავრცელდა #1 და #5 საპყრობილეებში. არეულობის ჩახშობის მიზნით გამოყენებულ იქნა სპეცრაზმი.
სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტერიტორიაზე მომხდარი არეულობის შესახებ ეცნობა საქართველოს სახალხო დამცველს სოზარ სუბარს, რომელიც დაუყოვნებლივ მივიდა შემთხვევის ადგილზე. არეულობის ჩახშობისას დაიღუპა 7 პატიმარი, სხეულის დაზიანება მიიღო 22 ადამიანმა, სავარაუდოდ იკვეთებოდა პატიმართა მიმართ ძალადობის გამოყენების და პატიმართა უფლებების დარღვევის ტენდენცია.
საქმის შესწავლის მიზნით სახალხო დამცველის აპარატმა შესაბამისი ორგანოებიდან გამოითხოვა საქმის მასალები, რომლებიც ცხრა ტომს შეადგენს.

საქმის მასალების თანახმად:

2006 წლის 25 მარტს იუსტიციის საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #073060138 საქმეზე. საქმის წარმოებას საფუძვლად დაედო მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია მასზედ, რომ სასჯელ აღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ,,კანონიერი ქურდებმა” მოუწოდეს ამავე დაწესებულების სპეცკონტიგენტს სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაციის მიზნით მიეყენებინათ ერთმანეთისთვის დაზიანებები და თვითდაზიანებები. დანაშაული გათვალისწინებული სისიხლის სამართლის კოდექსის 19-378 მუხლის 1–ლი ნაწილით (ტ.1 ს.ფ.1).

2006 წლის 20 მარტს დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ა. ხუხუას მიერ ამავე დაწესებულების თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას სახელზე დაწერილი #11 პატაკით ირკვევა, რომ ა. ხუხუას მიერ ბოლო ორი დღის განმავლობაში ჩატარდა შემოვლები დეპარტამენტში შემავალ დაწესებულებებში, სადაც შეხვდა ოპერატიულ–სამსახურში რიცხულ დამხმარე ძალებს, კერძოდ,

კონფიდენტებს და სანდო პირებს. მასთან საუბარში ზოგიერთმა მათგანმა განმარტა, რომ რიგ დაწესებულებებში დამნაშავეთა სამყაროს ე.წ. „ხაროშნიაკებს“, ზოგიერთ არაფორმალურ ორგანიზაციებიდან დავალებული აქვთ პატიმრებმა ერთმანეთს მიაყენონ ფიზიკური დაზიანებები და ეს დაბრალდეს დაწესებულების და სპეც დანიშნულების რაზმის თანამშრომლებს. იგეგმებოდა ამ ინფორმაციის გავრცელება მასმედიის მეშვეობით. ა. ხუხუას გადმოცემით ეს ორგანიზაციები ასრულებენ ქურდული სამყაროს დაკვეთებს. ზემოაღნიშნული ინფორმაცია ბაჩო ახალაიას მოხსენდა ცნობისთვის, რათა საქმის კურსში ჩაყენებული ყოფილიყო ხელისუფლების ზედა ეშელონები (ტ.3 ს.ფ. 3).

საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასჯელის მოხდის კანონიერებაზე ზედამხედველი პროკურორის 2006 წლის 25 მარტის დადგენილებით დადგინდა, რომ საქმეზე მტკიცებულებების დროულად და ეფექტურად მოსაპოვებლად, ასევე ზემოთ აღნიშნული ვერსიის გადამოწმების მიზნით, სად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ ყოფილიყო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება— ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა (ტ.1 ს.ფ. 6). დადგენილების შესაბამისად, იმავე დღეს, 25 მარტს, 18:10 საათზე, სად სამკურნალო დაწესებულების პირველ სართულზე არსებულ დერეფანში, სადაც განთავსებულია პალატა, რომელშიც იმყოფებიან ე.წ. „კანონიერი ქურდები”, დადგმულ იქნა ფარული კამერა და ჩაწერილ იქნა პატიმრების მ. ზედელაშვილის, პ. მამარდაშვილის, ზ. ვიბლიანის შეხვედრები და საუბრები 18:50 საათიდან 19:15 საათამდე. ტექნიკას დემონტაჟი გაუკეთდა სავარაუდოდ 19:40 საათზე (ტ.1 ს.ფ.8).

2006 წლის 26 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დ. ჯუღელმა დადგენილებით კანონიერად სცნო ზემოაღნიშნული ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა (ტ.1 ს.ფ. 12).

ციხეში მოსალოდნელი მასობრივი არეულობის აღკვეთისა და არეულობის ორგანიზატორების მ. ზედელაშვილის, პ. მამარდაშვილის, ნ. მახარაძის, გ. ავალიანის, ზ. ვიბლიანის, ლ. ცინდელიანის იზოლირების მიზნით, 2006 წლის 27 მარტს, 01 საათზე, სად სამკურნალო დაწესებულებაში სად თავმჯდომარე ბაჩო ახალაია მივიდა თანმხლებ პირებთან ერთად ზემოთ აღნიშნულ პირთა #7 საპყრობილეში გადასაყვანად. პატიმართა გადაყვანისას სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე დაიწყო სხვა პატიმართა ხმაური, რაც შემდეგში მასობრივი არეულობის სახით გავრცელდა #5 და #1 საპყრობილეში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 2006 წლის 13 აპრილის დადგენილებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა მალხაზ ზედელაშვილი, რომ მათ ჩაიდინა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ამ დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა და ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 378–ე მუხლის 1–ლი და მე–3 ნაწილით (ტ.3 ს.ფ.173).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 2006 წლის 13 აპრილის დადგენილებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა გიორგი ავალიანი, რომ მან ჩაიდინა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ამ დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა და ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 378–ე მუხლის 1–ლი და მე–3 ნაწილით (ტ.3 ს.ფ. 148).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 2006 წლის 13 აპრილის დადგენილებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა ნიკოლოზ მახარაძე, რომ მან ჩაიდინა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ამ დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა და ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 378–ე მუხლის 1–ლი და მე–3 ნაწილით (ტ.3 ს.ფ. 148).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 2006 წლის 13 აპრილის დადგენილებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა პლატონ მამარდაშვილი, რომ მან ჩაიდინა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ამ დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა და ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, მანვე ჩაიდინა ზემოთ აღნიშნული ქმედება ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულის მიერ. მანვე, ჩაიდინა კანონიერი ქურდობა. დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 378–ე მუხლის 1–ლი, მე–3 და მე–4 ნაწილებით (ძველი რედაქციით) და 223–1 მუხლის მე–2 ნაწილით (ტ.3 ს.ფ.183).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 2006 წლის 13 აპრილის დადგენილებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა ზურაბ ვიბლიანი, რომ მან ჩაიდინა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ამ დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა და ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 378–ე მუხლის 1–ლი და მე–3 ნაწილით (ტ.3 ს.ფ. 195).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის 2006 წლის 13 აპრილის დადგენილებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა ლევან ცინდელიანი, რომ მან ჩაიდინა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ამ დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია, სასჯელაღსრულების დაწესებულების

ადმინისტრაციაზე თავდასხმა და ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 378–ე მუხლის 1–ლი და მე–3 ნაწილით (ტ.3 ს.ფ. 195).

2006 წლის 5 ივნისის დადგენილებებით საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასჯელის მოხდის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს მიერ იგივე საფუძვლით და იმავე მუხლებით, სახელმწიფოსთვის მიყენებული მატერიალური ზიანის—50737 ათასი ლარის განსაზღვრით, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ და სამოქალაქო მოპასუხეებად ცნობილ იქნენ ლევან ცინდელიანი (ტ.4 ს.ფ.190), გიორგი ავალიანი (ტ.4 ს.ფ. 198), 2 ივნისის დადგენილებებით ზურაბ ვიბლიანი (ტ.4 ს.ფ. 184), მალხაზ ზედელაშვილი (ტ.4 ს.ფ. 170), პლატონ მამარდაშვილი (ტ.4 ს.ფ. 177), 6 ივნისის დადგენილებით ნიკოლოზ მახარაძე (ტ.4 ს.ფ. 204).

2006 წლის 26 ივნისის დადგენილებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა ნიკოლოზ მახარაძე მასზედ, რომ მან ჩაიდინა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნების შენახვა, ტარება, სარგებლობა, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 378[2] მუხლის პირველი ნაწილით. ბრალდებას საფუძვლად დაედო 2006 წლის 8 ივნისს, 03:30 საათზე ნიკოლოზ მახარაძის პალატის არაგეგმიური დათვალიერებისას მის მიერ სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილე ნ. გვიჭიანისთვის მობილური ტელეფონის „მოტოროლა ც–115“–ის, დამტენითა და სიმბარათით წარდგენა (ტ.6 ს.ფ. 58). წარდგენილ ბრალდებაში ნიკოლოზ მახარაძემ თავი არ სცნო დამნაშავედ.

ბრალდებულად დაკითხვისას მალხაზ ზედელაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ და უარყო დეზორგანიზაციისკენ მოწოდების ფაქტი. ასევე უარყო ნაცნობობა ავალიანთან, ცინდელიანთან და ვიბლიანთან (ტ.3 ს.ფ. 178).

ბრალდებულის სახით დაკითხვისას ზ. ვიბლიანმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უარი თქვა ჩვენების მიცემაზე(ტ.3 ს.ფ. 201).

ბრალდებულად დაკითხვისას პლატონ მამარდაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ. მან აჩვენა, რომ ოთხი თვის წინ უარი განაცხადა კანონიერ ქურდობაზე. 2006 წლის 26 მარტს იმყოფებოდა თავის საკანში მალხაზ ზედელაშვილთან და წინა დღით მოსულ ნიკოლოზ მახარაძესთან ერთად, რომელსაც საერთოდ არ იცნობდა. ღამით მორიგემ გაიყვანა დირექტორის კაბინეტში, სადაც დახვდა ბაჩო ახალაია, #7 საპყრობილის დირექტორი მეგის ქარდავა და კიდევ 15 ადამიანი, აქედან 5 იყო ნიღბიანი, ყველანი იყვნენ ავტომატური იარაღით შეიარაღებულები, ოთახში შემოიყვანეს ვიბლიანი და ავალიანი. ამ დროს მეგის ქარდავამ პლატონ მამარდაშვილს მაკრატლით ამოაჭრა ერთი ბღუჯა თმა და ჩაუდო ჯიბეში, როდესაც პლატონ მამარდაშვილმა უთხრა, გეყოფა ამდენი დამცირებაო, იქვე მდგომმა ნიღბიანმა სახის არეში დაარტყა რკინიანი ხელი, რა დროსაც მოტყდა კბილი და ცხვირპირიდან წამოუვიდა სისხლი. დაინახა, რომ ხელკეტებს ურტყამდნენ ვიბლიანსაც და ავალიანსაც... დერეფანში აიძულეს ჩაკუზულიყო და ამ

მდგომარეობაში მყოფს დაახლებით 10 წუთი ურტყამდნენ ხელკეტებს. შემდეგ ლ. ცინდელიანთან ერთად გაიყვანეს ეზოში, სადაც მიწაზე ეყარნენ ვიბლიანი და ავალიანი. იქაც გააგრძელეს ცემა, რა დროსაც გაიგო პატიმრების ხმა, რომლებიც მოუწოდებდნენ შეეწყვიტათ ცემა. შემდეგ ოთხივენი გადაიყვანეს #7 საპყრობილეში, სადაც საერთოდ გააშიშვლეს და გააგრძელეს ცემა, რის შემდეგაც შიშვლები შეყარეს საკანში. პლატონ მამარდაშვილი უარყოფს ვინმესთან ბუნტზე და არეულობაზე საუბარს, აცხადებს, რომ არც არავისთვის გაუწევია წინააღმდეგობა და არც დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებია. მისი აზრით არეულობის და ხმაურის დაწყების მიზეზი გახდა პატიმრების ცემის ფაქტი სამკურნალო დაწესებულების ეზოში (ტ.3 ს.ფ.184).

ბრალდებულად დაკითხვისას ლევან ცინდელიანმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ და უარყო ის ფაქტი, რომ იგი არის კრიმინალური ავტორიტეტი და რაიმე ნაცნობობა ჰქონდა იმ პირებთან, ვისთანაც ერთად აბრალებდნენ დანაშაულის ჩადენას, გარდა ზურაბ ვიბლიანისა. იგი დაავადებულია ბოტკინით, რის გამოც მოთავსებულია ციხის საავადმყოფოში. 2006 წლის 27 მარტს გააღვიძეს და პირველი ჩაიყვანეს სამკურნალო დაწესებულების დერეფანში, შემდეგ მოიყვანეს სხვა პატიმრები. დერეფანში ნიღბიანმა პირებმა უმიზეზოდ მას და სხვა პატიმრებს დაუწყეს ცემა, შემდეგ გამოიყვანეს დაწესებულების ეზოში და იქ გააგრძელეს მათი ცემა, როცა ეს ყველაფერი დაინახეს, პატიმრებმა ატეხეს ხმაური. ლ. ცინდელიანის ჩვენებით, არც მას და არც მასთან ერთად სამკურნალო დაწესებულებიდან გამოყვანილ პირებს არ ჩაუდენიათ დაუმორჩილებლობა, ადმინისტრაციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ან არეულობისკენ მოწოდება (ტ.3 ს.ფ. 144).

ბრალდებულად დაკითხვისას გიორგი ავალიანმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ, უარყო ის ფაქტი, რომ იგი არის კრიმინალური ავტორიტეტი. მას უნდა გაკეთებოდა ნაღვლის ბუშტის ოპერაცია, რისთვისაც მოთავსებულ იქნა სამკურნალო დაწესებულებაში. 26 მარტს დაახლოებით 02 საათზე პალატიდან გაიყვანეს ზურაბ ვიბლიანი, შემდეგ გ. ავალიანი. ისინი ჩაიყვანეს დირექტორის კაბინეტში, სადაც შემოვიდა ბაჩო ახალაია, რომელსაც თან ახლდა 10–15 ნიღბიანი მამაკაცი, ბაჩო ახალაიამ გიორგი ავალიანს დაუსვა შეკითხვები, რასაც იღებდა ოპერატორი კამერით, გიორგი ავალიანმა იფიქრა, რომ შესაძლოა გაეკეთებინათ მისი ჩვენების მონტაჟი, რისთვისაც უარი განაცხადა შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე, ამის გამო ბაჩო ახალაიამ გაარტყა ხელი სახის არეში. ავალიანის კითხვაზე, თუ რატომ დაარტყა ხელი, ბაჩო ახალაიამ კვლავ დაარტყა მას. ეს უკანასკნელი იყო ნასვამ მდგომარეობაში, დარტყმის შემდეგ მან ავალიანს პირში ჩაუდო „სტეჩკინის" მარკის იარაღი და დაემუქრა მოკვლით, შემდეგ მიუთითა სპეცრაზმს მისთვის ჭკუა ესწავლებინათ, ავალიანს მივარდნენ ოთახში მყოფი ნიღბიანები და დაუწყეს თავის არეში რეზინის ხელკეტებით ცემა. იგი გონზე მოვიდა სამკურნალო დაწესებულების ეზოში, სადაც მის გვერდით ეყარნენ სასტიკად ნაცემი ზურაბ ვიბლიანი და კიდევ ორი პიროვნება. გონზე მოსვლის შემდეგ ნიღბიანებმა კვლავ გააგრძელეს მისი ცემა. ავალიანს არავისთვის არ გაუწევია წინააღმდეგობა და არც არავისთვის მოუწოდებია არეულობისკენ, არც ასეთი მოწოდება გაუგია ვინმეს მხრიდან (ტ.3 ს.ფ. 154)

ბრალდებულად დაკითხვისას ნიკოლოზ მახარაძემ წარდეგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ. 26 მარტს, 23 საათზე, იგი გადმოყვანეს ციხის რესპუბლიკურ

საავადმყოფოში, როგორც ტუბერკულოზით დაავადებული. ღამის 02 საათზე ნიკოლოზ მახარაძე გამოიყვანეს პალატიდან და წაიყვანეს ციხის #7 საპყრობილეში, არანაირი ნაცნობობა, გარდა მალხაზ ზედელაშვილისა, არ ჰქონია იმ პირებთან, ვისთან ერთადაც აბრალებდნენ დანაშაულის ჩადენას. იგი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს გადაადგილებას, ავადმყოფობის გამო უჭირს ლაპარაკი, დაქვეითებული აქვს სმენა, ამდენად იგი ვერ შეძლებდა რაიმე არეულობის მოწყობას და მოწოდებებს არეულობისაკენ.(ტ.3 ს.ფ.165)

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მ. ნოზაძის 2006 წლის 14 აპრილის ბრძანებით ბრალდებულებს მალხაზ ზედელაშვილს, ნიკოლოზ მახარაძეს, ლევან ცინდელიანს, ზურაბ ვიბლიანს, გიორგი ავალიანს, პლატონ მამარდაშვილს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდათ პატიმრობა (ტ.3 ს.ფ. 240).

საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსის 2006 წლის 21 ივნისის დადგენილებით სისხლის სამართლის #073060138 საქმიდან ცალკე წარმოებისთვის გამოიყო საქმე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 333–ე მუხლის 1 ნაწილით. გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეს მიენიჭა სარეგისტრაციო #74068237. სისხლის სამართლის #74068237 საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარება დაევალა საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროს პროკურორს ვ. მუსხელიძეს.(ტ.4 ს.ფ. 296)

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის 15 ივლისის #859–ოფ წერილით ირკვევა, რომ ზ/ა სისხლის სამართლის #74068237 საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2006 წლის 30 ივნისს სისხლის სამართლის #073060138 საქმეზე დამთავრდა წინასწარი გამოძიება, 3 ივლისს შედგენილ იქნა საბრალდებო დასკვნა და საქმე გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით ბრალდებულების მალხაზ ზედელაშვილის, პლატონ მამარდაშვილის, ზურაბ ვიბლიანის, ნიკოლოზ მახარაძის, გიორგი ავალიანის, ლევან ცინდელიანის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

კანონიერი ქურდი მალხაზ ზედელაშვილი დაკავებულ იქნა 2006 წლის 10 თებერვალს და პასუხისგებაში მიეცა საქართველოს სსკ–ის 17–105–ე, 105–ე, 238–ე მუხლის I–ლი, მე–2 და მე–3 ნაწილებით, 19–109–ე მუხლის „ა“ „გ“ „ზ“ ქვეპუნქტით, 223^{-1} მუხლით და 224–ე მუხლით. მის მიმართ საქმე საბრლდებო დასკვნით გაიგზავნა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში.
კანონიერი ქურდი პლატონ მამარდაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2005 წლის 9 დეკემბერს გასამართლებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260–ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის და მიესაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოხდით.

ზურაბ ვიბლიანი პასუხისგებაში იქნა მიცემული სსკ–ის 177–ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 19–109 მუხლის ,,ა", ,,გ", ,,თ", ,,ლ" ქ/ვეპუნქტებით, 236–ე მუხლის პირველი ნაწილით და 244–ე მუხლის პირველი ნაწილით.
კანონიერი ქურდი ნიკოლოზ მახარაძე 2006 წლის 14 მარტს დაკავებულ იქნა საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 260–ე მუხლის ,,ა" ქ/ვეპუნქტით და 223^{-1} მუხლის მეორე ნაწილით.
გიორგი ავალიანი დაკავებულ იქნა 2005 წლის 17 აპრილს და პასუხისგებაში მიეცა დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ–ის 19–109–ე მუხლის ,,ა", ,,გ", ,,თ", ,,ზ" ,,ი" ქ/პ, 179–ე მუხლის მეორე ნაწილებით და 353–ე მუხლის მეორე ნაწილით.
ლევან ცინდელიანი დაკავებულ და პასუხისგებაში მიცემულ იქნა 2005 წლის 15 ოქტომბერს სსკ–ის 260–ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით.

2006 წლის 23 თებერვალს მ. ზედელაშვილი ავადმყოფობის გამო მოთავსებულ იქნა სად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. 2006 წლის 25 მარტს კანონიერი ქურდი ნიკოლოზ მახარაძე მოთავსებულ იქნა ამავე დაწესებულებაში, ასევე ამავე დაწესებულებაში იმყოფებოდა კანონიერი ქურდი პლატონ მამარდაშვილი. დაწესებულებაში ყოფნისას ზემოთ აღნიშნული პირები დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და იმის გათვალისწინებით, რომ ისინი, როგორც კანონიერ ქურდები, ვეღარ სარგებლობდნენ პრივილეგიებით, რაც სასჯელაღსრულების სისტემაში დაწყებული რეფორმის შედეგად შეუძლებელი გახდა, მათ განიზრახეს სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია და ამავე დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმის მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, რასაც უნდა გამოეწვია დაწყებული რეფორმის შეჩერება. მითითებული რეფორმის გამტარებელი გუნდის კომპრომეტირება, ქურდული ტრადიციებისა და ავტორიტეტის აღდგენა–გაძლიერება. ამ მიზნით მ. ზედელაშვილმა, პ.მამარდაშვილმა და ნ. მახარაძემ გადაწყვიტეს, სად სპეცკონტიგენტისთვის მოეწოდებინათ არეულობისა და მასობრივი დაუმორჩილებლობისაკენ, შეერჩიათ დანაშაულებრივი დაჯგუფების აქტიური წევრები, რომელთა მოქმედებაც გამოიწვევდა უმართავ პროცესებს სად–ში, რასაც საბოლოოდ მოჰყვებოდა დეპარტამენტის დაწესებულების ხელმძღვანელობის შეცვლა და ძველი ე.წ. ,,ქურდული ტრადიციების" აღდგენა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ხსენებულმა კანონიერმა ქურდებმა ერთობლივად დაიწყეს მოქმედებათა გეგმის შემუშავება და დანაშაულებრივი დაჯგუფების აქტიური მონაწილეების შერჩევა. პირველ ეტაპზე მათი არჩევანი შეჩერდა სამკურნალო დაწესებულების პატიმრებზე, კრიმინალური სამყაროს ე.წ. ,,ავტორიტეტებზე" გ.ავალიანზე, ზ. ვიბლიანზე და ლ. ცინდელიანზე.
2006 წლის 25 მარტს, 18:50 საათზე, სამკურნალო დაწესებულებაში მ. ზედელაშვილი და პ. მამარდაშვილი შეხვდნენ ზ. ვიბლიანს და დაავალეს მას შეერჩია თანამონაწილეები, რომლებიც მოუწოდებდნენ ამავე დაწესებულებაში მოთავსებულ სპეცკონტიგენტს, სად საქმიანობის დეზორგანიზაციის მიზნით მიეყენებინათ ერთმანეთისთვის და საკუთარი თავისთვის მიეყენებინათ ფიზიკური დაზიანებები, რაც შემდგომში დაბრალდებოდა სად თავმჯდომარეს და რეფორმის გამტარებელ გუნდს.
2006 წლის 26 მარტს სად–მა სამკურნალო დაწესებულებიდან მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მითითებულ დაწესებულებაში განთავსებული კანონიერი

ქურდები ზედელაშვილი, მამარდაშვილი, მახარაძე და კრიმინალური ავტორიტეტები გ. ავალიანი, ზ. ვიბლიანი და ლ. ცინდელიანი ორგანიზებას უკეთებდნენ მასობრივ არეულობას. აღნიშნულის გამო სად სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა ითხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რის საფუძველზეც სად ხელმძღვანელობა ოპერატიულ თანამშრომლებთან ერთად გამოცხადდა მითითებულ დაწესებულებაში, რათა მოეხდინა ზემოთ ჩამოთვლილი პირების სამკურნალო დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანა და იზოლირება. პატიმართა მხრიდან რაიმე გართულების თავიდან აცილების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ღონისძიების ღამის საათებში ჩატარების შესახებ.
2006 წლის 27 მარტს, დაახლოებით 00:45 საათზე, დაიწყო შესაბამისი ღონისძიება, რა დროსაც ზედელაშვილი, მამარდაშვილი, მახარაძე, ავალიანი, ვიბლიანი და ცინდელიანი არ დაემორჩილნენ ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს, გაუწიეს მათ ფიზიკური წინააღმდეგობა და სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ კონტიგენტს მოუწოდეს მასობრივი არეულობის დაწყებისაკენ. მიუხედავად ამისა, მითითებული პირები გაყვანილ იქნენ დაწესებულებიდან. იქ დარჩენილმა პატიმრებმა კი დაიწყეს მასობრივი დაუმორჩილებლობა და არეულობა, რაც გამოიხატებოდა ხმაურში, ყვირილში, დარტყმაში, საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის ცეცხლის წაკიდებაში, ფანჯრის მინების ჩამსხვრევაში და ა.შ. აღნიშნული არეულობა გადაედო #1, #5 საპყრობილეებს და სხვა დაწესებულებებსაც. მას შემდეგ, რაც #5 საპყრობილეში გაჩნდა ხანძრის კერები, პატიმართა სიცოცხლე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და შეიქმნა მათი ჯგუფური გაქცევის საშიშროება სიტუაციის განმუხტვის მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპყრობილეში სად თანამშრომლებისა და სპეც–დანიშნულების რაზმის წევრების შესვლის შესახებ, რა დროსაც #5 საპყრობილის #4 სარეჟიმო კორპუსზე შესასვლელების ხერგილებისგან გათავისუფლებისას პატიმრებმა სამართალდამცავებს დაუშინეს აგურის ნატეხები და რკინის ნაჭრები, რის გამოც სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა გამოიყენეს რეზინის ტყვიები. საპასუხოდ პატიმრებმა ,,მაკაროვის“ სისტემისა და აირის ტიპის პისტოლეტებიდან მოახდინეს გასროლები, რის შედეგადაც სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები მიიღეს სად სპეცდაცვის სამსახურის უფროსმა კახა მორგოშიამ და საბადრაგო სამსახურის უფროსმა მამუკა საბანაძემ. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას #5 საპყრობილის #4 სარეჟიმო კორპუსიდან ამოღებულ იქნა ,,მაკაროვის“ სისტემის ერთი უნომრო იარაღი ერთი მჭიდით და სამი ვაზნით; #ბა 7812 ერთი მჭიდითა და ოთხი ვაზნით, ცეცხლსასროლი ორი იარაღი, ასევე ,,გოლდ სტარ 2002 მაგნიუმ“–ის #77311 ერთი მჭიდით და ერთი ვაზნით, ,,ვოლტრა კომბატ”–ის უნომრო, ერთი მჭიდით და ორი ვაზნით, ,,ადლერ 2003“–ის უნომრო ერთი მჭიდით და ერთი ვაზნით და ,,მაგნიუმ ვოლტრა 2000“–ის #ბ 22273 ერთი მჭიდით და სამი ვაზნით, სულ ოთხი აირის პისტოლეტი.
ზ/აღნიშნული ქმედებით სახელმწიფოს მიადგა მატერიალური ზიანი 50737 ლარის ოდენობით.

საბრალდებო დასკვნას საფუძვლად დაედო შემდეგი მტკიცებულებები:

დაზარალებულების ჩვენებების ოქმები——აღნიშნულ საქმეზე სხეულის დაზიანების გამო დაზარალებულად ცნობილ იქნა სად სპეციალური დაცვის სამსახურის უფროსი კახა მორგოშია (ტ.2 ს.ფ. 69) და სად საბადრაგო სამსახურის უფროსი მამუკა საბანაძე (ტ.3 ს.ფ. 12).

2006 წლის 29 მარტის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილ იქნა, რომ მამუკა საბანაძემ მიიღო მარჯვენა ბარძაყის ცეცხლწასროლი გამჭოლი ჭრილობა. დაზიანება მიყენებულია რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის ჭურვის მოქმედებით და ეკუთვნის მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით (ტ. 1 ს.ფ. 262).
2006 წლის 29 მარტის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენდა, რომ კახა გორგოშიას აღენიშნება მარცხენა წინამხრის მიდამოს ცეცხლნასროლი ჭრილობა. დაზიანება მიყენებული რაიმე ცეცხლნასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის ჭურვის მოქმედებით და ეკუთვნის მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით (ტ. 1 ს.ფ. 267).

მიყენებული ქონებრივი ზიანის ნაწილში დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ზიანის ოდენობამ შეადგინა 50 737 ათასი ლარი.

2006 წლის 6 ივნისის დადგენილებით საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილ იქნა 2006 წლის 27 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #1, #5 საპყრობილეების, #4 სარეჟიმო კორპუსის დათვალიერების შედეგად ამოღებული ნივთები, რომლებიც დაერთო საქმეს (ტ.4 ს.ფ. 213).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დასტურდება, რომ 2006 წლის 27 მარტს, 06:10 საათზე დაიწყო და 09:05 საათზე დამთავრდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება სასჯელაღსრულების დაწესებულების №5 საპყრობილეში. დათვალიერებისას მეოთხე სარეჟიმო კორპუსის დერეფანში იატაკზე აღმოჩენილ იქნა მაკაროვის სისტემის პისტოლეტი ერთი მჭიდით და ოთხი ვაზნით, 18 ცალი მასრა, რომელიც სავარაუდოდ მიეკუთვნება ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის მასრები ერთი მჭიდითა და სამი ვაზნით, პისტოლეტი „მაგნიუმ“ ერთი მჭიდით და ერთი ვაზნით, პისტოლეტი „ვოლტრა“ ერთი მჭიდით და ორი ვაზნით, პისტოლეტი შავი ფერის ტარით, ნომერი არ იკითხება, მაკაროვის სისტემის უნომრო პისტოლეტი ერთი მჭიდით და სამი ვაზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 37 ცალი მასრა; პისტოლეტი „ვოლტრა-2000“ ერთი მჭიდითა და სამი ვაზნით (ტ.1 ს.ფ. 14).

2006 წლის 28 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ვ. ფუხაშვილმა 2006 წლის 27 მარტს იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება—შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ნივთების ამოღება—დადგენილებით ცნო კანონიერად (ტ.1 ს.ფ. 188).

2006 წლის 21 ივნისის დადგენილება საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობს:
—სად სამკურნალო დაწესებულების დერეფანში ჩაწერილ ვიდეო–კასეტას დალუქული ექსპერტიზის ლუქით;
—ამავე დაწესებულების შემთხვევის ადგილის დათვალიერების ვიდეო –კასეტას.
—#1 საპყრობილის შემთხვევის ადგილის ამსახველი ვიდეო–კასეტას.
—მოწმეების ჭაჭუას, ფოლადაშვილის, დაზარებულების მორგოშიას, საბანაძის ჩვენებების ამსახველ ვიდეო–კასეტას.

—ბუნტის თემაზე ტელეკომპანია „იმედიდან“ და „კავკასიიდან“ ამოღებული რეპორტაჟების ორ ვიდეო–კასეტას.
—სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩაწერილი პ. მამარდაშვილის ახსნა–განმარტებით კომპაქტ–დისკს და კომპაქტ–დისკს ფარული აუდეო–ვიდეო ჩანაწერით დალუქული სახით (ტ.6 ს.ფ.1).

—მოწმეების: ბ.ახალაიას, მ.სინაურიძის, მ. ქარდავას, გ. სვანიძის, უ. ცარციძის, მ. ჯავახიშვილის, დ. ბარნაბიშვილის, დ. გვასალიას, რ. წიკლაურის, თ. ვარადაშვილის, რ. ჩხარტიშვილის, დ. ცაგარეიშვილის, ნ. ხატიაშვილის, ი, ლიპარტელიანის, ზ, ბოხუას, გ. ხუხიას, გ. აბსნაძის, დ. ჭაკუას, კ. ოქრუაშვილის, დ. მარგებაძის, გ. შონიას, დ. მამუკაძის, მ. გვიჭიანის, დ. ბუთლიაშვილის ჩვენებებს;
—სასამართლო–ფონოსკოპიური ექსპერტიზის #1858/22 დასკვნას;
—სასამართლო–ბალისტიკური ექსპერტიზის #1637/04 დასკვნას;
—სასამართლო–დაქტილოსკოპური ექსპერტიზის დასკვნას;
—სასამართლო– ბიოლოგიური ექსპერტიზის #1638/12 დასკვნას;
—სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის #1456, #1457,# 301–307 დასკვნებს;

2006 წლის 3 ივლისს სისხლის სამართლის #073060138 საქმე განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას. სასამართლო განხილვა დაიწყო 2006 წლის 4 დეკემბერს.

2007 წლის 2 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლემ მაია თეთრაულმა გამოიტანა განაჩენი ზედელაშვილისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმეზე. განაჩენით პ. მამარდაშვილს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა სსსკ–ის 378–ე მუხლის მეოთხე ნაწილი, ვინაიდან მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ იყო შესული კანონიერ ძალაში და აღნიშნულ საქმეზე მისაღები იყო საბოლოო გადაწყვეტილება.
მალხაზ ზედელაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ–ის 378–ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით და სსკ–ის 59–ე მუხლის შესაბამისად მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 4 თვე და 14 დღე და მ. ზედელაშვილს საბოლოოდ დაუდგინდა 6 წლით, 4 თვითა და 14 დღით თავისუფლების აღკვეთა. მ. ზედელაშვილს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 02 აპრილიდან.
პლატონ მამარდაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 223^{-1} მუხლის მეორე ნაწილით, სსკ–ის 378–ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით. სსკ–ის 223^{-1} მუხლის მეორე ნაწილით მიესაჯოს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ–ის 378–ე მუხლის პირველი ნაწილით 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ–ის 378–ე მუხლის მესამე ნაწილით 5(ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ–ის 59–ე მუხლის შესაბამისად მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 14 აპრილიდან.
ზურაბ ვიბლიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 378–ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით, 378–ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს 1(ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 378–ე მუხლის მესამე ნაწილით 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ–ის 59–ე მუხლის შესაბამისად მიესაჯა 6

წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. ვიბლიანს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 14 აპრილიდან.
ნიკოლოზ მახარაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 378-2 მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით. სსკ-ის 378-2 მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 378-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს 1(ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 378-ე მუხლის მესამე ნაწილით 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ნ. მახარაძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 14 აპრილიდან.

გიორგი ავალიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით, სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს 1(ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 378-ე მუხლის მესამე ნაწილით 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. გ. ავალიანს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 14 აპრილიდან.
ლევან ცინდელიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილით, 378-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს 1(ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 378-ე მუხლის მესამე ნაწილით 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 4 წელი, 6 თვე და 12 დღე და ლ. ცინდელიანს საბოლოოდ დაუდგინდა 10 წლით, 6 თვითა და 12 დღით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ცინდელიანს სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 2 აპრილიდან.

2008 წლის 7 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (მოსამართლე მზია ლომთათიძე) გამოტანილ იქნა განაჩენი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ნიკოლოზ მახარაძის ადვოკატის ბესარიონ ქარცივაძის, მსჯავრდებულ მალხაზ ზედელაშვილის ადვოკატის გელა ნიკოლაიშვილის, მსჯავრდებულ გიორგი ავალიანის ადვოკატის მაკა მელაძის, მსჯავრდებულ ლევან ცინდელიანის ადვოკატის ზურაბ ჯორბენაძის, მსჯავრდებულ ზურაბ ვიბლიანისა და მსჯავრდებულ პლატონ მამარდაშვილის სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელი.

სავარაუდო დარღვევები:

სახალხო დამცველის აპარატმა საქმის მასალები შესწავლა ორი ასპექტით:
I.ზედელაშვილისა და სხვა პირების ქმედებები შეიცავს თუ არა საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს?
II.სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე მომხდარი ფაქტიდან იკვეთება თუ არა სადის თანამშრომელთა სხვა დანაშაულის ნიშნები?

I.ზედელაშვილისა და სხვა პირების ქმედებები შეიცავს თუ არა საქართველოს სსკ–ის 378–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს?

არის თუ არა საქმეზე ჩატარებული გამოძიება ყოველმხრივი, ობიექტური და სრული?

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის #073060138 საქმის გამოძიებისას იგნორირებულ იქნა სსსკ–ის 18 და მუხლის მოთხოვნა მასზედ, რომ ,,გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებულნი არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებები“ პროცესის მწარმოებელმა ზ/ა პირებმა უხეშად დაარღვიეს რა სსსკ–ის მე–18 მუხლის მოთხოვნა, საერთოდ არ დაადგინეს რეალურად თუ რა დანაშაული მოხდა 2006 წლის 27 მარტს სად სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, #1, #5 საპყრობილეებში, ვინ ჩაიდინა იგი.

2006 წლის 25 მარტს კონკრეტულ საქმეზე არსებობდა თუ არა წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2006 წლის 25 მარტს იუსტიციის საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #073060138 საქმეზე. საქმის წარმოებას საფუძვლად დაედო მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია მასზედ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ,,კანონიერმა ქურდებმა” მოუწოდეს ამავე დაწესებულების სპეცკონტიგენტს სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაციის მიზნით მიეყენებინათ ერთმანეთისთვის დაზიანებები და თვითდაზიანებები, რაც გახდა საფუძველი სისიხლის სამართლის კოდექსის 19-378 მუხლის 1–ლი ნაწილით წინასწარი გამოძიების დაწყების (ტ.1 ს.ფ.1).

აღნიშნული ფაქტის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე ცხადია, რომ 2006 წლის 25 მარტს კონკრეტულ საქმეზე არ არსებობდა სსკ–ის 19-378 მუხლის 1 ნაწილით წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი. კერძოდ: სსსკ–ის 261–ე მუხლის თანახმად ,,დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება.“ ანუ გამოძიების დაწყების საფუძველია ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის შესახებ, კონკრეტულ საქმეში ოპერატიული ინფორმაცია არ ეხებოდა არც ჩადენილ დანაშაულს და არც მცდელობას დანაშაულის ჩადენის შესახებ.[73]

[73] სსკ–ის მე–19 მუხლის თანახმად ,,დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“

მოყვანილი ფაქტები შეიძლება საფუძვლად დასდებოდა დანაშაულის მომზადებას და სსკ–ის 18 და 378–ე მუხლით გამოძიების დაწყებას[74], მაგრამ აღნიშნული ქმედებაც არ ჩაითვლებოდა დანაშაულად, რადგან იმ დროს მოქმედი სსკ–ის მე–18 მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული იყო მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის, ხოლო სსკ–ის 378–ე მუხლის 1–ლი ნაწილი მიეკუთვნებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

ფაქტობრივად, ის გარემოება, რაც საფუძვლად დაედო წინასწარი გამოძიების დაწყებას წარმოადგენდა განზრახვის გამჟღავნებას. იურდიულ მეცნიერებაში სადაო არ არის ის ფაქტი, რომ განზრახვის გამჟღავნება მესამე პირისთვის არ შედის დანაშაულის განვითარების არც ერთ სტადიაში, ვინაიდან განზრახვის გამჟღავნებასა და მის განხორციელებას შორის დროის შუალედია, რომლის განმავლობაში სუბიექტმა შეიძლება გადაიფიქროს დანაშაულებრივი განზრახვა.
საქმის მასალებით საეჭვოა ის გარემოება, ნამდვილად დაიწყო თუ არა წინასწარი გამოძიება 25 მარტს? ეჭვის საფუძველს იძლევა ბაჩო ახალაიას სახელზე დ. ჭაკუას, ა. ხუხუას და მ. სინაურიძის მიერ დაწერილი საიდუმლო ოპერატიული პატაკები. არც ერთ პატაკზე არ არის რეგისტრაციის ნომერი, შტამპი თუ სხვა აღნიშვნა, რომლებიც დაადასტურებდნენ პატაკთა სინამდვილეს, ასევე საეჭვოა სად თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ შეტყობინების იუსტიციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველოს რეგისტრაციის შტამპში რიცხვი 28–ის 25–ად გადასწორება, რაც აშკარად შესამჩნევია (ტ.1 ს.ფ. 2). ზ/ა გარემოებები ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ კონკრეტულ საქმეზე წ/გ დაიწყო არა 25 მარტს, არამედ 28 მარტს ციხეში დატრიალებული მოვლენების შემდეგ, რაც ამყარებს ეჭვს იმის შესახებ, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა ჩაიდინეს რა სამსახურებრივი გადაცდომა, გადაწყვიტეს აღნიშნული გადაებრალებინათ პატიმრებისთვის.

ამდენად, კონკრეტულ საქმეზე 2006 წლის 25 მარტს არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება და შესაბამისად, არ არსებობდა წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი. არსებული ოპერატიული ინფორმაცია (თუნდაც მათი ნამდვილობა არ დგებოდეს ეჭვქვეშ) წარმოადგენდა სასჯელაღსრულების დაწესებულების მხრიდან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის და პრევენციული ღონისძიებების გატარების საფუძველს.[75]

<u>საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არის თუ არა ზედელაშვილის, მამარდაშვილის, ვიბლიანის, მახარაძის, ავალიანის და ცინდელიანის სისხლის სამართლის საქმის შესახები მტკიცებულებები?</u>

---

[74] სსკ–ის მე–18 მუხლის თანახმად ,,დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.“

[75] ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონის მე–8 მუხლის თანახმად, ოპერატიულ სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძველია, ,,დანაშაულის შესახებ დადგენილი წესით მიღებული განცხადების ან შეტყობინების განხილვის მიზნით პროკურორის დავალება იმის შესახებ, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება, მაგრამ სახეზე არ არის დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნების დამადასტურებელი მონაცემები.“

სსსკ–ის 127–ე მუხლის თანახმად, მტკიცება არის მტკიცებულებათა შეკრების, საპროცესო დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. სსსკ–ის მე–19 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მტკიცებულებათა შეფასებისას გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე ვალდებულნი არიან გაარკვიონ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების დამოკიდებულება საქმისადმი ანუ მათი შესახეობა.

აღწერილობით ნაწილში მითითებულია მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება საბრალდებო დასკვნა, მაგრამ სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე არცერთი ზ/ა მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დასდებოდა ზედელაშვილისა და სხვათა ბრალდებას.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ–ცალკე:

ფარული აუდეო–ვიდეო ჩანაწერი არის თუ არა ზედელაშვილის და სხვათა ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულება?

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დეზორგანიზაციის მოწყობის მტკიცებულებად გამოძიება მიიჩნევს 2006 წლის 25 მარტის ფარული აუდეო–ვიდეო ჩანაწერს.

აუდეო–ვიდეო ჩანაწერის ოქმის გაცნობისას აშკარაა, რომ ჩანაწერში არსებული შინაარსი არ შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა ამბოხის ბრალდებას. ის ცალკეული ფრაგმენტები, რომლებიც ისმის ფარულ ჩანაწერში, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ბუნტის დაგეგმვად. ფარულ ჩანაწერში არ ხდება გაშიფრული მასალისა და ფირზე არსებული საუბრების თანხვედრა;

ბრალდების საწინააღმდეგოა 2006 წლის 4 მაისს ჩატარებული ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ იქნა ერთი ცალი რეპროდუქციისთვის ვარგისი ვიდეო კასეტა, ჩანაწერის ხანგრძლივობაა 25 წთ. 8 წამი, ჩანაწერში გამოკვეთილია სამი მამაკაცის ხმა, ვიდეოკასეტაზე მონტაჟის ნიშნები არ აღინიშნება, შეუძლებელია ხმის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაცია. ანუ, ექსპერტიზის დასკვნა კატეგორიულია, როცა მიუთითებს ხმის მიხედვით პიროვნებათა იდენტიფიკაციის შეუძლებლობაზე და შესაბამისად, საეჭვოა საბრალდებო დასკვნის ფორმულირება მასზედ, რომ ,,2006 წლის 25 მარტს 18:50 საათზე სამკურნალო დაწესებულებაში მ. ზედელაშვილი და პ. მამარდაშვილი შეხვდნენ ზ. ვიბლიანს და დაავალეს შეერჩია დანაშაულებრივი დაჯგუფებისთვის თანამონაწილეები, რომლებიც მოუწოდებდნენ ამავე დაწესებულებაში მოთავსებულ სპეცკონტიგენტს, რომ სად საქმიანობის დეზორგანიზაციის მიზნით მიეყენებინათ ერთმანეთისთვის ფიზიკური დაზიანებები და თვითდაზიანებები, რაც შემდგომში დაბრალდებოდა სად თავმჯდომარეს და რეფორმის გამტარებელ გუნდს."

ფონოგრამის შინაარსის ტექსტის გაცნობისას დავრწმუნდით, რომ ტექსტის დიდი ნაწილი გაურკვეველია, ხოლო დანარჩენი ნაწილიდან აშკარაა, რომ სამი მამაკაცის საუბრის თემაა პატიმრების ცემის ფაქტი. პატიმრებისადმი ძალადობრივი

დამოკიდებულების გამო ისინი იძულებული არიან დარეკონ და აცნობონ მომხდარი ტელეკომპანია „იმედსა“ და უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს.

ამდენად, აღნიშნული ფარული ჩანაწერით არ დასტურდება საბრალდებო დასკვნის ფორმულირება მასზედ, რომ კანონიერი ქურდები ვეღარ სარგებლობდნენ რა პრივილეგიებით, რაც შეუძლებელი გახდა სასჯელაღსრულების სისტემაში დაწყებული რეფორმის შედეგად მათ განიზრახეს

—სასჯელაღსრულების დაწესებულების დეზორგანიზაცია.

—ადმინისტრაციაზე თავდასხმის მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, რასაც უნდა გამოეწვია დაწყებული რეფორმის შეჩერება.

—რეფორმის გამტარებელი გუნდის კომპრომიტირება.

—ქურდული ტრადიციებისა და ავტორიტეტის აღდგენა–გაძლიერება.

ამასთანავე, აღნიშნული ჩანაწერი გაკეთებულია 25 მარტს, მეორე ღამით განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ციხეში მოხდა ბუნტი. საქმეში არ არის მასალა, რომლითაც დადასტურდებოდა დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც განახორციელეს ეჭვმიტანილებმა ბუნტის მოსაწყობად. ამდენად, 2006 წლის 25 მარტს ფარული აუდიო–ვიდეო ჩანაწერი და მისი ოქმი არ შეიძლება ჩაითვალოს ზედელაშვილისა და სხვათა მიერ სსკ–ის 378–ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენის უტყუარ მტკიცებულებად.

<u>შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები არის თუ არა ბრალდების შესახები მტკიცებულებები?</u>

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი #5 საპყრობილეში შედგენილ იქნა 27 მარტს 06:10 —09:05 საათზე, ხოლო #1 საპყრობილესა და სარეჟიმო კორპუსს #1,2,3 სართულზე 09:30–11:15 საათზე. აღნიშნული ოქმები ადასტურებენ იმ ფაქტს, თუ რა მდგომარეობაში იყო ციხის ტერიტორია მომხდარი არეულობის შედეგად და რა სახის კანონსაწინააღმდეგო ნივთები იქნა ამოღებული შემთხვევის ადგილიდან, მაგრამ აღნიშნული მტკიცებულება არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მიმხდარი არეულობა გამოწვეული იყო ზედელაშვილის და სხვათა მიერ. გამომძიების მიერ არც შემთხვევის ადგილიდან ამოღებული უკანონო ნივთების ბრალდებულებთან კავშირი იქნა დადგენილი.

ამდენად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები არ არის ზედელაშვილის და სხვათა ბრალდების შესახები მტკიცებულებები. აღნიშნულით მხოლოდ დასტურდება ციხეში არეულობის მოხდენის ფაქტი.

<u>დაზარალებულების მორგოშიას და საბანაძის ჩვენებები არიას თუ არა ბრალდების შესახები მტკიცებულებები?</u>

დაზარალებულების მორგოშიას და საბანაძის ჩვენებებით დასტურდება ციხეში არეულობის მომხდენის ფაქტი, რა დროსაც მათ, როგორც სად –ის თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღით მიიღეს სხეულის დაზიანება. თავიანთ ჩვენებებში ისინი ვერ მიუთითებენ, რა კავშირი ჰქონდა ამ არეულობასთან ზედელაშვილს და სხვა ბრალდებულებს (ტ.2 ს.ფ. 69. ტ.3 ს.ფ.12).

ამდენად, აღნიშნული მტკიცებულებაც არ არის ზედელაშვილი და სხვათა ბრალდების შესახები მტკიცებულება.

ექსპერტიზის დასკვნები არის თუ არა ბრალდების შესახები მტკიცებულებები?

ზედელაშვილის და სხვათა სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულ იქნა სასამართლო–ფონოსკოპიური ექსპერტიზა; სასამართლო–ბალისტიკური ექსპერტიზა; სასამართლო დაქტილოსკოპური ექსპერტიზა; სასამართლო–ბიოლოგიური ექსპერტიზა; სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა.

სასამართლო–ბალისტიკური ექსპერტიზით დასტურდება, რომ ციხეში მომხდარი არეულობისას შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იარაღები მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას;
ბიოლოგიური და დაქტილოსკოპური ექსპერტიზით მოხდა გარდაცვლილთა იდენტიფიკაცია; ხოლო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით დადგინდა, თუ რა სახის სხეულის დაზიანებები მიიღეს პატიმრებმა, დაზარალებულებმა, ბრალდებულებმა და რა იყო გარდაცვლილ პატიმართა სიკვდილის მიზეზი.
რაც შეეხება სასამართლო–ფონოსკოპიურ ექსპერტიზას იგი არ არის ზედელაშვილის, მამარდაშვილის და ვიბლიანის ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულება, რაზეც ზემოთ იქნა აღნიშნული.
ამდენად, ზ/ა ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდება, თუ რა მძიმე შედეგი მოჰყვა ციხეში არეულობას პატიმართა გარდაცვალებითა და სხეულის დაზიანებით, მაგრამ ექსპერტიზის არცერთი დასკვნა არ არის ზედელაშვილის და სხვათა ბრალდების დამადასტურებელი და შესახები მტკიცებულება.

მოწმეთა ჩვენებები არის თუ არა ბრალდების შესახები, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები?

ბრალდების მტკიცებულებად საბრალდებო დასკვნა მიიჩნევს მოწმეების: ბ.ახალაიას, მ.სინაურიძის, მ. ქარდავას, გ. სვანიძის, უ. ცარციძის, მ. ჯავახიშვილის, დ. ბარნაბიშვილის, დ. გვასალიას, რ. წიკლაურის, თ. ვარადაშვილის, რ. ჩხარტიშვილის, დ. ცაგარეიშვილის, ნ. ხატიაშვილის, ი, ლიპარტელიანის, ზ, ბოხუას, გ. ხუხიას, გ. აბსნაძის, დ. ჭაკუას, კ. ოქრუაშვილის, დ. მარგებაძის, გ. შონიას, დ. მამუკაძის, მ. გვიჭიანის, დ. ბუთლიაშვილის ჩვენებებს, რომლებიც არიან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ბუნტის დაწყების ეპიცენტრი იყო სამკურნალო დაწესებულება. მიუხედავად ამისა, გამოძიებამ მოწმის სახით არ დაკითხა არც ერთი ამ დაწესებულების პატიმარი, რომლებსაც შეეძლოთ მიეცათ უფრო ზუსტი ჩვენება ბუნტის დაწყებისა და განვითარების თაობაზე. აღნიშნული ეჭვს ბადებს გამოძიების ტენდენციურობასა და არასრულყოფილებაზე. საქართველოს სსსკ–ის მე–18 მუხლის თანახმად, ,, 1. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო

ვალდებულნი არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი, და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. (25.03.2005 N1204)

2. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

3. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს."

სად თავმჯდომარე ბაჩო ახალაია მოწმის სახით დაკითხულ იქნა 2006 წლის 03 მაისს, შემთხვევიდან ერთი თვის და ერთი კვირის შემდეგ, რომელმაც აჩვენა, რომ 25 მარტს პატაკით მიმართა უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა დ. ჭაკუამ მოსალოდნელ მასობრივ არეულობაზე, რის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასჯელის მოხდის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს და იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მასობრივი არეულობის თავიდან აცილების მიზნით უნდა მომხდარიყო სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების გადაყვანა #7 საპყრობილეში. იმ მიზნით, რომ გადაყვანას ნაკლები ხმაური გამოეწვია, დაიგეგმა მისი ჩატარება ღამის საათებში. ეზოში გაყვანის შემდეგ პატიმრებმა მამარდაშვილმა, ზედელაშვილმა, მახარაძემ, ვიბლიანმა, ავალიანმა და ცინდელიანმა დაიწყეს ყვირილი და მოუწოდებდნენ პატიმრებს ე.წ. ,,შუმოკისაკენ", რასაც მოჰყვა ხმაური და არეულობა. სამკურნალო დაწესებულების პატიმრებს აყვნენ #1 და #5 საპყრობილის პატიმრები. აღნიშნულის შესახებ ეცნობა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს, როცა პროცესი გახდა უმართავი, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, სარეჟიმო კორპუსზე შესულიყო სად–ის თანამშრომლები სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად. მე–4 სარეჟიმო კორპუსზე დერეფნის ხერგილების განთავისუფლებისას სად–ის თანამშრომლებსა და სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს პატიმრებმა დაუშინეს სხვადასხვა ლითონის საგნები, საპასუხოდ სპეცრაზმის წევრებმა გამოიყენეს რეზინის ტყვიები, რასაც პატიმრებმა უპასუხეს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით. სროლის შედეგად ჭრილობები მიიღეს სად დაცვის სამსახურის უფროსმა კახა მორგოშიამ და საბადრაგო სამსახურის უფროსმა მამუკა საბანაძემ. მხოლოდ აღნიშნული ფაქტის შემდეგ სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება გამოეყენებინათ ცეცხლსასროლი იარაღი. ორმხრივი სროლის შედეგად დაიჭრა 22 პატიმარი, ხოლო მიღებული დაზიანებებით გარდაიცვალა 7 პატიმარი" (ტ.4 ს.ფ.29).

მოწმე დავით ჭაკუას ჩვენებით დასტურდება, რომ იგი არის სად უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ სამძებრო განყოფილების უფროსი. 2006 წლის 27 მარტს, დაახლოებით 00 საათზე, მას დაუძახა დეპარტმენტის უფროსმა ბაჩო ახალაიამ და უთხრა, რომ ე.წ. ,,კანონიერი ქურდები" და ,,ხარაშნიკები" აპირებდნენ დეზორგანიზაციის მოწყობას და ამის აღკვეთის მიზნით ბ. ახალაიამ მიიღო

გადაწყვეტილება აღნიშნული პირების #7 საპყრობილეში გადაყვანის თაობაზე, რისთვისაც სთხოვა ორგანიზება გაეკეთებინა თანამშრომლებისთვის. იგი შვიდ თანამშრომელთან ერთად გაყვა ბაჩო ახალაიას სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრების სხვა დაწესებულებაში გადაყვანის მიზნით. პატიმრებმა გადაყვანისას გაუწიეს წინააღმდეგობა და მოუწოდეს სხვა პატიმრებს ,,შუმოკისაკენ“ (ტ.2 ს.ფ. 104).
სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით გაურკვეველია, მას შემდეგ, რაც დავით ჭაკუამ 25 მარტს მიაწოდა ინფორმაცია ბაჩო ახალაიას მოსალოდნელი ბუნტის შესახებ, შემდეგ, რაც მშვიდად ჩაიარა 25–26 მარტმა, როგორც უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ–სამძებრო განყოფილების უფროსმა და სამსახურებრივად ვალდებული პირმა, მიიღო თუ არა რაიმე კონკრეტული ზომები ბუნტის აღსაკვეთად. აღნიშნული საკითხის გარკვევით არც სასამართლო დაინტერესებულა.
სად მსჯავრდებულთა და პატიმართა დაწესებულების სარეჟიმო განყ. ინსპექტორის–– ბრალდების მოწმე გ. სვანიძის ჩვენებით დასტურდება, რომ იგი არის იმ ფაქტის მოწმე, თუ როგორ მოხდა სამკურნალო დაწესებულებაში ბ. ახალაიას მისვლა თანმხლებ პირებთან ერთად და პატიმრების გამოყვანა, რა დროსაც მათ შორის რომელიღაცამ მოუწოდა პატიმრებს ე.წ. ,,შუმოკისკენ“. პატიმრებმა გაყვანისას გაუწიეს წინააღმდეგობა (ტ.2 ს.ფ. 8).
ანალოგიური ჩვენებები აქვთ მიცემული მოწმე უ. ცარციძეს(ტ.2 ს.ფ.11), მოწმე მ. ჯავახიშვილს(ტ.2 ს.ფ. 14), მოწმე დ. ბარნაბიშვილს(ტ.2 ს.ფ. 17), მოწმე დ. გვასალიას(ტ.2 ს.ფ. 19), მოწმე რ. წიკლაურს(ტ.2 ს.ფ. 22), მოწმე დ. ცაგარეიშვილს(ტ.2 ს.ფ. 33), მოწმე გ. კონდახიშვილს.(ტ.2 ს.ფ.39), მოწმე ზ. ბოხუას(ტ. 2 ს.ფ. 85), მოწმე გ. აბსანძეს(ტ.2 ს.ფ. 95), მოწმე კ. ოქრუაშვილს(ტ.2 ს.ფ. 108), მოწმე დ. მორგებაძეს(ტ.2 ს.ფ. 110), მოწმე გ. შონიას (ტ.2 ს.ფ. 112), მოწმე დ. მამუკაძეს(ტ. 2 ს.ფ. 114) .

მოწმე გ.ხუხუას ჩვენებით დასტურდება, რომ იგი ბ. ახალაიასთან ერთად მივიდა ციხის ტერიტორიაზე ე.წ. ,,კანონიერი ქურდების” იზოლაციის მიზნით, ვინაიდან ისინი აპირებდნენ ციხეში დეზორგანიზაციას, როდესაც მათ გამოიყვანეს ექვსი პატიმარი მათ დაუწყეს წინააღმდეგობის გაწევა, არ ემორჩილებოდნენ კანონიერ მოთხოვნებს, უწევდნენ ფიზიკურ წინააღმდეგობას, რის შემდეგ იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ ფიზიკური ძალა, გამოყვანისას შეამჩნიეს, რომ რამოდენიმე პატიმარს ჰქონდა დაზიანებები (ტ..2 ს.ფ.89), ანუ თავად ბრალდების მოწმეების ჩვენებებიც ადასტურებს და სადაო არ არის ის ფაქტი, რომ გადაყვანისას პატიმრების მიმართ გამოყენებულ იქნა ფიზიკური ძალადობა.

მოწმე რ. ჩხარტიშვილის ჩვენებით ირკვევა, რომ იგი იყო სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილე, 2007 წლის 27 მარტს დაახლოებით 01 საათზე, იმყოფებოდა დაწესებულების ტერიტორიაზე, რა დროსაც მოვიდა ბ. ახალაია რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად ე.წ. ,,კანონიერი ქურდების“ სხვა დაწესებულებაში გადაყვანის მიზნით. გადასაყვანმა პატიმრებმა მათ გაუწიეს წინააღმდეგობა, რასაც მოჰყვა სხვა პატიმრების მხრიდან ხმაური, მტვრევა, ცეცხლის წაკიდება. სიტუაციის განმუხტვის მიზნით გამოძახებულ იქნა სპეცრაზმი (ტ. 1 ს.ფ.26) ანუ, ჩვენება ადასტურებს, რომ ციხეში არეულობის დაწყების საფუძველი პატიმრების სხვა დაწესებულებაში გადაყვანა გახდა.
ამდენად, ზ/ა მოწმეთა ჩვენებები არიან ბრალდების შესახები, მაგრამ არა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები. ყველა ზ/ა მოწმე არის სასჯელაღსრულების

დაწესებულების თანამშრომელი და, მიუხედავად ამისა, მათი ჩვენებებითაც კი დასტურდება ის ფაქტი, რომ ციხეში ბუნტის დაწყებას საფუძვლად დაედო პატიმრების მიმართ ძალის გამოყენება და არა ზედელაშვილის და სხვათა მოწოდება სასჯელაღსრულების დაწესებულების დეზორგანიზაციის მიზნით მიეყენებინათ ერთმანეთისთვის დაზიანება და თვითდაზიანება.

ზედელაშვილის, მამარდაშვილის, ვიბლიანი, მახარაძის, ავალიანის, ცინდელიანის ქმედებები შეიცავს თუ არა სსკ–ის 378–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას?

სისხლის სამართლის კოდექსის 378–ე მუხლის 1–ლი ნაწილი გულისხმობს ,,წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ან ამ დაწესებულების საქმიანობისათვის სხვაგვარად ხელის შეშლას, ანდა ამ საქმიანობის დეზორგანიზაციას.“ ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ისეთ ქმედებაში, როგორიცაა წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ამგვარი დაწესებულების საქმიანობისადმი სხვაგვარად ხელისშეშლა, ანდა ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია.

—დაუმორჩილებლობა ნიშნავს მსჯავრდებულის ან სხვა პირის აშკარა უარს შეასრულოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა, რომელიც შეეძლო და უნდა შეესრულებინა, მაგრამ განზრახ არ შეასრულა.

—დაწესებულების საქმიანობისადმი სხვაგვარად ხელისშეშლა გამოიხატება განზრახ ქმედებაში, რომელიც მიმართულია საწარმოო ქვედანაყოფების მუშაობის ჩაშლისკენ ანდა სხვა ღონისძიებების ჩაშლისკენ ან ამგვარი ქმედების ჩადენისაკენ სხვების წაქეზება.

—საქმიანობის დეზორგანიზაცია შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა ქმედებებმა,როგორიცაა ტერორი მსჯავრდებულის მიმართ, რათა აიძულონ ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობა, რეჟიმის სისტემატური დარღვევა, ამ მიზნით დაჯგუფების შექმნა და სხვა.

—დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ისეთ მოქმედებაში(და არა უმოქმედობაში), როგორიცაა წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ამ დაწესებულების საქმიანობის სხვაგვარად ხელისშეშლა, ანდა ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია.

—სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს პირდაპირ განზრახვას.

სისხლის სამართლის კოდექსის 378–ე მუხლის მე–3 ნაწილი გულისხმობს ,,წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმას ანდა ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნას ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობას“.

—დანაშაულებრივი ქმედების ეს ფორმა ობიექტურად გამოიხატება თავდასხმაში, ადმინისტრაციის წარმომადგენელზე ფსიქიკურ ან ფიზიკურ ძალადობაში.

ამასთანავე ფსიქიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი შინაარსის მუქარაში, ხოლო ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში, ჯანმრთელობის სხვადასხვა ხასიათის დაზიანებაში. თავდასხმა შეიძლება აშკარა ხასიათს ატარებდეს ანდა მსხვერპლისგან ფარულად მოხდეს. დანაშაული დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, იმის მიუხედავად, მიადგა თუ არა რეალური ზიანი ადმინისტრაციის წარმომადგენელს.

—დანაშაულებრივ დაჯგუფებაში იგულისხმება ორი ან მეტი პირისგან შემდგარი, წინასწარ ორგანიზებული, შედარებით მყარი ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციაზე თავდასხმას. სასამართლომ უნდა გამოკვეთოს დაჯგუფების თითოეული წევრის როლი, რათა გამორიცხოს ამ მუხლით პასუხისმგებლობა დაჯგუფებასთან შემხებლობისთვის“ (სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი. 2005. ლეკვეიშვილი, მამულაშვილი. გვ.284).

აღნიშნული კომენტარის გათვალისწინებით, საქმის მასალებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზ/ა პირების ქმედება არ შეიცავს სსკ–ის 378–ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას. კერძოდ:

—საბრალდებო დასკვნის შინაარსი და მტკიცებულებები ექვსივე ბრალდებულის მიმართ არის აბსოლუტურად იდენტური და შეუძლებელია განვსაზღვროთ, თუ რაში გამოიხატა თითოეული ბრალდებულის ქმედების შესაბამისობა სსკ–ის 378–ე მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან;

—საქმეში არ არის არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი გარემოება, რომ პატიმრებმა განიზრახეს სასჯელაღსრულების დაწესებულების დეზორგანიზაცია და ამავე დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმის მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა, მითითებული რეფორმის გამტარებელი გუნდის კომპრომიტირება, ქურდული ტრადიციებისა და ავტორიტეტის აღდგენა–გაძლიერება;

—საქმეში არ არის არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, თუ როდის, რა ვითარებაში, რა საშუალებით გადაწყვიტეს ზედელაშვილმა, მამარდაშვილმა და მახარაძემ მოეწოდებინათ სპეცკონტიგენტისთვის არეულობისა და მასობრივი დაუმორჩილებლობისაკენ, როგორც ეს საბრალდებო დასკვნაშია ასახული.

—საქმეში არ არის არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა საბრალდებო დასკვნაში მითითებული გარემოება, რომ დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ხსენებულმა კანონიერმა ქურდებმა ერთობლივად დაიწყეს მოქმედებათა გეგმის შემუშავება და დანაშაულებრივი დაჯგუფების აქტიური მონაწილეების შერჩევა.

—არანაირ მტკიცებულებას არ ეყრდნობა საბრალდებო დასკვნაში მითითებული გარემოება, რომ 2006 წლის 26 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მიღებულ იქნა შეტყობინება სამკურნალო დაწესებულებიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული კანონიერი ქურდების ზედელაშვილის, მამარდაშვილის, მახარაძის და კრიმინალური ავტორიტეტების ავალიანის, ვიბლიანის, ცინდელიანის მიერ მასობრივი არეულობის ორგანიზების თაობაზე;

—საბრალდებო დასკვნაში არასწორად არის დაფიქსირებული, რომ 26 მარტს მიღებული შეტყობინების გამო სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა ითხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რის საფუძველზეც სად ხელმძღვანელობა ოპერატიულ თანამშრომლებთან ერთად გამოცხადდა სამკურნალო დაწესებულებაში,

რათა მოეხდინათ პატიმრების იზოლირების მიზნით სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.

—საბრალდებო დასკვნაში ცალ–ცალკე არ არის გამოკვეთილი რა მოქმედებით გამოხატა დაუმორჩილებლობა თითოეულმა ბრალდებულმა. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნული გარემოება, რომ ზედელაშვილი, მამარდაშვილი, მახარაძე, ავალიანი, ვიბლიანი, ცინდელიანი არ დაემორჩილნენ ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს და გაუწიეს მათ ფიზიკური წინააღმდეგობა ეს არის ბრალდების ზოგადი ფორმულირება ექვსივე განსასჯელის მიმართ და ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს;

— დაუმორჩილებლობით ქმედების კვალიფიკაციისთვის სავალდებულოა ორი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ჯერ ერთი, დაწესებულების თანამშრომლის მოთხოვნა უნდა იყოს კანონიერი და მეორე, დაუმორჩილებლობა უნდა გამოიხატებოდეს აშკარა უარში. საქმის მასალებით არ დასტურდება თუ რა ქმედებით გამოიხატა ბრალდებულთა დაუმორჩილებლობა ანუ აშკარა უარი სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე. დეპარტამენტის თანამშრომელთა ჩვენებებითაც კი დასტურდება, რომ ბრალდებულების წინააღმდეგობა გამოიხატებოდა მხოლოდ ხელების ქნევაში, გინებაში და ჯიკავით წაყვანაში, თანამშრომელთა ბრძანებები არ შეიძლება პატიმრების მხრიდან აღქმულიყო როგორც კანონიერი მოთხოვნა, ვინაიდან ისინი იყვნენ ავადმყოფი პირები და თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებდნენ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნას. როგორც წინასწარი გამოძიების, ასვე სასამართლო განხილვის დროს არ მომხდარი იმის გარკვევა და სასამართლოს მიერ შესაბამისი შეფასების მიცემა, რამდენად კანონიერი იყო სად–ის თანამშრომელთა მოთხოვნა პატიმრების გადაყვანის შესახებ.

— გამოძიებით არ არის დადგენილი, რაში გამოიხატა თითოეული ბრალდებულის მიერ დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია, რომელი მსჯავრდებულის მიმართ განახორციელეს ტერორი და აიძულეს ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობა, რეჟიმის სისტემატიური დარღვევა;

—გამოძიებით არ არის დადგენილი, რაში გამოიხატა თითოეული ბრალდებულის მიერ ციხის ადმინისტრაციაზე თავდასხმა. კერძოდ, რომელი ბრალდებული ციხის რომელ თანამშრომელს დაესხა თავს, რა სახის ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას ჰქონდა მათი მხრიდან ადგილი;

— გამოძიებით არ არის დადგენილი მიზეზ–შედეგობრივი კავშირი ზედელაშვილის და სხვათა ქმედებებსა და დაზარალებულების მორგოშიასა და საბანაძის სხეულის დაზიანებას შორის, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებაზე მიყენებულ მატერიალურ ზიანს შორის;

— საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, თუ როგორ გახდნენ დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები ცინდელიანი, ავალიანი, მახარაძე.

—საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა პატიმრებს მოუწოდეს ე.წ. „შუმოკისკენ“, მაგრამ საქმეში არ არსებობს არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ბრალდებულების მოწოდება მასობრივი არეულობისაკენ, ცეცხლის წაკიდებისკენ, ფანჯრების ჩამსხვრევისკენ, ნივთების დამტვრევისკენ, კარების გამოგლეჯვისკენ, გაქცევისკენ და ა.შ. საქმის მასალების თანახმად, არ იკვეთება, რომ „შუმოკისკენ“ მოწოდებას უნდა მოჰყოლოდა სად სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების მიერ მასობრივი დაუმორჩილებლობა ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია.

—საქმეში არ არის არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა პატიმრების მოწოდება #1 და #5 საპყრობილეების პატიმრებისადმი მასობრივი არეულობისაკენ;

—ასევე არ არის დაკონკრეტებული, თითოეულმა ბრალდებულმა სხვაგვარად რა სახით შეუშალა ხელი სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობას;

— გამოძიებით არ არის დადგენილი ციხეში აღმოჩენილ იარაღებს რა კავშირი აქვთ ბრალდებულებთან;

— გამოძიებით არ არის დადგენილი, თუ როგორ მოხდა განსასჯელების მიერ ორგანიზებული ჯგუფის შექმნა, კონკრეტულ ჯგუფურ დანაშაულში რომელ ბრალდებულს რა როლი ჰქონდა დაკისრებული და რა როლი შეასრულა თითოეულმა დაჯგუფების წევრმა, რა გეგმა შემუშავდა ადმინისტრაციაზე თავდასხმის;

—გამოძიებით დადგენილია, რომ პატიმართა გადაყვანის შემდეგ სამკურნალო დაწესებულებაში დამყარდა წესრიგი, რაც ადასტურებს, რომ პატიმართა ქმედების მიზანი არ ყოფილა მასობრივი არეულობის მოხდენა და დაუმორჩილებლობა;

— პატიმართა ჩვენებებით დასტურდება, რომ #5 საპყრობილეში პატიმრებს ეძინათ, როცა ატყდა ხმაური და გაიღო საკნის კარები, მაგრამ გამოძიებით არ არის გაბათილებული აღნიშნული ჩვენებები და არ არის დადგენილი როდის, ვისი მოწოდების საფუძველზე დაიწყო ხმაური და ვინ გააღო თუ გამოანგრია საკნის კარები, ამასთანავე აღნიშნულთან რა აკავშირებდა ზედელაშვილსა და სხვა ბრალდებულებს;

—საბრალდებო დასკვნის შედგენისას დარღვეულია სსსკ–ის 409 მუხლის 1 ნაწილის და მე–2 ნაწილის ,,გ“ და ,,დ“ ქ/პ მოთხოვნა მასზედ, რომ საბრალდებო დასკვნა არის ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე აღწერა, სადაც მითითებული უნდა იქნას დანაშაულის გარემოებანი და მტკიცებულებათა ნუსხა, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის ბრალეულობას.

—დაუსაბუთებელია პლატონ მამარდაშვილის ბრალდება, რომ მან ჩაიდინა კანონიერი ქურდობა. აღნიშნულ ბრალდებაზე საბრალდებო დასკვნაში საერთოდ არ არის ნამსჯელი, მაშინ როცა თავად ბრალდებულიც კი უარყოფს თავის კანონიერ ქურდად ყოფნის ფაქტს.

საქართველოს კანონის ,,ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ მე–3 მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, ,,კანონიერი ქორდი –ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარეულ ჯგუფს.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისი 223^1–ე მუსლის თანახმად კი, წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას.

საბრალდებო დასკვნაში არ არის მითითებული რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა პ.მამრდაშვილის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას.

—საქმეში არ არსებობს არცერთი მტკიცებულება ნიკოლოზ მახარაძის ბრალდების დასადასტურებლად. იგი #7 საპყრობილედან სად სამკურნალო დაწესებულებაში უმძიმესი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადმოყვანილ იქნა 2006 წლის 25 მარტს, როცა უკვე არსებობდა ინფორმაცია ციხეში მოსალოდნელი ბუნტის შესახებ და შეიყვანეს ისეთ საკანში, სადაც იმყოფებოდნენ ბუნტის დამგეგმავები. გაურკვეველია, რა როლი შეასრულა ბუნტის ორგანიზებაში სმენა დაქვეითებულმა,

დაუძლურებულმა, ლაპარაკის უნარწართმეულმა პატიმარმა და რატომ დადგა სამკურნალო დაწესებულებაში შემოყვანიდან მეორე დღეს მისი #7 საპყრობილეში გადაყვანის საკითხი.

ამდენად, სსსკ–ის 110–ე მუხლის თანახმად საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები[76], რომლითაც დადასტურდებოდა ბრალდებულების მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სსკ–ის 378–ემუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის კონსტრუქციასთან, არ არის ქმედება, არ არის მტკიცებულებები, შესაბამისად არ არსებობდა ზ/ა პირების ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის და საბრალდებო დასკვნის შედგენის საფუძელიც, რითაც საქმის მწარმოებელმა პირებმა უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციის მე-40 მუხლის იმპერატიული მოთხოვნა მასზედ, რომ დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

II.სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე მომხდარი ფაქტიდან იკვეთება თუ არა სად–ის თანამშრომელთა სხვა დანაშაულის ნიშნები?

<u>ციხეში მომხდარი არეულობისას სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობა მოქმედებდა თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულებების უშიშროების დამატებითი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად?</u>

პატიმრობის შესახებ კანონის 96–ე მუხლის თანახმად, ,,სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მასობრივი არეულობებისას... სასჯელაღსრულების დეპარტამენტი თავდასხმის, გაქცევისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთის მიზნით შეიმუშავებს უშიშროების დამატებით ღონისძიების გეგმას, რომელსაც ამტკიცებს იუსტიცის მინისტრი საქართელოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.“

2001 წლის 12 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ იქნა #60 ბრძანება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უშიშროების დამატებითი ღონისძიებების შესახებ, რომლის თანახმად დამტკიცდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მასობრივი არეულობებისას დამატებითი ღონისძიებების გეგმა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების უშიშროების დამატებითი ღონისძიებების გეგმა განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მასობრივი არეულობებისას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სასჯელაღსრულების ორგანოების მიერ უშიშროების გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელების წესს. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მასობრივი არეულობებისას, პატიმართა ან მსჯავრდებულთა გაქცევის, იქ მოთავსებულ პირთა მხრიდან

---

[76] მტკიცებულებები ე.ი. კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზედაც მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ადგენენ, არსებობს თუ არა მოვლენა ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები.

მასობრივი დაუმორჩილებლობის, აგრეთვე სხვა სამართალდარღვევათა შემთხვევების ლოკალიზება და აღკვეთა; დაწესებულების მოსამსახურეების, მსჯავრდებულთა და პატიმართა უსაფრთხოების დაცვა; ექსტრემალურ სიტუაციებში დაწესებულებათა გაძლიერებული დაცვა, მსჯავრდებულებზე განსაკუთრებული მეთვალყურეობისა და კონტროლის დაწესება; სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფართო მაშტაბიანი ოპერატიულ–პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისას დაწესებულების უსაფრთხოების დაცვა.

აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება იუსტიციის სამინისტროს სისტემაში განგაშის გამოცხადებისას. განგაშს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში აცხადებს მინისტრი. მინისტრის არყოფნისას განგაშის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრის პირველი მოადგილე. განგაშის გამოცხადების საფუძველია: მასობრივი არეულობების წარმოშობა, მსჯავრდებულთა ჯგუფური დაუმორჩილებლობა...სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალზე თავდასხმა ან ასეთი თავდასხმის მზადების თაობაზე სათანადოდ დადასტურებული ინფორმაციის არსებობა; საზოგადოებრივი წესრიგის ჯგუფური დარღვევა, სასჯელაღსრულების დაწესებულების ობიექტებისა და მათ მახლობლად ხანძრების...წარმოქმნა და ვითარების სხვაგვარი მკვეთრი გართულება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დაწესებულების უსაფრთხოებას.

გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებისას იუსტიციის მინისტრთან იქმნება ოპერატიული შტაბი, რომლის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს იუსტიციის მინისტრი–შტაბის ხელმძღვანელი, მინისტრის პირველი მოადგილე—შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე; სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი ამ გეგმით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმართავს შინაგან საქმეთა მინისტრს სასჯელაღსრულებათა დაწესებულებათა დაცვის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალებით გაძლიერების თაობაზე. და ბოლოს, ამვე გეგმის მე–14 პუნქტის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოვლენების არასასურველი ესკალაცია, იუსტიციის მინისტრის მიერ განგაშის გამოცხადებამდეც, აცხადებს საერთო განგაშს დაწესებულების ტერიტორიაზე და ერთობლივად მოქმედებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელთან წინასწარ შეთანხმებული ოპერატიული გეგმის საფუძველზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ციხეში მოსალოდნელი არეულობის შესახებ ცნობილი გახდა 2006 წლის 25 მარტს, რაზეც დაიწყო წინასწარი გამოძიება. საბრალდებო დასკვნითაც დადგენილია, რომ 26 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მიღებულ იქნა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კანონიერი ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები ორგანიზებას უკეთებდნენ მასობრივ არეულობას. ანუ მოსალოდნელი არეულობის შესახებ ცნობილი გახდა მანამ, სანამ შემთხვევა მოხდებოდა. რა გაკეთდა სასჯელაღსრულების ხელმძღვანელობის მიერ დანაშაულის აღსაკვეთად? საქმეში არ არის არცერთი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოსალოდნელი არეულობის შესახებ ეცნობა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, გამოცხადდა განგაში და შედგა სამოქმედო გეგმა ზ/ა #60 ბრძანების შესაბამისად, არადა, ამავე გეგმის მე–6 ნაწილის თანახმად, განგაშის

გამოცხადების საფუძველია .,,მასობრივი არეულობების წარმოშობა, მსჯავრდებულთა ჯგუფური დაუმორჩილებლობა...სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალზე თავდასხმა ან ასეთი თავდასხმის მზადების თაობაზე სათანადოდ დადასტურებული ინფორმაციის არსებობა;" ანუ ამგვარი დანაშაულის მომზადება უკვე განგაშის საფუძველია, მაგრამ აღნიშნულს სად მიერ არ მისცემია სათანადო შეფასება და მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების საფუძველი გახდა ადმინისტრაციისთვის არასასურველი პირების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.

საბრალდებო დასკვნით დადგენილია, რომ ,,სად სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა ითხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რის საფუძველზეც სად ხელმძღვანელობა ოპერატიულ თანამშრომლებთან ერთად გამოცხადდა მითითებულ დაწესებულებაში, რათა მოეხდინათ ზემოთ ჩამოთვლილი პირების სამკურნალო დაწესებულებიდან სხვა დაწსესებულებაში გადაყვანა და იზოლირება. პატიმართა მხრიდან რაიმე გართულების თავიდან აცილების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ღონისძიების ღამის საათებში ჩატარების შესახებ."

ადმინისტრაციის აღნიშნული ქმედება არ გამომდინარეობდა ზ/ა გეგმის მოთხოვნიდან. მაშინ, როცა დაწყებულია საქმის წარმოება სასჯელაღსრულების საქმიანობის დეზორგანიზაციის, ამ დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმის და ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების მცდელობის ფაქტზე, ყოველგვარი განგაშის და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარების გარეშე, ამგვარი ფორმით პატიმრების გადაყვანა იყო უკანონო პროცესი და არ გამომდინარეობდა ზ/ა დებულებათა მოთხოვნიდან. პირიქით, პატიმართა გადაყვანა ღამის საათებში, სპეცრაზმის მონაწილეობით და პატიმრების თვალწინ ძალის გამოყენებით იმ დროს, როდესაც რეალურად არსებობდა საშიშროება პატიმართა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის, თავისთავად წარმოადგენდა არა სამართალდარღვევის ლოკალიზებისა და აღკვეთის, არამედ სიტუაციის უფრო მეტად გამწვავების გარემოებას პირობას.

ამდენად, სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობის მოქმედება 2006 წლის 25 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით არ გამომდინარეობდა იმ დებულებებიდან და გეგმიდან, რომლებითაც ასეთ დროს უნდა ეხელმძღვანელა ადმინისტრაციას და იყო მიზანშეუწონელი.

<u>ციხეში არეულობის აღკვეთისას გადაამეტა თუ არა უფლებამოსილებას სპეცდანიშნულების რაზმმა?</u>

სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდება, რომ 2006 წლის 27 მარტს ციხეში მომხდარი მასობრივი არეულობებისას ცეცხლსასროლი იარაღით სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო შალვა გულიევმა(ტ.3 ს.ფ. 29), ლევან ალავიძემ(ს.ფ.33), რეზო მებუნიშვილმა(ს.ფ. 36), ვალერი სამყურაშვილმა(ტ.1 ს.ფ. 41), იმედა წიკლაურმა(ს.ფ.44,) ბენო ცხადიაშვილმა (ს.ფ. 47), ვახტანგ ქავთარაძემ(ს.ფ. 51), ჯამბული ხუფუნიამ(ტ.1 ს.ფ.55), რობერტ გოგავამ (ს.ფ. 59), იოსებ ჩარგაზიამ(ს.ფ. 63), ალიკა აიჭურაძემ, (ს.ფ.67), ოთარ აბაზაშვილმა(ს.ფ. 71),

ედემი წოწორიამ(ს.ფ. 75), რამაზ სანაშვილმა,(ს.ფ.79), ანზორ ამბარდნიშვილმა(ს.ფ.83), ბერდია ფიცხელაურმა(ს.ფ.86), ვახტანგ თოთლაძემ(ს.ფ. 91), მიხეილ შენგელიამ(ს.ფ. 96), ემზარ მზექალაშვილმა(ს.ფ.100), გივი წიკლაურმა(ს.ფ. 102), გოჩა თათაშვილმა(ს.ფ. 107), ბაჩო ქირიამ(ს.ფ. 110), სულ 21 პატიმარმა.

2006 წლის 27 მარტს, ციხეში მომხდარი არეულობისას, ცეცხლნასროლი ჭრილობის მიყენების შედეგად გარდაიცვალა შვიდი პატიმარი.
#305 დასკვნით, ნოფალ ისმაილ ოღლი ბაირამოვის სიკვდილის უშუალო მიზეზია ზოგადი–მწვავე სისხლნაკლებობა განვითარებული გულმკერდის ღრუში შემავალი ერთი ბრმა ცეცხლნასროლი ჭრილობის შედეგად, მარცხენა ფილტვის, მარცხენა იღლიის ქვეშა მაგისტრალური არტერიის და ვენური წნულის დაზიანებით გამოწვეული დიფუზიური სისხლდენით(ტ.5 ს.ფ.81).
აღსანიშნავია, რომ ბაირამოვის სხეულზე ნანახია სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: მრავლობითი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნაჭდევები მარჯვენა მხრის სახსრის უკანა ზედაპირზე, მარჯვენა მუხლის სახსრის წინა ზედაპირზე ცენტრალურად; მარჯვენა მუხლის სახსრის წინა და გარეთა ზედაპირზების საზღვარზე; მარჯვენა წვივის შუა გარეთა ზედაპირზე, კოჭწვივის სახსრის საპროექციოდ. აღნიშნული დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი–ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნება მსუბუქი ხარისხის დაზიანებას (ტ.5 ს.ფ.81).
საყურადღებო ფაქტია, რომ ბაირამოვის სხეულზე არსებული დაზიანებები შეიცავს სხვა დამოუკიდებელი დანაშაულის ნიშნებს, ვინაიდან, როგორც ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება მას გარდაცვალებამდე აქვს ისინი მიღებული. თუ რატომ და ვის მიერ, აღნიშნული გამოძიებამ რატომღაც არ ჩათვალა კვლევის საგნად, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს გამოძიების არაობიექტურობაზე.

#5 საპყრობილის პატიმართა ჩვენებებში აღნიშნულია, რომ ისინი გააღვიძა ხმაურმა, რამდენიმე წუთში გაიგონეს სროლის ხმა, მიიღეს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის სედეგად დაზიანებები, პატიმრების ხელში მათ იარაღი არ დაუნახავთ. ზოგი მათგანის ჩვენებით, საკანში შემოაგდეს რაღაცა, რომელიც აფეთქდა.
მოწმე გ. მეგრელიშვილის ჩვენებით ირკვევა, რომ საპყრობილის ტერიტორიაზე შემოვიდა სპეცდანიშნულების რაზმი, რომელიც განთავსდა ორ რიგად. პირველ რიგში იდგნენ ფარებითა და ხელკეტებით, ხოლო მეორე რიგში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირები. სროლები ძირითადად დაიწყო სპეცდანიშნულების რაზმის წევრების საპყრობილეში შესვლის შემდეგ.
ამდენად, პატიმართა ჩვენებების, გარდაცვლილ და დაჭრილ პატიმართა ჭრილობების სიმრავლისა და ადგილმდებარეობის ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ სპეცრაზმის მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მიზეზ–შედეგობრივ კავშირშია პატიმართა სიკვდილთან და სხეულის დაზიანებასთან, რაც იძლევა საფუძველს ეჭვისთვის ციხეში არეულობის აღკვეთისას ადგილი ჰქონდა სპეცდანიშნულების რაზმის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას.

სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ იქნა თუ არა პრევენციული ღონისძიებები მოსალოდნელი დანაშაულის აღსაკვეთად და შეიძლება თუ არა ციხის გუნტი ყოფილიყო პროვოცირებული ადმინისტრაციის მხრიდან?

2006 წლის 27 მარტს მომხდარი ე.წ. ,,ციხის ბუნტი“ განიხილება სამ ასპექტში:
1.პატიმრების მიერ დაგეგმილი.
2.სპონტანურად განვითარებული.
3.სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ პროვოცირებული.

1.როგორც ზემოთ აღინიშნა ზედელაშვილისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმე არ შეიცავს სსკ–ის 378–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ციხის ბუნტი დაგეგმილ იქნა ამ საქმეზე მსჯავრდებული პატიმრების მიერ, შესაბამისად, გამოვრიცხავთ მასობრივი არეულობის მოხდენის პირველი ვერსიას.

2. საქმის ანალიზის შედეგად საფუძვლიანია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ციხეში მასობრივი არეულობა დაიწყო სპონტანურად. პატიმრების ხმაურის მიზანი იყო არა მასობრივი არეულობის მოხდენა, არამედ შეწყვეტილ ყოფილიყო, მინიმუმ, ის ძალადობა, რაც იმ მომენტში პატიმრების მიმართ ხორციელდებოდა სად–ის თანამშრომელთა მხრიდან და მაქსიმუმ, გამოეხატათ პროტესტი ზოგადად ციხეში არსებული არაადამიანური ქმედებებისადმი. შემდგომში, იარაღის უკანონო გამოყენებით, რასაც შედეგად მოჰყვა პატიმართა გარდაცვალება და სხეულის დაზიანება, სპეცდანიშნულების რაზმმა უფლებამოსილებას გადაამეტა, რაც გამოძიებით გასარკვევი საკითხია;

3.არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ შეიძლება ციხის ბუნტი ყოფილიყო პროვოცირებული ციხის ადმინისტრაციის მიერ. ვარაუდის საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 26 მარტს სასჯელაღსრულების მთელ ტერიტორიაზე იყო სიმშვიდე. 27 მარტს, დაახლოებით 00 საათზე, ბ. ახალაიამ თავის კაბინეტში დაიბარა სად უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ–სამძებრო განყოფილების უფროსი დავით ჭაკუა, რომელსაც უთხრა, მოეხდინათ ბუნტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი პატიმრების #7 საპყრობილეში გადაყვანა, რისთვისაც ჭაკუას ორგანიზება უნდა გაეკეთებინა თავისი განყოფილების თანამშრომლებისთვის. დ. ჭაკუამ აღნიშნულზე გააფრთხილა სად უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ სამძებრო განყოფილების უფროსი ინსპექტორი გ. ხუხია, სხვა თანამშრომლები დ. მარგებლიძე, ზ. ბოხუა, გ. შონია, სად უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გ. აბსანაძე, მისი თანამშრომლები კ. ოქრუაშვილი და დ. შამუკაძე, ზემოთ აღნიშნულ პირებთან ერთად ბ. ახალაია მივიდა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, სადაც დაიწყო პატიმრების გამოყვანა, მაგრამ ეს პროცესი იმდენად ხმაურიანად წარიმართა, რომ არა თუ მოსალოდნელი არეულობა აღკვეთა, პირიქით, უფრო დაჩქარდა და თუ გამოძიების ვერსიას გავიზიარებთ, ბ. ახალაიას მიერ დაწყებულმა პროცესმა ხელი შეუწყო ბუნტის ორგანიზატორებს არეულობის მოხდენაში, ანუ ბაჩო ახალაიამ დააჩქარა პროცესი.

სად უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ–სამძებრო განყოფილების უფროსის დ. ჭაკუას მიერ სასამართლო პროცესზე მოწმის სტატუსით მიცემული ჩვენებით ირკვევა შემდეგი: დეკემბრიდან სად–ი გადასული იყო გაძლიერებულ რეჟიმზე, სხვა

გაძლიერებული რეჟიმი მათ ფიზიკურად არ შეეძლოთ. უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ხუხუას გააჩნდა ინფორმაცია, რომ შეიძლება #5 საპყრობილეში იარაღი ყოფილიყო, შენობა არის უძველესი, თან გადატვირთული და ოპერატიული მუშაობის გატარება იარაღის აღმოჩენის მიზნით შეუძლებელად ჩათვალეს.

ზემოთ აღნიშნულიდან ვასკვნით, რომ სად–ის ხელმძღვანელობის მხრიდან არანაირი ქმედითი ღონისძიებები არ გატარებულა მოსალოდნელი არეულობის აღსაკვეთად, ხოლო ის, რაც გაკეთდა, ანუ ბუნტის ორგანიზატორ პატიმართა იზოლაციის მიზნით გადაყვანა, პირდაპირ კავშირშია მომხდარ არეულობასთან. ამდენად, საფუძვლიანია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ციხის ადმინისტრაციის მიერ არ იქნა გატარებული სათანადო პრევენციული ღონისძიებები ბუნტის აღსაკვეთად, რაც საეჭვოს ხდის, რომ ციხეში არეულობის მოხდენა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისრაციის ინტერესშიც შედიოდა.

მოწმე დავით ოქროაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, 2006 წლის 26 მარტს ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, დღის განმავლობაში განსაკუთრებული არაფერი შეუნიშნავს. იქნებოდა დაახლოებით ღამის ორის ნახევარი, როდესაც რამდენიმე ავტომანქანა მოვიდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ოქროაშვილმა შენიშნა სად–ის ფორმაში ჩაცმული ნიღბიანები, როგორც შემდეგ გაიგო, მათ შორის ყოფილა სად თავმჯდომარე ბაჩო ახალაია. მათი შესვლიდან დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ გაიგონა ხმაური, რაც გამოიხატებოდა ხმამაღალ ყვირილში, რომელიც ისმოდა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან. განგაშის გამოცხადებიდან დაახლოებით 10-15 წუთში იმ ხალხმა, რომელიც ბუნტის დაწყებამდე შევიდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს ტერიტორიაზე, დატოვა იგი(ტ.1 ს.ფ. 274). აღნიშნული ჩვენება მოწმობს, რომ ბ. ახალაიას მისვლამდე სამკურნალო დაწესებულებაში იყო სიმშვიდე, ხოლო შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია ხმაური, შესაბამისად, ბ. ახალაია, რომ არ მისულიყო სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე ციხეში არ მოხდებოდა ის მასობრივი არეულობა, რაც მოხდა 2006 წლის 27 მარტს.

მოწმეების რ. ლალიაშვილის(ტ.4 ს.ფ.62), რ. სანაშვილის(ტ.5 ს.ფ.99), ო. აზაშვილის(ტ.5 ს.ფ. 101), ვახტანგ ქავთარაძის(ტ. 5 ს.ფ. 134) ჩვენებებით დასტურდება #5 საპყრობილეში საკნის კარების გარედან გაღების ფაქტი, მაგრამ ვის მიერ მოხდა მისი გაღება, ვინ და რა საშუალებებით გამოანგრია საკნის კარები, გამოძიებით არ არის დადგენილი.

ბუნტის პროვოცირების ეჭვს ამყარებს ბრალდებულ პ. მამარდაშვილის მიერ სახალხო დამცველისთვის მიცემული ახსნა–განმარტება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შეხვედრის აუდეო–ვიდეო ჩანაწერი ცნობილ იქნა ნივთმტკიცებად, მაგრამ არც გამოძიებამ და არც სასამართლომ არ გამოიკვლია და არ მისცა შეფასება ამ მტკიცებულებას. პ. მამარდაშვილის ჩვენება სარწმუნოა იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ შეუძლებელი იყო, აბსოლუტურად იზოლირებულ პ. მამარდაშვილთან და მ. ზედელაშვილთან ზ. ვიბლიანი თავისუფლად შესულიყო.

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგად დადგენილია, რომ სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე კანონიერ ქურდებს შეზღუდული ჰქონდათ თავისუფლად გადაადგილება და ისინი იმყოფებოდნენ იზოლირებულ პალატებში, სადაც მოხვედრა, მეთვალყურის მიერ კარების გაღებისა და შეშვების გარეშე, შეუძლებელი იყო. შესაბამისად, შეუძლებელი იყო ზ. ვიბლიანი დაწესებულების თანამშრომლების დახმარების გარეშე მოხვედრილიყო ამ პალატებში. აღნიშნული მიუთითებს, რომ იგი ადმინისტრაციის ხელშეწყობით იქნა

შეყვანილი იმ ტერიტორიაზე, სადაც ფარული კამერა იყო დამონტაჟებული. ამასვე მოწმობს ფარული ჩანაწერი, საიდანაც ნათლად ჩანს, როგორ უღებენ კარებს ზ. ვიბლიანს, რომ მოხვდეს აღნიშნულ დერეფანში. ტექნიკის დამონტაჟების ოქმის გაცნობა ასევე ბადებს ეჭვს, რომ ოპერატიულ–სამძებრო სამსახურის უფროსი დ. ჭაკუა და ამავე განყოფილების უფროსი გ. შონია ვიდეო ფირზე აღბეჭდილ პატიმრებთან შეთანხმებული სცენარით მოქმედებდნენ. აღნიშნულის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ფარული კამერა მათ მიერ დამონტაჟდა 2006 წლის 25 მარტს 18:10 საათზე, პატიმრები ერთმანეთს შეხვდნენ და ისაუბრეს 18:50—19:15 საათზე, ტექნიკას დემონტაჟი გაუკეთდა 19:40 საათზე.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ციხის ადმინისტრაციამ არაფერი გააკეთა მოსალოდნელი არეულობის აღსაკვეთად, გარდა პატიმრების იზოლაციის მცდელობისა, ისიც ისეთი ფორმით, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა პატიმრების პროტესტი. პატიმრებისადმი ცინიკური და აბუჩად ამგდები დამოკიდებულება, ეზოში, სხვა პატიმართა თვალწინ, მათ მიმართ ფიზიკური ძალადობა, სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე სპეცრაზმის უსაფუძვლოდ შემოყვანა, შემდეგში #5 და #1 საპყრობილეებში საკნის კარების გაღება, საკნებში ასაფეთქებელი ნივთიერებების შეგდება, პატიმრების საკნებში ჩაცხრილვა და ყოვლად უკანონოდ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, ბრალდებულ პ. მამარდაშვილის ახსნა–განმარტება, მოწმეთა ჩვენებები, ქმნის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ყოველივე ერთად წარმოადგენდა ციხის ადმინისტრაციის მიერ მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინების გარეშე მოქმედებას. რასაც შედეგად მოჰყვა ციხეში არეულობა, პატიმართა სიკვდილი, სხეულის დაზიანება, სად–ის ორი თანამშრომლის სხეულის დაზიანება, ნგრევა და მატერიალური ზიანი. ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულების მხრიდან პატიმართა ბრალდება კონკრეტულ დანაშაულში მიზნად ისახავდა თავის გამართლებას და ბუნტის შედეგად დამდგარი მძიმე შედეგის სხვაზე გადაბრალებას.

მ.ზედელაშვილისა და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, საქმეზე წინასწარი გამოძიება დამთავრდა 2006 წლის 30 ივნისს, ე.ი. წინასწარი გამოძიების დაწყებიდან სამი თვის შემდეგ, როდესაც საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით წინასწარ გამოძიებას დეტალურად უნდა დაეკითხა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავერდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 2006 წლის 27 მარტს განთავსებული პატიმრები სად–ის თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისა და საქმისთვის მნიშვნელვანი გარემოებების შესახებ, თუმცა, როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, სად–ის სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული პატიმრები საერთოდ არ არიან დაკითხული. აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთ კოლეგიის მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 2007 წლის 01 აპრილს. ასევე აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 21 ივნისს სისხლის სამართლის საქმიდან მ.ზედელაშვილისა და სხვათა მიმართ საქართველოს სსკ–ის 378–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის

სამართლის საქმე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ–ის 333–ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელზეც, როგორც საქართველოს გენერალური პროკურატურის 2008 წლის 15 ივლისის წერილით ირკვევა, წინასწარი გამოძიება ისევ მიმდინარეობს. ასევე საინტერესოა, თუ რა მიზეზით არ დაწყებულა წინასწარი გამოძიება სად–ისა და საქართველოს შს სამინისტროს სპეცდანიშნულების თანამშრომელთა მიერ დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით მკვლეობის ფაქტზე, საქართველოს სსკ–ის 114–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, მაშინ, როდესაც #5 საპყრობილეში მათ მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას შედეგად მოჰყვა 7 პატიმრის გარდაცვალება.

გარდა იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოება უტყუარი მტკიცებულებები, რაც დაადასყურებდა მამარდაშვილისა და სხვების მიერ საქართველოს სსკ–ის 379–ე მუხლის მე–3 ნაწილით (წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა ანდა ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, ზედელაშვილისა და სვხ აპირების გასამართლება და მსჯავრდება ასევე დაუსაბუთებელია საქართველოს სისხლს სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე. საქართველოს სსკ–ის 24 მუხლის თანახმად, ,,1. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

2. წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

3. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.“

ამავე კოდექსის 25–ე მუხლის თანახმად, ,,1. ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.

2. თანაამსრულებლის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მიუთითებლად.

3. ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმავდროულად დანაშაულის თანაამსრულებლები იყვნენ.

4. როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა.

5. პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ანდა ერთერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს.

6. ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის

სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს.

7. თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად."

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, თანამონაწილე გამიჯნულია ამსრულებლისაგან. ასეთი გამოჯვნა მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიული, არამედ ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან, თანამონაწილეობა არის აქცესორული ბუნების. კონკრეტულად კი, სისხლის სამართალში მოქმედებს თანამონაწილეობის ლიმიტირებული აქცესორულობის პრინციპი. ტანამონაწილის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია (აქცესორულია) ამსრულებლის მიერ ჩადენილ განზრახ მართლსაწინააღმდეგო ძირითად ქმედებაზე, რომელიც სავალდებულო არ არის, რომ ბრალეულად იყოს ჩადენილი. მაშასადამე, თანამონაწილეობა არის აქცესორულობაში ლიმიტირებული.

თუ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა რამდენიმე პირი, თავდაპირველად უნდა განისაზღვროს, თუ ვინ ჩაიდინა ძირითადი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რათა იგივე უმართლობისათვის დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამსრულებლისათვის აუცილებელი არაა თანამონაწილე, მაგრამ თანამონაწილისათვის აუცილებელია ამსრულებელი, ვინაიდან თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა.

თანამონაწილის პასუხისმგებლობის დამოკიდებულება ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე არ ნიშნავს იმას, რომ მათ მაინცდამაინც ერთი და იგივე დანაშაული უნდა ჩაიდინონ, არამედ მათ მიერ ერთი და იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებას.

უშედეგო დახმარება ესაა დახმარების მცდელობა და არ ისჯება. უშედეგო წაქეზება კი ისჯება როგორც დანაშაულის მომზადება (საქართველოს სსკ–ის 25–ე მუხლის მე–7 ნაწილი). აქედან გამომდინარე, ვინაიდან ზედელაშვილისა და სხვა პირების მიერ მათზე შერაცხული ქმედების ჩადენის დროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადი იყო მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება, მათი ქმედება დასჯადი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ქმედება იქნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის უშედეგო წაქეზება, ხოლო ნაკლებად მძმე და მძიმე დანაშაულის წაქეზება არ გამოიწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. ამის სესახებ პირდაპირ არის მითითებული სსკ–ის 25–ე მუხლის მე–7 ნაწილში. (მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2008).

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მ.ზედელაშვილის, პ.მამრდაშვილის, ზ.ვიბლიანის, ნ.მახარაძს, გ.ავალიანის, ლ.ცინდელიანის მიმართ (ე.წ. ,,ციხის ბუნტის" საქმე) წინასწარი გამოძიება საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიწოდებული მასალების თანახმად, საქართველოს იუსტიციის

სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების, #1 საპყრობილისა და #5 საპყრობილის სხვა პატიმრების მიმართ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ე.წ ციხის ბუნტში, არ წარმოებდა. ასევე გაურკვეველია, #5 საპყრობილეში ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი იყო თუ არა საქართველოს იუსტიციის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ან სპეცრაზმის თანამშრომლებზე რიცხული ტაბელური იარაღი. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად #5 საპყრობილეში ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და სბრძოლო მასალა, როგორც ნივთიერი მტკიცებულებები დაერთო სისხლის სამართლის საქმეს და საბრალდებო დასკვნაში მოხსენიებულია, როგორც მ.ზედელაშვილის, პ.მამარდაშვილის, ნ.მახარაძის, ზ.ვიბლიანი, ლ.ცინდელიანისა და გ.ავალიანის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი ერთ–ერთი მტკიცებულება. თუმცა საქმის მასალების თანახმად, გაურკვეველია, თუ რა კავშირი ჰქონდათ ბრალდებულებს ზემოაღნიშნულ იარაღთან. ასევე გაურკვეველია, თუ საბრალდებო დასკვნით აღწერილ რომელ გარემოებას ადასტურებს #5 საპყრობილეში ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, მაშინ, როდესაც ბრალდებულებს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (საქართველოს სსკ–ის 236–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული), სისხლის სამართლის საქმის მასალებით ბრალად არ ედებოდათ. ასევე არ ყოფილა წარმოებული წინასწარი გამოძიება ზემოაღნიშნული იარაღი #5 საპყრობილეში მოხვედრის ფაქტზე და ასევე #5 საპყრობილის თანამშრომლების მიერ შესაძლო სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ვინაიდან, სავარაუდოა, რომ სწორედ #5 საპყრობილის თანამშრომელთა ხელშეწყობით უნდა მომხდარიყო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის საპყრობილის ტერიტორიაზე შეტანა. თუმცა ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა გარკვეულიყო სწორედ აღნიშნულ კონკრეტულ ფაქტზე წინასწარი გამოძიების წარმოებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ არ იქნებოდა წინასწარი გამოძიება და ასევე, არ იქნებოდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სსკ–ის 378–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების, #1 და #5 საპყრობილეების იმ პატიმრების მიმართ რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მასობრივ დაუმორჩილებაში, თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო ბრალდებულთა მიმართ მასობრივი დაუმორჩილებლობის ორგანიზებისათვის ბრალდების წარდგენა და გასამართლება. საქმის მასალებით კი არ დასტურდება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა სხვა პირების მიმართ, გარდა მ.ზედელაშვილის, ნ.მახარაძის, გ.ავალიანის, ზ.ვიბლიანი, ლ.ცინდელიანისა და პ.მამარდაშვილის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ სამი თვის განმავლობაში დასრულდა წინასწარი გამოძება კანონიერი ქურდებისა და ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების მ.ზედელაშვილის, პ.მამარდაშვილის, ნ.მახარაძის, ზ.ვიბლიანის, გ.ავალიანისა და ლ.ცინდელიანის

მიმერთ. ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე და შესაძლოა, რომ სწორედ აღნიშნულს, და არა მამარდაშვილისა და სხვების ქმედებას მოჰყვა შედეგად #5 საპყრობილეში 7 პატიმრის დაღუპვა, რამდენიმე პატიმრისათვის სხვადასხვა ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანება, სახელმწიფოს მიადგა მატერიალური ზიანი 50737 ლარის ოდენობით წინასწარი გამოძიება 2008 წლის ივლისისათვის, ფაქტის დაფიქსირების შემდეგ 2 წელზე მეტის გასვლის შემდეგ, ისევ გრძელდება. აღნიშნული ბადებს ეჭვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესებული იყვნენ სასწრაფოდ მომხდარიყო კანონიერ ქურდებისა და ე.წ. ,,კრიმინალური ავტორიტეტების" მსჯავრდება, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გამოძიება იყო არასრული და საქმეში არ მოიპოვებოდა მათთვის შერაცხული ბრალდების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. საჯარო მოხელეთა მიერ შესაძლო ჩადენილი დანაშულის ცადენაზე წინასწარი გამოძიების გონივრულ ვადაში დამთავრება, საქმის სასამართლოსთვის გადაცემა და მოხელეთა მიერ დანაშაულის ჩადენის დადგენის შემთხვევაში მათი მსჯავრდება ხელოვნურად ჭიანურდება.

იგორ გიორგაძის პოლიტიკური კურსის მომხრეთა სისხლის სამართლის საქმე

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. აღწერილობითი ნაწილი

1. მომართვა სახალხო დამცველისადმი

2007 წლის 14 დეკემბერს მსჯავრებულების მაია თამაზის ასული თოფურიას, თეიმურაზ მიხეილის ძე ჟორჟოლიანის, კახაბერ მოსეს ძე ქანთარიას, რამაზ ზურაბის ძე სამნიძის, გიორგი გაბრიელის ძე მეტრეველის, გურამ ალექსანდრეს ძე პაპუკაშვილის, ვარლამ გურამის ძე გალდავას, რევაზ მოსეს ძე ბულიას, გიორგი მიხეილის ძე ახობაძის, იაკობ ჯონის ძე კვინიკაძის, ზაზა გიას ძე დავითაიას და ვახტანგ ავთანდილის ძე ტალახაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და სთხოვა შეესწავლა ზემოაღნიშნული მსჯავრდებულების სისხლის სამართლის საქმე.

2. დასკვნისათვის წარმოდგენილი მასალა

დასკვნისათვის დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა შემდეგი მასალა:
1. სისხლის სამართლის საქმე #089060110 მაია თოფურიას, თეიმურაზ ჟორჟოლიანის და სხვათა წინააღმდეგ – 40 ტომად;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 აგვისტოს განაჩენი #1/7829–06 – 416 გვერდი;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის განაჩენი #1/ბ–2395–07 – 124 გვერდი.
4. შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 6 სექტემბრის ბრიფინგის ვიდეო ჩანაწერი.

3. წინაწარი გამოძიება

2006 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარატმენტში, მოქალაქე გიორგი სიფრაშვილის განცხადების საფუძველზე, დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #089060110 საქმეზე[77] **დაუდგენელი პირების მიმართ** სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფორმით სახლმწიფო ღალატის ფაქტზე, დანაშაული,

[77] 2006 წლის 20 დეკემბერს #089060110 საქმიდან გელა არჩვაძისა და სხვათა მიმართ სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით სახელმწიფო ღალატის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის #089060166 საქმე.

გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით.[78]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს 2006 წლის 30 აგვისტოს განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა გიორგი სიფრაშვილმა და რამინ ადეიშვილმა. მათი ინფორმაციით პოლიტიკური პარტია „სამართლიანობა“ და ორგანიზაცია „ანტისოროსში“ შემავალი სხვა პარტიების ლიდერები შეიარაღებული ამბოხების გზით გეგმავდნენ საქართველოს ხელისუფლების დამხობას და მის ხელში ჩაგდებას. მათ იმავე დღეს ჩამოერთვათ ვრცელი ჩვენება.

მსგავსი განცხადებებით მიმართეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს 2006 წლის 31 აგვისტოს მოქალაქეებმა აკაკი შავიშვილმა, ნინო ხმალაძემ, 1 სექტემბერს ირმა ჯოგიაშვილმა, ვაჟა სიხარულიძემ და დავით ლომიძემ, 3 სექტემბერს გიორგი ბზიშვილმა და ჯუმბერ ქათამაძემ, რომლებიც, შესაბამისად, მოწმის სახით დაიკითხნენ.

ჩამოთვლილ მოწმეთა მიერ მიცემული (ერთნაირი) ჩვენებით, ირკვევა, რომ 2006 წლის მაისის დასაწყისში ქ. თბილისში, რუსთველის #24–ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში, დასახელებული ორგანიზაციის თავჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით შეიკრიბნენ მითითებული პარტიის პოლიტიკური მდივანი რევაზ ბულია, დაცვის სამსახურის უფროსი გურამ პაპუკაშვილი, ახალგაზრდული ორგანიზაციის თავჯდომარე იაკობ (კოკა) კვინიკაძე, ახალგაზრდული ორგანიზაციის კურატორი კახა ქანთარია, შიდა ქართლისა და აჭარის რეგიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები გელა არჩუაძე და რამაზ სიხარულიძე, ახალგაზრდული ორგანიზაციის მასმედიასთან ურთიერთობის კოორდინატორი გიორგი სიფრაშვილი, კონსერვატიულ–მონარქისტული პარტიის თავჯდომარე თეიმურაზ ჟორჟოლიანი, პარტია „XXI საუკუნის“ თავმჯდომარე ელიზბარ ჯაველიძე, მოძრაობა „ანტისოროსის“ ლიდერი მაია ნიკოლეიშვილი, საქართველოს მოქალაქეები ირინა სარიშვილი–ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე და სხვა პირები.

შეხვედრის ორგანიზატორმა მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, რომ იმსჯელებდნენ სრულიად საიდუმლო შინაარსის საკითხებზე და, შესაბამისად, შეკრების მიზანი და გახმოვანებული ინფორმაცია არ უნდა გამხდარიყო გარეშეთათვის ხელმისაწვდომი, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც სარგებლობენ მათი განსაკუთრებული ნდობით. ამის შემდეგ მან ზემოთ ჩამოთვლილ პირებს აცნობა, რომ იგორ გიორგაძის მიერ მიღებულია ძალზედ რთული, მაგრამ პრინციპული გადაწყვეტილება მიმდინარე წლის შემოდგომაზე ხელისუფლების ძალადობით, შეიარაღებული გამოსვლის გზით დამხობის თაობაზე, ვინაიდან შეუძლებელია ამ უკანასკნელის შეცვლა არჩევნებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა დემოკრატიული საშუალებებით. მისივე თქმით, შემუშავდა სამოქმედო გეგმის ძირითადი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც, იგორ გიორგაძის დახმარებით, რუსეთის ფედერაციიდან მიღებული ფინანსური სახსრებით მოხდება საჭირო რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების შესყიდვა,

[78] ტომი 1, ს. ფ. 3

მოსახლეობაში ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილების გასაძლიერებლად დაიბეჭდა და გავრცელდა სააგიტაციო შინაარსის პროკლამაციები, მიტინგებში ჩაბმის მიზნით აპრობირებული მეთოდებით, მათ შორის ფულის გადაცემით განხორციელდება ადამიანების გადმობირება, მაქსიმალურად იქნება გამოყენებული მასმედიის საშუალებები და ა.შ.

შეიარაღებული დაპირისპირების თარიღამდე რამდენიმე დღით ადრე, ქ.თბილისში და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პერმანენტულად მოეწყობა მრავალათასიანი საპროტესტო აქციები, რომლებშიც მონაწილეთა რაოდენობას ექნება ყოველდღიურად მზარდი ხასიათი. პარალელურად, სპეციალურად შექმნილი ჯგუფები სისტემატურად მოუწოდებენ ხალხს სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ. ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, წინასწარ დათქმულ დღეს, მოხდება ყველაზე მრავალრიცხოვანი მიტინგის ორგანიზება, რომელიც შემდგომ გადაინაცვლებს სახელმწიფო კანცელარიის სიახლოვეს, რა დროსაც საგანგებოდ შერჩეული პირები განახორციელებენ აღნიშნულ დაწესებულებაში შეჭრის იმიტაციას. ამის საპასუხოდ, იგორ გიორგაძის კონტროლს დაქვემდებარებული საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მუშაკები, თითქოსდა მათი შეჩერების მიზნით, ცეცხლს გაუხსნიან მშვიდობიან დემონსტრანტებს. მაია თოფურიას განმარტებით, ეს ფაქტი ანუ ხელისუფლების მიერ უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა, იქნება ბიძგი მასშტაბური ამბოხების, მასობრივი არეულობის, უწესრიგობისა და სახალხო მღელვარების დასაწყებად. კერძოდ, ვითომდა თანამოქალაქეთა მიმართ ხელისუფლების მიერ გამოვლენილი უპრეცედენტო ვანდალიზმით აღშფოთებული იმედდაკარგული უბრალო ადამიანები, სინამდვილეში კი წინასწარ სპეციალურად მომზადებული, სათანადოდ აღჭურვილი სულ მცირე 1000 კაცი გამოვა თბილისის ქუჩებში და გააფთრებულ შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევს სამართალდამცავ ორგანოებს, მყისიერად დაიკავებს სახელმწიფო კანცელარიას, საქართველოს პარლამენტს, განსაკუთრებული დანიშნულების არასამთავრობო დაწესებულებებს, ხელში ჩაიგდებს სატელევიზიო ანძას, უზრუნველყოფს გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული შენობების ბლოკირებას, იზოლაციაში მოაქცევს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს და სიცოცხლის ხელყოფის რეალური მუქარით აიძულებს მათ, მიიღონ გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. იმავდროულად, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის პარალიზებისათვის, ლიკვიდირებული იქნებიან საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები.

მაია თოფურიას თქმით, რიგგარეშე არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ არაკონსტიტუციურ, ძალადობრივ ქმედებებში ჩართული პირები არ იყვნენ გაიგივებული პარტია „სამართლიანობასთან“ და მოძრაობა „ანტისოროსში“ გაწევრიანებულ სხვა ორგანიზაციებთან. უფრო მეტიც, ისინი ღიად და ცალსახად გაემიჯნებიან მათ, მკვეთრად გააკრიტიკებენ, მოუწოდებენ იარაღის დაყრისაკენ, ამასთანავე, გააკეთებენ პოლიტიკურ განცხადებას იმის თაობაზე, რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე.

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით, იაკობ კვინიკაძემ, კახაბერ ქანთარიამ, გელა არჩუაძემ, რამაზ სამნიძემ, თეიმურაზ ჟორჟოლიანმა, მაია ნიკოლეიშვილმა, ზაზა დავითაიამ, ვახტანგ ტალახაძემ და სხვებმა მოიწონეს

წარმოდგენილი გეგმა და უყოყმანოდ შეუკავშირდნენ მაია თოფურიას ერთობლივი მოქმედებისათვის. თავის მხრივ, ჩვენების მიმცემი პირების განცხადებით, დაევალათ, შეერჩიათ ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000-ს აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გიორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

მოწმეთა თხოვნით და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის 2006 წლის 4 სექტემბრის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2006 წლის 5 სექტემბრის ბრძანებით, პროცესის მონაწილე გიორგი სიფრაშვილს მიენიჭა ფსევდონიმი „ეკა“, რამინ ადეიშვილს – „ეთერი“, აკაკი შავშიშვილს – „ნინო“, ნინო ხმალაძეს – „ზაური“, ირმა ჯოგიაშვილს – „რომეო“, დავით ლომიძეს – „ნათია“, ვაჟა სიხარულიძეს – „თამარი“.

3.1. ეჭვმიტანილის სახით დაკავება

2006 წლის 06 სექტემბერს **ეჭვმიტანილის სახით დააკავეს** თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ვარლამ გალდავა, რევაზ ბულია, ვახტანგ ტალახაძე, იაკობ კვინიკაძე, გიორგი მეტრეველი, რამაზ სამნიძე, მაია თოფურია, ზაზა დავითაია, კახაბერ ქანთარია, გურამ პაპუკაშვილი, მაია ნიკოლეიშვილი, გიორგი ახობაძე, ხოლო 2006 წლის 07 სექტემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე და 315 მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფო ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით და სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად ამბოხების მომზადების ფორმით, 2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მათ ბრალი წარედგინათ.

3.2. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები

2006 წლის 4 სექტემბრის საქართველოს შსს კუდ-ის წერილის და 5 სექტემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, 2006 წლის 06 სექტემბერს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, კერძოდ 63 მისამართზე (საცხოვრებელ ბინაში, სარდაფში და ოფისში) ჩატარდა ჩხრეკა, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების, ასაფეთქებელი მოწყობილობების, უცხო ქვეყნიდან არალეგალურად მიღებული ფულის და სხვა დოკუმენტების ამოღების მიზნით [79].

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ჩხრეკის შედეგად მხოლოდ სამ მისამართზე ამოიღეს შეიარაღებული გზით დამხობის გეგმის განსახორციელებლად გამიზნული შემდეგი ნივთმტკიცებები:

1. მაია თოფურია საცხოვრებელი ბინიდან ამოიღეს 46 730 აშშ დოლარი, 300 ევრო და 780 რუსული რუბლი;[80]

---

[79] ტომი 2, ს. ფ. 18–30; ჩატარებული ჩხრეკების დოკუმენტური მასალა იხ. ტომი 20

[80] ტომი 2, ს. ფ. 242

2. პარტია „სამართლიანობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ოფისიდან ამოიღეს 34 000 ლარი;[81]

3. კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელ სახლთან არსებული სარდაფიდან ამოიღეს: 29 „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 29 მჭიდი, ექვსი ცალი დალუქული რკინის კოლოფი, განკუთვნილი ვაზნებისათვის; 20 ცალი ხელყუმბარა პლასმასის სარქველით; თხუთმეტი ცალი პატარა კოლოფისებური მოყავისფრო შეფუთვა წარწერით „Trotilovaja shashka-2002“ და ასეთივე წარწერით 400 გრამიანი შეფუთვა – თოთხმეტი ცალი; ერთი ტყვიამფრქვევი; ექვსი ყუმბართმტყორცნი; ექვსი ცალი „გასროლა“ და მწვანე ფერის ყუმბართმტყორცნი.[82]

4. პარტია „სამართლიანობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ოფისიდან ამოიღეს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე დაბეჭდილი, იგორ გიორგაძის ხელმოწერით დაფიქსირებული სახელმწიფო წყობილების დამხობის მოწოდების პროკლამაციები, რომლებიც ინახებოდა პოლიეთილენის, ჭრელ ცხრა ჩანთაში.[83]

საქართველოს შსს საექსპერტო–კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს მიერ ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის 2006 წლის 18 ოქტომბრის #210/ფიზ დასკვნით, 2006 წლის 29 სექტემბრის #201/ამ დასკვნით და მასზედ თანდართული 2006 წლის 17 ოქტომბრის აქტით, 2006 წლის 11 ოქტომბრის #რან/305 დასკვნით, 2006 წლის 13 ოქტომბრის #6/8–52/ბ დასკვნით დადგენილია, რომ კახაბერ ქანთარიას სარდაფიდან ამოღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, კალაშნიკოვის კონსტრუქციის ტყვიამფრქვევი და მათთვის განკუთვნილი მჭიდები ვარგისია სასროლად და არის ქარხნული წესით დამზადებული. ასევე ვარგისია თავისი დანიშნულების გამოსაყენებლად ხელყუმბარები, ყუმბართმტყორცნები, რომლებიც ქარხნული წესითაა დამზადებული და საბჭოთა წარმოებისაა.[84]

3.3. წინასწარი პატიმრობის შერჩევა

2006 წლის 07 სექტემბერს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების საფუძველზე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ვარლამ გალდავა, რევაზ ბულია, ვახტანგ ტალახაძე, იაკობ კვინიკაძე, გიორგი მეტრეველი, რამაზ სამნიძე, მაია თოფურია, ზაზა დავითაია, კახა ქანთარია, გურამ პაპუკაშვილი, მაია ნიკოლეიშვილი, გიორგი ახობაძე მიცემულ იქნენ პასუხისგებაში.[85] აღნიშნულმა პირებმა წაყენებულ ბრალდებაში თავი არ ცნეს დამნაშავედ.

2006 წლის 08 სექტემბერს ბრალდებულებს თეიმურაზ ჟორჟოლიანს, ვარლამ გალდავას, რევაზ ბულიას, ვახტანგ ტალახაძეს, იაკობ კვინიკაძეს, გიორგი მეტრეველს, რამაზ სამნიძეს, მაია თოფურიას, ზაზა დავითაიას, კახაბერ ქანთარიას, გურამ პაპუკაშვილს, გიორგი ახობაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის

---

[81] ტომი 8, ს. ფ. 25 – 26
[82] ტომი 2, ს. ფ. 147 – 148
[83] ტომი 8, ს. ფ. 25 – 26
[84] ტომი 18, ს. ფ. 1 – 24
[85] ტომი 3, ს. ფ. 35 – 135

სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის დავით ჯუღელის მიერ შეეფარდათ აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა,[86] ხოლო მაია ნიკოლეიშვილმა თავი ცნო დამნაშავედ, აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, რის გამოც მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო.[87] აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2006 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანება დატოვა უცვლელი.[88]

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ვაჟა ფუხაშვილის 2006 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებით, განსასჯელებს წინასწარი პატიმრობის ორთვიანი ვადა გაუგრძელდათ ერთი თვით - სამ თვემდე, ანუ 2006 წლის 06 დეკემბრამდე.[89] აღნიშნული ბრაძანება გასაჩივრდა თბილისის საპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2006 წლის 08 ნოემბრის დადგენილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანება დატოვა უცვლელი.[90]

საქართველოს გენერალური პროკურატურის შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურში, საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურში, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა 2006 წლის 28 ნოემბერს შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს ბრალდებულების წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადის ერთი თვით გაგრძელების თაობაზე.[91] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ნინო სანდოძის 2006 წლის 30 ნოემბრის ბრძანებით დაკმაყოფილდა შუამდგომლობა და ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადა გაუგრძელდათ ერთი თვით - ოთხ თვემდე, ანუ 2007 წლის 06 იანვრამდე.[92] აღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც, 2006 წლის 06 დეკემბრის დადგენილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანება დატოვა უცვლელი.[93]

4. საბრალდებო დასკვნა[94]

2006 წლის 27 დეკემბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის #089060110 საქმეზე შედგა საბრალდებო დასკვნა მაია თამაზის ასული თოფურიას, თეიმურაზ მიხეილის ძე ჟორჟოლიანის, კახაბერ მოსეს ძე ქანთარიას, რამაზ ზურაბის ძე სამნიძის, გიორგი გაბრიელის ძე მეტრეველის, გურამ

---

[86] ტომი 3, ს. ფ. 169
[87] ტომი 3, ს. ფ. 178
[88] ტომი 3, ს. ფ. 244
[89] ტომი 16, ს. ფ. 214, 220
[90] ტომი 16, ს. ფ. 247
[91] ტომი 17, ს. ფ. 195 – 242
[92] ტომი 18, ს. ფ. 118
[93] ტომი 18, ს. ფ. 167 – 170
[94] ტომი 22, ს. ფ. 115 – 159

ალექსანდრეს ძე პაპუკაშვილის, ვარლამ გურამის ძე გალდავას, რევაზ მოსეს ძე ბულიას, გიორგი მიხეილის ძე ახობაძის, მაია გიორგის ასულლი ნიკოლეიშვილის, იაკობ ჯონის ძე კვინიკაძის, ზაზა გიას ძე დავითაიას, ვახტანგ ავთანდილის ძე ტალახაძის მიმართ.

4.1. მაია თოფურია

საბრალდებო დასკვნით, მაია თოფურიას ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით -2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე-18, 307, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით (სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად ამბოხების მომზადების ფორმით) და 25, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენის და შენახვის წაქეზება). აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატებოდა შემდეგში: პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ თავმჯდომარემ მაია თოფურიამ, იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით, განიზრახა სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეიარაღებული ამბოხების მოწყობა, რისთვისაც მან 2006 წლის 04 მაისს ქ. თბილისის, რუსთაველის გამზირი #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში მიიწვია არსებული ხელისუფლების პოლიტიკისადმი დაპირისპირებული პირები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი“, „ზაური, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, რომ იმსჯელებდნენ სრულიად საიდუმლო შინაარსის საკითხებზე და შესაბამისად შეკრების მიზანი და გახმოვანებული ინფორმაცია არ უნდა გამხდარიყო გარეშეთათვის ხელმისაწვდომი, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც სარგებლობენ მათი განსაკუთრებული ნდობით. ამის შემდეგ, მან ზემოთ ჩამოთვლილ პირებს აცნობა, რომ იგორ გიორგაძის მიერ მიღებულია ძალზედ რთული, მაგრამ პრინციპული გადაწყვეტილება მიმდინარე წლის შემოდგომაზე ხელისუფლების ძალადობით, შეიარაღებული გამოსვლის გზით დამხობის თაობაზე, ვინაიდან შეუძლებელია ამ უკანასკნელის შეცვლა არჩევნებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა დემოკრატიული საშუალებებით. მისივე თქმით, შემუშავდა სამოქმედო გეგმის ძირითადი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც, იგორ გიორგაძის დახმარებით რუსეთის ფედერაციიდან მიღებული ფინანსური სახსრებით მოხდება საჭირო რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების შესყიდვა, მოსახლეობაში ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილების გასაძლერებლად დაიბეჭდა და გავრცელდა სააგიტაციო შინაარსის პროკლამაციები, მიტინგებში ჩაბმის მიზნით აპრობირებული მეთოდებით, მათ შორის ფულის გადაცემით განხორციელდება ადამიანების გადმობირება, მაქსიმალურად იქნება გამოყენებული მასმედიის საშუალებები და ა.შ.

შეიარაღებული დაპირისპირების თარიღამდე რამდენიმე დღით ადრე, ქ. თბილისში და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პერმანენტულად მოეწყობა

მრავალათასიანი საპროტესტო აქციები, რომლებშიც მონაწილეთა რაოდენობას ექნება ყოველდღიურად მზარდი ხასიათი. პარალელურად, სპეციალურად შექმნილი ჯგუფები სისტემატიურად მოუწოდებენ მოქალაქეებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ. ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, წინასწარ დათქმულ დღეს, მოხდება ყველაზე მრავალრიცხოვანი მიტინგის ორგანიზება, რომელიც შემდგომ გადაინაცვლებს სახელმწიფო კანცელარიის სიახლოვეს, რა დროსაც საგანგებოდ შერჩეული პირები განახორციელებენ აღნიშნულ დაწესებულებაში შეჭრის იმიტაციას. ამის საპასუხოდ, იგორ გიორგაძის კონტროლს დაქვემდებარებული საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მუშაკები, თითქოსდა მათი შეჩერების მიზნით ცეცხლს გაუხსნიან მშვიდობიან დემონსტრანტებს. მაია თოფურიას განმარტებით, ეს ფაქტი ანუ ხელისუფლების მიერ უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა, იქნება მიძგი მაშტაბური ამბოხების, მასობრივი არეულობის, უწესრიგობისა და სახალხო მღელვარების დასაწყებად. კერძოდ, ვითომდა თანამოქალაქეთა მიმართ ხელისუფლების მიერ გამოვლენილი უპრეცედენტო ვანდალიზმით აღშფოთებული იმედდაკარგული უბრალო ადამიანები, სინამდვილეში კი წინასწარ სპეციალურად მომზადებული, სათანადოდ აღჭურვილი სულ მცირე 1000 კაცი გამოვა თბილისის ქუჩებში და გააფთრებულ შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევს სამართალდამცავ ორგანოებს, მყისიერად დაიკავებს სახელმწიფო კანცელარიას, საქართველოს პარლამენტს, განსაკუთრებული დანიშნულების არასამთავრობო დაწესებულებებს, ხელში ჩაიგდებს სატელევიზიო ანძას, უზრუნველყოფს გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული შენობების ბლოკირებას, იზოლაციაში მოაქცევს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და პრემიერმინისტრს და სიცოცხლის ხელყოფის რეალური მუქარით აიძულებს მათ, მიიღონ გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. იმავდროულად, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის პარალიზებისათვის ლიკვიდირებული იქნებიან საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები.

მაია თოფურიას თქმით, რიგგარეშე არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ არაკონსტიტუციურ, ძალადობრივ ქმდებებში ჩართული პირები არ იყვნენ გაიგივებული პარტია „სამართლიანობასთან“ და მოძრაობა „ანტისოროსში“ გაწევრიანებულ სხვა ორგანიზაციებთან. უფრო მეტიც, ისინი ღიად და ცალსახად გაემიჯნებიან მათ, მკვეთრად გააკრიტიკებენ, მოუწოდებენ იარაღის დაყრისაკენ, ამასთანავე, გააკეთებენ პოლიტიკურ განცხადებას იმის თაობაზე, რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[95]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშიებით იაკობ კვინიკაძემ, კახაბერ ქანთარიამ, გელა არჩუაძემ, რამაზ სამნიძემ, თეიმურაზ ჟორჟოლიანმა, მაია ნიკოლეიშვილმა, ზაზა დავითაიამ, ვახტანგ ტალახაძემ და სხვებმა მოიწონეს წარმოდგენილი გეგმა და უყოყმანოდ შეუკავშირდნენ მაია თოფურიას ერთობლივი მოქმედებისათვის. თავის მხრივ ამ უკანასკნელმა, შეიპირა რა თანამზრახველები, გამიზნულის რეალიზაციისათვის შეთქულების მონაწილეებს დაავალა შეერჩიათ ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან, 5000-ს აშშ დოლარამდე ოდენობის

---

[95] ვინაიდან მოცემული საბრალდებო დასკვნის ეს პასაჟი ერთია ყველა დანარჩენი ბრალდებულისათვის ტექსტის შემდეგ ნაწილში აღარ მოხდება მისი გამეორება.

ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გიორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

ე.ი. მაია თოფურიამ ჩაიდინა სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივლისის რედაქცია).

დანაშაულებრივი ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად, მაია თოფურიას, მტკიცედ ჰქონდა რა გადაწყვეტილი სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ხელში ჩაგდებისათვის პირობების განზრახ შექმნა, 2006 წლის მაისში (ზუსტი თარიღი უცნობია) პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში, თეიმურაზ ჟორჟოლიანთან ერთად შეხვდა საქართველოს მოქალაქეს, ამავე პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარეს პაპუნა შონიას და შეეცადა წაექეზებინა ეს უკანასკნელი ამბოხებაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა, მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ვერ შეძლო მისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად.

გარდა ამისა, მაია თოფურიამ, სხვა თანამოაზრეთა გამოძებნის მიზნით, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, შეთქმულების პროგრამა გაანდო საქართველოს მოქალაქეს გიორგი მეტრეველს, რომელმაც, თავის მხრივ, გამოთქვა ხელისუფლების წინააღმდეგ ძალადობრივი გამოსვლების ორგანიზებაში ჩაბმის სურვილი.

შეიარაღებული ჯგუფების ფორმირებისა და მათი წევრების აღჭურვის მიზნით, მაია თოფურიამ საქართველოს მოქალაქე კახაბერ ქანთარია წააქეზა ცეცხლსასროლი იარაღების, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების და ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შეძენის და შენახვის ჩასადენად. ამ უკანასკნელმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 29 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 29 მჭიდი, ერთი ტყვიამფრქვევი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 4960 ვაზნა, РПГ- 7 ტიპის 5 და РПГ-26 ტიპის ერთი ყუმბარსატყორცნი და „НГ-Л“ტიპის გასროლა, რომლებსაც იგი 2006 წლის 06 სექტემბრის ჩათვლით, მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა საკუთარი საცხოვრებელი სახლის სარდაფში.

ამასთანავე, ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი მოსახლეობის დაპირისპირების პროვოცირების მიზნით, მაია თოფურიამ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ორგანიზება გაუკეთა სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ პირდაპირ მოწოდებების შემცველი პროკლამაციების დამზადებას, რომლებიც 2006 წლის 06 სექტემბერს ამოიღეს პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ოფისში ჩატარებული ჩხრეკის დროს.

ე.ი. მაია თოფურიამ ჩაიდინა სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად ამბოხების მომზადების ფორმით, დანაშაული, გათვალიწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18, 315-ე მუხლით.

მაია თოფურიას მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედებების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“ (პროცესის ამ მონაწილეთა მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიებები), ჯუმბერ ქათამაძის,

გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციანიძის, შალვა ჩიხაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით, პოლიტიკური პარტია „სამართლიანობის“ ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციის ოფისების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მაია თოფურიამ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე-18, 307-ე, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით და 25, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით.

4.2. თეიმურაზ ჟორჟოლიანი

თეიმურაზ ჟორჟოლიანს ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფო ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე-18, 307-ე, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით (სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად ამბოხების მომზადების ფორმით), რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 04 მაისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში, დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი“, „ზაური, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

შეხვედრაში მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს მოქალაქე თეიმურაზ ჟორჟოლანი, რომელმაც, წინასწარ იცოდა რა მაია თოფურიას მართლსაწინააღმდეგო ჩანაფიქრი, მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, გადაწყვიტა ხელოვნურად შეექმნა საკუთარი უდანაშაულობის დამასაბუთებელი მტკიცებულებები. ამ მიზნით, მან 2006 წლის 28 აპრილს გულის ფრიალის სიმულაციით დახმარებისათვის მიმართა „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს“, რომელშიც, მისივე ინიციატივით, იმავე დღეს მოათავსეს სტაციონალური მკურნალობის კურსის გასავლელად. 2006 წლის 04 მაისს თეიმურაზ ჟორჟოლიანმა შეკრებაზე დასასწრებად ისარგებლა იმ გარემოებით, რომ დღის განმავლობაში დასახელებულ სამედიცინო დაწესებულებაში პირთა შესვლა და გამოსვლა ხორციელდებოდა ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე, სამედიცინო პერსონალისაგან შეუმჩნევლად, რამდენიმე საათით დატოვა ცენტრის შენობა, ხოლო მეორე დღეს კლინიკიდან გაეწერა დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[96]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, თეიმურაზ ჟორჟოლიანმა, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობა და ხელში ჩაგდება, ერთობლივი მოქმედებისათვის შეუკავშირდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (გურამ პაპუკაშვილს, მაია ნიკოლეიშვილს და სხვებს) და დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად მაია თოფურიასგან მიიღო დავალება, შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000-ს აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად. აგრეთვე იგორ გორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის, თეიმურაზ ჟორჟოლიანმა მტკიცედ გადაწყვიტა სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ხელში ჩაგდებისათვის პირობების განზრახ შექმნა, რისთვისაც იგი 2006 წლის მაისში (ზუსტი თარიღი უცნობია) პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში, მაია თოფურიასთან ერთად, შეხვდა საქართველოს მოქალაქეს, ამავე პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარეს პაპუნა შონიას და ყოველმხრივ შეეცადა წაექეზებინა ეს უკანასკნელი ამბოხების მოწყობაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა, მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ვერ შეძლო მისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად.

ამის შემდეგ, თეიმურაზ ჟორჟოლიანმა, მოქმედებდა რა თანამოაზრეთა გამოძებნის განზრახვით, ქ. თბილისში, პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის“ სათავო ოფისში, შეთქმულების გეგმა „თამარის“ და „ნათიას“ (ამ უკანასკნელის მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიებები) თანდასწრებით გაანდო საქართველოს მოქალაქე ვარლამ გალდავას, რომელმაც, თავის მხრივ, გამოთქვა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლების ორგანიზებაში ჩაბმის სურვილი.

თეიმურაზ ჟორჟოლიანის მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედებების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“ (პროცესის ამ მონაწილეთა მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიებები), ჯუმბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციანიძის, შალვა ჩიხაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით, პოლიტიკური პარტია „სამართლიანობის“ ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციის ოფისების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ 2006 წლის 19 ოქტომრის #75/09 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული

[96] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

ვარაუდისათვის, რომ თეიმურაზ ჟორჟოლიანმა ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე–18 , 307-ე, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით.

4.3. კახაბერ ქანთარია

კახაბერ ქანთარიას ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფო ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე-18, 307-ე, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით (სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად ამბოხების მომზადების ფორმით) და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა). კერძოდ: 2006 წლის 04 მაისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში, დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი“, „ზაური, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[97]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, კახაბერ ქანთარიამ, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობა და ხელში ჩაგდება, ერთობლივი მოქმედებისათვის შეუკავშირდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (გურამ პაპუკაშვილს, მაია ნიკოლეიშვილს და სხვებს) და დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად მაია თოფურიასაგან მიიღო დავალება, შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000 აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

ე.ი. მან ჩაიდინა სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რადაქცია).

ამის შემდეგ კახაბერ ქანთარიამ გადაწყვიტა, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად, ამბოხების მოწყობისათვის პირობების განზრახ შექმნა, რისთვისაც მაია თოფურიას მითითების შესაბამისად გამოძიებით

---

[97] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღები, საბრძოლო მასალები, ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილობები. უკანონოდ შეიძინა (29 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 29 მჭიდი, ერთი ტყვიამფრქვევი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 4960 ვაზნა, РПГ- 7 ტიპის 5 და РПГ-26 ტიპის ერთი ყუმბარმტყორცნი და „НГ-Л“ტიპის გასროლა), რომლებსაც იგი, 2006 წლის 06 სექტემბრის ჩათვლით, მართლსაწინააღდეგოდ ინახავდა საკუთარი საცხოვრებელი სახლის სარდაფში.

ე.ი. მან ჩაიდინა სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად ამბოხების მომზადების ფორმით, დანაშაული გათვალიწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18, 307-ე, 315-ე მეორე ნაწილით.

მანვე შეიძინა და მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალას, ფეთქებად ნივთიერებას და ასაფეთქებელ მოწყობილობას - დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით.

კახაბერ ქანთარიას მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედებების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ, მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“ (პროცესის ამ მონაწილეთა მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიებები), ჯუმბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირშვილის, პავლე ხუციანიძის, შალვა ჩიხაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით, პოლიტიკური პარტია სამართლიანობის ცენტრალური და ახალგაზრდული ორგნიზაციის ოფისების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კახაბერ ქანთარიამ ჩაიდინა დანაშაული, გათვალიწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე-18, 307-ე, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით.

4.4. რამაზ სამნიძე

რამაზ სამნიძეს ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით და მე-18 , 307-ე, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით. კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის" ცენტრალურ ოფისში, დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია,

ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი“, „ზაური, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[98]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, რამაზ სამნიძემ, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობა და ხელში ჩაგდება, ერთობლივი მოქმედებისათვის შეუკავშირდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (გურამ პაპუკაშვილს, მაია ნიკოლეიშვილს და სხვებს) და დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად მაია თოფურიასაგან მიიღო დავალება შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000-ს აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

ამის შემდეგ, რამაზ სამნიძემ, მაია თოფურიას მითითების შესაბამისად, გადაწყვიტა თანამოაზრების გამოძებნა, რისთვისაც 2006 წლის 30 აგვისტოს ქ. ბათუმში მელიქიშვილის ქუჩაზე პირისპირ შეხვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციათა მართვის სამმართველოს უმცროს ინსპექტორს ჯუმბერ ქათამაძეს და ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის დაპირებით, ყოველმხრივ შეეცადა წაექეზებინა იგი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად ამბოხების ორგანიზებაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა, მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ვერ შეძლო მისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად.

რამაზ სამნიძის მიერ ზემოთხსენებული ქმედებების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“ (პროცესის ამ მონაწილეთა მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიებები), ჯუმბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციანიძის, შალვა ჩიხაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით, პოლიტიკური პარტია სამართლიანობის, ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციის ოფისების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ რამაზ სამნიძემ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) და მე-18, 307-ე, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით.

---

[98] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

4.5. გიორგი მეტრეველი

გიორგი მეტრეველს ბრალი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია). კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს ქ. თბილისში რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში, დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის, მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი“, „ზაური“, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[99]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, თეიმურაზ ჟორჟოლიანმა, ვახტანგ ტალახაძემ, მაია ნიკოლეიშვილმა და სხვებმა მოიწონეს წარმოდგენილი გეგმა და ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის მაია თოფურიასაგან მიიღეს დავალება შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000-ს აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

ამის შემდეგ მაია თოფურიამ გადაწყვიტა, გამოეძებნა სხვა თანამოაზრეები, რისთვისაც გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ერთობლივი მოქმედებისათვის დაიყოლია საქართველოს მოქალაქე, პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ აღმასრულებელი მდივანი გიორგი მეტრეველი. ამ უკანასკნელმა, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად ამბოხების მოწყობაში მონაწილეობა, 2006 წლის 31 აგვისტოს შეხვდა „ეკას“ და დაინტერესდა შეასრულა თუ არა მან მაია თოფურიას ხელმძღვანელობით შემდგარ თათბირზე მიღებული დავალება. ამასთანავე, პირისპირ საუბრისას გიორგი მეტრეველმა გაანდო „ეკას“, რომ მოლაპარაკებული იყო რამდენიმე პირთან, რომლებიც ჩაებმებოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ დაგეგმილ შეიარაღებულ გამოსვლებში.

გიორგი მეტრეველის მიერ ზემოხსენებული ქმედებების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“ (პროცესის ამ მონაწილეთა მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიებები), ჯუმბერ ქათამაძის, გიორგი გზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, გოგა საღარაძის, პავლე ხუციანიძის, შალვა ჩიხაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით, პოლიტიკური პარტია „სამართლიანობის“ ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციის ოფისების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების

---

[99] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ გიორგი მეტრეველმა ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია).

4.6. გურამ პაპუკაშვილი

გურამ პაპუკაშვილს ბრალი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაული. კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს ქ. თბილისში რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი“, „ზაური“, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[100]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, გურამ პაპუკაშვილმა, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობასა და ხელში ჩაგდებაში მონაწილეობა, ერთობლივი მოქმედებისათვის დანაშაულებრივად შეუთანხმდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (კახაბერ ქანთარიას, თეიმურაზ ჟორჟოლიანს და სხვებს) და ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის მაია თოფურიასაგან მიიღო დავალება, შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3 000-დან 5 000 აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

გურამ პაპუკაშვილის მიერ ზემოხსენებული ქმედებების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“ (პროცესის ამ მონაწილეთა მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიებები), ჯუმბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღარაძის, პავლე ხუციანიძის, შალვა ჩიხაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით, პოლიტიკური პარტია სამართლიანობის ცენტრალური და ახალგაზრდული ორგნიზაციის ოფისების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის

[100] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ გიორგი მეტრეველმა ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია).

4.7. ვარლამ გალდავა

ვარლამ გალდავას ბრალი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფოს ღალატი ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდების შეთქმულების ფორმით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია). კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს, ქ. თბილიში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის" ცენტრალურ ოფისში დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა", „ეთერი", „ზაური", „ნინო" და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე".[101]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, თეიმურაზ ჟორჟოლიანმა, ვახტანგ ტალახაძემ, კახაბერ ქანთარიამ და სხვებმა მოიწონეს წარმოდგენილი გეგმა და ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის მაია თოფურიასაგან მიიღეს დავალება შეერჩიათ ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000 აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზაღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გიორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში. ამის შემდეგ, თეიმურაზ ჟორჟოლიანმა გადაწყვიტა გამოეძებნა თანამოაზრეები, რისთვისაც, გამოძიებით დაუდგენელ დროს, შეთქმულების სამოქმედო პროგრამა „თამარის" და „ნათიას" თანდასწრებით, გაანდო საქართველოს მოქალაქე ვარლამ გალდავას, რომელმაც, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობასა და ხელში ჩაგდებაში მონაწილეობა, დანაშაულებრივად შეუთანხმდა ამ უკანასკნელს ერთობლივი მოქმედებისათვის. ამასთანავე, იგი თეიმურაზ

---

[101] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

ჟორჟოლიანს შეჰპირდა, რომ დაიყოლიებდა დაახლოებით 50-60 კაცს, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღით დაუპირისპირდებოდნენ არსებულ ხელისუფლებას.

ვარლამ გალდავას მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“, ჯუბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციშვილის, შალვა ჩახაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით. პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის“ ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩხეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულებების შემოწმებისა და დათვალიერების ოქმებით, საქარათველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/-01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ვარლამ გალდავამ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქრათველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია).

4.8. რევაზ ბულია

რევაზ ბულიას ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფო ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით, 2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს, ქ. თბილიში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, "ეკა“, „ეთერი,“ „ზაური“, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[102]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, რევაზ ბულიამ, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობასა და ხელში ჩაგდებაში მონაწილეობა, ერთობლივი მოქმედებისათვის დანაშაულებრივად შეუთანხმდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (კახაბერ ქანთარიას, გურამ პაპუკაშვილს და სხვებს) და ჩანაფიქრის

[102] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

რეალიზაციისათვის, მაია თოფურიასგან მიიღო დავალება, შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000-ს აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გიორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

რევაზ ბულიას მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“, ჯუბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციშვილის, შალვა ჩახაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით. პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის“ ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულებების შემოწმებისა და დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/-01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ რევაზ ბულიამ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია).

4.9. გიორგი ახობაძე

გიორგი ახობაძეს ბრალად დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს, ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფიში დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი,“ „ზაური“, "ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[103]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, გიორგი ახობაძემ, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობასა და ხელში ჩაგდებაში მონაწილეობა, ერთობლივი მოქმედებისათვის

[103] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

დანაშაულებრივად შეუთანხმდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (კახაბერ ქანთარიას, გურამ პაპუკაშვილს და სხვებს) და ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის მაია თოფურიასგან მიიღო დავალება შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000-ს აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გიორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

გიორგი ახობაძის მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“, ჯუბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციშვილის, შალვა ჩახაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით. პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის" ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულებების შემოწმებისა და დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/-01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე პუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია).

4.10. მაია ნიკოლეიშვილი

მაია ნიკოლეიშვილს ბრალი დაედო მასზედ, რომ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფოს ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება. კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს, ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის" ცენტრალურ ოფიში დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევეაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი,“ „ზაური“, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[104]

[104] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, მაია ნიკოლეიშვილმა განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლეის ძალადობით დამხობასა და ხელში ჩაგდებაში მონაწილეობა, ერთობლივი მოქმედებისათვის დანაშაულებრივად შეუთანხმდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (კახაბერ ქანთარიას, გურამ პაპუკაშვილს და სხვებს) და ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის მაია თოფურიასგან მიიღო დავალება, შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000-ს აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გიორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

მაია ნიკოლეიშვილის მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“, ჯუბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციშვილის, შალვა ჩახაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით. პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის“ ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩხეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულებების შემოწმებისა და დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/-01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია).

4.11. იაკობ კვინიკაძე

იაკობ კვინიკაძეს ბრალი დედო მასზედ, რომ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფოს ღალატის სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია). კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს, ქ. თბილიში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი,“ „ზაური“, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[105]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, იაკობ კვინიკაძემ, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობასა და ხელში ჩაგდებაში მონაწილეობა, ერთობლივი მოქმედებისათვის დანაშაულებრივად შეუთანხმდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (კახაბერ ქანთარიას, გურამ პაპუკაშვილს და სხვებს) და ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის მაია თოფურიასგან მიიღო დავალება, შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000-ს აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გიორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

იაკობ კვინიკაძის მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“, ჯუბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციშვილის, შალვა ჩახაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით. პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანობის“ ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულებების შეღწმებისა და დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/-01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ იაკობ კვინიკაძემ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია).

4.12. ზაზა დავითაია

ზაზა დავითაიას ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია). გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს, ქ.თბილიში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება „სამაართლიანობის“ ცენტრალურ ოფიში დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა, ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია,

---

[105] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი,“ „ზაური“, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[106]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, ზაზა დავითაიამ, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობასა და ხელში ჩაგდებაში მონაწილეობა, ერთობლივი მოქმედებისათვის დანაშაულებრივად შეუთანხმდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (კახაბერ ქანთარიას, გურამ პაპუკაშვილს და სხვებს) და ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის მაია თოფურიასგან მიიღო დავალება შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000 აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გიორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

ზაზა დავითაიას მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“, ჯუბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციშვილის, შალვა ჩახაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით. პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის“ ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩხეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულებების შემოწმებისა და დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/-01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია).

4.13. ვახტანგ ტალახაძე

ვახტანგ ტალახაძეს ბრალი დაედო მასზედ, რომ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფოს ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია). კერძოდ, 2006 წლის 04 მაისს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის #24-ში მდებარე პოლიტიკური გაერთიანება "სამართლიანობის“ ცენტრალურ ოფისში დასახელებული ორგანიზაციის თანათავმჯდომარის მაია თოფურიას მიწვევით, რომელიც იგორ გიორგაძესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ხელისუფლების უკანონოდ მოპოვების განზრახვით, შეიკრიბნენ საქართველოს

---

[106] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

მოქალაქეები: რევაზ ბულია, გურამ პაპუკაშვილი, იაკობ კვინიკაძე, კახაბერ ქანთარია, გელა არჩუაძე, რამაზ სამნიძე, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ზაზა დავითაია, ვახტანგ ტალახაძე, გიორგი ახობაძე, „ეკა“, „ეთერი,“ „ზაური“, „ნინო“ და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები.

„მაია თოფურიამ იმთავითვე მიმართა თათბირის მონაწილეებს, ... რომ უშუალოდ ხელისუფლებამ მიიყვანა ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომამდე“.[107]

ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ, ვახტანგ ტალახაძემ, განიზრახა რა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობასა და ხელში ჩაგდებაში მონაწილეობა, ერთობლივი მოქმედებისათვის დანაშაულებრივად შეუთანხმდა საიდუმლო თათბირზე დამსწრე რამდენიმე პირს (კახაბერ ქანთარიას, გურამ პაპუკაშვილს და სხვებს) და, ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის მაია თოფურიასგან მიიღო დავალება შეერჩია ერთგული ადამიანები, რომლებიც 3000-დან 5000 აშშ დოლარამდე ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე იგორ გიორგაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის სრული გარანტიის პირობით, აქტიურად ჩაერთვებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში.

ვახტანგ ტალახაძის მიერ ზემოთ აღნიშნული ქმედების ჩადენა დადასტურებულია ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის, მოწმეების: „ეკას“, „ეთერის“, „ზაურის“, „ნინოს“, „რომეოს“, „თამარის“, „ნათიას“, ჯუბერ ქათამაძის, გიორგი ბზიშვილის, გუგული სტეფანიშვილის, დავით სტეფანიშვილის, დავით ჩუბინიძის, გოგა საღირაშვილის, პავლე ხუციშვილის, შალვა ჩახაძის, ილია გამგებლის, პაპუნა შონიას და გიორგი ჯიქიას ჩვენებებით. პოლიტიკური გაერთიანება “სამართლიანობის“ ცენტრალური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩხრეკის ოქმებით, კახაბერ ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკის ოქმით, შემთხვევის ადგილების დათვალიერების ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულებების შემოწმებისა და დათვალიერების ოქმებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 21 სექტემბრის #06/-01-01-01-1407 წერილით და მასზე დართული დოკუმენტებით, ბალისტიკური, პიროტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნივთიერი და სხვა მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე , მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია).

სისხლის სამართლის #089060110 საქმეში განსაზღვრულია ბრალდებულთა პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ:

ბრალდებულების - მაია თოფურიას, რევაზ ბულიას, იაკობ კვინიკაძის, ვახტანგ ტალახაძის, ზაზა დავითაიას, ვარლამ გალდავას, გიორგი მეტრეველის, გიორგი ახობაძის, რამაზ სამნიძის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას

---

[107] იხ. საბრალდებო დასკვნის ამ მონაკვეთის სრული ტექსტი გვ. 11 – 13

წარმოადგენს ის, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს პირველად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები მათ მიმართ საქმეში არ მოიპოვება.

ბრალდებულების - კახაბერ ქანთარიას და თეიმურაზ ჟორჟოლიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმეში პასუხისმგებლობის არც დამამძიმებელი და არც შემამსუბუქებელი გარემოებები არ მოიპოვება.

ბრალდებულ გურამ პაპუკაშვილის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება საქმეში არ მოიპოვება, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს წარსულში ნასამართლობა.

ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარამოადგენს ის რომ მან დანაშაული ჩაიდინა პირველად, გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება მის მიმართ საქმეში არ მოიპოვება.

4.14. საბრალდებო დასკვნაში მითითებული სასამართლოში გამოსაძახებელი პირები

4.14.1 ბრალდებულები

1. ვახტანგ ავთანდილის ძე ტალახაძე
2. იაკობ ჯონის ძე კვინიკაძე
3. გიორგი მიხეილის ძე ახობაძე
4. რევაზ მოსეს ძე ბულია
5. ვარლამ გურამის ძე გალდავა
6. გურამ ალექსანდრეს ძე პაპუკაშვილი
7. კახაბერ მოსეს ძე ქანთარია
8. გიორგი გაბრიელის ძე მეტრეველი
9. რამაზ ზურაბის ძე სამნიძე
10. მაია გიორგის ასული ნიკოლეიშვილი
11. თეიმურაზ მიხეილის ძე ჟორჟოლიანი
12. მაია თამაზის ასული თოფურია
13. ზაზა გიას ძე დავითაია

4.14.2. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეები

1. "ეკა"
2. "ეთერი"
3. "ზაური"
4. "ნინო"
5. "რომეო"
6. "თამარი"
7. "ნათია"
8. ჯუმბერ ისრაფილის ძე ქათამაძე
9. გიორგი ნუგზარის ძე ბზიშვილი
10. გუგული რუბენის ძე სტეფანიშვილი
11. დავით გუგულის ძე სტეფანიშვილი
12. დავით თეიმურაზის ძე ჩუბინიძე
13. გოგა უშანგის ძე საღირაშვილი

14. პავლე გურამის ძე ხუციანიძე
15. შალვა გიორგის ძე ჩიხაძე
16. ილია ზაურის ძე გამგებელი
17. პაპუნა ვალიკოს ძე შონია
18. მედეა გიორგის ასული ჩიკვაიძე
19. ლარისა პლატონის ასული პაქსაშვილი
20. ნინო კონსტანტინეს ასული დოლიძე
21. ლუსია გრიგოლის ასული ტატიშვილი
22. გიორგი სულიკოს ძე ჯიქია

4.14.3. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეები

1. თეა აკაკის ასული სიხარულიძე
2. ილია კარლოს ძე ქარჩილაძე

4.14.4. ბრალდების დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებები

1. ქაღალდის კონვერტში მოთავსებული ორი მუყაოს ფურცელი (სქემა);

2. #01 ბეჭდით დალუქული „9“ პოლიეთილენის ფუთა (ქართულ და უცხოურ ენაზე შედგენილი პროკლამაციები);

3. ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები, ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილებები - AKM მოდელის 22 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, AKMC მოდელის ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, AK-74 მოდელის 7 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ПК სისტემის ერთი ტყვიამფრქვევი, ავტომატური იარაღის 29 მჭიდი, „TANFOGLIO“ სისტემის ერთი პისტოლეტი და მჭიდი, „ნაგანის“ სისტემის ერთი რევოლვერი, KO-72 მოდელის ერთი კარაბინი, РГД-5 ტიპის 18 ხელყუმბარა, ორცილინდრისებურ ფორმის კონტეინერში მოთავსებული УЗРГМ ტიპის 15 ფალია, РПГ-7 ტიპის 6 და РПГ-26 ტიპის ერთი ყუმბარტყორცნი, ПГ-7Л ტიპის 6 გასროლა, ორას გრამიანი 15 და ოთხას გრამიანი 14 ტროტილის კოჭა, REMINGTON 870 EXSPRESS მოდელის 1 სანადირო თოფი, ТОЗ-34ЕР მოდელის ერთი სანადირო თოფი, 7,62 მმ კალიბრის 40 ვაზნა, 40S&W მოდელის 12 ვაზნა, 12 კალიბრის 62 სანადირო ვაზნა, ოთხ ლითონის ყუთში მოთავსებული 7,62 მმ კალიბრის 2700 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა, ორ ანალოგიურ ყუთში მოტავსებული 5,45მმ კალიბრის 2100 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა და ტყვიის ერთი გულა ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროში.

4. ფული - 46 730 აშშ დოლარი, 300 ევრო, 780 რუსული რუბლი და 34000 ლარი ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში.

5. პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენი

2006 წლის 29 დეკემბერს სისხლის სამართლის #089060110 საქმეზე დასრულდა წინასწარი გამოძიება და საქმე არსებითად განხილვისათვის წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.
საქმე სასამართლოში დარეგისტრირდა 1/7829-06 ნომრით.

2007 წლის 06 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში საბრალდებო დასკვნით, არსებითი განხილვისათვის შევიდა სისხლის სამართლის #089060166 საქმე გელა არჩუაძის მიმართ. სასამართლოში საქმე დარეგისტრირდა 1/993-07 ნომრით. გელა არჩუაძის მიმართ გამოყენებული იქნა დაუსწრებლად დაპატიმრება და გამოცხადდა ძებნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში #1/7829-06 საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო 2007 წლის 19 მარტს და დასრულდა 2007 წლის 24 აგვისტოს.
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მამუკა ნოზაძის მიერ 2007 წლის 24 აგვისტოს განსასჯელების - მაია თოფურიას, თეიმურაზ ჟორჟოლიანის, კახაბერ ქანთარიას, რამაზ სამნიძის, გიორგი მეტრეველის, გურამ პაპუკაშვილის, ვარლამ გალდავას, რევაზ ბულიას, გიორგი ახობაძის, მაია ნიკოლეიშვილის, იაკობ კვინიკაძის, ზაზა დავითაიას, ვახტანგ ტალახაძის, გელა არჩვაძის მიმართ გამოიტანეს განაჩენი, რომლის თანახმად:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - *სახელმწიფოს ღალატი,* ბრალდებიდან ამოერიცხათ განსასჯელებს - მაია თოფურიას, თეიმურაზ ჟორჟოლიანს, კახაბერ ქანთარიას, რამაზ სამნიძეს, გიორგი მეტრეველს, გურამ პაპუკაშვილს, ვარლამ გალდავას, რევაზ ბულიას, გიორგი ახობაძეს, მაია ნიკოლეიშვილს, იაკობ კვინიკაძეს, ზაზა დავითაიას, ვახტანგ ტალახაძეს, გელა არჩვაძეს და **მოეხსნათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე მუხლით *(სახელმწიფოს ღალატი)* გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ბრალდება და გამართლდნენ.**

მაია თოფურია დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით – *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (*2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით-*დანაშაულის მომზადება – ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად* და 25, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - *ამსრულებლის და თანამონაწილის პასუხისმგებლობა ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების, ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვა და სასჯელის ზომად განესაზღვროს 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.*

თეიმურაზ ჟორჟოლიანი დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად* (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) და მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით - *საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად* ამბოხების მომზადება – გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.*

კახაბერ ქანთარია დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად* (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით - *დანაშაულის მომზადება / ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად*, და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - *ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების, ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვა* გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.*

რამაზ სამნიძე დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად* (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) და მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით - *დანაშაულის მომზადება / ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად* გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.*

გიორგი მეტრეველი დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად* გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.*

გურამ პაპუკაშვილი დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად* (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიდა *სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.*

ვარლამ გალდავა დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია)* გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.*

რევაზ ბულია დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად*

ან ხელში ჩასაგდებად გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გიორგი ახობაძე დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (*2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.*

მაია ნიკოლეიშვილი დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (*2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალოს 2 წლით გამოსაცდელი ვადით.*

იაკობ კვინიკაძე დამნაშავედ ცნეს საქარათველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (*2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.*

ზაზა დავითაია დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (*2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.*

ვახტანგ ტალახაძე დამნაშავედ ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (*2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და *სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.*

გელა არჩუაძე დამნაშავედ ცნეს საქარათველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით - *შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (*2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) და მე-18, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით – *დანაშაულის მომზადება/შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად (*2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაული ჩადენაში და *სასჯელის ზომად*

განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ვადა აითვალოს მისი დაკავების დღიდან.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 აპრილის #1/ბ–2395–07 განაჩენით არ იქნა დაკმაყოფილებული მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველი ადვოკატების სააპელაციო საჩივრები და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 აგვისტოს განაჩენი მაია თოფურიას, თეიმურაზ ჟორჟოლიანის და სხვათა მიმართ დატოვა უცვლელი.

II. სარეზოლუციო ნაწილი

1. პირველი ინსტანციის სასამართლო

1.1. მოწმეთა ჩვენებები

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო და საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა მოწმეთა ჩვენებები. როგორც საბრალდებო დასკვნის, ასევე სასამართლო განაჩენის ძირითადი ფაბულა ეყრდნობა სწორედ ამ მოწმეთა ჩვენებებს.

2007 წლის აპრილსა და მაისში განსასჯელის ადვოკატების მიერ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი 11 მოწმის ჩვენებები ლინგვისტური ექსპერტიზისათვის გაეგზავნა აშშ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის პროფესორს როჯერ ვ. შუის.[108]

პროფესორ შუის მიერ გაანალიზებულ იქნა გიორგი ბზიშვილის, ჯუმბერ ქათამაძის, მაია ნიკოლეიშვილის, პაპუნა შონიას, „ეკას“, „ეთერის“, „ნინოს“, „ზაურის“, „რომეოს“ „ნათიას“ და „თამარის“, როგორც პირველადი, ასევე დამატებით მიცემული ჩვენებები.[109]

პროფესორ შუის ლინგვისტური დასკვნის თანახმად: „ცხრილში #2 ნაჩვენებია მნიშვნელოვანი მსგავსება მოწმეების ბზიშვილის, ქათამაძის, ნიკოლეიშვილის, შონიას მონაყოლში.

პროფესორ შუის აზრით, აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ 11 სხვადასხვა ადამიანი (იგულისხმება მოცემული სისხლის სამართლის საქმის ძირითადი მოწმეები), რომელთაგან ზოგიერთი აცხადებს, რომ ესწრებოდა 2006 წლის 4 მაისის თათბირს, ხოლო ზოგი აცხადებს, რომ არ ესწრებოდა, რომლებსაც, როგორც მინიმუმ, სამი თვის განმავლობაში ჩვენება ჩამოართვა სულ ცოტა ოთხმა სხვადასხვა გამომძიებელმა, შეეძლოთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოეყოლათ მნიშვნელოვანი თემების შესახებ ისეთი მსგავსი თანმიმდევრობით, როგორც მათ აქვთ თავიანთ ჩვენებებში მითითებული.

---

[108] ტომი 34, ს. ფ. 17 – 21

[109] ტომი 34, ს. ფ. 18

ცხრილში #3 ნაჩვენებია 32 იდენტური სიტყვა და ფრაზა, რომლებსაც იყენებს 7 ანონიმური მოწმე თავის ჩვენებაში.
აბსოლუტურად დაუჯერებელია, რომ შვიდ სხვადასხვა ადამიანს, რომლებსაც უყვებიან ერთსა და იმავე მოვლენას, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სამ სხვადასხვა გამომძიებელთან, როგორც მინიმუმ, სამი თვის განმავლობაში, შეეძლოთ გამოეყენებინათ სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ამდენად იდენტურია ერთმანეთისა, როგორც ეს მოწმეთა ჩვენებებით არის დაფიქსირებული.
იმის შანსი, რომ ეს ორი მოწმე [ბზიშვილი და ქათამაძე] გამოიყენებდნენ აბსოლუტურად ერთსა და იმავე ჯაჭვის 16 იდენტურ, ძალიან გრძელ წინადადებას, რომელიც შეიცავს 770 ვირტუალურად იდენტურ სიტყვას, რომელიც მოჰყვება ერთმანეთს. გარდა ამისა, ამ შესადარებელ გადასვლაში მოწმეთა მიერ გამოყენებულ სიტყვათა 99,99%–ზე მეტი იდენტურია და 16 წინადადებიდან 100 % აგებულია აბსოლუტურად ერთნაირი სტრუქტურით, იმავე პუნქტუაციით.
შვიდი ანონიმური მოწმის მიერ გამოყენებული წინადადების სტრუქტურის მსგავსება აბსოლუტურად არ ჰგავს იმას, რომ ისინი შეიძლება წარმოქმნილი იყოს რაიმე კარნახის გარეშე[110], ასკვნის პროფესორი შოუ.
პროფესორი შუის დასკვნით, „ამ საქმის დასახელებული და ანონიმური მოწმეების ჩვენებების ლინგვისტური შედარების საფუძველზე სავარაუდოა, რომ მათ ჩვენებებზე მოხდა რაიმე სახის ზეწოლა, ... რომლის ახსნაც არ შედის ლინგვისტის როლში“.[111]

მოსამართლის მიერ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი პროფესორ შუის ლინგვისტური ექსპერტიზის დასკვნა 2007 წლის 23 ივლისის დადგენილებით დაერთო სისხლის სამართლის საქმეს.[112]

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ აშშ-ში ჩატარებული ლინგვისტური ექსპერტიზის დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოწმეებზე ჩვენების მიცემისას მოხდა რაიმე სახის ზეწოლა. მოსამართლის თქმით: *„სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმეებმა ... კატეგორიულად უარყვეს მათზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან დაკითხვისას მათზე რაიმე ზეწოლის განხორციელება, ჩვენებათა კარნახი და ერთმანეთთან ნაცნობობა.“*[113]

მართალია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მტკიცებულების შეფასება მოსამართლის პრეროგატივაა, მაგრამ მოსამართლის მიერ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი პროფესორ შუის ლინგვისტური ექსპერტიზის დასკვნის უარყოფა იმდენად სუსტად იყო მოტივირებული და არგუმენტირებული, რომ მსჯავრდებულთა ადვოკატები მოსამართლის მხრიდან ბრალდების მხარისადმი მიკერძოებაზე საუბრობენ.
გიორგაძის მომხრეთა ადვოკატები, მათი მხარის მიერ წარმოდგენილი პროფესორ შუის ლინგვისტური ექსპერტიზის დასკვნის ანალიზის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ მოწმეთა ჩვენებები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა

---

[110] ტომი 34, ს. ფ. 20
[111] ტომი 34, ს. ფ. 21
[112] ტომი 34, ს. ფ. 159
[113] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი #1/7829–06, გვ. 32

ზემოქმედების ქვეშ (კარნახის ან გადაწერის) შედგა, ვინაიდან მოცემულ ჩვენებებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდად შესამჩნევია წინადადებების სტრუქტურის ისეთი მსგავსება, რაც შეუძლებელია შესრულდეს მოწმეებზე ზემოქმედების გარეშე.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საიდუმლო თათბირზე დამსწრე მოწმეებიდან ვერც ერთი ვერ ასახელებს, თუ როგორ გამოვლინდა 4 მაისის თათბირზე დამსწრეთა მხრიდან დანაშაულის ჩადენა, ანუ რა ფორმით დაეთანხმა თათბირის ნებისმიერი მონაწილე შეთქმულების გეგმას. ამდენად, აღნიშნული მოწმეები ზოგადად კატეგორიულად ამტკიცებენ მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ნამდვილობას, მაგრამ ვერაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ გამოვლინდა ეს დანაშაული. ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენად უნდა მივუთითოთ სწორედ დათანხმება დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე და არა დანაშაულებრივი საქმიანობის განზრახვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა. ამაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ საქმის მასალების მიხედვით, ირინა სარიშვილისა და ელიზბარ ჯაველიძის მიმართ სწორედ იმის გამო არ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა, რომ მათ დრო ითხოვეს ამ ამბოხებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. ვინაიდან შეთქმულების დანაშაულებრივი ხასიათი სწორედ შეთანხმებაში მდგომარეობს, საჭირო იყო გარკვეულიყო, რა ფორმით მოხდა 4 მაისის კრების დამსწრეთა მხრიდან შეთქმულებაში მონაწილეობაზე დათანხმება.
საქართველოს სსსკ 111-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაუშვებლად მიიჩნევა მტკიცებულება მიღებული იმ პირისაგან, რომელიც ვერ უთითებს, თუ სად, რა ვითარებაში, როდის და როგორ **გამოვლინდა** მის მიერ მიწოდებული მონაცემები. აღნიშნული ნორმის მიხედვით, იმისათვის, რომ მოწმის ჩვენება იყოს მტკიცებულება, აუცილებელია მოწმე უთითებდეს, თუ სად, როდის, რა ვითარებაში და როგორ გამოვლინდა მის მიერ მითითებული მონაცემები. თუ მოწმე ვერ უთითებს როგორ გამოვლინდა მის მიერ მითითებული მონაცემები, **ანუ როგორი ფორმით დაუჭირეს მხარი შეთქმულებაში მონაწილეობაზე განსასჯელებმა (ხელის აწევით, სიტყვის წარმოთქმით, თავის დაქნევით)**, ასეთი ჩვენება საქართველოს სსსკ 111-ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

როგორც სასამართლოს, ასევე საგამოძიებო ორგანოების მიერ, მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით, დაირღვა საქართველოს სსსკ 18–ე მუხლის მეორე ნაწილის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, **ობიექტური** და **სრული** გამორკვევის თაობაზე.

1.2. კახაბერ ქანთარიას სარდაფიდან იარაღის ამოღება

2006 წლის 6 სექტემბერს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად კახაბერ ქანთარიას სახცხოვრებელი სახლის კუთვნილ სარდაფიდან ამოღებულ იქნა: 29 „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 29 მჭიდი, ექვსი ცალი დალუქული რკინის კოლოფი, განკუთვნილი ვაზნებისათვის; 20 ცალი ხელყუმბარა პლასმასის სარქველით; თხუთმეტი ცალი პატარა კოლოფისებური მოყავისფრო შეფუთვა წარწერით „Trotilovaja shashka-2002” და ასეთივე წარწერით 400 გრამიანი შეფუთვა –

თოთხმეტი ცალი; ერთი ტყვიამფრქვევი; ექვსი ყუმბართმტყორცნი; ექვსი ცალი „გასროლა“ და მწვანე ფერის ყუმბართმტყორცნი.[114]

მოცემული ნივთმტკიცებები დაერთო საქმეს და მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის გეგმის განსახორციელებლად.
ზემოაღნიშნულ იარაღთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას კახაბერ ქანთარიას სარდაფის მდგომარეობას. ვინაიდან საქმე გვაქვს ისეთი სახის შეიარაღებასთან, რომელიც უნდა მოხმარებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დამხობას, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მათი შენახვა მეამბოხეების მიერ ამბოხების დაწყებამდე უნდა მომხდარიყო სიფრთხილის (მათი ვერ აღმოჩენის) ყველა ზომების დაცვით. იგულისხმა მათი ისეთ ადგილას და ისეთი სახის დეპონიერება, რაც შეუმჩნეველი გახდებოდა მესამე პირისათვის.
განსასჯელ კახაბერ ქანთარიას ბინის სარდაფი მდებარეობს თბილისში ც. დადიანის ქუჩაზე.
სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაკითხულ იქნენ კ. ქანთარიას მეზობლები, კურნელიძე და რუხაძე.[115] ორივე მათგანი აღიარებს, რომ საცხოვრებელი კორპუსის სარდაფები ხშირად ტყდებოდა და შეუძლებელი იყო რაიმე ფასეული საგნების სარდაფში შენახვა.[116]
მოწმე რუხაძის ჩვენებით, ქანთარიების სარდაფის კარი არ იყო დაკეტილი. იგი „ეკიდა, მაგრამ ჩამოვარდნილი იყო. გადმოიწეოდა, გავასწორებდი“.[117] საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოება, რომ ქანთარიას სარდაფის კარი იყო მთლიანი დეესპესაგან გაკეთებული,[118] ანუ მისი გატეხვა, დაკეტილიც რომ ყოფილიყო იგი, შესაძლებელი იქნებოდა მცირე ძალის გამოყენებით (ფეხის დარტყმით).
აღნიშნული ფაქტები, რა თქმა უნდა, ცნობილი იქნებოდა კ. ქანთარიასთვისაც, ამიტომ ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული ცეცხლსასროლი იარაღების და საბრძოლო მასალების ისეთ ადგილას დეპონირება, საიდანაც ისინი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეიძლება მითვისებული ყოფილიყვნენ.
პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ გაზიარებულ არ იქნა მეზობლების აზრი იმის თაობაზე, რომ „ვინ ჭკუათმყოფელი შეინახავდა უკარებო სარდაფში იარაღს.“[119] მოსამართლის თქმით: „სასამართლო ვერ გაიზიარებს [მოწმეთა აზრს], ვინაიდან აღნიშნული პირები ათეული წლების განმავლობაში მეზობლები არიან და მეგობრული ურთიერთობა აქვთ ოჯახთან, მათი ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა, ერთი უთითებს ჯაჭვის დაგრძელებას, მეორე დამოკლებას.“[120]
მოსამართლემ თავი აარიდა იმაზე მსჯელობას, ლოგიკური იქნებოდა თუ არა, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების ისეთ სარდაფში დეპონირება, რომელიც ხშირად ტყდებოდა და რომლის კარიც არ იკეტებოდა. ქანთარიას სარდაფის კარებთან არავითარ კავშირში არ არის სარდაფებში ჩასასვლელი საერთო კარის ჯაჭვი დამოკლებული იყო თუ დაგრძელებული. მოსამართლის მიერ მხოლოდ

---

[114] ტომი 2, ს. ფ. 147 – 148
[115] ტომი 32, ს. ფ. 132 – 146
[116] ტომი 32, ს. ფ. 134, 141
[117] ტომი 32, ს. ფ. 144
[118] იქვე
[119] ტომი 32, ს. ფ. 142
[120] თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი #1/7829–06, გვ. 89

იმის გამო მოწმეთა ჩვენების ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა, რომ ისინი განსასჯელის მეზობლები არიან, სცილდება სამართლის ლოგიკას და მცდარი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების საშიშროებას წარმოადგენს. მოსამართლის ამგვარი ლოგიკით ძნელი გახდება სისხლის სამართლის საქმეებზე ჭეშმარიტების დადგენა, ვინაიდან სისხლის სამათრთლის საქმის მოწმეები უმრავლეს შემთხვევაში დაზარალებულის ან განსასჯელის მეგობრები ან დაახლოვებული პირები (არა ახლო ნათესავები) არიან. გამოდის, რომ მათ ჩვენებას არ ქონია მნიშვნელობა ჭეშმარიტების დასადგენად.

მოსამართლე 2007 წლის 9 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე კ. ქანთარიას ბინის სარდაფის ჩხრეკისას გადაღებული ვიდეომასალის საფუძველზე აცხადებს: *„აღნიშნულ კადრებში ჩანს მხოლოდ ერთი მომენტი, როცა კარებს გვერდზე აყუდებს სპეცნაზის თანამშრომელი“.*[121]
საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა მოწმე გამგებელი (პოლიციის თანამშრომელი), რომელიც ესწრებოდა ქანთარიას კუთვნილი სარდაფის ჩხრეკას. მისი თქმით სპეცნაზის თანამშრომელმა გატეხა ბოქლომი და გააღეს კარები.[122]
ფრიად მნიშვნელოვანია ეს ორი ფაქტი, ანუ მოხდა კ. ქანთარიას სარდაფის კარების გაღება, როგორც ამას მოწმე ამბობს, თუ მოხდა მისი „გადადგმა“, როგორც ეს მოსამართლემ თვითონ დაინახა ვიდეოფირზე.
მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ თვითონ დააფიქსირა ვიდეოფირიდან სარდაფის კარის არა „გაღება“ არამედ „გადაგება“, რაც მისთვის საფუძველი უნდა ყოფილიყო, რომ ეფიქრა, თუ როგორ შეიძლებოდა სარდაფში, რომელიც ხშირად ტყდება და კარები არ გააჩნდა საბრძოლო იარაღის და მასალების დამალვა, იგი თავს არიდებს ამაზე განაჩენში მსჯელობას და განსასჯელების საწინააღმდეგო და მიკერძოებულ ლოგიკას ანვითარებს, იარაღის სარდაფიდან ამოღების თაობაზე, რომელიც მოწმეების გამგებლის და ჯიქიას ჩვენებებს ეყრდნობა.[123]
სპეცნაზის თანამშრომელის მიერ ქანთარია კუთვნილი სარდაფის კარის „მიყუდება“, როგორც მოსამართლე ამბობს, აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კ. ქანთარიას ბინის კუთვნილი სარდაფი, თუნდაც მას კარი ჰქონოდა, არ იყო საიმედო ადგილი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების შესანახად. გარდა ამისა სასამართლოს არ დაუსვამს კითხვა, აღინიშნებოდა თუ არა ამოღებულ იარაღზე განსასჯელების თითის ანაბეჭდები, ანუ წ./გამომძიების მიერ ჩატარდა თუ არა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა იმის დასადასტურებლად, ეკუთვნოდა თუ არა ამოღებული იარაღი შეთქმულებს. ასევე არ ყოფილა დადგენილი ეკუთვნოდა თუ არა კ. ქანთარიას მისი სარდაფიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი. ის ფაქტი, რომ იარაღი ამოღებული იქნა ქანთარიას სარდაფიდან, უტყარად არ მიუთითებს იმაზე, რომ იარაღი ქანთარიას ეკუთვნოდა. წარმოდგენილ მასალაში არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება, რაც იარაღის ქანთარიას კუთვნილებაზე მიუთითებდეს.
როგორც სასამართლოს, ასევე საგამომძიებო ორგანოების მიერ კ. ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფიდან იარაღის ამოღების ფაქტის შესწავლის და შეფასების დროს, ადგილი ჰქონდა მიკერძოებას ბრალდების მხარის სასარგებლოდ, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განსასჯელების მიმართ წაყენებული

---

[121] ტომი 37, ს. ფ. 30
[122] ტომი 29, ს. ფ. 212
[123] იხ.: გამგებლის დაკითხვა, ტომი 29, ს. ფ. 209; ჯიქიას დაკითხვა, ტომი 31, ს. .ფ 48

ბრალის დამძიმებაზე და სისხლის სამართლის საქმის მათ წინააღმდეგ გადაწყვეტაზე. ზემოაღნიშნულით იქნა სსსკ მე–18 მუხლის მეორე ნაწილის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ.

2. დაცვის მხარის შუამდგომლობები

2.1. სასამართლო ექსპერიმენტი

2007 წლის 4 მაისს განსასჯელ თეიმურაზ ჟორჟოლიანის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნოზაძეს.[124] ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველს წარმოადგენდა მოწმის ვ. სიხარულიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა. კერძოდ ის, რომ მას სმენა აქვს დაქვეითებული და ორივე ყურის აპკი აქვს გაუქმებული, თუმცა როგორც თვითონ აცხადებს, კარგად ესმოდა თუ რას ლაპარაკობდა თ. ჟორჟოლიანი.[125] ადვოკატი თავის შუამდგომლობაში ითხოვს საქართველოს სსსკ 487 პირველი ნაწილის თანახმად და საქართველოს სსსკ 340–343, 347–349, 375–384 მუხლებით დადგენილი წესით იმავე პირობებში ჩატარდეს სასამართლო ექსპერიმენტი.

სასამართლომ 2007 წლის 7 მაისის დადგენილებით თ. ჟორჟოლიანის ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას უარი ეთქვა შემდეგი მოტივით: *„მოწმეს დაქვეითებული აქვს სმენა, მაგრამ ყველა კითხვას გასცა პასუხი.“*[126]

ის ფაქტი, რომ მოწმემ ყველა კითხვას გასცა პასუხი არავითარ კავშირში არ არის მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. ვინაიდან სმენის დაქვეითება ფიზიკური ნაკლია, რაც არავითარ გავლენას არ ახდენს მის გონებრივ განვითარებაზე. ადვოკატი კი სწორედ მოწმის ფიზიკური ნაკლიდან გამომდინარე ეჭვქვეშ აყენებდა მის შესაძლებლობას დეტალურად გაეგო ის, რაც თ. ჟორჟოლიანის მიერ იქნა მისთვის ნათქვამი.

მოსამართლე საქართველოს სსსკ მე–18 მუხლის პირველი ნაწილით ვალდებული იყო სისხლის სამართლის საქმეზე ყოველმხრივ გაერკვია მტკიცებულების საგნი. მოცემულ შემთხვევაში მართებული იქნებოდა მოსამართლეს დაეკმაყოფილებინა ადვოკატის შუამდგომლობა და დაენიშნა ექსპერიმენტი, თუ რამდენად შეეძლო მოწმეს მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (ორი ყურის აპკის გაუქმება) თ. ჟორჟოლიანთან საუბრისას მოესმინა ყველაფერი დეტალურად.

ზემოაღნიშნულით მოსამართლემ დაარღვია საქართველოს სსსკ მე–18 მუხლის მე–2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, მას „საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა მოეხდინა ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად.“ მოცემულ საქმეზე

---

[124] ტომი 29, ს. ფ. 123
[125] ტომი 29, ს. ფ. 112
[126] ტომი 29, ს. ფ. 134

ობიექტურობის დადგენა მოითხოვდა, სასამართლოს ჩაეტარებინა ექსპერიმენტი და გაერკვია, თუ რამდენად შეძლებდა მოწმე საუბრის მოსმენას.
სასამართლოს მიერ დაირღვა აგრეთვე ევროპის ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე–6 მუხლის მოთხოვნები სამართლიანი სასამართლოს შესახებ.

2.2. განსასჯელ ვ. ტალახაძის დაცვის უფლება

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს სასამართლო პროცესიდან 2007 წლის 7 მაისს, მოსამართლის განკარგულებით, სასამართლო დარბაზიდან გაძევებულ იქნა განსასჯელი ვახტანგ ტალახაძე. დაცვის მხარის არაერთი შუამდგომლობისა და თავად განსასჯელის წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, მოსამართლემ ისე გამოუტანა განაჩენი ვახტანგ ტალახაძეს, რომ მას არ მიეცა სხდომაზე დაბრუნების, სასამართლოსათვის ზეპირი ჩვენების მიცემისა და საბოლოო სიტყვის თქმის საშუალება, ანუ ვახტანგ ტალახაძეს არ მიეცა საკუთარი თავის დაცვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება.

სტრასბურგის ადამიანთა უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ Ekbatani v. Sweden დაადგინა, რომ განსასჯელს უფლება უნდა ჰქონდეს, დაესწროს სასამართლო განხილვას.

ვფიქრობთ, როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო და როგორი ინტენსივობითაც არ უნდა ყოფილიყო განსასჯელ ვახტანგ ტალახაძის მიერ სასამართლო პროცესის დროს მოსამართლისათვის ხელის შეშლის ან მისი ან სასამართლოს შეურაწყოფის ფაქტი, რამაც მისი სასამართლო დარბაზის დატოვება გამოიწვია, მოსამართლეს განსასჯელ ვ. ტალახაძისათვის უნდა მიეცა ზეპირი ჩვენების მიცემისა და საბოლოო სიტყვის თქმის უფლება.

აღნიშნულით სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მე–3 პუნქტის მოთხოვნა დაცვის უფლების გარანტიის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატებოდა განსასჯელისათვის საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობის მიცემით. დარღვეულ იქნა აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, განსასჯელმა დაიცვას საკუთარი თავი პირადად.

3. დასკვნა

როგორც საგამოძიებო ორგანოების, ასევე სასამართლოს მიერ, მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით, დაირღვა საქართველოს სსსკ 18–ე მუხლის მეორე ნაწილის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამორკვევის თაობაზე.
პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ იმ ექსპერიმენტის დანიშვნის შესახებ ადვოკატის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობა, თუ რამდენად შეეძლო მოწმეს, მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (ორი ყურის აპკის გაუქმება), თეიმურაზ ჟორჟოლიანთან საუბრისას მოესმინა ყველაფერი, დაირღვა საქართველოს

სსსკ მე–18 მუხლის მე–2 ნაწილის მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ და ევროპის ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე–6 მუხლის მოთხოვნები სამართლიანი სასამართლოს შესახებ.

როგორც საგამოძიებო ორგანოების, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კ. ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფიდან იარაღის ამოღების ფაქტის შესწავლის და შეფასების დროს, ადგილი ჰქონდა მიკერძოებას ბრალდების მხარის სასარგებლოდ, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განსასჯელების მიმართ წაყენებული ბრალის დამძიმებაზე და სისხლის სამართლის საქმის მათ წინააღმდეგ გადაწყვეტაზე. ზემოაღნიშნულით დაირღვა სსსკ მე–18 მუხლის მეორე ნაწილის და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ.

მოსამართლემ განსასჯელ ვ. ტალახაძის მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში სასამართლო დარბაზიდან გაძევებით, განსასჯელს წაართვა ზეპირი ჩვენების მიცემისა და საბოლოო სიტყვის თქმის უფლება (საკუთარი თავის დაცვის უფლება). აღნიშნულით სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მე–3 პუნქტის მოთხოვნა დაცვის უფლების გარანტიის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატებოდა განსასჯელისათვის საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობის მიცემით. დარღვეულ იქნა აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, განსასჯელმა დაიცვას საკუთარი თავი პირადად.

დასკვნა
არასრულწლოვან გიორგი ზერეკიძის სისხლის სამართლის საქმეზე

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მასალები: სისხლის სამართლის #06060033 საქმე I ტომად და 200 გვერდი სხვა მასალა.

საქმის გარემოებები

2006 წლის 6 იანვარს ქ.თბილისის მთაწმინდა–კრწანისის შს სამმართველოს მიერ დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #06060033 საქმეზე, 2006 წლის 6 იანვარს ქ. თბილისში, ლარსის ქუჩაზე, ლევან ბოჭორიშვილის მკვლელობის მიზნით დანით დაჭრის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 19–108 მუხლით.

საქმის წარმოებას საფუძვლად დაედო პიროვნების დაჭრის გამო მოქალაქე ლელა ცატავას მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარება ,,03"–ის გამოძახება, რის შემდეგაც ინფორმაცია გადაეცა 022–ს. შეტყობინების საფუძველზე, პატრულ–ინსპექტორი გამოცხადდა ქ.თბილისში ლარსის შესახვევი #5–ში, ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ შპს ,,არტის" დისტრიბუტორი, მოქალაქე ლევან ბოჭორიშვილი დაჭრა დაუდგენელმა პიროვნებამ. დაჭრილი გადაიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

2006 წლის 6 იანვრის დადგენილებით ლევან ბოჭორიშვილი სცნეს დაზარალებულად. იმავე დღეს, 19:05–19:55 საათზე, იგი დაიკითხა დაზარალებულის სახით და აჩვენა, რომ მუშაობს შპს ,,არტ ჯგუფის" დისტრიბუტორად. 6 იანვარს, დაახლოებით 14:30 საათზე, მასზე განპიროვნებული ა/მანქანით მივიდა ლარსის ქ. #5–ში მდებარე სასურსათო მაღაზიაში. როდესაც ესაუბრებოდა გამყიდველს, მაღაზიაში შემოიხედა მისთვის უცნობმა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელმაც იკითხა, თუ ვისი იყო მაღაზიასთან გაჩერებული ა/მანქანა, ლ.ბოჭორიშვილს ეგონა, რომ მანქანა ვინმეს უშლიდა ხელს და გავიდა გარეთ. მაღაზიდან გასვლისას ზემოხსენებულმა ახალგაზრდამ მიმართა უხეშად, ,,ბიჭო მოდი აქო". უხეში ტონის გამო ბოჭორიშვილმა მისცა შენიშვნა, ახალგაზრდა ბიჭმა უთხრა, რომ უნდოდა ფული, რაზეც მან უპასუხა, ,,ვინა ხარ შე ლაწირაკო, რა ფულს მთხოვო." ამ საუბრისას ლ. ბოჭორიშვილმა დაუნახა ორთავე ხელში ორი მოზრდილი დანა გაშლილ მდგომარეობაში, ამ დროს ისინი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით და ამ ახალგაზრდამ ის დანა, რომელიც ეჭირა მარჯვენა ხელში, მოუქნია სწრაფად მუცლის მიმართულებით. ბოჭორიშვილმა მოასწრო გვერდით გაწევა და აიცილა მოქნეული დანა. ამ დროს მოესმა ვიღაცის ყვირილი, ,,გაეცალე, თორემ მოგკლავსო". მან, შეშინებულმა დანის მოქნევით, სწრაფად შეაქცია ზურგი და გაიქცა. დაახლოებით 20–30 მეტრის გარბენის შემდეგ ის პიროვნება დაეწია, რის გამოც იძულებული გახდა, შეჩერებულიყო და რამენაირად მოეგერინებინა, რისთვისაც ქურთუკის საყელოში წაავლო მარცხენა ხელი და დაქაჩა ქვემოთ. ამ დროს ახალგაზრდამ მოუქნია დანიანი ხელი, რის შემდეგაც ბოჭორიშვილმა მარჯვენა ბეჭის ზედა მიდამოში იგრძნო ჩხვლეტა და ტკივილი, მიხვდა, რომ იყო დანით დაჭრილი, სასწრაფოდ გაუშვა ხელი უცნობ ახალგაზრდას და ისევ გამოიქცა

უკან თავისი მანქანისკენ. უცნობი ახალგაზრდა კვლავ გამოედევნა. მაგრამ ქუჩაში ატყდა ხმაური, რის გამოც ახალგაზრდა მიიმალა. როდესაც ამ უკანასკნელმა ბოჭორიშვილს პირველად დაარტყა დანა, ბოჭორიშვილი გამოიქცა, ახალგაზრდა კი გამოედევნა გინებით, ეძახდა, რომ მოკლავდა. როცა ბოჭორიშვილმა უკან მოიხედა, დაინახა, რომ ახალგაზრდა მოსდევდა ხელში შემართული დანით, მაგრამ ხალხის ხმაურზე მიიმალა. როდესაც ბოჭორიშვილი მივიდა პოლიციის დაწესებულებაში ჩვენების მისაცემად, შემთხვევით პოლიციაში ნახა ის პიროვნება, რომელმაც დაჭრა. როგორც შემდგომ გაიგო, იგი ყოფილა გიორგი ზერეკიძე. (ტ.1 ს.ფ. 10).

2006 წლის 6 იანვარს ქ.თბილისის მთაწმინდა–კრწანისის შს სამმართველოში ნებაყოფლობით გამოცხადდა გ. ზერეკიძე. იმავე დღეს 20:00 საათზე იგი ეჭვმიტანილის სახით დააკავეს დაზარალებულ ლევან ბოჭორიშვილის მიმართ ყაჩაღობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 179–ე მუხლის I ნაწილით და 19–108 მუხლით. დაკავების საფუძველს წარმოადგენდა დაზარალებულის პირდაპირი მითითება გ. ზერეკიძეზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე.

გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკისას გ. ზერეკიძისგან არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ იქნა ამოღებული.

2006 წლის 6 იანვარს, 21:00 საათზე გ.ზერეკიძე დაკითხეს ეჭვმიტანილის სახით, რა დროსაც მან გამოიყენა კანონით მინიჭებული დუმილის უფლება.

6 იანვარს, 18:10 საათზე, მოწმის სახით დაიკითხა ლელა ცატავა, რომელმაც აჩვენა, რომ იგი მუშაობს ლარსის ქ. #5–ში მდებარე სასურსათო მაღაზიაში გამყიდველად. 2006 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 14 საათზე, მაღაზიაში შემოვიდა ,,სელპაკის“ ფირმის დისტრიბუტორი სახელად ლევანი. ამ დროს მაღაზიის კარები შემოაღო მისთვის უცნობმა პატარა ბიჭმა და იკითხა, ვის ეკუთვნოდა ქუჩაში მდგომი ავტომანქანა. აღნიშნულზე მაღაზიაში მყოფი დისტრიბუტორი გავიდა გარეთ, დაახლოებით 2–3 წუთში ქუჩიდან ლ.ცატავას შემოესმა ყვირილის ხმა, იგი გავიდა ქუჩაში და დაინახა მისკენ მომავალი ლევანი, როდესაც მიუახლოვდა ცატავამ შეამჩნია, რომ მას მარჯვენა მხრიდან მოსდიოდა სისხლი, ამის შემდეგ დაურეკა სასწრაფო დახმარებას.(ტ.1 ს.ფ.4)

მოწმე გ.აბაშიძის ჩვენებით ირკვევა, რომ იგი არის გ. ზერეკიძის მეგობარი. 2006 წლის 6 იანვარს იგი და მისი მეგობარი გოგა გულაშვილი იმყოფებოდნენ ლარსის ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიასთან. მან დაინახა გ. ზერეკიძე, რომელსაც ხელში ეჭირა ცელოფანის პარკი და გახსნილი დანა, თან ანერვიულებული ყვიროდა და იგინებოდა უმისამართოდ. ზერეკიძე შევიდა მაღაზიაში და ორ წუთში გამოვიდა, თან გამოყვა 20–25 წლის ბიჭი. გ.ზერეკიძე, რომელიც ამ ბიჭს ეკითხებოდა, რა ერქვა, რა გვარის იყო, რა უბანში ცხოვრობდა, ვისი იყო გაჩერებული მანქანა, რაზეც ის პიროვნება პასუხობდა. ამ საუბარში გ.ზერეკიძემ ლ.ბოჭორიშვილს მუცლის არეში მოუქნია დანა, რომელიც ამ უკანასკნელმა აიცილა. ამ დროს მასთან ერთად მყოფმა გ.გულაშვილმა შეაჩერა გ.ზერეკიძე და ლევანს დაუძახა, გაქცეულიყო, ბოჭორიშვილი შეტრიალდა და გაიქცა, ხოლო გ.ზერეკიძე ხელიდან დაუსხლტა გულაშვილს და გაეკიდა ბოჭორიშვილს, ორივენი ქუჩის მოსახვევში მიეფარნენ თვალს და შემდეგ რა

მოხდა აბაშიძეს არ დაუნახავს. რამდენიმე წუთში ისევ გამოჩნდა ლევან ბოჭორიშვილი, რომელიც დაჭრილი იყო მარჯვენა ბეჭის არეში. გ. ზერეკიძეს ლ. ბოჭორიშვილისთვის ფული არ მოუთხოვია და არც სიცოცხლის მისამართით არ დამუქრებია. გ. ზერეკიძეს მარჯვენა ხელში ეჭირა ერთი მოკლე ზომის ,,ვიქტორინოქსის" ფირმის გახსნილი დანა, ხოლო მეორე ხელში ეჭირა რაღაც პარკი. (ტ.1 ს.ფ. 24).

მოწმე თაყა ჩხაიძის ჩვენებით დასტურდება, რომ გ.ზერეკიძე იყო ანერვიულებული, სანამ შეხვდებოდა ბოჭორიშვილს. მას ხელში ეჭირა ცელოფნის პარკი, ხოლო მეორე ხელში პატარა დანა. ზერეკიძესა და ბოჭორიშვილს შორის მოხდა შელაპარაკება, რა დროსაც გ. ზერეკიძემ ბოჭორიშვილს მოუქნია დანა მუცლის არეში, რაც ამ უკანასკნელმა აიცილა. თუ როგორ მოხდა ბოჭორიშვილის დაჭრა, მას არ დაუნახავს (ტ. 1 ს.ფ.29).

აღსანიშნავია, რომ გ. ზერეკიძის საქმეზე გამოძიების პროცესში მოწმის სახით არ დაკითხულა ფაქტის შემსწრე გოგა გულაშვილი.

მოწმე გ.გულაშვილის სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ იგი 2006 წლის 6 იანვარს გ.აბაშიძესთან ერთად იდგა ლარსის ქუჩაზე მაღაზიასთან, რა დროსაც მასთან მივიდა გ.ზერეკიძე და იკითხა მაღაზიის წინ გაჩერებული მანქანის პატრონი. ამის შემდეგ ზერეკიძე შევიდა მაღაზიაში, საიდანაც გამოყვა ლ.ბოჭორიშვილი. მათ შორის გაიმართა საუბარი, რასაც მოჰყვა ჩხუბი, რა დროსაც გ. ზერეკიძემ დანა მოუქნია ლ. ბოჭორიშვილს. გ.გულაშვილმა გაწია ბოჭორიშვილი და უთხრა არ ეჩხუბათ. რის შემდეგაც ლ.ბოჭორიშვილი შეტრიალდა და მოცილდა მათ, თუმცა გ.ზერკიძე ბოჭორიშვილს უკან გაყვა სწრაფი ნაბიჯით, მას მერე არ დაუნახავს რა მოხდა, მხოლოდ ნახა რომ მობრუნებულ ბოჭორიშვილს მხარზე ჭრილობა ჰქონდა.

2006 წლის 7 იანვრის დადგენილებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იქნა მიცემული 1991 წლის 1 აგვისტოს დაბადებული გიორგი ზერეკიძე, საქართველოს სსკ–ის 179–ე მუხლის პირველი ნაწილით და 19–108 მუხლით, რომ მან ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის მუქარით, მანვე ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა.

გ. ზერეკიძის დანაშაულებრივი ქმედება ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების თანახმად გამოიხატა შემდეგში:

გიორგი ზერეკიძე 2006 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 14 საათზე, იმყოფებოდა თბილისში, ლარსის შესახვევი #5–ში მდებარე სასურსათო მაღაზიასთან, რა დროსაც მან მაღაზიაში შენიშნა მისთვის უცნობი ლევან ბოჭორიშვილი და განიზრახა ამ უკანასკნელისაგან ყაჩაღური თავდასხმის გზით თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით გ.ზერეკიძემ მაღაზიიდან გამოიხმო ლ.ბოჭორიშვილი, რომელსაც ხელში

მომარჯვებული ორი დანით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით მოსთხოვა ფულადი თანხა.

გ. ზერეკიძეს აღნიშნულ მოთხოვნაზე ლ.ბოჭორიშვილმა განუცხადა უარი ,,შენ ლაწირაკო რა ფულს მთხოვო“ და ამ ნიადაგზე მათ შორის მოხდა სიტყვიერი ურთიერთშელაპარაკება, რის გამოც განაწყენებულმა გ.ზერეკიძემ შურისძიების მოტივით განიზრახა ლ.ბოჭორიშვილის მკვლელობა, რა მიზნითაც იგი შეეცადა მისთვის დანის დარტყმას სხეულის სიცოცხლისთვის საშიშ არეში მუცელში. ლ.ბოჭორიშვილმა შესძლო აღნიშნული დარტყმის აცილება და გ.ზერეკიძეს ძალადობისგან თავის დაღწევის მიზნით გაიქცა, მაგრამ ეს უკანასკნელი დაედევნა მას, შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე მეტრში დაეწია და მოკვლის მიზნით დანა დაარტყა მარჯვენა ბეჭის არეში, რის შემდეგაც ლ. ბოჭორიშვილმა მიიღო სხეულის დაზიანება და კვლავ შეეცადა გაქცევას. დანაშაულებრივი განზრახვის–ლ. ბოჭორიშვილის მკვლელობის ბოლომდე მიყვანის მიზნით გ. ზერეკიძე მისდევდა ამ უკანასკნელს ხელში მომარჯვებული დანით და ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, მაგრამ თავისი განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში, რადგანაც ლ. ბოჭორიშვილმა შეძლო მისგან თავის დაღწევა.

ზემოაღნიშნული ბრალდება გამომძიებამ დადასტურებულად ჩათვალა დაზარალებულ ლ.ბოჭორიშვილის, მოწმეების ლ.ცატავას, ლ.ზერეკიძის, ი.ზერეკიძის და გ. აბაშიძის ჩვენებებით.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის #414 დასკვნით დასტურდება, რომ ლ.ბოჭორიშვილს დაუდგინდა დიაგნოზი მარჯვენა ბეჭის მიდამოს ნაკვეთი ჭრილობა, ზომით 2,5–3 სმ. დაზიანება მიყენებულია რაიმე მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა (ტ.1 ს.ფ. 77)

2006 წლის 8 იანვარს გ. ზერეკიძე დაკითხულ იქნა ბრალდებულის სახით. მან წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ და აჩვენა, რომ 2006 წლის 6 იანვარს შეკამათება მოუვიდა დედასთან, ჩაალაგა ტანსაცმელი ცელოფნის პარკში და გამოვიდა გარეთ. სასურსათო მაღაზიასთან შელაპარაკება მოუვიდა უცნობ პიროვნებასთან მის უბანში მანქანის გაჩერების გამო. მას არანაირი ფული არ მოუთხოვია, ისე ამოიღო ,,ვიქტორინოქსის“ ფირმის დანა და გახსნილ მდგომარეობაში მოუქნია მუცლის არეში. მას უნდოდა იგი ეცემა, არანაირი მოკვლა არ სდომებია და არც არანაირი პირადი ინტერესი მის მიმართ არ ჰქონია. იგი თავს დამნაშავედ გრძნობს, რომ ლ. ბოჭორიშვილს მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, როცა გაეკიდა მას, ხოლო დაზარალებულზე ჭრილობის მიაყენების შემდეგ იგი აღარ გაკიდებია ...აღნიშნული შემთხვევის შემდეგ მან დანა გადააგდო. მას ჰქონდა მხოლოდ ერთი დანა (ტ. 1 ს.ფ. 35)

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლ. მუსერიძის 2006 წლის 9 იანვრის ბრძანებით, არასრულწლოვან ბრალდებულ გიორგი ზერეკიძეს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა დაპატიმრება ორი თვით.

აღნიშნული ბრძანება ადვოკატის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ 2006 წლის 13 იანვრის დადგენილებით ადვოკატს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2006 წლის 23 იანვარს აღნიშნული საქმე შემდგომი გამოძიების ჩატარების მიზნით გადაეცა ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოს. საქმე საწარმოებლად დაეწერა გამომძიებელ დ. მამულაშვილს.

ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა დ.მამულაშვილმა 2006 წლის 1 მარტს მიიღო დადგენილება გიორგი ზერეკიძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ამავე დადგენილებაში გ. ზერეკიძის ინკრიმინირებული ქმედების ფაბულა აბსოლუტურად იდენტურია მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის 2006 წლის 7 იანვრის დადგენილების ფაბულის, მაგრამ გ.ზერეკიძის ადრინდელ ბრალდებას გათვალისწინებულ სსკ–ის 179–ე მუხლის პირველი ნაწილით და 19–108 მუხლით დანაშაულში, მიეცა სხვა კვალიფიკაცია, კერძოდ, გიორგი ზერეკიძე მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 19 109–ე მუხლის ,,ი" ქვეპუნქტით, 179–ე მუხლის 1 ნაწილით და 239–ე მუხლის მესამე ნაწილით, ე.ი გიორგი ზერეკიძემ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ანგარებით; ასევე ჩაიდინა ყაჩაღობა ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის მუქარით; მანვე ჩაიდინა ხულიგნობა ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, ან ძალადობის მუქარით, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით.

1 მარტს ბრალდებულის სახით დაკითხვისას გიორგი ზერეკიძემ თავი არ სცნო დამნაშავედ წარდეგნილ ბრალდებაში და აჩვენა, რომ ლ.ბოჭორიშვილმა დამატებითი დაკითხვისას გამოძიებას მისცა სწორი ჩვენება, ზერეკიძეს მისთვის ფული არ მოუთხოვია და არც მისი მოკვლა დაუპირებია. მან ბოჭორიშვილი იმ დღეს ნახა პირველად და არანაირი პირადი ინტერესი არ გააჩნდა მის მიმართ, ჩხუბი განაპირობა მათ შორის წარმოქმნილმა სიტყვიერმა შეურაცხყოფამ. (ტ.1 ს.ფ. 117–120).

2006 წლის 1 მარტს დამთავრებულ იქნა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #06060033 საქმეზე.

2006 წლის 2 მარტს ქ. თბილისის პროკურატურის სს ორგანოებში გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა ბ.გოგლიძემ შეადგინა საბრალდებო დასკვნა 1991 წლის 1 აგვისტოს დაბადებულ გიორგი ივერის ძე ზერიკიძის მიმართ.

საბრალდებო დასკვნით გ. ზერეკიძის ინკრიმინირებული ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 6 იანვარს, დაახლოებით 14 საათზე ქ. თბილისში, ლარსის შესახვევი #5–ში მდებარე სასურსათო მაღაზიასთან იმყოფებოდა გიორგი ზერეკიძე, რა დროსაც მან მაღაზიაში შენიშნა მისთვის უცნობი ლევან ბოჭორიშვილი და განიზრახა ამ უკანასკნელისაგან ყაჩაღური თავდასხმის გზით თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით გ. ზერეკიძემ მაღაზიიდან გამოიხმო ლ. ბოჭორიშვილი, რომელსაც ხელში მომარჯვებული დანით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით მოსთხოვა ფულადი თანხა. გ. ზერეკიძეს აღნიშნულ მოთხოვნაზე ლ. ბოჭორიშვილმა განუცხადა უარი ,,შენ ლაწირაკო რა ფულს მთხოვო“ და ამ ნიადაგზე მათ შორის მოხდა სიტყვიერი ურთიერთშელაპარაკება, რის გამოც განაწყენებულმა გ. ზერეკიძემ შურისძიების მოტივით განიზრახა ლ. ბოჭორიშვილის მკვლელობა, რა მიზნითაც იგი შეეცადა მისთვის დანის დარტყმას სხეულის სიცოცხლისთვის საშიშ არეში მუცელში. ლ. ბოჭორიშვილმა შეძლო აღნიშნული დარტყმის აცილება და გ.ზერეკიძეს ძალადობისგან თავის დაღწევის მიზნით გაიქცა, მაგრამ ეს უკანასკნელი დაედევნა მას, შემთხვევის ადგილიდან რამოდენიმე მეტრში დაეწია და მოკვლის მიზნით დანა დაარტყა მარჯვენა ბეჭის არეში, რის შემდეგაც ლ. ბოჭორიშვილმა მიიღო სხეულის დაზიანება და კვლავ შეეცადა გაქცევას. დანაშაულებრივი განზრახვის ლ.ბოჭორიშვილის მკვლელობის ბოლომდე მიყვანის მიზნით გ. ზერეკიძე მისდევდა ამ უკანასკნელს ხელში მომარჯვებული დანით და ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, მაგრამ თავისი განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში, რადგანაც ლ. ბოჭორიშვილმა გაქცევით შეძლო მისგან თავის დაღწევა, ხოლო გ. ზერეკიძე ქუჩაში მოძრავი ხალხის ყვირილზე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.
აღნიშნული ქმედებით გ. ზერეკიძემ ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19; 109–ე მუხლის ,,ი“ ქვეპუნქტით, 179–ე მუხლის 1 ნაწილით და 239–ე მუხლის მესამე ნაწილით, ე.ი გიორგი ზერეკიძემ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ანგარებით; ასევე ჩაიდინა ყაჩაღობა ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის მუქარით; მანვე ჩაიდინა ხულიგნობა ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, ან ძალადობის მუქარით, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით.

საბრალდებო დასკვნა ემყარება შემდეგ მტკიცებულებებს:

მოწმეების ლ. ცატავას, ლ. ზერეკიძის, თ. ჩხაიძის ჩვენებებს.
ბრალდებულ გ. ზერეკიძის დაკავებისა და დაკითხვის ოქმებს.
დაზარალებულ ლ. ბოჭორიშვილის დაკითხვის ოქმს.
სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას.

შენიშვნა:

საბრალდებო დასკვნაში სხვა ერთ–ერთ მტკიცებულებად მოხსენიებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, თუმცა ის საბრალდებო დასკვნაზე თანდართულ მტკიცებულებათა ნუსხაში არ გვხვდება.

2006 წლის 9 მარტს გ. ზერეკიძის სისხლის სამართლის საქმე განსახილველად დაეწერა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლეს გ. გოგინაშვილს.

2006 წლის 23 მაისის დადგენილებით გიორგი ზერეკიძე მიცემულ იქნა სამართალში სსკ–ის 19.109 მუხლის ,,ი" ქვეპუნქტით, 179–ე მუხლის 1 ნაწილით და 239–ე მუხლის მესამე ნაწილით.

2006 წლის 28 ივნისის განაჩენით გიორგი ზერეკიძეს კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო მოეხსნა სსკ–ის 179–ე მუხლის 1 ნაწილით წარდგენილი ბრალდება და შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

გიორგი ზერეკიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ–ის 19.109 მუხლის ,,ი" ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ–ის 239–ე მუხლის მესამე ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ–ის 59–ე მუხლის მე–2 ნაწილის და 88–ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად გ. ზერეკიძეს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2006 წლის 25 ივლისს გ.ზერეკიძის ადვოკატმა დავით მოდებაძემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი 2006 წლის 28 ივნისის განაჩენზე.

2006 წლის 30 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა მ.ივანიძემ, მ.ჩოხელმა და ლ.ორკოდაშვილმა დაიწყეს აღნიშნული საქმის განხილვა.

2007 წლის 19 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზ/ა მოსამართლეთა შემადგენლობით, გამოიტანა განაჩენი არასრულწლოვან გ.ზერეკიძის მიმართ.

სააპელაციო პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია გიორგი ზერეკიძის გამართლება სსკ–ის 239–ე მუხლის მესამე ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; ხოლო გიორგი ზერეკიძის ბრალდება დანაშაულში გათვალისწინებული სსკ–ის 19, 109–ე მუხლის ,,ი" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა 19, 108 მუხლზე.

,,სააპელაციო პალატის შეფასებით, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის ანგარებითი მკვლელობის მცდელობა, რამეთუ ანგარებითია მკვლელობა, თუკი პირი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით ქონების თუ მატერიალური ხასიათის სხვა უფლების მოსაპოვებლად, რასაც აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია...

დისტრიბუტორ ლევან ბოჭორიშვილისთვის გიორგი ზერეკიძის მხრიდან ფულის მოთხოვნა მათ შორის ურთიერთშელაპარაკების დაწყების მიზეზს წარმოადგენდა, რაც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა და ჩხუბის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის მოტივად გადაიქცა...სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ზერეკიძე უნდა გამართლდეს სსკ–ის 239–ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, რამდენადაც იზიარებს ადვოკატ კ. ხვისტანის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქმის მასალებზე დაყრდნობით გ. ზერეკიძეს ხულიგნობის ჩადენის განზრახვა არ ჰქონია და მის ასეთ ქმედებას საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა არ მოჰყოლია".

სააპელაციო პალატის დაადგინილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მსჯავრდებული გ.ზერეკიძის ადვოკატის სააპელაციო საჩივარი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 ივნისის განაჩენი გიორგი ზერეკიძის მიმართ შეიცვალა კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში. კერძოდ: გიორგი ზერეკიძე გამართლდა სსკ–ის 239–ე მუხლის მე–3 ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებულ ბრალდებაში. გიორგი ზერეკიძის ქმედება სსკ–ის 19, 109 მუხლის ,,ი" ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდა სსკ–ის 19–108 მუხლზე და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლის ვადით.

2007 წლის 18 აპრილს ადვოკატ კ. ხვისტანის მიერ შეტანილ იქნა საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 მარტს გამოტანილი განაჩენზე არასრულწლოვან გიორგი ზერეკიძის მიმართ. საჩივრით ადვოკატი მოითხოვდა ზემოაღნიშნული განაჩენის გაუქმებას, გიორგი ზერეკიძის სსკ–ის 19, 108–ე მუხლით მსჯავრდებაში გამართლებას და პატიმრობიდან გათავისუფლებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 1 ნოემბრის განჩინებით ადვოკატ კ.ხვისტანის საჩივარი დაუშვებლად სცნეს.

სავარაუდო დარღვევები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რა აპარატში წარმოდგენილი არასრულწლოვან გიორგი ზერეკიძის სისხლის სამართლის საქმის მასალები, მიაჩნია, რომ საქმის წარმოება წარიმართა საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმების მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

მტკიცებულებები, რომელსაც სასამართლო კვალიფიკაციის განსაზღვრისას დაეყრდნო, არ იყო უტყუარი

გამომძიებით უტყუარად იქნა დადგენილი, რომ გ.ზერეკიძემ ლ.ბოჭორიშვილს მიაყენა ჭრილობა ცივი იარაღით, ექსპერტიზის #414 დასკვნით,, რომელიც გაცემულია 2002 წლის 29 ოქტომბერს სასამართლო სამედიცინო ექსპერტის ა.ზანკალიანის მიერ. გ.ზერეკიძის 2006 წლის 8 იანვრის ჩვენებით *ასევე,* 2006 წლის 6 იანვრის *დაზარალებულ ლ.ბოჭორიშვილის ჩვენებით.*

19–108 მუხლით კვალიფიკაციის განსაზღვრისას აუცილებელი იყო პასუხი გასცემოდა კითხვას, ჰქონდა თუ არა გ.ზერეკიძეს ლ.ბოჭორიშვილის მოკვლის განზრახვა და რაში გამოვლინდა აღნიშნული?

ლ. ბოჭორიშვილის მოკვლის განზრახვა სასამართლოზე წარდგენილი მტკიცებულებებიდან მხოლოდ ერთით – დაზარალებულის ჩვენებით – დასტურდებოდა, რომლის მიხედვით: „გ.ზერეკიძემ დანით დაჭრა ... და დაემუქრა მოკვლით," „ახალგაზრდა კი გამოედევნა გინებით, ეძახდა, რომ მოკლავდა".

შორს ვართ მოსაზრებისაგან, რომ მხოლოდ ერთი პირის ჩვენება არ ჩაითვალოს უტყუარ მტკიცებულებად, თუმცა ეს იმ შემთხვევაში, თუ სხვა მტკიცებულებები საწინააღმდეგოს არ ადასტურებს.

უდავოა, რომ მკვლელობის მიზნის დადგენისას სასამართლო მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს (ან მტკიცებულებას) უნდა დაყრდნობოდა.

უტყუარი მტკიცებულების ცნებას მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს და იგი არსებითად განსხვავდება დაუშვებელი მტკიცებულებებისგან. შესაძლებელია მტკიცებულება დასაშვები იყოს, მაგრამ არა უტყუარი.

მოსამართლე თავის შინაგანი რწმენით აფასებს, თუ რა ჩაითვლება უტყუარ მტკიცებულებად, მაგრამ შინაგანი რწმენა არ გულისხმობს მოსამართლის სრულ თავისუფლებას. იგი ვალდებულია, განაჩენს საფუძვლად დაუდოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა-შეფასება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად:
„1. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებულნი არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.
2. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.
3. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს."

კოდექსის მე-19 მუხლით დადგენილია, რომ: „1. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით.
2. მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს: მათი დამოკიდებულება საქმისადმი (შესახებობა), დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონი მათი შეკრებისას (დასაშვებობა), მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის

ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით.“

ამავე კოდექსის 132-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „1. თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი დამოკიდებულების, დასაშვებობის, უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება მათი ერთობლიობით – დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით.
2. გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე მტკიცებულებას აფასებენ თავისუფლად, შინაგანი რწმენით.
3. ეჭვი დამნაშავედ პირის ცნობისათვის მტკიცებულების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეკრებით.
4. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.
5. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.“

მოსამართლე ვალდებულია, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით სრულყოფილად გამოიკვლიოს და შეაფასოს უკლებლივ ყველა მტკიცებულება. განსაკუთრებით კი ის მტკიცებულება, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა, გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“, ხოლო ამავე კოდექსის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.“

ამავე კოდექსის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ "გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე.“

საქმისათვის მნიშვნელოვანია შეფასდეს, არის თუ არა ლ.ბოჭორიშვილის ჩვენება (ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც მკვლელობის მიზანს ადასტურებს) უტყუარი მტკიცებულება და არსებობს თუ არა სხვა მტკიცებულებები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებს?

გ.ზერეკიძის ჩვენება (რომელსაც ისევე, როგორც ლ.ბოჭორიშვილის ჩვენებას, წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩნდა), საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ზერეკიძის მიერ მიცემული ჩვენებით: „მას უნდოდა იგი ეცემა, არანაირი მოკვლა არ სდომებია და არც არანაირი პირადი ინტერესი მის მიმართ არ ჰქონია. იგი თავს დამნაშავედ

გრძნობს, რომ ლ. ბოჭორიშვილს მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, როცა გაეკიდა მას, ხოლო დაზარალებულზე ჭრილობის მიაყენების შემდეგ იგი აღარ გაკიდებია.“

ლ. ბოჭორიშვილის ჩვენების საწინააღმდეგოა ასევე გ.აბაშიძის ჩვენება, რომლის თანახმად ირკვევა, რომ „გ.ზერეკიძეს ლ. ბოჭორიშვილისთვის ფული არ მოუთხოვია და არც სიცოცხლის მისამართით არ დამუქრებია.“

შესაბამისად ცხადია, რომ ბოჭორიშვილის ჩვენების უტყუარობა იმ ნაწილში, რომ მას ზერეკიძე მოკვლით ემუქრებოდა, აღნიშნულ საქმეზე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უტყუარად, რომ არაფერი ვთქვათ თავად სიტყვების „მოგკლავ და ა.შ.“ გამოყენების მნიშვნელობაზე ქართულ სინამდვილეში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132–ე მუხლის მე–3 ნაწილის თანახმად: „ეჭვი დამნაშავედ პირის ცნობისათვის მტკიცებულების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეკრებით.“

სასამართლოს თავის განაჩენში სხვა დამატებითი მტკიცებულებებით არ გაუმყარებია დაზარალებულის ჩვენება, ხოლო ეჭვი იმისა, რომ მკვლელობის განზრახვა ამოძრავებდა გ.ზერეკიძეს დამატებითი მტკიცებულებების შეკრებით ნამდვილად არ დადასტურებულა.

სამწუხაროდ სასამართლოს აღნიშნული ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ არ გადაუწყვეტია. ამ ნაწილში სასამართლოს მიერ განაჩენში ჩამოყალიბებული პოზიცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემომოცემულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში ნაკლებად მოდის.

ბოჭორიშვილის მიმართ საქმის წარმოება

2006 წლის 27 იანვარს გამომძიებელ დ.მამულაშვილს განცხადებით მიმართა დაზარალებულმა ლ.ბოჭორიშვილმა. განცხადებაში აღნიშნავდა, რომ იგი დაზარალებულის სახით დაიკითხა დანაშაულის შემთხვევის დღეს, 6 იანვარს, დანაშაულის ჩადენიდან 4 საათში, რა დროსაც იყო ანერვიულებული, ჰქონდა მაღალი ტემპერატურა, იმყოფებოდა დამამშვიდებლების ზემოქმედების ქვეშ, ტკივილისგან ძალიან შეწუხებული და ზუსტად ვერ იხსენებდა დეტალებს. აღნიშნული განცხადებით სურდა გამოძიებისთვის მიეწოდებინა ზუსტი და სწორი ინფორმაცია მომხდარზე. განცხადებაში ლ.ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ იგი იმყოფებოდა ლარსის ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიაში, როცა შემოიხედა მისთვის უცნობმა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელმაც იკითხა, თუ ვისი იყო მაღაზიასთან გაჩერებული ავტომანქანა, რაზეც ბოჭორიშვილმა უპასუხა, რომ იყო მისი, შემდეგ უცნობმა უთხრა გასულიყო გარეთ. მაღაზიიდან გასვლისას ამ ბიჭმა უხეშად მიმართა ,,ბიჭო მოდი აქო'', რის გამოც ბოჭორიშვილმა მისცა შენიშვნა, ამ დროს ხელში

დაუნახა გახსნილი დანა, ისინი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით და მან ის დანა, რომელიც მარჯვენა ხელში ეჭირა მუცლის მიმართულებით მოუქნია ვერტიკალურად, მაგრამ მან მოასწრო გვერდით გაწევა, ამ დროს მოესმა ვიღაცის ყვირილის ხმა გაიქეციო, მან დააპირა გაქცევა და როდესაც მისკენ ზურგით შეტრიალდა იგი დაეწია, გაჩერებისთანავე შებრუნდა მისკენ და მარცხენა ხელი ჩაავლო ქურთუკის სახელოში და დაქაჩა ქვემოთ, რათა წაექცია, მაგრამ ვერ მოახერხა მისი წაქცევა, როდესაც ქვემოთ დაქაჩა ამ დროს მან მოუქნია მარჯვენა მხარში დანიანი ხელი და მარჯვენა ბეჭის ზედა მოდამოში იგრძნო ჩხვლეტა და ტკივილი, მიხვდა, რომ იყო დაჭრილი, მთელი ამ დროის განმავლობაში უცნობი უმისამართოდ ყვიროდა და იგინებოდა, ეტყობოდა, რომ იყო ანერვიულებული, როცა ქუჩაში ატყდა ხმაური გ.ზერეკიძიძე მაშინვე წავიდა. ის ფაქტი, რომ ზერეკიძემ მას მოსთხოვა ფული და თითქოს დაემუქრა მოკვლით, არ შეეფერება სინამდვილეს.

2006 წლის 30 იანვარს ლ. ბოჭორიშვილი დამატებით იქნა დაკითხული დაზარალებულის სახით და მისცა ანალოგიური ჩვენება.

2006 წლის 25 თებერვლის დადგენილებით ლევან ბოჭორიშვილი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იქნა მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის 371[1] მუხლით, არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისთვის, რაც გამოიხატა მასში, რომ 2006 წლის 30 იანვარს 2006 წლის 6 იანვარს მიცემული ჩვენების საწინააღმდეგო ჩვენება მისცა გამოძიებას.(ტ.1 ს.ფ. 81)

ბრალდებულის სახით დაკითხვისას ლ.ბოჭორიშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ და გამოძიებას სთხოვა, ეხელმძღვანელა 2006 წლის 27 იანვარს გამოძიებისთვის მიმართული განცხადებით და 30 იანვრის დაზარალებულად დაკითხვის ოქმით.

26 თებერვალს ლ.ბოჭორიშვილი დამატებით იქნა დაკითხული ბრალდებულის სახით, სადაც აჩვენა, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და გამოძიებას მისცა 6 იანვარს მიცემული ჩვენების ანალოგიური, ასევე აღნიშნა, რომ მას შეეცოდა გ. ზერეკიძე, რის გამოც 30 იავარს მიცემულ ჩვენებაში უარყო ზერეკიძის მიერ ფულადი თანხის მოთხოვნისა და დანით გამოკიდების ფაქტი(ტ.1 ს.ფ. 91)

2006 წლის 27 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მ. კაპანაძის ბრძანებით ლევან ბოჭორიშვილს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა გირაო 2000 ლარი (ტ.1 ს.ფ. 108).

ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორის ბ. გოგლიძის 2006 წლის 28 თებერვლის დადგენილებით სისხლის სამართლის #06060033 საქმიდან, რომელზეც მიმდინარეობდა გამოძიება გიორგი ზერეკიძის მიმართ, ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე ლევან ბოჭორიშვილის მიმართ. გამოყოფილ საქმეს მიეცა სარეგისტრაციო ნომერი #10060091 (ტ.1 ს.ფ.112).

ძალიან ძნელია შეფასდეს ლ.ბოჭორიშვილის მიერ ჩვენების ხელმეორედ შეცვლა ნამდვილად მოქალაქეობრივი ვალის გამო მოხდა, რომ მიეცა გამოძიებისათვის სწორი ჩვენება და ხელი არ შეეშალა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის თუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების (ან შემსუბუქების) მიზნით, თუმცა ცხადია კონკრეტულ შემთხვევაში მის მიერ ჩვენების კვლავ შეცვლა, საზოგადოებაში ეჭვს იწვევს.

დაცული იყო თუ არა სახელმწიფოს მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფცია და არასრულწლოვანის უფლება კონფიდენციალურობაზე?

სახელმწიფოს მხრიდან გ. ზერეკიძის პიროვნებაზე გაკეთებული განცხადებები შესაძლებელია მიმართული ყოფილიყო არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისადმი, მაგრამ ეს მოხდა გ.ზერეკიძის უფლებების დარღვევის ხარჯზე, მისი პიროვნების საქვეყნოდ დისკრედიტაციით. ყოვლად გაუმართლებელი ქმედება იყო ქ. თბილისის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის სატელევიზიო გამოსვლა, რა დროსაც მან საზოგადოებას გ. ზერეკიძე წარმოუჩინა განსაკუთრებით უარყოფით პიროვნებად, რის დასადასტურებლადაც მოიშველია გ. ზერეკიძის კრიმინალური საქმიანობის ამსახველი სხვადასხვა ფაქტები, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლის მოთხოვნა უდანაშაულობის პრეზუმციაზე ,,ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“ საქმეში Barbera, Messegue and Jabardo v. Spain ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ: უდანაშაულობის პრეზუმფცია inter alia მოითხოვს, საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას სასამართლოს წევრები საქმის განხილვას არ შეუდგნენ წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენით, რომ განსასჯელმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას ბრალად აქვს წაყენებული. ამის მტკიცების ტვირთი ეკისრება გამოძიებას და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვი განმარტებული უნდა იქნეს განსასჯელის სასარგებლოდ.

საქმის წარმოებისას პროკურატურის თანამშრომლების მიერ იგნორირებულ იქნა პროკურატურის შესახებ „ორგანული კანონის“ მესამე მუხლით განსაზღვრული პროკურატურის საქმიანობის პრინციპები: კანონიერება, ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.

გ.ზერეკიძის საქმისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებით ამ უკანასკნელმა არასრულწლოვანის რეპუტაციას ზიანი მიაყენა, რაც ეწინააღმდეგება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კანონმდებლობას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ,,პეკინის წესების“ მიხედვით, ,,ყველა ეტაპზე პატივი უნდა ეცეს არასრულწლოვანის უფლებას კონფიდენციალობაზე, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ზიანის მიყენება უსარგებლო გახმაურებისგან ან რეპუტაციისთვის ზიანის მიყენებისგან. პრინციპულად არ უნდა იქნას გამოქვეყნებული არავითარი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს არასრულწლოვან სამართალდარღვევის პიროვნებაზე.“ საერთაშორისო ნორმებით

აღიარებული არასრულწლოვანის უფლება კონფიდენციალურობაზე უხეშად იქნა დარღვეული საქართველოში მოქმედი ყველა სამთავრობო სტრუქტურიდან, როდესაც გ. ზერეკიძის ქმედება საქვეყნო განსჯის საგანი გახდა.

ამდენად, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ აშკარად დაირღვა გ. ზერეკიძის კონსტიტუციური უფლება უდანაშაულობის პრეზუმფციაზე და პეკინური წესების მოთხოვნა არასრულწლოვანის უფლებაზე კონფიდენციალურობის შესახებ, რისი დაცვაც სამართალდამცავებს ევალებოდათ საქართველოს კონსტიტუციის 39–ე მუხლის თანახმად, რომლის შესაბამისად ,,საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“

შეფასება

ზემოთ განხილული საკითხების ანალიზი ცხადყოფს, რომ გ.ზერეკიძის საქმეზე როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრისას დარღვეული იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირეული პრინციპები, მის მიერ მიღებული დასკვნა (გადაწყვეტილება) მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე მიეღო.

შესაბამისად გ.ზერეკიძის მიმართ გამოტანილი განაჩენი კანონიერების კუთხით არ შეესაბამება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, რაც ამავდროულად წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლითა და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე–6 მუხლის სავარაუდო დარღვევას.

გიორგი ზერეკიძის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი ქმედების საჯარო განხილვა შეიძლება მიგვეჩნია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ზომად, რომ არა სახელმწიფო მოხელეებისა და თანამდებობის პირების მიერ გ.ზერეკიძის პიროვნებაზე გაკეთებული განცხადებები, რომლებიც აშკარად არღვევდა გ.ზერეკიძის უფლებებს და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, რომელსაც აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლი და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი. თანამდებობის პირების განცხადებებმა და მედიაში წარმოებულმა ღირსების შემლახველმა კამპანიამ გიორგი ზერეკიძის პიროვნებისადმი, საზოგადოება განაწყო დადებითად, უფრო მეტიც, იგი გახდა მისაბაძი, რაც გამოიხატა მოსწავლეების გ.ზერეკიძისადმი მხარდამჭერი აქციების მოწყობაში სკოლებში და ქუჩაში.

დანართი #5
სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

თბილისში 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების საქმე

2008 წლის 4 მარტს სახალხო დამცველს, სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე, განცხადებით (#326-ოფ) მიმართა 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნინო ჯანდიერმა.

1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის რეაბილიტაციისათვის გასულ წლებში საქართველოს პრეზიდენტმა და ქალაქ თბილისის მერიამ გამოსცა არაერთი სამართლებრივი აქტი, რომლითაც დამტკიცებულ იქნა დაზარალებული მოსახლეობის რეაბილიტაციის და მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების პროგრამები. მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, დაზარალებული ოჯახებისათვის ზიანი დღემდე არ არის სრულად ანაზღაურებული.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე #3ა/87), 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების, სულ 157 მოსარჩელის, მოთხოვნა დაკმაყოფილდა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიას სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელეებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის, მთლიანობაში 4 606 845 აშშ დოლარის, ანაზღაურება ეროვნულ ვალუტაში, თითოეული მოსარჩელისათვის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული ოდენობით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის მიერ მოსარჩელეების სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება 2003 წლიდან შესულია კანონიერ ძალაში და სათანადო დოკუმენტაცია, სააღსრულებო ფურცლებთან ერთად წარდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, 2007 წლის 20 ივლისს, ქალაქ თბილისის მთავრობამ გამოსცა დადგენილება #15.04.401, რომლითაც განისაზღვრა ქალაქ თბილისის მერიაზე (ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე) სოლიდარულად დაკისრებული თანხების დაზარალებულ მოქალაქეებზე ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფის რიგითობა, ყოველ კვარტალში თანხის გადარიცხვის დრო, თანხის ოდენობა და სხვა.

დადგენილების მიღებასთან ერთად დამტკიცდა დანართი, რომელშიც ცხრილის სახით აისახა ქალაქის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დარჩენილი ფინანსური ვალდებულებები 2007 წლის პირველი ივნისის მდგომარეობით. მატერიალური ზარალის ანაზღაურების ამსახველი ცხრილიდან იკვეთება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დარჩენილი დავალიანება ბევრად აღემატებოდა ქალაქის მერიაზე რიცხულ დავალიანებას. ანუ რიგ შემთხვევებში, დაზარალებული მოქალაქეებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან გასაცემი თანხა (თითოეულ მოქალაქეზე რიცხული საერთო დავალიანების ნახევარი) საერთოდ არ არის გაცემული, ან გაცემულია თანხის მხოლოდ მცირედი ნაწილი. განმცხადებელთა განმარტებით, სააღსრულებო დეპარტამენტმა მხოლოდ ცნობილ ადამიანებს მიანიჭა უპირატესობა და დღეისათვის მხოლოდ მათ აქვთ სრულად ანაზღაურებული მიყენებული მატერიალური ზიანი (შესაბამისი დოკუმენტი ინახება საქმის მასალებში).

რა თქმა უნდა, მისასალმებელია, როდესაც სრულად კმაყოფილდება კრედიტორთა კანონიერი მოთხოვნები, მაგრამ ზოგიერთი მათგანისათვის რაიმე ნიშნით უპირატესობის მინიჭება და მხოლოდ მათი უფლებების სრულყოფილად აღდგენა წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე–6 და მე–14 მუხლების დარღვევას.

მიუხედავად იმისა, რომ მოვალე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ გასულ წლებში დაიწყო იძულებითი აღსრულების ღონისძიებები (როგორც ზემოთ აღინიშნა ასეთ შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელი უფლებამოსილია წარადგინოს საინკასო დავალება მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე თანხის უდაო ჩამოჭრის მიზნით), კომისიის თავმჯდომარე ნინო ჯანდიერი მიუთითებს, რომ კრედიტორთა სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განზრახ არიდებს თავს სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საარსრულებო დეპარტამენტს, გამოეყენებინათ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–17 მუხლის მე–4 პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და მიეღოთ ყველა კანონიერი ზომა სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის. ასევე, დავალიანების დასაფარად გამოეყენებინათ "2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებები.

რეკომენდაციის პასუხად სააღსრულებო დეპარტამენტმა გვაცნობა, რომ სააღსრულებო ფურცელი გადაეცა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–

17 მუხლის მე–4 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ეტაპობრივად მიმდინარეობს საინკასო დავალებების წარდგენა, მოვალისაგან თანხის უდავო წესით ჩამოჭრის მიზნით.

მურმან გიორგაძის საქმე

2008 წლის 28 თებერვალს სახალხო დამცველს #0690-08 განცხადებით მიმართა ავღანეთის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების მონაწილემ, ჩერნობილის ვეტერანმა და მეორე ჯგუფის ინვალიდმა მურმან გიორგაძემ სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე. მ.გიორგაძე არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შვიდსულიანი ოჯახის მარჩენალი.

2005 წლის 28 იანვარს მურმან გიორგაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – თბილისის ვაკე-საბურთლაოს რაიონის გამგეობის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ქ.თბილისის მერიის – მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით, მურმან და მარიამ გიორგაძეების სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელეების სასარგებლოდ ბინის შესაძენად დაეკისრა 50 000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტის ლარებში გადახდა, ასევე მატერიალური ზარალის სახით - 5405 ლარის და ადვოკატის მომსახურების ხარჯების 3716 ლარის გადახდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც საქმე განიხილეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 92^1 მუხლის შესაბამისად, მოვალეს - თავდაცვის სამინისტროს, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს გაეგზავნათ წინანდადება ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სამი თვის ვადაში ნებაყოფლობით სისრულეში მოყვანის თაობაზე. აღნიშნული ვადის გასვლის მიუხედავად, განმცხადებლის განმარტებით, საქმე არ გადასულა იძულებითი აღსრულების სტადიაზე და არ გატარებულა მის აღსასრულებლად კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, *როდის?* საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოითხოვა სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება.

2008 წლის 27 ივნისს სააღსრულებო დეპარტამენტიდან გვეცნობა, რომ მურმან გიორგაძის სასარგებლოდ მოვალე ორგანიზაციას საინკასო დავალების საფუძველზე ჩამოეწერა სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დათხოვნილ თანამშრომელთა საქმე

მიმდინარე წლის 11 იანვარს კოლექტიური განცხადებით (0023–08) მოგვმართეს მოქალაქეებმა მაგული ჩაჩუამ, თამარ მშვენიერაძემ, ქეთევან თარალაშვილმა, ქეთევან ალადაშვილმა, ვალერიან თორდიამ, გია ბიბილეიშვილმა, ომარ მაისურაძემ, ნანა ცერცვაძემ, ხათუნა დათუაძემ, მზია მანველიშვილმა, ნუგზარ კაიშაურმა, იუზა ქუნთელიამ, შორენა იაკობაშვილმა, ნელი პიტიურიშვილმა, ილია სიხარულიძემ, ლევან გვეტაძემ, ქეთევან კაკაბაძემ, ნინა აბუსერიძემ, ილია ბიბილეიშვილმა, ნანა გელაშვილმა, ნანა დიაკონიძემ, დალი დოკაძემ, დავით გოგიბედაშვილმა, დალი ბეშკენაძემ, მერი მანიამ, მანანა ჩაგელიშვილმა, თამაზ დევიძემ, დოდო მამრიკაშვილმა, ნელი ქართველიშვილმა და თინათინ თიბელაშვილმა (წარმომადგენლები: თამაზ დევიძე და ილია ბიბილეიშვილი) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით.

2005 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართული ატესტაციის შედეგების საფუძველზე, აღნიშნული მოქალაქეები დაითხოვეს სამსახურიდან. სამსახურიდან დათხოვნა განმცხადებლების მიერ მიჩნეულ იქნა უკანონოდ და თავიანთი უფლებების დასაცავად მათ მიმართეს სასამართლოს.

2006 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიღო სასამართლო გადაწყვეტილება (საქმე #3/1641), რომლითაც, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო–საატესტაციო კომისიის 4–6 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი #3 მოსარჩელეთა მიმართ და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო–საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 4 ოქტომბრის #2–227 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად შეეფასებინა მოსარჩელეები, გასაუბრების შედეგების და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი (ამის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე–3 პუნქტში კიდევ ერთხელ არის აღნიშნული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ მითითებულია „ატესტაციის შედეგები“).

სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე–3 პუნქტის თანახმად, სასამართლომ ბათილად ცნო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309-კ ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 ივლისის სასამართლო გადაწყვეტილება ორჯერ იქნა გასაჩივრებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. თავდაპირველად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, შემდგომ, საქართველოს უზენაესი

სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება ორივე ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ უცვლელად დატოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სასამართლო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და 2007 წლის 17 დეკემბერს მასზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი #3/1641–06, რომელიც წარდგენილი იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2007 წლის 26 დეკემბერს სასამართლო გადაწყვეტილებასა და სააღსრულებო ფურცელში განსაზღვრული პირებისათვის დაინიშნა ატესტაცია და მათ მიეწოდათ ინფორმაცია ატესტაციის პროცესის გამართვის პირობების შესახებ. სამინისტრომ განსაზღვრა, რომ ატესტაცია ჩატარდებოდა ორ ეტაპად – წერილობითი ტესტირების და გასაუბრების ფორმით.

კრედიტორებმა არაკანონიერად მიიჩნიეს სამინისტროს გადაწყვეტილება სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად ახალი ატესტაციის დანიშვნის შესახებ, რაზეც წერილობით აცნობეს სამინისტროს ხელმძღვანელობას (იხ.დანართი) და 2007 წლის 26 დეკემბრის ატესტაციაზე არ გამოცხადდნენ. შესაბამისად, 2007 წლის 26 დეკემბრის ატესტაცია, მითითებული მიზეზების გამო არ შედგა.

მორიგი ატესტაცია სამინისტროს მიერ დანიშნული იქნა 2008 წლის 21 იანვარს, რაზეც ასევე ეცნობათ წერილობით კრედიტორებს. ისინი ამჯერადაც არ დაეთანხმნენ სამინისტროს გადაწყვეტილებას. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნეს, რომ სამინისტროს ამგვარი ქმედება არ შეესაბამება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თავისი შეხედულებისამებრ არასწორად განმარტა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და არ იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოყვანილი განმარტება. სასამართლო გადაწყვეტილების როგორც სარეზოლუციო, ასევე სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაავალა ჩატარებული ატესტაციის შედეგების მიხედვით მოეხდინა მოსარჩელეების ხელახლა შეფასება და არა მორიგი ატესტაციის ჩატარება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32–ე მუხლის მე–4 ნაწილის თანახმად: „თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.“

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ეს ნორმა ცალსახად განსაზღვრავს, რომ სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს გამოიკვლიოს და შეაფასოს სწორედ ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას. საქალაქო სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილ ბრძანებებს კი საფუძვლად დაედო 2005 წელს ჩატარებული ატესტაციის შედეგები და აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაუშვებელად მიიჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სხვაგვარად განმარტება.

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე, არაკანონიერად მიიჩნია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 ივლისის სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირების მორიგი ატესტაციის თაობაზე, რომელიც დაინიშნა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში და აღსრულების უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანონით ეკისრებოდა ვალდებულება, დაუყოვნებლივ მიეღო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127–ე მუხლის მე–5 პუნქტის შესაბამისი გადაწყვეტილება. ანუ „სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.“

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 81–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პირადული თვისების დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება“ და
82–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ატესტაციას ექვემდებარება:

ა) მოხელე 3 წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი);
ბ) მოხელე, რომელიც წამოყენებულია სამსახურებრივი დაწინაურებისათვის;
გ) რეზერვში ჩარიცხული პირი;
დ) კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავონ.

ამდენად, მოხელის ატესტაციის ცნება და მასზე დაქვემდებარებული პირების განმარტება ცალსახად განსაზღვრავს, რომ ატესტაცია ეხება საჯარო მოხელეებს, რეზერვში ჩარიცხულ პირებს ან კანდიდატებს მოხელის თანამდებობაზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის თანახმად, მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების

საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად. მოხელის თანამდებობაზე დანიშვნა ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით. ბრძანება ან განკარგულება უნდა პასუხობდეს ამ აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და შეიცავდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის მე–2 პუნქტში ჩამოთვლილ მონაცემებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, ასევე, ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება (ან გავლენას ახდენს) სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ამასთანავე, მკაცრად უნდა იქნეს დაცული ამ კანონით განსაზღვრული პროცედურები. მოცემულ შემთხვევაში მორიგი ატესტაციის პროცესი დაინიშნა ყველა ზემოხსენებული ნორმის და სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნათა დარღვევით და იგი შესაბამისად კანონსაწინააღმდეგოა.

მაგული ჩაჩუას, თამარ მშვენიერაძის, ქეთევან თარალაშვილის და სხვათა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309 ბრძანება სასამართლომ ცნო ბათილად, შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი შედეგი-ატესტაციის შედეგების საფუძველზე მათი სამსახურიდან დათხოვნა. აღნიშნული მხოლოდ თეორიულად (მაგრამ არა ფაქტობრივად) ნიშნავს, რომ ისინი დღემდე მუშაობენ ძველ თანამდებობებზე, რადგან, თანამდებობების შესაბამისი საშტატო ერთეულები სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციების შედეგად უკვე გაუქმებულია და ისინი რეალურად არ არსებობს.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ განმცახდებელთა მოთხოვნა საფუძვლიანია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბათილად უნდა გამოცხადდეს „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მოსარჩელე პირთა ატესტაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება. რადგან აღნიშნული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და მისი გამოცემისას არსებითად დაირღვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საარსრულებო დეპარტამენტს გაეგზავნა რეკომენდაცია, ბათილად ეცნოთ „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მოსარჩელე პირთა ატესტაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 18 დეკემბრის #2–202 ბრძანება და კრედიტორების უფლებების აღდგენისას ემოქმედათ სასამართლო გადაწყვეტილების, სააღსრულებო ფურცლის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ გაითვალისწინა და გამოსცა ახალი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომელიც განმცხადებლებმა ასევე გაასაჩივრეს სასამართლოში. მოგვიანებით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილი მდგომარეობა გახდა საქართველოს მთავრობის სპეციალური სხდომის განსჯის საგანი.

ზურაბ პეტრიაშვილის საქმე

2008 წლის 19 მაისს სახალხო დამცველს #1633-08 განცხადებით მიმართა მოქალაქე ზურაბ პეტრიაშვილმა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ მინდია პეტრიაშვილის წარმომადგენელმა, ზურაბ პეტრიაშვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან შრომითი ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის გამო თანხის ანაზღაურება.

2005 წლის 22 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის #3/1690-05 გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა თანხის - 948 (ცხრაასორმოცდარვა) ლარის - გადახდა მინდია პეტრიაშვილის სასარგებლოდ. ამასთან, თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მინდია პეტრიაშვილისათვის თვეში 350 (სამასორმოცდაათი) ლარის გადახდა 2005 წლის 27 ივნისიდან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის შესახებ 2003 წლის 31 დეკემბერს დადებული #4256 კონტრაქტის შეწყვეტის დღემდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც საქმე განიხილეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა.

2006 წლის 12 დეკემბერს ამოიწერა #3/40 სააღსრულებო ფურცელი, რომელიც, დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილია თბილისის სააღსრულებო ბიუროში.

საქართველოს იუსტიციის სამინიტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიურომ 2007 წლის 5 აპრილს და 2007 წლის 23 ოქტომბერს წერილით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელფასო დავალიანების ოდენობის დადგენის მიზნით.

2007 წლის 16 ნოემბრის #8/2510 წერილით თავდაცვის სამინისტრომ აცნობა თბილისის სააღსრულებო ბიუროს, რომ მინდია პეტრიაშვილის მიმართ თავდაცვის სამინისტროს დავალიანება ნულის ტოლია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2008 წლის 26 თებერვალს მოქალაქე მინდია პეტრიაშვილს ეცნობა, რომ თავდაცვის სამინისტროს წერილის თანახმად, მის მიმართ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანება ნულის ტოლია და თბილისის სააღსრულებო ბიურო მოკლებულია შესაძლებლობას, აღასრულოს სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნა.

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის მიერ უგულებელყოფილ იქნა 2005 წლის 22 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის #3/1690-05 გადაწყვეტილება და 2006 წლის 12 დეკემბერს გაცემული #3/40 სააღსრულებო ფურცელი და უპირატესი იურიდიული ძალა მიენიჭა თავდაცვის სამინისტროდან მოსულ პასუხს.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, "სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე." სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის პირველი პუნქტი და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 (1) მუხლი იცავს ყველა ადამიანისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლებას მისი სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ გულისხმობს აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერ მოლოდინს. ევროპის სასამართლო ცალსახად განმარტავს, რომ აღსრულების პროცესი არის სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილი და უფლება სასამართლოზე, როგორც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოზე, გულისხმობს ასევე აღსრულების პროცესის ხელმისაწვდომობასაც.

გარდა ამისა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა."

სასამართლო აღმასრულებელი მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე მოქმედებს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. აღნიშნულ მუხლში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განახორციელოს სასამართლო აღმასრულებელმა ფულის და ქონების გადახდევინებისას. მე–17 მუხლის მე-4 პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტის მიხედვით, აღმასრულებელი უფლებამოსილია, გადახდევინება განახორციელოს: "მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან; აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან."

სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

როგორც თავადაც მოგეხსენებათ, კანონით გათვალისწინებულ ყველა იძულებით სააღსრულებო მოქმედებაზე ვრცელდება კონკრეტული (კანონით დადგენილი) ვადები და იძულებითი აღსრულების პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მოვალისაგან, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელის მიერ სასამართლო გადაყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკომენდაციით, მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს სააღშრულებო დეპარტამენტს კანონით დადგენილ ვადაში აღასრულონ დასახელებული სასამართლო გადაწყვეტილება.

ამასთან, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინადადებით მივმართეთ იუსტიციის მინისტრს, იმსჯელონ იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილებაზე უპირატესი იურიდიული ძალა მიანიჭეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მოსულ პასუხს და აღნიშნულის საფუძველზე არ აღასრულეს სასამართლო გადაწყვეტილება.

გელა გურასპაშვილის საქმე

2008 წლის 28 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მოქალაქე გელა გურასპაშვილმა სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან გამოირკვა, რომ შპს „სინათლის“ წარმომადგენელმა გელა გურასპაშვილმა მიმართა გორის რაიონული სასამართლოს, მოპასუხე გორის საგადასახადო ინსპექციიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. მოსარჩელემ მოითხოვა საგადასახადო მოთხოვნის გაცემა, რომლის თანახმადაც, შპს „სინათლეს“ 2006 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით ერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების დავალიანება 85 987 (ოთხმოცდახუთიათას ცხრაასოთხმოცდაშვიდი) ლარის ოდენობით და აგრეთვე, შპს „სინათლის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 232540505) 2002 წლის ივნისით დათარიღებული დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაცია.

2007 წლის 20 თებერვლის #3/71 გადაწყვეტილებით, გორის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა შპს „სინათლის“ სარჩელი გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე და გორის საგადასახადო ინსპექციას დაავალა შპს „სინათლისათვის“ სააგდასახადო მოთხოვნის გადაცემა,

რომლის თანახმადაც შპს „სინათლეს“ ერიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების დავალიანება 85 987 ლარის ოდენობით და 2002 წლის ივნისით დათარიღებული დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაცია.

2007 წლის 5 მაისს გაიცა #3/71 სააღსრულებო ფურცელი, რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით, დადგენილი წესისამებრ 2007 წლის 8 მაისს წარედგინა შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს. თუმცა განმცხადებლის განმარტებით, გადაწყვეტილების აღსრულება არ მომხდარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2008 წლის 31 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, რათა დაუყოვნებლივ აღსრულებულიყო დასახელებული სასამართლო გადაწყვეტილება, გატარებული ღონისძიებების შესახებ კი ეცნობებინათ კანონით დადგენილ ვადაში.

მიუხედავად არა ერთი ზეპირსიტყვიერი შეხსენებისა, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტიდან დღემდე არ მიგვიღია პასუხი.

ყველა ქვემოთმოყვანილი რეკომენდაცია დაკმაყოფილდა

სოსო გაბუნიას საქმე

2008 წლის 4 მარტს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მოქალაქე სოსო გაბუნიამ სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით, ბათილად გამოცხადდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2003 წლის 1 ივნისის #84 ბრძანება სოსო გაბუნიას სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა სოსო გაბუნიას გათავისუფლებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს #130 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2003 წლის 1 ივნისის #84 ბრძანების #3 პუნქტი სოსო გაბუნიას სასჯელაღსრულების ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ და სოსო გაბუნია აღდგენილი იქნა სამსახურში.

სამსახურში აღდგენის შემდეგ, მოქალაქე სოსო გაბუნიამ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის კოლეგიას და მოსთხოვა იძულებითი განაცდურის და მორალური ზიანის ანაზღაურება, რაც სასამართლომ ასევე დააკმაყოფილა.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2007 წლის 24 სექტემბერს

#01/09 წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და მოითხოვა ინფორმაცია, რამდენს შეადგენს სოსო გაბუნიას იძულებით განაცდური 2003 წლის 31 მაისიდან 2006 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით.

გარდა ამისა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში მოვალე მხარეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასაჯლაღსრულების დეპარტამენტს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 92^1 მუხლის შესაბამისად, გაეგზავნა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების შესახებ და მოვალე გააფრთხილეს, რომ წინადადების ნაბაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიწყებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება. გადაწყვეტილება მოვალის მიერ ნებაყოფლობით არ შესრულდა.

სოსო გაბუნიას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში 2008 წლის 31 მარტს გაიგზავნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

სააღსრულებო დეპარტამენტიდან გვაცნობეს, რომ სააღსრულებო წარმოების მასალები გადაეგზავნა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს და მასზე დაწესდა სათანადო კონტროლი, სააღსრულებო დეპარტამენტის 2008 წლის 19 ივლისის წერილით #04/20/01–132 კი ცნობილი გახდა, რომ სოსო გაბუნიას სახელფასო დავალიანება სრულიად იქნა ანაზღაურებული.

გიორგი ჯვარიძის საქმე

2008 წლის 28 იანვარს სახალხო დამცველს #0180-08 განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი ჯვარიძემ სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ გ.ჯვარიძე მუშაობდა ასპინძის საგადასახადო ინსპექციაში, ინსპექტორის თანამდებობაზე. 1999 წლის 1 აგვისტოს #37 ბრძანების საფუძველზე იგი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან შტატების შემცირების გამო. მას დარჩა მიუღებელი ხელფასი 681 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მიმართა ასპინძის რაიონულ სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა ასპინძის საგადასახადო ინსპექციიდან მიუღებელი ხელფასის, 681 ლარის ანაზღაურება. ასპინძის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 ნოემბრის #2/72 გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და ასპინძის საგადასახადო ინსპექციას დაევალა გ.ჯვარიძის სასარგებლოდ 681 ლარის გადახდა.

2001 წლის 14 დეკემბერს ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილია სააღსრულებო ბიუროში.

სააღსრულებო დეპარტამენტიდან 2007 წლის 2 აპრილს მოქალაქე გ.ჯვარიძისათვის გაგზავნილი პასუხიდან ირკვევა, რომ „სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, 2007 წლის 28 მარტს გაიგზავნა საინკასო დავალება თანხის უდაო წესით ჩამოჭრის მიზნით".

განმცხადებლის განმარტებით, მას გაახსნევინეს პირადი ანგარიში, მაგრამ აღსრულება დღემდე არ მომხდარა.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე" და სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სასამართლოს აღმასრულებელი მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე მოქმედებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტების მიხედვით, აღმასრულებელი უფლებამოსილია გადახდევინება განახორციელოს: „მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან; აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს და „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოვითხოვეთ სასამართლო გადაწყვეტილების დროული აღსრულება.

2008 წლის 10 აპრილს მივიღეთ პასუხი აღმოსავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმოების სამმართველოს უფროსისგან, სადაც აღნიშნულია, რომ #2/172 სააღსრულებო ფურცელი იმყოფება სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის წარმოებაში.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველასაყოფად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 92^1 მუხლის თანახმად, სასამართლო აღმასრულებლის მიერ მოვალეს - საგადასახადო ინსპექციას და ფინანსთა სამინისტროს გაეგზავნა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ. რაც არ შესრულებულა.

2007 წლის 28 მარტს, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, გაიგზავნა საინკასო დავალება თანხის უდაო წესით ჩამოჭრის მიზნით, თუმცა აღნიშნული საინკასო დავალება უკან დაბრუნდა. სააღსრულებო ფურცელში მითითებული იყო, რომ მოვალეზე დაკისრებული თანხის ჩამოწერა უნდა მომხდარიყო ეროვნული ბანკის ახალციხის განყოფილებიდან. შესაბამისი ცვლილება

შეტანილია სააღსრულებო ფურცელში და აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება კვლავ დაევალა სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს.

ამასთან, პასუხში აღნიშნულია, რომ #2/172 სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობაზე სააღსრულებო დეპარტამენტის მიერ დაწესდა კონტროლი და უახლოეს მომავალში გატარდება კანონით გათვალისწინებული ყველა შესაძლო სააღსრულებო მოქმედება.

2008 წლის 27 ივნისის იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის პასუხიდან ირკვევა, რომ სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალური ჯგუფის მიერ აღსრულდა გიორგი ჯვარიძის სააღსრულებო საქმე.

ნაირა ჯამასპიშვილის საქმე

2008 წლის 19 თებერვალს სახალხო დამცველს #0544-08 განცხადებით მიმართა მოქალაქე ნაირა ჯამასპიშვილმა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ ნ.ჯამასპიშვილი 2001 წლიდან მუშაობდა თავდაცვის სამინიტროს ინფრასტრუქტურის დედოფლისწყაროს #9 რეგიონალურ ბაზაში ბუღალტრად. 2005 წლის 28 მარტს იგი გაათავისუფლეს ლიკვიდაციის გამო. მას მისაღები დარჩა ერთჯერადი დახმარება 605 ლარი და ფორმების ფულადი კომპენსაციის თანხა 634 ლარი და 0,4 თეთრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2006 წლის 25 აგვისტოს ნ.ჯამასპიშვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან დავალიანების გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა 605 ლარის ოდენობით ერთჯერადი გასასვლელი დახმარებისა და 634 ლარისა და 0,4 თეთრის ოდენობით სანივთე ქონების კომპენსაცია.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აპრილის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რის თაობაზეც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესს სასამართლოს.

2007 წლის 27 სექტემბრის #ბს-543-519(კ-07) განჩინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

2007 წლის 8 ოქტომბერს ამოიწერა #3/4123-06 სააღსრულებო ფურცელი, რომელიც დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილია თბილისის სააღსრულებო ბიუროში.

2007 წლის 16 ოქტომბერს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 92^1 მუხლის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს მიეცა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების სამი თვის განმავლობაში ნებაყოფლობით სისრულეში მოყვანის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვადა ამოიწურა 16 იანვარს, განმცხადებლის განმარტებით, აღსრულება დღემდე არ მომხდარა. ნ.ჯამასპიშვილი უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება. არის უმუშევარი და ჰყავს ორი შვილი, ერთ-ერთი მათგანი დაავადებულია და ესაჭიროება ფსიქოტროპული მედიკამენტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოვითხოვეთ სასამართლო გადაწყვეტილების დროული აღსრულება.

2008 წლის 10 აპრილს მივიღეთ პასუხი აღმოსავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმოების სამმართველოს უფროსისგან, სადაც აღნიშნულია, რომ #3/4123-06 სააღსრულებო ფურცელი იმყოფება თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველასაყოფად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 92^1 მუხლის თანახმად, სასამართლო აღმასრულებლის მიერ 2007 წლის 16 ოქტომბერს მოვალეს - სახელმწიფო დაწესებულებას და ფინანსთა სამინისტროს გაეგზავნა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ, რაც არ შესრულებულა.

2008 წლის 30 იანვარს აღნიშნული საქმე აღსასრულებლად გადაგზავნა სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს.

ამასთან, პასუხში აღნიშნულია, რომ #3/4123-06 სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობაზე სააღსრულებო დეპარტამენტის მიერ დაწესდა კონტროლი და უახლოეს მომავალში გატარდება კანონით გათვალისწინებული ყველა შესაძლო სააღსრულებო მოქმედება.

2008 წლის 27 ივნისის იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის პასუხიდან ირკვევა, რომ სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით

მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალური ჯგუფის მიერ აღსრულდა ნაირა ჯამასპიშვილის სააღსრულებო საქმე.

არჩილ სალდაძის საქმე

2008 წლის 22 აპრილს სახალხო დამცველს #1396-08 განცხადებით მიმართა მოქალაქე არჩილ სალდაძის წარმომადგენელმა ელისო ონიანმა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ 2003 წლის 20 თებერვლის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების (#41-კს) საფუძველზე ა.სალდაძე გაათავისუფლეს საბაჟო დეპარტამენტის დაცვის სამმართველოს დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობიდან და გადაიყვანეს საბაჟო გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და დაცვის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურედ ორი თვის ვადით.

ა.სალდაძემ მიმართა სასამართლოს განთავისუფლების შესახებ ბრძანების გათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნით. იგი მიუთითებდა, რომ ბრძანება #41-კს იყო უკანონო და არ შეესაბამებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე და 108-ე მუხლების მოთხოვნებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის გადაწყვეტილებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს დაევალა მოცემული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში არჩილ სალდაძის სამუშაოზე მოწყობის თაობაზე ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

2006 წლის 12 აპრილის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის #213-კ ბრძანებით, არჩილ სალდაძე აღადგინეს რეგიონული საბაჟო „აღმოსავლეთის“ საბაჟო გამშვები პუნქტი „მტკვარის“ მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე. აღნიშნული თანამდებობიდან მოქალაქე ა.სალდაძე საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს, რადგან მას უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა სხვა სამსახურში.

მოქალაქე არჩილ სალდაძემ (წარმომადგენელი ელისო ონიანი) სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

2006 წლის 9 ნოემბრის #3/3255-06 გადაწყვეტილებით ა.სალდაძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს არჩილ სალდაძის მიმართ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 10875.11 (ათი ათას რვაას სამოცდათხუთმეტი ლარი და თერთმეტი თეთრი) ლარის ოდენობით.

2007 წლის 6 ივლისს ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც, დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილია თბილისის სააღსრულებო ბიუროში. თუმცა, მოქალაქის განმარტებით, აღსრულება ჯერ არ მომხდარა, რაც არღვევს მის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს და „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოვითხოვეთ სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება.

2008 წლის 27 ივნისს მივიღეთ პასუხი სააღსრულებო დეპარტამენტიდან, სადაც აღნიშნულია, რომ სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ აღსრულდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 6 ივლისს გაცემული #3/3255-06 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს დაეკისრა არჩილ სალდაძის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 10875.11 ლარის ოდენობით.

ალექსანდრე ენუქიძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (0786-08) მიმართა მოქალაქე ალექსანდრე ენუქიძემ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილებით ალექსანდრე ენუქიძის სარჩელი დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების 1363 (ათასსამას სამოცდასამი) ლარის ანაზღაურება.

სასამართლო გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და 2007 წლის 15 ნოემბერს მასზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი #3/2079–07, მაგრამ, განმცხადებლის განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილება განცხადების წარმოდგენის დრემდე არ აღუსრულებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს და „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოვითხოვეთ სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება.

2008 წლის 27 ივნისს მივიღეთ პასუხი სააღსრულებო დეპარტამენტიდან, სადაც აღნიშნულია, რომ სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ აღსრულდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 6 ივლისს გაცემული #3/3255-06 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს დაეკისრა არჩილ სალდაძის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 10875.11 ლარის ოდენობით.

რობერტ დიაკონიძის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე რობერტ დიაკონიძემ სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებიდან და თანდართული დოკუმენტებიდან გამოირკვა, რომ რობერტ დიაკონიძე (1990-1991) წლების განმავლობაში მუშაობდა საზღვარგარეთ, საიდანაც საქართველოში გადმორიცხა ხელფასის სახით გამომუშავებული თანხა, რათა სამშობლოში დაბრუნებულს მიეღო. მისივე განმარტებით, ეს თანხა სახელმწიფომ აღიარა შიდა ვალად, თუმცა არ გადაუხადა.

აღნიშნულ საკითხზე მოქალაქემ სარჩელით მიმართა ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, ხოლო შემდეგ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებს. საბოლოოდ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, რობერტ დიაკონიძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოპასუხეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა რობერტ დიაკონიძის სასარგებლოდ 28102,35 აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურება. სასამართლო გადაწყვეტილებაზე 2007 წლის 14 თებერვალს გაიცა სააღსრულებლო ფურცელი #3/206-04, რომელიც იძულებითი აღსრულების მიზნით, წარდგენილ იქნა სააღსრულებლო დეპარტამენტში.

სააღსრულებლო დეპარტამენტიდან მოვალე მხარეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ,,სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92 მუხლის შესაბამისად, გაეგზავნა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების შესახებ და გაფრთხილებული იქნა, რომ წინადადების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიწყებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება. აღნიშნული წინადადება მოვალე მხარემ ნებაყოფლობით არ შეასრულა.

შემდგომში სააღსრულებლო წარმოება იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად გადაეცა დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებულ ყველა სააღსრულებლო მოქმედებაზე ვრცელდება კონკრეტული ვადები, როგორც მოქალაქე რობერტ დიაკონიძე მიუთითებს, სასამართლო გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს.

სააღსრულებო დეპარტამენტმა სახალხო დამცველის რეკომენდაცია დააკმაყოფილა და რობერტ დიაკონიძეს აუნაზღაურა თავისი კუთვნილი თანხა.

თამარ ჩარკვიანი–ბიულერი

მიმდინარე წლის 28 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (0692-08) მიმართა მოქალაქე თამარ ჩარკვიანი–ბიულერმა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოირკვა, რომ 2004 წლის 22 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეების: თამარ ჩარკვიანი–ბიულერის, ლილი ჩარკვიანის და ალექსანდრე ჩარკვიანის მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე რიცხული მათი თანხების დაბრუნების შესახებ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა თამარ ჩარკვიანისათვის 18 419.44 (თვრამეტიათას ოთხასცხრამეტი) გერმანული მარკის, ლილი ჩარკვიანისათვის 11 551.16 (თერთმეტიათას ხუთასორმოცდათერთმეტი) აშშ დოლარის და ალექსანდრე ჩარკვიანისათვის 17 745. 10 (ჩვიდმეტიათას შვიდასორმოცდახუთი) აშშ დოლარის გადახდა.

კრედიტორების სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და 2006 წლის პირველ აგვისტოს მასზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი #2/4777–04, რომელიც წარდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში.

განმცხადებლის განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მისი აღსრულების პროცესში მოვალე მხარეს საქართველოს ფინანსთა სამინიტროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92^1 მუხლის შესაბამისად გაეგზავნა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების შესახებ და მოვალე გააფრთხილეს, რომ წინადადების ნაბაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიწყებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება. რაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ნებაყოფლობით არ შეასრულა. შემდგომში სააღსრულებო წარმოება იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად გადაეცა სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს.

მიუხედავად იმისა, რომ მოვალის მიმართ დაიწყო იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, რომელზეც ვრცელდება კანონით გათვალისწინებული ვადები, მოქალაქე თამარ ჩარკვიანი–ბიულერი მიუთითებს, კრედიტორთა სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება დღემდე არ არის აღსრულებული და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განზრახ არიდებს თავს სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დავალიანებათა დაკისრების თაობაზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება. სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების დიდი დროით გაჭიანურების შემთხვევაში ყოველთვის რეკომენდაციით მივმართავ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს და რეკომენდაციაში ვუთითებ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის იმ ნორმებზე, რომლითაც უნდა მოქმედებდეს სასამართლო აღმასრულებელი და იძულებითი მექანიზმების საშუალებით უზრუნველყოფდეს სასამართლო გადაწყვეტილების დროულ აღსრულებას.

რეკომენდაციების პასუხად სააღსრულებო დეპარტამენტიდან გვეგზავნება ერთი და იგივე შინაარსის წერილები: "მითითებული სააღსრულებო საქმე იმყოფება სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის წარმოებაში, რომელმაც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მოვალე მხარეს არაერთხელ ჩააბარა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების თაობაზე, რომელიც მოვალემ არ შეასრულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელს მიეცა მითითება სასამართლო გადაწყვეტილების დროულად აღსრულების მიზნით, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები."

გატარდა თუ არა რაიმე იძულებითი აღსრულების ღონისძიება, ან კონკრეტულად რომელი ღონისძიება გატარდა სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, შესამაბამისად მოჰყვა თუ არა მას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ან სხვა შედეგი, წარმოდგენილი პასუხებიდან ვერ ირკვევა. მაგალითად: სახალხო დამცველის აპარატმა ახლახან მიიღო ასეთი პასუხი შპს „სოფლის ცხოვრების" სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების (სააღსრულებო ფურცელი #3/1777–06, 14.11.2006) აღუსრულებლობის შესახებ გაგზავნილ რეკომენდაციაზე.

სასამართლო ხელისუფლების ეფექტურობა სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში გამოიხატება. სწორედ ამიტომ სასამართლო ხელისუფლებისა და სასამართლო აქტებისადმი განსაკუთრებული პატივისცემის და მორჩილების მოთხოვნები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციასა და სხვადასხვა კანონებში.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, "სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე." სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის პირველი პუნქტი და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 (1) პუნქტი იცავს ყველა ადამიანისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლებას მისი სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ გულისხმობს აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერ მოლოდინს. ევროპის სასამართლო ცალსახად განმარტავს, რომ აღსრულების პროცესი არის სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილი და უფლება სასამართლოზე, როგორც პირველი ინსტანციისა

და სააპელაციო სასამართლოზე, გულისხმობს ასევე აღსრულების პროცესის ხელმისაწვდომობასაც. (იხ. ევროპის სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ და სხვა...).

გარდა ამისა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმისა.“

სასამართლო აღმასრულებელი მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სასამართლო გადწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე მოქმედებს “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. აღნიშნულ მუხლში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი ის ღონისძიებები, რომელიც უნდა განახორციელოს სასამართლო აღმასრულებელმა ფულის და ქონების გადახდევინებისას. მე–17 მუხლის მე-4 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღმასრულებელი უფლებამოსილია გადახდევინება განახორციელოს: “მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან; აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.“

სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

როგორც თავადაც მოგეხსენებათ, კანონით გათვალისწინებულ ყველა იძულებით სააღსრულებო მოქმედებაზე ვრცელდება კონკრეტული (კანონით დადგენილი) ვადები და იძულებითი აღსრულების პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მოვალისაგან, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელის მიერ სასამართლო გადაყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

“2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებში მიმდინარე წელს გათვალისწინებულია წინა წლებში საბიუჯეტო დაწესებულებებზე წარმოქმნილ ვალდებულებათა, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის გადასახდელი თანხები, რაც თავის მხრივ გათვალისწინებული უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის “ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააღსრულებო დეპარტამენტს მივმართეთ რეკომენდაციით, გამოეყენებინათ “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–17 მუხის მე–4 პუნქტის „ა.გ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და მიიღოთ ყველა კანონიერი ზომა სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის. ასევე, გაეფრთხილებინათ მოვალე დაწესებულების უფლებამოსილი თანამდებობის პირები სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების და სასამართლო აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შედეგების შესახებ.

2008 წლის 27 ივნისს სააღსრულებო დეპარტამენტიდან მივიღეთ პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ აღსრულდა კრედიტორების სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება.

უგზო-უკვლოდ დაკარგულები

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ შეინიშნება ახალი ტენდენცია, კერძოდ, პიროვნებების უგზო-უკვლოდ გაუჩინარება. მართალია, მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები 2008 წლის მეორე ნახევარში მოხდა, მაგრამ მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საქართველოს პარლამენტის ყურადღების მიპყრობა ამ საკითხისადმი.

დავით ცინდელიანის საქმე

2008 წლის 16 აგვისტოს ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში შევიდა შეტყობინება #529. ავტორი, ზაურ ცინდელიანი, იტყობინებოდა, რომ ქ.ქუთაისში, ნინოშვილისა და გრიშაშვილის ქუჩების გადაკვეთასთან, უცნობმა პირებმა გაიტაცეს მისი ვაჟი დავით ცინდელიანი.

შეტყობინების საფუძველზე ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #041080799 საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გამოძიების დაწყების შემდეგ საქმეზე მოწმის სახით დაიკითხნენ შეტყობინების ავტორი ზაურ ცინდელიანი და ფაქტის ორი თვითმხილველი. სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების დეტექტივის თანაშემწე გოჩა კოხრეიძე, ზაურ ცინდელიანის მონათხრობის საფუძველზე, მიუთითებს შემდეგს:

2008 წლის 16 აგვისტოს, დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერიდან, სატყეო დეპარტამენტის გაერთიანებულ თათბირზე დასწრების მიზნით, სამსახურებრივი ავტომობილით გამოემგზავრნენ ზაურ ცინდელიანი და მისი შვილი დავით ცინდელიანი. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, დავით ცინდელიანი სატყეო დეპარტამენტის თანამშრომელია. ქ.ქუთაისში შემოსვლის შემდეგ მათ გზა აებნათ და ნინოშვილისა

და გრიშაშვილის ქუჩების გადაკვეთასთან მოხვდნენ, სადაც გამვლელ მოქალაქეს ჰკითხეს, როგორ შეიძლებოდა წყალტუბოს გზატკეცილზე გასვლა. ამ დროს მათთან მივიდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული უიარაღო სამი მამაკაცი, რომლებმაც განაცხადეს, რომ პოლიციის მთავარი სამმართველოდან იყვნენ და მანქანაში მყოფებს ვინაობა ჰკითხეს. სახელისა და გვარის თქმის შემდეგ, უცნობებმა დავით ცინდელიანი იქვე მდგარ თეთრი ფერის მერსედესის მარკის ავტომობილში ჩასვეს და ნინოშვილის ქუჩის მიმართულებით გადაადგილდნენ, ხოლო მხლებლებს უთხრეს, რომ პოლიციის მთავარ სამმართველოში მისულიყვნენ. მონათხრობის მიხედვით, დავით ცინდელიანს და მის თანმხლებ პირებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა–განმარტება ჩამოართვა დავით ცინდელიანის მამას ზაურ ცინდელიანს, რომელმაც განმარტა, რომ ხაიშის სატყეო უბნის რეინჯერად მუშაობს 2006 წლიდან, ხოლო მისი შვილი დავით ცინდელიანი – 2007 წლიდან.

2008 წლის 16 აგვისტოს ისინი გამოიძახეს ქუთაისის სატყეო სამმართველოში თათბირზე. დაახლოებით დღის სამ საათზე სახლიდან გავიდნენ მათი უფროსის გია ანსიანის მანქანით, რომელშიც ისხდნენ თვითონ, მისი ვაჟი დავით ცინდელიანი და ელიკო ჭკადუა.

ზაურ ცინდელიანის განმარტებით, სამტრედიასთან შეხვდნენ თანამშრომლები და უთხრეს, რომ თათბირი უკვე დამთავრებული იყო და ისინი გამოუშვეს. როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, გზაში მათ ხშირად ურეკავდნენ სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ლაშა ჭკადუა და მისი მოადგილე ბადრი მიმინოშვილი, რომლებიც ეუბნებოდნენ, რომ აუცილებლად უნდა ჩასულიყვნენ თათბირზე. მისი განმარტებით, ჭუბერიდან ქუთაისამდე მათ 3–4–ჯერ დაურეკეს სატყეო დეპარტამენტიდან და ეკითხებოდნენ, სად იმყოფებოდნენ ტერიტორიულად; ასევე დაინტერესდნენ იმ პირთა ვინაობით, ვინც ავტომანქანაში იჯდა. დაახლოებით 18.00 საათისთვის ისინი ჩავიდნენ ქ.ქუთაისში. ვინაიდან გზა კარგად არ იცოდნენ, სატყეო სამმართველოს ასცდნენ დაახლოებით 300–400 მეტრით, გაჩერდნენ და იკითხეს სატყეო სამმართველოს ზუსტი მისამართი. ამ დროს მათთან მივიდა თეთრი ფერის „მერსედესის“ ფირმის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული სამი მამაკაცი და ჰკითხეს სახელები და გვარები. პასუხის შემდეგ ყველას სთხოვეს, გადასულიყვნენ ავტომანქანიდან. დავით ცინდელიანს სამმა პიროვნებამ შეუბოჭა ხელები და ჩასვა მანქანაში, ხოლო ზაურ ცინდელიანის კითხვაზე, ვინ იყვნენ ან სად მიყავდათ მისი ვაჟი, ერთ–ერთმა პირმა უპასუხა, რომ მისულიყვნენ პოლიციის მთავარ სამმართველოში. აღნიშნული ფაქტის შემდეგ თეთრი ფერის „მერსედესის“ მარკის ავტომობილი სწრაფი სიჩქარით წავიდა და მას გაყვა „ოპელის“ მარკის ავტომობილი, რომელიც იდგა გია ანსიანის ავტომობილის უკან. განმცხადებლის განმარტებით, მათ უნდოდათ გაყოლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათი ავტომანქანის გასაღები არ იყო ადგილზე.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ არცერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ასევე, არცერთ დროებითი მოთავსების იზოლატორში არ მოუთავსებიათ დავით ზაურის ძე ცინდელიანი.

მიუხედავად იმისა, რომ მათ გზა აებნათ, გამტაცებლებმა ზუსტად იცოდნენ, სად იმყოფებოდა მანქანა, რომელშიც დავით ცინდელიანი იჯდა, ხოლო აღნიშნული მანქანის ადგილსამყოფელი იცოდნენ მხოლოდ იმ პირებმა, რომლებიც ტელეფონით უკავშირდებოდნენ მათ მთელი დღის მანძილზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გამტაცებლებს არ ეკეთათ ნიღბები, ინციდენტი მოხდა ბანკის წინ ცენტრალურ ქუჩაზე, სადაც დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერა. გამტაცებლები არ დაკავშირებიან დავით ცინდელიანის ოჯახს გამოსასყიდის მოთხოვნით.

ზემოაღნიშნული გარემოებები ბადებს ეჭვს, დავით ცინდელიანის გატაცება წინასწარ იყო დაგეგმილი, ხოლო შემსრულებელები იყვნენ პოლიციელები.

პაატა ქარდავას საქმე

2008 წლის 9 სექტემბერს განცხადებით სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე ქრისტინა ქარდავამ. მისი განცხადებით, ამა წლის 27 აგვისტოს, დღის 11 საათზე გაუჩინარდა მამამისი, 44 წლის პაატა ქარდავა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის აფხაზეთის სამმართველოს თანამშრომელია. ამა წლის 27 აგვისტოს, საღამოს, კოკი-ხურჩის დამაკავშირებელ ხიდთან იპოვეს „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც ქრისტინე ქარდავას განცხადებით მამამისი მართავდა. აღსანიშნავია, რომ ადგილზე იყო ყველა დოკუმენტი.

ქრისტინე ქარდავას განცხადებით, გაუჩინარებამდე რამდენიმე წუთით ადრე მამამისმა მეგობარი სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან დატოვა და ზუგდიდის ცენტრალური ბაზრისკენ წავიდა ქალიშვილთან შესახვედრად. ქრისტინე ქარდავამ მას დაურეკა და ჰკითხა, თუ როდის მიაკითხავდა მას მამა, რაზედაც მამამ უპასუხა, რომ საქმე გამოუჩნდა და ვერ შესძლებდა მისვლას. ქრისტინე ქარდავას განცხადებით, პაატა ქარდავა შეშფოთებული იყო, ხმა უკანკალებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მან ისევ დაურეკა მამას, მაგრამ მას უკვე სამივე ტელეფონი გამორთული ჰქონდა. იგი მთელი დღის განმავლობაში უშედეგოდ ურეკავდა.

განმცხადებლის განმარტებით, პაატა ქარდავას გაუჩინარებასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე ვერსია, თუმცა მის ადგილსამყოფელს სამართალდამცავებმა დღემდე ვერ მიაკვლიეს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ქარდავა იმყოფება სოხუმის უშიშროების იზოლატორში და მის დაკითხვას რუსეთის ფედერალური სადაზვერვო ბიუროს წარმომადგენლები აწარმოებენ. მისი დაკარგვიდან 13 დღეა გასული, თუმცა ამ დრომდე მის შესახებ ოჯახს არანაირი ცნობა არ მიუღია.

საქართველოს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მეარბიშვილსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს, თინათინ გოლეთიანს გაუგზავნა.

2008 წლის 26 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, 2008 წლის 28 აგვისტოს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #044080787 საქმეზე, პაატა ქარდავს თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის I ნაწილით.

საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო პაატა ქარდავას ძმის, კობა ქარდავას განცხადება.

დანართი # 6

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა

გოჩა ეხვაიას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნუნუ ინდიკოს ასულმა თორიამ, რომელიც მიუთითებს, რომ 2008 წლის 30 იანვარს, მისი შვილი გოჩა ეხვაია სასტიკად სცემეს პოლიციის თანამშრომლებმა, რის გამოც გ.ეხვაია მოათავსეს ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში.

ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს: ნუნუ თორაიას, გოჩა ეხვაიას, მის მეუღლეს ლანა ჭითანავას, ასევე, ქ.ზუგდიდის რაიონული სამმართველოს საუბნო ქვეგანყოფილების უბნის ინსპექტორებს: დათა ღვინჯილიას და დავით ნადარაიას.

გოჩა ეხვაიას განმარტებით: იგი მუშაობს გალის რაიონის სოფ. ნაბაკევში სასწრაფო დახმარების ექიმად. 2008 წლის 30 იანვარს, მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ქ.ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. #5-ში მდებარე სახლში,, მშობლებთან და მეუღლესთან ერთად. დაახლოებით 22 საათზე, როდესაც ოჯახის წევრებთან ერთად უყურებდა ტელევიზორს, კარი შეაღეს პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც ეუბნებოდნენ, რომ **„სახლში ძებნილი ბადრი გყავთ და გვანახეთო”**. უარყოფითი პასუხის შემდეგ გ.ეხვაიას მოსთხოვეს საბუთები და უთხრეს, რომ დასაკითხად უნდა წაჰყოლოდა მათ პოლიციაში.

საბუთების შემოწმების შემდეგ გ.ეხვაია საკუთარი ნებით, წინააღმდეგობის გარეშე გაჰყვა მათ. პოლიციის მანქანა ქალაქ ზუგდიდის ცენტრში ჯეოსელის ოფისის მიმდებარე ტერიტორიასთან გაჩერდა, რა დროსაც მანქანიდან ორი პოლიციელი გადავიდა და დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში რაღაცაზე კამათობდნენ. შემდგომ იგი წაიყვანეს ზუგდიდის სამხარეო სამმართველოს მიმართულებით, გზაში პოლიციის სამივე თანამშრომელი ეკითხებოდა, თუ სად მუშაობდა, მოღალატეს უწოდებდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. გ.ეხვაია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული პოლიციელების სახელები და გვარები არ იცის, თუმცა მათი ამოცნობა შეუძლია.

სამხარეო პოლიციაში აიყვანეს მეორე სართულზე - აივანზე, სადაც იმყოფებოდა პოლიციელი ვინმე იკა ახალაია, შეიყვანეს ერთ-ერთ კაბინეტში (რომელსაც ახსნა-განმარტებაში დეტალურად აღწერს), სადაც იმყოფებოდა პოლიციის ორი თანამშრომელი, მათ შორის ერთ-ერთი - უნიფორმაში ჩაცმული, ხოლო მეორე - საშუალო სიმაღლის შავ ტანსაცმელში ჩაცმული პიროვნება, რომელმაც

განუმარტა, რომ იგი იყო სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე. როდესაც გ.ეხვაია იმყოფებოდა შს ზუგდიდის სამმართველოს დმი-ში, საკნის კარების პატარა ფანჯრიდან დაინახა ეს პოლიციელი. დმი-ის თანამშრომელმა უთხრა რომ ეს პიროვნება იყო მეგის ქარდავა. **მეგის ქარდავა ეუბნებოდა გ.ეხვაის, რომ ჯერ სად ხართო, ახლა სხვისი ჯერიც დადგაო, საერთოდ აგიფეთქებთ მაგ საავადმყოფოს გალელებს და მერე ხო წამოხვალთ იქედანო.** შემდეგ იგი ადგა, მიუჯდა გ.ეხვაიას გვერდით და უთხრა - „უფროსი მოდის". ოთახში შევიდა მაღალი, ოდნავ ჭაღარათმიანი მამაკაცი, რომელიც ეკითხებოდა - **„სამსახურში ხომ არ მოუყვანიათ შენთან დავით ნადარაია, ან მასთან ხო არ წაუყვანიხარ გამტაცებელსო"**, რაზეც გ.ეხვაიამ უპასუხა, რომ მისი მორიგეობის დღეს, 29 იანვარს, გამოძახება არ ჰქონიათ და არავის არსად წაუყვანია, თან დასძინა, რომ აღნიშნულის დადასტურება შეეძლოთ მის თანამშრომლებს: სასწრაფო დახმარების მთავარ ექიმს, დისპეჩერს, ექთანს და მძღოლს.

აღნიშნულმა პასუხმა პოლიციის თანამშრომლები გააღიზიანა, რის შემდეგაც მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა: მუქარას, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, კერძოდ: უფროსი ესროდა საწერ კალამს და ხშირად ეუბნებოდა, რომ **„სამ წუთს გაძლევ მოსაფიქრებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში შენს თავს დააბრალე. პრეზიდენტმა ზუგდიდში მიტინგზე როცა თქვა გალში მაცხოვრებლები ყველანი გმირები არიანო, პრეზიდენტს ვინ ეკითხება გმირები ვინ არიანო, გმირები კი არა მოღალატეები ხართ, ვინც იქ ცხოვრობთო"** და თან უცენზურო სიტყვებით აგინებდა გალში მაცხოვრებლებს. შემდეგ მან დანარჩენებს უთხრა **„ერთი ამისი, მოკალითო"**. აღნიშნულის შემდეგ გ.ეხვაია სკამიდან გადმოაგდეს და მას ხუთივე თანამშრომელი სცემდა ხელებით და ფეხებით, იგი ითხოვდა შველას, რამდენიმეჯერ გონება დაკარგა და წყლის მისხურებით მოასულიერეს. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ოთახში შევიდა იკა ახალაია, რომელმაც, როგორც გ.ეხვაია განმარტავს, იგი სიკვდილს გადაარჩინა.

ზემოხსენებული ინციდენტიდან რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ, ოთახში შევიდა ერთ-ერთი პოლიციის თანამშრომელი და თქვა, რომ გ.ეხვაიას მშობლები იყვნენ მისულები. უფროსმა უპასუხა - **„წაიყვანეთ და მდინარეში გადააგდეთ, ისე რომ კვალი არ დატოვოთ"**. იგი გამოათრიეს ოთახიდან და ეზოში სხვა გასასვლელიდან გაიყვანეს, სანამ მანქანასთან მივიდოდნენ, გ.ეხვაიამ გაიგონა ქალის ხმა, რომელიც ყვიროდა - **„სად არის ჩემი შვილი, მაჩვენეთ, ხო არ მოკალით"**. გ.ეხვაია მანქანაში ჩასვეს, სადაც ის სამი პოლიციელი იმყოფებოდა, რომლებმაც იგი დააკავეს. მანქანა ბოტანიკური ბაღის მიმართულებით წავიდა. მას გზაში ემუქრებოდნენ –„ტრუპი ხარ" და ურტყამდნენ მუშტებს თავში. მანქანა ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერდა, სადაც იგი ისევ სცემეს. შემდეგ განაგრძეს სვლა ქ.ზუგდიდის მიმართულებით, გზაში პოლიციელები ხშირად რეკავდნენ მობილური ტელეფონით და ახსენებდნენ კატერს, რომლითაც გ.ეხვაია ზღვაში უნდა გადაეგდოთ.

მანქანა გაჩერდა შს კომბინატის ქვეგანყოფილებასთან, სადაც იგი გადმოიყვანეს მანქანიდან. იქ დახვდათ პოლიციელი, ქერათმიანი ახალგაზრდა, რომელმაც გ.ეხვაიას მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. დაახლოებით 20 წუთი ცემისა და მუქარის შემდეგ, გ.ეხვაიას უთხრეს, რომ იგი უნდა გადაეყვანათ

ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. გზაში კი გააფრთხილეს, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ არავისთვის არ უნდა ეთქვა, თორემ **„ყაჩაღებზე უარესები ჩვენ ვართო“**. დაახლოებით ღამის 03 საათზე იგი მიიყვანეს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, სადაც მათ დახვდათ „დემკო“ გაბუნია, რომელიც გ.ეხვაიას სთხოვდა აღიარებით ჩვენებას, ან დაესახელებინა სხვა ნებისმიერი პიროვნება მისი თანამშრომელი ექიმებიდან, ვითომდა მან უმკურნალა შამგონიდან გატაცებულ ბავშვს, ვისგანაც ამოიღებდნენ დიდი ფულს და ნახევარს გ.ეხვაის გაუყოფდნენ. გ.ეხვაია არ დათანხმდა ამ „წინადადებას“ და პოლიციის თანამშრომლებს სთხოვდა, რომ არ მოეკლათ იგი და უმტკიცებდა, რომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია.

ზემოაღნიშნულის შემდეგ იგი წაიყვანეს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, სადაც არ დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა. შემდგომ გაიყვანეს ეზოში, სადაც მას ესმოდა პოლიციელების საუბარი - **„რა ვუყოთ ამას, ზემოქმედება არ აღმოაჩნდა და ადმინისტრაციული ოქმი მაინც შევუდგინოთო“**. გ.ეხვაია აღნიშნავს, რომ მათ შეადგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც დათარიღებულია 2008 წლის 31 იანვრით და ხელი მოაწერინეს მასზე. შემდგომ გადაიყვანეს ქ.ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორში. 2007 წლის 31 იანვარს გ.ეხვაიას შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 7 (შვიდი) დღის ვადით. იგი აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესზე მას არაფერი უთქვამს მისი ცემის შესახებ, რადგანაც გაფრთხილებული იყო პოლიციელების მხრიდან. ასევე, გ.ეხვაია განმარტავს, რომ მოსამართლე ჯ.მორგოშია გაურკვევლობაში იყო, თუ როგორ უნდა მიეღო ამ საქმეზე გადაწყვეტილება, ხოლო შემდეგ კი მას ბოდიში მოუხადა და აღნიშნა, რომ რცხვენოდა აღნიშნულ დადგენილებას რომ აწერდა ხელს.

2007 წლის 03 თებერვალს გ.ეხვაიამ დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკარგა გონება, რის შემდეგაც იგი გადაიყვანეს ქ.ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დიაგნოზით ტვინის შერყევა, დაზიანებული თავის ქალის ძვლები. აგრეთვე, გ.ეხვაიამ აღნიშნა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნისას, იზოლატორის თანამშრომელი ვინმე დათო ექცეოდა ცუდად, კერძოდ არ უხსნიდა ხელბორკილს, როცა იგი საპირფარეშოში შეყავდა. ასევე, ოჯახის წევრების მიერ შემოგზავნილი მედიკამენტი კეტანოვიდან მხოლოდ ერთი აბი მისცა მას, მიუხედავად იმისა რომ თავი ძალიან ტკიოდა და თხოვდა მედიკამენტის მიცემას.

ლანა ჭითანავას განმარტებით: 2008 წლის 30 იანვარს, მისი მეუღლე გოჩა ეხვაია სამსახურიდან სახლში დაბრუნდა 11:45 საათზე, რის შემდეგაც მთელი დღის განმავლობაში ბინაში იმყოფებოდა. საღამოს, დაახლოებით 22 საათზე მათთან სახლში მივიდა პოლიციის სამი თანამშრომელი. მათ შეაღეს აბაზანის კარი, რის შემდეგაც შევიდნენ „ზალაში“, სადაც იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები. პოლიციელებმა ჰკითხეს: **„სად არის ძებნილი პიროვნება, რომელიც სახლში გყავთო“** (ისინი ასახელებდნენ ვინმე “ბადრის“), რაზეც მათ უპასუხეს, რომ არ იცოდნენ არაფერი ძებნილი პირის შესახებ და ვერ გაეგოთ თუ რას ითხოვდნენ მათგან. ლ.ჭითანავას განმარტებით, მან პოლიციელებს საბუთების წარმოდგენა მოსთხოვა რაზეც პასუხად მიიღო: **„რა საბუთი გინდათ, ჩვენ საბუთი კი არა, საიდან მოგხვდება ტყვია, არ ვიციითო„**. ამის შემდეგ პოლიციელებმა გ.ეხვაიას მოსთხოვეს, წარმოედგინა მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთები, რაზედაც მან პირადობის მოწმობა, დევნილის მოწმობა და ექიმის საბუთი წარუდგინა. აღნიშნულის შემდეგ გ.ეხვაიამ

კიდევ ერთხელ განუმარტა პოლიციელებს, რომ მათ სახლში ძებნილი პირი არ იმალებოდა. პოლიციელებმა განუცხადეს, რომ წაიყვანდნენ პოლიციაში დაკითხვაზე და გამოუშვებდნენ, რაზეც გ.ეხვაია დასთანხმდა და წინააღმდეგობის გარეშე გაჰყვა მათ.

ლ.ჭითანავა განმარტავს, რომ მეორე დილას გაიგო მისი მეუღლის ადმინისტრაციული წესით დაკავების შესახებ. 2008 წლის 3 თებერვალს კი დაურეკა უცნობმა პიროვნებამ და აცნობა, რომ გ.ეხვაია იმყოფებოდა ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ლ.ჭითანავა აღნიშნავს, რომ როდესაც მან რესპუბლიკურ საავადმყოფოში გ.ეხვაია მოინახულა, მან უთხრა, რომ საავადმყოფოში იგი გადმოიყვანეს ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, ტვინის შერყევით და თავის ქალის დაზიანებებით.

ნუნუ თორიას განმარტებით, 2008 წლის 30 იანვარს ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდა სახლში. მისი შვილი, გ. ეხვაია სამსახურიდან დაბრუნდა დილის 12 საათზე და მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდა სახლში. იმავე დღეს, დაახლოებით 22 საათზე, მათთან სახლში მივიდნენ უცხო პიროვნებები, რომლებმაც განაცხადეს, რომ იყვნენ სამძებრო სამსახურის თანამშრომლები, თუმცა მათ ამის დამადასტურებელი საბუთები არ წარმოუდგენიათ. ბინაში შესვლისთანავე მათ დაიწყეს ოთახების დათვალიერება, ისინი ეძებდნენ ვინმე „ბადრის“. ოჯახის წევრებმა აუხსნეს პოლიციელებს, რომ მათთან ასეთი პიროვნება არ იმყოფებოდა, რის შემდეგაც პოლიციელებმა გ.ეხვაიას მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი საბუთები, რომელთა წარდგენის შემდეგაც ის წაიყვანეს (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, პოლიციის სამხარეო განყოფილებაში).

ნ.თორია მეუღლესთან ერთად მივიდა ზუგდიდის პოლიციის სამხარეო განყოფილებაში, რა დროსაც შენობიდან გამოიყვანეს გ.ეხვაია, რომელიც კოჭლობდა. იგი ეცადა მისულიყო თავის შვილთან, თუმცა იქვე მყოფმა პოლიციის თანამშრომლებმა არ მისცეს ამის საშუალება. მეორე დღეს კი გაიგო, რომ გ.ეხვაიას შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული პატიმრობა 7 დღით. ასევე, ნ.თორიამ აღნიშნა, რომ როცა მისი შვილი უკვე ნაცემი იყო, მის მეუღლეს შეხვდა პოლიციელი დემკო გაბუნია და ეუბნებოდა, შენი შვილი ვიცი ნამდვილად, რომ მძევალს გაუწია სამედიცინო დახმარება, ურჩიე გამოტყდესო. ნ.თორიას მეუღლემ კატეგორიულად უარყო ეს ფაქტი, რადგან ამ შემთხვევაში გ.ეხვაია ოჯახში აუცილებლად იტყოდაო ამის შესახებ და მე მეცოდინებოდაო.

ქ.ზუგდიდის რაიონული სამმართველოს საუბნო ქვეგანყოფილების უბნის ინსპექტორის დათა ღვინჯილიას განმარტებით: 2008 წლის 30 იანვარს, ასრულებდა სამსახურეობრივ მოვალეობას, რა მიზნითაც იმყოფებოდა ზუგდიდის რკინიგზისა და კომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციის სხვა თანამშრომლებთან - დავით ჯოჯუასა და დავით ნადარაიასთან ერთად ნადარაიას კუთვნილი ა/მანქანით. დაახლოებით 22 საათზე მათ ჯანაშიას ქუჩაზე შეამჩნიეს მოქალაქე, რომელიც იგინებოდა უმისამართოდ და ილანძღებოდა უცენზურო სიტყვებით. იგი პოლიციის თანამშრომლებთან ერთად მივიდა ზემოაღნიშნულ მოქალაქესთან და სცადა გაერკვია, თუ რატომ იგინებოდა, რაზეც მან უპასუხა, რომ არ აინტერესებდა ვინ იყვნენ ისინი და გააგრძელა გინება. როდესაც მათ სთხოვეს აღნიშნულ მოქალაქეს, ჩამჯდარიყო ა/მანქანაში, იგი დაემორჩილა მოთხოვნას, მაგრამ აგრძელებდა გინებას.

აღნიშნულის შემდეგ მან შეუდგინა ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომლის არსიც მაშინვე განუმარტა. დ.ღვინჯილია აღნიშნავს, რომ დაკავებულმა ოქმზე ხელი მოაწერა; ასევე წარმოადგინა პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ეს პიროვნება იყო გოჩა ეხვაია. დაკავების ოქმი პოლიციის თანამშრომელთა პატაკებთან ერთად წარედგინა კრიმინალური პოლიციის უფროსს, ხოლო ნარკოლოგიურში შემოწმდა ქვეგანყოფილების უფროსის მიერ. დ.ღვინჯილია აღნიშნავს, რომ იმ საღამოს გ. ეხვაიამ ახსნა-განმარტების მიცემაზე აური განაცხადა, რის შემდეგაც გადაყვანილ იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორში. მეორე დღეს კი, მას შემდეგ, რაც გ.ეხვაიას ჩამოერთვა ახსნა-განმარტება და შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, იგი წარედგინა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, სადაც გ.ეხვაიას მოსამართლემ შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 7 დღით. სახალხო დამცველის რწმუნებულებს ანალოგიური შინაარსის ახსნა–განმარტება მისცა ქ.ზუგდიდის რაიონული სამმართველოს საუბნო ქვეგანყოფილების უბნის ინსპექტორმა დავით ნადარაიამ.

შსს ქ.ზუგდიდის #2 დროებითი მოთავსების იზოლატორის გარეგნული დათვალიერების ოქმი შედგენილია 2008 წლის 31 იანვარს, 01 საათსა და 30 წუთზე. აღნიშნულ ოქმში მითითებულია, რომ გ.ეხვაიას გარეგნული დათვალიერებით დაზიანებები არ აღენიშნება.

2003 წლის 03 თებერვალს, გ.ეხვაია ქ.ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან გადაიყვანეს ქ.ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც მას დაუდგინდა თავის ტვინის შერყევა. ნეიროქირურგის ჩანაწერში მითითებულია, რომ ,,პაციენტმა მიიღო კომბინირებული ტრავმა, მათ შორის ქალა ტვინის დახურული ტრავმა, ტვინის შერყევა, ავადმყოფი ნაცემია. მისი გადმოცემით, აღნიშნავს გონების დაკარგვას ტრავმის მომენტში. ამჟამად საერთო მდგომარეობა შედარებით დამაკმაყოფილებელი, გონება ნათელი. ემოციონალურად ლაბილური, აჟიტირებული. უჩივის თავის ტკივილს, ტკივილს წელის არეში, ურჩევნია განმარტოება, აქვს შიშები“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არც პოლიციელები და არც დროებითი მოთავსების იზოლატორის ადმინისტრაცია არ მიუთითებს რაიმე სახის წინააღმდეგობის გაწევაზე, დაკავებისას ან მის შემდგომ. ასევე, არავინ მიუთითებს გოჩა ეხვაიას მიერ თვითდაზიანების მიყენების ფაქტზე. შესაბამისად გოჩა ეხვაიას მიერ ახსნა–განმარტებით მოცემული გარემოებები მის წამებაზე დამაჯერებელია და საჭიროებს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ დროულად და ეფექტურად საქმის გამოძიებას და დამნაშავე პირთა დასჯას.

პოლიციის თანამშრომლების, ასევე დმი-ის თანამშრომლის ვინმე დათოს მიერ გ.ეხვაიას მიმართ განხორციელებული ქმედებები შეიცავს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ: სსკ-ის 144^1 -ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა“ და ,,ე“ პუნქტებით, ,,წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ

ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის",-
2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; ე) ჯგუფურად;

სსკ–ის 151–ე მუხლი ,,სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში"

ასევე, სსკ–ის 160–ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა" და ,,ბ" პუნქტები ,,ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას – ა) ჯგუფურად; ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით" გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

პოლიციის თანამშრომლების - დათა ღვინჯილიას, დავით ჯოჯუასა და დავით ნადარაიას ქმედებებში, ასევე იკვეთება სსკ-ის 332-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) და 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით ,,კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ" სასამართლომ აღნიშნა, რომ მესამე მუხლი თავის თავში მოიცავს დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებებს. იგი აბსოლუტური გაგებით კრძალავს წამებას, არაადამიანურ მოპყრობას და დასჯას, მიუხედავად გარემოებებისა და მსხვერპლის ქცევისა. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მისი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, იმისთვის, რომ მოპყრობა მოხდეს მესამე მუხლით დაცული სფეროს ქვეშ აუცილებელია მან მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ასევე ევროსასამართლომ საქმეში ,,კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ" მოპყრობა მიიჩნია დამამცირებლად იმ შემთხვევებში, რომელსაც თან ახლდა მსხვერპლში შიშის, დამცირებისა და გაურკვევლობის გამოწვევა.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები 2008 წლის 12 თებერვალს შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს გენერალურ პროკურორს, ეკა ტყეშელაშვილსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გაუგზავნა.

2008 წლის 18 თებერვალს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებულ პასუხში მითითებულია, რომ 2008 წლის 9 თებერვალს ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძება სს საქმეზე, სამეგრელო ზემო–სვანეთის სამხარეო შს სამმართველოში გოჩა ეხვაიას წამების ფაქტზე დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 144^1–ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ბ" პუნქტით და დღემდე გრძელდება.

გოჩა ეხვაიასა და მის ოჯახს აქვთ შიში, რომ მათზე შურისძიების მიზნით ფიზიკურ ზეწოლას მოახდენენ ან ქონებას გაუნადგურებდნენ. მით უმეტეს, რომ მშობლები ცხოვრობენ გალის რაიონში, სადაც საქართველოს ხელისუფლება ჯერ-ჯერობით კონტროლს ვერ ახორციელებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რეალური საფრთხე, რომ სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირების მხრიდან გოჩა ეხვაიაზე განხორციელებული ზეწოლა ხელს შეუშლის სისხლის სამართლის #30530880019 საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

ლევან მაისურაძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში დაზარალებულმა ლ.მაისურაძემ განაცხადა, რომ 2007 წლის 06 ოქტომბერს, იგი გოჩა და ზვიად ქისტაურების კუთვნილი ავტომანქანით ჩავიდა ონში, მივიდა პოლიციის განყოფილებასთან და იკითხა, იყო თუ არა განყოფილებაში კ.მაისურაძე, რომელიც არის მისი ახლობელი. ერთ-ერთმა თანამშრომელმა მას მობილური ტელეფონით დაარეკინა კ.მაისურაძესთან. ლ.მაისურაძემ სთხოვა აკაკი (კაკო) მაისურაძეს, მისულიყო განყოფილებასთან, რაზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ მივიდოდა და თან შეაგინა. ლ.მაისურაძემ თანამშრომელს დაუბრუნა მობილური ტელეფონი, თან თავისთვის თქვა - ,,ეს სულ გაგიჟებულაო“ და მანაც შეიგინა.

დაახლოებით 22-23 საათზე ლ.მაისურაძე მასთან ერთად მყოფ პირებთან გოჩა და ზვიად ქისტაურებთან ერთად, ამ უკანასკნელთა კუთვნილი ავტომანქანა ,,ნივით“ დაბა ონიდან ბრუნდებოდა ონის რაიონის სოფ.ქვედაში. გზაში მათი ავტომანქანა იძულებით გააჩერებინა შემხვედრმა ,,ნივამ“, რომელშიც აღმოჩნდა აკაკი მაისურაძე პოლიციის ორ თანამშრომელთან ერთად. სამივე მათგანი შეიარაღებული იყო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით. მათ ლ.მაისურაძე გადაათრიეს ავტომანქანიდან და სცემეს. სცემდა სამივე მათგანი, თუმცა უფრო აქტიურობდა აკაკი მაისურაძე და მასთან მყოფი ერთ-ერთი პირი, რომელიც, როგორც შემდეგში გახდა ცნობილი დაზარალებულისათვის, იყო ანდრია შაუთიძე, პოლიციელი. ლ.მაისურაძის განმარტებით, მას სამივე მათგანი სცემდა ხელებით, ფეხებითა და ავტომატის კონდახებით. ყოველივე ეს გრძელდებოდა დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში. მას ურტყამდნენ თავში, სახეში, ნეკნებში. ასევე ერთ-ერთმა მათგანმა, რომლის დასახელებაც არ შეუძლია, ასწია ფეხებით და მიწაზე დააგდო თავით.

აღნიშნული ფაქტის თვითმხილველები, მამა-შვილი გოჩა და ზვიად ქისტაურები აცხადებენ, რომ 2007 წლის 06 ოქტომბერს, საღამოს, მათი კუთვნილი ავტომანქანა ნივით ონიდან ბრუნდებოდნენ ონის რაიონის სოფ.ქვედაში. მათთან ერთად იყო ლ.მაისურაძეც. დაახლოებით 22:30 საათზე მოპირდაპირე მიმართულებით მოძრავმა მოწითალო ფერის ავტომანქანა ,,ნივამ“ წინა ფარები აანთო და გზა გადაუკეტა. აღნიშნული ავტომანქანიდან გადმოვიდა სამი პირი, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით და ეცვათ სამხედრო ჟილეტები. ისინი მიუახლოვდნენ მის ავტომანქანას. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც იდგა მის ფანჯარასთან, თქვა - ლევანიც აქ ყოფილაო, შემოუარა ავტომანქანას იმ მხარეს, სადაც ლ.მაისურაძე იჯდა, გააღო კარები და მანქანიდან გადაათრია ლ.მაისურაძე. დანარჩენმა ორმა პიროვნებამ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით

გ.ქისტაური და მისი შვილი ზ.ქისტაური გადაიყვანეს ავტომანქანიდან და უბრძანეს - დაწოლილიყვნენ მიწაზე. მათ ასევე მათ შესაშინებლად მოახდინეს ჰაერში რამდენიმე გასროლა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან.

გ.ქისტაური და მისი შვილი დაემორჩილნენ ბრძანებას და დაწვნენ ავტომანქანის მარცხენა მხარეს, თუმცა ვიდრე მიწაზე დაწვებოდნენ, გ.ქისტაურმა დაინახა, რომ პიროვნება, რომელმაც ლ.მაისურაძე გადაათრია ავტომანქანიდან, გამეტებით ურტყამდა მას და აგინებდა. მას შემდეგ, რაც ის და მისი შვილი დაწვნენ მიწაზე, დანარჩენი ორი პიროვნებაც გაემართნენ ლ.მაისურაძისა და მესამე პირისკენ. დაახლოებით 3-5 წუთის განმავლობაში ესმოდათ ლ.მაისურაძის მისამართით დედის გინებისა და ცემის ხმა. შემდეგ მათ მოესმათ ბრძანება - ,,ადექით, წაიყვანეთო". როდესაც ისინი ადგნენ, მისმა შვილმა, ზ.ქისტაურმა დაინახა, რომ ერთ-ერთ თავდამსხმელს ლ.მაისურაძე ფეხებით ჰყავდა აწეული ჰაერში, გაუშვა ხელი და ლ.მაისურაძე თავით დაენარცხა მიწას. ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა თქვა - კარგით, გეყოფათო. შემდეგ თავდამსხმელები ჩასხდნენ ავტომანქანაში და წავიდნენ ონის მიმართულებით.

გ.ქისტაურის განმარტებით, როგორც მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, თავდამსხმელები იყვნენ ონის რაიონის პოლიციის თანამშრომლები, ხოლო ერთ-ერთი მათგანი იყო ონის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე აკაკი მაისურაძე. გოჩა და ზვიად ქისტაურებმა ლ.მაისურაძე უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს ონის რაიონის სოფ.ქვედაში, მისი ძმის, ჯ.მაისურაძის სახლში, სადაც იქ მყოფმა ნათესავებმა და ოჯახის წევრებმა უთხრეს, რომ კ.მაისურაძე და მისი ორი თანამშრომელი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებითა და გინებით შევარდნენ მათ სახლში.

ანალოგიურ ახსნა-განმარტებას იძლევა ზ.ქისტაურიც.
ონის რაიონის სოფ.ქვედაში, ჯემალ მაისურაძის სახლში მყოფი პირების ახსნა-განმარტებების თანახმად, 2007 წლის 06 ოქტომბერს იყო ჯ.მაისურაძის ორმოცი. სუფრის დამთავრების შემდეგ ოჯახის წევრები და მეზობლები იმყოფებოდნენ ეზოში. დაახლოებით 21:00 საათზე გაჩერდა მანქანა, ეზოს კარი ხმაურით გაიღო და ეზოში შევარდა სამი პირი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებითა და ეცვათ ფორმა. სამივე მათგანი იყო მთვრალი. მათ გადატენეს ავტომატები. აღნიშნული პირები იგინებოდნენ ლ.მაისურაძის მისამართით, იმუქრებოდნენ, რომ იგი უნდა მოეკლათ. ბ.მაისურაძე, რომელიც ოჯახის სხვა ახლობლებთან ერთად იყო ეზოში, დაინტერესდა, თუ რა ხდებოდა, რის გამოც შეიარაღებულმა პირებმა მასთან დაიწყეს კამათი და ეკითხებოდნენ ვინაობას. შემდეგ კი ჩაავლეს მკერდზე ხელი და გაათრიეს გარეთ. ხვეწნის შემდეგ აღნიშნული პირები გავიდნენ ეზოდან, ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ, თუმცა, მაინც აცხადებდნენ, რომ მოკლავდნენ ლ.მაისურაძეს. როგორც შემდეგ ეზოში მყოფი ხალხისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული პიროვნებები იყვნენ ონის რაიონის პოლიციის თანამშრომლები, ერთ-ერთი მათგანი კი იყო შს ონის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე კ.მაისურაძე.

2007 წლის 07 ოქტომბერს ონის შს განყოფილებაში წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის #5907049 საქმეზე, ლ.მაისურაძის სხეულის დაზიანების

ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით - ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რისთვისაც მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე. აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ #გ01.11.2007/78 წერილით. ამავე წერილის თანახმად, ეჭვმიტანილად ცნობილ იქნა ონის შს განყოფილების სამი თანამშრომელი. მოგვიანებით ონის შს განყოფილების სამი თანამშრომლის მიერ ჩადენილი ქმედება გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის მე-3 ნაწილზე - ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი ჯგუფურად, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. აღნიშნული კვალიფიკაციით ონის შს განყოფილების თანამშრომელთა ქმედება ისევ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულში ხვდება, მაშინ, როდესაც დაზარალებულ ლ.მაისურაძის ახსნა-განმარტების მიხედვით, მას სამი პირი დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში სცემდა ხელებით, ფეხებითა და ავტომატის კონდახებით სახის, თავისა და გულმკერდის არეში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ონის შს განყოფილების სამი თანამშრომლის მიერ ლ.მაისურაძის მიმართ ჩადენილი ქმედება შეიცავს საქართველოს სსკ-ის 144[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს - წამება, ე.ი. პირისათვის... ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით... იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს... და რომლის მიზანია... პირის დასჯა მის... მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კომენტარების თანახმად, ,,ქმედების ხასიათში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ეს ქმედება **ერთჯერადად** ჩადენის შემთხვევაშიც, როგორც წესი, იწვევს 144[1]-ე მუხლში მითითებული შედეგებიდან ერთ-ერთს. ეს ქმედებები შეიძლება არ გამოირჩეოდეს დიდი ინტენსივობით ან ხანგრძლივობით, მაგრამ ისეთი ხასიათისაა, რომ დაზარალებულში შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი ფიზიკური ტკივილი. ქმედების ინტენსივობაში იგულისხმება ძალადობის ხარისხი და მისი უწყვეტობა. მაგალითად, **ცემა ისეთი ძალით და ისეთ ორგანოებში**, რომელიც ამ ძალადობის შეწყვეტის შემდეგაც ხანგრძლივ ფიზიკურ ტკივილს ტოვებს.

წამების ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

წამებისათვის აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა - პირის დასჯა მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. ეს კი ფაქტობრივად შურისძიების მოტივია.“

სისხლის სამართლის #5907949 საქმეზე წინასწარი გამოძიების მიერ რეაგირების გარეშეა დატოვებული ონის რაიონის შს სამმართველოს პოლიციის სამი თანამშრომლის მიერ ჯ.მაისურაძის კუთვნილ სახლში 2007 წლის 06 ოქტომბერს, საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილითა (ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რაც ისჯება

თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე) და ამავე კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით (ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა ჯგუფურად, რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე) ჩადენილი ქმედებები.

სისხლის სამართლის #5907949 საქმეზე წინასწარი გამოძიება დაიწყო 2007 წლის 07 ოქტომბერს, საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია, დაკითხული არიან დაზარალებული და მოწმეები, ჩატარებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, სამი პიროვნების მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, თუმცა სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად დღემდე არ არის გადაგზავნილი სასამართლოში.

საქმის მწარმოებელი გამომძიებელისა და ზედამხედველი პროკურორის მიერ ზემოაღნიშნული ქმედებების მსუბუქი მუხლით დაკვალიფიცირება შეიცავს სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ვინაიდან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირები არ დაისჯებიან მათ მიერ ჩადენილი ქმედების მიხედვით. მათ მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის თანახმად, ,,გამომძიებელი, პროკურორი..., რომლებიც მოქმედებენ **საჯარო ინტერესების** გათვალისწინებით, **ვალდებულნი არიან დაადგინონ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი...**"

გარდა ამისა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არაერთ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, როდესაც სათანადოდ არ იქნა გამოძიებული წამების ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა დაზარალებულ ლ.მაისურაძისა და სხვა პირების ახსნა-განმარტებების ასლები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს გენერალური პროკურატურის პირველ მოადგილეს, გიორგი ლაცაბიძესა და საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს, თინათინ გოლეთიანს გაუგზავნა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის #გ07.03.2008/108 წერილით საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ სისხლის სამართლის #5907049 საქმეზე დაზარალებულად ცნობილ იქნა და დაიკითხა ლევან მაისურაძე; დაიკითხნენ მოწმეები; დაინიშნა და ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის მიხედვით, დაზარალებულ ლევან მაისურაძეს მიღებული აქვს სხეული ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება; ჩატარდა დათვალიერება; ამოღებულ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. საქმეზე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი აკაკი მაისურაძე, ანდრია შაუთიძე და პაატა წეროძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

118-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მითითებული პირები დათხოვილ იქნენ შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. ამჟამად საქმეზე გრძელდება გამოძიება. საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა დეტალის დასადგენად ტარდება სათანადო საგამოძიებო მოქმედებები მხარეთა მონაწილეობით. როგორც ბრალდებულთა, ასევე დაზარალებულის ინტერესებს იცავენ შეთანხმების წესით მოწვეული ადვოკატები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2008 წლის 14 მარტის #321/03-5 წერილით საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის 28 იანვრის #92/03-5 წერილში მითითებული გარემოებების შესახებ, რაზეც პასუხი სახალხო დამცველს ჯერ არ მიუღია.

მერაბ ნიჟარაძის საქმე

2008 წლის 25 მარტს, სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.ქუთაისის #2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, სადაც მათ დაათვალიერეს კარცერის ყველა საკანი. აღნიშნულ დროს კარცერში მოთავსებული იყო ექვსი პატიმარი, მათგან ერთ–ერთ პატიმარს – მერაბ ნიჟარაძეს - სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა–განმარტება ჩამოართვეს პატიმარ მ.ნიჟარაძეს. მისი განმარტებით, 2008 წლის 22 მარტს იგი შინაგანაწესის დარღვევისთვის მოათავსეს კარცერში. მეორე დღეს საპყრობილის თანამშრომელმა (სავარაუდოდ მამუკა ვარდოსანიძემ) იგი გაიყვანა საპყრობილის ადმინისტრაციის ერთ–ერთ ოთახში, სადაც მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. კერძოდ, 5 წუთის განმავლობაში მუშტს ურტყამდა თავის არეში და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. მ.ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ მ.ვარდოსანიძემ მას სათვალე წაართვა, რომლის გარეშეც პატიმარს შეზღუდული აქვს მხედველობა. ასევე სახეში შეაფურთხა, რის შემდეგაც მ.ნიჟარაძემ პროტესტის ნიშნად მიიყენა თვითდაზიანება.

მსჯავრდებული მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის შემდეგ დაწესებულების ერთ–ერთმა თანამშრომელმა მომხდარის გახმაურებისაგან თავის შეკავება ურჩია.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე–3 მუხლი კრძალავს ადამიანის ღირსების შემლახავ მოპყრობას და დასჯის სხვა არაადამიანურ და დამამცირებელ ფორმებს. პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებებს ასევე განსაზღვრავს „პატიმრებთან მოპყრობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური წესი“. მართალია, აღნიშნული წესი ითვალისწინებს დისციპლინის და წესრიგის მკაცრად დაცვას, მაგრამ არა იმაზე

მეტად, ვიდრე ეს უსაფრთხოებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოწესრიგებული საზოგადოებრივი თანაცხოვრებისათვის არის საჭირო.

მიმაჩნია, რომ ქ.ქუთაისი #2 დაწესებულების თანამშრომლების ქმედებაში იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3–ე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

სახალხო დამცველმა მსჯავრდებული მერაბ ნიჟარაძის ახსნა–განმარტება 2008 წლის 10 აპრილს შემდგომი რეაგირებისთვის გენერალური პროკურატურის პირველ მოადგილესა და საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გაუგზავნა.

2008 წლის 20 აპრილს მიღებული პასუხის თანახმად, 2008 წლის 3 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დასავლეთის საგამოძიებო განყოფილებაში დაიწყო გამოძიება მ.ნიჟარაძის დამცირების, არაადამიანური მოპყრობის, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული 144^3–ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა" და ,,ბ" პუნქტებით.

გოჩა ცქიტიშვილის, აკაკი ხმალაძის, გიორგი ხალოევისა და შალვა ყორღანაშვილის საქმე

2008 წლის 26 აპრილს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ქ.მცხეთის პოლიციის სამმართველოში, სადაც გაესაუბრა და ახსნა-განმარტებები ჩამოართვა ამავე დღეს ზაჰესში დაკავებულ პირებს გოჩა ცქიტიშვილს, აკაკი ხმალაძეს, გიორგი ხალოევსა და შალვა ყორღანაშვილს. ამ უკანასკნელთა განმარტებით, პოლიციამ დაკავების დროს მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გოჩა ცქიტიშვილის განმარტებით, 2008 წლის 26 აპრილს თავის მეგობრებთან-გიორგი ხალოევთან და გიორგი ყორღანაშვილთან ერთად თამაშობდა ბილიარდს ზაჰესში, საბავშვო ბაღის გვერდით არსებულ საბილიარდოში. დაახლოებით 2 საათის შემდეგ მათ გადაწყვიტეს სახლში წასვლა, გამოვიდნენ გარეთ, მათთან ერთად გამოვიდა აკაკი ხმალაძეც. ცოტა ხანში მათ ახლოს გაჩერდა ავტომანქანა, რომელშიც იჯდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ორი პიროვნება. ერთ–ერთმა ჰკითხა მათ, იყვნენ თუ არა ისინი იმ უბნელები, რის შემდეგაც დაინტერესდა მათი გვარებით, ხოლო მეორე მიუახლოვდა გ.ცქიტიშვილს, მოკიდა ხელი, თან დაიწყო ტელეფონზე საუბარი, რა დროსაც ახსენა „ლურჯი მაისური". ლურჯი მაისური გ.ცქიტიშვილს ეცვა. აღნიშნულის შემდეგ მან გ.ცქიტიშვილს დაუწყო ცემა და გინება, კერძოდ, სახეში ურტყამდა გაშლილ ხელს. გ.ცქიტიშვილმა მას პოლიციელის მოწმობის წარმოდგენა მოსთხოვა, რის პასუხადაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიიღო. აღნიშნულ ფაქტს შეესწრნენ რეზო ლომიძე, მისი მეგობრის დედა, გვარად მეტრეველი, ასევე, სხვა პირები. შემდეგ, გ.ცქიტიშვილის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა პიროვნებამ ამოიღო იარაღი, დაუმიზნა მას თავის არეში და დაემუქრა, რომ ესროდა და შუბლს გაუხვრეტდა. გ.ცქიტიშვილს შეეშინდა და ხელი ჰკრა მოძალადეს. მოვიდნენ ფორმიანი პოლიციელები, რომლებთანაც მივიდა გ.ცქიტიშვილი და აუხსნა საქმის

ვითარება. ერთ-ერთმა პოლიციელმა ამოიღო იარაღი და ცქიტიშვილი ძალის გამოყენებით ჩასვა ავტომანქანაში, რომელშიც მისი მეგობრებიც ჩასვეს. ისინი წაიყვანეს მცხეთის პოლიციის სამმართველოში. გ.ცქიტიშვილი აღნიშნავს, რომ ავტომანქანაში გრძელდებოდა მისი ცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მან სთხოვა პოლიციელებს, მიეცათ დარეკვის საშუალება, რათა შეეტყობინებინა ახლობლებისათვის დაკავების შესახებ. მას უარი უთხრეს. სამმართველოში მიყვანის შემდეგ მათ ჩაუტარეს ჩხრეკა, რა დროსაც გრძელდებოდა სუყველას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ჩხრეკის დამთავრების შემდეგ კი ისინი დააცალკევეს. აღნიშნულის შემდეგ მეგობრები აღარ უნახავს. გ.ცქიტიშვილის მითითებით, ის ორი პოლიციელი, რომლებმაც ისინი ქუჩაში გააჩერეს, სავარაუდოდ იყვნენ ნასვამ მდგომარეობაში და მათი ამოცნობა შეუძლია. გ.ცქიტიშვილი აღნიშნავს, რომ არაფერი იცის ყაჩაღობის შესახებ, რომლის ჩადენაშიც სდებენ ბრალს. ასევე აღნიშნავს, რომ დაკავების დროს არც მას და არც მის მეგობრებს პოლიციის თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

აკაკი ხმალაძის განმარტებით, 2008 წლის 26 აპრილს, 17 საათიდან 18 საათამდე შუალედში იგი იმყოფებოდა საკუთარ სახლში, რა დროსაც გადაწყვიტა მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად ჩასვლა. გზაში შეხვდნენ მეგობრები გიორგი ხალოევი, გოჩა ცქიტიშვილი, შაკო ყორღანაშვილი და გიორგი ჩოხელი. ამ დროს მათ სიახლოვეს გაჩერდა მწვანე ფერის ავტომანქანა, რომლიდანაც გადმოვიდა ორი პიროვნება, სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში. აღნიშნულ პირებს არანაირი დოკუმენტი არ წარმოუდგენიათ. ერთ–ერთმა მათგანმა ხელი მოჰკიდა გოჩა ცქიტიშვილს და უთხრა, წაჰყოლოდა. ეს უკანასკნელი შეეცადა, გაერკვია მისი ვინაობა და მოსთხოვა საბუთის წარმოდგენა. აღნიშნულმა პიროვნებამ გ.ცქიტიშვილს სახეში გაარტყა ხელი, რის შემდეგაც დაიწყო ტელეფონზე საუბარი. ა.ხმალაძის განმარტებით, მეორე პიროვნებამ მას და მის ერთ–ერთ მეგობარს მკლავებში მოჰკიდა ხელი. ა.ხმალაძე შეეცადა გაერკვია, რა ხდებოდა, რაზეც აღნიშნულმა პირმა უპასუხა, რომ ყველაფერი გაირკვეოდა. ამ დროს მივიდა კიდევ 5–6 პოლიციელი, რის შემდეგაც ა.ხმალაძე და მისი მეგობრები ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს მცხეთის პოლიციის სამმართველოში, სადაც გაგრძელდა მათზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცემა და გინება. ა.ხმალაძის მითითებით სამმართველოში ერთ–ერთმა პოლიციელმა მას შესთავაზა, ეღიარებინა დანაშაული, კერძოდ კი, 26 აპრილს ქვის მონასტერთან მომხდარი ყაჩაღობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ 20 წლის გატარება მოუწევდა ციხეში. აღნიშნულზე ა.ხმალაძემ უპასუხა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ყაჩაღობაზე იყო საუბარი. იგი გაიყვანეს სხვა ოთახში, სადაც იმყოფებოდა 3–4 პოლიციელი, რომლებმაც დაცინვა დაუწყეს. ერთ–ერთი პოლიციელი მას გაუპატიურებით დაემუქრა, თუ იგი დანაშაულს არ აღიარებდა, მიუახლოვდა მას და სქესობრივი კავშირის იმიტაცია გააკეთა. შემდგომ ოთახში მყოფმა პოლიციელებმა ა.ხმალაძეს კვლავ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ეს უკანასკნელი განმარტავს, რომ შეუძლია იმ ორი პოლიციელის ამოცნობა, რომლებიც მათთან თავდაპირველად მივიდნენ მწვანე ფერის ავტომანქანით, ასევე აღნიშნავს, რომ მათ დაკავებას შეესწრნენ მათივე მეზობლები და ახლობლები, რომელთაც კარგად დაინახეს, როგორ აყენებდნენ პოლიციელები ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას როგორც ა.ხმალაძეს, ასევე მის მეგობრებს.

გიორგი ხალოევმა განმარტა, რომ 2008 წლის 26 აპრილს თავის მეგობარ შალვა

ყორღანაშვილთან ერთად იმყოფებოდა ზაჰესში მდებარე საბილიარდოში. თამაშის დამთავრების შემდეგ შალვა ყორღანაშვილი გოჩა ცქიტიშვილთან ერთად გარეთ გავიდა. დაახლოებით 3 წუთში გ.ხალოევი გ.ჩოხელთან ერთად გავიდა საბილიარდოდან და დაინახა თავისი და, ნინო ხალოევი და მისი მეგობრები, რომლებიც ტიროდნენ. მათ დაუძახეს გ.ხალოევსა და შ.ყორღანაშვილს და უთხრეს, რომ ,,ცქიტიშვილს და ბიჭებს ურტყამენო". მათ დაინახეს, რომ „ერთ მელოტ და მსუქან პიროვნებას" მკლავები ჰქონდა გაყრილი შ.ყორღანაშვილისა და ა.ხმალაძისთვის, ხოლო მეორე პიროვნებას ხელით ეჭირა გოჩა ცქიტიშვილი, რომელიც სთხოვდა, რომ გაეშვა მისთვის ხელი და ეკითხებოდა, თუ რატომ დაარტყა. გ.ცქიტიშვილმა გ.ხალოევს მიაწოდა თავისი მობილური ტელეფონი და სთხოვა, დაერეკა ბიძამისისთვის. ამ დროს მოვიდა კიდევ რამდენიმე პოლიციელი. რომლებმაც დააკავეს გ.ხალოევი და მისი მეგობრები, ჩასვეს მწვანე ფერის ავტომანქანაში და წაიყვანეს მცხეთის პოლიციის სამმართველოში. გ.ხალოევის განმარტებით, როგორც მასზე, ასევე მის მეგობრებზე პოლიციის მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ხორციელდებოდა როგორც დაკავებისას, ასევე სამმართველოში მიყვანის შემდეგ. მისივე განმარტებით, სამმართველოში მათ ჩაუტარეს ჩხრეკა, რის შემდეგაც გაიყვანეს ცალ–ცალკე ოთახებში. იქ კვლავ გაგრძელდა გ.ხალოევზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. იგი მიუთითებს, რომ შეუძლია რამდენიმე პოლიციელის ამოცნობა. ასევე განმარტავს, რომ დაკავების ფაქტს შეესწრნენ მათი მეზობლები და ახლობლები. გ.ხალოევის განმარტებით, დაკავების დროს არც მას და არც მის მეგობრებს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

შალვა ყორღანაშვილის განმარტებით, 2008 წლის 26 აპრილს, დაახლოებით 18 საათისთვის, თავის მეგობართან, გიორგი ხალოევთან ერთად იმყოფებოდა ზაჰესში არსებულ საბილიარდოში, საიდანაც დაახლოებით ერთ საათში წამოვიდა გოჩა ცქიტიშვილთან და აკაკი ხმალაძესთან ერთად. გ.ხალოევი დარჩა საბილიარდოში და შემდეგ გზაში დაეწია მათ. შ.ყორღანაშვილის განმარტებით, საბილიარდოსა და მისი კორპუსის გზაზე, დაახლოებით შუაში, მათ წინ გაჩერდა მწვანე ფერის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა ორი პიროვნება. მათ არ ეცვათ პოლიციის ფორმა და არც რაიმე საბუთი წარმოუდგენიათ. აღნიშნულმა პირებმა მათ გამოჰკითხეს მისამართი და გვარები, რის შემდეგაც ერთ-ერთმა მათგანმა მკლავში ხელი მოჰკიდა შ.ყორღანაშვილსა და ა.ხმალაძეს, ხოლო მეორემ – გ.ცქიტიშვილს. ამ უკანასკნელმა გააპროტესტა აღნიშნული და მოითხოვა, რომ მისთვის წარედგინათ პოლიციელის მოწმობა. გ.ცქიტიშვილის მოთხოვნის პასუხად, მასთან მყოფმა პიროვნებამ მას თავში გაშლილი ხელი ჩაარტყა, რის შემდეგაც ამოიღო იარაღი და დაუმიზნა. ამ დროს მოვიდნენ სხვა პოლიციელებიც, რომლებმაც შ.ყორღანაშვილი, გ.ცქიტიშვილი, გ.ხალოევი, ა.ხმალაძე და გ.ჩოხელი ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს მცხეთის პოლიციის სამმართველოში. შ.ყორღანაშვილის განმარტებით, დაკავების ფაქტს შეესწრნენ მათი მეზობლები და ახლობლები. მისივე განმარტებით, როგორც დაკავების დროს, ასევე ავტომანქანაში მათ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. იგი ასევე აღნიშნავს, რომ მათთვის არავის განუმარტავს, თუ რატომ აკავებდნენ. პოლიციაში მიყვანის შემდეგ ისევ გაგრძელდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. მას შემდეგ კი, რაც ჩაუტარეს ჩხრეკა, შ.ყორღანაშვილი და მისი მეგობრები გაიყვანეს ცალ-ცალკე ოთახებში. შ.ყორღანაშვილი აღნიშნავს, რომ მასთან მივიდა ერთ-ერთი პოლიციელი, რომელმაც შესთავაზა, ეღიარებინა

დანაშაული, კერძოდ, ყაჩაღობა, რაზეც შ.ყორღანაშვილმა უპასუხა, რომ არაფერი იცოდა აღნიშნულის შესახებ. იგი აცხადებს, რომ შეუძლია რამდენიმე პოლიციელის ამოცნობა, რომლებმაც მას და მის მეგობრებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. შ.ყორღანაშვილი განმარტავს, რომ პოლიციელი, რომელმაც იგი დააკავა, სავარაუდოდ იყო ნასვამ მდგომარეობაში. ასევე აღნიშნავს, რომ არის უდანაშაულო და მას ყაჩაღობაში მონაწილეობა არ მიუღია.

ზაქარია ცქიტიშვილის განმარტებით, 2008 წლის 26 აპრილს მას დაურეკა მეზობელმა ინგა ლომიძემ და უთხრა, რომ მის შვილიშვილს სცემდნენ. ზ.ცქიტიშვილი დაუყოვნებლივ ჩავიდა ეზოში, სადაც დახვდა ორი ავტომობილი და რამდენიმე პიროვნება, რომლებიდანაც ერთს ეცვა პოლიციის ფორმა, ხოლო დანარჩენები სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ. ცქიტიშვილის კითხვაზე, თუ რა ხდებოდა და სად იყო მისი შვილიშვილი, ფორმიანმა პოლიციელმა უცენზურო სიტყვით მოიხსენია, ხელი აუქნია, დაქოქა ავტომობილი და წავიდა. შემდეგ მცხეთის პოლიციაში ადვოკატმა მოინახულა გ.ცქიტიშვილი და განაცხადა, რომ მის მიმართ პოლიციას არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა და მას გამოუშვებდნენ. 2008 წლის 1 მაისს, გ.ცქიტიშვილს და მასთან ერთად დაკავებულ პირებს აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრება შეეფარდათ.

ნინო ხალოევის განმარტებით, 2008 წლის 26 აპრილს იგი თავის მეგობრებთან, ქეთი მენაბდიშვილთან და ნინო ახალაძესთან ერთად იმყოფებოდა ზაჰესში მდებარე საბილიარდოს მიმდებარე ტერიტორიაზე. დაახლოებით 19:15 საათზე მათ გზაში შეხვდნენ შალვა ყორღანაშვილი, გოჩა ცქიტიშვილი და აკაკი ხმალაძე. ამ დროს მათთან მივიდა მწვანე ფერის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა სამი პიროვნება. ერთ-ერთი მათგანი მივიდა გ.ცქიტიშვილთან და ხელი მოჰკიდა, შემდეგ ამოიღო ტელეფონი. საუბრისას „ლურჯი მაისური" ახსენა, რის შემდეგაც ტელეფონი ისევ ჩაიდო ჯიბეში და გ.ცქიტიშვილს უბრძანა, ჩამჯდარიყო ავტომანქანაში. გ.ცქიტიშვილმა მას საბუთის წარმოდგენა მოსთხოვა, რაზეც აღნიშნულმა პიროვნებამ სახეში გაარტყა ხელი. მასთან ერთად მოსული ორი უცხო პიროვნება მივიდა შ.ყორღანაშვილთან და ა.ხმალაძესთან და ხელი მოჰკიდა მათ. გ.ცქიტიშვილთან მყოფმა პიროვნებამ ისევ სცადა მისი ავტომანქანაში ჩასმა, რაზეც ამ უკანასკნელმა ისევ მოსთხოვა, წარმოედგინა საბუთები და აეხსნა მისთვის, რატომ უნდა ჩამჯდარიყო ავტომანქანაში. პასუხად უცხო პიროვნებამ ამოიღო იარაღი და სახეში ჩაარტყა გ.ცქიტიშვილს. ამ დროს შემთხვევის ადგილზე მოგროვდა ხალხი, მათ შორის იყვნენ ცქიტიშვილის მეზობლებიც. პიროვნებამ, რომელიც გ.ცქიტიშვილის ავტომანქანაში ჩასმას ცდილობდა, იგი ძირს დააწვინა, იარაღი კი ხალხს მიუშვირა და გინებით მიმართა, რომ ახლოს არავინ მისულიყო. ნ.ხალოევის განმარტებით, ამ დროს შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ მისი ძმა გიორგი ხალოევი და ამ უკანასკნელის მეგობარი გიორგი ჩოხელი. ზემოაღნიშნულმა, როგორც შემდეგ გაირკვა, პოლიციელებმა ავტომანქანაში ჩასვეს შალვა ყორღანაშვილი, აკაკი ხმალაძე, გიორგი ჩოხელი და გიორგი ხალოევი, ბოლოს კი გ.ცქიტიშვილი, რომელსაც ცემის შედეგად სისხლი სდიოდა. ნ.ხალოევის განმარტებით, გ.ხალოევმა მას უთხრა, რომ შალვა ყორღანაშვილის მამისთვის დაეძახა. სანამ დაკავებულებს წაიყვანდნენ, ნინო ხალოევი მივიდა ავტომანქანასთან, რა დროსაც ერთ-ერთმა პოლიციელმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ზემოაღნიშნული პირები იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულები. მათ არ წარმოუდგენიათ არანაირი დოკუმენტები და,

სავარაუდოდ, იყვნენ ნასვამ მდგომარეობაში.

ქეთევან მენაბდიშვილის განამარტებით, 26 აპრილს იგი თავის მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ზაჰესში მდებარე საბილიარდოს მიმდებარე ტერიტორიაზე. დაახლოებით 19:15 საათზე, საბილიარდოდან გამოვიდნენ შალვა ყორღანაშვილი, აკაკი ხმალაძე და გოჩა ცქიტიშვილი, რომლებიც აპირებდნენ ეკლესიაში წასვლას. ამ დროს მათთან მივიდა მწვანე ფერის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა სამი პიროვნება. ერთ-ერთი მათგანი მივიდა გ.ცქიტიშვილთან, მოჰკიდა ხელი, რის შემდეგაც ამოიღო მობილური ტელეფონი. ტელეფონზე საუბრისას მან ახსენა „ლურჯი მაისური“. აღნიშნულის შემდეგ მან გ.ცქიტიშვილს უბრძანა, ავტომანქანაში ჩამჯდარიყო. გ.ცქიტიშვილმა მისგან საბუთების წარმოდგენა მოითხოვა, რაზეც ზემოაღნიშნულმა პიროვნებამ მას ხელი გაარტყა. გ.ცქიტიშვილმა კვლავ მოითხოვა, წარმოედგინათ მისთვის საბუთები, რის შემდეგაც პიროვნებამ, რომელსაც არც პოლიციის ფორმა ეცვა და არც არანაირი საბუთი არ წარმოუდგენია, ამოიღო იარაღი და გაარტყა სახეში. გ.ცქიტიშვილს ტუჩიდან სისხლი წამოუვიდა. ამის შემდეგ უცნობმა პიროვნებამ გ.ცქიტიშვილი ძირს დააწვინა, იარაღი კი იქვე მყოფ ხალხს მიუშვირა და გინებით მიმართა, რომ ახლოს არავინ მისულიყო. შემდეგ იარაღის მუქარით წამოაყენა გ.ცქიტიშვილი და ძალის გამოყენებით ჩასვა ავტომანქანაში. გ.ცქიტიშვილის დაკავების დროს შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ გიორგი ხალოევი და გიორგი ჩოხელი, რომლებიც შალვა ყორღანაშვილთან და აკაკი ხმალაძესთან ერთად ჩასვეს იმავე ავტომანქანაში. დაახლოებით 10 წუთში შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ ზაჰესის პოლიციის თანამშრომლები. მას შემდეგ, რაც შეიტყვეს მომხდარის შესახებ, მათ განაცხადეს, რომ მათი განყოფილების თანამშრომლებს აღნიშნულ დაკავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ და მათ არ იცოდნენ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მწვანე ავტომანქანით მოსული უცხო პიროვნებები. ქ.მენაბდიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ ის სამი პიროვნება, რომლებიც დაკავებაში იღებდნენ მონაწილეობას, სავარაუდოდ იყვნენ ნასვამ მდგომარეობაში, მათ არ ეცვათ პოლიციის ფორმა და არც რაიმე დოკუმენტი წარმოუდგენიათ.

ვიქტორია კასპარევიჩის განმარტებით, 26 აპრილს, საღამოს საათებში, იგი იმყოფებოდა სახლში, რა დროსაც მასთან მივიდა მეზობელი ხალოევი ნინო, რომელმაც უთხრა, რომ დაბლა ეზოში სცემდნენ მათ მეზობელ ბავშვებს და სადღაც მიჰყავდათ. ვ.კასპარევიჩის განმარტებით, მან დაურეკა მეზობელს, რომლის შვილიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და მასთან ერთად წავიდა ზაჰესის პოლიციაში. პოლიციაში მისულებს უთხრეს, რომ მათ არავინ დაუკავებიათ და არაფერი იციან მომხდარის შესახებ. დაახლოებით 15-20 წუთში ვ.კასპარევიჩს დაურეკა პოლიციის თანამშრომელმა და უთხრა, რომ დაკავებულები წაიყვანეს ქ.მცხეთის სამმართველოში.

ინგა ლომიძის განმარტებით, 26 აპრილს, დაახლოებით 7 საათსა და 15 წუთზე, იგი სახლთან ახლოს მდებარე მაღაზიაში გავიდა. როდესაც სახლში ბრუნდებოდა, დაინახა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ორი უცხო პიროვნება, რომლებიც სცემდნენ მის მეზობელ გოჩა ცქიტიშვილს. ამ უკანასკნელს თავზე ხელი ჰქონდა აფარებული და ეკითხებოდა, „ვინ ხართ და რა გინდათო?“ ი.ლომიძე აღნიშნავს, რომ იგი შევიდა სახლში და თავის მეუღლეს რევაზ ლომიძეს უთხრა, რომ უცხო პირები გ.ცქიტიშვილს სცემდნენ. რ.ლომიძე გავიდა გარეთ, ხოლო ი.ლომიძემ დაურეკა

გ.ცქიტიშვილის ბაბუას და შეატყობინა აღნიშნული ფაქტი. შემდეგ ისიც გავიდა სახლიდან და დაინახა, რომ ხალხი იყო შეკრებილი. ერთ-ერთ პიროვნებას გ.ცქიტიშვილისთვის ხელი ჰქონდა წაჭერილი ყელზე, თან ყვიროდა, „არ მომიახლოვდეთ, გესვრით“ და იარაღს ხალხისკენ იშვერდა, პერიოდულად კი გ.ცქიტიშვილს ურტყამდა. იქვე იდგა მწვანე ფერის ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ ხმალაძე, ყორღანაშვილი და ხალოევი. როდესაც ჩოხელი მივიდა და იკითხა, რა ხდებოდა, მასაც მოჰკიდეს ხელი და ჩასვეს ავტომანქანაში. ხალხი ცდილობდა გაერკვია, ვინ იყვნენ აღნიშნული პირები და სად მიჰყავდათ დაკავებულები, თუმცა პასუხად უცნობები აგინებდნენ, იარაღით ემუქრებოდნენ და ამბობდნენ, რომ ისინი დაკავებულები იყვნენ. ი.ლომიძის განმარტებით, გ.ცქიტიშვილი ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს. დაახლოებით 10 წუთში შემთხვევის ადგილზე მივიდნენ ზაჰესის პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ცდილობდნენ გაერკვიათ, რა მოხდა.

გიორგი ხალოევს ზურგის არეში, მარჯვენა ბეჭის ქვემოთ, აღენიშნებოდა წითელი ფერის მცირე ნაჭდევი; აკაკი ხმალაძეს ვიზუალურად დაზიანებები არ აღენიშნებოდა, თუმცა სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბრისას აღნიშნა, რომ სტკიოდა თავი, ზურგი და მარჯვენა ნეკნის არე; გ.ცქიტიშვილს ზურგზე აღენიშნებოდა მცირე ზომის ექსკორაციები და ზედა ტუჩის შიდა მხარეს მცირე ზომის სისხლნაჟღენთი, იგი ასევე მიუთითებდა, რომ აწუხებდა ტუჩის და მხრის ტკივილი; შ.ყორღანაშვილმა აღნიშნა, რომ სტკიოდა მარჯვენა მხარე ნეკნებთან, ვიზუალურად კეფის არეში აღენიშნებოდა მცირე ზომის შეშუპება (კოპი).

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პოლიციის თანამშრომლების ქმედებები შეიცავს სსკ–ის 144^3–ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეში ,,კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ იმგვარი მოპყრობა, რომელიც მსხვერპლში შიშს, დამცირებასა და გაურკვევლობას იწვევს, უნდა შეფასდეს, როგორც დამამცირებელი.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს გენერალურ პროკურორის პირველ მოადგილეს და საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გაუგზავნა.

2008 წლის 16 ივნისს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, 2002 წლის 19 მაისს ქ.თბილისისი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სს #010088123 საქმეზე, მცხეთის პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 333–ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით.

ირაკლი ბელოვის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები 2007 წლის 05 ოქტომბერს ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორში შეხვდნენ დაკავებულ ი.ბელოვს, რომელმაც მათ საუბრისას მიუთითა, რომ მოთხოვნის მიუხედავად, არც დაკავების დროს და არც შემდეგ მისთვის დაკავების საფუძველი და შესაბამისი უფლებები არ განუმარტავთ. გარდა ამისა, დაკავებისას მასზე განხორციელდა ფიზიკური ზემოქმედება, რის გამოც მან მიიღო სხეულის დაზიანება. ასევე, არ დაკმაყოფილდა ი.ბელოვის მოთხოვნა სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2008 წლის 14 იანვრის #81/03-5/1365-07 წერილით აჭარის ა/რ პროკურატურას გაეგზავნა მასალები შემდგომი რეაგირებისათვის ი.ბელოვის დაკავებისას პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.

აჭარის ა/რ პროკურატურის #გ28.01.2008/32 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ შეისწავლეს წერილში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები, რის დასადგენადაც გამოკითხეს ი.ბელოვი. მან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი: 2007 წლის 04 ოქტომბერს იმყოფებოდა ქ.ბათუმში წერეთლის ქუჩაზე, ე.წ. თბილისის მოედანზე. ის მუშაობის მიზნით აპირებდა თურქეთის რესპუბლიკაში გამგზავრებას და უნდოდა ორი შეკვრა (ბლოკი) სიგარეტის ,,ასტრას" შეძენა, რადგანაც ხსენებულ ადგილას სიგარეტები იყიდებოდა საბითუმო ფასებში. სიგარეტების გამყიდველს დაუწყო ვაჭრობა სიგარეტის ფასზე. ის იყო საკმაოდ ნასვამი, სიგარეტის ყიდვისას სარგებლობდა უწმაწური სიტყვებით, რის შესახებაც მის უკან მდგომმა მისთვის უცნობმა ქალბატონმა მისცა შენიშვნა. პასუხად მიუგო, რომ ქალბატონს ეს არ ეხებოდა. ქალბატონს არ ესიამოვნა მისი პასუხი და ხელი გაარტყა. აღნიშნულის გამო შეიქმნა ხმაური, გაწევ-გამოწევა, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში, რა დროსაც გვერდით ამოუდგნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მისთვის უცნობი პიროვნებები და მანქანაში ჩაჯდომა უბრძანეს. კითხვაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი, უპასუხეს, რომ იყვნენ პოლიციელები და ვითარების გასარკვევად მათ იგი პოლიციის ქვეგანყოფილებაში უნდა გადაეყვანათ.

ი.ბელოვმა წაყვანისას გაუწია მათ წინააღმდეგობა, რა დროსაც მიიღო სხეულის დაზიანება. უშუალოდ პოლიციელებმა გაარტყეს თუ არა ხელი, არ ახსოვს, რადგან იყო ნასვამი. მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, მაინც გადაიყვანეს ქ.ბათუმის პოლიციის #3 ქვეგანყოფილებაში. მან დაკავების ოქმზე ხელი არ მოაწერა, რაც იმით ახსნა, რომ იყო ნასვამ მდგომარეობაში, აღელვებული და არ შეეძლო ხელნაწერი ტექსტის აღქმა. პოლიციის ქვეგანყოფილებაში იგინებოდა პოლიციის მისამართით და ითხოვდა ხელბორკილის მოხსნას. იქ იმ დროს იმყოფებოდა სახალხო დამცველის რწმუნებული; თუ როგორ აღმოჩნდა იქ სახალხო დამცველის რწმუნებული, მისთვის უცნობია. მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ხსენებული პიროვნება იყო სახალხო დამცველის რწმუნებული, მოუბოდიშა აღნიშნული ქცევის გამო. ამის შემდეგ ის გადაიყვანეს ქ.ბათუმის #1 დროებითი მოთავსების იზოლატორში.

მას იზოლატორის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა. იზოლატორში ყოფნის დროს იზოლატორის თანამშრომლებმა გამოიძახეს სასწრაფო დახმარება და, შესაბამისად, მას გაუწიეს სამედიცინო დახმარება. იზოლატორში ყოფნისას ი.ბელოვი

ხმამაღლა იგინებოდა იმ პოლიციელის მისამართით, რომელმაც დააკავა და ეს გინება რამდენიმე საათს გრძელდებოდა.

დაკავებიდან მეორე დღეს ი.ბელოვი დაკითხეს, მონაწილეობდნენ ადვოკატი და თარჯიმანიც. ი.ბელოვმა დასმულ კითხვებზე უპასუხა, რომ პოლიციელების მიმართ, რომლებმაც ის დააკავეს, არანაირი პრეტენზია არ აქვს, რომ საპროცესო შეთანხმება, რომელიც გაფორმდა მასთან 2008 წლის 18 იანვარს, დაიდო ნებაყოფლობის საფუძველზე, ადვოკატთან იურიდიული კონსულტაციის მიღების შემდეგ, ყოველგვარი დაშინებისა და მოტყუების გარეშე. მან სრულად აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, ანუ ხულიგნობის ფაქტი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით. მან განაცხადა, რომ მისი საუბარი საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას, კერძოდ: დაკავების დროს და დაკავების შემდეგ დაკავების საფუძვლის და შესაბამისი უფლებების განმარტება, დაკავებისას მასზე განხორციელებული ფიზიკური ზემოქმედება, რის გამოც მან მიიღო სხეულის დაზიანება, ასევე სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. გამოკითხვის დროს ი.ბელოვის მიერ დაფიქსირებული გარემოებები არ გამომდინარეობდა ვინმეს მხრიდან მუქარის ან შიშის ფაქტორიდან და რაც განმარტა ყოველივე სიმართლეს შეესაბამება.

ამავე წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ხსენებულ მიმართვას თანდართულ მასალებთან ერთად ვერ მიეცემა შემდგომი სათანადო რეაგირება, რადგანაც, მასში მოყვანილი გარემოებების შესწავლისას არ შეინიშნება საქართველოს სსსკ-ის 263-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობები.

ზემოაღნიშნული ქმედებით აჭარის ა/რ პროკურატურის განყოფილების პროკურორის მ.ქობულაძის მიერ დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 261-ე და 263-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ, 261-ე მუხლის თანახმად, ,,დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, **პროკურორი**, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, **ვალდებულნი არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება...**" ხოლო ამავე კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამომძიებელს მიაწოდეს ფიზიკურმა ანდა იურიდიულმა პირმა, სახელმწიფო ან თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა, თანამდებობის პირმა... ''

აჭარის ა/რ პროკურატურის განყოფილების პროკურორმა მ.ქობულაძემ უგულებელყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მოთხოვნები დანაშაულის შესახებ ცნობების მიღების შემთხვევაში წინასწარი გამოძიების დაწყების ვალდებულების შესახებ და მან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი მოქმედებით, <u>„გამოკითხვით"</u> ,,დაადგინა" დანაშაულის ნიშნების არარსებობა და ი.ბელოვის <u>„გამოკითხვის ოქმის"</u> საფუძველზე არ მისცა შესაბამისი რეაგირება და არ დაიწყო წინასწარი გამოძიება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2008

წლის 14 იანვრის #81/03-5/1965-07 წერილით მიწოდებულ ცნობებზე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ფაქტზე.

აჭარის ა/რ პროკურატურის განყოფილების პროკურორმა მ.ქობულაძემ წინასწარი გამოძიების დაწყების ვალდებულების შეუსრულებლობით ასევე დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის თანახმადაც, ,,არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი.“

როინ შავაძის საქმე

2008 წლის 27 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს გარდაცვლილი როინ შავაძის მეუღლეს ქალბატონ ციცინო შავაძეს.

მისი განმარტებით, როინ შავაძე წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ადგილას, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის პირად დაცვაში, კერძო ობიექტების დაცვის სამსახურში, ადლიის სამხედრო ბაზაზე, 2004 წლიდან – კომანდოს ბატალიონში (ქუთაისის სამხედრო ბაზა, ერაყი, სენაკის სამხედრო ბაზა).

ც.შავაძის განმარტებით, 2008 წლის 05 აგვისტოდან 14 აგვისტომდე როინ შავაძე ბატალიონის წევრებთან ერთად იმყოფებოდა ქ.ცხინვალში. სახლში აფორიაქებული დაბრუნდა, უარი განაცხადა წყლის და საკვების მიღებაზე. ხშირად ამბობდა, "ბიჭებს წყუროდათ, როცა კვდებოდნენ და ჩვენ წყალს ვერ ვაწვდიდით, რადგან არ გვქონდა". ძილის დროს ბორგავდა და ღრიალებდა.

14 აგვისტოს როინ შავაძეს ტელეფონით დაუკავშირდნენ და ხელვაჩაურის სამხედრო ბაზაზე შეხვედრა სთხოვეს. იგი ამ დროისთვის უკვე სენაკის სამხედრო ბაზიდან ხელვაჩაურის ბაზაზე იყო გადაყვანილი, მაგრამ შეუძლოდ იყო, რის გამოც შეხვედრა მეორე დღისთვის გადადო. 15 აგვისტოს, დაახლოებით 12:00 საათზე, სახლში დაბრუნებულმა ოჯახის წევრებს განუცხადა, რომ 16 აგვისტოდან მუშაობას იწყებდა ხელვაჩაურის სამხედრო ბაზაზე.

16 აგვისტოს, დაახლოებით 02:30 საათზე, როინ შავაძეს ეზოდან ვიღაც მამაკაცმა დაუძახა და ეზოში ჩასვლა სთხოვა. მან რამდენჯერმე მიიპატიჟა სტუმარი: ,,"მაიმუნა", რა გინდა, ქუჩიდან რატომ მეძახი, მობრძანდი სახლშიო". ციცინო შავაძის განმარტებით, როდესაც მან ფანჯრიდან გადაიხედა, დაინახა ეზოში მდგარი შავი ფერის მერსედესი, რომელთანაც იდგა დაბალი ტანის, სუსტი აღნაგობის მამაკაცი. მან ასევე დაინახა, როგორ ჩაჯდა მისი მეუღლე ვინმე "მაიმუნასთან" ერთად შავი ფერის მერსედესში, რომელიც ორ იმავე მარკის ავტომანქანასთან ერთად დაიძრა გაურკვეველი მიმართულებით. როინ შავაძე დაახლოებით ნახევარ საათში დაბრუნდა და მეუღლეს უამბო, რომ ზემოაღნიშნულ ავტომანქანებში ათი შეიარაღებული მამაკაცი იჯდა, რომლებმაც ის მიიყვანეს სამინისტროში მისთვის

უცნობ პიროვნებასთან. ამ უკანასკნელმა „მაიმუნას“ უთხრა, „რატომ მოიყვანე, მე რა უნდა ვკითხოო“. აღნიშნულის შემდეგ როინ შავაძე სახლში დააბრუნეს.

16 აგვისტოს, 08:30 საათზე, როინ შავაძე ხელვაჩაურის ბაზაზე წავიდა. დაახლოებით 13:00 საათზე ციცინო შავაძეს დაუკავშირდა უცნობი პიროვნება და მეუღლის ადგილსამყოფელი ჰკითხა, თან განუმარტა, რომ მისი მეუღლე სამხედრო ბაზაზე არ იმყოფებოდა და მას ვინმე ცინცაძე კითხულობდა.

ციცინო შავაძე ტელეფონით დაუკავშირდა მეუღლეს, რომლისგანაც შეიტყო, რომ იმყოფებოდა „ოქროს ბირჟასთან“ და ე.წ. "ნაშივკებს" ელოდებოდა. საუბრის დასრულებიდან დაახლოებით 15 წუთში ციცინო შავაძეს აცნობეს, რომ ოქროს ბირჟასთან მყოფი მისი მეუღლე ნიღბიანმა პირებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით ავტომანქანაში ჩასვეს, თან სამშობლოს მოღალატეს უწოდებდნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით როინ შავაძის ოჯახის წევრებმა მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს. საღამოს საათებში (დაახლოებით 21:00 საათის შემდეგ) მათ შეატყობინეს, რომ როინ შავაძე იმყოფებოდა რეანიმაციულ განყოფილებაში, საავადმყოფოში მისვლისას კი შეიტყვეს, რომ როინ შავაძის გვამი უკვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში იყო გადატანილი.

ციცინო შავაძის განმარტებით, გვამს მრავლობითი ცეცხლნასროლი ჭრილობა და მოტეხილობა (მარცხენა ზედა კიდური, მარცხენა ხელის თითები, წელი, კისერი, ცხვირი და ყბა) აღენიშნებოდა.

შს ორგანოებში დანაშაულისა და საგანგებო შემთხვევების შესახებ შემოსული განცხადებებისა და შეტყობინებების აღრიცხვის წიგნიდან ირკვევა, რომ 16 აგვისტოს, დაახლოებით 16:00 საათზე, ქობულეთის შს სამმართველოს უბნის ინსპექტორის მამუკა თხილაიშვილისგან შემოვიდა შეტყობინება #1202 მასზედ, რომ ქობულეთი-ქაქუთის საავტომობილი გზაზე, აჭარა-გურიის ადმინისტრაციული საზღვრიდან 150-200 მეტრში, მოკლული იყო როინ შავაძე. აღნიშნული შეტყობინების საფუძველზე დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #170080069 საქმეზე სსკ–ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.

ასევე გადამოწმებულ იქნა, ქობულეთის შს სამმართველოს „შინაგან საქმეთა ორგანოებში დანაშაულისა და საგანგებო შემთხვევების შესახებ შემოსული განცხადებებისა და შეტყობინებების აღრიცხვის წიგნი“, რომლის მიხედვით 2008 წლის 16 აგვისტოს სამმართველოში შევიდა შეტყობინება #597. შეტყობინების ავტორი, ქობულეთის შს სამმართველოს მუხაესტატეს განყოფილების უფროსი ნ.ცეცხლაძე იუწყებოდა, რომ დაახლოებით 15:50 საათზე, ქობულეთი-ოზურგეთის გზის მონაკვეთზე, ქაქუთის ხერგილის მახლობლად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ხმა ისმოდა.

შეტყობინების შემოსვლიდან 5 წუთში სამმართველოს უფროსი გოჩა ჯაში გავიდა შემთხვევის ადგილზე, სადაც ნაპოვნი იქნა როინ შავაძის გვამი.

ქობულეთის შს სამართველოს უფროსმა გოჩა ჯაშმა უარი განაცხადა სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობაზე და მიუთითა, რომ აღნიშნულთან

დაკავშირებით სახალხო დამცველის რწმუნებულებს უნდა მიემართათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურისთვის. რაც შეეხება ქობულეთის შს სამმართველოს მუხაესტატეს განყოფილების უფროსს ნ. ცეცხლაძეს, მასთან შეხვედრა და ახსნა– განმარტების მიღება ვერ მოხერხდა.

ციცინო შავაძის განმარტებით, 2008 წლის 29 აგვისტოს იგი შეხვდა აჭარის პროკურორს ვასილ როინიშვილს. ამ უკანასკნელის განმარტებით, რ.შავაძეს აკავებდნენ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის და გაქცევის მცდელობის დროს მოხდა მისი ლიკვიდაცია. ც.შავაძემ უპასუხა, რომ ,,ლიკვიდაცია სროლის შედეგად ხდება და არა ძვლების დამტვრევით". პროკურორმა უპასუხა, რომ იგი უნდა გაჩერებულიყო, რათა არ გამოჩენილიყო კიდევ ერთი დანაშაული, მაგალითად სამშობლოს ღალატი.

ზემოაღნიშნული გარემოებები ბადებს ეჭვს, რომ როინ შავაძის მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი, ხოლო შემსრულებლები იყვნენ პოლიციელები.

პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, 2008 წლის 16 აგვისტოს საქართველოს შსს კუდის აჭარის ა.რ მთავარ სამმართველოში მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #089080042 საქმეზე, როინ შავაძის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენისა და შენახვისა ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260–ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 2008 წლის 16 აგვისტოს საქართველოს შსს კუდის აჭარის ა.რ მთავარ სამმართველოს თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შეძენისა და შენახვის ფაქტზე, ქ.ბათუმში, ზ.გამსახურდიასა და ა.მელაშვილის ქუჩის კვეთებში, 14 საათზე და 38 წუთზე, ეჭვმიტანილის სახით დაკავებული იქნა როინ ადემის ძე შავაძე, რომლისგანაც ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად, #633–ე ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ამოღებული იქნა 0,97 გრამი კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი" და 0,05 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი". დაკავების შემდგომ როინ შავაძე ქ. თბილისის #1 დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის მიზნით გადაგზავნილი იქნა საქართველოს შსს კუდის აჭარის ა.რ მთავარ სამმართველოს ოპერატიული სამსახურის თანამშრომლების მიერ. გადაგზავნის განხორციელების დროს, ქობულეთი–ქაქუთის გზაზე, გურიის საზღვრიდან, დაახლოებით 200 მეტრში, დაკავებულმა მოითხოვა ავტომანქანის გაჩერება, იმ მოტივით, რომ მას ესაჭიროებოდა ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ავტომანქანის გაჩერების შემდგომ დაკავებული გადაყვანილი იქნა მანქანიდან მოთხოვნილებისამებრ. მას გაჰყვა ერთ–ერთი ოპერატიული თანამშრომელი კონცელიძე მირზა, რომელსაც როინ შავაძემ მოსთხოვა ხელბორკილის ახსნა, რაც დაკმაყოფილებული იქნა კონცელიძის მიერ. ხელების გახსნის შემდგომ როინ შავაძემ, მოახერხა მირზა კონცელიძისათვის, ბარძაყზე მიმაგრებული ქარქაშიდან სამსახურებრივად განპიროვნებული ცეცხლსასროლი იარაღის (მაკაროვი) წართმევა და გაქცევით შეეცადა მიმალვას. როინ შავაძე ცდილობდა რა მიმალვას, გარბოდა და მიტაცებული ცეცხლსასროლი იარაღიდან ახდენდა საქართველოს შსს კუდის აჭარის

ა.რ მთავარ სამმართველოს ოპერატიული სამსახურის თანამშრომლების მიმართ გასროლას, რა დროსაც გახსნილი საპასუხო ცეცხლის შედეგად ის მოკლული იქნა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 2008 წლის 16 აგვისტოს საქართველოს შსს კუდის აჭარის ა.რ მთავარ სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება #170080069 სისხლის სამართლის საქმეზე, როინ ადამის ძე შავაძის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108–ე მუხლით. წინასწარი გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს შსს კუდის აჭარის ა.რ მთავარ სამმართველოში ელსმენით შესული შეტყობინება, მასზედ, რომ ქობულეთი–ქაქუთის საავტომობილო გზატკეცილზე, აჭარა–გურისს ადმინისტრაციული საზღვრიდან 150–200 მეტრის დაშორებით, აღმოჩენილი იქნა როინ შავაძის გვამი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აჭარის ა.რ მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული იქნა რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, კერძოდ, დათვალიერებული იქნა შემთხვევის ადგილი, გვამი, ავტომანქანა, რომლითაც ხორციელდებოდა აწ გარდაცვლილ როინ შავაძის ბადრაგირება ქ. თბილისში. დათვალიერებების შედეგად ამოღებული იქნა „მაკაროვი“–ს სისტემის პისტოლეტი, რამდენიმე ვაზნა და მასრები.

2008 წლის 16 აგვისტოს აჭარის ა/რ მთავარ სამმართველოს გამომძიებელ თემურ მახარაძის მიერ საქმეზე დანიშნული იქნა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დადგენილების თანახმად, დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონულ სამსახურს.

2008 წლის 18 აგვისტოს ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის #170080069 და #089080042 საქმეები უწყებრივი და პერსონალური საგამოძიებო ქვემდებარეობის პრინციპით, შემდგომში საგამოძიებო მოქმედებების წარმოების მიზნით გადმოიგზავნა აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში.

2008 წლის 19 აგვისტოს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად და საქმეს მიეცა სარეგისტრაციო ნომერი #1700880069.

აღნიშნულ საქმეზე 2008 წლის 27 აგვისტოს დაინიშნა სასამართლო–ბიოლოგიური ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, აჭარის რეგიონულ სამსახურს, ხოლო 2008 წლის 5 სექტემბერს საქმეზე დაინიშნა სასამართლო–ბალისტიკური ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა საქართველოს შსს საექსპერტო კრიმინილასტიკური მთავარ სამმართველოს, აჭარის საექსპერტო კრიმინალისტიკურ სამსახურს.

2008 წლის 13 სექტემბერს საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28–ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოტანილი იქნა დადგენილება როინ შავაძის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260–ე მუხლით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

საქმეზე ჩატარებული იქნა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, დაიკითხნენ მოწმეები. მათ შორის მოწმის სახით დაიკითხა აწ გარდაცვლილ როინ შავაძის

მეუღლე, ციცინო შავაძე, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს დაზარებულის უფლებამონაცვლედ ცნობას. მიუხედავად ამ უკანასკნელის მოთხოვნისა, დღეისათვის წინასწარ გამოძიებას არ აქვს სათანადო მტკიცებულებები, რაც მიანიჭებდა ციცინო შავაძეს ზემოაღნიშნულ სტატუსს. კერძოდ, დღეისათვის საქმეზე არ არის მიღებული სასამართლო–სამედიცინო, სასამართლო–ბიოლოგიური და სასამართლო–ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნები, რაც ხელს შეუწყობს საქმეზე ობიექტური და სრულყოფილი გადაწყვეტილებების მიღებას.

ამჟამად, საქმეზე მიმდინარეობს ინტენსიური წინასწარი გამოძიება.

დანართი #7
დევნილთა უფლებების დაცვის მდგომარეობა

სათანადო საცხოვრებლის უფლება

სოფია ფირცხალავა

2008 წლის 23 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით #0115-08 მიმართა ქალბატონმა სოფია ფირცხალავამ. იგი აფხაზეთიდან დევნილია. განცხადების თანახმად სოფია ფირცხალავა ცხოვრობს დედასთან, ეთერ სალაყაიასთან ერთად. ისინი უმუშევრები არიან, საქართველოს შორმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ისინი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაარეგისრირა. განმცხადებლის განმართერბით მან მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტორს, თუმცა სამინისტროდან ამას რეაგირება არ მოჰყოლია. სოფია ფირცხალავა და ეთერ სალაყაია ცხოვრობენ ნაქირავებ ბინაში, რომლის საფასურის გადახდაში ნათესავები ეხმარებიან.

,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუქნტის თანახმად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილს დახმარებას უწევს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში;

სახელმწიფოს ვალდებულება სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაზღვრულია „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე–11 მუხლის I პუნქტით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს (ეს პაქტი საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან).

აღნიშნული პაქტის განმარტების ოფიციალური ორგანო ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტია და მის მიერ გამოცემულ ზოგად კომენტარებს პაქტის იმპლემენტაციისათვის სახელმძღვანელო პრინციპების მნიშვნელობა ენიჭება.

კომიტეტმა, უშუალოდ საცხოვრებლის უფლებასთან მიმართებით, მეექვსე სესიაზე მიღებულ #4 ზოგად კომენტარში განაცხადა: ,,ადამიანის უფლება სათანადო საცხოვრებელზე ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებისათვის“, ,,საცხოვრებლის უფლება განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებებთან და იმ ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომლებზეც პაქტია დაფუძნებული.“

ამრიგად, შესაბამის პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შიდა კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებაა.

2008 წლის 06 თებერვალს #518/-5-3/0115-08 წერილით შემდგომი რეაგირებისათვის მოგმართეთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს.
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან 2008 წლის 25 თებერვლის წერილით გვეცნობა, რომ სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა თავისუფალი ფართის მოძიებისათვის, რათა გაუმჯობესდეს დევნილთა საცხოვრებელი პირობები.

თამარ პირტახიას საქმე

2008 წლის 24 იანვარს სახალხო დამცველს #0132-08 განცხადებით მიმართა მოქალაქე თამარ პირტახიამ. განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები არიან აფხაზეთიდან დევნილები.

განცხადებაში აღნიშნული იყო რომ თამარ პირტახიას ოჯახი ამჟამად ცხოვრობს ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის ქ.#313-ში მდებარე დასასვენებელ სახლ ,,ქობულეთში". მათ აღნიშნული ფართი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 ივნისის განჩინებით დაიკავეს. ვინაიდან იგი საცხოვრებლად უვარგისი იყო, განმცხადებლის ოჯახმა მისი შეკეთება საკუთარი სახსრებით სცადა, თუმცა მასში დღემდე გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობებია.

,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ" ქვეპუქნტის თანახმად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილს დახმარებას უწევს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში;

სახელმწიფოს ვალდებულება სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაზღვრულია „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე–11 მუხლის I პუნქტით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს (ეს პაქტი საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან).

აღნიშნული პაქტის განმარტების ოფიციალური ორგანო ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტია და მის მიერ გამოცემულ ზოგად კომენტარებს პაქტის იმპლემენტაციისათვის სახელმძღვანელო პრინციპების მნიშვნელობა ენიჭება.

კომიტეტმა, უშუალოდ საცხოვრებლის უფლებასთან მიმართებით, მეექვსე სესიაზე მიღებულ #4 ზოგად კომენტარში განაცხადა: ,,ადამიანის უფლება სათანადო საცხოვრებელზე ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებისათვის", ,,საცხოვრებლის უფლება

განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებებთან და იმ ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომლებზეც პაქტია დაფუძნებული.“

ამრიგად, შესაბამის პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შიდა კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებაა.

ლიმბურგის პრინციპებში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის განხორციელების შესახებ მითითებულია, რომ ,,მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტში მოცემული რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე პაქტის დარღვევას წარმოადგენს.“ ,,მონაწილე სახელმწიფო პაქტს არღვევს, თუ[...] იგი: ვერ დგამს ნაბიჯებს, რომელიც პაქტის საფუძველზე მოეთხოვება“. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებათა საერთაშორისო პაქტის განხორციელების შესახებ მაასტრიხტის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, პაქტის მიერ დაკისრებული ვალდებულების ,,დარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც ის ხდება.“ ჩვენს შემთხვევაში კი განმცხადებლები საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

2008 წლის 30 ივნისს #2831/05-1/0132-08 რეკომენდაციით მოგმართეთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს, რომელშიც მივითითებდით, რომ დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შიდა კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებაა. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თამარ პირტახიას ოჯახი სათანადო საცხოვრებელი პირობებით.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან რეკომენდაციის პასუხად 2008 წლის 25 აგვისტოს მიღებულ #01/-1-17/3730 წერილში აღნიშნულია, რომ სამინისტროს არ გააჩნია თავისუფალი ფართი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა განმცხადებლის დროებით ჩასახლება. წერილის თანახმად თამარ პირტახიას ოჯახი აყვანილია აღრიცხვაზე და თავისუფალი ფართის მოძიების შემდგომ შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე განხილული ინქნება მათი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხი. ასევე მიუთითებდით რომ, ,,სასამართლოს შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში, სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას უშუალოდ ჩაერთოს სასამართლო პროცესში მესამე მხარედ, აფხაზეთიდან დევნილ თამარ პირტახიას ოჯახის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით“.

2008 წლის 6 გვისტოს სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა რეკომენდაციით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს და განმარტა, რომ: ,,რეკომენდაციაში საუბარი იყო არა განმცხადებლის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე, არამედ მისი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე“ და მოითხოვა უზრუნველეყოთ თამარ პირტახიას ოჯახი სათანადო საცხოვრებელი პირობებით.

ქ. თბილისში ნუცუბიძის მე-4 მ/რ-ში, ,,თბილბინრემშენის“ შენობაში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საქმე

2008 წლის 15 მაისს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით #1600_08 მიმართეს ქ. თბილისში ნუცუბიძის მე-4 მ/რ-ში, ,,თბილბინრემშენის“ შენობაში კომპაქტურად ჩასახლებულმა დევნილებმა.

მათი განმარტებით, მილი, რომლითაც უზრუნველყოფილია განმცხადებლების საცხოვრებელი კორპუსის სველი წერტილების გამართული მუშაობა, ქვებით არის ჩახერგილი, იგივე მდგომარეობაშია სანიაღვრე თხრილები, რაც წვიმის შემდეგ იწვევს განმცხადებელთა საცხოვრებელი ადგილის დატბორვას.

ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბერის N19 ბრძანებით დამტკიცდა ,,ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულება“, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის ფუნქციაა, ,,სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა“.

2008 წლის 10 ივნისს #2009/05-1/1600-08 წერილით შემდგომი რეაგირებისათვის მივმართეთ ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ტიტე რუხაძეს.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2008 წლის 14 ივლისის #06/45759-18 წერილით გვეცნობა, რომ 2007 წელს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით დამუშავდა ახალისანიაღვრე კოლექტორის მოწყობის პროექტი, მაგრამ გაუმართლებლად დიდი ხარჯების გამო მშენებლობა ჯერჯერობით ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა 2008 წლის გაზაფხულზე რაიონული გამგეობის დახმარებით ჩატარდა აღნიშნული ტერიტორიიდან წყლების გამოცლის დროებითი, მაგრამ ეფექტური ღონისძიებები, რამაც გააუმჯობესა მდგომარეობა. კოლექტორის პროექტზე კი მუშავდება ალტერნატირული წინადადებები.

2008 წლის 23 ივლისს განმეორებითი განცხადებით #1600-08/1 მოგვმართეს ქ. თბილისში ნუცუბიძის მე-4 მ/რ-ში, ,,თბილბინრემშენის“ შენობაში კომპაქტურად ჩასახლებულმა დევნილებმა, მათი განმარტებით მდგომარეობა უცვლელია: საცხოვრებელი სახლის პირველი სართული დატბორილია. ნესტის გამო საცხოვრებელ კორპუსში იმატა ფილტვების მძიმე დაავადებებმა, რამდენიმე ბავშვის მკურნალობა საავადმყოფოში გახდა საჭირო.

მაკა მანჯაფარაშვილის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით (#1809-08) მიმართა მაკა მანჯაფარიშვილმა. განცხადების თანახმად მისი მეუღლე ალექსანდრე გელანტია და ქალიშვილი ანია გელანტია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებია მარინა არიან. მისი განმარტებით, ამჟამად განმცხადებლის ოჯახი ცხოვრობს ქ.თბილისში ქუთაისის ქ.

#34 ნაქირავებ ბინაში, რომლის ქირის გადახდის საშუალებაც არ გააჩნიათ, ამის გამო იძულებულნი არიან დატოვონ საცხოვრებელი ფართი.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, დევნილებს „უზრუნველყოფენ დროებითი საცხოვრებლითა და სურსათით საქართველოში დაწესებული ნორმის ფარგლებში", ხოლო „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად, „უზრუნველყოფენ საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებლითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით." ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში".

სახელმწიფოს ვალდებულება საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაზღვრულია ასევე რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტით. კერძოდ, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე–11 მუხლის I პუნქტის შესაბამისად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღირებენ თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეს ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებოდეს ცხოვრების პირობებს (ეს პაქტი საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგისტოდან).

აღნიშნული პაქტის განმარტების ოფიციალური ორგანო ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებებათა კომიტეტია და მის მიერ გამოცემულ ზოგად კომენტარებს პაქტის იმპლემენტაციისათვის სახელმძღვანელო პრინციპების მნიშვნელობა ენიჭება. კომიტეტმა #4 ზოგად კომენტარში განაცხადა: ,,ადამიანის უფლება სათანადო საცხოვრებელზე ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებისათვის", ,,საცხოვრებლის უფლება განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებებთან და იმ ფუნდამენტალურ პრინციპებთან, რომელზეც პაქტია დაფუძნებული."

ამრიგად, შესაბამისი პირის სახოვრებელი ფართით დაკმაყოფილება სახელმწიფოს არა მხოლოდ შიდა კანონმდებლობით, არამედ საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენელი ვალდებულებაცაა.

2008 წლის 21 ივლისის #3244/05-1/1809-08 წერილით შემდგომი რეაგირებისათვის მივმართეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს.

აღნიშნული წერილის პასუხად 2008 წლის 29 ივლისს გვეცნობა, რომ სამინისტრო ითვალისწინებს რა, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს, მაკა მანჯაფარაშვილის ოჯახი აღრიცხვაზე და თავისუფალი ფართის მოძიების შემთხვევაში შესაბამისი კომისიის

დასკვნის საფუძველზე განხილული იქნება მათი დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხი.

ტატიანა ბერულავა

სახალხო დამცველს #0929-08 განცხადებით მიმართა მოქალაქე ტატიანა ბერულავამ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგი აფხაზეთიდან დევნილია, ცხოვრობს მარტო და აქვს მძიმე სოციალური პირობები.

2008 წლის 19 სექტემბერს წერილით შემდგომი რეაგირებისათვის მივმართეთ აჭარის ავტომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სადაც მივუთითეთ, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, დევნილებს „უზრუნველყოფენ დროებითი საცხოვრებლითა და სურსათით საქართველოში დაწესებული ნორმის ფარგლებში", ხოლო „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად, „უზრუნველყოფენ საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებლითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით." ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში".

სახელმწიფოს ვალდებულება საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაზღვრულია ასევე რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტით. კერძოდ, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე–11 მუხლის I პუნქტის შესაბამისად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღირებენ თითოეული ადამინის უფლებას ჰქონდეს ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებოდეს ცხოვრების პირობებს (ეს პაქტი საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგისტოდან).

საცხოვრებლის უფლება მოიცავს საბინაო სუბსიდიებსაც. სახელმწიფო ვალდებულია, გაატაროს ყველა ის აქტიური ღონისძიება, რაც საჭიროა მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი თითოეული ადამიანისთვის საცხოვრებლის უფლების გარანტიების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, თუ ამ უფლების განხორციელება მხოლოდ პირის ძალისხმევით შეუძლებელია. ეს გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ უფლების განხორციელების ვალდებულებისგან.

აღნიშნული პაქტის განმარტების ოფიციალური ორგანო ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტია და მის მიერ გამოცემულ ზოგად კომენტარებს პაქტის იმპლემენტაციისათვის სახელმძღვანელო პრინციპების მნიშვნელობა ენიჭება.

კომიტეტის მეხუთე სესიაზე მიღებული #3 ზოგადი კომენტარის მიხედვით, ,,სახელმწიფოს ვალდებულებები მოიცავს როგორც ქცევის, ისე შედეგის ვალდებულებასაც.“ ანუ სახელმწიფო ვალდებულია, არა მარტო გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, არამედ პირს რეალურად მისცეს საშუალება, ყოველდღიურად და ეფექტურად გამოიყენოს უფლებით მიცემული შესაძლებლობა. კომიტეტი განმარტავს, რომ ნებისმიერი ამ პაქტით განსაზღვრული უფლების განხორციელებისას სახელმწიფოს გააჩნია ,,სწრაფი და ეფექტური სვლის ვალდებულება.“ ,,ყველა მონაწილე სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება - მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოს თითოეული უფლების განხორციელება. ასე, მაგალითად, სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ადამიანთა რომელიმე კატეგორიას ხელი არ მიუწვდება... ელემენტარულ თავშესაფარსა და ბინაზე,... რა თქმა უნდა, ვერ ასრულებს პაქტის შესაბამის ვალდებულებებს. პაქტი, როგორც დოკუმენტი, ასეთი მინიმალური ვალდებულების შესრულების აუცილებლობას რომ არ იძლეოდეს, იგი გარკვეულწილად დაკარგავდა თავის არსებობის მნიშვნელობას.“

კომიტეტმა, უშუალოდ საცხოვრებლის უფლებასთან მიმართებით, მეექვსე სესიაზე მიღებულ #4 ზოგად კომენტარში განაცხადა: ,,ადამიანის უფლება სათანადო საცხოვრებელზე ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებისათვის“, ,,საცხოვრებლის უფლება განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებებთან და იმ ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომლებზეც პაქტია დაფუძნებული.“

ამრიგად, შესაბამის პირთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება სახელმწიფოს საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენელი ვალდებულებაა.

ლიმბურგის პრინციპებში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის განხორციელების შესახებ მითითებულია, რომ ,,მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტში მოცემული რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე პაქტის დარღვევას წარმოადგენს.“ ,,მონაწილე სახელმწიფო პაქტს არღვევს, თუ... იგი: ვერ დგამს ნაბიჯებს, რომელიც პაქტის საფუძველზე მოეთხოვება“. მაასტრიხტის სახელმძღვანელო პრინციპების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის განხორციელების შესახებ მიხედვით კი პაქტის მიერ დაკისრებული ვალდებულების ,,დარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც ის ხდება.“ ჩვენს შემთხვევაში კი განმცხადებლები საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

რადგან განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მძიმე სოციალური მდგომარეობს გამო, მან მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს აჭარის ფილიალის ბათუმის განყოფილებას. სოციალურმა აგენტმა, რომელიც მისული იყო ტატიანა ბერულავას დროებით საცხოვრებელ სახლში თავდაპირველად 43220 ქულა დააფიქსირა. ამის შემდეგ სოციალურმა აგენტმა ხელახალი ვიზიტისას 2007 წლის 25 აპრილს 59550 ქულა მიანიჭა განმცხადებლის ოჯახს, რის გამოც ტატიანა ბერულავა ვერ მოხვდა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ბენეფიციარების

ჩამონათვალში. 2008 წლის 16 სექტემბერს მივმართეთ სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს და მოვითხოვეთ მოეწოდებინათ სოციალური აგენტის მიერ ტატიანა ბერულავას ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესწავლის მასალები და განგვიმარტოთ, რამ გამოიწვია სხვაობა პირველ და მეორე მონაცემს შორის.

ლტოლვილები

აზერ სამედოვის საქმე

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, „ხელმომწერი სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად გააადვილებენ ლტოლვილთა ასიმილაციასა და ნატურალიზაციას". თუმცა მოქალაქეობის მინიჭების გაადვილებული პროცედურა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის ზემოაღნიშნულ დებულებასთან. საქართველოს მოქალაქეობის მიღება შედარებით მისაღებია წარმოშობით ქისტი ლტოლვილებისათვის, რომელთა რამდენიმე თაობა დაიბადა და დღემდე ცხოვრობს პანკისში.

2008 წლის 10 იანვარს სახალხო დამცველს განცხადებით (#0051-08) მომმართა აზერბაიჯანის მოქალაქემ, აზერ სამედოვმა. 1988 წლიდან იგი აზერბაიჯანში ხელმძღვანელობდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, „ჯუმა მეჩეთი", „ისლამ იტახიდი" და „სინდისისა და რწმენის თავისუფლების ცენტრი". განმცხადებლის მოღვაწეობა დაკავშირებული იყო აზერბაიჯანში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასთან, ადამიანის უფლებათა დაცვასთან. აზერ სამედოვის განმარტებით, აზერბაიჯანში 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის განხორციელებისა და ხელისუფლების მიერ დაშვებული დარღვევების ღიად დაფიქსირების ნიადაგზე, მის მიმართ დევნამ აშკარა ფორმები მიიღო, რის შედეგადაც იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამშობლო. 2005 წლიდან აზერ სამედოვი იმყოფება საქართველოში. მან დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „სინდისისა და რწმენის თავისუფლების დაცვის კავკასიური ცენტრი" და ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. 2006 წლის 31 მარტს აზერ სამედოვი საქართველოს შს სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებმა დააკავეს აზერბაიჯანში ექსტრადიციის მიზნით. ჩხრეკისას მას ფული და პირადი ნივთები ჩამოერთვა, რომლებიც დღემდე არ დაუბრუნებიათ. აზერ სამედოვი 2006 წლის 14 აპრილს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 10 ათასი ლარის ოდენობით გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

2006 წლის 17 აგვისტოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უარი განუცხადა აზერ სამედოვს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. თუმცა, 2007 წლის 6 ნოემბერს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა აზერ სამედოვი ლტოლვილად აღიარა, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი მოწმობით.

2007 წლის 25 დეკემბერს, აზერ სამედოვის ადვოკატმა, ლაშა ჭინჭარაულმა, საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა შუამდგომლობით, შემწყდარიყო მისი დაცვის ქვეშ მყოფის ექსტრადიციის პროცესი, რადგან არსებობს რეალური

საფრთხე, რომ სამედოვის მიმართ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ევროპული კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით: „შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი განცხადების მომენტიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა." მიუხედავად ზემოთ მოყვანილი კანონის მოთხოვნისა, განმცხადებლის დამცველს დაყენებულ შუამდგომლობაზე პასუხი დღემდე არ მიუღია.

აზერ სამედოვის ექსტრადიციასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 (3) მუხლით, „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისთვის," ამავე მოთხოვნას აყალიბებს საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლიც.

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე, ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ აზერ სამედოვს პოლიტიკური მრწამსისთვის დევნიან აზერბაიჯანში, რასაც ადასტურებს აზერბაიჯანში ბოლო წლების განმავლობაში განვითარებული მოვლენები და აზერ სამედოვის პოლიტიკური ორიენტაცია.

ცნობილი უფლებადაცვითი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, **Amnesty International** მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ შეწყდეს აზერ სამედოვის ექსტრადიცია, რადგან იგი შესაძლოა აზერბაიჯანში გახდეს წამების მსხვერპლი და ეს იქნება საქართველოს მიერ წამების საწინააღმდეგო კონვენციით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა. Amnesty International განმარტავს:

„აზერ სამედოვი აზერბაიჯანში ახორციელებდა მონიტორინგს 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომლებზეც დაფიქსირდა რიგი დარღვევებისა. მეორე დღეს ბაქოში ჩატარდა მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელიც სამართალდამცავებმა ძალადობით დაშალეს. აზერ სამედოვი მონაწილეობდა აღნიშნულ მანიფესტაციებშიც, რის გამოც დაადანაშაულეს მასობრივ არეულობებში მონაწილებასა და სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში. ამის შემდეგ, აზერ სამედოვმა საქართველოს შეაფარა თავი... მისი ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლოა მას იგივე ბედი ეწიოს, რაც მის თანამოაზრეებს, რომლებიც დაექვემდებარნენ არაადამიანურ მოპყრობას და წამებას აზერბაიჯანის ციხეებში.

ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი ითხოვს აზერ სამედოვის ექსტრადიციას ადასტურებს Amnesty International-ის მოსაზრებას, რომ ადამიანის უფლებათა დამცველები აზერბაიჯანში დაექვემდებარებიან დაპატიმრებას და დაშინებას თუ ისინი ეცდებიან გამოავლინონ საარჩევნო დარღვევები და გადამეტებული ძალის გამოყენება მშვიდობიანი დემონსტრაციების დაშლისას."

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის ანგარიშში აკრიტიკებს აზერბაიჯანის ხელისუფლებას საპრეზიდენტო არჩევნების თანმდევი ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეების გამო:

"2003 წლის არჩევნების შედეგად 600-მდე ადამიანი იქნა დაპატიმრებული. არჩევნების დღეს მოჰყვა შეკრება-მანიფესტაციები ქალაქ ბაქოში. დემონსტრაციების დაშლას სამართალდამცავთა მხრიდან დაფიქსირდა ძალის გადამეტებული გამოყენება. შედეგად გარდაიცვალა ოთხი და დაზარალდა ასობით მოქალაქე. დაპატიმრებული დემონსტრანტებისთვის არ იქნა უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლო და ზოგიერთი მათგანი გახდა წამების მსხვერპლი. მსგავსი მოვლენები განვითარდა აზერბაიჯანში საპარლამენტო არჩევნების შედეგადაც."

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია(FIDH) და წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია(OMCT) ერთობლივი პროგრამის „Observatory for the Protection of Human Rights Defenders"-ის ფარგლებში გამოქვეყნებულ ანგარიშში მოუწოდებენ საქართველოს, არ მოხდეს ადამიანის უფლებათა დამცველი, აზერ სამედოვის ექსტრადიცია აზერბაიჯანში, რადგან იგი შესაძლოა დაექვემდებაროს წამებას.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ცხადყოფს, რომ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა დამცველები, კონკრეტულად კი ის აქტივისტები, ვინც არჩევნების მონიტორინგსა და მშვიდობიან დემონსტრაციებში მონაწილეობდა, დაექვემდებარნენ წამებას და არაადამიანურ მოპყრობას. საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ გარემოებათა გამო დაუშვებელია აზერ სამედოვის ექსტრადიცია აზერბაიჯანში. საერთაშორისო საზოგადოება აპელირებს, რომ საქართველო დაარღვევს მის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ექსტრადიციის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ შიდა კანონმდებლობის გარდა საქართველოს ექსტრადიციასთან დაკავშირებით აქვს ნაკისრი მთელი რიგი ვალდებულებების სხვადასხვა საერთაშორისო აქტებით:

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, არ გაასახლოს ან დააბრუნოს ლტოლვილი იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსის გამო.

ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ საქართველოსთვის ძალაშია 2001 წლიდან. მისი მე-3 მუხლის თანახმად:
„1. ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუკი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, თხოვნის მიმღები მხარის მიერ განიხილება პოლიტიკურ დანაშაულად ან დანაშაულად, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან.
2. იგივე წესი გამოიყენება, თუ თხოვნის მიმღებ მხარეს გააჩნია საკმარისი საფუძველი, ივარაუდოს, რომ ექსტრადიციის მოთხოვნა ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გაკეთებულია პირის დევნისა და დასჯის მიზნით მისი რასის, რელიგიის, **ეროვნების ან პოლიტიკური მოსაზრების გამო** ან იმ მიზნით, რომ ამ პირის მდგომარეობას მიადგეს რაიმე ზიანი რომელიმე აღნიშნული მიზეზის გამო."

საქართველოს ასევე რატიფიცირებული აქვს **წამების საწინააღმდეგო კონვენცია**, რომლის მესამე მუხლის თანახმად:

1) არც ერთმა მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა გაასახლოს, დააბრუნოს ან გადასცეს რომელიმე პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არის სერიოზული საფუძველი ეჭვისთვის, რომ მას იქ დაემუქრება წამების საფრთხე.
2) ასეთი საფუძვლის არსებობის დასადგენად კომპეტენტური ხელისუფალნი ითვალისწინებენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, მათ შორის შესაბამის შემთხვევებში მოცემულ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმაშფოთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივ პრაქტიკას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, პირის ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში იკრძალება, თუ ექსტრადიციის შედეგად შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს". 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „*Soering v. the United Kingdom*", ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განმარტა, რომ ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს (მათ შორის საქართველოს) ეკრძალებათ პირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს პირი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. მსგავსი პრაქტიკაა დამკვიდრებული ასევე საქმეებში *Cruz-Varas v. Sweden, Chahal v. the United Kingdom.*

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, 2005 წელს აზერბაიჯანში სიცოცხლისთვის საშიში პატიმრობის პირობებისა და წამების შედეგად 107 ადამიანი დაიღუპა.

2007 წლის 11 იანვარს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გადაწყვეტილებაში „მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ", დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანის სამართალდამცავთა მხრიდან განმცხადებლის წამებას. მამადოვი იყო აზერ სამედოვის თანამოაზრე, იგი არის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, რომელიც 2003 წლის აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევდა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში აზერ სამედოვიც, სარდარ მამადოვის მსგავსად, შეიძლება გახდეს წამების მსხვერპლი.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წერილიდან ირკვევა, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს აქვს მყარი საფუძველი იმისა, სჯეროდეს, რომ ბატონი აზერ სამედოვი თავის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში შესაძლოა გახდეს წამების მსხვერპლი მისი რელიგიური და პოლიტიკური მრწამსის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2008 წლის 15 თებერვალს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები საქართველოს გენერალურ პროკურორს გადაუგზავნა და „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის

„ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმართა რეკომენდაციით (#710/05-5/0051-08), შეწყდეს აზერ სამედოვის ექსტრადიციის პროცესი. აღნიშნული უწყებიდან პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. საქმე წარმოებაშია.

2008 წლის 22 სექტემბრს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ბატონი აზერ სამედოვის მიმართ შეწყვეტილია ყველა საექსტრადიციო პროცედურა. ასევე 2008 წლის 20 მაისს საქართელოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძვლეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გაუქმებულ იქნა ბატონი სამედოვის მიმართ გირაოს სახით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება.

დანართი #8
საჯარო ინფორმაციის ხელმისწავდომობა

გელა მთივლიშვილის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ჟურნალისტმა გელა მთივლიშვილმა შს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოდან საჯარო ინფორმაციის მიუღებლობის შესახებ.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გამოვარკვიეთ, რომ გელა მთივლიშვილმა ლაგოდეხის რაიონულ სამმართველოს მიმართა მიმდინარე წლის 20 ივნისს და მოითხოვა მოქალაქე გიორგი გველუკაშვილის მკვლელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა, რომელიც წარმოებით არის შეწყვეტილი.

საქმეში აგრეთვე წარმოდგენილია ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს პასუხი, რომლითაც უარი ეთქვა გელა მთივლიშვილს მასალების გაცნობაზე, ვინაიდან ის არ არის არც ბრალდებული, არც დაზარალებული და არც ადვოკატი. იქვე აღნიშნულია, რომ 2007 წელს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოში დაიწყო გამოძიება მოქალაქე გიორგი გველუკაშვილის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. აღნიშნული საქმე დღეისათვის წარმოებით შეწყვეტილია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გელა მთივლიშვილს განემარტა, რომ მას არ აქვს უფლება, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

საქმეში არსებული დოკუმენტების შესწავლისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს პასუხი უსაფუძვლოა, რაც თავის მხრივ არღვევს ჟურნალისტის კონსტიტუციურ უფლებას, თავისუფლად მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ,,ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი“ (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;“ ამ განმარტებიდან გამომდინარე, შს ლაგოდეხის რაიონული სამმართველო არის ადმინისტრაციული ორგანო. ამავე კოდექსის მე-3 მუხლი აწესებს კოდექსის მოქმედების სფეროს და მიუთითებს, რომ ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად.“ კოდექსი აგრეთვე

მიუთითებს ორგანოებზე, რომლებზედაც არ ვრცელდება მისი მოქმედება, გარდა მესამე თავისა (ინფორმაციის თავისუფლება). ეს ორგანოებია:
ა) საქართველოს პარლამენტი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;
ბ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო;
გ) საქართველოს სახალხო დამცველი;
დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები.
ე) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. *(28.12.2007 N5671)*

თუმცა, კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი აზუსტებს, რომ ,,ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.“

ამდენად, ამ კოდექსის მოქმედება სრულად ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მის საქვეუწყებო დაწესებულებებზე. ყურადსაღებია დასახელებული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის დათქმები, რომ ,,ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:
ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;
ბ) ოპერატიულ სამძებრო საქმიანობასთან;
გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;
დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;
ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა”, „დ”, „ე”, „ზ”, „თ”, „ო” ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;
ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.“

ზემოაღნიშნული ნორმა აბსოლუტურად ლოგიკურია, ვინაიდან სისხლის სამართლებრივი დევნის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების თუ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში სათანადო ორგანო ხელმძღვანელობს არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, არამედ სპეციალური კანონებით, შესაბამისად ასეთი საქმიანობის განხორციელების დროს ამ კოდექსის გამოყენება დაუშვებელია. რაც შეეხება დასრულებულ საქმეებს, რომლებიც წარმოებით შეწყვეტილია და ინახება არქივში, ის წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს პასუხიდან უტყუარად ირკვევა, რომ გიორგი გველუკაშვილის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე დაწყებული გამოძიება

წარმოებით შეწყდა, რომელიც უნდა ინახებოდეს სამმართველოს არქივში. მოცემულ მომენტში ამ საქმეზე არ ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და საპროცესო მოქმედებები, რაც რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით. ამდენად, რაიონული სამმართველო ამ ეტაპზე ახორციელებს ადმინისრტაციულ ფუნქციას, ვინაიდან ის უზრუნველყოფს როგორც საარქივო დოკუმენტის შენახვას და დაცვას, რაც სპეციალური კანონებით მინიჭებულ ფუნქციას კი არ წარმოადგენს, არამედ მისი ადმინისტრაციული ფუნქციაა, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის გაცემაში და მოქცეულია დაწესებულების ადმინისტრირების სფეროში.

ნორმათა ასეთი განმარტება ემყარება 2003 წლის 6 აგვისტოს საოლქო სასამართლოს #3ბ.1328 გადაწყვეტილების მსჯელობას (აღნიშნული გადაწყვეტილება შემდგომში ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ) გაზეთი ,,ალია" გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ გენერალური პროკურატურის უარი შეწყვეტილი საქმის გაცემაზე უსაფუძლო იყო, ვინაიდან კოდექსისეული განმარტებიდან გამომდინარე, ,,საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია." დასახელებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ თვითმკვლელობის ფაქტზე შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე მიიჩნია საჯარო ინფორმაციად, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში შექმნილი, დამუშავებული და შენახული ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს საქმიანობა მის არქივში დაცულ დოკუმენტებთან დაკავშირებით, განეკუთვნება დაწესებულების ადმინისტრირების სფეროს, რის გამოც ამგვარი დოკუმენტები წარმოადგენს კოდექსის მე-3 თავით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას და სამმართველოს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კანონსაწინააღმდეგოა. იმ შემთხვევაში, თუკი სისხლის სამართლის საქმე შეიცავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველ მონაცემებს, მათი გაცნობის შეზღუდვა დასაშვებია ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. ასეთი საქმიანობის ამსახველი მონაცემების, დოკუმენტებისა და წყაროების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრულ პირებს, დადგენილი წესით."

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სამმართველოს მიერ გაცემული პასუხი თავისი შინაარსით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია აქტის მატერიალური კანონიერება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს, რომ

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან. მოცემულ შემთხვევაში, ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს მიერ გაცემული პასუხი უსაფუძვლოდ ზღუდავს ჟურნალისტის, გელა მთივლიშვილის კონსტიტუციურ უფლებას, თავისუფლად მიიღოს ინფორმაცია და ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, რის გამოც „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა დასახელებულ უწყებას, გაეცა მის არქივში შენახული ინფორმაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მოქალაქე გ.გველესიანის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

აღნიშნულ რეკომენდაციაზე პასუხი არ მიგვიღია.

დაჩი ცაგურიას საქმე

2008 წლის 26 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე დაჩი ცაგურიამ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მან 2008 წლის 9 ივნისს საჯარო ინფორმაციის მისაღებად (რეგისტრაციის №13896) მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, კერძოდ კი იგი ითხოვდა 2008 წლის 8 მაისის პრეზიდენტის 299–ე განკარგულების ასლს. როგორც თავად განმცხადებელი განმარტავს, მას დადგენილ ვადაში არ მიუღია მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

ვინაიდან დასახელებული განკარგულება არ იძებნება ნორმატიულ ბაზაში და არ არის გამოტანილი საჯაროდ, საკითხის შესწავლის მიზნით, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მივმართეთ ზემოაღნიშნული უწყების საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, ქ-ნ მარიკა კვანტრიშვილს, რათა ეცნობებინა, რა სახის დოკუმენტია 2008 წლის 8 მაისის პრეზიდენტის 299-ე განკარგულება, წარმოადგენს თუ არა ის საჯარო ინფორმაციას, დასტურის შემთხვევაში, ვითხოვდით განმარტებას, რატომ არ მიეწოდა იგი განმცხადებელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითხოვდით, დაეცათ დასაბუთებული პასუხი, რის საფუძველზე არის იგი გასაიდუმლოებული.

აღსანიშნავია, რომ არაერთი წერილისა და შეხსენების მიუხედავად, პრეზიდენტის ადმინისტრაცია სახალხო დამცველის აპარატს დასაბუთებულ პასუხს არ უგზავნის, რაც იმის მანიშნებელია, რომ ინფორმაციის გაცემა შეგნებულად ჭიანურდება ამ უწყებაში, ეს კი თავის მხრივ მოქალაქეთა კონსტსტიტუციური უფლების დარღვევაზე მიუთითებს.

არაჯეროვანი მმართველობა

ილია ჩაჩიბაიას საქმე

საანგარიშო პერიოდში მედიასთან ბრძოლის ორიგინალური ხერხით გამოირჩეოდა სამეგრელო–ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ზაზა გოროზია. ამ უკანასკნელმა 2008 წლის 24 მარტს სასარჩელო განცხადებით მიმართ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. ზაზა გოროზიას განმარტებით, 2008 წლის 7–13 თებერვლის ,,თავისუფალი გაზეთის“ #2 ნომერში ჟურნალისტ ილია ჩაჩიბაიას მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს სამეგრელო–ზემო სვანეთის გუბერნატორი დუმილის სანაცვლოდ ჟურნალისტს 10 000 ლარს სთავაზობდა, არ შეესაბამება სინამდვილეს. ზაზა გოროზიას აზრით, ილია ჩაჩიბაიას განცხადებამ გამოიწვია მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ამის გამო, მან სამოქალაქო კოდექსის მე–18 მუხლის მე–3 ნაწილის თანახმად, მოპასუხე ,,თავისუფალი გაზეთის“ მესაკუთრის, თამარ ლეფსვერიძისაგან მოითხოვა გავრცელებული ცნობების უარყოფა, ამასთან ერთად, ზაზა გოროზიამ ილია ჩაჩიბაიასაგან მოითხოვა, სამოქალაქო კოდექსის მე–18 მუხლის მე–6 მუხლის საფუძველზე, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით.

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია უჩვეულო იმაში, როდესაც თანამდებობის პირი მის მიმართ გაკეთებულ განცხადებებზე სასამართლოში სარჩელის შეტანით რეაგირებს. ეს დავა თავისი არსით არ იქნებოდა საინტერესო, რომ არა ერთი დეტალი – სასამართლოში მოსარჩელის ინტერესებს იცავდა ლევან იზორია. ამ უკანასკნელის სახელზე გაცემულ წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტში (რწმუნებულება), მარწმუნებელი ზაზა გოროზია მიუთითებს: სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი აბაშის, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის, მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში ზაზა გოროზია, წინამდებარე რწმუნებულებით უფლებას ანიჭებს შოთა იზორიას წარმოადგინოს და დაიცვას **სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორის ინტერესები** საქართველოს ყველა სასამართლო ინსტანციაში.

ამგვარად, ზაზა გოროზიამ სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სახელით წამოიწყო სამოქალქო დავა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლიც არანაირ შემხებლობაში არ იყო აღნიშნული პიროვნების მიერ დაკავებულ თანამდებობასთან. ადამიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს პერსონალური ხასიათის სამართლებრივ სიკეთეს. ადამიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია განეკუთვნება პირად, არაქონებრივ უფლებათა კატალოგს. პიროვნების პატივის ქვეშ იგულისხმება მისი მორალური თუ სხვა თვისებების საზოგადოებრივი შეფასება. ღირსების ქვეშ იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თავად პიროვნების მიერ.[127] საქმიანი

[127] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი, გამომცემლობა ,,სამართალი“ თბილისი, 2002 წელი, გვ.60

რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება.[128]აღნიშნული სამართლებრივი სიკეთე პიროვნებას აქვს მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ იგი ადამიანად არის დაბადებული, დამოუკიდებლად იმისაგან, უკავია თუ არა მას რაიმე თანამდებობა. აღნიშნულ დავაში ზაზა გოროზია იყო ჩვეულებრივი ფიზიკური და არა სახელმწიფო თანამდებობის პირი. შესაბამისად, არ არსებობდა სახელმწიფოებრივი ინტერესი, პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის პირად ურთიერთობებთან დაკავშირებით, სამოქალაქო დავის ერთ–ერთი მხარე გამოსულიყო თანამდებობის პირის სახელით. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა ამ უფლებათა მატარებელი პირის კერძო, პიროვნული სფეროა. შესაბამისად, ამგვარი უფლებების დაცვის დროს პიროვნება საჯარო სამართლებრივ სტატუსს არ უნდა იყენებდეს.

როდესაც კითხულობ ზაზა გოროზიას სარჩელზე თანდართულ დოკუმენტს, უნებურად გახსენდება ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 20 თებერვლის განჩინება თემურ შაშიაშვილის სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე. აღნიშნული სასამართლო აქტი მიეკუთვნება სასამართლო პრაქტიკის კურიოზის სფეროს. ეს განჩინება აისახა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თავისუფლების ინსტიტუტის“ 2005 წლის გამოცემაში ,,გამოხატვის თავისუფლება“ (მეორე ტომი). 2001 წლის 8 ნოემბერს იმერეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა თემურ შაშიაშვილმა სარჩელი აღძრა პაატა კუპრეიშვილისა და გაზეთი ,,ახალი ვერსიის“ წინააღმდეგ. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციით შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლეები – რ.სულწაძე, გ.გოცირიძე და მ.მაისურაძე) თავის განჩინებაში აღნიშნა: სასამართლოში თემურ შაშიაშვილის საქმის განხილვისას ის გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან. უწყება სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ გაეგზავნა და ჩაბარდა მის უფლებამონაცვლეს – იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს – დავით მუმლაძეს, რომელიც პროცესზე არ გამოცხადდა. სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა მოპასუხე მხარესაც.“

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275–ე მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტით და სარჩელი განუხილველად დატოვა. თემურ შაშიაშვილის სარჩელი შედგენილი იყო იმერეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ბლანკზე, თუმცა მასში მოსარჩელე მითითებულია, როგორც ფიზიკური პირი და აღნიშნულია მისი საცხოვრებელი სახლის მისამართი. სასამართლომ არ დააკმაყოფილა თემურ შაშიაშვილის შუამდგომლობა საქმის გადადების თაობაზე, ვინაიდან მას სარჩელი აღძრული ჰქონდა, როგორც იმერეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს, პროცესზე გამოძახებული იყო მისი უფლებამონაცვლე დავით მუმლაძე. იმავე განჩინებით, ქუთაისის საოლქო სასამართლომ მოსარჩელე მხარეს დააკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 5000 ლარის გადახდა. განჩინებიდან არ ირკვევა, თუ ვინ და რა წყაროდან უნდა გადაიხადოს აღნიშნული თანხა: თემურ შაშიაშვილმა თუ დავით მუმლაძემ, 5000 ლარი ყოფილი ან მაშინდელ გუბერნატორის პირადი

[128] იგივე სახელმძღვანელო გვ.61

სახსრებიდან ან სხვა ქონებიდან უნდა ყოფილიყო ამოღებული თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საბედნიეროდ, ზაზა გოროზიას სარჩელის განხილვის დროს თავი არ იჩინა სასამართლოს არაკომპეტენტურობასთან დაკავშირებით არსებულმა პრობლემამ. იურიდიული ხასიათის ხარვეზები ამჯერად სამეგრელო–ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატს არ გასცილებია. 2008 წლის 10 ივნისს სამხარეო ადმინისტრაციის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, შოთა იზორია არ გამოცხადდა ზუგდიდის სასამართლოს სხდომაზე. მას კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა უწყება და სხდომის გამართვის დღეს არ არსებობდა გამოუცხდებლობის საპატიო გარემოების თაობაზე. მოპასუხის რწმუნებულმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, რაც დააკმაყოფილა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ამირინდო გელანტიამ.[129] სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრა მოსარჩელე მხარეს. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით საჩივარი ზაზა გოროზიამ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. 2008 წლის 1 ივლისს მოსამართლე ამირინდო გელანტიამ გამოიტანა განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე. მთავარი ინტრიგა, დაუშვებდა თუ არა მოსამართლე პატივის, ღირსების საქმიანი რეპუტაციის შელახვის თაობაზე საქმეში მოსარჩელის იმ რწმუნებულს, რომელსაც არა ფიზიკური პირის, არამედ სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის წარმომადგენლის სტატუსი ჰქონდა, არ შედგა.

[129] http://media.ge/geo/page.php?m=news_detailed&id_numb=3625&&case=search&&tomark

დანართი #9
სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

მოქალაქე ეთერ ყარმაზანაშვილი

2007 წლის 12 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ეთერ ყარმაზანაშვილმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ე.ყარმაზანაშვილი არის მარტოხელა დედა, ჰყავს მცირეწლოვანი (ორი წლის) შვილი, ძმა და ინვალიდი მშობლები. ოჯახის წევრები არ მუშაობენ, რის გამოც ოჯახი ეკონომიურად გაჭირვებულია.

განცხადებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მან, როგორც უმწეო ოჯახის წარმომადგენელმა დახმარებისათვის მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დუშეთის რაიონულ განყოფილებას, თუმცა, მიუხედავად მძიმე ოჯახური პირობებისა, არ მიანიჭეს საარსებო შემწეობის მიღებისათვის საჭირო სარეიტინგო ქულა.

ეთერ ყარმაზანაშვილის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესასწავლად სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ადგილზე განახორციელეს მონიტორინგი. ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ ე.ყარმაზანაშვილის ოჯახი საჭიროებდა დახმარებას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მივმართეთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, საიდანაც გვაცნობეს, რომ სოციალური აგენტის მიერ შეფასებული იქნა მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რის შემდეგაც მოხდა სარეიტინგო ქულის დათვლა. შეფასებული სარეიტინგო ქულის (48230) მიხედვით, უახლოეს დღეებში განმცხადებლისათვის სოციალური დახმარება-საარსებო შემწეობის დანიშვნას განახორციელებს სოციალური აგენტი.

მოქალაქე კახაბერ ჯაბაური

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა კახაბერ ჯაბაურმა საარსებო შემწეობის დანიშვნასთან დაკავშირებით. როგორც განმცხადებელი მიუთითებდა, მისი ოჯახი (ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი) ცხოვრობს ქირით. ბინაში აქვთ ძველი საოჯახო ინვენტარი. თვითონაც და მისი მეუღლეც არიან უმუშევრები. კახა ჯაბაურს და მის ვაჟს აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რის გამოც საჭიროებენ ოპერაციას. ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულია და დამხმარეც არავინ ჰყავთ.

აღნიშნულის გამო კახაბერ ჯაბაურმა არაერთხელ მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს. სოციალური აგენტისაგან ოჯახის დეკლარაცია ივსებოდა,

თუმცა სარეიტინგო ქულა ყოველთვის ზღვრულზე მაღალი იყო, რის გამოც ვერ ღებულობდა საარსებო შემწეობას.

კახაბერ ჯაბაურის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესასწავლად სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ადგილზე განახორციელეს მონიტორინგი. ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ კახაბერ ჯაბაურის ოჯახი საჭიროებდა დახმარებას, რის გამოც სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს.

მ/წ 25 იანვრის #01/08-1363 წერილით გვაცნობეს, რომ განმეორებით გადამოწმდა კახაბერ ჯაბაურის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მის ოჯახს მიენიჭა სარეიტინგო ქულა-53020, რის შემდეგაც იგი მიიღებს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ სოციალურ შეღავათებს.

დანართი #10
საკუთრების უფლების ხელყოფა

ლევან ტერაშვილის და დავით კეკელიშვილის საქმე.

მიმდინარე წლის 14 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა: ლევან ტერაშვილმა და დავით კეკელიშვილმა.

განმცხადებლების ახსნა-განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოირკვა შემდეგი გარემოებები:

2007 წლის 2 თებერვალს ნოტარიუსის ნ.გინტურის მიერ დამოწმებული იქნა ნასყიდობის ხელშეკრულება მოქალაქე მალხაზ საღირაშვილსა და ფიზიკურ პირებს შორის. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ამირან გიგუაშვილმა, გელა ნასყიდაშვილმა, დავით კეკელიშვილმა, ვასილ მახარაშვილმა, თეიმურაზ გოგიტიძემ, იოსებ გიგუაშვილმა, ირაკლი ოქრუაშვილმა, ლევან ტერაშვილმა, მარლენ ნადირაძემ, მიხეილ ქარელმა და ნიკა რამიშვილმა მოიპოვეს წილობრივი საკუთრების უფლება თბილისში, ათონელის ქუჩის #27–ში მდებარე 371 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე, ხელშეკრულების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების გზით.

2007 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მილერი ხარებავამ განიხილა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს გამომძიებლის გ.გოგლიძის შუამდგომლობა და გამოსცა ბრძანება ბრალდებულის - ირაკლი ოქრუაშვილის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

ზემოაღნიშნული ბრძანებიდან ირკვევა, რომ გამოძიებას ეჭვი არ შეაქვს ირაკლი ოქრუაშვლის დანაშაულებრივ კავშირში უძრავი ქონების სხვა მყიდველებთან. შესაბამისად, სასამართლოც არ მსჯელობს ამ საკითხზე, თუმცა არ ამოწმებს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ამონაწერს საჯარო რეესტრიდან) და უსაფუძვლოდ აკმაყოფილებს რა შუამდგომლობას, მთლიანად აყადაღებს არა მხოლოდ ბრალდებულის, არამედ მის გარდა კიდევ 10 პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

სასამართლოს ბრძანების თანახმად, ირაკლი ოქრუაშვილი 28 სექტემბერსა და 4 ოქტომბერს ბრალდებულის სახით მიცემული იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა), 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (ქრთამის აღება) და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (უკანონო

შემოსავლის ლეგალიზაცია) და აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა დაპატიმრება.

მოსამართლემ მიუთითა: „წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულის საკუთრებაში აღრიცხულია უძრავი ნივთი - 371 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით.“ აშკარაა, რომ მოსამართლემ მტკიცებულებათა გაცნობის გარეშე ცნო დადგენილად გამოძიების მიერ (უსაფუძვლოდ) მითითებული გარემოება და თანასაკუთრებაში არსებული მთლიანი ქონების დაყადაღებით უხეშად დაარღვია კანონი. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად ქონებაზე ყადაღის დადების ობიექტი შეიძლება იყოს „ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ანდა დაკავშირებული პირის ქონება... თუ არის მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ, ანდა რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.“

იმისათვის, რომ დადგენილად მიჩნეულიყო ქონების დანაშაულებრივი გზით მოპოვების მონაცემების არსებობა, სულ მცირე, გამოძიებას დასაბუთებულად უნდა ემსჯელა ამირან გიგუაშვილის, გელა ნასყიდაშვილის, დავით კეკელიშვილის, ვასილ მახარაშვილის, თეიმურაზ გოგიტიძის, იოსებ გიგუაშვილის, ლევან ტერაშვილის, მარლენ ნადირაძის, მიხეილ ქარელის და ნიკა რამიშვილის დანაშაულებრივ კავშირზე ირაკლი ოქრუაშვილთან.

საქმის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ სასამართლოს მხრიდან მთლიან ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების კანონიერება მხარეს სადავოდაც რომ არ მიაჩნდეს, მათი საკუთრების უფლება უდავოდ არის დარღვეული სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, „ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში _ აგრეთვე ქონებით სარგებლობას.“

სასამართლოს ბრძანებაში გარკვევით ჩანს დაყადაღების მიზანი და ყადაღის ფარგლები. სასამართლოს არ მიუთითებია ქონებით სარგებლობის აკრძალვის აუცილებლობაზე.

გამომძიებლის მიერ ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნა შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული: ყადაღა დაედოს 371 კვ.მ მიწის ნაკვეთს ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, *„იმისათვის, რომ არ მოხდეს ქონების გასხვისება...“* სასამართლომ სწორედ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა. შესაბამისად, არავის ჰქონდა უფლება, ხელი შეეშალა მესაკუთრის /მესაკუთრეებისათვის დაყადაღებული ქონებით სარგებლობაში.

მესაკუთრეთა განცხადების საფუძველზე, მიმდინარე წლის 15 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ადგილზე დაათვალიერეს დაყადაღებული შენობა-ნაგებობა. შესასვლელში მათ დახვდათ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ თანამშრომლები, რომლებმაც განმარტეს, რომ „დავალებული აქვთ“

ობიექტის დაცვა, რაც გულისხმობს იმას, რომ აკრძალული აქვთ შენობაში ნებისმიერი პირის, მათ შორის მესაკუთრეების შეშვება. მოთხოვნის მიუხედავად, მათ არ წარმოადგინეს მიცემული დავალების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266-ე ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანები. ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან." ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაცვის პოლიცია უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ დადებული ხელშეკრულების მიხედვით. აღნიშნული დებულებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დაცვის პოლიციაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სამინისტროს უფლებამოსილებები დაცვის პოლიციის მიმართ შემოიფარგლება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნით და საფინანსო-ეკონომიკური კონტროლით. შესაბამისად, შეუძლებელია ობიექტის დაცვის ბრძანება გაცემული იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. ამიტომ, აბსოლუტურად გაურკვეველია რომელ პირთან, ან რომელ ორგანიზაციულ წარმონაქმნთან წარმოეშვა ობიექტის დაცვის ვალდებულება დაცვის პოლიციას.

ასევე დადგენილია ის გარემოება, რომ დაცვის პოლიციის კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო ქონების მესაკუთრეებს ხელი ეშლებათ საკუთრებით ფლობასა და სარგებლობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა..."

დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განსაზღვრული და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება. კერძოდ ფიზიკური პირების უფლება - შეუფერხებლად სარგებლობდნენ თავისი საკუთრებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გამოვლენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები და ამ ფაქტზე წინასწარი გამოძიების წარმოება სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციას მიეკუთვნება. „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს გენერალურ პროკურორს გიეგზავნა სახალხო დამცველის მიმართვა და საქმის მასალები, ფაქტზე წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებულ პასუხში (პასუხი წარმოადგინა საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გამოძიების საპროცესო

ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა გვარამიამ) აღნიშნული იყო, რომ წინასწარი გამოძიება არ დაწყებულა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ამის შემდეგ, საქართველოს გენერალურ პროკურორს სახალხო დამცველის მიერ გაეგზავნა მორიგი მიმართვა შემდეგი შინაარსით: „განვიხილე საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსის მამუკა გვარამიას მიმდინარე წლის 10 მარტის #გ07032008/34 წერილი, რომლის თანახმად, ჩემი 2008 წლის 15 თებერვლის მიმართვა არ იქნა გათვალისწინებული, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძვლის არარსებობის გამო.

მოგეხსენებათ, საქმე ეხება ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილისა და განმცხადებლების საერთო საკუთრებაში არსებული ობიექტით სარგებლობის უკანონო ხელშეშლის ფაქტს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ, ხოლო რეკომენდაციით მოვითხოვდი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა ქმედებაზე წინასწარი გამოძიების დაწყებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების გამოვლენის გამო.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მის მიმართვაზე მიღებული პასუხი არის არაადეკვატური და უსაფუძვლო. წერილით არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არ არსებობს მის მიერ მითითებული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი.

წერილში მიმოხილულია ი.ოქრუაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდების არსი და ობიექტის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით **გამოძიების მიერ** დადასტურებული გარემოებები და აღნიშნულია შემდეგი: „ფიქტიურ მესაკუთრეებს **რომც ჰქონდეთ ქონების** განკარგვისა და **სარგებლობის უფლება**, მისი განხორციელებისთვის საჭირო იქნებოდა ყველა მესაკუთრის თანხმობა, რადგან სადავო ფართი მოქალაქეთა ჯგუფის საერთო საკუთრებაა და მათში წილობრივი მონაცემები განსაზღვრული არ არის.“

დაუშვებელია განმცხადებლებს ეწოდოთ „ფიქტიური მესაკუთრეები“, ვინაიდან მათთვის არავის ჩამოურთმევია საკუთრება, არავის შეუზღუდავს საკუთრების უფლება. ამავე დროს, ხელშეკრულება ბათილად არ არის ცნობილი კანონით დადგენილი წესით, ხოლო სასამართლოს მიერ ყადაღის დადებით დასტურდება არა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, არამედ გამოძიების ეჭვი, რაც ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

იურიდიულად სადავო არ შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მესაკუთრეებს აქვთ დაყადაღებული ნივთით სარგებლობის უფლება, რამეთუ ეს უფლება ყადაღის დადებით მათთვის სასამართლოს არ შეუზღუდავს. შესაბამისად, ვერ გავიზიარებ

მსჯელობას, რომლითაც ბატონი მ.გვარამია ამტკიცებს, რომ ასეთი უფლება განმცხადებლებს არ გააჩნიათ. რაც შეეხება მესაკუთრეების მიერ სარგებლობის განხორციელებისთვის ყველა მესაკუთრის თანხმობის აუცილებლობას, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება საფუძველს არის მოკლებული, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის I ნაწილით განსაზღვრულია: „საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო. ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ.“

მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 956-ე-959-ე მუხლების თანახმად, საზიარო საგანს მესაკუთრეები ერთობლივად მართავენ (განკარგავენ მის უფლებრივ მდგომარეობას), მაგრამ 955-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ „თითოეულ მოწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას.“ 954-ე მუხლის შესაბამისად კი, „თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.“ ამდენად, ნებისმიერ განმცხადებელს უფლება ჰქონდა, შეუფერხებლად ესარგებლა საერთო ქონებით (რაც თავის მხრივ არ ნიშნავს განკარგვის უფლებას), დამატებითი შეთანხმების გარეშე და თუ თანამესაკუთრეებს შორის სარგებლობაზე წარმოიშობოდა დავა, მას განიხილავდა სასამართლო სათანადო მხარის მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე, სამოქალაქო წესით. ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს ამ დავაში სახელმწიფო არ შეიძლებოდა ეცნო დაინტერესებულ პირად.

დაცვის პოლიცია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266 ბრძანების შესაბამისად და მის საფუძველზე. ბატონი მ.გვარამიას მიმდინარე წლის 10 მარტის #გ07032008/34 წერილში აღნიშნულია, რომ მითითებული ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, სხვა სახის ამოცანებთან ერთად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი დადებული ხელშეკრულებების, **ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე** სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში ახორციელებს მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვას და, ამდენად, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი.

მე-2 მუხლი არ ითვალისწინებს ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვას. შესაბამისად, აღნიშნული მსჯელობა არათუ საფუძველსაა მოკლებული, არამედ მას საერთო არაფერი აქვს ნორმატიულ აქტთან. მუხლი შემდეგი სახით არის ფორმულირებული: „1. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია დადებული ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონების, კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

2. ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების საფუძველზე:

ა) ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას;
ბ) ახორციელებს დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, მნიშვნელოვანი ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და სხვა ობიექტების დაცვას, ფულადი სახსრებისა და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებას;
გ) ახორციელებს დასაცავი ობიექტების დაცვითი-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას."

რაც შეეხება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის უფლებამოსილებას, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის ეროვნული საგანძურისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის სამმართველოს დასაცავი ობიექტების ნუსხის დამტკიცებისა და სამმართველოს შესანახი ხარჯების საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 18 თებერვლის #100-ე განკარგულებით განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266 ბრძანების მე-2 მუხლში მითითებული მნიშვნელოვანი ობიექტების ნუსხა, სადაც ათონელის ქ. #27-ში განთავსებული შენობა-ნაგებობა ვერ მოხვდებოდა, ვინაიდან ამ ჩამონათვალში არის მუზეუმები და გალერეები (სულ 32 ობიექტი), ნუსხა არის ამომწურავი და, შესაბამისად, უსაფუძვლოა მითითება იმაზე, რომ ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილისა და განმცხადებლების საოფისე ფართს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი იცავს იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ობიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტების თანახმად, საქარტველოს გენერალურ პროკურატურაში განმეორებით გაიგზავნა სახალხო დამცველის მიმართვა, დაიწყოთ წინასწარი გამოძიება კონკრეტულ ფაქტზე, გარდა ამისა, „პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის თანახმად, ემსჯელათ საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსის მამუკა გვარამიას დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, მის მიერ გამოჩენილი დაუდევრობის (დისციპლინური გადაცდომის) გამო."

სახალხო დამცველის მეორე მიმართვის შედეგებზე პასუხი წარმოდგენილი არ არის.

ამხანაგობა „ნაინას" საქმე

2008 წლის 28 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს ამხანაგობა „ნაინას" წევრებმა ქალაქ ბათუმში ინასარიძის ქუჩა #5-7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის დაკანონების შესახებ.

განცხადებაზე თანდართული მასალებიდან გამოირკვა, რომ 1989 წლის 5 აპრილის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის #209 გადაწყვეტილებით - კოოპერატიული საცხოვრებელი სახლებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ - კოოპერატივ „კეთილმოწყობა“-ს (შემდგომში კოოპერატივი „ნაინა“) წერტილოვანი 9-სართულიანი, მონოლითური, ექსპერიმენტალური, კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოეყო ინასარიძის ქუჩაზე არსებული თავისუფალი ტერიტორია. შედგენილ იქნა პროექტი 36 ბინიანი 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. კოოპერატივის წევრების მიერ შეტანილი თანხით 1990 წლის დასაწყისში დაიწყო სახლის მშენებლობა, თუმცა ის დღემდე შეჩერებულია. ჩასხმულია მხოლოდ ფუნდამენტი და ცოკოლის ნაწილი. როგორც განმცხადებლები მიუთითებენ, ამჟამად, აღნიშნულ ტერიტორიაზე უნებართვოდ ჩადგმულია სავაჭრო ობიექტები და ავტოფარეხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კოოპერატივის წევრებმა მიმართეს ქალაქ ბათუმის მერიას, გაეთავისუფლებინა დაწყებული კოოპერატიული სახლის სამშენებლო ტერიტორია უნებართვოდ ჩადგმული ყველა ნაგებობისაგან, რომ გაეგრძელებინათ სახლის მშენებლობა. 2005 წლის 25 ნოემბრის, ქ.ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის უფროსის, ბატონ გრიგოლ გარუჩავას პასუხის თანახმად, „თუ მიწის ნაკვეთი, რომელიც საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის #209 გადაწყვეტილებით კოოპერატივ „კეთილმოწყობას“ გამოეყო საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, არ გამოცხადებულა კერძო საკუთრებად, უსასყიდლოდ გადადის კოოპერატივის საკუთრებაში, რის შემდეგაც მიწის ნაკვეთი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში კოოპერატივ „ნაინას“ საკუთრებად”.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კოოპერატივ „ნაინას“ წარმომადგენელმა, ბიძინა ორაგველიძემ რამდენიმეჯერ მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ.ბათუმში, ინასარიძის #5/7-ში კოოპერატივ „კეთილმოწყობისათვის“ („ნაინა“) გამოყოფილი მიწის ნაკვეთის საზღვრები დადგენა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურიდან ბიძინა ორაგველიძემ მიიღო სამი განსხვავებული შინაარსის პასუხი ერთსა და იმავე შეკითხვაზე.

კერძოდ, 2007 წლის 18 დეკემრის პასუხში მითითებულია, რომ „ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებით ქონებაზე მდებარე ინასარიძის ქუჩა #5-7-ში და რომლის მესაკუთრეა კოოპერატივი „კეთილმოწყობა“, ყადაღის შესახებ ინფორმაცია არ არის რეგისტრირებული“.

2007 წლის 19 დეკემბრის პასუხში მითითებულია, რომ „მიწის ნაკვეთი მდებარე ქ.ბათუმში ინასარიძის ქუჩის #5-სა და #7 სახლებს შორის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის“.

ხოლო, 2007 წლის 19 დეკემბრის პასუხში მითითებულია, რომ „ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის არქივის მასალებით ინასარიძის ქ. #5 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი ირიცხება ქალაქ ბათუმის მერიაზე.“

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამივე წერილს ხელს აწერს სამსახურის უფროსი ლ.კეკელიძე. ამასთან, 2006 წლის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ქ.ჯიბჯარაძის 2006 წლის 19 დეკემბრის წერილში მითითებულია, რომ ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მასალებით ინასარიძის ქ. #5/7-ში მდებარე მიწის ნაკვეთი ირიცხება ქალაქ ბათუმის მერიაზე (სახელმწიფო)“.

ამასთან, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გაიგზავნა სახალხო დამცველის წინადადება, საჯარო რეესტრს ემსჯელა იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც ვერ უზრუნველყვეს მოქალაქეთათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობამ შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები გაატარა სააგენტოს ბათუმის განყოფილების პასუხისმგებელი პირების მიმართ და ისინი ჩამოაქვეითეს დაკავებული თანამდებობებიდან.

შპს „ლინქსის“ საქმე

მიმდინარე წლის 13 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა შპს „ლინქსის“ დირექტორმა გიორგი ჯაოშვილმა. სახალხო დამცველის აპარატში საქმის შესწავლის შედეგად გამოირკვა შემდეგი გარემოებები:

შპს „ლინქსი“ დაფუძნებულია საქართველოში და მისი მესაკუთრე არის მოქალაქე **არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი**. შპს-ს არსებობის მანძილზე მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენდა საიჯარო ხელშეკრულების დადების გზით მთაწმინდის პარკის რეაბილიტაცია.

2005 წლის 2 მარტს ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „ლინქსს“ შორის დაიდო ხელშეკრულება „მთაწმინდის პარკის რეაბილიტაციის, ინვესტირებისა და გრძელვადიანი იჯარის შესახებ“. გარიგება დადებული იქნა წერილობითი ფორმით და დამოწმდა ნოტარიუსის მიერ.

იჯარის ხელშეკრულების თანახმად, ქ.თბილისის მთავრობამ აიღო ვალდებულება, შპს „ლინქსისთვის“ გადაეცა ქ.თბილისში მდებარე მთაწმინდის პარკი 49 წლის ვადით. კერძოდ:

1) მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით 212 901 კვ.მ, რომლის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 130 000 ლარით. 2) შპს „მთაწმინდის პარკის“ საწესდებო კაპიტალიდან

ამოღებული ძირითადი საშუალებები. წლიური საიჯარო ქირა - 16 000 ლარი. 3) შპს „თბილბაგირტრანსის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული მთაწმინდის ფუნიკულიორი და საბაგირო გზა, ყველა სადგურის ჩათვლით. წლიური საიჯარო ქირა - 74 000 ლარი.

შპს „ლინქსისთვის“ საიჯარო ქონების ფაქტობრივ გადაცემასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მთავრობის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება გაჭიანურდა, რაც დადასტურებულია ქ.თბილისის მთავრობის კორესპონდენციებით და მოგვიანებით გაფორმებული ხელშეკრულებებით. აღნიშნული დოკუმენტაციის თანახმად, ქონების გადაცემისთვის საჭირო გახდა ტექნიკური და სამართლებრივი ხასიათის საკითხების მოგვარება. მაგალითად: მთაწმინდის ფუნიკულიორის და საბაგირო გზის ობიექტები; სადგურები, საყრდენი სვეტები, სალიანდაგო გზები და სხვა, არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებად. შესაბამისად, შეუძლებელი იყო შპს „ლინქსის“ სახელშეკრულებო უფლების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში საიჯარო ობიექტზე.

მსგავსი საკითხების მოსაგვარებლად ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „ლინქსს“ შორის 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება 2007 წლის 11 აპრილს (სანოტარო წესით). ახალი ხელშეკრულების შესაბამისად, შპს“ლინქსს“ იჯარით გადაეცა: 1) მთაწმინდის ფუნიკულიორის სალიანდაგო გზა; 2) მთაწმინდის ფუნიკულიორის ქვედა სადგური; 3) მთაწმინდის საბაგირო გზის ზედა სადგური; 4) მთაწმინდის საბაგირო გზის ქვედა ბაგირის საყრდენი სვეტი.

შპს „თბილბაგირტრანსის“ საწესდებო კაპიტალში არსებული უძრავი ქონებიდან ქ.თბილისის მთავრობას შპს „ლინქსისთვის“ გადასაცემი დარჩა მთაწმინდის ფუნიკულიორის ზედა სადგური, მთაწმინდის საბაგირო გზის ქვედა სადგური და ზედა ბაგირის საყრდენი სვეტი.

2007 წლის 17 ოქტომბერს შპს „ლინქსმა“ მიიღო ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის #07-2/1248 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „ლინქსს“ შორის 2005 წლის 2 მარტს დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, დადგენილია საიჯარო ქირის გადახდის გრაფიკი. აგრეთვე საკონკურსო პროგრამით განისაზღვრა საიჯარო ქირის ოდენობა, რაც პირველი წლისთვის შეადგენდა 130 000 ლარს. ხოლო შემდეგი წლების საიჯარო ქირის ოდენობა - იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური საიჯარო ქირის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისის მთავრობამ შპს „ლინქსს“ მოსთხოვა ერთი თვის განმავლობაში საიჯარო ქირის გადახდა, ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის დადგენილი ოდენობით, ხოლო მიმდინარე პერიოდზე - ამ დროისთვის მოქმედი ქ.თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის #1-7 გადაწყვეტილების (ქ.თბილისის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის, მიწის წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრისა და შესაბამისი ზონირების შესახებ) შესაბამისად.

მოიჯარეს დამატებით ეცნობა, რომ ქ.თბილისის მთავრობის მიერ 2007 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით მოწონებული იქნა ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „ლინქსს“ შორის 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც გაფორმდებოდა სანოტარო წესით.

განმცხადებელმა მიიღო ქ.თბილისის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსის ნ.ბახტაძის 2007 წლის 17 ოქტომბრის #15-1/1714 წერილი, რომლითაც შპს „ლინქსს“ ეცნობა, რომ ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 7 სექტემბრის #19.27.653 დადგენილებით დამტკიცებული ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი მიზანშეუწონლად მიიჩნია მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურმა და მის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე ქ.თბილისის მთავრობამ 2007 წლის 11 ოქტომბრის #21.05.679 დადგენილებით გააუქმა თავისივე 2007 წლის 7 სექტემბრის #19.27.653 დადგენილება, მოწონებული იქნა იჯარის ხელშეკრულებაში შესატანი ახალი პროექტი და მოიჯარეს თხოვდა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას.

2007 წლის 11 ოქტომბრის #21.05.597 დადგენილების (პროექტის) თანახმად, შპს „ლინქსს“ იჯარით გადაეცემოდა მთაწმინდის საბაგირო გზის ქვედა სადგური და ზედა ბაგირის საყრდენი სვეტი. გარდა ამისა, ხელშეკრულებას ემატებოდა 2.8-ე მუხლი, რომლის თანახმად, 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 15 წლის განმავლობაში საიჯარო ქონებაზე იჯარის ქირა იქნებოდა დაფიქსირებული ამ ცვლილების დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ცვლილების შემთხვევაში შპს „ლინქსს“ ქირის გადახდისას უნდა ეხელმძღვანელა ქ.თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის #1-7 გადაწყვეტილებით, რომლის თანახმად, მთაწმინდის პარკი მიეკუთვნება 35-ე ქვეზონას და ერთი კვ.მ. მიწის წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 6,48 ლარს.

2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულებაში აღნიშნული ცვლილების შეტანის შემთხვევაში, იჯარით გადაცემულ მიწაზე წლიური საიჯარო ქირა იქნებოდა 1 379 598 ლარი, მაშინ როდესაც მითითებული ხელშეკრულების თანახმად, წლიური ქირა არის 220 000 ლარი. როგორც აღინიშნა, ცვლილების პროექტის (რომელიც მიღებული იქნა 2007 წლის 7 სექტემბერს #19.27.653 დადგენილების სახით) მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა მისი უკუქცევითი ძალა, ანუ ქირის ახლებურად განსაზღვრა არა დადგენილების მიღების, არამედ 2005 წლის ხელშეკრულების დადების თარიღიდან.

ქ.თბილისის მთავრობის ცვლილებების პროექტის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულებას უნდა დაემატოს 4.3 და 4.4 პუნქტები, რომელთა თანახმად, საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარე ჯარიმდება გადაუხდელი საიჯარო ქირის 0,1 პროცენტით, ყოველ გადაცილებულ დღეზე და საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოიჯარეს ჯარიმის სახით დაეკისრება დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1 პროცენტი, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

განმცხადებელმა უარყო ოფერტი (რაც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა, როგორც ადმინისტრაციული აქტი), სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის #21.05.679 დადგენილების ბათილად ცნობა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლით:

1) მოსარჩელის მიერ 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულება შეფასებულია, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებას.

2) სარჩელის ერთ-ერთი საფუძველია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65[1] მუხლი, რომლის თანახმად, „1. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.“ სარჩელში აღნიშნულია, რომ შპს „ლინქსს“ და ქ.თბილისის მთავრობას შორის წარმოშობილი ორმხრივი უფლება-მოვალეობებიდან სახელმწიფოს არ გააჩნია პრიმატი და არ სარგებლობს არანაირი უპირატესობით.

აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი. ნორმის თანახმად, „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.“ კერძოსამართლებრივი ურთიერთობები (მათ შორის სახელშეკრულებო) კი დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულ პირთა თანასწორობის უმთავრეს პრინციპზე.

3) განმცხადებელი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის #21.05.679 დადგენილების გამოცემა დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადებასთან და დადებასთან, რაზედაც უნდა განხორციელებულიყო ადმინისტრაციული წარმოება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია ადმინისტრაციული წარმოება „ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით“.

მოსარჩელის განმარტებით, ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის #21.05.679 დადგენილებით შეიზღუდა შპს „ლინქსის“ უფლება და კანონიერი ინტერესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექის მე-13 მუხლის თანახმად, „1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა

საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. 2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.“ ქ.თბილისის მთავრობამ დაარღვია კანონის აღნიშნული მოთხოვნა.

4) სადავოდ არის მიჩნეული ის ფაქტი, რომ ქ.თბილისის მთავრობის მიერ აქტის მიღებისას დარღვეულია კანონის მოთხოვნები: დადგენილებაში არ არის მითითებული ის ორგანო, რომელშიც შეიძლება გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. გარდა ამისა, აქტი არ შეიცავს წერილობით დასაბუთებას და არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილს, 52-ე მუხლის მე-2 ნაწილს, და მე-5 მუხლს.

აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე და სამართლებრივ შეფასებაზე დაყრდნობით, მოსარჩელემ მოითხოვა სადავო დადგენილების ბათილად ცნობა. მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1–ე მუხლი, რომლის თანახმად „1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. 2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32ე ან 34ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება...“

2007 წლის 7 ნოემბერს ქ.თბილისის ვიცე მერმა მ.ახვლედიანმა და ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზ.ბეგაშვილმა მედიის წინაშე გააკეთეს განცხადება იმის შესახებ, რომ შპს „ლინქსი“, რომლის მესაკუთრეა მოქალაქე არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი, დიდი ხნის განმავლობაში უხეშად არღვევდა სახელშეკრულებო ვალდებულებას და არ იხდიდა საიჯარო ქირას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისის მთავრობა ცალმხრივად გავიდა გარიგებიდან და შპს „ლინქსთან“ შეწყვიტა სამართლებრივი ურთიერთობა.

გ.ჯაოშვილის განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს, აღნიშნულ განცხადებამდე, საიჯარო ობიექტზე შეიჭრა დაახლოებით 50-60 შეიარაღებული და ნიღბიანი პირი. მათ დაიკავეს პარკის შესასვლელი და მომსახურე პერსონალს იძულებით დაატოვებინეს ტერიტორია.

განმცხადებელმა განმარტა, რომ მოთხოვნის მიუხედავად, შეიარაღებულ პირთაგან არავის წარმოუდგენია ადმინისტრაციული აქტი ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტი. ეს გარემოება კი ადასტურებს ქმედების უკანონობას. ამასთან, მოიჯარეებს დღემდე არ აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად შევიდნენ საიჯარო ობიექტზე.

საიჯარო ქონების ადგილზე დათვალიერების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ პარკის ტერიტორიაზე. მათ მიერ უტყუარად არის

დადგენილი, რომ ობიექტს იცავს დაცვის პოლიცია. ამავდროულად დაცვის პოლიციის თანამშრომლები პარკის ტერიტორიაზე შპს „ლინქსის“ წარმომადგენელთაგან დღემდე არავის უშვებენ.

სახალხო დამცველის მოადგილის წერილზე დაცვის პოლიციის დეპარტამენტს პასუხი არ გაუცია (წერილით მოთხოვნილი იყო სსიპ დაცვის პოლიციის ქმედების სამართლებრივი საფუძველი). სახალხო დამცველის მოადგილის #3508/04-5/1781-07 წერილზე არ აქვს პასუხი ქ.თბილისის ვიცე მერს. აღნიშნული წერილით გამოთხოვილი იყო შპს „ლინქსის“ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ქ.თბილისის მერიის მიმართვა უფლებამოსილი სამართალდამცავი ორგანოებისადმი, ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შპს „ლინქსის“ მიერ ვალდებულებათა დარღვევის დადასტურების შემთხვევაშიც, ქმედებები იქნებოდა ყოვლად უსაფუძვლო და დამდგარი ზიანის გათვალისწინებით, დანაშაულებრივიც.

იმ შემთხვევაში, თუ ქ.თბლისის მთავრობა იქნებოდა უფლებამოსილი, გასულიყო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, მას უნდა მიემართა წერილით შპს „ლინქსისთვის“ საიჯარო ობიექტის დატოვების მოთხოვნით, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი უფლებამოსილი იყო, მიემართა სასამართლოსთვის (გამოსახლების მოთხოვნით), ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურისთვის, ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების გასატარებლად.

შსს-სთვის მიმართვის შემთხვევაში უფლებამოსილ სამართალდამცავ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747-ე ბრძანების თანახმად), დაეცვა მთელი რიგი პროცედურული მოთხოვნები, განცხადების საფუძვლიანობის განხილვისა და მოიჯარის მიერ მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ მოეხდინა რეაგირება.

თუ ქ.თბილისის მთავრობა მიმართავდა სასამართლოს, მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით იყო შესაძლებელი შემდგომი ღონისძიებების გატარება, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები საერთოდ არ გატარებულა. უფრო მეტიც, დღემდე უცნობია საიჯარო ობიექტზე შეჭრილი სპეც. დანიშნულების რაზმის წარმომავლობა და არ არსებობს შპს „ლინქსის“ მიერ ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება.

საქმესთან დაკავშირებით, შეუძლებელია ქ.თბილისის მთავრობის მიერ უარყოფილი იქნას მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები. არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს იმ მტკიცებულებების და გარემოებათა ნამდვილობა, რაზედაც განმცხადებელი ამყარებს

თავის სასარჩელო მოთხოვნას და რის მეშვეობითაც ასაბუთებს სახალხო დამცველისადმი მომართვის საფუძვლიანობას. კერძოდ:

1) 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულების მე-2.1 მუხლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, საერთო ფართობით 212 901 კვ.მ. ჯამური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენდა არა 130 000, არამედ 220 000 ლარს.

2) მე-2.5 მუხლის შესაბამისად, მოიჯარეს საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა შემდეგი გრაფიკით: 1) პირველ წელს - საიჯარო ქირის ჯამური თანხის 20 %; 2) მეორე წელს - საიჯარო ქირის ჯამური თანხის 30 %; 3) მესამე წელს - საიჯარო ქირის ჯამური თანხის 175 %...

3) 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულებით, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება შპს „ლინქსს“ განესაზღვრა ყოველი მეექვსე საანგარიშო თვის ბოლოს.

4) ქ.თბილისის მთავრობამ დაარღვია 2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულების მე-3.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულება და, მისივე ბრალით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოგვიანებით დაარეგისტრირა მოიჯარის საიჯარო უფლება 212 910 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. შესაბამისად, ქ.თბილისის მთავრობის მოთხოვნა, გადაუცემელ მიწის ნაკვეთებზე ქირის გადახდის შესახებ, ყოველგვარ საფუძველს იქნებოდა მოკლებული და, ბუნებრივია, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისში შპს „ლინქსის“ ვალდებულება შემოიფარგლა მხოლოდ იმ ქირის გადახდით, რაც უკვე გადაცემულ მიწის ნაკვეთზე პროპორციულად მოდიოდა, თუმცა 2007 წლის 11 აპრილის ცვლილებით (ორმხრივი შეთანხმებით) ხელშეკრულების 6.1 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვადა აითვლება და იწყება შესაბამის ქონებაზე საჯარო რეესტრში მოიჯარის იჯარის უფლების რეგისტრაციის მომენტიდან.“ ამ პუნქტს მიენიჭა უკუქცევითი ძალა და ძალაშია 2005 წლის 2 მარტიდან.

5) საერთო ჯამში 212 901 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე შპს „ლინქსის“ იჯარის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ყველაზე ადრინდელი თარიღია 2006 წლის 2 ივნისი. ე.ი. საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება მოიჯარეს მითითებული თარიღიდან წარმოეშვა.

6) ტენდერში გამარჯვების შემდეგ, შპს „ლინქსს“ ბეს სახით გადახდილი აქვს 44 000 ლარი, რაც შეადგენს პირველი წლის საიჯარო ქირას - საიჯარო ქირის ჯამური ოდენობის 20%.

7) მეორე წლის საიჯარო ქირის - 39 000 ლარის (საიჯარო ქირის 30%) გადახდის ვალდებულება მოიჯარისთვის დგებოდა 2008 წლის 2 ივნისს. თუმცა, ვინაიდან ხელშეკრულების 2.6-ე მუხლის თანახმად ქირა გადახდილი უნდა ყოფილიყო ყოველი მეექვსე საანგარიშო თვის ბოლოს, შპს „ლინქსს“ 39 000 ლარის 50%-ის - 19 500 ლარის გადახდა ევალებოდა 2007 წლის 2 დეკემბრამდე.

ყოველივე აღნიშნული კი იძლევა შემდეგი შეფასების შესაძლებლობას: ქ.თბილისის მთავრობამ გაურკვეველი მოსაზრებებით მიიღო ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილება.

გამომდინარე იქედან, რომ შპს „ლინქსი“ პირნათლად ასრულებდა თავის ვალდებულებას (ყოველ შემთხვევაში როგორც უკვე აღვნიშნეთ საწინააღმდეგოს დამადასტურებელი ქალაქ თბილისის მერიას არ წარმოუდგენია), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლები ქ.თბილისის მთავრობას არ ანიჭებდა ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის უფლებამოსილებას. აღნიშნული ნორმების შინაარსი მიუთითებს იმის შესახებ, რომ კონტრაჰენტის ცალმხრივი უარი სახელშეკრულებო ურთიერთობაზე (ხელშეკრულებიდან გასვლა) მხოლოდ იმ შემთხვევაშია კანონიერი, როდესაც მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. შესაბამისად, ქ.თბილისის მთავრობას უნდა დაემტკიცებინა შპს „ლინქსის“ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფაქტი. საამისოდ კი გარიგებაში ცვლილებების შეტანა იყო საჭირო.

2005 წლის 2 მარტის ხელშეკრულების მე-9.3 მუხლის თანახმად „ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით“. ამავე ხელშეკრულების მე-9.4 მუხლის შესაბამისად „ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.“

იმისათვის, რომ ქ.თბილისის მთავრობის პროექტი გამხდარიყო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, საჭირო იყო შპს „ლინქსის“ წერილობითი თანხმობა. პროექტის ავტორებისთვის წინასწარვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ კონტრაჰენტი ცვლილებაზე არ დათანხმდებოდა. ამიტომაც ქ.თბილისის მთავრობამ იპოვა „გამოსავალი“ და შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე ადმინისტრაციული აქტით (ნების ცალმხრივი გამოვლენით) სცადა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ შპს „ლინქსი“ სასამართლოს არ მიმართავდა (მაგ: თუ გაუშვებდა აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადას), დადგენილების შესრულება ყველა შემთხვევაში იქნებოდა სავალდებულო.

გადაუჭარბებელი იქნება შეფასება, თუ ვიტყვით, რომ სადავო დადგენილება არის სამართლის დარგების აღრევის და გაურკვევლობის ნიმუში. დაუშვებელია, სახელშეკრულებო ცვლილება, რომელიც ორმხრივ შეთანხმებას საჭიროებს, მიღებულ იქნეს ადმინისტრაციული აქტის სახით და შემდგომ ეს კაბალური აქტი გახდეს ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების შესახებ მოთხოვნის და მოგვიანებით, ხელშეკრულებიდან გასვლის მთავარი საფუძველი.

განმცხადებელი მართებულად აღნიშნავს იმის შესახებ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცვლილებები ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში საჭიროებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფას, საქმის გარემოებათა გამოკვლევას და მთელ რიგ შეზღუდვებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა განმცხადებლის მხრიდან დადგენილების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად ამის

აღნიშვნა საერთოდ არ წარმოადგენდა აუცილებლობას, რამდენადაც იმთავითვე ცხადია, რომ დაუშვებელია, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად სახელშეკრულებო ცვლილება მიღებული იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით. შესაბამისად, დადგენილება თავისი ფორმალური და მატერიალური ბუნებით არის სრული სამართლებრივი ნონსენსი.

ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის #21.05.679 დადგენილება ცალსახად ექვემდებარება ბათილად ცნობას, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება როგორც კანონს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილს, 52-ე მუხლის მე-2 ნაწილს, მე-5 მუხლს), ასევე ხელშეკრულებას და სამოქალაქო კოდექსის საკვანძო პრინციპებს (ნების ავტონომიის და კეთილსინდისიერების პრინციპებს).

არათუ დარღვეულია, არამედ სრულად არის უგულებელყოფილი აქტის მიღების და გამოცემისთვის კანონმდებლობით (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლებით) დადგენილი მოთხოვნები.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დარღვეული იყო შპს „ლინქსის“ სახელშეკრულებო უფლებები და კანონიერი ინტერესები. ქ.თბილისის მთავრობის 2007 წლის 11 ოქტომბრის #21.05.679 დადგენილება კი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, მისი კანონსაწინააღმდეგობის მოტივით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მერიას გაეგზავნა რეკომენდაცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის შესაბამისად, ბათილად ეცნოთ 2007 წლის 11 ოქტომბრის #21.05.679 დადგენილება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე და 409-ე მუხლების თანახმად, აღედგინათ პირვანდელი მდგომარეობა (ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება). ამავდროულად, კონტრაჰენტთან მორიგების გზით უზრუნველეყოთ სათანადო (ფულადი) კომპენსაცია და შპს „ლინქსი“–თვის აენაზღაურებინათ ხელშეკრულებიდან უკანონო გასვლის, ობიექტზე სპეც. დანიშნულების რაზმის შეჩრის და სსიპ დაცვის პოლიციის უკანონოდ შესვლის შედეგად წარმოშობილი ფაქტობრივი ზარალი და მიუღებელი შემოსავალი.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია თბილისის მერიამ არ გაიზიარა იმ მოტივით, რომ იგივე საკითხზე შპს „ლინქსის“ სარჩელის საფუძველზე საქმისწარმოება მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 მაისის განჩინებით არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის სამკვიდროს მმართველად აღიარებული იქნა ჯოზეფ კეი. სასამართლომ ჯოზეფ კეის მიანიჭა უფლება განეხორციელებინა ნებისმიერი მოქმედება სამკვიდროს მოვლისა და შეკრებისათვის.

არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მეუღლის ინა გუდავაძის განმარტებით, ჯოზეფ კეიმ შპს „ლინქსში“ დანიშნა ახალი დირექტორი, რომელმაც უარი თქვა ქალაქ თბილისის მერიისაგან ზიანის ანაზღაურებაზე და შპს „ლინქსის“ სხვა სასარჩელო მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა შეწყდა.

ესტელა შელიას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ესტელა შელიამ (მერაბ შელიას დედა), რომელიც განცხადებაში მიუთითებდა თბილისის მერიის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე.

განცხადებისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ თბილისში გალის ქ.#19-ში მდებარე სახლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახლ-მუზეუმად გადაკეთებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ 1991 წლის 12 აპრილს მიიღო #306 დადგენილება. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბიბლიოთეკის მშენებლობის მიზნით დაშალეს გალის ქ.#21-ში მდებარე წოწორიების საკუთრებაში არსებული სახლი.

მთაწმინდის რაიონის აღმასკომის 1991 წლის 16 ოქტომბრის #1/110 განკარგულებით წოწორიების ოჯახი გაწევრიანდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობაში. წოწორიების ოჯახმა უარი განაცხადა მშენებლობის დამთავრებისთვის დალოდებაზე. ესტელა შელიას ოჯახი კი დათანხმდა, დაეთმო წოწორიების ოჯახისთვის რჩეულიშვილის მე-2 ჩიხის #12-ში მდებარე 2 სართულიანი 10 ოთახიანი კაპიტალური შენობა 600 კვ/მ ეზოთი და ხეხილის ბაღით, სანაცვლო საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პირობით და მთაწმინდის რაიონის საკრებულოს გამგეობის 1991 წლის 21 ივნისის #1/1 განკარგულებით მერაბ შელიას ოჯახი გაწევრიანდა კეკელიძის ქ.#70-ში ინდივიდუალურ მეწარმეთა ამხანაგობა „მთაწმინდა 70-ში“.

1991–92 წლებში შექმნილი მდგომარეობის გამო, აღნიშნული ბინის მშენებლობა ვერ დასრულდა, რის გამოც მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1997 წლის 16 ოქტომბრის #285 გადაწყვეტილებით, თბილისის მერიასთან შეთანხმებით, მერაბ შელიას ოჯახს ყიფშიძის ქ.#5–ში ასაშენებელ სახლში გამოეყო 150 კვ/მ ფართი საცხოვრებელი ბინა და გამოიწერა ორდერი, მაგრამ მშენებლობა დღემდე არ დასრულებულა.

განცხადებისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად ასევე გაირკვა, რომ 2005 წლის 3 ივნისს ესტელა შელიას შვილმა, მერაბ შელიამ სარჩელთ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, თბილისის მერიისა და მთაწმინდა–კრწანისის რაიონის გამგეობის მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე 135000 დოლარის ოდენობით. 2005 წლის 15 დეკემბერს სასამართლომ განიხილა მერაბ შელიას სარჩელი და დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების ფაქტი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულმა ორგანომ მისი ოჯახის

სანაცვლო საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ვალდებულება იკისრა, რაც ვერ შეასრულა იმ დროს შექმნილი ვითარების გამო. სასამართლომ დააკმაყოფილა მერაბ შელიას სარჩელი და მოპასუხეებს დააკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 135 000 დოლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2007 წლის 22 ნოემბერს განიხილა წარდგენილი საჩივარი და მასალების გაცნობისა და მხარეთა ახსნა–განმარტებების მოსმენის, წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, რადგან ესტელა შელიას ოჯახსა და ქ.თბილისის მერიას შორის არ იყო დადებული ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უძრავ ნივთებზე საკუთრების მოპოვების აუცილებელი ფორმის დაცვით. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მაგრამ საქმე ჯერ არ განხილულა.

დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ მერაბ შელიას ოჯახსა და თბილისის მერიას შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 1991 წელს ნების გამოვლენის საფუძველზე, რაც გულისხმობდა ესტელა შელიას ოჯახის კუთვნილი სახლის წოწორიების ოჯახისთვის გადაცემის სანაცვლოდ, ტოლფასი საცხოვრებელი სადგომით დაკმაყოფილების ვალდებულებას. სასამართლოს მიერ უტყუარად დადგენილია, რომ აღნიშნული სამართალურთიერთობის არსებობას არცერთი მხარე არ უარყოფს. თავის მხრივ, მერიას ნაკისრი ვალდებულება დადასტურებული აქვს მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1997 წლის 16 ოქტომბრის #285 გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, თბილისის მერიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების საფუძველზე ყიფშიძის ქუჩა #5–ში, ასაშენებელ კორპუსში, იმ ოჯახებს, რომლებმაც ჩააბარეს მიწები, უნდა გაფორმებოდათ შესაბამისი ბინები და შეცვლოდათ ადრე გაწერილი ორდერები. ამავე გადაწყვეტილების მე–2 პუნქტის მიხედვით, მერაბ გოგიტას ძე შელიას გამოეყო 96 კვ/მ ფართის 5 ოთახიანი ბინა. ყოველივე ამის შემდეგ, უკვე 2007 წლის 20 ივლისს თბილისის მერიამ გამოსცა #1513410 დადგენილება „რიგი ადმინისტრაციული აქტების არარად აღიარებისა და მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“. ამ აქტებს შორის აღმოჩნდა სწორედ 1997 წლის 16 ოქტომბრის მთაწმინდის რაიონის გამგეობის #285 გადაწყვეტილება ერთი გამონაკლისის მითითებით. თბილისის მერიამ 2007 წლის 20 ივლისის #1513410 დადგენილებით ძალაში დატოვა ნაკისრი ვალდებულება მერაბ შელიას საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილების ნაწილში, ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა ვალდებულების არსებობა, რაც უნდა ჩაითვალოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–9 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებად.

დასახელებული მუხლის მიხედვით, „ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.“

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ თბილისის მერია არის ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო მერიის მიერ 2007 წლის 20 ივლისს გამოცემული #1513410 დადგენილება არის დოკუმენტი, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ 1991 წელს ქ.თბილისის მერიასა და მოქალაქე მერაბ შელიას შორის წარმოიშვა სამართლებრივი ურთიერთობა. 1991 წლიდან 2007 წლამდე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ შესრულებულა ვალდებულება, შესაბამისად 2007 წლის #1513410 დადგენილებით თბილისის მერია ადასტურებს, რომ ქმედება აუცილებლად განხორციელდება, რითაც დაკმაყოფილებული იქნება მეორე მხარე, მოცემულ შემთხვევაში, შელიების ოჯახი.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი გამოიცა 2007 წელს, ამ აქტით თბილისის მერია არ უარყოფს და უფრო მეტიც, კიდევ ერთხელ ახორციელებს ქმედების შესრულების დაპირებას.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული ზოგადცივილისტური პრინციპის თანახმად, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“. ამ პრინციპის დარღვევა უნდა განვიხილოთ, როგორც ვალდებულების დარღვევა. თუკი ვალდებულების დარღვევას შედეგად მოჰყვება ზიანი, მოვალე ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი, რაც სამოქალაქო კოდექსის 408–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გულისხმობს იმას, რომ მან უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 409–ე მუხლის თანახმად კი: „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, ან ამისათვის აუცილებელია არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს, მერიის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო უხეშად ილახება მოქალაქე მერაბ შელიას საკუთრების უფლება და სათანადო საცხოვრებლის უფლება, რის გამოც „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერიაში გაიგზავნა რეკომენდაცია, რათა მომხდარიყო საკითხის სათანადო განხილვა და უმოკლეს ვადაში მიეღოთ გადაწყვეტილება. კერძოდ, დაეკმაყოფილებინათ მერაბ შელია საცხოვრებელი ფართით ან ქალაქის მერიას გაესცა სათანადო ფულადი ანაზრაურება ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად.

ქალაქ თბილისის მერიამ, რეკომენდაცია არ გაიზიარა იმ მოტივით, რომ პარალელურად მიმდინარეობდა საქმის სასამართლოში განხილვა.

შპს „მწიგნობარის“ საქმე

მიმდინარე წლის 07 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა შპს „მწიგნობარის“ დირექტორმა ალექსანდრე ბაგრატიონმა. განმცხადებლის ახსნა-განმარტებისა და საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოირკვა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 11 მაისის #1-1/415 ბრძანებით შპს „მწიგნობარი“ გამარჯვებულად გამოცხადდა კონკურსში, რომელიც ჩატარდა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ბალანსზე რიცხულ, თბილისში, ფურცელაძე-კეცხოველის ქ.#12-7-ში მდებარე 120 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მასზე წილობრივად დამაგრებულ 389 კვ.მ ფართზე, იჯარით გადაცემის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 03 დეკემბრის #218 დადგენილების („სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით მართვის (გადაცემის წესის“) თანახმად და მისი მოთხოვნების სრული დაცვით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „მწიგნობარს“ შორის 2006 წლის 11 სექტემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 10 წლით.

შპს „მწიგნობარმა“ საიჯარო ობიექტი აიღო წიგნების საგამოფენო-საპრეზენტაციო დარბაზისა და ლიტერატურული კაფეს მოსაწყობად. ამ მიზნით ჩატარდა მნიშვნელოვანი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. განმცხადებლის განმარტებით, ამ სამუშაოების თანხობრივმა მოცულობამ შეადგინა დაახლოებით ნახევარი მილიონი აშშ დოლარი. შედეგად, სრულიად უვარგისი სარდაფი გადაიქცა მაღალი დონის ლიტერატურულ კაფედ, რამაც არაერთ კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა.

საიჯარო ობიექტის იჯარის ფორმით აღებაზე შპს „მწიგნობარს“ თანხმობა მიღებული აქვს ყველა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მხრიდან. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია (ჯერ კიდევ კონკურსის ჩატარებამდე) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, ეროვნული ბიბლიოთეკის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობის წერილები.

თანდართული დოკუმენტაციის სახით განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია შპს „მწიგნობარის“ მიერ საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. შესაბამისად, დავას არ შეიძლება იწვევდეს ის გარემოება, რომ საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე მოიჯარე კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას.

განმცხადებლის ახსნა-განმარტების თანახმად, მთელი ამ პერიოდის მანძილზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მხრიდან არ გამოთქმულა რაიმე სახის ზეპირი თუ წერილობითი პრეტენზია (გაფრთხილება) მისი

მისამართით. ამდენად, სამინისტროს შემდგომი მოქმედება მისთვის სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა.

2007 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ გამოცემული იქნა #1-1/1183 ბრძანება 2006 წლის 11 სექტემბრის საიჯარო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შესახებ. აღნიშნული ბრძანების ერთადერთ ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია იურიდიული დეპარტამენტის 2007 წლის 7 აგვისტოს მოხსენებითი ბარათი, რომელიც მინისტრის მიერ ცნობად იქნა მიღებული. ბრძანება სამინისტროს შესაბამის სამსახურებს ავალდებულებს დარჩენილი საიჯარო ქირის ამოღებას და სახელმწიფო ქონების ჩაბარებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რომ ბრძანებაში არ არის მითითებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სავალდებულო რეკვიზიტი - საჩივრის წარდგენის ვადა.

განმცხადებელმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა 2007 წლის 9 აგვისტოს #1-1/1183 ბრძანების ბათილად ცნობა.

გასაჩივრებული ბრძანების უკანონობას მოსარჩელე ასაბუთებს იმ მოტივით, რომ აქტით დარღვეულია როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რაც გამოიხატება სამინისტროს მხრიდან: 1) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული საიჯარო ურთიერთობების მომწესრიგებელი და ხელშეკრულების შეწყვეტის მარეგულირებელი ნორმების დარღვევაში; 2) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის ზაკ-ით დეკლარირებული ნორმების უგულებელყოფაში.

მოსარჩელის არგუმენტაციით, სამინისტრომ უხეშად დაარღვია ხელშეკრულება. ხელშეკრულების 3.1 პუნქტში ამომწურავად არის განსაზღვრული ის გარემოებები, რომელთა დადგომისას შესაძლებელია მეიჯარის მხრიდან საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება. ეს გარემოებები კი ყველა შემთხვევაში უკავშირდება მოიჯარის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას. ხელშეკრულების მითითებული პუნქტი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან, რომლის 581-ე, 557-ე და 558-ე მუხლებით განსაზღვრულია, რომ მეიჯარე მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, თუ მოიჯარე მნიშვნელოვნად აზიანებს იჯარით გაცემულ ნივთს, ან ქმნის ნივთის დაზიანების რეალურ საშიშროებას, ანდა თუ მოიჯარე არ იხდის საიჯარო ქირას 3 თვის განმავლობაში. შესაბამისად, განმცხადებლისთვის დღემდე უცნობია მოპასუხის მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზეზი, მით უფრო, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საერთოდ არ მსჯელობს, თუ რაში გამოიხატა მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულებების დარღვევა. ამდენად, მას მიაჩნია, რომ სადავო აქტი ეწინააღმდეგება მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობებს, არღვევს მათ და შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 557-ე და 558-ე მუხლების მოთხოვნებს.

სარჩელის თანახმად, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის უცილობელ საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამინისტრომ დაარღვია აქტის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე და 96-ე მუხლებით დადგენილი ვალდებულება, არ ჩაატარა რა ადმინისტრაციული წარმოება, რითაც მხარეს მოესპო შესაძლებლობა, წარედგინა საკუთარი მოსაზრებები, ახსნა-განმარტებები და მტკიცებულებები განსახილველი საკითხის ირგვლივ.

სარჩელის წარმოებაში მიღებასთან ერთად, შეჩერდა სადავო აქტის მოქმედება, რამაც გამორიცხა საჯარო ურთიერთობის ფაქტობრივი გაწყვეტა და შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა მიუღებელი შემოსავლის შესახებ.

განმცხადებელი განმარტავს, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არ წარმოუდგენია დასაბუთებული და არგუმენტირებული შესაგებელი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აქტის უკანონობას.

განმცხადებლის ახსნა-განმარტების მოსმენის, განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და სადავო აქტის კანონიერების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 9 აგვისტოს #1-1/1183 ბრძანება **ბათილად უნდა ეცნოთ შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს...“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველია ყველა ის ფორმალური თუ მატერიალური ხასიათის კანონდარღვევა, რომელთა არარსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

განსახილველ საქმეზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მხრიდან კანონდარღვევა გამოიხატა ხელშეკრულების უკანონოდ (ცალმხრივად) მოშლაში.

საჯარო სამართლებრივი მიზნებიდან გამომდინარე, 2006 წლის 11 სექტემბრის საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. სრულად ვიზიარებ განმცხადებლის პოზიციას ამ საკითხზე, რამდენადაც ის წარმოადგენს ნორმის არსებითად სწორი განმარტების შედეგს, შეესაბამება ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას და მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონმდებლობით სამინისტროსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ახორციელებს სახელმწიფო ქონების ფლობას, მართვას და განკარგვას. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ იურიდიულ პირთან საჯარო ხელშეკრულების დადება წარმოადგენს მის, როგორც

სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო-სამართლებრივ მიზანს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65^1 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე, ადმინისტრაციულ ორგანოზე ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობა და მათი სავალდებულო მოთხოვნები.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების გასაუქმებლად, საჯარო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ" ქვეპუნქტის თანახმად, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულების დადგენაში.

სხვა შემთხვევებში, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმა-დებულებანი. ე.ი. ურთიერთობა ხდება კერძოსამართლებრივი.

კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით."

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შემდგომ, შპს „მწიგნობარსა" და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის წარმოშობილი ორმხრივი უფლება-მოვალეობებიდან სახელმწიფოს არ გააჩნია პრიმატი და არ სარგებლობს არანაირი უპირატესობით. უფრო მეტიც, როგორც აღინიშნა, ხელშეკრულების მოსაშლელად მას საჯარო კანონმდებლობით დადგენილი აქვს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დამატებითი ვალდებულება და ეს ვალდებულება ყველა შემთხვევაში სავალდებულოა შესასრულებლად, ისე, როგორც ხელშეკრულება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმპერატიული ნორმები.

საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არ წარმოუდგენია სხვა საპირისპირო, ან/და გამაბათილებელი მტკიცებულება, სახალხო დამცველმა დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საიჯარო ობიექტზე მოიჯარე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის სახელშეკრულებო ვალდებულებას. საიჯარო ქირის ქვითრები ზემოაღნიშნული გარემოების დამადასტურებელ, სამართლებრივად სარწმუნო დოკუმენტს წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი."

კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა განიხილება, როგორც ვალდებულების დარღვევა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.“

კონტრაჰენტის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის ცალმხრივი შეწყვეტა (ხელშეკრულებიდან გასვლა) მხოლოდ იმ შემთხვევაშია კანონიერი, როდესაც მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ამას ემატება მისი მოვალეობა - განსაზღვროს დამატებითი ვადა სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისთვის. კანონით დეკლარირებულ ამ დანაწესს ასახავდა ხელშეკრულების მე-3.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტიც. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ აღნიშნული მოთხოვნაც უგულებელყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი, ცალმხრივად გასულიყო 2006 წლის 11 სექტემბრის ხელშეკრულებიდან და, შესაბამისად, უარი ეთქვა თავისი ვალდებულებების შესრულებაზე.

თავის მხრივ, სამინისტროს მიერ ხელშეკრულების უსაფუძვლო მოშლა არის ხელშეკრულების და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 557-ე და 558-ე მუხლების დარღვევა, რაც ზაკ-ის ხსენებული (მე-60[1]) მუხლის თანახმად წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს.

განხილული საქმეებიდან სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის დადასტურებისას, რეკომენდაციებში არაერთხელ აღინიშნა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებიდან ცალმხრივად და უსაფუძვლოდ ვადამდე გასვლა ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გზით (რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად) არის სრული სამართლებრივი ნონსენსი, რამეთუ აქტი ადმინისტრაციულ ორგანოს დაუსაბუთებელ უპირატესობას ანიჭებს და, აქედან გამომდინარე, ის იმთავითვე კანონსაწინააღმდეგო ხასიათისაა.

განმცხადებლის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ (აქტის დასაბუთებაში) სამინისტრო არ მსჯელობს ზემოაღნიშნულ საკითხზე, დადასტურებულია ის გარემოება, რომ სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოსაშლელად არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება.

შესაბამისად, დარღვეულია აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის კანონმდებლობით (ზაკის 95-ე და 96-ე მუხლებით) დადგენილი მოთხოვნები. აღნიშნული კანონდარღვევა, ისე, როგორც პირველი, წარმოადგენს სადავო ბრძანების ბათილად ცნობის უპირობო და დამოუკიდებელ საფუძველს.

სახალხო დამცველის მიერ განხილული საქმეებიდან ადმინისტრაციულ ორგანოთა თვითნებობის კონკრეტული გამოვლინებაა ადმინისტრაციული ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე.

ვინაიდან საჯაროობა და კანონიერება ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის საბაზისო პრინციპებია;

ვინაიდან კეთილსინდისიერების პრინციპის განუხრელი დაცვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა (მათ შორის სახელმწიფო ორგანოთა) მოვალეობაა

და მის დაცვაზეა დამოკიდებული სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და ვალდებულების ჯეროვანი შესრულება. ეს პრინციპი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეა ადმინისტრაციული ორგანო;

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მსგავსი „პრაქტიკა“ ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას.

მიუხედავად იმისა, რომ ბრძანების ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე ამჟამად მიმდინარეობს სამართალწარმოება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აქტის გამომცემი ორგანო უფლებამოსილია, სარჩელის ცნობის საპროცესო მექანიზმის გამოყენებით, ბათილად ცნოს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაასრულოს სასამართლო დავა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გაეგზავნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ბათილად ეცნოთ სადავო ბრძანება. რეკომენდაცია სამინისტრომ არ გაითვალისწინა.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საქმე
შესავალი ნაწილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ შეიქმნა 2005 წლის დასაწყისში და მის დამფუძნებელს წარმოადგენს თურქეთის მოქალაქე ოსმან ჩელიკი. 2005 წლის 2 თებერვალს საწარმო დარეგისტრირდა სახელმწიფო სამეწარმეო რეესტრში (საგადასახადო ინსპექციაში) და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი #205051290. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, კანდელაკის ქუჩა #39.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს 2000 ლარს და მისი მთლიანი, ანუ 100 %–ანი წილის მფლობელი დაარსების მომენტისათვის იყო საზოგადოების დამფუძნებელი–ოსმან ჩელიკი.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ (შემდგომში კომპანია) წესდების თანახმად, საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: გზების, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დაწესებულებების შენობების მშენებლობა–პროექტირება, გვირაბებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მშენებლობა–პროექტირება და სხვა.

2005 წლის 15 მარტს ოსმან ჩელიკმა კომპანიაში კუთვნილი წილის 50 % (1000 ლარი) დაუთმო თურქეთის მოქალაქე ოსმან ერსაინს, ხოლო 25 % (500 ლარი) თურქეთის მოქალაქე ისმაილ ქაზმაზს.

2006 წლის 21 ივნისს ოსმან ჩელიკმა კომპანიაში მისი დარჩენილი წილი 25 % (500 ლარი) სრულიად დაუთმო საქართველოს მოქალაქე ქიბარ ხალვაშს და შესაბამისად, დამფუძნებელთა შორის კომპანიის კუთვნილი წილები გადანაწილდა შემდეგნაირად:

ოსმან ერსაინი 50 % – 1000 ლარი;
ისმაილ ქაზმაზი 25 % – 500 ლარი;
ქიბარ ხალვაში 25 % – 500 ლარი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–სთან ერთად, ქიბარ ხალვაში წარმოადგენს დამფუძნებელს და საწესდებო კაპიტალის წილის მფლობელს შემდეგ საწარმოებში: შპს „არტი ჯგუფი“ და შპს „პრიზა“. შპს „პრიზა“ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ მსგავსად წარმოადგენს სამშენებლო კომპანიას.

2006 წლის 2 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება #01/02. ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილ პირს სახელმწიფო ორგანოს–„დამკვეთის“ მხრიდან წარმოადგენდა იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე, ხოლო შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ მხრიდან, კომპანიის დირექტორი ზურაბ მეტრეველი. ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კომპანიას დაუკვეთა თბილისში გლდანი–ნაძალადევის რაიონში ახალი საპყრობილის, ე.წ. გლდანის #8–ე საპყრობილის მშენებლობა.

ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები (ანუ, საპყრობილის აშენება) უნდა შესრულებულიყო 2007 წლის 2 ივნისამდე. სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელება დასაშვები იყო მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 31 900 000 (ოცდათერთმეტი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარის ოდენობით. აქედან 2006 წელს შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა 24 900 000 (ოცდაოთხი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარით, ხოლო 2007 წელს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარით.

2006 წლის 29 ივნისს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანისთან“ დაიდო მორიგი ხელშეკრულება, ხელშეკრულება #708. ამჯერად „დამკვეთს“ წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო კომპანიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის უნდა აეშენებინა სამხედრო ბაზა ქალაქ გორში.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა ღირებულება წარმოადგენდა 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარს. ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადა 2007 წლის 21 მაისს.

ხელშეკრულების მე–10 პუნქტით განისაზღვრა მხარეთა ვალდებულებები სამშენებლო ობიექტის პროექტში ცვლილებების შეტანის და სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის შემთხვევებში:

„10.2. დამკვეთის მიერ პროექტში რაიმე ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, დამატებით სამუშაოზე ფორმდება შეთანხმების ოქმი, ან დამატებითი ხელშეკრულება.

10.3 თუ სამუშაოს შესრულების პროცესში ერთ–ერთი მხარე გამოარკვევს სამუშაოს შემდგომი წარმოების მიზანშეუწონლობას, ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში მხარეები შვიდი დღის განმავლობაში განიხილავენ საკითხს სამუშაოს გაგრძელების მიზანშეწონილობის ან მისი შეწყვეტის შესახებ და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ორმხრივი აქტის საფუძველზე მოახდენენ საბოლოო ანგარიშსწორებას ერთი კვირის ვადაში.“

2006 წლის 29 ივნისის #708–ე ხელშეკრულების დადებამდე, ანუ გორის სამხედრო ბაზის მშენებლობის დაწყებამდე, შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ აწარმოებდა სამხედრო ბაზის მშენებლობას ქალაქ სენაკში. სენაკის სამხედრო ბაზაზე კომპანიისაგან სამშენებლო სამუშაოების მაქსიმალურად მოკლე ვადებში მაღალხარისხიანად ჩატარების შესახებ საინფორმაციო საშუალებებში არაერთხელ გაჟღერდა საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ.

(იხ. 2006 წლის 15 მაისს ტელეკომპანია რუსთავი 2–ის მიერ გავცელებული ინფორმაცია. ასევე, ამავე ტელევიზიის მიერ გაშუქებული სამხედრო ექსპერტების 2007 წლის 7 ივნისის პირველი ვიზიტი სენაკის სამხედრო საწვრთნელ ბაზაზე. ჟურნალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ნატოს საინფორმაციო ცენტრის დახმარებით ამ დღეს სენაკის სამხედრო ბაზაზე პირველად შევიდნენ სამხედრო ექსპერტები.

მედიას, არასამთავრობოებსა და ექსპერტებს მასპინძლობა ბრიგადის მეთაურმა ლაშა ბერიძემ გაუწია. სტუმრებმა ჯარისკაცთა ყაზარმები, საწვრთნელი და მოსასვენებელი

ადგილები ნახეს. გაესაუბრნენ ჯარისკაცებს. მათი შეფასებით, სენაკის ბაზა ნატოს საერთაშორისო სტანდარტებს სრულიად აკმაყოფილებს).

აღწერილობითი ნაწილი

2007 წლის 25 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირი ეთერით განცხადება გააკეთა საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა. რასაც სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად მოჰყვა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვა და საბოლოოდ, ირაკლი ოქრუაშვილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო.

მოგვიანებით, ირაკლი ოქრუაშვილი უცხოეთიდან გაკეთებულ სატელევიზიო ინტერვიუებში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფლება დევნიდა მის პოლიტიკურ თანამოაზრეებსა და მხარდამჭერებს, ასევე მეგობრებს, რომელთა შორისაც იგი ყველაზე ხშირად მოიხსენიებდა ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ 2007 წლის 20 სექტემბერს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ს ოფისში მივიდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები, რომლებმაც კომპანიის ხელმძღვანელობას წარუდგინეს შეტყობინება ათი დღის შემდეგ მოსალოდნელი გეგმური საგადასახადო შემოწმების შესახებ. პარალელურად, საგადასახადო ორგანოს ოთხმა თანამშრომელმა დაიკავა საწარმოს დირექტორის ზურაბ მეტრეველის კაბინეტი და მოითხოვეს საბუღალტრო დოკუმენტაცია. 20 სექტემბრიდან სამი დღის განმავლობაში საგადასახადოს თანამშრომლები ლუქავდნენ ბუღალტერიას. დალუქვას ახორციელებდა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ინვენტარიზაციის კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ზურაბაშვილი.

24 სექტემბერს საგადასახადოს თანამშრომლებმა დაიწყეს ინვენტარიზაცია. იმავე დღეს, ანუ 2007 წლის 24 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციაში დააკავეს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ს დირექტორი ზურაბ მეტრეველი, ასევე ქიბარ ხალვაშის ძმა ნიაზ ხალვაში და ქიბარ ხალვაშის დაფუძნებულ სამივე საწარმოში (შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“, შპს „არტი ჯგუფი“ და შპს „პრიზა“) ერთდროულად შევიდა ფინანსური პოლიცია. ფინანსურმა პოლიციამ ამოიღო შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“–ს ფინანსური დოკუმენტაცია და 2007 წლის 1 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე ფინანსური პოლიციის შენობაში მიმდინარეობდა გეგმური საგადასახადო შემოწმება (ქვემოთ მოყვანილი იქნება საგადასახადო შემოწმების შესახებ).

საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობის პარალელურად, საქართველოს თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროს ხემძღვანელობამ კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით და სხვადასხვა იძულების მეთოდების გამოყენებით, ხელშეკრულებები შეუწყვიტეს სამშენებლო კომპანიას.

კერძოდ, 2007 წლის 22 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მივიდნენ ქალაქ გორში მშენებარე სამხედრო იბიექტზე და აიძულეს კომპანიის წარმომადგენლები, შეეწყვიტათ მშენებლობა. კომპანიის კუთვნილი სამშენებლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკა თანამშრომლებს დაატოვებინეს სამხედრო ბაზაზე. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი"–ს დირექტორის ზურაბ მეტრეველის, მთავარი ბუღალტრის ცირა მოდებაძის და მთავარი ინჟინრის მალხაზ ოსაძის განმარტებით, დაახლოებით 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ღირებულების ქონება დარჩა სამშენებლო ობიექტზე და მას იყენებენ ის სამშენებლო კომპანიები, რომლებმაც შემდგომში გააგრძელეს ობიექტის მშენებლობა. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი"–სთვის ქონების ღირებულება კი დღემდე არ არის გადახდილი.

2007 წლის 23 სექტემბერს სენაკის სამხედრო ბაზაზე ექსპერტთან ერთად ვერტმფრენით ჩავიდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოსთხოვეს კომპანიის წარმომადგენლებს, დაეტოვებინათ ტერიტორია. იმავე დღეს მომზადდა ექპერტიზის დასკვნა სენაკის სამხედრო ბაზაზე წარმოებული მშენებლობის უხარისხობის შესახებ.

მსგავსი მეთოდის გამოყენებით შეწყდა გლდანის საპყრობილის მშენებლობაც. კერძოდ, ქალაქ თბილისში, გლდანში მდებარე სამშენებლო ობიექტზე, სადაც მიმდინარეობდა საპყრობილის მშენებლობა, მივიდნენ იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ფორმიანი თანამშრომლები და განაცხადეს, რომ სამშენებლო კომპანია მშენებლობას აღარ გააგრძელებს და შესაბამისად, კომპანიის წარმომადგენლებმა უნდა დატოვონ ტერიტორია.

კომპანიის მაშინდელი მთავარი ინჟინრის მალხაზ ოსაძის განმარტებით, იგი თავად დაესწრო აღნიშნულ ფაქტს და აღნიშნა, რომ სამხედრო ფორმიანებთან ერთად იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია, რომელმაც კომპანიის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ რადგან მშენებლობა დროულად ვერ განხორციელდა, შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი"–ს უნდა შეეწყვიტა მშენებლობა (იხ. დანართი, მალხაზ ოსაძის ახსნა–განმარტება).

2007 წლის 22 ოქტომბერს მალხაზ ოსაძესთან გამოცხადდა შპს „არტი ჯგუფის" დაცვის უფროსი ზაზა გოცირიძე, რომელმაც მალხაზ ოსაძეს უთხრა, რომ მათ იბარებდა ბაჩო ახალაია. მალხაზ ოსაძე, ზაზა გოცირიძე და კიდევ ერთი პიროვნება (ვინაობა არ დაასახელეს) წავიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, სადაც შეხვდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას. ბაჩო ახალაიას დაცვის უფროსს კახა ბუცხრიკიძეს და თანაშემწეს რეზო ჭარბაძეს. აღნიშნულმა პირებმა მალხაზ ოსაძეს და ზაზა გოცირიძეს განუცხადეს, რომ საჭირო იყო შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" გადაფორმება მათ მიერ მითითებულ პიროვნებაზე. პიროვნების ვინაობას მოგვიანებით დაასახელებდნენ.

ზაზა გოცირიძემ აღნიშნული წინადადება ტელეფონით აცნობა ქიბარ ხალვაშს, რომელმაც შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავის მხრივ განაცხადა თანხმობა, მაგრამ, იმ პირობით, რომ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" კუთვნილ ტექნიკას გადასცემდნენ შპს „პრიზას."

შენიშვნა: მოლაპარაკებების პერიოდში ზაზა გოცირიძეს, რომლის ტელეფონის ნომერია 877 42 34 74 და მალხაზ ოსაძეს, ტელეფონის ნომერი 877 53 00 36 (დღეისათვის მალხაზ ოსაძე ფლობს სხვა ნომერს), სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან უკავშირდებოდნენ შემდეგი ტელეფონებიდან: 877 48 23 33 ბაჩო ახალაია, 899 16 39 43 კახა ბუცხრიკიძე, 877 40 84 84 რეზო ჭარბაძე. გარდა მითითებული სატელეფონო ნომრებისა, სადის თანამშრომლები სატელეფონო ზარებს ახორციელებდნენ ასევე ნომრიდან: 877 48 11 33.

მეორე დღეს, 2007 წლის 23 ოქტომბერს ისევ შედგა შეხვედრა ბაჩო ახალაიასთან. ბაჩო ახალაიამ აღნიშნა, რომ მას არ ჰყავს კანდიდატი, რომელიც, შესაძლებელია იყოს საწარმოს მფლობელი, ამდენად, თურქი პარტნიორებისაგან ქიბარ ხალვაშს თავის სახელზე უნდა გადაეფორმებინა დანარჩენი წილები და დროებით თვითონ უნდა ყოფილიყო კომპანიის მესაკუთრე.

აღნიშნულზე კატეგორიული უარი განაცხადა ქიბარ ხალვაშმა, რადგან მიხვდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადახდას, რომელიც დაკავებული იყო სამართალდამცავი ორგანოების მიერ, განახორციელებდნენ მისი სახელით.

მოლაპარაკება ჩაიშალა. მალხაზ ოსაძის განმარტებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გაბრაზებულმა თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ქიბარ ხალვაშს ყველაფერს წაართმევდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მალხაზ ოსაძემ და ზაზა გოცირიძემ მეორე მხარეს შესთავაზეს, რომ წილები მათზე გადაფორმებულიყო და შემდეგ, თვითონ მოახდენდნენ ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადარიცხვას.

მალხაზ ოსაძემ და ზაზა გოცირიძემ ქიბარ ხალვაშს აუხსნეს, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ხალვაში თავდაპირველად არ თანხმდებოდა, რადგან, საკითხის ასეთი გადაწყვეტა მაინც გამოიწვევდა გირაოს გადარიცხვისას მისი სახელის გაჟღერებას. ბოლოს ქიბარ ხალვაში მაინც დათანხმდა და გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნა ასევე კომპანიის თურქი პარტნიორები. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი"–ში კუთვნილი წილების სანაცვლოდ კი თურქ პარტნიორებს დაჰპირდა, რომ ისინი მიიღებდნენ წილებს სხვა საწარმოებში, რომლებსაც ფლობდა ქ. ხალვაში.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ კვლავ შედგა შეხვედრა ბაჩო ახალაიასთან, კახა ბუცხრიკიძესა და რეზო ჭარბაძესთან. მათ მალხაზ ოსაძის და ზაზა გოცირიძის წინადადებაზე თანხმობა განაცხადეს. მოლაპარაკების მხარეები შეთანხმდნენ, რომ უნდა გასტუმრებულიყო დებიტორული და სახელფასო დავალიანებები, ტექნიკა გადაფორმებულიყო შპს „პრიზაზე." ჯარიმა–საგადასახადოს მიერ დარიცხული გადასახადის სახით, შპს „პრიზაზე" და შპს „არტი ჯგუფზე" არ უნდა ყოფილიყო 700 000 ლარზე მეტი.

შეთანხმების შემდეგ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწის რეზო ჭარბაძის ნაცნობ ნოტარიუსთან, რომლის ოფისიც მდებარეობს თბილისში, რუსთაველის გამზირის #28/2–ში, ღამის სამ საათზე განხორციელდა შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" საწესდებო კაპიტალიდან ქიბარ ხალვაშის, ისმაილ ქაზმაზის და ოსმან ერსაინის კუთვნილი წილების მალხაზ ოსაძეზე და ზაზა

გოცირიძეზე გადაფორმება (2007 წლის 23 ოქტომბრის სანოტარო აქტი #15443). კომპანიაში წილების ოდენობა განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

ზაზა გოცირიძე 75%–1500 ლარი;
მალხაზ ოსაძე 25%– 500 ლარი.

24 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე რეზო ჭარბაძე თავად გაჰყვა მალხაზ ოსაძეს ყველა საჭირო ინსტანციაში და მოახდინა მისი დირექტორად დამტკიცება. რეზო ჭარბაძემ ასევე მოიპოვა ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდებოდა ქიბარ ხალვაშის და თურქი პარტნიორების წილების გასხვისება. შესაბამისად, ამონაწერი გადასცა კომპანიის ახალ მფლობელებს ზაზა გოცირიძეს და მალხაზ ოსაძეს.

2007 წლის 24 ოქტომბერს 5 სთ–ზე შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საბანკო ანგარიშზე, რომელიც კომპანიას გახსნილი აქვს ბანკ „რესპუბლიკაში“ სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან ჩაირიცხა 6 440 000 (ექვსი მილიონ ოთხას ორმოცი ათასი) ლარი, ხოლო ორი დღის შემდეგ 650 000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

აღნიშნული თანხა, სულ 7 100 000 (შვიდი მილიონ ასი ათასი) ლარი 2007 წლის 24 ოქტომბერს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორმა მალხაზ ოსაძემ გადარიცხა ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს ფონდში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების გადაფორმების და სამეწარმეო რეესტრში სათანადო ცვლილებების განხორციელების (რეგისტრაციის) პროცესი რამდენიმე საათით უსწრებდა ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადარიცხვას. გადარიცხვის მომენტისათვის საწარმოს მფლობელებს აღარ წარმოადგენდნენ ქიბარ ხალვაში და მისი თურქი პარტნიორები, არამედ, მალხაზ ოსაძე და ზაზა გოცირიძე.

სხვანაირად, მალხაზ ოსაძე არაუფლებამოსილი (მას აღნიშნულ პროცესებამდე ეკავა მთავარი ინჟინრის თანამდებობა) იქნებოდა ემოქმედა საზოგადოების სახელით და გადაერიცხა გირაოს თანხა.

შესაბამისად, სინამდვილეს არ შეესაბამება საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის ნიკა გვარამიას მიერ 2007 წლის 6 ნოემბერს ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის ნაწილი 6 500 000 (ექვსი მილიონ ხუთასი ათასი) გადარიცხა ქიბარ ხალვაშის კომპანიამ.

ნიკა გვარამია: „საინტერესოა, 10 მილიონ ლარს სხვის მაგივრად ვინმე იხდის საქართველოში ან სხვაგან?!“ - თქვა მან და განმარტა, რომ ამ გირაოს ნაწილი, 6 მილიონ ხუთასი ათასი ლარი გადაიხადა International Building Company-მ, რომელიც ოქრუაშვილის მეგობრის ქიბარ ხალვაშის მფლობელობაშია, ნაწილი კი ნიჟარაძემ დაფარა.“

ქიბარ ხალვაშის, ნიაზ ხალვაშის, ოსმან ერსაინის, ისმაილ ქაზმაზის, ზურაბ მეტრეველის, მალხაზ ოსაძის, ზაზა გოცირიძის ახსნა–განმარტებებიდან და საქმის სხვა მასალებიდან გამოიკვეთა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რამაც ნათელი გახადა სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა მხრიდან შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული თუ რა შედეგები უნდა მოჰყოლოდა საპყრობილის მშენებლობისას პროექტში ცვლილებების განხორციელებას. ბუნებრივია, საპყრობილის პროექტში არსებითი ცვლილებების შეტანა გამოიწვევდა ხელშეკრულების პირობების გარკვეულ ცვლილებებს და შესაბამისად, მშენებლობის ვადების გაზრდას.

ხელშეკრულების 7.3 პუნქტში აღნიშნული იყო მხოლოდ იმის შესახებ, რომ შემსრულებელი ვალდებული იყო დამკვეთისათვის შეეტყობინებინა პროექტში ცვლილებების შეტანის და ხარჯების მოსალოდნელი ზრდის შესახებ. აღნიშნულ საკითხებს მხარეები გადაწყვეტდნენ ურთიერთშეთანხმებით.

კომპანიის მთავარი ინჟინრის მალხაზ ოსაძის განმარტებით, სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდგომ, პროექტში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, დამკვეთმა მოითხოვა სამი ათას პატიმარზე გათვლილი პროექტის იმდაგვარად შეცვლა, რომ საპყრობილეში სამი ათასი პატიმრის ნაცვლად მოთავსებულიყო ოთხი ათასი პატიმარი.

(პროექტში ცვლილებებს ახორციელებდა სხვა კერძო საპროექტო კომპანია, რომელსაც ეგზავნებოდა პროექტი სათანადო შენიშვნებით. ცვლილებებით დამტკიცებული პროექტი უკან უბრუნდებოდა სამშენებლო კომპანიას. ოთხი ათას პატიმარზე გათვლილი პროექტის დამკიცებასაც საკმაო დრო დასჭირდა).

მეორე, საავადმყოფოს ძველი შენობა, რომელიც საპყრობილის ეზოში იყო განთავსებული და საჭიროებდა მხოლოდ შეკეთებას (რემონტს), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით კომპანიამ დაანგრია და ააშენა ახალი საავადმყოფო.

მესამე, საპყრობილის კედელი, რომელიც მას გარშემო აქვს შემოვლებული (დაახლოებით მისი სიგრძე 1500 მეტრია) უნდა ყოფილიყო 3 (სამი) მეტრის სიმაღლის. მშენებლობის ბოლო ეტაპზე გადაწყდა, რომ კედლის სიმაღლე იქნებოდა 5 (ხუთი) მეტრი. დაკვეთის შესაბამისად, შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანიმ“ ააშენა ხუთმეტრიანი კედელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელშეკრულებაში განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც. ხელშეკრულების მხარეები სამჯერ წერილობით შეთანხმდნენ ხელშეკრულების 2.2 და 2.3 პუნქტში ცვლილებების განხორციელების შესახებ. საბოლოოდ 2006 წლის 11 დეკემბერს გაფორმდა შეთანხმების აქტი, რომლითაც 2006

წელს შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა 15 400 000 (თხუთმეტი მილიონ ოთხასი ათასი) ლარით, ხოლო 2007 წელს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება 16 500 000 (თექვსმეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით. ანუ, ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებისაგან განსხვავებით, 2007 წელს შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობამ გადაჭარბა წინა წელს შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობას.

შენიშვნა: 2007 წელს შესასრულებელ სამუშაოთა რაოდენობის გაზრდა ავტომატურად გამოიწვევდა მშენებლობისათვის დადგენილი ვადის გაგრძელებას, რადგან, სამუშაოების შესრულების საერთო ვადა თანაბრად იყო გადანაწილებული 2006 წლის 2 ივნისიდან 2007 წლის 2 ივნისამდე, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებამდე 2006 წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო 24 900 000 (ოცდაოთხი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარის სამუშაოები. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხ. ხელშეკრულების მე–2 და მე–3 პუნქტები.

მეოთხე, ხელშეკრულების მხარეებს გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ საპყრობილის მშენებლობა მიმდინარეობდა მეტად შემჭიდროვებულ ვადებში და სახელმწიფო ორგანოებს ხელი უნდა შეეწყოთ სამშენებლო კომპანიისათვის. 2006 წლის 5 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძესა და შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორის ზურაბ მეტრველის ხელმოწერილ შეთანხმებაში (#01/05) ერთმნიშვნელოვნად არის აღნიშნული, რომ „ვითვალისწინებთ რა განსაკუთრებულ გარემოებებს, რომელთა შესაბამისად, დასახელებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად განსაზღვრულია მეტად შემჭიდროვებული ვადები ჩვეულებრივ პირობებში იგივე მოცულობის სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელია 30 კალენდარული თვე.“

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა და მათი გადასინჯვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების დასრულების ვადა გადასცილდა 2007 წლის 2 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდებოდა, ხელშეკრულების მე–13 პუნქტის 13.1 ქვეპუნქტის შესაბამისად, „მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.“

2007 წლის პირველ ივნისს მხარეებს შორის დადებული შეთანხმების აქტის მიხედვით, ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდა 2007 წლის პირველ დეკემბრამდე.

ამდენად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა სამშენებლო კომპანიისაგან შესასრულებელი სამუშაოების ვადების გადაცილებით და ხელშეკრულების პირობების დარღვევით, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული.

უფრო მეტიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 358–ე მუხლის თანახმად, დაუშვებელი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ცალმხრივად გასულიყო ხელშეკრულებიდან, მაშინ როცა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და დაარღვია ხელშეკრულების 7.3 პუნქტი.

„მუხლი 358. ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა
დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ მოვალეს შეეძლო გაქვითვის გზით შეესრულებინა ვალდებულება და გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.“

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დღემდე უსაფუძვლოდ აჭიანურებს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ნაწილის მიღებას და კომპანიისათვის სათანადო თანხის გადახდას. კომპანიის წარმომადგენელთა განმარტებით, დღემდე არ არის გადახდილი საპყრობილის სამზარეულოს ღირებულება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი და ოთხი გენერატორის თანხა, რომელიც ჯამში წარმოადგენს 1 500 000 (მილიონ ცხრაასი ათას) ლარს.

ნიშანდობლივია, რომ გლდანის საპყრობილის მშენებლობის შეწყვეტისას განვითარებული მოვლენების პარალელურად, იმავე დღეს კომპანიას შეაწყვეტინეს სამშენებლო სამუშაოები გორის სამხედრო ბაზაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი იყო სპეციალური პროცედურა 2006 წლის 29 ივნისს დადებული ხელშეკრულების მეათე პუნქტით.

მითითებული პუნქტის თანახმად, მხარეებს შვიდი დღის განმავლობაში უნდა განეხილათ საკითხი სამუშაოს გაგრძელების მიზანშეწონილობის ან მისი შეწყვეტის შესახებ და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ორმხრივი აქტის საფუძველზე მოახდენდენ საბოლოო ანგარიშსწორებას ერთი კვირის ვადაში.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წარმომადგენლების განმარტებით, კომპანიასთან საბოლოო ანგარიშსწორება დღემდე არ მომხდარა. გარკვეული დროის შემდეგ, კომპანიის ხელმძღვანელები იძულებულები გახდნენ მოთხოვნა აღნიშნულის შესახებ თავდაცვის სამინისტროსათვის გაეგზავნათ დაზღვეული ფოსტით. კომპანიის მაშინდელმა დირექტორმა ვარლამ სულაბერიძემ, რომელიც მხოლოდ ოთხი დღე ასრულებდა თავის მოვალეობებს, გაურკვეველი მიზეზების

გამო, თვითონ მოითხოვა სამშენებლო სამუშაოების შეწვეტა და ასეთ დოკუმენტზე ხელიც მოაწერა.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორი მალხაზ ოსაძე თავის ახსნა განმარტებაში აღნიშნავს, რომ ვარლამ სულაბერიძე აიძულეს, გაეკეთებინა ეს ყოველივე და შემდეგ კი საერთოდ დაეტოვებინა დირექტორის პოსტი, რაც მოგვიანებით თავად დაადასტურა ვარლამ სულაბერიძემ თავის ახსნა განმარტებაში.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობები (მათ შორის სახელშეკრულებო) დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულ პირთა თანასწორობის უმთავრეს პრინციპზე. ამასთანავე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.“

მშენებარე ობიექტებიდან სამშენებლო კომპანიის უსაფუძვლოდ გამოდევნით, საქართველოს თავდაცვის და იუსტიციის სამინისტროებმა, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით, სრულიად უგულებელყვეს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობისა და თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპები.

ხელშეკრულებიდან უკანონო გასვლის შედეგად, სამშენებლო კომპანიამ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი, წარმოშობილი ფაქტობრივი ზარალი და მიუღებელი შემოსავლის სახით, რომლის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე და 409-ე მუხლების თანახმად, ეკისრება ხელშეკრულების მეორე მხარეს სახელმწიფოს.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობასთან ერთად, მეორე უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ საწესდებო კაპიტალის (წილების) გადაფორმება ახალ მესაკუთრეებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მოქალაქის ქიბარ ხალვაშის, თურქეთის მოქალაქეების და ამასთანავე კომპანიის ყოფილი მოწილეების ოსმან ერსაინის და ისმაილ ქაზმაზის წილები დღეისათვის წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეების ზაზა გოცირიძის და მალხაზ ოსაძის (კომპანიის დირექტორი) საკუთრებას.

წარმოდგენილი მასალები (ახსნა–განმარტებები) ადასტურებენ, რომ შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების გადაფორმება განხორციელდა სხვა და სხვა არამართლზომიერი მეთოდების გამოყენებით, ასევე, დიდი ზეწოლის და კომპანიის მოწილეთა იძულების შედეგად.

კომპანიის წილების გადაფორმება უშუალოდ უკავშირდებოდა ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადახდას. თანამდებობის პირები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული მოლაპარაკებების პროცესებში, დაინტერესებული იყვნენ, რომ გირაოს თანხის გადარიცხვა მხოლოდ ქიბარ ხალვაშს განეხორციელებინა. რასაც ქიბარ ხალვაში არ თანხმდებოდა.

შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ დირექტორის ზურაბ მეტრეველის და ქიბარ ხალვაშის ძმის ნიაზ ხალვაშის დაპატიმრების, ასევე ყველა მის დაფუძნებულ სხვა საწარმოებში ერთდროულად ფინანსური პოლიციის შესვლის შემდეგ, ქიბარ ხალვაშს, ჰქონდა საკმარისი საფუძველი ევარაუდა, რომ შესაძლებელი იყო მისი დაფუძნებული საწარმოები გაკოტრების საფრთხის ქვეშ დამდგარიყვნენ, რადგან, მცირე დროით შეფერხების შემთხვევაშიც კომპანიები მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს განიცდიდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, ოსმან ერსაინმა და ისმაილ ქაზმაზმა აშკარად იგრძნეს, რომ მათ ბიზნესს და ქონებას რეალური საფრთხე ემუქრებოდა.

მარტო 2007 წლის 24 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწის რეზო ჭარბაძის ტელეფონის ნომრიდან (877 40 84 84 და 877 48 11 33) 50–მდე სატელეფონო ზარი განხორციელდა მალხაზ ოსაძის ტელეფონზე. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები დაინტერესებული იყვნენ ოქრუაშვილის გირაოს თანხის გადარიცხვა რაც შეიძლება სწრაფად განეხორციელებინათ და კომპანიის ახალი დირექტორის ყველა ნაბიჯს აკონტროლებდნენ.

თუ საგამოძიებო ორგანოები ამოიღებენ სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს, მაშინ აშკარა გახდება და კიდევ უფრო დაზუსტდება ყოველი სატელეფონო საუბრის შინაარსი და საუბრის საგანი.

2007 წლის 23 ოქტომბერს შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების დათმობის თაობაზე დადებული გარიგება (წილის დათმობის ხელშეკრულება, რეგისტრაციის #1–15443) ბათილი გარიგებაა, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85–ე მუხლის თანახმად, „გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას.“

გარიგების ბათილად ცნობა შესაძლებელია მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან. შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ წილების დათმობის შემთხვევაში იძულება სწორედ მესამე პირის მხრიდან ხორციელდებოდა, ანუ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უხეშ და კანონსაწინააღმდეგო ჩარევას, რომლის მიზანს წარმოადგენდა ისეთი გარიგების დადება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა კომპანიის წილების სასურველ პიროვნებებზე გადაფორმებას და შემდეგ მათი მესვეობით გირაოს თანხის გადარიცხვას.

იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 86–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.“

ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში არსებობს იძულებით დადებული გარიგების ბათილობისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი საფუძველი.

დასკვნითი ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქიბარ ხალვაშის, ოსმან ერსაინის და ისმაილ ქაზმაზის განცხადებებში საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიმართ გამოთქმული უკმაყოფილება აშკარად საფუძვლიანია და საწარმოს პარტნიორების (მესაკუთრეების) უფლებები უხეშად არის დარღვეული.

P.S. 2007 წლის ოქტომბრის თვიდან შპს „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ აღარ ფუნქციონირებს და აღარ აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს არც ერთ ზემოთ მითითებულ სამშენებლო ობიექტზე. საწარმოს ქონება დაყადაღებულია საგადასახადო ორგანოების მიერ და საგადასახადო შემოწმებით ერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ლარის ოდენობით.

დღეის მდგომარეობით ასევე დაყადაღებულია შპს „არტი ჯგუფის“ და შპს „პრიზას“ ქონება. საგადასახადო შემოწმებით შპს „არტი ჯგუფს“ ერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება 23 000 000 (ოცდასამი მილიონი) ლარის ოდენობით, ხოლო შპს „პრიზას“ ერიცხება 700 000 (შვიდასი ათასი) ლარი.

კომპანიებში დასაქმებული ათასობით მოქალაქე დარჩა უმუშევარი. საწარმოების ქონებაზე წარმოშობილია საგადასახადო იპოთეკის/გირავნობის უფლება და უახლოეს მომავალში შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ საწარმოების ქონება გატანილი იქნას აუქციონზე.

იური ჩაჩავას საქმე

2007 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე იური ჩაჩავამ საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლების საკითხთან დაკავშირებით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1991 წელს ქალაქ ფოთში მილიციის სამმართველოს შენობაში მომხდარი ხანძრის შედეგად დაიწვა იური ჩაჩავას საცხოვრებელი სახლი და ამის შემდეგ მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ფოთში, რუსთაველის ქ.#15/10-ში მდებარე ოროთახიან საცხოვრებელ სახლში. 1991 წლის შემდეგ ფოთში, რუსთაველის ქ.#15/10-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრის დასადგენად წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო დავა. სასამართლო პროცესებში ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

განმცხადებლის განმარტებით, 2007 წლის 15 ივნისს ფოთის პოლიციამ მისი ოჯახი გამოასახლა ზემოხსენებული საცხოვრებელი ბინიდან.

ბინიდან გამოსახლების კანონიერების შესწავლის მიზნით სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ფოთის პოლიციის სამმართველოს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, მოითხოვა ოჯახის გამოსახლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო გამოსახლების პროცესს.

წარმოდგენილი დოკუმენტებით გამოირკვა, რომ 2007 წლის 5 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოს განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტაციონარული ლოგისტიკური უზრუნველყოფის და ინფრასტრუქტურის რეგიონალური ბაზა #3-ის ხელმძღვანელმა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ფოთში, რუსთაველის ქ.#15/10-ში მდებარე საცხოვრებელი ბინიდან იური ჩაჩავას ოჯახის გამოსახლება. განცხადებასთან ერთად თავდაცვის სამინისტროს სტაციონარული ლოგისტიკური უზრუნველყოფის და ინფრასტრუქტურის რეგიონალურმა ბაზამ სამართალდამცავ ორგანოს წარუდგინა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 21 აგვისტოს სასამართლო გადაწყვეტილება და ამ სასამართლო გადაწყვეტილებაზე 2007 წლის 22 იანვარს გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

ბაზა #3-ის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების საფუძველზე 2007 წლის 15 ივნისს იური ჩაჩავას ოჯახის ბინიდან გამოსახლება განახორციელეს ფოთის პოლიციის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორმა ლევან კვირკველიამ და ამავე სამმართველოს ინსპექტორებმა: ავთო ნაჭყებიამ, ანრი ხუხუამ და პ.წოწორიამ. გამოსახლების პროცესს ესწრებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი მალხაზ ნარსია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი განსაზღვრავს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს. ასევე, იმ სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთა მეშვეობით მესაკუთრეს შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები. 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.“

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესრულების მიზნით ცვლილებები იქნა შეტანილი „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში. გარდა ამისა, 2007 წლის 24 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ბრძანება #747, რომლითაც დამტკიცებული იქნა „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი.“

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაცვა ხორციელდება სამართალდამცავ ორგანოში განცხადების შეტანის საფუძველზე. მესაკუთრემ (წარმომადგენელმა) განცხადება უნდა წარუდგინოს იმ უფლებამოსილ პირს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის განთავსებული მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი. „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განცხადებას თან უნდა დაერთოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში ცალსახად არის განსაზღვრული უძრავ ნივთზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი-ამონაწერი საჯარო რეესრიდან), ხოლო თუ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შეუძლებელია უძრავი ნივთის ზუსტი მისამართის ან სხვა პარამეტრების დადგენა, მას საჯარო რეესტრის ამონაწერთან ერთად თან უნდა დაერთოს საკადასტრო რუკა ან საკადასტრო გეგმა.

საკუთრების უფლების დოკუმენტის ნაცვლად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტაციონალური ლოგისტიკური უზრუნველყოფის და ინფრასტრუქტურის რეგიონალური ბაზა #3-ის მიერ ფოთის პოლიციის სამმართველოში შეტანილ განცხადებაზე თანდართული იყო სასამართლო გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც მოვალე მხარეს წარმოადგენდა იური ჩაჩავა და სააღსრულებო ფურცელი გაცემული იყო იური ჩაჩავას ოჯახის გამოსახლების მიზნით.

ბუნებრივია, ორივე ზემოხსენებული დოკუმენტი თავისი სამართლებრივი ხასიათით არ წარმოადგენს საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები ცალსახად არის განსაზღვრული კანონმდებლობით. ვინაიდან, კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავ ნივთებზე საკუთრებითი უფლებები ვლინდება საჯარო რეეტრიდან, სახალხო დამცველის აპარატმა ფოთში, რუსთაველის #15/10-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრის ვინაობის დასადგენად გააგზავნა არაერთი მიმართვა სათანადო ორგანოებში. 2007 წლის 2 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურმა წარმოგვიდგინა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ქალაქ ფოთში რუსთაველის ქ.#15/10-ში მდებარე უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის. ამავე ინფორმაციის მიხედვით, ასევე უცნობია ქონების მესაკუთრის ვინაობა 2004 წლამდე, რადგან, 2004 წლის ოქტომბერში მომხდარი ხანძრის შედეგად განადგურდა ფოთის ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური სამსახურის არქივი. ქონების მესაკუთრის შესახებ მონაცემები არ მოეპოვება არც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს ცენტრალურ არქივს.

„საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „აღნიშნული წესის მოქმედება არ ვრცელდება საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვგვარად ხელშეშლის იმ შემთხვევებზე, რომელზედაც გამოტანილი სასამართლოს ან კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.“ ამასთანავე, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: „უძრავი ნივთის ხელყოფის ან

სხვგვარად ხელშეშლის აღკვეთის საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა“ წარმოადგენს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეწყვეტის საფუძველს და ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეცნობება უარყოფითი პასუხი.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე უწყებრივად დაქვემდებარებული ორგანოები საკუთრების უფლების დაცვისას ხელმძღვანელობენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესით“ და ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან მისი მოთხოვნები. ამ წესის მოთხოვნები მოცემულ შემთხვევაში სრულიად არის უგულვებელყოფილი.

ფოთის პოლიციის სამმართველო არ იყო უფლებამოსილი, გამოესახლებინა მოქალაქე იური ჩაჩავას ოჯახი საცხოვრებელი ბინიდან და ვალდებული იყო, შეეწყვიტა თავდაცვის სამინისტროს განცხადების განხილვა. თავის მხრივ, სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნათა აღსრულება უწყებრივად ექვემდებარებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოს.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა გადაამეტეს თავიანთ სამსახურებრივ უფლებამოსილებას და იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფოთის რაიონულ პროკურატურას გიეგზავნა მოქალაქე იური ჩაჩავას განცხადება საქმის წარმოების სხვა მასალებთან ერთად და სათანადო მიმართვა წინასწარი გამოძიების დასაწყებად.

შემდგომში, წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად, საქართველოს გენერალურ და ფოთის რაიონულ პროკურატურას ორჯერ გაეგზავნა საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვა, მაგრამ მიმართვები დატოვებული იქნა სათანადო პასუხებისა და რეაგირების გარეშე.

გენადი ნიკოლაიშვილის საქმე

2008 წლის 5 ივნისს განცხადებით (#0091-08/1) მოგვმართა მოქალაქე გენადი ნიკოლაიშვილმა საკუთრების უფლების აღიარებაზე შექმნილი კომისიის მიერ მისი განცხადებების განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებით.

გენადი ნიკოლაიშვილის განმარტებით, მისი ოჯახი 1950 წლიდან სარგებლობს დაბა ჩაქვში მდებარე მიწის ნაკვეთით და მიწის ნაკვეთზე 1969 წელს აშენებული აქვთ ავტოფარეხი. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან

ირკვევა, რომ მითითებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით გენადი ნიკოლაიშვილმა არაერთხელ მიმართა ქობულეთის საკრებულოს და საკუთრების უფლების აღიარებაზე შექმნილ კომისიას, მაგრამ, განმცხადებლის განმარტებით, უფლებამოსილ ორგანოს გადაწყვეტილება ხუთი თვის განმავლობაში არ მიუღია.

კომისიას გენადი ნიკოლაიშვილისთვის არც დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა უთხოვია და არც სხდომის ჩატარების შესახებ უცნობებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, უმოკლეს ვადებში განეხილათ მოქალაქე გენადი ნიკოლაიშვილის 2008 წლის 12 მაისის განცხადება, მიეღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებინათ დაინტერესებული მხარისათვის კანონით განსაზღვრული წესით.

რეკომენდაციის პასუხად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გვეცნობა, რომ განმცხადებელს კომისიამ წერილობით აცნობა დამატებითი დოკუმენტების წარდგენის აუცილებლობის შესახებ, რაც მას კომისიისათვის არ წარუდგენია. მოგვიანებით გამოირკვა, რომ წერილობითი მიმართვა გაგზავნილი იყო სხვა მისამართზე და არა გენადი ნიკოლაიშვილის განცხადებაში მითითებულ მისამართზე, რაც მორიგ ხარვეზს წარმოადგენს კომისიის მხრიდან.

რეკომენდაციის პასუხის წარმოდგენის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და დამატებითი დოკუმენტების წარდგენისათვის წერილობითი მიმართვა საკრებულომ გააგზავნა გენადი ნიკოლაიშვილის განცხადებაში მითითებულ (მის საცხოვრებელ) მისამართზე. შესაბამისად, მისთვის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის საკითხი კომისიის მიერ განხილული იქნება უახლოეს მომავალში.

ალექსანდრე სამნიძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში მცხოვრებმა მოქალაქე ალექსანდრე სამნიძემ. ალექსანდრე სამნიძის განმარტებით, ქედის რაიონში 1997–98 წლებში განხოციელდა მიწის რეფორმა და რაიონში მცხოვრებ ოჯახებს საკუთრებაში გადაეცათ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. სოფელ პირველ მაისში მცხოვრები კომლებისათვის მიწის ნაკვეთის ზღვრულ ნორმად განისაზღვრა 0.69 ჰა მიწის ფართი. რეფორმის შედეგად ალექსანდრე სამნიძის ოჯახს გადაეცა მხოლოდ 0.47 ჰა მიწის ნაკვეთი.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოირკვა, რომ მიწის ნაკვეთის ზღვრულ ნორმამდე შევსების საკითხთან დაკავშირებით, ალექსანდრე სამნიძემ არაერთხელ მიმართა სოფლის საკრებულოს, რაიონის გამგეობას და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს, მაგრამ განმცხადებლის მოთხოვნა დღემდე არ არის დაკმაყოფილებული.

2005 წლის 7 მარტს სოფელი პირველი მაისის საკრებულომ გამოსცა განკარგულება #2, რომლის თანახმად, ალექსანდრე სამნიძეს უნდა გადაცემოდა ქედა–ბათუმის საავტომობილო გზასა და მდინარე აჭარის წყალს შორის მდებარე 0.14 ჰა მიწის ნაკვეთი, რაც, ალექსანდრე სამნიძის განმარტებით, გასულ წლებში ასევე არ განხორციელებულა.

ალექსანდრე სამნიძემ განცხადებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა მის სარგებლობაში არსებული ორივე ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა – საკარმიდამო ნაკვეთის (0.47 ჰა) და ქედა–ბათუმის საავტომობილო გზასა და მდინარე აჭარის წყალს შორის მდებარე 0.14 ჰა მიწის ნაკვეთის დაკანონება.

აღმოჩნდა, რომ ქედა–ბათუმის საავტომობილო გზასა და მდინარე აჭარის წყალს შორის მდებარე 0.14 ჰა მიწის ნაკვეთი მიეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წყლის ფონდს და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ ექვემდებარება საკუთრებაში გადაცემას.

კომისიამ მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთზე მიიღო გადაწყვეტილება და საერთოდ არ მიუთითა ქედა–ბათუმის საავტომობილო გზასა და მდინარე აჭარის წყალს შორის მდებარე 0.14 ჰა მიწის ნაკვეთის სტატუსი, რაც ამომწურავად გასცემდა პასუხს განმცხადელის მიერ დასმულ საკითხებს და ამასთანავე დაასაბუთებდა ზემოაღნიშნულ ნაკვეთზე უარის თქმას.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლში და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში 2008 წლის 21 ივლისს შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საკუთრებაში გადაცემას დაექვემდებარა წყლის სახელმწიფო ფონდის ის მიწები, რომელთა საკუთრებაში გადაცემა და გამოყენება შესაძლებელია „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ამდენად, ალექსანდრე სამნიძის სარგებლობაში ქედა–ბათუმის საავტომობილო გზასა და მდინარე აჭარის წყალს შორის მდებარე 0.14 ჰა მიწის ნაკვეთისათვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლებელია თუ არა მისი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადაცემა.

კანონში განხორციელებული ცვლილების შესახებ სახალხო დამცველის აპარატის ბათუმის წარმომადგენლობის მეშვეობით ეცნობა ალექსანდრე სამნიძეს.

დანართი # 11
შრომის უფლება

ოჩხიკიძე-მაღლაკელიძე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს კონტროლის პალატის ყოფილმა თანამშრომლებმა იამზე ოჩხიკიძემ და ნინო მაღლაკელიძემ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების თაობაზე.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ იამზე ოჩხიკიძე მუშაობდა კონტროლის პალატაში 1995 წლიდან სხვადასხვა არასარევიზიო თანამდებობაზე. ბოლოს იყო კონტროლის პალატის აპარატის კანცელარიის კონსულტანტი.

ნინო მაღლაკელიძე კონტროლის პალატაში 2004 წლიდან მუშაობდა, მთავარ სპეციალისტად. გათავისუფლებამდე კონტროლის პალატის აპარატის კანცელარიაში უფროსი სპეციალისტის თანამდებობა ეკავა.

2007 წლის 3 ივლისს კონტროლის პალატის თავმჯდომარის (Nგან394) ბრძანებით ისინი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. ბრძანებას საფუძვლად დაედო კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 20 ივნისის N75-ორგ ბრძანება ,,საქართველოს კონტროლოს პალატის ერთიანი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' და 2007 წლის 2 ივლისის N77-ორგ ბრძანება ,,საქართველოს კონტროლის პალატის სისტემის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ''.

აღნიშნული ბრძანებების გამოცემას წინ უძღოდა კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 15 მაისის ბრძანება N 59-ორგ, რომლითაც კონტროლის პალატის თანამშრომლები გააფრთხილეს სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების თაობაზე, მოსალოდნელი სტრუქტურული რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით. ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბრძანება გაეცნო კონტროლის პალატის ყველა მოსამსახურეს.

საჯარო მოხელეების კანონით განსაზღვრული გაფრთხილების დრო იწურებოდა 2007 წლის 15 ივნისს. ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ,,მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება უნდა მოხდეს გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს''. ცალსახაა ნინო მაღლაკენიძე და იამზე ოჩხიკიძე კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას უნდა გაეთავისუფლებია 16 ივნისისათვის, რაც არ განხორციელდა. ფაქტობრივად ამ ვადის გასვლის შემდეგ საჯარო მოხელეები კონტროლის პალატასთან დარჩნენ შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში. ისინი აგრძელებდნენ სამსახურს აღნიშნულ დაწესებულებაში, იღებდნენ ხელფასს და მათზე შესაძლო გათავისუფლებაზე გაფრთხილების ბრძანება აღარ ვრცელდებოდა, ვინაიდან გათავისუფლების მოლოდინი არსებობს მხოლოდ კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში.

2007 წლის 20 ივნისს კონტროლის პალატის თავმჯდომარის N75-ორგ ბრძანებით დამტკიცდა კონტროლის პალატის ერთიანი რეგლამენტი. ახლად დამტკიცებული რეგლამენტის მე-8 მუხლით (ამოქმედდა 2 ივლისიდან) განისაზღვრა კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა.
ახალი რეგლამენტით არ მომხდარა კონტროლის პალატის დაქვემდებარებაში შემავალი არც ერთი სტრუქტურული დანაყოფის ლიკვიდაცია.

კონტროლის პალატის ახალი რეგლამენტით განსაზღვრული სტრუქტურები, მათი შინაარსიდან გამომდინარე იყო ადრე არსებული სამსახურების ოპტიმიზაციის შედეგი, ახალი სახელწოდებით, თუმცა ფუნქციური დატვირთვით ადრე არსებულის ანალოგი. მაგალითად კანცელარია თავისი საქმიანობითა და ფუნქციებით, 2002 წლის კონტროლის პალატის რეგლამენტით, შედიოდა კონტროლის პალატის აპარატის დაქვემდებარებაში, 2007 წლის 20 ივნისის კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულ რეგლამენტში კანცელარიის ფუნქციები შევიდა ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციაში. ამ დეპარტამენტში შექმნილი საქმის წარმოების სამმართველო ყველა საშტატო ერთეულით (სულ 14) რეალურად ასრულებდა იმ ფუნქციურ დატვირთვას, რასაც კონტროლის პალატის კანცელარია. რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების შემდეგ აღნიშნულ სამმართველოში, ახალი საშტატო ნუსხით, 14 შტატი დამტკიცდა. გამოდის, რომ ფაქტობრივად შემცირდა ერთი საშტატო ერთეული (ადრინდელი საშტატო ნუსხით კანცელარიაში დასაქმებული იყო 15 საჯარო მოხელე). ამის გათვალისწინებით, კონტროლის პალატის ადმინისტრაციას სრული შესაძლებლობა ჰქონდა, დაესაქმებინა არსებულ ვაკანსიებზე გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. მათ შორის, იამზე ოჩხიკიძე და ნინო მაღლაკელიძე.

გარდა ამისა, არამართლზომიერი და კანონშეუსაბამოა კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 3 ივლისს ნინო მაღლაკელიძისა და იამზე ოჩხიკიძის გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული საფუძვლები. რეგლამენტი და საშტატო ნუსხა, მათი სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, არ არის ის დოკუმენტები, რაც შესაძლებელია, საფუძვლად დაედოს კონკრეტული პირების სამსახურიდან გათავისუფლებას.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან არ ირკვევა, რა სამართლებრივ საფუძველს დაეყრდნო კონტროლის პალატის ხელმძღვანელობა, როცა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების შემდეგ რიგი თანამშრომლებისა გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, ნაწილი კი დარჩა თანამდებობებზე.

იამზე ოჩხიკიძისა და ნინო მაღლაკელიძის სამსახურიდან გათავისუფლების მომენტისათვის კონტროლის პალატის ადმინისტრაციას რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მიზანი უკვე მიღწეული ჰქონდა. ცალკეული სამსახურების მიხედვით მას იმაზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავდა, ვიდრე სჭირდებოდა. რეალურად წარმოქმნილი იყო საკადრო დეფიციტი და არ არსებობდა რაიმე ფაქტობრივი გარემოება, სამსახურიდან გაეშვათ გამოცდილი და კვალიფიციური კადრები.

მართალია, ახალი საშტატო ნუსხის დამტკიცების შემდეგ არ არსებობდა ის თანამდებობა, რაც იამზე ოჩხიკიძეს და ნინო მაღლაკელიძეს ეკავა კონტროლის პალატაში, (კანცელარიის უფროსი სპეციალისტი და კონსულტანტი), თუმცა იყო სამსახური, რომლის ფუნქციური დატვირთვა და უფლება-მოვალეობა იდენტური იყო ზემოაღნიშნული სამსახურისა (მაგალითად, უფროსი საქმის მწარმოებელი ან საქმის მწარმოებელი).

აღსანიშნავია, რომ კონტროლის პალატამ უგულებელყო ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად, ,,დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები''. რაც არ მოხდა ნინო მაღლაკელიძისა და იამზე ოჩხიკიძის შემთხვევაში. აღნიშნულმა პირებმა ბოლო ატესტაცია წარმატებით გაიარეს 2005-2006 წლებში.

სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ იამზე ოჩხიკიძე, კონტროლის პალატის საკონკურსო საატესტაციო კომისიის 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით, ოქმი N51 (108), ჩაირიცხა მოხელეთა საკადრო რეზერვში. რეზერვში ჩარიცხვით იამზე ოჩხიკიძეს უნდა ესარგებლა სამსახურში დანიშვნის უპირატესი უფლებით კონტროლის პალატაში ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში.

,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 118-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც საჭიროებს მოხელეს, შესაბამის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას აცნობებს ვაკანტური თანამდებობის არსებობის შესახებ თანამდებობის დასახელების და მის დასაკავებლად წაყენებული მოთხოვნების მინიშნებით''. ამდენად, კონტროლის პალატის ხელმძღვანელობა ვალდებული იყო ვაკანსიების წარმოქმნისთანავე სამსახური შეეთავაზებინა იამზე ოჩხიკიძისთვის. ის, რომ კონტროლის პალატაში 2007 წლის 2 ივლისის მდგომარეობით ვაკანსიები არსებობდა, წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ცალსახად ჩანს. უფრო მეტიც, კონტროლის პალატის სისტემაში 3 ივლისის შემდეგ არსებულ ვაკანსიებზე მიღებულნი არიან კონკურსგაუვლელი, არაატესტირებული რიგითი მოქალაქეები. თუ რატომ არ მოხდა რეზერვში ჩარიცხული იამზე ოჩხიკიძის დასაქმება არსებულ ვაკანსიებზე, კონტროლის პალატა ვერ ასაბუთებს.

კონტროლის პალატას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, არ ჰქონდა უფლება, არსებული ვაკანსიები კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არ შეეთავაზებინა რეზერვში ჩარიცხულ პირთათვის და რეზერვის არსებობის პირობებში აეყვანა ახალი და გამოუცდელი თანამშრომლები. ამით დაირღვა ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები: ,,ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება''.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, რათა შეესწავლა აღნიშნული საკითხი და მიეღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება. რეკომენდაციაზე პასუხი არ მიგვიღია

დავით დარახველიძის საქმე

2008 წლის თებერვალში სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა კონტროლის პალატის ყოფილმა თანამშრომელმა დავით დარახველიძემ სამსახურიდან გაათავისუფლების თაობაზე.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დავით დარახველიძე 2004 წლიდან მუშაობდა კონტროლის პალატაში, ბოლოს - ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

2007 წლის 3 ივლისს კონტროლის პალატის თავმჯდომარის N440 ბრძანებით ის გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ბრძანებას საფუძვლად დაედო კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 20 ივნისის N75-ორგ ბრძანება ,,საქართველოს კონტროლის პალატის ერთიანი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" და 2007 წლის 2 ივლისის N77-ორგ ბრძანება ,,საქართველოს კონტროლის პალატის სისტემის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ".

აღნიშნული ბრძანებების გამოცემას წინ უძღოდა კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 15 მაისის ბრძანება N59-ორგ, რომლითაც კონტროლის პალატის თანამშრომლები გააფრთხილეს სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების თაობაზე, მოსალოდნელი სტრუქტურული რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით. ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბრძანება გაეცნო კონტროლის პალატის მოსამსახურეებს.

კონტროლის პალატის ხელმძღვანელობა არ დაელოდა გაფრთხილებიდან ერთი თვის გასვლას და თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნის პროცესი ბევრად ადრე დაიწყო. კერძოდ, სარევიზიო სამსახურის თანამშრომელებს 7, 8 და 9 ივნისს, განმცხადებლის თქმით, იძულების წესით მოსთხოვეს, დაეწერათ განცხადება სამსახურიდან გათავისუფლებაზე, ოჯახური მდგომარეობის მოტივით. 9-10 ივნისისთვის სარევიზიო სფეროს 240-მდე მუშაკმა ერთდროულად მიმართა კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას განცხადებით ოჯახური პირობების გამო სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე. 2007 წლის 11 ივნისს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით 200-მდე თანამშრომლის განცხადება სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე დაკმაყოფილდა. სარევიზიო სფეროს რამდენიმე თანამშრომელმა, მათ შორის, დავით დარახველიძემ, უარი თქვეს, პირადი სურვილით დაეწერათ განცხადება სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე. დავით დარახველიძე სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების თაობაზე გაფრთხილებიდან ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგაც აგრძელებდა მუშაობას კონტროლის პალატაში.

2007 წლის 20 ივნისს კონტროლის პალატის თავმჯდომარის N75-ორგ ბრძანებით დამტკიცდა კონტროლის პალატის ერთიანი რეგლამენტი. ახლად დამტკიცებული

რეგლამენტის მე-8 მუხლით (ამოქმედდა 2 ივლისიდან) განისაზღვრა კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა.
ახალი რეგლამენტით არ მომხდარა კონტროლის პალატის დაქვემდებარებაში შემავალი არც ერთი სტრუქტურული დანაყოფის ლიკვიდაცია.

კონტროლის პალატის ახალი რეგლამენტით განსაზღვრული სტრუქტურები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, იყო ადრე არსებული სამსახურების ოპტიმიზაციის შედეგი ახალი სახელწოდებით, თუმცა ფუნქციური დატვირთვით ადრე არსებულის ანალოგი.

რეგლამენტის ამოქმედებისთვის (2007 წლის 2 ივლისი), კონტროლის პალატის თავმჯდომარემ N77-ორგ ბრძანებით ახალი საშტატო ნუსხა დაამტკიცა, რომელიც 3 ივლისიდან შევიდა ძალაში. თანამშრომელთა ოდენობა პალატაში განისაზღვრა 298 ერთეულით (569 ერთეულის ნაცვლად). აქედან 159 საშტატო ერთეული - სარევიზიო სფეროს მუშაკებისთვის. ვინაიდან 3 ივლისისთვის სარევიზიო სფეროს მუშაკთა ოდენობა 57-ს შეადგენდა, სარევიზიო სამსახურში შესავსები დარჩა 102 ვაკანსია.

2007 წლის 3 ივლისისათვის, როცა კონტროლის პალატის თავმჯდომარის N440 ბრძანებით სამსახურიდან გათავისუფლდა დავით დარახველიძე, უკვე გასული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლით გათვალისწინებული სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის თაობაზე გაფრთხილების ერთთვიანი ვადა. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-3 პუნქტი ცალსახად განმარტავს, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება უნდა მოხდეს გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს. დ. დარახველიძე გააფრთხილეს 15 მაისს, შესაბამისად, მისი გათავისუფლება, კანონის თანახმად, უნდა მომხდარიყო 16 ივნისს. საქმის მასალების მიხედვით, ის არ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ამ ვადაში, არამედ გააგრძელა შრომით საქმიანობა კონტროლის პალატაში.

წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად მივიჩნიეთ, რომ დ. დარახველიძე სამსახურიდან დაითხოვეს კანონდარღვევით, შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 3 ივლისს დავით დარახველიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს ისე, რომ მისი გაფრთხილება სამსახურიდან მოსალოდნელი დათხოვნის თაობაზე არ მომხდარა „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 108-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად. მართალია კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 15 მაისის N59-ორგ ბრძანებით მოხელე ერთი თვით ადრე გააფრთხილეს შესაძლო გათავისუფლებაზე, მაგრამ მისი დათხოვნა არ მომხდარა კანონით დადგენილ ვადაში. მოქალაქეს სამუშაოდან დათხოვნის კანონიერი მოლოდინი ჰქონდა სწორედ ერთი თვის განმავლობაში, ანუ 2007 წლის 16 ივნისამდე. მას მერე, რაც ის არ გათავისუფლდა ამ ვადაში, მისი დათხოვნა სამსახურიდან 2007 წლის 3 ივლისს იყო კანონშეუსაბამო. 17 ივნისიდან კონტროლის პალატის ადმინისტრაცია ვალდებული იყო, დავით დარახველიძე, როგორც საჯარო მოხელე, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხელახლა გაეფრთხილებინა სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის თაობაზე ერთი თვით ადრე.

გარდა ამისა, არამართლზომიერია კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 3 ივლისის N განკ440 ბრძანებაში მითითებული გათავისუფლების საფუძველი. შტატების შემცირება და კონტროლის პალატის ახალი რეგლამენტი. დავით დარახველიძის სამსახურიდან გათავისუფლების მომენტისათვის კონტროლის პალატის ადმინისტრაციას რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მიზანი უკვე მიღწეული ჰქონდა. 12 ივნისიდან 3 ივლისამდე ცალკეული სამსახურების მიხედვით, მას იმაზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავდა, ვიდრე სჭირდებოდა. რეალურად წარმოქმნილი იყო საკადრო დეფიციტი და არ არსებობდა რაიმე ფაქტობრივი გარემოება, სამსახურიდან გაეშვათ გამოცდილი და კვალიფიციური კადრები.

მართალია, ახალი საშტატო ნუსხით არ არსებობდა ის თანამდებობა, რაც დავით დარახველიძეს ეკავა კონტროლის პალატაში - ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსის მოადგილე, თუმცა იყო სამსახური, რომლის ფუნქციური დატვირთვა და უფლება-მოვალეობა ზემოაღნიშნული სამსახურის (მაგალითად სარევიზიო დეპარტამენტები) იდენტური იყო. გარდა ამისა, კონტროლის პალატის ახლად დამტკიცებული რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს შეიძლებოდა ჰყოლოდათ მოადგილეები, შესაძლებელი იყო ამ ერთეულების სამმართველოებად და განყოფილებებად დაყოფა. გარდა ამისა, კონტროლის პალატას, წარმოქმნილი საკადრო ვაკანსიების პირობებში, არ ჰქონდა მისი დასაქმების პრობლება.

აღსანიშნავია, რომ კონტროლის პალატის ხელმძღვანელობამ უგულებელყო ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად, ,,დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები''. დავით დარახველიძეს ბოლო ატესტაცია ჰქონდა გავლილი 2005 წელს წარმატებით.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებაში დავით დარახველიძის გათავისუფლების საფუძვლად მითითებული რეგლამენტი და საშტატო ნუსხა, მათი შინაარსიდან გამომდინარე, არ არის ის დოკუმენტები, რაც საფუძვლად შეიძლება დაედოს საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან არ ირკვევა, რა სამართლებრივ საფუძველს დაეყრდნო კონტროლის პალატის ხელმძღვანელობა, როცა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების შემდეგ რიგი თანამშრომლები გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, ნაწილი კი დარჩა თანამდებობებზე.

სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ დავით დარახველიძე კონტროლის პალატის საკონკურსო საატესტაციო კომისიის 2007 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით (ოქმი N51 (108)) ჩაირიცხა მოხელეთა საკადრო რეზერვში. რეზერვში ჩარიცხვით დავით დარახველიძეს უნდა ესარგებლა სამსახურში დანიშვნის უპირატესი უფლებით, კონტროლის პალატაში ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 118-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც საჭიროებს მოხელეს, შესაბამის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას აცნობებს ვაკანტური თანამდებობის არსებობის შესახებ თანამდებობის დასახელების და მის დასაკავებლად წაყენებული მოთხოვნების მინიშნებით". ამდენად, კონტროლის პალატის ხელმძღვანელობა ვალდებული იყო ვაკანსიების წარმოქმნისთანავე სამსახური შეეთავაზებინა დავით დარახველიძისათვის. ის, რომ კონტროლის პალატაში 2007 წლის 2 ივლისის მდგომარეობით ვაკანსიები არსებობდა, წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ცალსახად ჩანს. კონტროლის პალატაში რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების შემდეგ ვაკანსიებზე მიღებულია არაერთი კონკურსგაუვლელი, არაატესტირებული მოქალაქე. თუ რატომ არ მოხდა რეზერვში ჩარიცხული დავით დარახველიძის დასაქმება არსებულ ვაკანსიებზე, კონტროლის პალატა ვერ ასაბუთებს.

კონტროლის პალატას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, არ ჰქონდა უფლება, არსებული ვაკანსიები კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არ შეეთავაზებინა რეზერვში ჩარიცხულ პირთათვის და რეზერვის არსებობის პირობებში აეყვანა ახალი თანამშრომლები. ამით დაირღვა „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები: „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, რათა შეესწავლა აღნიშნული საკითხი და მიეღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

კონტროლის პალატის საპასუხო წერილიდან ცნობილი გახდა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციები ზემოაღნიშნულ საკითხებზე არ იქნა განხილული არსებითად, ვინაიდან დღეისათვის მიმდინარეობს სასამართლო დავა მოქალაქეთა სამსახურში აღდგენის თაობაზე.

მალვინა რატიანის საქმე

2008 წლის 12 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მალვინა რატიანმა. განმცხადებლის განმარტებით, 2007 წლის 7 სექტემბერს ის უკანონოდ გათავისუფლდა თბილისის 69-ე საჯარო სკოლის პედაგოგობიდან.

აღნიშნული საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მალვინა რატიანის სამუშაოდან დათხოვნის საფუძველი არაკანონიერი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის 69-ე საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 7 სექტემბრის N133 ბრძანების საფუძვლად მითითებულია სკოლის უცხო ენების კათედრის მიმართვა სკოლის პედაგოგიური საბჭოსადმი, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება და სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება "სკოლის პედაგოგთა დატვირთვის 18 საათიანი მინიმუმით განსაზღვრის" თაობაზე. ამ

გადაწყვეტილებით, სკოლის ყველა პედაგოგი, რომელთა საათობრივი დატვირთვა 18 საათზე ნაკლები იყო, ექვემდებარებოდა სამსახურიდან დათხოვნას.

სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2007 წლის 3 სექტემბერის N126 ბრძანებით გაამყარა. 2007 წლის 7 სექტემბერს კი შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა მალვინა რატიანს, რადგან მისი საათობრივი დატვირთვა 5 საათს შეადგენდა.

მოგვიანებით, 2007 წლის 22 ოქტომბერს ,,მინიმალურ საათობრივ დატვირთვასთან" დაკავშირებით მიღებული ბრძანება სკოლის დირექტორმა გააუქმა N144 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში საგულისხმოა N133 ბრძანების გაუქმების საფუძველი - ,,გასაუქმებელი ბრძანების სამართლებრივი ინტერესის დაკარგვა და სკოლის მიზნები". ამ ჩანაწერის მიხედვით, 69-ე საჯარო სკოლის დირექტორს 2007 წლის 7 სექტემბერს ბრძანების გამოცემისას ერთადერთი სამართლებრივი მიზანი - პედაგოგ მალვინა რატიანის გათავისუფლება ამოძრავებდა. როგორც კი აღნიშნულმა პიროვნებამ დატოვა სკოლა, სამართლებრივმა აქტმა აზრი დაკარგა და დღის წესრიგიდან მინიმალური საათობრივი განაკვეთის დაწესების საკითხიც მოიხსნა.

მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სკოლის დირექტორის ქმედება ატარებდა დისკრიმინაციულ ხასიათს. ''ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში ნათქვამია, რომ ''დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია.

ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას."

69-ე საჯარო სკოლაში გერმანული ენის სულ სამი მასწავლებელი იყო. მალვინა რატიანი საგანს 1997 წლიდან ასწავლიდა. აშკარაა, რომ კანონის ზემოაღნიშნული მუხლის მიხედვით, მალვინა რატიანთან მიმართებით დაირღვა ''თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის'' პრინციპი, იმ პედაგოგებთან შედარებით, ვისაც გადაუნაწილეს მისი საათები. მოქალაქე კი სამსახურის გარეშე დატოვეს.

''ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 43-ე მუხლის ''ვ'' ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორი ''საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პირობებისა და წესის შესაბამისად უზრუნველყოფს მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას".

''ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონი არეგულირებს, რა საფუძვლით შეიძლება ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი ურთიერთობა პედაგოგს სკოლის დირექტორმა. ''ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით

გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში.'' (მუხლი 43. პუნქტი პირველი, ''ზ''ქვეპუნქტი).

აღნიშნულ საქმეში, სკოლის დირექტორის გარდა, კანონდარღვევით მოქმედებდა სკოლის სამეურვეო საბჭოც. მას, როგორც სკოლის თვითმმართველობის უმაღლეს არჩევით ორგანოს, კანონით განსაზღვრული მოვალეობებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, არ ჰქონდა უფლებამოსილება ემსჯელა სკოლის მასწავლებლებს შორის საათების განაწილების საკითხზე და, მით უფრო, ამ მხრივ მიეღო დადგენილება რაიმე სახის შეზღუდვაზე.

სამეურვეო საბჭომ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, როცა 2007 წლის 3 სექტემბერს სხდომაზე მხარი დუჭირა 69-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებას ''მასწავლებელთა მინიმუმ 18 საათიანი დატვირთვის'' შემოღების თაობაზე და მიიღო დადგენილება.

''ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის ''კ'' ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ სამეურვეო საბჭო ''უფლებამოსილია მოსთხოვოს სკოლის დირექტორს, ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენისას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში''. ასევე, კანონის ეს მუხლი განსაზღვრავს, თუ რა საკითხებზე სჭირდება სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სამეურვეო საბჭოს თანხმობა: ''პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმებისა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ რეკომენდებული/გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის თაობაზე''.

ცალსახაა, რომ სკოლის დირექტორს, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებს მოქმედი კანონმდებლობა არ ანიჭებს უფლებამოსილებას, დააწესონ მასწავლებლებისთვის რაიმე სახის საათობრივი შეზღუდვა და მათი შემცირებისა და სამუშაოდან დათხოვნის საფუძვლად გამოიყენონ მცირე საათობრივი დატვირთვა.

ამგვარად, 2007 წლის 3 სექტემბერს 69-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება საათების სიმცირის გამო, შრომითი ურთიერთობა შეეწყვიტათ გერმანული ენის პედაგოგის მალვინა რატიანისთვის, იყო კანონსაწინააღმდეგო. ასევე, კანონშეუსაბამოა დირექტორის 2007 წლის 7 სექტემბრის N133 ბრძანება მისი სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დაცველმა რეკომენდაციით მიმართა სკოლის დირექტორს, გათილად ეცნო მის მიერ გამოცემული ბრძანება N133 და აღედგინა დაკავებულ თანამდებობაზე პედაგოგი მალვინა რატიანი.

რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა

იზოლდა ლაბარტყავა

2008 წლის 4 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე იზოლდა ლაბარტყავამ თბილისის 140-ე საჯარო სკოლის პედაგოგობიდან გათავისუფლების თაობაზე.

საქმეში წარმოდეგნილი მასალების მიხედვით, იზოლდა ლაბარტყავა თბილისის 140-ე საჯარო სკოლაში მუშაობდა 1968 წლიდან. მუშაობის მანძილზე მიღებული აქვს არაერთი მადლობა, დიპლომი. დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული". პედაგოგს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული ბოლო ატესტაციის შედეგებით მინიჭებული აქვს „უმაღლესი კატეგორიის" პედაგოგის ხარისხი.

2007 წლის 4 ოქტომბერს 140-ე საჯარო სკოლის დირექტორმა N65 ბრძანებით იზოლდა ლაბარტყავა სამსახურიდან გაათავისუფლა. გათავისუფლების საფუძვლად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტში მითითებულია ორი დაწყებითი კლასის (1^1 და 2^1) შეერთება. მიმაჩნია, რომ პედაგოგის სამსახურიდან ამ საფუძვლით დათხოვნა დირექტორის მხრიდან იყო არაკანონიერი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საჯარო სკოლის დირექტორს კანონიერი უფლებამოსილება აქვს გააფორმოს და შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა სკოლის პედაგოგებთან. თუმცა კანონითვეა დადგენილი რა შემთხვევაში წყდება სამართლებრივად ეს შრომითი ურთიერთობა და რა საფუძვლით.

საქართველოს „შრომის კოდექსის" პირველი მუხლის პირველ პუნქტში ცალსახადაა ნათქვამი, რომ კოდექსი შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს აწესრიგებს მხოლოდ მაშინ თუ ის განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით. „კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით".

განათლების სფეროში დღეს მოქმედებს არაერთი სპეციალური კანონი. მათ შორისაა „ზოგადი განათლების შესახებ" კანონი, რომლის 43-ე მუხლით განსაზღვრულია სკოლის დირექტორსა და მასწავლებლებს შორის შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისა და მოშლის წესი და საფუძვლები.

აღნიშნული კანონის თანახმად, 2007 წლიდან საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულმა დირექტორებმა სკოლის მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გააფორმეს უვადო შრომითი ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულების პირობები და წესი დაამტკიცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. ცალსახაა, რომ 2007 წლის 4 ოქტომბრისათვის ასეთი შრომითი ხელშეკრულება ზეპირი თუ წერილობითი ფორმით არსებობდა პედაგოგ იზოლდა ლაბარტყავასთან. აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე მოშლისას სკოლის დირექტორი უნდა დაყრდნობოდა სპეციალური კანონით „ზოგადი განათლების

შესახებ" განსაზღვრულ ნორმას. 43-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორი „უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში".

ცალსახაა, რომ 140-ე საჯარო სკოლის დირექტორის მიერ ორი დაწყებითი კლასის შეერთების საფუძვლით პედაგოგ იზოლდა ლაბარტყავას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება არამართლზომიერი და კანონშეუსაბამოა.

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის თანახმად, „კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან". საერთაშორისო სამართლის ნორმებით ერთერთი ასეთი საყოველთაოდ აღიარებული უფლება შრომის უფლებაა. საქართველო 1994 წლიდან მიერეთებულია „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტს, რომლის თანახმად მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას. პაქტის მე-3 ნაწილის, მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად შრომის უფლება ეს არის „თითოეული ადამიანის უფლება საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს და თავისუფლად დათანხმდება." პაქტის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში კი ნათქვამია, რომ „სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები".

იზოლდა ლაბარტყავას, სკოლიდან გათავისუფლებით სწორედ კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული უფლება შეიზღუდა. კერძოდ, საკუთარი შრომითვე მოეპოვებია საარსებო სახსრები. თუ გავითვალისწინებთ პედაგოგის ასაკს და სკოლაში მუშაობის 40 წლიან სტაჟს,მისთვის სხვა სამუშაოს ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება- სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და განეკუთვნება ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები კი უნდა იყოს კანონშესაბამისი და კანონის მოთხოვნაზე დაფუძნებული. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტებს კი იურიდიული ძალა არ გააჩნია. („ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი", მუხლი მე-5).

2007 წლის 4 ოქტომბერს თბილისის 140-ე საჯარო სკოლის დირექტორმა უკანონო საფუძვლით გაათავისუფლა სკოლის პედაგოგი იზოლდა ლაბარტყავა. ამით მან გადაამეტა მისთვის „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ხოლო „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „ უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა აღნიშნული სკოლის დირექტორს ბათილად ეცნო 2007 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება N65, როგორც კანონშეუსაბამო და აღედგინა მოქალაქე იზოლდა ლაბარტყავა 140-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის თანამდებობაზე.
რეკომენდაციაზე ამ ეტაპისთვის პასუხი არ მიგვიღია

59-ე საჯარო სკოლა

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა 59-ე საჯარო სკოლის ყოფილმა პედაგოგებმა ნინო კობახიძემ და მაია ლელაშვილმა სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე.
საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მაია ლელაშვილი თბილისის 59-ე საჯარო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებელად მუშაობდა. ნინო კობახიძე კი მუსიკის მასწავლებელი იყო.

2008 წლის 19 ივნისს სკოლის დირექტორმა თენგიზ გულორდავამ N108-ე ბრძანებით შრომითი ურთიერთობა შეუწყვიტა პედაგოგ მაია ლელაშვილს. ხოლო 20 ივნისს N110 ბრძანებით შრომითი ურთიერთობა შეუწყდა პედაგოგ ნინო კობახიძეს.

ბრძანებების შინაარსის მიხედვით, ორივე პედაგოგის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლება გამოყენებულ იქნა, როგორც დისციპლინური სახდელი. თუმცა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მისი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად გამოიყენა, როგორც „შრომის კოდექსის" 37-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი, „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი, ასევე სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები. მითითებული ნორმები, მისი შინაარსიდან გამომდინარე სხვადასხვა სამართლებრივი დატვირთვის მატარებელია და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში არცერთი მათგანი დასაბუთებული არ არის.

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის დირექტორის ფუნქციათაგან ერთერთი მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობაცაა. თუმცა ცალსახადაა განსაზღვრული რა შემთხვევაში შეუძლია ამ უფლებით სარგებლობა.
43-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორი „უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში"

ნინო კობახიძისა და მაია ლელაშვილის გათავისუფლების ბრძანებაში არ არის მითითებული ხელშეკრულების თუ რა პირობები დაარღვიეს პედაგოგებმა. ასევე არ შეიძლება მასწავლებელთა მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა შეფასდეს,

როგორც სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედება. პედაგოგების მიერ ჩადენილი ქმედებები არ ჯდება სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ გადაცდომათა შინაარსში. მით უფრო არამართლზომიერია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში მოყვანილი ფაქტი გამოყენებულიყო პედაგოგების სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლად.

მაია ლელაშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემულ ბრძანებაში ვკითხულობთ, რომ ,,2008 წლის 27 მაისს სკოლის დირექტორს მოხსენებითი ბარათით მიმართა სკოლის სასწავლო ნაწილმა მ.დოგუზოვამ (რეგისტრაციის N105) იმის შესახებ, რომ სკოლაში დასაქმებულმა გეოგრაფიის პედაგოგმა მ.ლელაშვილმა გააცდინა(ჩაშალა) საგაკვეთილო პროცესი მ.წ. 27 მაისს. ასევე მას აქვს სასწავლო წლის განმავლობაში ათობით არასაპატიო საგაკვეთილო პროცესის გაცდენის ფაქტი''. და ა.შ.
ნინო კობახიძის სამსახურიდან დისციპლინური სახდელით გათავისუფლების ბრძანებაში მითითებულია, რომ ,,2008 წლის 6 ივნისს ნინო კობახიძემ 8^3-ე კლასში მე-7 გაკვეთილზე ჩაშალა საგაკვეთილო პროცესი. აღნიშნული დარღვევის ირგვლივ სკოლის დირექტორს იმავე დღეს მოხსენებითი ბარათით მომართა სასწავლო ნაწილმა, რომ მოსწავლეები საკლასო ოთახში ელოდებოდნენ პედაგოგს, სკოლის სასწავლო ნაწილმა აღნიშნული კლასის ხელმძღვანელთან და მოსწავლეებთან ერთად რამდენიმე წუთი ელოდნენ პედაგოგ ნ. კობახიძეს, შემდეგ შეეცადნენ ტელეფონით დაკავშირებოდნენ მას, თუმცა უშედეგოდ. შემდეგ როგორც აღმოჩნდა ლ.კობახიძე კათედრის ოთახში ამზადებდა მოსწავლეებს, რის გამოც ჩაშალა საგაკვეთილო პროცესი'' (სტილი დაცულია).

სკოლის დირექციამ, პედაგოგებს სამსახურიდან დათხოვნამდე რამდენიმე დისციპლინური სახდელიც დააკისრა, რითაც თითქოსდა გაამყარა მათი სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი. რეალურად კი, მასწავლებლებზე დაკისრებული დისციპლინური სახდელები, გათავისუფლების ბრძანების ჩათვლით, წინააღმდეგობაში მოდის სკოლის შინაგანაწესთან და ზოგადად დისციპლინური სახდელის დაკისრების კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას''. ამავე მუხლის მე-2 პუნქტში კი ნათქვამია, რომ ,,სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი''.

გეოგრაფიის პედაგოგი მაია ლელაშვილი, გათავისუფლების ბრძანების თანახმად, სისტემატიურად აცდენდა გაკვეთილებს არასაპატიო მიზეზით. ამის თაობაზე ის საქმის კურსში არ აყენებდა დირექციას. თუმცა საქმის მასალებით ეს არ დასტურდება. სკოლის რამდენიმე პედაგოგმა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნეს, რომ პედაგოგი მაია ლელაშვილი არის კეთილსინდისიერი მასწავლებელი და ის გაფრთხილების გარეშე სკოლას არ აცდენდა. N108-ე ბრძანებაში მითითებულ კონკრეტულ შემთხვევაზე კი

განმარტეს, რომ მაია ლელაშვილმა პირადად გააფრთხილა პედაგოგი ნადეჟდა ბერეკაშვილი და ეთერ ჯამარჯაშვილი, რომ იყო შეუძლოდ, ვერ გამოცხადდებოდა გაკვეთილზე და რადგან ვერ უკავშირდებოდა სასწავლო ნაწილი გამგეს, სთხოვა ჩაეყენებიათ ის აღნიშნულთან დაკავშირებით საქმის კურსში. პედაგოგებმა ინფორმაცია მიიტანეს დროულად სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესთან, ამ უკანასკნელმა კი გაკვეთილების ცხრილი შეცვალა. ფაქტიურად საგაკვეთილო პროცესი არ ,,ჩაშლილა", როგორც ეს ბრძანების შინაარსშია აღწერილი.

59-ე საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-5 მუხლის 5.4-ე პუნქტის თანახმად, სკოლის ადმინისტრაცია ვალდებული იყო დროულად მიეღო ზომები შინაგანაწესის დამრღვევთა მიმართ. სასწავლო წლის მანძილზე, თუ პედაგოგები სისტემატიურად აცდენდნენ სკოლას, მათ მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება სასწავლო წლის დასასრულს (მაის- ივნისის თვეში) არ შეიძლება ჩაითვალოს დროულად მიღებულ ზომად.

სკოლის დირექციამ პედაგოგების მაია ლელაშვილისა და ნინო კობახიძის დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით ჩაატარებული ადმინისტრაციული წარმოების დროსაც უგულვებელყო კანონის მოთხოვნები, როცა მათ აღნიშნულის თაობაზე არ აცნობა, როგორც დაინტერესებულ მხარეებს. ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ,,ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში". ის, რომ სკოლის დირექტორის 2008 წლის 19 ივნისის N108-ე და 20 ივნისის N110-ე ბრძანებებით გაუარესდა პედაგოგების სამართლებრივი მდგომარეობა ცალსახა და აშკარაა. მასწავლებლები ამ აქტის საფუძველზე სამსახურის გარეშე დარჩნენ.

ამ შემთხვევაში სკოლის დირექცია დაეყრდნო შინაგანაწესის მე-9 მუხლის 3.4-ე (მასწავლებლის სამუშაოდან დათხოვნა) პუნქტის მოთხოვნებს. ,,მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ირგვლივ განმარტების მიცემაზე ან დისციპლინური დევნის პროცესში ჩართვაზე თავის არიდების ან უარის შემთხვევაში შედგება შესაბამისი აქტი, რაც აძლევს სკოლის დირექტორს უფლებას მის ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება".(განიმარტოს შეუსაბამობა რატომაა) მიმაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა აშკარად წინააღმდეგობაში მოდის კანონის მოთხოვნასთან, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულება აქვს ,,უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში". სკოლის შინაგანაწესი, რომელიც თავისი ხასიათით კანონქვემდებარე აქტია კანონზე მაღლა ვერ დადგება. მოცემულ შემთხვევაში, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა ემოქმედა.

სკოლის დირექციამ ასევე დაარღვია პედაგოგებთან მიმართებაში ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-13 მუხლის, პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნები. ,,ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და

გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი". მაია ლელაშვილს და ნინო კობახიძეს დისციპლინური სახდელი-სამუშაოდან დათხოვნა-ისე დააკისრა სკოლის დირექციამ არა თუ არ მიეცათ აღნიშნულ სხდომაზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, არც კი აცნობეს სხდომის გამართვის თაობაზე კანონით დადგენილ ვადაში. საქმის მასალებში წარმოდგენილი სხვა დისციპლინური სახდელებიც სკოლის დირექციამ პედაგოგებს დააკისრა კანონისა და სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევით.

სკოლის დირექციის ამ ქმედებით პედაგოგებს არ მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ მათთვის „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნით.
„სკოლა ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება".

საქმის მასალებში წარმოდგენილია 2008 წლის 19 ივნისს სამი პედაგოგის ხელმოწერით შედგენილი აქტი, სადაც აღნიშნულია, რომ პედაგოგ მაია ლელაშვილისთვის უნდა გადაეცათ წერილი, რომ 19 ივნისს, 16 საათზე დანიშნული იყო მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვა. პედაგოგმა აღნიშნული წერილი არ ჩაიბარა.

სკოლის დირექტორმა ისე გამოიყენა დისციპლინური სახდელის სახით პედაგოგების მიმართ სამსახურიდან დათხოვნა და აღნიშნულზე გამოსცა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები, რომ კანონით დადგენილი წესით არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა კანონიერი და მართლზომიერი. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ".

იმ შემთხვევაშიც კი, როცა სკოლის შინაგანაწესის თანახმად სკოლის დირექცია პედაგოგების მიმართ გამოიყენებდა დისციპლინური სახდელის ნორმას, „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვალდებული იყო „დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით". საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ 59-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დისციპლინური სახდელის დაკისრების მომენტში მოქმედებდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. არცერთი მტკიცებულება, რაც მოყვანილია დისციპლინური სახდელის სამართლებრივ საფუძვლად არ არის მოპოვებული ჯეროვანი და სამართლიანი

პროცედურით. (ახსნა-განმარტებები ძირითადად დაწერილი აქვთ სკოლის დირექტორის მოადგილეებს, დირექციის წევრებს).

საქმის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა ერთი მეტად საგულისხმო ტენდენცია. ყველა დისციპლინური სახდელი, რაც პედაგოგებს მაია ლელაშვილს და ნინო კობახიძეს დაეკისრათ სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით, ქრონოლოგიურად სასწავლო წლის ბოლოსაა გამოყენებული. გადაცდომის შინაარსიდან გამომდინარეც, პედაგოგების მიმართ არ უნდა გამოყენებულიყო დისციპლინური სახდელის დაკისრებული ნორმები. ის, რომ პედაგოგს მოსწავლე სასწავლო პროცესის მსვლელობისას გარეთ გასვლას სთხოვს და უშვებს, არ შეიძლება შეფასდეს სასწავლო პროცესის ჩაშლად. მსგავსი ქმედებებისთვის რაიმე სახის სახდელი არ არის გათვალისწინებული სკოლის შინაგანაწესში. სავარაუდოდ, სკოლის დირექციამ მაია ლელაშვილისა და ნინო კობახიძის მიმართ გათავისუფლებამდე, მიზანმიმართულად, ხელოვნურად შექმნა რამდენიმე დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი, რაც შემდგომში გამოიყენა მათი სამსახურიდან დათხოვნის მოტივად. პედაგოგები განცხადებაში უთითებენ, რომ მათ მიმართ დირექციის მხრიდან არაკეთილგანწყობა და სიტუაციის დაძაბვა მას მერე დაიწყო, რაც განსხვავებული და კრიტიკული აზრი დააფიქსირეს სკოლის დირექტორის მიმართ, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან განსხვავებული აზრის გამო სიტუაციის დაძაბვას 59-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე აფისქირებდა, როცა სახალხო დამცველის აპარატი მასწავლებელთა განცხადების საფუძველზე სწავლობდა სკოლაში შექმნილ ვითარებას. მათ შორის იყვნენ მაია ლელაშვილი და ნინო კობახიძე. აღნიშნული იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ სკოლის დირექციამ ამ პედაგოგთა დევნა და სამსახურიდან გაშვება განსხვავებული აზრის გამო გადაწყვიტა. პედაგოგები, რომლებიც მთელი სასწავლო წლის მანძილზე დადებითად ხასიათდებოდნენ და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას არ შეიძლებოდა სასწავლო წლის ბოლოს არადისციპლინირებულები და უპასუხისმგებლოები გამხდარიყვნენ. მაისის თვემდე, სკოლის დირექციის მხრიდან ვერ იქნა ვერცერთი დოკუმენტი წარმოდგენილი, რაც დაადასტურებდა ამ პედაგოგების არამართლზომიერ ქმედებას ან უდისციპლინობას.

ვინაიდან, 59-ე საჯარო სკოლის პედაგოგების მაია ლელაშვილისა და ნინო კობახიძის სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით ადგილი აქვს კანონის მოთხოვნათა მთელ რიგ დარღვევებს, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არსებობს მათი გათავისუფლების ბრძანებების ბათილობის საფუძველი. ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები''.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დაცველმა რეკომენდაციით მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბათილად ეცნო 2008 წლის 19 და 20 ივნისს გამოცემული ბრძანებები N108-ე და N110 -ე, როგორც კანონშეუსაბამო და აღედგინა დაკავებულ თანამდებობაზე პედაგოგები მაია ლელაშვილი და ნინო კობახიძე.
ამ ეტაპზე რეკომენდაციაზე პასუხი არ მიგვიღია

ეკატერინე ნებიერიძის საქმე

2008 წლის 8 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ეკატერინე ნებიერიძემ. აღნიშნული პიროვნება 1998 წლიდან შპს "საქართველოს ფოსტის" ადმინისტრაციულ აპარატში მუშაობდა. 2008 წლის 31 იანვარს ის დაითხოვეს სამსახურიდან შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. მოქალაქე ეკატერინე ნებიერიძე კი სამსახურიდან დათხოვნის მიზეზად განცხადებაში პოლიტიკურ მოტივზე უთითებს.

კერძოდ, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე ის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე იყო კომისიის წევრი რესპუბლიკური პარტიიდან.
საქმის შესწავლის მიზნით, ჩვენ მიერ შპს "საქართველოს ფოსტიდან" გამოთხოვილი მასალებიდან გაირკვა, რომ ადმინისტრაციის აპარატის 134 თანამშრომლიდან, ხელშეკრულება გაუგრძელდა 133 მუშაკს მიმდინარე წლის 31 იანვრიდან. ერთადერთი ვისთანაც "საქართველოს ფოსტამ" შრომითი ურთიერთობა გაწყვიტა, ეკატერინე ნებიერიძეა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპს "საქართველოს ფოსტა" ამ პერიოდში მონაწილეობდა პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ "დასაქმების პროგრამაში". ორგანიზაციამ 4700 ვაკანტურ ადგილზე გააკეთა განაცხადი. საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 3000 ადამიანი.

ბუნებრივია, ამის გათვალისწინებით ჩნდება კითხვა, თუკი ორგანიზაციას ჰქონდა ვაკანსია და სჭირდებოდა თანამშრომლები, რატომ დადგა დღის წესრიგში გამოცდილი და კვალიფიციური კადრის სამსახურიდან გაშვების აუცილებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ეკატერინე ნებიერიძის მიმართ შპს "საქართველოს ფოსტის" ხელმძღვანელობის მხრიდან განხორციელდა დევნა.

აღნიშნული საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა გენერალურ პროკურატურას.

რეაგირების შედეგები დღეისათვის უცნობია.

დანართი # 12
სახელფასო დავალიანებები

მოქალაქე ვაჟა ბუხაიძის საქმე

2008 წლის 22 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ვაჟა ბუხაიძემ სახელფასო დავალიანების თაობაზე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ წლების მანძილზე იგი მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს შინაგან საქმეთა სამმართველოში. მას მისაღები დარჩა 2000 წლის 4 თვის სახელფასო დავალიანება.

ვაჟა ბუხაიძის განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. მიმდინარე წლის 19 ივნისის #6/10-2315 წერილით გვაცნობეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროზე მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში არ არის გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავლაინებების დაფარვისათვის საჭირო თანხები, რის გამოც სამინისტრო მოკლებულია დააკმაყოფილოს დათხოვნილ თანამშრომელთა მოთხოვნები.

აქვე აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 21 ივნისის #281 განკარგულების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2006-2007 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა კრედიტორული დავალიანების რეესტრი ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოსაყოფად სახელფასო დავალიანებათა დაფარვისათვის. თანხების გამოყოფის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო დაუყონებლივ მოახდენს აღნიშნული დავალიანების დაფარვას.

მოქალაქე გოდერძი სამხარაძეს საქმე

2008 წლის 29 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გოდერძი სამხარაძემ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგი მუშაობდა საქართველოს ეროვნული გვარდიის მე-16 სამთო-სპეცდანიშნულების მსუბუქ ქვეით ბატალიონში ინსტრუქტორად 1995 წლის 19 ოქტომბრიდან 2002 წლის 01 დეკემბრამდე. სამუშაოდან გათავისუფლდა ასაკით პენსიაზე გასვლის გამო. როგორც განმცხადებელი მიუთითებს, მისაღები დარჩა 14 თვის სახელფასო დავალიანება, რის გამოც მან არაერთხელ მიმართა თავდაცვის სამინისტროს და სხვა შესაბამის უწყებებს, თუმცა დღემდე კუთვნილი ხელფასი არ მიუღია.

გ.სამხარაძის განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საიდანაც მ/წ 20 მარტის #9/1130 პასუხით გვაცნობეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნებისათვის ასიგნებების არარსებობის გამო, თავდაცვის სამინისტრო ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი თხოვნა. შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში საკითხი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ, უპირველეს შემთხვევაში იქნება განხილული.

დანართი # 13
საბინაო საკითხები

მოქალაქე მზია გუჯეჯიანის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით განცხადებით მიმართა მოქალაქე მზია გუჯეჯიანმა. განცხადებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ მისი ერთადერთი შვილი, გელა გუჯეჯიანი, აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობის გამო გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. აფხაზეთის ომში მიყენებული მძიმე ჭრილობების შედეგად მას დასჭირდა ხანგრძლივი მკურნალობა ძვირადღირებული მედიკამენტებით, თუმცა ბოლომდე ვერ განიკურნა. თავად ქალბატონი მზია გუჯეჯიანიც, მძიმე ოპერაციის გადატანის შემდეგ, არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. მკურნალობის ხარჯების დასაფარად მან საცხოვრებელი ბინა დატვირთა იპოთეკით და ვალის გადუხდელობის გამო დაკარგა იგი. ამჟამად, მ.გუჯეჯიანი თავის შვილთან ერთად ცხოვრობს დაქირავებულ ბინაში, გაუსაძლის პირობებში. ქირის გადაუხდელობის გამო ისინი უმოკლეს დროში აღმოჩნდებიან თავშესაფრის გარეშე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მზია გუჯეჯიანმა განცხადებით მიმართა შესაბამის სამსახურებს, რაზეც ისანი-სამგორის რაიონის გამგეობიდან მიიღო პასუხი, რომ მისი განცხადება აყვანილია კონტროლზე და იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გამგეობისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, განიხილება საკითხი მისთვის ამ ფართის გადაცემის თაობაზე. როგორც მზია გუჯეჯიანი აღნიშნავს, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვარკეთილში მშენებარე თავშესაფრები ქ.თბილისის მერიას უნდა გადაეცეს მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში. იგი ითხოვს აღნიშნულ თავშესაფარში საცხოვრებელი ფართის გამოყოფას.

მ.გუჯეჯიანის განცხადების საფუძველზე მივმართეთ ქ.თბილისის მერიას. #06/53128 პასუხით გავცნობეს, რომ ვარკეთილის მასივში მიმდინარეობს „სოციალური სახლების“ მშენებლობა, რომელიც სავარაუდოდ დამთავრდება 2008 წლის მე-3 კვარტლის ბოლოსათვის. აღნიშნულ სახლების მობინადრეთა შერჩევა მოხდება სპეციალური კომისიის მიერ, რომელშიც შევლენ სხვადასხვა სამსახურებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები. კომისია განიხილავს და შეისწავლის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევას და მისი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

აქვე მითითებულია, რომ მობინადრეებს ბინები გადაეცემათ მხოლოდ სარგებლობის უფლებით.

მოქალაქე ნუნუ ელბაქიძის საქმე

2008 წლის 24 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნუნუ ელბაქიძემ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მისი მეუღლე გიორგი რატიანი, პროფესიით ჟურნალისტი, არის ჩერნობილში მიმდინარე სამუშაოების დროს დაავადებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, უსინათლოთა

საზოგადოების წევრი. მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გაყიდეს საცხოვრებელი ბინა და დარჩნენ ღია ცის ქვეშ. გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ ნაქირავებ ბინაში. ყოველთვიური ბინის ქირის გადაუხდელობის გამო დაუგროვდათ საკმაოდ დიდი თანხა, რისთვისაც პატრონმა დაატოვებინა ბინა. ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფ ოჯახს ნათესავმა დაუთმო ბინა დროებით საცხოვრებლად. ამავე ბინაში დაიბადა ნუნუ ელბაქიძის ავადმყოფი შვილიშვილი, რომელსაც თვენახევრის განმავლობაში დასჭირდა მკურნალობა ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში. ოჯახში ჰყავთ 84 წლის მოხუცი, რომელსაც ესაჭიროება მუდმივი მკურნალობა. ნ.ელბაქიძის ოჯახი განიცდის უკიდურეს გაჭირვებას. არ აქვთ არანაირი შემოსავალი, ვინაიდან ოჯახში თითქმის ყველა უმუშევარია. გადასახადის გადაუხდელობის გამო მათ გამოურთეს ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი, რის გამოც ნათესავი (ბინის მესაკუთრე) იძულებულია, მათ ოჯახს დაატოვებინოს აღნიშნული ბინა. ნ.ელბაქიძის ოჯახი დარჩება ღია ცის ქვეშ.

ნ.ელბაქიძის განცხადების საფუძველზე მიმდინარე წლის 20 მაისს რეკომენდაციით (2288/04-1/1420-08) მივმართეთ ქ.თბილისის მერს, ბატონ გიგი უგულავას.

2008 წლის 9 ივნისის #06/40335-1 პასუხით გვაცნობეს, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას არ გააჩნია საბინაო ფონდი (არც თავშესაფარი) და არც ამ მიმართულებით გამოეყოფა რაიმე თანხები.

აქვე მითითებულია, რომ ამ ეტაპზე ნ.ელბაქიძის ოჯახის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება, მიუხედავად დიდი სურვილისა.

დანართი # 14
გარემოს დაცვა

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ საქმე

2007 წლის 8 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ქალბატონმა ნინო გუჯარაიძემ, რათა შეესწავლა საქართველოში ტყითსარგებლობის სფეროში შექმნილი ვითარება და 2007 წლის 1 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგების საფუძველზე, გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის კანონიერების საკითხი.

განცხადების თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ზემოაღნიშნული აუქციონი ჩატარდა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით და, შესაბამისად, აუქციონის შედეგების საფუძველზე გაცემული შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრია დეველოპმენტზე“ გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470 ბრძანება; ასევე, „ფ/პ ემილ რეინირსზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №471 ბრძანება და შპს „საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანიაზე“ გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №472 ბრძანება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 3 მაისის №470 ბრძანებით, შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრია დეველოპმენტზე“ გაიცა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სატყეო უბნის მუხურის, თაიას, ნაფიჩხოვის, მაგანის, ხუდონის, ჯვარის სატყეოებზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია 20 წლის ვადით.

2007 წლის 3 მაისის №471-ე ბრძანებით, ფიზიკურ პირზე, ემილ რეინირსზე გაიცა სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახალციხის სატყეო უბნის ოთის, ზედაველის, ძველის, აწყურის, თისელის, ურაველის, ვალეს სატყეოებზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია 20 წლის ვადით.

ხოლო, 2007 წლის 3 მაისის №472 ბრძანებით შპს „საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანიაზე“ გაიცა კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს

ყვარლის სატყეო უბნის ახალსოფლის, ყვარლის, შილდის, საბუის, გრემის სატყეოებზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია 20 წლის ვადით.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ მიიჩნევდა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ზემოთ მითითებული ბრძანებებით გაცემული ხე-ტყის დამზადებისათვის სატყეო კვარტლები წარმოადგენს მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეებს. აღნიშნულ ფაქტს, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ არგუმენტაციით, ადასტურებდა ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევები, უამრავი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა და ქვეყნის სამეცნიერო ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში არსებული დოკუმენტაცია.

ამას გარდა, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის საპროგრამო ოფისის (WWF-ის Caucasus PO) მიერ მომზადებული დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური პოტენციალისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით, 2006 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის წარდგენილ იქნა 2006-2010 წლებში საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის გარკვეული ნაწილის დაცულ ტერიტორიებად გამოცხადების მიზანშეწონილობის შესახებ რეკომენდაცია.

მოცემული დოკუმენტის შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე, სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიების ხარჯზე დაცული ტერიტორიების შექმნა და გაფართოება განიხილება არამარტო ბიომრავალფეროვნების დაცვის საფუძვლად, არამედ ის ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობის წინაპირობადაც მოიაზრება. სწორედ ამ მიზნის ეფექტიანად განსახორციელებლად (ბიომრავალფეროვნების დაცვა, ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფა) არ უნდა მოხდეს მაღალი გარემოსდაცვითი ღირებულების მქონე ტყეების გადაცემა მართვისა და სარგებლობისათვის სხვადასხვა სუბიექტებზე. WWF-ის აღნიშნული რეკომენდაციით 2010 წლამდე სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის 321 126 ჰექტარ ტერიტორიაზე უნდა გავრცელებულიყო დაცული ტერიტორიის შესაბამისი რეჟიმი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470 ბრძანებით, ხე-ტყის დამზადებისათვის გამოიყო WWF-ის მიერ განსაზღვრული მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყის ფართობების ჩამონათვალიდან თაიას სატყეოს 4 865 ჰა, მუხურის სატყეოს 2 580 ჰა და მაგანას სატყეოს 1 838 ჰა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №471 ბრძანებით, ხე-ტყის დამზადებისათვის გამოიყო WWF-ის მიერ განსაზღვრული მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყის ფართობების ჩამონათვალიდან ვალეს სატყეოს 3 467 ჰა და ურაველის სატყეოს 2 863 ჰა.
რაც შეეხება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №472 ბრძანებას, ლიცენზიით გაცემული ტერიტორია გეოგრაფიულად არის დურუჯის ხეობა, რომელიც ძალზე სენსიტიურია. აღნიშნულ

ტერიტორიაზე ჭრის შედეგად ეკოსისტემის კანონზომიერების დარღვევამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზარალი მიაყენოს რაიონის მოსახლეობას და ეკონომიკას. ზემოთ მითითებული მოსაზრება საფუძველს რომ არ არის მოკლებული, ამის არგუმენტად ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მოჰყავდა უკანასკნელ წლებში მომხდარი არაერთი სტიქიური უბედურება, რაც მნიშვნელოვანწილად სწორედ ხე-ტყის ჭარბი მოპოვებით იყო გამოწვეული.

ამდენად, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ მიიჩნევდა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქართველოს ტყის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილების საფუძველზე, სალიცენზიო პირობებით ზუსტად უნდა განესაზღვრა ის სატყეო კვარტლები და ლიტერები (სატყეო მეურნეობის დაყოფის ერთეულები), სადაც აკრძალული იქნებოდა მერქნის მოპოვება მათი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების გამო. ანუ უნდა განესაზღვრა კონსერვაციის (დაცვის) ზონები და განეხორციელებინა მათზე მორატორიუმი.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ მიუთითებდა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილებას „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“ (ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს „ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება ტყის რესურსების გონივრული მართვის (მდგრადი სატყეო მეურნეობის მეთოდების) დანერგვის გზით“, რის შესასრულებლად საჭიროა: „ხე-ტყის დამზადებაზე მორატორიუმის უზრუნველყოფა გადაბერებულ ტყის კორომებსა და მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეებში და ამ კორომების დაცვის პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება“);

დაირღვა ასევე როგორც საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლები, ისე ორჰუსის კონვენციის მოთხოვნები (გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა);

დაირღვა აგრეთვე საქართველოს ტყის კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი (ტყითსარგებლობის ლიცენზიაში გასათვალისწინებელი პირობები); ამასთან, არ შეესაბამებოდა „გარემოს დაცვის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონებს; ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 28 სექტემბრის №386 ბრძანებას „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვისა და საწყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობის დასაბუთებისათვის ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ მიერ მოყვანილი არგუმენტაციის გაბათილებას და გაქარწყლებას საქართველოს გარემოს

დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო შეეცადა 2007 წლის 21 ივნისის საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსისადმი, ბატონ პეტრე მამრაძისადმი გაგზავნილ წერილში.

აღნიშნული წერილის თანახმად, 2007 წლის 1 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აუქციონი ჩატარდა და მისი შედეგების საფუძველზე ლიცენზიები გაიცა არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მიიჩნევდა, რომ WWF-ის Caucasus PO ოფისის მიერ მომზადებული დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ 2006-2010 წლებში საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის გარკვეული ნაწილის დაცულ ტერიტორიებად გამოცხადებას, ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, მას არ აქვს ნორმატიული დატვირთვა და შესაბამისად ლიცენზიის გაცემისას შეუძლებელია ლიცენზიის გამცემმა იხელმძღვანელოს ასეთი სახის დოკუმენტებით.

ამას გარდა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განმარტებით, ლიცენზიების გაცემისას განხორციელდა სალიცენზიო ობიექტების სრული შესწავლა. ამასთანავე, სალიცენზიო პირობების თანახმად, ლიცენზიანტს დაეკისრა ვალდებულება, ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 1 წლის ვადაში შეიმუშაოს მართვის გეგმა, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად უნდა მოიცავდეს ტყის ბიომრავალფეროვნების (ფლორის, ფაუნის და წყლის რესურსების) დაცვის ღონისძიებებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წერილის შესაბამისად, სამინისტროს მიერ დადგენილ იქნა ლიცენზიის კონკრეტული ობიექტისთვის სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები, რომელიც ლიცენზიანტისთვის შესასრულებლად სავალდებულოა.

რაც შეეხება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მტკიცებით, სამინისტროს ინტერნეტ საიტზე დაახლოებით 1 წელია განთავსებულია „საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი“ (რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს სახელმწიფოს მიმართულებებს, დაადგინოს გრძელვადიანი ტყითსარგებლობის პირობები) და ასევე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ 2007 წლის 2 აპრილს. ამდენად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიციის თანახმად, სამინისტროს მიერ საზოგადოება სრულად იყო ინფორმირებული.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებების გათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ 2007 წლის 24 ივნისს მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. თუმცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №90, №91 და №92 ბრძანებებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგი საფუძვლით:

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მოტივები არ განეკუთვნება სადავო აქტების კანონის კონკრეტულ ნორმასთან წინააღმდეგობების იმ კატეგორიათა წრეს, რაც შეიძლება გახდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი პუნქტით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, ასევე არც ისეთ დარღვევათა კატეგორიას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის არგუმენტაციით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია, რომლის შესაბამისად გაიცა ლიცენზიები, ე.ი. განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის მე-4 ნაწილით დაუშვებელია კონსაწინააღმდეგო აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. ხოლო, ამავე მუხლის მე-5 ნაწილით დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი.

საქართველოს მთავრობის იურიდიულმა დეპარტამენტმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ საკითხი დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით, რაც შეიძლებოდა კანონიერი ნდობის არარსებობის საფუძველი გამხდარიყო, საჩივრების ავტორების მიერ არ დასმულა.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ განცხადებაში მოყვანილი გარემოებების შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხრიდან ადგილი აქვს კანონის მოთხოვნების უგულვებელყოფით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებას და მათ საფუძველზე გამოცემული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 30 მარტის №311, №312, №313 ბრძანებები „ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“ და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის თანახმად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:
საქართველოს ტყის კოდექსის 57-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის ლიცენზიას გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო“. ამავე შინაარსის დანაწესს შეიცავს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების

დამტკიცების თაობაზე“ №132 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი: „გენერალური და სპეციალური ლიცენზიების გამცემი ადმინისტრაციული ორგანო არის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო“.

საქართველოს ტყის კოდექსის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზია გაიცემა ტენდერის ან აუქციონის წესით. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტით ასევე დადგენილია, რომ სახელმწიფო რესურსით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით. მოცემული საკითხის მსგავსი რეგულირება გვხვდება აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ №132 დადგენილების მე-4 მუხლში.

ამრიგად, ლიცენზიის გამცემი სახელმწიფო მმართველობის (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა „ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი” (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“) ანუ ადმინისტრაციული ორგანო ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველზე („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი: „განცხადების ან თავისი ინიციატივის საფუძველზე ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილება სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის წესით გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული აქტია“).

ამდენად, სახელმწიფო მმართველობის ორგანო - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო - არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების შესაბამისად, გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ანუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენს: „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.“ ამავე ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. ამ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, რადგან ბრძანების სამართლებრივი შედეგია ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემა აუქციონის წესით, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების თაობაზე არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მართალია, საქართველოს ტყის კოდექსის 57-ე მუხლი დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ჩაატაროს აუქციონი, მაგრამ, იმავდროულად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას სამინისტრო უნდა მოქმედებდეს კანონისმიერი დანაწესის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, რომელიც ცალსახად ადგენს, რომ „თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.“

ამგვარად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას (ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარებისას), ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.“

ამას გარდა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ადმინისტრაციული წარმოებისას, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითებინა ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ანუ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უნდა გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება მით უფრო მაშინ, როცა ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედება (სახელმწიფო რესურსით სარგებლობის უფლება) უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულში საქართველოს სახალხო დამცველი გულისხმობდა:

1. საქართველოს ტყის კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ტყითსარგებლობის ლიცენზიის პირობებში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ რესურსის მოპოვების დასაშვები ფორმების და მეთოდების განსაზღვრას, რათა ზიანი არ მიადგეს ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოსა და მისი ბიომრავალფეროვნების მდგრადობას, ცხოველთა სამყაროს, ისტორიულ, კულტურისა და ბუნების ძეგლებს. 2007 წლის 7 ივნისს

გერმანიაში ქალაქ ჰაილიგენდამში დიდი რვიანის სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში „მსოფლიო ეკონომიკის განვითარება და ვალდებულებები“ ყურადღება გამახვილდა სწორედ „განვითარებად ქვეყნებში მდგრადი ტყითსარგებლობის მენეჯმენტის იმპლემენტაციაზე“, ვინაიდან ბუნებრივი რესურსის (ხე-ტყის სახით) შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები გამოიწვევს აუნაზღაურებელ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ზიანს;

2. საქართველოს ტყის კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ტყითსარგებლობის პირობებში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ასათვისებელი რესურსის სახის დაკონკრეტებას, ვინაიდან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სატყეო უბნის მუხურის, თაიას, ნაფიჩხოვოს, მაგანის, ხუდონის, ჯვრის სატყეო უბნებზე ყოველწლიურად ჭრას დაქვემდებარებული რესურსის სახეობებს შორის მითითებულია ზოგადად „წიწვიანი“, ხოლო წიწვიანი ხეების სახეობების სიმრავლიდან გამომდინარე ბუნდოვანია, თუ რომელი სახეობა შეიძლება დაექვემდებაროს ჭრას და რა ოდენობით;

3. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“ №27 დადგენილების და საქართველოს ტყის კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაღალი კონსერვაციული (დაცვითი) ღირებულების ზონების განსაზღვრას და მათზე მორატორიუმის უზრუნველყოფას მაშინ, როცა საქართველოში არ არსებობს დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელი და არ არის დაარსებული დაცული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის მნიშვნელოვან რეგიონებში (ცენტრალური კავკასიონი, ჯავახეთის ზეგანი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის საპროგრამო ოფისის (WWF-ის Caucasus PO) მიერ მომზადებული სარეკომენდაციო დოკუმენტის (საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის გარკვეული ნაწილის დაცულ ტერიტორიებად გამოცხადების მიზანშეწონილობის შესახებ) გათვალისწინება და მასზე, როგორც რბილ სამართალზე დაყრდნობით მოქმედება არის ინდიკატორი იმისა, თუ რა პოზიცია გააჩნია სახელმწიფოს გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიომრავალფეროვნების სამსახურს ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემის მიზნით, 2007 წლის 1 მაისს გამართულ აუქციონთან დაკავშირებით დასკვნა (სალიცენზიო პირობები, მიზანშეწონილობა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კუთხით და სხვ.) არ მოუმზადებია (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 2008 წლის 7 აპრილის წერილი).

4. საქართველოს ტყის კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ტყითსარგებლობის ლიცენზიის პირობებში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ტყითსარგებლობის ზუსტი მონაკვეთების განსაზღვრას; საქართველოს ტყის კოდექსის 55-ე მუხლის მე-5

ნაწილის მიხედვით, ასათვისებელი რესურსის საერთო ოდენობის ზუსტად განსაზღვრას, ვინაიდან საქართველოს ტყის კოდექსის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე ტყეთმოწყობა ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ, რაც რეალურად ართულებს მოსაჭრელი რესურსის მოცულობის დადგენას ტყეთმოწყობის საფუძველზე 20 წლიანი ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემისას. აღინიშნულის განსაზღვრა მნიშვნელოვანია მით უფრო, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტის 2007 წლის 4 ოქტომბრის #17/02-8/244-1830 წერილის თანახმად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებულ ყოფილი ახალციხე-ასპინძის სატყეო მეურნეობაში ტყეთმოწყობა ჩატარებულია 1997-99 წლებში; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებულ ყოფილი ოდიშის სატყეო მეურნეობაში ტყეთმოწყობა ჩატარებულია 1984-85 წლებში; ხოლო კახეთის რეგიონალურ სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებულ ყოფილი ყვარლის სატყეო მეურნეობაში ტყეთმოწყობა ჩატარებულია 1989-92 წლებში;

5. ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლების უზრუნველსაყოფად - იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში - „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის) 1998 წლის კონვენციის შესაბამისად (საქართველოსთვის აღნიშნული კონვენცია ძალაში შევიდა 2001 წლის 11 თებერვალს), საზოგადოებისათვის გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების გარანტირებას (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი „დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე“ და მე-4 პუნქტი „ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა“). საქართველოს, როგორც კონვენციის ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების განხორციელება, ანუ საზოგადოების გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა მით უფრო მნიშვნელოვანია იმ დროს, როდესაც 2008 წლის 3 აპრილის ევროკომისიის პირველ ანგარიშში (ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ) ცალსახად არის დაფიქსირებული ის გარემოება, რომ საქართველოში შეზღუდულია გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა;

6. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და წინადადებების განხილვის უზრუნველყოფას, საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად

(საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილი „მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში ნებისმიერ ეტაპზე“).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ ბრძანების გამოცემისას უგულვებელყო კანონისმიერი დანაწესი. კერძოდ, მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავდა წერილობით დასაბუთებაში ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნულ ბრძანებას.

აღნიშნული საფუძველს აძლევდა საქართველოს სახალხო დამცველს მიეჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არსებითად დაარღვია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კონკრეტულად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილები, ანუ წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს წერილობით დასაბუთებას; დასაბუთება წინ არ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს (მითითებულია მხოლოდ სამართლებრივი საფუძველი); და წერილობით დასაბუთებაში არ არის მითითებული ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის საქართველოს ტყის კოდექსის 57-ე მუხლის 1-ლი და მე-6 ნაწილებით მინიჭებული ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ საკითხის გადაწყვეტის დისკრეციული უფლებამოსილების მიუხედავად, მოცემული შემთხვევა არ განეკუთვნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ გამონაკლისს, როდესაც „წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, ვინაიდან კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.“
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ არსებითად დარღვეულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გათილობის საფუძველს წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 30 მარტის №311, №312, №313 ბრძანებების „ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების

შესახებ“ და 2007 წლის 1 მაისს გამართული აუქციონის შედეგების საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ გამოცემული 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებები.

მართალია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის მე-4 ნაწილით, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, მაგრამ ამავე ნაწილის მეორე წინადადება ადგენს გამონაკლის შემთხვევებს. კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებების ან ინტერესების არსებითად დარღვევა წარმოადგენს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. ანუ, კანონსაწინააღმდეგოდ ჩატარებული აუქციონის შედეგების მიხედვით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 („გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“) გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან საზოგადოების კანონიერ ინტერესს განეკუთვნება სწორედ საქართველოს უზენაესი კანონით - კონსტიტუციით დაცული უფლების - „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“ - გარანტირება და სახელმწიფოს მხრიდან, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფა.

მოგვეხსენება, რომ ადამიანის სიცოცხლე დიდწილად სწორედ გარემოზეა დამოკიდებული. გაეროს ფარგლებში ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს, რომ არსებობს მიზეზშედეგობრივი კავშირი გარემოს დაბინძურებასა და ადამიანების სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფას შორის.

ადამიანის უფლებები მიზნად ისახავს ადამიანის ინტერესების დაცვას, იქნება ეს სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ცხოვრებისა თუ კერძო საკუთრების ინტერესი. გარემო, როგორც დაცვის ობიექტი, მოიცავს ბუნებრივ გარემოს (ანუ ბუნებას) და ადამიანურ გარემოს (ანუ ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, უვნებელ გარემოს). არარაციონალური ბუნებათსარგებლობა ნიშნავს ადამიანის მიერ ისეთ მავნე ზემოქმედებას გარემოზე, რომელიც ზიანს აყენებს ბუნებას და/ან საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე უეერემანტრიმ თავის მოსაზრებაში საქმეზე - უნგრეთი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Hungary v. Slovakia) - ხაზი გაუსვა, რომ გარემოსადმი ზიანის მიყენებამ შეიძლება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში მოცემული ყველა უფლება ხელყოს. ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა არის ურთიერთდამოკიდებული და განუყოფელი, შესაძლებელია გარემოს დაცვის ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით გამოყენება და ადამიანის უფლებების გარემოს დაცვის მიზნით გამოყენება.

გარემოსდაცვითი უფლებები აღიარებულია მრავალ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში, რომელთაც სავალდებულო იურიდიული ძალა აქვთ ხელშემკვრელი მხარეებისათვის და რომლებიც ადგენენ ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის გარანტიებს. კერძოდ:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (25-ე მუხლი) ადასტურებს, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.“

გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის მე-2(ბ) პუნქტი კი სახელმწიფოებს ავალდებულებს, გააუმჯობესონ „ეკოლოგიური და სამრეწველო ჰიგიენის ყველა ასპექტი.“

ადამიანის გარემოს შესახებ 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველ პრინციპში აღნიშნულია, რომ „ადამიანს აქვს ძირითადი უფლება... ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე ისეთი ხარისხის გარემოში, რომელიც ღირსეული ცხოვრებისა და კეთილდღეობის საშუალებას იძლევა.“

„მდგრადი განვითარების სატყეო პრინციპების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის 14 ივნისის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაციის თანახმად, მოცემულ დოკუმენტში ასახული პრინციპების ძირითად მიზანს შეადგენს ტყეების დაცვა, მდგრადი განვითარება და ტყის რესურსებით რაციონალური სარგებლობა.

თუმცა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიების თანახმად, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაცული იქნება მომავალი თაობების უფლება - ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებით და გარემოთი. ამგვარად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საზოგადოებრივი ინტერესი აღნიშნულ შემთხვევაში პრივილირებს კერძო პირის ინტერესთან შედარებით და აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ყოველივე ზემოთ მითითებულის საფუძველზე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მ/შ-ს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ გამოცემული 2007 წლის 30 მარტის №311, №312, №313 ბრძანებების „ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“ ბათილად ცნობის მოთხოვნით, ვინაიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადებისას და გამოცემისას არსებითად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები; ამასთანავე, მოითხოვა 2007 წლის 1 მაისს ჩატარებული აუქციონის შედეგების

საფუძველზე გამოცემული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებების გათილად ცნობა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე ლიცენზიანტებისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

2008 წლის 23 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან შემოსული პასუხის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა, ანუ გათილად არ იქნა ცნობილი ზემოაღნიშნული ბრძანებები იმ მიზეზით, რომ დღეს არსებული მდგომარეობით განსხვავებულად რეგულირდება ამ სფეროს ლიცენზირების საკითხები. კერძოდ, „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის №64 დადგენილების შესაბამისად ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

ამასთანავე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წერილის მიხედვით, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელის არსებითი განხილვა და მასზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა.

დანართი # 15
ბავშვის უფლებები

ა.დ-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე- ტ.ო. განცახდება შეეხებოდა არასრულწლოვნ-ა.დ.-ს მიმართ განხორციელებულ, გაუკუღმართებული სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების განხორციელების ფაქტს. როგორც განმცხადებაშია მითითებული, აღნიშნული ძალადობა 2007 წლის 28 ოქტომბერს განხორციელდა, რის შედეგადაც ა.დ. ნაწლავის გადმოვარდნით გადაყვანილ იქნა ლანჩხუთის რაიონულ საავადმყოფოში, მდგომარეობის სირთულის გამო მედპერსონალს გაუჩნდა ეჭვი და ინფორმაცია მიაწოდეს ადგილობრივ პოლიციას, რის შედეგადაც დაიწყო წინასწარი გამოძიება. ბავშვი კი გადაიყვანეს ქ.ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოში, სადაც ჩაუბრუნეს ნაწლავი. არასრულწლოვანის ჩვენებით, მასზე განხორციელდა სექსუალური ძალადობა ზ.ხ.-ის მხრიდან. ზ.ხ. ეჭვმიტანილის სახით დააკავეს, თუმცა დაკავებიდან მეოთხე დღეს ის გაათავისუფლეს. განმცხადებლის განმარტებით აღნიშნულმა პირმა რამდენჯერმე სცადა სხვა არასრულწლოვნებთანაც ამგვარი ქმედების ჩადენა.

სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის სდა 23-ე მუხლის თანახმად, შ.ს. გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოდან გამოთხოვილ იქნა აღნიშნული საქმის მასალები, ასევე დაზარალებულზე ჩატარებული რამდენიმე ექსპერტიზის დასკვნა.

,,აკადემიკოს ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" მიერ მოწოდებული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შემდეგია: ,,დაზარალებული ა.დ. ფსიქიკური აშლილობის ნიშნებს არ ავლენს. აღენიშნება ქცევის აშლილობა (მატყუარობა, სიზარმაცე სკოლაში, პროტესტი, ბრაზის ეფექტი), რაც უნდა ჩაითვალოს ფსიქიკურ ნაკლად. მისი გონებრივი განვითარება შეესატყვისება მის ასაკს - პრიმიტიულობა, პედაგოგიური ჩამორჩენილობა. გამომდინარე აღნიშნულიდან ა.დ.-ს ჩვენებები არ შეიძლება ჩაითვალოს დამაჯერებლად."

,,ლევან სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" 2008წლის 20 მარტს ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ირკვევა, რომ ,,მცირეწლოვან ა.დ.-ზე ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ობიექტური მონაცემების თანახმად, როგორც სხეულზე ასევე უკანა ტანის არეში, კერძოდ სწორი ნაწლავისა და სპინქტერის მიდამოში ამჟამად გარეგნულად ფიზიკური დაზიანებისთვის დამახასიათებელი რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება". ხოლო 2007 წლის 1 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნა შემდეგნაირია:

,,1. მცირეწლოვან ა.დ.-ს ჩატარებული ობიექტური გასინჯვით ამჯამად სხეულზე მარჯვენა ქვედა კიდურის ბარძაყის მიდამოში ქვედა მესამედში აღენიშნება

ნაჭდევები, რომლებიც მიყენებული არის მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან დადგენილებაში მითითებულ თარიღს. თითოეული მათგანი მიეკუთვნება დაზიანების მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა არ მოჰყოლია.

2. ა.დ.-ს უკანა ტანის არეში -კერძოდ სწორი ნაწლავისა და სპინქტერის მიდამოში ამჟამად გარეგნულად ფიზიკური დაზიანებისათვის დამახასიათებელი ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება."

ასევე მივიღეთ ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორის შოთა ჩხაიძის დადგენილება, აღნიშნულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. დადგენილების დასკვნაში აღნიშნულია, რომ შეწყდა სისხლისსამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო. დადგენილებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქმეზე მოწმის სახით დაკითხეს მ.ზ., რომელმაც განაცხადა, რომ 2008 წლის 20 თებერვალს მას შეხვდა დაზარალებული ა.დ., რომელმაც უთხრა, რომ მის მიერ ზ.ხ.-ს საწინააღმდეგოდ გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება გამოწვეული იყო კ.მ.-ს მხრიდან მისი მისამართით განხორციელებული მუქარით. საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა კ.მ., რომელმაც აღიარა, რომ მას სურდა სქესობრივი კავშირი დაემყარებინა დაზარალებულ ა.დ.-სთან, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მან ხელი აიღო დანაშაულზე.

პროკურორის მიერ მოწოდებულ დადგენილებაში ასევე საუბარია იმის შესახებ, რომ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება კ.მ.-ს მიმართ, ა.დ.-ს მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ფაქტზე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.

ი.ნ-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა ქ.თბილისში მცხოვრებმა, ი.ნ.-მ. განცხადება შეეხება 16 წლის, მ.ნ.-ს მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების განხორციელების ფაქტს. შედეგად არასრულწლოვანი დაორსულდა და 2008 წლის ივნისში საპატრიარქოს „წმინდა იოაკიმეს და ანას სახელობის" სამშობიარო სახლში გააჩინა შვილი.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ი.ნ-მ 2008 წლის 28 იანვარს განცხადებით მიმართა ქ.ბათუმის, ხელვაჩაურის რაიონის საგამოძიებო განყოფილებას.

„სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „გ" პუნქტის და 23-ე მუხლის თანახმად, ხელვაჩაურის რაიონის საგამოძიებო განყოფილებიდან გამოვითხოვეთ ამომწურავი ახსნა-განმარტება, თუ როდის დაიწყო გამოძიება, რა ეტაპზეა ზემოთ აღნიშნული საქმის წარმოება და რა საგამოძიებო მოქმედებები იქნა გატარებული.

2008 წლის 23 ივლისს მიღებული პასუხის თანახმად, გაირკვა, რომ აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს ს.ს.კ.-ის 140-ე მუხლის

საფუძველზე. საქმეზე დაზარალებულის სახით დაიკითხა მ.ნ., რომელმაც განაცხადა, რომ ის 2005 წლის გაზაფხულზე გაკვეთილების შემდეგ სახლში ბრუნდებოდა. გზად შეხვდა რ.მ. და გ.ზ., რომლებმაც ძალის გამოყენებით შეათრიეს ის ნაძვნარში და გააუპატიურეს, შემდეგ კი დაემუქრნენ, თუ ვინმეს ეტყვი, მოგკლავთო. ამავე ჩვენებაში მ.ნ.-მ განმარტა, რომ 2008 წლის იანვრამდე აღნიშნული პირები მასთან სისტემატიურად ამყარებდნენ სქესობრივ კავშირს.

2008 წლის 30 იანვარს დაზარალებულმა ისევ მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ განყოფილებას და აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული პირების გარდა, ძალის გამოყენებით მასთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა რ.კ.

2008 წლის 7 თებერვალს, დაზარალებულმა მორიგი განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ განყოფილებას, სადაც აღნიშნა, რომ ის რამდენჯერმე გააუპატიურა ზ.გ.-მ, ხოლო 2008 წლის 14 თებერვალს რ.კ.-მ და რ.დ.-მ.

საქმეზე ჩატარებული სასამართლო–გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, რ.კ., გ.ზ. და რ.მ. არ წარმოადგენენ დაზარალებულის ნაყოფის ბიოლოგიურ მამას. რაც შეეხება ზ.გ.-ს და რ.დ.-ს, მათთვის გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარება გამოძიების ამ ეტაპზე ვერ ხერხდება მათი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო. წინასწარი გამოძიება გრძელდება ზემოაღნიშნული პირების ადგილსამყოფელის დადგენის, ასევე სხვა მტკიცებულებების მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების მიზნით.

მ.კ-ს საქმე

2008 წლის 17 მარტს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრს განცხადებით მომართა მოქალაქე მ. კ.–მ.
განცხადება ეხებოდა მის ქალიშვილს, თბილისის N1 საჯარო სკოლის მე–7 კლასის მოსწავლე ნ. კ–ს, რომელსაც, როგორც განმცხადებელი მიუთითებს, რამდენიმე თანაკლასელმა ერთ–ერთი თანაკლსელის საფულის მოპარვა დააბრალა.

საფულის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სკოლის კურატორმა საორგანიზაციო საკითხებში დაცვის თანამშრომელთან ერთად კლასი გაჩხრიკა.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, გოგონებში მხოლოდ ნ. კ. გაჩხრიკეს. ნ.კ–მ ჩხრეკის შემდეგ გარეთ გასვლა ითხოვა. მას უკან გაჰყვა კლასელი, რომელმაც სასწავლო ნაწილის გამგეს შეატყობინა, ნ.კ–მ საფულე სანაგვე ურნაში ჩააგდოო. სკოლის კურატორი ჩავიდა პირველ სართულზე, ბუფეტის თანამშრომელთან ერთად საფულე ურნიდან ამოიღო და დირექტორს შეუტანა ბრალდებით, საფულე ნ. კ–მ მოიპარაო.

სკოლის დირექტორმა ნ. კ–ის მშობელი, მ. კ. დაიბარა და ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანა ურჩია. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ეს რჩევა დირექტორმა იმით დაასაბუთა, რომ მომხდარის შემდეგ ბავშვს სკოლაში ქურდის სახელი დარჩებოდა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სკოლიდან გადაყვანის შემთხვევაში, დირექტორი ნ.

კ–ს დადებით დახასიათებას დაჰპირდა. მშობლის, მ. კ–ს განცხადების მიხედვით, დირექტორმა მასთან შესულ ნ. კ–საც იგივე შესთავაზა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სიმართლის დასადგენად, მშობელმა, მ.კ–მ გამოძიებისა და ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა, რაზეც დირექტორისგან უარი მიიღო.

განცხადებაში მ. კ. აღნიშნავს, რომ მისი შვილი უსაფუძვლოდ დაადანაშაულეს.

საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომლები N1 საჯარო სკოლაში შეხვდნენ სკოლის დირექტორსა და კურატორს საორგანიზაციო საკითხებში, ესაუბრენ მათ და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დირექტორს ახსნა–განმარტება მოსთხოვეს.

სკოლის დირექტორის, ლელა წიქარიშვილის ახსნა–განმარტებიდან ირკვევა, რომ კლასში, მასთან შეთანხმებით, მართლაც ჩატარდა ბავშვების ჩხრეკა - ლ.წიქარიშვილის ახსნა–განმარტების მიხედვით, დათვალიერება.

მ.კ–ს ინფორმაციისაგან განსხვავებით, რომ გოგონებიდან მხოლოდ „ეჭვმიტანილი“ ნ.კ. გაიჩხრიკა, ცენტრის თანამშრომლებთან შეხვედრისას, ასევე ახსნა–განმარტებაში, დირექტორმა აღნიშნა, რომ ჩატარდა ყველა მოსწავლის, მათი მერხებისა და ჩანთების დათვალიერება.

ბავშვები გაჩხრიკა საორგანიზაციო საკითხების კურატორმა. დირექტორის ახსნა–განმარტების მიხედვით, აღნიშნული ქმედება განხორციელდა კლასის მოთხოვნით. ხოლო ნ. კ–ზე, როგორც ეჭვმიტანილზე, დირექციას სწორედ მოსწავლეებმა მიანიშნეს.

სკოლის დირექტორის ახნა–განმარტებიდან ირკვევა, რომ ნ. კ–ს აღელვება კლასის მოსწავლეთა დათვალიერებისთანავე დაეტყო. იგივე ინფორმაცია მოგვაწოდა სახალხო დამცველის თანამშრომლებთან შეხვედრისას სკოლის საორგანიზაციო საკითხების კურატორმაც; მისი და დირექტორის თქმით, ეჭვის საფუძველს იძლეოდა ჩხრეკის დროს ნ. კ–ს არაადექვატური ქცევა, „ნერვული სიცილი და ხელების მოძრაობა“, რის გამოც, დირექტორის ახსნა–განმარტების მიხედვით, „ნ. კ–ს დათვალიერება უფრო მეტი ყურადღებით ჩატარდა“.

სახალხო დამცველის თანამშრომლებმა კურატორთან საუბრისას დააზუსტეს, რომ არ არსებობს მოწმე, რომელმაც დაინახა, თუ როგორ იპარავდა საფულეს ნ. კ. არც ის დაუნახავს ვინმეს, მან საფულე ბუფეტთან ახლოს მდგარ სანაგვე ურნაში ჩააგდო.

დირექტორის ახსნა–განმარტების მიხედვით, მოწმე არ ჰყავს, აგრეთვე, იმ ფაქტს, რომ ნ.კ–ს ძმამ, იმავე კლასის მოსწავლემ, აღნიშნული საფულე ბუფეტთან ახლოს მდგარ სანაგვე ურნაში ჩააგდო ან მის ამოღებას ცდილობდა. ამ ფაქტზე მოწმის არარსებობაც სახალხო დამცველის თანამშრომლებმა დირექტორთან შეხვედრისას დააზუსტეს.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა აღნიშნული საქმე და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის N1 საჯარო სკოლის ადმინისტრაციის ქმედება არამართლზომიერად მიიჩნია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ეჭვი იმის შესახებ, რომ საფულე სწორედ ნ. კ–მ მოიპარა ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული და სამართლებრივად დაუსაბუთებელია – მოწმე არ ჰყავს იმ ფაქტს, რომ ნ. კ–მ აიღო საფულე და არც იმას, რომ საფულე სანაგვე ურნაში მან ან მისმა ძმამ ჩააგდეს.
2. კლასში ჩატარდა მოსწავლეთა მერხების, ჩანთებისა და თავად ბავშვების კოლექტიური ჩხრეკა – კანონი „ზოგადი განათლების შესახებ", მუხლი 19, პუნქტი 9: **„დაუშვებელია მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა".**
3. დირექტორის ახსნა–განმარტებიდან ირკვევა, რომ კურატორმა უაპელაციოდ დაუჯერა ნ. კ–ს რამდენიმე თანაკლსელს. იგივე რეაქცია ჰქონდა დირექტორსაც – მის კაბინეტში დახმარების მისაღებად მისულ ნ.კ–ს დირექტორმა სხვა სკოლაში გადასვლა ურჩია. ეს იყო წამყვანი და, როგორც დირექტორის ახსნა – განმატრებიდან და მასთან საუბრიდან ირკვევა, ერთადერთი აღმზრდელობითი მეთოდი, რომელიც მან ნ. კ–ს მიმართ გამოიყენა.

მიუხედავად იმისა, მოიპარა თუ არა საფულე ნ. კ–მ, კურატორსა და დირექტორს პროფესიული ეთიკის შესაბამისად უნდა ემოქმედათ; მათ უნდა ეხელმძღვანელად ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპით, იმის გათვალისწინებით, რომ **„ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმხორციელებელი,** – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებლი, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – **უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას"** (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 3,პუნქტი 1).

ნ. კ–ს მიმართ გაჩენილი ეჭვი, კონფიდენციალურობის სრული დაცვითა და ფსიქოლოგების ჩართვით (სკოლას 2 ფსიქოლოგი ჰყავს) არ უნდა გადაქცეულიყო ბავშვის შეურაცხმყოფელ ფაქტორად – ნ. კ–ს კურატორმაც და დირექტორმაც აგრძნობინეს და განუცხადეს კიდეც, რომ ეჭვი სწორედ მასზე ჰქონდათ მიტანილი. მათ მოვალეობას სწორედ ის წარმოადგენდა, რომ ყველა ღონე ეხმარათ, რათა 13 წლის გოგონას ქურდის იარლიყი არ დარჩენოდა. თანაკლასელებში გაჩენილი ეჭვის გაფანტვაც იმ აუცილებელ მოვალეობას წარმოადგენდა, რომელიც ასევე პედაგოგებსა და დირექციას უნდა გაებათილებინათ. მათვე უნდა გაერკვიათ, ხომ არ არსებობდა რაიმე შესაძლო წინაპირობა იმისა, რომ საფულის მოპარვა ბავშვებმა სწორედ ნ. კ–ს დააბრალეს.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 28, ნაწილი 2: „მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება" და საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ", მუხლი 13, პუნქტი 4: „დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია".

აღნიშნული საქმის შესწავლის თხოვნით, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს, თ.კაკუტიას.

2008 წლის 24 მაისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა ზეპირი მოსმენა, რომელზეც ნ.კ.–ს მშობელმა მ.კ.–მ მოითხოვა სკოლის დირექტორის მიერ დაშვებული შეცდომების აღიარება. 2008 წლის 6 ივნისს კი, სკოლის დირექტორისა და კლასის მშობელთა მოთხოვნით, შედგა განმეორებითი შეხვედრა, რომელსაც სახალხო დამცველის წარმომადგენლები არ დასწრებიან იმ მიზეზის გამო, რომ შეხვედრის დრო გენერალურმა ინსპექციამ მხოლოდ სკოლის დირექტორთან შეათანხმა.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა საპასუხო წერილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონი გიორგი ნოდიასაგან მიიღო.

წერილიდან ირკვევა, რომ შეხვედრაზე სკოლის დირექტორმა, ლელა წიქარიშვილმა „გამოთქვა მზადყოფნა ყველანაირი ღონისძიების გასატარებლად კლასში მოსწავლეებს შორის სიტუაციის შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით“. როგორც წერილიდან ირკვევა, შედგა კლასის მშობელთა კრება, სადაც მშობლებს განუმარტეს, რომ კლასში სასწავლო პროცესი ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს, ხოლო „მომხდარის თაობაზე ადმინისტრაცია ბოდიშს უხდის მთელ კლასს, რადგან ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად, დაუშვებელია მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა“.

მინისტრის საპასუხო წერილში ნათქვამია აგრეთვე, რომ „სკოლის ადმინისტრაციამ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას წინამდებარე საკითხთან დაკავშირებით“.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები არადამაკმაყოფილებელია შემდეგი გარემოებების გამო:

1.დირექტორისა და ადმინისტრაციის მიერ კლასის წინაშე ბოდიშის მოხდა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაზღვეული ვიყოთ ამგვარი ინციდენტის რეციდივისგან. ბოდიშის მოხდა მოითხოვა მშობელმა, მ.კ.–მ. მშობელს, შესაძლოა, არაფერი მოეთხოვა, მაგრამ რამდენადაც ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტი ორმა სახელმწიფო ინსტიტუციამ დააფიქსირა, მასზე ადექვატური რეაგირება მშობლის მოთხოვნების მიუხედავადაც უნდა მომხდარიყო.

2. სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ ფაქტის სიმძიმიდან გამომდინარე, სკოლის დირექტორის მიმართ სამინისტრომ არანაირი ადექვატური ზომა არ მიიღო.

დირექტორი სკოლაში, როგორც არა მარტო სასწავლო, არამედ სააღმზრდელო დაწესებულებაში, სადაც ბავშვის პიროვნება უნდა ყალიბდებოდეს, ის საჯარო პირია, რომელიც პასუხისმგებელია სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესზე. სკოლის მმართველობაში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა და ზოგადზნეობრივი ნორმების დაცვა სწორედ დირექტორს ევალება. ამ შემთხვევაში კი დირექტორმა თავად ჩაიდინა ქმედება, რომელიც აშკარად გასცდა პედაგოგის პროფესიული ეთიკის ნორმებს.

3. მართალია, ბოდიშის მოხდამ დააკმაყოფილა მოსწავლის მშობელი, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამით არ უნდა შემოფარგლულიყო; სამინისტროსთვის ცნობილი გახდა ამგვარი დარღვევის შესახებ. ამიტომ, მას ჩადენილი დარღვევის ადექვატური ღონისძიება უნდა განეხორციელებინა.

ფაქტობრივად, სამინისტრომ არ განახორციელა არანაირი ზომა მსგავსი ქმედების პრევენციის მიზნით. ადმინისტრაციული სახდელი უნდა ყოფილიყო შემაკავებელი ფაქტორი ბავშვისადმი ამგვარი მოპყრობის რეციდივისგან დაზღვევის მიზნით.

აღწერილი ფაქტი კიდევ ერთი შემაშფოთებელი მაგალითია იმისა, რომ ერთი მხრივ, სკოლაში ბავშვის უფლებებს სწორედ ის პირები არღვევენ, ვისაც მათი დაცვა და ბავშვის ფიზიკურ თუ მორალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ევალება, ხოლო, მეორე მხრივ, მორალური შეურაცხყოფის ფაქტებზე სახელმწიფოს აღმასრულებელი სტრუქტურები არანაირ ქმედით და, რაც მთავარია, სახელმწიფო თუ საერთაშორისო კანონმდებლობით მოთხოვნილ რეაგირებას არ ახორციელებენ.

მ.ქ.ნ-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა, მცხოვრებმა კასპის რაიონში, მ.ქ.ნ.-მ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ჰყავს ოთხი შვილი: დიმიტრი ქ., დავით ქ., დანიელ ქ. და დიანა ქ. დავითი 1997 წლის 7აპრილს გარდაიცვალა. განმცხადებელი მეუღლესთან, ბ.ქ.-თან 14 წელი მუდმივ კონფლიქტში იმყოფებოდა, რისი მიზეზიც მეუღლის მუდმივი ლოთობა იყო.

2002 წელს მეუღლის მკვლელობის გამო, მ.ქ.ნ. მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რის გამოც შვილებზე მეურვეობის უფლება გადაეცა დედამთილს, ე.ჟ.-ს. როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, მას დედობის უფლება არ ჩამორთმევია.

2004 წლის 6 მარტს, მ.ქ.ნ. განთავისუფლდა პატიმრობიდან და მოისურვა შვილების დაბრუნება. დედამთილი შვილების დაბრუნების წინააღმდეგია, საშუალებას არ აძლევს ბავშვებს, მოინახულონ დედა.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ დედამთილი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს მას და ემუქრება ფიზიკური განადგურებით თუ მიეკარება შვილებს. აღნოშნულის გამო, განმცხადებელმა მიმართა საჩხერის რაიონის პოლიციას და რწმუნებულის თანხლებით მოინდომა შვილების ნახვა, მაგრამ ბებიამ ბავშვები გადამალა.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას დაუკავშირდა უფროსი შვილი, დიმიტრი, რომელმაც უთხრა, რომ მას და მის და-ძმას სურთ დედასთან ურთიერთობა. ასევე აღნიშნეს, რომ ბებია ვერ უვლის მათ, სწავლაში ვერ ეხმარება და ა.შ.

ჩვენ გავაგზავნეთ წერილი საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრში და მოვითხოვეთ დიმიტრის დანიელისა და დიანას მდგომარეობის შესწავლა. მიღებული პასუხის თანახმად, დიმიტრი გარდაიცვალა 2008 წლის 7 ივნისს. წარმოდგენილი დასკვნიდან ირკვევა, რომ ბავშვების საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. რესურსცენტრის დახმარებით, განმცხადებელი ერთხელ შეხვდა შვილებს, თუმცა მას ასეთი თხოვნით სხვა დროს აღარ მიუმართავს რესურსცენტრისთვის. განმცხადებელს ასევე შეუძლია მოინახულოს შვილები სკოლაში, მაგრამ როგორც რესურსცენტრის წარმომადგენელი აღნიშნავს, დანიელსა და დიანას დედის ნახვის სურვილი არ გააჩნიათ და მასთან ცხოვრება წარმოუდგენლად მიაჩნიათ.

#70-ე საჯარო სკოლის საქმე

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მოქალაქე ირმა ნიკოლიშვილმა. განმცხადებელს მიაჩნია, რომ 70-ე სკოლის დირექციის მხრიდან დაირღვა მისი შვილის უფლებები, კერძოდ, მის შვილს შესვენების დროს სკოლის მანდატურმა ჩამოართვა მობილური ტელეფონი. ამის შემდეგ სკოლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, მოსწავლეს მიეცა გაფრთხილება და დაეკისრა ჯარიმის გადახდა, 10 ლარის ოდენობით. ასევე ბრძანებაში მითითებულია, რომ მოსწავლის კუთვნილი მობილური ტელეფონი იქნებოდა შენახული დირექციის კარადაში, დაკისრებული ქონებრივი სასჯელის აღსრულების დასრულებამდე.

ამავე სკოლის მოსწავლის ერთ-ერთმა მშობელმა ლელა კვარაცხელია-მღებრიშვილმა მიმართა სახალხო დამცველს იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლის სამეურვეო საბჭომ სკოლის შინაგანაწესში დაამტკიცა ისეთი პუნქტები, რის საშუალებითაც სკოლის დირექციას ეძლევა უფლება დააჯარიმოს მოსწავლეები, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი უფლებამოსილი პირების ნებართვის გარეშე დატოვებენ გაკვეთილებს.

ამონარიდი 70-ე საჯარო სკოლის შინაგანაწესიდან: „სასკოლო გაკვეთილების მიმდინარეობის პროცესში მოსწავლის მიერ საკლასო ოთახის საგნის მასწავლებლის ამ საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის ნებართვის გარეშე დატოვება ან სკოლის ტერიტორიაზე თვითნებურად გადაადგილება, ისჯება შენიშვნით და ჯარიმით 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.
-იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით,
ისჯება საყვედურით და ჯარიმით 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით.
-იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის და ჯგუფურად,
ისჯება სასტიკი საყვედურით და ჯარიმით 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით და/ან სკოლიდან გარიცხვით.”

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით:

1.სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

2. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.

ასევე საქართველოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მიხედვით მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს: ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, ადამიანის იურიდიული პასუხისმგებლობისა და იძულების ზომის გამოყენების საკითხები.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეესწავლათ 70-ე საჯარო სკოლაში არსებული ვითარება და მიეღოთ შესაბამისი ზომები სკოლის დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს მიერ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით და განეხილათ იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც საკუთარი ინიციატივით სკოლაში ფულადი ჯარიმების გადახდის სისტემა დააწესეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განიხილა საქართველოს სახალხო დამცველის წერილი და თბილისის 70-ე საჯარო სკოლის ხელმძღვანელობას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამო მისცა გაფრთხილება, დაავალა სკოლის შინაგანაწესის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და 15 დღის ვადაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ანგარიშის წარდგენა;

ვინაიდან მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სხვა დაწესებულებებშიც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დაავალა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს და ასევე საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებს, მიღებული გადაწყვეტილება, პრევენციისა და ანალოგიური ფაქტების აღკვეთის მიზნით, გაავრცელონ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში.